ლენინი

კულტურისა
და
ხელოვნების
შესახებ

სახელგამი
თბილისი
1957

კრებული შეადგინა

ნ. ი. კრუტიკოვამ

შესავალი სტატია

ბ. ს. მეილახის

გამომცემლობისაგან

კრებული «ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ» ნავარაუდევია მკითხველთა ფართო წრეებისათვის.

კრებულში შეტანილია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა ტექსტები და შრომების ნაწყვეტები, რომლებიც შეიცავენ მის აზრებს კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

მასალის ხასიათის მიხედვით კრებული იყოფა შემდეგ კარებად: «სტატიები, სიტყვები», «წერილები», «დირექტივები. განკარგულებები. დადგენილებები», «აღნიშვნები. დავალებები». თვითეული კარის შიგნით ვ. ი. ლენინის ნაწარმოებები ქრონოლოგიური წესითაა დალაგებული. გამონაკლისი დაშვებულია სტატიისათვის «პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა», რომლითაც იხსნება კრებული. მასალის დალაგების მოხსენებული პრინციპის მცირეოდენი გადახვევა დაშვებულია კიდევ რამდენიმე შემთხვევაში, როცა მიზანშეწონილად იყო მიჩნეული ერთი და იგივე საკითხისადმი მიძღვნილი დოკუმენტების დაჯგუფება (მაგალითად, ლენინის წერილი და სახკომსაბჭოს დადგენილება, რომლებიც ეხება აკადემიკოს ი. პ. პავლოვის მუშაობის პირობების გაუმჯობესებას და სხვ.).

დანართში შეტანილია თანამედროვეთა მოგონებანი ვ. ი. ლენინის შესახებ, რომლებიც ინტერესს წარმოადგენენ ამ კრებულის თემასთან დაკავშირებით.

ვ. ი. ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ

რევოლუციის გენიოსს ვ. ი. ლენინს უყურადღებოდ არ დაუტოვებია საკაცობრიო კულტურის არც ერთი დარგი. იგი ცდილობდა კომუნიზმის იდეების გამარჯვებისათვის საბრძოლველად გამოეყენებია ყოველივე, რაც კი ამ კულტურაში საუკეთესოა. დიდ ყურადღებას უთმობდა ლენინი ლიტერატურასა და ხელოვნებას — ხალხის იდეური აღზრდის ამ მძლავრ საშუალებებს.

თვით მხატვრული შემოქმედების საკითხებისადმი ვ. ი. ლენინის დამოკიდებულებაში გამოიხატა მისი მოღვაწეობის განსაკუთრებული სიფართოვე და მრავალფეროვნება. «რა წარმტაცი დარგია ხელოვნების ისტორია, — უთხრა ერთხელ ლენინმა ა. ვ. ლუნაჩარსკის. — რამდენი სამუშაოა აქ კომუნისტისათვის». მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი ვლადიმერ ილიას-ძის მუდმივი ინტერესის შესახებ წერენ მისი ნათესავები, მეგობრები, თანამედროვეები. ნ. კ. კრუპსკაიას მოგონებებიდან ჩვენ ვიცით, რომ ლენინი მუდამ კითხულობდა კლასიკოსებს, ყურადღებით ადევნებდა თვალს ახალ ბელეტრისტულ ნაწარმოებებს. ლენინის შრომებში მოცემულია სხვადასხვა ხელოვანთა შემოქმედების უღრმესი შეფასება, ლიტერატურის ისტორიისა და ესთეტიკის რთული საკითხების გაშუქება, სრულიად სხვადასხვანაირ ლიტერატურულ მოვლენებზე გამოხმაურება. ლენინის მიერ მხატვრული ლიტერატურის შესანიშნავი ცოდნის დამადასტურებელია ისიც, რომ თავის შრომებში ის უხვად იმოწმებს კლასიკოსებს.

განსაკუთრებული სიფართოვით ხასიათდება აგრეთვე ლენინის გამოხმაურება რუსულ ჟურნალისტიკაზე. მის შრომებში ჩვენ ვპოულობთ არა მარტო XIX საუკუნის ისეთი ჟურნალების შეფასებას, როგორიც იყო «სოვრემენნიკი», «ოტეჩესტვენნე ზაპისკი», «რუსკი ვესტნიკი», «რუსკოე ბოგატსტვო», არამედ აგრეთვე მრავალრიცხოვანი პროვინციული გამოცემების შეფასებასაც. ლენინი თავის შრომებში ფართოდ იყენებდა თავისუფალ პრესას, კერძოდ გერცენის «კოლოკოლს» და XIX საუკუნის რევოლუციური ემიგრაციის სხვა ლიტერატურას.

ლენინი დიდად აფასებდა ხელოვნების და განსაკუთრებით ლიტერატურის როლს სინამდვილის შემეცნებისა და რევოლუციური გარდაქმნის საქმეში.

მრავალფეროვან ლიტერატურულ ფაქტებსა და მოვლენებს, ცალკეულ მწერალ-კლასიკოსთა შემოქმედებას ლენინი სწავლობდა და იყენებდა მშრომელი მასების რევოლუციური ბრძოლის სასარგებლოდ. ლენინის მიერ გამოთქმულ ყველა შეხედულებას ხელოვნების საკითხებზე ღრმა პარტიული ხასიათი ჰქონდა, ემსახურე-

ბოდა მუშათა კლასის პოლიტიკური ბრძოლის საქმეს, მიმართული იყო მარქსიზმის მტრების წინააღმდეგ.

კულტურასა და ხელოვნებაზე ლენინის შეხედულებათა შესწავლა გვაიარაღებს ისეთი საკითხების გაგების, როგორიცაა კულტურის სოციალური განპირობებულობა, ხელოვნების არსი და მისი როლი საზოგადოების ცხოვრებაში, ხელოვნების რეალიზმი, პარტიულობა და ხალხურობა, კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა და მრავალი სხვა. ლენინის შრომები წარმოადგენენ საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობის, ლიტერატურათმცოდნეობისა და კრიტიკის თეორიულ საძირკველს.

I

კულტურის ისტორიისა და საზოგადოების ცხოვრებაში მისი როლის შესწავლას ნამდვილი მეცნიერული საფუძველი მხოლოდ მარქსიზმის წარმოშობის შემდეგ ჩაეყარა.

მარქსმა და ენგელსმა შექმნეს ისტორიული მატერიალიზმი როგორც მეცნიერება საზოგადოების განვითარების კანონთა შესახებ, დაადგინეს, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებას განსაზღვრავს საზოგადოებრივი ყოფიერება, რომ იდეების განვითარებას გაწსაზღვრავს საზოგადოების ცხოვრების მატერიალური პირობები. ამით მარქსმა და ენგელსმა რევოლუციური გადატრიალება მოახდინეს კულტურისა და ხელოვნების გაგებაში, ცხადყვეს, რომ კულტურა და ხელოვნება ვითარდება საზოგადოების ეკონომიური განვითარების საფუძველზე, რომ ისინი სოციალური, კლასობრივი ხასიათის მატარებელნი არიან.

მარქსმა და ენგელსმა მოგვცეს ნიმუშები კულტურის ისტორიის მატერიალისტური ახსნისა, ნიმუშები კულტურის სხვადასხვა მოღვაწეთა შემოქმედების მეცნიერული შეფასებისა რევოლუციური პროლეტარიატის პოზიციებიდან.

ავითარებდა რა მარქს — ენგელსის მოძღვრებას, ვ. ი. ლენინმა თავის ფილოსოფიურ შრომებში და განსაკუთრებით წიგნში «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი» ყოველმხრივ დაასაბუთა შემეცნების პროცესის როგორც ადამიანის ცნობიერებაში გარეგანი სამყაროს ასახვის მატერიალისტური გაგება. «...ჩვენი ცნობიერება მხოლოდ ს ა ხ ე ა გარეგანი სამყაროსი, და თავისთავად გასაგებია, რომ ასახვას არ შეუძლია ასახულის დამოუკიდებლად იარსებოს, მაგრამ ასახული არსებობს ამსახველის დამოუკიდებლად» (ტ. 14, გვ. 75).

ასახვის გენიალური ლენინური თეორია წარმოადგენს ფილოსოფიურ საფუძველს კულტურის ყველა დარგის და მათ შორის ხელოვნების გაგებისა და შესწავლისათვის. მასში მოცემულია დასაბუთება ესთეტიკის უმნიშვნელოვანესი დებულებისა იმის შესახებ, რომ ხელოვნების წყარო არის სინამდვილე, რომ ყოველი მხატვრული ნაწარმოები წარმოადგენს ცხოვრების მოვლენების ასახვას.

მარქსიზმ-ლენინიზმი, ამტკიცებს რა, რომ სამყარო და მისი კანონზომიერებანი შეცნობადია, რომ ჩვენი ცნობიერება პრინციპულად სწორად ასახავს გარემო სამყაროს, ამასთან ერთად აღნიშნავს ასახვის პროცესის ს ი რ თ უ ლ ე ს. ეს განსაკუთრებით შეეხება საზოგადოებრივი მოვლენების შეცნობას. როგორც ენგელსმა აღნიშნა «უკვე ბუნების სწორი ასახვა მეტისმეტად ძნელია; იგი გამოცდილების ხანგრძლივი ისტორიის პროდუქტია... საზოგადოებრივი მოვლენების სფეროში ასახვა კიდევ უფრო ძნელია» [1]. ასახვის პროცესის სირთულისა და წინააღმდეგობრივობის შესახებ არაერთხელ წერდა ლენინი, მიუთითებდა რა, რომ ასახვა «ა რ ა რ ი ს

[1] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, თხზ., ტ. XIV, გვ. 377 — 378.

უბრალო, უშუალო, სარკისებურ-მკვდარი აქტი, არამედ რთული, გაორებული, ზიგზაგისებური აქტია, რომელიც თავის თავში შეიცავს ცხოვრებისაგან ფანტაზიის გაფრენის შესაძლებლობას[1]». მხოლოდ პრაქტიკით შემოწმება არკვევს ეშმარიტებას, ჩვენი ცოდნის სისწორეს.

ხელოვნება მოწოდებულია ხელს უწყობდეს ადამიანის მიერ გარემო სამყაროს სწორად გაგებას და გარდაქმნას. რეალისტი მხატვარი, წარმოსახავს რა ცხოვრებას, ხილული მოვლენების იქით ავლენს მათს ნამდვილ არსს, გვეხმარება გავერკვეთ საზოგადოებრივი პროცესების, ურთიერთობების, ადამიანთა ხასიათების მთელ სირთულეში. ნამდვილი რეალისტური ხელოვნება ცხოვრების მოვლენების გახსნაში მეცნიერულ უტყუარობას აღწევს. ასე, მაგალითად, მარქსი ამბობდა, რომ XIX საუკუნის ინგლისელი რეალისტების ნაწარმოებებმა მსოფლიოს გადაუშალეს უფრო მეტი პოლიტიკური და სოციალური ეშმარიტებანი, ვიდრე ეს გააკეთეს ყველა ბურჟუაზიულმა პოლიტიკოსმა, პუბლიცისტმა და მორალისტმა ერთად. ენგელსის სიტყვით ბალზაკმა «ადამიანის კომედიაში» მოგვცა ისტორიულად მართალი სურათი საფრანგეთის საზოგადოების ცხოვრებისა 1816-დან 1848 წლამდე, სურათი, რომელიც საშუალებას გვაძლევს ეკონომიური დეტალების მხრივაც კი უფრო მეტად გავიგოთ ეს ცხოვრება, ვიდრე ამ პერიოდის ყველა პროფესიონალი ისტორიკოსის, ეკონომისტისა და სტატისტიკოსის წიგნებიდან. ლენინი, ანალიზს უკეთებდა რა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებულ რთულ პროცესებს, ხშირად იყენებდა მასალას სხვადასხვა მხატვრული ნაწარმოებებიდან.

ხელოვნებაში, მეცნიერებისაგან განსხვავებით, სინამდვილის შემეცნება ხდება არა ცნებების, დასკვნების მეშვეობით, არამედ ცოცხალი სახეების მეშვეობით. მაგრამ, როგორც ლენინმა თავის შრომაში «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი» გვიჩვენა, ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების უსასრულო სხვადასხვაობის შეცნობა ადამიანის მიერ ემორჩილება ყველა თავის ფორმაში შემეცნების ერთიან კანონებს. ასახვის ლენინურ თეორიიდან გამომდინარეობს მთელი რიგი ფუძემდებლური დასკვნები ესთეტიკისათვის: ხელოვნების როგორც ობიექტური სინამდვილის ასახვის ფორმის შესახებ; ხელოვნებაში ცხოვრების ასახვის პროცესის სირთულისა და წინააღმდეგობრივობის შესახებ; მხატვრული აღქმის აქტიურობის შესახებ; ხელოვნების როგორც სამყაროს გარდაქმნის საშუალების შესახებ; პრაქტიკის როგორც მხატვრული ასახვის ეშმარიტების კრიტერიუმის შესახებ; მხატვრული შემოქმედების პარტიულობის შესახებ. ლენინურმა მოძღვრებამ შემეცნების შესახებ გამოააშკარავა ხელოვნების თვითმიზნობის, ავტონომიურობის იდეალისტური თეორიების სრული უსუსურობა, დაასაბუთა რა მატერიალისტური ესთეტიკის კავშირი საზოგადოებრივი ცხოვრების, ისტორიული განვითარების, პოლიტიკური ბრძოლის საკითხებთან.

ასახვის თეორია შეიცავს შემოქმედების რეალისტური მეთოდის ფილოსოფიურ დასაბუთებას.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა განსაზღვრავს რეალიზმს როგორც ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოებაში წარმოსახვას. ნამდვილი რეალიზმი წარმოიშვება მაშინ, როცა მხატვარი ხელოვნების სპეციფიკური მეთოდებით აკლენს მოვლენების კანონზომიერებას, ობიექტურ განპირობებულობას, მიზეზობრივ კავშირს, არსს.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ფილოსოფიური რვეულები, სახპოლიტგამომცემლობა, 1947, გვ. 308.

ასახული მოვლენების დედაარსში ღრმა ჩაწვდომის მაგალითს შეიძლება წარმოადგენდნენ ნაწარმოებები დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოისა, რომელსაც ლენინმა მთელი რიგი სტატიები მიუძღვნა. ამ სტატიებში მხატვრული შემოქმედებისადმი მიდგომით დაკონკრეტებული იყო ასახვის თეორიიდან გამომდინარე უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური დებულებები.

თავის სტატიაში «ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე» ლენინი დასაწყისში წერს: «დიდი მხატვრის სახელის შედარება რევოლუციასთან, რომელიც მან აშკარად ვერ გაიგო, რომელსაც მან აშკარად აარიდა თავი, შეიძლება პირველი შეხედვით უცნაური და ხელოვნური მოგვეჩვენოს. ხომ არ დავარქმევთ სარკეს იმას, რაც, ცხადია, არ ასახავს მოვლენებს სწორად?» მაგრამ შემდეგ ლენინი მიუთითებს, რომ თვით რევოლუციაც, რომელმაც ასახვა ჰპოვა ტოლსტოის შემოქმედებასა და შეხედულებებში, წარმოადგენს შეტისმეტად რთულ მოვლენას და რომ «მის უშუალო მომხდენთა და მონაწილეთა მასაში ბლომად არიან ისეთი სოციალური ელემენტები, რომლებსაც აგრეთვე აშკარად არ ესმოდათ, რაც ხდებოდა, და რომლებიც აგრეთვე თავს არიდებდნენ მოვლენათა მსვლელობით მათ წინაშე დასმულ ნამდვილ ისტორიულ ამოცანებს» და შემდეგ ეკითხულობთ უმნიშვნელოვანეს დასკვნას: «...თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია, მას თავის ნაწარმოებებში უნდა ესახა რევოლუციის თუნდაც ზოგიერთი არსებითი მხარე» (ტ. 15, გვ. 236). სინამდვილის არსებითი მხარეების ასახვა, ამრიგად, წარმოადგენს ნამდვილი რეალისტური ხელოვნების ძირითად თვისებას, მთავარ მოთხოვნილებას, რომელსაც მას ვუყენებთ. ლენინმა ცხადყო, რომ წინააღმდეგობანი ტოლსტოის შეხედულებებსა და შემოქმედებაში შემთხვევითი როდია. ისინი ასახავენ XIX საუკუნის დასასრულის რუსეთის ცხოვრების პირობებს, გარდატეხის ეპოქის წინააღმდეგობებს, როცა პატრიარქალური სოფელი, რომელიც ის იყო განთავისუფლდა ბატონყმობისაგან, გასაძარცვავად მისცეს კაპიტალს, როცა გლეხური მეურნეობის ძველი ბურჯები იმსხვრეოდა. ლენინმა ცხადყო, რომ ტოლსტოის შემოქმედება და მოძღვრება მისი ძლიერი და სუსტი მხარეების მთელი ერთობლიობით დაკავშირებულია გლეხობის იდეოლოგიასთან. ლენინური ანალიზის შედეგად ტოლსტოი წარმოგვიდგა როგორც 1861 და 1905 წლების შუაპერიოდის რუსეთის გლეხობის იდეებისა და სულიერი განწყობილების გამომპატეული. ამ პერიოდში გლეხობა ბატონყმური ჩაგვრისა და რეფორმისშემდგომი გაჩანაგების შედეგად უფრო და უფრო იმსჭვალებოდა თვითმპყრობელობისადმი სიძულვილით და მისწრაფებით რევოლუციური გზით მოესპო თვითმპყრობელურ-მემამულური წყობილება. და ამასთან ერთად ამ პერიოდში მრავალჯერ იჩინა თავი გლეხური მოძრაობის სისუსტემ, გაუბედავობამ, არათანმიმდევრობამ. გლეხური იდეოლოგიის წინააღმდეგურმა ელემენტებმა თავისი გამოხატულება ჰპოვეს ტოლსტოის შემოქმედებაში, რომელიც რეფორმისშემდგომი რუსეთის მთელი წყობილების მგზნებარე მხილებასთან ერთად შეიცავდა მოწოდებას წინააღუდგომლობისაკენ. და ლენინი დაასკვნის: «ტოლსტოის შეხედულებათა წინააღმდეგურობა... ნამდვილი სარკეა იმ წინააღმდეგური პირობებისა, რომლებშიც ჩაყენებული იყო გლეხობის ისტორიული მოქმედება ჩვენს რევოლუციაში» (ტ. 15, გვ. 241).

ლენინური ბიდგომა მხატვრული შემოქმედების ანალიზისადმი მიმართული იყო როგორც ვულგარული სოციოლოგიის წინააღმდეგ, რომლისთვისაც მწერლის მოღვაწეობა მთლიანად განპირობებულია მისი კლასობრივი წარმოშობით, ისე ლიბერალური ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ, რომელიც საერთოდ უგულებელყოფდა იდეოლოგიის კლასობრივ ხასიათს. სტატიაში «ლ. ნ. ტოლსტოი და თანამედროვე

შუშათა მოძრაობა» ლენინი წერდა, რომ დიდმა მწერალმა, რომელიც წარმოშობითი და აღზრდით მემამულეთა უმაღლეს დიდკაცობას ეკუთვნოდა, კავშირი გაწყვიტა ამ წრის ყველა ჩვეულ შეხედულებასთან, გადავიდა მეორე კლასის — პატრიარქალური გლეხობის — პოზიციებზე და სწორედ ამიტომ შესძლო ასეთი სიმართლით, გულწრფელობითა და სიღრმით აესახა მისი განწყობილება.

ა. მ. გორკისთან ერთ-ერთ საუბარში ლენინმა, რომელიც აღტაცებული იყო ტოლსტოით, თქვა: «ამ გრაფამდე ლიტერატურაში ნამდვილი გლეხი არ ყოფილა!» [1].

სინამდვილის მოვლენების განმსაზღვრელ ნიშნებს რეალიზმი ტიპიზაციის გზით წარმოსახავს. როცა გამოჩენილი რეალისტი მწერლები ტიპიურ სახეებს ქმნიდნენ და სხვადასხვა კლასების წარმომადგენლებს გვიხატავდნენ, ამით ისინი ამა თუ იმ კლასის, როგორც სოციალური ძალის, ბუნებას ავლენდნენ.

ტიპიურის პრობლემის იდეოლოგიური სიმძაფრის გარკვევაში გვეხმარება ლენინის სტატია «გრაფ გეიდენის ხსოვნას» (1907). «რა არის დამახასიათებელი, რა არის ტიპიური გეიდენის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის?», — კითხულობს ლენინი და, უპასუხებს რა ამ კითხვას, გვიჩვენებს, თუ როგორ ეხერხებოდა კონტრრევოლუციონერ მემამულე გეიდენს თავისი კლასის ინტერესების მოქნილად და ოსტატურად დაცვა, მარჯვედ ფარავდა რა ბატონყმობის მოტრფიალეთა ანგარებით სავსე მისწრაფებებსა და მტაცებლურ მადას კეთილშობილური სიტყვებისა და გარეგნული ჯენტლმენობის ნიღაბით.

ლენინი უკავშირებს გეიდენს, როგორც კონტრრევოლუციონერი მემამულის ტიპს იმ მემამულეთა ტიპიურ სახეებს, რომლებიც დახატულია ნეკრასოვის, სალტიკოვ-შჩედრინისა და ტურგენევის ნაწარმოებებში. «ჯერ კიდევ ნეკრასოვი და სალტიკოვი, — წერს ლენინი, — ასწავლიდნენ რუს საზოგადოებას ბატონყმობის მოტრფიალე მემამულის განათლებულობის შელამაზებული და მოკაზმული გარეგნობის ქვეშ დაენახა მისი მტაცებლური ინტერესები, ასწავლიდნენ სიძულვილს ასეთი ტიპების ფარისევლობისა და უსულგულობისადმი, ხოლო თანამედროვე რუსი ინტელიგენტი,... რომელსაც თავი მოაქვს დემოკრატიული მემკვიდრეობის დამცველად, მონობას ასწავლის ხალხს და აღტაცებულია თავისი, როგორც უპარტიო დემოკრატის მიუდგომლობით» (ტ. 13, გვ. 54 — 55). ნეკრასოვსა და შჩედრინს ლენინი უპირისპირებდა «უპარტიო» მენშევიკურ-კადეტური გაზეთის «ტოვარიშჩის» «ობიექტურ» პუბლიცისტებს, რომლებიც ჩქმალავდნენ გეიდენის სწორედ ძირითად, არსებით, განმსაზღვრელ თვისებებს, მსჯელობდნენ მასზე არა «საზოგადოებრივ სარბიელზე მისი ნამდვილი მოღვაწეობის მიხედვით», არამედ «მისი სიტყვების, მისი გულზე ხელის ცემის და ნიანგის ცრემლთა ღვრის მიხედვით». ამხილებდა რა ასეთი მსჯელობების ნამდვილ პოლიტიკურ შინაარსს, ლენინი ცხადყოფდა, რომ ბურჟუაზიული ობიექტივიზმი — ყალბი ცდა ამაღლდეს კლასებსა და მიმართულებებზე — სინამდვილეში ნიშნავს ყურმოჭრილ მონობას მემამულეთა წინაშე, მლიქნელობას ბურჟუაზიის წინაშე.

ლენინის სტატია წარმოადგენს ტიპიურის გაგების შესანიშნავ ნიმუშს. სტატიაში «გრაფ გეიდენის ხსოვნას» ლენინი იგონებს იმ მემამულეთა ტიპიურ სახეებს, რომლებიც შექმნილია არა მარტო ნეკრასოვისა და შჩედრინის, არამედ აგრეთვე ტურგენევის მიერ. მაგალითად, ლენინი მიუთითებს «მონადირის წერილებში» დახატული პენოჩკინის სახეს, როგორც «გეიდენისებური «ჰუმანურობის» ან გეი-

[1] მ. გ ო რ კ ი, თხზ., კრებ., ტ. 17, სახლიტგამომცემლობა, 1952, გვ. 39.

ლენინის a'la ჰუმანურობის ნიმუშს». როცა ტურგენევმა დახატა განათლებულობით შენიღბული, ევროპული პეწით გაკრიალებული მემამულის მხეცური სისასტიკე, ამან განაპირობა სახის ისეთი სინამდვილე და სიმძაფრე, რომ შესაძლებელი გახდა ამ სახის გამოყენება მემამულეთა ტიპიური ნიშნების დასახასიათებლად მრავალი წლის შემდეგაც. იმის მიუხედავად, რომ ტურგენევს, როგორც ლენინი მიუთითებდა, არ ეკავშირებოდა ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის გლეხური დემოკრატიზმი, მემამულე-შებატონეთა ტიპიური თავისებურებების მხატვრულმა გახსნამ ტურგენევის ნაწარმოებებში დიდი პოლიტიკური როლი შეასრულა ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რეალისტურ ნაწარმოებთა უდიდეს შემეცნებითს მნიშვნელობას განაპირობებს, კერძოდ, ისიც, რომ განსაზღვრული სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებს, რომლებიც ტიპიურ გარემოებაში არიან ასახული, არ შეუძლიათ არ გამოამჟღავნონ თავიანთი ძირითადი თვისებები და მისწრაფებანი, რაგინდ ღრმად არ იყვნენ ისინი დამალული. მათი ქცევა, ამგვარად, ვლინდება არა როგორც რაიმე განსაკუთრებით ინდივიდუალური, არამედ როგორც არსებული საზოგადოებრივი პირობების კანონზომიერი შედეგი. სხვადასხვა სოციალური ტიპების ყოფაქცევის ობიექტური განპირობებულობის დასაბუთებას ჩვენ ვპოულობთ ლენინის ბევრ შრომაში. ლენინი ამტკიცებდა, რომ ადამიანთა რეალურ ზრახვებსა და გრძნობებზე ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ მხოლოდ ერთი ნიშნით — მათი მოქმედების მიხედვით. ეს მოქმედება კანონზომიერადაა განსაზღვრული იმ ტიპიური პირობებით, რომელშიც ესა თუ ის ადამიანი აღმოჩნდება საზოგადოებაში თავისი მდგომარეობის მეოხებით.

სოციალური ტიპების ყოფაქცევის ობიექტური განპირობებულობის ანალიზის მკაფიო ნიმუში მოცემულია ლენინის სტატიაში «სალაქიოში». აღნიშნავს რა, რომ ლაქიას, როგორც სოციალურ ტიპს, ახასიათებს თვალთმაქცობა, ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ «მთავარი აქ სწორედ სოციალური ტიპია და არა ცალკეულ პირთა თვისებები». ლაქია შეიძლება ფრიად პატიოსანი ადამიანი იყოს, თავისი ოჯახის სანიმუშო წევრი, საუცხოო მოქალაქე, მაგრამ მისი გარდუვალი ხვედრია ის, რომ ითვალთმაქცოს, რამდენადაც მისი პროფესიის ძირითადი ნიშანია იმ ბატონის ინტერესების შეერთება, რომლის მიმართ მან «იკისრა» სამსახური «რწმენითა და ალალმართლობით», იმ წრის ინტერესებთან, რომლიდანაც აპყავთ შინამოსამსახურენი» (ტ. 29, გვ. 644).

ადამიანთა ყოფაქცევის ობიექტური განპირობებულობის ჩვენებაში მდგომარეობს ანალიზური ძალა რეალისტური ხელოვნებისა, რომელიც ტიპიურ ხასიათებს ტიპიურ გარემოებაში წარმოსახავს. კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა მიერ შექმნილი ტიპები ააშკარავებდნენ მებატონეთა ექსპლოატატორულ არსს და გვიჩვენებდნენ ხალხიდან გამოსულ ადამიანთა სულიერ სილამაზეს.

ბატონყმობის მოტრფიალეების, ლიბერალების, მენშევიკების და პროლეტარიატის სხვა მტრების დახასიათებისას ლენინი ფართოდ იყენებდა და პუბლიცისტურად ამახვილებდა იუდუშკა გოლოვლიოვის, ხლესტაკოვის, მოლჩალინის, რეპეტილოვის, ნოზდრიოვის, მანილოვის, სობაკევიჩის, ბალალაიკინის, ბელიკოვის და კლასიკური ლიტერატურის მრავალი სხვა პერსონაჟის სახეებს; ახალ პირობებში ჩაყენებულნი, ისინი ახლებურად ამჟღავნებდნენ თავიანთი ხასიათების ტიპიურ ნიშნებს. როცა ამ სახეებს მიმართავს, ლენინი არ უკარგავს თავისებურებებს, მაგრამ ოსტატურად «ათანამედროვებს» მათ თანამედროვე პოლიტიკური ბრძოლის პირობებში ჩაყენებით და თითქოს აგრძელებს მათს ბიოგრაფიას საზო-

გადოებრივი განვითარების ახალ ეტაპზე. მაგალითად, მოლჩალინი, რომელიც გრიბოედოვის ნაწარმოებში «ვაი ჭკუისაგან» აქებს და ადიდებს «ზომიერებას» და «აკურატობას», ხოლო ახალ პირობებში ლიბერალად ან მენშევიკად გარდაქმნილა, არის უკვე არა ჩუმი, პასიური მაამებელ-მლიქვნელი, არამედ რეაქციის აქტიური დამხმარე, რომელიც რევოლუციურ მოძრაობაზე ავრცელებს «ზომიერებისა და აკურატობის» თავის დევიზს. წარსული დროის მწერლების მიერ შექმნილ სახეებს ლენინი იმიტომ იყენებს პოლიტიკურ ბრძოლაში, რომ ამ სახეებში განზოგადებულია სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისა და კლასების წარმომადგენელთა უაღრესად დამახასიათებელი თვისებები, რომლებიც ახლებურად მეღავნდებოდა შემდეგ სხვა ისტორიულ ვითარებაში.

ლენინი დიდად აფასებდა რეალიზმს და უარყოფდა ყოველგვარ უნიადაგო ფანტაზიორობას, მაგრამ ამასთან ერთად ის იცავდა ადამიანის უფლებას ოცნებაზე, თუ კი ის მოვლენების ბუნებრივ მსვლელობას არ ეწინააღმდეგება. შრომაში «რა ვაკეთოთ?» ლენინმა სასაცილოდ აიგდო ოპორტუნისტი ა. მარტინოვი, რომელიც საეჭვოდ ხდიდა მეცნიერული წინასწარმეტყველების შესაძლებლობას, მარქსისტის უფლებას ოცნებაზე. იმავე შრომაში ლენინს თანაგრძნობით მოჰყავს ციტატი პისარევის სტატიიდან «მოუმწიფებელი აზრის შეცდომები», რომელშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ოცნებას, რომელიც «განზე» კი არ წაიყვანს, არამედ დაეხმარება ადამიანს «წინ გაუსწროს», «გონებით წარმოიდგინოს მთლიან და დასრულებულ სურათში სწორედ ის ქმნილება, რომელიც ეს-ეს არის ისახება მის ხელში». «როდესაც რაიმე კეკშირი არსებობს ოცნებასა და ცხოვრებას შორის, — წერდა პისარევი, — მაშინ ყველაფერი თავის რიგზეა». ასეთი ოცნების გარეშე ლენინს შეუძლებლად მიაჩნდა რევოლუციური მოღვაწეობა. ერთ-ერთ თავის ოქტომბრისშემდგომ გამოსვლაში მან აღნიშნა, რომ ფანტაზია არის ყველაზე ძვირფასი თვისება და რომ იგი ესაჭიროება არა მარტო პოეტს, არამედ მეცნიერსაც. ცნობილია, რომ რეალისტურ ნაწარმოებებთან ერთად ლენინს უყვარდა აგრეთვე რევოლუციურ-რომანტიკული ნაწარმოებები, კერძოდ ვერჰარნის და ჰიუგოს ლექსები. ლენინმა თავის სტატიაში «ქარიშხლის წინ» (1906) მოიყვანა ციტატი გორკის ნაწარმოებიდან «გრიგალას სიმღერა». და ამასთან ერთად ფანტაზიის ყოველგვარ დაშორებას ცხოვრებისაგან ლენინი მკაცრად აკრიტიკებს.

ცხოვრების სიმართლით ასახვა ხელოვნებაში წარმოადგენს, ამრიგად, მხატვრული შემოქმედების ღირებულების ძირითად კრიტერიუმს. ხელოვნების არსის გაგებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ასახვის თეორიის მეორე მხარესაც.

ამტკიცებდა რა ადამიანის უნარს შეიცნოს ობიექტური სამყარო, ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა ადამიანის აქტიურ როლს შემეცნების პროცესში, მის დაინტერესებას იმით, რომ გამოიყენოს შემეცნების შედეგები სამყაროს გარდასაქმნელად. ადამიანის შემეცნების ამ ქმედითს ხასიათთანაა დაკავშირებული ლენინის მოძღვრება იდეოლოგიის პარტიულობის შესახებ, ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის ცნობილი ლენინური პრინციპი.

ეხებოდა რა განსხვავებას ობიექტივისტსა და მარქსისტს შორის, ლენინი წერდა: «როცა ობიექტივისტი ამა თუ იმ ფაქტთა წყების აუცილებლობას ამტკიცებს, მას ყოველთვის შეიძლება ფეხი დაუსხლტეს და აღნიშნული ფაქტების ანალოგეტის თვალსაზრისზე დადგეს; მატერიალისტი ააშკარავებს კლასობრივ წინააღმდეგობებს და ამით განსაზღვრავს თავის თვალსაზრისს» (ტ. I, გვ. 480 — 481). გა-

ნავითარა რა იდეოლოგიის პარტიულობის დებულება ლიტერატურისა და ხელოვნების მიმართ, ლენინმა შექმნა ახალი ეტაპი. ესთეტიკური აზროვნებისა და ლიტერატურის შესახებ მეცნიერების ისტორიაში. «...ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპი ვ. ი. ლენინის უმნიშვნელოვანესი წვლილია მეცნიერებაში ლიტერატურის შესახებ» [1].

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა გამოდის იქიდან, რომ ლიტერატურა არის ცხოვრების შემეცნებისა და რევოლუციური გარდაქმნის მძლავრი საშუალება. პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლაში ლიტერატურის როლისა და მნიშვნელობის ეს გაგება ლენინმა განავითარა და დაასაბუთა სტატიაში «პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა».

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში ბოლშევიკების პარტია, როგორც ყველაზე რევოლუციური კლასის ხელმძღვანელი, სულ უფრო მეტ გავლენას ახდენდა ლიტერატურული მოძრაობის მსვლელობაზე. გაფართოვდა მისი იდეოლოგიური ზეგავლენა პროგრესულ მწერლებზე, გაძლიერდა ბრძოლა იმ მხატვრულ მიმდინარეობებთან, რომლებიც პროლეტარიატისათვის მტრულ მიზნებს ისახავდნენ და რევოლუციური ფრაზებით ინიღბებოდნენ. საჭირო იყო ჩამოყალიბებულიყო პრინციპები პარტიის ლიტერატურული პოლიტიკისა ახალ ეტაპზე. სწორედ ეს ამოცანა შეასრულა ლენინმა სტატიაში «პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა», რომელიც 1905 წელს დაწერა.

რევოლუციის წლებში, როცა ხალხი აღსდგა თავისი განთავისუფლებისათვის საბრძოლველად, განსაკუთრებით საზიანო იყო ცხოვრებისაგან, პოლიტიკისაგან, ბრძოლისაგან მხატვრული შემოქმედების იზოლაციის ყოველგვარი ცდა, პროპაგანდა «უპარტიობისა», როგორც პრინციპისა, ურომლისოდაც ვითომდა შეუძლებელია ნამდვილი ხელოვნების განვითარება.

ყოველი ხელოვნება პარტიულია, ვინაიდან ყოველი ხელოვნება გამოხატავს ამა თუ იმ კლასებისა და პარტიების ინტერესებს. «უპარტიობის» ლოზუნგი არის ბურჟუაზიული ლოზუნგი, ვინაიდან იგი შირმაა რეაქციულ ხელოვნებაში გატარებული ბურჟუაზიული იდეების დასაფარავად და მიმართულია იმ მხატვრების წინააღმდეგ, რომლებიც ამკარად დგებიან პროლეტარიატის პოზიციებზე.

ამხილა რა «უპარტიობის», «შემოქმედების აბსოლუტური თავისუფლების» ბურჟუაზიულ-ანარქიული თეორია, ლენინმა ცხადყო, რომ ფულის ძალაზე დამყარებულ საზოგადოებაში არ შეიძლება იყოს რეალური და ნამდვილი თავისუფლება. «არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო, — წერდა ლენინი. — ბურჟუაზიული მწერლის, მხატვრის, მსახიობი ქალის თავისუფლება — ეს არის მხოლოდ შენიღბული (ანდა ფარისევლურად ნიღაბაფარებული) დამოკიდებულება ფულის ქისისაგან, მოსყიდვისაგან, ხასობისაგან» (ტ. 10, გვ. 40).

წინააღმდეგ კარიერიზმისა, ინდივიდუალიზმისა და ბურჟუაზიული ლიტერატურის ანარქიზმისა ლენინმა წამოაყენა პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლასთან აშკარად დაკავშირებული, სოციალისტური, ნამდვილად თავისუფალი ლიტერატურის შექმნის ამოცანა. ეს ლიტერატურა, ლენინის აზრით, გამსჭვალული უნდა იყოს სოციალიზმის იდეით. იგი სამსახურს უნდა უწევდეს «მილიონობით

---

[1] ა. ედანოვი, მოხსენება ჟურნალების «ზვეზდისა» და «ლენინგრადის» შესახებ, სახპოლიტგამომცემლობა, 1952, გვ. 20.

და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ» (ტ. 10, გვ. 40). მან უნდა შექმნას ურთიერთმოქმედება წარსულის გამოცდილებასა და პროლეტარიატის თანამედროვე ბრძოლას შორის, ე. ი. განაგრძოს ძველი მოწინავე კულტურის საუკეთესო ტრადიციები და შემოქმედებითად განასახიეროს ნოვატორული, რევოლუციური იდეები. სოციალისტურ იდეურობას, ხალხურობას, ცხოვრებასთან და მასების ბრძოლასთან კავშირს ლენინი ამკვიდრებდა როგორც ახალი, პროლეტარიატთან დაკავშირებული ლიტერატურის აუცილებელ თვისებებს.

პარტიულობის პრინციპში თავისი გაგრძელება და განვითარება პპოვეს საუკეთესო ტრადიციებმა რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრისა და ესთეტიკისა, რომელიც აღიარებდა ლიტერატურის უდიდეს აღმზრდელობითს და რევოლუციურ გარდამქმნელ როლს და განამტკიცებდა რუსეთის მოწინავე ხელოვნების კავშირს მასებთან, ხალხთან.

სტატიაში «პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა» ლენინმა ახალი ისტორიული ეპოქის შესაბამისად დააყენა მწერლის შეგნებულობისა და მხატვრული შემოქმედების იდეურობის საკითხი. ლენინმა პირველად ჩამოაყალიბა ლიტერატურის ახალი იდეალი — მწერლის მხატვრული ინდივიდუალობის ორგანული შეერთება იდეოლოგიურ მიმართულებასთან, რომელსაც ის შეგნებულად და თავისუფლად, შინაგანი მიდრეკილების ძალით ემხრობა.

ამტკიცებდა რა მოწინავე კლასთან, პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობასთან ხელოვნების კავშირის აუცილებლობას, ლენინი ამასთან ერთად მუდამ გვაფრთხილებდა — მექანიკურად არ გავაიგივეოთ მხატვრული შემოქმედება პარტიის იდეოლოგიური მუშაობის სხვა ფორმებთან. სტატიაში «პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა» ლენინმა აღნიშნა, რომ პროლეტარიატის ლიტერატურული საქმე არ შეიძლება შაბლონურად გავაიგივეოთ პროლეტარიატის პარტიული საქმის სხვა ნაწილებთან. «...უდავოა ამ საქმეში, — წერდა ლენინი, — უეჭველად საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს» (ტ. 10, გვ. 36 — 37).

პარტიულობის ლენინური პრინციპი სახელმძღვანელო პრინციპია ლიტერატურათმცოდნეობისა და ხელოვნებათმცოდნეობისათვის. ლენინმა გვიჩვენა მხატვრული შემოქმედების მოვლენების შეფასებისადმი პარტიული მიდგომის ნიმუშები. ლაპარაკობდა რა, მაგალითად, ლევ ტოლსტოიზე, ლენინმა ცხადყო, რომ მწერლის სწორი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ პროლეტარიატის თვალსაზრისით, იმ კლასის თვალსაზრისით, რომელმაც დაამტკიცა თავისი მოწოდება იყოს ხალხის ბელადი თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ ყოველივე ის, რაც კულტურის ისტორიაში ხელს უწყობდა ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლას, და ყოველივე ის, რაც ასახავდა ექსპლოატატორთა ინტერესებს და მიმართული იყო ძველი წესწყობილების დასაცავად.

ამხილებდა რა რეაქციულ პორს ამის შესახებ, რომ კაპიტალიზმის დროს შესაძლებელია არსებობდეს ერთიანი ეროვნული კულტურა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ასახავს მშრომელთა და მათ მჩაგვრელთა ინტერესებს, ლენინი ზუსტად განსაზღვრავდა ორ ეროვნულ კულტურას თვითეული კულტურის შიგნით — ხალხურ, დემოკრატიულ კულტურას და ექსპლოატატორული კლასების კულტურას.

«ორი ერია თვითეულ თანამედროვე ერში... — წერდა ლენინი შრომაში «კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე». — არის ორი ნაციონალური

კულტურა თვითეულ ნაციონალურ კულტურაში. არის ველიკორუსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვების და სტრუვეებისა, — მაგრამ არის აგრეთვე ველიკორუსული კულტურა, რომლის დამახასიათებელია ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის სახელები. ასეთივე ორი კულტურაა უკრაინელობაში ისე, როგორც გერმანიასა, საფრანგეთსა, ინგლისში, ებრაელებში და სხვ.» (ტ. 20, გვ. 21).

ამავე შრომაში, ამტკიცებს რა აზრს, რომ ხალხური კულტურა უპირისპირდება ექსპლოატატორული უმცირესობის კულტურას, ლენინი მიუთითებდა: «თვითეულ ნაციონალურ კულტურაში მოიპოვება, განუვითარებლად მაინც, დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ელემენტები, ვინაიდან თვითეულ ერში არის მშრომელი და ექსპლოატირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობები გარდუვალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას» (ტ. 20, გვ. 10). ლენინის ეს დებულებები მიმართულია ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან ყოველგვარი ნაციონალიზმი უდიდეს ზიანს აყენებს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის საქმეს. «...თვითეული ნაციონალური კულტურიდან, — ამბობდა ლენინი, — ჩვენ ვიღებთ მხოლოდ მის დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტებს, ვიღებთ მათ მხოლოდ და უთუოდ თვითეული ერის ბურჟუაზიული კულტურის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის საპირისპიროდ» (ტ. 20, გვ. 10).

ლენინური მოძღვრება ორი კულტურის შესახებ მიმართულია «ერთიანი ნაკადის» ანტიმარქსისტული თეორიის წინააღმდეგ, რომელიც უგულებელყოფს კლასობრივ ბრძოლას კულტურული განვითარების დარგში. ლენინის მოძღვრების თანახმად კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების ისტორია უნდა შეეისწავლოთ მოწინავე საზოგადოებრივ მოძრაობათა ისტორიასთან, განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიასთან კავშირში. მხატვრის შემოქმედების მნიშვნელობა და ნაწარმოებთა ღირსება უნდა განვსაზღვროთ იმის მიხედვით, თუ რამდენად ახლოს არიან ისინი ეპოქის მოწინავე იდეურ ძიებასთან, მოწინავე საზოგადოებრივ ძალთა განმათავისუფლებელ მისწრაფებებთან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის სამი ეტაპის ლენინური პერიოდიზაცია.

სტატიაში «გერცენის ხსოვნას» ლენინი მიუთითებდა, რომ რუსეთის რევოლუციაში მოქმედებდა სამი თაობა, სამი კლასი: «თავდაპირველად — თავადაზნაურები და მემამულეები, დეკაბრისტები და გერცენი. ვიწროა ამ რევოლუციონერთა წრე. საშინლად შორს არიან ისინი ხალხისაგან. მაგრამ მათ საქმეს ამაოდ არ ჩაუვლია. დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი. გერცენმა გააჩაღა რევოლუციური აგიტაცია» (ტ. 18, გვ. 18 — 19).

ლენინი აღნიშნავდა როგორც თავადაზნაურთა წრიდან გამოსულ რევოლუციონერთა უდიდეს ისტორიულ მნიშვნელობას, ისე მათს შეზღუდულობას.

ანალიზს უკეთებს რა განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდეგ ეტაპს, ლენინი ცხადყოფს მის კავშირს წინა ეტაპთან და მის თავისებურებას. გერცენის რევოლუციური აგიტაცია «განაგრძეს, გააფართოვეს, განამტკიცეს, გამოაწრთეს რევოლუციონერმა-რაზნოჩინცებმა, ჩერნიშევსკით დაწყებული და «ნაროდნაია ვოლიას» გმირებით დამთავრებული. «ამ ეტაპის ახალი თვისება, ლენინის სიტყვით, იმაში მდგომარეობს, რომ «უფრო გაფართოვდა მებრძოლთა წრე, უფრო დაუახლოვდნენ ისინი ხალხს». ამასთან ერთად, ჯეროვნად აფასებდა რა რევოლუციონერ-რაზნოჩინ-

ცელთა (ჩერნიშევსკის ჩათვლით) მოღვაწეობის მნიშვნელობას, ლენინი წერდა: «მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო თვით ქარიშხალი.

ქარიშხალი — ეს თვით მასების მოძრაობაა. პროლეტარიატი, ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, ჩაუდგა მათ სათავეში და პირველად დარაზმა აშკარა რევოლუციური ბრძოლისათვის მილიონობით გლეხი» (ტ. 18, გვ. 19).

სტატიაში «რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან» (1914) ლენინი კვლავ უბრუნდება რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდიზაციას და აღნიშნავს ცალკეული პერიოდების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს: «1) თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861 წლამდე; 2) რაზნოჩინცული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე; 3) პროლეტარული — 1895 წლიდან დღემდე» (ტ. 20, გვ. 292).

განმათავისუფლებელი მოძრაობის სამი ეტაპის ლენინური პერიოდიზაცია XIX საუკუნის რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედების მეცნიერული ანალიზის უმნიშვნელოვანესი მეთოდოლოგიური საფუძველია.

ლენინმა გვიჩვენა მოწინავე პროლეტარიატის მიერ წინა თაობებისაგან შეთვისებული რევოლუციური ტრადიციების მემკვიდრეობითობა, მშრომელი მასების წინაშე თავისი მოვალეობის მაღალი შეგნება, თავისი ხალხისადმი სამსახური.

პატრიოტიზმის არსის ერთადერთი სწორი გაგება დაკავშირებულია ლენინის მოძღვრებასთან ორი კულტურის შესახებ და მის კონცეფციასთან რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის შესახებ.

ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა მოწინავე მოღვაწის შემოქმედება გამსჭვალულია პატრიოტიზმით, საუკუნეთა და ათასწლეულთა მანძილზე განმტკიცებული ამ ერთ-ერთი ყველაზე ღრმა ადამიანური გრძნობით. წინააღმდეგ ბურჟუაზიული სოციოლოგიისა, რომელიც ანტიისტორიული, იდეალისტური თვალსაზრისით განიხილავს პატრიოტიზმს, როგორც ზეკლასობრივ მოვლენას, როგორც «ეროვნული სულის» მისტიკურ ნაყოფსაც კი, ლენინმა სტატიაში «ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ» (1914) და სხვა შრომებში ცხადყო, რომ პატრიოტიზმი მუდამ იყო დაკავშირებული სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, მემამულეთა და კაპიტალისტთა უღლისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლასთან.

«უცხოა თუ არა ჩვენთვის, ველიკორუსი შეგნებული პროლეტარებისათვის, ეროვნული სიამაყის გრძნობა? — კითხულობდა ლენინი და უპასუხებდა: — რა თქმა უნდა, არა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო, ჩვენ ყველაზე მეტად ვმუშაობთ იმისათვის, რომ მ ი ს ი მშრომელი მასები (ე. ი. მ ი ს ი მოსახლეობის 9/10) ავამაღლოთ დემოკრატებისა და სოციალისტების შეგნებულ ცხოვრებამდე» (ტ. 21, გვ. 111). ლენინი იგონებს რადიშჩევის, დეკაბრისტების, 70-იანი წლების რევოლუციონერ-რაზნოჩინცელთა მოღვაწეობას და მიუთითებს შემდეგ, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი იმაში მდგომარეობს, რომ იბრძოლო «მთელი რევოლუციური საშუალებებით ს ა კ უ თ ა რ ი სამშობლოს მონარქიის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, ე. ი. ჩვენი სამშობლოს უ ცუ დ ე ს ი მტრების წინააღმდეგ» (ტ. 21, გვ. 113).

ლენინის შრომებში მოცემულია უმნიშვნელოვანესი მითითებანი იმის შესახებ, რომ პატრიოტიზმის პრობლემის შესწავლისას საჭიროა ჭეშმარიტი პატრიოტიზმი გამოვყოთ ცრუპატრიოტიზმისაგან, რომელიც ფარისეულურ ფრაზებს ეფარება, გამოვყოთ ნამდვილი პატრიოტები დემოკრატიისა და სოციალიზმის შეგნებული მტრებისაგან — შოვინისტებისა და ნაციონალისტებისაგან.

ლენინი ამხილებდა ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს, ავითარებდა პროლეტარული

ინტერნაციონალიზმის იდეებს, ამასთანავე გვასწავლიდა, რომ «პროლეტარიატის რევოლუციისათვის საჭიროა მუშების ხანგრძლივი აღზრდა უსრულესი ეროვნული თანასწორობისა და ძმობის სულისკვეთებით» (ტ. 21, გვ. 115). ლენინის ამ ანდერძს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ განასახიერებს საბჭოთა კულტურა, საბჭოთა ხელოვნება, შთაგონებული იმ უმაღლესი ტიპის პატრიოტიზმით, რომელიც ემყარება სსრ კავშირის ყველა ხალხის უანგარო ერთგულებას თავისი სოციალისტური სამშობლოსადმი.

ამრიგად, ცხოვრების რეალისტური ასახვა, მაღალი იდეურობა, ხალხურობა და პარტიულობა, ყოველივე ძველისა და რეაქციულის მხილების, ახლისა და პროგრესულის დამკვიდრების ძალა, — აი ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავდნენ ლენინის დამოკიდებულებას მხატვრული შემოქმედებისადმი.

II

რუსული კულტურის განვითარების სხვადასხვა ეტაპებისა და მისი ცალკეული მოღვაწეების კონკრეტულ შეფასებაში ლენინმა მოგვცა მის მიერ შემუშავებული თეორიული პრინციპების პრაქტიკული გამოყენების ნიმუშები.

წარსულის კულტურაზე ყველა თავის მსჯელობაში ლენინი წინ აყენებდა უწინარეს ყოვლისა ამ კულტურის იმ მხარეებს, რომლებსაც აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდათ პროლეტარიატისათვის, ეხმარებოდნენ მასების აღზრდასა და კლასობრივ ბრძოლას. ლენინი გვასწავლიდა, რომ კულტურულ მემკვიდრეობაში ის, რაც მომავალს ეკუთვნის, უნდა გამოვყოთ იმისაგან, რაც წარსულს ჩაბარდა. ამასთან ლენინი მხურვალედ იცავდა რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრისა და ლიტერატურის დიად ტრადიციებს ყოველგვარი დამახინჯებისაგან პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილი ბანაკის მხრივ. ხელოვნების როლის ლენინურ შეფასებაში თავისი გაგრძელება და განვითარება ჰპოვეს იმ რევოლუციური დემოკრატების — ბელინსკის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის ესთეტიკის საუკეთესო ტრადიციებმა, რომლებიც ხელოვნებაში საზოგადოებრივი ბრძოლის იარაღს ხედავდნენ და ლიტერატურას «ცხოვრების სახელმძღვანელოდ» სთვლიდნენ. რუსული ხელოვნების განმათავისუფლებელი პათოსი, შეუბრალებელი რეალიზმი, ხალხთან სიახლოვე, რუსული ფილოსოფიური და ესთეტიკური აზრის მოწინავე იდეებთან სასიცოცხლო კავშირი — ყველა ეს თვისება გამოიხატა მოწინავე რუსი მხატვრების შესანიშნავი პლეადის ნაწარმოებებში.

იმ ეპოქაში, როცა ისტორიის ასპარეზზე პროლეტარიატი გამოვიდა, მოწინავე რუსული ლიტერატურის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა.

ჯერ კიდევ 1902 წელს შრომაში «რა ვაკეთოთ?» ლენინმა დააყენა საკითხი მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლაში მოწინავე რუსული ლიტერატურის როლის შესახებ. «...მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს, — წერდა ლენინი. — ხოლო რაოდენადმე მაინც კონკრეტულად რომ წარმოიდგინოს მკითხველმა, თუ რას ნიშნავს ეს, მოიგონოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისეთი წინამორბედნი, როგორიც იყვნენ გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი და 70-იანი წლების რევოლუციონერთა ბრწყინვალე პლეადა; დაუფიქრდეს იმ მსოფლიო მნიშვნელობას, რომელსაც ახლა იხვეჭს რუსული ლიტერატურა...» (ტ. 5, გვ. 461 — 462). რუსული ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობა განპირობებული იყო, მაშასადამე, რუსეთის როლით მსოფლიო რევოლუციურ მოძრაობაში. ჯერ კიდევ 1882 წელს «კომუნისტური პარტიის მანიფეს-

ტის» რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში მარქსი და ენგელსი წერდნენ, რომ «რუსეთი წარმოადგენს ევროპის რევოლუციური მოძრაობის მოწინავე რაზმს»[1]. ამით უნდა აიხსნას რუსული ლიტერატურის უაღრესად მჭიდრო, სხვა ქვეყნებთან შედარებით განსაკუთრებული კავშირი რუსული აზრის მოწინავე იდეურ-ფილოსოფიურ მიმართულებებთან და რევოლუციურ ბრძოლასთან, რომელიც რუსეთში ჩაღდებოდა. კომუნისტურმა პარტიამ მრავალ სხვა ამოცანათა შორის დააყენა რუსული ლიტერატურის პატრიოტული ტრადიციების პროპაგანდის, ხალხის რევოლუციური შეგნების განვითარებისათვის მისი გამოყენების ამოცანაც.

უაღრესად მნიშვნელოვანია ლენინის მიერ ა. ი. გერცენის როლის გამუქება სტატიაში «გერცენის ხსოვნას», რომელიც დაიწერა 1912 წელს დიდი მწერლისა და რევოლუციონერის დაბადებიდან ასი წლის შესრულებასთან დაკავშირებით. ლენინმა მოგვცა გერცენის შეხედულებებისა და მოღვაწეობის, რევოლუციურ მოძრაობაში მისი როლის ყოველმხრივი ანალიზი, ამასთანავე ამხილა განმათავისუფლებელი მოძრაობის და რუსული კულტურის ამ გამოჩენილი წარმომადგენლის სახის ფალსიფიკაცია ლიბერალების მიერ.

სტატიაში «გერცენის ხსოვნას» ლენინი წერდა: «მის ხსოვნას აღნიშნავს მთელი ლიბერალური რუსეთი, თანაც დაკვირვებულად უვლის გვერდს სოციალიზმის სერიოზულ საკითხებს, გულმოდგინედ ფარავს, რით განსხვავდებოდა რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ი გერცენი ლიბერალისაგან» (ტ. 18, გვ. 11). გერცენის მოღვაწეობას კი, როგორც ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, სწორედ იმიტომ ჰქონდა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა, რომ მან აღმართა რევოლუციის დროშა, რომ მისი სკეპტიციზმი იყო არა რევოლუციის უარყოფა, როგორც ეეხელები ცდილობდნენ წარმოედგინათ, არამედ «ზეკლასობრივი» ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ილუზიებიდან პროლეტარიატის უძველეელ კლასობრივ ბრძოლაზე გადასვლის ფორმა. ანალიზი გაუკეთა რა გერცენის მერყეობას, ლენინი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მასში დემოკრატი იმარჯვებდა ლიბერალზე. გერცენის სუსტი მხარეები ლენინმა ახსნა ეპოქის წინააღმდეგობრიობით, როცა ბურჟუაზიული დემოკრატიის რევოლუციურობა უკვე კვდებოდა, ხოლო სოციალისტური პროლეტარიატის რევოლუციურობა ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული.

ლენინი მიუთითებდა, რომ პროლეტარიატის პარტიამ გერცენი უნდა მოიხსენიოს არა ობივატელური ქება-დიდებისათვის, არამედ თავისი ამოცანების გასარკვევად, გერცენის ისტორიული ადგილის, რუსეთის რევოლუციის მომზადებაში მისი როლის გასარკვევად. ხოლო რაშია გერცენის მნიშვნელობა თანამედროვეობისათვის? ლენინის სტატიაში მოცემულია შემდეგი პასუხი ამ კითხვაზე:

«აღნიშნავს რა გერცენის ხსოვნას, პროლეტარიატი მისი მაგალითის მიხედვით სწავლობს რევოლუციური თეორიის დიად მნიშვნელობას; — სწავლობს იმის გაგებას, რომ რევოლუციისადმი უსაზღვრო ერთგულება და რევოლუციური ქადაგებით ხალხისადმი მიმართვა მაშინაც კი არ ჩაივლის ამაოდ, როცა მთელი ათეული წლები აშორებს თესვას მკისაგან; — სწავლობს რუსეთის და საერთაშორისო რევოლუციაში სხვადასხვა კლასთა როლის განსაზღვრას» (ტ. 18, გვ. 19).

ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ლენინის მიერ 60-იანი წლების «მემკვიდრეობის» საკითხის დაყენებას და პროლეტარიატისათვის მისი მნიშვნელობის გაშუქებას. საკითხი მესამოციანელთა «მემკვიდრეობის», მისი ისტორიული

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, სახელგამი, 1948, გვ. 13.

ბედისა და მისდამი მარქსისტების დამოკიდებულების შესახებ ლენინმა პირველად ვრცლად გააშუქა სტატიაში «რა მემკვიდრეობაზე ვამბობთ უარს?» (1897).

«მემკვიდრეობის» წარმომადგენლად ლენინი იხილავს სკალდინს. ეს იყო ავტორი პუბლიცისტური ნარკვევების სერიისა სათაურით «ყრუ ადგილასა და დედაქალაქში», რომლებიც 1867 — 1869 წლებში იბეჭდებოდა ჟურნალში «ოტეჩესტვენე ზაპისკი» და 1870 წელს ცალკე წიგნად გამოიცა. ლენინმა განმანათლებლობის ტიპიურ წარმომადგენლად აიღო სკალდინი და არა ჩერნიშევსკი, როგორც ცნობილია, იმიტომ, რომ თავისი სტატია მას განკუთვნილი ჰქონდა ლეგალური პრესისათვის, რომელშიც ჩერნიშევსკის სახელის ხსენება აკრძალული იყო. მაგრამ ასეთ ვითარებაში ლენინმა გვერდი აუარა ცენზურულ დაბრკოლებებს და მოგვცა 60-იანი წლების «განმანათლებლობის» იდეოლოგიის დამთავრებული დახასიათება.

როგორია ლენინის მიერ აღნიშნული მესამოციანელთა იდეოლოგიის ძირითადი თვისებები?.

«განმანათლებლის» პირველი დამახასიათებელი თვისებაა მხურვალე მტრობა «ბატონყმობისადმი და ყველა მისი გამოვლინებისადმი ეკონომიურ, სოციალურ და იურიდიულ დარგში». «მეორე დამახასიათებელი თვისება, რაც საერთოა ყველა რუსი განმანათლებლისთვის, — ეს არის მხურვალე დაცვა განათლებისა, თვითმმართველობისა, თავისუფლებისა, ცხოვრების ევროპული ფორმებისა და საერთოდ რუსეთის ყოველმხრივი ევროპეიზაციისა. ბოლოს, «განმანათლებლის» მესამე დამახასიათებელი თვისებაა ხალხის მასების, უმთავრესად გლეხთა (რომელნიც ჯერ სავსებით განთავისუფლებულნი არ იყვნენ ანდა ის-იყო თავისუფლდებოდნენ განმანათლებლების ეპოქაში) ინტერესების დაცვა, იმის გულწრფელი რწმენა, რომ ბატონყმობის გაუქმებას და მისი ნაშთების მოსპობას საყოველთაო კეთილდღეობა მოჰყვებოდა, და გულწრფელი სურვილი ამისთვის ხელშეწყობისა. ეს სამი თვისება, — დაასკვნის ლენინი, — შეადგენს სწორედ იმის არსს, რასაც ჩვენში «60-იანი წლების მემკვიდრეობას» უწოდებენ» (ტ. 2, გვ. 626 — 627).

ლენინის ამ დახასიათებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მესამოციანელთა ფართო მოძრაობასთან დაკავშირებული ხელოვნების საკითხების გაშუქებასთან. ლენინის მიერ აღნიშნული «განმანათლებელთა» თვისებები განსახიერებულია რეოლუციურ-დემოკრატიული ბანაკის მწერლების შემოქმედებაში, პერედვიჟნიკების ფერწერაში, «მძლავრი ჯგუფის» მუსიკაში.

ლენინმა ცხადყო, რომ 60-იანი წლების რევოლუციური დემოკრატების ნამდვილი «მემკვიდრეები» არიან მხოლოდ რუსი მარქსისტები, რომლებიც სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ. მაგრამ ამასთანავე ლენინი შენიშნავს, რომ «მემკვიდრეობის დაცვა სრულიადაც არ ნიშნავს მხოლოდ მემკვიდრეობით დაკმაყოფილებას» (ტ. 2, გვ. 657). იღებენ რა 60-იანი წლების მემკვიდრეობას, მარქსისტები ავსებენ მას კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა ანალიზით და «არა მარტო კრიტერიუმად იღებენ შრომის ინტერესებს, არამედ ამასთანავე მიუთითებენ კაპიტალისტური მეურნეობის სავსებით გარკვეულ ეკონომიურ ჯგუფებზე, სახელდობრ დამოუკიდებელ მწარმოებლებზე» (ტ. 2, გვ. 656).

რევოლუციურ დემოკრატებიდან ლენინი განსაკუთრებით დიდად აფასებდა ჩერნიშევსკის, რომლის დახასიათებას ის მრავალჯერ დაუბრუნდა. აღარებდა რა ერთმანეთს ჩერნიშევსკის და გერცენს, ლენინი აღნიშნავდა, რომ ჩერნიშევსკი იყო გაცილებით უფრო თანმიმდევარი და მებრძოლი დემოკრატი, რომ მის თხზულებებს კლასობრივი ბრძოლის იერი დაჰკრავს. ჩერნიშევსკის მოღვაწეობა გამ-

ლილი შეფასება ლენინმა მოგვცა სტატიაში «საგლეხო რეფორმა» და პროლეტარულ-გლეხური რევოლუციია» (1911). ლენინი წერდა, რომ ჩერნიშევსკი იყო სოციალისტ-უტოპისტი და ამასთან ერთად «იყო აგრეთვე რევოლუციური დემოკრატი, ის რევოლუციურ გავლენას ახდენდა თავისი ეპოქის ყველა პოლიტიკურ მოღვაწეზე, ატარებდა — მიუხედავად ცენზურის მრავალგვარი დაბრკოლებისა — გლეხთა რევოლუციის იდეას, ყველა ძველი ხელისუფლების დასამხობად მასების ბრძოლის იდეას» (ტ. 17, გვ. 129 — 130). ჩერნიშევსკის ერთ-ერთ დიდ დამსახურებად ლენინს მიაჩნდა მის მიერ ლიბერალების დაუნდობელი მხილება, 1861 წლის «საგლეხო რეფორმის» ბატონყმური ხასიათის გამოააშკარავება. ლენინი დიდად აფასებდა ჩერნიშევსკის აგრეთვე როგორც დიდ ფილოსოფოსს, რომელმაც შესძლო 50-იანი წლებიდან თვით სიკვდილამდე (1889) დარჩენილიყო მთლიანი ფილოსოფიური მატერიალიზმის დონეზე, თუმცა რუსეთში შექმნილი ისტორიული ვითარების გამო ვერ ამაღლდა მარქსისა და ენგელსის დიალექტიკურ მატერიალიზმამდე.

კლასიკური შემკვიდრეობის გამოყენებისადმი პოლიტიკურ-პროპაგანდისტული მიდგომის ნიმუშს წარმოადგენს ლენინის მიერ რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენლის სალტიკოვ-შჩედრინის შეფასება. გაზეთ «პრავდის» რედაქციისადმი 1912 წლის 8 სექტემბერს გაგზავნილ წერილში ლენინი წერდა: «საერთოდ კარგი იქნებოდა დროდადრო გაიხსენოთ, განმარტოთ «პრავდაში» შჩედრინი და «ძველი» ნაროდნიკული დემოკრატიის სხვა მწერლები და მოიყვანოთ მათგან ციტატები. «პრავდის» მკითხველთათვის — 25.000-სათვის — ეს სასარგებლო, საინტერესო იქნებოდა, და მუშათა დემოკრატიის ახლანდელი საკითხების სხვა მხრიდან, სხვა ხმით გაშუქებაც გამოვიდოდა» (ტ. 35, გვ. 42). ლენინს შჩედრინის უდიდეს დამსახურებად მიაჩნდა ექსპლოატატორული წყობილების, და არა მარტო ფეოდალურ-ბატონყმური, არამედ აგრეთვე ბურჟუაზიული წყობილების სატირული მხილება. დიდ აღმზრდელობითს მნიშვნელობას ანიჭებდა ლენინი ლიბერალების იდეოლოგიისა და ტაქტიკის მხილებას შჩედრინის მიერ. «შჩედრინი დაუზოგავად დასცინოდა ლიბერალებს და სამუდამოდ გააკრა ისინი სამარცხვინო ბოძზე ფორმულით: «სისაძაგლისადმი შეგუებით» (ტ. 18, გვ. 377). შჩედრინის სატირულ სახეებს ლენინი იმოწმებს თავის შრომებში უფრო ხშირად, ვიდრე სხვა კლასიკოსთა სახეებს.

თუ როგორ აფასებდა ლენინი რუსული ლიტერატურის უდიდესი გენიის ლ. ნ. ტოლსტოის შეხედულებებსა და შემოქმედებას, ამაზე ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი. ტოლსტოი იყო ლენინის ერთ-ერთი საყვარელი მწერალი. ტოლსტოის შემოქმედება და შეხედულებანი ლენინს მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე აინტერესებდა. ლენინმა გამოააშკარავა მრავალმილიონიანი გლეხობის მისწრაფებების კამმბატველი რევოლუციური არსი მძლავრი ტოლსტოური მხილებისა და პროტესტისა. მაგრამ ამავე დროს ლენინმა უყურადღებოდ არ დატოვა არც მისი იდეოლოგიის რეაქციული მხარეები. მარტო ლენინმა შესძლო ეჩვენებინა, რა სოციალურ-ისტორიულმა მიზეზებმა გამოიწვიეს ის, რომ ლევ ტოლსტოი — «მხურვალე პროტესტანტი, მგზნებარე მამხილებელი, დიდი კრიტიკოსი» (ტ. 16, გვ. 403) — ამავე დროს იყო ბოროტებისადმი ძალადობით წინააღუდგომლობის მქადაგებელი.

ჩვენი თანამედროვე ლიტერატურული კრიტიკისათვის შეტად სასარგებლოა ლენინის მგზნებარე, პრინციპული, მიზანსწრაფული ბრძოლა ტოლსტოის მნიშვნელობის სწორად გაგებისათვის, მისი მისწრაფება ასწავლოს მკითხველს გამოყოს ტოლსტოის «გონება», ძლიერი მხარეები მისი ცრურწმენებისაგან.

იმ წლებში, რომლებსაც ეკუთვნის ლენინის სტატიები ტოლსტოის შესახებ, სა-

ზოგადოებრივ-პოლიტიკური ბრძოლა ტოლსტოის გარშემო განსაკუთრებული სიმძაფრით გაჩაღდა. ქრონოლოგიურად ლენინის სტატიები ტოლსტოის შესახებ დაკავშირებულია რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ორ დიდმნიშვნელოვან თარიღთან: ტოლსტოის 80 წლისთავის იუბილესთან (1908) და მწერლის გარდაცვალებასთან (1910).

როგორც ლენინმა ცხადყო, ტოლსტოის მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულებაში მკაფიოდ გამოიხატა სხვადასხვა პოლიტიკურ მიმართულებათა არსი. ლენინური შეფასების თვალთახედვით ამ ბრძოლის ხაზები განსაკუთრებული სიცხადით ჩანან.

აფასებდა რა ლეგალურ პრესის გამოხმაურებას ტოლსტოის 80 წლისთავის იუბილეზე, ლენინი წერდა, რომ მთელი ეს პრესა კაზიონური და ლიბერალური ფარისევლობით იყო გაჟღენთილი.

ორი წლის შემდეგ, როცა ტოლსტოი გარდაიცვალა, ლეგალური პრესის სიყალბემ და ფარისევლობამ კიდევ უფრო მეტ მასშტაბს მიაღწია. კაზიონური გაზეთები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ დევნიდნენ ტოლსტოის, უცებ მწერლისადმი «სიყვარულით» აღივსნენ.

«შეხედეთ, როგორ შეფასებას აძლევენ ტოლსტოის მთავრობის გაზეთებში, — წერდა ლენინი. — ისინი ნიანგის ცრემლებს ღვრიან, ირწმუნებიან, რომ პატივს სცემენ «დიდ მწერალს» და იმავე დროს იცავენ უწმინდეს სინოდს, წმინდა მამებმა კი სწორედ ახლახან მიმართეს განსაკუთრებით საზიზღარ სისაძაგლეს, როცა მომაკვდავს ხუცები მიუგზავნეს, რათა ხალხი მოეტყუებინათ და ეთქვათ, რომ ტოლსტოიმ «მოინანია» (ტ. 16, გვ. 405).

არანაკლებ ფარისევლური, თუმცაღა უფრო გაწაფული იყო ლიბერალური პრესის ტაქტიკა.

«შეხედეთ, როგორ შეფასებას აძლევენ ტოლსტოის ლიბერალური გაზეთები, — წერდა ლენინი. — ისინი ფონს გადიან იმ ფუჭი კაზიონურ-ლიბერალური», გაცვეთილ-პროფესიული ფრაზებით «ცივილიზებული კაცობრიობის ხმის», «მსოფლიოს ერთსულოვანი გამოხმაურების» შესახებ, «სიმართლის, სიკეთის იდეებისა» და სხვათა შესახებ, რომლებისთვისაც ტოლსტოი ასე ამათრახებდა — და სამართლიანადაც ამათრახებდა — ბურჟუაზიულ მეცნიერებას. მათ ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ პირდაპირ და ნათლად გამოთქვან თავიანთი შეფასება ტოლსტოის შეხედულებებისა სახელმწიფოზე, ეკლესიაზე, მიწის კერძო საკუთრებაზე, კაპიტალიზმზე, — არა იმიტომ, რომ ცენზურა ხელს უშლის, პირიქით, ცენზურა მათ ეხმარება თავი დააღწიონ უხერხულ მდგომარეობას! — არამედ იმიტომ, რომ ტოლსტოის კრიტიკაში თვითეული დებულება ბურჟუაზიული ლიბერალიზმისათვის სილის გაწვნაა» (ტ. 16, გვ. 405).

ტოლსტოის გარდაცვალებასთან დაკავშირებით წარმოშობილი საზოგადოებრივი მოძრაობისადმი დამოკიდებულებაში ლიბერალებმა აშკარად გამოამჟღავნეს თავიანთი კონტრრევოლუციური რენეგატობა, რის დამადასტურებელიც, კერძოდ, იყო «აღშფოთება» იმ დღეებში მომხდარი გაფიცვებით, შეკრებებით და ქუჩის დემონსტრაციებით. ამ მხრივ ლიბერალებმა დაამტკიცეს სრული ერთიანობა ნოვოევრემელებთან, შავრაზმელ პუბლიცისტებთან.

ტოლსტოის გარდაცვალებით გამოწვეული პოლიტიკური დემონსტრაციები ლენინმა მიიჩნია როგორც რევოლუციური აღმავლობის სიმპტომი და იმის მაჩვენებელი, რომ დაიწყო საზოგადოების უფართოესი დემოკრატიული ფენების ახალი გამოღვიძება ბრძოლისათვის.

ამავე დროს მთელი რიგი ფაქტები მოწმობდნენ, რომ ტოლსტოის გენიის წინაშე საყოველთაო ქედმოხრის ატმოსფეროში შეიძლებოდა წარმატება მოეპოვებინათ (პროლეტარიატის ზოგიერთ ფენებშიც კი) ლიბერალებს, რომლებიც ბოროტად განზრახულ პროპაგანდას გაუწევდნენ ტოლსტოის მოძღვრების სუსტ მხარეებს, მის თეორიას ბოროტებისადმი წინააღუდგომლობის შესახებ, რომელიც სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენდა რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის. კლასობრივ-ეგოისტური მიზნებით წარმოებული ამ პროპაგანდის წარმატების შესაძლებლობა განსაკუთრებით რეალური ხდებოდა სტოლიპინის რეაქციისა და ინტელიგენციის იდეური დაქსაქსულობის ვითარებაში. მუშების დეპეშებთან და წერილებთან ერთად, რომლებშიც ისინი სწორად აფასებდნენ ტოლსტოის მნიშვნელობას, გამოჩნდა გამოხმაურებანი, რომლებიც მოწმობდნენ მუშათა წრეში ტოლსტოველობის იდეების, ესე იგი ტოლსტოის იდეოლოგიის უარყოფითი მხარეების ერთგვარ შეპრას.

ტოლსტოის შემოქმედებისა და მოძღვრების დამახინჯებულ განმარტებაში კაზიონურ და ლიბერალურ პუბლიცისტებს მხარი დაუჭირეს მთელმა რიგმა ყოფილმა სოციალ-დემოკრატებმა, რენეგატებმა, მენშევიკ-ლიკვიდატორებმა.

მუშათა შორის «ტოლსტოველობის» უცედესი მხარეების რეაქციული პროპაგანდის ყველა ეს ცდა გადამჭრელი წინააღმდეგობის გაწევას მოითხოვდა. საჭირო იყო ფართო მასებისათვის იმის ახსნა, რომ საშიშროებას წარმოადგენდნენ ტოლსტოის იდეოლოგიის ის მხარეები, რომლებისთვისაც ლიბერალებმა და მენშევიკებმა ტოლსტოი «დიად სინდისად» და «ცხოვრების მასწავლებლად» გამოაცხადეს. აი რატომ არის, რომ ლენინი იმ სტატიებში, რომლებიც მოჰყვა შრომებს «ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე» და «ლ. ნ. ტოლსტოი», განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტოლსტოის შეხედულებების გამიჯვნას რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგიისაგან და იმ პრაქტიკული ზიანის განმარტებას, რომელიც შეიძლება რევოლუციას მოუტანოს ტოლსტოის მოძღვრების იდეალიზაციის ყოველგვარმა ცდამ, მისი «წინააღუდგომლობის» გამართლების ყოველგვარმა ცდამ. ტოლსტოის შემოქმედებისა და მოძღვრების მარქსისტული ახსნა, ამრიგად, გადაიქცა აგრეთვე ამოცანად პოლიტიკურად მხილებულიყო ყველა, ვინც მის შემოქმედებას ამახინჯებდა. ლენინმა მასობრივი მუშა მკითხველისათვის დაწერა ორი სტატია: «ლ. ნ. ტოლსტოი და თანამედროვე მუშათა მოძრაობა» (დაბეჭდილია ნახევრადლეგალურ ბოლშევიკურ გაზეთში «ნაშ პუტ», რომელიც მოსკოვში გამოდიოდა) და «ტოლსტოი და პროლეტარული ბრძოლა» (დაიბეჭდა «რაბოჩაია გაზეტაში», ბოლშევიკების პოპულარულ ორგანოში, რომელიც პარიზში გამოდიოდა). ორივე სტატია აკონკრეტებდა და ავითარებდა ლენინის მიერ წინათ გამოთქმულ აზრებს. პირველ მათგანში ლენინი, აფასებდა რა თანამედროვე წესების ტოლსტოური კრიტიკის ძალასა და თავისებურებას, მიუთითებდა რომ იგი განსხვავდება «იმავე წესების კრიტიკისაგან თანამედროვე მუშათა მოძრაობის წარმომადგენლების მიერ» (ტ. 16, გვ. 413). მეორე სტატიაში ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მხოლოდ პროლეტარიატს, რომლის ისტორიულ როლს ტოლსტოი ვერ ხედავდა, შესწევს უნარი დაანგრიოს ძველი სამყარო, რომელიც ტოლსტოის სძულდა.

ამგვარად, განმარტავდა რა კონკრეტულ მაგალითებზე კულტურული მემკვიდრეობის ათვისებისადმი პარტიული მიდგომის პრინციპებს, ლენინი გვასწავლიდა აგვეღო მემკვიდრეობიდან ის, რაც მომავალს ეკუთვნის, გვემუშავნა ამ მემკვიდ-

რეობაზე არსებული წყობილების დამხობისათვის რევოლუციურ ბრძოლაში, და ამავე დროს ნათელი სხივით აშუქებდა იმ პროცესებს, რომლებიც მოწმობდნენ ძველი წყობილების ბატონობის პერიოდში ახალი, სოციალისტური კულტურის ელემენტების დაბადებას.

ტოლსტოის შემოქმედება ვითარდებოდა იმ ეპოქაში, რომლის მანძილზე განმათავისუფლებელი მოძრაობის მეორე, რევოლუციურ-დემოკრატიული ეტაპი შეცვალა მესამე, პროლეტარულმა ეტაპმა. ლენინი მრავალჯერ აღნიშნავდა ხაზგასმით იმ ფაქტის დიად ისტორიულ მნიშვნელობას, რომ ამ ეტაპზე პროლეტარიატმა წამოაყენა მწერალი, რომელმაც თავის შემოქმედებაში სოციალიზმისათვის ბრძოლით აღბეჭდილი ეპოქა ასახა. ეს იყო ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი.

დიდი პროლეტარული მწერლის შემოქმედება მნიშვნელოვანწილად ლენინის იდეური ზეგავლენით ვითარდებოდა.

გორკის ნაწარმოებთა ჩვენთვის ცნობილ პირველსავე ლენინურ შეფასებაში აღინიშნა გორკის როგორც პროლეტარული მწერლის ახალი თვისება — მისი უშუალო, პირდაპირი კავშირი მუშების რევოლუციურ მოძრაობასთან, მასებთან. სოციალიზმისათვის ბრძოლასთან.

როგორც გორკის მოგონებებიდანაა ცნობილი, პარტიის V ყრილობაზე ლენინმა გაუზიარა გორკის თავისი აზრი მოთხრობა «დედის» შესახებ. «მე ვუთხარი, — წერს თავის მოგონებებში გორკი, — რომ ვჩქარობდი წიგნის დაწერას, მაგრამ — ვერ მოვასწარი ამეხსნა, რატომ ვჩქარობდი, — ლენინმა მოწონების ნიშნად თავი დამიქნია და თვითონ ახსნა: ძალიან კარგია, რომ გიჩქარიათ, საჭირო წიგნია, ბევრი მუშა რევოლუციურ მოძრაობაში შეუგნებლად, სტიქიურად მონაწილეობდა. ახლა კი ისინი წაიკითხავენ «დედას» და ის დიდ სარგებლობას მოუტანს მათ.

«ძალიან დროული წიგნია». ეს იყო მისი ერთადერთი, მაგრამ ჩემთვის მეტისმეტად ძვირფასი კომპლიმენტი» [1].

ლენინი წერდა გორკის შესახებ, რომ ის «უდავოდ არის პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელი, რომელმაც მისთვის ბევრი რამ გააკეთა და კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეუძლია» (ტ. 16, გვ. 254), ხაზგასმით აღნიშნავდა გორკის შემოქმედების უღრმეს ხალხურობას, მიუთითებდა, რომ მან «თავისი დიადი მხატვრული ნაწარმოებებით... მტკიცედ დაუკავშირა თავისი თავი რუსეთისა და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობას» (ტ. 16, გვ. 123).

იცავდა რა ახალ, პროლეტარულ კულტურას, რომლის გამოჩენილი წარმომადგენელი იყო მ. გორკი, ლენინი ამავე დროს ამხილებდა იმ თეორეტიკოსებს, რომლებიც «პროლეტარული კულტურის» სახით აპარებდნენ ბურჟუაზიულ იდეებს, მახისტურ ფილოსოფიას. პროლეტარული კულტურის თეორიული საფუძვლების გასაგებად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა კრიტიკას, რომლითაც ლენინმა გაილაშქრა ბოგდანოვისა და სხვა რევიზიონისტების მიერ 1909 წელს გამოშვებული კრებულის — «მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევების» წინააღმდეგ.

«მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევების» ავტორების ესთეტიკურ შეხედულებებში აშკარად გამოსკვეოდა ტენდენცია დაესახათ «პროლეტარული კულტურის» (საქმით კი — პროლეტარიატის ინტერესებისადმი მთლიანად მტრული კულტურის) განვითარების პლატფორმა. «პროლეტარული კულტურის» მთავარი თეორეტიკოსი იყო მარქსიზმის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური კრიტიკოსი ა. ა. ბოგდანოვი, რო-

---

[1] მ. გ ო რ კ ი, თხზ., კრებ., ტ. 17, სახლიტგამომცემლობა, 1952, გვ. 7.

მელმაც შექმნა რეაქციული სუბიექტურ-იდეალისტური ფილოსოფიის განსაკუთრებული ნაირსახეობა-ემპირიომონიზმი. ლიტერატურის საკითხებში ბოგდანოვი ეკლექტიკურად აერთებდა სუბიექტურ იდეალიზმს ვულგარულ სოციოლოგიზმთან.

«პროლეტარული კულტურის» თავისი თეორიით ბოგდანოვი ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე გამოვიდა. ჯგუფმა «ვპერიოდმა», რომელსაც ბოგდანოვი მეთაურობდა, თავის პლატფორმაში (1909) წამოაყენა მოთხოვნა «შეიქმნას» და «გავრცელდეს მასებში» ახალი, «პროლეტარული კულტურა», «წარიმართოს ხელოვნება პროლეტარული მისწრაფებების მიმართულებით». ანალიზი გაუკეთა რა ბოგდანოვის «თეორიების» შინაარსს «პუბლიცისტის შენიშვნებში» (1910), ლენინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ «ნამდვილად სწორედ მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლას ფარავს ყველა ფრაზა «პროლეტარული კულტურის» შესახებ» (ტ. 16, გვ. 253). ბოგდანოვი და მისი თანამოაზრენი, როგორც ლენინმა მიუთითა, მახიზმის გამტარებლები იყვნენ აგრეთვე ხელოვნების შეფასებაში.

ებრძოდა რა მახიზმს, ლენინი მკაცრად ილაშქრებდა აგრეთვე ამ ფილოსოფიასთან დაკავშირებული ლიტერატურული და რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის — «ღვთისმშენებლობის» წინააღმდეგ, რომელიც რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენციაში წარმოიშვა. «ღვთისმშენებლები» ცდილობდნენ შეექმნათ ახალი, «სოციალისტური» რელიგიის ნაირსახეობა. ეს იყო სხვა არაფერი, თუ არა მარქსიზმის რევიზიის ერთ-ერთი ფორმა.

როგორც ცნობილია, გორკის «აღსარებაში» და აგრეთვე ზოგიერთ სხვა მის სტატიასა და წერილში თავი იჩინა «ღვთისმშენებლობის» გავლენამ. ლენინი მთელი პირდაპირობით და თანმიმდევრობით აკრიტიკებდა გორკის მისი შეცდომებისა და მარქსიზმისაგან გადახვევის გამო. მაგრამ გორკის ფილოსოფიური დაბნეულობის პერიოდშიც მას, როგორც ნამდვილი პროლეტარული ხელოვნების უდიდეს წარმომადგენელს, ლენინი მკვეთრად უპირისპირებდა იმ ვითომდა პროლეტარული ხელოვნების წარმომადგენლებს, რომლის განვითარებას ბოგდანოვი და ვპერიოდოველთა პლატფორმის მომხრეები «სპეციალურ ჯგუფობრივ ამოცანად» აყენებდნენ. ამრიგად ლენინი არა მარტო არ აიგივებდა ერთის მხრივ გორკის პოზიციებს და მეორე მხრივ ბოგდანოვ-ლუნაჩარსკის ჯგუფის პოზიციებს, არამედ კვლავ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ გორკი, მისი მცდარი გატაცების მიუხედავად, რჩება «პროლეტარული ხელოვნების უდიდეს წარმომადგენლად», ესე იგი იმ ხელოვნებისა, რომელიც ძირეულად მტრულ ურთიერთობაშია ამ ჯგუფის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ მიზანდასახულობასთან. ამიტომ იყო, რომ ლენინმა ასე მხურვალედ დაიცვა 1909 წელს გორკი (სტატიაში «ბურჟუაზიული პრესის ზღაპარი გორკის გარიცხვის შესახებ»), როცა ბურჟუაზიულ პრესაში დაიწყო პროვოკაციული ხმაური დიდი პროლეტარული მწერლის სახელის გარშემო.

ლენინის ბრძოლა ნამდვილი პროლეტარული კულტურის განვითარებისათვის განუყრელადაა დაკავშირებული ბურჟუაზიული კულტურის რეაქციული არსის მხილებასთან. იმპერიალიზმის პერიოდში ამ კულტურის დეგრადაცია, მისი ანტიხალხური ხასიათი ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა.

ლენინის მთელ რიგ სტატიებში გაშუქებულია კულტურის სხვადასხვა დარგებში ბურჟუაზიული დეკადანსის დამკვიდრების მრავალრიცხოვანი ფაქტები, ლიტერატურაში იმპერიალისტური ტენდენციების შეპრისა და ლიტერატურული ზნეო-

ბის დაცემის ფაქტები. იმპერიალისტური ფსევდოკულტურის მხილებისათვის, ლიბერალური ბურჟუაზიის გამყიდველობისა და გადაგვარების საჩვენებლად ლენინმა ოსტატურად გამოიყენა ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ბურჟუაზიული ლიტერატურული მოძრაობის სხვადასხვა ფაქტები. მაგალითად, როცა გამოჩნდა ნოვოვრემიელის ნ. სნესარევის წიგნი «ნოვოე ვრემიას» მირაჟი», რომელიც შეიცავს რუსეთის ბურჟუაზიული საგაზეთო სამყაროს საინტერესო აღწერას, ეს ლენინმა გამოიყენა თემად სტატიისათვის «კაპიტალიზმი და ბეჭდვითი სიტყვა», რომელშიც ლენინი წერდა: «ქურდები, როსკიპი მამაკაცები, გამყიდველი მწერლები, გამყიდველი გაზეთები. ესაა ჩვენი «დიდი პრესა». ესაა «მაღალი» საზოგადოების რჩეული ნაწილი». (ტ. 20, გვ. 191). ხოლო «ნოვოე ვრემიას» გამომცემლისა და რედაქტორის ა. ს. სუვორინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ლენინმა დაწერა სტატია «კარიერა», რომელშიც გამოხატა რუსი ლიბერალებისათვის ტიპიური პირისბრუნება «ნაციონალიზმისაკენ, შოვინიზმისაკენ, დემოკრატიის ლანძღვისაკენ, რეაქციის წინაშე მლიქვნელობისაკენ» (ტ. 18, გვ. 325).

რეაქციული იდეოლოგიის წინააღმდეგ ლენინის ბრძოლის ბრწყინვალე დოკუმენტს, რომელშიც მან დაიცვა რუსული დემოკრატიის იდეური საფუძვლები, მოწინავე რუსული ფილოსოფია, პუბლიცისტიკა და ლიტერატურა, წარმოადგენს სტატია «ვეხის» შესახებ».

კრებული «ვეხი», რომელიც 1909 წელს გამოვიდა, წარმოადგენდა ლენინის განსაზღვრით ლიბერალური რენეგატობის ენციკლოპედიას. კრებულის ავტორებმა — ცნობილმა კადეტმა პუბლიცისტებმა ბერდიაევმა, ბულგაკოვმა, გერშენზონმა, კისტიაკოვსკიმ, სტრუვემ, ფრანკმა, იზგოევმა — «ინტელიგენტურ» სულიერ განწყობილებასთან ბრძოლის საბაბით («ვეხის» ჰქონდა ქვესათაური «სტატიების კრებული რუსეთის ინტელიგენციის შესახებ») «კავშირი გაწყვეტეს დემოკრატიის ყველაზე ძირითად იდეებთან, ყველაზე ელემენტარულ დემოკრატიულ ტენდენციებთან» (ტ. 16, გვ. 148 — 149). ისინი უარყოფდნენ რუსეთის 1905 — 1907 წლების რევოლუციას, ცდილობდნენ ცილი დაეწამებინათ რევოლუციური მოძრაობისათვის, აშკარად გამოხატავდნენ სიმპათიას თვითმპყრობელობისადმი და მტრობას ხალხის მასებისადმი. რეაქციული პოლიტიკური იდეები «ვეხში» გადანასკვული იყო ბრძოლასთან მატერიალიზმის წინააღმდეგ ფილოსოფიაში და რეალიზმის წინააღმდეგ ხელოვნებაში, «წმინდა» კულტურის, «წმინდა» მეცნიერების და «წმინდა», ე. ი. «მოქალაქეობრიობისაგან» თავისუფალი მხატვრული შემოქმედების დაცვასთან. განსაკუთრებული გაშმაგებით თავს ესხმოდა «ვეხი» ბელინსკის, დობროლიუბოვს, ჩერნიშევსკის, პისარევს, პლეხანოვს, ლენინს. ამცირებდნენ რა მოწინავე რუსული კულტურის საუკეთესო ტრადიციებს, ვეხელები მლიქვნელობდნენ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიული ფსევდოკულტურის წინაშე.

როგორც ლენინმა «ვეხის» პროგრამის თავის ანალიზში გვიჩვენა, დემოკრატიული და მატერიალისტური იდეები იწვევდნენ კრებულის ავტორთა გაშმაგებას სწორედ იმიტომ, რომ ეს იდეები იყო მასების ფართო დემოკრატიული მოძრაობის დროშა და გამოხატულება. «სავსებით ბუნებრივია, რომ რაკი მოსპო ჩერნიშევსკი, როგორც ფილოსოფოსი, «ვეხი» სპობს ბელინსკის, როგორც პუბლიცისტს», — წერდა ლენინი (ტ. 16, გვ. 147) და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რუსეთის პუბლიცისტიკის ისტორია განუყრელადაა დაკავშირებული რეფორმისშემდგომ· ეპოქაში მოსახლეობის უაღრესად ფართო მასების პროტესტთან და ბრძოლასთან რუსეთის ცხოვრების მთელ წყობილებაში ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ.

ლენინმა ცხადყო, რომ თავისი მოწოდებით «მორჩილებისაკენ» ვეხელები განაგრძობენ რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლის იმ საქმეს, რასაც გასულ საუკუნეში ბნელეთის პირწავარდნილი მოციქულები კატკოვი და პობედონოსცევი ეწეოდნენ. ამ მითითებას პრინციპული მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს «ვეხის» იდეური სათავეების გასაგებად, იგი ნათლად ასურათებს ლენინის აზრს რუსულ ლიტერატურაში სხვადასხვა კლასობრივი ბანაკების ბრძოლის ასახვის შესახებ.

დემოკრატიული რუსული კულტურის წარმომადგენელთა მოღვაწეობაში «ვეხი» ხედავდა მხოლოდ სუბიექტური სულიერი განწყობილებებისა და გრძნობების გამოხატულებას. კერძოდ, «ვეხის» დახასიათებაში გოგოლისადმი ბელინსკის წერილისა, როგორც «ინტელიგენტური სულიერი განწყობილების გამოხატულებისა» გამომეღავნდა კულტურის შეფასებისადმი ვეხელების რეაქციული სუბიექტურ-იდეალისტური მიდგომა. ამხილებდა რა ამ მიდგომას და უპირისპირებდა რა მას კულტურის შესწავლის დიალექტიკურ-მატერიალისტურ მეთოდს, ლენინი წერდა: «ან იქნებ, ჩვენი ჭკვიანი და განათლებული ავტორების აზრით, ბელინსკის სულიერი განწყობილება წერილში გოგოლისადმი დამოკიდებული არ იყო ყმა გლეხთა სულიერ განწყობილებაზე? ჩვენი პუბლიცისტიკის ისტორია დამოკიდებული არ იყო ბატონყმური ჩაგვრის ნაშთებით ხალხის მასების აღშფოთებაზე?» (ტ 16, გვ. 148). შემდგომი მითითებით იმის შესახებ, რომ «ვეხის» მიერ რუსული დემოკრატიის შეფასება, როგორც «ინტელიგენტური სულიერი განწყობილების გამოხატულებისა» ემთხვევა «მოსკოვსკიე ვედომოსტის» და «ნოვოე ვრემიას» პროგრამას, ლენინმა ცხადყო, რომ ვეხელების მიერ «მთლიანი», «ეროვნული» კულტურის დაცვა სხვა არაფერია, თუ არა რეაქციული ნაციონალიზმი. «მთლიანი კულტურა», რომელსაც «ვეხი» იცავდა, — ეს არის კულტურა, რომელსაც დემოკრატიული ელემენტები არა აქვს.

იმპერიალისტური ბურჟუაზიის კულტურისა და ლიტერატურის გასაგებად განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია ლენინის ის შრომები, რომლებიც იმპერიალისტური ომის არსის მხილებისადმია მიძღვნილი.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, 1913 წელს, ლენინმა «პრავდაში» დაბეჭდა სტატია სათაურით «ვისთვისაა ხელსაყრელი?». ეს სტატია განმარტავს პრინციპს, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ამა თუ იმ პოლიტიკური ლოზუნგებისა და იდეების შეფასებისას. «არის ასეთი ლათინური თქმა «cui prodest» (კუი პროდესტ), — «ვისთვისაა ხელსაყრელი?». როდესაც ერთბაშად არა ჩანს, რომელი პოლიტიკური თუ სოციალური ჯგუფები, ძალები, ფიგურები იცავენ განსაზღვრულ წინადადებებს, ზომებს და სხვ., ყოველთვის უნდა დაისვას კითხვა: „ვისთვისაა ხელსაყრელი?» (ტ. 19, გვ. 39).

ჯინაობა ადამიანისა, რომელიც იცავს ამა თუ იმ პოლიტიკას, მიუთითებს ლენინი, იმდენად არ არის საყურადღებო, რადგან კაპიტალიზმს შეუძლია «დაიქირაოს» ან იყიდოს «რამდენიც უნდა ადვოკატი, მწერალი, თვით დეპუტატები, პროფესორები, ხუცები და სხვა». დაბოლოს ვინმეს შეუძლია ბურჟუაზიული შეხედულებები დაიცვას მოუაზრებლობის გამოც. ამიტომ ყოველთვის როდია დიდად საყურადღებო, თუ ვ ი ნ ატარებს განსაზღვრულ შეხედულებებს, არამედ საყურადღებო ის არის, ვ ი ს თ ვ ი ს ა ა ა ი ს ი ნ ი ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი.

ამ სტატიას ლენინი წერდა იმ ვითარებაში, როცა იმპერიალისტური ომი მზადდებოდა და გამალებული შეიარაღება წარმოებდა, რასაც ბურჟუაზია ფარავდა გოდებით მშვიდობის, პატრიოტიზმის, კულტურის, პროგრესის შესახებ. მოგვიწო-

დებდა რა არ დაგვეჯერებინა ფრაზებისათვის, ლენინმა დააყენა კითხვა: ვისთვისაა ეს ხელსაყრელი? — და უპასუხა: არმსტრონგისათვის ინგლისში, კრუპისათვის გერმანიაში, კრეზოსათვის საფრანგეთში, კოკერილისათვის ბელგიაში და სხვა კაპიტალისტებისათვის.

«აი ვისთვისაა ხელსაყრელი შოვინიზმის გაღვივება, ლაყბობა პატრიოტიზმზე (საზარბაზნე პატრიოტიზმზე), კულტურის დაცვაზე (კულტურის გამანადგურებელი იარაღებით) და სხვ.!" (ტ. 19, გვ. 40).

1915 წელს, ახასიათებდა რა სამხედრო პროპაგანდას, ლენინი წერდა, რომ რუსეთის მთავრობამ, რომელიც არ ჩამორჩა თავის დასავლეთ ევროპელ თანამოძმეებს, «შეძლო განეხორციელებინა «თავისი» ხალხის მოტყუება უზარმაზარი მასშტაბით. სიცრუისა და მზაკვრობის ვეებერთელა, საშინელი აპარატი აამუშავეს რუსეთშიც, რათა მოეწამლათ მასები შოვინიზმით, რათა შეექმნათ წარმოდგენა, თითქოს მეფის მთავრობა ეწეოდეს «სამართლიან» ომს» (ტ. 21, გვ. 385). ეს დახასიათება საკუთარი შეიძლება მივუყენოთ ბურჟუაზიულ ხელოვნებასაც, რომელიც 1914 წელს მობილიზებულ იქნა იმპერიალისტური ომის იდეოლოგიური სამსახურისათვის და რომელსაც უმნიშვნელო ადგილი არ ეკავა «სიცრუისა და მზაკვრობის საშინელ აპარატში».

ასეთსავე პროპაგანდას ეწეოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების რეაქციული ხელოვნება. სტატიაში «თავისი მთავრობის დამარცხებაზე იმპერიალისტურ ომში» ლენინი «არქირეაქციონერს» უწოდებს ფრანგ მწერალს, კათოლიციზმის პროპაგანდისტს და უკიდურეს შოვინისტს მორის ბარესს, რომელმაც წიგნში «La guerre et l'âme française" საერთო ენა გამონახა ვეხელებთან მატერიალიზმისადმი თავისი აღვირახსნილი მტრობით და მარქსისტებისადმი ცილისწამებით.

ამხილებდა რა იდეოლოგიური რეაქციის ერთიან საერთაშორისო ფრონტს, ლენინი ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ იმპერიალისტური ომის მსვლელობაში გაიზარდა მშრომელი ხალხის პოლიტიკური შეგნებულობა. ეს პროცესი ნათლად ასახა პროგრესულმა ლიტერატურამ. უფრო გვიან ლენინი წერდა ანრი ბარბიუსის რომანებზე «ცეცხლში» და «სიცხადე»: «სრულიად უმეცარის, იდეებითა და ცრურწმენით მთლად დაბეჩავებული ობივატელისა და მასაში მომუშავე ადამიანის გადაქცევა რევოლუციონერად სწორედ ომის ზეგავლენით ნაჩვენებია არაჩვეულებრივი სიძლიერით, ნიჭიერად და მართლად» (ტ. 29, გვ. 604). ომის გამარვეოლუციურებელმა გავლენამ თავი იჩინა რუსეთისა და საზღვარგარეთის კულტურის ბევრი წარმომადგენლის მოღვაწეობაში.

იმპერიალისტური ომის პერიოდის თავის შრომებში ლენინმა უდავოდ დაამტკიცა, რომ ამ დანაშაულებრივმა ომმა კაცობრიობას დაუყენა დილემა: «...ან მთელი კულტურის მსხვერპლად გაღება, ანდა რევოლუციური გზით კაპიტალისტური უღლის გადაგდება კისრიდან, ბურჟუაზიის ბატონობის მოსპობა და სოციალისტური საზოგადოების და მტკიცე ზაჟის მოპოვება" (ტ. 26. გვ. 452). რუსეთის პროლეტარიატი წავიდა ერთადერთი სწორი გზით — სოციალისტური რევოლუციის გზით. რუსეთის მუშებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პირველებმა მსოფლიოში დაამხეს ბურჟუაზიის ბატონობა და საბჭოების ხელისუფლება დაამყარეს.

რუსეთის პროლეტარიატის ამ მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებით დაიწყო ახალი ერა აგრეთვე რუსეთისა და მსოფლიო კულტურის განვითარებაში.

III

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, ასრულებდა რა საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელის უდიდეს მუშაობას, ლენინი უურადღებით ადევნებდა თვალს კულტურის განვითარებას, ზრუნავდა იმისათვის, რომ უფართოესი მასები დაუფლებოდნენ მის საგანძურს, გულისხმიერად ხელს უწყობდა საბჭოთა ხელოვნების ზრდას. ლენინის მითითებები და დირექტივები წარმართავდნენ ახალი, ნამდვილად საყოველთაო-სახალხო სოციალისტური კულტურის განვითარებას.

პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებიდან სამი თვის შემდეგ, 1918 წლის იანვარში, ლენინმა საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობის ტრიბუნიდან განაცხადა: «წინათ ადამიანის მთელი გონება, მთელი მისი გენია ქმნიდა მხოლოდ იმისათვის, რომ ტექნიკისა და კულტურის მთელი სიკეთე ერთისთვის მიეცა, სხვებისთვის კი მოესპო უსაპიროესი რამ — განათლება და განვითარება. ახლა კი ტექნიკის ყველა საკვირველება, კულტურის ყველა მონაპოვარი გახდება საერთო — სახალხო კუთვნილება, და ამიერიდან არასოდეს ადამიანის გონება და გენია არ გადაიქცევა ძალმომრეობის საშუალებად, ექსპლოატაციის საშუალებად» (ტ. 26. გვ. 563).

ამ სიტყვებით საჯაროდ გამოცხადდა კულტურული რევოლუციის პროგრამა. ამოქმედდა ახალი სამყაროს კულტურის აშენების პრინციპები, რომლებიც პირველად მარქსმა და ენგელსმა «კომუნისტური პარტიის მანიფესტში» გამოაცხადეს. პრინციპები, რომლებიც ბოლშევიკურმა პარტიამ პროლეტარული რევოლუციის მომზადებისა და გამარჯვების წლებში შეიმუშავეს. ოქტომბრის გადატრიალებამ შესაძლებელი გახადა შექმნილიყო უმაღლესი ტიპის კულტურა — სოციალისტური კულტურა, რომელიც გამსჭვალულია კომუნისტური იდეურობით, საბჭოთა პატრიოტიზმით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმით, და გამოხატავს მრავალმილიონიანი მასების ინტერესებს. არასოდეს ჯერ კაცობრიობის ისტორიაში არ მომხდარა კულტურის აღმავლობა ასეთი მასშტაბით და ასეთი ტემპებით. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში იქმნებოდა შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული კულტურა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე ლენინი უდიდეს უურადღებას უთმობდა იმ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სულიერი ცხოვრების ყველა დარგის: განათლების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოყენებას სოციალისტური მშენებლობის ინტერესებისათვის, ხალხის აღზრდის ინტერესებისათვის. ლენინის ოქტომბრის შემდგომი პერიოდის შრომებში, გამოსვლებსა და დირექტივებში ასახული კულტურის საკითხების წრე ეეშმარიტად კოლოსალურია.

ყოველივე, რაც ასე თუ ისე ხელს უწყობდა მშრომელთა კულტურულ ზრდას, იპყრობდა ლენინის ფხიზელ უურადღებას: იგი იჩენდა ზრუნვას ბიბლიოთეკების გაფართოებისა და კლასიკოსთა გამოცემისათვის, ახალგაზრდა საბჭოთა კინემატოგრაფიის ზრდისა და რადიომაუწყებლობის ორგანიზაციისათვის, ხელოვნების საშუალებებით ეგრეთწოდებული «მონუმენტური პროპაგანდისათვის», მასობრივი გამოცემების ბეჭდვის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ეხებოდა მუშათა და გლეხთა ინტერესებს. პარტიის მოწოდებებს, დიდი ლენინის ზრუნვას ხალხმა უპასუხა ინიციატივის მძაფრი ზრდით,

იმ მძლავრი ძალების გაფურჩქვნით, რომლებიც წინათ კაპიტალიზმის მიერ ჩახშული იყვნენ და ახლა კი, დამოუკიდებელი შემოქმედებისათვის განთავისუფლებულნი, სასწაულებს ახდენდნენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

კულტურული რევოლუციის ლენინური პროგრამის პრაქტიკულ განხორციელებას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. კომუნიზმის მტრები ამტკიცებდნენ, რომ პროლეტარიატს არ შეუძლია მართოს სახელმწიფო, რომ ძალაუფლების ხელში აღებამდე ხალხმა «ცივილიზაციის» მაღალ დონეს უნდა მიაღწიოს.

«ჩვენს მოწინააღმდეგეებს არა ერთხელ უთქვამთ ჩვენთვის, — წერდა ლენინი, — არასაკმაოდ კულტურულ ქვეყანაში სოციალიზმის დანერგვის უგუნური საქმე წამოიწყეთო. მაგრამ ისინი შეცდნენ იმაში, რომ ჩვენ დავიწყეთ არა იქიდან, როგორც თეორიის (ყოველგვარი პედანტის თეორიის) მიხედვით უნდა დაწყებულიყო, და რომ ჩვენში პოლიტიკური და სოციალური გადატრიალება წინამორბედი გახდა იმ კულტურული გადატრიალებისა, იმ კულტურული რევოლუციისა, რომლის წინაშეც ჩვენ ახლა, მაინც, ვდგავართ.

ჩვენთვის საკმაოა ახლა ეს კულტურული რევოლუცია იმისათვის, რომ სავსებით სოციალისტურ ქვეყნად გადავიქცეთ» (ტ. 33, გვ. 560 — 561). ექსპლოატატორული წყობილების პირობებში შეუძლებელია მშრომელი მასების კულტურული დონის ნამდვილი აღმავლობა: ამ აღმავლობის წინაპირობები რუსეთის პროლეტარიატმა რევოლუციური გზით მოიპოვა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი ქვეყანა გახდა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო, რომლის ეკონომიურმა საფუძველმა უზრუნველყო სახელმწიფოებრივი და კულტურული მშენებლობის ურთულესი პრობლემების გადაჭრა.

ლენინის მითითებანი კულტურის საკითხებზე ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებული კულტურული მშენებლობის თეორიული საფუძველი გახდა.

ოქტომბრისშემდგომი წლების გამოსვლებში ლენინმა თანმიმდევრულად განავითარა ახალი კულტურის ხალხურობის პრინციპი. მას არაერთხელ უთქვამს, რომ დადგა ხალხის მასების დამოუკიდებელი ისტორიული შემოქმედების დრო, როცა მშრომელებს შეუძლიათ და უნდა გაშალონ თავიანთი უნარი, გამოამჟღავნონ ტალანტები, რომლებიც ხალხში უამრავია და რომლებსაც კაპიტალიზმი ახშობდა და თრგუნავდა. ლენინი ამბობდა, რომ „უნდა აღმოვფხვრათ ძველი, უ ა ზ რ ო, ვეულური, საზიზღარი და საძაგელი ცრურწმენა, თითქოს სახელმწიფოს მართვა, სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაციული მშენებლობის გაძღოლა შეუძლიათ მხოლოდ ეგრეთწოდებულ «უმაღლეს კლასებს», მხოლოდ მდიდრებს ან მდიდარი კლასების სკოლაგავლილებს» (ტ. 26, გვ. 475).

სტატიას «ჩვენი დროის მთავარი ამოცანა» (1918 წლის მარტი) ლენინმა ეპიგრაფად წაუმძღვარა ნეკრასოვის სტრიქონები:

Ты и убогая, ты и обильная,
Ты и могучая, ты и бессильная
— Матушка-Русь!*

იყო დრო, ამბობდა ლენინი ამ სტატიაში, როცა ისტორიას ჰქმნიდნენ ერთი მუჭა თავადაზნაურნი და ბურჟუაზიული ინტელიგენტების მცირე ჯგუფები, მუშა-

* ღატაკიცა ხარ, ბარაქიანიც, ძლიერიცა ხარ და უძლურიცა — დედავ რუსეთო!

თა და გლეხთა მასები კი თვლემდნენ და ძილში იყვნენ. ამიტომ ძლიერი და უხვი რუსეთი იმავე დროს იყო უძლურიც და ღატაკიც. მაგრამ ისტორიას ახლა დამოუკიდებლად ქმნიან მილიონობითი და ათეულ მილიონობით ადამიანები და ეს არის იმის მთავარი საწინდარი, რომ რუსეთის რესპუბლიკა გახდება ძლიერი და უხვი.

ისტორიული მოღვაწეობის ფართო ასპარეზზე ხალხის მასების გამოსვლამ პროლეტარული რევოლუციის მტრების გააფთრებული გაბოროტება გამოიწვია. მასების რევოლუციურმა ინიციატივამ წარმოშვა ის მრავალრიცხოვანი «საჩივრები» ხალხზე, რითაც აღსავსე იყო ბურჟუაზიულ ლიტერატორთა ნაწერები. არკვევდა რა ასეთი «საჩივრების» ლოგიკას, ლენინი წერდა: «ჩვენ ყოველთვის ორგანიზატორები და უფროსები ვიყავით, ჩვენ ვმბრძანებლობდით — ასე ამბობენ და ფიქრობენ გუშინდელი მონათმფლობელნი და ინტელიგენციის წრიდან გამოსული მათი ნოქრები — ჩვენ გვსურს ასეთებად დავრჩეთ, ჩვენ არ გაუგონებთ «უბრალო ხალხს», მუშებსა და გლეხებს» (ტ. 26, გვ. 473 — 474).

ხალხურობის მოთხოვნას ლენინი ხელოვნებასაც უყენებდა. «ხელოვნება ხალხს ეკუთვნის, — ამბობდა ის კლარა ცეტკინთან საუბარში. — იგი თავისი უღრმესი ფესვებით მშრომელთა ფართო მასების თვით შუაგულს უნდა ეღწევდეს, იგი გასაგები და საყვარელი უნდა იყოს ამ მასებისათვის. იგი უნდა აერთიანებდეს ამ მასების გრძნობას, აზრსა და ნებისყოფას, აღაფრთოვანებდეს მათ».

ამ შესანიშნავ სიტყვებში მოცემულია ხელოვნების ხალხურობის ძირითადი ნიშნები: მისი კავშირი მასების ბრძოლასთან, მისწრაფებებთან და ფიქრებთან, მისი დემოკრატიზმი და მასებისათვის მისაწვდომობა, მისი მაღალი იდეურობა, აღმზრდელობითი და მამობილიზებელი მნიშვნელობა.

გამარჯვებული ხალხის ინტერესების გამომხატველი ახალი კულტურა შეიძლებოდა წარმატებით გვეშენებინა მხოლოდ რევოლუციურ ნოვატორობასთან წარსულის საუკეთესო ტრადიციების შეხამების საფუძველზე. ამ წინაპირობებს ემყარება ლენინის ყველა მითითება კულტურის საკითხებზე.

პირველივე თავისი ღონისძიებებით კულტურის დარგში საბჭოთა ხელისუფლებამ აღნიშნა წარსულის მხატვრული მემკვიდრეობის უდიდესი მნიშვნელობა პროლეტარიატისათვის. ლენინის მიერ ხელმოწერილ პირველ დეკრეტთა შორის იყო დეკრეტები «ხალხის კულტურულ საგანძურთა» დაცვის შესახებ, მუზეუმების სახელმწიფო საკუთრებად გადასვლის შესახებ. 1918 წლის აგვისტოში გამოქვეყნდა სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება სოციალიზმისა და რევოლუციის დიდი მოღვაწეების, აგრეთვე კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეების, მათ შორის პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ტოლსტოის, რადიშჩევის, ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, სალტიკოვ-შჩედრინის, ნეკრასოვისა და სხვათა ძეგლების აგების შესახებ. პრაქტიკულად ხორციელდებოდა ის იდეები, რომლებსაც ლენინი ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე დიდი ხნით ადრე ავითარებდა და რომლებიც საფუძვლად დაედო პარტიის პოლიტიკას კულტურისა და ხელოვნების დარგში ოქტომბრის შემდეგ. საგულისხმოა ამ თვალსაზრისით კერძო მაგალითი, რომელიც ეხება ლევ ტოლსტოის მემკვიდრეობას. 1910 წელს ლენინი წერდა ლევ ტოლსტოის შესახებ: «იმისათვის, რომ მისი დიადი ნაწარმოებები ნამდვილად გახდეს ყ ვ ე ლ ა ს კუთვნილება, საჭიროა ბრძოლა და ბრძოლა ისეთი საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, რომელმაც მილიონებსა და ათობით მილიონებს წილად არგუნა სიბნელე, დაბეჩავება, კატორღული შრომა და სიღატაკე, საჭიროა სოციალისტური გადატ-

რიალება» (ტ. 16, გვ. 401 — 402). და აი 1918 წელს ლენინმა გასცა განკარგულება დაესვათ განსახკომის კოლეგიაზე საკითხი ტოლსტოის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემის შესახებ და ამ გამოცემის მაღალი მეცნიერული დონის უზრუნველყოფის შესახებ.

მთელი რიგი სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი, რომლებიც ლენინის ინიციატივით ხორციელდებოდა, ხელს უწყობდა კლასიკოსთა პროპაგანდას და მრავალმილიონიანი მასების მიერ ლიტერატურის საგანძურთა დაუფლებას

ასრულებდა რა ლენინის უშუალო მითითებებს, განათლების სახალხო კომისარიატის ლიტგამომცემლობამ 1918 წლის მაისიდან 1919 წლის მაისამდე დაბეჭდა რუსული კლასიკური ლიტერატურის 115 სახელწოდება 6 მილიონი ტომის საერთო ტირაჟით. მათ შორის იყო ბელინსკის, გოგოლის, გონჩაროვის, ჟუკოვსკის, კოლცოვის, ნიკიტინის, პომიალოვსკის, სალტიკოვ-შჩედრინის, უსპენსკის, ჩერნიშევსკისა და სხვათა ნაწარმოებები. ამ გამოცემათა გარეკანზე დაბეჭდილი იყო (ზოგიერთი შემოკლებით) ცნობილი სტრიქონები ნეკრასოვის პოემიდან «ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად»:

...Придет ли времячко,
Когда мужик не Блюхера
И не милорда глупого, —
Белинского и Гоголя
С базара понесет*.

მარტო 1919 წელს, სამოქალაქო ომისა და ქაოსის მწვავე კრიზისის ხანაში, პუშკინის ნაწარმოებები დაიბეჭდა 750 ათასი ეგზემპლარის ტირაჟით. მაგრამ ყველა ეს ღონისძიება ლენინს მიაჩნდა მხოლოდ დასაწყისად და მუდამ მოითხოვდა ყოველი ღონისძიებით მათს გაფართოებას. «მასაში უნდა შეეტანოთ მთელი ძველი რევოლუციური ლიტერატურა, რაც კი გაგვაჩნია ჩვენ და არის ევროპაში», — ეუბნებოდა ლენინი გორკის. ხოლო 1921 წელს ლენინმა წამოაყენა გაზეთის მეშვეობით კლასიკური ლიტერატურის მასობრივი გავრცელების პროექტი.

ლენინი წერდა: «რატომ არ უნდა ვისწავლოთ ჩვენ... მივაღწიოთ ამას, რომ ერთ წელიწადში — ჩვენი ახალგაზდელი სიღატაკის პირობებშიც კი — მივცეთ ხალხს, 50.000 ბიბლიოთეკიდან და სამკითხველოდან თვითეულზე ორ-ორი ცალი, — ყველა საჭირო სახელმძღვანელო და მსოფლიო ლიტერატურის, თანამედროვე მეცნიერების, თანამედროვე ტექნიკის ყველა საჭირო კლასიკოსი? ვისწავლით» (ტ. 32, გვ. 153 — 154).

კლასიკური მემკვიდრეობის პროპაგანდა, ლენინის თვალსაზრისით წარმოადგენდა მასების ფართო იდეური განათლების ერთ-ერთ მხარეს, ვინაიდან «მარქსისტისათვის უდიდესი და უცუდესი შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ხალხის (განსაკუთრებით გლეხთა და ხელოსანთა) მრავალმილიონიან მასებს, რომელთაც მთელმა თანამედროვე საზოგადოებამ ბედად არგუნა სიბნელე, უმეცრება და ცრურწმენა, შეუძლიათ ამ სიბნელიდან თავის დაღწევა მხოლოდ წმინდა მარქსისტული განათლების პირდაპირი ხაზით» (ტ. 33, გვ. 266). კლასიკური მემკვიდრეობის პროპაგანდასთან დაკავშირებული იყო აუცილებლობა კრიტიკულად აგვეთვისებინა ეს

* ...მოვა კი დრო, როდესაც ხალხი არა ბლიუხერისა და არა სულელი მილორდის, არამედ ბელინსკისა და გოგოლის წიგნებს წაიღებს ბაზრიდან.

მემკვიდრეობა, გამოგვეყო ის, რაც ყველაზე ძვირფასია და ინარჩუნებს ცოცხალ, წარუვალ მნიშვნელობას.

მოწინავე კლასიკური ხელოვნებისადმი ლენინის დამოკიდებულებაში გამომჟღავნდა მთელი მისი მოღვაწეობისათვის დამახასიათებელი დიადი ისტორიული ტრადიციების ძალისა და მნიშვნელობის უღრმესი გაგება.

თავის გამოსვლებში ლენინი კვლავ და კვლავ აღნიშნავდა კომუნისტური იდეოლოგიის მემკვიდრეობითობას რუსეთის XIX საუკუნის მოწინავე რევოლუციურ-დემოკრატიული კულტურის ტრადიციების მიმართ. კადეტებთან, მენშევიკებთან, ესერებთან, პროლეტარული რევოლუციის და ხალხის მასების სხვა მტრებთან გაჟფთრებულ ბრძოლაში ლენინი ხედავდა იმ კლასობრივი ბრძოლის გაგრძელებას, რომელიც თავისი ფესვებით ჩვენი სამშობლოს წარსულში იკრებოდა.

ბურჟუაზიული ინტელიგენტების ოქტომბრისშემდგომ აზროვნებასა და მოქმედებას ლენინი განიხილავდა იმ ბრძოლასთან დაკავშირებით, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნეში რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ორ ძირითად ხაზს შორის წარმოებდა. «ს ა კ უ თ ა რ ი ტ ყ ა ვ ი ს თვალსაზრისით მათი საქციელი გა-Saგებია: მებატონე-მემამულეთა დამქაშებს და მუქთახორებს, ხუცებს, კანცელარიის მწერლებს, გოგოლის მიერ შექმნილი ტიპის მოხელეებს, ბელინსკის მოძულე «ინტელიგენტებსაც» «ეძნელებოდათ» ბატონყმობას შელოდნენ» (ტ. 26, გვ. 474). სხვა აღგილას ლენინი ამბობდა მენშევიკების შესახებ: «შეიდემანის ანუ, რაც თითქმის ერთი და იგივეა, მარტოვის ჯერის თანამედროვე «სოციალ-დემოკრატებს», საბჭოები ისევე არ ეჭაშნიკებათ, მათ ისევე მიუწევთ გული კეთილსაზოვანი ბურჟუაზიული პარლამენტისა ან დამფუძნებელი კრებისაკენ, როგორადაც ტურგენევს 60 წლის წინათ გული მიუწევდა ზომიერ, მონარქიული და აზნაურული კონსტიტუციისაკენ, როგორადაც მას არ ეჭაშნიკებოდა დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის გლეხური დემოკრატიზმი» (ტ. 27, გვ. 326).

წიგნში «მემარცხენეობის» საყმაწვილო სენი კომუნიზმში» (1920) ლენინმა ჩერნიშევსკის უწოდა მარქსამდელი პერიოდის დიდი რუსი სოციალისტი, ხოლო სტატიაში «მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ» (1922), სადაც დახასიათებულია პროლეტარიატის მსოფლმხედველობა, ლენინმა აღნიშნა ჩერნიშევსკის დიადი მატერიალისტური ტრადიცია. ჩერნიშევსკის გმირობა, როგორც ნამდვილი რევოლუციური გმირობის დიადი მაგალითი, ლენინმა აღნიშნა სკოლისგარეშე განათლების სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში (1919). ამასთან ლენინმა აღნიშნა, რომ საჭიროა ამა თუ იმ რევოლუციონერის შეფასების დროს გავითვალისწინოთ მისი მოღვაწეობის კავშირი წინა და შემდგომ რევოლუციონერებთან.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებიდანვე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დაისახა ბრძოლა მისი იდეოლოგიური პოზიციების სიწმინდისათვის, მასებთან და მათს ბრძოლასთან ხელოვანთა უმჯიდროესი კავშირისათვის.

ახალგაზრდა საბჭოთა ხელოვნება, რომელსაც პარტია წარმართავდა, აქტიურად იკრებოდა ცხოვრებაში. ხელოვნებას ამ წლებში უაღრესად მჯიდრო კავშირი ჰქონდა პარტიულ აგიტაციასთან. იგი მოგვიწოდებდა გვებრძოლა ვრანგელისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, დავხმარებოდით დაკრილ წითელარმიელებს, გაგვეჩაღებინა სამეურნეო მშენებლობა, სამარცხვინო ბოძზე აკრავდა მენშევიკებს, ტროცკისტებს, ესერებს და მუშათა კლასის სხვა მტრებს. მაგრამ ხელოვნების

ᲛნᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ, ცხადია, არ განისაზღვრებოდა პოლიტიკური აგიტაციის ამოცანებით.

საბჭოთა კულტურის ზრდისა და განმტკიცების ამოცანები დაბეჯითებით მოითხოვდნენ ძველი მხატვრული ინტელიგენციის გარდაქმნას, ახალი, საბჭოთა მხატვრების დაწინაურებასა და აღზრდას.

ხელოვნების მოღვაწეთა შორის ოქტომბრის შემდეგ თანდათან გამოვლინდნენ როგორც გამარჯვებული ხალხის ნამდვილი მეგობრები, ისე მერყევნი და, ბოლოს, პროლეტარული რევოლუციის შეურიგებელი მტრებიც.

1919 წლის 31 ივლისს გორკისადმი მიწერილ წერილში ლენინმა აღნიშნა სხვადასხვა ჯგუფები ᲐᲛ წლების რუსულ ინტელიგენციაში. ლენინი წერდა, რომ არსებობენ «არისტოკრატიის ნაშთები», «რომელთაც საუცხოოდ ეხერხებათ დაამახინჯონ ყოველივე და ყველაფერი, საუცხოოდ ებღაუჭებიან ყოველ წვრილმანს, რათა გადმოანთხიონ თავიანთი ცოფიანი გაბოროტება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ», მაგრამ ამავე დროს ლენინმა აღნიშნა, რომ «ᲧᲝᲕᲔᲚ ᲗᲕᲔᲡ საბჭოთა რესპუბლიკაში ᲛᲐᲢᲣᲚᲝᲑᲡ % ბურჟუაზიული ინტელიგენტებისა, რომლებიც... ᲒᲣᲚᲬᲠᲤᲔᲚᲐᲓ ეხმარებიან მუშებსა და გლეხებს» (ტ. 35, გვ. 437 — 438). ლიტერატურული მოძრაობის მრავალრიცხოვანმა ფაქტებმა დაადასტურეს ლენინის სიტყვები, რომელიც 1918 წელს წერდა, რომ «განათლებული ადამიანები უკვე ახლა გამოირჩევიან, გადადიან ხალხის მხარეზე, მშრომელთა მხარეზე» (ტ. 26, გვ. 474). საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების პროცესში მოწინავე ინტელიგენცია სულ უფრო იმსჯელებოდა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის ისტორიული სიმართლის შეგნებით. რევოლუციის პათოსი აღაფრთოვანებდა ყველა ᲠᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢ ხელოვანს. იმ მწერალთა შორის, რომლებმაც რევოლუციას დაუჭირეს მხარი, იყვნენ მაიაკოვსკი, ბრიუსოვი, ბლოკი, ვერესაევი და სხვები — ყველა ისინი, ვინც გრძნობდა შემოქმედებითი განახლების შესაძლებლობას, იმ ღრმა კრიზისიდან გამოსვლის შესაძლებლობას, რომელშიც სახალხო ნიადაგს მოწყვეტილი ბურჟუაზიული ხელოვნება ოქტომბრამდელ წლებში აღმოჩნდა.

მაგრამ ხელოვნების ყველა მოღვაწე როდი გადავიდა პროლეტარიატის ბანაკში. თეთრგვარდიელებთან იყვნენ მერეჟკოვსკი, ჩირიკოვი, ზინაიდა გიპიუსი და ზოგიერთი სხვა. სტატიაში «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები» (1918) ლენინი წერდა, რომ ძველი ინტელიგენცია «მიცვალებულთა უსაზღვროდ მრავალ მტირალს იძლევა: ერთი დაᲨᲤᲣᲗᲜᲔᲑᲔᲚ კრებას დასტირის, მეორე — ბურჟუაზიულ დისციპლინას, მესამე — კაპიტალისტურ წესრიგს, მეოთხე — კულტუროსან მემამულეს, მეხუთე — იმპერიალისტურ დიდმპყრობელობას და სხვა ამნაირსა და ამისთანას» (ტ. 27, გვ. 325).

გაეცნო რა 1919 წელს სხვადასხვა ემიგრანტულ გამოცემებს, ლენინი წერდა: «აღნიშნულ გამოცემათა რამდენიმე, განცალკევებული ნომრებიც კი ისეთ მთლიან და ძლიერ სურნელებას იძლევიან, რომ ერთბაშად გრძნობენ თავს, როგორც სალაქიოში. განათლებული ინტელიგენტები, რომელთაც თავი სოციალისტებად წარმოუდგენიათ და რომლებიც სოციალისტებს უწოდებენ თავიანთ თავს, მთლად გაღენთილი არიან ბურჟუაზიული ცრურწმენით და ლაქიობენ ბურჟუაზიის წინაᲨᲔ, — ასეთია, არსებითად, მწერალთა მთელი ეს კომპანია. ელფერი ამ ხალხს შორის ძალიან ბევრია, მაგრამ მათ, პოლიტიკური თვალსაზრისით, არავითარი სერიოზული მნიშვნელობა არა აქვთ, რადგან ყველაფერი იმაში გამოიხატება, თუ რამდენად თვალთმაქცურად ან გულწრფელად, უხეშად ან მარჯვედ, ულაზათოდ ან ოსტატურად ასრულებენ ისინი თავიანთ ლაქიურ მოვალეობებს ბურჟუაზიის მიმართ»

(ტ. 29, გვ. 642). უფრო გვიან ლენინი ერთ-ერთ თავის სიტყვაში, ახასიათებდა რა თეთრგვარდიულ ლიტერატურას, ამბობდა, რომ თავიანთ ნაწერებში ჩირიკოვის მსგავსი რუსი ინტელიგენტები, ან ე. ტრუბეცკოის მსგავსი ბურჟუაზიული მოაზროვნეები მხოლოდ თვითონვე ამტკიცებდნენ, რომ «საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე დგანან ჭეშმარიტი რევოლუციონერები, რომლებიც თანაუგრძნობენ კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლას» (ტ. 30, გვ. 509). რევოლუციის წინააღმდეგ ბურჟუაზიულ ლიტერატორთა ბრაზიანი ლანძღვა-გინების გამო ლენინი ამბობდა ნეკრასოვის სიტყვებით:

«Мы слышим звуки одобренья
Не в сладком рокоте хвалы,
А в диких криках озлобленья!*

ბურჟუაზიას რომ ასე საშინლად ვძულვართ, ეს ერთ-ერთი ფრიად თვალსაჩინო მაჩვენებელია იმ ჭეშმარიტებისა, რომ ჩვენ სწორად მივუთითებთ ხალხს გზასა და საშუალებებს ბურჟუაზიის ბატონობის დასამხობად» (ტ. 26, გვ. 95).

რევოლუციური წლების ვითარებაში პროლეტარიატისადმი ღრმა მტროპით იყო გამსჭვალული აგრეთვე აპოლიტიკურობის ქადაგება, რასაც მაშინ გაძლიერებით ეწეოდნენ ბურჟუაზიული კულტურის წარმომადგენლები.

აპოლიტიკურობის პროპაგანდის არსი პროლეტარიატის დიქტატურის ვითარებაში ლენინმა გამოააშკარავა მთელ რიგ ნაშრომებში, კერძოდ სტატიაში «პიტირიმ სოროკინის საგულისხმო აღსარება». ესერი პიტირიმ სოროკინი გამოვიდა 1918 წლის დამლევს წერილით, რომელშიც წერდა, რომ «ხელს იღებს ყოველგვარ პოლიტიკაზე». პოლიტიკას, რომელიც სოროკინის სიტყვით «შესაძლებელია საზოგადოებრივად სასარგებლო იყოს, მაგრამ შესაძლებელია საზოგადოებრივად მავნებელიც იყოს», ის უპირისპირებდა მუშაობას მეცნიერებისა და სახალხო განათლების დარგში, რომელიც ვითომდა დაკავშირებული არ არის პოლიტიკასთან და «ყოველთვის სასარგებლოა, ყოველთვის ესაჭიროება ხალხს». ლაპარაკობდა რა სოროკინის ამ წერილზე, ლენინი წერდა, რომ «აშკარა განცხადება თვალსაჩინო ადამიანისა, ე. ი. ისეთი ადამიანისა, რომელსაც მთელი ხალხისათვის ცნობილი და პასუხსაგები პოლიტიკური პოსტი ეკავა, რომ ის ხელს იღებს პოლიტიკაზე, — ე ს ე ც პ ო ლ ი ტ ი კ ა ა» (ტ. 28, გვ. 214). ლენინმა აღნიშნა, რომ უმართებულოა მეცნიერების გამოცხადება უპარტიო და აპოლიტიკურ დარგად. «პიტირიმ სოროკინი მართალი არ არის, როდესაც წერს, რომ მეცნიერების დარგში მუშაობა «ყოველთვის სასარგებლოა», — მიუთითებდა ლენინი. — ვინაიდან შეცდომები ამ დარგშიც ხდება, წინასწარი განზრახვით არარეაქციული ადამიანების მიერ რეაქციულ, ვთქვათ, ფილოსოფიურ შეხედულებათა დაკინებით ქადაგების მაგალითები რუსულ ლიტერატურაშიც არის» (ტ. 28, გვ. 214).

სოციალისტური კულტურისათვის ბრძოლაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ნოვატორობის პრობლემას. წარსულის მემკვიდრეობის კრიტიკული გადამუშავება, დემოკრატიული კულტურის საუკეთესო ტრადიციების ათვისება ახალი, სოციალისტური ხელოვნების შექმნის აუცილებელი პირობა იყო.

---

* გვესმის ყიჟინა მოწონებისა
განა ტკბილ ხმებში ხოტბა-დიდების, —
ველურ ყვირილში გაბოროტების!

«ახალი ძალების გამოღვიძება, მათი მუშაობა იმისათვის, რომ საბჭოთა რუსეთში შეიქმნას ახალი ხელოვნება და კულტურა, — ამბობდა ლენინი კლარა ცეტკინთან საუბარში, — ეს კარგია, ძალიან კარგია. მათი განვითარების მძაფრი ტემპი გასაგები და სასარგებლოა. ჩვენ უნდა ავინაზღაუროთ ის, რაც საუკუნეთა განმავლობაში დაგვაკლდა, და ჩვენ ეს გვსურს».

კომუნისტური მსოფლმხედველობა, რომელიც წარსულის მოწინავე ტრადიციებს განაგრძობს, არის ხარისხობრივად ახალი, ყველა წინა იდეოლოგიისაგან, მათ შორის რუსეთის რევოლუციური დემოკრატების იდეოლოგიისაგან პრინციპულად განსხვავებული მსოფლმხედველობა. ხაზგასმით აღნიშნავდა რა წინა რევოლუციურ თაობათა წარმომადგენლების მიერ ხალხის ინტერესების მხურვალე დაცვას, ლენინი ამავე დროს აღნიშნავდა, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობას, ვიდრე ბრძოლის ასპარეზზე პროლეტარიატი გამოჩნდებოდა, ახასიათებდა არასრული კავშირი ხალხთან.

ხალხის კომუნისტური აღზრდა, მისი მჭიდროდ დარაზმვა პარტიის გარშემო, საბჭოთა ადამიანების საუკეთესო მოწინავე თვისებების ასახვა — აი რა იყო ნოვატორობის სულისკვეთებით გაჟღენთილი ახალგაზრდა საბჭოთა ხელოვნების უმთავრესი ამოცანა. მისი გმირები გახდნენ მუშები და გლეხები, ახალი ცხოვრების შემოქმედნი. ხელოვნების ამოცანად დაისახა აგრეთვე კომუნისტური მორალის, კომუნისტური ზნეობის პროპაგანდა. «...ჩვენი ზნეობა, — ამბობდა ლენინი, — საკუთარ ექვემდებარება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს. ჩვენი ზნეობა გამოიყვანება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებიდან» (ტ. 31, გვ. 349).

«როდესაც გველაპარაკებიან ზნეობის შესახებ, ჩვენ ვამბობთ: კომუნისტისათვის მთელი ზნეობა ამ შეკავშირებულ სოლიდარულ დისციპლინაში და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ შეგნებულ მასობრივ ბრძოლაში მდგომარეობს. ჩვენ მარადიული ზნეობა არა გვწამს და ვაშაკარავებთ ზნეობის შესახებ ყოველგვარი ზღაპრების სიცრუეს. ზნეობა იმას ემსახურება, რომ ადამიანთა საზოგადოება უფრო ამაღლდეს, განთავისუფლდეს შრომის ექსპლოატაციისაგან» (ტ. 31, გვ. 353).

დაბეჭდილ შრომებსა და სიტყვიერ გამოსვლებში ლენინი მუდამ მიუთითებდა, რომ საჭიროა ყოველნაირად მხარი დავუჭიროთ იმ ახალ ტრადიციებს, რომლებიც ყალიბდება გამარჯვებული ხალხის შეგნებასა და მოღვაწეობაში. სტატიაში «დიადი თაოსნობა» ლენინი წერდა, რომ «ძველის ნაშთები ზნე-ჩვეულებებში განსაზღვრული დროის განმავლობაში გადატრიალების შემდეგ აუცილებლად ახლის ყლორტებზე მეტი იქნება. როდესაც ახალი ეს-ესაა დაიბადა, ძველი ყოველთვის რჩება და ერთხანს მასზე ძლიერია. ეს ყოველთვის ასე ხდება ბუნებაშიც და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. სასაცილოდ აგდება ახლის ყლორტების სისუსტისა, იაფფასიანი ინტელიგენტური სკეპტიციზმი და სხვა ასეთი რამ, — ყოველივე ეს არსებითად, პროლეტარიატის წინააღმდეგ ბურჟუაზიის კლასობრივი ბრძოლის ხერხებია, კაპიტალიზმის დაცვა სოციალიზმის წინააღმდეგ» (ტ. 29, გვ. 497). გორკისადმი მიწერილ წერილში 1919 წელს ლენინი მოუწოდებდა «გამოყავით ძველის ხრწნა ახლის ყლორტებისაგან», «თვალი ადევნეთ, როგორ აშენებენ ცხოვრებას ახლებურად».

ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ სოციალისტური კულტურის საფუძველი არის მარქსიზმის იდეოლოგია. რეზოლუციის პროექტში «პროლეტარული კულტურის შესახებ» (1920) ლენინმა მიუთითა, რომ მხოლოდ მარქსიზმის მსოფლმხედველობა გამოხატავს სწორად რევოლუციური პროლეტარიატის ინტე-

რესებს, თვალსაზრისსა და კულტურას. ამიტომ ლენინი მკაცრად აკრიტიკებდა ყოველგვარ ცდას რევიზია გაეწიათ სოციალისტური კულტურის იდეური საფუძვლებისათვის, ამხილებდა მარქსიზმისათვის უცხო იდეოლოგიის გამოვლინებებს ფილოსოფიის, ლიტერატურის, ხელოვნების დარგში.

პირველ წლებში ოქტომბრის შემდეგ ცოტა როდი გაჩნდა თავისი იდეოლოგიით ბურჟუაზიული, მარქსიზმისადმი მტრულად განწყობილი სხვადასხვა მიმდინარეობანი ხელოვნებაში, რომლებიც არა მარტო ნოვატორობას, არამედ პარტიისა და სახელმწიფოს წარმომადგენლობასაც ჩემულობდნენ. სკოლისგარეშე განათლების სრულიად რუსეთის პირველ ყრილობაზე ლენინმა კულტურული მუშაობის ერთ-ერთ ნაკლად აღნიშნა «იმ ბურჟუაზიული ინტელიგენციიდან გამოსულთა სიმრავლე, რომელიც გლეხებისა და მუშების ახლებურად შექმნილ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ყოველთვის უყურებდა როგორც მეტად ხელსაყრელ ასპარეზს თავისი პირადი ნათხზავისათვის ფილოსოფიის ან კულტურის სფეროში, როცა ძალიან ხშირად სულ უაზრო მანკიობა საღდებოდა რაღაც ახალ რამედ და წმინდა პროლეტარული ხელოვნებისა და პროლეტარული კულტურის სახით გვთავაზობდნენ რაღაც ზებუნებრივსა და უაზროს» (ტ. 29, გვ. 386 — 387).

კ. ცეტკინთან საუბარში ლენინმა გამოაშკარავა არსი ფსევდონოვატორობისა, რაც წარმოდგენილი იყო ფუტურიზმით და სხვა მსგავსი მიმდინარეობებით: «რატომ უნდა მოვიხაროთ ქედი ახლის წინაშე, როგორც ღმერთის წინაშე, რომელსაც მხოლოდ იმიტომ უნდა დავემორჩილოთ, რომ ეს «ახალია?» უაზრობაა, სრული უაზრობა! აქ ბევრი თვალთმაქცობაა და, რა თქმა უნდა, შეუგნებელი მოწიწება ღასავლეთში გაბატონებული მხატვრული მოდის წინაშე... მე არ შემიძლია მხატვრული გენიის უმაღლეს გამოხატულებად ჩავთვალო ექსპრესიონიზმის, ფუტურიზმის, კუბიზმისა და სხვა «იზმების» ნაწარმოებები. მე ისინი ვერ გამიგია, მე არ განვიცდი მათგან არავითარ სიხარულს».

«სახელმწიფოებრივი სამხატვრო სკოლის» ყველაზე სერიოზულ პრეტენზიებს აყენებდა 1917 წელს წარმოშობილი პროლეტკულტი, რომელმაც თავის განშტოებებში მრავალი მუშა მიიზიდა. პროლეტკულტის ფილიალები მთელ ჩვენ ქვეყანაში დაარსდა. მუშების ლტოლვა პროლეტკულტის უნივერსიტეტებში, კლუბებსა და სტუდიებში გამოხატავდა ხალხის მხურვალე მისწრაფებას ცოდნისა და კულტურისადმი. მაგრამ პროლეტკულტის ხელმძღვანელები ცდილობდნენ ჩაენერგათ მუშებისათვის პოლიტიკურად მცდარი შეხედულებანი, დაწყებული იმით, რომ პროლეტარიატის კულტურულ მოძრაობას განპარტავდნენ როგორც ავტორომიურ, პარტიისა და სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ მოძრაობას და დამთავრებული იმით, რომ უარყოფდნენ ინტელიგენციის როლს კულტურულ მშენებლობაში.

პროლეტკულტის ზოგიერთი მოღვაწე სერიოზულად ავითარებდა აზრს, რომ «უსარგებლოა» და მავნეც კია პროლეტარიატისათვის კლასიკოსთა მემკვიდრეობა. ერთ-ერთი პოეტი, რომელიც თავის თავს «პროლეტარულ» პოეტად თვლიდა, აცხადებდა რა კულტურული მემკვიდრეობის მიმართ ნიჰილიზმს, როგორც «პროლეტარული კულტურის» შექმნის აუცილებელ პირობას, გაიძახოდა:

Во имя нашего завтра сожжем Рафаэля,
Разрушим музеи, растопчем искусства цветы*...

---

* ჩვენი ხვალინდელი დღის გულისათვის ცეცხლს მივცეთ რაფაელი, დავლეწოთ მუზეუმები, გავთელოთ ხელოვნების ყვავილები...

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას, რომელიც რევოლუციის პირველ დღეებიდანვე მოითხოვდა წარსულის კულტურის შენარჩუნებას და მის ათვისებას ახალი, სოციალისტური კულტურის ასაშენებლად. პროლეტკულტელთა მავნე, ვულგალური დებულებების კრიტიკა ლენინმა მოგვცა მის მიერ დაწერილ რეზოლუციის პროექტში «პროლეტარული კულტურის შესახებ» და რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის მესამე ყრილობაზე წარმოთქმულ ცნობილ სიტყვაში. საგულისხმოა, რომ ეს სიტყვა ლენინმა წარმოთქვა 1920 წლის 2 ოქტომბერს, იმ დღეს, როცა პროლეტკულტის ყრილობაც გაიხსნა. ამიტომ უშუალოდ იმ დროს სხდომაზე მყოფ პროლეტკულტის თეორეტიკოსთა მისამართით უნდა იყოს ნათქვამი ლენინის სიტყვები: «პროლეტარული კულტურა არ არის საიდანღაც გამომხტარი რამ, იგი არ არის იმ ადამიანთა გამონაგონი, რომელნიც თავის თავს პროლეტარული კულტურის სპეციალისტებს უწოდებენ. ეს თავიდან ბოლომდე ჩმახია. პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების, მოხელეური საზოგადოების უღელქვეშ» (ტ. 31, გვ. 343).

პროლეტკულტი მოითხოვდა დაუყოვნებლივ შექმნილიყო ახალი, პროლეტარული ხელოვნება, ამ პროცესის მთელი სირთულის რაიმე გათვალისწინების გარეშე. «კულტურის საკითხებში, — წერდა ჟურნალი «პროლეტარსკაია კულტურა», — ჩვენ დაუყოვნებლივი სოციალისტები ვართ. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ პროლეტარიატმა ახლავე დაუყოვნებლივ უნდა შექმნას თავისთვის აზრის, გრძნობისა და ყოფის სოციალისტური ფორმები». ასეთი დებულებების წინააღმდეგ გამოდიოდა ლენინი, რომელიც ამტკიცებდა რომ სოციალისტური პრინციპები ორგანულად უნდა შევიდეს კულტურასა და ყოფაში, რომ «კულტურის საკითხებში აჩქარება და ნრეგადასულობა ყველაზე მავნებელია» (ტ. 33, გვ. 575), რომ «უნდა გავიმსკვალოთ მხსნელი უნდობლობით მეტისმეტად სწრაფი წინმსვლელობისადმი, ყოველგვარი ტრაბახისადმი და სხვ.». (ტ. 33, გვ. 576). ლაპარაკობდა რა კულტურაზე, ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ «აქ ვერაფერს გააწყობ ძალით ან იერიშით, სიყოჩაღით ან ენერგიით, ანდა საერთოდ ადამიანის სხვა რაიმე საუკეთესო თვისებით» (ტ. 33, გვ. 577).

ლენინი აღნიშნავდა პროლეტკულტელთა თეორეტიკოსის ა. ა. ბოგდანოვის ნაწერთა ფილოსოფიურ ფესვებს. «მატერიალიზმის და ემპირიოკრიტიციზმის» მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, რომელიც 1920 წლის 2 სექტემბრით არის დათარიღებული, ლენინი, ლაპარაკობს რა ბოგდანოვის უკანასკნელ ნაწარმოებებზე, აღნიშნავს, რომ «პროლეტარული კულტურის» სახით ა. ა. ბოგდანოვი ბურჟუაზიულ და რეაქციულ შეხედულებებს ატარებს» (ტ. 14, გვ. 10).

ლენინი თავის გამოსვლებში ანადგურებდა აგრეთვე კაპიტულანტურ ტროცკისტულ მონაჯორებს პროლეტარული კულტურის შექმნის შეუძლებლობის შესახებ.

აკრიტიკებდა რა პროლეტკულტის პლატფორმას, ლენინი ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღებით თვალს ადევნებდა ნამდვილად ახალი, პროლეტარული კულტურის მოვლენებს. რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წერილში «პროლეტკულტების შესახებ», რომელიც 1920 წლის 1 დეკემბერს «პრავდაში» გამოქვეყნდა, «პროლეტარული კულტურის» ანტიმარქსისტული თეორიების კრიტიკასთან ერთად აღნიშნული იყო: «ცენტრალურ კომიტეტს არა მარტო არ სურს შებოჭოს მუშური ინტელიგენციის ინიციატივა მხატვრული შემოქმედების დარგში, არამედ, პირიქით, ცენტრალურ კომიტეტს სურს შექმნას მისთვის უფრო ჯანსაღი, ნორმალური ეი-

თარება და მისცეს მას შესაძლებლობა ნაყოფიერი იყოს მხატვრული შემოქმედების მთელ საქმეში». პროლეტარული მწერლებისადმი ლენინის ყურადღებას ადასტურებს, კერძოდ, მისი წერილი ა. სერაფიმოვიჩისადმი, რომელშიც ლენინი წერდა: «თქვენმა ნაწარმოებებმა... ჩამინერგა ღრმა სიმპათია თქვენდამი და ძალიან მიხარია გითხრათ, თუ რაოდენ ს ა კ ი რ ო ა მუშებისა და ყველა ჩვენგანისათვის თქვენი მუშაობა» (ტ. 35, გვ. 475). გორკის მოგონების თანახმად ლენინი «მომეტებულად და მრავალჯერ ხაზგასმით აღნიშნავდა დემიან ბედნის მუშაობის საადგილო მნიშვნელობას, მაგრამ ამბობდა: «ცოტა არ იყოს უხეშია, მკითხველს მიჰყვება უკან, საჭირო კია ცოტა წინ ყოფნა». ხოლო როცა გორკიმ ერთხელ უამბო ლენინს ივანოვო-ვოზნესენსკში პროლეტარული პოეტების მუშაობის შესახებ (1921), ლენინმა მაშინვე ითხოვა მიეტანათ მისთვის გაზეთ «რაბოჩი კრაის» კომპლექტი და თავის ბარათში აღნიშნა: «გორკი აქებსო».

ზემოთ უკვე იყო ნათქვამი, თუ რა განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა ლენინი გორკის მიმართ. ლენინს არასოდეს არ დაკარგვია იმის რწმენა, რომ «გორკი — უზარმაზარი მხატვრული ტალანტია, რომელმაც მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობას დიდი სარგებლობა მოუტანა და მომავალშიაც მოუტანს» (ტ. 23, გვ. 442).

ლენინის ზრუნვა და ყურადღება დაეხმარა გორკის შემოქმედებითს ზრდას, მის ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. გორკი აქტიურ მონაწილეობას იღებდა კულტურულ მშენებლობაში, საბჭოთა ხელისუფლების გარშემო ინტელიგენციის დარაზმვაში, საგამომცემლო საქმის განვითარებაში. ლენინი ყოველნაირად მხარს უჭერდა და წარმართავდა გორკის ამ მოღვაწეობას და თავის დირექტივებში მოითხოვდა ყოველმხრივი დახმარება გაეწიოთ მისთვის. გორკის მიერ ახალი ეპოქის ათვისებასთან ერთად ღრმავდებოდა მისი შემოქმედების იდეურ-ფილოსოფიური სიმდიდრე, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა მის მიერ უფრო გვიან დაწერილ უდიდეს ეპიკურ ნაწარმოებებში — «არტამონოვების საქმე» და «კლიმ სამგინის ცხოვრება».

ლენინურმა იდეებმა ღრმა გავლენა მოახდინეს ვ. ვ. მაიაკოვსკის შემოქმედების ევოლუციაზე.

სიტყვაში «საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ» 1922 წლის 6 მარტს ლენინმა ფართოდ ცნობილი შეფასება მისცა მაიაკოვსკის ლექსს «სხდომაგადაყოლილნი». «გუშინ «იზვესტიაში» შემთხვევით წავიკითხე მაიაკოვსკის ლექსი პოლიტიკურ თემაზე, — თქვა ლენინმა. მე არ ვეკუთვნი მისი პოეტური ნიჭის თაყვანისმცემლებს, თუმცა სავსებით ვაღიარებ ჩემს არაკომპეტენტურობას ამ სფეროში. მაგრამ დიდი ხანია არ განმიცდია ასეთი სიამოვნება პოლიტიკური და ადმინისტრაციული თვალსაზრისით. თავის ლექსში ის საშინლად დასცინის სხდომებს და საცინლად იგდებს კომუნისტებს, რომ ისინი სხდომებს არიან გადაყოლილნი. პოეზიის მხრივ არ ვიცი, ხოლო რაც შეეხება პოლიტიკას, დაბეჯითებით ვამბობ, რომ ეს სავსებით სწორია» (ტ. 33, გვ. 256). ეს შეფასება მოწმობს, რომ ლენინმა გამოიცვალა მაიაკოვსკისადმი დამოკიდებულება, რომლის შესახებაც ჩვენ ვიცით თანამედროვეთა მოგონებებიდან. ნ. კ. კრუპსკაია მოგვითხრობს, რომ ლენინს არ მოეწონა ლექსი «ჩვენი მარში», რომელიც მსახიობმა ქალმა გზოვსკაიამ წაიკითხაო. ა. მ. გორკის სიტყვით ლენინი «მაიაკოვსკის მიმართ იჩენდა უნდობლობას და გულფიცხობასაც კი». ა. ვ. ლუნაჩარსკის მოგონების თანახმად მაიაკოვსკის «150 000 000» ვლადიმერ ილიას-ძეს სულ არ მოსწონებია. ეს პოემა მან «ღელარჭნილ» ნაწარმოებად მიიჩნია.

ლენინის ასეთ დამოკიდებულებას ოქტომბრისშემდგომი პირველი წლების მაიაკოვსკისადმი აქვს მთელი რიგი მიზეზები. ნაწარმოებებში «150 000 000» და «ჩვენი მარში», რომლებიც, როგორც თანამედროვენი ამბობენ, ლენინს არ მოეწონა, ჯერ კიდევ მძლავრად იგრძნობოდა ადრინდელი მაიაკოვსკის პოეტური ხერხები: აბსტრაქტული ჰიპერბოლიზმი, პოეტური ენის ღვლარჭნილობა, რთული სინტაქსური წყობა. ცხადია, ყოველივე ეს არ მოეწონებოდა ლენინს, რომელიც ხელოვნებისაგან რეალისტურ უბრალოებას მოითხოვდა.

ლექსი «სხდომასგადაყოლილნი» სრულიად ახალი სტილის მოვლენაა, ვიდრე «ჩვენი მარში». მასში უკვე სრულიად იჩინა თავი მაიაკოვსკის რეალისტურმა ოსტატობამ, მაღალმა მხატვრულმა სისადავემ. უდავოა, რომ ლექსის «სხდომასგადაყოლილნი» ლენინურ შეფასებიდან მაიაკოვსკიმ ყველა საჭირო დასკვნა გამოიტანა თავისი მუშაობისათვის. ყურადღებით სწავლობდა რა გარემო ცხოვრებას და სულ უფრო მჭიდროდ უკავშირებდა რა თავის შემოქმედებას სოციალიზმისათვის მასების ბრძოლას, მაიაკოვსკი ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო პოეტი გახდა.

საჭირო ხაზგასმით აღინიშნოს, რომ იდეურობა და მხატვრულობა ლენინისათვის წარმოადგენდნენ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შეფასების ერთიან კრიტერიუმს. ასე, მაგალითად, ლენინის მიერ ხელმოწერილ 1919 წლის 26 აგვისტოს დეკრეტში თეატრების ნაციონალიზაციის შესახებ აღნიშნულია, რომ სარეპერტუარო ხასიათის მითითებანი უნდა ეძლეოდეს თეატრებს ისეთი ვარაუდით, რომ ისინი დაუახლოვდნენ ხალხის მასებს და მათს სოციალისტურ იდეალს. მაგრამ ამასთან ერთად ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ამ მითითებებმა არ უნდა დაარღვიონ «თეატრის მხატვრული ღირებულება». მაღალი მოთხოვნილებანი ხელოვნებისადმი ჩამოყალიბებულია აგრეთვე ლენინის საუბარში კლარა ცეტკინთან. «ჩვენმა მუშებმა და გლეხებმა, — ამბობდა ლენინი, — დაიმსახურეს გაცილებით უფრო მეტი რამ, ვიდრე უბრალო სანახაობანი. მათ მოიპოვეს უფლება ნამდვილ დიად ხელოვნებაზე».

• • •

სტატიაში «როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?» (1917) ლენინი სიამაყით წერდა, რაოდენ ბევრი ტალანტია მუშათა კლასსა და გლეხობაში და წინასწარმეტყველებდა, თუ რა უდიდეს შედეგებს მიაღწევს ხალხი, რომელმაც მოიპოვა შესაძლებლობა აშენოს სოციალისტური საზოგადოება ტექნიკისა და კულტურის ყველა მონაპოვარზე დაყრდნობით. ლენინის წინასწარმეტყველება ახდა. მიჰყვება რა ლენინის მიერ მითითებულ გზას, საბჭოთა ხალხი ლენინის მიერ შექმნილი დიადი პარტიის ხელმძღვანელობით მიდის წინ კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების ახალი, უმაღლესი აყვავებისაკენ. ლენინის გენიალური აზრები კულტურისა და ხელოვნების საკითხებზე, რომლებიც მარქსიზმის საგანძურს შეადგენენ, ანაყოფიერებენ საბჭოთა ხელოვნების თეორიასა და პრაქტიკას, მძლავრ იარაღს წარმოადგენენ სოციალისტური კულტურის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში.

ბ. მეილახი

სტატიები
სიტყვები

პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა[1]

სოციალ-დემოკრატიული მუშაობის ახალმა პირობებმა, რომლებიც რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ[2] შეიქმნა, დღის წესრიგში დააყენა პარტიული ლიტერატურის საკითხი. არალეგალური და ლეგალური ბეჭდვითი სიტყვის განსხვავება, — ეს სავალალო მემკვიდრეობა ბატონყმური, თვითმპყრობელური რუსეთის ეპოქისა, გაქრობას იწყებს. იგი ჯერ კიდევ არ მომკვდარა, სრულიადაც არა. ჩვენი პრემიერ-მინისტრის ფარისევლური მთავრობა ჯერ კიდევ იმდენ უწესობას სჩადის, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოს «იზვესტია» «არალეგალურად» იბეჭდება; მაგრამ, გარდა მთავრობის შერცხვენისა, გარდა ახალ-ახალი მორალური მათრახების მიღებისა, არაფერი გამოდის ბრიყვული ცდებისაგან — «აკრძალონ» ის, რისი ხელის შეშლაც მთავრობას არ ძალუძს.

არალეგალური და ლეგალური ბეჭდვითი სიტყვის განსხვავების არსებობის დროს პარტიული და არაპარტიული ბეჭდვითი სიტყვის საკითხი მეტად უბრალოდ და მეტად ყალბად, დამახინჯებულად წყდებოდა. მთელი არალეგალური ბეჭდვითი სიტყვა პარტიული იყო, მას სცემდნენ ორგანიზაციები, უძღვებოდნენ ჯგუფები, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებული იყვნენ პარტიის პრაქტიკულ მუშაკთა ჯგუფებთან. მთელი ლეგალური ბეჭდვითი სიტყვა იყო არა პარტიული, — იმიტომ რომ პარტიულობა აკრძალული იყო, — მაგრამ ამა თუ იმ პარტიისაკენ «მიიდრიკებოდა». აუცილებელი იყო მახინჯი კავშირგაბმულობა, არანორმალური «თანაცხოვრება», ყალბი შენიღბვა; ერთმანეთში იყო არეული იმ ადამიანთა სიტყვის იძულებით შეკვეცა, რომელთაც სურდათ გამოეთქვათ პარტიული შეხედულებანი, და იმ პირთა აზრის ნაკლებობა თუ აზრის სილაჩრე, ვინც ამ

შეხედულებებამდე ვერ მომწიფებულიყო, ვინც, არსებითად, პარტიის კაცი არ იყო.

ეზოპური სიტყვების, ლიტერატურული ლაქიობის, მონური ენის, იდეური ყმობის წყეული დრო! პროლეტარიატმა ბოლო მოუღო ამ უმსგავსობას, რომლისაგანაც სული ეხუთებოდა ყოველივეს, რაც კი რამ ცოცხალი და ახალი იყო რუსეთში. მაგრამ პროლეტარიატმა ჯერჯერობით მხოლოდ სანახევროდ მოუპოვა თავისუფლება რუსეთს.

რევოლუცია ჯერ არ დამთავრებულა. თუ ცარიზმს უკვე აღარ ძალუძს რევოლუციის დამარცხება, რევოლუციას ჯერ კიდევ არ ძალუძს ცარიზმის დამარცხება. და ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა ყველგან და ყველაფერში თავს იჩენს აშკარა, პატიოსანი, პირდაპირი, თანამიმდევარი პარტიულობის ეს არაბუნებრივი შეხამება არალეგალურ, შენიღბულ, «დიპლომატიურ», მოქნილ «ლეგალობასთან». ამ არაბუნებრივმა შეხამებამ ჩვენს გაზეთზედაც მოახდინა გავლენა: რამდენიც არ უნდა იოხუნჯოს ბ-ნმა გუჩკოვმა სოციალ-დემოკრატიულ ტირანიაზე, რომელიც კრძალავს ლიბერალურ-ბურჟუაზიული, ზომიერი გაზეთების ბეჭდვას, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური ორგანოსთვის, «პროლეტარისთვის» [3], თვითმპყრობელ უ რ-პოლიციური რუსეთის კარები მაინც დახშულია.

ასე თუ ისე, რევოლუციის ნახევარი ყველას გვაიძულებს დაუყოვნებლივ შევუდგეთ საქმის ახლად მოგვარებას. ლიტერატურა ახლა შეიძლება $^{9}/_{10}$-ით «ლეგალურადაც» კი პარტიული იყოს. ლიტერატურა პარტიული უნდა გახდეს. წინააღმდეგ ბურჟუაზიული ზნისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული სამეწარმეო, ჩარჩული ბეჭდვითი სიტყვისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ლიტერატურული კარიერიზმისა და ინდივიდუალიზმისა, «ბატონკაცური ანარქიზმისა» და მოგებისადმი მისწრაფებისა, — სოციალისტურმა პროლეტარიატმა უნდა წამოაყენოს პ ა რ ტ ი უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს პრინციპი, განავითაროს ეს პრინციპი და განახორციელოს იგი რაც შეიძლება სრული და მთლიანი სახით.

რაში მდგომარეობს პარტიული ლიტერატურის ეს პრინციპი? ეს პრინციპი მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ სოციალისტური პროლეტარიატისთვის ლიტერატურული საქმე არ შეიძლება პირთა თუ ჯგუფთა მოგების იარაღი იყოს, იგი საზოგადოდ არ შეიძლება ინდივიდუალური საქმე იყოს, საერთო პროლეტარული საქმისაგან დამოუკიდებელი. ძირს უპარტიო ლიტერატორები! ძირს ზეკაცი ლი-

ტერატორები! ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო პროლეტარული საქმის ნ ა წ ი ლ ი, «პატარა ბორბალი და ხრახნი» ერთი მთლიანი, დიდი სოციალ-დემოკრატიული მექანიზმისა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს მთელი მუშათა კლასის მთელ შეგნებულ ავანგარდს. ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს შემადგენელი ნაწილი ორგანიზებული, გეგმაშეწონილი გაერთიანებული სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობისა.

«ყოველგვარი შედარება მოიკოჭლებსო», ამბობს გერმანული ანდაზა. მოიკოჭლებს ჩემი შედარებაც ლიტერატურისა ხრახნთან, ცოცხალი მოძრაობისა მექანიზმთან. მოინახებიან, ალბათ, ისეთი ისტერიკული ინტელიგენტებიც, რომლებიც მორთავენ გოდებას ასეთი შედარების გამო, რაც ამცირებს, ადუნებს, «აბიუროკრატებს» თავისუფალ იდეურ ბრძოლას, კრიტიკის თავისუფლებას, ლიტერატურული შემოქმედების თავისუფლებას და სხვა და სხვა. არსებითად, ასეთი გოდება მხოლოდ ბურჟუაზიულ-ინტელიგენტური ინდივიდუალიზმის გამოსახულება იქნებოდა. უდავოა, ლიტერატურული საქმე ყველაზე ნაკლებ ემორჩილება მექანიკურ შეთანაბრებას, ნიველირებას, უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობას. უდავოა ამ საქმეში უეჭველად საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად თაოსნობას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს. ყოველივე ეს უდავოა, მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ პროლეტარიატის პარტიული საქმის ლიტერატურული ნაწილი არ შეიძლება შაბლონურად გავაიგივეოთ პროლეტარიატის პარტიული საქმის სხვა ნაწილებთან. ყოველივე ეს სრულიადაც არ უარჰყოფს ბურჟუაზიისა და ბურჟუაზიული დემოკრატიისათვის იმ უცხო და უცნაურ დებულებას, რომ ლიტერატურული საქმე უსათუოდ და აუცილებლად უნდა გახდეს სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობის ნაწილი, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია დანარჩენ ნაწილებთან. გაზეთები სხვადასხვა პარტიული ორგანიზაციის ორგანოები უნდა გახდნენ. ლიტერატორები უსათუოდ პარტიულ ორგანიზაციებში უნდა შევიდნენ. გამომცემლობანი და საწყობები, მაღაზიები და სამკითხველოები, ბიბლიოთეკები და წიგნების სხვადასხვა სავაჭრო — ყველაფერი ეს უნდა გახდეს პარტიული, ანგარიშვალდებული. მთელ ამ მუშაობას თვალყური უნდა ადევნოს ორგანიზებულმა სოციალისტურმა პროლეტარიატმა, მან უნდა გაუწიოს კონტროლი ყველაფერ ამას, მთელ ამ მუშაობაში, უკლებლივ, უნდა შეიტანოს ცოცხალი პროლეტარული საქმის ცოცხალი ნაკადი და, ამრიგად, ყოველგვარი ნიადაგი გა-

მოაცალოს ძველთაძველ, ნახევრადობლომოვისებურ, ნახევრადჩარ-ჩულ რუსულ პრინციპს: მწერალი თავისთვის წერს, მკითხველიც თავისთვის კითხულობს.

ჩვენ, რასაკვირველია, არ ვიტყვით, რომ ეს გარდაქმნა ლიტერატურული საქმისა, რომელიც აზიურმა ცენზურამ და ევროპის ბურჟუაზიამ წაბილწა, ერთბაშად მოხდება. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ვიქადაგოთ რაიმე ერთსახოვანი სისტემა ან ამოცანის გადაწყვეტა რამდენიმე დადგენილებით. არა, სქემატიზმზე ამ დარგში ყველაზე ნაკლებ შეიძლება ლაპარაკი. საქმე ის არის, რომ მთელმა ჩვენმა პარტიამ, მთელმა შეგნებულმა სოციალ-დემოკრატიულმა პროლეტარიატმა მთელ რუსეთში შეიგნოს ეს ახალი ამოცანა, ნათლად დააყენოს იგი და ყველგან მოჰკიდოს ხელი მის გადაწყვეტას. თავი დავალწიეთ რა ბატონყმური ცენზურის ტყვეობას, ჩვენ არა გვსურს ტყვედ ჩაუვარდეთ და არც ჩაუვარდებით ბურჟუაზიულ-ჩარჩულ ლიტერატურულ ურთიერთობას. ჩვენ გვსურს შევქმნათ და კიდევაც შევქმნით თავისუფალ ბეჭდვითს სიტყვას, თავისუფალს არა მარტო პოლიციისაგან, არამედ აგრეთვე კაპიტალისაგან, კარიერიზმისაგან; — ესეც ცოტაა: აგრეთვე ბურჟუაზიულ-ანარქისტული ინდივიდუალიზმისაგან თავისუფალსაც.

ეს უკანასკნელი სიტყვები პარადოქსად ან მკითხველების დაცინვად მოეჩვენებათ. რაო? შესძახებს, ალბათ, რომელიმე ინტელიგენტი, თავისუფლების მგზნებარე მომხრე. რაო? თქვენ გსურთ კოლექტიურობას დაუმორჩილოთ ისეთი სათუთი, ინდივიდუალური საქმე, როგორიცაა ლიტერატურული შემოქმედება! თქვენ გსურთ, რომ მუშები ხმების უმრავლესობით სწყვეტდნენ მეცნიერების, ფილოსოფიის, ესთეტიკის საკითხებს! თქვენ უარყოფთ აბსოლუტურად — ინდივიდუალური იდეური შემოქმედების აბსოლუტურ თავისუფლებას!

— დამშვიდდით, ბატონებო! ჯერ ერთი, ლაპარაკია პარტიულ ლიტერატურაზე და პარტიული კონტროლისადმი მის დაქვემდებარებაზე. ყველას ნება აქვს სრულიად შეუზღუდავად წეროს და ილაპარაკოს ყველაფერი, რაც მასა სურს. მაგრამ ყოველ ნებაყოფლობითს კავშირს (მათ შორის პარტიასაც) აგრეთვე ნება აქვს გააძევოს ისეთი წევრები, რომელნიც ანტიპარტიულ შეხედულებათა ქადაგებისათვის პარტიის ფირმით სარგებლობენ. სიტყვისა და პრესის თავისუფლება სრული უნდა იყოს. მაგრამ კავშირების თავისუფლებაც ხომ სრული უნდა იყოს. მე ვალდებული ვარ, სიტყვის თავისუფლების გამო, მოგცე შენ სრული უფლება იყვირო, იცრუო და წერო რაც გნებავს. მაგრამ შენ ვალდებული ხარ, კავშირების გამო, მომცე უფლება დავ-

დო ან გავწყვიტო კავშირი იმ ადამიანებთან, რომლებიც ამასა და ამას ლაპარაკობენ. პარტია ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც გარდუვალად დაიშლებოდა, ჯერ იდეურად, შემდგომ კი მატერიალურადაც, იგი რომ თავის რიგებს არ სწმენდდეს ისეთი წევრებისაგან, რომელნიც ანტიპარტიულ შეხედულებებს ქადაგებენ. ხოლო პარტიულსა და ანტიპარტიულს შორის მიჯნის გასავლებად არსებობს პარტიული პროგრამა, პარტიის ტაქტიკური რეზოლუციები და მისი წესდება, დასასრულ, არსებობს მთელი გამოცდილება საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიისა, პროლეტარიატის საერთაშორისო ნებაყოფლობითი კავშირებისა, — პროლეტარიატისა, რომელსაც მუდამ შეჰყავდა თავის პარტიაში ცალკეული ელემენტები ან მიმდინარეობანი, არა სავსებით თანმიმდევარნი, არა სავსებით წმინდა მარქსისტულნი, არა სავსებით მართებულნი, მაგრამ რომელიც აგრეთვე მუდამ ახდენდა თავისი პარტიის პერიოდულ «წმენდას». ასე იქნება ჩვენთანაც, პარტიის შიგნით, ბურჟუაზიული «კრიტიკის თავისუფლების» ბატონო მომხრეებო: ახლა პარტია ჩვენში ერთბაშად მასობრივი ხდება, ახლა ჩვენ განვიცდით მკვეთრ გადასვლას აშკარა ორგანიზაციაზე, ახლა ჩვენთან უსათუოდ შემოვა ბევრი არათანამიმდევარი (მარქსისტული თვალსაზრისით) ადამიანი, შეიძლება, ზოგიერთი ქრისტიანიც, შეიძლება, ზოგიერთი მისტიკოსიც კი. ჩვენ მაგარი კუჭი გვაქვს, ჩვენ სალკლდოვანი მარქსისტები ვართ. ჩვენ გადავხარშავთ ამ არათანამიმდევარ ადამიანებს. აზრის თავისუფლება და კრიტიკის თავისუფლება პარტიის შიგნით ვერასოდეს ვერ დაგვავიწყებინებს ადამიანთა თავისუფლად დაჯგუფებას ნებაყოფლობით კავშირებად, რომელთაც პარტიები ეწოდება.

მეორე, ბატონო ბურჟუაზიულო ინდივიდუალისტებო, უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი სიტყვები აბსოლუტურ თავისუფლებაზე მხოლოდ ფარისევლობაა. ფულის ბატონობაზე დამყარებულ საზოგადოებაში, საზოგადოებაში, სადაც მშრომელთა მასები გაღატაკებული არიან და ერთი მუჭა მდიდრები მუქთახორობენ, შეუძლებელია რეალური და ნამდვილი «თავისუფლება». განა თქვენ თავისუფალი ხართ თქვენი ბურჟუაზიული გამომცემლისაგან, ბატონო მწერალო? თქვენი ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან, რომელიც თქვენგან მოითხოვს პორნოგრაფიას ჩარჩოებსა და სურათებში, პროსტიტუციას «წმინდა» სასცენო ხელოვნების «დამატების» სახით? ეს აბსოლუტური თავისუფლება ხომ ბურჟუაზიული თუ ანარქისტული ფრაზაა (ვინაიდან, როგორც მსოფლმხედველობა, ანარქიზმი უკულმა გადმობრუნებული ბურჟუაზიულობაა). არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვ-

რობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო. ბურჟუაზიული მწერლის, მხატვრის, მსახიობი ქალის თავისუფლება — ეს არის მხოლოდ შენიღბული (ანდა ფარისევლურად ნიღაბაფარებული) დამოკიდებულება ფულის ქისისაგან, მოსყიდვისაგან, ხასობისაგან.

და ჩვენ, სოციალისტები, ვამხელთ ამ ფარისევლობას, ვგლეჯთ ყალბ აბრებს, — არა იმიტომ, რომ ხელში შეგვრჩეს არაკლასობრივი ლიტერატურა და ხელოვნება (ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ სოციალისტურ უკლასო საზოგადოებაში), არამედ იმიტომ, რომ ფარისევლურად თავისუფალ, ნამდვილად კი ბურჟუაზიასთან დაკავშირებულ ლიტერატურას დავუპირისპიროთ ნამდვილად თავისუფალი, პროლეტარიატთან აშკარად დაკავშირებული ლიტერატურა.

ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, თავისუფალი იმიტომ, რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელებისადმი თანაგრძნობა მიიზიდავს ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა იმიტომ, რომ იგი სამსახურს გაუწევს არა სალონების გულმოყირჭებულ «გმირ-ქალს», არა მოწყენილ და სისუქნის ქონით შეწუხებულ «ზედა ფენის ათეულ ათასებს», არამედ მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს შეადგენენ. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, რომელიც კაცობრიობის რევოლუციური აზრის უკანასკნელ სიტყვას გაანაყოფიერებს სოციალისტური პროლეტარიატის გამოცდილებითა და ცოცხალი მუშაობით, რომელიც შეჰქმნის მუდმივ ურთიერთმოქმედებას წარსულის გამოცდილებისა (მეცნიერული სოციალიზმი, რომელმაც დააგვირგვინა სოციალიზმის განვითარება მისი პრიმიტიული, უტოპიური ფორმებიდან) და ახლანდელ გამოცდილებას შორის (ამხანაგ მუშების ახლანდელი ბრძოლა).

მაშ შევუდგეთ მუშაობას, ამხანაგებო! ჩვენს წინაშეა ძნელი და ახალი, მაგრამ დიადი და მადლიერი ამოცანა, — მოვაწყოთ უდიდესი, მრავალმხრივი, მრავალსახოვანი ლიტერატურული საქმე, მჭიდროდ და განუყრელად დაკავშირებული სოციალ-დემოკრატიულ მუშათა მოძრაობასთან. მთელი სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურა პარტიული უნდა გახდეს. ყველა გაზეთი, ჟურნალი, გამომცემლობა და სხვ. დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს სარეორგანიზაციო მუშაობას, ისეთი მდგომარეობის მომზადებას, რომ ისინი ამა თუ იმ საფუძველზე სავსებით შედიოდნენ ამა თუ იმ პარტიულ ორგანიზაციაში. მხოლოდ მაშინ გახდება «სოციალ-დემოკრატიული» ლიტერატურა

მართლაც სოციალ-დემოკრატიული, მხოლოდ მაშინ შესძლებს იგი თავისი მოვალეობის შესრულებას, მხოლოდ მაშინ შესძლებს იგი ბურჟუაზიული საზოგადოების ჩარჩოებშიც თავი დააღწიოს ბურჟუაზიის უღელს და ნამდვილად მოწინავე და ბოლომდე რევოლუციური კლასის მოძრაობას შეუერთდეს.

დაბეჭდილია 1905 წ. 13 ნოემბერს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 10,
გვ. 34 — 41

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

1894—1917

წიგნიდან
«რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ოამოგბენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?

(პასუხი «რუსსკოე ბოგბატსტვოს»[4] სტატიებზე მარქსისტების წინააღმდეგ)»

«...70-იანი წლების ნაროდნიკს — მეტად მოსწრებულად ამბობს გურვიჩი — არავითარი წარმოდგენა არ ჰქონია კლასობრივ ანტაგონიზმზე თვით გლეხობაში და ამ ანტაგონიზმს საზღვრავდა მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთობით «ექსპლოატატორსა» — კულაკსა ანუ სოფლის წურბელასა — და მის მსხვერპლს, კომუნისტური სულით გამსჭვალულ გლეხს შორის *. გლებ უსპენსკი განმარტოებული იდგა თავისი სკეპტიციზმით და ირონიული ღიმილით უპასუხებდა საერთო ილუზიას. ის საუცხოოდ იცნობდა გლეხობას, მას ჰქონდა უდიდესი არტისტული ტალანტი, რომელიც მოვლენების თვით არსს სწვდებოდა, ამიტომ არ შეეძლო არ დაენახა, რომ ინდივიდუალიზმი გახდა საფუძველი ეკონომიური ურთიერთობისა არა მარტო მევახშესა და მოვალეს შორის, არამედ გლეხებს შორისაც საერთოდ. იხ. მისი სტატია «Равнение под одно» «რუსკაია მისლში»[5], 1882 წ., № 1» (დასახ. თხზ., გვ. 106)...

* * *

...«რ. ბ — ვოს» № 2-ში შინაური ცხოვრების მექრონიკე ბჭობს იმის შესახებ, რომ რუსეთი «საბედნიეროდ» (sic!) ჩამორჩენილი ქვეყანაა, «რომელიც ინარჩუნებს ელემენტებს თავისი ეკონომიური წყობილების დასაფუძნებლად სოლიდარობის პრინციპზე» **, — და ამ-

---

* «სოფლის თემის შიგნით წარმოიშვნენ ანტაგონისტური სოციალური კლასები» — ამბობს გურვიჩი მეორე ადგილას (გვ. 104). გურვიჩის სტატიიდან ციტატა მე მომყავს მხოლოდ ზემოთ მოყვანილი ფაქტიური მონაცემების დამატებად.

** ეის შორის? მემამულესა და გლეხს შორის? ყაირათიან გლეხსა და ბოგანოს.

ბობს, რომ, ამიტომ მას შეუძლია გამოვიდეს «საერთაშორისო ურთიერთობათა დარგში ეკონომიური სოლიდარობის გამტარებლად» და რომ ამის შანსებს რუსეთისათვის აძლიერებს მისი უდავო «პოლიტიკური ძლიერება»!!

სწორედ ევროპის ეს ჟანდარმი, ყოველგვარი რეაქციის მუდმივი და საიმედო დედაბოძი, რომელმაც რუსი ხალხი ისეთ სამარცხვინო მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ მას, შინ დაბეჩავებულს, დასავლეთ ევროპის ერების დაჩაგვრის იარაღად იყენებდნენ, — ეს ჟანდარმი გამოცხადებულია ეკონომიური სოლიდარობის გამტარებლად!

ეს კი მეტისმეტია! ბბ. «ხალხის მეგობრებმა» ყველა ლიბერალს გადააჭარბეს. ისინი არათუ ემუდარებიან მთავრობას, არათუ ხოტბას ასხამენ, პირდაპირ ლოცულობენ კიდეც ამ მთავრობაზე, ლოცულობენ მუხლის მოყრით, ლოცულობენ ისეთი გულმოდგინებით, რომ შორიდან ცქერით შეეძრწუნდები, როცა გესმის მათი უქვეშევრდომილეს შუბლთა რახუნი იატაკზე.

გახსოვთ გერმანული განსაზღვრა ფილისტერისა?

Was ist der Philister?
Ein hohler Darm,
Voll Furcht und Hoffnung,
Dass Gott erbarm [6].

ჩვენს ვითარებას ეს განსაზღვრა ცოტა არ იყოს არ შეეფერება. ღმერთს... ღმერთს ჩვენში მეორე ადგილი უჭირავს. სამაგიეროდ აი უფროსები — ეს სულ სხვა საქმეა. და თუ ჩვენ ამ განსაზღვრაში სიტყვა «ღმერთის» ადგილას სიტყვა «უფროსებს» ჩავსვამთ, — მივიღებთ რუსი ჰუმანურ-ლიბერალური «ხალხის მეგობრების» იდეური ავლადიდების, ზნეობრივი დონისა და მოქალაქეობრივი გაბედულების უაღრესად ზუსტ გამოხატულებას.

ამ ყოვლად უაზრო შეხედულებას მთავრობაზე «ხალხის მეგობრები» უმატებენ სათანადო დამოკიდებულებას ეგრეთწოდებული «ინტელიგენციისადმი». ბ-ნი კრივენკო წერს: «ლიტერატურამ»... «მოვლენები» უნდა «შეაფასოს მათი საზოგადოებრივი აზრის მიხედვით და წაახალისოს ყოველი აქტიური მიდრეკილება სიკეთისადმი. ის ამტკიცებდა და დღესაც ამტკიცებს მასწავლებლების, ექიმების

შორის? მეფაბრიკეს და მუშას შორის? რომ შევიგნოთ ეს კლასიკური «პრინციპი სოლიდარობისა», უნდა გავიხსენოთ, რომ სოლიდარობა მეწარმესა და მუშას შორის მყარდება «ხელფასის შემცირებით».

ტექნიკოსების ნაკლებობას, იმას, რომ ხალხი ავადმყოფობს, ღარიბდება (ტექნიკოსები აკლია!), არ იცის წერა-კითხვა და სხვ., და როცა ჩნდებიან ადამიანები, რომელთაც მოსწყინდათ მწვანე მაგიდასთან ჯდომა, სცენის მოყვარეთა წარმოდგენებში მონაწილეობა და წინამძღოლების ქადების ჭამა, ადამიანები, რომლებიც იშვიათი თავგანწირულებით გამოდიან სამუშაოდ (წარმოიდგინეთ: ხომ უარყვეს მწვანე მაგიდები, წარმოდგენები და ქადები!) და, მრავალ დაბრკოლებათა მიუხედავად, ლიტერატურა მათ უნდა მიესალმოს».

ორი გვერდის შემდეგ ის გამობრძმედილი მოსამსახურის საქმიანი სერიოზულობით ტუქსავს ადამიანებს, რომლებიც «ყოყმანობდნენ საკითხის წინაშე — წასულიყვნენ თუ არა საერობო უფროსებად, ქალაქისთავებად, ერობის სამმართველოთა თავმჯდომარეებად და წევრებად ახალი დებულების მიხედვით. საზოგადოებაში, რომელსაც განვითარებული აქვს მოქალაქეობრივ მოთხოვნილებათა და მოვალეობათა შეგნება (ყური დაუგდეთ, ბატონებო: ეს მართლაც ღირს ცნობილი რუსი პომპადურების, რომელიმე ბარანოვებისა ანდა კოსიჩების სიტყვებად!). წარმოუდგენელი იქნებოდა ასეთი ყოყმანიც, საქმისადმი ასეთი დამოკიდებულებაც, იმიტომ რომ ის ყოველ რეფორმას, თუკი მასში არის სასიცოცხლო მხარეები, თავისებურად მოუხდენდა ასიმილაციას, ე. ი. გამოიყენებდა და განავითარებდა მის იმ მხარეებს, რომლებიც მიზანშეწონილი არიან; გამოუსადეგ მხარეებს კი მკვდარ ანბანად აქცევდა; ხოლო თუ რეფორმაში სრულიად არ მოიპოვება სასიცოცხლო ძალა, ის სავსებით გარესხეულად დარჩებოდა».

ეშმაკმა უწყის, ეს რა არის! რაღაც იაფფასიანი ოპორტუნიზმი და ასე გულზვიადად კი გამოდის! ლიტერატურის ამოცანა ის ყოფილა, რომ შეჰკრიბოს სალონის ჭორები ბოროტ მარქსისტებზე, მოწიწებით მიესალმოს მთავრობას საბოლოო გაჩანაგებისაგან ხალხის ხსნისათვის, მიესალმოს ადამიანებს, რომელთაც მოსწყინდათ მწვანე მაგიდასთან ჯდომა, ასწავლოს «ხალხს» არ მოერიდოს ისეთ თანამდებობებსაც კი, როგორიცაა საერობო უფროსის თანამდებობა... ამას რას ეკითხულობ? «ნედელიას» თუ «ნოვოე ვრემიას»[7]? — არა, ეს «რუსსკოე ბოგატსტვოა», რუსეთის მოწინავე დემოკრატების ორგანო...

და ასეთი ვაჟბატონები მსჯელობენ «მამების იდეალებზე», პრეტენზიას აცხადებენ იმაზე, რომ ისინი, სწორედ ისინი ინახავენ იმ დროებათა ტრადიციებს, როცა საფრანგეთი მთელ ევრო-

ვაში ავრცელებდა სოციალიზმის იდეებს — და როცა ამ იდეების შეთვისება რუსეთში გერცენისა და ჩერნიშევსკის თეორიებსა და მოძღვრებას იძლეოდა. ეს უკვე სრული უმსგავსობაა, რომელიც მეტად აღმაშფოთებელი და შეურაცხმყოფელი იქნებოდა, «რუსსკოე ბოგატსტვო» რომ მეტად სასაცილო არ იყოს, ასეთი ჟურნალის ფურცლებზე მოთავსებული მსგავსი განცხადებები მხოლოდ ჰომერულ ხარხარს რომ არ იწვევდეს. დიახ, თქვენ სვრით ამ იდეალებს! მართლაც, რაში მდგომარეობდა ეს იდეალები პირველი რუსი სოციალისტებისა, იმ ეპოქის სოციალისტებისა, რომელიც ასე მოსწრებულად დაახასიათა კაუცკიმ სიტყვებით:

— «როცა ყოველი სოციალისტი იყო პოეტი და ყოველი პოეტი — სოციალისტი».

— რწმენა განსაკუთრებული წყობისადმი, რუსეთის ცხოვრების თემური წყობილებისადმი; აქედან — რწმენა გლეხური სოციალისტური რევოლუციის შესაძლებლობისა — აი რა აღაფრთოვანებდა მათ, რა იწვევდა ათეულ და ასეულ ადამიანთა გმირულ ბრძოლას მთავრობის წინააღმდეგ. და თქვენ არ შეგიძლიათ სოციალ-დემოკრატებს უსაყვედუროთ, რომ ისინი ვერ აფასებდნენ ამ, თავისი დროის საუკეთესო ადამიანების დიდ ისტორიულ დამსახურებას, ღრმა პატივისცემით არ ეპყრობოდნენ მათს ხსოვნას. მაგრამ გეკითხებით: სადღა არის ახლა იგი, ეს რწმენა? — ის აღარ არის, არ არის იმდენად, რომ როცა შარშან ბ-ნი ვ. ვ. შეეცადა ელა-პარაკნა იმაზე, რომ თემი სოლიდარული მოღვაწეობისათვის ამზადებს ხალხს, ალტრუისტულ გრძნობათა კერას წარმოადგენსო და სხვ., — თვით ბ-ნ მიხაილოვსკისაც კი შერცხვა და ბ-ნ ვ. ვ-ს მორცხვად უსაყვედურა, რომ «არ არსებობს ისეთი გამოკვლევა, რომელიც ამტკიცებდეს ჩვენი თემის კავშირს ალტრუიზმთან». და მართლაც, ასეთი გამოკვლევა არ არსებობს. მაგრამ მოიგონეთ: — იყო დრო, როცა ადამიანებს ყოველივე გამოკვლევის გარეშე სწამდათ და სწამდათ თავდადებით.

როგორ? რატომ? რა საბუთით?..

— «ყოველი სოციალისტი იყო პოეტი და ყოველი პოეტი — სოციალისტი»...

* * *

... ავიღოთ კიდევ მაგალითი საგლეხო რეფორმაზე მსჯელობათა სფეროდან. როგორ ეპყრობოდა მას დემოკრატი ზემოაღნიშნული ეპოქისა, როცა დემოკრატიზმი და სოციალიზმი განუყოფელი იყო,

სახელდობრ ჩერნიშევსკი? მას არ შეეძლო აშკარად გამოეთქვა თავისი შეხედულებანი, და იგი დუმდა, გადაკრულად კი ასე ახასიათებდა მომავალ რეფორმას:

«წარმოვიდგინოთ, რომ მე დაინტერესებული ვიყავი სახსრების მიღებით იმ სანოვაგის შესანახად, რომლის მარაგიდან თქვენი სადილი კეთდება. თავისთავად იგულისხმება, რომ თუ მე ამას პირადად თქვენდამი კეთილგანწყობილებით ვშვრებოდი, ჩემი გულმოდგინება დაფუძნებული იყო იმ მოსაზრებაზე, რომ სანოვაგე თქვენ გეკუთვნით და მისგან გაკეთებული სადილი საღია და გამოსადეგი თქვენთვის. ახლა წარმოიდგინეთ ჩემი გრძნობები, როცა მე ვიგებ, რომ სანოვაგე სრულიადაც თქვენ არ გეკუთვნით და რომ ყოველ სადილში, რომელიც ამ სანოვაგისაგან მზადდება, თქვენ იმდენ ფულს გართმევენ, რაც **თვით სადილი არათუ არა ღირს** (ეს დაწერილია რეფორმამდე. ბბ. იუქაკოვები კი ახლა გვარწმუნებენ, რომ რეფორმის ძირითადი პრინციპია გლეხების უზრუნველყოფა!!), **არამედ რის გადახდას თქვენ საზოგადოდ ვერ შესძლებთ უკიდურესი შევიწროების გარეშე.** რა აზრები ნომდის მე თავში ასეთი, ესოდენ უცნაური აღმოჩენის დროს?... რა სულელი ვყოფილვარ, რომ ისეთი საქმისთვის ვზრუნავდი, რომლის სასარგებლოდ გამოყენებისათვის უზრუნველყოფილი არ არის პირობები! სულელს გარდა ვინ იქნება, რომ იზრუნოს ამა თუ იმ პირის ხელში საკუთრების შენარჩუნებაზე, თუ წინასწარ არ დარწმუნდა, რომ საკუთრება სწორედ ამ პირს შეხვდება, და შეხვდება ხელსაყრელ პირობებში? ...უმჯობესია დაიღუპოს მთელი ეს სანოვაგე, რომელსაც **მხოლოდ ზიანი მოაქვს ჩემთვის საყვარელი ადამიანისათვის! უმჯობესია დაიღუპოს მთელი საქმე, რომელსაც თქვენთვის მხოლოდ გაღატაკება მოაქვს!»**

მე ხაზს ვუსვამ იმ ადგილებს, რომლებიც უფრო რელიეფურად გვიჩვენებენ, რა ღრმად და საუცხოოდ ესმის ჩერნიშევსკის თავისი დროის სინამდვილე, ესმის, თუ რა არის საგლეხო გადასახდელები,

ესმის რუსეთის საზოგადოებრივი კლასების ანტაგონისტურობა. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ ის ახერხებდა ცენზურის ქვეშ დაყენებულ პრესაში გამოეთქვა ასეთი წმინდა რევოლუციური იდეები. თავის არალეგალურ ნაწერებში იგი იმასვე სწერდა, ოღონდ პირდაპირ. «პროლოგის პროლოგში» ვოლგინი (რომლის პირითაც ჩერნიშევსკი თავის აზრებს გამოსთქვამს) ამბობს:

«დაე გლეხთა განთავისუფლების საქმე მემამულეთა პარტიის ხელში იქნას გადაცემული. განსხვავება დიდი როდია»*, და მოსაუბრის შენიშვნაზე, რომ, პირიქით, განსხვავება უზარმაზარია, ვინაიდან მემამულეთა პარტია წინააღმდეგია გლეხებისათვის მიწის გადაცემისაო, ის გადაჭრით უპასუხებს:

«არა, უზარმაზარი კი არა, უმნიშვნელოა. უზარმაზარი იქნებოდა, გლეხებს რომ მიწა უსასყიდლოდ მიეღოთ. გამოართმევთ კაცს ნივთს თუ დაუტოვებთ მას—ამაში განსხვავებაა, მაგრამ თუ მას ნივთის ფასს გამოართმევთ—სულ ერთია. მემამულეთა პარტიის გეგმა პროგრესისტების გეგმისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ უფრო მარტივი და მოკლეა. ამიტომ ის უკეთესიც კი არის. ნაკლები დაბრკოლებებია, ალბათ, ნაკლებ დამამძიმებელიცაა გლეხებისათვის. **გლეხთაგან ვისაც ფული აქვს, ის იყიდის თავისთვის მიწას. ვისაც ფული არა აქვს, ვერც დაავალდებულებ იყიდოს. ეს მხოლოდ გააჩანაგებს მათ. გამოყიდვა — იგივე ყიდვაა».**

საჭირო იყო სწორედ ჩერნიშევსკის გენიალობა, რომ იმ დროს, თვით საგლეხო რეფორმის მოხდენის ხანაში (როცა ის დასავლეთშიც კი არ იყო ჯერ კიდევ საკმაოდ გაშუქებული), ასე ნათლად გაეგო მისი ძირითადი ბურჟუაზიული ხასიათი, — გაეგო, რომ უკვე მაშინ რუსეთის «საზოგადოებასა» და «სახელმწიფოში» მეფობდნენ და მმართველობდნენ ისეთი საზოგადოებრივი კლასები, რომელნიც მუდამ მტრულად იყვნენ განწყობილნი მშრომელისადმი და უეჭველად წინასწარ განსაზღვრავდნენ გლეხობის გაჩანაგებასა და ექსპროპრიაციას. და ამასთანავე ჩერნიშევსკის ესმოდა, რომ იმ მთავრობის

---

* ციტატა მომყავს «სოციალ-დემოკრატში»[8] მოთავსებული პლეხანოვის სტატიიდან: «ნ. გ. ჩერნიშევსკი».

არსებობა, რომელიც ჩვენს ანტაგონისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას ჰფარავდა, წარმოადგენს საშინელ ბოროტებას, რაც განსაკუთრებით აუარესებს მშრომელთა მდგომარეობას.

«სიმართლე რომ ვთქვათ — განაგრძობს ვოლგინი — უჯობესია უმიწაწყლოდ გაათავისუფლონ». (ესე იგი თუ ჩვენში მებატონე-მემამულეები ამდენად ძლიერნი არიან, უმჯობესია აშკარად, პირდაპირ გამოვიდნენ, სთქვან სათქმელი, ვიდრე იგივე ბატონყმური ინტერესები თვალთმაქცური აბსოლუტური მთავრობის კომპრომისებში დამალონ.)

«საკითხი ისეა დასმული, რომ მე ვერ ვპოულობ მიზეზს გასაცხარებლად იმისთვისაც კი — განთავისუფლებულნი იქნებიან გლეხები თუ არა: მით უფრო ნაკლებ იმისთვის, ვინ გაათავისუფლებს მათ, ლიბერალები თუ მემამულეები. ჩემი აზრით, ეს სულ ერთია. უკეთესიც იქნება, თუ ამას მემამულეები იზამენ».

«უმისამართო წერილებიდან»: «ამბობენ: გლეხები გავათავისუფლოთო... სადაა ძალები ასეთი საქმისათვის? ჯერ კიდევ არ არის ძალები. არ შეიძლება საქმის დაწყება, როდესაც ამისათვის ძალები არ არის. ხომ ხედავთ, საით მიდის საქმე: დაიწყებენ განთავისუფლებას. რა გამოვა — თვითონ განსაჯეთ, რა გამოდის, როდესაც ხელს ჰკიდებ ისეთ საქმეს, რომლის გაკეთება არ შეგიძლია. გააფუჭებ საქმეს — გამოვა სისაძაგლე».

ჩერნიშევსკის ესმოდა, რომ რუსეთის ბატონყმურ-ბიუროკრატიულ სახელმწიფოს არ შეეძლო გლეხების განთავისუფლება, ე. ი. მებატონეების დამხობა, რომ მას შეეძლო მოეხდინა მხოლოდ «სისაძაგლე», საცოდავი კომპრომისი ლიბერალების (გამოყიდვა — იგივე ყიდვაა) და მემამულეების ინტერესებისა, კომპრომისი, რომელიც გლეხებს ატყუებს მოჩვენებითი უზრუნველყოფით და თავისუფლებით, ნამდვილად კი აღატაკებს მათ და მემამულეებს უგდებს ხელში. და ის პროტესტს აცხადებდა, სწყევლიდა რეფორმას, მარცხს უსურვებდა მას, სურდა, რომ მთავრობა გახლართულიყო თავის ეკვილიბრისტიკაში ლიბერალებსა და მემამულეებს შორის და საქმე ისეთი კრახით დამთავრებულიყო, რომელიც რუსეთს კლასთა აშკარა ბრძოლის გზაზე გამოიყვანდა.

ჩვენი თანამედროვე «დემოკრატები» კი ა ხ ლ ა — როცა ჩერნიშევსკის გენიალური წინასწარგანჭვრეტა ფაქტად იქცა, როცა 30 წლის ისტორიამ შეუბრალებლად გააქარწყლა ყოველგვარი ეკონომიური და პოლიტიკური ილუზიები — ქება-დიდებას უძღვნიან რეფორმას, «სახალხო» წარმოების სანქციად თვლიან მას, იქ როგორიღაც ისეთი გზის შესაძლებლობის დამტკიცების პოვნას ახერხებენ, რომელიც გ ვ ე რ დ ს ა უ ხ ვ ე ვ დ ა მშრომელისადმი მტრულად განწყობილ საზოგადოებრივ კლასებს. ვიმეორებ, დამოკიდებულება საგლეხო რეფორმისადმი — იმის ყველაზე უფრო თვალსაჩინო დამამტკიცებელია, თუ რა ღრმად გაბურჟუავდნენ ჩვენი დემოკრატები. ამ ვაჟბატონებმა ვერაფერი ისწავლეს, დავიწყებით კი ძალიან ბევრი რამ დაივიწყეს...

1894 წ. გაზაფხული — ზაფხული,
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 1,
გვ. 298, 305 — 309, 329 — 333

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

სტატიიდან
«ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ-ნ სტრუვეს წიგნში

(მარქსიზმის ასახვა ბურჟუაზიულ ლიტერატურაში)»

...როდესაც ნაროდნიკი ფაქტებს ასწერს, — ყოველთვის თვითონვე იძულებულია აღიაროს, რომ სინამდვილე კაპიტალს ეკუთვნის, რომ ნამდვილი ჩვენი ევოლუცია კაპიტალისტურია, რომ ძალა ბურჟუაზიის ხელშია. ეს ახლა აღიარა, მაგ., ჩვენმა ავტორმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ ჩვენში შეიქმნა «მეშჩანური კულტურა», რომ ხალხს სამუშაოზე წასვლას უბრძანებს ბურჟუაზია, რომ ბურჟუაზიული საზოგადოება მხოლოდ სტომაქის პროცესებით და ნასადილევის ძილით არის გართული, რომ «მეშჩანობამ» შექმნა ბურჟუაზიული მეცნიერება, ბურჟუაზიული ზნეობა, პოლიტიკის ბურჟუაზიული სოფიზმები, ბურჟუაზიული ლიტერატურაც კი.

და მიუხედავად ამისა მ თ ე ლ ი ნაროდნიკული მსჯელობა ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ამის საწინააღმდეგო მოსაზრებაზეა დამყარებული: რომ ძალა ბურჟუაზიის მხარეზე კი არა, «ხალხის» მხარეზეა. ნაროდნიკი ლაყბობს გზის არჩევაზე (და ამავე დროს აღიარებს ნამდვილი გზის კაპიტალისტურ ხასიათს), შრომის (რომელიც ბურჟუაზიის «გამგებლობაშია») განსაზოგადოებაზე, იმაზე, რომ სახელმწიფო ზნეობრივ და პოლიტიკურ თვალსაზრისზე უნდა დადგეს, რომ ხალხს ჭკუა სწორედ ნაროდნიკებმა უნდა ასწავლონ და სხვ., თითქოს ძალა უკვე მშრომელებს ან მათს იდეოლოგებს ეპყრათ, და ისღა დაგვრჩენოდეს, რომ მივუთითოთ ამ ძალის გამოყენების «მახლობელი», «მიზანშეწონილი» და სხვ. ზომები.

ყოველივე ეს ერთიანი გულისამრევი სიცრუეა. შეიძლებოდა

კიდევ ასეთი ილუზიებისათვის raison d'être * წარმოგვედგინა ნახევარი საუკუნის წინათ, იმ დროს, როდესაც პრუსიელი რეგირუნგსრატი[9] რუსეთში «თემის» აღმოჩენას შეუდგა, — მაგრამ დღეს, «თავისუფალი» შრომის 30 წელზე მეტი ხნის ისტორიის შემდეგ, ეს ან დაცინვაა, ანდა ფარისევლობა და მოთაფლული პირმოთნეობა.

მარქსიზმის ძირითადი თეორიული ამოცანა ამ კეთილგანზრახული და გულუბრყვილო სიცრუის დარღვევაში მდგომარეობს. იმათი უპირველესი მოვალეობა, ვისაც სურს მოძებნოს «გზები კაცობრიობის ბედნიერებისაკენ», არის არა თავისი თავის გაბიაბრუება, არამედ იმის გაბედულად და გულახდილად აღიარება, რაც არის.

და როდესაც მშრომელი კლასის იდეოლოგები გაიგებენ და შეიგრძნობენ ამას, — მაშინ ისინი აღიარებენ, რომ «იდეალებს» უნდა შეადგენდეს არა უკეთესი და მახლობელი გზების გამოძებნა, არამედ «საზოგადოებრივ კლასთა» იმ «სასტიკი ბრძოლის» ამოცანისა და მიზნების ჩამოყალიბება, რომელიც სწარმოებს ჩვენს თვალწინ ჩვენს კაპიტალისტურ საზოგადოებაში; რომ საკუთარ მისწრაფებათა წარმატება განიზომება არა შემუშავებით «საზოგადოებისა» და «სახელმწიფოსათვის», არამედ საზოგადოების განსაზღვრულ კლასში ამ იდეალების გავრცელების ოდენობით; რომ თვით უდიდესი იდეალები გახვრეტილ გროშად არა ღირს იმ დრომდე, ვიდრე განუყრელად არ შეგიერთებია ისინი თვით ეკონომიური ბრძოლის მონაწილეთა ინტერესებთან, არ შეგიერთებია ამა თუ იმ კლასის იმ «ვიწრო» და წვრილმან ყოველდღიურ საკითხებთან, როგორიცაა «შრომის სამართლიანი გასამრჯელოს» საკითხი, რომელთაც ასეთი ქედმაღლური ათვალწუნებით უყურებს მრავლისაღმთქმელი ნაროდნიკი.

...«მაგრამ ეს ცოტაა; გონებრივი განვითარება, როგორც ამას, სამწუხაროდ, ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ, კიდევ არ უზრუნველყოფს ადამიანს მტაცებლური ზრახვებისა და ინსტინქტებისაგან. ამიტომ დაუყოვნებლივ მიღებულ უნდა იქნეს ზომები სოფლის დასაცავად მტაცებლობისაგან, უპირველეს ყოვლისა, მიღებულ უნდა იქნეს ზომები ჩვენი თემის, როგორც თანაცხოვრების ისეთი ფორმის დასაცავად, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის არასრულყოფილ ზნეობრივ ბუნებას: თემი ერთხელ და სამუდამოდ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს. მაგრამ ესეც ცოტაა: თემს არ შეუძლია არსებობა მის დღევანდელ ეკონომიურ პირობებში და მძიმე გადასახადების გამო, ამიტომ საჭიროა ზომების მიღება გლეხთა მიწათმფლობელობის გასაფართოებლად, გადასახადთა შესამცირებლად, სახალხო მრეწველობის მოსაწყობად.

* — საფუძველი. რ ე დ.

აი ის საშუალებები კულაკობის წინააღმდეგ, რომლებზედაც მთელი რიგიანი ლიტერატურა უნდა შეთანხმდეს და დაიცვას ისინი. ეს საშუალებები, რა თქმა უნდა, ახალი არ არის; მაგრამ საქმე ისაა, რომ ერთგვარად ეს ერთადერთი საშუალებებია, რაშიც ჯერ კიდევ ყველა არ არის დარწმუნებული». (დასასრული.).

აი ამ მრავლისაღმთქმელი ნაროდნიკის პროგრამაც! ფაქტების აწერიდან დავინახეთ, რომ ყველგან ეკონომიურ ინტერესთა სრული წინააღმდეგობა მეღავნდება, — «ყველგან» არა მარტო იმ აზრით, რომ ქალაქადაც და სოფლადაც, თემის შიგნითაც და მის გარეთაც, ფაბრიკა-ქარხნებისა და «სახალხო» მრეწველობაშიც, არამედ სამეურნეო მოვლენათა ფარგლებს გარეთაც — ლიტერატურაშიც და «საზოგადოებაშიც», ზნეობრივ, პოლიტიკურ, იურიდიულ იდეათა სფეროში და სხვ...

1894 წლის დამლევი — 1895 დამდეგი,
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 1,
გვ. 467 — 469

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

წიგნიდან
«კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში»

მსხვილი მრეწველობის შინაური ბაზრის წარმოშობის პროცესი [10]

...აი ორი აზრი საზოგადოდ რუსი გლეხის ცხოვრების დონისა და პირობების შესახებ. მ. ე. სალტიკოვი «ცხოვრების წვრილმანებში» წერს «ყაირათიან გლეხზე» ...«გლეხს ყველაფერი სჭირდება; მაგრამ ყველაფერზე უფრო სჭირდება... უნარი წელში გაწყდეს, პირადი შრომა არ დაზოგოს... ყაირათიანი გლეხი პირდაპირ თავს აკლავს მას» (მუშაობას). «ცოლიც და მოზრდილი ბავშვებიც, ყველანი იტანჯებიან უფრო მეტად, ვიდრე კატორღაში».

ვ. ვერესაევი სტატიაში «ლიზარი» («სევ. კურიერი», 1899, № 1) მოგვითხრობს პსკოვის გუბერნიის გლეხზე — ლიზარზე, რომელიც ქადაგებდა წვეთების და სხვ. ხმარებას «ადამიანის შესამცირებლად». «შემდეგშიო, — აღნიშნავს ავტორი, — მე არაერთხელ მსმენია ერობის ბევრი ექიმისაგან და მეტადრე ბებია-ქალებისაგან, რომ მათთვის სოფელში ხშირად მიუმართავს ასეთი თხოვნით მრავალ ცოლ-ქმარს». «გარკვეული მიმართულებით მიმავალმა ცხოვრებამ გამოიყენა ყველა გზა და ბოლოს მიებჯინა გაუვალ ჩიხს. ამ ჩიხიდან გამოსავალი არ არის. აი ამიტომ ბუნებრივად ისახება და სულ უფრო და უფრო მწიფდება საკითხის ახალი გადაჭრა».

გლეხის მდგომარეობა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მართლაც, გამოუვალია და «ბუნებრივად» იწვევს თემურ რუსეთში, ისევე როგორც პარცელურ საფრანგეთში, არაბუნებრივს..., რა თქმა უნდა, «საკითხის გადაჭრას კი არა, არამედ არაბუნებრივ საშუალებას — დროებით გადაარჩინონ დაღუპვას წვრილი მეურნეობა...

* * *

...შეად. ამ პრიმიტიული ჩამოცურების აწერა ბ-ნ მამინ-სიბირიაკის მოთხრობაში — «მეგრძოლნი». ამ მწერლის ნაწარმოებებში მკაფიოდ იხატება ურალის განსაკუთრებული, თითქმის რეფორმისწინადროინდელი, ყოფაცხოვრება, — ქარხნებზე მიჯაჭვული მოსახლეობის უუფლებობა, უმეცრება და დამცირებულობა, «ბატონების» «კეთილსინდისიერი ყმაწვილური გარყვნილება», ადამიანთა იმ საშუალო ფენის (რაზნოჩინცები, ინტელიგენცია) არარსებობა რომელიც ასე დამახასიათებელია ყველა ქვეყნის, მათ შორის რუსეთის, კაპიტალისტური განვითარებისათვის.

1896 — 1899 წწ.

ბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 3. გვ. 471, 477

სტატიიდან «უკუსვლითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში»

... ნ. გ. ჩერნიშევსკი სწორედ იმიტომ დასცინოდა ასე დაუნდობლად «რუსი საზოგადოების მოწინავე ფენებს», რომ მათ არ ესმოდათ მთავრობისადმი ფორმალური მოთხოვნების წაყენების აუცილებლობა და გულგრილად უყურებდნენ, თუ როგორ იღუპებოდნენ მათი წრიდან გამოსული რევოლუციონერები თვითმპყრობელი მთავრობის რეპრესიების გამო. რ. მ.-ს ამ შემთხვევაში ისევე უაზროდ მოჰყავს ციტატები ჩერნიშევსკის თხზულებებიდან, როგორც უაზროა «ცალკე დამატების» [11] მეორე სტატიაში მოყვანილი აქა-იქ ამოგლეჯილი ნაწყვეტები ჩერნიშევსკის ნაწერებიდან, რომლებითაც ცდილობენ დაგვანახონ, თითქოს ჩერნიშევსკი არ ყოფილა უტოპისტი და თითქოს რუსმა სოციალ-დემოკრატებმა ვერ დააფასეს «დიდი რუსი სოციალისტის» მთელი მნიშვნელობა. პლეხანოვმა თავის წიგნში ჩერნიშევსკის შესახებ (სტატიები კრებულში «სოციალ-დემოკრატი», რომლებიც ცალკე წიგნად გამოიცა გერმანულად) საკუთარი შეაფასა ჩერნიშევსკის მნიშვნელობა და გამოარკვია მისი დამოკიდებულება მარქსისა და ენგელსის თეორიისადმი...

1899 წ. დამლევი
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 4,
გვ. 327 — 328

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

სტატიიდან
«დამშეულებთან ბრძოლა»

რა გასაოცარ მზრუნველობას იჩენს ჩვენი მთავრობა დამშეულებისადმი! რა გრძელი ცირკულარი (17 აგვისტოს) გამოუშვა შინაგან საქმეთა მინისტრმა დაზარალებულ გუბერნიათა გუბერნატორებისადმი! ეს არის მოცულობით ჩვეულებრივ სასტამბო ფურცელზე მეტი მთელი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც ბ-ნ სიპიაგინის პირით განმარტავს მთავრობის მთელ პოლიტიკას სასურსათო საქმეში. ეტყობა, ამ ნაწარმოების გამოქვეყნებით ვარაუდობდნენ შთაბეჭდილება მოეხდინათ «საზოგადოებაზე»: აი, ხომ ხედავთ, რა მზრუნველობას ვიჩენთ, როგორ ვიჩქარით დახმარების ზომების მიღებას, როგორ ვითვალისწინებთ წინასწარ როგორც სასურსათო დაწესებულებათა ორგანიზაციას, ისე მათი მოქმედების ყველა სახეს და მსარესო. და უნდა გამოვტყდეთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცირკულარი მართლაც შთაბეჭდილებას ახდენს არა მარტო თავისი სიდიდით, არამედ (თუ მოთმინება გეყოფათ და ბოლომდე წაიკითხავთ) თავისი შინაარსითაც. მთავრობის პროგრამის გულახდილი გადმოცემა მუდამ საუკეთესო იარაღს იძლევა მეფის მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციისათვის — და მოწიწებით მადლობას ვუცხადებთ რა ბ-ნ სიპიაგინს, ვბედავთ ვურჩიოთ დანარჩენ ბატონ მინისტრებსაც ხშირ-ხშირად ილაპარაკონ თავიანთ პროგრამაზე საყოველთაო ცნობისათვის გამოქვეყნებულ ცირკულარებში.

ჩვენ ვთქვით: თუ მოთმინება გეყოფათ და ბოლომდე წაიკითხავთ ბ-ნ სიპიაგინის ცირკულარსაო. მოთმინება კი ამისათვის დიდია საჭირო, ვინაიდან ცირკულარის სამი მეოთხედი... — რა სათქმელია! ცხრა მეათედი — სავსეა ჩვეულებრივი გაცვეთილი ფუტსიტყვაობით. დიდი ხნის ცნობილი და თვით «კანონთა კრებულში» ათასჯერ განმეორებული ამბების ღეჭვა, ერთი და იმავე ადგილის ტკეპნა.

Ჭანდარინთა ურთიერთდამოკიდებულების ჩინური ცერემონიალის დაწვრილებითი აღწერა, ჩინებული კანცელარიული სტილი 36-სტრიქონიანი პერიოდებით და «ენამჭევრობით», რითაც გული გეტკინება მშობლიური რუსული ენისათვის, — როდესაც დაკვირვებით კითხულობ ამ მშვენიერებას, თავს თითქოს რუსეთის საპოლიციო უბანში გრძნობ, სადაც კედლები აშმორებულია, ყოველი მხრივ მოდის რაღაც სპეციფიკური სიმყრალე, მოხელენი მარტო თავის გამომეტყველებით და ქცევით — ყოვლად აუტანელი ბიუროკრატობის განხორციელებას წარმოადგენენ, ხოლო ფანჯრიდან, რომ ეზოში შენობები მოჩანს, ცოცხლად გაგონებენ საწამებელ ადგილს...

დაბეჭდილია 1901 წლის ოქტომბერში, თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 5, გვ. 288 — 289

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ჟურნალ «სვოგბოდას» შესახებ

პაწია ჟურნალი «სვობოდა» ყოვლად უვარგისია. მის ავტორს — ჟურნალი სწორედ ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს თავიდან ბოლომდე ერთი პირის დაწერილი იყოს — «მუშებისათვის» პოპულარულად წერის პრეტენზია აქვს. მაგრამ ეს არის არა პოპულარობა, არამედ დაბალი ხარისხის პოპულარობანა. ერთ უბრალო სიტყვასაც ვერ იპოვით, სულ მანჭიობაა... ავტორი ერთ ფრაზასაც არ იტყვის ისე, თუ ღვლარჭნილი სიტყვები, «ხალხური» შედარებები და «ხალხური» გამოთქმები არ იხმარა. და ასეთი მახინჯი ენით იღეჭება განგებ გავულგარებული გაცვეთილი სოციალისტური აზრები ისე, რომ არავითარი ახალი ცნობები, ახალი მაგალითები, ახალი დამუშავება არა ჩანს. პოპულარიზაცია, ვეტყოდით ჩვენ ავტორს, ძალიან დაშორებულია ვულგარიზაციას, პოპულარობანას. პოპულარული მწერალი, სულ უბრალო და საყოველთაოდ ცნობილი ცნობები რომ მოჰყავს, მარტივი მსჯელობით ან ოსტატურად შერჩეული მაგალითებით რომ აღნიშნავს ამ ცნობებიდან გამოყვანილ მთავარ დასკვნებს, ამით მკითხველს უღვიძებს ღრმა აზრებს, მის წინაშე შლის ღრმა მოძღვრებას და მოაზროვნე მკითხველს აღუძრავს ახალ-ახალ კითხვას. პოპულარული მწერალი ისეთ მკითხველს როდი გულისხმობს, რომელიც არ აზროვნებს, რომელსაც არ სურს იაზროვნოს ან ამის უნარი არ შესწევს, — პირიქით, განუვითარებელი მკითხველის სახით მას წარმოდგენილი აქვს გონებრივი მუშაობის სერიოზული განზრახვა და ეხმარება მას შეასრულოს ეს სერიოზული და ძნელი სამუშაო, ხელმძღვანელობას უწევს, შველის პირველი ნაბიჯების გადადგმაში და ასწავლის როგორ განაგრძოს გზა დამოუკიდებლად. ვულგარული მწერალი გულისხმობს ისეთ მკითხველს, რომელიც თავს არ იტკი-

ვებს აზროვნებით და რომელსაც არც უნარი შესწევს აზროვნებისა, იგი მკითხველს კი არ უღვიძებს აზრს — გაეცნოს სერიოზული მეცნიერების საწყისებს, არამედ დამახინჯებულ-გამარტივებული, ოხუნჯობითა და ლათაიებით შეზავებული სახით აწვდის მას «მზამზარეულად» ამა თუ იმ მოძღვრების ყ ვ ე ლ ა დასკვნას, ასე რომ მკითხველს ღეჭვაც კი არ სჭირდება, მხოლოდ გადასანსლავს ამ დომხალს.

1901 წლის შემოდგომა
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 5,
გვ. 386 — 387

იბეჭდება თხზულებათა
ტექსტის მიხედვით

წიგნიდან
«რა ვაკეთოთ?»

«ჩვენი მოძრაობის საბირბოლოტო საკითხები»

... რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ნაციონალური ამოცანები ისეთია, რანაირიც მსოფლიოში ჯერ არც ერთ სოციალისტურ პარტიას არა ჰქონია. ქვემოთ ჩვენ მოგვიხდება ლაპარაკი იმ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მოვალეობებზე, რომლებსაც გვაკისრებს თვითმპყრობელობის უღლისაგან მთელი ხალხის განთავისუფლების ეს ამოცანა. ახლა კი მხოლოდ იმაზე გვინდა მივუთითოთ, რომ მ ო წ ი ნ ა ვ ე მ ე ბ რ ძ ო ლ ი ს რ ო ლ ი ს შ ე ს რ უ ლ ებ ა შ ე უ ძ ლ ი ა მ ხ ო ლ ო დ ი ს ე თ პ ა რ ტ ი ა ს, რ ო მ ე ლ ი ც მ ო წ ი ნ ა ვ ე თ ე ო რ ი ი თ ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ს. ხოლო რამდენადმე მაინც კონკრეტულად რომ წარმოიდგინოს მკითხველმა, თუ რას ნიშნავს ეს, მოიგონოს რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ისეთი წინამორბედნი, როგორიც იყვნენ გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი და 70-იანი წლების რევოლუციონერთა ბრწყინვალე პლეადა; დაუფიქრდეს იმ მსოფლიო მნიშვნელობას, რომელსაც ახლა იხვეჭს რუსული ლიტერატურა; დაუფიქრდეს... მაგრამ ესეც საკმარისია!..

* * *

... და ჩვენ რომ მართლა მოვახერხებდეთ იმის მიღწევას, რომ ყველა ადგილობრივმა კომიტეტმა, ადგილობრივმა ჯგუფმა და წრემ ან მათმა დიდმა უმრავლესობამ აქტიურად მოჰკიდოს ხელი საერთო საქმეს, სულ ახლო მომავალში გამოვცემდით ყოველკვირეულ გაზეთს, რომელიც რეგულარულად ათიათასობით გავრცელდებოდა მთელ რუსეთში. ეს გაზეთი გახდებოდა იმ უზარმაზარი სამჭედლო საბერვლის ნაწილად, რომელიც კლასობრივი ბრძოლისა და სახალხო აღშფოთების ყოველ ნაპერწკალს საყოველთაო ხანძრად გადააქ-

ცევდა. ამ, თავისთავად ჯერ კიდევ ძალიან უბრალო და ძალიან მცირე, მაგრამ რეგულარული და ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით ს ა ე რ თ ო საქმის გარშემო სისტემატურად შეირჩეოდა და გაიწვრთნებოდა გამოცდილ მებრძოლთა მუდმივი არმია. ამ საერთო ორგანიზაციული შენობის ხარაჩოებით თუ ფიცარნაგებით ჩვენი რევოლუციონერებიდან მალე წარმოიშობოდნენ და დაწინაურდებოდნენ სოციალ-დემოკრატი ჟელიაბოვები, ჩვენი მუშებიდან — რუსი ბებელები, რომელნიც სათავეში ჩაუდგებოდნენ მობილიზებულ არმიას და მთელ ხალხს აამხედრებდნენ რუსეთის სირცხვილისა და შეჩვენების აღსაგველად.

აი რაზე უნდა ვიოცნებოთ!

* * *

«უნდა ვიოცნებოთ!» დავწერე ეს სიტყვები და შემეშინდა. წარმოვიდგინე, რომ ვიმყოფები «გამაერთიანებელ ყრილობაზე», ჩემს პირდაპირ სხედან «რაბოჩეე დელოს» რედაქტორები და თანამშრომლები. და აი დგება ამხანაგი მარტინოვი და მრისხანედ მომმართავს: «ნება მიბოძეთ, გკითხოთ, აქვს კიდევ ავტონომიურ რედაქციას უფლება იოცნებოს პარტიის კომიტეტების წინასწარ დაუკითხავად?». მარტინოვის შემდეგ კი დგება ამხანაგი კრიჩევსკი და (ფილოსოფიურად აღრმავებს რა ამხანაგ მარტინოვს, რომელმაც დიდი ხანია უკვე გააღრმავა ამხანაგი პლეხანოვი) კიდევ უფრო მრისხანედ განაგრძობს: «მე უფრო შორს მივდივარ. გეკითხებით, აქვს კი საერთოდ მარქსისტს უფლება იოცნებოს, თუ ის არ ივიწყებს, რომ მარქსის მიხედვით კაცობრიობა ყოველთვის განსახორციელებელ ამოცანებს ისახავს და რომ ტაქტიკა იმ ამოცანების ზრდის პროცესია, რომლებიც პარტიასთან ერთად იზრდებიან?».

ამ მრისხანე კითხვების უბრალო გახსენებაც კი ერუანტელსა მგვრის ტანში, და ვფიქრობ მხოლოდ, — სად დავიმალო, ვის ამოვეფარო. შევეცდები ამოვეფარო პისარევს.

«უთანხმოებაც არის და უთანხმოებაც. — წერდა პისარევი ოცნებასა და სინამდვილეს შორის არსებული უთანხმოების საკითხის გამო. — ჩემს ოცნებას შეუძლია წინ გაუსწროს მოვლენათა ბუნებრივ მსვლელობას, ან მას შეუძლია გაინავარდოს სულ განზე, იქითკენ, სადაც ვერასოდეს ვერ მიაღწევს მოვლენათა ვერავითარი ბუნებრივი მსვლელობა. პირველ შემთხვევაში ოცნებას არავითარი ზიანი არ მოაქვს; მას შეუძლია გაამაგროს და გააძლიეროს კიდეც

მშრომელი ადამიანის ენერგია... ასეთ ოცნებაში ისეთი არაფერია, რასაც შეუძლია შერყვნას ან მოადუნოს სამუშაო ძალა. სრულიად პირიქით. ადამიანი რომ სავსებით მოკლებული იყოს ამგვარი ოცნების უნარს, მას რომ არ შეეძლოს ხანდახან წინ გაუსწროს და გონებით წარმოიდგინოს მთლიან და დასრულებულ სურათში სწორედ ის ქმნილება, რომელიც ეს-ეს არის ისახება მის ხელში, — მაშინ მე სრულებით არ ძალმიძს წარმოვიდგინო, რა აღმძვრელი მიზეზი აიძულებდა ადამიანს დაეწყო და დაესრულებინა უდიდესი და დამქანცველი სამუშაოები ხელოვნების, მეცნიერებისა და პრაქტიკული ცხოვრების სფეროში... ოცნებასა და სინამდვილეს შორის უთანხმოებას არავითარი ზიანი არ მოაქვს, თუკი მეოცნებე პიროვნებას სერიოზულად სწამს თავისი ოცნება, თუ ის ყურადღებით უკვირდება ცხოვრებას, თავის დაკვირვებას ადარებს თავის საოცნებო კოშკებს და საზოგადოდ კეთილსინდისიერად მუშაობს თავისი ფანტაზიის განსახორციელებლად. როდესაც რაიმე კავშირი არსებობს ოცნებასა და ცხოვრებას შორის, მაშინ ყველაფერი თავის რიგზეა». [12]

აი სწორედ ასეთი ოცნება, სამწუხაროდ, ძალიან ცოტაა ჩვენს მოძრაობაში. და ამაში ყველაზე მეტად დამნაშავენი არიან ლეგალური კრიტიკისა და არალეგალური «მაჩანჩალობის» წარმომადგენელნი...

1901 წლის შემოდგომა — 1902 წლის თებერვალი, თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 5, გვ. 461 — 462, 648 — 650.

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

სტატიიდან
«პლეხანოვი და ვასილიევი»

... ვასილიევი თვალსაჩინო მენშევიკია. ის მუშაობდა მენშევიკებთან ერთად, ამასთან არა შემთხვევით მენშევიკებთან რომელიმე მივარდნილ კუთხეში, არამედ უაღრესად თვალსაჩინო და უაღრესად პასუხისმგებელ მენშევიკებთან ერთად. ამიტომ მენშევიკებს *არა აქვთ უფლება* ათვალწუნებით მოეპყრან ვასილიევს.

და ვასილიევი პირდაპირ იმოწმებს პლეხანოვს. კიდევ მეტი. ის პირდაპირ *ეყრდნობა* მას. ის პლეხანოვის გამოსვლას კადეტურ პრესაში კადეტებთან საერთო პლატფორმის წინადადებით, რომელმაც სახელი გაუტეხა ს.-დ, პარტიას, — «მამაცურ შეძახებას» უწოდებს. ის «ნანობს», რომ «სხვა პარტიებს პლეხანოვები არა ჰყავთ».

ვასილიევს გულმოდგინება დიდი აქვს, ჭკუა კი პატარა. უნდოდა პლეხანოვი შეეყო და მის შესაქებად წამოაყრანტალა: «სხვა პარტიებს, სამწუხაროდ, პლეხანოვები არა ჰყავთო». ეს დიდებულია! კეთილი ვასილიევი გახდა ინიციატორი სიტყვა «პლეხანოვების» ხმარებისა *საზოგადო* აზრით, თავისი პარტიის დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე მოქმედი პოლიტიკოსების აზრით. ამიერიდან, ალბათ, იტყვიან: «*პლეხანოვები* ამ სიტყვის *ვასილიევისებური* აზრით»...

მხარზე ხელს რომ უთათუნებენ «პლეხანოვებს», ვასილიევები დაუფარავად ამჟღავნებენ თავიანთ ზრახვებს. 1899 წელს «Credo»[13]-ს ავტორები, ბატონი პროკოპოვიჩები და კომპ., ლაპარაკობდნენ წმინდა მუშურ მოძრაობაზე, რომელიც რევოლუციური ბაცილით არ იქნებოდა მოშხამული. ვასილიევები ლაპარაკობენ რევოლუციაზე, რომელმაც უნდა შობოს «კონსტიტუცია» და მეტი არაფერი, შობოს *ყოველგვარი* ბებიის დაუხმარებლად, ურე-

ვოლუციონერებოდ. არ უნდა იყვნენ არც ბებიები, არც რევოლუციონერები, არც რევოლუციური ხალხი, — აი ვასილიევის ლოზუნგი.

შჩედრინმა ოდესღაც კლასიკურად დასცინა საფრანგეთს, რომელმაც კომუნარები დახვრიტა, — რუსეთის ტირანების წინაშე მლიქვნელ ბანკირთა საფრანგეთს, — როგორც რესპუბლიკას ურესპუბლიკელებოდ [14]. დროა გამოჩნდეს ახალი შჩედრინი, რომ სასაცილოდ აიგდოს ვასილიევი და მენშევიკები, რომელნიც იცავენ რევოლუციას ლოზუნგით — «არც» რევოლუციონერები და «არც» რევოლუცია...

დაბეჭდილია 1907 წ. 7 იანვარს
თხზულებანი, გამოც. მე-4,
ტ. 11, გვ. 510 — 511

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

ნაშრომიდან «მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში აგრარულ საკითხზე წარმოსათქმელი სიტყვის პროექტი» [15]

... ამ ჩემი აზრის ნათელსაყოფად დავასახელებ ერთ მაგალითს იმ უთვალავი მაგალითებიდან, რომლებითაც სავსეა ლიტერატურა გლეხთა და მემამულეთა მეურნეობის შესახებ. არსებობს მიწათმოქმედების დეპარტამენტის ვრცელი გამოცემა, რომელიც 90-იან წლებს მიეკუთვნება და ემყარება მ ე პ ა ტ რ ო ნ ე ე ბ ი ს ა გ ა ნ მ ი ღ ე ბ უ ლ ცნობებს მემამულური მეურნეობის სისტემის შესახებ რუსეთში («მეპატრონეებისაგან მიღებული სასოფლო-სამეურნეო და სტატისტიკური ცნობები». მიწათმოქმედების დეპარტამენტის გამოცემა. ნაკვეთი V. სპბ. 1892). ეს ცნობები დაუმუშავებია ბ-ნ ს. ა. კოროლენკოს — ვ. გ. კოროლენკოდ არ მიიღოთ; არა პროგრესული მწერალი, არამედ რეაქციული მოხელე — აი ვინ **არის ეს** ბ-ნი ს. ა. კოროლენკო...

* * *

გლეხთა «განთავისუფლებისა» და 1861 წლის ავად მოსაგონარი **«გამოყიდვის»** შესახებ დიდი რუსი მწერალი, რუსეთის ერთ-ერთი პირველი სოციალისტი, მთავრობის ჯალათების ხელით წამებული ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკი წერდა: უმჯობესი იქნებოდა გლეხთა და მემამულეთა ნებაყოფლობითი მორიგება, ვიდრე ასეთი «გამოყიდვით განთავისუფლება» მემამულეთა საგუბერნიო კომიტეტების საშუალებით *. მიწის ყიდვის შესახებ ნებაყოფლობითი მორიგების დროს გლეხებს იმდენს ვ ე რ ააძრობენ, რამდენიც მათ **მთავრობის** მიერ გლეხთა და მემამულეთა «მორიგების» საშუალებით ააძვრესო.

1907 წ. 21 — 25 მარტს (3 — 7 აპრილს) შუა თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 12, გვ. 321

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

---

* კარგი იქნებოდა ზუსტი ციტატის მონახვა: მგონი, «უმისამართო წერილებში» ან კიდევ სადღაც უნდა იყოს [16].

სტატიიდან «მოზეიმე უხამსობა ანუ გოკადეტო ესერები»

... სამწუხაროა, რომ შჩედრინი ვერ მოესწრო რუსეთის «დიდ» რევოლუციას. იგი ალბათ, ახალ თავს მიუმატებდა «ბატონ გოლოვლევებს», იგი გვიჩვენებდა იუდუშკას, რომელიც ამშვიდებს გაწკეპლილ, ნაცემ-ნაგვემ, ბ'მიერ, დამონებულ გლეხს: შენ უკეთესობას მოელი? შენ გულგატეხილი ხარ, იმიტომ რომ არ შეცვლილა წესები, რომლებიც ემყარება შიმშილს, ხალხის დახვრეტას, წკეპლას და მათრახს? შენ უჩივი «ფაქტების უქონლობას»? უმადურო! მაგრამ სწორედ ეს ფაქტების უქონლობა ხომ უდიდესი მნიშვნელობის ფაქტია! ეს ხომ შენი ნების ჩარევის შეგნებული შედეგია, რომ ლიდვალები [17] წინანდებურად ბატონობენ, რომ გლეხები მშვიდად წვებიან გასაწკეპლად და არ ეძლევიან მავნე ოცნებას «ბრძოლის პოეზიაზე».

შავრაზმელები ძნელია არ გძულდეთ: გრძნობა აქ უკვე მოკვდა, როგორც კვდება ის, ამბობენ, ომში მთელი წყება ბრძოლების შემდეგ, ადამიანების წინააღმდეგ სროლის ხანგრძლივი გამოცდილებისა და აფეთქებულ გრანატებსა და მოზუზუნე ტყვიებში ყოფნის შემდეგ. ომი — ომია, და შავრაზმელთა წინააღმდეგ ყველგან მიმდინარეობს აშკარა, ჩ ვ ე უ ლ ი ო მ ი.

მაგრამ კადეტ იუდუშკა გოლოვლევს შეუძლია სიძულვილისა და ზიზღის ყველაზე მწვავე გრძნობის გამოწვევა. ამ «ლიბერალურ» მემამულეს და ბურჟუაზიულ ადვოკატს ხომ უსმენენ, უსმენენ გლეხებიც კი. ის ხომ ნამდვილად თვალს უხვევს ხალხს, ნამდვილად აყეყეჩებს ადამიანებს!..

1907 წ. 3 (16) აპრილი
თხზულებანი, გამოც. მე-4,
ტ. 12, გვ. 415

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

გრაფ გეიდენის ხსოვნას

(რას ასწავლიან ხალხს ჩვენი უპარტიო «დემოკრატები»?) [18]

«მთელი პროგრესული პრესა ღრმა მწუხარებით შეხვდა იმ მძიმე დანაკლისს, რომელიც რუსეთმა განიცადა გრაფ პ. ა. გეიდენის სახით. პეტრე ალექსანდრეს-ძის მშვენიერი პიროვნება იზიდავდა ყველა პატიოსან ადამიანს განურჩევლად პარტიებისა და მიმართულებებისა. იშვიათი და ბედნიერი ხვედრია!!!» შემდეგ მოყვანილია ვრცელი ციტატი მემარჯვენე კადეტების «რუსსკიე ვედომოსტიდან» [19], სადაც «საუცხოო ადამიანის» ცხოვრებითა და მოღვაწეობით გულაჩვილებულია თავადი პავ. დიმ. დოლგორუკოვი, ერთერთი იმ დოლგორუკოვთა ჯიშიდან, რომლის წარმომადგენლებმაც პირდაპირ აღიარეს, თუ რა არის მათი დემოკრატიზმის ფესვები! უმჯობესია მშვიდობიანად მოვაგვაროთ საქმე გლეხებთან, ვიდრე დავუცადოთ, სანამ ისინი თვითონ დაიტაცებდნენ მიწასო... «ჩვენ გულწრფელად ვიზიარებთ მწუხარების გრძნობებს, რაც გრაფ გეიდენის სიკვდილმა გამოიწვია ყველაში, ვინც მიჩვეულია ა დ ა მ ი ა ნ ი ს დაფასებას, რა პარტიულ სამოსელშიც უნდა გვევლინებოდეს იგი. ხოლო განსვენებული გეიდენი უწინარეს ყოვლისა სწორედ ა დ ა მ ი ა ნ ი იყო».

ასე წერს გაზეთი «ტოვარიშჩი» [20] № 296, სამშაბათი, 1907 წ. 19 ივნისი.

«ტოვარიშჩის» პუბლიცისტები არა მარტო უაღრესად თავგამოდებული დემოკრატები არიან ჩვენს ლეგალურ პრესაში. ისინი თავიანთ თავს სოციალისტებად თვლიან, — რა თქმა უნდა, კრიტიკულ სოციალისტებად. ისინი თითქმის სოციალ-დემოკრატები არიან; და მენშევიკები — პლეხანოვი, მარტოვი, სმირნოვი, პერეიასლავსკი, და-

ნი და სხვ., და სხვ., უგულითადესი სტუმართმოყვარეობით სარგებლობენ იმ გაზეთში, რომლის სვეტებსაც თავიანთი ხელმოწერით ამშვენებენ ბატონი პროკოპოვიჩი, კუსკოვა, პორტუგალოვი და სხვა «ყოფილი მარქსისტები». ერთი სიტყვით ყოველივე ეპეს გარეშეა, რომ «ტოვარიშჩის» პუბლიცისტები უაღრესად «მემარცხენე» წარმომადგენლები არიან ჩვენი «განათლებული», ვიწრო იატაკქვეშ მუშაობისაგან განზე მდგომი, «დემოკრატიული» და სხვ. საზოგადოებისა.

და როდესაც თვალში გვხვდება ისეთი სტრიქონები, როგორიც ზემოთ არის მოყვანილი, — ძნელია თავი შეიკავო და გაკვირვება არ გამოთქვა ამ ვაჟბატონების მისამართით: რა ბედნიერებაა, რომ ჩვენ, ბოლშევიკები, შეგნებულად არ ვეკუთვნოდით «ტოვარიშჩის» რიგიან ადამიანთა წრეს!

ბატონო «რიგიანო ადამიანებო» რუსეთის განათლებული დემოკრატიისა! თქვენ აჩლუნგებთ რუს ხალხს და სწამლავთ მას მლიქვნელობისა და მონური მორჩილების მიაზმებით ათასჯერ უფრო მეტად, ვიდრე ყბადაღებული შავრაზმელები, პურიშკევიჩი, კრუშევანი, დუბროვინი, რომლების წინაალმდეგაც თქვენ ასეთ ბეჯით, ასეთ ლიბერალურ, ასეთ იაფფასიან, ასეთ ხელსაყრელსა და თქვენთვის უშიშარ ომს აწარმოებთ. თქვენ მხრებს იჩეჩთ და დამცინავი ღიმილით მიმართავთ თქვენი საზოგადოების ყველა «რიგიან ადამიანს» ეგზომ «უაზრო პარადოქსების» გამო? დიახ, დიახ, ჩვენ მშვენივრად ვიცით, რომ არაფერს არ შეუძლია ქვეყნად შეარყიოს თქვენი უხამსი ლიბერალური თვითკმაყოფილება. ჩვენც სწორედ იმიტომ ვართ გახარებული, რომ შევძელით მთელი ჩვენი საქმიანობით მაგარი კედლით გავმიჯნოდით რუსეთის განათლებული საზოგადოების რიგიან ადამიანთა წრეს.

შეიძლება თუ არა მოვნახოთ იმის მაგალითები, რომ შავრაზმელებმა გახრწნეს და თავგზა აუბნიეს მოსახლეობის რამდენადმე მაინც ფართო ფენებს? არა.

არც მათ პრესას, არც მათ კავშირს, არც მათ კრებებს, არც I თუ II სათათბიროს არჩევნებს არ შეეძლო ასეთი მაგალითები მოეცა. შავრაზმელები აბორტებენ ხალხს ძალადობითა და სიმხეცით, რაშიც მონაწილეობას იღებს პოლიცია და ჯარი. შავრაზმელები სიძულვილსა და ზიზღს იწვევენ თავიანთი თაღლითობით, ვერაგობით, მოყიდვით. შავრაზმელები მთავრობის ფულით აწყობენ ლოთების ჯგუფებსა და ბრბოებს, რომლებსაც მხოლოდ პოლიციის ნებართვითა და მისი წაქეზებით შეუძლიათ იმოქმედონ. ყოველივე ეს ოდ-

ნავ საშიშ იდეურ გავლენასაც კი არ ახდენს მოსახლეობის ცოტად თუ ბევრად ფართო ფენებზე.

და, პირიქით, ამდენადვე უეჭველია, რომ ასეთ გავლენას ახდენს ჩვენი ლეგალური, ლიბერალური და «დემოკრატიული» პრესა. I და II სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები, კრებები, კავშირები, სასწავლო საქმე — ყველაფერი ამტკიცებს ამას. ხოლო «ტოვარიშჩის» მსჯელობა გეიდენის სიკვდილის გამო ცხადყოფს, თუ როგორია ეს იდეური გავლენა.

...«მძიმე დანაკლისი... მშვენიერი პიროვნება... ბედნიერი ხვედრი... უწინარეს ყოვლისა ადამიანი იყო».

მემამულე გრაფი გეიდენი, კეთილშობილურად ლიბერალობდა ოქტომბრის რევოლუციამდე [21]. ხალხის პირველი გამარჯვებისთანავე, 1905 წლის 17 ოქტომბრის შემდეგ, იგი სრულიად უყოყმანოდ გადავიდა კონტრრევოლუციის ბანაკში, ოქტიაბრისტების [22] პარტიაში, გლეხებისა და დემოკრატიის წინააღმდეგ გაბოროტებული მემამულისა და მსხვილი კაპიტალისტის პარტიაში. I სათათბიროში ეს კეთილშობილი გვამი მთავრობას იცავდა, ხოლო I სათათბიროს გარეკვის შემდეგ მოლაპარაკებას აწარმოებდა, — მაგრამ შეთანხმებას ვერ მიაღწია, — სამინისტროში მონაწილეობის შესახებ, ასეთია ამ ტიპიური კონტრრევოლუციური მემამულის კარიერის ძირითადი უდიდესი ეტაპები.

და აი გამოდიან რიგიანად ჩაცმული, განათლებული და სწავლული ვაჟბატონები, რომლებსაც პირზე აკერიათ ლიბერალიზმი. დემოკრატიზმი, სოციალიზმი და სიტყვით თანაგრძნობას უცხადებენ თავისუფლების საქმეს, გლეხთა ბრძოლას მიწისათვის მემამულეების წინააღმდეგ, — ვაჟბატონები, რომლებიც პრესაში, კავშირებში, კრებებზე, არჩევნებში ფაქტიურად სარგებლობენ ლეგალური ოპოზიციის მონოპოლიით და, აღაპყრობენ რა თვალებს ზეცად, უქადაგებენ ხალხს: «იშვიათი და ბედნიერი ხვედრია!.. განსვენებული გრაფი უწინარეს ყოვლისა ა დ ა მ ი ა ნ ი იყო».

დიახ, გეიდენი იყო არა მარტო ადამიანი, არამედ მოქალაქეც, რომელსაც უნარი ჰქონდა ამაღლებულიყო თავისი კლასის საერთო ინტერესების შეგნებამდე და დაეცვა ეს ინტერესები ფრიად ჭკვიანურად. ხოლო თქვენ, ბატონო განათლებულო დემოკრატებო, თქვენ ხართ მხოლოდ ტირია რეგვნები, რომლებიც ლიბერალური გლახაობით ჰფარავთ იმას, რომ არ შეგწევთ უნარი; — იყოთ სხვა რამ, თუ არა კულტურული ლაქიები იმავე მემამულეთა კლასისა.

მემამულეების გავლენა ხალხზე საშიში არ არის. მუშათა და თუ გინდ გლეხთა ცოტად თუ ბევრად ფართო მასების მოტყუილებას დიდი ხნით ისინი ვერასოდეს ვერ შესძლებენ. მაგრამ გავლენა ინ-ტ ე ლ ი გ ე ნ ც ი ი ს ა, რომელიც უშუალო მონაწილეობას არ იღებს ექსპლოატაციაში, გაწვრთნილია ზოგადი სიტყვების და ცნებების მომარჯვებაში, ელოლიავება ყოველგვარ «კარგ» აღთქმებს და ზოგჯერ თავის კლასთაშორისო მდგომარეობას გულწრფელი გონებასიჩლუნგით აქცევს არაკლასობრივი პარტიებისა და არაკლასობრივი პოლიტიკის პ რ ი ნ ც ი პ ა დ, — ამ ბურჟუაზიული ინტელიგენციის გავლენა ხალხზე საშიშია. აქ და მხოლოდ აქ არის ფართო მასების მოწამვლა, რასაც შეუძლია მოიტანოს ნამდვილი ზიანი, რაც მოითხოვს სოციალიზმის მთელი ძალების დაძაბვას ამ საშამლავის წინააღმდეგ საბრძოლველად.

— გეიდენი განათლებული, კულტურული, ჰუმანური, შემწყნარებელი ადამიანი იყო, — აღტაცებით ლაპარაკობენ ლიბერალური და დემოკრატიული დოყლაპიები, რომლებსაც თავი ისე წარმოუდგენიათ, თითქოს მაღლა იდგნენ ყოველგვარ «პარტიულობაზე», თითქოს «საერთოსაკაცობრიო» თვალსაზრისამდე ამაღლებულიყვნენ.

სცდებით, უპატივცემულესნო! ეს არის არა საერთოსაკაცობრიო, არამედ საერთომონური თვალსაზრისი. მონა, რომელმაც შეიგნო თავისი მონური მდგომარეობა და იბრძვის მის წინააღმდეგ, რევოლუციონერია. მონა, რომელსაც ვერ შეუგნია თავისი მონობა და ჩუმად, შეუგნებლად, უსიტყვოდ იტანს მონურ ცხოვრებას — უბრალოდ მონაა. მონა რომელსაც ნერწყვი მოსდის, როდესაც თვითკმაყოფილებით აღწერს მონური ცხოვრების მშვენიერებას და აღტაცებულია კეთილი და კარგი ბატონით, ყურმოჭრილი მონაა, ხეპრეა. აი თქვენ სწორედ ასეთი ხეპრეები ხართ, ვაჟბატონებო «ტოვარიშჩიდან». თქვენ საძაგელი გულკეთილობით აღტაცებული ხართ იმით, რომ კონტრრევოლუციური მემამულე, რომელიც კონტრრევოლუციურ მთავრობას უჭერდა მხარს, განათლებული და ჰუმანური ადამიანი იყო. თქვენ არ გესმით, რომ იმის ნაცვლად, რომ მონა რევოლუციონერად გადააქციოთ, ჩვეულებრივ მონებს ყურმოჭრილ მონებად ხდით. თქვენი სიტყვები თავისუფლებისა და დემოკრატიის შესახებ გარეგნული ბრწყინვალეებაა, გაზეპირებული ფრაზებია, მოდური ლაყბობა ან ფარისევლობაა. ეს შეფერადებული აბრაა. არსებითად კი თქვენ განგოზილი კუბოები ხართ. თქვენ სულ მთლად ხეპრული სულითა ხართ გაჟღენთილი, ხოლო მთელი თქვენი განათლებულობა, კულტურულობა და განსწავლულობა მხოლოდ ნაირსა-

ხეობაა კვალიფიციური პროსტიტუციისა. თქვენ ჰყიდით თქვენს სულს და ჰყიდით არა მარტო გაჭირვების გამო, არამედ «ხელოვნებისადმი სიყვარულის გამოც!»

— გეიდენი მტკიცე რწმენის კონსტიტუციონალისტი იყოო, — ამბობთ თქვენ გულაჩვილებით. თქვენ სტყუით ან არა და სულ გაგაბრიყვათ გეიდენებმა. უწოდო მტკიცე რწმენის კონსტიტუციონალისტი ხალხის წინაშე, საქვეყნოდ, ისეთი პარტიის დამაარსებელ ადამიანს, რომელიც მხარს უჭერდა ვიტეს, დუბასოვის, გორემიკინისა და სტოლიპინის მთავრობას, — ეს იმას ნიშნავს, რომ რომელიმე კარდინალს პაპის წინააღმდეგ მტკიცე რწმენის მებრძოლი უწოდო. იმის მაგივრად, რომ შეასწავლოთ ხალხს კონსტიტუციის სწორად გაგება, — თქვენ, დემოკრატები, თქვენს ნაწერებში კონსტიტუციას აიგივებთ პირშუშხათი შემზადებულ თართთან, რადგან ეჭვს გარეშეა, რომ კონტრრევოლუციური მემამულისათვის კონსტიტუცია სწორედ პირშუშხათი შემზადებული თართია, ეს არის გლეხისა და ხალხის მთელი მასის გაძარცვისა და დამორჩილების ხერხთა უაღრესად გაუმჯობესებული სახე. თუ გეიდენი მტკიცე რწმენის კონსტიტუციონალისტი იყო, — მაშასადამე, დუბასოვიც და სტოლიპინიც მტკიცე რწმენის კონსტიტუციონალისტები ყოფილან, რადგან ს ა ქ მ ი თ მ ა თ პოლიტიკას მხარს უჭერდა გეიდენიც. დუბასოვი და სტოლიპინი ვერ იქნებოდნენ ის, რაც იყვნენ, ვერ შესძლებდნენ ეწარმოებინათ თავიანთი პოლიტიკა, თუ მათ მხარს არ დაუჭერდნენ ოქტიაბრისტები და მათ შორის გეიდენიც. მაშ რის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ, ჰოი, დიდად ბრძენნო «რიგიანო» დემოკრატებო, ადამიანის («კონსტიტუციონალისტის») პოლიტიკური ფიზიონომიის შესახებ? მისი სიტყვების, მისი გულზე ხელის ცემის და ნიანგის ცრემლთა ღვრის მიხედვით? თუ საზოგადოებრივ სარბიელზე მისი ნამდვილი მოღვაწეობის მიხედვით?

რა არის დამახასიათებელი, რა არის ტიპიური გეიდენის პოლიტიკური მოღვაწეობისათვის? ის, რომ იგი ვერ შეუთანხმდა სტოლიპინს სამინისტროში მონაწილეობის შესახებ I სათათბიროს გარეკვის შემდეგ, თუ ის, რომ იგი ასეთი აქტის შემდეგ დ ა თ ა ნ ხ მ დ ა სტოლიპინთან მოლაპარაკებას? ის, რომ იგი წინათ, ამა და ამ დროს, ასეთ და ასეთ ლიბერალურ ფრაზებს ლაპარაკობდა, თუ ის, რომ იგი ოქტიაბრისტი (=კონტრრევოლუციონერი) გახდა 17 ოქტომბრის შეორე დღესვე? როცა გეიდენს მტკიცე რწმენის კონსტიტუციონალისტს უწოდებთ, თქვენ ამით ხალხს ასწავლით, რომ პირველია დამახასიათებელი და ტიპიური. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენ

უაზროდ იმეორებთ დემოკრატიული ლოზუნგების ნაწყვეტებს და დემოკრატიის ა ნ ა ბ ა ნ ა კ ი არ გესმით.

დემოკრატია, — დაიხსომეთ ეს, ბატონო რიგიანი საზოგადოების რიგიანო ადამიანებო, — ნიშნავს ჩვენს ქვეყანაში კონტრრევოლუციონერ მემამულეთა სწორედ იმ ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლას, რა ბატონობასაც მხარს უჭერდა და მთელი თავისი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში ახორციელებდა ბ-ნი გეიდენი.

— გეიდენი განათლებული კაცი იყოო, — გულაჩვილებით ამბობენ ჩვენებური სალონის დემოკრატები. დიახ, ჩვენ ეს უკვე ვაღიარეთ და ახლაც სიამოვნებით ვაღიარებთ, რომ იგი თვით დემოკრატებზე უფრო განათლებული და უ ფ რ ო ჭ კ ვ ი ა ნ ი იყო (ეს ყოველთვის როდია დაკავშირებული განათლებულობასთან) რადგან მას უკეთ გაეგებოდა თ ა ვ ი ს ი კლასისა და თ ა ვ ი ს ი კონტრრევოლუციური საზოგადოებრივი მოძრაობის ინტერესები, ვიდრე თქვენ, ვაუბატონებო «ტოვარიშჩიდან», გაგეგებათ განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესები. განათლებულ კონტრრევოლუციურ მემამულეს ეხერხებოდა თავისი კლასის ინტერესების მოქნილად და ოსტატურად დაცვა, მარჯვედ ფარავდა იგი ბატონყმობის მოტრფიალეთა ანგარებით სავსე მისწრაფებებსა და მტაცებლურ მადას კეთილშობილური სიტყვებისა და გარეგნული ჯენტლმენობის ნიღაბით, მტკიცედ მოითხოვდა (სტოლიპინებისაგან) ამ ინტერესების დაცვას კლასობრივი ბატონობის ყველაზე ცივილიზებული ფორმებით. გეიდენმა და მისმა მსგავსმა ადამიანებმა მთელი თავიანთი «განათლება» მსხვერპლად შესწირეს მ ე მ ა მ უ ლ ე თ ა ინტერესების სამსახურს. ნამდვილ დემოკრატს, და არა რუსული რადიკალური სალონების «რიგიან» ხეპრეს, ეს გამოადგებოდა საუცხოო თემად პუბლიცისტისათვის, რომელიც დაგვანახვებდა, თუ როგორ რ ყ ვ ნ ი ა ნ განათლებას თანამედროვე საზოგადოებაში.

როდესაც «დემოკრატი» განათლებაზე ლაყბობს, მას სურს მკითხველის გონებაში გამოიწვიოს წარმოდგენა მდიდარ ცოდნაზე, ფართო ჰორიზონტზე, გონებისა და გულის გაკეთილშობილებაზე. ბატონ გეიდენებისათვის განათლება — ზედაპირული ელვარება, გაწვრთნილობა, «გაწაფულობაა» უაღრესად ტლანქი და უაღრესად ბინძური პოლიტიკური გეშეფტების ჯენტლმენური ფორმით მოჭახრაკებაში. გეიდენის მთელი ოქტიაბრიზმი, მთელი «მშვიდობიანი განახლება»[23], მთელი მისი მოლაპარაკება სტოლიპინთან I სათათბიროს გარეკვის შემდეგ — არსებითად იყო ყველაზე ტლანქი და

ბინძური საქმის მოჭახრაკება, მოგვარება იმისა, რომ როგორმე უფრო საიმედოდ, უფრო ეშმაკურად, უფრო ოსტატურად, შიგნიდან უფრო მტკიცედ, გარედან უფრო შეუმჩნეველად დაეცვა რუსეთის კეთილშობილი თავადაზნაურობის უ ფ ლ ე ბ ე ბ ი მილიონობით იმ «ტეტიების» სისხლსა და ოფლზე, რომელსაც ეს გეიდენები მუდამ და განუწყვეტლივ ძარცვავდნენ, — 1861 წლამდეც, 1861 წელსაც, 1861 წლის შემდეგაც, და 1905 წლის შემდეგაც.

ჯერ კიდევ ნეკრასოვი და სალტიკოვი ასწავლიდნენ რუს საზოგადოებას ბატონყმობის მოტრფიალე მემამულის განათლებულობის შელამაზებული და მოკაზმული გარეგნობის ქვეშ დაენახა მისი მტაცებლური ინტერესები, ასწავლიდნენ სიძულვილს ასეთი ტიპების ფარისევლობისა და უსულგულობისადმი; ხოლო თანამედროვე რუსი ინტელიგენტი, კადეტური პარტიის * წევრი თუ კადეტთა დამქაში, რომელსაც თავი მოაქვს დემოკრატიული მემკვიდრეობის დამცველად, მონობას ასწავლის ხალხს და აღტაცებულია თავისი, როგორც უპარტიო დემოკრატის მოუდგომლობით. არა ნაკლებ საძაგელი სანახაობაა, ვიდრე დუბასოვისა და სტოლიპინის საგმირო საქმეთა სანახაობა...

— გეიდენი «ადამიანი» იყო, — აღტაცებით იმეორებს სალონის დემოკრატი. გეიდენი ჰუმანური იყო.

გეიდენის ჰუმანურობით ასეთი გულის აჩვილება გვაიძულებს მოვიგონოთ არა მარტო ნეკრასოვი და სალტიკოვი, არამედ ტურგენევის «მონადირის წერილებიც». ჩვენს წინაშეა ცივილიზებული, განათლებული, კულტურული მემამულე, მოპყრობის რბილი ფორმებით, ევროპული პეწით. მემამულე ღვინით უმასპინძლდება სტუმარს და მაღალ მატერიებზე საუბრობს. «ღვინო რათ არ გაგითბია?» — ეკითხება იგი ლაქიას. ლაქია დუმს და ფითრდება. მემამულე ზარს რეკს და, ხმის აუმაღლებლად, ეუბნება შემოსულ მსახურს: «თედორეს შესახებ... გაეცით განკარგულება». [24]

აი ნიმუში გეიდენისებური «ჰუმანურობისა» ან გეიდენის à la ** ჰუმანურობისა. ტურგენევის მემამულეც «ჰუმანური» ადამიანია... სალტიჩიხასთან შედარებით, მაგალითად, იმდენად ჰუმანურია, რომ თვითონ არ მიდის საჯინიბოში თვალყური ადევნოს — კარგად გასცეს თუ არა განკარგულება თედორეს გასაშოლტავად. იგი, ეს მემამულე იმდენად ჰუმანურია, რომ არ ზრუნავს მარილიან წყალში იმ

---

* კადეტებმა ათასჯერ უფრო მეტი მლიქვნელობა გამოიჩინეს გეიდენის შეფასებაში, ვიდრე ვაჟბატონებმა «ტოვარიშჩიდან». ჩვენ უკანასკნელნი ავიღეთ, როგორც რუსეთის «საზოგადოების» «რიგიან ადამიანთა» «დემოკრატიზმის» ნიმუში.

** — მსგავსი. რ ე დ.

შოლტების დასველებაზე, რომლებითაც თედორეს შოლტავენ, იგი, ეს მემამულე, თავს ნებას არ მისცემს დაარტყას ან შეაგინოს ლაქიას, იგი მხოლოდ შორიდან «სცემს განკარგულებას», როგორც განათლებული ადამიანი, რბილ და ჰუმანურ ფორმებში, უხმაუროდ, უსკანდალოდ, არა «საქვეყნოდ»...

სავსებით ასეთივეა გეიდენის ჰუმანურობაც. მას თვითონ არ მიუღია მონაწილეობა გლეხების გაშოლტვასა და წამებაში ლუჟენოვსკებთან და ფილონოვებთან ერთად. მას არ უვლია დამსჯელ ექსპედიციებში რენენკამპფებთან და მელერ-ზაკომელსკებთან ერთად. მას არ მიუღია მონაწილეობა მოსკოვის დახვრეტაში დუბასოვთან ერთად. იგი იმდენად ჰუმანური იყო, რომ თავს იკავებდა ასეთი საგმირო საქმეებისაგან, სრულიად რუსეთის «საჯინიბოს» მსგავს გმირებს ანდობდა «განკარგულებების გაცემას», თვითონ კი თავის მყუდრო და კულტურულ კაბინეტს თავშეფარებული ხელმძღვანელობდა პოლიტიკურ პარტიას, რომელიც მხარს უჭერდა დუბასოვების მთავრობას და რომლის ბელადებიც სვამდნენ მოსკოვის გმირის დუბასოვის სადღეგრძელოს... მართლაცდა, განა ეს ჰუმანური არ არის: იმის მაგივრად, რომ თვითონ მიხვიდე საჯინიბოში, გაგზავნო იქ დუბასოვები «თედორეს შესახებ განკარგულების გასაცემად»? ბებრუხანა დედაკაცებისათვის, რომლებიც ჩვენს ლიბერალურ და დემოკრატიულ პრესაში პოლიტიკის განყოფილებას განაგებენ, — ეს ჰუმანურობის ნიმუშია... — ოქრო ადამიანი იყო, ბუზსაც კი არ შეურაცხყოფდა! «იშვიათი და ბედნიერი ხვედრია» დუბასოვებს მხარი დაუჭირო, დუბასოვების მიერ განხორციელებული ხოცვა-ჟლეტის ნაყოფით ისარგებლო და დუბასოვების მოქმედებისათვის პასუხი არ აგო.

სალონის დემოკრატს უაღრეს დემოკრატიზმად მიაჩნია ოხვრა იმის გამო, რომ მმართველებად გეიდენები არა გვყვანან (რადგან ამ სალონის ბრიყვს აზრადაც არ მოსდის, რომ შრომა «ბუნებრივად» არის დანაწილებული გეიდენსა და დუბასოვებს შორის). მოუსმინეთ:

...«და რა საბწუხარია, რომ იგი (გეიდენი) მოკვდა სწორედ ახლა, როდესაც იგი ყველაზე უფრო სასარგებლო იქნებოდა. ახლა იგი შეებრძოლებოდა უკიდურეს შემარჯვენეებს, გამოაშკარავებდა თავისი სულის საუკეთესო მხარეებს, დაიცავდა კონსტიტუციურ საფუძვლებს მთელი მისთვის ჩვეული ენერგიითა და მოხერხებულობით» («ტოვარიშჩ» № 299, პარასკევი, 22 ივნისი, «გრ. გეიდენის ხსოვნას», კორესპონდენცია პსკოვის გუბერნიიდან).

სამწუხაროა, რომ განათლებული და ჰუმანური გეიდენი—მშვიდობიანგანმაახლებელი თავისი კონსტიტუციური ფრაზებით ვერ ფარავს III, ოქტიაბრისტული სათათბიროს სიტიტვლეს, სათათბიროს მომსპობი თვითმპყრობელობის სიტიტვლეს! «დემოკრატ»-პუბლიცისტის ამოცანაა არა ის, რომ ჩამოგლიჯოს მატყუარა სამოსელი, დაანახვოს ხალხს მისი მჩაგვრელი მტრები მთელი მათი სიტიტვლით, არამედ იჯავროს იმაზე, რომ აღარ გვყავს გამოცდილი ფარისევლები, რომლებიც ოქტიაბრისტების რიგებს ამშვენებენ... Was ist der Philister? Ein hohler Darm, voll Furcht und Hoffnung, dass Cott erdarm! რა არის ფილისტერი? ცარიელი ნაწლავი, აღსავსე შიშითა და იმედით, რომ ღმერთი შეიწყალებს [25]. რა არის რუსეთის ლიბერალურ-დემოკრატიული ფილისტერი კადეტთა და კადეტების ახლომდგომი ბანაკიდან? ცარიელი ნაწლავი, აღსავსე შიშითა და იმედით, რომ კონტრრევოლუციური მემამულე შეიწყალებს!
1907 წლის ივნისი.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 13, გვ. 47 — 57

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ლევ ტოლსტოი,
როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე

დიდი მხატვრის სახელის შედარება რევოლუციასთან, რომელიც მან აშკარად ვერ გაიგო, რომელსაც მან აშკარად აარიდა თავი, შეიძლება პირველი შეხედვით უცნაური და ხელოვნური მოგვეჩვენოს. ხომ არ დავარქმევთ სარკეს იმას, რაც, ცხადია, არ ასახავს მოვლენებს სწორად? მაგრამ ჩვენი რევოლუცია უაღრესად რთული მოვლენაა; მის უშუალო მომხდენთა და მონაწილეთა მასაში ბლომად არიან ისეთი სოციალური ელემენტები, რომლებსაც აგრეთვე აშკარად არ ესმოდათ, რაც ხდებოდა, და რომლებიც აგრეთვე თავს არიდებდნენ მოვლენათა მსვლელობით მათ წინაშე დასმულ ნამდვილ ისტორიულ ამოცანებს. და თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია, მას თავის ნაწარმოებებში უნდა აესახა რევოლუციის თუნდაც ზოგიერთი არსებითი მხარე.

ლეგალურ რუსულ პრესას. რომელიც აღსავსეა სტატიებით, წერილებითა და შენიშვნებით ტოლსტოის 80 წლისთავის იუბილეს გამო, ყველაზე ნაკლებად აინტერესებს მის ნაწარმოებთა ანალიზი რუსეთის რევოლუციისა და მისი მამოძრავებელი ძალების ხასიათის თვალსაზრისით. მთელი ეს პრესა გულისამრევად აღსავსეა პირმოთნეობით, ორგვარი პირმოთნეობით: კაზიონურითა და ლიბერალურით. პირველია იმ მოქრთამული მჯღაბნელების ტლანქი პირმოთნეობა, რომლებსაც გუშინ ნაბრძანები ჰქონდათ ლ. ტოლსტოის დევნა, დღეს კი ნაბრძანები აქვთ გამოუძებნონ მას პატრიოტიზმი და ეცადონ დაიცვან რიგიანობა ევროპის წინაშე. ამ ჟურის მჯღაბნელებს რომ ფული მისცეს მათ ნაჯღაბნში, ეს ყველასათვის ცნობილია, და ისინი ვერავის ვერ მოატყუებენ. გაცილებით უფრო დახვე-

წილია და ამიტომ გაცილებით უფრო მავნებელი და საშიშია ლიბერალური პირმოთნეობა. «რეჩის»[26] კადეტურ ბალალაიკინებს რომ ყური დაუგდოთ — ი'ანი ტოლსტოისადმი უაღრესად სრული და უაღრესად მხურვალე თანაგრძნობით არიან გამსჭვალულნი. ნამდვილად კი, გაანგარიშებული დეკლამაცია და მაღალფარდოვანი ფრაზები «დიდ ღვთისმაძიებელზე» სულ ერთიანად სიყალბეა, რადგან რუს ლიბერალს არც ტოლსტოის ღმერთი სწამს და არც არსებული წყობილების ტოლსტოურ კრიტიკას თანაუგრძნობს. ის ეტმასნება პოპულარულ სახელ'ს, რათა გაადიდოს თავისი პოლიტიკური კაპიტალი, რათა გაითამაშოს საერთო-ნაციონალური ოპოზიციის ბელადის როლი, იგი ცდილობს ფრაზების რახარუხითა და კორიანტელით ჩ ა ა ხ ბ ო ს მ ო ვ ი ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ა — პირდაპირი და ნათელი პასუხი იქნას გაცემული კითხვაზე: რა იწვევს «ტოლსტოელობ'ს» აშკარა წინააღმდეგურობას, ჩვენი რევოლუციის რა ნაკლოვანებებსა და სუსტ მხარეებს გამოხატავს იგი?

წინააღმდეგურობა ტოლსტოის ნაწარმოებებში, შეხედულებებში, მოძღვრებებში, სკოლაში მართლაც ხმამაღლა მღაღადებელია. ერთი მხრივ, გენიალური მხატვარი, რომელმაც მოგვცა არა მარტო რუსეთის ცხოვრების უბადლო სურათები, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხოვანი ნაწარმოებნიც. მეორე მხრივ, — მემამულე, რომელიც თავს იგლახავებს ქრისტეს გულისთვის. ერთი მხრივ, საოცრად ძლიერი, უშუალო და გულწრფელი პროტესტი საზოგადოებრივი სიცრუ'ისა და სიყალბის წინააღმდეგ, — მეორე მხრივ, «ტოლსტოელი», ე. ი. გაცვეთილი, ისტერიული მოწუწუნე, რუს ინტელიგენტად წოდებული, რომელიც საქვეყნოდ თავში ხელს იცემს და გაიძახის: «მე საძაგელი ვარ, მე საზიზღარი ვარ, მაგრამ ზნეობრივი სრულყოფისათვის ვიღწვი, ხორცეულს აღარა ვჭამ და ახლა ბრინჯის კატლეტებით ვსაზრდოობო». ერთი მხრივ, კაპიტალისტური ექსპლოატაციის ულმობელი კრიტიკა, მთავრობის ძალადობათა, სასამართლოს და სახელმწიფო მმართველობის კომედიის მხილება, სიმდიდრის ზრდისა, ცივილიზაციის მონაპოვრებისა და მუშათა მასების სიღატაკის, ველურობისა და ტანჯვა-წვალების ზრდის წინააღმდეგობათა მთელი სიღრმის გადაშლა; მეორე მხრივ, — სალოსის ქადაგება, რომ «ბოროტებას წინააღმდეგობა არ გაეწიოს» ძალადობით. ერთი მხრივ, უაღრესად ფხიზელი რეალიზმი, ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოგლეჯა; — მეორე მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარი რამის ქადაგება, რაც კი არის ქვეყნად, სახელდობრ: რელიგიისა, მისწრაფება, რომ სახაზინო სამსახურის ხუცების

ადგილას ზნეობრივი რწმენის ხუცები დადგნენ, ე. ი. დაინერგოს უაღრესად გაქნილი და ამიტომ განსაკუთრებით საძაგელი ხუცობა. ჰეშმარიტად:

ლატაკიცა ხარ, ბარაქიანიც,
ძლიერიცა ხარ და უძლურიცა,
— დედავ რუსეთო! [27]

ასეთ წინააღმდეგობათა დროს ტოლსტოის რომ სრულიად არ შეეძლო გაეგო არც მუშათა მოძრაობა და მისი როლი სოციალიზმისათვის ბრძოლაში, არც რუსეთის რევოლუცია, ეს თავისთავად ცხადია. მაგრამ წინააღმდეგობანი ტოლსტოის შეხედულებებსა და ბოძღვრებაში შემთხვევითი რამ კი არ არის, არამედ იმ წინააღმდეგური პირობების გამოხატულებაა, რომლებშიც ჩაყენებული იყო XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედის რუსეთის ცხოვრება. პატრიარქალური სოფელი, რომელიც მხოლოდ გუშინ განთავისუფლდა ბატონყმობისაგან, პირდაპირ წასალეკად და გასაცარცვავად ჰქონდა მიცემული კაპიტალსა და ხაზინას. გლეხური მეურნეობისა და გლეხის ცხოვრების ძველი ბურჯები, ის ბურჯები, რომლებიც მართლაც საუკუნეთა განმავლობაში იდგა, არაჩვეულებრივი სისწრაფით ინგრეოდა. და ტოლსტოის შეხედულებათა წინააღმდეგურობა უნდა შევაფასოთ არა თანამედროვე მუშათა მოძრაობისა და თანამედროვე სოციალიზმის თვალსაზრისით (ასეთი შეფასება, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ იგი საკმარისი არ არის), არამედ კარს მომდგარი კაპიტალიზმის, მასების გაჩანაგებისა და უმიწაწყლოდ დატოვების წინააღმდეგ მიმართული იმ პროტესტის თვალსაზრისით, რომელიც უნდა წარმოეშვა პატრიარქალურ რუსულ სოფელს. ტოლსტოი სასაცილოა, როგორც წინასწარმეტყველი, რომელსაც აღმოუჩენია კაცობრიობის ხსნის ახალი რეცეპტები, — ამიტომაც სავსებით უბადრუკნი არიან საზღვარგარეთელი და რუსი «ტოლსტოელები», რომლებმაც მოისურვეს დოგმად გადაექციათ მისი მოძღვრების სწორედ ყველაზე სუსტი მხარე. ტოლსტოი დიდია, როგორც იმ იდეებისა და იმ სულისკვეთების გამომხატველი, რომლებიც შეიქმნა მილიონობით რუს გლეხობაში რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დაწყების დროისათვის. ტოლსტოი ორიგინალურია, ვინაიდან მთლიანად აღებულ მის შეხედულებათა ერთობლიობა გამოხატავს სწორედ ჩვენი რევოლუციის; როგორც გ ლ ე ხ უ რ ი ბურჟუაზიული რევოლუციის, თავისებურებას. ტოლსტოის შეხედულებათა წინააღმდეგურობა, ამ თვალსაზრისით, — ნამდვილი სარკეა იმ წი-

ნააღმდეგური პირობებისა, რომლებშიც ჩაყენებული იყო გლეხობის ისტორიული მოქმედება ჩვენს რევოლუციაში. ერთი მხრივ, ბატონყმური ჩაგვრის საუკუნეებმა და რეფორმის შემდგომდროინდელი დაჩქარებული გაჩანაგების ათეულმა წლებმა უდიდესი სიძულვილი, გულისწყრომა და თავგანწირული გაბედულება დააგროვეს. მისწრაფება, რომ ძირიან-ფესვიანად აღგავონ ოფიციალური ეკლესიაც, მემამულეებიც, მემამულური მთავრობაც, მოსპონ მიწათმფლობელობის ყველა ძველი ფორმა და წესი, გაწმინდონ ნიადაგი, შექმნან პოლიციურ-კლასობრივი სახელმწიფოს ნაცვლად თავისუფალ და თანასწორუფლებიან წვრილ გლეხთა თანაცხოვრება, — ეს მისწრაფება წითელ ზოლად გასდევს გლეხთა ყოველ ისტორიულ ნაბიჯს ჩვენს რევოლუციაში, და, უეჭველია, ტოლსტოის ნაწერების იდეური შინაარსი გაცილებით უფრო შეესაბამება ამ გლეხურ მისწრაფებას, ვიდრე განყენებულ «ქრისტიანულ ანარქიზმს», როგორც ზოგჯერ უწოდებენ მის შეხედულებათა «სისტემას».

მეორე მხრივ, გლეხობა, რომელიც მიისწრაფვის თანაცხოვრების ახალი ფორმებისაკენ, ძალიან შეუგნებლად, პატრიარქალურად, სალოსურად ეკიდებოდა იმას, თუ როგორი უნდა იყოს ეს თანაცხოვრება, როგორი ბრძოლით უნდა მოიპოვოს მან თავისუფლება, როგორი ხელმძღვანელები შეიძლება ჰყავდეს მას ამ ბრძოლაში, როგორ ეპყრობა გლეხური რევოლუციის ინტერესებს ბურჟუაზია და ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რატომ არის აუცილებელი მეფის ხელისუფლების ძალით დამხობა მემამულური მიწათმფლობელობის მოსასპობად. გლეხობის მთელმა წარსულმა ცხოვრებამ ასწავლა მას ბატონისა და მოხელის სიძულვილი, მაგრამ ვერ ასწავლა და ვერც ასწავლიდა, სად ეძებნა ყველა ამ კითხვის პასუხი. ჩვენს რევოლუციაში გლეხობის მცირე ნაწილი მართლაც იბრძოდა და ამ მიზნისათვის რამდენადმე კიდეც ირაზმებოდა, და სულ მცირე ნაწილი იარაღს ჰკიდებდა ხელს თავისი მტრების გასაჟლეტად, მეფის მსახურთა და მემამულეების დამცველთა მოსასპობად. გლეხობის უმეტესი ნაწილი ტიროდა და ლოცულობდა, რეზონიორობდა და ოცნებობდა, თხოვნებს წერდა და «შუაკაცებს» გზავნიდა, — სწორედ ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის სულისკვეთებისამებრ! და, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, ტოლსტოისებური თავშეკავება პოლიტიკისაგან, ტოლსტოისებური უარყოფა პოლიტიკისა, ამ პოლიტიკისადმი ინტერესის უქონლობა და მისი გაუგებლობა აკეთებდნენ იმას, რომ შეგნებულ და რევოლუციურ

პროლეტარიატს მიჰყვებოდა უმცირესობა, უმრავლესობა კი ხელში უვარდებოდა იმ უპრინციპო, მლიქვნელ, ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს, რომლებიც კადეტების სახელწოდებით გარბოდნენ ტრუდოვიკების კრებიდან სტოლიპინის დერეფანში, ეღიჭინებოდნენ, ევაჭრებოდნენ, მორიგებას ცდილობდნენ, შერიგებას ჰპირდებოდნენ, — ვიდრე ისინი ჯარისკაცის ჩექმით არ გამოაპანღურეს. ტოლსტოის იდეები ჩვენი გლეხური აჯანყების სისუსტისა და ნაკლოვანებათა სარკეა, პატრიარქალური სოფლის უნიათობისა და «მეურნე გლეხის» ბეჩავი ლაჩრობის ასახულება.

აიღეთ ჯარისკაცთა 1905 — 1906 წლების აჯანყებანი. ჩვენი რევოლუციის ამ მებრძოლთა სოციალური შემადგენლობა შუათანაა გლეხობასა და პროლეტარიატს შორის. უკანასკნელი უმცირესობაშია. ამიტომ მოძრაობა ჯარში დაახლოებითაც კი ვერ გვიჩვენებს ისეთ სრულიად რუსეთის მასშტაბით დარაზმულობას, ისეთ პარტიულ შეგნებულობას, რაც გამოიჩინა პროლეტარიატმა, რომელიც თითქოს ხელის ერთი გაქნევით გახდა სოციალ-დემოკრატიული. მეორე მხრივ, არა არის რა იმ აზრზე უფრო მცდარი, თითქოს ჯარისკაცების აჯანყებათა წარუმატებლობის მიზეზი ოფიცრობიდან გამოსულ ხელმძღვანელთა უყოლობა ყოფილიყოს. პირიქით, რევოლუციის გიგანტური პროგრესი «ნაროდნაია ვოლიასს»[28] დროიდან სწორედ იმით გამოიხატა, რომ უფროსთა წინააღმდეგ იარაღს მოჰკიდა ხელი «უენო პირუტყვმა», რომლის დამოუკიდებლობამ ასე დააფრთხო ლიბერალური მემამულეები და ლიბერალური ოფიცრობა. ჯარისკაცი აღსავსე იყო გლეხის საქმისადმი თანაგრძნობით; მისი თვალები აღინთებოდა ხოლმე მიწის ხსენებაზედაც კი. ძალაუფლება ჯარში არა ერთხელ გადასულა ჯარისკაცთა მასის ხელში, — მაგრამ ეს ძალაუფლება გაბედულად თითქმის არ ყოფილა გამოყენებული; ჯარისკაცები ყოყმანობდნენ; რომელიმე საძულველ უფროსს რომ მოჰკლავდნენ, ისინი ორიოდე დღის შემდეგ,ზოგჯერ რამდენიმე საათის შემდეგ, პატიმრობიდან ათავისუფლებდნენ დანარჩენებს, მოლაპარაკებას მართავდნენ ხელისუფლებასთან და შემდეგ დასახვრეტად დგებოდნენ, გასაწკეპლად წვებოდნენ, ისევ ებმოდნენ უღელში — სავსებით ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის სულისკვეთებისამებრ!

ტოლსტოიმ ასახა გულში დაგროვილი სიძულვილი, მომწიფებული მისწრაფება უკეთესისაკენ, წარსულისაგან თავის დაღწევის სურვილი, — და მოუმწიფებელი ოცნება, პოლიტიკური აღუზრდელობა, რევოლუციური უნიათობა. ისტორიულ-ეკონომიური პირო-

ბები გვიხსნიან მასების რევოლუციური ბრძოლის წარმოშობის აუცილებლობასაც და ბრძოლისათვის მათ მოუმზადებლობასაც, ტოლსტოისებურ მორჩილებას ბოროტებისადმი, რაც პირველი რევოლუციური კამპანიის დამარცხების ფრიად სერიოზული მიზეზი იყო.

ამბობენ, დამარცხებული არმიები კარგად სწავლობენო. რა თქმა უნდა, რევოლუციური კლასების შედარება არმიებთან სწორია მხოლოდ მეტად ვიწრო აზრით. კაპიტალიზმის განვითარება ყოველ საათობით სცვლის და ამწვავებს იმ პირობებს, რომლებიც ბიძგს აძლევდნენ მემამულე-მებატონეებისა და მათი მფარველობისადმი სიძულვილით ერთად დარაზმულ მილიონობით გლეხს რევოლუციურ-დემოკრატიული ბრძოლისათვის. თვითონ გლეხობაში გაცვლა-გამოცვლის, ბაზრის ბატონობისა და ფულის მეუფების ზრდა სულ უფრო და უფრო აძევებს ძველ პატრიარქალურ ცხოვრებას და პატრიარქალურ ტოლსტოურ იდეოლოგიას. მაგრამ რევოლუციის პირველ წელთა და მასობრივ რევოლუციურ ბრძოლაში პირველ დამარცხებათა ერთი მონაპოვარი ეჭვს გარეშეა: ეს არის სასიკვდილო ლახვარი, რომელიც ჩაეცა მასების წინანდელ მოდუნებულობასა და დონდლობას. გამმიჯნავი ხაზები უფრო მკაფიო გახდა. კლასები და პარტიები გაიმიჯნენ. სტოლიპინის გაკვეთილების ეროს ცემაში, რევოლუციური სოციალ-დემოკრატების განუხრელი, მტკიცე აგიტაციის დროს არა მარტო სოციალისტური პროლეტარიატი, არამედ გლეხობის დემოკრატიული მასებიც გარდუვალად წარმოშობენ უფრო და უფრო გამოწრთობილ მებრძოლებს, რომლებიც უფრო და უფრო ნაკლებად ჩაიდენენ ტოლსტოელობის ჩვენს ისტორიულ ცოდვას!

დაბეჭდილია 1908 წ. 11 (24) სექტემბერს თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 15, გვ. 236 — 245

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ბურჟუაზიული პრესის ზლაპარი გორკის გარიცხვის შესახებ

აი უკვე რამდენიმე დღეა, რაც ბურჟუაზიული გაზეთები საფრანგეთში («L' Eclair», «Le Radical»), გერმანიასა («Berliner Tageblatt»)* და რუსეთში («უტრო როსსიი», «რეჩ», «რუსსკოე სლოვო»[29], «ნოვოე ვრემია») ტკბებიან ყოვლად სენსაციური ახალი ამბით: გორკის გარიცხვით სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან. «Vorwärts»-მა[30] უკვე გამოაქვეყნა ამ მონაჩმახის უარყოფა. «პროლეტარის» რედაქციამაც გაგზავნა რამდენიმე გაზეთში უარყოფა, მაგრამ ბურჟუაზიული პრესა მას უგულებელყოფს და ჭორის გაზვიადებას განაგრძობს.

ამ ჭორის წყარო ცხადია: ვიღაც მჯღაბნელმა ყური მოკრა ოტზოვიზმსა და ღვთისმშენებლობასთან დაკავშირებით წამოჭრილ უთანხმოებათა ამბავს (— საკითხი, რომლის განხილვა თითქმის უკვე წელიწადია აშკარად მიმდინარეობს პარტიაში საერთოდ და «პროლეტარში», კერძოდ —), საშინლად დაამახინჯა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები და «დიდებულად მოითბო ხელი» შეთხზული «ინტერვიუებით» და სხვ.

ჭორიკანული კამპანიის მიზანი არა ნაკლებ ცხადია: ბურჟუაზიულ პარტიებს უ ნ დ ა თ, რომ გორკი სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გავიდეს. ბურჟუაზიული გაზეთები თავს არ იზოგავენ იმისათვის, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში უთანხმოებანი გააღვივონ და ისინი დამახინჯებულად წარმოადგინონ.

---

*— «ელვა», «რადიკალი». «ბერლინის ყოველდღიური გაზეთი» რ ე დ.

ამაოდ ჯახირობენ ბურჟუაზიული გაზეთები. ამხანაგმა გორკიმ თავისი დიადი მხატვრული ნაწარმოებებით იმდენად მტკიცედ დაუკავშირა თავისი თავი რუსეთისა და მთელი მსოფლიოს მუშათა მოძრაობას, რომ იგი ამ გაზეთებს მხოლოდ ზიზღით უპასუხებს.

დაბეჭდილია 1909 წ. 28 ნოემბერს (11 დეკემბერს) თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 16, გვ. 122 — 123

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

«ვეხის» შესახებ [31]

ცნობილი კრებული «ვეხი», უაღრესად გავლენიანი კადეტი პუბლიცისტების მიერ შედგენილი, მოკლე ხნის განმავლობაში რამდენიმეჯერ გამოცემული, რომელსაც მთელი რეაქციული პრესა აღტაცებით შეხვდა, ჩვენი დროის ნამდვილ ტიპიურ მოვლენას წარმოადგენს. რამდენიც უნდა «ასწორონ» კადეტურმა გაზეთებმა «ვეხის» მეტისმეტად აშკარა ცალკეული ადგილები, რამდენიც უნდა უარყონ ისინი ცალკეულმა კადეტებმა, რომელნიც სრულიად უმწეონი არიან გავლენა მოახდინონ მთელი კადეტური პარტიის პოლიტიკაზე ან მიზნად ისახავენ ყალბად დაუხატონ მასებს ამ პოლიტიკის ნამდვილი მნიშვნელობა, — უეჭველი რჩება ის ფაქტი, რომ «ვ ე ხ მ ა» გ ა მ ო ხ ა ტ ა თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე კ ა დ ე ტ ი ზ მ ი ს ნ ა მ დ ვ ი ლ ი დ ე დ ა ა რ ს ი. კადეტების პარტია «ვეხის» პარტიაა.

მუშათა დემოკრატია, რომელიც ყველაზე მეტად აფასებს მასების პოლიტიკური და კლასობრივი შეგნების განვითარებას, უნდა მიესალმოს «ვეხს», როგორც კადეტების იდეური ბელადების მიერ მათი პოლიტიკური მიმართულების დედაარსის ჩინებულ გამოაშკარავებას. «ვეხი» დაუწერიათ ბატონებს: ბერდიაევს, ბულგაკოვს, გერშენზონს, კისტიაკოვსკის, სტრუვეს, ფრანკსა და იზგოევს. ცნობილი დეპუტატების, ცნობილი რენეგატების, ცნობილი კადეტების უკვე მარტოკა ეს სახელები თავისთავად საკმაოდ ბევრს მეტყველებენ. «ვეხის» ავტორები გამოდიან როგორც მთელი საზოგადოებრივი მიმართულების ნამდვილი იდეური ბელადები და მოკლე მონახაზში იძლევიან მთელ ენციკლოპედიას ფილოსოფიის, რელიგიის, პოლიტიკის, პუბლიცისტიკის, მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობისა და რუსეთის დემოკრატიის მთელი ისტორიის შეფასების საკითხებზე. როცა «ვეხს» უწოდეს «სტატიების კრებული რუსეთის ინტელიგენციის

შესახებ», ამ ქვესათაურით ავტორებმა ვიწრო ჩარჩოში მოაქციეს თავიანთი გამოსვლის ნამდვილი თემა, რადგან ნამდვილად მათ კრებულში ინტელიგენცია გამოდის რუსეთის მთელი დემოკრატიისა და რუსეთის მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის სულიერ ბელადად, შთამაგონებლად და გამომხატველად. «ვეხი» უდიდესი ნიშანსვეტია რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, მის ყველა ძირითად ამოცანასთან, მის ყველა უმთავრეს ტრადიციასთან რუსული კადეტიზმისა და საერთოდ რუსული ლიბერალიზმის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი კ ა ვ შ ი რ ი ს ს რ უ ლ ი გ ა წ ყ ვ ე ტ ი ს გზაზე.

I

ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი რ ე ნ ე გ ა ტ ო ბ ი ს ე ნ ც ი კ ლ ო პ ე დ ი ა სამ ძირითად თემას მოიცავს: 1) ბრძოლა რუსეთის და (საერთაშორისო) დემოკრატიის მთელი მსოფლმხედველობის იდეური საფუძვლების წინააღმდეგ; 2) განდგომა ახლახან გასული წლების განმათავისუფლებელი მოძრაობისაგან და მისი ტალახში ამოსვრა; 3) აშკარა გამოცხადება საკუთარი ლაქიური გრძნობებისა (და შესაბამისი ლაქიური პოლიტიკისა) ოქტიაბრისტული ბურჟუაზიის მიმართ, ძველი ხელისუფლების მიმართ, საერთოდ მთელი ძველი რუსეთის მიმართ.

«ვეხის» ავტორები იწყებენ «ინტელიგენტური» მსოფლმხედველობის ფილოსოფიური საფუძვლებით. მთელ წიგნს წითელ ზოლად გასდევს გადამწყვეტი ბრძოლა მატერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც გამოცხადებულია დოგმატიზმად, მეტაფიზიკად, «ფილოსოფოსობის ყველაზე ელემენტარულ და დაბალ ფორმად» (გვ. 4 — გვერდები ნაჩვენებია «ვეხის» 1-ლი გამოცემის მიხედვით). პოზიტივიზმი დაგმობილია იმიტომ, რომ ის «ჩვენთვის» (ე. ი. «ვეხის» მიერ განადგურებული რუსული «ინტელიგენციისათვის») იყო «იგივე, რაც მატერიალისტური მეტაფიზიკა», ანდა მას განმარტავდნენ «მხოლოდ და მხოლოდ მატერიალისტურად» (15), მაშინ როდესაც «არც ერთ მისტიკოსს, არც ერთ მორწმუნეს არ შეუძლია უარყოს მეცნიერული პოზიტივიზმი და მეცნიერება» (11). ნუ ხუმრობთ! «იდეალისტური და რელიგიურ-მისტიკური ტენდენციებისადმი მტრობა» (6) — აი რატომ ესხმის თავს «ვეხი» «ინტელიგენციას». «იურკევიჩი, ყოველ შემთხვევაში, ნამდვილი ფილოსოფოსი იყო ჩერნიშევსკისთან შედარებით» (4).

სავსებით ბუნებრივია, რომ, ამ თვალსაზრისზე მდგომი, «ვეხი» დაუცხრომლად ანადგურებს «ინტელიგენციის» ათეიზმს და ცდი-

ლობს მთელი სიმტკიცითა და მთელი სისრულით აღადგინოს რელიგიური მსოფლმხედველობა. სავსებით ბუნებრივია, რომ რაკი მოსპო ჩერნიშევსკი, როგორც ფილოსოფოსი, «ვეხი» სპობს ბელინსკის, როგორც პუბლიცისტს. ბელინსკი, დობროლიუბოვი, ჩერნიშევსკი — «ინტელიგენტების» ბელადები არიან (134, 56, 32, 17 და სხვ.). ჩაადაევი, ვლადიმერ სოლოვიოვი, დოსტოევსკი — «სრულიადაც არ არიან ინტელიგენტები». პირველნი იმ მიმართულების ბელადები არიან, რომელსაც «ვეხი» სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეომება. მეორენი «დაუცხრომლად ამტკიცებდნენ» სახელდობრ იმას, რასაც «ვეხიც» ამტკიცებს, მაგრამ «მათ ყურს არ უგდებდნენ, ინტელიგენცია მათ გვერდს უვლიდაო», — იუწყება «ვეხის» წინასიტყვაობა!

მკითხველს უკვე შეუძლია აქედან დაინახოს, რომ «ვეხი» თავს ესხმის არა «ინტელიგენციას», ეს მხოლოდ ხელოვნური გამოთქმის ხერხია, რომელიც საქმეს ხლართავს. თავდასხმა წარმოებს მთელი ხაზით დემოკრატიის წინააღმდეგ, დემოკრატიული მსოფლმხედველობის წინააღმდეგ. ხოლო რადგან იმ პარტიის იდეური ბელადებისათვის, რომელიც რეკლამას უკეთებს თავის თავს, როგორც «კონსტიტუციურ-დემოკრატიულ» პარტიას, უხერხულია საგნებს მათი ნამდვილი სახელი უწოდონ, მათ ტერმინოლოგია ისესხეს «მ ო ს კ ო ვ ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი ს ა გ ა ნ»[32], ისინი ხელს იღებენ არა დემოკრატიაზე, — (რა არასაკადრისი ცილისწამებაა!), — არამედ მხოლოდ «ინტელიგენტშჩინაზე».

ბელინსკის წერილი გოგოლისადმი[33], ავტორიტეტულად ბრძანებს «ვეხი», «ინტელიგენტური სულიერი განწყობილების მგზნებარე და კლასიკური გამოხატულებაა» (56). «ჩვენი პუბლიცისტიკის ისტორია, ბელინსკის შემდეგ მოკიდებული, ცხოვრების შეგნების აზრით, სრული კოშმარია» (82).

მაშ ასე. ყმა გლეხების სულიერი განწყობილება ბატონყმობის წინააღმდეგ, როგორც ჩანს, «ინტელიგენტური» სულიერი განწყობილება ყოფილა. ისტორია მოსახლეობის უაღრესად ფართო მასების პროტესტისა და ბრძოლისა 1861 წლიდან 1905 წლამდე რუსეთის ცხოვრების მთელ წყობილებაში ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ, როგორც ჩანს, «სრული კოშმარი» ყოფილა. ან, იქნებ, ჩვენი ჭკვიანი და განათლებული ავტორების აზრით, ბელინსკის სულიერი განწყობილება წერილში გოგოლისადმი დამოკიდებული არ იყო ყმა გლეხთა სულიერ განწყობილებაზე? ჩვენი პუბლიცისტიკის ისტორია დამოკიდებული არ იყო ბატონყმური ჩაგვრის ნაშთებით ხალხის მასების აღშფოთებაზე?

«მ ო ს კ ო ვ ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» მუდამ ამტკიცებდა რუსეთის დემოკრატია, თუნდაც ბელინსკით დაწყებული, სრულიადაც არ გამოხატავს მოსახლეობის უაღრესად ფართო მასების ინტერესებს ხალხის იმ სრულიად ელემენტარული უფლებებისათვის ბრძოლაში, რომლებსაც ბატონყმური დაწესებულებანი არღვევენ, არამედ მხოლოდ «ინტელიგენტურ სულიერ განწყობილებას» გამოხატავსო.

«ვეხისა» და «მოსკოვსკიე ვედომოსტის» პროგრამა ერთნაირია ფილოსოფიაშიც და პუბლიცისტიკაშიც. მაგრამ ლიბერალურმა რენეგატებმა გაბედეს ფილოსოფიაში ეთქვათ სრული სიმართლე, გადაეშალათ მ თ ე ლ ი თავიანთი პროგრამა (ომი მატერიალიზმისა და მატერიალისტურად განმარტებული პოზიტივიზმის წინააღმდეგ; მისტიკისა და მისტიკური მსოფლმხედველობის აღდგენა), პუბლიცისტიკაში კი ისინი ფარისევლობენ, იქლაკნებიან, იეზუიტობენ. მათ კავშირი გაწყვიტეს დემოკრატიის ყველაზე ძირითად იდეებთან, ყველაზე ელემენტარულ დემოკრატიულ ტენდენციებთან, მაგრამ თავს ისე გვაჩვენებენ, თითქოს კავშირს წყვეტენ მხოლოდ «ინტელიგენტშჩინასთან». ლიბერალურმა ბურჟუაზიამ გადაჭრით იბრუნა პირი ხალხის უფლებების დაცვისაგან ხალხის წინააღმდეგ მიმართულ დაწესებულებათა დაცვისაკენ. მაგრამ ლიბერალურ პოლიტიკანებს სურთ «დემოკრატების» სახელწოდება შეინარჩუნონ.

სწორედ იმავე ოინს, რომელიც გამოიყენეს გოგოლისადმი ბელინსკის წერილისა და რუსული პუბლიცისტიკის ისტორიის მიმართ, იყენებენ ამასწინანდელი მოძრაობის ისტორიის მიმართაც.

II

ნამდვილად «ვეხში» თავს ესხმიან მხოლოდ ისეთ ინტელიგენციას, რომელიც დემოკრატიული მოძრაობის გამომხატველი იყო, და მხოლოდ იმისათვის, რაშიაც მან თავი გამოიჩინა როგორც ამ მოძრაობის ნამდვილმა მონაწილემ. «ვეხი» გააფთრებული ესხმის თავს ინტელიგენციას სწორედ იმიტომ, რომ ეს «მცირე არალეგალური სექტა ქვეყანას მოევლინა, მრავალი მიმდევარი შეიძინა და ერთ ხანს იდეურად გავლენიანი და რეალურად ძლიერიც კი გახდა» (176). ლიბერალები თანაუგრძნობდნენ «ინტელიგენციას» და ფარულად ზოგჯერ მხარს უჭერდნენ მას, ვ ი დ რ ე იგი რჩებოდა მ ხ ო ლ ო დ მცირე არალეგალურ სექტად, ვიდრე მან არ შეიძინა მრავალი მიმდევარი, ვიდრე იგი რეალურად ძლიერი არ ხდებოდა; ეს ნიშნავს: ლიბერალი თანაუგრძნობდა დემოკრატიას, ვიდრე დემოკრატიას მოძრაობაში არ მოჰყავდა ნამდვილი მასები, რადგან მასების ჩაუბმელად იგი მხოლოდ ლი-

ბერალიზმის ანგარებიან მიზნებს ემსახურებოდა, იგი მხოლოდ ეხმარებოდა ლიბერალური ბურჟუაზიის ზედა ფენებს ახლოს მისულიყვნენ ხელისუფლების სადავეებთან. ლიბერალმა ზურგი შეაქცია დემოკრატიას, როცა ამ უკანასკნელმა ჩაითრია მასები, რომლებმაც დაიწყეს თ ა ვ ი ა ნ თ ი ამოცანების განხორციელება, თ ა ვ ი ა ნ თ ი ინტერესების დაცვა. დემოკრატიული «ინტელიგენციის» წინააღმდეგ ყვირილის საფარით კ ა დ ე ტ ე ბ ი ს ო მ ი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ წ ა რ მ ო ე ბ ს მ ა ს ე ბ ი ს დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მ ო ძ რ ა ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ამის დამადასტურებელი ერთ-ერთი ნიმუში უამრავი თვალსაჩინო ნიმუშებიდან «ვეხში» ის არის, რომ ისინი XVIII საუკუნის დამლევის საფრანგეთის დიდ საზოგადოებრივ მოძრაობას[34] აცხადებენ «მაგალითად საკმაოდ გახანგრძლივებული ინტელიგენტური რევოლუციისა, რომელმაც მთელი თავისი სულიერი პოტენცია გამოამჟღავნა» (57).

კარგი რამ არის, ხომ? XVIII საუკუნის დასასრულის საფრანგეთის მოძრაობა, თურმე ნუ იტყვით, მასების უაღრესად ღრმა და ფართო დემოკრატიული მოძრაობის ნიმუში კი არა, «ინტელიგენტური» რევოლუციის ნიმუშია! რადგან მსოფლიოში არსად და არასდროს დემოკრატიული ამოცანები არ განხორციელებულა ე რ თ ნ ა ი რ ი ტიპის მოძრაობის გაუჩაღებლად, სავსებით ცხადია, რომ ლიბერალიზმის იდეური ბელადები კავშირს წყვეტენ სწორედ დემოკრატიასთან.

რუსულ ინტელიგენციაში «ვეხი» აგინებს სწორედ იმას, რაც ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი დემოკრატიული მოძრაობის ა უ ც ი ლ ებ ელ თანამგზავრსა და გამოხატულებას წარმოადგენს. «ინტელიგენტური იდეების პოლიტიკური რადიკალიზმის შეერთება ხალხის ინსტინქტების * სოციალურ რადიკალიზმთან, გამარეტიანებელი სისწრაფით მოხდა» (141) — და ეს იყო «არა მხოლოდ პოლიტიკური შეცდომა, არა მხოლოდ ტაქტიკის შეცდება. აქ იყო მორალური შეცდომა». იქ, სადაც გატანჯული ხალხის მასები არ არიან, არც დემოკრატიული მოძრაობა შეიძლება იყოს. დემოკრატიული მოძრაობა კი უბრალო «ამბოხებისაკენ» სწორედ იმით განსხვავდება, რომ ის გარკვეული რადიკალური პოლიტიკური იდეების დროშით მიმდინარეობს. დემოკრატიული მოძრაობა და დემოკრატიული იდეები არათუ პოლიტიკურად მცდარი, არათუ ტაქტიკურად შეუფერებელი, არამედ მორალურადაც ცოდვით სავსეაო, — აი რაში მდგომარეობს «ვეხის» ჭეშმარიტი აზრი, რომელიც სრულიად არაფრით არ განსხვავდება პობედო-

* «გატანჯული ხალხის მასებისა» — ნათქვამია იმავე გვერდზე, ორიოდე სტრიქონს ქვემოთ.

ნოსცევის ჭეშმარიტი აზრებისაგან. პობედონოსცევი მხოლოდ უფრო პატიოსნად და უფრო პირდაპირ ამბობდა იმას, რასაც ამბობენ სტრუვეები, იზგოევები, ფრანკები და კომპანია.

როცა «ვეხი» იწყებს საძულველი «ინტელიგენტური» იდეების შინაარსის უფრო ზუსტად განსაზღვრას, ის, ბუნებრივია, ლაპარაკობს «მემარცხენე» იდეებზე საერთოდ, ნაროდნიკულ და მარქსისტულ იდეებზე — კერძოდ. ნაროდნიკებს ბრალად ედება «ყალბი სიყვარული გლეხობისადმი», მარქსისტებს — «პროლეტარიატისადმი» (9). ერთნიც და მეორენიც სავსებით გაცამტვერებულნი არიან «ხალხის თაყვანისმცემლობისათვის» (59, 59 — 60). საძულველი «ინტელიგენტის» «ღმერთი არის ხალხი, მისი ერთადერთი მიზანია უმრავლესობის ბედნიერება» (159). «ათეისტური მემარცხენე ბლოკის მქუხარე სიტყვები» (29), — აი რა დაამახსოვრდა ყველაზე მეტად II სათათბიროში კადეტ ბულგაკოვს, აი რამ აღაშფოთა ის განსაკუთრებით. და ოდნავი ეჭვიც არ არის, რომ ბულგაკოვმა აქ სხვებზე რამდენადმე უფრო მკაფიოდ გამოხატა საერთო-კადეტური ფსიქოლოგია, გამოხატა მთელი კადეტური პარტიის იდუმალი ფიქრები.

ლიბერალისათვის ნაროდნიკობასა და მარქსიზმს შორის განსხვავება რომ ქრება, — ეს შემთხვევითი კი არა, გარდუვალია, ეს ლიტერატორის (რომელმაც მშვენივრად იცის ეს განსხვავება) «ფანდი» კი არა, ლიბერალიზმის თანამედროვე არსის კანონზომიერი გამოხატულებაა. რადგან ა ხ ლ ა ნ დ ე ლ დროში ლიბერალური ბურჟუაზიისათვის რუსეთში საზარელი და საძულველია არა იმდენად რუსეთის მუშათა კლასის სოციალისტური მოძრაობა, რამდენადაც როგორც მუშათა, ისე გლეხთა დემოკრატიული მოძრაობა, ე. ი. საზარელი და საძულველია ის, რაც ნაროდნიკობასა და მარქსიზმს საერთო აქვთ, — ეს არის მათ მიერ დემოკრატიის დაცვა მასებისადმი მიმართვის გზით. თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელია ის, რომ ლიბერალიზმი რუსეთში გადაჭრით შეტრიალდა დემოკრატიის წინააღმდეგ; სავსებით ბუნებრივია, რომ მას არ აინტერესებს არც განსხვავებანი დემოკრატიის შიგნით, არც შემდგომი მიზნები, ვარაუდები და პერსპექტივები, რომლებიც განხორციელებული დემოკრატიის ნიადაგზე ისახება.

«ვეხი» სავსეა ისეთი სიტყვებით, როგორიცაა «ხალხის თაყვანისმცემლობა». ეს საკვირველი არ არის, რადგან ხალხით დამფრთხალ ლიბერალურ ბურჟუაზიას ისღა დარჩენია, რომ გაჰყვიროდეს დემოკრატების მიერ «ხალხის თაყვანისმცემლობაზე». არ შეიძლება უკანდახევა არ დაფარო განსაკუთრებით ხმამაღალი დაფის ცემით.

მართლაცდა, არ შეიძლება აშკარად უარყო, რომ ორივე პირველი სათათბირო სწორედ მუშათა და გლეხთა დეპუტატების სახით გამოხატავდა მუშათა და გლეხთა მასების ნამდვილ ინტერესებს, მოთხოვნებსა და შეხედულებებს. ამავე დროს კი სწორედ ამ «ინტელიგენტმა» დეპუტატებმა* შთააგონეს კიდეც კადეტებს «მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე ე ბ ი ს ა დ მ ი» უსაზღვრო ს ი ძ უ ლ ვ ი ლ ი იმისათვის, რომ ეს უკანასკნელნი ააშკარავებდნენ კადეტების გაუთავებელ გადახვევებს დემოკრატიზმისაგან. მართლაცდა, არ შეიძლება აშკარად უარყო თუნდაც «ოთხფორმულიანი»[35] საარჩევნო სისტემა; ამავე დროს კი არც ერთი რამდენადმე პატიოსანი პოლიტიკური მოღვაწე არ დაეჭვებულა იმაში, რომ «ოთხფორმულიანი» საარჩევნო სისტემის მიხედვით ჩატარებული არჩევნები, ნამდვილად დემოკრატიული არჩევნები თანამედროვე რუსეთში უდიდეს უმრავლესობას მისცემდა ტრუდოვიკ დეპუტატებს მუშათა პარტიის დეპუტატებთან ერთად.

განდგომილ ლიბერალურ ბურჟუაზიას ისღა დარჩენია, რომ დემოკრატიასთან თავისი კავშირის გაწყვეტა დაფაროს «მ ო ს კ ო ვ ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი ს ა» და «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა ს» ლექსიკონიდან ნასესხები სიტყვებით; ამ სიტყვებით პირდაპირ აკრელებულია «ვეხის» მთელი კრებული.

«ვეხი» მთელი ნიაღვარია რეაქციული სიბინძურისა, რომელიც დემოკრატიას გადაასხეს. გასაგებია, რომ «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა ს» პუბლიცისტებმა, როზანოვმა, მენშიკოვმა და ა. სტოლიპინმა საამბოროდ მიაშურეს «ვეხს». გასაგებია, რომ ანტონ ვოლინსკი აღტაცებული დარჩა ლიბერალიზმის ბელადების ამ ნაწარმოებით.

«როცა ინტელიგენტი, — წერს «ვეხი», — ფიქრობდა თავის მოვალეობაზე ხალხის წინაშე, მას არასდროს აზრად არ მოსვლია ის, რომ მოვალეობის საწყისში გამოხატული პირადი პასუხისმგებლობის იდეა მიმართული უნდა იყოს არა მარტო მისადმი, ინტელიგენტისადმი, არამედ ხალხისადმიც» (139). დემოკრატი ფიქრობდა ხალხის უფლებებისა და თავისუფლების გაფართოებაზე და ამ აზრს გამოხატავდა სიტყვებით მაღალი კლასების «მოვალეობაზე» ხალხის წინაშე. დემოკრატს არასდროს არ შეეძლო აზრად მოსვლოდა და არასდროს აზრად არ მოუვა ის, რომ რეფორმამდელ ქვეყანაში ან ისეთ ქვეყანა-

* «ვეხის» მიერ სიტყვა «ინტელიგენტის» ჩვეულებრივი მნიშვნელობის დამახინჯება პირდაპირ სასაცილოა. საკმარისია გადაფურცლოთ ორივე პირველი სათათბიროს დეპუტატთა სიები და მაშინვე დაინახავთ, რომ ტრუდოვიკების[36] უდიდეს უმრავლესობას შეადგენდნენ გლეხები, სოციალ-დემოკრატთა შორის ჭარბობდნენ მუშები და ბურჟუაზიული ინტელიგენციის მასა თავმოყრილი იყო კადეტებთან.

ში, სადაც 3 ივნისის «კონსტიტუცია»[37] არსებობს, შეიძლება ლაპარაკი ხალხის «პასუხისმგებლობაზე» მმართველი კლასების წინაშე. იმისათვის, რომ ეს «აზრი დაებადოს», დემოკრატი, ანუ თითქოს დემოკრატი, საბოლოოდ უნდა იქცეს კონტრრევოლუციონერ ლიბერალად.

«ეგოიზმი, თვითგანმტკიცება — დიდი ძალაა, — ვკითხულობთ «ვეხში», — სწორედ ის აქცევს დასავლეთის ბურჟუაზიას ამქვეყნიური საღვთო საქმის მძლავრ შეუგნებელ იარაღად» (95). ეს სხვა არაფერია, თუ არა ხატის ზეთით შეზავებული განმეორება ცნობილი ფრაზისა: «Enrichissez-vous! — გამდიდრდით!» ან ჩვენებური რუსული გამოთქმისა: «ჩვენ ძლიერთა იმედი გვაქვსო»[38]. როცა ბურჟუაზია ეხმარებოდა ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, იგი ამ ბრძოლას საღვთო საქმედ აცხადებდა. როცა მას ხალხის შეეშინდა და პირი იბრუნა ყოველგვარი შუასაუკუნეობრივი წესების მხარდაჭერისაკენ ხალხის საწინააღმდეგოდ, — მან საღვთო საქმედ გამოაცხადა «ეგოიზმი», გამდიდრება, შოვინისტური საგარეო პოლიტიკა და სხვა. ეს იყო ევროპაში ყველგან. ეს მეორდება რუსეთშიც.

«17 ოქტომბრის აქტით რევოლუცია არსებითად და ფორმალურად უნდა დამთავრებულიყო» (136). აი სწორედ ეს არის ოქტიაბრიზმის, ე. ი. კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის პროგრამის თავი და ბოლო. ოქტიაბრისტები ყოველთვის ამას გაიძახოდნენ და ამის შესაბამისად აშკარად მოქმედებდნენ. კადეტები ასევე მოქმედებდნენ ფ ა რ უ ლ ა დ (17 ოქტომბრიდან დაწყებული), მაგრამ ამასთანავე სურდათ თავი დემოკრატებად მოეჩვენებინათ. დემოკრატიის საქმის წარმატებისათვის დემოკრატებსა და რენეგატებს შორის სრული, მკაფიო, აშკარა გამიჯვნა ყველაზე სასარგებლო, ყველაზე აუცილებელი რამ არის. «ვეხი» უნდა გამოვიყენოთ ამ საჭირო საქმისათვის. «ბოლოს და ბოლოს, საჭიროა გამბედაობა ვიქონიოთ და ვაღიაროთ, — წერს რენეგატი იზგოევი, — რომ ჩვენს სახელმწიფო სათათბიროებში დეპუტატთა უდიდესმა უმრავლესობამ, გარდა სამი-ოთხი ათეული კადეტისა და ოქტიაბრისტისა, ვერ გამოიჩინა ის ცოდნა, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა რუსეთის მართვა-გამგეობისა და გარდაქმნის დაწყება» (208). ჰო, რასაკვირველია, აბა სად შეუძლიათ გლეხთა დეპუტატ ტრუდოვიკებს ან ვიღაც მუშებს ხელი მოჰკიდონ ასეთ საქმეს. ამისათვის საჭიროა კადეტებისა და ოქტიაბრისტების უმრავლესობა, ასეთი უმრავლესობისათვის კი საჭიროა III სათათბირო...

ხოლო იმისათვის, რომ ხალხსა და ხალხის თაყვანისმცემელთ შეგნებული ჰქონდეთ თავიანთი «პასუხისმგებლობა» საქმეების გამგებელთა წინაშე III სათათბიროში და ამ მესამე სათათბიროს რუსეთში, ამისათვის საჭიროა ხალხს ვუქადაგოთ — ანტონ ვოლინსკისთან ერთად — «მონანიება» («ვეხი», 26), «მორჩილება» (49), «ინტელიგენტის ქედმაღლობასთან» ბრძოლა (52), «დამჯერობა» (55), «მოსეს ძველი ათი მცნების უბრალო, უხეში საზრდო» (51), «რუსეთის გიგანტურ სხეულში შეჭრილ ეშმაკთა ლეგიონის» წინააღმდეგ ბრძოლა (68). თუ გლეხები ირჩევენ ტრუდოვიკებს, მუშები კი — სოციალ-დემოკრატებს, ეს, რასაკვირველია, სწორედ ამგვარი ეშმაკისეული ცთუნებაა, რადგან, კაცმა რომ თქვას, თავისი ბუნებით, როგორც უკვე დიდი ხანია აღმოაჩინეს კატკოვმა და პობედონოსცევმა, ხალხი გრძნობს «სიძულვილს ინტელიგენციისადმი» (87; წაიკითხე: დემოკრატიისადმი).

ამიტომ რუსეთის მოქალაქეები, — გვასწავლის «ვეხი», — უნდა «ლოცავდნენ ამ ხელისუფლებას, ერთადერთ ძალას, რომელიც თავისი ხიშტებითა და საპყრობილეებით ჯერ კიდევ გვიცავს ჩვენ («ინტელიგენტებს») ხალხის გაოფთრებისაგან» (88).

ეს ტირადა კარგია იმით, რომ გულახდილია. — სასარგებლოა იმით, რომ ააშკარავებს სიმართლეს მთელი კადეტური პარტიის პოლიტიკის ნამდვილი არსის შესახებ 1905 — 1909 წლების მთელი ხნის განმავლობაში. ეს ტირადა კარგია იმით, რომ მოკლედ და ნათლად ააშკარავებს «ვეხის» მთელ სულისკვეთებას. «ვეხი» კი კარგია იმით, რომ ააშკარავებს რუსი ლიბერალებისა და მათ შორის რუსი კადეტების ნ ა მ დ ვ ი ლ ი პოლიტიკის მთელ სულისკვეთებას. აი ამიტომ კადეტური პოლემიკა «ვეხთან», კადეტური განდგომა «ვეხისაგან» — სულ ერთიანად თვალთმაქცობაა, მხოლოდ დაუსრულებელი ფუჭსიტყვაობაა. რადგან საქმით კადეტები, როგორც კოლექტივი, როგორც პარტია, როგორც საზოგადოებრივი ძალა, ს წ ო რ ე დ «ვეხის» პოლიტიკას ეწეოდნენ და ეწევიან. ბულიგინის სათათბიროში[39] მონაწილეობისაკენ მოწოდება 1905 წლის აგვისტოსა და სექტემბერში, დემოკრატიის საქმისადმი ღალატი იმავე წლის დამლეგს, ხალხისა და სახალხო მოძრაობის სისტემატური შიში და მუშათა და გლეხთა დეპუტატების წინააღმდეგ სისტემატური ბრძოლა ორივე პირველ სათათბიროში, ბიუჯეტისთვის ხმის მიცემა, კარაულოვის სიტყვები რელიგიაზე და ბერეზოვსკისა აგრარულ საკითხზე III სათათბიროში, ლონდონს გამგზავრება,[40] — ყოველივე ეს სწორედ იმ, სწორედ ი ს ე-

თი პოლიტიკის უამრავი ნიშანსვეტია*, რომელიც იდეურად გამოცხადებულია «ვეხში».

რუსეთის დემოკრატიას არ შეუძლია არც ერთი ნაბიჯის გადადგმა წინ, ვიდრე ის ამ პოლიტიკის დედაარსს არ შეიგნებს, მის კლასობრივ ფესვებს არ გაიგებს.

დაბეჭდილია 1909 წ. 13 დეკემბერს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 16,
გვ. 145 — 156

იბეჭდება თხზულებათა
ტექსტის მიხედვით

* веха — ნიშანსვეტი. ქართ. რედ.

ნაშრომიდან «პუბლიცისტის შენიშვნები» ოტზოვიზმის მოძველთა და დამცველთა პლატფორმის შესახებ

... ახლანდელი რევოლუციათაშორისო პერიოდი შემთხვევითობით როდი აიხსნება. ახლა უკვე ეჭვი არ არის, რომ ჩვენს წინაშეა თვითმპყრობელობის განვითარების, ბურჟუაზიული მონარქიის, ბურჟუაზიულ-შავრაზმული პარლამენტარიზმის, სოფლად ცარიზმის ბურჟუაზიული პოლიტიკის განვითარების, ყოველივე ამისადმი კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მხარდაჭერის განსაკუთრებული ეტაპი. ეს პერიოდი, უეჭველია, არის გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი პერიოდი «რევოლუციის 2 ტალღას შორის», მაგრამ, მეორე რევოლუციისათვის მოსამზადებლად, საჭიროა სწორედ დავეუფლოთ ამ გადასვლის თავისებურებას, საჭიროა შეგვეძლოს ჩვენი ტაქტიკა და ორგანიზაცია შევუგუოთ ამ ძნელ, მძიმე, ბნელ, მაგრამ «კამპანიის» მსვლელობით ჩვენთვის თავს მოხვეულ გადასვლას. სათათბირო ტრიბუნის, ისე როგორც ყოველგვარი სხვა ლეგალური შესაძლებლობის, გამოყენება მიეკუთვნება ბრძოლის იმ მეტად დაბალ საშუალებათა რიცხვს, რომლებიც არაფერ «წარმტაცს» არ შეიცავენ. მაგრამ გარდამავალი პერიოდი სწორედ იმიტომ არის გარდამავალი, რომ მისი სპეციფიკური ამოცანაა ძალთა მომზადება და შეკრება და არა მათი უშუალო, არა მათი გადამწყვეტი გამოსვლა. შეგვეძლოს გარეგან ბრწყინვალებას მოკლებული ამ საქმიანობის აწყობა, შეგვეძლოს მისთვის ყველა იმ ნახევრადლეგალური დაწესებულების გამოყენება, რომლებიც შავრაზმულ-ოქტიაბრისტული სათათბიროს ეპოქის დამახასიათებელია, შეგვეძლოს ა მ ნ ი ა დ ა გ ზ ე დ ა ც დავიცვათ რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ყველა ტრადიცია, მისი გმირული ახლო წარსულის ყველა ლოზუნგი, მისი მუშაობის მთელი არსი, ოპორტუნიზმისა და რეფორმიზმის მიმართ მთელი მისი შეურიგებლობა, — აი პ ა რ ტ ი ი ს ა მ ო ც ა ნ ა, აი მომენტის ამოცანა.

ჩვენ გავარჩიეთ ახალი პლატფორმის პირველი უკანდახევა იმ ტაქტიკიდან, რომელიც გადმოცემულია 1908 წლის დეკემბრის კონფერენციის[41] რეზოლუციაში. ჩვენ ვნახეთ, რომ ეს არის უკანდახევა ოტზოვისტური იდეებისაკენ, იმ იდეებისაკენ, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ არც ახლანდელი მომენტის მარქსისტულ ანალიზთან, არც რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა ტაქტიკის ძირითად წანამძღვრებთან საზოგადოდ. ახლა ჩვენ უნდა განვიხილოთ ახალი პლატფორმის მეორე ორიგინალური ნიშანი.

ეს არის ახალი ჯგუფის მიერ გამოცხადებული ამოცანა «შეექმნათ» და «მასებში გავავრცელოთ ახალი, პროლეტარული» კულტურა: «განვავითაროთ პროლეტარული მეცნიერება, განვამტკიცოთ ნამდვილი ამხანაგური ურთიერთობა პროლეტარულ წრეში, შევიმუშაოთ პროლეტარული ფილოსოფია, წარვმართოთ ხელოვნება პროლეტარული მისწრაფებისა და გამოცდილების მიმართულებით» (გვ. 17).

აი იმ გულუბრყვილო დიპლომატიის ნიმუში, რომელიც ახალ პლატფორმაში საქმის დედაარსის მიჩქმალვას ემსახურება! აბა, განა ეს გულუბრყვილობა არ არის, როცა «მეცნიერებას» და «ფილოსოფიას» შ ო რ ი ს ურთავენ «ნამდვილი ამხანაგური ურთიერთობის განმტკიცებას»? ახალ ჯგუფს პ ლ ა ტ ფ ო რ მ ა შ ი შეაქვს თავისი მოსალოდნელი წ ყ ე ნ ა, თავისი ბრალდება სხვა ჯგუფების (სახელდობრ: პირველ რიგში ორთოდოქსალური ბოლშევიკების) მიმართ მ ა თ მ ი ერ «ნამდვილი ამხანაგური ურთიერთობის» დარღვევის შესახებ. სწორედ ასეთია ამ სასაცილო მუხლის რ ე ა ლ უ რ ი შინაარსი.

«პროლეტარული მეცნიერება» აქ აგრეთვე «მოწყენილად და უალაგო ალაგას» გამოიყურება. ჯერ-ერთი, ჩვენ ახლა ვიცნობთ მხოლოდ ერთ პროლეტარულ მეცნიერებას — მარქსიზმს. პლატფორმის ავტორები რატომღაც სისტემატურად გაურბიან ამ ერთადერთ ზუსტ ტერმინს და ყველგან ხმარობენ სიტყვებს: «მეცნიერული სოციალიზმი» (გვ. 13, 15, 16, 20, 21). ცნობილია, რომ ჩვენში, რუსეთში ამ უკანასკნელ ტერმინზე პრეტენზიას აცხადებენ მარქსიზმის პირდაპირი მოწინააღმდეგენიც. მეორეც, თუ პლატფორმაში დასახულ იქნება «პროლეტარული მეცნიერების» განვითარების ამოცანა, მაშინ ნათლად უნდა ითქვას, ჩვენი დროის სახელდობრ რა იდეურ, თეორიულ ბრძოლას გულისხმობენ აქ და სახელდობრ ვის მხარეზე დგებიან პლატფორმის ავტორები. ამაზე დუმილი გულუბრყვილო ეშმაკობაა, რადგან ს ა ქ მ ი ს დ ე დ ა ა რ ს ი ნათელია ყველასთვის, ვინც კი სოციალ-დემოკრატიის 1908 — 1909 წლების ლიტერატურას იცნობს.

ჩ ვ ე ნ ს დროში მეცნიერების, ფილოსოფიის, ხელოვნების დარგში წინ წარმოსდგა მარქსისტების ბრძოლა მახისტების წინააღმდეგ. ამ საყოველთაოდ ცნობილ ფაქტზე თვალის დახუჭვა, სულ ცოტა რომ ვთქვათ, სასაცილოა. «პლატფორმები» უნდა იწერებოდეს არა უთანხმოებათა მისაჩქმალავად, არამედ მათი ახსნა-განმარტებისათვის.

ჩვენი ავტორები ვერ ახერხებენ, რომ არ გამო

პრესა, სახელდობრ ის, რომ მ. გორკი ახალი ჯგუფის მომხრეებს მიეკუთვნება. ხოლო გორკი უდავოდ არის პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი ხელოვნების უდიდესი წარმომადგენელი, რომელმაც მისთვის ბევრი რამ გააკეთა და კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეუძლია. სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოველ ფრაქციას შეუძლია კანონიერად იამაყოს იმით, რომ გორკი მასთან არის, მაგრამ ამ საფუძვლით პ ლ ა ტ ფ ო რ მ ა შ ი «პროლეტარული ხელოვნების» შეტანა იმას ნიშნავს, რომ ამ პლატფორმას სიღარიბის მოწმობა მისცე, იმას ნიშნავს, რომ შენი ჯგუფი დაიყვანო ლიტერატორულ წ რ ე მ დ ე, რომელიც თავის «ა ვ ტ ო რ ი ტ ა რ ო ბ ა ს» სწორედ რომ თვითონვე ამხელს... პლატფორმის ავტორები ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ავტორიტეტების აღიარების წინააღმდეგ, მაგრამ ნათლად არ განმარტავენ, რაშია საქმე. საქმე იმაშია, რომ ბოლშევიკების მიერ ფილოსოფიაში მატერიალიზმის დაცვა და ოტზოვიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მათ ჰგონიათ იმ ცალკეული «ავტორიტეტების» (მეტად აშკარა ქარაგმაა!) წამოწყება, რომლებსაც მახიზმის მტრები «ბრმად ენდობიან». ამგვარი საქციელი, რა თქმა უნდა, სავსებით ბავშვური ამბავია. მაგრამ ავტორიტეტებს ცუდად სწორედ «ვპერიოდელები» ეპყრობიან. გორკი პროლეტარული ხელოვნების საქმეში ავტორიტეტია, ეს უდავოა. მახიზმისა და ოტზოვიზმის განსამტკიცებლად ა მ ავტორიტეტის «გამოყენების» (რა თქმა უნდა, იდეური მნიშვნელობით) ცდა ნიშნავს აჩვენო იმის ნ ი მ უ შ ი, თუ როგორ არ უნდა მოვეპყრათ ა ვ ტ ო რ ი ტ ე ტ ებ ს.

პროლეტარული ხელოვნების საქმეში მ. გორკი უდიდესი პ ლ უ ს ი ა, მიუხედავად მახიზმისა და ოტზოვიზმისადმი მისი თანაგრძნობისა. სოციალ-დემოკრატიული პროლეტარული მოძრაობის განვითარების საქმეში პ ლ ა ტ ფ ო რ მ ა, რომელიც პარტიაში ოტზოვისტების ჯგუფს და მახისტებს განაცალკევებს და სპეციალურ ჯგუფურ ამოცანად თითქოსდა «პროლეტარული» ხელოვნების განვითარებას სახავს, არის მ ი ნ უ ს ი, რადგან ამ პლატფორმას სურს დიდი ავტორიტეტის მოღვაწეობაში განამტკიცოს და გამოიყენოს სწორედ ის, რაც მის სუსტ მხარეს შეადგენს, რაც უარყოფით სიდიდედ შედის იმ უდიდესი სარგებლობის ჯამში, რომელიც მას პროლეტარიატისათვის მოაქვს.

დაბეჭდილია 1910 წ. 6 (19) მარტს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 16,
გვ. 250 — 255

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

ლ. ნ. ტოლსტოი

გარდაიცვალა ლევ ტოლსტოი. მისი მსოფლიო მნიშვნელობა, როგორც მხატვრისა, მისი მსოფლიო საბელი, როგორც მოაზროვნისა და მქადაგებლისა, ერთიც და მეორეც ასახავს, თავისებურად, რუსეთის რევოლუციის მსოფლიო მნიშვნელობას.

ლ. ნ. ტოლსტოი, როგორც დიდი მხატვარი, ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს გამოვიდა. მთელ რიგ გენიალურ ნაწარმოებებში, რომლებიც მან მოგვცა თავისი ლიტერატურული მოღვაწეობის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, იგი უმთავრესად ხატავდა ძველ, რევოლუციამდელ რუსეთს, რომელიც 1861 წლის შემდეგაც ნახევრადბატონყმური დარჩა, სოფლის რუსეთს, მემამულისა და გლეხის რუსეთს. რუსეთის ისტორიული ცხოვრების ამ ხანის დახატვისას ლ. ტოლსტოიმ შესძლო თავის ნაშრომებში დაეყენებინა იმდენი დიდი საკითხები, შესძლო ამაღლებულიყო ისეთ მხატვრულ ძლიერებამდე, რომ მისმა ნაწარმოებებმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავეს მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში. რევოლუციის მომზადების ეპოქა მებატონეთა მიერ დაბეჩავებულ ერთ-ერთ ქვეყანაში, წარმოგვიდგა, ტოლსტოის გენიალური გაშუქების მეოხებით, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი მთელი კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში.

ტოლსტოი-მხატვარს სრულიად უმნიშვნელო უმცირესობა იცნობს რუსეთშიაც კი. იმისათვის, რომ მისი დიადი ნაწარმოებები ნამდვილად გახდეს ყ ვ ე ლ ა ს კუთვნილება, საჭიროა ბრძოლა და ბრძოლა ისეთი საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, რომელმაც მილიონებსა და ათობით მილიონებს წილად არგუნა სიბნელე, დაბეჩავება, კატორღული შრომა და სიღატაკე, საჭიროა სოციალისტური გადატრიალება.

და ტოლსტოიმ არათუ მოგვცა მხატვრული ნაწარმოებნი, რომელთაც მასები ყოველთვის დააფასებენ და წაიკითხავენ, როცა ისინი მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობის უღელს დაამხობენ და ადამიანური ცხოვრების პირობებს შეიქმნიან, — მან შესძლო შესანიშნავი ძალით გადმოეცა თანამედროვე წესწყობილებით ჩაგრული ფართო მასების სულიერი განწყობილება, დაესურათებია მათი მდგომარეობა, გამოეხატა მათი პროტესტისა და გულისწყრომის სტიქიური გრძნობა. ტოლსტოიმ, რომელიც უმთავრესად 1861 — 1904 წლების ეპოქას ეკუთვნოდა, თავის ნაწარმოებებში გასაოცარი გამოკვეთილობით განსახიერა — როგორც მხატვარმაც და როგორც მოაზროვნემ და მქადაგებელმაც — რუსეთის მთელი პირველი რევოლუციის ისტორიული თავისებურების ნიშნები, მისი ძალა და მისი სისუსტე.

ჩვენი რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ ეს იყო გ ლ ე ხ უ რ ი ბურჟუაზიული რევოლუცია მთელ მსოფლიოში კაპიტალიზმის ძალიან მაღალი და რუსეთში შედარებით მაღალი განვითარების ეპოქაში. ეს იყო ბურჟუაზიული რევოლუცია, რადგან მისი უშუალო ამოცანა იყო მეფის თვითმპყრობელობის, მეფის მონარქიის დამხობა და მემამულური მიწათმფლობელობის დანგრევა, და არა ბურჟუაზიის ბატონობის დამხობა. განსაკუთრებით გლეხობას შეგნებული არ ჰქონდა ეს უკანასკნელი ამოცანა, შეგნებული არ ჰქონდა მისი განსხვავება ბრძოლის უფრო ახლობელი და უშუალო ამოცანებისაგან. და ეს იყო გლეხური ბურჟუაზიული რევოლუცია, რადგან ობიექტურმა პირობებმა პირველ რიგში წამოაყენეს გლეხობის ცხოვრების ძირითადი პირობების შეცვლის საკითხი, ძველი შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის მსხვრევის, კაპიტალიზმისათვის «მიწის გაშენდის» საკითხი, ობიექტურმა პირობებმა ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი ისტორიული მოქმედების ასპარეზზე გამოიყვანეს გლეხთა მასები.

ტოლსტოის ნაწარმოებებში გამოიხატა სწორედ გლეხთა მასობრივი მოძრაობის ძალაც და სისუსტეც, ძლიერებაც და შეზღუდულობაც. მისი მხურვალე, მგზნებარე, ხშირად ულმობლად მკვეთრი პროტესტი სახელმწიფოსა და პოლიციურ-კაზიონური ეკლესიის წინააღმდეგ გადმოსცემს იმ პრიმიტიული გლეხური დემოკრატიის სულიერ განწყობილებას, რომელშიაც ბატონყმობის, მოხელეთა თვითნებობისა და მათგან ძარცვა-გლეჯის, საეკლესიო იეზუიტიზმის, მოტყუებისა და გაიძვერობის საუკუნეებმა უდიდესი გაბოროტება და სიძულვილი დააგროვა. მის მიერ მიწის კერძო საკუთრების შეუდ-

რეკელი უარყოფა გადმოსცემს გლეხთა მასის ფსიქოლოგიას ისეთ ისტორიულ მომენტში, როდესაც ძველი შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობა, მემამულურიცა და სახაზინო-«სანადელოც», საბოლოოდ იქცა ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების აუტანელ დაბრკოლებად და როდესაც ეს ძველი მიწათმფლობელობა აუცილებლად უაღრესი სისასტიკით და ულმობლად უნდა დამსხვრეულიყო. მის მიერ კაპიტალიზმის განუწყვეტელი მხილება, აღსავსე უაღრესად ღრმა გრძნობითა და უაღრესად ცხარე აღშფოთებით, გადმოსცემს იმ პატრიარქალური გლეხის მთელ ძრწოლას, რომლისკენაც უკვე თანდათან მიიწევს ახალი, უხილავი, გაურკვეველი მტერი; ეს მტერი მოდის საიდანღაც ქალაქიდან თუ საიდანღაც საზღვარგარეთიდან, ანგრევს სოფლის ყოფაცხოვრების ყველა «ბურჯს», თან მოაქვს არნახული გაჩანაგება, სიღატაკე, შიმშილით სიკვდილი, გაველურება, პროსტიტუცია, სიფილისი — «თავდაპირველი დაგროვების ეპოქის» მთელი უბედურებანი, ასკეცად გამწვავებულნი იმით, რომ რუსეთის ნიადაგზე გადმოტანილ იქნა ძარცვა-გლეჯის სავსებით უახლესი ხერხები, რომლებიც ბატონმა კუპონმა[12] შეიმუშავა.

მაგრამ მხურვალე პროტესტანტმა, მგზნებარე მამხილებელმა, დიდმა კრიტიკოსმა თავის ნაწარმოებებში ამასთან ერთად გამოამჟღავნა რუსეთზე მოწოლილი კრიზისის მიზეზთა და კრიზისიდან გამოსვლის საშუალებათა ისეთი გაუგებლობა, რომელიც ახასიათებს მხოლოდ პატრიარქალურ, ჭულუბრუყვილო გლეხს და არა ევროპულად განათლებულ მწერალს. ბატონყმურ და პოლიციურ სახელმწიფოსთან, მონარქიასთან ბრძოლა მის მოღვაწეობაში იქცეოდა პოლიტიკის უარყოფად, მას მიყავდა ის მოძღვრებამდე «ბოროტებისადმი წინააღუდგომლობის» შესახებ, მან გამოიწვია მისი სრული ჩამოშორება მასების 1905 — 1907 წლების რევოლუციური ბრძოლისაგან. კაზიონურ ეკლესიასთან ბრძოლა შეთავსებული იყო ახალი, გაწმენდილი რელიგიის ქადაგებასთან, ე. ი. ახალ, გაწმენდილ, საშინელ საწამლავთან ჩაგრული მასებისათვის. მიწის კერძო საკუთრების უარყოფა იწვევდა არა მთელი ბრძოლის წარმართვას ნამდვილი მტრის წინააღმდეგ, მემამულური მიწათმფლობელობისა და მისი ძალაუფლების პოლიტიკური იარაღის, ე. ი. მონარქიის წინააღმდეგ, არამედ მეოცნებურ, ბუნდოვან, უღონო ამოხვნეშას. კაპიტალიზმისა და იმ უბედურებათა მხილება, რასაც ის მასებს აყენებს, შეთავსებული იყო სავსებით აპათიურ დამოკიდებულებასთან იმ მსოფლიო განმათავი-

სუფლებელი ბრძოლისადმი, რომელსაც საერთაშორისო სოციალისტური პროლეტარიატი ეწევა.

წინააღმდეგობანი ტოლსტოის შეხედულებებში — მარტო მისი პირადი აზროვნების წინააღმდეგობანი კი არ არის, არამედ იმ უაღრესად რთული, წინააღმდეგობრივი პირობების, სოციალური გავლენების, ისტორიული ტრადიციების ასახვაა, რომლებიც განსაზღვრავდნენ რუსეთის საზოგადოების სხვადასხვა კლასისა და სხვადასხვა ფენის ფსიქოლოგიას რეფორმის შ ე მ დ გ ო მ დ რ ო ი ნ დ ე ლ, მაგრამ რ ე ვ ო ლ უ ც ი ა მ დ ე ლ ეპოქაში.

და ამიტომ ტოლსტოის მართებული შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ კლასის თვალსაზრისით, რომელმაც თავისი პოლიტიკური როლითა და თავისი ბრძოლით ამ წინააღმდეგობათა პირველი აფეთქების დროს, რევოლუციის დროს, დაამტკიცა თავისი მოწოდება იყოს ბელადი ხალხის თავისუფლებისათვის და ექსპლოატაციისაგან მასების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, — დაამტკიცა თავისი უსაზღვრო ერთგულება დემოკრატიის საქმისადმი და თავისი უნარი ებრძოლოს ბურჟუაზიული (მათ შორის აგრეთვე გლეხური) დემოკრატიის შეზღუდულობასა და არათანამიმდევრულობას,— შესაძლებელია მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პროლეტარიატის თვალსაზრისით.

შეხედეთ, როგორ შეფასებას აძლევენ ტოლსტოის მთავრობის გაზეთებში. ისინი ნიანგის ცრემლებს ღვრიან, ირწმუნებიან, რომ პატივს სცემენ «დიდ მწერალს» და იმავე დროს იცავენ «უწმინდეს» სინოდს. წმინდა მამებმა კი სწორედ ახლახან მიმართეს განსაკუთრებით საზიზღარ სისაძაგლეს, როცა მომაკვდავს ხუცები მიუგზავნეს, რათა ხალხი მოეტყუებინათ და ეთქვათ, რომ ტოლსტოიმ «მოინანია». უწმიდესმა სინოდმა ტოლსტოი ეკლესიისაგან განდევნა. მით უკეთესი. ეს საგმირო საქმე ჩაეთვლება მას, როდესაც ხალხი ანგარიშს გაუსწორებს ანაფორიან მოხელეებს, ქრისტეს სახელით მოქმედ ჟანდარმებს, ბნელ ინკვიზიტორებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ ებრაელთა დარბევებს და შავრაზმული მეფის ბრბოს სხვა საგმირო საქმეებს.

შეხედეთ, როგორ შეფასებას აძლევენ ტოლსტოის ლიბერალური გაზეთები. ისინი ფონს გადიან იმ ფუჭი, კაზიონურ-ლიბერალური, გაცვეთილ-პროფესიული ფრაზებით «ცივილიზებული კაცობრიობის ხმის», «მსოფლიოს ერთსულოვანი გამოხმაურების» შესახებ, «სიმართლის, სიკეთის იდეებისა» და სხვათა შესახებ, რომლებისთვისაც ტოლსტოი ასე ამათრახებდა — და სამართლიანადაც ამათრახებდა —

ბურჟუაზიულ მეცნიერებას. მათ ა რ შ ე უ ძ ლ ი ა თ პირდაპირ და ნათლად გამოთქვან თავიანთი შეფასება ტოლსტოის შეხედულებებისა სახელმწიფოზე, ეკლესიაზე, მიწის კერძო საკუთრებაზე, კაპიტალიზმზე, — არა იმიტომ, რომ ცენზურა ხელს უშლის; პირიქით, ცენზურა მათ ეხმარება თავი დააღწიონ უხერხულ მდგომარეობას! — არამედ იმიტომ, რომ ტოლსტოის კრიტიკაში თვითეული დებულება ბურჟუაზიული ლიბერალიზმისათვის სილის გაწვნაა; — იმიტომ, რომ ტოლსტოის მიერ ჩვენი დროის ყველაზე მტკივნეული, ყველაზე წყეული საკითხების უკვე მარტოოდენ უშიშარი, აშკარა, ულმობლად მწვავე დ ა ყ უ ნ ე ბ ა ა ც ა მ ტ ვ ე რ ე ბ ს ჩვენებური ლიბერალური (და ლიბერალურ-ნაროდნიკული) პუბლიცისტიკის შაბლონურ ფრაზებს, გაცვეთილ ფანდებს, მიკიბულ-მოკიბულ, «ცივილიზებულ» სიცრუეს. ლიბერალები ექომაგებიან ტოლსტოის, ილაშქრებენ სინოდის წინააღმდეგ — და, ამასთან ერთად, ისინი იცავენ... ვეხელებს, რომელთაც «შეიძლება ედავო», მაგრამ რომლებსაც «საჭიროა» შეეთვისო ერთ პარტიაში, რომლებთანაც «საჭიროა» ერთად იმუშაო ლიტერატურასა და პოლიტიკაში. ვეხელებს კი ეამბორება ანტონ ვოლინსკი.

ლიბერალები პირველ რიგში იმას აყენებენ, რომ ტოლსტოი «უდიდესი სინდისია». განა ეს ცალიერი ფრაზა არ არის, რომელსაც ათასნაირად იმეორებენ «ნდვოე ვრემიაც» და ყველა მისი მსგავსნიც? განა ეს დემოკრატიისა და სოციალიზმის იმ კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ი საკითხების გვერდის ავლა არ არის, რომლებიც ტოლსტოიმ დ ა ა ყ უ ე ნ ა? განა ეს პირველ რიგში არ აყენებს იმას, რაც ტოლსტოის ცრურწმენას გამოხატავს და არა მის გონებას, რაც მასში მიეკუთვნება წარსულს და არა მომავალს, მიეკუთვნება მის მიერ პოლიტიკის უარყოფას და ზნეობრივი თვითსრულყოფის ქადაგებას და არა მის მძაფრ პროტესტს ყოველგვარი კლასობრივი ბატონობის წინააღმდეგ?

მოკვდა ტოლსტოი, და წარსულს ჩაბარდა რევოლუციამდელი რუსეთი, რომლის სისუსტე და უძლურება გამოიხატა გენიალური მხატვრის ფილოსოფიაში, დასურათებულია მის ნაწარმოებებში. მაგრამ მის მემკვიდრეობაში არის ის, რაც წარსულს არ ჩაბარებია, რაც მომავალს ეკუთვნის. ამ მემკვიდრეობას იღებს და ამ მემკვიდრეობაზე მუშაობს რუსეთის პროლეტარიატი. ის განუმარტავს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა მასებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს, ეკლესიის, მიწის კერძო საკუთრების ტოლსტოისებურ კრიტიკას, — არა იმისათვის, რომ მასები კმაყოფილდებოდნენ თვითსრულყოფითა და ღვთისნიერ ცხოვრებაზე ამოოხვრით, არამედ იმისათვის, რომ ისინი აღსდგნენ და ახალი ლახვარი ჩასცენ მეფის

მონარქიასა და მემამულურ მიწათმფლობელობას, რომლებიც 1905 წელს მხოლოდ ოდნავ შეირყა და რომლებიც მოსპობილ უნდა იქნას. ის განუმარტავს მასებს კაპიტალიზმის ტოლსტოისებურ კრიტიკას, — ,არა იმისათვის, რომ მასები დაკმაყოფილდნენ კაპიტალისა და ფეულის მეუფების შეჩვენებით, არამედ იმისათვის, რომ მათ თავიანთი ცხოვრებისა და თავიანთი ბრძოლის ყოველ ნაბიჯზე ისწავლონ დაყრდნობა კაპიტალიზმის ტექნიკურ და სოციალურ მონაპოვრებზე, ისწავლონ შემჭიდროება იმ სოციალისტურ მებრძოლთა ერთიან მილიონიან არმიად, რომლებიც დაამხობენ კაპიტალიზმს და შექმნიან ახალ საზოგადოებას, სადაც არ იქნება ხალხის სიღატაკე, არ იქნება ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

დაბეჭდილია 1910 წ. 16 (29) ნოემბერს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 16,
გვ. 401 — 407

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

ლ. ნ. ტოლსტოი
და თანამედროვე მუშათა მოძრაობა

რუსი მუშები რუსეთის თითქმის ყველა დიდ ქალაქში უკვე გამოეხმაურნენ ლ. ნ. ტოლსტოის სიკვდილს და ასე თუ ისე გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება მწერლისადმი, ვინაც მოგვცა მთელი რიგი უაღრესად შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოებნი, რომლებიც მას მთელი მსოფლიოს დიდ მწერალთა რიცხვში აყენებენ, — მოაზროვნისადმი, ვინც უდიდესი ძალით, რწმენით, გულწრფელობით დ ა ა ყ ე ნ ა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც შეეხება თანამედროვე პოლიტიკური და საზოგადოებრივი წესწყობილების ძირითად თვისებებს. საერთოდ და მთლიანად ეს დამოკიდებულება გამოხატულია გაზეთებში დაბეჭდილი დეპეშით, რომელიც III სათათბიროს მუშა დეპუტატებმა გაგზავნეს [43].

ლ. ტოლსტოიმ თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო ბატონყმობის არსებობის ხანაში, მაგრამ უკვე ისეთ დროს, როცა ბატონყმობა აშკარად სულს ღაფავდა. ტოლსტოის უმთავრესი მოღვაწეობა დაემთხვა რუსეთის ისტორიის იმ პერიოდს, რომელიც ძევს მის ორ მობრუნების პუნქტს შორის, 1861 და 1905 წლებს შორის. ამ პერიოდის განმავლობაში ბატონყმობის ნარჩენებითა და პირდაპირი გადმონაშთებით იყო მთლად გაჟღენთილი ჩვენი ქვეყნის მთელი სამეურნეო (განსაკუთრებით სოფლის) და მთელი პოლიტიკური ცხოვრება. და იმავე დროს სწორედ ეს პერიოდი იყო პერიოდი კაპიტალიზმის გაძლიერებული ზრდისა ქვევიდან და მისი დანერგვისა ზევიდან.

რით იჩენდა თავს ბატონყმობის გადმონაშთები? ყველაზე მეტად და ყველაზე მკაფიოდ იმით, რომ რუსეთში, უმთავრესად მიწათმოქმედ ქვეყანაში, მიწათმოქმედება ამ ხნის განმავლობაში იმყოფებოდა

გაჩანაგებულ, გაღატაკებულ გლეხთა ხელში, რომლებიც მოძველებულ, პირველყოფილ მეურნეობას ეწეოდნენ ყმების ძველ ნადელებზე, რაც მემამულეთა სასარგებლოდ ჩამოაჭრეს 1861 წელს. ხოლო, მეორე მხრით, მიწათმოქმედება იმყოფებოდა მემამულეთა ხელში, რომლებიც კენტრალურ რუსეთში მიწას გლეხთა შრომით, გლეხური კავით, გლეხის ცხენით ამუშავებდნენ «ჩამოჭრილი მიწების» საზღაურად, სათიბების საზღაურად, პირუტყვის წყალსალევის საზღაურად და ასე შემდეგ. არსებითად, ეს — მეურნეობის ძველი ბატონყმური სისტემაა. რუსეთის პოლიტიკური წყობილება ამ ხნის მანძილზე აგრეთვე მთლად გაჟღენთილი იყო ბატონყმობით. ეს ჩანს სახელმწიფოებრივი წყობითაც, ვიდრე პირველად დაიწყებოდა მისი შეცვლა 1905 წელს, მიწათმფლობელ-თავადაზნაურთა გაბატონებული გავლენითაც სახელმწიფო საქმეებზე და მოხელეთა ყოვლისშემძლეობითაც, რომლებიც აგრეთვე უმთავრესად — განსაკუთრებით უმაღლესი მოხელენი — გამოსული იყვნენ მიწათმფლობელ თავადაზნაურთა წრიდან.

ეს ძველი პატრიარქალური რუსეთი 1861 წლის შემდეგ სწრაფად ირღვეოდა მსოფლიო კაპიტალიზმის გავლენით. გლეხები შიმშილობდნენ, წყდებოდნენ, ჩანაგდებოდნენ, როგორც არასოდეს წინათ, თავს ანებებდნენ მიწას და გარბოდნენ ქალაქებში. გაძლიერებით შენდებოდა რკინიგზები, ფაბრიკა-ქარხნები გაჩანაგებულ გლეხთა «იაფი შრომის» მეოხებით. რუსეთში ვითარდებოდა მსხვილი ფინანსური კაპიტალი, მსხვილი ვაჭრობა და მრეწველობა.

ძველი რუსეთის ყველა ძველი «ბურჯის» აი ეს ჩქარი, მძიმე, მკვეთრი მსხვრევა აისახა კიდეც ტოლსტოი-მხატვრის ნაწარმოებებში, ტოლსტოი-მოაზროვნის შეხედულებებში.

ტოლსტოი ჩინებულად იცნობდა რუსეთის სოფელს, მემამულისა და გლეხის ყოფაცხოვრებას. მან თავის მხატვრულ ნაწარმოებებში მოგვცა ამ ყოფაცხოვრების ისეთი გამოსახულებანი, რომლებიც მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებთ მიეკუთვნებიან. რუსეთის სოფლის ყველა «ძველი ბურჯის» მკვეთრმა მსხვრევამ გაამახვილა მისი ყურადღება, გააღრმავა მისი ინტერესი იმის მიმართ, რაც მის გარშემო ხდებოდა, გამოიწვია გარდატეხა მთელ მის მსოფლმხედველობაში. წარმოშობითა და აღზრდით ტოლსტოი ეკუთვნოდა რუსეთის მემამულეთა უმაღლეს დიდკაცობას, — მან კავშირი გაწყვიტა ამ წრის ყველა ჩვეულ შეხედულებასთან და, თავის უკანასკნელ ნაწარმოებებში, მგზნებარე კრიტიკით დაესხა თავს მთელ თანამედროვე სახელმწიფოებრივ, საეკლესიო, საზოგადოებრივ, ეკონომი-

ურ წესებს, რომლებიც ემყარება მასების დამონებას, მათს სიღატაკეს, გლეხთა და წვრილ მეპატრონეთა გაჩანაგებას საზოგადოდ, ძალადობასა და პირმოთნეობას, რითაც თავიდან ბოლომდე გაჟღენთილია მთელი თანამედროვე ცხოვრება.

ტოლსტოის კრიტიკა ახალი არ არის. მას ისეთი არაფერი უთქვამს, რაც მასზე დიდი ხნით ადრე არ ეთქვათ როგორც ევროპის, ისე რუსულ ლიტერატურაში იმათ, ვინც მშრომელთა მხარეზე იდგა. მაგრამ ტოლსტოის კრიტიკის თავისებურება და ისტორიული მნიშვნელობა ის არის რომ ეს კრიტიკა ისეთი სიძლიერით გამოხატავს აღნიშნული პერიოდის რუსეთის ხალხის უაღრესად ფართო მასების და სახელდობრ სოფლური, გლეხური რუსეთის შეხედულებათა მსხვრევას, რომელიც მხოლოდ გენიალური მხატვრების დამახასიათებელია. რადგან ტოლსტოის კრიტიკა თანამედროვე წესებისა განსხვავდება იმავე წესების კრიტიკისაგან თანამედროვე მუშათა მოძრაობის წარმომადგენლების მიერ სწორედ იმით, რომ ტოლსტოი დგას პატრიარქალური, გულუბრყვილო გლეხის თვალსაზრისზე, ტოლსტოის ამ გლეხის ფსიქოლოგია გადააქვს თავის კრიტიკაში, თავის მოძღვრებაში. ტოლსტოის კრიტიკა იმიტომ განსხვავდება გრძნობის ესოდენი ძალით, ესოდენი მგზნებარებით, დამაჯერებლობით, სიახლით, გულწრფელობით, შეუპოვარი მისწრაფებით «ფესვამდე ჩაწვდეს», იპოვოს მასების უბედურებათა ნამდვილი მიზეზი, რომ ეს კრიტიკა ნამდვილად ასახავს გარდატეხას იმ მილიონობით გლეხთა შეხედულებებში, რომლებიც ეს-ეს არის ბატონყმობიდან თავისუფლების გზაზე გამოვიდნენ და დაინახეს, რომ ეს თავისუფლება მოასწავებს გაჩანაგების, შიმშილით სიკვდილის, ქალაქელ გაიძვერათა შორის უსახლკარო ცხოვრების და სხვა ახალ საშინელებებს. ტოლსტოი მათს სულიერ განწყობილებას ასახავს ისეთი სისწორით, რომ თვითონ მას თავის მოძღვრებაში შეაქვს მათი გულუბრყვილობა, პოლიტიკისაგან მათი განდგომა, მათი მისტიციზმი, ამა ქვეყნისაგან განდგომის სურვილი, «ბოროტებისადმი წინააღუდგომლობა», უმწეო წყევლა-კრულვა კაპიტალიზმის და «ფულის ბატონობის» მისამართით. გლეხთა მილიონების პროტესტი და მათი სასოწარკვეთილება—აი რა შეერწყა ერთმანეთს ტოლსტოის მოძღვრებაში.

თანამედროვე მუშათა მოძრაობის წარმომადგენლების აზრით, მათ საპროტესტო ბევრი რამ აქვთ, მაგრამ სასოწარსაკვეთი არაფერი აქვთ. სასოწარკვეთა იმ კლასების დამახასიათებელია, რომლებიც იღუპებიან, დაქირავებული მუშათა კლასი კი გარდუვალად იზრდება, ვითარდება და ღონიერდება ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოება-

ში, მათ შორის რუსეთშიც. სასოწარკვეთა იმათი დამახასიათებელია, ვისაც არ ესმის ბოროტების მიზეზები, ვერ ხედავს გამოსავალს, უნარი არ შესწევს იბრძოლოს. თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატი ასეთი კლასების რიცხვს არ ეკუთვნის.

დაბეჭდილია 1910 წ. 28 ნოემბერს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 16,
გვ. 411 — 414

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

ტოლსტოი და პროლეტარული ბრძოლა

ტოლსტოი უდიდესი ძალით და გულწრფელობით ამათრახებდა გაბატონებულ კლასებს, სრული სიცხადით ააშკარავებდა ყველა იმ დაწესებულების შინაგან სიყალბეს, რომელთა შემწეობითაც არსებობს თანამედროვე საზოგადოება: ეკლესია, სასამართლო, მილიტარიზმი, «კანონიერი» ქორწინება, ბურჟუაზიული მეცნიერება. მაგრამ მისი მოძღვრება სრულ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ცხოვრებასთან, თანამედროვე წყობილების მესაფლავის — პროლეტარიატის მუშაობასა და ბრძოლასთან. მაშ ვისი თვალსაზრისი აისახა ლევ ტოლსტოის ქადაგებაში? მისი პირით ლაპარაკობდა რუსი ხალხის მთელი ის მრავალმილიონიანი მასა, რომელსაც უ კ ვ ე სძულს თანამედროვე ცხოვრების ბატონ-პატრონები, მაგრამ რომელიც ჯ ე რ კ ი დ ე ვ არ მისულა შეგნებულ, თანამიმდევრულ, ბოლომდე მიმავალ, შეურიგებელ ბრძოლამდე მათ წინააღმდეგ.

რუსეთის დიდი რევოლუციის ისტორიამ და შედეგმა ცხადყო, რომ სწორედ ასეთი იყო ის მასა, რომელიც აღმოჩნდა შეგნებულ, სოციალისტურ პროლეტარიატსა და ძველი რეჟიმის გადაჭრით დამცველთა შ ო რ ი ს. ამ მასამ, — უმთავრესად გლეხობამ, — რევოლუციის დროს ცხადყო, რაოდენ დიდია მასში ძველისადმი სიძულვილი, რაოდენ ცხოვლად განიცდის ის თანამედროვე რეჟიმის მთელ სიმძიმეს, რაოდენ დიდია მასში სტიქიური მისწრაფება განთავისუფლდეს ამ სიმძიმისაგან და მოიპოვოს უკეთესი ცხოვრება.

და იმავე დროს ამ მასამ რევოლუციაში ცხადყო, რომ თავის სიძულვილში ის არასაკმაოდ შეგნებულია, თავის ბრძოლაში არათანამიმდევრულია, უკეთესი ცხოვრების თავის ძიებაში შემოზღუდულია ვიწრო ფარგლებით.

დიდი ზღვა — ხალხი, რომელიც უდიდეს სიღრმეებამდე აზვირთ-

და, მთელი თავისი სუსტი და ძლიერი მხარეებით აისახა ტოლსტოის მოძღვრებაში.

ლევ ტოლსტოის მხატვრულ ნაწარმოებთა შესწავლით რუსეთის მუშათა კლასი უკეთესად გაიცნობს თავის მტრებს, ხოლო ტოლსტოის მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ი ს გარკვევით მთელმა რუსმა ხალხმა უნდა გაიგოს, რაში მდგომარეობდა მისი საკუთარი სისუსტე, რამაც მას საშუალება არ მისცა ბოლომდე მიეყვანა თავისი განთავისუფლების საქმე. ეს საჭიროა გავიგოთ იმისათვის, რომ წინ ვიაროთ.

აი სწორედ ამ წინსვლას უშლიან ხელს ყველა ისინი, ვინც ტოლსტოის «საერთო სინდისად», «ცხოვრების მასწავლებლად» აცხადებს. ეს არის სიცრუე, რასაც შეგნებულად ავრცელებენ ლიბერალები, რომელთაც სურთ გამოიყენონ ტოლსტოის მოძღვრების ანტირევოლუციური მხარე. ამ სიცრუეს ტოლსტოის როგორც «ცხოვრების მასწავლებლის შესახებ», ლიბერალების კვალდაკვალ ზოგიერთი ყოფილი სოციალ-დემოკრატიც იმეორებს.

რუსი ხალხი მხოლოდ მაშინ მიაღწევს განთავისუფლებას, როცა შეიგნებს, რომ ტოლსტოისაგან კი არ უნდა სწავლობდეს ის უკეთესი ცხოვრების მოპოვებას, არამედ იმ კლასისაგან, რომლის მნიშვნელობაც ტოლსტოის არ ესმოდა და რომელსაც ერთადერთს შეუძლია დაანგრიოს ტოლსტოისათვის საძულველი ძველი სამყარო, — უნდა სწავლობდეს პროლეტარიატისაგან.

დაბეჭდილია 1910 წ. 18 (31) დეკემბერს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 16,
გვ. 440 — 441

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

«ბანმარტების» გმირები

ბ-ნ პოტრესოვისა და კომპანიის ჟურნალ «ნაშა ზარიას»[44] ჩვენ მიერ ეს-ეს არის ახლახან მიღებული მეათე წიგნი იძლევა ლევ ტოლსტოის შეფასებაში უდარდელობის, უფრო სწორად კი — უპრინციპობის ისეთ განსაცვიფრებელ ნიმუშებს, რომლებზედაც, თუნდაც მოკლედ, დაუყოვნებლივ უნდა შევჩერდეთ.

აი, პოტრესოვის ლაშქრის ახალი მოლაშქრის, ვ. ბაზაროვის სტატია. რედაქცია არ ეთანხმება ამ სტატიის «ცალკეულ დებულებებს», თუმცა, რა თქმა უნდა, არ მიუთითებს, როგორია ეს დებულებები. ეს ხომ ბევრად უფრო ხელსაყრელია არევდარევის დასაფარავად! ჩვენდათავად კი პირდაპირ გვიძნელდება აღვნიშნოთ ამ სტატიის ისეთი დებულება, რომელმაც არ აღაშფოთოს მარქსიზმის ოდნავ მაინც პატივისმცემელი ადამიანი. «ჩვენმა ინტელიგენციამ, — წერს ვ. ბაზაროვი, — დამბლადაცემულმა და მოდუნებულმა, რაღაც უსახურ გონებრივ და ზნეობრივ არარაობად ქცეულმა, სულიერი გახრწნის უკანასკნელ მიჯნამდე მისულმა, ერთსულოვნად აღიარა ტოლსტოი — მ თ ე ლ ი ტოლსტოი — თავის სინდისად». ეს — ტყუილია. ეს — ფრაზაა. ჩვენი ინტელიგენცია საზოგადოდ, და «ნაშა ზარიას» ინტელიგენცია კერძოდ, ძალიან წააგავს «მოდუნებულს», მაგრამ მას ტოლსტოის შეფასებაში არავითარი «ერთსულოვნება» არ გამოუჩენია და არც შეეძლო გამოეჩინა, არასოდეს მ თ ე ლ ი ტოლსტოი მართებულად არ დაუფასებია და არც შეეძლო დაეფასებინა. და სწორედ ერთსულოვნების უქონლობა აქ დაფარულია უაღრესად ფარისევლური, პირდაპირ «ნ ო ვ ო ე ვ რ ე მ ი ა ს» შესაფერისი, ფრაზით «სინდისის» შესახებ. ბაზაროვი კი არ ებრძვის «არარაობას», არამედ ხელს უწყობს მას.

ბაზაროვს «სურს მოგვაგონოს ტოლსტოის მიმართ ჩადენილი ზოგიერთი უსამართლობა (!!), რაშიც ბრალი უდევთ საზოგადოდ რუსეთის ინტელიგენტებს, განსაკუთრებით კი ჩვენ, სხვადასხვა ჯურის

რადიკალებს». აქ მართალი მხოლოდ ის არის, რომ ბაზაროვი, პოტრესოვი და კომპანია სწორედ რომ «სხვადასხვა ჯურის რადიკალებია», რომელნიც იმდენად არიან დამოკიდებულნი საყოველთაო «არარაობისაგან», რომ ტოლსტოის მსოფლმხედველობის ძირითადი არათანამიმდევრობისა და სუსტი მხარეების ყოვლად შეუწყნარებელი მიფუჩეჩების დროს მოკრძალებით მისჩანჩალებენ უკან «ყველას» და გაყვირიან ტოლსტოის მიმართ ჩადენილ «უსამართლობაზე». მათ არ უნდათ თავი გაიბრუონ «იმ, ჩვენს შორის განსაკუთრებით გავრცელებული, ბანგით, რომელსაც ტოლსტოი «კამათის გაბოროტებას» უწოდებს», — ეს სწორედ ისეთი სიტყვებია, ისეთი ჰანგებია, რასაც მოითხოვენ ობივატელები, რომელნიც უსაზღვრო ზიზღით თავს არიდებენ კამათს რაიმე მთლიანად და თანამიმდევრობით დასაცავი პრინციპის გულისთვის.

«ტოლსტოის მთავარი ძალა სწორედ ის არის, რომ მან, განვლო რა თანამედროვე განათლებული ადამიანებისათვის ტიპიური დაშლის ყველა საფეხური, შესძლო მოენახა სინთეზი...». ტყუილია. ტოლსტოიმ ვერც თავისი მსოფლმხედველობის ფილოსოფიურ საფუძვლებში და ვერც თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძღვრებაში სწორედ სინთეზი ვერ მონახა, უფრო სწორად: არ შეეძლო მოენახა. «ტოლსტოიმ პირველად (!) გაობიექტურა, ე. ი. შექმნა არა მარტო თავისთვის, არამედ სხვებისთვისაც, ის წ მ ი ნ დ ა ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი (ხაზგასმა ყველგან თვითონ ბაზაროვისაა) რელიგია, რომელზედაც მხოლოდ სუბიექტურად (!) შეეძლოთ ეოცნებათ კონტს, ფეიერბახს და თანამედროვე კულტურის სხვა წარმომადგენლებს», და სხვა და სხვ.

ასეთი სიტყვები ჩვეულებრივ ობივატელობაზე უარესია. ეს არის ხელოვნური ყვავილებით «არარაობის» მორთვა-მოკაზმვა, რასაც მხოლოდ შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს ადამიანები. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ფეიერბახი, რაკი ვერ შესძლო «მოენახა სინთეზი» თავის მსოფლმხედველობაში, რომელიც მრავალმხრივ გერმანული კლასიკური ფილოსოფიის «უკანასკნელ სიტყვას» წარმოადგენდა, გაიხლართა იმ «სუბიექტურ ოცნებებში», რომელთა უარყოფითი მნიშვნელობა უკვე დიდი ხნით ადრე შეაფასეს «თანამედროვე კულტურის» ნამდვილად მოწინავე «წარმომადგენლებმა». ახლა იმის გამოცხადება, თითქოს ტოლსტოიმ «პირველად გაობიექტურა» ეს «სუბიექტური ოცნებები», ნიშნავს უკუმავალთა ბანაკში გაქცევას, ნიშნავს ობივატელობის წინაშე მლიქნელობას, ნიშნავს ვეხელობის აყოლას.

«თავისთავად იგულისხმება, ტოლსტოის მიერ დაფუძნებულმა მოძრაობამ (!?) ღრმა ცვლილებანი უნდა განიცადოს, თუ მას მართლა უწერია შეასრულოს დიდი მსოფლიო-ისტორიული როლი: პატრიარქალურ-გლეხური ყოფის იდეალიზაცია, ნატურალური მეურნეობისადმი ლტოლვა და ტოლსტოელობის სხვა მრავალი უტოპიური ნიშანი, რომლებსაც ამჟამად პირველ ადგილზე აყენებენ (!) და რომელნიც ყველაზე უფრო არსებითად ეჩვენებათ, ნამდვილად წარმოადგენენ სწორედ სუბიექტურ ელემენტებს, რომელნიც აუცილებელი კავშირით არ არიან დაკავშირებულნი ტოლსტოის «რელიგიის» საფუძველთან».

ამრიგად, ტოლსტოიმ ფეიერბახის «სუბიექტური ოცნებები» «გაობიექტურა", ხოლო ის, რაც ტოლსტოიმ გამობატა როგორც თავის გენიალურ მხატვრულ ნაწარმოებებში, ისე წინააღმდეგობებით აღსავსე თავის მოძღვრებაში,—ბაზაროვის მიერ აღნიშნული გასული საუკუნის რუსეთის ეკონომიური თავისებურებანი, — ეს «სწორედ სუბიექტური ელემენტები» ყოფილა მის მოძღვრებაში. სწორედ ამას ჰქვია, ნახტომი შეეშალაო. მაგრამ ისიც უნდა ითქვას: იმ «ინტელიგენციისათვის, რომელიც დამბლადაცემული და მოდუნებულია» (და ასე შემდეგ, როგორც ციტირებულია ზემოთ), არა არის რა იმაზე უფრო სასიამოვნო, სასურველი, საყვარელი, იმაზე უფრო წამაქეზებელი მისი მოდუნებულობისა, როგორც ტოლსტოის მიერ «გაობიექტურებულ» ფეიერბახის «სუბიექტურ ოცნებათა» ეს განდიდება და ყურადღების ეს ჩამოშორება იმ კონკრეტული ისტორიულ-ეკონომიური და პოლიტიკური საკითხებისაგან, რომელნიც «ამჟამად პირველ ადგილზეა წამოყენებული»!

გასაგებია, რომ ბაზაროვს განსაკუთრებით არ მოსწონს ის «მწვავე კრიტიკა», რომელიც გამოიწვია ბოროტებისადმი წინააღუდგომლობის მოძღვრებამ «რადიკალური ინტელიგენციის მხრით». ბაზაროვისათვის «აშკარაა, რომ აქ პასიურობასა და კვიეტიზმზე ლაპარაკი არ შეიძლება». განმარტავს რა თავის აზრს, ბაზაროვი იმოწმებს ცნობილ ზღაპარს «ივანე სულელის» შესახებ და წინადადებას აძლევს მკითხველს «წარმოიდგინოს, რომ სულელების წინააღმდეგ ჯარისკაცებს გზავნის არა ხოჭოების მეფე, არამედ მათივე საკუთარი დაჭკვიანებული მბრძანებელი ივანე, რომ ამ ჯარისკაცების საშუალებით, რომელნიც შეგროვილნი არიან ისევ სულელთაგან და, მაშასადამე, მთელი თავიანთი სულიერი აგებულებით მათ უახლოვდებიან, ივანეს სურს აიძულოს თავისი ქვეშევრდომები, რომ მათ შეასრულონ რაიმე უმართლო მოთხოვნა. თავისთავად ცხადია, თითქმის უიარაღო და სამხედრო წყობის უცოდინარ სულელებს ოცნებაც არ შეუძლიათ იმაზე, რომ ფიზიკურად გაიმარჯვებენ ივანეს ჯარებზე. კიდეც რომ გაუწიონ უაღრესად ენერგიული «წინააღმდეგობა ძალადობით», სუ-

ლელებს შეუძლიათ ივანე დაამარცხონ არა ფიზიკური, არამედ მხოლოდ მორალური ზემოქმედებით, ე. ი. მხოლოდ ივანეს ლაშქრის ჯარისკაცთა ეგრეთწოდებული «დემორალიზაციის» გზით»... «სულელების წინააღმდეგობა ძალადობით იმავე შედეგს აღწევს (ოღონდ უარესს და უფრო დიდი მსხვერპლით), რასაც წინააღმდეგობა ძალადობის გამოუყენებლად»... «ძალადობით ბოროტებისადმი წინააღუდგომლობა ანუ, საზოგადოდ, საშუალებისა და მიზნის (!!) ჰარმონია, სულაც არ წარმოადგენს იმ იდეას, რომელიც მხოლოდ გარესაზოგადოებრივ მორალურ მქადაგებლებს ახასიათებს. ეს იდეა ყოველი მთლიანი მსოფლმხედველობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია».

ასე მსჯელობს პოტრესოვის ლაშქრის ახალი მოლაშქრე. აქ მისი მსჯელობის განხილვა ჩვენ არ შეგვიძლია, — და, ვფიქრობთ, საკმარისიცაა ამჯერად პირდაპირ მოვიყვანოთ ამ მსჯელობიდან უმთავრესი და დავუმატოთ სამი სიტყვა: ეს — პირწმინდა ვეხელობაა.

ბოლო აკორდი კანტატისა იმ თემაზე, რომ ყურები შუბლს ზევით არ იზრდება: «ჩვენი უძლურება არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც ძალა, როგორც უპირატესობა ტოლსტოის «კვიეტიზმისა» და «შეზღუდული განსჯის» მიმართ (ხოლო მსჯელობის არათანამიმდევრობის მიმართ?). ამას არ უნდა ვამბობდეთ არა მარტო იმიტომ, რომ ეს ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას, არამედ აგრეთვე იმიტომაც, რომ ეს ხელს გვიშლის ვისწავლოთ რამე ჩვენი დროის უდიდესი ადამიანისაგან».

დიახ. დიახ. ოღონდ არ უნდა გაწყრეთ, ბატონებო, და არ უნდა გვიპასუხოთ სასაცილო ბაქიობითა და ლანძღვით (როგორც ბ-ნი პოტრესოვი «ნაშა ზარიას» მე-8 — 9 ნომრებში), როცა თქვენ იზგოევები გლოცავენ, გაქებენ და გეამბორებიან. ამ ამბორს პოტრესოვის ლაშქრის ვერც ძველი და ვერც ახალი მოლაშქრენი ვეღარ მოიწმენდენ.

ამ ლაშქრის გენერალურმა შტაბმა ბაზაროვის სტატიას დაურთო «დიპლომატიური» შენიშვნა. მაგრამ მას დიდად არა სჯობს ბ-ნ ნევედომსკის სრულიად უშენიშვნებოდ მოთავსებული მოწინავე წერილი. «რაკი შეითვისა, — წერს თანამედროვე ინტელიგენციის ეს ენამჭევრი, — და დასრულებულად განასახიერა რუსეთში მონობის დაცემის დიადი ეპოქის მთავარი ასპირაციები და მისწრაფებანი, ლევ ტოლსტოი შეიქნა ზოგადკაცობრიული იდეოლოგიური საწყისის — ს ი ნ დ ი ს ი ს ს ა წ ყ ი ს ი ს — ყველაზე უფრო წმინდა და დასრულებული განსახიერება».

ბუჰ, ბუჰ, ბუჰ... რაკი შეითვისა და დასრულებულად განასახიერა ლიბერალურ-ბურჟუაზიული პუბლიცისტიკის დამახასიათებელი დეკლამაციის მთავარი მანერები, მ. ნეველომსკი შეიქნა ზოგადკაცობრიული იდეოლოგიური საწყისის — ამაოსიტყვაობის საწყისის — ყველაზე უფრო წმინდა და დასრულებული განსახიერება.

კიდევ ერთი, უკანასკნელი თქმულება:

«ტოლსტოის ყველა ეს ევროპელი თაყვანისმცემელი, ყველა ეს სხვადასხვა სახელწოდების ანატოლ ფრანსები, და დეპუტატთა პალატები, რომლებმაც ამას წინათ დიდი უმრავლესობით ხმა მისცეს სიკვდილით დასჯის გაუქმების წინააღმდეგ, ახლა კი ფეხზე აღგომით პატივს სცემენ დიდებულ მ თ ლ ი ა ნ ადამიანს, მთელი ეს შუალედობის, ნახევრულობის, განმარტების სამეფო — რა დიად, რა ძლიერ, წმინდა მთლიანი ლითონივან გამოკვეთილ სახედ დგას მათ წინაშე ეს ტოლსტოი, ეს ცოცხალი განსახიერება ერთიანი პრინციპისა».

უჰ! ლამაზად ლაპარაკობს — და ამავე დროს ყოველივე ეს ხომ სულ ტყუილია. არა მთლიანი, არა წმინდა და არა ლითონიდან არის გამოკვეთილი ტოლსტოის ფიგურა. და «ყველა ამ» ბურჟუაზიულმა თაყვანისმცემლებმა ს წ ო რ ე დ არა «მთლიანობისათვის», სწორედ მთლიანობისაგან გადახვევისათვის «სცა პატივი ფეხზე ადგომით» მის ხსოვნას.

მხოლოდ ერთი კარგი სიტყვა წამოროშა უცაბედად ბ-ნმა ნეველომსკიმ. ეს სიტყვა — განმარტება — ისევე კარგად ახასიათებს «ნაშა ზარიას» ვაუბატონებს, როგორც ახასიათებს მ ა თ ინტელიგენციის ზემოთ მოყვანილი დახასიათება, რომელიც ვ. ბაზაროვს ეკუთვნის. ჩვენს წინაშე მთლად და ერთიანად — «განმარტების» გვირები არიან. პოტრესოვი განმარტავს, რომ არ ეთანხმება მახისტებს, თუმცა მათ იცავს. რედაქცია განმარტავს, რომ არ ეთანხმება ბაზაროვის «ცალკეულ დებულებებს», თუმცა ყველასათვის ცხადია, რომ აქ საქმე ცალკეული დებულებები როდია. პოტრესოვი განმარტავს, რომ მას ცილი დასწამა იზგოევმა. მარტოვი განმარტავს, რომ ის არც თუ სავსებით ეთანხმება პოტრესოვს და ლევიცკის, თუმცა იგი სწორედ მათ უწევს ერთგულ პოლიტიკურ საფსახურს. ისინი ყველანი ერთად განმარტავენ, რომ არ ეთანხმებიან ჩერევანინს, თუმცა უფრო იწონებენ მის მ ე ო რ ე ლიკვიდატორულ წიგნაკს, რომელიც აძლიერებს მისი პირველი ნაშობის «სულისკვეთებას». ჩერევანინი განმარტავს, რომ არ ეთანხმება მასლოვს. მასლოვი განმარტავს, რომ არ ეთანხმება კაუცკის.

ყველა ისინი ერთმანეთს ეთანხმებიან მხოლოდ იმაში, რომ ისინი არ ეთანხმებიან პლეხანოვს, და რომ პლეხანოვი ცილისმწამებლურად

აბრალებს მათ ლიკვიდატორობას, თვითონ მას კი თითქოს არ ძალუძს ახსნას თავისი ახლანდელი დაახლოება თავის გუშინდელ მოწინააღმდეგეებთან.

არაფერია იმაზე უფრო მარტივი, ვიდრე ახსნა ამ დაახლოებისა, რომელიც გაუგებარია განმარტებათა მოყვარულთათვის. როდესაც ჩვენ ლოკომოტივი გვქონდა, ჩვენში დიდი უთანხმოება იყო იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა ამ ლოკომოტივის ძალას, სათბობის მარაგსა და სხვა, ვთქვათ, 25 ან 50 ვერსი სიჩქარე საათში. დავა ამაზე, ისე როგორც ყოველ ღრმად ამაღელვებელ საკითხზე, წარმოებდა გაცხარებით და ხშირად გაბოროტებითაც. ეს დავა — პირდაპირ ყოველ საკითხში, რომლის გამოც კი ის აღძრულა, — ყველას თვალწინაა, ყველასათვის დასანახავია, აშკარად დაბოლოვებულია, არაა მიჩქმალული არავითარი «განმარტებებით». და არავის ჩვენთაგანს აზრად არ მოსდის უკან წაიღოს რამე ან იწუწუნოს «დავის გაბოროტების» გამო. მაგრამ როდესაც ლოკომოტივი დაზიანდა, როდესაც ის ჭაობში ძევს, როდესაც მას გარს ახვევია «განმმარტებელი» ინტელიგენტები, რომლებიც მუხთლად ხითხითებენ იმის გამო, რომ «სალიკვიდაციოც აღარაფერია», რადგან ლოკომოტივი აღარ არისო. — მაშინ ჩვენ, გუშინდელ «გაბოროტებულ მოდავეთ», გვაახლოებს ერთი საერთო საქმე. ჩვენ არაფერს არ უარვყოფთ, არაფერს არ ვივიწყებთ, არავითარ დაპირებას არ ვიძლევით უთანხმოებათა გაქრობის შესახებ, ჩვენ მხოლოდ საერთო საქმეს ვაკეთებთ ერთად. ჩვენ მთელ ყურადღებას და მთელ ძალღონეს მივმართავთ იქითკენ, რომ ლოკომოტივი წამოვაყენოთ, განვაახლოთ, გავამაგროთ, გავაძლიეროთ, რელსებზე დავაყენოთ, — მოძრაობის სიჩქარეზე და ამა თუ იმ ისრის მობრუნებაზე მოვასწრებთ დავას თავის დროზე. ჩვენს მძიმე დროში დღევანდელი დღის ამოცანაა შევქმნათ ისეთი რამ, რაც წინააღმდეგობას გაუწევს «განმარტებათა» მოტრფიალე ადამიანებს და «მოდუნებულ ინტელიგენტებს», რომელნიც პირდაპირ და არაპირდაპირ ხელს უწყობენ გამეფებულ «არარაობას». დღევანდელი დღის ამოცანაა ვთხაროთ, თუნდაც უძნელეს პირობებში, მადანი, ამოვიღოთ რკინა, ჩამოვასხათ მარქსისტული მსოფლმხედველობისა და ამ მსოფლმხედველობის შესაბამის ზედნაშენთა ფოლადი.

დაბეჭდილია 1910 წლის დეკემბერში
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 16.
გვ. 460 — 467

იბეჭდება თხზულებათა ტექსტს
მიხედვით

ლ. ნ. ტოლსტოი და მისი ეპოქა

ეპოქა, რომელსაც ეკუთვნის ლ. ტოლსტოი და რომელიც შესანიშნავი სიცხადით აისახა როგორც მის გენიალურ მხატვრულ ნაწარმოებებში, ისე მის მოძღვრებაში, არის 1861-დან 1905 წლამდე განვლილი ეპოქა. მართალია, ტოლსტოის ლიტერატურული მოღვაწეობა უფრო ადრე დაიწყო და უფრო გვიან დამთავრდა, ვიდრე ეს პერიოდი დაიწყებოდა და დამთავრდებოდა, მაგრამ ლ. ტოლსტოი, როგორც მხატვარი და მოაზროვნე, სავსებით ჩამოყალიბდა სწორედ ამ პერიოდში, რომლის გარდამავალმა ხასიათმა წარმოშვა ტოლსტოის ნაწარმოებთა და «ტოლსტოველობის» ყველა განმასხვავებელი თვისება.

ლ. ტოლსტოიმ «ანა კარენინაში» კ. ლევინის პირით მეტად მკაფიოდ გამოხატა, თუ რა შეადგენდა რუსეთის ისტორიის უღელტეხილს ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

...«მოსავალზე, მუშების დაქირავებაზე და სხვა ამისთანაზე ლაპარაკი, რომელიც, — ლევინმა ეს იცოდა, — რაღაც ძალიან უღირს რამედ ითვლებოდა,... ახლა ლევინს მხოლოდ ეს მიაჩნდა დიდმნიშვნელოვან რამედ. «შეიძლება ეს მნიშვნელოვანი არ იყო ბატონყმობის დროს, ან არაა მნიშვნელოვანი ინგლისში. ორივე შემთხვევაში თვით პირობები გამორკვეულია; მაგრამ ჩვენში ახლა, როცა ყოველივე ეს გადატრიალდა და მხოლოდ ეწყობა, ის საკითხი, თუ როგორ ჩამოყალიბდება ეს პირობები, ერთადერთი მნიშვნელოვანი საკითხია რუსეთში», — ფიქრობდა ლევინი» (თხზ., ტ. X, გვ. 137).

«ჩვენში ახლა ყოველივე ეს გადატრიალდა და მხოლოდ ეწყობა», — ძნელია წარმოიდგინოთ 1861 — 1905 წლების პერიოდის უფრო მარჯვე დახასიათება. ის, რაც «გადატრიალდა», კარგად ცნობილია, ან, ყოველ შემთხვევაში, სავსებით ნაცნობია ყოველი რუსი-

სათვის. ეს არის ბატონყმობა და მისი შესაბამისი მთელი «ძველი წესწყობილება». ის, რაც «მხოლოდ ეწყობა», სრულიად უცნობია, უცხო, გაუგებარია მოსახლეობის უფართოესი მასისათვის. ეს ბურჟუაზიული წყობილება, რომელიც «მხოლოდ ეწყობა», ტოლსტოის ბუნდოვანად ეხატება საფრთხობელას სახით—ინგლისის სახით. სწორედ რომ საფრთხობელას სახით, რადგან ტოლსტოი, ასე ვთქვათ, პრინციპულად უარყოფს ყოველგვარ ცდას — გამოარკვიოს ამ «ინგლისის» საზოგადოებრივი წყობილების ძირითადი ნიშნები, ამ წყობილების კავშირი კაპიტალის ბატონობასთან, ფულის როლთან, გაცვლა-გამოცვლის წარმოშობასა და განვითარებასთან. ნაროდნიკების მსგავსად, მას არა სურს დაინახოს, ის თვალს ხუჭავს, გაურბის ფიქრს იმაზე, რომ რუსეთში «ეწყობა» მხოლოდ ბურჟუაზიული და არა სხვა რაიმე წყობილება.

სიმართლეა ის, რომ რუსეთში მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის უახლოესი ამოცანების თვალსაზრისით, 1861 — 1905 წლების პერიოდისათვის (და ჩვენი დროისთვისაც), თუ «ერთადერთ მნიშვნელოვანს» არა, უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენდა საკითხი, თუ «როგორ ჩამოყალიბდება» ეს წყობილება, ბურჟუაზიული წყობილება, რომელიც მეტად სხვადასხვაგვარ ფორმებს ღებულობს «ინგლისში», გერმანიაში, ამერიკაში, საფრანგეთში და სხვაგან. მაგრამ ტოლსტოისათვის საკითხის ასეთი გარკვეული, კონკრეტულ-ისტორიული დაყენება სრულიად უცხო რამეა. ის მსჯელობს განყენებულად, ის იწყნარებს მხოლოდ ზნეობის «მარადი» საწყისების, რელიგიის მარად ჭეშმარიტებათა თვალსაზრისს, და ვერ მიმხვდარა, რომ ეს თვალსაზრისი მხოლოდ იდეოლოგიური ანარეკლია ძველი («გადატრიალებული») წყობილებისა, ბატონყმური წყობილებისა, აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრების წყობილებისა.

«ლიუცერნში» (დაწერილია 1857 წელს) ლ. ტოლსტოი აცხადებს, «ცივილიზაციის» აღიარება სიკეთედ — «მოჩვენებითი ცოდნაა», რომელიც «სპობს ადამიანის ბუნებაში არსებულ სიკეთის ინსტინქტურ, უნეტარეს პირველყოფილ მოთხოვნილებებსაო». «ერთი, მხოლოდ ერთი უცოდველი ხელმძღვანელი გვყავს ჩვენ, — ამბობს ტოლსტოი, — მსოფლიო სული, რომელიც გვმსჭვალავს ჩვენ» (თხზ., II, 125).

«ჩვენი დროის მონობაში» (დაწერილია 1900 წელს) ტოლსტოი კიდევ უფრო გულმოდგინედ მიმართავს მსოფლიო სულს და «ცრუ მეცნიერებად» აცხადებს პოლიტიკურ ეკონომიას იმიტომ, რომ იგი «ნიმუშად» იღებს «პატარა, სრულიად განსაკუთრებულ მდგომა-

რეობაში მყოფ, ინგლისს», — იმის ნაცვლად, რომ ნიმუშად აიღოს «მთელი ქვეყნიერების ადამიანთა მდგომარეობა მთელი ისტორიული დროის მანძილზე». როგორია ეს «მთელი ქვეყნიერება», ამას ჩვენ გვიხსნის სტატია «პროგრესი და განათლების განსაზღვრა» (1862 წ.). «ისტორიკოსების» შეხედულებას, თითქოს პროგრესი იყოს «ზოგადი კანონი კაცობრიობისათვის», ტოლსტოი აბათილებს «მთელი ეგრეთწოდებული აღმოსავლეთის» დამოწმებით (IV, 162). «კაცობრიობის წინსვლის ზოგადი კანონი არ არსებობს, — აცხადებს ტოლსტოი, — როგორც ამას გვიმტკიცებენ აღმოსავლეთის უმოძრაო ხალხები».

აი სწორედ აღმოსავლური წყობილების, აზიური წყობილების იდეოლოგიას წარმოადგენს ტოლსტოველობა თავისი რეალური ისტორიული შინაარსით. აქედან გამომდინარეობს ასკეტიზმიც, ბოროტების წინააღუდგომლობაც ძალმომრეობით, ღრმა პესიმიზმის ჰანგებიც, იმის რწმენაც, რომ «ყველაფერი — არარაობაა, ყველაფერი — მატერიალური არარაობაა» («ცხოვრების აზრის შესახებ», გვ. 52), და რწმენაც «სულისა», «ყოველივეს დასაბამისა», რომლის მიმართაც ადამიანი მხოლოდ «მუშაკია», «თავისი სულის სახსნელად მიჩენილი», და სხვა. ტოლსტოი არ ღალატობს ამ იდეოლოგიას არც «კრეიცერის სონატაში», როცა ის ლაპარაკობს: «ქალის ემანსიპაცია კურსებსა და პალატებში კი არა, არამედ დასაძინებელ ოთახშიაო», — არ ღალატობს არც 1862 წლის სტატიაში, სადაც აცხადებს, რომ უნივერსიტეტები ამზადებენ მხოლოდ «გაღიზიანებულ, ავადმყოფ ლიბერალებს», რომლებიც «სრულებით არ ესაჭიროება ხალხს», «უმიზნოდ მოწყვეტილან წინანდელ წრეს», «ვერ პოულობენ ადგილს ცხოვრებაში» და სხვ. (IV, 136 — 137).

პესიმიზმი, წინააღუდგომლობა, მიმართვა «სულისადმი» წარმოადგენს იდეოლოგიას, რომელიც აუცილებლად ჩნდება ისეთ ხანაში, როცა მთელი ძველი წყობილება «გადატრიალდა», და როდესაც ამ ძველ წყობილებაში აღზრდილი მასა, რომელსაც დედის ძუძუსთან ერთად შეუწოვია ამ წყობილების საფუძვლები, ზნე-ჩვეულებანი, ტრადიციები, რწმენანი, — ვერ ხედავს და არც შეუძლია დაინახოს, რ ო გ ო რ ი ა ის ახალი წყობილება, რომელიც «ეწყობა», რ ა საზოგადოებრივი ძალები და სახელდობრ როგორ «აწყობენ» მას, რა საზოგადოებრივ ძალებს შ ე უ ძ ლ ი ა თ ხსნა უამრავ, განსაკუთრებით მწვავე უბედურებათაგან, რომელნიც «მსხვრევის» ეპოქებს ახასიათებენ.

1862 — 1904 წლების პერიოდი იყო სწორედ ასეთი მსხვრევის ეპოქა რუსეთში, როცა ძველი სამუდამოდ, ყველას თვალწინ ინგრეოდა, ახალი კი მხოლოდ ეწყობოდა, ამასთან ამ მოწყობის შემოქმედი საზოგადოებრივი ძალები საქმით, ფართო საერთო-ნაციონალური მასშტაბით, მასობრივი, აშკარა მოქმედებით სულ სხვადასხვაგვარ ასპარეზზე პირველად მხოლოდ 1905 წელს მოგვევლინენ. რუსეთის 1905 წლის ამბებს კი მოჰყვა ანალოგიური ამბები სწორედ იმ «აღმოსავლეთის» მთელ რიგ სახელმწიფოებში, რომლის «უმოძრაობასაც» იმოწმებდა ტოლსტოი 1862 წელს. 1905 წელი იყო «აღმოსავლური» უმოძრაობის დასასრულის დასაწყისი. ამიტომაც სწორედ ამ წელმა მოგვიტანა ისტორიული დასასრული ტოლსტოველობისა, დასასრული მთელი იმ ეპოქისა, რომელსაც შეეძლო და უნდა წარმოეშვა ტოლსტოის მოძღვრება — არა როგორც რაღაც ინდივიდუალური, არა როგორც კაპრიზი ან ორიგინალობა, არამედ როგორც იდეოლოგია ცხოვრების პირობებისა, რომლებშიც მართლაც იმყოფებოდა მრავალი მილიონი ადამიანი განსაზღვრული ხნის განმავლობაში.

ტოლსტოის მოძღვრება უსათუოდ უტოპიურია და, თავისი შინაარსით, რეაქციულია ამ სიტყვის უაღრესად ზუსტი და უაღრესად ღრმა მნიშვნელობით. მაგრამ აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს არც ის, რომ ეს მოძღვრება არ იყოს სოციალისტური, და არც ის, რომ მასში არ იყოს კრიტიკული ელემენტები, რომელთაც შეუძლიათ მოგვცენ საგულისხმო მასალა მოწინავე კლასების გასათვითცნობიერებლად.

სოციალიზმიც არის და სოციალიზმიც. ყველა ქვეყანაში, სადაც კი არსებობს წარმოების კაპიტალისტური წესი, არის სოციალიზმი, გამომხატველი იმ კლასის იდეოლოგიისა, რომელიც მოდის ბურჟუაზიის შესაცვლელად, — და არის სოციალიზმი, შესაბამისი იმ კლასთა იდეოლოგიისა, რომელთა შესაცვლელად მოდის ბურჟუაზია. ფეოდალური სოციალიზმი, მაგალითად, წარმოადგენს უკანასკნელი სახის სოციალიზმს, და ა მ გ ვ ა რ ი სოციალიზმის ხასიათი დიდი ხანია, 60 წელზე მეტია, შეაფასა მარქსმა სოციალიზმის სხვა სახეთა შეფასებასთან ერთად [45].

შემდეგ. ლ. ტოლსტოის უტოპიურ მოძღვრებას კრიტიკული ელემენტები ისევე მოსდგამს, როგორც მოსდგამს ისინი მრავალ უტოპიურ სისტემას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ მარქსის ღრმა შენიშვნა, რომ უტოპიური სოციალიზმის კრიტიკული ელემენტების მნიშვნელობა «უკუ მიმართებაშია ისტორიული განვითარებისადმი».

რაც უფრო ვითარდება, რაც უფრო გარკვეულ ხასიათს იღებს იმ საზოგადოებრივი ძალების მოქმედება, რომელნიც «აწყობენ» ახალ რუსეთს და რომელთაც ხსნა მოაქვთ თანამედროვე სოციალურ უბედურებათაგან, მით უფრო ჩქარა «ჰკარგავს» კრიტიკულ-უტოპიური სოციალიზმი «ყოველგვარ პრაქტიკულ აზრს და ყოველგვარ თეორიულ გამართლებას».

მეოთხედი საუკუნის წინათ ტოლსტოის მოძღვრების კრიტიკულ ელემენტებს პრაქტიკულად ზოგჯერ შეეძლოთ სარგებლობა მოეტანათ მოსახლეობის ზოგიერთი ფენისათვის მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ ტოლსტოველობის რეაქციული და უტოპიური თვისებებისა. უკანასკნელი, ვთქვათ, ათეული წლის განმავლობაში ეს ასე ვეღარ იქნებოდა, იმიტომ რომ 80-იანი წლებიდან გასული საუკუნის დამლევამდე ისტორიულმა განვითარებამ საკმაოდ წინ წაიწია. ჩვენს დროში კი, მას შ ე მ დ ე გ, რაც მთელმა რიგმა ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა ბოლო მოუღეს «აღმოსავლურ» უმოძრაობას, ჩვენს დროში, როცა ასე დიდად გავრცელდა «ვეხელების» შეგნებულად-რეაქციული, — ვიწროკლასობრივი, ანგარებიან-კლასობრივი აზრით, — რეაქციული იდეები ლიბერალურ ბურჟუაზიაში, — როცა ეს იდეები მოედო ვითომდა მარქსისტთა ერთ ნაწილსაც კი, შეჰქმნა რა «ლიკვიდატორული» მიმდინარეობა, — ჩვენს დროში ტოლსტოის მოძღვრების იდეალიზაციის, მისი «წინააღუდგომლობის», «სულისადმი» მისი აპელაციის, «ზნეობრივი თვითსრულყოფისადმი» მოწოდების, «სინდისისა» და საყოველთაო «სიყვარულის» დოქტრინის, ასკეტიზმისა და კვიეტიზმის ქადაგების და მისთანათა გამართლების ან შერბილების ყოველგვარ ცდას უაღრესად უშუალო და უაღრესად დიდი ვნება მოაქვს.

დაბეჭდილია 1911 წ. 22 იანვარს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 17,
გვ. 39 — 44

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

სტატიიდან
«საგლეხო რეფორმა და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია»

...ჩერნიშევსკი იყო სოციალისტი-უტოპისტი, რომელიც ოცნებობდა სოციალიზმში გადასვლაზე ძველი, ნახევრადფეოდალური, გლეხური თემის საშუალებით, ვერ ხედავდა და არც შეეძლო გასული საუკუნის 60-იან წლებში დაენახა, რომ მხოლოდ კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის განვითარებას შეუძლია შეჰქმნას მატერიალური პირობები და საზოგადოებრივი ძალა სოციალიზმის განსახორციელებლად. მაგრამ ჩერნიშევსკი მარტო სოციალისტ-უტოპისტი როდი იყო. ის იყო აგრეთვე რევოლუციური დემოკრატი, ის რევოლუციურ გავლენას ახდენდა თავისი ეპოქის ყველა პოლიტიკურ მოვლენაზე, ატარებდა — მიუხედავად ცენზურის მრავალგვარი დაბრკოლებისა — გლეხთა რევოლუციის იდეას, ყველა ძველი ხელისუფლების დასამხობად მასების ბრძოლის იდეას. 61 წლის «საგლეხო რეფორმას», რომელსაც ლიბერალები ჯერ ალამაზებდნენ და შემდეგ კიდეც ადიდებდნენ, მან ს ი ს ა ძ ა გ ლ ე უწოდა, ვინაიდან ის ნათლად ხედავდა მის ბატონყმურ ხასიათს, ნათლად ხედავდა, რომ ბატონი ლიბერალური განმათავისუფლებელნი გლეხებს პირდაპირ ტყავს აძრობდნენ. 60-იანი წლების ლიბერალებს ჩერნიშევსკიმ «მ ო ლ ა ყ ბ ე ნ ი, მ კ ვ ე ხ ა რ ე ბ ი დ ა ს უ ლ ე ლ ე ბ ი»[46] უწოდა, ვინაიდან ის ნათლად ხედავდა მათს შიშს რევოლუციის წინაშე, მათს უხასიათობას და ყურმოჭრილ მონობას ძლიერთა წინაშე...

დაბეჭდილია 1911 წ. 19 მარტს (1 აპრილს) თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 17, გვ. 129 — 130

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

სტატიიდან «საარჩევნო კამპანიისა და საარჩევნო პლატფორმის შესახებ»

...ლევ ტოლსტოიმ სიკვდილის წინახანებში თქვა, და თქვა «ტოლსტოელობის» უარესი მხარეების დამახასიათებელი წუხილით, რუსმა ხალხმა არაჩვეულებრივ ჩქარა «ისწავლა რევოლუციის კეთებაო».[47] ჩვენ ვწუხვართ მხოლოდ იმას, რომ რუსმა ხალხმა ბ ო ლ ო მ დ ე ვერ შეისწავლა ეს მეცნიერება, ურომლისოდაც იგი შეიძლება პურიშკევიჩების მონად დარჩეს მთელი საუკუნეების განმავლობაში. მაგრამ მართალია ის, რომ რუსეთის პროლეტარიატმა, თავისი მისწრაფებით საზოგადოების სრული სოციალისტური გარდაქმნისაკენ, საერთოდ რუს ხალხს და განსაკუთრებით რუს გლეხებს შეუდარებელი გ ა კ ვ ე თ ი ლ ე ბ ი მისცა ამ მეცნიერებაში. სტოლიპინის ვერავითარი სახრჩობელები, «ვეხელების» ვერავითარი ჭაპანწყვეტა ვერ დაავიწყებინებს ხალხს ამ გაკვეთილებს. გაკვეთილი მოცემულია. გაკვეთილს ითვისებენ. გაკვეთილი განმეორდება...

დაბეჭდილია 1911 წ. 18 (31) ოქტომბერს თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 17, გვ. 337 — 338

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

გერცენის ხსოვნას

ასი წელი გავიდა გერცენის დაბადებიდან. მის ხსოვნას აღნიშნავს მთელი ლიბერალური რუსეთი, თანაც დაკვირვებულად უვლის გვერდს სოციალიზმის სერიოზულ საკითხებს, გულმოდგინედ ფარავს, რით განსხვავდებოდა რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ი გერცენი ლიბერალისაგან. გერცენს იხსენიებს მემარჯვენე პრესაც, რომელიც ცილისწამებით ირწმუნება გერცენი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში ჩამოშორდა რევოლუციასო. ხოლო საზღვარგარეთულ, ლიბერალურ და ნაროდნიკულ სიტყვებში გერცენის შესახებ ფრაზების მეტი არაფერია.

მუშათა პარტიამ უნდა მოიხსენიოს გერცენი არა ობივატელური ქება-დიდებისათვის, არამედ თავისი ამოცანების გასარკვევად, იმ მწერლის ნამდვილი ისტორიული ადგილის გასარკვევად, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა რუსეთის რევოლუციის მომზადებაში.

გერცენი ეკუთვნოდა გასული საუკუნის პირველი ნახევრის თავადაზნაურულ-მემამულურ რევოლუციონერთა თაობას. თავადაზნაურებმა მისცეს რუსეთს ბირონები და არაკჩეევები, უამრავი «ლოთი ოფიცრები, შფოთისთავები, ბანქოს მოთამაშეები, ბაზრობათა გმირები, მეძაღლეები, მოჩხუბრები, მათრახისა და ჰარამხანის გმირები» და ყოვლადკეთილი მანილოვები. «და მათ შორის — წერდა გერცენი — განვითარდნენ 14 დეკემბრის ადამიანები, ფალანგა გმირებისა, რომლებიც რომულისა და რემის მსგავსად, გამოზრდილი იყვნენ ნადირის რძით... ესენი იყვნენ რაღაც დევგმირები, თავით ფეხამდე წმინდა ფოლადისაგან გამოჭედილნი, თანამებრძოლნი, რომლებმაც შეგნებულად გასწირეს თავი, არ მოერიდნენ უეჭველ სიკვდილს, რათა ახალი ცხოვრებისათვის გაეღვიძებინათ ახალი თაო-

ბა და განეწმინდათ ჯალათობისა და მონური ქედმოხრილობის წრეში შობილნი»[48].

ასეთ ახალგაზრდათა რიცხვს ეკუთვნოდა გერცენი. დეკაბრისტების აჯანყებამ გამოაღვიძა და «განწმინდა» იგი. XIX საუკუნის 40-იანი წლების ბატონყმურ რუსეთში მან შეძლო ასულიყო ისეთ სიმაღლეზე, რომ თავისი დროის უდიდეს მოაზროვნეებს გაუტოლდა. მან შეითვისა ჰეგელის დიალექტიკა. მან შეიგნო, რომ ეს დიალექტიკა წარმოადგენს «რევოლუციის ალგებრას». იგი წავიდა ჰეგელზე შორს, მატერიალიზმისაკენ, გაჰყვა ფეიერბახის კვალს. პირველი წერილი «წერილებიდან ბუნების შესწავლის შესახებ», — «ემპირია და იდეალიზმი», — რომელიც დაწერილია 1844 წელს, გვიჩვენებს მოაზროვნეს, რომელიც, ახლაც კი, მთელი თავით უფრო მაღლა დგას უამრავ თანამედროვე ბუნებისმეტყველ-ემპირიკოსზე და აურაცხელ ახლანდელ ფილოსოფოსსა, იდეალისტსა და ნახევრადიდეალისტზე. გერცენი უშუალოდ მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე და შეჩერდა — ისტორიული მატერიალიზმის წინაშე.

სწორედ ამ «შეჩერებამ» გამოიწვია გერცენის სულიერი კრახი 1848 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ. გერცენი უკვე წასული იყო რუსეთიდან და ამ რევოლუციას უშუალოდ აკვირდებოდა. იგი მაშინ დემოკრატი, რევოლუციონერი, სოციალისტი იყო. მაგრამ მისი «სოციალიზმი» ეკუთვნოდა 1848 წლის ეპოქაში არსებულ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის იმ უამრავ ფორმათა და ნაირსახეობათა რიცხვს, რომლებიც საბოლოოდ ჩაკლეს ივნისის დღეებმა. არსებითად ეს სრულებითაც არ იყო სოციალიზმი, არამედ ყოვლადკეთილი ფრაზა, კეთილი ოცნება, რომლითაც მოსავდა თავის მ ა შ ი ნ დ ე ლ რევოლუციურობას როგორც ბურჟუაზიული დემოკრატია, ასევე მისი გავლენისაგან გაუთავისუფლებელი პროლეტარიატი.

გერცენის სულიერი კრახი, მისი ღრმა სკეპტიციზმი და პესიმიზმი 1848 წლის შემდეგ — ეს იყო კრახი ბურჟუაზიული ილუზიებისა სოციალიზმის მიმართ. გერცენის სულიერი დრამა იმ მსოფლიო-ისტორიული ეპოქის ნაყოფი და ანარეკლი იყო, როცა ბურჟუაზიული დემოკრატიის რევოლუციურობა უ კ ვ ე კვდებოდა (ევროპაში), ხოლო სოციალისტური პროლეტარიატის რევოლუციურობა ჯ ე რ კ ი დ ე ვ ა რ მომწიფებულიყო. ეს ვერ გაიგეს და არც შეეძლოთ გაეგოთ რუსეთის ლიბერალური ენამრუშობის რაინდებს, რომლებიც ახლა თავიანთ კონტრრევოლუციურობას ფარავენ მაღალფარდოვანი ფრაზებით გერცენის სკეპტიციზმის შესახებ. სკეპტიციზმი ამ

რაინდებისა, რომლებმაც უღალატეს რუსეთის 1905 წლის რევოლუციას, რომლებმაც რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ი ს დიად წოდებაზე ფიქრიც კი დაივიწყეს, არის დემოკრატიიდან ლიბერალიზმზე გადასვლის ფორმა, — იმ ლაქიურ, საზიზღარ, ბინძურ და მხეცურ ლიბერალიზმზე, რომელიც ხვრეტდა მუშებს 1848 წელს, რომელიც აღადგენდა დანგრეულ ტახტებს, რომელიც ტაშს უკრავდა ნაპოლეონ III-ეს და რომელსაც ს წ ყ ე ვ ლ ი დ ა გერცენი, თუმცა ვერ გაეგო მისი კლასობრივი ბუნება.

გერცენის სკეპტიციზმი — ეს იყო ფორმა «ზეკლასობრივი» ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ილუზიებიდან პროლეტარიატის მკაცრ, განუხრელ, უძლეველ კლასობრივ ბრძოლაზე გადასვლისა. ამის დამადასტურებელია: «წერილები ძველი ამხანაგისადმი», ბაკუნინისადმი, რომლებიც დაწერილია გერცენის სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, 1869 წელს. გერცენი კავშირს წყვეტს ანარქისტ ბაკუნინთან. მართალია, კავშირის ამ გაწყვეტაში გერცენი ხედავს ჯერ კიდევ მხოლოდ უთანხმოებას ტაქტიკაში და არა უფსკრულს თავისი კლასის გამარჯვებაში დარწმუნებული პროლეტარის მსოფლმხედველობასა და თავისი ხსნის იმედდაკარგული წვრილი ბურჟუის მსოფლმხედველობას შორის. მართალია, გერცენი აქაც კვლავ იმეორებს ძველ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ფრაზებს, თითქოს სოციალიზმი უნდა გამოდიოდეს «ქადაგებით, რომელიც თანაბრად იქნება მიმართული მუშისა და მეპატრონისადმი, მიწათმოქმედისა და ქალაქელი მდაბიოსადმი». მაგრამ მაინც, ბაკუნინთან კავშირს რომ წყვეტდა, გერცენმა თვალი მიაპყრო არა ლიბერალიზმს, არამედ ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ს, იმ ინტერნაციონალს, რომელსაც ხელმძღვანელობდა მარქსი, — იმ ინტერნაციონალს, რომელიც შეუდგა პროლეტარიატის «ლ ა შ ქ რ ი ს შ ე კ რ ე ბ ა ს», «მ უ შ ა თ ა ს ა მ ყ ა რ ო ს» გაერთიანებას, რომელიც «ზურგს აქცევს მუქთახორათა სამყაროს»![49]

გერცენმა, რომელმაც ვერ გაიგო 1848 წლის მთელი მოძრაობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული არსი და მარქსამდელი სოციალიზმის ყველა ფორმა, მით უმეტეს ვერ გაიგო რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიული ბუნება. გერცენი «რუსული» სოციალიზმის, «ნაროდნიკობის» ფუძემდებელია. გერცენი «სოციალიზმს» ხედავდა გლეხების განთავისუფლებაში მ ი წ ი თ, თემურ მიწათმფლობელობაში და «მიწის ფლობის უფლების» გლეხურ იდეაში. თავის სანუკვარ აზრებს ამ თემაზე იგი მრავალგზის ავითარებდა.

ნამდვილად გერცენის ამ მოძღვრებაში, ისევე როგორც მთელ რუსულ ნაროდნიკობაში — თვით ახლანდელი «სოციალისტ-რევოლუციონერების» გახუნებულ ნაროდნიკობამდე —სოციალიზმის ნ ა ს ა ხ ი ც არ არის. ეს ისეთივე ყოვლადკეთილი ფრაზაა, ისეთივე კეთილი ოცნებაა, რომელიც მოსავს რუსეთში ბურჟუაზიული გლეხური დემოკრატიის რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ო ბ ა ს, როგორიც დასავლეთში «1848 წლის სოციალიზმის» სხვადასხვა ფორმა იყო. რაც უფრო მეტ მიწას მიიღებდნენ გლეხები 1861 წელს და რაც უფრო იაფად მიიღებდნენ მას, მით უფრო ძლიერ გამოეთხრებოდა ძირი მებატონე მემამულეთა ძალაუფლებას, მით უფრო სწრაფად, თავისუფლად და ფართოდ განვითარდებოდა კაპიტალიზმი რუსეთში. «მიწის ფლობის უფლებისა» და «მიწის გათანაბრებითი განაწილების» იდეა სხვა არა არის რა, თუ არ ფორმულირება გლეხების რევოლუციური მისწრაფებისა თანასწორობისაკენ, გლეხებისა, რომლებიც იბრძვიან მემამულეთა ძალაუფლების სრული დამხობისათვის, მემამულური მიწათმფლობელობის სრული მოსპობისათვის.

1905 წლის რევოლუციამ ეს სავსებით დაამტკიცა: ერთი მხრივ, პროლეტარიატი სავსებით დამოუკიდებლად გამოვიდა რევოლუციური ბრძოლის მეთაურად და შექმნა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია; მეორე მხრივ, რევოლუციური გლეხები («ტრუდოვიკები» და «გლეხთა კავშირი») [50], იბრძოდნენ რა მემამულური მიწათმფლობელობის მოსპობის ყველა ფორმისათვის თვით «მიწის კერძო საკუთრების მოსპობამდე», იბრძოდნენ სწორედ როგორც მეპატრონენი, როგორც წვრილი მეწარმენი.

ამჟამად კამათი მიწის ფლობის უფლების «სოციალისტურობის» შესახებ და ა. შ. მხოლოდ იმას უწყობს ხელს, რომ დ ა ა ბ ნ ე ლ ო ს და დაფაროს ნამდვილად მნიშვნელოვანი და სერიოზული ისტორიული საკითხი: რუსეთის ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ რევოლუციაში ლიბერალური ბურჟუაზიისა და რევოლუციური გლეხობის ი ნ ტ ე რ ე ს თ ა განსხვავების შესახებ; სხვანაირად რომ ვთქვათ, ამ რევოლუციაში ლიბერალური და დემოკრატიული, «შემთანხმებლური» (მონარქისტული) და რესპუბლიკური ტენდენციის შესახებ. სწორედ ეს საკითხი დააყენა გერცენის «კოლოკოლმა»[51], თუ შევხედავთ საქმის არსს და არა ფრაზებს, — თუ გამოვიკვლევთ კლასობრივ ბრძოლას, როგორც «თეორიათა» და მოძღვრებათა საფუძველს, და არა პირიქით.

გერცენმა შექმნა თავისუფალი რუსული პრესა საზღვარგარეთ — ეს მისი დიდი დამსახურებაა. «პოლიარნაია ზვეზდამ»[52] აღადგინა დე-

კაბრისტების ტრადიცია. «კოლოკოლი» (1857 — 1867) მედგრად იბრძოდა გლეხობის განთავისუფლებისათვის. მონური დუმილი დაირღვა.

მაგრამ გერცენი მემამულეთა, ბატონკაცთა წრეს ეკუთვნოდა. მან რუსეთი დატოვა 1847 წელს, მას არ უნახავს რევოლუციური ხალხი და არ შეიძლებოდა ჰქონოდა მისდამი რწმენა. აქედანაა მისი ლიბერალური აპელაცია «ზედაფენებისადმი». აქედანაა მისი ურიცხვი მოთაფლული წერილები «კოლოკოლში» ალექსანდრე II ჯალათისადმი, რომლებსაც ახლა ისე ვერ წაიკითხავ, რომ ზიზღი არ მოგგვაროს. ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, სერნო-სოლოვიევიჩი, რომლებიც რევოლუციონერ-რაზნოჩინცების ახალ თაობას წარმოადგენდნენ, ათასგზის მართალი იყვნენ, როცა უსაყვედურებდნენ გერცენს ამ გადახვევას დემოკრატიზმიდან ლ ი ბ ე რ ა ლ ი ზ მ ი ს ა კ ე ნ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ, მიუხედავად გერცენის მთელი მერყეობისა დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შორის, მასში მაინც დემოკრატი იმარჯვებდა.

როცა ლიბერალური უხამსობის ერთ-ერთმა უსაზიზღრესმა ტიპმა, კაველინმა, რომელიც წინათ აღტაცებული იყო «კოლოკოლით» სწორედ მისი ლ ი ბ ე რ ა ლ უ რ ი ტენდენციებისათვის, კონსტიტუციის წინააღმდეგ გაილაშქრა, თავს დაესხა რევოლუციურ აგიტაციას, გაილაშქრა «ძალადობისა» და მისდამი მოწოდების წინააღმდეგ, შეუდგა მოთმინების ქადაგებას, გერცენმა ამ ლიბერალ ჭკუის კოლოფთან კავშირი გ ა წ ყ ვ ი ტ ა. გერცენი თავს დაესხა მის «მჭლე, უაზრო, მავნე პამფლეტს», დაწერილს იმ მიზნით, რომ მით «ფარულად ეხელმძღვანელა ლიბერალობის ხასიათზე დამდგარ მთავრობას», თავს დაესხა კაველინის «პოლიტიკურ-სენტიმენტალურ სენტენციებს», რომლებიც ხატავდნენ «რუს ხალხს პირუტყვად, მთავრობას კი ჭკვიანად». «კოლოკოლმა» მოათავსა სტატია «საფლავზე წარმოთქმული სიტყვა», სადაც ამათრახებდა «პროფესორებს, რომლებიც ქსოვენ თავიანთი ქედმაღლურ-ნამცეცა უბადრუკი იდეების დამპალ ქსელს, ექს-პროფესორებს, რომლებიც ოდესღაც გულმართლები იყვნენ, შემდეგ კი გაბოროტდნენ, რაკი დაინახეს, რომ ჯანსაღი ახალგაზრდობა ვერ თანაუგრძნობს მათს დაჩიავებულ აზრს». კაველინმა მაშინვე იცნო თავი ამ პორტრეტში.

როცა ჩერნიშევსკი დააპატიმრეს, საზიზღარი ლიბერალი კაველინი წერდა: «დაპატიმრებანი მე აღმაშფოთებელი არა მგონია... რევოლუციურ პარტიას მიაჩნია, რომ მთავრობის დასამხობად ყველა საშუალება კარგია, მთავრობა კი თავს იცავს თავისი საშუალებები-

თო». ხოლო გერცენი თითქოს ამ კადეტს უპასუხებდა, როცა ჩერნიშევსკის გასამართლების გამო ამბობდა: «აქ კი უბადრუკი ადამიანები, ქონდრის კაცები, ჭიაღუა ადამიანები ამბობენ, რომ არ უნდა ვლანძღავდეთ ავაზაკთა და არამზადათა ამ ხროვას, რომელიც ჩვენ გვმართავსო».

როცა ლიბერალმა ტურგენევმა კერძო წერილი მისწერა ალექსანდრე II-ეს, არწმუნებდა მას თავის უქვეშევრდომილეს გრძნობებში და ორი ოქრო შესწირა პოლონეთის აჯანყების ჩაქრობისას დაჭრილი ჯარისკაცებისათვის, «კოლოკოლი» წერდა «თმაქაღარა მაგდალინელზე (მამრობითი სქესისა), რომელმაც ხელმწიფეს მისწერა, ძილი აღარა მაქვს და ვიტანჯები იმის გამო, რომ ხელმწიფემ არ იცის, როგორ მოვინანიე ცოდვაო». და ტურგენევმა მაშინვე იცნო თავი.

როცა რუს ლიბერალთა მთელი ხროვა ერთბაშად ჩამოშორდა გერცენს პოლონეთის დაცვისათვის, როცა მთელმა «განათლებულმა საზოგადოებამ» ზურგი შეაქცია «კოლოკოლს», გერცენი არ შემდრკალა. იგი განაგრძობდა პოლონეთის თავისუფლების დაცვას და ალექსანდრე II-ის მსახურ დამწყნარებელთა, ჯალათთა, ჩამომხრჩობთა გამათრახებას. გერცენმა იხსნა რუსეთის დემოკრატიის ღირსება. «ჩვენ ვიხსენით რუსის სახელის ღირსება — სწერდა იგი ტურგენევს — და ამისათვის დავისაჯეთ მონური უმრავლესობისაგანო».

როცა მოდიოდა ცნობა, რომ ყმა გლეხმა მემამულე მოკლა საცოლისათვის ნაპუსის ახდის ცდის გამოო, გერცენი «კოლოკოლში» დასძენდა ხოლმე: «ძალიან კარგადაც მოქცეულაო!». როცა იუწყებოდნენ, სამხედრო უფროსების თანამდებობას აწესებენ «მშვიდი» «განთავისუფლებისათვისო», გერცენი წერდა: «პირველი ჭკვიანი პოლკოვნიკი, რომელიც თავისი რაზმით გლეხებს მიემხრობა, ნაცვლად იმისა, რომ ახრჩობდეს მათ, რომანოვთა ტახტზე დაჯდებაო». როცა პოლკოვნიკმა რეიტერნმა თავი მოიკლა ვარშავაში (1860 წელს), რომ ჯალათების დამხმარე არ გამხდარიყო, გერცენი წერდა: «თუ დახვრეტაა, უნდა დახვრიტო ის გენერლები, რომლებიც ბრძანებას იძლევიან ესროლონ უიარაღოებსო». როცა ბეზდნაში 50 გლეხი დახოცეს და მათი მეთაური ანტონ პეტროვი სიკვდილით დასაჯეს (1861 წლის 12 აპრილს), გერცენი «კოლოკოლში» წერდა:

«ო, ჩემს სიტყვებს რომ შეეძლოს შენამდე მოღწევა, რუსეთის მშრომელო და ტანჯულო!.. როგორ გასწავლიდი შეიზიზღო შენი სულიერი მოძღვარნი, რომლებიც დაგიყენეს პეტერბურგის სინოდმა და გერმანელმა მეფემ... შენ გძულს მემამულე, გძულს მოხელე, გეშინია მათი — და სავსებით მართალი ხარ; მაგრამ ჯერ

კიდევ გჯერა მეფისა და მღვდელმთავრისა... ნუ გჯერა მათი. მეფე მათთანაა, და ისინი მისი ხალხია. მას ხედავ შენ ახლა, შენ, ბეზდნაში მოკლული ჰაბუკის მამავ, შენ, პენზაში მოკლული მამის შვილო... შენი მოძღვარნი შენსავით უმეცარნი, შენსავით ღარიბნი არიან... ასეთი იყო სხვა ანტონი (არა ეპისკოპოსი ანტონი, არამედ ბეზდნელი ანტონი), რომელიც ყაზანში შენი გულისათვის აწამეს... შენი წმინდანების სხეულები ორმოცდარვა სასწაულს ვერ მოახდენენ, მათდამი ლოცვა მტკივან კბილებს ვერ განკურნავს; მაგრამ მათმა ცოცხალმა ხსოვნამ შეიძლება მოახდინოს ერთი სასწაული — შენი განთავისუფლება».

აქედან ჩანს, რა საზიზღრად და სულმდაბლად სწამებენ ცილს გერცენს მონურ «ლეგალურ» პრესაში მოკალათებული ჩვენი ლიბერალები, რომლებიც განადიდებენ გერცენის სუსტ მხარეებს და ჩქმალავენ მის ძლიერ მხარეებს. გერცენის ბრალი კი არა, მისი უბედურება იყო, რომ მას არ შეეძლო დაენახა რევოლუციური ხალხი თვით რუსეთში 40-იან წლებში. როცა მან დაინახა იგი 60-ი ა ნ წ ლ ე ბ შ ი — იგი უშიშრად დადგა რევოლუციური დემოკრატიის მხარეზე ლიბერალიზმის წინააღმდეგ. იგი იბრძოდა ხალხის გამარჯვებისათვის ცარიზმზე და არა ლიბერალური ბურჟუაზიის გარიგებისათვის მემამულეთა მეფესთან. მან აღმართა რევოლუციის დროშა.

აღვნიშნავთ რა გერცენის ხსოვნას, ჩვენ ნათლად ვხედავთ სამ თაობას, სამ კლასს, რომლებიც რუსეთის რევოლუციაში მოქმედებდნენ. თავდაპირველად — თავადაზნაურები და მემამულეები, დეკაბრისტები და გერცენი. ვიწროა ამ რევოლუციონერთა წრე. საშინლად შორს არიან ისინი ხალხისაგან. მაგრამ მათს საქმეს ამაოდ არ ჩაუვლია. დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი. გერცენმა გააჩაღა რევოლუციური აგიტაცია.

ეს აგიტაცია განაგრძეს, გააფართოეს, განამტკიცეს, გამოაწრთეს რევოლუციონერმა-რაზნოჩინცებმა, ჩერნიშევსკით დაწყებული და «ნაროდნაია ვოლიას» გმირებით დამთავრებული. უფრო გაფართოვდა მებრძოლთა წრე, უფრო დაუახლოვდნენ ისინი ხალხს. «მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა შტურმანები» — ასე უწოდებდა მათ გერცენი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო თვით ქარიშხალი.

ქარიშხალი — ეს თვით მასების მოძრაობაა. პროლეტარიატი, ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, ჩაუდგა მათ სათავეში და პირველად დარაზმა აშკარა რევოლუციური ბრძოლისათვის მი-

ლიონობით გლეხი. ქარიშხალმა პირველად იგრიალა 1905 წელს. შემდეგი შეტევა ჩვენს თვალწინ იწყებს ზრდას.

აღნიშნავს რა გერცენის ხსოვნას, პროლეტარიატი მისი მაგალითის მიხედვით სწავლობს რევოლუციური თეორიის დიად მნიშვნელობას; — სწავლობს იმის გაგებას, რომ რევოლუციისადმი უსაზღვრო ერთგულება და რევოლუციური ქადაგებით ხალხისადმი მიმართვა მაშინაც კი არ ჩაივლის ამაოდ, როცა მთელი ათეული წლები აშორებს თესვას მკისაგან; — სწავლობს რუსეთის და საერთაშორისო რევოლუციაში სხვადასხვა კლასთა როლის განსაზღვრას. ამ გაკვეთილებით გამდიდრებული, პროლეტარიატი გზას გაიკაფავს ყველა ქვეყნის სოციალისტ მუშებთან თავისუფალი კავშირისაკენ, გასრესს იმ ქვეწარმავალს, მეფის მონარქიას, რომლის წინააღმდეგაც გერცენმა პირველმა აღმართა ბრძოლის დიადი დროშა მასებისადმი მიმართული თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი რ უ ს უ ლ ი ს ი ტ ყ ვ ი თ.

დაბეჭდილია 1912 წ. 8 მაისს (25 აპრილს) თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 18, გვ. 11 — 19

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

კარიერა

ამას წინათ გარდაცვლილმა მილიონერმა, «ნოვოე ვრემიას» გამომცემელმა, ა. ს. სუვორინმა, თავისი ცხოვრების ისტორიით ასახა და გამოხატა რუსეთის ᲛᲗᲔᲚᲘ ბურჟუაზიული საზოგადოების ისტორიის ძლიერ საინტერესო პერიოდი.

ღარიბი, ლიბერალი და დემოკრატიც კი თავისი ცხოვრების გზის დასაწყისში, — მილიონერი, თვითკმაყოფილი და უსირცხვილო მეხოტბე ბურჟუაზიისა, ძლიერთა ამა ქვეყნისათა პოლიტიკის ყოველი შემობრუნების წინაშე მლიქვნელი ამ გზის დასასრულს. განა ეს ტიპიური არ არის ეგრეთწოდებული საზოგადოების «განათლებულ» და «ინტელიგენტ» წარმომადგენელთა მ ა ს ი ს ა თ ვ ი ს? რა თქმა უნდა, ყველა როდი თამაშობს რენეგატობას ისეთი თავბრუდამხვევი წარმატებით, რომ მილიონერი გახდეს, მაგრამ ცხრა მეათედი, თუ ოთხმოცდაცხრამეტი მეასედი არა — ეწევა რენეგატობის სწორედ ასეთსავე თამაშს, ი წ ყ ე ბ ს რადიკალური სტუდენტობით, ა მ თ ა ვ რ ე ბ ს ამა თუ იმ სამსახურის, ამა თუ იმ აფიორის «შემოსავლიანი ადგილით».

ღარიბი სტუდენტი, რომელიც უსახსრობის გამო ვერ მოხვდა უნივერსიტეტში; სამაზრო სასწავლებლის მასწავლებელი, რომელიც, გარდა ამისა, მსახურობს თავადაზნაურობის წინამძღოლის მდივნად ან კერძო გაკვეთილებს აძლევს წარჩინებულ და მდიდარ მებატონეთა ოჯახებში; დამწყები ლიბერალი და დემოკრატი ჟურნალისტიც კი, რომელიც გამსჭვალულია სიმპათიით ბელინსკისა და ჩერნიშევსკისადმი, მტრობით რეაქციისადმი, — აი რით დ ა ი წ ყ ო სუვორინმა გასული საუკუნის 50 — 60-იან წლებში.

ლიბერალმა, ინგლისის ბურჟუაზიისა და ინგლისის კონსტიტუციის თანამგრძნობმა, მემამულე კატკოვმა პირველი დემოკრატიული

აღმავლობის დროს რუსეთში (XIX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისი) პირი იბრუნა ნაციონალიზმისაკენ, შოვინიზმისა და თავაშეებული შავრაზმელობისაკენ.

ლიბერალმა ჟურნალისტმა სუვორინმა მეორე დემოკრატიული აღმავლობის დროს რუსეთში (XIX საუკუნის 70-იანი წლების დასასრული) პირი იბრუნა ნაციონალიზმისაკენ, შოვინიზმისაკენ, მოურიდებელი ლაქიობისაკენ წინაშე ძლიერთა ამა ქვეყნისათა. რუსეთ-თურქეთის ომმა ხელი შეუწყო ამ კარიერისტს «მიეგნო თავისი მოწოდებისათვის» და მოენახა თავისი გზა ლაქიისა, რომელიც ჯილდოდ იღებდა უდიდეს შემოსავალს მისი გაზეთისა «რ ა ს ი ნ ე ბ ე ბ თ?».

სუვორინის «ნოვოე ვრემიამ» მრავალი ათეული წლით მტკიცედ შეინარჩუნა ეს სახელწოდება «რ ა ს ი ნ ე ბ ე ბ თ?». ეს გაზეთი გახდა მექრთამე გაზეთების ნიმუში რუსეთში. «ნოვოევრემიელობა» იქცა გამოთქმად, რომელსაც იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ცნებებს: მოღალატეობა, რენეგატობა, მლიქვნელობა. სუვორინის «ნოვოე ვრემია» ნიმუშია გაცხოველებული ვაჭრობისა «ჟიქობით და გატანით». აქ ვაჭრობენ ყველაფრით, დაწყებული პოლიტიკური რწმენით და დამთავრებული პორნოგრაფიული განცხადებებით.

ხოლო ახლა, მესამე დემოკრატიული აღმავლობის შემდეგ რუსეთში (XX საუკუნის დამდეგს), კიდევ რამდენმა ლიბერალმა იბრუნა პირი «ვეხის» გზისაკენ, ნაციონალიზმისაკენ, შოვინიზმისაკენ, დემოკრატიის ლანძღვისაკენ, რეაქციის წინაშე ჭლიქვნელობისაკენ!

კატკოვი — სუვორინი — «ვეხელები». ყველა ესენი ისტორიული ეტაპებია რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის შემობრუნებისა დ ე მ ო კ რ ა ტ ი ი დ ა ნ რეაქციის დაცვისაკენ, შოვინიზმისა და ანტისემიტიზმისაკენ.

შეგნებული მუშები აწრთობენ თავიანთ რწმენას, ესმით რა გარდუვალობა ბურჟუაზიის ასეთი შებრუნებისა. — ისევე როგორც გარდუვალობა მშრომელი მასების შემობრუნებისა მუშათა დემოკრატიის იდეებისაკენ.

დაბეჭდილია 1912 წ. 18 აგვისტოს
თხზულებანი, გამოც. მე-4. ტ. 13.
გვ. 324 — 326

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

კიდევ ერთი ლაშქრობა დემოკრატიის წინააღმდეგ

სამარცხვინოდ განთქმულმა წიგნმა «ვეხიმ», რომელსაც უდიდესი წარმატება ჰქონდა რენეგატული მისწრაფებებით მთლიანად გაჟღენთილ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, არასაკმაო წინააღმდეგობა და არასაკმაოდ ღრმა შეფასება გამოიწვია დემოკრატიის ბანაკში.

ეს ნაწილობრივ იმიტომ მოხდა, რომ «ვეხის» წარმატებათა დრო დაემთხვა ისეთ დროს, როცა დემოკრატიის «ლეგალური» პრესა თითქმის მთლად ჩახშობილი იყო.

ახლა ბ-ნი შჩეპეტევი «რუსსკაია მისლში» (აგვისტო) გამოდის «ვეხელობის» განახლებული გამოცემით. ეს სავსებით ბუნებრივია ვეხელთა ორგანოს მხრივ, რომელსაც რენეგატთა მეთაური, ბატონი პ. ბ. სტრუვე რედაქტორობს. მაგრამ ასევე ბუნებრივი იქნება დემოკრატიის, განსაკუთრებით მუშათა დემოკრატიის მხრივ, თუ იგი ახლა აანალიზებს თუნდაც ცოტა რამეს იქიდან, რა მხრივაც ვალში დარჩა «ვეხელთა» წინაშე.

I

ბ-ნი შჩეპეტევი გამოდის მოკრძალებული ფორმის «წერილით საფრანგეთიდან» — პ ა რ ი ზ შ ი მ ყ ო ფ ი რ უ ს ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. მაგრამ ამ მოკრძალებულ ფორმაში ნამდვილად იფარება ფრიად გარკვეული «განხილვა» რუსეთის 1905 წლის რევოლუციისა და რუსეთის დემოკრატიისა.

«ჯერ კიდევ ახსოვს ყველას — წერს ვეხელი — ეს შემაშფოთებელი (ოჰო! შემაშფოთებელი ვ ი ს თ ვ ი ს, დიდად პატივცემულო ბ-ნო ლიბერალო?), მოუსვენარი და მთლად არეული 1905 წელი»...

«მოუსვენარი და მთლად არეული»! რაოდენი სიბინძურე და ჭაობი უნდა იყოს იმ ადამიანის სულში, რომელსაც ასეთი სიტყვების

დაწერა შეუძლია. 1848 წლის რევოლუციის გერმანელმა მოწინააღმდეგეებმა ამ წელიწადს «უგუნური» წელი უწოდეს. იმავე აზრს ან, უფრო სწორად, იმავე უაზრო, საზიზღარ შიშს გამოხატავს რუსი კადეტი «რუსსკაია მისლიდან».

ჩვენ მას დავუპირდაპირებთ მხოლოდ მცირეოდენ, ყველაზე ობიექტურ და ყველაზე «უბრალო» ფაქტებს. მუშათა ხელფასი ამ წელს ისე იზრდებოდა, როგორც არასოდეს. მიწის საიჯარო ფასები ეცემოდა. ყველა ფორმა მუშათა გაერთიანებისა — შინამოსამსახურეთა ჩათვლითაც კი — უმაგალითო წარმატებით იზრდებოდა. მილიონობით იაფ გამოცემებს პოლიტიკურ თემებზე ისე ხარბად კითხულობდა ხალხი, მასა, «ქვედაფენები», როგორც აქამდე ჯერ კიდევ არასოდეს არ წაუკითხავთ რუსეთში.

მეტად დიდი ხნის წინათ ნეკრასოვი ამბობდა:

...Придет ли времячко
(Приди, приди, желанное!),
Когда народ не Блюхера
И не милорда глупого,
Белинского и Гоголя
С базара понесет? 53 *

ერთ-ერთი ძველი რუსი დემოკრატისათვის სანატრელი «დროება» დადგა. ვაჭრები თავს ანებებდნენ შვრიით ვაჭრობას და იწყებდნენ უფრო ხელსაყრელ ვაჭრობას — დემოკრატიული იაფი ბროშურით ვაჭრობას. დემოკრატიული წიგნი საბაზრო პროდუქტი გახდა. ბელინსკისა და გოგოლის იმ იდეებით, რომლებიც ნეკრასოვისათვის — როგორც რუსეთში ყველა პატიოსანი ადამიანისთვისაც — ძვირფასს ხდიდნენ ამ მწერლებს, მთლიანად გაჟღენთილი იყო ეს ახალი საბაზრო ლიტერატურა...

...რა «მოუსვენრობაა»! — შესძახა თავისი ფიქრით ვითომდა განათლებულმა, ნამდვილად კი ბინძურმა, საზიზღარმა, გათქვირებულმა, თვითკმაყოფილმა ლიბერალმა ღორმა, როცა სინამდვილეში დაინახა ეს «ხალხი», რომელსაც ბაზრიდან მოჰქონდა... ბელინსკის წერილი გოგოლისადმი.

და, ნამდვილად რომ ითქვას, ეს ხომ «ინტელიგენტური» წერილია — გამოაცხადა «ვეხიმ» როზანოვ-ნოვოევრემიელისა და ანტონ-ვოლინელის ტაშის გრიალში.

---

* — ... მოვა კი დრო (მოდი, მოდი, სასურველო!), როდესაც ხალხი არა ბლიუხერისა და არა სულელი მილორდის, არამედ ბელინსკისა და გოგოლის წიგნებს წაიღებს ბაზრიდან?

რა სამარცხვინო სანახაობაა! — იტყვის დემოკრატი საუკეთესო ნაროდნიკებიდან. რა საგულისხმო სანახაობაა! — დავძენთ ჩვენ. როგორ აფხიზლებს იგი მათ, ვინც სენტიმენტალურად უყურებდა დემოკრატიის საკითხებს, როგორ აწრთობს იგი ყოველივეს, რაც კი ცოცხალი და ძლიერია დემოკრატიაში, ულმობლად უკუაგდებს დამპალ, ბატონკაცურ-ობლომოვურ ილუზიებს!

ლიბერალიზმისადმი იმედგაცრუება ფრიად სასარგებლო რამ არის იმისთვის, ვინც ოდესმე მოხიბლული იყო ლიბერალიზმით. ხოლო ვინც მოისურვებს გაიხსენოს რუსული ლიბერალიზმის ძველისძველი ისტორია, იგი უკვე დემოკრატ ჩერნიშევსკისადმი ლიბერალ კაველინის დამოკიდებულებაში დაინახავს რუსეთის მასების დემოკრატიული მოძრაობისადმი ლიბერალი ბურჟუების კადეტური პარტიის დამოკიდებულების უზუსტეს პირველსახეს. რუსეთში ლიბერალურმა ბურჟუაზიამ «თავისი თავი იპოვა» ან, უფრო სწორად, თავისი კუდი იპოვა. განა დრო არ არის, რუსეთში დემოკრატიამ თავისი თავი იპოვოს?

განსაკუთრებით აუტანელია ხოლმე იმის დანახვა, როცა შჩეპეტევის, სტრუვეს, გრედესკულის, იზგოევის და დანარჩენ კადეტ მოყვასთა მსგავსი სუბიექტები ნეკრასოვის, შჩედრინის და სხვათა კალთებს ებღაუჭებიან. ნეკრასოვი, რომელიც პირადად სუსტი იყო, მერყეობდა ჩერნიშევსკისა და ლიბერალებს შორის, მაგრამ მთელი მისი სიმპათია ჩერნიშევსკის მხარეზე იყო. ნეკრასოვი იმავე პირადი სისუსტის გამო სცოდავდა ლიბერალური მაამებლობის გამოვლინებით, მაგრამ თვითონვე მწარედ დასტიროდა თავის «ცოდვებს» და საჯაროდ ინანიებდა მათ:

Не торговал я лирой, но бывало,
Когда грозил неумолимый рок,
У лиры звук неверный исторгала
Моя рука...* [54].

«ყალბი ხმა» — აი როგორ უწოდებდა თვითონ ნეკრასოვი თავის ლიბერალურ-მაამებლურ ცოდვებს. ხოლო შჩედრინი დაუზოგავად დასცინოდა ლიბერალებს და სამუდამოდ გააკრა ისინი სამარცხვინო ბოძზე ფორმულით: «სისაძაგლისადმი შეგუებით».[55]

---

* — არ მივაჭრია ჩანგით, მაგრამ ყოფილა, როდესაც დაუნდობელი ბედი მემუქრებოდა, ჩანგს ყალბ ხმას გამოაღებინებდა ჩემი ხელი...

როგორ მოძველდა ეს ფორმულა შჩეპეტევების, გრედესკულების და დანარჩენი* ვეხელების მიმართ! საქმე ახლა სრულებითაც ის არ არის, რომ ეს ბატონები სისაძაგლეს ეგუებოდნენ. რა ბრძანებაა! მათ თვითონ თავიანთი თაოსნობით, თავიანთ ყაიდაზე, ნეოკანტიანელობისა და სხვა მოდური «ევროპული» თეორიების მიხედვით, ააგეს «სისაძაგლის» თავიანთი თეორია.

II

«მთლად არეული 1905 წელი» — წერს ბ-ნი შჩეპეტევი. «ყველაფერი აირდაირია და დაიხლართა საყოველთაო აღრევასა და უთავბოლობაში».

ამ პუნქტის შესახებაც შეგვიძლია მხოლოდ მცირეოდენი თეორიული მოსაზრებანი წარმოვადგინოთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ისტორიული მოვლენების შესახებ უნდა ვმსჯელობდეთ მასებისა და მთელი კლასების მოძრაობის მიხედვით და არა ცალკეული პირებისა და მცირე ჯგუფების განწყობილების მიხედვით.

რუსეთის მოსახლეობის უდიდეს მასას გლეხები და მუშები შეადგენენ. რაში შეიძლება დავინახოთ «სრული არევდარევა და უთავბოლობა» მოსახლეობის ამ მასის მიმართ? სრულიად პირიქით, ობიექტური ფაქტები უდავოდ მოწმობენ, რომ სწორედ მოსახლეობის მასებში წარმოებდა უმაგალითოდ ფართო და წარმატებითი დაყოფა, რამაც სამუდამოდ მოუღო ბოლო «არევდარევას და უთავბოლობას».

«მდაბიო ხალხში» მანამდე «საყოველთაო უთავბოლობაში» მართლაც «დახლართული და არეული» იყო პატრიარქალური დაბეჩავების ელემენტები და დემოკრატიზმის ელემენტები. ამას მოწმობს ისეთი ობიექტური ფაქტები, როგორიცაა ზუბატოველობისა და «გაპონადის»[56] შესაძლებლობა.

სწორედ 1905 წელმა ამ «უთავბოლობას» ერთხელ და სამუდამოდ მოუღო ბოლო. რუსეთის ისტორიაში ჯერ კიდევ არ ყოფილა ეპოქა, რომელსაც ასეთი ამომწურავი სიცხადით, არა სიტყვით, არამედ საქმით, გაეხსნას საუკუნეობრივი უძრაობითა და ბატონყმობის საუკუნეობრივი ნაშთებით დახლართული ურთიერთობა. არ

---

* შესაძლოა შემოგვედავონ — გრედესკული, ისევე როგორც მილიუკოვი და კომპანია «ვეხის» ეკამათებოდნენო. დიახ, მაგრამ ისინი ამასთან ვეხელებად რჩებოდნენ. იხ., სხვათა შორის, «პრავდა» № 85.[57]

ყოფილა ეპოქა, როცა ასე მკაფიოდ და «შეგნებულად» გამიჯნულიყვნენ კ ლ ა ს ე ბ ი, გამოერკვიოთ თავიანთი თავი მოსახლეობის მ ა ს ე ბ ს, მილიონების მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი შემოწმებულიყოს «ინტელიგენტთა» თეორიები და პროგრამები.

უდავო ისტორიულმა ფაქტებმა აბა როგორღა მიიღო ესოდენ ღამახინჯებული სახე «რუსსკაია მისლელი» განათლებული და ლიბერალი მწერლის გონებაში? საქმე ძალიან მარტივად აიხსნება: ეს ვეხელი მთელ ხალხს ახვევს თავს თავის სუბიექტურ განწყობილებას. პირადად იგი და მთელი მისი ჯგუფი — ლიბერალურ-ბურჟუაზიული ინტელიგენცია — იმ დროს განსაკუთრებით «უთავბოლო», «მთლად არეულ» მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. და თავისი უკმაყოფილება, რაც ბუნებრივად მოჰყვა ამ უთავბოლობასა და მასების მიერ ლიბერალიზმის მთელი სისაძაგლის მხილებას, ლიბერალს გადააქვს მ ა ს ე ბ ზ ე, თავის აბნეულობას სხვას აბრალებს.

მართლაც, განა უთავბოლო არ იყო ლიბერალების მდგომარეობა 1905 წლის ივნისში? ან 6 აგვისტოს შემდეგ, როცა ისინი მოუწოდებდნენ ბულიგინის სათათბიროში მონაწილეობისაკენ,. ხალხი კი ს ა ქ მ ი თ გვერდს უვლიდა სათათბიროს და სათათბიროზე შორს მიდიოდა? ან 1905 წლის ოქტომბერში, როცა ლიბერალებს დასჭირდათ «მამლაყინწურად ერბინათ» და «სახელოვნად» გამოეცხადებინათ გაფიცვა, თუმცა ჯერ კიდევ გუშინ მის წინააღმდეგ იბრძოდნენ? ან 1905 წლის ნოემბერში, როცა გამომჟღავნდა ლიბერალიზმის მთელი უბადრუკი უძლურება ისეთი მკაფიო ფაქტით, როგორიც იყო სტრუვეს ვიზიტი ვიტესთან?

თუ ვეხელი შჩეპეტევი ისურვებს და წაიკითხავს ვეხელი იზგოევის წიგნაკს სტოლიპინის შესახებ, დაინახავს, როგორ გ ა ხ დ ა იზგოევი ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ი ეღიარებინა ეს «უთავბოლობა» კადეტების მდგომარეობისა «ორ ცეცხლს შუა» I და II სახ. სათათბიროში. და ეს «უთავბოლობა» და ლიბერალიზმის უძლურება ჩნდებოდა გარდუვალად, ვინაიდან მას არ ჰქონდა მ ა ს ო ბ რ ი ვ ი დასაყრდენი არც ზემოთ — ბურჟუაზიაში, არც ქვემოთ — გლეხობაში.

ბ-ნ შჩეპეტევის მსჯელობა რუსეთის რევოლუციის ისტორიის შესახებ მთავრდება ასეთი მარგალიტით:

«თუმცა უნდა ითქვას, მთელი ეს არევდარევა ძლიერ დიდხანს არ გაგრძელებულა. ზედაფენები თანდათანობით განთავისუფლდნენ თითქმის პანიკური შიშისაგან, რამაც ისინი მოიცვა, და, მივიდნენ რა იმ მარტივ დასკვნამდე, რომ ჯარისკაცთა კარგი ასეული უფრო დამაჯერებელია, ვიდრე მთელი რევოლუციური სიტყვიერება ერთად აღებული, მოაწყვეს «დამსჯელი ექსპედიციები» და აამოქმედეს

სწრაფმსროლელი იუსტიცია. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ორიოდ-სამიოდე წლის განმავლობაში რევოლუცია იმდენად მოსპობილ და აღმოფხვრილ იქნა, რომ სადამცველო ხასიათის ზოგიერთი დაწესებულება ზოგან იძულებული იყო მისი ინსცენირება მოეწყო»...

თუ ავტორის წინა მსჯელობისათვის შეგვეძლო თუნდაც ზოგიერთი თეორიული კომენტარი დაგვერთო, ახლა ეს შესაძლებლობაც აღარა გვაქვს. უნდა დავჯერდეთ იმას, რომ ეს ჩინებული მსჯელობა რაც შეიძლება მაგრად და რაც შეიძლება მაღლა გავაკრათ ბოძზე, რომ უფრო დიდხანს და უფრო შორიდან ჩანდეს...

თუმცა, მკითხველს შეგვიძლია კიდევ ვკითხოთ: განა გასაკვირველია, რომ ოქტიაბრისტულ «გოლოს მოსკვის»[53] ნაციონალისტურ იუდურ «ნოვოე ვრემიასთან» ერთად აღტაცებით მოჰყავდათ ციტატები შჩეპეტევის ნაწერებიდან? მართლაც, «კონსტიტუციურ-დემოკრატიული» ჟურნალის «ისტორიული» შეფასება რით განსხვავდება ორი დასახელებული გამოცემის შეფასებისაგან?

III

ბ-ნ შჩეპეტევის ნაწერებში ყველაზე მეტი ადგილი უჭირავს ემიგრანტული ყოფაცხოვრების ნარკვევებს. ამ ნარკვევების ანალოგია რომ მოვნახოთ, საჭირო იქნება გავჩხრიკოთ კატკოვის დროინდელი «რუსსკი ვესტნიკი»[59] და იქიდან ავიღოთ რომანები, სადაც აღწერილია თავადაზნაურობის კეთილშობილი წინამძღოლები, კეთილი და კმაყოფილი გლეხები, უკმაყოფილო გულქვა, არამზადა და საზარელი რევოლუციონერები.

ბ-ნი შჩეპეტევი პარიზს აკვირდებოდა (თუ კი აკვირდებოდა) დემოკრატიაზე გაბოროტებული ობივატელის თვალით, რომელმაც რუსეთში მასობრივი დემოკრატიული წიგნის პირველ გაჩენაში მხოლოდ «მოუსვენრობის» დანახვა შეძლო.

ცნობილია, რომ თვითეული საზღვარგარეთ ხედავს იმას, რის დანახვაც უნდა. ანუ სხვა სიტყვით: თვითეული ახალ გარემოში თ ა ვ ი ს თ ა ვ ს ხედავს. შავრაზმელი საზღვარგარეთ ხედავს ჩინებულ მემამულეებს, გენერლებსა და დიპლომატებს. მცველი რაზმის აგენტი იქ ხედავს უკეთილშობილეს პოლიციელებს. რუსი ლიბერალი რენეგატი პარიზში ხედავს კეთილგანწყობილ კონსიერჟ ქალებსა და «საქმიან» * ჰედუქნეებს, რომლებიც რუს რევოლუციონერს ასწავლიან იმას, რომ მათში «ჰუმანიტარული და ალტრუისტული გრძნობები

* გვ. 139 ბ-ნ შჩეპეტევის სტატიისა («რუსსკაია მისლ» 1912 წ., № 8.)

მეტისმეტად ახშობდნენ პიროვნების მოთხოვნილებებს და ხშირად მთელი ჩვენი ქვეყნის საერთო პროგრესისა და კულტურული განვითარების საზიანოდ» *.

ვინც სულით ლაქიაა, მას, ბუნებრივია, ყველაზე მეტად აინტერესებს სალაქიოებში გამეფებული ჭორი და სკანდალი. იდეურ საკითხებს, რომელთა განხილვა ხდება პარიზის რეფერატებზე და პარიზის პრესაში რუსულ ენაზე, მედუქნე და კონსიერჟი-ლაქია, რა თქმა უნდა, ვერ ამჩნევს. სად ძალუძს მას დაინახოს, რომ ამ პრესაში დასმულია, მაგალითად, ჯერ კიდევ 1908 წელს, სწორედ ის საკითხები 3 ივნისის რეჟიმის სოციალური არსის, დემოკრატიზმში ახალ მიმდინარეობათა კლასობრივი ფესვების და სხვ. შესახებ [60], რომლებმაც ბევრად უფრო გვიან, ვიწროდ, უფრო დაშახინჯებულად პოვეს გზა (შეკვეცილი სახით) პრესაში, რომელსაც «იცავს» გაძლიერებული დაცვა?

მედუქნე და ლაქია, რა «ინტელიგენტურ» სამოსელშიც არ უნდა ეხვეოდნენ ასეთი სულის მქონე ადამიანები, ვერ შეამჩნევენ და ვერ მიხვდებიან ამ საკითხებს. თუ ამ ლაქიას ლიბერალური ჟურნალის «პუბლიცისტი» ეწოდება, ეს «პუბლიცისტი» სრული დუმილით აუვლის გვერდს დიდ იდეურ საკითხებს, რომლებიც არსად, გარდა პარიზისა, აშკარად და ნათლად არ არის დაყენებული. სამაგიეროდ ასეთი «პუბლიცისტი» დაწვრილებით გიამბობთ იმას, რაც საუცხოოდ იციან სალაქიოებში.

იგი, ეს კეთილშობილი კადეტი უკეთილშობილეს ბ-ნ სტრუვეს ჟურნალში გიამბობთ, რომ «პარიზში კარგად ცნობილი ერთი რევოლუციონერი მოღვაწე ქალის ბინიდან» გააძევეს «პოლიციის დახმარებით» უბედური ემიგრანტი-როსკიპი, — რომ ქველმოქმედების მიზნით მოწყობილ ბალზე «უმუშევრებმა» კვლავ გამართეს სკანდალი, — რომ ბ-ნ შჩეპეტევისათვის ცნობილ ერთ-ერთ სახლში გადამწერმა «წინასწარ წაიღო საკმაოდ დიდი თანხა და შემდეგ თავს არიდებს სამუშაოს», — რომ ემიგრანტები «დგებიან 12 საათზე, წვებიან ღამის 2 — 3 საათზე, მთელ დღეს სტუმრები, ხმაური, კამათი, უწესრიგობაა».

ყოველივე ამას კადეტ ბ-ნ სტრუვეს ლაქიური ჟურნალი გიამბობთ დაწვრილებით, ილუსტრაციებით, გემოიანად, პილპილმოყრით ისე, რომ ოდნავადაც არ ჩამოუვარდება მენშიკოვსა და როზანოვს «ნოვოე ვრემიადან».

---

* გვ. 153 ბ-ნ შჩეპეტევის სტატიისა («რუსსკაია მისლ» 1912 წ., № 8).

«ფული მოიტა, თორემ ცხვირ-პირს დაგამტვრევო — ასეთი არაორაზროვან-მტრული ფორმა მიიღო ემიგრაციის ზედა და ქვედა ფენების ურთიერთობამ. მართალია, ეს ფორმულა ფართოდ არ გავრცელებულა, და «ქვედაფენების უკიდურესი მიმდინარეობა» წარმოდგენილი იყო» (ასე წერს წიგნიერი კადეტი ბ-ნ სტრუვეს ჟურნალში!) «მხოლოდ ორიოდე ათეული ფრიადსაეჭვო ელემენტით, რომლებსაც. შესაძლოა, გაწაფული ხელიც კი წარმართავს გარედან»...

შეჩერდით ამ მსჯელობაზე, მკითხველო, და დაუფიქრდით ჩვეულებრივი ლაქიის განსხვავებას ლაქია-პუბლიცისტისაგან. უბრალო ლაქია — რა თქმა უნდა, მასობრივად, იმ შეგნებული ელემენტების გამოკლებით, რომლებიც უკვე დაადგნენ კლასობრივ თვალსაზრისს და გამოსავალს ეძებენ თავიანთი ლაქიური მდგომარეობიდან, — გულუბრყვილო, გაუნათლებელი, ხშირად წერა-კითხვის უცოდინარი და განუვითარებელია; მას ეპატიება გულუბრყვილო მისწრაფება იყბედოს ის, რაც ყველაზე უფრო ადვილად აღწევს მის შეგნებამდე. რაც მისთვის ყველაზე უფრო გასაგები და მახლობელია. ლაქია-პუბლიცისტი «განათლებული» ადამიანია, რომელიც მიღებულია საუკეთესო ოჯახებში. მას ესმის, რომ სისხლის სამართლის დამნაშავე შანტაჟისტთა რაოდენობა ემიგრაციაში მეტად უმნიშვნელოა («ორიოდე ათეული» ათასობით ემიგრანტზე). მას ისიც კი ესმის, რომ ამ შანტაჟისტებს «წარმართავს, შესაძლოა». «გაწაფული ხელი» — რუსი ხალხის კავშირის საჩაიედან.

და, ესმის რა ყოველივე ეს, ლაქია-პუბლიცისტი მოქმედებს «როგორც განათლებულს შეჰფერის». ო, მან იცის კვალის დაფარვა და საქონლის შნოიანად ჩვენება! იგი შავი რაზმის ბოსყიდული მჯღაბნელი კი არ გახლავთ, სრულებითაც არა. მან «თვითონვე» აღნიშნა კიდეც, რომ შესაძლოა ვინმე წარმართავს ორიოდე ათეულ შანტაჟისტსო, მაგრამ ამავე დროს სწორედ მხოლოდ ამ შანტაჟისტებზე, სკანდალებზე, გადამწერთა მიერ სამუშაოს შესრულებისათვის თავის არიდებაზე ლაპარაკობს!

«რუსსკაია მისლის» «მწერლებისათვის» ნოვოე-ვრემიელთა სკოლას ფუჭად როდი ჩაუვლია. ნოვოევრემიელი სუვორინი იკვეხნიდა, რომ არასოდეს არ იღებდა სუბსიდიას, — მას მხოლოდ «თვითონ ეხერხებოდა» ხმის შეწყობა.

«რუსსკაია მისლი» სუბსიდიას არ იღებს — ღმერთმა დაიფაროს! მას მხოლოდ «თვითონ ეხერხება» ხმის შეწყობა, რომელიც სასიამოვნოა ნოვოევრემიელებისა და გუჩკოვის «ვაუბატონებისათვის».

IV

დიახ, ბევრი რამ არის სამძიმო ემიგრანტთა წრეში. მასში, მხოლოდ ამ წრეში, ისმებოდა ჟამთა სიავისა და მიყუჩების წლებში რუსეთის მთელი დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი პრინციპული საკითხები. ამ წრეში უფრო მეტია გაჭირვება და სიღატაკე, ვიდრე სხვა წრეში. მასში განსაკუთრებით დიდია თვითმკვლელობის პროცენტი, მასში მეტისმეტად, საშინლად დიდია პროცენტი ადამიანებისა, რომელთა მთელ არსებას ნერვების ერთი ავადმყოფური გუნდა წარმოადგენს. განა შეიძლება სხვანაირად იყოს განაწამებ ადამიანთა წრეში?

ემიგრანტთა წრეში მოხვედრისას სხვადასხვა ადამიანებს სხვადასხვა რამ დააინტერესებს. ზოგს დაინტერესებს პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი პრინციპული საკითხების აშკარა დაყენება. ზოგს დაინტერესებს ბალზე მომხდარი სკანდალის, არაკეთილსინდისიერი გადამწერის, კონსიერჟ ქალთა და მედუქნეთა შორის ემიგრანტთა ცხოვრებით უკმაყოფილების ამბავი და სხვ. თვითეულს თავისი ინტერესი აქვს.

მაგრამ მაინც, როცა გამოცდი განაწამები, მოძულებული, ავადმყოფურად-ნერვული ემიგრანტული ცხოვრების მთელ სიმძიმეს, და როცა იფიქრებ ბატონ შჩეპეტევების, სტრუვეების, გოლოვინების, იზგოევებისა და კომპანიის ცხოვრებაზე, ვერასგზით თავს ვერ შეიკავებ, რომ არა თქვა: რა უზომო ბედნიერებაა, რომ ჩვენ არ ვეკუთვნით «წესიერ ადამიანთა» ამ საზოგადოებას, საზოგადოებას, სადაც ეს პირები მიღებული არიან, სადაც მათ ხელს ართმევენ!

ამ «წესიერ საზოგადოებაში», ალბათ, არავითარი სკანდალები არა ხდება. როსკიპები არ მოხვდებიან ხოლმე ამ ბატონების ბინებზე თითქმის ამხანაგების მდგომარეობაში. არა. ისინი სხვა ბინებზე რჩებიან.

უმუშევრები არ მართავენ სკანდალებს ამ საზოგადოების ბალებზე. მათი ბალები წესიერია. მათ ეს გაყოფილი აქვთ: როსკიპები (უმუშევრებიდან) სხვა ბინაზე არიან, ხოლო ბალები სხვა ბინაზე იმართება. და თუ ისინი გადამწერებს ქირაობენ, არასოდეს არ დაუშვებენ ისეთ გარყვნილებას, რომ გადამწერს წინასწარ მიჰქონდეს ფული და ამასთან ბედავდეს სამუშაოს შესრულებისათვის თავის არიდებას.

მათთან შეუძლებელია სკანდალები ფულის გამო. მათ გარშემო არ არიან მშიერი, განაწამები, ნერვებაშლილი ადამიანები, რომლე-

ბიც მზად არიან თავი მოიკლან. ხოლო თუ «მილიონები უძმობილდებიან» — დღეს «მეცნიერებას» ბ-ნ სტრუვეს და კომპანიის სახით, — ხვალ დეპუტატის წოდებას ბ-ნ გოლოვინის და კომპანიის სახით, — ზეგ დეპუტატის და ადვოკატის წოდებას ბ-ნ მაკლაკოვის და კომპანიის სახით, — განა რა არის იმაში სასკანდალო??

ყველაფერი აქ მთლიანად კეთილშობილებაა. თუ ბბ. სტრუვეების, გრედესკულების, შჩეპეტევებისა და კომპანიის ნაწერები დემოკრატიის წინააღმდეგ სიამოვნებას გვრიან რიაბუშინსკებს და სხვ., რა არის აქ ცუდი? სტრუვე სუბსიდიას ხომ არ იღებს, იგი «თვითონ» შეუწყობს ხოლმე ხმას! ვერავინ ვერ იტყვის, რომ «რუსსკაია მისლი» ბბ. რიაბუშინსკების კმაყოფაზე იყოს. არავის ფიქრად არ მოუვა, რომ ის სიამოვნება, რასაც ბბ. რიაბუშინსკები ზოგიერთი «პუბლიცისტისაგან» იღებენ, შეადაროს იმ სიამოვნებას, რასაც ძველად შემამულეებს ჰგვრიდნენ ყმა გოგოები, რომლებიც მათ ქუსლებს უფხანდნენ.

მართლაც, რით არის დამნაშავე ბ-ნი სტრუვე ან ბ-ნი გრედესკული, შჩეპეტევი და სხვ., თუ მათი ნაწერები და სიტყვები, რომლებშიც ისინი თავიანთ რწმენას გამოთქვამენ, რევოლუციაზე გაბოროტებული რუსი ვაჭრისა ან შემამულისათვის ქუსლების თავისებურ ფხანას წარმოადგენენ?

რა არის სასკანდალო იმაში, რომ ყოფილმა დეპუტატმა ბ-ნმა გოლოვინმა შემოსავლიანი კონცესია აიღო? მან ხომ მოიხსნა დეპუტატის წოდება!! მაშასადამე, სანამ იგი დეპუტატი იყო, კონცესია ჯერ კიდევ არ ყოფილა, იგი მხოლოდ მზადდებოდა. ხოლო როცა კონცესია მიიღო, დეპუტატობას თავი დაანება. განა ცხადი არ არის, რომ ეს სუფთა საქმეა?

განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ ცილისმწამებლებს შეუძლიათ მითითება მაკლაკოვზე? იგი ხომ თაღიევს[61] — როგორც თვითონ განაცხადა «რეჩში» დაბეჭდილ წერილში — «თავისი რწმენის თანახმად» იცავდა! შეუძლებელია რაიმე ეჭვის შეტანა იმაში, რომ ვერც ერთი პარიზელი კონსიერჟი ქალი და ვერც ერთი პარიზელი მედუქნე ვერ იპოვნის სრულებით ვერაფერს, — აბსოლუტურად ვერაფერს საძრახისს, უხერხულს, სასკანდალოს, — მთელი ამ პატივცემული კადეტური საზოგადოების ცხოვრებასა და მოქმედებაში.

V

ბ-ნ შჩეპეტევის ზოგადი პრინციპული მსჯელობა მთლიანად მოყვანის ღირსია:

«დღემდე, განსაკუთრებით იმ წრეებში, რომლებსაც კავშირი აქვთ რევოლუციასთან, ჰუმანიტარული და ალტრუისტული გრძნობები მეტისმეტად ახშობდნენ პიროვნების მოთხოვნილებებს და ხშირად მთელი ჩვენი ქვეყნის საერთო პროგრესისა და კულტურული განვითარების საზიანოდ. «საზოგადოებრივი სარგებლობისა» და «მთელი ხალხის კეთილდღეობისადმი» მისწრაფება მეტისმეტად გვავიწყებინებდა საკუთარ თავს, ჩვენს პირად საჭიროებასა და მოთხოვნილებებს, გვავიწყებინებდა იმდენად, რომ თვით საზოგადოებრივი გრძნობებისა და მისწრაფებების რეალიზაცია კი არ ხდებოდა დადებითი (!!) შემოქმედებითი და სავსებით შეგნებული მუშაობის სახით, არამედ ისინი ფატალურად იწვევდნენ თავის შეწირვის პასიურ ფორმებს. და არა მარტო სპეციალურად ამ დარგში, არამედ ყველაზე ჩვეულებრივი ურთიერთობის სფეროშიც პიროვნების მოთხოვნილებანი მუდამ და ყოველნაირად იჩაგრებოდა, ერთი მხრივ, «ავადმყოფური სინდისით», რომელსაც ღვაწლის და თავის შეწირვის ეს წყურვილი ხშირად ჰიპერტროფიამდე მიჰყავდა, მეორე მხრივ — თვით სიცოცხლის არასაკმაო დაფასებით, რაც ჩვენი კულტურის დაბალი დონით იყო შეპირობებული. ხოლო ამის შედეგი იყო მუდმივი გაორება, მუდმივი შეგნება საკუთარი ცხოვრების უმართებულობისა და თვით «ცოდვიანობისაც». მუდმივი მისწრაფება მსხვერპლად თავის შეწირვისადმი, ლტაკოთა და ბედკრულთა დახმარებისადმი, ბოლოს, «დასაღუპავად განწირულთა ბანაკში» წასვლისადმი — ფაქტი, რომელიც ესოდენ სრულად და ესოდენ მკაფიოდ აისახა ჩვენს ლიტერატურაში.

ვერაფერს ასეთს ვერ შეხვდებით ფრანგი ხალხის შეხედულებებსა და ზნეჩვეულებებში»...

ეს არის კომენტარი ბ-ნ გრედესკულის იმ პოლიტიკური და საპროგრამო განცხადებებისა, რომლებიც «რეჩმა» სრულიად უშენიშვნოდ დაბეჭდა და რომლებიც «პრავდამ» (№ 85) გაიხსენა, როცა «რეჩმა» მათი დავიწყება მოისურვა.

ეს არის «ვეხის» განგრძობა და განმეორება. ამ მსჯელობის მაგალითით ერთხელ და ერთხელ კიდევ შეიძლება დავრწმუნდეთ და უნდა დავრწმუნდეთ, რომ «ვეხი» მხოლოდ მოსაჩვენებლად ებრძვის «ინტელიგენციას», რომ ნამდვილად იგი ებრძვის დემოკრატიას, მთლიანად ხელს იღებს დემოკრატიაზე.

«ვეხის», გრედესკულისა და «რეჩის» ერთიანობას განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი ახლა, არჩევნების დღეებში, როცა კადეტები, თამაშობენ რა დემოკრატიზმს, მთელი ძალ-ღონით ცდილობენ მიჩქმალონ და მიაფუჩეჩონ პოლიტიკის ყველა ნამდვილად მნიშვნელოვანი და ძირითადი პრინციპული საკითხი. დემოკრატიის ერთ-ერთი არსებითი პრაქტიკული ამოცანაა დააყენოს ეს საკითხები საარჩევნო კრებებზე, — განუმარტოს რაც შეიძლება ფართო საზოგადოებას ბბ. შჩეპეტევებისა და ყველა ვეხელის სიტყვების აზრი და მნიშვნელობა, — ამხილოს «რეჩისა» და მილიუკოვების ფარისევლობა, როცა ისინი ცდილობენ მოიხსნან პასუხისმგებლობა «რუსსკაია მისლისათვის», თუმცა მასში წერენ კ.-დ. პარტიის წევრები.

ბბ. გრედესკულების, მილიუკოვების და სხვათა «კამათი», «პოლემიკა» ვეხელებთან მხოლოდ თვალთმაქცობაა, «ვეხისადმი», კ.-დ. მთელი პარტიის ღრმა პრინციპული სოლიდარობის მხოლოდ ფარისეველური დაფარვაა. მართლაც, განა შეიძლება «კამათი» მოყვანილი ციტატის ძირითად დებულებებთან? განა შეიძლება ასეთი შეხედულებების ადამიანებთან ერთ პარტიაში რჩებოდე და სრული პასუხისმგებლობა არ გეკისრებოდეს ყოველგვარი დემოკრატიის უაღრესად ელემენტარულ პრინციპებზე გადაჭრით ხელისაღების ასეთი ქადაგებისათვის?

საკითხს აბნელებენ ისინი, ვინც à la * «ვეხი» თანხმდება დააყენოს იგი «ალტრუიზმისადმი» «ინდივიდუალიზმის» ტერმინების დაპირისპირებით და სხვ. ამ ფრაზების პოლიტიკური აზრი ცხადზე უცხადესია: ეს არის მობრუნება დემოკრატიის წინააღმდეგ. ეს არის მობრუნება კონტრრევოლუციური ლიბერალიზმისაკენ.

უნდა შევიგნოთ, რომ ეს მობრუნება შემთხვევითი როდია, არამედ ბურჟუაზიის კლასობრივი მდგომარეობის შედეგია. აქედან უნდა გავაკეთოთ საპირო პოლიტიკური დასკვნები ლიბერალიზმისაგან დემოკრატიის მკაფიოდ გამიჯვნის შესახებ. თუ ამ ჭეშმარიტებებს არ შევიგნებთ, თუ მათ ფართოდ არ გავავრცელებთ მოსახლეობის მასაში, ლაპარაკიც ზედმეტი იქნება რაიმე სერიოზული ნაბიჯის წინ გადადგმაზე.

დაბეჭდილია 1912 წ. 2 და 9 სექტემბერს
თხზულებანი გამოც. მე-4, ტ. 18,
გვ. 374 — 388

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

* — როგორც. რედ

ევგენი პოტიე

(მისი გარდაცვალების 25 წლისთავის გამო)

გასული, 1912, წლის ნოემბერში შესრულდა 25 წელი ფრანგი მუშა-პოეტის ევგენი პოტიეს, განთქმული პროლეტარული სიმღერის «ინტერნაციონალის» («აღსდექ კრულვითა დაღდასმულო» და სხვ.) ავტორის გარდაცვალების დღიდან.

ეს სიმღერა თარგმნილია ყველა ევროპულ და არა მარტო ევროპულ ენებზე. რომელ ქვეყანაშიც არ უნდა აღმოჩნდეს შეგნებული მუშა, სადაც არ უნდა გადაისროლოს იგი ბედმა, რაც უნდა უცხო ადამიანად გრძნობდეს ის თავის თავს უენოდ, უნაცნობებოდ, სამშობლოს მოშორებული, მას შეუძლია იპოვოს თავისი ამხანაგები და მეგობრები «ინტერნაციონალის» ნაცნობი კილოთი.

ყველა ქვეყნის მუშებმა დააგუგუნეს თავიანთი მებრძოლის, პროლეტარ-პოეტის სიმღერა და ის მსოფლიო პროლეტარულ სიმღერად აქციეს.

ამჟამად ყველა ქვეყნის მუშები აღნიშნავენ ევგენი პოტიეს ხსოვნას. მისი ცოლი და ქალიშვილი ცოცხლები არიან და ისევ ისე ღარიბად ცხოვრობენ, როგორც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში «ინტერნაციონალის» ავტორი ცხოვრობდა. იგი დაიბადა პარიზში 1816 წლის 4 ოქტომბერს. ის 14 წლის იყო, როცა შეთხზა თავისი პირველი სიმღერა «გაუმარჯოს თავისუფლებას!». 1848 წელს, მუშების დიად ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ იგი მონაწილეობას იღებდა როგორც ბარიკადებზე მებრძოლი.

პოტიე დაიბადა ღარიბ ოჯახში და მთელი სიცოცხლე დარჩა ღარიბად, პროლეტარად, ლუკმა პურს ყუთების შეფუთვით, ხოლო შემდეგ ქსოვილების მოხატვით შოულობდა.

1840 წლიდან იგი ეხმაურებოდა საფრანგეთის ცხოვრების ყველა დიდ ამბავს თავისი მებრძოლი სიმღერით, აღვიძებდა ჩამორჩენილთა შეგნებას, მოუწოდებდა მუშებს ერთიანობისაკენ, ამათრახებდა ბურჟუაზიას და საფრანგეთის ბურჟუაზიულ მთავრობებს.

დიდი პარიზის კომუნის დროს (1871 წ.)[62] პოტიე მის წევრად აირჩიეს. 3600 ხმიდან მან 3352 ხმა მიიღო. იგი მონაწილეობას იღებდა კომუნის, ამ პირველი პროლეტარული მთავრობის, ყველა ღონისძიებაში.

კომუნის დაცემამ აიძულა პოტიე ინგლისსა და ამერიკაში გახიზნულიყო. განთქმული სიმღერა «ინტერნაციონალი» მან დაწერა 1871 წლის ივნისში, შეიძლება ითქვას მაისის სისხლიანი დამარცხების მეორე დღეს...

კომუნა ჩაახშეს... მაგრამ პოტიეს «ინტერნაციონალმა» მისი იდეები მთელ მსოფლიოს მოჰფინა და პარიზის კომუნა ახლა ცოცხალია უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე.

1876 წელს, განდევნილობაში ყოფნისას, პოტიემ დაწერა პოემა: «ამერიკის მუშები საფრანგეთის მუშებს». ამ პოემაში მან დახატა კაპიტალიზმის უღელქვეშ მგმინავი მუშების ცხოვრება, მათი სიღატაკე, აუტანელი, მძიმე შრომა, ექსპლოატაცია, მათი მტკიცე რწმენა თავიანთი საქმის მომავალი გამარჯვებისადმი.

მხოლოდ კომუნის დამარცხებიდან ცხრა წლის შემდეგ დაბრუნდა პოტიე საფრანგეთში და მაშინვე შევიდა «მუშათა პარტიაში». 1884 წელს გამოიცა მისი ლექსების პირველი ტომი, 1887 წელს — მეორე ტომი სახელწოდებით: «რევოლუციური სიმღერები».

მუშა-პოეტის მთელი რიგი სხვა სიმღერები უკვე მისი სიკვდილის შემდეგ გამოიცა.

1887 წლის 8 ნოემბერს პარიზელმა მუშებმა ევგენი პოტიეს ცხედარი გააცილეს Per Lachaise-ის სასაფლაოზე, სადაც დამარხული არიან დახვრეტილი კომუნარები. პოლიციამ მოაწყო ცემა-ტყეპა. ცდილობდა წითელი დროშის წართმევას. დიდძალმა ხალხმა მიიღო მონაწილეობა სამოქალაქო დაკრძალვაში. ყველა მხრიდან გაისმოდა შეძახილები: «გაუმარჯოს პოტიეს!».

პოტიე სიღარიბეში გარდაიცვალა. მაგრამ მან თავის თავს ჭეშმარიტად ხელოვნებენელი ძეგლი აუგო. იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროპაგანდისტი სიმღერის საშუალებით. რო-

ცა ის თავის პირველ სიმღერას თხზავდა, მუშა სოციალისტების რიცხვი სულ დიდი ათობით დაითვლებოდა. ევგენი პოტიეს ისტორიული სიმღერა ახლა ათეული მილიონობით პროლეტარებმა იციან...

ნ. ლ.

დაბეჭდილია 1913 წ. 3 იანვარს «კომუნისტი», 1954 წ., № 6.

ბეჭდვა ჟურნალ «კომუნისტის» ტექსტის მიხედვით

მუშათა გუნდების განვითარება გერმანიაში

გერმანიის მუშათა საგუნდო საზოგადოებებმა ახლახან თავისებური იუბილე იდღესასწაულეს: მოსიმღერე მუშების რიცხვმა 100 000 კაცს მიაღწია, ხოლო მუშათა საგუნდო საზოგადოებების წევრთა საერთო რიცხვი 165 000 კაცს შეადგენს. ამ საზოგადოებებში 11 000 მუშა-ქალია.

მუშათა გუნდებს აქვთ თავიანთი ბეჭდვითი ორგანო: «მოსიმღერე მუშათა გაზეთი», რომელმაც წესიერად მხოლოდ 1907 წლიდან იწყო გამოსვლა.

მუშათა საგუნდო საზოგადოებების პირველი ნაბიჯები 1860-იან წლებს მიეკუთვნება. ლაიპციგის «სახელოსნო საგანმანათლებლო საზოგადოებაში» შეიქმნა სასიმღერო განყოფილება, რომლის წევრი სხვათა შორის იყო ავგუსტ ბებელი.

ფერდინანდ ლასალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მუშათა გუნდების ჩამოყალიბებას. მისი დაბეჯითებითი მოთხოვნით «გერმანიის საყოველთაო მუშათა კავშირის» წევრებმა 1863 წელს მაინის ფრანკფურტში დააარსეს მუშათა საზოგადოება, რომელსაც უწოდეს: «მოსიმღერეთა კავშირი». ეს კავშირი იკრიბებოდა ფრანკფურტის ერთ-ერთი სამიკიტნოს ბნელ, კვამლით გავსებულ უკანა ოთახში. ოთახს ქონის სანთლებით ანათებდნენ.

კავშირის წევრთა რიცხვი 12 კაცს შეადგენდა. როცა ლასალს ერთ-ერთი სააგიტაციო მოგზაურობის დროს ფრანკფურტში მოუხდა ღამის გათევა, ამ თორმეტმა მომღერალმა მუშამ ერთად შეასრულა სიმღერა ცნობილი პოეტის ჰერვეგისა, რომელსაც ლასალი დიდხანს თხოვდა დაეწერა სიტყვები მუშათა გუნდისათვის.

განსაკუთრებული კანონის[63] გაუქმების შემდეგ, 1892 წელს, მუშათა გუნდები გერმანიაში შეადგენდნენ 180 საგუნდო საზოგა-

დოებას 4 300 წევრით. 1901 წელს წევრთა რიცხვი გაიზარდა 39 717-მდე, 1907 წელს — 93 000-მდე, ხოლო 1912 წელს — 165 000-მდე.

ბერლინში მუშათა საგუნდო საზოგადოებების 5 352 წევრია, ჰამბურგში — 1628, ლაიპციგში — 4 051, დრეზდენში — 4 700 და ა. შ.

ამას წინათ ჩვენ ვიუწყებოდით, თუ როგორ აღნიშნეს საფრანგეთის და სხვა რომანული ქვეყნების მუშებმა განთქმული «ინტერნაციონალის» ავტორის ევგენი პოტიეს[64] (1816 — 1887) გარდაცვალების 25 წლისთავი. სოციალიზმის პროპაგანდა მუშური სიმღერის მეშვეობით გერმანიაში გაცილებით ახალგაზრდაა და გერმანიის «იუნკრული» (მემამულური, შავრაზმული) მთავრობა გაცილებით უფრო მეტ საზიზღარ პოლიციურ დაბრკოლებებს უქმნის ასეთ პროპაგანდას.

მაგრამ ვერავითარი პოლიციური ოინები ხელს ვერ შეუშლიან იმას, რომ მსოფლიოს ყველა დიდ ქალაქში, ყველა საფაბრიკო დაბაში და სულ უფრო ხშირად მოჯამაგირეთა ქოხებში გაისმის შეხმატკბილებული პროლეტარული სიმღერა დაქირავებული მონობისაგან კაცობრიობის მოახლოებული განთავისუფლების შესახებ.

ტ.

1913 წ. იანვარი
«კომუნისტი», 1954, № 6, გვ. 24

იბეჭდება ჟურნალ «კომუნისტის» ტექსტის მიხედვით

განათლებული დეპუტატები

2 აპრილის საღამოს სხდომაზე ოქტიაბრისტმა ლ. გ. ლიუცმა გაილაშქრა მუშათა დეპუტატების მოთხოვნის წინააღმდეგ — ლენის ამბების[65] შესახებ შეკითხვის განხილვის წინააღმდეგ, და თქვა:

«ორი დღის შემდეგ ლენის ამბების წლისთავია. ცხადია, სოციალ-დემოკრატები ცდილობენ აღაგზნონ* მუშების გრძნობები იმისათვის, რომ აამხედრონ ისინი რაიმე ექსცესების მოსახდენად...»

ფრანგული სიტყვა «bouder», გადმოცემული რუსულით «будировать», ნიშნავს გაბრაზებას, გაბუტვას. ბ-ნი ლიუცი კი, ალბათ, ამ სიტყვას აწარმოებს სიტყვიდან «будоражить, ან, შესაძლოა, «возбудить». როგორ დააყარეს სიცილი ბატონმა ბურჟუაზიულმა დეპუტატებმა და ბურჟუაზიულმა პრესამ, როდესაც 1 სათათბიროში ერთმა გლეხმა სიტყვა «პრეროგატივი» იხმარა «როგატკის» (დაბრკოლების) აზრით! მაგრამ შეცდომა მით უფრო საპატიებელი იყო, რომ გაბატონებულთა სხვადასხვა «პრეროგატივები» (ე. ი. განსაკუთრებული უფლებები) რუსეთის სინამდვილეში წარმოადგენს როგატკებს, დაბრკოლებას. მაგრამ ბ-ნ ლიუცის განათლებულობას არ «აღუგზნია» მისი განათლებული მეგობრებისა და მათი პრესის სიცილი.

•

დაბეჭდილია 1913 წ. 10 აპრილს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 19 გვ. 38

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

---

* აღაგზნონ — будировать. (ქართ. რედ.).

«ვისთვისაა ხელსაყრელი?»

არის ასეთი ლათინური თქმა «cui prodest»(კუი პროდესტ), — «ვისთვისაა ხელსაყრელი?». როდესაც ერთბაშად არა ჩანს, რომელი პოლიტიკური თუ სოციალური ჯგუფები, ძალები, ფიგურები იცავენ განსაზღვრულ წინადადებებს, ზომებს და სხვ., ყოველთვის უნდა დაისვას კითხვა: «ვისთვისაა ხელსაყრელი?».

ის კი არ არის საყურადღებო, თუ ვ ი ნ იცავს უშუალოდ განსაზღვრულ პოლიტიკას, — რადგან კაპიტალიზმის თანამედროვე კეთილშობილური სისტემის დროს ყოველგვარ შეხედულებათა დასაცავად ყოველ მდიდარს ყოველთვის შეუძლია «დაიქირაოს» ან იყიდოს, ანდა მიიმხროს, რამდენიც უნდა ადვოკატი, მწერალი, თვით დეპუტატები, პროფესორები, ხუცები და სხვა. ჩვენ ვცხოვრობთ ვაჭრულ ხანაში, როდესაც ბურჟუაზია მოურიდებლად ვაჭრობს პატიოსნებითაც და სინდისითაც. არიან ხოლმე ისეთი რეგვნებიც, რომელნიც მოუაზრებლობის ან ბრმა ჩვეულების გამო იცავენ განსაზღვრულ ბურჟუაზიულ წრეში გაბატონებულ შეხედულებებს.

არა, პოლიტიკაში დიდად საყურადღებო ის კი არ არის, თუ უშუალოდ ვ ი ნ იცავს განსაზღვრულ შეხედულებებს. საყურადღებო ის არის, ვ ი ს თ ვ ი ს ა ა ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი ეს შეხედულებანი, ეს წინადადებანი, ეს ზომები.

მაგალითად, «ევროპა», სახელმწიფოები, რომელთაც «ცივილიზებულად» მოაქვთ თავი, ახლა გაშმაგებულნი ეცილებიან ერთმანეთს შეიარაღების საქმეში. ათას ჰანგზე, ათასობით გაზეთში, ათასობით კათედრიდან გაჰყვირიან და ჰგოდებენ პატრიოტიზმის, კულტურის, სამშობლოს, მშვიდობის, პროგრესის შესახებ, — და ყოველივე ეს ხდება იმის გულისთვის, რომ გაამართლონ ათეული და ასეული მილიონობით მანეთის ახალი ხარჯები განადგურების ყოველგვარ

იარაღებზე, ზარბაზნებზე, «დრედნოუტებზე» (უახლესი ტიპის ჯავშნოსნები) და სხვ.

ბატონო საზოგადოებავ! — გინდა თქვა «პატრეოტების» ყველა ამ ფრაზის გამო. არ დაუჯეროთ ფრაზებს, უმჯობესია ნახოთ, ვ ი ს თ ვ ი ს ა ა ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი!

ამასწინათ ინგლისის განთქმულმა ფირმამ «არმსტრონგ, უიტვერს და კომპ.» გამოაქვეყნა თავისი წლიური ანგარიში. ფირმა უმთავრესად აკეთებს შეიარაღების ყოველგვარ საგნებს. ბალანსის ჯამი შეადგენს 877 ათას გირვანქა სტერლინგს, ე. ი. დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ 8 მ ი ლ ი ო ნ მ ა ნ ე თ ს, თ ვ ი თ ე უ ლ ი ს დივიდენდია 12½ პ რ ო ც ე ნ ტ ი!! დაახლოებით 900 000 მანეთი გადარიცხულია სათადარიგო კაპიტალში და სხვ. და სხვ.

აი ვის ჯიბეში მიჩხრიალებს ის მილიონები და მილიარდები, რასაც მუშებსა და გლეხებს აძრობენ შეიარაღებისათვის. 12½ პროცენტი დივიდენდები, — ეს ნიშნავს კაპიტალის გ ა ო რ კ ე ც ე ბ ა ს 8 წლის განმავლობაში. აქ არ შედის დირექტორებისა და სხვების ყოველგვარი ჯილდოები. არმსტრონგი ინგლისში, კრუპი გერმანიაში, კრეზო საფრანგეთში, კოკერილი ბელგიაში და ვინ დათვლის კიდევ რამდენია ყველა «ცივილიზებულ» ქვეყანაში? მერე კიდევ ეს უმრავი მიმწოდებელი?

აი ვ ი ს თ ვ ი ს ა ა ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ ი შოვინიზმის გაღვივება,! ლაყბობა პატრიოტიზმზე (საზარბაზნე პატრიოტიზმზე), კულტურის დაცვაზე (კულტურის გამანადგურებელი იარაღებით) და სხვ.

დაბეჭდილია 1913 წ. 11 აპრილს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 19.
გვ. 39 — 40

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით.

სტატიიდან
«ლიბერალები და კავშირების თავისუფლება»

... თანამიმდევარი დემოკრატები დობროლუბოვი და ჩერნიშევსკი სამართლიანად დასცინოდნენ ლიბერალებს რ ე ფ ო რ მ ი ზ მ ი ს გამო, რომელსაც მუდამ სარჩულად ედო მისწრაფება მასების აქტიურობის შეკვეცისა და მემამულეთა პრივილეგიების ნაწილის შენარჩუნებისა, როგორც, მაგალითად, გამოყიდვა და სხვა...

დაბეჭდილია 1913 წ. 4 მაისს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 19,
გვ. 68

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

მუშათა კლასი და ნაციონალური საკითხი

რუსეთი ეროვნულად ჭრელი ქვეყანაა. მთავრობის პოლიტიკა, პოლიტიკა მემამულეებისა, რომელთაც მხარს უჭერს ბურჟუაზია, თავიდან ბოლომდე შავრაზმული ნაციონალიზმითაა გაჟღენთილი.

ამ პოლიტიკის მახვილი მიმართულია რუსეთის იმ ხალხთა უმრავლესობის წინააღმდეგ, რომელნიც მისი მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. ხოლო ამასთან ერთად თავს იჩენს სხვა ერთა (პოლონელი, ებრაელი, უკრაინელი, ქართველი და სხვ. ერის) ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, ცდილობს რა ნაციონალური ბრძოლით ან ნაციონალური კულტურისათვის ბრძოლით ჩამოაშოროს მუშათა კლასი მის დიდ მსოფლიო ამოცანებს.

ნაციონალური საკითხი ყველა შეგნებული მუშის მხრივ მოითხოვს ნათლად დაყენებას და გადაწყვეტას.

როდესაც ბურჟუაზია თავისუფლებისათვის იბრძოდა ხალხთან ერთად, მშრომელებთან ერთად, იგი იცავდა ერთა სრულ თავისუფლებას და სრულ თანასწორუფლებიანობას. მოწინავე ქვეყნები, შვეიცარია, ბელგია, ნორვეგია და სხვ., იძლევიან იმის მაგალითს, თუ ნამდვილი დემოკრატიული წყობილების დროს როგორ მშვიდობიანად ეთვისებიან ან მშვიდობიანად გამოეყოფიან ერთმანეთს თავისუფალი ერები.

ახლა ბურჟუაზიას ეშინია მუშებისა, ის ეძებს კავშირს პურიშკევიჩებთან, რეაქციასთან, ღალატობს დემოკრატიზმს, იცავს ერთა ჩაგვრას ან არათანასწორუფლებიანობას, ნაციონალისტური ლოზუნგებით რყვნის მუშებს.

ჩვენს დროში მხოლოდ პროლეტარიატი იცავს ერთა ნამდვილ თავისუფლებას და ყველა ერის მუშების ერთიანობას.

სხვადასხვა ერი რომ თავისუფლად და მშვიდობიანად ეთვისებოდეს ან გამოეყოფოდეს ერთმანეთს (როდესაც ეს მათთვის უფრო

მოსახერხებელია) და ქმნიდეს სხვადასხვა სახელმწიფოს, ამისთვის საჭიროა სრული დემოკრატიზმი, რასაც მუშათა კლასი იცავს. არც ერთი პრივილეგია არც ერთი ერისათვის, არც ერთი ენისათვის! არავითარი შევიწროება, არავითარი უსამართლობა ეროვნული უმცირესობის მიმართ! — აი მუშათა დემოკრატიის პრინციპები.

კაპიტალისტები და მემამულეები ყოველნაირი საშუალებით ცდილობენ გათიშონ სხვადასხვა ერის მუშები, ხოლო ძლიერნი ამა ქვეყნისანი საუცხოოდ ეთვისებიან ერთმანეთს. როგორც «შემოსავლიან», მილიონიან (ლენის მადნების მსგავს) «საქმეთა» აქციონერები — მართლმადიდებელნიც და ებრაელებიც, რუსებიცა და გერმანელებიც, პოლონელებიცა და უკრაინელებიც, ყველანი, ვისაც კი კ ა პ ი ტ ა ლ ი აქვს, ერთსულოვნად უწევენ ექსპლოატაციას ყველა ერის მუშებს.

შეგნებული მუშები იცავენ ყველა ერის მუშების ს რ უ ლ ე რ თ ი ა ნ ო ბ ა ს ყველა და ყოველგვარ საგანმანათლებლო, პროფესიულ, პოლიტიკურ და სხვ. მუშათა ორგანიზაციებში. დაე ბატონმა კადეტებმა შეირცხვინონ თავი უკრაინელთა თანასწორუფლებიანობის უარყოფით ან დამცირებით. დაე ყველა ერის ბურჟუაზიამ გაირთოს თავი ყალბი ფრაზებით ნაციონალური კულტურის, ნაციონალური ამოცანების შესახებ და სხვ. და ა. შ.

მუშები თავს არავის გაათიშვინებენ არავითარი მოთაფლული სიტყვებით ნაციონალური კულტურის ან «ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის» შესახებ. ყველა ერის მუშები ერთსულოვნად, ერთად, საერთო ორგანიზაციებში იცავენ სრულ თავისუფლებასა და სრულ თანასწორუფლებიანობას — ნამდვილი კულტურის საწინდარს.

მუშები მთელ მსოფლიოში ქმნიან თავიანთ, ინტერნაციონალურ კულტურას, რომელსაც დიდი ხანია ამზადებდნენ თავისუფლების მქადაგებელნი და ჩაგვრის მტრები. ძველ სამყაროს, ეროვნული ჩაგვრის, ეროვნული შუღლისა ან ეროვნული განკერძოების სამყაროს მუშები უპირისპირებენ ყველა ერის მშრომელთა ერთიანობის სამყაროს, სადაც არ იქნება არავითარი პრივილეგია, ადამიანის მიერ ადამიანის არავითარი ჩაგვრა.

ბეჭდილია 1913 წ. 10 მაისს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 19,
გვ. 87 — 89

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

ჩამორჩენილი ევროპა და მოწინავე აზია

ამ სიტყვების დაპირისპირება პარადოქსსა ჰგავს. ვინ არ იცის, რომ ევროპა მოწინავეა, აზია კი ჩამორჩა? მაგრამ ამ სტატიის სათაურად აღებულ სიტყვებში მწარე სიმართლეა.

ცივილიზებულ და მოწინავე ევროპაში, მისი ბრწყინვალედ განვითარებული ტექნიკით, მისი მდიდარი, ყოველმხრივი კულტურითა და კონსტიტუციით, დადგა ისეთი ისტორიული მომენტი, როდესაც მბრძანებელი ბურჟუაზია მხარს უჭერს ყველაფერს ჩამორჩენილს, მომაკვდავს, შუასაუკუნებრივს, რადგან შიში აქვს პროლეტარიატისა, რომელიც იზრდება და მტკიცდება. მომაკვდავი ბურჟუაზია უერთდება ყველა დრომოჭმულ და მომაკვდავ ძალებს, რათა შეინარჩუნოს დაქირავებულთა შერყეული მონობა.

მოწინავე ევროპაში ბრძანებლობს ყოველივე ჩამორჩენილის მხარის დამჭერი ბურჟუაზია. ჩვენს დროში ევროპა მოწინავეა არა ბურჟუაზიის მ ე ო ხ ე ბ ი თ, არამედ მის მ ი უ ხ ე დ ა ვ ა დ, რადგან მხოლოდ პროლეტარიატი ზრდის განუწყვეტლივ უკეთესი მომავლისათვის მებრძოლთა მილიონიან ლაშქარს, მხოლოდ მარტო ის ინარჩუნებს და ავრცელებს ულმობელ მტრობას ჩამორჩენილობისა, ველურობისა, პრივილეგიებისა, მონობისა და ადამიანის მიერ ადამიანის დამცირებისადმი.

«მოწინავე» ევროპაში მ ო წ ი ნ ა ვ ე კლასი მ ხ ო ლ ო დ პროლეტარიატია. ცოცხალი ბურჟუაზია კი დასაღუპად განწირული კაპიტალისტური მონობის გადასარჩენად მზად არის ჩაიდინოს ყოველგვარი ველურობა, მხეცობა და დანაშაული.

და არა მგონია შეიძლებოდეს მ თ ე ლ ი ევროპული ბურჟუაზიის ამ ლპობის უფრო საცარი მაგალითის მოყვანა, ვიდრე იმისა, რომ იგი აზიაში მხარს უჭერს რ ე ა ქ ც ი ა ს ფინანსური საქმოსნებისა და თაღლით-კაპიტალისტთა ანგარებიანი მიზნების გამო.

11. ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ.

აზიაში ყველგან იზრდება, ფართოვდება და მაგრდება ძლიერი დემოკრატიული მოძრაობა. ბურჟუაზია იქ ჯერ კიდევ ხალხთან ერთადაა რეაქციის წინააღმდეგ. ასეული მილიონობით ხალხი იღვიძებს ცხოვრების, სინათლისა და თავისუფლებისათვის. რა აღტაცებას იწვევს ეს მსოფლიო მოძრაობა ყველა იმ შეგნებული მუშის გულში, რომელთაც იციან, რომ კოლექტივიზმის მიღწევა დემოკრატიის გზით შეიძლება! რა თანაგრძნობითაა გამსჭვალული ყველა პატიოსანი დემოკრატი ახალგაზრდა აზიის მიმართ!

«მოწინავე» ევროპა? იგი ძარცვავს ჩინეთსა და ეხმარება დემოკრატიის მტრებს, ჩინეთის თავისუფლების მტრებს!

აი უბრალო, მაგრამ საგულისხმო გაანგარიშება. ჩინეთის ახალი სესხი აღებულია ჩინეთის დემოკრატიის წინააღმდეგ: «ევროპა» მხარს უჭერს იუან ში-კაის, რომელიც სამხედრო დიქტატურას ამზადებს. რატომ უჭერს მხარს? ხელსაყრელი საქმის გაჩარხვისათვის. სესხი დადებულია დაახლოებით 250 მილიონისა კურსით 84 100-ში. ეს ნიშნავს: «ევროპის» ბურჟუები ჩინელებს უხდიან 210 მლნ.; ხალხისგან კი ღებულობენ 225 მლნ. მანეთს. აი, ერთბაშად, რამდენიმე კვირაში, წმინდა მოგება — 15 მილიონი მანეთი! მართლაც, რა «წმინდა» მოგებაა, არა?

მერე ჩინეთის ხალხმა რომ არ იცნოს სესხი? ჩინეთში ხომ რესპუბლიკაა, და პარლამენტში უმრავლესობა სესხის წინააღმდეგია?

ოჰ. მაშინ «მოწინავე» ევროპა ყვირილს ასტეხს «ცივილიზაციის», «წესრიგის», «კულტურისა» და «სამშობლოს» შესახებ! მაშინ იგი დასძრავს ზარბაზნებს, კავშირს შეკრავს ავანტიურისტ, მოღალატე და რეაქციის მეგობარ იუან ში-კაისთან და გასრესს «ჩამორჩენილი» აზიის რესპუბლიკას!

მთელი მბრძანებელი ევროპა, ევრობის მთელი ბურჟუაზია კავშირშია ჩინეთის რეაქციისა და შუასაუკუნოობის მთელ ძალებთან.

სამაგიეროდ მთელ ახალგაზრდა აზიას, ესე იგი აზიის ასეული მილიონობით მშრომელებს საიმედო მოკავშირე ჰყავთ ყველა ცივილიზებული ქვეყნის პროლეტარიატის სახით. ვერავითარი ძალა ამ ქვეყნად ვერ შეაჩერებს მის გამარჯვებას, და ეს გამარჯვება გაათავისუფლებს როგორც ევროპის, ისე აზიის ხალხებს.

დაბეჭდილია 1913 წ. 18 მაისს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 19,
გვ. 96 — 98

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

შეიარაღება და კაპიტალიზმი

ინგლისი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი, ყველაზე თავისუფალი და ყველაზე მოწინავე ქვეყანათაგანია. შეიარაღების ციებ-ცხელება უკვე დიდი ხანია მოედო ინგლისის «საზოგადოებას» და ინგლისის მთავრობას სწორედ ისევე, როგორც საფრანგეთისას, გერმანიისას და სხვ.

და აი ინგლისის პრესას, — განსაკუთრებით მუშათა პრესას — მოჰყავს ახლა ფრიად საინტერესო მონაცემები, რაც ცხადყოფს შეიარაღების ეშმაკურ კაპიტალისტურ «მექანიკას». ინგლისის საზღვაო შეიარაღება განსაკუთრებით დიდია. ინგლისის გემთსაშენი ქარხნები (ვიკერსი, არმსტრონგი, ბროუნი და სხვ.) განთქმულია მსოფლიოში. ინგლისი და სხვა ქვეყნები ასობით და ათასობით მილიონ მანეთს ხარჯავენ ომის მზადებაზე, — რასაკვირველია, ყოველივე ეს ხდება მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის გულისთვის, კულტურის დაცვის გულისთვის, სამშობლოს, ცივილიზაციის გულისთვის და სხვ.

ხოლო გემთმშენებლობის, დენთის, დინამიტის, ზარბაზნისა და სხვათა საწარმოების აქციონერებად და დირექტორებად ვხედავთ ადმირალებსა და ინგლისის ფრიად გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებს ორივე პარტიიდან: კონსერვატიული და ლიბერალური პარტიიდან. ოქრო პირდაპირ ჯიბეში მისჩხრიალებს ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს, რომელნიც შეადგენენ შემჭიდროებულ საერთაშორისო ხროვას და ეს ხროვა აქეზებს ხალხებს შეიარაღებათა შეჯიბრებაში და ცხვარსავით კრეჭს ამ გულმინდობილ, სულელ, გამოყეყეჩებულ და მორჩილ ხალხებს!

შეიარაღება მიჩნეულია ეროვნულ საქმედ, პატრიოტულ საქმედ; იგულისხმება, რომ ყველა სასტიკად იცავს საიდუმლოებას. ხოლო გემთსაშენი და ზარბაზნის, დინამიტისა და თოფის ფაბრიკა-ქარხნე-

ბი წარმოადგენენ **საერთაშორისო საწარმოებს**, სადაც სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალისტები შეთანხმებულად ატყუებენ და ას პირ ტყავს აძრობენ სხვადასხვა ქვეყნის ხალხს, გემებსა და ზარბაზნებს ერთნაირად ამზადებენ ინგლისისათვის იტალიის წინააღმდეგ და იტალიისათვის ინგლისის წინააღმდეგ.

ეშმაკური კაპიტალისტური მექანიკაა! ცივილიზაცია, წესრიგი, კულტურა, მშვიდობა — და ასეული მილიონობით ფულის ძარცვა გემთმშენებლობის, დინამიტისა და სხვა საწარმოთა კაპიტალის საქმოსანთა და აფერისტთა მიერ!

ინგლისი წევრია სამთა შეთანხმებისა, რომელიც მტერია სამთა კავშირისა. იტალია სამთა კავშირის წევრია. განთქმულ ფირმას — ვიკერსს (ინგლისი) **განყოფილებები** აქვს იტალიაში. ამ ფირმის აქციონერები და დირექტორები (მოსყიდული გაზეთებისა და პარლამენტის მოსყიდული «მოღვაწეების» საშუალებით, სულ ერთია, კონსერვატორები იქნებიან თუ ლიბერალები) ინგლისს უსისიანებენ იტალიას და პირიქით. მოგებას კი ინგლისის მუშებისგანაც ღებულობენ და იტალიის მუშებისგანაც, აქაც ფცქვნიან ხალხს და იქაც.

კონსერვატორი და ლიბერალი მინისტრები და პალატის წევრები — თითქმის ყველანი ამ ფირმების მონაწილენი არიან. ხელი ხელსა ბანსო. «დიდი» ლიბერალი მინისტრის გლადსტონის შვილი — არმსტრონგის ფირმის დირექტორია. კონტრადმირალი ბეიკონი, ინგლისის გამოჩენილი საზღვაო სპეციალისტი და «უწყების» მაღალი თანამდებობის პირი, კოვენტრის საარტილერიო ქვემეხების ფაბრიკის სამსახურში გადადის 7 000 გირვანქა სტერლინგის (60 000 მანეთზე მეტ) ჯამაგირზე, ინგლისის პირველი მინისტრი კი იღებს 5 000 გირვანქას (დაახლოებით 45 000 მანეთს).

რასაკვირველია, იგივე ხდება ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. მთავრობები — კაპიტალისტთა კლასის ნოქრები არიან. ნოქრებს კარგად უხდიან. ნოქრები თვითონ მეპაიები არიან. ცხვრებს კი ერთად კრეჭენ «პატრიოტიზმზე» წარმოთქმული სიტყვების ხმაურში...

დაბეჭდილია 1913 წ. 21 მაისს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 19
გვ. 105 — 107

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

თეზისები ნაციონალურ საკითხზე [66]

1. ჩვენი პროგრამის § (ერთა თვითგამორკვევის შესახებ) შეუძლებელია სხვანაირად გავიგოთ, თუ არა პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი თვითგამორკვევის აზრით, ე. ი. გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლების აზრით.

2. რუსეთის სოციალ-დემოკრატებისთვის სოციალ-დემოკრატიული პროგრამის ეს მუხლი ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ საჭიროა

(ა) როგორც საერთოდ დემოკრატიის ძირითადი პრინციპების გულისთვის,

(ბ) ისე რუსეთის ფარგლებში, დ ა ა მ ა ს თ ა ნ მ ი ს გ ა ნ ა პ ი რ ა მ ხ ა რ ე ე ბ შ ი, მთელ რიგ ერთა არსებობის გამო, რომლებიც მკვეთრად განსხვავებული არიან სამეურნეო, საყოფაცხოვრებო და სხვა პირობებით, ამავე დროს ეს ერები (ისე როგორც რუსეთის ყველა ერი ველიკორუსების გარდა) წარმოუდგენლად დაჩაგრული არიან მეფის მონარქიის მიერ;

(გ) ბოლოს, იმის გამოც, რომ მთელ აღმოსავლეთ ევროპაში (ავსტრია და ბალკანეთი) და აზიაში — ე. ი. რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნებში — ან დამთავრებული არ არის, ანდა მხოლოდ ახლახან არის დაწყებული სახელმწიფოთა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნა, რაც მთელ ქვეყანაში მეტნაკლებად მუდამ იწვევდა დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოების ან ისეთი სახელმწიფოების შექმნას, რომლებსაც ყველაზე უფრო მახლობელი და ურთიერთნათესაური ნაციონალური შემადგენლობა აქვთ.

(დ) რუსეთი ამჟამად წარმოადგენს ყველაზე უფრო ჩამორჩენილი და რეაქციული სახელმწიფო წყობილების ქვეყანას ყ ვ ე ლ ა მის გარშემო არსებულ ქვეყანასთან შედარებით, დაწყებული — დასავლეთში — ავსტრიით, სადაც 1867 წლიდან განმტკიცდა პოლიტი-

კური თავისუფლებისა და კონსტიტუციური წყობილების საფუძვლები, ხოლო ახლა შემოღებულია საყოველთაო საარჩევნო უფლებაც, და გათავებული — აღმოსავლეთში — რესპუბლიკური ჩინეთით. ამიტომ რუსეთის სოციალ-დემოკრატები მთელ თავიანთ პროპაგანდაში უნდა იცავდნენ ყველა ეროვნების უფლებას — შექმნან ცალკე სახელმწიფო ან თავისუფლად აირჩიონ ის სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაშიც სურთ ყოფნა.

3. სოციალ-დემოკრატიის მიერ ყველა ეროვნების თვითგამორკვევის უფლების აღიარება სოციალ-დემოკრატებისაგან მოითხოვს, რომ ისინი

(ა) უეჭველად მტრულად უყურებდნენ ძალადობის ყოველგვარ გამოყენებას, რა ფორმითაც უნდა ხდებოდეს, გაბატონებული ერის მხრივ (ან იმ ერის მხრივ, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს) იმ ერის მიმართ, რომელსაც სურს გამოეყოს სახელმწიფოდ;

(ბ) მოითხოვდნენ ასეთი გამოყოფის საკითხის გადაწყვეტას ამა თუ იმ ტერიტორიის მოსახლეობის მხოლოდ და მხოლოდ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე;

(გ) ეწეოდნენ შეუნელებელ ბრძოლას როგორც 'მავრაზმულ-ოქტიაბრისტულ, ისე ლიბერალურ-ბურჟუაზიულ («პროგრესისტები», [67] კადეტები და სხვ.) პარტიებთან საერთოდ ნაციონალური ჩაგვრის ყოველგვარი დაცვის ან დაშვების ანდა კერძოდ ერთა თვითგაშორკვევის უფლების უარყოფის გამო.

4. სოციალ-დემოკრატიის მიერ ყველა ეროვნების თვითგამორკვევის უფლების აღიარება სრულიადაც არ ნიშნავს სოციალ-დემოკრატების მხრივ უარისთქმას თვითეულ ცალკე 'მემთხვევაში ამა თუ იმ ერის სახელმწიფოდ გამოყოფის მიზანშეწონილობის დამოუკიდებლად შეფასებაზე. პირიქით, სოციალ-დემოკრატები სწორედ დამოუკიდებელ შეფასებას უნდა იძლეოდნენ და ანგარიშს უწევდნენ როგორც კაპიტალიზმის განვითარებისა და ყველა ეროვნების გაერთიანებული ბურჟუაზიის მიერ სხვადასხვა ერის პროლეტართა ჩაგვრის პირობებს, ისე დემოკრატიის საერთო ამოცანებს, ხოლო პირველ რიგში და ყველაზე მეტად სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს.

ამ თვალსაზრისით მხედველობაში უნდა მივიღოთ განსაკუთრებით შემდეგი გარემოება. რუსეთში არის ორი ერი, ყველაზე უფრო კულტურული და ყველაზე უფრო განცალკევებული მთელი რიგი ისტორიული და საყოფაცხოვრებო პირობების გამო, რომელთაც

ყველაზე ადვილად და ყველაზე «ბუნებრივად» შეეძლოთ განეხორციელებინათ გამოყოფის უფლება. ეს არის ფინეთი და პოლონეთი. 1905 წლის რევოლუციის გამოცდილებამ ცხადყო, რომ ამ ორ ერშიც კი გაბატონებული კლასები, მემამულეები და ბურჟუაზია, ხელს იღებენ რა რევოლუციურ ბრძოლაზე თავისუფლებისათვის და დაახლოებას ცდილობენ რუსეთის გაბატონებულ კლასებთან და მეფის მონარქიასთან ფინეთისა და პოლონეთის რევოლუციური პროლეტარიატის შიშის გამო.

ამიტომ სოციალ-დემოკრატიამ მთელი ენერგიით უნდა გააფრთხილოს ყველა ეროვნების პროლეტარიატი და მშრომელი კლასები არ მოტყუვდნენ «თავიანთი» ბურჟუაზიის ნაციონალისტური ლოზუნგებით, ბურჟუაზიისა, რომელიც მოთაფლული ან მგზნებარე სიტყვებით «სამშობლოს» შესახებ ცდილობს გათიშოს პროლეტარიატი და ააცილოს მისი ყურადღება ბურჟუაზიის ოინებს, რომელიც ეკონომიურ და პოლიტიკურ კავშირს სდებს სხვა ერთა ბურჟუაზიასთან და მეფის მონარქიასთან.

პროლეტარიატი ვერ იბრძოლებს სოციალიზმისათვის და ვერ დაიცავს თავის ყოველდღიურ ეკონომიურ ინტერესებს, თუ ყველა ერის მუშები უმჯიდროესად და სრულად არ არიან შეკავშირებული გამოუკლებლივ ყველა მუშათა ორგანიზაციაში.

პროლეტარიატი ვერ მოიპოვებს თავისუფლებას სხვაგვარად, თუ არა რევოლუციური ბრძოლის გზით მეფის მონარქიის დამხობისა და მისი დემოკრატიული რესპუბლიკით შეცვლისათვის. მეფის მონარქია გამორიცხავს ეროვნებათა თავისუფლებასა და თანასწორუფლებიანობას და გარდა ამისა მთავარი ბურჯია ბარბაროსობის, მხეცობისა და რეაქციისა როგორც ევროპაში, ისე აზიაშიც. ამ მონარქიის დამხობა კი შეუძლია მხოლოდ რუსეთის ყველა ერის გაერთიანებულ პროლეტარიატს, რომელიც წინ მიუძღვის ყველა ერის მშრომელთა მასების თანამიმდევარ დემოკრატიულ ელემენტებს და რევოლუციური ბრძოლის უნარის მქონე ელემენტებს.

ამიტომ ის მუშა, რომელიც «თავისი» ერის ბურჟუაზიასთან პოლიტიკურ ერთიანობას უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე ყველა ერის პროლეტარებთან სრულ ერთიანობას, მოქმედებს თავისი ინტერესების წინააღმდეგ, სოციალიზმისა და დემოკრატიის ინტერესების წინააღმდეგ.

5. როდესაც სოციალ-დემოკრატია იცავს თანამიმდევარ დემოკრატიულ სახელმწიფო წყობილებას, ის მოითხოვს ეროვნებათა უცი-

ლობელ თანასწორუფლებიანობას და იბრძვის იმის წინააღმდეგ, რომ რაიმე პრივილეგიები ჰქონდეს ერთ თუ რამდენიმე ეროვნებას.

კერძოდ, სოციალ-დემოკრატია უარყოფს «სახელმწიფო» ენას. რუსეთში ასეთი რამ განსაკუთრებით ზედმეტია, რადგან რუსეთის მოსახლეობის შვიდ მეათედზე მეტი ეკუთვნის მონათესავე სლავურ ტომებს, რომელნიც თავისუფალ სახელმწიფოში თავისუფალი სკოლის არსებობისას, ეკონომიური ბრუნვის მოთხოვნილებათა გამო, ადვილად მიაღწევდნენ შეთანხმებას ერთ-ერთი ენის ყოველგვარი «სახელმწიფო» პრივილეგიების გარეშე.

სოციალ-დემოკრატია მოითხოვს თვითმპყრობელურ-ბატონყმური სახელმწიფოს მებატონე-მემამულეთა და მოხელეთა მიერ დადგენილი რუსეთის ძველი ადმინისტრაციული დაყოფის ნაცვლად ისეთ დაყოფას, რომელიც დამყარებული იქნება თანამედროვე სამეურნეო ცხოვრების მოთხოვნებზე და შეძლებისდაგვარად შეთანხმებული იქნება მოსახლეობის ნაციონალურ შემადგენლობასთან.

სახელმწიფოს ყველა ოლქი, რომელიც განსხვავდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო თავისებურებით ან ნაციონალური შემადგენლობით, უნდა სარგებლობდეს ფართო თვითმმართველობითა და ავტონომიით და მისი დაწესებულებანი აგებულ უნდა იქნან საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

6. სოციალ-დემოკრატია მოითხოვს საერთოსახელმწიფოებრივი კანონის გამოცემას, რომელიც დაიცავს სახელმწიფოს ყოველი ადგილის ყოველი ეროვნული უმცირესობის უფლებებს. ამ კანონის მიხედვით, ყოველი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ეროვნული უმრავლესობა შეეცდებოდა შეექმნა თავისთვის ეროვნული პრივილეგია ან შეეკვეცა ეროვნული უმცირესობის უფლებები (სასწავლო საქმის, ამა თუ იმ ენის ხმარების სფეროში, საბიუჯეტო საქმეში და სხვ.), გამოცხადებულ უნდა იქნას ძალადაკარგულად, ხოლო ასეთი ღონისძიების გატარება აიკრძალოს დასჯის შიშით.

7. სოციალ-დემოკრატია უარყოფითად ეკიდება «კულტურულ-ნაციონალური» (ან უბრალოდ «ნაციონალური») «ავტონომიის» ლოზუნგს და მისი განხორციელების პროექტებს, რადგან ეს ლოზუნგი (1) უეჭველად ეწინააღმდეგება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერნაციონალიზმს, — (2) აადვილებს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეების გავლენის სფეროში პროლეტარიატისა და მშრომელი მასების ჩათრევას, — (3) მას შეუძლია ყურადღება ჩამოაშოროს საერთოდ სახელმწიფოს თანამიმდევარ დემოკრატიულ გარდაქმნათა ამოცანებს, ეს კი ისეთი გარდაქმნებია, რომ მხოლოდ მათ შე-

უძლიათ უზრუნველყონ (საერთოდ რამდენადაც ეს შესაძლებელია კაპიტალიზმის დროს) ნაციონალური მშვიდობა.

იმის გამო, რომ სოციალ-დემოკრატებში განსაკუთრებით გამწვავდა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის საკითხი, მოგვყავს ამ დებულების ზოგიერთი განმარტება.

(ა) სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისით შეუწყნარებელია როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი კულტურის ლოზუნგის წამოყენება. ეს ლოზუნგი არ არის სწორი, რადგან კაცობრიობის მთელი სამეურნეო, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრება სულ უფრო და უფრო ინტერნაციონალური ხდება უკვე კაპიტალიზმის დროს. სოციალიზმი მთლიანად ინტერნაციონალურსა ხდის მას. ინტერნაციონალური კულტურა, რომელსაც უკვე აბლა სისტემატურად ქმნის ყველა ქვეყნის პროლეტარიატი, ითვისებს არა «ნაციონალურ კულტურას» (ამა თუ იმ ნაციონალური კოლექტივისას) მთლიანად, არამედ ყ ო ვ ე ლ ი ნაციონალური კულტურიდან იღებს მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ მის თანამიმდევრად დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტებს.

(ბ) სოციალ-დემოკრატების პროგრამებში ნაციონალური კულტურის ლოზუნგისადმი მიახლოების, თუმცა გაუბედავი მიახლოების, ალბათ, ერთადერთ მაგალითს იძლევა ავსტრიელი სოციალ-დემოკრატების ბრიუნის პროგრამის § 3. ეს § 3 ამბობს: «ერთი და იმავე ერის ყველა თვითმმართველი ოლქი ქმნის ნაციონალურად ერთიან კავშირს, რომელიც თავის ნაციონალურ საქმეებს სავსებით ავტონომიურად წყვეტს».

ეს ლოზუნგი კომპრომისულია, რადგან აქ ექსტერიტორიული (პერსონალური) ნაციონალური ავტონომიის ნატამალიც არ არის. მაგრამ ეს ლოზუნგიც მცდარი და მავნეა, რადგან რუსეთის სოციალ-დემოკრატების საქმე სრულებითაც არ არის ერთ ერად შეაერთოს ლოძელი, რიგელი, პიტერელი და სარატოველი გერმანელები. ჩვენი საქმეა ვიბრძოლოთ სრული დემოკრატიზმისათვის და ყ ვ ე ლ ა ნაციონალური პრივილეგიის გაუქმებისათვის რუსეთში გერმანელი მუშების გასაერთიანებლად ყველა სხვა ერის მუშებთან სოციალიზმის ინტერნაციონალური კულტურის დაცვისა და განვითარების საქმეში.

მით უფრო მცდარია ექსტერიტორიული (პერსონალური) ნაციონალური ავტონომიის ლოზუნგი (ამ ლოზუნგის თანამიმდევარ მომხრეთა გეგმით) ნაციონალური პარლამენტების დაწესებით და ნაციონალური მინისტრებით (ო. ბაუერი და კ. რენერი). ასეთი დაწესებუ-

ლებები, რაც ეწინააღმდეგება კაპიტალისტური ქვეყნების მთელ სამეურნეო პირობებს და ნაცადი არ არის მსოფლიოს არც ერთ დემოკრატიულ სახელმწიფოში, იმ ადამიანთა ოპორტუნისტული ოცნებაა, რომელთაც გული გასტეხიათ თანამიმდევარ დემოკრატიულ დაწესებულებათა შექმნაზე და ბურჟუაზიის ნაციონალური კინკლაობისგან ხსნას ეძებენ ზოგიერთ («კულტურულ») საკითხში თვითეული ერის როგორც პროლეტარიატის, ისე ბურჟუაზიის ხელოვნურ განცალკევებაში.

ზოგჯერ სოციალ-დემოკრატებს გარემოება აიძულებს დროებით დაემორჩილონ ამა თუ იმ კომპრომისულ გადაწყვეტილებას, მაგრამ სხვა ქვეყნებისგან ჩვენ უნდა გადმოვიღოთ არა კომპრომისული, არამედ თანამიმდევარი სოციალ-დემოკრატიული გადაწყვეტილებები. ავსტრიელთა კომპრომისის უხეირო ცდის გადმოღება კი მით უფრო უგუნური იქნებოდა ახლა, როცა მან ავსტრიაშიც სრული კრახი განიცადა, გამოიწვია რა ჩეხი სოციალ-დემოკრატების სეპარატიზმი და გამოყოფა.

(გ) რუსეთში «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» ლოზუნგის ისტორია ცხადყოფს, რომ ის მიიღო ებრაელთა, და მ ხ ო ლ ო დ ებრაელთა, გამოუკლებლივ ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიულმა პარტიამ, რომელთაც ბუნდი[68] უკრიტიკოდ მისჩანჩალებდა კუდში, არათანამიმდევრად უარყოფდა რა ებრაელთა ნაციონალურ პარლამენტს (სეიმს) და ებრაელთა ნაციონალურ მინისტრებს. ამავე დროს ის ევროპელი სოციალ-დემოკრატებიც კი, რომლებიც იწყნარებენ ან იცავენ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის კომპრომისულ ლოზუნგს, აღიარებენ ამ ლოზუნგის სრულ განუხორციელებლობას ებრაელებისთვის (ო. ბაუერი და კ. კაუცკი). «გალიციისა და რუსეთის ებრაელები უფრო კასტაა, ვიდრე ერი, და ებრაელობის, როგორც ერის, კონსტიტუირების ცდები კასტის შენარჩუნების ცდებია» (კ. კაუცკი).

(დ) ცივილიზებულ ქვეყნებში კაპიტალიზმის დროს ჩვენ ვხედავთ ნაციონალური მშვიდობისკენ საკმაოდ სრულ (შედარებით) მიახლოებას მ ხ ო ლ ო დ მთელი სახელმწიფო წყობისა და მართვა-გამგეობის დემოკრატიზმის მ ა ქ ს ი მ ა ლ უ რ ა დ განხორციელების პირობებში (შვეიცარია). თანამიმდევარი დემოკრატიზმის ლოზუნგები (რესპუბლიკა, მილიცია, ხალხის მიერ მოხელეთა არჩევა და სხვ.) ყოველი ერის პროლეტარიატსა და მშრომელ მასებს და საერთოდ ყოველივე მოწინავეს აერთებს იმ პირობებისათვის საბრძოლველად, რომელნიც გამორიცხავენ სულ მცირეოდენი ნაციონალური

პრივილეგიის შესაძლებლობას, — მაშინ როდესაც «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» ლოზუნგი ქადაგებს ერთა განცალკევებას სასკოლო (ან საერთოდ «კულტურულ») საქმეში, განცალკევებას, რაც სავსებით ეთავსება ყოველგვარ (და მათ შორის ნაციონალურ) პრივილეგიათა საფუძვლების შენარჩუნებას.

თანამიმდევარი დემოკრატიზმის ლოზუნგები ერთად ა ე რ თ ე ბ ს ყველა ერის პროლეტარიატსა და მოწინავე დემოკრატიას (ელემენტებს, რომელთაც ესაჭიროებათ ყველა საქმენი და მათ შორის სასკოლო საქმეშიც ერთა დემოკრატიული ელემენტების არა განცალკევება, არამედ გაერთიანება). — კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ლოზუნგი კი თ ი შ ა ვ ს სხვადასხვა ერის პროლეტარიატს, აკავშირებს მას ცალკეულ ერთა რეაქციულ და ბურჟუაზიულ ელემენტებთან.

თანამიმდევარი დემოკრატიზმის ლოზუნგები შეურიგებლად მტრულია ყველა ერის რეაქციონერებისა და კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მიმართ, — კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ლოზუნგი კი სავსებით მისაღებია ზოგიერთი ერის რეაქციონერებისა და კონტრრევოლუციონერი ბურჟუებისათვის.

8. ამრიგად, რუსეთის ეკონომიური და პოლიტიკური პირობების მთელი ერთობლიობა უცილობლად მოითხოვს სოციალ-დემოკრატიისაგან ყველა ეროვნების მუშათა შეერთების გატარებას გამოუკლებლივ ყ ვ ე ლ ა პროლეტარულ (პოლიტიკურ, პროფესიულ, კოოპერაციულ, საგანმანათლებლო და სხვ. და ა. შ.) ორგანიზაციაში. არა ფედერაცია პარტიის წყობაში და არა ნაციონალურ სოციალ-დემოკრატიული ჯგუფების შექმნა, აგრეთვე ამა თუ იმ ადგილის ყველა ერის პროლეტარების ერთიანობა პროპაგანდისა და აგიტაციის ადგილობრივი პროლეტარიატის ყ ვ ე ლ ა ენაზე შემოღებით, ყოველივე ნაციონალური პრივილეგიების წინააღმდეგ ყველა ეროის მუშების ერთად ბრძოლით, პარტიის ადგილობრივი და საოლქო ორგანიზაციების ავტონომიით.

9. რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ისტორიის ათზე მეტი წლის გამოცდილება ადასტურებს ზემომოყვანილ დებულებებს. პარტია აარსდება 1898 წელს, როგორც «რუსეთის» პარტია, ე. ი. რუსეთის ყველა ეროვნების პროლეტარიატის პარტია. პარტია «რუსეთის» პარტიად რჩება, როდესაც 1903 წელს ბუნდი გამოდის პარტიიდან, მას შემდეგ რაც პარტიის ყრილობამ არ მიიღო მოთხოვნა — ბუნდი მიეჩნიათ ებრაელი პროლეტარიატის ე რ თ ა ნ ე რ თ წარმომადგენლად. 1906 — 1907 წლებში ცხოვრება სავსებით

ააშკარავებს ამ მოთხოვნის უმწეობას, მთელი რიგი ებრაელი პროლეტარები შეთანხმებულად განაგრძობენ საერთო სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას მთელ რიგ ადგილობრივ ორგანიზაციებში, და ბუნდიც უბრუნდება პარტიას. სტოკჰოლმის ყრილობა (1906 წ.) აერთიანებს როგორც პოლონელ, ისე ლატვიელ სოციალ-დემოკრატებს, რომელნიც ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ი ავტონომიის ნიადაგზე დგანან, ამასთან ყრილობა ა რ ღებულობს ფედერაციის პრინციპს და მოითხოვს ყველა ეროვნების სოციალ-დემოკრატების გაერთიანებას ადგილებზე. ეს პრინციპი მრავალი წელიწადია ტარდება კავკასიაში, ტარდება ვარშავაში (პოლონელი მუშები და რუსი ჯარისკაცები), ვილნოში (პოლონელი, ლატვიელი, ებრაელი, ლიტველი მუშები), რიგაში, ყველა სამ უკანასკნელ ცენტრში ტარდება სეპარაციულად გამოყოფილი ბუნდის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. 1908 წლის დეკემბერში რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, თავისი კონფერენციის სახით, იღებს სპეციალურ რეზოლუციას, რითაც ადასტურებს ყველა ეროვნების მუშათა ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს მოთხოვნას ა რ ა ფედერაციის პ რ ი ნ ც ი პ ზ ე. სეპარატისტ-ბუნდელთა მიერ პარტიის გადაწყვეტილების გამთიშველი შეუსრულებლობა იწვევს მთელი ამ «უცუდესი ტიპის ფედერაციის»[69] კრახს, — ბუნდელ სეპარატისტებს აახლოებს ჩეხ სეპარატისტებთან და პირიქით (იხ. კოსოვსკი «ნაშა ზარიაში» და ჩეხი სეპარატისტების ორგანო «Der cechoslavische Sozialdemokrat» * 1913, № 3, კოსოვსკის შესახებ) — და, ბოლოს, ლიკვიდატორთა აგვისტოს (1912 წ.) კონფერენციაზე იწვევს ბუნდელი სეპარატისტებისა და ლიკვიდატორების ცდას კავკასიელ ლიკვიდატორთა ნაწილთან ერთად მ ა ლ უ ლ ა დ შეაპარონ პარტიის პროგრამაში «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» მ ი ს ი ა რ ს ე ბ ი თ ი დ ა ც ვ ი ს გ ა რ ე შ ე!

რევოლუციონერი სოციალ-დემოკრატი მუშები პოლონეთისაც, ლატვიის მხარისაც და კავკასიისაც წინანდებურად დგანან ტერიტორიული ავტონომიისა და ყ ვ ე ლ ა ერის სოციალ-დემოკრატი მუშების ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს თვალსაზრისზე. ბუნდელთა და ლიკვიდატორთა გამოთიშვა და ბუნდის კავშირი ვარშავაში ა რ ა-სოციალ-დემოკრატებთან ყველა სოციალ-დემოკრატის წინაშე დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ შ ი აყენებს მ თ ე ლ ნაციონალურ საკითხს, როგორც მისი თეორიული მნიშვნელობის მხრივ, ისე პარტიის მშენებლობის საქმეში.

კომპრომისული გადაწყვეტილებები დაარღვიეს სწორედ მათ,

---

* — «ჩეხოსლავური სოციალ-დემოკრატი». რ ე დ.

ვინც ამ გადაწყვეტილებებს პარტიის ნების წინააღმდეგ ატარებდა, და ყველა ეროვნების მუშა სოციალ-დემოკრატების ერთიანობის მოთხოვნა უფრო ხმამაღლა გაისმის, ვიდრე ოდესმე.

10. მეფის მონარქიის უხეშად მებრძოლი და შავრაზმული ნაციონალიზმი და შემდეგ ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ნაციონალიზმის — ველიკორუსულის (ბ-ნი სტრუვე, «რუსსკაია მოლვა» [70], «პროგრესისტები» და სხვ.), უკრაინულის, პოლონურის (ნაროდოვული «დემოკრატიის» [71] ანტისემიტიზმი), ქართულის, სომხურის და სხვათა ნაციონალიზმის გამოცოცხლება, — ყოველივე ეს განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვს რუსეთის ყველა კუთხის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისგან წინანდელზე მეტი ყურადღება მიაქციონ ნაციონალურ საკითხს და გამოინუშაონ მისი თანმიმდევრად-მარქსისტული გადაწყვეტილებანი მტკიცე ინტერნაციონალიზმისა და ყველა ერის პროლეტართა ერთიანობის სელისკვეთებით.

(α) ნაციონალური კულტურის ლოზუნგი სწორი არ არის და გამოხატავს მხოლოდ ნაციონალური საკითხის გაგების ბურჟუაზიულ შეზღუდულობას. ინტერნაციონალური კულტურა.

(β) ნაციონალური დაყოფის გამარადისება და დაბეჭდილი ნაციონალიზმის გატარება — ერთა შეერთება, დაახლოება, არევა და **სხვანაირი**, ინტერნაციონალური კულტურის პრინციპების გამოხატულება.

(γ) წვრილი ბურჟუის სასოწარკვეთილება (უიმედო ბრძოლა ნაციონალური კინკლაობის წინააღმდეგ) და რადიკალურ-დემოკრატიულ გარდაქმნათა და სოციალისტური მოძრაობის შიში — კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მხოლოდ რადიკალურ-დემოკრატიულ გარდაქმნებს შეუძლიათ შექმნან ნაციონალური მშვიდობა და მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია ბოლო მოუღოს ნაციონალურ კინკლაობას.

(δ) ნაციონალური კურიები სასკოლო საქმეში [72].

(ε) ებრაელობა.

1913 წ ივნისი
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 19,
გვ. 280 — 291

ბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

როგორ გავადიდოთ სულოგრივი მოხმარების ოდენობა რუსეთში?

ასეთი სათაურით მოათავსა ამ დღეებში მოწინავე სტატია სამრეწველო კაპიტალის ჩვენებური სატრაპების ორგანომ «პრომიშლენნოსტ ი ტორგოვლიამ». მისი დასმული საკითხი რუსეთის ეკონომიური (და ყოველგვარი) ჩამორჩენილობის მიზეზების ძირითადი საკითხია. იგი ღირსია უაღრესად სერიოზული ყურადღებისა.

ჩვენი ვაჭრობისა და მრეწველობის სატრაპები «ერთი შეხედვით პარადოქსულად» აცხადებენ იმ ფაქტს, რომ რუსეთი თუჯის, ნავთობისა და მთელი რიგი სხვა პროდუქტების წარმოების ოდენობის მხრივ დიდ და მოწინავე სახელმწიფოთა რიგში დგას, ხოლო სულ ობრივი მოხმარების ოდენობის მხრივ (ე. ი. მოსახლეობის 1 სულზე მნიშვნელოვანი პროდუქტების წარმოების ჯამის მხრივ) «მეზობელი ხდება ესპანეთისა», ერთ-ერთი ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ქვეყნისა.

მაგალითად, 1911 წელს მოსახლეობის 1 სულს თუჯი ხმარდებოდა: ამერიკის შეერთებულ შტატებში 233 კილოგრამი, გერმანიაში— 136, ბელგიაში — 173, ინგლისში — 105, ხოლო რუსეთში სულ 25 კილოგრამი (=1½ ფუთი). გლეხთა განთავისუფლების შემდეგ ნახევარი საუკუნის განმავლობაში რკინის მოხმარება რუსეთში გადიდდა ერთიხუთად, და მაინც რუსეთი რჩება წარმოუდგენლად, გაუგონრად ჩამორჩენილ, ღატაკ და ნახევრად ველურ ქვეყნად, რომელიც წარმოების თანამედროვე იარაღებით მოწყობილია ინგლისზე ერთიოთხად უარესად, გერმანიაზე ერთიხუთად, ამერიკაზე ერთიათად უარესად.

რაშია საქმე? «პრომიშლენნოსტ ი ტორგოვლია» იძულებულია აღიაროს, რომ ყოველივე ეს აიხსნება სოფლის ცხოვრების პირო-

ბებით. ჩვენში სოფელი ხარჯავს სულ დაახლოებით 1/4 ფუთ რკინას სულზე, «რუსეთის მოსახლეობის 5/6-ს კი შეადგენს სოფლის გლეხური მოსახლეობა».

«რომელიღაც სტატისტიკოსმა გამოიანგარიშა, რომ თუ ჩინელები თავიანთ ეროვნულ ტანსაცმელს ერთი თითის სიგანით დაიგრძელებენ, ეს ერთი წლის სამუშაოთი უზრუნველყოფს ინგლისის ყველა საფეიქრო ფაბრიკასაო».

მარჯვე და მქევრმეტყველი შენიშვნაა!

მერე რა არის საჭირო იმისთვის, რომ რუსეთის ათეული მილიონობით გლეხებმა «დაიგრძელონ თავიანთი ეროვნული ტანსაცმელი», ესე იგი, უმეტაფოროდ რომ ვთქვათ, გაიდიდონ მოხმარება, თავი დააღწიონ სიღატაკეს და, ბოლოს და ბოლოს, რამდენადმე მაინც ადამიანები გახდნენ?

ჩვენი მრეწველობის სატრაპები ცარიელი ფრაზით უპასუხებენ: საჭიროა «ქვეყნის საერთო კულტურული განვითარება», მრეწველობის, ქალაქებისა და სხვ. ზრდა, «გლეხთა შრომის ნაყოფიერების გადიდება» და სხვ.

ცარიელი ყბედობაა, უბადრუკი თავდაძვრენაა! ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც რუსეთში ხ დ ე ბ ა ასეთი განვითარება, ასეთი «გადიდება», ხდება უცილობლად. «კულტურისათვის» იღწვის ყ ვ ე ლ ა კლასი. კაპიტალიზმის ნიადაგზე დგებიან თ ვ ი თ შავრაზმელებიც და ნაროდნიკებიც. საკითხი დიდი ხანია სხვანაირად დგას: რ ა ტ ო მ ა ა, რომ ჩვენში კაპიტალიზმისა და კულტურის ეს განვითარება ხდება კუს ნაბიჯით? რატომაა, რომ სულ უფრო და უფრო ჩამოვრჩებით? რატომაა, რომ ეს მზარდი ჩამორჩენილობა საჭიროდ ხდის დიდ სისწრაფესა და «გაფიცვებს»?

ამ კითხვაზე, რაც სავსებით ცხადია ყოველი შეგნებული მუშისთვის, ჩვენი მრეწველობის სატრაპებს ეშინიათ პასუხი გასცენ სწორედ იმიტომ, რომ სატრაპები არიან. ისინი არიან არა ამერიკული კაპიტალის მსგავსი თავისუფალი და ძლიერი კაპიტალის წარმომადგენლები, არამედ ერთი მუჭა მონოპოლისტები, რომელთაც იცავს სახელმწიფო დახმარება და ათასნაირი თაღლითობა და გარიგება სწორედ იმ შავრაზმელ მემამულეებთან, რომლებიც თავიანთი შუასაუკუნებრივი მიწათმფლობელობით (საუკეთესო მიწის 70 მილიონი დესეტინა) და ჩაგვრით მოსახლეობის 5/6-ს უქმნიან სიღატაკეს, მთელ ჩვენს ქვეყანას კი უძრაობასა და ლპობას.

«უნდა ვიმუშაოთ იმისთვის, — ამბობს ბ-ნი ი. ბ-ნი სატრაპების ჟურნალში, — რომ სულობრივი მოხმარების ოდენობის მხრივ მი-

ვუახლოვდეთ არა ესპანეთს, არამედ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს». სატრაპების დაქირავებულ მჯღაბნელს არა სურს დაინახოს, რომ შავრაზმელ მემამულეთა «გულის მოგება» გ ა რ დ უ ვ ა ლ ა დ «გვაახლოებს ესპანეთს», ხოლო ამერიკას რომ დავუახლოვდეთ, ამისთვის საჭიროა ულმობელი, თავდადებული ბრძოლა მთელი ხაზით ამ კლასის წინააღმდეგ.

დაბეჭდილია 1913 წ. 3 აგვისტოს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 19,
გვ. 342 — 344

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

როგორ იცავს უკრაინელებს ეპისკოპოსი ნიკონი?

«კიევსკაია მისლი» იტყობინება, რომ ეპისკოპოსმა ნიკონმა, სახელმწიფო სათათბიროს წევრმა, მემარჯვენემ, პირველმა მოაწერა ხელი სახელმწიფო სათათბიროში შესატან კანონპროექტს უკრაინული სკოლისა და საზოგადოებათა შესახებო.

კანონპროექტის შინაარსი: დაწყებითს სკოლებში ნებადართულ იქნას სწავლება უკრაინულ ენაზე; მასწავლებლებად დაინიშნონ უკრაინელები; შემოღებულ იქნას უკრაინული ენისა და უკრაინის ისტორიის სწავლება; შეწყდეს უკრაინულ საზოგადოებათა დევნა და მათი დახურვა «ადმინისტრაციული მიხედულებით, ხშირად შიშველი თვითნებობით».

ამრიგად, პურიშკევიჩის პარტიულ ამხანაგს — ეპისკოპოს ნიკონს — ზ ო გ ი ე რ თ შემთხვევაში თ ვ ი თ ნ ე ბ ობ ა არ მოსწონს.

ეპისკოპოსი ნიკონი, სამართლიანად ფიქრობს, რომ მის მიერ აღძრული «საკითხი მეტისმეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ეხება 37-მილიონიანი უკრაინელი ხალხის დასახიჩრებას»; — რომ «მდიდარ, ლამაზ, ნიჭიერ, აყვავებულ და პოეტურ უკრაინას მოელის გადაშენება, თანდათანობითი გამოყეყეჩება და ნელი კვდომა».

პროტესტი ველიკოროსების მიერ უკრაინელების ჩაგვრის წინააღმდეგ სრულიად სამართლიანია. მაგრამ დახეთ, რა საბუთებით იცავს უკრაინელთა მოთხოვნებს ეპისკოპოსი ნიკონი:

«უკრაინელი ხალხი არ ეძებს რაღაც ყბადაღებულ ავტონომიას, ზაპოროჟიეს სეჩის აღდგენას; უკრაინელები სეპარატისტები როდი არიან... უკრაინელები უცხო ტომისანი როდი არიან, ისინი ჩვენიანები, ჩვენი ღვიძლი ძმები არიან; ამიტომაც ისინი არ უნდა შეიზღუდონ ენისა და ნაციონალური კულტურული განვითარების მხრივ; თორემ გამოდის, რომ მათ, ჩვენს ძმებს, ჩვენ თვითონ ვუთანაბრებთ ებრაელებს, პოლონელებს, ქართველებსა და სხვ., ნამდვილ უცხო ტომისანებს».

ამრიგად, ისე გამოდის, რომ უკრაინელი ეპისკოპოსი ნიკონი და მისი თანამოაზრენი ველიკოროს მემამულეებს სთხოვენ პ რ ი ვ ი ლ ე გ ი ებ ს უკრაინელებისთვის იმ საბუთით, რომ ისინი ძმები არიან, ებრაელები კი — უცხო ტომისანი! უფრო პირდაპირ და მარტივად რომ ვთქვათ: თანახმანი ვართ ებრაელი და სხვ. გავსრისოთ, როგორც უცხო ტომისანი, თუ ჩვენ დაგვითმობენო.

ნაცნობი სურათია «ნაციონალური კულტურის» დაცვისა, ყ ვ ე ლ ა ბურჟუაზიული ნაციონალისტის მიერ, შავრაზმელი ნაციონალისტით დაწყებული ლიბერალურ და თვით ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ნაციონალისტებამდე!

ეპისკოპოს ნიკონს გაგონებაც კი არა სურს იმისა, რომ უკრაინელებს ვერ დაიცავ ჩაგვრისაგან, თუ ყოველგვარი ჩაგვრისაგან არ დაიცავი გამოუკლებლივ ყველა ხალხი, — თუ სახელმწიფოებრივი ცხოვრებიდან აბსოლუტურად არ განდევნე ცნება «უცხო ტომისანი», — თუ არ დაიცავი ყველა ეროვნების სრული თანასწორუფლებიანობა. ნაციონალური ჩაგვრისაგან ვერავის დაიცავ, თუ თანამიმდევრად არ გაატარე უაღრესად ფართო ადგილობრივი და საოლქო ავტონომია და ყ ვ ე ლ ა სახელმწიფოებრივი საკითხის მოსახლეობის უმრავლესობის ნების მიხედვით გადაწყვეტის პრინციპი (ე. ი. თანამიმდევარი დემოკრატიზმის პრინციპი).

ეპისკოპოს ნიკონისთვის უკრაინელების «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგი სინამდვილეში ნიშნავს შავრაზმულობის უკრაინულ ენაზე პროპაგანდის ლოზუნგს, უკრაინულ-კლერიკალური კულტურის ლოზუნგს.

შეგნებულმა მუშებმა გაიგეს, რომ «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგი კლერიკალური ან ბურჟუაზიული თვალთმაქცობაა — სულ ერთია, ლაპარაკია ველიკორუსულ, უკრაინულ, ებრაულ, პოლონურ, ქართულ თუ სხვა რომელიმე კულტურაზე. 125 წლის წინათ, როდესაც ერი ჯერ კიდევ არ იყო გათიშული ბურჟუაზიად და პროლეტარიატად, ნაციონალური კულტურის ლოზუნგი შეიძლებოდა ყოფილიყო ერთიანი და მთლიანი მოწოდება ბრძოლისადმი ფეოდალიზმისა და კლერიკალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ მას შემდეგ ყველგან გაჩაღდა კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. «ერთიანი» ერის გათიშვა ექსპლოატატორებად და ექსპლოატირებულებად მომხდარი ფაქტი გახდა.

საერთოდ ნაციონალურ კულტურაზე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ კლერიკალებს ან ბურჟუებს. მშრომელ მასებს შეუძლიათ ილაპარაკონ მხოლოდ მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალურ (საერთაშორისო) კულტურაზე. მხოლოდ ასეთი კულტურა

ნიშნავს ერთა სრულ, ნამდვილ, გულწრფელ თანასწორუფლებიანობას, ნაციონალური ჩაგვრის არარსებობას, დემოკრატიის განხორციელებას. «ნაციონალური საკითხის გადაჭრისაკენ» მივყავართ მხოლოდ ყ ვ ე ლ ა მუშათა ორგანიზაციაში ყველა ერის მუშების ერთიანობასა და შეერთებას კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დაბეჭდილია 1913 წ. 13 სექტემბერს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 19,
გვ. 448 — 450

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობა რუსულ სკოლაში

უფრო ზუსტი წარმოდგენა რომ გვქონდეს «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» გეგმაზე, რომელიც წარმოადგენს სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დაყოფას, სასარგებლო იქნება ავიღოთ რუსული სკოლების მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობის კონკრეტული მონაცემები. პეტერბურგის სასწავლო ოლქის მიმართ ასეთი მონაცემები შეკრებილია სკოლების 1911 წლის 18 იანვრის აღწერით.

აი მონაცემები, თუ როგორ არიან მოსწავლეები დაყოფილი საბალხო განათლების სამინისტროს დაწყებით სკოლებში მოსწავლეთა დ ე დ ა ე ნ ი ს მიხედვით. მონაცემები ეხება ს.-პეტერბურგის მთელ სასწავლო ოლქს, ფ რ ჩ ხ ი ლ ე ბ შ ი კი მოგვყავს ც ი ფ რ ე ბ ი ს.-პეტერბურგის შ ე ს ა ხ ე ბ. როცა ამბობენ «რუსულ ენას», მოხელეები მუდამ ურევენ ველიკორუსულ, ბელორუსულ და უკრაინულ («მალოროსულ», ოფიციალური სახელწოდებით) ენებს. სულ არის 265 660 (48 076) მოსწავლე.

რუსული ენა — 232 618 (44 223); პოლონური — 1 737 (780); ჩეხური — 3 — (2); ლიტვური — 84 (35); ლატვიური — 1 371 (113); ჟმუდთა — 1 (0); ფრანგული — 14 (13); იტალიური — 4 (4); რუმინული — 2 (2); გერმანული — 2 408 (845); შვედური — 228 (217); ნორვეგიული — 31 (0); დანიური — 1 (1); ჰოლანდიური — 1 (0); ინგლისური — 8 (7); სომხური — 3 (3); ბოშური — 4 (0); ებრაული — 1 196 (396); ქართული —2 (1); ოსური — 1 (0); ფინური — 10 750 (874); კარელური — 3 998 (2); ჩუდთა — 247 (0); ესტონური — 4 723 (536); ლოპართა — 9 (0); ზირიანთა — 6 — 008 (0); სა-

მოედთა — 5 (0); თათრული — 63 (13); სპარსული — 1 (1); ჩინური — 1 (1); უცნობი — 138 (7).

ასეთია შედარებით ზუსტი მონაცემები. ისინი ცხადყოფენ მოსახლეობის უდიდეს ეროვნულ სიჭრელეს, — თუმცა ეხება რუსეთის ერთ-ერთ უაღრესად ველიკორუსულ რაიონს. ერთბაშად ჩანს დიდი ქალაქის, ს.-პეტერბურგის, უდიდესი ეროვნული სიჭრელე. ეს არის არა შემთხვევითი მოვლენა, არამედ კაპიტალიზმის კ ა ნ ო ნ ი ყველა ქვეყანაში და მსოფლიოს ყველა კუთხეში. დიდი ქალაქები, საფაბრიკო, სამთამადნო-საქარხნო, სარკინიგზო, საერთოდ სავაჭრო და სამრეწველო დაბები უცილობლად განსხვავდებიან მოსახლეობის უდიდესი ეროვნული სიჭრელით და სწორედ ამგვარი დაბები ყველაზე სწრაფად იზრდებიან, მუდამ იზიდავენ რა მიყრუებული სოფლების სულ უფრო და უფრო მეტ მცხოვრებლებს.

ახლა სცადეთ ცოცხალი სინამდვილის ამ მონაცემებს მიუმატოთ ნაციონალისტ მეშჩანთა ის მკვდარი უტოპია, რომელსაც ეწოდება «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» ანუ (ბუნდელების ენაზე) ნაციონალური კულტურის საკითხების, ე. ი. პირველ რიგში სასკოლო საქმის «ამოღება სახელმწიფოს გამგებლობიდან».

«სახელმწიფოს გამგებლობიდან ამოიღება» სასკოლო საქმე და გადაეცემა 23 (პეტერბურგის მიმართ) «ნაციონალურ კავშირს». რომელთაგან თვითეული ავითარებს «თავის» «ნაციონალურ კულტურას»!!

სასაცილოც კია სიტყვების დახარჯვა ასეთი «ნაციონალური პროგრამის» უაზრობისა და რეაქციულობის დასამტკიცებლად.

დღესავით ნათელია, რომ ასეთი გეგმის ქადაგება ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ნიშნავს ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, შოვინიზმისა და კლერიკალიზმის იდეების გატარებას ან მხარის დაჭერას. საერთოდ დემოკრატიის ინტერესები და განსაკუთრებით მუშათა კლასის ინტერესები სწორედ წინააღმდეგს მოითხოვს: უნდა ვეცადოთ, რომ ყ ვ ე ლ ა ეროვნების ბავშვები შ ე ე რ თ დ ნ ე ნ ამა თუ იმ ადგილის ე რ თ ი ა ნ სკოლებში; საჭიროა, რომ ყველა ეროვნების მუშებმა ს ა ე რ თ ო ძალ-ღონით გაატარონ სასკოლო საქმეების ის პროლეტარული პოლიტიკა, რომელიც ასე კარგად გამოხატა ვლადიმირელი მუშების დეპუტატმა სამოილოვმა სახელმწიფო სათათბიროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ფრაქციის სახელით. ჩვენ ფრიად გადაჭრით უნდა გავილაშქროთ სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით ყოველგვარი დაყოფის წინააღმდეგ.

ჩვენ იმაზე კი არ უნდა ვიზრუნოთ, რომ სასკოლო საქმეში ასე თუ ისე გავმიჯნოთ ერები, არამედ, პირიქით — იმაზე, რომ თანასწორუფლებიანობის საფუძველზე შევქმნათ ერთა მშვიდობიანი თანაცხოვრების ძირითადი დემოკრატიული პირობები. «ნაციონალური კულტურა» კი არ უნდა ავწიოთ ჩვენ ფარზე, არამედ მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური (საერთაშორისო) კულტურის გულისთვის უნდა ვამხილოთ ამ ლოზუნგის კლერიკალური და ბურჟუაზიული ხასიათი.

მაგრამ განა შესაძლებელიაო, შეგვეკითხებიან, უზრუნველვყოთ, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, ე რ თ ი ქართველი ბავშვის ინტერესები პეტერბურგის 48 076 მოწაფეშიო? ამაზე ჩვენ ვუპასუხებთ: პეტერბურგში განსაკუთრებული ქართული სკოლის შექმნა, ქართული «ნაციონალური კულტურის» საფუძვლებზე — შეუძლებელია, ასეთი გეგმის ქადაგება კი არის მ ა ვ ნ ე იდეების შეტანა ხალხის მასებში.

მაგრამ ჩვენ არ დავიცავთ არაფერს საზიანოს და არ მოვითხოვთ არაფერს შეუძლებელს, თუ ამ ბავშვისთვის მოვითხოვთ უფასო საზაზინო აუდიტორიას ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და სხვ. ლექციებისთვის, მისთვის ქართული წიგნების გადატანას ცენტრალური ბიბლიოთეკიდან, ხაზინის მიერ ხარჯების ნაწილის გადახდას ქართველი მასწავლებლის გასამრჯელოდ და სხვ.. ნამდვილი დემოკრატიის პირობებში, თუ სკოლიდან სავსებით განდევნილი იქნება ბიუროკრატიზმი და «პერედონოველობა» [73], ამის მიღწევას სავსებით შესძლებს მოსახლეობა. ხოლო ამ ნამდვილი დემოკრატიის მოპოვება სხვაფრივ ა რ 'მ ე ი ძ ლ ე ბ ა, თუ ყ ვ ე ლ ა ეროვნების მუშები არ შეერთდნენ.

ყოველი «ნაციონალური კულტურისთვის» განსაკუთრებული ეროვნული სკოლების მოთხოვნის ქადაგება რეაქციულია. მაგრამ ნამდვილი დემოკრატიის პირობებში სავსებით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას სწავლების ინტერესები მშობლიურ ენაზე, მშობლიური ისტორიისა და სხვა ეროვნებათა მიხედვით სკოლების დ ა უ ყ ო ფ ლ ა დ. ხოლო სრული ადგილობრივი თვითმმართველობა იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია რაიმე ძალით მოვახვიოთ თავს — მაგალითად რომ ვთქვათ — კემის მაზრის (სადაც მხოლოდ 514 რუსი ბავშვია) 713 კარელიელ ბავშვს ან პეჩორის მაზრის 681 ზირიანელ ბავშვს (153 რუსია), ან ნოვგოროდის მაზრის 267 ლატვიელს (7 000-ზე მეტი რუსია), და სხვ. და სხვ.

განუხორციელებელი კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის ქადაგება უაზრობაა, ის ახლავე მხოლოდ იდეურად აქუცმაცებს მუ-

შებს. ყველა ეროვნების მუშების შეერთების ქადაგება აადვილებს პროლეტარული კლასობრივი სოლიდარობის წარმატებას, რასაც შეუძლია უზრუნველყოს ყველა ეროვნების თანასწორუფლებიანობა და რაც შეიძლება მეტი მშვიდობიანი თანაცხოვრება.

დაბეჭდილია 1913 წ. 14 დეკემბერს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 19
გვ. 636 — 639

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

კიდევ სასკოლო საქმის დაყოფის შესახებ ეროვნებათა მიხედვით

მარქსისტები გადამწყვეტ ბრძოლას ეწევიან ყოველგვარი სახის ნაციონალიზმის წინააღმდეგ, დაწყებული ჩვენი მმართველი წრეებისა და მემარჯვენე ოქტიაბრისტული პარტიების უხეში, რეაქციული ნაციონალიზმით თვით ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების მეტ-ნაკლებად დახვეწილი და ფარული ნაციონალიზმის ჩათვლით.

რეაქციული ანუ შავრაზმული ნაციონალიზმი ცდილობს უზრუნველყოს ერთ-ერთი ერის პრივილეგიები, ყველა დანარჩენ ერს კი უქმნის დაქვემდებარებულ, არათანასწორუფლებიან და სრულიად უუფლებო მდგომარეობასაც კი. არც ერთ მარქსისტსა და არც ერთ დემოკრატსაც კი არ შეუძლია ასეთ ნაციონალიზმს სავსებით მტრულად არ მოეკიდოს.

ბურჟუაზიული და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ნაციონალიზმი სიტყვიერად აღიარებს ერთა თანასწორუფლებიანობას, მაგრამ საქმით იცავს (ხშირად ფარულად, ხალხის ზურგს უკან) ერთ-ერთი ერის ზოგიერთ პრივილეგიას და ყოველთვის ცდილობს მეტი სარფა მოუპოვოს «თავის» ერს (ე. ი. თავისი ერის ბურჟუაზიას), დაყოს და გამიჯნოს ერები, განავითაროს ნაციონალური განკერძოებულობა და სხვ.. ბურჟუაზიული ნაციონალიზმი ყველაზე მეტს ლაპარაკობს «ნაციონალურ კულტურაზე», ხაზგასმით აღნიშნავს იმას, რაც ერთ ერს ყოფს მეორისაგან და აქუცმაცებს სხვადასხვა ერის მუშებს და აბრიყვებს მათ «ნაციონალური ლოზუნგებით».

შეგნებული მუშები იბრძვიან ყოველგვარი ნაციონალური ჩაგვრისა და ყოველგვარი ნაციონალური პრივილეგიების წინააღმდეგ, მაგრამ ამას როდი სჯერდებიან. ისინი ებრძვიან ყოველგვარ, ყველაზე დახვეწილ ნაციონალიზმსაც კი და რეაქციის, ყოველგ-

ვარი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში იცავენ ყველა ეროვნების მუშების არა მარტო ერთიანობას, არამედ შეერთებასაც. ჩვენი საქმეა არა ერთა გამიჯვნა, არამედ ყველა ერის მუშების შემჭიდროება. ჩვენს დროშას აწერია არა «ნაციონალური კულტურა», არამედ ინტერნაციონალური (საერთაშორისო) კულტურა, რაც ყველა ერს აერთებს უმაღლეს სოციალისტურ ერთიანობად და რასაც უკვე ახლა ამზადებს კაპიტალის ინტერნაციონალური გაერთიანება.

წვრილბურჟუაზიული, მეშჩანური ნაციონალიზმის გაელენა გადაედო ზოგიერთ «ვითომ-სოციალისტსაც», რომლებიც იცავენ ეგრეთწოდებულ «კულტურულ-საგანმანათლებლო ავტონომიას», ესე იგი სასკოლო საქმის (და საერთოდ ნაციონალური კულტურის საქმის) გადაცემას სახელმწიფოს ხელიდან ცალკეულ ერთა ხელში. გასაგებია, რომ მარქსისტები იბრძვიან ერთა გამიჯვნის ამ ქადაგების წინააღმდეგ, ამ დახვეწილი ნაციონალიზმის წინააღმდეგ, ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დაყოფის წინააღმდეგ. როდესაც ჩვენმა ბუნდელებმა, ხოლო შემდეგ ლიკვიდატორებმა მოისურვეს, წინააღმდეგ პროგრამისა, «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» დაცვა, ისინი დაგმეს არა მარტო ბოლშევიკებმა, არამედ პარტიელმა მენშევიკებმაც (პლეხანოვმა).

ახლა ბ-ნი ანი «ნოვაია რაბოჩაია გაზეტაში» (№ 103) ცდილობს დაიცვას ცუდი საქმე, ის ცელის საკითხს და ლანძღვა-გინებით გვამკობს. ლანძღვას ჩვენ მშვიდად უკუვაგდებთ, — ეს მხოლოდ ლიკვიდატორების უძლურების ნიშანია.

სკოლები მშობლიურ ენაზე — გვარწმუნებს ბ-ნი ანი — ეს არის სწორედ ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დაყოფა; პრავდისტებს სურთ უცხო ტომელთ მათი ნაციონალური სკოლები წაართვანო!

ბ-ნ ანის ასეთი ხერხი შეიძლება მხოლოდ სასაცილოდ ავიგდოთ, რადგან ყველამ იცის, რომ პრავდისტები იცავენ ენათა უაღრესად სრულ თანასწორუფლებიანობას და სახელმწიფო ენასაც კი არ სცნობენ საჭიროდ! ბ-ნ ანს, უილაჯო მრისხანების გამო თავგზა ებნევა, — ეს საშიში რამ არის, პატივცემულო ბ-ნო ან!

მშობლიური ენის უფლებები სავსებით ზუსტად და გარკვეეით არის აღიარებული მარქსისტთა პროგრამის § 8-ში [74].

ბ-ნი ანი რომ მართალი იყოს — სკოლები მშობლიურ ენაზე ეს არის სწორედ სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დაყოფაო, —

მაშინ რად დასჭირდათ ბუნდელებს 1906 წელს და ლიკვიდატორებს 1912 წელს «შეევსოთ» (უფრო სწორად რომ ვთქვათ, დ ა ე მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ი ნ ა თ) პროგრამა, რომელმაც 1903 წელს ს ა ვ ს ე ბ ი თ აღიარა მ შ ო ბ ლ ი უ რ ი ე ნ ა სწორედ იმავე ყრილობაზე, «კულტურულ-ნაციონალური ავტონომია» რომ უ ა რ ყ ო?

არა, ბ-ნო ან, თქვენ ვერ შესძლებთ საკითხის შეცვლას და ხმაურით, ყვირილითა და ლანძღვით ლიკვიდატორების მიერ ამ პროგრამის დ ა რ ღ ვ ე ვ ი ს მიჩქმალვას, პლეხანოვის თქმით, «ნაციონალიზმისადმი სოციალიზმის შეგუების» მიჩქმალვას.

ჩვენ არ გვინდა პროგრამის დარღვევა. ჩვენ არ გვინდა ნაციონალიზმს სოციალიზმი შევუგუოთ. ჩვენ ვიცავთ სრულ დემოკრატიას, ენათა სრულ თავისუფლებას და თანასწორუფლებიანობას და ამით სრულიადაც არ ვიცავთ «სასკოლო საქმის ერებისთვის გადაცემას», «ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დაყოფას».

«ლაპარაკია ერების მიხედვით სკოლების დაყოფაზე, — წერს ბ-ნი ანი, — მაშასადამე, ადგილზე უნდა იყვნენ ეს ერები, რომლებიც ხელს უშლიან ერთმანეთს განვითარებაში და, მაშასადამე, **საჭიროა მათი გამიჯვნა** სახალხო განათლების სფეროშიც».

ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვები ნათლად ააშკარავებს, თუ ბ-ნ ანს როგორ აშორებს ლიკვიდატორობა სოციალიზმს და აახლოებს ნაციონალიზმს. ერთა გ ა მ ი ჯ ვ ნ ა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მავნებელია, და ჩვენც, მარქსისტები, ვცდილობთ დ ა ვ ა ა ხ ლ ო ვ ო თ დ ა შ ე ვ ა ე რ თ ო თ ისინ. ჩვენი მიზანია არა ერთა «გამიჯვნა», არამედ სრული დემოკრატიის დამყარებით მათი თანასწორუფლებიანობისა და ისეთივე მშვიდობიანი (შედარებით) თანაცხოვრების უზრუნველყოფა, როგორც ეს შვეიცარიაშია *.

დაბეჭდილია 1913 წ. 17 დეკემბერს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 19,
გვ. 657 — 660

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

* ბ-ნი ანი თამამად ლაპარაკობს, რომ «შვეიცარიის კანტონებში ერთა ერთმანეთში არევა არ არისო». ნუთუ არ შერცხვება მას, როცა დავუსახელებთ ოთხ კანტონს: ბერნს, ფრეიბურგს, გრაუბუნდენსა და ვალისს?

სტატიიდან
«კრიტიკული შენიშვნები ნაციონალურ საკითხზე»

1. ლიბერალები და დემოკრატები ენების საკითხში

გაზეთებს არა ერთხელ აღუნიშნავთ კავკასიის მეფისნაცვლის ანგარიში, რომელსაც ახასიათებს არა შავრაზმელობა, არამედ მორცხვი «ლიბერალიზმი». ხხვათა შორის, მეფისნაცვალი წინააღმდეგია ხელოვნური რუსიფიკაციისა, ე. ი. არარუს ეროვნებათა გარუსებისა. კავკასიაში არარუს ეროვნებათა წარმომადგენლები თ ვ ი თ ო ნ ცდილობენ ასწავლონ ბავშვებს რუსული, მაგალითად, სომხურ სამრევლო სკოლებში. სადაც რუსული ენის სწავლება სავალდებულო არ არის.

«რუსსკოე სლოვო» (№ 198), რუსეთის ერთ-ერთი ფრიად გავრცელებული ლიბერალური გაზეთი, აღნიშნავს ამას და სამართლიანად დაასკვნის, რომ რუსეთში რუსულ ენას მტრულად უყურებენ «მხოლოდ და მხოლოდ» იმის გამო, რომ «ხელოვნურად» (უნდა ეთქვა: ძალადობით) ნერგავენ რუსულ ენასო.

«რუსული ენის ბედზე წუხილი ზედმეტია. იგი თვითონ მოიპოვებს აღიარებას მთელ რუსეთშიო» — წერს გაზეთი. და ეს სამართლიანიცაა, რადგან ეკონომიური აღებ-მიცემობის საჭიროება მუდამ აიძულებს ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ ეროვნებებს (სანამ ერთად ცხოვრებას მოისურვებენ) შეისწავლონ უმრავლესობის ენა. რაც უფრო დემოკრატიული იქნება რუსეთის წყობილება, მით უფრო ძლიერ, სწრაფად და ფართოდ განვითარდება კაპიტალიზმი, ეკონომიური ბრუნვის საჭიროება მით უფრო დაჟინებით აიძულებს სხვადასხვა ეროვნებას შეისწავლონ ის ენა, რომელიც ყველაზე უფრო გამოსაყენებელია საერთო სავაჭრო ურთიერთობისათვის.

მაგრამ ლიბერალური გაზეთი იჩქარის გაიმათრახოს თავი და დაამტკიცოს თავისი ლიბერალური არათანამიმდევრობა.

«საეჭვოა, — წერს იგი, — რომ ვინმემ გარუსების მოწინააღმდეგეთა შორისაც კი გაილაშქროს იმის წინააღმდეგ, რომ ისეთ უზარმაზარ სახელმწიფოში, როგორიცაა რუსეთი, უნდა იყოს ერთი საერთო-სახელმწიფო ენა და რომ ასეთი ენა... შეიძლება იყოს მხოლოდ რუსული ენა».

უკულმა გადმობრუნებული ლოგიკა თუ გინდათ, სწორედ ესაა! პატარა შვეიცარია კი არ აგებს, არამედ იგებს იმით, რომ იქ არის არა ერთი საერთო-სახელმწიფო ენა, არამედ სამი: გერმანული, ფრანგული და იტალიური. შვეიცარიის მოსახლეობის 70% გერმანელებია (რუსეთში ველიკორუსებია 43%), 22% — ფრანგები (რუსეთში უკრაინელები 17%), 7% — იტალიელები (რუსეთში პოლონელებია 6% და ბელორუსები $4^1/_2$%). თუ შვეიცარიაში იტალიელები საერთო პარლამენტში ხშირად ფრანგულად ლაპარაკობენ, ამას სჩადიან არა რომელიმე ველური პოლიციური კანონის (ასეთი რამ შვეიცარიაში არ არის) იძულებით, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს ცივილიზებული მოქალაქენი თვითონ აძლევენ უპირატესობას უმრავლესობისთვის გასაგებ ენას. ფრანგული ენა სიძულვილს არ უნერგავს იტალიელებს, რადგან ეს არის თავისუფალი, ცივილიზებული ერის ენა, ენა, რომელსაც თავს არავის ახვევენ საზიზღარი პოლიციური ზომებით.

მაშ «უზარმაზარმა» რუსეთმა, ბევრად უფრო ჭრელმა, საშინლად ჩამორჩენილმა, რატომ უნდა შეაფერხოს თავისი განვითარება ერთ-ერთი ენის რაიმე პრივილეგიის შენარჩუნებით? თუ პირიქით, ბატონო ლიბერალებო? რუსეთმა, თუ მას სურს დაეწიოს ევროპას, ხომ არ უნდა მოუღოს ბოლო ყველა და ყოველგვარ პრივილეგიას რაც შეიძლება უფრო ჩქარა, რაც შეიძლება უფრო სრულად, რაც შეიძლება უფრო გაბედულად?

თუ მოისპობა ყოველგვარი პრივილეგიები, თუ შეწყდება ერთ-ერთი ენის თავზე მოხვევა, ყველა სლავი ადვილად და სწრაფად გაუგებს ერთმანეთს და არ შეუშინდება იმ «საშინელ» აზრს, რომ საერთო პარლამენტში სხვადასხვა ენაზე წარმოთქვამენ სიტყვებს. ეკონომიური ბრუნვის საჭიროებანი კი თავისთავად განსაზღვრავენ ამა თუ იმ ქვეყნის იმ ენას, რომლის ცოდნა ხელსაყრელი იქნება უმრავლესობისთვის სავაჭრო ურთიერთობის თვალსაზრისით. და ეს განსაზღვრა მით უფრო მტკიცე იქნება, რომ მას ნებაყოფლობით მიიღებს სხვადასხვა ერის მოსახლეობა, მით უფრო სწრაფი და ფართო იქნება, რაც უფრო თანამიმდევარი იქნება დემოკრატიზმი და ამის გამო რაც უფრო სწრაფად განვითარდება კაპიტალიზმი.

ლიბერალები ენების საკითხსაც, ისე როგორც ყველა პოლიტიკურ საკითხს, უდგებიან როგორც თვალთმაქცი ჩარჩები, რომლებიც ცალ ხელს (აშკარად) უწვდიან დემოკრატიას, ხოლო მეორე ხელს (ზურგს უკან) მებატონეებს და პოლიციელებს. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ პრივილეგიებისაო — გაიძახიან ლიბერალები, ზურგს უკან კი მებატონეებს სცინცლავენ ხან ერთს, ხან მეორე პრივილეგიას.

ასეთია ყ ო ვ ე ლ ი ლიბერალურ-ბურჟუაზიული ნაციონალიზმი — არა მარტო ველიკორუსული (იგი ყველაზე უარესია, მისი ძალმომრეობითი ხასიათისა და ბატონ პურიშკევიჩებთან ნათესაობის წყალობით), არამედ პოლონური, ებრაული, უკრაინული, ქართული და ყოველი სხვა ნაციონალიზმიც. როგორც ავსტრიაში. ისე რუსეთში ყ ვ ე ლ ა ერის ბურჟუაზია «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგით ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი ატარებს მუშების დაქუცმაცებას. დემოკრატიის დასუსტებას. მებატონეებთან ჩარჩულ გარიგებას ხალხის უფლებებისა და ხალხის თავისუფლების გაყიდვის შესახებ.

მუშათა დემოკრატიის ლოზუნგია არა «ნაციონალური კულტურა», არამედ დემოკრატიზმისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურა. დაე ბურჟუაზიამ ატყუოს ხალხი ყოველგვარი «პოზიტიური» ნაციონალური პროგრამებით. შეგნებული მუშა მას უპასუხებს: არსებობს ნაციონალური საკითხის მხოლოდ ერთადერთი გადაწყვეტა (რამდენადაც საერთოდ შესაძლებელია მისი გადაწყვეტა კაპიტალიზმის სამყაროში, მოხვეჭის, ერთმანეთის ჭამისა და ექსპლოატაციის სამყაროში) და ეს გადაწყვეტაა — თანამიმდევარი დემოკრატიზმი.

დამამტკიცებელი მაგალითები: შვეიცარია დასავლეთ ევროპაში — ძველი კულტურის ქვეყანა, და ფინეთი აღმოსავლეთ ევროპაში — ახალგაზრდა კულტურის ქვეყანა.

მუშათა დემოკრატიის ნაციონალური პროგრამაა: სრულიად არავითარი პრივილეგია არც ერთ ერს, არც ერთ ენას; ერთა პოლიტიკური თვითგამორკვევის საკითხის, ე. ი. მათი სახელმწიფოდ გამოყოფის საკითხის გადაწყვეტა სრულიად თავისუფალი, დემოკრატიული გზით; საერთო-სახელმწიფო კანონის გამოცემა, და ამ კანონის შეხებით ყოველი ღონისძიება (საერობო, საქალაქო, სათემო და სხვ. და ა. შ.), რომელიც ატარებს ერთ-ეროი ერის რაიმე პრივილეგიას, არღვევს ერთა თანასწორუფლებიანობას ან ეროვნული უმცირესობის უფლებებს, ცხადდება უკანონოდ და გაუქმებულად — და სახელმწიფოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს ასეთი

ღონისძიების გაუქმება, როგორც კონსტიტუციის საწინააღმდეგოსი, და სისხლის სამართლის კანონის მიხედვით მათი დასჯა, ვინც მის განხორციელებას დაიწყებდა.

ენის საკითხისა და სხვათა გამო სხვადასხვა ბურჟუაზიული პარტიის ნაციონალურ კინკლაობას მუშათა დემოკრატია უპირისპირებს მოთხოვნას: ყ ვ ე ლ ა ეროვნების მუშათა უცილობელი ერთიანობა და სრული შეერთება ყ ვ ე ლ ა პროფესიულ, კოოპერაციულ, სამომხმარებლო, საგანმანათლებლო და ყოველგვარ სხვა მუშათა ორგანიზაციაში, წინააღმდეგ ყოველგვარი ბურჟუაზიული ნაციონალიზმისა. მხოლოდ ასეთ ერთიანობას და შეერთებას შეუძლია დაიცვას დემოკრატია, დაიცვას მუშათა ინტერესები კაპიტალის წინააღმდეგ, — რომელიც უკვე გახდა და სულ უფრო და უფრო ხდება ინტერნაციონალური, — დაიცვას ინტერესები კაცობრიობის განვითარებისა ცხოვრების ახალი წყობისაკენ, სადაც აღარ იქნება არავითარი პრივილეგიები და არავითარი ექსპლოატაცია.

2. «ნაციონალური კულტურა»

როგორც მკითხველი ხედავს, «სევერნაია პრავდის»[75] სტატია ერთ-ერთი მაგალითის, სახელდობრ საერთო-სახელმწიფო ენის საკითხის განხილვით ნათელყოფს არათანამიმდევრობას და ოპორტუნიზმს ლიბერალური ბურჟუაზიისას, რომელიც ნაციონალურ საკითხში მებატონეებსა და პოლიციელებს უწვდის ხელს. ყველას ესმის, რომ, გარდა საერთო-სახელმწიფო ენის საკითხისა, ლიბერალური ბურჟუაზია ასევე გამცემლურად, პირმოთნედ და ბრიყვულად (ლიბერალიზმის ინტერესების თვალსაზრისითაც კი) იქცევა მთელ რიგ სხვა თანაგვარ საკითხთა მიმართაც.

რა დასკვნა გამომდინარეობს აქედან? დასკვნა ისაა, რომ ყ ო ვ ე ლ ლიბერალურ-ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს უდიდესი გახრწნა შეაქვს მუშათა წრეში, იგი უდიდეს ზიანს აყენებს თავისუფლების საქმეს და პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის საქმეს. ეს მით უფრო საშიშია, რომ ბურჟუაზიული (და ბურჟუაზიულ-ბატონყმური) ტენდენციის ს ა ფ ა რ ა დ «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგი იხმარება. ნაციონალური კულტურის — ველიკოროსული, პოლონური, ებრაული, უკრაინული და სხვა კულტურის — სახელით აჭახრაკებენ თავიანთ რეაქციულ და ჭუჭყიან საქმეებს ყ ვ ე ლ ა ერის შავრაზმელები და კლერიკალები, შემდეგ კი — ბურჟუებიც.

ასეთია თანამედროვე ეროვნული ცხოვრების ფაქტი, თუ მას მარქსისტულად, ე. ი. კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით შევხედავთ, თუ ლოზუნგებს შევადარებთ კლასების ინტერესებსა და პოლიტიკას და არა ფუჭ «ზოგად პრინციპებს», დეკლამაციებსა და ფრაზებს.

ნაციონალური კულტურის ლოზუნგი არის ბურჟუაზიული მოტყუება (ხშირად შავრაზმულ-კლერიკალურიც). ჩვენი ლოზუნგია დემოკრატიზმისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურა.

აქ საბრძოლველად მოიწევს ბუნდელი ბ-ნი ლიბმანი და შემდეგი მომაკვდინებელი ტირადით მანადგურებს:

«ყველამ, ვინც ოდნავ მაინც იცნობს ნაციონალურ საკითხს, იცის, რომ ინტერნაციონალური კულტურა არ არის ინნაციონალური * კულტურა (ნაციონალურ ფორმას მოკლებული კულტურა); ინნაციონალური კულტურა, რომელიც არ უნდა იყოს არც რუსული, არც ებრაული, არც პოლონური, არამედ იყოს მხოლოდ წმინდა კულტურა, — უაზრობაა; ინტერნაციონალური იდეები სწორედ მარტოოდენ მაშინ შეიძლება გახდნენ ძვირფასნი მუშათა კლასისათვის, როცა შეფარდებული არიან იმ ენასთან, რომელზედაც მუშა ლაპარაკობს, და იმ კონკრეტულ ნაციონალურ პირობებთან, რომლებშიც იგი ცხოვრობს; მუშა გულგრილად არ უნდა ექცეოდეს თავისი ნაციონალური კულტურის მდგომარეობასა და განვითარებას, ვინაიდან მისი და მხოლოდ მისი საშუალებით ეძლევა მას შესაძლებლობა — მიიღოს შონაწილეობა «დემოკრატიზმისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალურ კულტურაში». ეს დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ყოველივე ამის შესახებ ვ. ი.-ს ლაპარაკიც კი არა სურს...».

ჩაუკვირდით ამ ტიპიურ ბუნდისებურ მსჯელობას, რომელმაც, თურმე ნუ იტყვით, უნდა დაარღვიოს ჩემს მიერ წამოყენებული მარქსისტული თეზისი. ფრიად თავმომწონე სახით, ვითომცდა «ნაციონალური საკითხის მცოდნე» ადამიანიაო, ბ-ნი ბუნდისტი ჩვეულებრივს ბურჟუაზიულ შეხედულებებს გვაწვდის, როგორც «დიდი ხნის ცნობილ» ჭეშმარიტებებს.

დიახ, პატივცემულო ბუნდისტო, ინტერნაციონალური კულტურა უეროვნო არ არის. ეს არავის უთქვამს. არავის გამოუცხადებია არც პოლონური, არც ებრაული, არც რუსული, არც სხვა რომელიმე «წმინდა» კულტურა, ასე რომ თქვენი ცარიელი სიტყვების რახარუ-

* ინტერ — შორის; ინ — არა; ინტერნაციონალური — სანაციათაშორისო, საერთაშორისო; ინნაციონალური — არანაციონალური, არახალხური, არაეროვნული, უეროვნო.

ხი არის მხოლოდ ცდა — მკითხველის ყურადღება გაიტყუოთ და საქმის არსი მყვირალა სიტყვებით მიაფუჩეჩოთ.

თ ვ ი თ ე უ ლ ნაციონალურ კულტურაში მოიპოვება, განუვითარებლად მაინც, დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ი, ვინაიდან თ ვ ი თ ე უ ლ ერში არის მშრომელი და ექსპლოატირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობები გარდუვალად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას. მაგრამ თ ვ ი თ ე უ ლ ერში არის აგრეთვე ბურჟუაზიული კულტურა (ხოლო უმრავლესობაში კიდევ — შავრაზმული და კლერიკალურიც) — ამასთან არა მარტო «ელემენტების» სახით, არამედ გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ უ ლ ი კულტურის სახით. ამიტომ «ნაციონალური კულტურა» საზოგადოდ ა რ ი ს მემამულეების, ხუცების, ბურჟუაზიის კულტურა. ეს ძირითადი, მარქსისტისათვის ანბანური, ჭეშმარიტება ბუნდისტმა ჩრდილში დატოვა, «მიჩქმალა» სიტყვების რახარუხით, ე. ი. ნამდვილად კლასობრივი უფსკრულის გამოაშკარავებისა და განმარტებია მ ა გ ი ვ რ ა დ მკითხველს მისი გაბუნდოვანება მიაწოდა. ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ბუნდისტი გამოვიდა, როგორც ბურჟუა, რომლის მთელი ინტერესი მოითხოვს გარეკლასობრივი ნაციონალური კულტურისადმი რწმენის გავრცელებას.

«დემოკრატიზმისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურის» ლოზუნგს რომ ვაყენებთ, თ ვ ი თ ე უ ლ ი ნაციონალური კულტურიდან ჩვენ ვიღებთ მ ხ ო ლ ო დ მის დემოკრატიულ და სოციალისტურ ელემენტებს, ვიღებთ მათ მ ხ ო ლ ო დ და უ თ უ ო დ თ ვ ი თ ე უ ლ ი ერის ბურჟუაზიული კულტურის, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის საპირისპიროდ. არც ერთი დემოკრატი, მით უმეტეს არც ერთი მარქსისტი არ უარყოფს ენათა თანასწორუფლებიანობას ანდა იმის აუცილებლობას, რომ დედაენაზე ვეკამათოთ «მშობლიურ» ბურჟუაზიას, ანტიკლერიკალური ან ანტიბურჟუაზიული იდეები ვუქადაგოთ «მშობლიურ» გლეხობასა და მეშჩანებს, — ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, ამ უდავო ჭეშმარიტებებით ბუნდისტი აფუჩეჩებს სადავოს, ე. ი. იმას, რაც ნამდვილად საკითხის რაობას შეადგენს.

საკითხი ისაა, დასაშვებია მარქსისტებისათვის ნაციონალური კულტურის ლოზუნგის პირდაპირ ანდა არაპირდაპირ წამოყენება, თუ სავალდებულოა ყველა ენაზე იქადაგონ მის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე ვ ყველა ადგილობრივ და ეროვნულ თავისებურებასთან «შეფარდებით» — მუშების ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ მ ი ს ლოზუნგი.

«ნაციონალური კულტურის» ლოზუნგის მნიშვნელობას განსაზ-

ღვრავს არა ამა თუ იმ ინტელიგენტუნას დაპირება ან კეთილი განზრახვა — «განმარტოს» ეს ლოზუნგი «მისი საშუალებით ინტერნაციონალური კულტურის გატარების აზრით». ასეთი შეხედულება ბავშვური სუბიექტივიზმი იქნებოდა. ნაციონალური კულტურის ლოზუნგის მნიშვნელობას განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის და მსოფლიოს ყველა ქვეყნის ყველა კლასთა ობიექტური თანაფარდობა. ბურჟუაზიის ნაციონალური კულტურა არის ფ ა ქ ტ ი (ამასთანავე, ვიმეორებ, ბურჟუაზია ყველგან აწყობს გარიგებას მემამულეებსა და ხუცებთან). მებრძოლი ბურჟუაზიული ნაციონალიზმი, მუშების გამომთაყვანებელი, გამასულელებელი, გამთიშველი, რათა ისინი ბურჟუაზიის ხელქვეით ატაროს, — აი თანადროულობის ძირითადი ფაქტი.

ვისაც სურს პროლეტარიატს ემსახუროს, იგი უნდა აერთიანებდეს ყველა ერის მუშებს და განუხრელად ებრძოდეს როგორც «თ ა ვ ი ს», ისე უცხო ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს. ვინც ნაციონალური კულტურის ლოზუნგს იცავს, — მისი ადგილი ნაციონალისტ მეშჩანებშია, და არა მარქსისტებში.

აიღეთ კონკრეტული მაგალითი. შეუძლია თუ არა ველიკოროს მარქსისტს ნაციონალური, ველიკოროსული, კულტურის ლოზუნგი მიიღოს? არა. ასეთი ადამიანი უნდა მოათავსოთ ნაციონალისტთა, და არა მარქსისტთა შორის. ჩვენი საქმეა — ვებრძოლოთ ველიკოროსთა გაბატონებულ, შავრაზმულ და ბურჟუაზიულ ნაციონალურ კულტურას, განვავითაროთ მხოლოდ და მხოლოდ ინტერნაციონალურ საფუძველზე და სხვა ქვეყნების მუშებთან უმჭიდროეს კავშირში ის ჩანასახები, რომლებიც ჩვენს დემოკრატიული და მუშათა მოძრაობის ისტორიაშიც მოიპოვება. ებრძოლო ჩვენს ველიკოროს მემამულეებსა და ბურჟუებს, იბრძოლო მისი «კულტურის» წინააღმდეგ, ინტერნაციონალიზმის გულისთვის, იბრძოლო პურიშკევიჩებისა და სტრუვეების თავისებურებებთან «შეგუებით», — აი რა არის შენი ამოცანა, და არა ის, რომ იქადაგო, დაუშვა ნაციონალური კულტურის ლოზუნგი.

იგივე ითქმის ყველაზე უფრო ჩაგრული და დევნილი ერის — ებრაელი ერის შესახებ. ებრაელთა ნაციონალური კულტურა რაბინებისა და ბურჟუების ლოზუნგია, ჩვენი მტრების ლოზუნგია. მაგრამ არის სხვა ელემენტებიც ებრაულ კულტურასა და ებრაელობის მთელ ისტორიაში. მთელ ქვეყნიერებაზე $10^1/_2$ მილიონი ებრაელია; მათგან ნახევარზე ცოტა მეტი ცხოვრობს გალიციასა და რუსეთში, ჩამორჩენილ, ნახევრად-ველურ ქვეყნებში, სადაც ებრაელებს ძ ა ლ-

მ ო ბ რ ე ო ბ ი თ ამყოფებენ კასტის მდგომარეობაში. მეორე ნახევარი ცივილიზებულ ქვეყნებში ცხოვრობს, და ებრაელთა კასტური განკერძოება იქ არ არის. იქ გამოჩნდა ცხადად ებრაელთა კულტურის დიადი მსოფლიო-პროგრესული თვისებანი: მისი ინტერნაციონალიზმი, მისი გამოხმაურება ეპოქის მოწინავე მოძრაობებზე (ებრაელთა პროცენტი დემოკრატიულ და პროლეტარულ მოძრაობებში ყველგან მეტია საერთოდ მოსახლეობაში ებრაელთა პროცენტთან შედარებით).

ვინც პირდაპირ თუ არაპირდაპირ აყენებს ებრაელთა «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგს, ის (რაგინდ კეთილიც იყოს მისი განზრახვა) მტერია პროლეტარიატისა, მომხრეა ძ ვ ე ლ ი ს ა დ ა კ ა ს ტ უ რ ი ს ა ებრაელობაში, დამხმარეა რაბინებისა და ბურჟუებისა. პირიქით, ის ებრაელი მარქსისტები, რომლებიც ერთდებიან ინტერნაციონალურ მარქსისტულ ორგანიზაციებში რუს, ლიტველ, უკრაინელ და სხვა მუშებთან და თავიანთი წვლილი შეაქვთ (რუსულადაც, ებრაულადაც) მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალური კულტურის შექმნაში, ეს ებრაელები — წინააღმდეგ ბუნდის სეპარატიზმისა — განაგრძობენ ებრაელობის საუკეთესო ტრადიციებს, ებრძვიან რა «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგს.

ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი — აი ორი, ურთიერთისადმი შეურიგებლად მტრული ლოზუნგი, რომელნიც შეესაბამებიან მთელი კაპიტალისტური სამყაროს ორ დიდ კლასობრივ ბანაკს და გამოხატავენ ო რ პოლიტიკას (მეტიც: ორ მსოფლმხედველობას) ნაციონალურ საკითხში. როდესაც ნაციონალური კულტურის ლოზუნგს იცავენ და მასზე აგებენ ეგრეთწოდ. «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» მთელ გეგმასა და პრაქტიკულ პროგრამას, ამით ბუნდელები ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ მუშათა წრეში ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამტარებლებად გამოდიან.

3. «ასიმილატორობის» ნაციონალისტური საფრთხობელა

ასიმილატორობის *, ე. ი. ეროვნულ თავისებურებათა დაკარგვის, სხვა ერში გათქვეფის საკითხი ნებას გვაძლევს ცხადლივ წარმოვიდგინოთ ბუნდელთა და მათ თანამოაზრეთა ნაციონალისტური რყევის შედეგები.

* სიტყვასიტყვით — დამსგავსების, გაიგივების.

ბ-მა ლიბმანმა სწორად გადმოსცა და გაიმეორა ბუნდელების ჩვეულებრივი საბუთები, უკეთ, მათი ხერხები, ამასთან ერთიან მეშეთა ორგანიზაციებში ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა ეროვნების მუშების ერთიანობისა და შედეგების მოთხოვნას (იხ. ზემოთ «სევერნაია პრავდის» სტატიის ბოლო) — «ძველი ასიმილატორული ზღაპარი» უწოდა.

«მაშასადამე, — აბბობს ბ-ნი ფ. ლიბმანი «სევერნაია პრავდაში» მოთავსებული სტატიის დასკვნის გამო, — კითხვაზე: რა ეროვნებას ეკუთვნით? მეშამ უნდა უპასუხოს: მე სოციალ-დემოკრატი ვარო».

ჩვენს ბუნდელს ეს გონებამახვილობის ნიმუშად მიაჩნია. ნაწდვილად კი იგი საბოლოოდ ამხელს თავს ასეთი ოხუნჯობით და «ასიმილატორობაზე» ყვირილით, რაც თანამიმდევრულ-დემოკრატიული და მარქსისტული ლოზუნგის წინააღმდეგ არის მიმართული.

განვითარებაში მყოფი კაპიტალიზმი იცნობს ორ ისტორიულ ტენდენციას ნაციონალურ საკითხში. პირველი: ეროვნული ცხოვრებისა და ეროვნულ მოძრაობათა გაღვიძება, ბრძოლა ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრასთან, ეროვნულ სახელმწიფოთა შექმნა. მეორე: ერთა შორის ყოველგვარი ურთიერთობის განვითარება და გახშირება, ეროვნული ზღუდეების დამსხვრევა, კაპიტალის, საერთოდ ეკონომიური ცხოვრების, პოლიტიკის, მეცნიერებისა და სხვ. ინტერნაციონალური ერთიანობის შექმნა.

ორივე ტენდენცია კაპიტალიზმის მსოფლიო კანონია. პირველი ბარბობს მისი განვითარების დასაწყისში, მეორე ახასიათებს მომწიფებულ და სოციალისტურ საზოგადოებად გადაქცევისაკენ მიმავალ კაპიტალიზმს. ორივე ტენდენციას უწევს ანგარიშს მარქსისტების ნაციონალური პროგრამა: იგი, ჯერ-ერთი, იცავს ერთა და ენათა თანასწორუფლებიანობას, ამ მხრივ რაიმეგვარი პრივილეგიების დაუშვებლობას (აგრეთვე ერთა თვითგამორკვევის უფლებას, რაზედაც ქვემოთ ცალკე გვექნება ლაპარაკი), და, მეორეც, იცავს ინტერნაციონალიზმის პრინციპს, იმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის პრინციპს, რომ პროლეტარიატი დაავადდეს თუნდაც უაღრესად დახვეწილი ბურჟუაზიული ნაციონალიზმით.

საკითხავია, რაღაზე აქვს საუბარი ჩვენს ბუნდელს, როდესაც იგი ცას შეჰღალადებს «ასიმილატორობის» წინააღმდეგ? ერების მიმართ ძალმომრეობაზე, ერთ-ერთი ერის პრივილეგიებზე მას აქ არ შეეძლო ელაპარაკნა, ვინაიდან სიტყვა «ასიმილატორობა»

ამ შემთხვევას საერთოდ არ მიუდგება; — ვინაიდან ყველა მარქსისტმა, ცალ-ცალკეც და როგორც ოფიციალურმა ერთიანმა მთელმაც, სავსებით გარკვეულად და არაორაზროვნად დაგმო თუნდაც ოდნავი ეროვნული ძალმომრეობა, ჩაგვრა, არათანასწორუფლებიანობა; — ბოლოს, ვინაიდან «სევერნაია პრავდის» სტატიაშიც, რომელსაც თავს დაესხა ბუნდელი, ეს ზოგად-მარქსისტული აზრი სრულიად გადაჭრითაა გამოთქმული.

არა. თავდაძვრენა აქ შეუძლებელია. «ასიმილატორობას» რომ გმობდა, ბ-ნი ლიბმანი გულისხმობდა ა რ ა ძალმომრეობას, ა რ ა უთანასწორობას, ა რ ა პრივილეგიებს. რჩება თუ არა რეალური რამ ასიმილატორობის ცნებაში, თუ მას გამოვაკლებთ ყოველ ძალმომრეობას და ყოველ არათანასწორუფლებიანობას?

უთუოდ რჩება. რჩება კაპიტალიზმის ის მსოფლიო-ისტორიული ტენდენცია ეროვნული ტიხრების დარღვევისა, ეროვნულ განსხვავებათა მოსპობისა, ერების ა ს ი მ ი ლ ა ც ი ი ს ა, რა ტენდენციაც ყოველ ათწლობით სულ უფრო მძლავრად იჩენს თავს და წარმოადგენს ერთ-ერთ უდიდეს მამოძრავებელს, რომელიც კაპიტალიზმს სოციალიზმად აქცევს.

მარქსისტი არ არის, დემოკრატიც კი არ არის ის, ვინც არ აღიარებს და არ იცავს ერებისა და ენების თანასწორუფლებიანობას, ვინც არ ებრძვის ყოველგვარ ეროვნულ ჩაგვრას ან არათანასწორუფლებიანობას. ეს უეჭველია. მაგრამ ასევე უეჭველია, რომ ის. ვითომდა-მარქსისტი, რომელიც ლანძღვა-გინებით იკლებს სხვა ერის მარქსისტს «ასიმილატორობისათვის», ნამდვილად უბრალო ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ს ტ მ ე შ ჩ ა ნ ს წარმოადგენს. ამ ნაკლებპატივსაცემ ადამიანთა წყებას ეკუთვნიან ყველა ბუნდელნი და (როგორც ახლავე დავინახავთ) უკრაინელი ნაციონალ-სოციალები, ბბ. ლ. იურკევიჩის, დონცოვისა და კომპ. მსგავსნი.

რათა კონკრეტულად ცხადვყოთ ამ ნაციონალისტი მეშჩანების შეხედულებათა მთელი რეაქციულობა, მოვიყვანოთ სამგვარი მონაცემები.

რუსეთის ორთოდოქსალური მარქსისტების «ასიმილატორობის» წინააღმდეგ ყველაზე მეტს ყვირიან რუსეთის ებრაელი ნაციონალისტები საზოგადოდ, ბუნდელებიც მათ შორის — განსაკუთრებით. ამავე დროს კი, როგორც ზემომოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, მთელი მსოფლიოს $10^1/_2$ მილიონი ებრაელიდან დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ ნ ა ხ ე ვ ა რ ი ცხოვრობს ც ი ვ ი ლ ი ზ ე ბ უ ლ ქვეყნებში, უ დ ი დ ე ს ი «ასიმილატორობის» პირობებში, ხოლო რუსეთისა და გალი-

ციის უბედური, დაბეჩავებული, უუფლებო, პურიშკევიჩების (რუსი და პოლონელი პურიშკევიჩების) მიერ გათელილი ებრაელები ცხოვრობენ უ მ ც ი რ ე ს ი «ასიმილატორობის», უდიდესი განკერძოების პირობებში, თვით «ბინადრობის ფარგლების», «პროცენტული ნორმისა» და სხვა პურიშკევიჩულ მშვენებათა გამოუკლებლად.

ცივილიზებული ქვეყნების ებრაელები ერი როდია, ისინი ყველაზე მეტად არიან ასიმილირებულნიო, — ამბობენ კ. კაუცკი და ო. ბაუერი. გალიციისა და რუსეთის ებრაელები ერი როდია, ისინი, სამწუხაროდ (თავიანთი კი ა რ ა, პურიშკევიჩების მიზეზით), აქ ჯერ კიდევ კ ა ს ტ ა ს წარმოადგენენ. ასეთია უდავო მსჯელობა იმ ადამიანებისა, რომლებმაც უდავოდ იციან ებრაელობის ისტორია და ანგარიშს უწევენ ზემომოყვანილ ფაქტებს.

რას გვეუბნება ეს ფაქტები? იმას, რომ «ასიმილატორობის» წინააღმდეგ ყვირილი შეუძლიათ მხოლოდ ებრაელ რეაქციულ მეშჩანებს, რომელთაც სურთ ისტორიის ჩარხი უკუღმა შეატრიალონ, აიძულონ იგი წარიმართოს არა რუსეთისა და გალიციის წესწყობიდან პარიზისა და ნიუ-იორკის წესწყობისაკენ, არამედ პირიქით.

ასიმილატორობის წინააღმდეგ არასოდეს არ უყვირიათ ებრაელთა მსოფლიო-ისტორიულად სახელგანთქმულ იმ საუკეთესო ადამიანებს, რომლებსაც მსოფლიოსათვის დემოკრატიისა და სოციალიზმის მოწინავე ბელადები მიუციათ. ასიმილატორობის წინააღმდეგ ყვირიან მხოლოდ სასოებით მჭვრეტელნი ებრაელთა «უკანასი».

იმის შესახებ, თუ რა ზომით წარმოებს საზოგადოდ ერების ასიმილაციის პროცესი მოწინავე კაპიტალიზმის თანამედროვე პირობებში, შეიძლება დაახლოებითი წარმოდგენა ვიქონიოთ, მაგ., იმ მონაცემების მიხედვით, რომლებიც ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრაციას შეეხება. ევროპას იქითკენ 10 წლის, 1891 — 1900 წწ., განმავლობაში გაუგზავნია 3,7 მილიონი კაცი, ხოლო ცხრა წლის, 1901 — 1909 წწ., განმავლობაში — 7,2 მილიონი კაცი. 1900 წლის აღწერით შეერთ. შტატებში 10 მილიონზე მეტი უცხოელი აღმოჩნდა. ნიუ-იორკის შტატი, სადაც იმავე აღწერის მიხედვით 78 ათასზე მეტი ავსტრიელი იყო, 136 ათასი ინგლისელი, 20 ათასი ფრანგი, 480 ათასი გერმანელი, 37 ათასი უნგრელი, 425 ათასი ირლანდიელი, 182 ათასი იტალიელი, 70 ათასი პოლონელი, 166 ათასი რუსეთიდან (უმთავრესად ებრაელები), 43 ათასი შვეციელი და სხვ., — ეს შტატი ემსგავსება წისქვილს, რომელიც ეროვნულ სხვადასხვაობას ფქვავს. და ის,

რაც ფართო, ინტერნაციონალური ზომით ხდება ნიუ-იორკში, ხდება აგრეთვე თ ვ ი თ ე უ ლ დიდ ქალაქსა და საფაბრიკო დაბაში.

ვინც ნაციონალისტურ ცრურწმენებში არ ჩაფლულა, შეუძლებელია მან კაპიტალიზმის მიერ ერების ამ ასიმილაციის პროცესში არ დაინახოს უდიდესი ისტორიული პროგრესი, სხვადასხვა მივარდნილ კუთხეთა ეროვნული დახავსებულობის დარღვევა — განსაკუთრებით რუსეთის მსავს ჩამორჩენილ ქვეყნებში.

აღლეთ რუსეთი და ველიკოროსების დამოკიდებულება უკრაინელებისადმი. თავისთავად ცხადია, ყოველი დემოკრატი, მარქსისტზე, რომ არა ვთქვათ რა, გადაჭრით იბრძოლებს უკრაინელების გაუგონარი დამცირების წინააღმდეგ და მოითხოვს მათს სრულ თანასწორუფლებიანობას. მაგრამ სოციალიზმისადმი პირდაპირი ღალატი და სულელური პოლიტიკა იქნებოდა, უკრაინელთა ბურჟუაზიული «ეროვნული ამოცანების» თვალსაზრისითაც კი — შ ე გ ვ ე ს უ ს ტ ე ბ ი ნ ა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ამჟამად არსებული სიახლოვე და კავშირი უკრაინელი და ველიკოროსი პროლეტარიატისა.

ბ-ნი ლევ იურკევიჩი, რომელიც აგრეთვე «მარქსისტს» უწოდებს თავის თავს (საბრალო მარქსი!), ამ სულელური პოლიტიკის ნიჭუშს იძლევა. 1906 წელს, — წერს ბ-ნი იურკევიჩი, — სოკოლოვსკი (ბა-სოკი) და ლუკაშევიჩი (ტუჩაპსკი) ამტკიცებდნენ: უკრაინის პროლეტარიატი სრულიად გარუსებულია, და ცალკე ორგანიზაცია მას არ სჭირდებაო. ამის გამო ბ-ნი იურკევიჩი, არ ცდილობს რა თუნდ ერთი ფაქტის მოყვანას ს ა კ ი თ ხ ი ს ა რ ს ე ბ ი თ ს მ ხ ა რ ე ზ ე, თავს ესხმის მათ ორივეს და ისტერიულად გაჰკივის — სავსებით შესაბამისად ულუდესი ღირსების, ბრიყვული და რეაქციული ნაციონალიზმისა: ეს «ეროვნული პასიეობაა», «ეროვნული განდგომაოა», ამ ადამიანებმა «გათიშეს (!!) უკრაინელი მარქსისტებიო» და სხვ.. ახლა ჩვენში, მიუხედავად «მუშებს შორის უკრაინული ეროვნული შეგნების გაძლიერებისა», «ეროვნულად შეგნებულია» მუშების უ მ ც ი რ ე ს ო ბ ა, ხოლო უმრავლესობაო — გვარწმუნებს ბ-ნი იურკევიჩი — «ჯერ კიდევ რუსეთის კულტურის გავლენას განიცდის». და ჩვენი ვალია — იძახის ნაციონალისტი მეშჩანი — «მასებს კი არ გავუკვეთ, არამედ თან გავიყოლიოთ ისინი, განვუმარტოთ მათ ეროვნული ამოცანები (национальну справу) («ძვინ»,[76] გვ. 89).

ბ-ნ იურკევიჩის მთელი ეს მსჯელობა ერთიანად ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურია. მაგრამ თვით იმ ბურჟუაზიული ნაციონალისტების თვალსაზრისითაც კი, რომელთა შორის ზოგი უკრაინის სრულ თანასწორუფლებიანობასა და ავტონომიას მოითხოვს, სხვები კი —

დამოუკიდებელ უკრაინულ სახელმწიფოს, ეს მსჯელობა კრიტიკას ვერ უძლებს. უკრაინელების განმათავისუფლებელ მისწრაფებათა წინააღმდეგია ველიკოროს და პოლონელ მემამულეთა კლასი, შემდეგ— ორივე ამ ერის ბურჟუაზია. რომელ საზოგადოებრივ ძალას შეუძლია გაუმკლავდეს ამ კლასებს? XX საუკუნის პირველმა ათწლეულმა მოგვცა ფაქტიური პასუხი: ეს ძალაა მხოლოდ და მხოლოდ მუშათა კლასი, რომელსაც თან მიჰყავს დემოკრატიული გლეხობა. ცდილობს რა გათიშოს და მით დაასუსტოს ნამდვილად დემოკრატიული ძალა, რომლის გამარჯვების შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა ეროვნული ძალმომრეობა, ბ-ნი იურკევიჩი ღალატობს არა მარტო საერთოდ დემოკრატიის, არამედ თავისი სამშობლოს, უკრაინის ინტერესებსაც. ველიკოროს და უკრაინელ პროლეტართა ერთიანი მოქმედებისას თავისუფალი უკრაინა შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა, ამ ერთიანობის გარეშე მასზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

მაგრამ მარქსისტები როდი სჯერდებიან ბურჟუაზიულ-ნაციონალურ თვალსაზრისს. უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია, რაც სავსებით გაბატონებულია სამხრეთის, ე. ი. უკრაინის უფრო სწრაფი ეკონომიური განვითარების პროცესი, რადგან უკრაინა ათი და ასიათასობით გლეხსა და მუშას იზიდავს ველიკოროსიიდან თავისი კაპიტალისტური ეკონომიებისა, მაღაროებისა და ქალაქებისაკენ. ამ ფარგლებში ველიკოროსი და უკრაინელი პროლეტარიატის «ასიმილაციის» ფაქტი უეჭველია. დ ა ე ს ფ ა ქ ტ ი უ თ უ ო დ პროგრესულია. გონებაჩლუნგი, მცონარე, უძრავი და დათვივით ველური გლეხის — ველიკოროსის თუ უკრაინელის — მაგივრად კაპიტალიზმი აყენებს მოძრავ პროლეტარს, რომლის ცხოვრების პირობები არღვევენ სპეციფიკურ ეროვნულ კარჩაკეტილობას, როგორც ველიკოროსულს, ისე უკრაინულს. ვთქვათ, ოღესმე ველიკოროსიასა და უკრაინას შორის გაჩნდა სახელმწიფოებრივი საზღვარი,—ამ შემთხვევაშიც ველიკოროსი და უკრაინელი მუშების «ასიმილაციის» ისტორიული პროგრესულობა უეჭველი იქნება, ისევე როგორც პროგრესულია ერების გათქვეფა ამერიკაში. რაც უფრო თავისუფალი გახდება უკრაინა და ველიკოროსია, მით უ ფ რ ო ფ ა რ თ ო დ დ ა ს წ რ ა ფ ა დ განვითარდება კაპიტალიზმი, რომელიც მაშინ კიდევ უფრო ძლიერად მიიზიდავს ყ ვ ე ლ ა ერის მუშებს სახელმწიფოს ყველა ოლქიდან და ყველა მეზობელი სახელმწიფოდან (თუ რუსეთი უკრაინის მიმართ მეზობელი სახელმწიფო იქნება) მუშათა მასას ქალაქებისა, მაღაროებისა და ქარხნებისაკენ.

ბ-ნი ლევ იურკევიჩი ისე იქცევა, როგორც ნამდვილი ბურჟუა და ამასთანავე, როგორც ბეცი, ვიწრო ყაიდის, გონებაჩლუნგი ბურჟუა, ე. ი. როგორც მეშჩანი, როდესაც ორი ერის პ რ ო ლ ე ტ ა-რ ი ა ტ ი ს ერთობის, შედუღების, ასიმილაციის ინტერესებს იგი უკუაგდებს უკრაინელთა ეროვნული ამოცანების (справы) დროებითი წარმატებისათვის. ჯერ — ეროვნული ამოცანები, მერე — პროლეტარულიო, ამბობენ ბურჟუაზიული ნაციონალისტები და ბბ. იურკევიჩები, დონცოვები და სხვა ვაი-მარქსისტები მათი აყოლით. პროლეტარული ამოცანები — უწინარეს ყოვლისა, ვამბობთ ჩვენ, ვინაიდან ეს უზრუნველყოფს არა მარტო შრომის ხანგრძლივ, ძირითად ინტერესებს და კაცობრიობის ინტერესებს, არამედ დემოკრატიის ინტერესებსაც, ხოლო უდემოკრატიოდ წარმოუდგენელია როგორც ავტონომიური, ისე დამოუკიდებელი უკრაინა.

დასასრულ, ბ-ნ იურკევიჩის ნაციონალისტური მარგალიტებით არაჩვეულებრივ მდიდარ მსჯელობაში კიდევ შემდეგი რამაა აღსანიშნავი. ეროვნულად შეგნებულია უკრაინელი მუშების უმცირესობაო, ამბობს ის, — «უმრავლესობა ჯერ კიდევ რუსული კულტურის გავლენას განიცდის» (більшість перебуває ще під впливом російської культури).

როდესაც პროლეტარიატზეა ლაპარაკი, მთელი უკრაინული კულტურის ეს დაპირისპირება მთელივე ველიკოროსული კულტურისადმი ნიშნავს პროლეტარიატის ინტერესთა ყოვლად ურცხვ გაცემას ბურჟუაზიული ნაციონალიზმის სასარგებლოდ.

ორი ერია თვითეულ თანამედროვე ერში — ვეტყვით ჩვენ ყველა ნაციონალ-სოციალს. არის ორი ნაციონალური კულტურა თვითეულ ნაციონალურ კულტურაში. არის ველიკოროსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვების და სტრუვეებისა, — მაგრამ არ ის აგრეთვე ველიკოროსული კულტურა, რომლის დამახასიათებელია ჩერნიშევსკისა და პლეხანოვის სახელები. ა ს ე თ ი ვ ე ო რ ი კულტურაა უკრაინელობაში, ისე როგორც გერმანიასა, საფრანგეთსა, ინგლისში, ებრაელებში და სხვ.. თუ უკრაინელი მუშების უმრავლესობა ველიკოროსული კულტურის გავლენას განიცდის, ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ ველიკოროსული ხუცური და ბურჟუაზიული კულტურის იდეებთან ერთად აქ ველიკოროსული დემოკრატიისა და სოციალ-დამოკრატიის იდეებიც მოქმედებენ. პირველი სახის «კულტურის» წინააღმდეგ ბრძოლის დროს უკრაინელი მ ა რ ქ ს ი ს-ტ ი ყოველთვის გამოარჩევს მეორე კულტურას და ეტყვის თავისიან მუშებს: «ველიკოროს შეგნებულ მუშასთან, მის ლიტერატუ-

რასთან, მის იდეათა წრესთან ურთიერთობის ყოველ შესაძლებლობას აუცილებლად უნდა ჩაეჭიდო მთელი ძალღონით, გამოიყენო ის, განამტკიცო, — ამას მოითხოვს *როგორც* უკრაინის, *ისე* ველიკოროსიის მუშათა მოძრაობის ძირითადი ინტერესები».

თუკი უკრაინელ მარქსისტს ველიკოროს-მჩაგვრელებისადმი *საკუთარი კანონიერი და ბუნებრივი* სიძულვილი *იმდენად* გაიტაცებს, რომ ამ სიძულვილის თუნდ ნაწილაკს, თუნდ მარტო განკერძოებას, ველიკოროსი მუშების პროლეტარულ კულტურასა და პროლეტარულ საქმეზე გადაიტანს, ასეთი მარქსისტი ამით ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ჭაობში ჩაქანდება. ასევე ჩაქანდება არა მარტო ბურჟუაზიული, არამედ თვით შავრაზმული ნაციონალიზმის ჭაობში ველიკოროსი მარქსისტიც, თუ ის ერთი წუთით მაინც დაივიწყებს უკრაინელთა სრული თანასწორუფლებიანობის მოთხოვნას ან მათს *უფლებას* — შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ველიკოროსმა და უკრაინელმა მუშებმა ერთად და, სანამ ერთ სახელმწიფოში ცხოვრობენ, ფრიად მჭიდრო ორგანიზაციული ერთობით და შეკავშირებით უნდა დაიცვან პროლეტარული მოძრაობის საერთო ანუ ინტერნაციონალური კულტურა, ამასთან აბსოლუტური შეწყნარებით უნდა უყურებდნენ პროპაგანდის ენის საკითხს და ამ პროპაგანდის დროს წმინდა-ადგილობრივ ან წმინდა-ეროვნულ *თავისებურებათა* გათვალისწინების საკითხს. ასეთია მარქსიზმის უეჭველი მოთხოვნა. ყოველი ქადაგება ერთი ერის მუშების მეორისაგან გამოყოფისა, ყოველი გალაშქრება მარქსისტული «ასიმილატორობის» წინააღმდეგ, ყოველი დაპირისპირება პროლეტარიატის საკითხებში მთლიანად ერთი ნაციონალური კულტურისა მეორე ვითომდა მთელივე ნაციონალური კულტურისადმი და ა. შ., — ეს არის *ბურჟუაზიული* ნაციონალიზმი, რომლის წინააღმდეგაც სავალდებულოა დაუნდობელი ბრძოლა.

1913 წლის ოქტომბერი — დეკემბერი, თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 20, გვ. 4 — 22

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

საჭიროა თუ არა სავალდებულო სახელმწიფო ენა?

ლიბერალები რეაქციონერებისაგან იმით განირჩევიან, რომ დაწყებითი სკოლისათვის მაინც აღიარებენ დედაენაზე სწავლების უფლებას. მაგრამ ისინი სავსებით ეთანხმებიან რეაქციონერებს იმ მხრივ, რომ სავალდებულო სახელმწიფო ენა უნდა იყოსო.

რას ნიშნავს სავალდებულო სახელმწიფო ენა? პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ ველიკოროსთა ენას, რომლებიც რუსეთის მოსახლეობის უმცირესობას შეადგენენ, თავს ახვევენ რუსეთის მთელ დანარჩენ მოსახლეობას. ყოველ სკოლაში სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულო უნდა იყოს. მთელი ოფიციალური საქმისწარმოება აუცილებლად სახელმწიფო ენაზე უნდა ხორციელდებოდეს, და არა ადგილობრივი მოსახლეობის ენაზე.

რით ამართლებენ სავალდებულო სახელმწიფო ენის აუცილებლობას ის პარტიები, რომლებიც მას იცავენ?

შავრაზმელების «საბუთები», რა თქმა უნდა, მოკლეა: ყველა უცხოტომელი მაგრად უნდა ჩაიჭირო ხელში, თავი არ უნდა «ააშვებინოო». რუსეთი განუყოფელი უნდა იყოს, და ყველა ხალხი ველიკოროსულ საწყისს უნდა ემორჩილებოდეს, რადგან ველიკოროსები რუსთა ქვეყნის ვითომ აღმაშენებელნი და შემკრებნი ყოფილან. ამიტომ მმართველი კლასის ენა სავალდებულო სახელმწიფო ენა უნდა იყოსო. ბატონი პურიშკევიჩები არც იმას მოერიდებიან, რომ სრულებით აკრძალონ ის «ძაღლური კილოკავები», რომლებზედაც რუსეთის არაველიკოროსი მოსახლეობის დაახლოებით 60% ლაპარაკობს.

ლიბერალების პოზიცია ბევრად უფრო «კულტურულია» და «ფაქიზი». ისინი იმის მომხრენი არიან, რომ განსაზღვრულ ფარგლებში (მაგალითად, დაბალ სკოლაში) ნებადართულ იქნას დედაენა.

მაგრამ ამასთან ერთად ისინი იცავენ სახელმწიფო ენის აუცილებლობას. ეს საჭიროა «კულტურის», «ერთიანი» და «განუყოფელი» რუსეთის ინტერესებისათვისო და სხვ.

«სახელმწიფოებრიობა კულტურული ერთიანობის განმტკიცებაა... სახელმწიფოებრივი კულტურის შემადგენლობაში აუცილებლად შედის სახელმწიფო ენაც... სახელმწიფოებრიობას საფუძვლად ხელისუფლების ერთიანობა უდევს, და სახელმწიფო ენა ამ ერთიანობის იარაღია. სახელმწიფო ენა ისეთივე იძულებითი და საყოველთაო-სავალდებულო ძალით არის აღჭურვილი, როგორც სახელმწიფოებრიობის ყველა სხვა ფორმა...

თუ რუსეთს კვლავაც ერთიანობა და განუყოფლობა უნერია, მტკიცედ უნდა დავიცვათ რუსული სალიტერატურო ენის სახელმწიფოებრივი მიზანშეწონილობა».

აი ლიბერალის ტიპიური ფილოსოფია სახელმწიფო ენის აუცილებლობის შესახებ.

ზემომოყვანილი სიტყვები ჩვენს მიერ ამოღებულია ბ-ნ ს. პატრაშკინის სტატიიდან, რომელიც ლიბერალურ გაზეთ «დენშია»[77] (№ 7) დაბეჭდილი. ასეთი აზრებისათვის, სრულიად გასაგებ მიზეზთა გამო, შავრაზმულმა «ნოვოე ვრემიამ» ლაზათიანი კოცნით დააჯილდოვა მათი ავტორი. ბ-ნი პატრაშკინი აქ «სრულიად საღ აზრებს» გამოთქვამსო, განაცხადა მენშიკოვის გაზეთმა (№ 13588). ასეთი ფრიად «საღი» აზრებისათვის შავრაზმელები მუდამ აქებენ ნაციონალ-ლიბერალურ «რუსსკაია მისლსაც». მართლაცდა, რატომ არ უნდა შეაქონ, როცა ლიბერალები «კულტურული» საბუთების საშუალებით ქადაგებენ იმას, რაც ასე მოსწონთ ნოვოვრემიელებს?

რუსული ენა დიადი და მძლავრიაო, გვეუბნებიან ლიბერალები. ნუთუ თქვენ არა გსურთ, რომ ყოველმა ადამიანმა, რუსეთის რომელ განაპირა კუთხეშიც ცხოვრობდეს იგი, იცოდეს ეს დიადი და მძლავრი ენა? ნუთუ თქვენ ვერ ხედავთ, რომ რუსული ენა გაამდიდრებს უცხოტომელთა ლიტერატურას, საშუალებას მისცემს მათ — ეზიარონ დიად კულტურულ ღირებულებებსო და სხვ.?

ყველაფერი ეს მართალია, ბატონო ლიბერალებო, — ვუპასუხებთ ჩვენ მათ. ჩვენ თქვენზე უკეთ ვიცით, რომ ტურგენევის, ტოლსტოის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის ენა დიადია და მძლავრი. ჩვენ თქვენზე მეტად გვსურს, რომ რუსეთში მოსახლე უკლებლივ ყველა ერის ჩაგრულ კლასთა შორის დამყარდეს რაც შეიძლება მჭიდრო ურთიერთობა და ძმური ერთიანობა. და ჩვენ, რა თქმა უნდა, იმის მომხრენი ვართ, რომ რუსეთის ყოველ მცხოვრებს შესაძლებლობა ჰქონდეს შეისწავლოს დიადი რუსული ენა.

ჩვენ არა გვსურს მხოლოდ ერთი რამ: ი ძ უ ლ ე ბ ი ს ელემენტი.

ჩვენ არა გვსურს კეტით ვერეკებოდეთ ვინმეს სამოთხეში. ვინაიდან, რაგინდ ლამაზ-ლამაზი ფრაზებიც უნდა სთქვათ თქვენ «კულტურის» შესახებ, ს ა ვ ა ლ დ ებ უ ლ ო სახელმწიფო ენა დაკავშირებულია იძულებასთან, ძალით ჩანერგვასთან. ჩვენ ვფიქრობთ, დიად და მძლავრ რუსულ ენას არ სჭირდება, რომ მას ჯ ო ხ ი ს შ ი შ ი თ სწავლობდეს ვინმე. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებას, საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ მსვლელობას მივყავართ ყველა ერის ურთიერთდაახლოებისაკენ. ასიათასობით ადამიანები გადაიტყორცნებიან რუსეთის ერთი კუთხიდან მეორეში, მრსახლეობის ეროვნული შემადგენლობა უფრო შერეული ხდება, განკერძოება და ეროვნული კარჩაკეტილობა უნდა მოისპოს. ისინი, ვისაც თავისი ცხოვრებისა და მუშაობის პირობების გამო რუსული ენის ცოდნა სჭირდება, მას უჯოხოდაც შეისწავლიან. ხოლო ძალდატანება (ჯოხი) მხოლოდ ერთ რამეს გამოიწვევს: იგი დააბრკოლებს დიადი და მძლავრი რუსული ენის გავრცელებას სხვა ეროვნულ ჯგუფებში და, რაც მთავარია, — გაამწვავებს მტრობას, შექმნის ათასგვარ ახალ უთანხმოებას, გააძლიერებს შუღლს, ურთიერთგაუგებლობას და სხვ.

ვისთვისაა ეს საჭირო? რუს ხალხს, რუს დემოკრატიას ეს არ ესაჭიროება. იგი არა ცნობს ა რ ა ვ ი თ ა რ ეროვნულ ჩაგვრას, თუნდაც «რუსული კულტურისა და სახელმწიფოებრიობის ინტერესებისათვის».

აი რატომ ამბობენ რუსი მარქსისტები, რომ აუცილებელია: — სავალდებულო სახელმწიფო ენის ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ა, ამასთან მოსახლეობისათვის სკოლებში ყველა ადგილობრივ ენაზე სწავლების უზრუნველყოფა, აგრეთვე კონსტიტუციაში ისეთი ძირითადი კანონის შეტანა, რომლითაც გაბათილებულად გამოცხადდება ერთ-ერთი რომელიმე ერის ყოველგვარი პრივილეგია და ეროვნული უმცირესობის უფლებათა რაიმეგვარი დარღვევა...

დაბეჭდილია 1914 წ. 18 იანვარს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 20,
გვ. 70 — 73

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

კაპიტალიზმი და ბეჭდვითი სიტყვა

როდესაც ორი ქურდი ჩხუბობს, პატიოსანი ხალხისათვის ამას ყოველთვის ექნება ერთგვარი სარგებლობა. როდესაც საბოლოოდ წაიკიდებიან ბურჟუაზიული საგაზეთო საქმის «მოღვაწენი», საზოგადოების წინაშე ისინი ამჟღავნებენ «დიდი» გაზეთების გამყიდველობასა და თაღლითობას.

ნოვოევრემიელი ნ. სნესარევი წაეჩხუბა «ნოვოე ვრემიას», ფული გაფლანგა და სკანდალით იქნა გაძევებული. ახლა მან გამოაქვეყნა 135-გვერდიანი «თხზულება» სათაურით: ««ნოვოე ვრემიას» მირაჟი. თითქმის რომანი. სპბ. 1914». ბ-ნ სნესარევს, როგორც მიღებულია, «კეთილშობილ» ადამიანად მოაქვს თავი; იგი აგვიწერს იმ ზნე-ჩვეულებებს, რაც დიდი ხანია დამკვიდრებულია დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებში და უფრო და უფრო იჭრება რუსეთის ბურჟუაზიული გაზეთების წრეში, რა თქმა უნდა, ისეთი პირობების არსებობის დროს, რომლებიც საგანგებოდ ხელს უწყობენ განსაკუთრებით ბინძურ, განსაკუთრებით საზიზღარ მოსყიდვათა, მლიქვნელობისა და სხვ. დაფარვასა და დაუსჯელობას.

«თანდათანობით ყველა მიეჩვია თავის სახსრებზე გაცილებით უფრო ხელგაშლილად ცხოვრებას», — კეკლუცი გულუბრყვილობით წერს «დაზარალებული» ნოვოევრემიელი. — «თუ როდის და რა გზით განთავისუფლდება საზოგადოება ამ მოვლენისაგან და განთავისუფლდება კი, — არ ვიცით. მაგრამ მდგომარეობა რომ ახლა ასეთია, ეს საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია». და ერთ-ერთ მაგიურ საშუალებას, რაც ნებას გაძლევს — მეტი ჰხარჯო, ვიდრე ღებულობ, წარმოადგენს ბურჟუაზიული გაზეთების «მ ო ნ ა წ ი ლ ე ო ბ ა» კონცესიათა გატარებაში. «შეგვიძლია დავასახელოთ —

გვიამბობს ნოვოვერემიელი — ათობით სხვადასხვა კონცესია, რომელიც ცხოვრებაში მარტო განსაზღვრული ნაცნობობა-კავშირის მეოხებით კი არ გატარდა, არამედ განსაზღვრულ გაზეთებში განსაზღვრული სტატიების მოთავსების საშუალებითაც. გამონაკლისს, ცხადია, არც «ნოვოე ვრემია» წარმოადგენს» მაგ., ბ-ნ სნესარევთან ერთხელ მისულა მარკონის უმავთულო ტელეგრაფის ლონდონის კომპანიის წარმომადგენელი და წინადადება მიუცია — შეედგინა მარკონის რუსული საზოგადოების წესდება და პროექტი კონცესიისა ამ საზოგადოების სასარგებლოდ. «ამ შრომის ჯილდოდ 10 000 მანეთი იყო გადადებული, და შეთანხმება დაიდო».

დაზარალებული სნესარევი მოგვითხრობს, ამ ფულში კაპიტალისტებს მარტო მე კი არ მივყიდე ჩემი თავიო, არამედ გაზეთი «ნოვოე ვრემიაც» მთლიანად მიეყიდა «კონცესიის დაცვის კამპანიის» ჩასატარებლად, რისთვისაც მიიღო 50% ფასდაკლება დეპეშებზე და საზოგადოების დამფუძნებლის «ადგილი» 50 000 მანეთის აქციებითო.

ლონდონის კაპიტალისტები — რუსების გაყვლეფა — კონცესია რუსეთის მთავრობისაგან — პრესის მონაწილეობა — საყოველთაო გამყიდველობა — ყიდვა-გაყიდვა, ვისიცა გნებავთ, ათეულობით ათას მანეთად — აი სიმართლის გამომხატველი სურათი, რომელსაც თვალწინ გვიშლის ეურდობის ჩამდენი და ნაწყენი სნესარევი.

«ნოვოე ვრემიას» მილიონიანი წამოწყება დაქვეითებას განიცდის. მილიონერ-რენეგატის ა. ს. სუვორინის ვაჟები ქეიფში ხარჯავენ და წყალში ყრიან მილიონებს. საპირო კეთილშობილი გაზეთის ხსნა. სცენაზე გამოდის «ვოლგა-კამის ბანკის დირექტორი-განმკარგულებელი პ. ლ. ბარკი» (გვ. 85). იგი არწმუნებს ა. ს. სუვორინს — საქმე გადასცეს ამხანაგობას, რომელმაც 1911 წ. აგვისტოში მიიღო უ მ ა ღ ლ ე ს ა დ დამტკიცებული წესდება, ამასთან 800 პაიდან 650 ა. ს. სუვორინისა იყო (თითო პაი — 5 000 მან.). ბალანსი საზოგადოების დაარსებისას ფიქტიური იქნა შედგენილიო (გვ. 97) — განმარტავს ბ-ნი სნესარევი, თანაც დასძენს: «ამხანაგობის დაარსების დროს ამგვარი ბალანსის მიღება შეეძლოთ ან ციფრებში სრულიად ვერაფრის გამგებ, ანდა ბ-ნ გუჩკოვისთანა ადამიანებს, ე. ი. იმათ, ვისაც ჩინებულად ესმოდა საქმე, მაგრამ მხოლოდ თავის პირად მიზნებს ემსახურებოდა». ამ ამხანაგობის დაფუძნების გმირები (დამფუძნებელი კრება 1911 წ. 10 ნოემბერს შესდგა) ყოფილან თ ვ ი თ ს ნ ე ს ა რ ე ვ ი, პ. ლ. ბარკი, ვ. პ. ბურენინი, სახ. სათათბიროს წევრი ოქტიაბრისტი შუბინსკი, კეთილშობილი რენეგატის ა. ს. სუვორინის ვაჟები და სხვ.

როგორც მკითხველი ხედავს, ეს მაღალპატივსაცემი კომპანია განსაკუთრებული სიმარჯვით 1911 წლის ნოემბრიდან საქმიანობდა. ხოლო 1912 წ ლ ი დ ა ნ ო — მოგვითხრობს დაზარალებული სნესარევი — «ნოვოე ვრემიას» პრივილეგია საადგილმამულო ბანკების განცხადებათა მიღებისა («არც თუ ისე დიდი შემოსავალი»: სულ 15 000 მან. წელიწადში, თუ «რაღაც მსგავსი» ამისა!), ეს პრივილეგია სუბსიდიად იქცაო. ვინაიდან კანონის თანახმად განცხადებანი ყველაზე უფრო გავრცელებულ გაზეთში უნდა თავსდებოდეს. «ნოვოე ვრემია» ა რ ყოფილა მაშინ ყველაზე უფრო გავრცელებული, მაგრამ მან «აანუშავა» («პირველადო», ფიცულობს კეთილშობილი სნესარევი) თავისი მალული გავლენა-ნაცნობობა მთავრობის სფეროებში, რათა თავის ხელში შეენარჩუნებინა საადგილმამულო ბანკების განცხადებანი. «მინისტრთა საბჭოში ამ საკითხის გადაწყვეტის დროს. საკმაოდ სერიოზული ყოყმანის შემდეგ, გადაწყდა — განცხადებანი «ნოვოე ვრემიასათვის» დაეტოვებინათ» (გვ. 21).

ეწყობა სალიტერატურო-სამხატვრო საზოგადოების კლუბი. «პირდაპირ რომ ითქვას, საყომარბაზო სახლი» (გვ. 69); «კლუბის სავალო დავთრებში «ნოვოე ვრემიას» თანაშრომლებზე ათას მანეთობით ვალი ირიცხებოდა. ამ ვალს პირდაპირ ჩამოსწერდნენ ხოლმე ანგარიშიდან».

ბირჟის საქმოსანი მანუსი, ბირჟაზე ვამდიდრებული, «რამდენიმე მილიონის» ნაძარცვი ქონების პატრონი (120), ბბ. მენშიკოვებისა და სხვ. მონაწილეობით, «ნოვოე ვრემიაში» კაპპანიას ეწევა მინისტრ კოკოვცოვის გადასაყენებლად. მკითხველებისათვის მიგვინდვია იმ კითხვაონ. რამდენ-რამდენი ათეული ათასი მიუღიათ ყველა ამ «მოღვაწეებს» და რამდენი დარჩენიათ მიუღებელი.

მილიონების ფერხული. «ნოვოე ვრემიას» ხუთმილიონიანი ბალანსი, აქედან დაახლოებით სამი მილიონი — ფიქცია. ჯამაგირები და ჰონორარები — 2 — 3 ათასი მანეთი თ ვ ი უ რ ა დ მეორეხარისხოვანი და მესამესარისხოვანი მუშაკებისათვის. ფული კი ასიათასობით და მილიონობით ნიავდება. ასიათასობით სესხი ბანკებში. საყოველთაო გამყიდველობა. ყველა ჯურის პროსტიტუცია, უკანონო და კანონიერი, ქორწინებით ნაკურთხი. პეტერბურგის საუკეთესო და მაღალი საზოგადოება. მილიონერები, მინისტრები, ბირჟის საქმოსანნი, წარჩინებული უცხოელნი. საყომარბაზო სახლები. სხვადასხვა სახის შანტაჟი. «არავითარი პოლიტიკური რწმენა» (გვ. 36). შური და ფანდები. ამფითეატროვი და სნესარევი დუელში იწვევენ ინჟინერს, რომელმაც აწყენინა «ნოვოე ვრემიას» რედაქციას, რად-

გან უკანასკნელმა ლაფი დაასხა სტუდენტებს. ა. ს. სუვორინი, რომელსაც «ძალიან უყვარს» ამფითეატროვი, მაგრამ რომელსაც «არ შეუძლია უარი თქვას სიამოვნებაზე — უსიამოვნება მიაყენოს მას»: დაბეჭდოს ბურენინის ფელეტონი «საძაგელი» გამოხდომით მსახიობ ქალის რაისკაიას, ამფითეატროვის ცოლის, წინააღმდეგ. ბურენინი აძევებს ამფითეატროვს. სუვორინის ვაჟები ასი ათას მანეთობით სესხულობენ ფულს.

«ნოვ. ვრემიას» ზარალი 1905 წელს 150 000 მანეთია.

1905 წლით შეშინებული მოსკოველი ვაჭარ-მექარხნენი 100 000 მანეთს იძლევიან მუშებისათვის პატრიოტული მიმართულების გაზეთის გამოსაცემად. «ნოვოე ვრემია», მათი თხოვნით, კისრულობს საქმის მოწყობას.

გაზეთმა ორ წელს «იბოგინა საცოდავად» და დაიხურა. მოსკოველებმა 100 000 მან. დაკარგეს, ნოვოევრემიელებმა — 150 000 მან. (61).

ქურდები, როსკიპი მამაკაცები, გამყიდველი მწერლები, გამყიდველი გაზეთები. ესაა ჩვენი «დიდი პრესა». ესაა «ძაღალი» საზოგადოების რჩეული ნაწილი. ამ ადამიანებს «ყველა» იცნობს, მათ «ყველგან» აქვთ კავშირი... მებატონეთა უსირცხვილო თავხედობა, რომელიც ბნელში გადახვევია ბურჟუაზიის უსირცხვილო გამყიდველობას, — აი იგი — «წმიდა რუსეთი».

დაბეჭდილია 1914 წ. 20 მარტს,
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 20,
გვ. 187 — 191

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

ნაშრომიდან «ნაციონალური პოლიტიკის საკითხისთვის»[78]

... რუსეთში მთავრობის, ე. ი. აშკარად გადამეტებული და «მთავრობის მიზანთა» შესაბამისად გაყალბებული, სტატისტიკის მიხედვითაც კი ჩვენი ქვეყნის მთელ მოსახლეობაში ველიკოროსები მხოლოდ 43% ითვლება. ველიკოროსები რუსეთში მოსახლეობის ნახევარზე ნ ა კ ლ ე ბ ს შეადგენენ. მალოროსები ანუ უკრაინელებიც კი ჩვენში ოფიციალურად, «თ ვ ი თ» სტოლიპინის პირით, «უ ც ხ ო ტ ო მ ე ლ ე ბ ს» მიაკუთვნეს. მაშასადამე, «უცხოტომელნი» რუსეთის მოსახლეობის 57%-ს შეადგენენ, ე. ი. მოსახლეობის უმრავლესობას, თითქმის $^3/_5$-ს, ნამდვილად კი, ალბათ, სამ მეხუთედზე მეტსაც. სახ. სათათბიროში მე ამორჩეული ვარ ეკატერინოსლავის გუბერნიიდან, სადაც მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა უკრაინელებისაგან შესდგება. შევჩენ.ოს საპატივცემლო ზეიმის აკრძალვა ისეთი ჩინებული, საუცხოო, უაღრესად საბედნიერო და მარჯვე ზომა იყო მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის თვალსაზრისით, რომ უკეთესი აგიტაციის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. ვე მგონია, მთავრობის წინააღმდეგ მოქმედი ყველა ჩვენი საუკეთესო სოციალ-დემოკრატი აგიტატორები ვერასოდეს ვერ მიაღწევდნენ ასე მოკლე ხანში ისეთ თავბრუდამხვევ წარმატებებს, როგორსაც ამ ზომამ მიაღწია მთავრობის საწინააღმდეგო აზრით. ამ ღონისძიების შემდეგ მილიონობით «ობივატელები» უკვე შეგნებული მოქალაქეები ხდებიან და რწმუნდებიან იმ გამონათქვამის სისწორეში, რომ რუსეთი «ხალხთა საპყრობილეა»...

1914 წ. 6 (19) აპრილის შემდეგ
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 20.
გვ. 260 — 261

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან

მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორია რუსეთში განუყრელად დაკავშირებულია დემოკრატიული და სოციალისტური მოძრაობის ისტორიასთან. ამიტომ, მხოლოდ მაშინ, თუ გვეცოდინება განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი ეტაპები, შეეძლებთ ნამდვილად გავიგოთ, რატომ მიდიოდა მუშათა ბეჭდვითი სიტყვის მომზადება და აღმოცენება ასეთი და არა სხვა რომელიმე გზით.

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ რუსეთში სამი მთავარი ეტაპი განვლო, შესაბამისად რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეჭედს ასვამდნენ: 1) თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825-დან 1861 წლამდე; 2) რაზნოჩინცული ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861-დან 1895 წლამდე; 3) პროლეტარული — 1895 წლიდან დღემდე.

თავადაზნაურული პერიოდის ყველაზე გამოჩენილი მოღვაწეები იყვნენ დეკაბრისტები და გერცენი. იმ ხანაში, ბატონყმობის დროს, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა მუშათა კ ლ ა ს ი ს გამოყოფაზე ყმა, უუფლებო, «დაბალი», «შავი» წ ო დ ე ბ ი ს საერთო მასისაგან. მუშათა (პროლეტარულ-დემოკრატიული ან სოციალ-დემოკრატიული) ბეჭდვითი სიტყვის წინამორბედი იმ დროს იყო საერთო-დემოკრატიული, ცენზურას დაუქვემდებარებელი ბეჭდვითი სიტყვა გერცენის «კოლოკოლის» მეთაურობით.

როგორც დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი, ისე გერცენმა და მისმა «კოლოკოლმა» გამოღვიძების გზაზე დააყენეს რ ა ზ ნ ო ჩ ი ნ ც ე ბ ი, ლიბერალური და დემოკრატიული ბურჟუაზიის განათლებული წარმომადგენელნი, რომელნიც ეკუთვნოდნენ არა თავადაზნაურობას, არამედ მოხელეობას, მეშჩანობას, ვაჭრებს, გლეხობას. ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობაში რაზნოჩინცების მიერ

თავადაზნაურთა სრული განდევნის წინამორბედი ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს ბ. გ. ბელინსკი იყო. მისი ცნობილი «წერილი გოგოლისადმი», რომელიც ბელინსკის ლიტერატურულ მოღვაწეობას აჯამებდა, ცენზურაგაუვლელი დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები იყო, რომელმაც დღემდეც უდიდესი, ცოცხალი მნიშვნელობა შეინარჩუნა.

ბატონყმობის გადავარდნამ წარმოშვა რაზნოჩინეცი, როგორც მთავარი, მასობრივი მოღვაწე საერთოდ განმათავისუფლებელი მოძრაობისაც და, კერძოდ, ცენზურაგაუვლელი დემოკრატიული ბეჭდვითი სიტყვისაც. რაზნოჩინეცის თვალსაზრისის შესატყვისი გაბატონებული მიმართულება ნაროდნიკობა გახდა. მას არასოდეს არ შეეძლო, როგორც საზოგადოებრივ მიმდინარეობას, გამიჯნულიყო ლიბერალიზმისაგან მარჯვნით და ანარქიზმისაგან მარცხნით. მაგრამ ჩერნიშევსკიმ, რომელმაც გერცენის შემდეგ ნაროდნიკული შეხედულებანი განავითარა, უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ გერცენთან შედარებით. ჩერნიშევსკი გაცილებით უფრო თანამიმდევარი და მებრძოლი დემოკრატი იყო. მის თხზულებებს კლასობრივი ბრძოლის სული დასტრიალებს. იგი მკვეთრად ატარებდა ლიბერალიზმის ღალატის მხილებათა იმ ხაზს, რომელიც დღემდე სძაგთ კადეტებსა და ლიკვიდატორებს. იგი კაპიტალიზმის შესანიშნავი ღრმა კრიტიკოსი იყო, მიუხედავად თავისი უტოპიური სოციალიზმისა.

60-იანი და 70-იანი წლების ეპოქამ იცის საბრძოლო დემოკრატიული და უტოპიურ-სოციალისტური შინაარსის მთელი რიგი უცენზუროდ გამოსული ბეჭდვითი ნაწარმოებნი, რომლებმაც უკვე «მასებში» იწყეს გავრცელება. ხოლო იმ ეპოქის მოღვაწეთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავთ მუშებს პეტრე ალექსეევს, სტეფანე ხალტურინს და სხვ... მაგრამ ნაროდნიკობის საერთო მდინარებას პროლეტარულ-დემოკრატიული ნაკადი ვერ გამოეყოფოდა. მისი გამოყოფა მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც იდეურად ჩამოყალიბდა რუსული მარქსიზმის მიმართულება (ჯგუფი «შრომის განთავისუფლება», 1883 [79] წ.) და დაიწყო განუწყვეტელი მუშათა მოძრაობა სოციალ-დემოკრატიასთან დაკავშირებით (პეტერბურგის გაფიცვები 1895 — 1896 წლებში).

მაგრამ ვიდრე გადავიდოდეთ ამ ეპოქაზე, რომლიდანაც საკუთრივ იწყება მუშათა ბეჭდვითი სიტყვა რუსეთში, მოვიყვანთ მონაცემებს, რომლებიც თვალნათლივ გვიჩვენებენ სამი აღნიშნული ისტორიული პერიოდის მოძრაობათა კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ განსხვავებას. ესაა მონაცემები წოდებისა და მოსაქმეობის (კლასების) მიხედვით

იმ პირთა განაწილების შესახებ, რომელნიც პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი სახელმწიფო (პოლიტიკური) დანაშაულისათვის. ასეთ 100 კაცზე მოდიოდა:

	თავადაზნაურნი	მეჭრანები და გლეხები	გლეხები	მუშები	ინტელიგენტები
1827—1846 წწ. . .	76	23	?	?	?
1884—1890 » . .	30.6	46,6	7,1	15,1	73,2
1901 1903 » . .	10,7	80,9	9.0	46,1	36,7
1905—1908 » . .	9,1	87,7	24,2	47,4	28,4

თავადაზნაურულ, ბატონყმურ პერიოდში (1827 — 1846) თავადაზნაურნი, რომელნიც მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობას შეადგენდნენ, «პოლიტიკურების» უდიდეს უმრავლესობას იძლევიან (76%). ნაროდნიკულ, რაზნოჩინცულ პერიოდში (1884 — 1890 წწ.; 60-იანი და 70-იანი წლების შესახებ, სამწუხაროდ, ამგვარი მონაცემები არ მოგვეპოვება) თავადაზნაურები მეორე რიგში დგებიან, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც დიდ პროცენტს გვიჩვენებენ (30.6%). ინტელიგენცია იძლევა დემოკრატიული მოძრაობის მონაწილეთა უდიდეს უმრავლესობას (73,2%).

1901 — 1903 წწ. პერიოდი, სწორედ პირველი პოლიტიკური მარქსისტული გაზეთის, ძ ვ ე ლ ი «ისკრის»[60] პერიოდი, გვიჩვენებს უკვე მუშების ს ი ჭ ა რ ბ ე ს (46,1%) ინტელიგენციაზე (36,7%) მოძრაობის სრული დემოკრატიზაციის პირობებში (10,7% თავადაზნაურნი და 80,9% «არაპრივილეგიურნი»).

აქ წინასწარ აღვნიშნავთ, რომ პირველი მასობრივი მოძრაობის პერიოდი (1905 — 1908) ცვლილებას გვიჩვენებს მ ხ ო ლ ო დ გლეხობის მიერ (24,2% წინააღმდეგ 9,0%-ისა) ინტელიგენციის (28,4% წინააღმდეგ 36,7%-ისა) განდევნის სახით.

სოციალ-დემოკრატიის დამაარსებელი რუსეთში არის «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი, რომელიც აღმოცენდა საზღვარგარეთ 1883 წელს. ამ ჯგუფის ლიტერატურულ ნაშარმოებებში, რომლებიც უცენზუროდ იბეჭდებოდა საზღვარგარეთ, პირველად იყო გადმოცემული სისტემატურად და ყველა პრაქტიკული დასკვნით მარქსიზმის იდეები, რა იდეებიც, როგორც მთელი მსოფლიოს გამოცდილებამ გვიჩვენა, ერთადერთნი გამოხატავენ სწორად მუშათა მოძრაობის დედაარსს და მის ამოცანებს. 12 წლის განმავლობაში, 1883 წლიდან 1895 წლამდე, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ცდა რუსეთში ს.-დ. მუშათა ბეჭდვითი სიტყვის შექმნისა იყო ს.-დ. გაზეთის «რაბოჩის» გამოცემა პეტერბურგში 1885 წელს, რასაკვირველია, უცენზუროდ,

მაგრამ ეს გაზეთი მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა. მუშათა მასობრივი მოძრაობის არარსებობის გამო მუშათა ბეჭდვითი სიტყვა მოკლებული იყო ფართო განვითარების შესაძლებლობას.

1895 — 1896 წლიდან, პეტერბურგის ცნობილი გაფიცვების დროიდან, იწყება მუშათა მასობრივი მოძრაობა სოციალ-დემოკრატიის მონაწილეობით. სწორედ ეს დრო არის, ნაგულისხმევი მნიშვნელობით, რუსეთში მუშათა ბეჭდვითი სიტყვის აღმოცენების დრო. მუშათა ბეჭდვითი სიტყვის მთავარი ნაწარმოებები მაშინ იყო უცენზუროდ გამოცემული ფურცლები, მეტწილად არა ნაბეჭდი, არამედ ჰექტოგრაფიული, და მათ უძღვნიდნენ «ეკონომიურ» (აგრეთვე არაეკონომიურ) აგიტაციას, ე. ი. სხვადასხვა ფაბრიკისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგის მუშების საჭიროებათა და მოთხოვნათა გადმოცემას. თავისთავად ცხადია, მოწინავე მუშებს რომ ასეთი ლიტერატურის შედგენასა და გავრცელებაში უაღრესად აქტიური მონაწილეობა არ მიეღოთ, ეს ლიტერატურა ვერ იარსებებდა. პეტერბურგელ მუშათაგან, რომელნიც იმ დროს მუშაობდნენ, შეიძლება დავასახელოთ ვასილ ანდრიას-ძე შელგუნოვი, რომელიც ბოლოს დაბრმავდა და წინანდებური აქტივობით მოქმედების შესაძლებლობა წაერთვა, და ივანე ვასილის-ძე ბაბუშკინი, მხურვალე «ისკრელი» (1900 — 1903) და «ბოლშევიკი» (1903 — 1905), რომელიც ციმბირის აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის დახვრეტილ იქნა 1905 წლის ბოლოს თუ 1906 წლის დამდეგს.

ფურცლებს სცემდნენ ს.-დ. ჯგუფები, წრეები და ორგანიზაციები, რომლებიც 1895 წლის დასასრულიდან მეტწილად «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მებრძოლი კავშირების» სახელწოდებას ილებდნენ. 1898 წელს სწორედ ადგილობრივი ს.-დ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობამ დააარსა «რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია».

ფურცლებს მოჰყვა უცენზუროდ გამოცემული მუშათა გაზეთები, — მაგ., ს.-პეტერბურგში 1897 წელს «სპბ. რაბოჩი ლისტოკ»[1] და იქვე «რაბოჩაია მისლ», რომელიც მალე საზღვარგარეთ იქნა გადატანილი. ადგილობრივი ს.-დ. გაზეთები ამ დროიდან თითქმის განუწყვეტლივ არსებობენ რევოლუციამდე, უცენზუროდ; რასაკვირველია, ამ გაზეთებს მუდამ არბევდნენ, მაგრამ ისინი კვლავ და კვლავ ჩნდებოდნენ რუსეთის ყველა კუთხეში.

ერთად აღებული მუშათა ფურცლები და ს.-დ. გაზეთები იმ დროისა, ე. ი. 20 წლის წინათ, ახლანდელი მუშათა ბეჭდვითი სიტყვის პირდაპირი და უშუალო წინამორბედნი არიან: იგივე საფაბრიკო

«მხილებანი», იგივე ქრონიკა «ეკონომიური» ბრძოლისა, იგივე პრინციპული გაშუქება მუშათა მოძრაობის ამოცანებისა მარქსიზმის და თანამიმდევრული დემოკრატიზმის თვალსაზრისით, — ბოლოს ი გ ი ვ ე ო რ ი ძ ი რ ი თ ა დ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა, მარქსისტული და ოპორტუნისტული, მუშათა ბეჭდვითს სიტყვაში.

შესანიშნავი ფაქტი, რომელიც დღემდე სრულიადაც არაა საკმარისად შეფასებული: აღმოცენდა თუ არა რუსეთში მუშათა მ ა ს ო ბ რ ი ვ ი მოძრაობა (1895 — 1896 წწ.), მაშინვე გაჩნდა დანაწილება მარქსისტულ და ოპორტუნისტულ მიმართულებებად, — დანაწილება, რომელიც იცვლის ფორმას, სახეს და სხვ., მაგრამ არსებითად იგივე რჩება 1894 წლიდან 1914 წლამდე. ცხადია, არსებობს ღრმა სოციალური, კლასობრივი ფესვები სოციალ-დემოკრატებს შორის სწორედ ასეთი და არა სხვა რამ დანაწილებისა და შინაგანი ბრძოლისა.

ზემოხსენებული «რაბოჩაია მისლი» მაშინდელ ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ უ ლ მიმართულებას, ეგრეთწოდებულ «ეკონომიზმს» გამოხატავდა. მუშათა მოძრაობის ადგილობრივ მოღვაწეთა დავაში ეს მიმართულება უკვე 1894 — 1895 წლებში გამოისახა. ხოლო საზღვარგარეთ, სადაც რუსი მუშების გამოღვიძებამ ს.-დ. ლიტერატურის უდიდესი აყვავება გამოიწვია უკვე 1896 წლიდან, «ეკონომისტების» გაჩენა და შეკავშირება დამთავრდა გათიშვით 1900 წლის გაზაფხულზე (ე. ი. «ისკრის» დაარსებამდე, რომლის პირველი ნომერი 1900 წლის მიწურულში გამოვიდა).

მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორია ოცი წლის განმავლობაში. 1894 — 1914 წწ., არის ისტორია ორი მიმართულებისა რუსულ მარქსიზმში და რუსულ (უფრო სწორად: რუსეთის) სოციალ-დემოკრატიაში. რომ გ ა ვ ი გ ო თ რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის ისტორია, უნდა ვიცოდეთ არა მარტო და არა იმდენად სხვადასხვა ბეჭდვითი ორგანოს სახელწოდებანი, რომელნიც თანამედროვე მკითხველს არაფერს ეუბნებიან და მას მხოლოდ თავგზას უბნევენ, არამედ სოციალ-დემოკრატიის სხვადასხვა ნაწილთა შ ი ნ ა ა რ ს ი, ხასიათი, იდეური ხაზი.

«ეკონომისტების» მთავარი ორგანოები იყვნენ «რაბოჩაია მისლ» (1897 — 1900) და «რაბოჩეე დელო» (1898—1901)[82]. «რაბ. დელოს» სათავეში იდგნენ ბ. კრიჩევსკი, რომელიც შემდეგში სინდიკალისტებს მიემხრო, ა. მარტინოვი, თვალსაჩინო მენშევიკი და ამჟამად ლიკვიდატორი, და აკიმოვი, ახლა «დამოუკიდებელი ს.-დ.», რომელიც ყოველივე არსებითში ლიკვიდატორებს ეთანხმება.

ეკონომისტების წინააღმდეგ ჯერ მხოლოდ პლეხანოვი და მთელი «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი (ჟურნალი «რაბოტნიკ» და სხვ.) იბრძოდა, შემდეგ კი — «ისკრა» (1900 წლიდან 1903 წ. აგვისტომდე, რსდმ პარტიის II ყრილობამდე). რაში მდგომარეობდა «ეკონომიზმის» დედაარსი?

«ეკონომისტები» სიტყვით განსაკუთრებით ენერგიულად იცავდნენ მუშათა მოძრაობის მასობრივ ხასიათს და მუშების თვითმოქმედებას, თანაც დაჟინებით აღნიშნავდნენ «ეკონომიური» აგიტაციის პირველხარისხოვან მნიშვნელობას და ზომიერებისა თუ თანდათანობის საჭიროებას პოლიტიკურ აგიტაციაზე გადასვლის საქმეში. როგორც მკითხველი ხედავს, ეს იგივე სანუკვარი სიტყვებია, რომლებითაც ლიკვიდატორებიც კოპწიაობენ. საქმით კი «ეკონომისტები» ატარებდნენ მუშათა ლიბერალურ პოლიტიკას, რომლის არსი «ეკონომიზმის» ერთ-ერთმა მაშინდელმა ბელადმა, ბ-მა ს. ნ. პროკოპოვიჩმა, მოკლედ გამოხატა: «მუშებს — ეკონომიური, ლიბერალებს — პოლიტიკური ბრძოლაო». საქმით «ეკონომისტები», რომლებიც ყველაზე მეტად გაჰყვიროდნენ მუშათა თვითმოქმედებასა და მასობრივ მოძრაობაზე, წარმოადგენდნენ ოპორტუნისტულ, მეშჩანურ-ინტელიგენტურ ფრთას მუშათა მოძრაობაში.

უდიდესი უმრავლესობა შეგნებული მუშებისა, რომლებიც უკვე 1901 — 1903 წლებში სახელმწიფო დანაშაულისათვის სამართალში მიცემულ 100 კაცზე 46 კაცს იძლეოდნენ, წინააღმდეგ 37 ინტელიგენტისა, დადგა ძ ვ ე ლ ი «ისკრის» მხარეზე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. «ისკრის» სამი წლის (1901 — 1903) მოღვაწეობამ გამოიმუშავა ს.-დ. პარტიის პროგრამაც, მისი ტაქტიკის საფუძვლებიც და თანამიმდევრული მარქსიზმის საფუძველზე მუშათა ეკონომიური და პოლიტიკური ბრძოლის შეერთების ფორმებიც. «ისკრის» გარშემო და მისი იდეური ხელმძღვანელობით მუშათა ბეჯდვითი სიტყვა რევოლუციისწინა წლებში უდიდესი მასშტაბით გაიზარდა. უცენზუროდ გამოცემული ფურცლებისა და ნებადაურთველი სტამბების რაოდენობა მეტად დიდი იყო და სწრაფად იზრდებოდა რუსეთის ყველა კუთხეში.

«ისკრის» სრულმა გამარჯვებამ «ეკონომიზმზე», პროლეტარულ-თანამიმდევრული ტაქტიკის გამარჯვებამ ოპორტუნისტულ-ინტელიგენტურ ტაქტიკაზე 1903 წელს, გამოიწვია სოციალ-დემოკრატიის «თანამგზავრების» ახალი, გაძლიერებული მოზღვავება მის რიგებში, და ოპორტუნიზმი აღდგა ი ს კ რ ე ლ ო ბ ი ს ნ ი ა დ ა გ ზ ე, როგორც მისი ნაწილი, «მენშევიზმის» სახით.

მენშევიზმი შეიქმნა რსდმ პარტიის II ყრილობაზე (1903 წ. აგვისტო) «ისკრელების» უ მ ც ი რ ე ს ო ბ ი ს ა გ ა ნ (აქედანაა სახელწოდებაც — მენშევიზმი) და «ი ს კ რ ი ს» ყ ვ ე ლ ა ო პ ო რ ტ უ ნ ი ს ტ ი მ ო წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ი ს ა გ ა ნ. «მენშევიკები» შებრუნდნენ უკან «ეკონომიზმისაკენ», რა თქმა უნდა, რამდენადმე განახლებული ფორმით; ყველა იმ «ეკონომისტებმა», რომლებიც მოძრაობაში დარჩნენ, გაავსეს, ა. მარტინოვის მეთაურობით, «მენშევიკების» რიგები.

«მენშევიზმის» მთავარი ორგანო გახდა ა ხ ა ლ ი «ისკრა», რომელიც 1903 წლის ნოემბრიდან შეცვლილი რედაქციით გამოდიოდა: «ძველ და ახალ «ისკრას» შორის უფსკრული ძევსო» — გულახდილად განაცხადა მაშინდელმა თავგამოდებულმა მენშევიკმა ტროცკიმ. «ბოლშევიკების» მთავარი ორგანოები, რომლებიც თანამიმდევრული მარქსიზმის, ძველი «ისკრისადმი» ერთგულ ტაქტიკას იცავდნენ, იყო «ვპერიოდი»[83] და «პროლეტარი» (1905 წ.).

სოციალ-დემოკრატიაში და მუშათა ბეჭდვითს სიტყვაში არსებული ორივე მთავარი მიმართულების, მენშევიკურისა და ბოლშევიკურის, შემოწმებას, მასებთან ნამდვილი კავშირისა და პროლეტარული მასების ტაქტიკის გამოხატულების თვალსაზრისით, წარმოადგენდნენ რევოლუციის წლები, 1905 — 1907 წწ.. აშკარა ს.-დ. ბეჭდვითი სიტყვა ერთბაშად ვერ აღმოცენდებოდა ცხრაას ხუთი წლის შემოდგომაზე, რომ მოწინავე მუშების მოქმედებას, მასებთან მჭიდროდ დაკავშირებულს, ნიადაგი არ მოემზადებინა ასეთი ბეჭდვითი სიტყვისათვის. და თუ აშკარა ს.-დ. ბეჭდვითი სიტყვა როგორც 1905, ისე 1906 და 1907 წლებისა — ო რ ი მიმართულების და ორი ფრაქციის ბეჭდვითი სიტყვა იყო, ეს თავის მხრივ სხვანაირად არ შეიძლება იქნას ახსნილი, თუ არ წვრილბურჟუაზიული და პროლეტარული ხაზის განსხვავებით იმ ეპოქის მუშათა მოძრაობაში.

მუშათა აშკარა ბეჭდვითი სიტყვა ჩნდებოდა აღმავლობისა და შედარებითი «თავისუფლების» სამივე პერიოდში: 1905 წლის შემოდგომაზეც (ბოლშევიკების «ნოვაია ჟიზნ», მენშევიკების «ნაჩალო»[84] — ჩვენ ვასახელებთ მხოლოდ მთავარ ორგანოებს სხვა მრავალრიცხოვან ორგანოთაგან), 1906 წლის გაზაფხულზეც («ვოლნა»[85], «ეხო»[86] და სხვ. — ბოლშევიკებისა, «ნაროდნაია დუმა»[87] და სხვ. — მენშევიკებისა) და 1907 წლის გაზაფხულზეც.

იმ ეპოქის მენშევიკური ტაქტიკის დედაარსი თვით ლ. მარტოვმა ამას წინათ შემდეგი სიტყვებით გამოხატა: «პროლეტარიატისათვის მენშევიზმი ამ კრიზისში ნაყოფიერი მონაწილეობის სხვა რამ შესაძ-

ლებლობას ვერ ხედავდა, გარდა ბურჟუაზიულ-ლიბერალური დემოკრატიისათვის ხელის შეწყობისა მის ცდებში — სახელმწიფო ხელისუფლებისაგან ჩამოეცილებინა შეძლებულ კლასთა რეაქციული ნაწილი, — თუმცა ეს ხელის შეწყობა პროლეტარიატს სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნებით უნდა განეხორციელებინა» (რუბაკინის «წიგნთა შორის», ტ. II, გვ. 772). აი ლიბერალებისათვის «ხელის შეწყობის» ეს ტაქტიკა ნიშნავდა საქმით მუშების დამოკიდებულებას მათგან, ნამდვილად იგი მუშათა ლიბერალურ პოლიტიკას წარმოადგენდა. პირიქით, ბოლშევიზმის ტაქტიკა უზრუნველყოფდა პროლეტარიატის დამოუკიდებლობას ბურჟუაზიულ კრიზისში — ამ კრიზისის ბოლომდე მიყვანისათვის ბრძოლით, ლიბერალიზმის ღალატის მხილებით, ამ ღალატის საპირისპიროდ წვრილი ბურჟუაზიის (განსაკუთრებით სოფლის ბურჟუაზიის) განათლებითა და შეკავშირებით.

ცნობილია — და თვით მენშევიკებმა, მათ შორის ახლანდელმა ლიკვიდატორებმაც, კოლცოვმა, ლევიცკიმ და სხვ. მრავალჯერ აღიარეს ეს, — რომ ამ წლებში (1905 — 1907) მუშათა მასები ბოლშევიკებს მიჰყვებოდნენ. ბოლშევიზმმა გამოხატა მოძრაობის პროლეტარული დედაარსი, მენშევიზმმა — მისი ოპორტუნისტული, მეშჩანურ-ინტელიგენტური ფრთა.

ჩვენ არ შეგვიძლია აქ უფრო დაწვრილებით დავახასიათოთ მუშათა ბოლშევიკური სიტყვის ორივე მიმართულების ტაქტიკის შინაარსი და მნიშვნელობა. უნდა დავკმაყოფილდეთ იმით, რომ ზუსტად დავადგინოთ ძირითადი ფაქტები, გამოვარკვიოთ ისტორიული განვითარების მთავარი ხაზები.

მუშათა ბოლშევიკის სიტყვას რუსეთში თითქმის ერთი საუკუნის ისტორია აქვს — ჯერ მოსამზადებელი, ე. ი. ისტორია არა მუშური, არა პროლეტარული, არამედ «საერთო-დემოკრატიული», ე. ი. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული განმათავისუფლებელი მოძრაობისა, — ხოლო შემდეგ — თავისი საკუთარი, ოცწლიანი ისტორია პროლეტარული მოძრაობისა, პროლეტარული დემოკრატიისა ანუ სოციალ-დემოკრატიისა.

არსად მსოფლიოში პროლეტარული მოძრაობა არ წარმოშობილა და არც შეიძლებოდა წარმოშობილიყო «ერთბაშად», წმინდა კლასობრივი სახით, არ შეიძლებოდა გაჩენილიყო ქვეყნად მზამზარეული სახით, როგორც მინერვა იუპიტერის თავიდან. მხოლოდ თვით მოწინავე მუშების, ყველა შეგნებული მუშის ხანგრძლივი ბრძოლით და მძიმე შრომით ხერხდებოდა პროლეტარული კლასობრივი მოძრაო-

ბის გამოყოფა და განმტკიცება ყოველგვარ წვრილბურჟუაზიულ ნარევთა, შეზღუდვათა, სივიწროვეთა და დამახინჯებათაგან. მუშათა კლასი ცხოვრობს წვრილი ბურჟუაზიის გვერდით, რომელიც ნადგურდება და სულ ახალ-ახალ ძალებს ჰმატებს პროლეტარიატის რიგებს. ხოლო რუსეთი კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ყველაზე წვრილბურჟუაზიული, ყველაზე მეშჩანური ქვეყანაა, და მხოლოდ ახლა განიცდის იგი ბურჟუაზიული რევოლუციების იმ ეპოქას, რომლითაც, მაგ., ინგლისში XVII საუკუნეა აღნიშნული, ხოლო საფრანგეთში XVIII საუკუნე და XIX საუკუნის პირველი ნახევარი.

შეგნებული მუშა, რომელიც ახლა ხელს ჰკიდებს თავის იმ ღვიძლ, სასიცოცხლო საქმეს, რომ გაუძღვეს მუშათა ბეჭდვითს სიტყვას, ფეხზე დააყენოს იგი, განამტკიცოს და განავითაროს იგი, არ დაივიწყებს მარქსიზმისა და ს.-დ. ბეჭდვითი სიტყვის ოცწლიან ისტორიას რუსეთში.

ცუდ სამსახურს უწევენ მუშათა მოძრაობას ის სუსტნერვებიანი ინტელიგენტი მეგობრები, რომლებიც თავიდან იშორებენ შინაგან ბრძოლას ს.-დ. წრეში და ჰაერს ავსებენ ძახილით და მოწოდებით — ეს ბრძოლა თავიდან მოიშორეთო. კეთილი, მაგრამ ქარაფშუტა ადამიანები არიან ისინი, და მათი ძახილიც ფუჭია.

მხოლოდ იმ გზით, თუ შეისწავლიან ოპორტუნიზმის წინააღმდეგ მარქსიზმის ბრძოლის ისტორიას, თუ საფუძვლიანად და დაწვრილებით გაეცნობიან დამოუკიდებელი პროლეტარული დემოკრატიის გამოყოფას წვრილბურჟუაზიული დომხალისაგან, მხოლოდ ამ გზით განამტკიცებენ საბოლოოდ თავიანთ შეგნებას და თავიანთ მუშურ ბეჭდვითს სიტყვას მოწინავე მუშები.

დაბეჭდილია 1914 წ. 22 აპრილს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 20.
გვ. 292 — 302

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

მუშების გარყვნა დახვეწილი ნაციონალიზმით

რაც უფრო ძლიერ ვითარდება მუშათა მოძრაობა, მით უფრო თავგანწირული ხდება ბურჟუაზიისა და მებატონეთა ცდები — დათრგუნონ ან დაქსაქსონ ეს მოძრაობა. ორივე ამ ხერხს, ძალით დათრგუნვასა და ბურჟუაზიული გავლენით დაქსაქსვას, მუდამ მიმართავენ მთელ მსოფლიოში, ყველა ქვეყანაში, ამასთან ხან ერთსა და ხან მეორე ხერხს აყენებენ წინა რიგში გაბატონებული კლასების სხვადასხვა პარტიები.

რუსეთში განსაკუთრებით ცხრაას ხუთი წლიდან, როდესაც ყველაზე უფრო ჭკვიანმა ბურჟუებმა ნათლად დაინახეს მარტოოდენი ძალმომრეობის არასაიმედობა, ყველა «პროგრესული» ბურჟუაზიული პარტია და ჯგუფი სულ უფრო ხშირად მიმართავს ერთ ხერხს — მუშების გათიშვას სხვადასხვაგვარ ბურჟუაზიულ იდეათა და მოძღვრებათა ქადაგებით, რომლებიც მუშათა კლასის ბრძოლას ასუსტებენ.

ამგვარ იდეათა რიცხვს ეკუთვნის დახვეწილი ნაციონალიზმი, რომელიც პროლეტარიატის გათიშვასა და დაქსაქსვას უაღრესად კეთილსახიერი და ტკბილად მეღერი სახელით ქადაგებს, მაგალითად, «ნაციონალური კულტურის», «ნაციონალური ავტონომიისა თუ დამოუკიდებლობის» ინტერესთა დაცვის სახელით და სხვ. და ა. შ.

შეგნებული მუშები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წინააღმდეგობა გაუწიონ ყოველგვარ ნაციონალიზმს, როგორც უხეშს, ძალმომრეობითს, შავრაზმულს, ისე უაღრესად დახვეწილსაც, რომელიც ერების თანასწორუფლებიანობას ქადაგებს... მუშათა საქმის, მუშათა ორგანიზაციების, მუშათა მოძრაობის ეროვნებათა მიხედვით დაქსაქსვასთან ერთად. შეგნებული მუშები, რომ-

ლებიც ახორციელებენ მარქსისტების უკანასკნელი (1913 წ. ზაფხულის)[88] თათბირის გადაწყვეტილებებს, იცავენ — ნაციონალისტური ბურჟუაზიის ყველა სახესხვაობათაგან განსხვავებით — არა მარტო ერებისა და ენების უაღრესად სრულ, თანამიმდევრულ, ბოლომდე მიყვანილ თანასწორუფლებიანობას, არამედ სხვადასხვა ეროვნების მუშების შედუღებასაც ყოველი სახის ერთიან პროლეტარულ ორგანიზაციებში.

აი ეს არის ძირითადი განსხვავება მარქსიზმის ნაციონალურ პროგრამასა და ყოველგვარი, თუნდაც ყველაზე უფრო «მოწინავე», ბურჟუაზიის ნაციონალურ პროგრამას შორის.

ერებისა და ენების თანასწორუფლებიანობის აღიარება მარტო იმით კი არ არის ძვირფასი მარქსისტებისათვის, რომ ისინი ყველაზე თანამიმდევარი დემოკრატები არიან. მუშების კლასობრივი ბრძოლის პროლეტარული სოლიდარობის, ამხანაგური ერთობის ინტერესები მოითხოვენ ერთა უაღრესად სრულ თანასწორუფლებიანობას სულ მცირეოდენი ეროვნული უნდობლობის, განკერძოების, ეჭვიანობის, მტრობის მოსასპობად. ხოლო სრული თანასწორუფლებიანობა გულისხმობს ერთ-ერთი რომელიმე ენის ყოველგვარ პრივილეგიათა უარყოფასაც, გულისხმობს ყველა ერის თვითგამორკვევის უფლების აღიარებას.

მაგრამ ბურჟუაზიის მხრივ ერთა თანასწორუფლებიანობის მოთხოვნა ნამდვილად ძალიან ხშირად უდრის ეროვნული განსაკუთრებულობისა და შოვინიზმის ქადაგებას, ძალიან ხშირად უთავსდება ერების გათიშვისა და განკერძოების ქადაგებას. ამას უეჭველად ვერ ურიგდება პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, რომელიც ქადაგებს არა მარტო ერების დაახლოებას, არამედ ერთიან პროლეტარულ ორგანიზაციებში ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა ეროვნებათა მუშების შედუღებასაც. ამიტომ მარქსისტები გადაჭრით გმობენ ეგრეთწოდებულ «კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას», ესე იგი სახელმწიფოს გამგებლობიდან სასკოლო საქმის გამოყოფას და ცალკეულ ეროვნებათა ხელში გადაცემას. ეს გეგმა არის ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი კავშირის ეროვნებათა მიხედვით სასკოლო საქმის დანაწილება «ნაციონალური კულტურის» საკითხებში ნაციონალურ კავშირებად, რომელთაც თავიანთი განსაკუთრებული სეიმები, სასკოლო ფინანსები, სასკოლო საბჭოები, სასკოლო დაწესებულებები ექნებათ.

ეს არის დახვეწილი ნაციონალიზმის გეგმა, რომელიც რყვნის და თიშავს მუშათა კლასს. ამ გეგმას (ბუნდელების, ლიკვიდატორების,

ნაროდნიკების, ე. ი. სხვადასხვა წვრილბურჟუაზიულ ჯგუფთა გეგმას) მარქსისტები უპირისპირებენ პრინციპს: ვალიაროთ ერებისა და ენების უაღრესად სრული თანასწორუფლებიანობა თვით სახელმწიფო ენის საკითხების უარყოფამდე, მაგრამ ამასთან ერთად დავიცვათ ერების რაც შეიძლება მეტი დაახლოება, ყველა ერისათვის სახელმწიფო დაწესებულებათა ერთიანობა, სასკოლო საბჭოების ერთიანობა, სასკოლო პოლიტიკის ერთიანობა (საერო სკოლა!), სხვადასხვა ერის მუშების ერთიანობა ყოველი ნაციონალური ბურჟუაზიის ნაციონალიზმთან ბრძოლაში, ნაციონალიზმთან, რომელსაც გულუბრყვილოთა მოსატყუებლად «ნაციონალური კულტურის» ლოზუნგის სახით გვთავაზობენ.

დაე მეშჩანმა ნაციონალისტებმა, ბუნდელებმა, ლიკვიდატორებმა, ნაროდნიკებმა, «ძვინის» მწერლებმა, აშკარად დაიცვან თავიანთი პრინციპები — დახვეწილი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის პრინციპები, ეს მათი უფლებაა. მაგრამ მუშებს ნუ კი ატყუებენ, როგორც ამას, მაგ., ქ-ნი ვ. ო. სჩადის «სევერნაია რაბოჩაია გაზეტას» № 35-ში, როდესაც ცდილობს დაარწმუნოს მკითხველები, თითქოს გაზეთი «ზა პრავდუ»[89] დედაენაზე სწავლებას უარყოფდეს!!!

ეს არის უხეში ცილისწამება, ვინაიდან პრავდისტები არა თუ აღიარებენ ამ უფლებას, არამედ ყველაზე უფრო თანამიმდევრულადაც აღიარებენ მას. როდესაც მარქსისტების იმ თათბირს მიემხრნენ, რომელმაც გამოაცხადა — სავალდებულო სახელმწიფო ენა არ უნდა არსებობდეს, პრავდისტებმა რუსეთში პირველებმა აღიარეს სრულად დედაენის უფლება!

დედაენაზე სწავლების არევა «ერთი სახელმწიფოს ფარგლებში სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დანაწილებასთან», «კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიასთან», «სახელმწიფოს გამგებლობიდან სასკოლო საქმის გამოყოფასთან» — ეს არის აშკარა უმეცრება.

არსად მსოფლიოში მარქსისტები (თვით დემოკრატებიც კი) არ უარყოფენ დედაენაზე სწავლებას. და არსად მსოფლიოში არ შიუღიათ მარქსისტებს «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» პროგრამა, — მარტოოდენ ავსტრიაში იქნა იგი წამოყენებული.

ფინეთის მაგალითი, ქ-ნ ვ. ო.-ს მიერ მოყვანილი, თვით მასვე ამტყუნებს, ვინაიდან ამ ქვეყანაში აღიარებული და გატარებულია

ერებისა და ენების თანასწორუფლებიანობა (რასაც ჩვენ უთუოდ და ყველაზე უფრო თანამიმდევრობით ვაღიარებთ), მაგრამ ლაპარაკიც კი არ არის «სახელმწიფოს გამგებლობიდან სასკოლო საქმის გამოყოფაზე», მთელი სასკოლო საქმის განმგებელ განსაკუთრებულ ეროვნულ კავშირებზე, მთელი სახელმწიფოებრივი სასკოლო საქმის ეროვნული ტიხრებით გამიჯვნაზე და სხვ.

დაბეჭდილია 1914 წ. 10 მაისს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 20,
გვ. 347 — 350.

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ

რა ბევრს ლაპარაკობენ, ბჭობენ, ყვირიან ახლა ეროვნების შესახებ, სამშობლოს შესახებ! ინგლისის ლიბერალური და რადიკალური მინისტრები, საფრანგეთის უამრავი «მოწინავე» პუბლიცისტები (რომლებიც რეაქციის პუბლიცისტებთან სავსებით თანახმანი აღმოჩნდნენ), რუსეთის აურაცხელი კაზიონური, კადეტური და პროგრესული მჯღაბნელები (ზოგიერთი ნაროდნიკული და «მარქსისტულიც» კი) — ყველანი ათასნაირ ჰანგზე ქებას ასხამენ «სამშობლოს» თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ეროვნული თვითმყოფობის პრინციპის სიდიადეს. ვერ გაარჩევ, თუ სად თავდება აქ ჯალათ ნიკოლოზ რომანოვის ან ზანგთა და ინდოეთის მოსახლეთა მწამებლების მოსყიდული მეხოტბე, სად იწყება ჩვეულებრივი ფილისტერი, რომელიც სიყეყეჩის თუ უნიათობის გამო «მდინარეობას» მისდევს. ამის გარჩევა არცაა მნიშვნელოვანი. ჩვენს წინაშეა მეტად ფართო და მეტად ღრმა იდეური მიმდინარეობა, რომლის ფესვები ძალიან მტკიცედაა დაკავშირებული დიდმპყრობელი ერების ბატონი მემამულეებისა და კაპიტალისტების ინტერესებთან. ამ კლასებისათვის ხელსაყრელი იდეების საპროპაგანდოდ ათეული და ასეული მილიონები იხარჯება წელიწადში: ეს როდია პატარა წისქვილი, რომელიც წყალს იღებს ყოველი მხრიდან, დაწყებული მოშხამული შოვინისტით მენშიკოვით და გათავებული ოპორტუნიზმის ან უხასიათობის გამო შოვინისტებით, პლეხანოვითა და მასლოვით, რუბანოვიჩითა და სმირნოვით, კროპოტკინითა და ბურცევით.

ვცადოთ ჩვენც, ველიკორუსმა სოციალ-დემოკრატებმა, განვსაზღვროთ ჩვენი დამოკიდებულება ამ იდეური მიმდინარეობისადმი.

ჩვენთვის, უკიდურესი აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის საკმაოდ დიდი ნაწილის დიდმპყრობელი ერის წარმომადგენლებისათვის, შეუფერებელი იქნებოდა დაგვევიწყნა ეროვნული საკითხის უდიდესი მნიშვნელობა, — განსაკუთრებით ისეთ ქვეყანაში, რომელსაც სამართლიანად უწოდებენ «ხალხთა საპყრობილეს»; — ისეთ დროს, როდესაც სწორედ შორეულ აღმოსავლეთ ევროპაში და აზიაში კაპიტალიზმი სიცოცხლისა და შეგნებისათვის აღვიძებს მთელ რიგ «ახალ», დიდ და პატარა ერებს; — ისეთ მომენტში, როდესაც მეფის მონარქიამ თოფქვეშ დააყენა მილიონობით ველიკორუსები და «უცხოტომელები», რათა გადაწყვიტოს მთელი რიგი ეროვნული საკითხები გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭოს [90] და გუჩკოვების, კრესტოვნიკოვების, დოლგორუკოვების, კუტლერების, როდიჩევების ინტერესთა შესაბამისად.

უცხოა თუ არა ჩვენთვის, ველიკორუსი შეგნებული პროლეტარებისათვის, ეროვნული სიამაყის გრძნობა? რა თქმა უნდა, არა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო, ჩვენ ყველაზე მეტად ვმუშაობთ იმისათვის, რომ მ ი ს ი მშრომელი მასები (ე. ი. მ ი ს ი მოსახლეობის 9/10) ავამაღლოთ დემოკრატებისა და სოციალისტების შეგნებულ ცხოვრებამდე. ჩვენთვის ყველაზე მეტად გულსატკენია ვხედავდეთ და ვგრძნობდეთ, თუ რა ძალადობას, ჩაგვრასა და აბუჩად აგდებას განიცდის ჩვენი მშვენიერი სამშობლო მეფის ჯალათების, თავადაზნაურობისა და კაპიტალისტების მხრივ. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ეს ძალადობა წინააღმდეგობას ხვდებოდა ჩვენი წრიდან, ველიკორუსების წრიდან, რომ ა მ წრემ წარმოშვა რადიშჩევი, დეკაბრისტები, 70-იანი წლების რევოლუციონერი-რაზნოჩინელები, რომ ველიკორუსმა მუშათა კლასმა 1905 წელს შექმნა მასების ძლიერი რევოლუციური პარტია, რომ ამავე დროს ველიკორუსმა გლეხმა დაიწყო დემოკრატად გადაქცევა, დაიწყო ხუცესისა და მემამულის დამხობა.

ჩვენ გვახსოვს, თუ რა თქვა ნახევარი საუკუნის წინათ ველიკორუსმა დემოკრატმა ჩერნიშევსკიმ, რომელიც თავის სიცოცხლეს სწირავდა რევოლუციის საქმეს: «საცოდავი ერი, მონების ერი, თავიდან ბოლომდე ყველა მონაა» [91]. აშკარა და ფარულ მონა-ველიკორუსებს (მონებს მეფის მონარქიის მიმართ) არ უყვართ ამ სიტყვების გახსენება. ჩვენი აზრით კი, ეს იყო სიტყვები სამშობლოს ნამდვილი სიყვარულისა, ისეთი სიყვარულისა, რომელიც კაეშანს შეუპყრია, რომ ველიკორუსი მოსახლეობის მასებში რევოლუციურობა არ არის. მაშინ ეს რევოლუციურობა არ იყო. ახლა იგი

ცოტაა, მაგრამ უკვე არის. ჩვენ აღსავსენი ვართ ეროვნული სიამაყის გრძნობით, რადგან ველიკორუსმა ერმა ა გ რ ე თ ვ ე შექმნა რევოლუციური კლასი, მ ა ნ ა ც დაამტკიცა, რომ მას უნარი შესწევს მისცეს კაცობრიობას თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დიადი ნიმუშები, და არა მარტო დიდი რბევა-აწიოკება, სახრჩობელათა რიგები, საწამებელი ადგილები, დიდი შიმშილობანი და დიდი მლიქვნელობა ხუცესების, მეფეების, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინაშე.

ჩვენ აღსავსენი ვართ ეროვნული სიამაყის გრძნობით, და სწორედ ამიტომ გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ გვძულს ჩ ვ ე ნ ი მონური წარსული (როდესაც მემამულე-თავადაზნაურებს გლეხები საომრად მიჰყავდათ, რათა ჩაეხშოთ უნგრეთის, პოლონეთის, სპარსეთის, ჩინეთის თავისუფლება) და ჩვენი მონური აწმყო, როდესაც იმავე მემამულეებს, კაპიტალისტების დახმარებით, ჩვენ მივყავართ საომრად, რათა ჩაახშონ პოლონეთი და უკრაინა, რათა დათრგუნონ დემოკრატიული მოძრაობა სპარსეთსა და ჩინეთში, რათა გააძლიერონ ჩვენი ველიკორუსული ეროვნული ღირსების შემარცხვენელი რომანოვების, ბობრინსკების, პურიშკევიჩების ხროვა. არავინ არის დამნაშავე იმაში, თუ ის მონად დაიბადა; მაგრამ მონა, რომლისთვისაც არა თუ უცხოა მისწრაფება თავისი თავისუფლებისაკენ, არამედ კიდეც ამართლებს და აფერადებს თავის მონობას (მაგალითად, პოლონეთის, უკრაინის და სხვათა ჩახშობას უწოდებს ველიკორუსთა «სამშობლოს დაცვას»), ასეთი მონა არის გულისწყრომის, ათვალწუნებისა და ზიზღის კანონიერი გრძნობის გამომწვევი ტუტუცი და ხეპრე.

«არ შეიძლება თავისუფალი იყოს ის ხალხი, რომელიც სხვა ხალხებს სჩაგრავს» [92]. ასე ამბობდნენ XIX საუკუნის თანმიმდევრული დემოკრატიის უდიდესი წარმომადგენლები, მარქსი და ენგელსი, რომლებიც რევოლუციური პროლეტარიატის მასწავლებელნი გახდნენ. და ჩვენ, ველიკორუსი მუშები, აღსავსენი ვართ ეროვნული სიამაყის გრძნობით, ჩვენ გვსურს რადაც უნდა დაგვიჯდეს თავისუფალი და დამოუკიდებელი, თავისთავადი, თვითმყოფი, რესპუბლიკური, ამაყი ველიკორუსეთი, რომელიც თავის ურთიერთობას მეზობლებთან ააგებს თანასწორობის ადამიანურ პრინციპზე და არა პრივილეგიების ბატონყმურ, დიდი ერის დამამცირებელ, პრინციპზე. სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ გვსურს ასეთი ველიკორუსეთი, ჩვენ ვამბობთ: არ შეიძლება XX საუკუნეში, ევროპაში (თუნდაც შორეულ აღმოსავლეთ ევროპაში), «დაიცვა სამშობლო»

სხვანაირად, თუ არ იბრძოლე მთელი რევოლუციური საშუალებებით საკუთარი სამშობლოს მონარქიის, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, ე. ი. ჩვენი სამშობლოს უცუდესი მტრების წინააღმდეგ; — არ შეიძლება ველიკორუსებმა «დაიცვან სამშობლო» სხვანაირად; თუ არ ისურვეს ცარიზმის დამარცხება ყოველ ომში, როგორც ნაკლები ბოროტება ველიკორუსეთის მოსახლეობის $^{9}/_{10}$-თვის, რადგან ცარიზმი არათუ ჩაგრავს მოსახლეობის ამ $^{9}/_{10}$-ს ეკონომიურად და პოლიტიკურად, არამედ ამასთან ერთად ხრწნის, სპობს, პატივსა ხდის, რყვნის მას, რომ აჩვევს სხვა ხალხთა ჩაგვრას, რომ აჩვევს თავისი სირცხვილის დაფარვას თვალთმაქცური, ვითომდა პატრიოტული ფრაზებით.

ჩვენ შეიძლება გვითხრან, ცარიზმის გარდა და მის ფრთებქვეშ წარმოიშვა და უკვე განმტკიცდა სხვა ისტორიული ძალა, ველიკორუსული კაპიტალიზმი, რომელიც პროგრესულ სამუშაოს ასრულებს, უზარმაზარ ოლქებს რომ ეკონომიურად აცენტრალიზებს და აკავშირებსო. მაგრამ ასეთი მოსაზრება კი არ ამართლებს, არამედ კიდევ უფრო ძლიერ ამტყუნებს ჩვენს სოციალისტ-შოვინისტებს, რომლებისათვის უნდა გვეწოდებინა მეფური პურიშკევიჩისებური სოციალისტები (როგორც მარქსმა ლასალელებს უწოდა მეფურ-პრუსიული სოციალისტები). დავუშვათ კიდევაც, რომ ისტორიამ საკითხი გადაწყვიტა ველიკორუსული დიდმპყრობელური კაპიტალიზმის სასარგებლოდ ასი და ერთი პატარა ერის წინააღმდეგ. ეს შეუძლებელი არ არის, რადგან კაპიტალის მთელი ისტორია არის ძალადობისა და ძარცვის, სისხლისა და სიბინძურის ისტორია. და ჩვენ სრულიადაც არა ვართ მაინცდამაინც პატარა ერების მომხრენი; ჩვენ უეჭველად, დანარჩენ თანასწორ პირობებში, ვემხრობით ცენტრალიზაციას და წინააღმდეგი ვართ ფედერაციულ ურთიერთობათა ფილისტერული იდეალისა. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, ჯერ ერთი, ჩვენი საქმე როდია, დემოკრატების საქმე როდია (აღარაფერი რომ არა ვთქვათ სოციალისტებზე) დავეხმაროთ რომანოვ-ბობრინსკი-პურიშკევიჩს ჩაახშონ უკრაინა და ა. შ. ბისმარკმა თავისებურად, იუნკრულად, გააკეთა პროგრესული ისტორიული საქმე, მაგრამ რას ემგვანებოდა ის «მარქსისტი», რომელიც ამ საბუთით განიზრახავდა გაემართლებინა სოციალისტური დახმარება ბისმარკისადმი! და ამასთან ბისმარკი ხელს უწყობდა ეკონომიურ განვითარებას, — აერთიანებდა დაქსაქსულ გერმანელებს, რომლებსაც სხვა ხალხები ჩაგრავდნენ. ველიკორუსეთის ეკონომიური აყვავება და სწრაფი განვითარება კი მოითხოვს ქვეყნის განთავისუფლებას სხვა ხალხების

მიმართ ველიკორუსების ძალადობისაგან — ეს განსხვავება ავიწყდებათ ჭეშმარიტად-რუსი თითქმის-ბისმარკების ჩვენებურ თაყვანისმცემლებს.

მეორეც, თუ ისტორია საკითხს გადაწყვეტს ველიკორუსული დიდმპყრობელური კაპიტალიზმის სასარგებლოდ, აქედან გამომდინარეობს, რომ მით უფრო დიდი იქნება სოციალისტური როლი ველიკორუსი პროლეტარიატისა, როგორც კაპიტალიზმით წარმოშობილი კომუნისტური რევოლუციის მთავარი მამოძრავებლისა. ხოლო პროლეტარიატის რევოლუციისათვის საჭიროა მუშების ხანგრძლივი აღზრდა უსრულესი ეროვნული თანასწორობისა და ძმობის სულისკვეთებით. მაშასადამე, სწორედ ველიკორუსი პროლეტარიატის ინტერესთა თვალსაზრისით, საჭიროა მასების ხანგრძლივი აღზრდა იმ აზრით, რომ მათ უაღრესად გადაჭრით, თანმიმდევრულად, გაბედულად, რევოლუციურად დაიცვან ველიკორუსების მიერ დაჩაგრული ყველა ერის სრული თანასწორუფლებიანობა და თვითგამორკვევის უფლება. ველიკორუსების (არა მონურად გაგებული) ეროვნული სიამაყის ინტერესი თანაემთხვევა ველიკორუსი (და ყველა სხვა) პროლეტარების სოციალისტურ ინტერესს. ჩვენს ნიმუშად დარჩება მარქსი, რომელიც, ათეული წლობით ინგლისში ცხოვრების გამო, ნახევრად ინგლისელი გახდა და მოითხოვდა ირლანდიის თავისუფლებასა და ნაციონალურ დამოუკიდებლობას ინგლისელი მუშების სოციალისტური მოძრაობის ინტერესებისათვის.

ჩვენი შინაური სოციალისტი შოვინისტები კი, პლეხანოვი და სხვები და სხვები, იმ უკანასკნელ და სავარაუდო შემთხვევაში, რომელიც ჩვენ განვიხილეთ, აღმოჩნდებიან არა მარტო თავისი სამშობლოს, თავისუფალი და დემოკრატიული ველიკორუსეთის მოღალატენი, არამედ რუსეთის ყველა ხალხთა პროლეტარული ძმობის, ე. ი. სოციალიზმის საქმის მოღალატენიც.

დაბეჭდილია 1914 წ. 12 დეკემბერს
თხზულებანი, გამოც. მე-4 ტ. 21,
გვ. 110 — 115

იბეჭდება თხზულებათა
ტექსტის მიხედვით

სტატიიდან «ინგლისური პაციფიზმი და ინგლისური სიძულვილი თეორიისა»

...თუმცა ინგლისელები უგულებელყოფენ აბსტრაქტულ თეორიებს და ამაყობენ თავიანთი პრაქტიციზმით, მაგრამ ხშირად უ ფ რ ო პ ი რ დ ა პ ი რ აყენებენ პოლიტიკურ საკითხებს და ამრიგად ეხმარებიან სხვა ქვეყნების სოციალისტებს იპოვნონ რეალური შინაარსი ყოველგვარი (მათ შორის «მარქსისტული») სიტყვიერების გარსის ქ ვ ე შ. ამ მხრივ საგულისხმოა ომამდე გამოსული, შოვინისტური გაზეთის «Clarion»-ის გამოცემული ბროშურა «სოციალიზმი და ომი»*. ეს ბროშურა შეიცავს ამერიკელი სოციალისტის ეპტონ სინკლერის (Upton Sinclair) «მანიფესტს» ომის წინააღმდეგ და მისთვის გაცემულ პასუხს რობერტ ბლეჩფორდისას (Blatchford), რომელიც დიდი ხანია დგას ჰაინდმანის იმპერიალისტურ თვალსაზრისზე.

სინკლერი გრძნობის სოციალისტია, მოკლებული თეორიულ განათლებას. ის საკითხს «უბრალოდ» აყენებს: აღშფოთებას ეძლევა კარსმომდგარი ომის გამო და სოციალიზმში ეძებს მისგან ხსნას.

«ჩვენ გვეუბნებიან, — წერს სინკლერი, — რომ სოციალისტური მოძრაობა ჯერ კიდევ ერთობ სუსტია, რომ ჩვენ ევოლუციას უნდა ველოდოთ. მაგრამ ევოლუცია ხდება ადამიანთა გულში; ჩვენ ევოლუციის იარაღნი ვართ, და თუ არ ვიბრძოლებთ, არავითარი ევოლუცია არ იქნება. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ჩვენი მოძრაობა» (ომის წინააღმდეგ) «გასრესილი იქნება; მაგრამ მე გამოვთქვამ ჩემს ღრმა რწმენას, რომ დათრგუნვა ყოველგვარი აღშფოთებისა, რომლის მიზანია, უმაღლესი ჰუმანურობის მოტივებით, ხელი შეუშალოს ომს, იქნებოდა უდიდესი გამარჯვება, როგორიც კი სოციალიზმს როდისმე მოუ-

* Socialism and war. The Clarion Press. 44. Warship. Street. London E. C.

პოვებია, — რომ ეს აღაშფოთებდა ცივილიზაციის სინდისს და აამოძრავებდა ეთელი მსოფლიოს მუშებს ისე, როგორც ისინი ისტორიაში ჯერ კიდევ არაფერს არ აუმოძრავებია. ნუ ვიქნებით გადაჭარბებით მშიშარანი ჩვენი მოძრაობის გამო, ნუ მივაწერთ ერთობ დიდ მნიშვნელობას ძალის რიცხვსა და გარეგნულ მოჩვენებითობას. ათასი ადამიანი. მგზნებარე რწმენის მქონე და გაბედული, უფრო ძლიერია, ვიდრე მილიონი, რომელიც ფრთხილი და დარბაისელი (რესპექტაბელური) გამხდარა. და სოციალისტური მოძრაობისათვის არ არსებობს იმაზე მეტი საფრთხე, ვიდრე ის საფრთხე, რომ მყარი დაწესებულება გახდეს».

როგორც ხედავთ, ეს არის გულუბრყვილო, თეორიულად მოუსაზრებელი, მაგრამ უაღრესად სწორი გაფრთხილება სოციალიზმის გაუგებანების გამო და მოწოდება რევოლუციური ბრძოლისაკენ.

რა პასუხს აძლევს სინკლერს ბლეჩფორდი?

ომს რომ კაპიტალისტური და მილიტარისტული ინტერესები იწვევენ, ყოველივე ეს მართალია, — ამბობს ის. და მე ყოველ სხვა სოციალისტზე ნაკლებად არ ვესწრაფვი მშვიდობიანობას და სოციალიზმის მიერ კაპიტალიზმის დაძლევას. მაგრამ სინკლერი «რიტორიკული და ლამაზი ფრაზებით» ვერ დამარწმუნებს, ვერ მოსპობს ფაქტებს. «ფაქტები მეგობარო სინკლერ, — ჯიუტი რამ არის, ხოლო გერმანული საფრთხე ფაქტია». არც ჩვენ, არც გერმანელ სოციალისტებს არ ძალგვიძს ხელი შევუშალოთ ომს. სინკლერი უზომოდ აზვიადებს ჩვენს ძალებს. ჩვენ გაერთიანებული არა ვართ, არც ფული გვაქვს, არც იარაღი, «არც დისციპლინა». ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ დ ა ვ ე ხ მ ა რ ო თ ბრიტანეთის მთავრობას გაადიდოს თავისი ფლოტი, რადგან მშვიდობის სხვა გარანტია არ არის და არც შეიძლება იყოსო.

კონტინენტურ ევროპაში შოვინისტები არც ომამდე, არც მისი დაწყების შემდეგ არ გამოსულან ასე გულახდილად. გერმანიაში გულახდილობის ნაცვლად სუფევს კაუცკის თვალთმაქცობა და სოფიზმების თამაში; ასევე ითქმის პლეხანოვზეც. სწორედ ამიტომ საგულისხმოა შევხედოთ უფრო განვითარებულ ქვეყანაში არსებულ ურთიერთობას. აქ სოფისტიკითა და მარქსიზმის კარიკატურით ვერავის მოატყუებ. საკითხები უფრო პირდაპირ და უფრო მართლად არის დასმული. ვისწავლოთ «მოწინავე» ინგლისელებისაგან.

სინკლერი გულუბრყვილოა თავისი მოწოდებით, თუმცა ეს მოწოდება მეტად მართალია თავის საფუძველში, — გულუბრყვილოა,

რადგან უგულებელყოფს მასობრივი სოციალიზმის ნახევარსაუკუნოვან განვითარებას, მიმდინარეობათა ბრძოლას მასში, უგულებელყოფს რევოლუციური მოქმედების ზრდის პირობებს ობიექტურად-რევოლუციური სიტუაციისა და რევოლუციური ორგანიზაციის არსებობის დროს. ამას «გრძნობით» ვერ წეცვლი. სოციალიზმში არსებულ ძლიერ მიმდინარეობათა, ოპორტუნისტულ და რევოლუციურ მიმდინარეობათა, სასტიკ და ულმობელ ბრძოლას რიტორიკით გვერდს ვერ აუვლი...

1915 წ. ივნისი
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 21,
გვ. 316 — 317

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

სტატიიდან
«პაციფიზმი ბურჟუაზიული და პაციფიზმი სოციალისტური»

... ზოგიერთნი ცდილობენ ხანდახან დაიცვან კაუცკი და ტურატი იმით, რომ ლეგალურად არ შეიძლებოდა მთავრობის წინააღმდეგ «გადაკრულ თქმაზე» შორს წასვლა, ხოლო ასეთი «გადაკრული თქმა» ამგვარი ჯურის პაციფისტებს კი აქვთო. მაგრამ ამაზე უნდა ვუპასუხოთ, ჯერ-ერთი, რომ სიმართლის ლეგალურად თქმის შეუძლებლობა საბუთია არა სიმართლის დაფარვის სასარგებლოდ, არამედ არალეგალური, ე. ი. პოლიციისა და ცენზურისაგან თავისუფალი, ორგანიზაციისა და ბეჭდვითი სიტყვის აუცილებლობის სასარგებლოდ; მეორე, რომ დგება ხოლმე ისეთი ისტორიული მომენტები, როდესაც სოციალისტს მ ო ე თ ხ ო ვ ე ბ ა გაწყვიტოს კავშირი ყოველგვარ ლეგალობასთან; მესამე; რომ ბატონყმურ რუსეთშიაც კი ახერხებდნენ დობროლიუბოვი და ჩერნიშევსკი სიმართლის თქმას ხან სიჩუმით 1861 წ. 19 თებერვლის მანიფესტის შესახებ, ხან მაშინდელი იმ ლიბერალების მასხრად აგდებითა და გაბიაბრუებით, რომელნიც სწორედ ისეთ სიტყვებს ამბობდნენ, როგორსაც ტურატი და კაუცკი...

1916 წლის დეკემბერი — 1917 წ. 1 იანვარი
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 23,
გვ. 239 — 240.

იბეჭდება თხზულებათა
ტექსტის მიხედვით

სტატიიდან «წერილები შორიდან»

წერილი 4

როგორ მივაღწიოთ ზავს?

... ამ სტრიქონების დამწერს ჰქონია შემთხვევები, როდესაც იგი გორკის ხვდებოდა ხოლმე კუნძულ კაპრიზე, გაეფრთხილებინა ის და საყვედური ეთქვა მისი პოლიტიკური შეცდომებისათვის. გორკი ამ საყვედურს თავიდან იშორებდა თავისი შეუდარებლად მომხიბლავი ღიმილით და გულწრფელი განცხადებით: «მე ვიცი, რომ ცუდი მარქსისტი ვარ. და მერე, ჩვენ ყველანი, ხელოვანნი, ცოტა არ იყოს შეურაცხადი ადამიანები ვართ». ძნელია ამის წინააღმდეგ კამათი.

უეჭველია, გორკი — უზარმაზარი მბატვრული ტალანტია, რომელმაც მსოფლიო პროლეტარულ მოძრაობას დიდი სარგებლობა მოუტანა და მომავალშიაც მოუტანს.

მაგრამ რად ეპოტინება გორკი პოლიტიკას?...

1917 წ. 12 (25) მარტი
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 23,
გვ. 442

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

ნაშრომიდან «რსდმ პარტიის ამოცანების შესახებ რუსეთის რევოლუციაში»[93]

... ლენინმა გაილაშქრა აგრეთვე გორკის სოციალ-პაციფისტური შოწოდების წინააღმდეგ და მწუხარება გამოთქვა, რომ დიდი ხელოვანი ხელს ჰკიდებს პოლიტიკას და წვრილი ბურჟუაზიის ცრურწმენას იმეორებს...

დაბეჭდილია 1917 წ. 15 — 16 (28 — 29) მარტს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 23, გვ. 337

იბეჭდება თხზულებათა
ტექსტის მიხედვით

1917—1923

პროექტი რეზოლუციისა პრესის თავისუფლების შესახებ

პრესის თავისუფლება ბურჟუაზიას ესმოდა როგორც მდიდრების მიერ გაზეთების გამოცემის თავისუფლება, კაპიტალისტების მიერ პრესის ხელში ჩაგდება, რაც სინამდვილეში ყველგან ყველა ქვეყანაში, ყველაზე უფრო თავისუფალი ქვეყნების გამოუკლებლივ, იწვევდა პრესის სინდისგარეცხილობას.

მუშურ და გლეხურ მთავრობას პრესის თავისუფლება ესმის როგორც პრესის განთავისუფლება კაპიტალის უღლისაგან, როგორც სახელმწიფოს საკუთრებად გადასვლა ქაღალდის ფაბრიკების და სტამბებისა, მოქალაქეთა თვითეული ჯგუფისთვის, რომლის შემადგენლობა განსაზღვრულ რიცხვს მიაღწევს (მაგალითად, 10 000-ს), თანასწორი უფლების მინიჭება — ისარგებლოს ქაღალდის მარაგის სათანადო წილით და სასტამბო შრომის სათანადო რაოდენობით.

როგორც პირველი ნაბიჯი ამ მიზნის განხორციელებისაკენ, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია კაპიტალის უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლებასთან, დროებითი მუშურ-გლეხური მთავრობა ნიშნავს საგამომძიებლო კომისიას იმის გამოსაკვლევად, თუ რა კავშირი აქვს პერიოდულ გამოცემებს კაპიტალთან, რა არის მათი სახსრებისა და შემოსავლის წყარო, ვინ სწირავს მათ ფულს, ვინ ჰფარავს მათს დეფიციტს და საერთოდ რა მდგომარეობაშია გაზეთების მთელი მეურნეობა. საგამომძიებლო კომისიისთვის დავთრების, ანგარიშებისა და სხვა დოკუმენტების ყოველგვარი გადამალვა, აგრეთვე შეგნებულად რაიმე ცრუ ჩვენების მიცემა დაისჯება რევოლუციური სასამართლოს წესით.

გაზეთების ყველა მფლობელი, აქციონერი, აგრეთვე ყველა მოსამსახურე ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს წერილობითი ანგარიშები და ცნობები აღნიშნულ საკითხებზე კაპიტალთან პრესის

კავშირის და კაპიტალისაგან პრესის დამოკიდებულების გამომკვლევ ს ა გ ა მ ო მ ძ ი ე ბ ლ ო კ ო მ ი ს ი ა ს სმოლნის ინსტიტუტში, პეტროგრადში.

საგამომძიებლო კომისია ინიშნება შემდეგი პირებისგან: *

კომისიას უფლება აქვს შეავსოს თავისი შემადგენლობა, გამოიწვიოს ექსპერტები და მოწმეები, მოითხოვოს ყველა დავთრის გადაშლა და სხვ.

1917 წ. 4 (17) ნოემბერი
თხზულებანი, გამოც, მე-4, ტ. 26,
გვ. 328 — 329

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

* ხელნაწერში დატოვებულია ადგილი გვარების ჩამოსათვლელად. რ ე დ.

პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ამოცანების შესახებ [94]

გონივრულად, გააზრებულად, წარმატებით რომ მიიღო მონაწილეობა რევოლუციაში, საჭიროა სწავლა.

პეტროგრადში საბიბლიოთეკო საქმე, ცარიზმის მიერ სახალხო განათლების საქმის მრავალი წლის მანძილზე გაფუჭების გამო, ძალიან ცუდადაა დაყენებული.

დაუყოვნებლივ და უეჭველად საჭიროა მოვახდინოთ შემდეგი ძირითადი გარდაქმნები, რომლებსაც საფუძვლად უნდა დაედოს დასავლეთის თავისუფალ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით შვეიცარიასა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი ხნის წინათ განხორციელებული პრინციპები:

1) საჯარო ბიბლიოთეკა (ყოფილი საიმპერატორო) დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს წიგნების გ ა ც ვ ლ ა-გ ა მ ო ც ვ ლ ა ს როგორც პიტერის და პროვინციის **ყველა** საზოგადოებრივ და სახელმწიფო ბიბლიოთეკასთან, ისე **საზღვარგარეთის** ბიბლიოთეკებთან (ფინეთის, შვეიცის და ს ხ ვ ა თ ა).

2) წიგნების გადაგზავნა **ბიბლიოთეკიდან ბიბლიოთეკაში** უნდა გამოცხადდეს, **კანონით, უფასოდ.**

3) ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი ღია უნდა იყოს, როგორც ეს ხდება კულტურული ქვეყნების **კერძო** ბიბლიოთეკებსა და **სამკითხველოებში მდიდრებისათვის,**

ყოველდღე, დღესასწაულებისა და კვირა დღეების **გამოუკლებლივ,** დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

4) მოსამსახურეთა საჭირო რაოდენობა დაუყოვნებლივ გადაყვანილ უნდა იქნეს საჯარო ბიბლიოთეკაში სახალხო განათლების სა-

მინისტროს დეპარტამენტებიდან (ქალის შრომის ასპარეზის გაფართოებით, რადგან მამაკაცის შრომას სამხედრო საქმე მოითხოვს), რომელ დეპარტამენტებშიც მოსამსახურეთა 9/10 ეწევა არათუ უსარგებლო არამედ მავნე შრომას.

1917 წ. ნოემბერი
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 26,
გვ. 387 — 388.

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

სტატიიდან
«როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?»

ბურჟუაზიულმა მწერლებმა აუარებელი ქაღალდი დაჯღაბნეს და ჯღაბნიან, ადიდებენ რა კონკურენციას, კერძო თაოსნობას და კაპიტალისტთა და კაპიტალისტური წესწყობილების სხვა დიდებულ ღირსებებსა და მშვენიერებათ. სოციალისტებს ბრალს დებდნენ იმაში, თითქოს მათ არ უნდოდეთ გაიგონ ამ ღირსებათა მნიშვნელობა და ანგარიში გაუწიონ «ადამიანის ბუნებას». ნამდვილად კი კაპიტალიზმმა დიდი ხანია შესცვალა წვრილი სასაქონლო დამოუკიდებელი წარმოება, როცა კონკურენციას შეეძლო რამდენადმე მაინც ფ ა რ თ ო ფარგლებში აღეზარდა თაოსნობა, ენერგია, წამოწყების გაბედულობა — მსხვილი და უმსხვილესი საფაბრიკო წარმოებით, სააქციო საწარმოებით, სინდიკატებითა და სხვა მონოპოლიებით. ა ს ე თ ი კაპიტალიზმის დროს კონკურენცია ნიშნავს მოსახლეობის მ ა ს ი ს, მისი უდიდესი უმრავლესობის, მშრომელთა ოთხმოცდაცხრამეტი მეასედის თაოსნობის, ენერგიის, გაბედული წამოწყების გაუგონრად მხეცურ ჩახშობას, ნიშნავს აგრეთვე შეჯიბრების შეცვლას ფინანსური თაღლითობით, დესპოტიზმით, მლიქვნელობით სოციალური კიბის ზედაფენებში.

სოციალიზმი არათუ არ აქრობს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ქმნის მისი გამოყენების შესაძლებლობას ნამდვილად ფ ა რ თ ო დ, ნამდვილად მ ა ს ო ბ რ ი ვ ა დ, შესაძლებლობას ნამდვილად გამოყვანილ იქნეს მშრომელთა უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი, გამოააშკარაონ ნიჭი, რომელიც ხალხში ულევია და რომელსაც კაპიტალიზმი ათასობით და მილიონობით თელავდა, ჰქელავდა და ახშობდა.

დღეს, როდესაც ხელისუფლების სათავეში სოციალისტური მთავრობა დგას, ჩვენი ამოცანაა — შეჯიბრების მოწყობა.

ბურჟუაზიის მაჩანჩალები და დამქაშები სოციალიზმს გვიხატავდნენ, როგორც ერთგვაროვან, კაზიონურ, მონოტონურ, უფერულ ყაზარმას. ფულიანი ქისის ლაქიები, ექსპლოატატორთა ყურმოჭრილი მონები — ბატონი ბურჟუაზიული ინტელიგენტები — სოციალიზმით «აშინებდნენ» ხალხს, რომელსაც სწორედ კაპიტალიზმის დროს აქვს მისჯილი უზომო, მომაბეზრებელი შრომის, ნახევრადმშიერი ცხოვრების, საშინელი სიღატაკის კატორღა და ყაზარმა. ამ კატორღისაგან მშრომელთა განთავისუფლების პირველ ნაბიჯს წარმოადგენს მემამულეთა მიწების კონფისკაცია, მუშათა კონტროლის შემოღება, ბანკების ნაციონალიზაცია. შემდგომი ნაბიჯი იქნება ფაბრიკა-ქარხნების ნაციონალიზაცია, მთელი მოსახლეობის იძულებითი ორგანიზაცია სამომხმარებლო საზოგადოებებად, რომლებიც ამავე დროს წარმოადგენენ პროდუქტების გასაღების საზოგადოებებს, პურის და სხვა საჭირო საგნების ვაჭრობის სახელმწიფო მონოპოლია.

თაოსნობის, შეჯიბრების, გაბედული წამოწყების უნარის გამოჩენა ფართოდ, ჭეშმარიტად მასობრივად მხოლოდ ახლა გახდა შესაძლებელი. ყოველი ფაბრიკა, საიდანაც კაპიტალისტი გაძევებულია ან თუნდაც ალაგმულია ნამდვილი მუშათა კონტროლით, ყოველი სოფელი, საიდანაც გააძევეს მემამულე-ექსპლოატატორი და ჩამოართვეს მას მიწა, დღეს, და მხოლოდ დღეს, წარმოადგენს ისეთ ასპარეზს, რომელზედაც შეუძლია თავი გამოიჩინოს მშრომელმა ადამიანმა, შეუძლია ცოტათი წელში გაიმართოს, გასწორდეს, თავი იგრძნოს ადამიანად. საუკუნეობით სხვებისთვის შრომის, ექსპლოატატორებისთვის იძულებითი მუშაობის შემდეგ პირველად ხდება შესაძლებელი ადამიანმა თ ა ვ ი ს თ ვ ი ს ი მ უ შ ა ო ს, და იმუშაოს იმგვარად, რომ გამოიყენოს უახლესი ტექნიკის და კულტურის ყველა მონაპოვარი.

რა თქმა უნდა, კაცობრიობის ისტორიაში ეს უდიდესი შეცვლა იძულებითი შრომისა თავისთვის შრომით შეუძლებელია მოხდეს შეხლა-შემოუხლელად, სიძნელეთა დაუძლევლად, უკონფლიქტოდ, ძალდაუტანებლად გაუსწორებელი მუქთახორებისა და მათი მაჩანჩალების მიმართ. ამ მხრივ არც ერთ მუშას არა აქვს ილუზია: ექსპლოატატორებისთვის ხანგრძლივი საკატორღო მუშაობით გამობრძმედილმა, მათი მხრივ უამრავი დაცინვის, აბუჩად აგდების ატანაში, საშინელ გაჭირვებაში გამობრძმედილმა მუშებმა და უღარიბესმა

გლეხებმა იციან, რომ საჭიროა დრო ექსპლოატატორების წინააღ-მდეგობის გ ა ს ა ტ ე ხ ა დ. მუშებს და გლეხებს სრულიადაც არა სჯერთ ბატონ ინტელიგენტუნების, მთელ ამ უსახურ ნოვოჟიზნელ-თა და სხვათა სანტიმენტალური ილუზიების სენი, ვინც ხმის ჩახრინ-წიანებამდე «ჰყვიროდნენ» კაპიტალისტების წინააღმდეგ. «ემუქ-რებოდნენ» მათ, «ანადგურებდნენ» მათ მხოლოდ იმიტომ, რომ ატირებულიყვნენ და გალახული ლეკვივით მოქცეულიყვნენ, როდე-საც საქმე ს ა ქ მ ე ზ ე მიდგა, როდესაც უნდა მომხდარიყო მუქა-რის რეალიზაცია, უნდა შესრულებულიყო სინამდვილეში კაპიტა-ლისტების გ ა დ ა ყ ე ნ ე ბ ა.

დიადი შეცვლა იძულებითი შრომისა თავისთვის შრომით, უზარ-მაზარი, საერთო-სახელმწიფოებრივი (ერთგვარად ინტერნაციონა-ლური, მსოფლიო) მასშტაბით გეგმაშეწონილად მოწესრიგებული შრომით, მოითხოვს აგრეთვე — გარდა ექსპლოატატორთა წინააღმ-დეგობის დასათრგუნავად საჭირო «ს ა მ ხ ე დ რ ო» ზომებისა — უდიდეს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი უ ლ, ორგანიზატორულ ღონისძიებებს პროლეტარიატის და უღარიბესი გლეხობის მხრივ. ორგანიზაციუ-ლი ამოცანა ერთ განუყოფელ მთელად ეხლართება გუშინდელი მო-ნათმფლობელების (კაპიტალისტების) და მათი ლაქიების ხროვის — ბატონ ბურჟუაზიული ინტელიგენტების დაუნდობელი სამხედრო დათრგუნვის ამოცანას. ჩვენ ყოველთვის ორგანიზატორები და უფროსები ვიყავით, ჩვენ ვმბრძანებლობდით — ასე ამბობენ და ფიქრობენ გუშინდელი მონათმფლობელნი და ინტელიგენციის წრი-დან გამოსული მათი ნოქრები — ჩვენ გვსურს ასეთებად დავრჩეთ, ჩვენ არ გავუგონებთ «უბრალო ხალხს», მუშებსა და გლეხებს, ჩვენ არ დავემორჩილებით მათ, ცოდნას ჩვენ გადავაქცევთ მდიდართა პრი-ვილეგიებისა და ხალხზე კაპიტალის ბატონობის დაცვის იარაღადო.

ასე ამბობენ, ფიქრობენ, მოქმედებენ ბურჟუები და ბურჟუაზიუ-ლი ინტელიგენტები. ს ა კ უ თ ა რ ი ტ ყ ა ვ ი ს თვალსაზრისით მა-თი საქციელი გასაგებია: მებატონე-მემამულეთა დამქაშებს და მუქ-თახორებს, ხუცებს, კანცელარიის მწერლებს, გოგოლის მიერ შექმ-ნილი ტიპის მოხელეებს, ბელინსკის მოძულე «ინტელიგენტებსაც» «ეძნელებოდათ» ბატონყმობას შელეოდნენ. მაგრამ ექსპლოატატო-რების და მათი ინტელიგენტი შინაყმების საქმე — წაგებული საქ-მეა. მათ წინააღმდეგობას მუშები და გლეხები სტეხენ, — სამწუხა-როდ, ჯერ კიდევ არასაკმაოდ მტკიცედ, გაბედულად და შეუბრალებ-ლად, — დ ა გ ა ს ტ ე ხ ე ნ კ ი დ ე ც.

«იხინი» ფიქრობენ, რომ «უბრალო ხალხი», «უბრალო» მუშები და უღარიბესი გლეხები ვერ გაართმევენ თავს დიადს, ამ სიტყვის მსოფლიო-ისტორიული აზრით ჭეშმარიტად გმირული ორგანიზაციული ხასიათის ამოცანას, რომელიც დააკისრა მშრომელებს სოციალისტურმა რევოლუციამ. «უჩვენოთ იოლად ვერ წავლენო», — ინუგეშებენ თავს კაპიტალისტების და კაპიტალისტური სახელმწიფოს სამსახურს შეჩვეული ინტელიგენტები. მათი უტიფარი ვარაუდი არ გამართლდება: განათლებული ადამიანები უკვე ახლა გამოირჩევიან, გადადიან ხალხის მხარეზე, მშრომელთა მხარეზე, გვეხმარებიან კაპიტალის მსახურთა წინააღმდეგობის შემუსვრაში. ხოლო ორგანიზაციული ნიჭი გლეხობასა და მუშათა კლასში ბევრია, და ეს ნიჭი ეს-ესაა იწყებს თავისი თავის შეცნობას, იღვიძებს, ესწრაფვის ცოცხალს, შემოქმედებითს, დიად სამუშაოს, ხელს ჰკიდებს დამოუკიდებლად სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას.

ამჟამად ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, თუ ყველაზე მთავარი არა, ის არის, რომ რაც შეიძლება ფართოდ განვავითაროთ მუშების და საერთოდ ყველა მშრომელის და ექსპლოატირებულის ეს დამოუკიდებელი თაოსნობა შემოქმედებითი ორგანიზაციული მუშაობის საქმეში. რადაც უნდა დაჯდეს, უნდა აღმოვფხვრათ ძველი, უაზრო, ველური, საზიზღარი და საძაგელი ცრურწმენა, თითქოს სახელმწიფოს მართვა, სოციალისტური საზოგადოების ორგანიზაციული მშენებლობის გაძღოლა შეუძლიათ მხოლოდ ეგრეთწოდებულ «უმაღლეს კლასებს», მხოლოდ მდიდრებს ან მდიდარი კლასების სკოლაგავლილებს.

ეს ცრურწმენაა. მას ხელს უწყობს დამპალი რუტინა, დახავსებულობა, მონური ჩვეულება, და კიდევ უფრო ბინძური ანგარება კაპიტალისტებისა, რომლებიც დაინტერესებული არიან იმით, რომ მართონ ძარცვით და ძარცვონ მართვით. არა. მუშები ერთი წუთითაც არ დაივიწყებენ, რომ მათ ესაჭიროებათ ცოდნის ძალა. ის არაჩვეულებრივი თავგამოდება, რომელსაც მუშები იჩენენ განათლების საქმეში, და იჩენენ სწორედ ამჟამად, ამტკიცებს, რომ ამ მხრივ პროლეტარიატის წრეში არ ცდებიან და არც შეიძლება შეცდნენ. მაგრამ ორგანიზატორული მუშაობა ძალუძს უბრალო მუშასაც და გლეხსაც, რომელიც წერა-კითხვის მცოდნეა, იცნობს ადამიანებს და რომელსაც პრაქტიკული გამოცდილება აქვს. ასეთი ადამიანები უამრავია «უბრალო ხალხში», რომლის შესახებაც ამაყად და ათვალწუნებით ლაპარაკობენ ბურჟუაზიული ინტელიგენტები.

ასეთი ნიჟის წყარო მუშათა კლასსა და გლეხობაში ჯერ კიდევ ულევი და დაუშრეტელია.

მუშები და გლეხები ჯერ კიდევ «მორცხვობენ», ჯერ კიდევ ვერ შეჩვევიან იმას, რომ ახლა ისინი გაბატონებული კლასია, ჯერ კიდევ საკმაოდ გაბედული ვერ არიან. მრავალ მილიონ ადამიანში, რომლებიც მთელ თავიანთ სიცოცხლეში იძულებული იყვნენ ემუშავნათ შიმშილისა და გაჭირვების გამო, ასეთ თვისებებს გადატრიალება ერთბაშად ვერ შექმნიდა. მაგრამ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის ძალა, ცხოველმყოფელობა და უძლეველობა სწორედ იმაშია, რომ იგი აღვიძებს ამ თვისებებს, ძლევს ყველა ძველ დაბრკოლებას, ამსხვრევს დახავსებულ ბორკილებს და მშრომელები გამოჰყავს ახალი ცხოვრების დამოუკიდებელი შემოქმედების გზაზე...

1917 წ. 25 — 28 დეკემბერი
(1918 წ. 7 — 10 იანვარი)
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 26,
გვ. 471 — 476

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობა

1918 წ. 10 — 18 (23 — 31) იანვარი

საბოლოო სიტყვა ყრილობის დახურვის წინ 18 (31) იანვარს

ამხანაგებო, საბჭოების მესამე ყრილობის დახურვის წინ სრული მიუდგომლობით უნდა დავადგინოთ ის ისტორიული როლი, რომელიც ამ ყრილობამ შეასრულა საერთაშორისო რევოლუციის ისტორიაში, კაცობრიობის ისტორიაში. უდავოდ შეიძლება ითქვას, რომ საბჭოების მესამე ყრილობამ დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ხანა, და დღეს, მსოფლიო რევოლუციის პირობებში, ამ ყრილობის მთელ მნიშვნელობას უფრო და უფრო მეტად გებულობენ. ამ ყრილობამ, რომელმაც განამტკიცა ოქტომბრის რევოლუციის მიერ შექმნილი ახალი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია, დასახა მომავალი სოციალისტური მშენებლობის გეზი მთელი მსოფლიოსთვის, ყველა ქვეყნის მშრომელებისათვის.

ჩვენში, რუსეთში, საშინაო პოლიტიკის სფეროში ამჟამად საბოლოოდ აღიარებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, როგორც რუსეთში მოსახლე სხვადასხვა ერის თავისუფალ რესპუბლიკათა ფედერაციის, ახალი სახელმწიფო წყობილება. და ახლა ყველანი, დარწმუნებული ვარ, ჩვენი მტრებიც კი ხედავენ, რომ ახალი წყობილება, საბჭოების ხელისუფლება, გამონაგონი, პარტიული ხერხი კი არ არის, არამედ შედეგია თვით ცხოვრების განვითარებისა, შედეგია სტიქიურად ჩამოყალიბებული მსოფლიო რევოლუციისა;

მოიგონეთ, რომ ყველა დიდი რევოლუცია ყოველთვის ისწრაფოდა ძირფესვიანად აღეგავა ძველი კაპიტალისტური წყობილება, ისწრაფოდა არათუ მოეპოვებინა პოლიტიკური უფლებები, არამედ თვით სახელმწიფოს მართვა-გამგეობა გამოეგლიჯა გაბატონებული კლასების, მშრომელთა ყოველგვარი ექსპლოატატორებისა და მჩაგვრელების ხელიდან, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოღებოდა ბოლო ყოველგვარ ექსპლოატაციას და ყოველგვარ ჩაგვრას. დიდი რევოლუციები სწორედ ისწრაფოდნენ დაემსხვრიათ ეს ძველი ექსპლოატატორული სახელმწიფო აპარატი, მაგრამ დღემდე ამის შესრულება ბოლომდე არ ხერხდებოდა. და აი რუსეთმა, თავისი სამეურნეო და პოლიტიკური მდგომარეობის თავისებურებათა გამო, დღეს პირველმა მიაღწია სახელმწიფო მართვა-გამგეობის ამ გადასვლას თვით მშრომელების ხელში. ახლა ჩვენ, ისტორიული ძველმანისაგან გაწმენდილ გზაზე, ავაშენებთ სოციალისტური საზოგადოების მძლავრ, ნათელ შენობას, იქმნება ახალი, ისტორიაში არნახული, სახელმწიფო ხელისუფლების ტიპი, რომელიც რევოლუციის ნებით მოწოდებულია გაწმინდოს დედამიწა ყოველგვარი ექსპლოატაციისა, ძალმომრეობისა და მონობისაგან.

ახლა ვნახოთ, რა მოგვცა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ახალმა სოციალისტურმა პრინციპმა ჩვენი საშინაო პოლიტიკის სფეროში. ამხანაგებო, თქვენ გახსოვთ, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ როგორ შეუჩერებლივ გაჰკიოდა ბურჟუაზიული პრესა, რომ ჩვენ ვანგრევთ რუსეთის სახელმწიფოს, რომ ჩვენ არ ვიცით მართვა, რის გამოც გვშორდება ყველა ეროვნება — ფინეთი, უკრაინა და სხვ.. ბოროტი სიხარულით აღსავსე ბურჟუაზიული პრესა თითქმის ყოველდღე იტყობინებოდა ასეთი «ჩამოშორების» შესახებ. ჩვენ, ამხანაგებო, მათზე უკეთ გვესმოდა ამ მოვლენის ძირითადი მიზეზები, რომელთა საფუძველია მშრომელი მასების უნდობლობა ბბ. კერენსკეებისა და კომპ. შემთანხმებელ-იმპერიალისტური მთავრობისადმი. ჩვენ ვდუმდით, რადგან მტკიცედ გვწამდა, რომ ჩვენი სამართლიანი პრინციპები, ჩვენი საკუთარი მართვა-გამგეობა სიტყვებზე უკეთ დაუმტკიცებს ყველა მშრომელს ჩვენს ჭეშმარიტ მიზნებსა და მისწრაფებებს.

და ჩვენ მართალი ვიყავით. ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენმა იდეებმა გაიმარჯვა ფინეთში, უკრაინაში და იმარჯვებს დონში, აღვიძებს მშრომელთა კლასობრივ შეგნებას და რაზმავს მათ მტკიცე კავშირში. ჩვენ ვმოქმედებდით უდიპლომატებოდ, არ მივმართავდით ძველ ხერხებს, რომლებსაც იყენებენ იმპერიალისტები, მაგრამ უდი-

დესი შედეგი თვალწინა გვაქვს — რევოლუციის გამარჯვება და გამარჯვებულთა შემოერთება ჩვენთან ერთ მძლავრ რევოლუციურ ფედერაციად. ჩვენ ვბრძანებლობთ არა განცალკევებით, ძველი რომის სასტიკი კანონის თანახმად, არამედ იმით, რომ ვაერთიანებთ ყველა მშრომელს ცოცხალი ინტერესების, კლასობრივი შეგნების განუწყვეტელი ჯაჭვით. და ჩვენი კავშირი, ჩვენი ახალი სახელმწიფო უფრო მტკიცეა ძალმომრეობითს ხელისუფლებაზე, რომელიც სიცრუით და მახვილით აერთიანებს იმპერიალისტებისთვის საჭირო ხელოვნურად შექმნილ სახელმწიფოებრივ ერთეულებს. მაგალითად, როგორც კი აიღეს ხელისუფლება ფინეთის მუშებმა და გლეხებმა, მაშინვე მოგვმართეს მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისადმი ერთგულების გრძნობის გამოთქმით, მისალმების სიტყვებით, რომლებშიც ჩანს მათი ურყევი გადაწყვეტილება, რომ ჩვენთან ერთად ივლიან ინტერნაციონალის გზით. აი ჩვენი ფედერაციის საფუძველი, და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ რევოლუციური რუსეთის ირგვლივ სულ უფრო და უფრო შემოიკრიბება თავისუფალი ერების ცალკეული სხვადასხვა ფედერაცია. სრული ნებაყოფლობით, სიცრუისა და მახვილის გამოუყენებლად, გაიზრდება ეს ფედერაცია, და იგი უძლეველია. მისი უძლეველობის საუკეთესო საწინდარია ის კანონები, ის სახელმწიფო წყობილება, რომელსაც ვქმნით ჩვენს ქვეყანაში. ეს-ეს არის თქვენ გაიგონეთ კანონი მიწის სოციალიზაციის შესახებ. განა ეს კანონი იმის თავდები არ არის, რომ მუშებისა და გლეხების ერთიანობა დღეს განუყრელია, რომ ჩვენ ასეთი ერთიანობის პირობებში დავძლევთ ყოველგვარ დაბრკოლებას სოციალიზმის გზაზე?

ეს დაბრკოლებები კი, მე არ ვმალავ, მეტად დიდია. ბურჟუაზია ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, ყველაფერს სასწორზე დადებს, რომ შემუსროს ჩვენი ერთიანობა. მოინახებიან მატყუარები, პროვოკატორები, გამცემლები, შესაძლოა, მოინახონ შეუგნებელი ადამიანები, მაგრამ ჩვენ ამიერიდან ვერაფერი შეგვაშინებს, რადგან ჩვენ შევქმენით საკუთარი ახალი სახელმწიფო ხელისუფლება, ვინაიდან ჩვენს ხელთაა სახელმწიფოს თვითმმართველობა. ჩვენი ძლიერების მთელი სიმძიმით დავატყდებით თავს ყოველგვარ კონტრრევოლუციურ ცდას. მაგრამ ახალი წყობილების სიმტკიცის მთავარი საფუძველია ის ორგანიზაციული ღონისძიებები, რომელთაც ჩვენ განვახორციელებთ სოციალიზმის გულისთვის. ამ მხრივ ჩვენ უზარმა-

ზარი სამუშაო მოგველის. მოიგონეთ, ამხანაგებო, რომ მსოფლიო ყაჩაღმა-იმპერიალისტებმა, რომლებმაც ომში ჩაითრიეს ერები, ძირფესვიანად მოშალეს მსოფლიოს მთელი სამეურნეო ცხოვრება. ჩვენ დაგვიტოვეს მძიმე მემკვიდრეობა — მათ მიერ დანგრეულის აღსადგენი სამუშაოები.

რა თქმა უნდა, მშრომელებს მართვა-გამგეობის გამოცდილება არ ჰქონდათ, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს. გამარჯვებული პროლეტარიატის წინაშე გადაიშალა ქვეყანა, რომელიც დღეს საერთო-სახალხო კუთვნილება გახდა, და იგი შეძლებს მოაწყოს ახალი წარმოება და მოხმარება სოციალისტური პრინციპების ნიადაგზე. წინათ ადამიანის მთელი გონება, მთელი მისი გენია ქმნიდა მხოლოდ იმისათვის, რომ ტექნიკისა და კულტურის მთელი სიკეთე ერთისთვის მიეცა, სხვებისთვის კი მოესპო უსაშიროესი რამ — განათლება და განვითარება. ახლა კი ტექნიკის ყველა საკვირველება, კულტურის ყველა მონაპოვარი გახდება საერთო-სახალხო კუთვნილება, და აქიერიდან არასოდეს ადამიანის გონება და გენია არ გადაიქცევა ძალმომრეობის საშუალებად, ექსპლოატაციის საშუალებად. ჩვენ ეს ვიცით, — და განა ამ უდიდესი ისტორიული ამოცანის გულისთვის არ ღირს მუშაობა, არ ღირს მთელი ძალ-ღონის შეწირვა? და მშრომელები შეასრულებენ ამ ტიტანურ ისტორიულ სამუშაოს, რადგან მათში დამარხულია რევოლუციის, აღორძინებისა და განახლების მთვლემარე დიადი ძალები.

ჩვენ უკვე მარტონი აღარა ვართ. უკანასკნელ დღეებში მოხდა ღირსშესანიშნავი ამბები არა მარტო უკრაინასა და დონში, არა მარტო ჩვენი კალედინების და კერენსკების სამეფოში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც. თქვენ უკვე იცით დეპეშები გერმანიაში რევოლუციის მდგომარეობის შესახებ. რევოლუციური სტიქიონის ცეცხლის ალი სულ უფრო და უფრო ძლიერ ედება მთელ ძველ დამპალ მსოფლიო წყობილებას. ეს არ იყო ცხოვრებას მოწყვეტილი თეორია, არ იყო კაბინეტის ადამიანთა ფანტაზია, რომ ჩვენ, საბჭოთა ხელისუფლების შექმნით, სული ჩავუდგით ასეთივე ცდას სხვა ქვეყნებშიც-ვინაიდან, ვიმეორებ, სხვა გამოსავალი ამ სისხლისმღვრელი ხოცვა-ჟლეტიდან მშრომელებს არ ჰქონდათ. დღეს ეს ცდა უკვე ხორციელდება საერთაშორისო რევოლუციის მტკიცე მონაპოვართა სახით. და ჩვენ ვხურავთ საბჭოების ისტორიულ ყრილობას სულ უფრო მზარდი მსოფლიო რევოლუციის ნიშნით და შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ყველა ქვეყნის მშრომელები შეერთდებიან ერთ საკაცობრიო სახელმწიფოდ, რომ შეერთებული ძალ-ღონით ააგონ

ახალი სოციალისტური შენობა. ამ მშენებლობის გზა არის საბჭოები, როგორც დაწყებული მსოფლიო რევოლუციის ერთ-ერთი ფორმა.

მოგესალმებით და მოგიწოდებთ ამ ახალი შენობის მშენებლობისაკენ. თქვენ დაბრუნდებით თქვენ-თქვენ ადგილას და მთელ ძალღონეს მოახმართ ჩვენი უდიდესი გამარჯვების ორგანიზაციასა და განმტკიცებას. (დ ე ლ ე გ ა ტ ე ბ ი ფ ე ხ ზ ე დ გ ე ბ ი ა ნ დ ა მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი თ მ ი ე ს ა ლ მ ე ბ ი ა ნ ა მ ხ ა ნ ა გ ლ ე ნ ი ნ ს.)

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 26, გვ. 560 — 564.

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

რკპ (ბ) მეშვიდე ყრილობა
1918 წ. 6 — 8 მარტი

მოხსენებიდან პარტიის პროგრამის გადასინჯვისა და სახელწოდების შეცვლის შესახებ 8 მარტს (საღამოს) [95]

...როგორიც უნდა იყოს ჩვენი რევოლუციის, საერთაშორისო პროლეტარული არმიის ჩვენი რაზმის ბედი, როგორიც უნდა იყოს რევოლუციის შემდგომი პერიპეტიები, ყოველ შემთხვევაში, ობიექტური მდგომარეობა იმპერიალისტური ქვეყნებისა, რომელნიც ამ ომში ჩაებნენ, რომლებმაც ყველაზე მოწინავე ქვეყნები მიიყვანეს შიმშილობამდე, გაპარტახებამდე და გაველურებამდე, — მდგომარეობა ობიექტურად გამოუვალია. და აქ უნდა ვთქვათ ის, რასაც ოცდაათი წლის წინათ, 1887 წელს, ამბობდა ფრიდრიხ ენგელსი, როცა აფასებდა ევროპის ომის მოსალოდნელ პერსპექტივას. ის ამბობდა იმის შესახებ, თუ როგორ დუჟინობით ეყრება გვირგვინები ევროპაში, და არავინ მოისურვებს მათ აღებას, ის ამბობდა იმის შესახებ, თუ როგორი წარმოუდგენელი ნგრევა გახდება ევროპის ქვეყნების ბედი, და ევროპის ომის საშინელებათა საბოლოო შედეგი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი რამ — მან ეს ასე გამოთქვა: «ან მუშათა კლასის გამარჯვება, ან ისეთი პირობების შექმნა, რომელნიც ამ გამარჯვებას შესაძლებელსა და აუცილებელს გახდიან». ამის შესახებ ენგელსი უაღრესად ზუსტად და ფრთხილად ლაპარაკობდა. იმ ადამიანთაგან განსხვავებით, რომელნიც ამახინჯებენ მარქსიზმს, რომელნიც გვაწვდიან თავიანთ მოძველებულ ცრუ-სიბრძნეს და ამტკიცებენ, რომ ნგრევის ნიადაგზე შეუძლებელია სოციალიზმიო, ენგელსს საუცხოოდ ესმოდა, რომ ყოველგვარი ომი, ყოველ მოწინავე საზოგადოებაშიც კი, შექმნის არა მარტო ნგრევას, გაველურებას, ტანჯვას, უბედურებას მასებში, რომელნიც სისხლში ჩაიხრჩობიან,

რომ არ შეიძლება იმის თავდებობა, რომ ეს გამოიწვევს სოციალიზმის გამარჯვებას, იგი ამბობდა, რომ ეს იქნება: «ან მუშათა კლასის გამარჯვება, ან ისეთი პირობების შექმნა, რომელნიც ამ გამარჯვებას შესაძლებელსა და აუცილებელს გახდიან»; ესე იგი აქ, მაშასადამე, შესაძლოა კიდევ მთელი რიგი მძიმე გარდამავალი საფეხურები კულტურისა და საწარმოო საშუალებათა უდიდესი ნგრევის პირობებში, მაგრამ შედეგი შეიძლება იყოს მხოლოდ მშრომელთა მასების ავანგარდის, მუშათა კლასის აღმავლობა და იმაზე გადასვლა, რომ მან ხელში აიღოს ძალაუფლება სოციალისტური საზოგადოების შესაქმნელად. ვინაიდან როგორიც უნდა იყოს კულტურის ნგრევა,— მისი ამოშლა ისტორიული ცხოვრებიდან არ შეიძლება, მისი აღდგენა ძნელი იქნება, მაგრამ არასოდეს არავითარი ნგრევა არ მიგვიყვანს იქამდე, რომ ეს კულტურა სავსებით გაქრეს. თავის ამა თუ იმ ნაწილში, ამა თუ იმ მატერიალურ ნაშთებში ამ კულტურის მოსპობა შეუძლებელია, სიძნელენი იქნება მხოლოდ მის განახლებაში...

ხუზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 27, გვ. 139 — 140

იბეჭდება ხუზულებათა ტექსტის მიხედვით

ჩვენი დროის მთავარი ამოცანა

Ты и убогая, ты и обильная,
Ты и могучая, ты и бессильная
— Матушка-Русь!

კაცობრიობის ისტორია ამჟამად განიცდის ერთ-ერთ უდიდეს, უძნელეს შემობრუნებას, რომელსაც განუზომელი — შეიძლება სრულიად გადაუჭარბებლად ითქვას: მსოფლიო-განმათავისუფლებელი— მნიშვნელობა აქვს. ომიდან მშვიდობისაკენ; ომიდან მტაცებელთა შორის, რომელნიც ექსპლოატირებულთა და მშრომელთა მილიონებს სასაკლაოზე გზავნიან იმისათვის, რომ დაამყარონ უძლიერეს ყაჩაღთა მიერ ნაძარცვი ნადავლის გაყოფის ახალი წესი, ჩაგრულთა ომისაკენ მჩაგვრელების წინააღმდეგ, კაპიტალის უღლისაგან განთავისუფლებისათვის; საშინელი ტანჯვიდან, წამებიდან, შიმშილიდან, გაველურებიდან კომუნისტური საზოგადოების, საყოველთაო კეთილდღეობისა და მტკიცე მშვიდობის ნათელი მომავლისაკენ; — საკვირველი არაა, რომ ასეთი მძაფრი მობრუნების ყველაზე მძაფრ პუნქტებზე, როცა ირგვლივ წარმოუდგენელი ხმაურითა და ჭახანით იმსხვრევა და ინგრევა ძველი, ხოლო იქვე აუწერელი ტანჯვით იბადება ახალი, ზოგ ვისმეს თავბრუ ეხვევა, ზოგს სასოწარკვეთილება იპყრობს, ზოგი კი ხსნას ხანდახან უაღრესად მწარე სინამდვილისაგან ლამაზი, წარმტაცი ფრაზის ჩრდილში ეძებს.

რუსეთს მოუხდა განსაკუთრებით ნათლად დაენახა, განსაკუთრებით მწვავედ და ტანჯვით განეცადა მძაფრზე უმძაფრესი ტეხილები ისტორიისა, რომელიც იმპერიალიზმიდან კომუნისტური რევოლუციისაკენ შემობრუნდა. ჩვენ რამდენიმე დღეში დავანგრიეთ ერთ-ერთი ყველაზე ძველი, ძლიერი, ბარბაროსული და მხეცური მონარქია. ჩვენ რამდენიმე თვეში გავიარეთ ბურჟუაზიასთან შემთანხმებლობის, წვრილბურჟუაზიული ილუზიების აღმოფხვრის მთელი რიგი ეტაპები, რასაც სხვა ქვეყნები ათეულ წლებს ანდომებენ. ჩვენ რამდენიმე კვირაში, დავამხეთ რა ბურჟუაზია, გავტეხეთ მისი აშკა-

რა წინააღმდეგობა სამოქალაქო ომში. ჩვენ ბოლშევიზმის ძლევამოსილი ტრიუმფალური მსვლელობით კიდით კიდემდე გავიარეთ უდიდესი ქვეყანა. ჩვენ თავისუფლებისა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის გამოვაღვიძეთ ცარიზმისა და ბურჟუაზიის მიერ ჩაგრული მშრომელი მასების ყველაზე დაბალი ფენები. ჩვენ შემოვიღეთ და განვამტკიცეთ საბჭოთა რესპუბლიკა, სახელმწიფოს ახალი ტიპი, განუზომლად უფრო მაღალი და დემოკრატიული, ვიდრე საუკეთესონი ბურჟუაზიულ-პარლამენტერ რესპუბლიკებს შორის. ჩვენ დავამყარეთ დიქტატურა პროლეტარიატისა, რომელსაც მხარი დაუჭირა უღარიბესმა გლეხობამ, და შევუდექით სოციალისტურ გარდაქმნათა ფართოდ მოფიქრებული სისტემის განხორციელებას. ჩვენ გამოვაღვიძეთ საკუთარი ძალების რწმენა და ავანთეთ ენთუზიაზმის ცეცხლი ყველა ქვეყნის მუშათა მილიონებში. ჩვენ ყველგან გადავისროლეთ მოწოდება საერთაშორისო მუშათა რევოლუციისაკენ. ჩვენ ბრძოლაში გამოვიწვიეთ ყველა ქვეყნის იმპერიალისტური მტაცებლები.

და ჩვენ რამდენიმე დღეში დაგვანარცხა მიწაზე იმპერიალისტურმა მტაცებელმა, რომელიც უიარაღოებს დაგვეხსა. მან გვაიძულა ხელი მოგვეწერა წარმოუდგენლად მძიმე და დამამცირებელი ზავისთვის, — ეს იყო იმის ხარკი, რომ ჩვენ გავბედეთ, თუნდაც სულ მოკლე ხნით, იმპერიალისტური ომის რკინის მარწუხებიდან თავის დაღწევა. მტაცებელი სპყლეტს, ახრჩობს, ნაწილ-ნაწილად ჰგლეჯს რუსეთს მით უფრო მეტი მძვინვარებით, რაც უფრო მრისხანედ დგება მის წინაშე მუშათა რევოლუციის აჩრდილი მის საკუთარ ქვეყანაში.

ჩვენ იძულებული ვიყავით ხელი მოგვეწერა «ტილზიტის» ზავისთვის. თავის მოტყუება საჭირო არაა. უნდა გამოვიჩინოთ სიმამაცე — პირდაპირ გავუსწოროთ თვალი შეულამაზებელ მწარე სიმართლეს. სავსებით, ძირამდე უნდა გავზომოთ დამარცხების, დანაწევრების, დამონებისა და დამცირების მთელი ის უფსკრული, რომელშიც ჩვენ ახლა გადაგვჩეხეს. რაც უფრო ნათლად შევიგნებთ ამას, მით უფრო განმტკიცდება, გამოიბრძმედება, გაფოლადდება ჩვენი ნებისყოფა განთავისუფლებისადმი, ჩვენი მისწრაფება — კვლავ აღვდგეთ დამონებიდან დამოუკიდებლობისათვის, ჩვენი ურყევი გადაწყვეტილება — რადაც უნდა დაგვიჯდეს მივაღწიოთ იმას, რომ რუსეთი აღარ იყოს უბადრუკი და უძლური, რომ ის გახდეს ძლიერი და უხვი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ის შეიძლება გახდეს ასეთი, ვინაიდან ჩვენ მაინც საკმაოდ

დაგვრჩა სივრცე და ბუნებრივი სიმდიდრენი, რომ ყველა და თვითეული მოვამარაგოთ საარსებო საშუალებებით თუ უხვად არა, საკმაო რაოდენობით მაინც. ჩვენ გვაქვს მასალა ბუნებრივი სიმდიდრისაც, ადამიანურ ძალთა მარაგისაც, საუცხოო გაქანებისაც, რომელიც ხალხის შემოქმედებას მისცა დიდმა რევოლუციამ, — რომ შევქმნათ მართლაც ძლიერი და უხვი რუსეთი.

რუსეთი გახდება ასეთი, თუ უკუაგდებს ყოველგვარ სასოწარკვეთილებას და ყოველგვარ ფრაზას, თუ კბილის კბილზე დაჭერით თავს მოუყრის მთელ თავის ძალებს, თუ დაძაბავს თვითეულ ნერვს, დაჭიმავს თვითეულ კუნთს, თუ მიხვდება, რომ ხსნა შესაძლებელია საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის მ ხ ო ლ ო დ იმ გზაზე, რომელსაც ჩვენ დავადექით. ამ გზით წინსვლა, ისე რომ დამარცხებებმა სულით არ დაგვცეს, სათითაოდ ქვების მოზიდვა სოციალისტური საზოგადოების მტკიცე საძირკვლის ამოსაშენებლად, თავაუღებელი მუშაობა დისციპლინისა და თვითდისციპლინის შესაქმნელად, ყველგან და ყველაფერში ორგანიზებულობის, წესრიგის, საქმიანობის, მთელი სახალხო ძალების მწყობრი თანამშრომლობის, პროდუქტთა წარმოებასა და განაწილებაში საყოველთაო აღრიცხვისა და კონტროლის განსამტკიცებლად, — ასეთია გზა სამხედრო ძლიერებისა და სოციალისტური ძლიერების შესაქმნელად.

ნამდვილ სოციალისტს, როცა იგი სასტიკად დამარცხებულია, არ შეფერის არც ბაქიბუქობა და არც სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა. არაა მართალი, თითქოს ჩვენ გამოსავალი აღარ გვქონდეს და დაგვრჩენოდეს მხოლოდ არჩევანი «უსახელო» (შლიახტიჩის თვალსაზრისით) სიკვდილსა, როგორიც არის უმძიმესი ზავი, და უიმედო ბრძოლაში «სახელოვან» სიკვდილს შორის. არაა მართალი, თითქოს ჩვენ ვუღალატეთ ჩვენს იდეალებს ან ჩვენს მეგობრებს, როცა «ტილზიტის» ზავს მოვაწერეთ ხელი. ჩვენ არაფრისთვის და არავისთვის არ გვიღალატნია, არც ერთი სიყალბე არ დაგვიდასტურებია და არ დაგვიფარავს, არც ერთი ჭირში მეგობრისა და ამხანაგისათვის არ გვითქვამს უარი დავხმარებოდით ყველაფრით, რითაც კი შეგვეძლო, ყველაფრით, რაც კი იყო ჩვენს განკარგულებაში. მხედართმთავარი, რომელსაც ქვეყნის შიგნით მიყავს დამარცხებული თუ პანიკური გაქცევის სენით დაავადებული არმიის ნარჩენები, რომელიც ამ უკანდახევას იცავს, უკიდურეს შემთხვევაში, უმძიმესი და უაღრესად დამამცირებელი ზავით, — არ ღალატობს ამით არმიის იმ ნაწილებს, რომელთა დახმარება მას არ შეუძლია და რომელთაც მტერმა გზა გადაუჭრა. ასეთი მხედართმთავარი ასრულებს თავის

მოვალეობას, როცა ირჩევს ერთადერთ გზას იმის გადასარჩენად, რისი გადარჩენაც კიდევ შეიძლება, როცა არ თანხმდება ავანტიურას, არ ალამაზებს ხალხის წინაშე მწარე სიმართლეს, «უთმობს სივრცეს დროის მოსაგებად», სარგებლობს ყ ო ვ ე ლ ი, თუნდაც მინიმალური შესვენებით, რათა შეკრიბოს ძალები, რათა სული მოათქმევინოს ან თავის განკურნების საშუალება მისცეს არმიას, რომელიც გახრწნისა და დემორალიზაციის სენს შეუპყრია.

ჩვენ მოვაწერეთ ხელი «ტილზიტის» ზავს. როცა ნაპოლეონ I-მა აიძულა პრუსია, 1807 წელს, მიეღო ტილზიტის ზავი, დამპყრობმა დაამარცხა გერმანელთა ყველა არმია, დაიკავა სატახტო ქალაქი და ყველა დიდი ქალაქი, შემოიღო თავისი პოლიცია, აიძულა დამარცხებულნი მიეცათ მისთვის დამხმარე კორპუსები დამპყრობლის მიერ ახალი მძარცველური ომების საწარმოებლად, კავშირი შეჰკრა ზოგიერთ გერმანულ სახელმწიფოსთან სხვა გერმანული სახელმწიფოების წინააღმდეგ და ამით დააქუცმაცა გერმანია. და მიუხედავად ამისა, ა ს ე თ ი ზავის შემდეგაც კი, გერმანელმა ხალხმა გაუძლო, შეძლო ძალ-ღონე მოეკრიბა, შეძლო ამხედრებულიყო და მოეპოვებინა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უფლება.

ყველას, ვისაც სურს და შეუძლია ფიქრი, მაგალითი ტილზიტის ზავისა (რომელიც იყო მხოლოდ ერთი მრავალ მძიმე და დამამცირებელ ხელშეკრულებათაგანი, რომელთაც თავს ახვევდნენ გერმანელებს იმ ეპოქაში) ნათლად უჩვენებს, თუ რა ბავშვურად გულუბრყვილოა აზრი, თითქოს უმძიმესი ზავი ყოველგვარ პირობებში დაღუპვის უფსკრული იყოს, ხოლო ომი — სიმამაცისა და ხსნის გზა. ომების ეპოქები გვასწავლიან, რომ ზავი ხშირად ასრულებდა ისტორიაში შესვენებისა და ძალთა მოკრების როლს ახალი ბრძოლებისათვის. ტილზიტის ზავი გერმანიის უდიდესი დამცირება იყო, და ამავე დროს ის იყო შემობრუნება უდიდესი ეროვნული აღმავლობისაკენ. მაშინ ისტორიული ვითარება არავითარ სხვა გამოსავალს არ აძლევდა ამ აღმავლობას, გარდა გამოსავლისა ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი სახელმწიფოს სახით. მაშინ, ასზე მეტი წლის წინათ, ისტორიას ქმნიდნენ ერთი მუჭა თავადაზნაურნი და ბურჟუაზიული ინტელიგენტების მცირე ჯგუფები, მუშათა და გლეხთა მასები კი თვლემდნენ და ძილში იყვნენ. მაშინ ისტორიას შეეძლო ამის გამო ევლო მხოლოდ უსაშინელესი სიძნელით.

ახლა კაპიტალიზმმა დიდად და დიდად აამაღლა საერთოდ კულტურა, კერძოდ — მასების კულტურა. ომმა შეარხია მასები, გამოაღვიძა ისინი გაუგონარი საშინელებებითა და ტანჯვით. ომმა წაუბიძგა

ისტორიას, და იგი ახლა ლოკომოტივის სისწრაფით მიქრის. ისტორიას ახლა დამოუკიდებლად ქმნიან მილიონობით და ათეულ მილიონობით ადამიანები. კაპიტალიზმი ახლა სოციალიზმამდე გაიზარდა.

და ამიტომ, თუ რუსეთი ახლა მიდის — ის კი უცილობლად მიდის — «ტილზიტის» ზავიდან ნაციონალური აღმავლობისაკენ, დიდი სამამულო ომისაკენ, ამ აღმავლობისათვის გამოსავალია არა გამოსავალი ბურჟუაზიულ სახელმწიფოსაკენ, არამედ გამოსავალი საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციისაკენ. ჩვენ ობორონცები ვართ 1917 წ. 25 ოქტომბრიდან. ჩვენ «სამშობლოს დაცვას» ვემხრობით, მაგრამ ის სამამულო ომი, რომლისკენაც ჩვენ მივდივართ, არის ომი სოციალისტური სამშობლოსათვის, სოციალიზმისათვის, როგორც სამშობლოსათვის, საბჭოთა რესპუბლიკისათვის, როგორც სოციალიზმის მსოფლიო არმიის რ ა ზ მ ი ს ა თ ვ ი ს.

«სიძულვილი გერმანელისადმი, დაჰკა გერმანელს», — ასეთი იყო და ახლაც ასეთივეა ჩვეულებრივი, ე. ი. ბურჟუაზიული, პატრიოტიზმის ლოზუნგი. ჩვენ კი ვიტყვით: «სიძულვილი იმპერიალისტური მტაცებლებისადმი, სიძულვილი კაპიტალიზმისადმი, სიკვდილი კაპიტალიზმს» და ამასთან ერთად: «ისწავლე გერმანელისაგან! ერთგული დარჩი გერმანელ მუშებთან ძმური კავშირისა. მათ დააგვიანეს ჩვენს დასახმარებლად მოსვლა. ჩვენ მოვიგებთ დროს, ვესწრებით მათ მოსვლას, ისინი მ ო ვ ლ ე ნ ჩვენს დასახმარებლად».

დიახ, ისწავლე გერმანელისაგან! ისტორია მიხვეულ-მოხვეული და შემოსავლელი გზებით მიდის. გამოვიდა ისე, რომ დღეს სწორედ გერმანელი ასახიერებს, მხეცურ იმპერიალიზმთან ერთად, დისციპლინის, ორგანიზაციის, მწყობრი თანამშრომლობის საწყისს უახლესი მანქანური ინდუსტრიის, უსასტიკესი აღრიცხვისა და კონტროლის საფუძველზე.

ეს კი სწორედ ისაა, რაც ჩვენ გვაკლია. ეს სწორედ ისაა, რაც ჩვენ უნდა ვისწავლოთ. ეს სწორედ ისაა, რაც აკლია ჩვენს დიდ რევოლუციას, რათა ძლევამოსილი დასაწყისიდან, მთელ რიგ მძიმე განსაცდელთა გზით, ძლევამოსილ დასასრულამდე მივიდეს. ეს სწორედ ისაა, რაც ესაჭიროება რუსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, რათა იგი აღარ იქნეს ღატაკი და უძლური, რათა საბოლოოდ გახდეს ძლიერი და უხვი.

1918 წ. 11 მარტი

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 27.
გვ. 174 — 180

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით.

სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო IV ყრილობა

1918 წ. 14 — 16 მარტი

პროექტი რეზოლუციისა ვილსონის მომართვის გამო [96]

ყრილობა მადლობას უცხადებს ამერიკელ ხალხს და პირველ რიგში ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მშრომელ და ექსპლოატირებულ კლასებს პრეზიდენტ ვილსონის მიერ რუსი ხალხისადმი თანაგრძნობის გამოთქმის გამო, საბჭოების ყრილობის საშუალებით, იმ დღეებში, როცა რუსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა მძიმე განსაცდელშია.

გახდა რა ნეიტრალურ ქვეყნად, რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა სარგებლობს მისდამი პრეზიდენტ ვილსონის მომართვით, რათა გამოუცხადოს ყველა ხალხს, რომლებიც იღუპებიან და იტანჯებიან იმპერიალისტური ომის საშინელებათაგან, თავისი მხურვალე თანაგრძნობა და მტკიცე რწმენა, რომ შორს აღარაა ის ბედნიერი დრო, როცა ყველა ბურჟუაზიული ქვეყნის მშრომელი მასები დაამხობენ კაპიტალის უღელს და დაამყარებენ საზოგადოების სოციალისტურ წყობილებას, რომელსაც ერთადერთს შეუძლია უზრუნველყოს მტკიცე და სამართლიანი მშვიდობა, აგრეთვე ყველა მშრომელის კულტურა და კეთილდღეობა.

1918 წ. 13 ან 14 მარტი,
თბზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 27,
გვ. 191

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

ნაშრომიდან
«საბჭოთა ხელისუფლების მოარიგი ამოცანები»

შრომის ნაყოფიერების გადიდება

ყოველ სოციალისტურ რევოლუციაში, მას შემდეგ, რაც გადაჭრილია პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების დაპყრობის ამოცანა და იმის მიხედვით, თუ როგორ წყდება მთავარსა და ძირითადში ამოცანა: ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია და მათი წინააღმდეგობის დათრგუნვა, — პირველ რიგში აუცილებლად დგება კაპიტალიზმზე უფრო მაღალი საზოგადოებრივი წყობის შექმნის ძირითადი ამოცანა, სახელდობრ: შრომის ნაყოფიერების გადიდება, ამასთან დაკავშირებით (და ამისათვის) კი — მისი უმაღლესი ორგანიზაცია. ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება იმყოფება სწორედ ისეთ მდგომარეობაში, როცა, ექსპლოატატორებზე, კერენსკიდან კორნილოვამდე, გამარჯვებათა მეოხებით, ძან შესაძლებლობა მიიღო უშუალოდ მისულიყო ამ ამოცანამდე, უშუალოდ მოეკიდა მისთვის ხელი. და აქ ერთბაშად შესამჩნევი ხდება, რომ თუ ცენტრალური სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობა რამდენიმე დღეში შეიძლება, თუ ექსპლოატატორთა სამხედრო (და საბოტაჟური) წინააღმდეგობის დათრგუნვა დიდი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეშიც კი რამდენიმე კვირაში შეიძლება, შრომის ნაყოფიერების გადიდების ამოცანის მტკიცედ გადაწყვეტა მოითხოვს, ყოველ შემთხვევაში (განსაკუთრებით უაღრესად მტანჯველი და უაღრესად გამანადგურებელი ომის შემდეგ), რამდენიმე წელიწადს. მუშაობის ხანგრძლივ ხასიათს აქ გვიკარნახებენ უცილობლად ობიექტური გარემოებანი.

შრომის ნაყოფიერების გადიდება, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს მსხვილი ინდუსტრიის მატერიალური საფუძვლის უზრუნველყოფას: სათბობის, რკინის წარმოების, მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის განვითარებას. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა იმყოფება იმდენად ხელსაყრელ პირობებში, რომ მის განკარგულებაშია — ბრესტის ზავის შემდეგაც კი—უზარმაზარი მარაგი მადნისა (ურალზე),

სათბობისა დასავლეთ ციმბირში (ქვანახშირი), კავკასიაში და სამხრეთ-აღმოსავლეთში (ნავთობი), ცენტრში (ტორფი), უზარმაზარი სიმდიდრე ტყეებისა, წყლის ძალისა, ნედლეულისა ქიმიური მრეწველობისათვის (ყარაბუღაზი) და ა. შ. ამ ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება უახლესი ტექნიკის წესებით მოგვცემს საწარმოო ძალთა უნახავი პროგრესის საფუძველს.

შრომის ნაყოფიერების გადიდების მეორე პირობას წარმოადგენს, ჯერ-ერთი, მოსახლეობის მასის საგანმანათლებლო და კულტურული აღმავლობა. ეს აღმავლობა ახლა უდიდესი სისწრაფით მიმდინარეობს, რასაც ვერ ხედავენ ბურჟუაზიული რუტინით დაბრმავებული ადამიანები, რომელთაც უნარი არა აქვთ გაიგონ, თუ სინათლისა და თაოსნობისადმი რაოდენი ლტოლვა ღვივდება ახლა ხალხის «ქვედაფენებში» საბჭოთა ორგანიზაციის მეოხებით. მეორე, ეკონომიური აღმავლობის პირობას წარმოადგენს აგრეთვე მშრომელთა დისციპლინის, მუშაობის უნარის, ხელმარჯვეობის, შრომის ინტენსივობის, მისი უკეთ ორგანიზაციის აშაღლება.

ამ მხრით საქმე ჩვენში განსაკუთრებით ცუდად და უიმედოდაც კი არის, თუ დავუჯერებთ იმ ადამიანებს, რომლებმაც თავი დააშინებინეს ბურჟუაზიას, ან რომლებიც ანგარებით ემსახურებიან მას. ამ ადამიანებს არ ესმით, რომ არ ყოფილა და არც შეიძლება იყოს რევოლუცია, როცა ძველის მომხრენი არ გაჰყვიროდნენ ნგრევაზე, ანარქიაზე და სხვ. ბუნებრივია, რომ მასებში, რომლებმაც ეს-ეს არის დაამხეს არნახულ-ველური ჩაგვრა, წარმოებს ღრმა და ფართო დუღილი და ღვივილი, — რომ მასების მიერ შრომის დისციპლინის ახალი საფუძვლების გამომუშავება ძალიან ხანგრძლივი პროცესია,— რომ მემამულეზე და ბურჟუაზიაზე სრულ გამარჯვებამდე ასეთი გამომუშავების დაწყებაც კი არ შეიძლებოდა.

მაგრამ ოდნავადაც არ უნდა ავყვეთ რა იმ, ხშირად ყალბ, სასოწარკვეთილებას, რომელსაც ავრცელებენ ბურჟუები და ბურჟუაზიული ინტელიგენტები (რომელთაც დაკარგეს თავიანთი ძველი პრივილეგიების შენარჩუნების იმედი), ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავფაროთ აშკარა ბოროტება. პირიქით, ჩვენ ვამხილებთ მას და გავაძლიერებთ მის წინააღმდეგ ბრძოლის საბჭოთა ხერხებს, ვინაიდან სოციალიზმის წარმატება წარმოუდგენელია ისე, თუ პროლეტარულმა შეგნებულმა დისციპლინიანობამ არ გაიმარჯვა სტიქიურ წვრილბურჟუაზიულ ანარქიაზე, კერენშჩინისა და კორნილოვშჩინის შესაძლებელი რესტავრაციის ამ ნამდვილ საწინდარზე.

რუსეთის პროლეტარიატის ყველაზე შეგნებულმა ავანგარდმა

უკვე დაისახა შრომის დისციპლინის ამაღლების ამოცანა. მაგალითად, მელითონეთა კავშირის ცენტრალურ კომიტეტშიც და პროფესიული კავშირების ცენტრალურ საბჭოშიც დაწყებულია სათანადო ღონისძიებათა და დეკრეტების პროექტთა დამუშავება [97]. ამ მუშაობას მხარი უნდა დავუჭიროთ და იგი მთელი ძალ-ღონით უნდა წავიწიოთ წინ. დღის წესრიგში უნდა დავაყენოთ, პრაქტიკულად გამოვიყენოთ და გამოვცადოთ სანარდო ხელფასი, გამოყენება ბევრი რაოდენობისა, რაც კი მეცნიერული და პროგრესულია ტეილორის სისტემაში, ხელფასის შეფარდება პროდუქტის გამომუშავების საერთო ჯამისადმი ან რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის საექსპლოატაციო შედეგებისადმი და სხვ. და სხვ.

რუსი ადამიანი — ცუდი მუშაკია მოწინავე ერებთან შედარებით. და ეს არც შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო ცარიზმის რეჟიმისა და ბატონყმობის ნაშთების არსებობის დროს. მუშაობის სწავლა— ეს ამოცანა საბჭოთა ხელისუფლებამ მთელი მისი მოცულობით უნდა წამოაყენოს ხალხის წინაშე. ამ მხრივ კაპიტალიზმის უკანასკნელი სიტყვა, ტეილორის სისტემა, — ისე როგორც კაპიტალიზმის ყველა პროგრესი, — თავისთავში აერთიანებს ბურჟუაზიული ექსპლოატაციის მოქნილ სიმხეცეს და მთელ რიგ უმდიდრეს მეცნიერულ მონაპოვრებს შრომის დროს მექანიკურ მოძრაობათა ანალიზის, ზედმეტ და მოუქნელ მოძრაობათა განდევნის, მუშაობის ყველაზე სწორი ხერხების გამომუშავების, აღრიცხვისა და კონტროლის საუკეთესო სისტემების შემოღებისა და სხვ. საქმეში. საბჭოთა რესპუბლიკამ რადაც უნდა დაჯდეს უნდა გადმოიღოს ყოველივე ღირებული მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვართაგან ამ დარგში. სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობა განსაზღვრულ იქნება სწორედ ჩვენი მიღწევებით საბჭოთა ხელისუფლების და მმართველობის საბჭოთა ორგანიზაციის შეხამებაში კაპიტალიზმის უახლოეს პროგრესთან. რუსეთში უნდა მოვაწყოთ ტეილორის სისტემის შესწავლა და სწავლება, მისი სისტემატური გამოცდა და მომარჯვება. ამასთან ერთად, უნდა მივდიოდეთ რა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ, საჭიროა ანგარიში გავუწიოთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი დროის იმ თავისებურებებს, რომელნიც, ერთი მხრით, მოითხოვენ, რომ საფუძველი ჩაეყაროს შეჯიბრების სოციალისტურ ორგანიზაციას, ხოლო, მეორე მხრით, მოითხოვენ იძულების გამოყენებას, ისე რომ პროლეტარიატის დიქტატურის ლოზუნგს ჩირქი არ მოეცხოს პროლეტარული ხელისუფლების ფაფისებური მდგომარეობის პრაქტიკით.

საბჭოთა ორგანიზაციის განვითარება

... საბჭოთა ორგანიზაციის ბიუროკრატიულ დამახინჯებასთან ბრძოლას უზრუნველყოფს საბჭოების მტკიცე კავშირი «ხალხთან», მშრომელთა და ექსპლოატირებულთა აზრით, ამ კავშირის მოქნილობა და ელასტიურობა. ბურჟუაზიულ პარლამენტებს დემოკრატიზმის მხრივ მსოფლიოში საუკეთესო კაპიტალისტურ რესპუბლიკაშიც კი ღარიბები არასოდეს არ თვლიან «თავიანთ» დაწესებულებად. ხოლო საბჭოები მუშათა და გლეხთა მასისათვის «თავიანთი» რამაა და არა უცხო. შეიდემანის ანუ, რაც თითქმის ერთი და იგივეა, მარტოვის ჯურის თანამედროვე «სოციალ-დემოკრატებს» საბჭოები ისევე არ ეჭაშნიკებათ, მათ ისევე მიუწევთ გული კეთილსახოვანი ბურჟუაზიული პარლამენტისა ან დამფუძნებელი კრებისაკენ, როგორადაც ტურგენევს 60 წლის წინათ გული მიუწევდა ზომიერი მონარქიული და აზნაურული კონსტიტუციისაკენ, როგორადაც მას არ ეჭაშნიკებოდა დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის გლეხური დემოკრატიზმი...

1918 წ. მარტი — აპრილი
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 27
გვ. 302 — 306, 326.

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

სრულიად რუსეთის ცაკის სხდომა

1918 წ. 29 აპრილი

მოხსენებიდან
საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ

... ვოიგონეთ, რას წერდნენ წინანდელი სოციალისტები მომავალ სოციალისტურ რევოლუციაზე; საეჭვოა, რომ შეიძლებოდეს სოციალიზმზე გადასვლა, თუ არ ვისწავლეთ ტრესტის ორგანიზატორებისაგან, ვინაიდან ისინი ამ წარმოებას დიდი მასშტაბით ეწეოდნენ ჩვენთვის საჭირო არაა მათ სოციალიზმი ვასწავლოთ, ჩვენ გვესაჭიროება მათი ექსპროპრიაცია, მათი საბოტაჟის გატეხა. ეს ორი ამოცანა ჩვენ შევასრულეთ. უნდა ვაიძულოთ ისინი დაემორჩილონ მუშათა კონტროლს. და თუ ჩვენი კრიტიკოსები მემარცხენე კომუნისტებიდან გვისაყვედურებდნენ იმას, თითქოს ჩვენ ჩვენი ტაქტიკით მივდიოდეთ არა კომუნიზმისაკენ, არამედ უკან, — მათი საყვედურები სასაცილოა: მათ ავიწყდებათ, რომ ჩვენ ჩამოვრჩით აღრიცხვისა და კონტროლის საქმეში, რადგან ძალიან ძნელი იყო ამ წინააღმდეგობის ვატეხა და ბურჟუაზიისა და მისი ტექნიკოსების, მისი ბურჟუაზიული სპეციალისტების ჩვენს სამსახურში წამოყვანა. მათი ცოდნა, მათი გამოცდილება და შრომა კი ჩვენ გვესაჭიროება, უეჭველად შეუძლებელია ნამდვილად ავიღოთ ის კულტურა, რომელიც შექმნილია ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობით და დარჩენილია როგორც სოციალიზმის მატერიალური ბაზისი. თუ მემარცხენე კომუნისტებმა ეს ვერ შენიშნეს, ეს იმიტომ, რომ ისინი ნამდვილ ცხოვრებას კი ვერ ხედავენ, არამედ თავიანთ ლოზუნგებს თხზავენ იდეალური სოციალიზმისადმი სახელმწიფო კაპიტალიზმის დაპირისპირებიდან. ჩვენ კი უნდა ვუთხრათ მუშებს: დიახ, ეს ნაბიჯია უკან, მაგრამ ჩვენ უნდა დავეხმაროთ ჩვენს თავს საშუალების გამოსახვაში. საშუალება ერთია: შეკავშირდით უკანასკნელ ადამიანამდე, მოაწყვეთ წარმოე-

ბის აღრიცხვა, მოაწყვეთ აღრიცხვა და კონტროლი მოხმარების საქმეში და ჰქენით ის, რომ ჩვენ ასეულ მილიონობით ფულს არ ვყრიდეთ საბეჭდავი დაზგიდან, და არც ერთი ასმანეთიანი, რომელიც უმართებულოდ ჩავარდა ვისიმე ხელში, არ ასცდეს უკანვე სახელმწიფო ხაზინას. ეს არ შეიძლება გაკეთდეს რევოლუციის არავითარი გაქანებით, ბურჟუაზიის არავითარი ჩაკვლით. ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ თვითდისციპლინით, მხოლოდ მუშათა და გლეხთა შრომის ორგანიზაციით, მხოლოდ აღრიცხვითა და კონტროლით. ეს ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს, და ამისთვის ჩვენ ვიხდით ხარკს უფრო მაღალი ჯამაგირის მიცემით, ვიდრე ორგანიზატორი-კაპიტალისტები გიხდიდნენ თქვენ. ჩვენ ეს არ დაგვისწავლია, მაგრამ უნდა ვისწავლოთ, ესაა გზა სოციალიზმისაკენ, ერთადერთი გზა — ვასწავლოთ მუშებს უზარმაზარი წარმოების მართვის პრაქტიკული საქმე, მსხვილი წარმოებისა და უმსხვილესი განაწილების ორგანიზაცია...

თხზულებანი. გამოც. მე-4, ტ. 27.
გვ. 359 — 360

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

სიტყვა მასწავლებელ-ინტერნაციონალისტთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე

1918 წ. 5 ივნისს

მოკლე სარჩო ჩანაწერი

(ყ რ ი ლ ო ბ ა ლ ე ნ ი ნ ს ხ ვ დ ე ბ ა მ ქ უ ხ ა რ ე ო ვ ა ც ი ე-ბ ი თ). ლენინი ყრილობას მიესალმება სახალხო კომისართა საბჭოს სახელით და ამბობს, რომ მასწავლებლობა, რომელიც წინათ ნელა გადადიოდა საბჭოთა ხელისუფლებასთან მუშაობაზე, ახლა სულ უფრო მეტად რწმუნდება იმაში, რომ ეს ერთობლივი მუშაობა აუცილებლად საჭიროა. ამგვარი გარდაქმნები საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეებიდან მის მომხრეებად მეტად მრავალრიცხოვანია საზოგადოების სხვა ფენებშიც.

მასწავლებელთა არმიამ უნდა დაისახოს უზარმაზარი საგანმანათლებლო ამოცანები და უწინარეს ყოვლისა ის უნდა გახდეს სოციალისტური განათლების მთავარი არმია. ცხოვრება, ცოდნა უნდა გავათავისუფლოთ კაპიტალისადმი მორჩილებისაგან, ბურჟუაზიის უღლისაგან. არ შეიძლება თავი შემოვიფარგლოთ ვიწრო სამასწავლებლო მოღვაწეობის ჩარჩოებით. მასწავლებლობა უნდა გაერთიანდეს მშრომელთა მთელ მებრძოლ მასასთან. ახალი პედაგოგიკის ამოცანაა დაუკავშიროს სამასწავლებლო მოღვაწეობა საზოგადოების სოციალისტური ორგანიზაციის ამოცანას.

უნდა ითქვას, რომ ძველი რუსეთის ინტელიგენციის მთავარი მასა საბჭოთა ხელისუფლების პირდაპირი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა, და ეპვი არ არის, რომ ამ გარემოებით შექმნილ სიძნელეთა გადალახვა ადვილი არ იქნება. დუღილის პროცესი მასწავლებელთა ფართო მასაში მხოლოდ ახლა იწყება, და ჭეშმარიტი სახალხო მასწავლებლები სრულიად რუსეთის მასწავლებელთა კავშირის ჩარჩოებში კი არ უნდა ჩაიკეტონ, არამედ დარწმუნებით გავიდნენ მასებში პროპაგანდის გასაწევად. ეს გზა მიგვიყვანს პროლეტარიატისა და მასწავლებლობის ერთობლივ ბრძოლამდე სოციალიზმის გამარჯვებისათვის. (მ თ ე ლ ი დ ა რ ბ ა ზ ი ს ტ ა შ ი ს ც ე მ ა შ ი ლ ე ნ ი ნ ი ს ტ ო ვ ე ბ ს კ რ ე ბ ა ს).

ხელნაწერი, გამოც. მე-4, ტ. 27, გვ. 545 — 546

იბეჭდება ხელნაწერთა ტექსტის მიხედვით

სტატიიდან
«წინასწარმეტყველური სიტყვები»

...წარმოსადგენია თუ არა მრავალწლიანი ომი როგორც ჯარების, ისე ხალხთა მასების გ ა ვ ე ლ უ რ ე ბ ი ს გარეშე? რა თქმა უნდა, არა. რამდენიმე წლისთვის, თუ მთელი თაობისთვის არა, მრავალწლიანი ომის ასეთი შედეგი უთუოდ გარდუვალია. ხოლო ჩვენი «ფუტლარის ადამიანები», ბურჟუაზიული ინტელიგენციიდან ვამოსული კაცუნები, რომელნიც თავიანთ თავს «სოციალ-დემოკრატებსა» და «სოციალისტებს» უწოდებენ, ბურჟუაზიის ხმას აყოლიან და გაველურების გამოვლინებებს ან გაველურების განსაკუთრებით მწვავე შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის ზომების გარდუვალ სისასტიკეს რევოლუციას აბრალებენ, — თუმცა ღღესავით ნათელია, რომ ეს გაველურება იმპერიალისტურმა ომმა გამოიწვია და არავითარ რევოლუციას არ ძალუძს ხანგრძლივი ბრძოლის გარეშე, მთელ რიგ სასტიკ რეპრესიათა გამოუყენებლად განთავისუფლდეს ომის ა ს ე თ ი შედეგებისაგან.

ისინი მზად არიან «თეორიულად» დაუშვან პროლეტარიატისა და სხვა ჩაგრული კლასების რევოლუცია, «ნოვაია ჟიზნის», «ვპერიოდის» თუ «დელო ნაროდას» [93] ეს ჩვენი მოთაფლული მწერლები, ოღონდ ისე კი, რომ ეს რევოლუცია ციდან ჩამოვარდეს, და არა იშვას და იზრდებოდეს ხალხთა ოთხწლიან იმპერიალისტურ ხოცვა-ჟლეტაში სისხლით მორწყულ მიწაზე, ამ ხოცვა-ჟლეტაში განაწამებ, გატანჯულ, გაველურებულ მილიონობითა და მილიონობით ადამიანთა შორის.

მათ გაუგონიათ და «თეორიულად» აღიარებდნენ, რომ რევოლუცია უნდა შევადაროთ მშობიარობის აქტს, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ისინი სამარცხვინოდ დაფრთხნენ და სულმდაბალი კაცუნების თავიანთი წუწუნი გადააქციეს პროლეტარიატის აჯანყების

წინააღმდეგ ბურჟუაზიის ღვარძლიანი გამოსვლების გადამღერებად. ავიღოთ მშობიარობის აქტის აღწერა ლიტერატურაში, — ის აღწერები, როცა ავტორთა მიზანი იყო ამ აქტის მთელი სიმძიმის, მთელი ტანჯვა-წამების, მთელ საშინელების სიმართლით აღდგენა, მაგალითად, ემილ ზოლას «La joie de vivre» («სიცოცხლის სიხარული») ან ვერესაევის «ექიმის ჩანაწერები». ადამიანის დაბადება დაკავშირებულია ისეთ აქტთან, რომელიც ქალს აქცევს გაწამებულ, გატანჯულ, ტკივილისგან გაგიჟებულ, გასისხლიანებულ, ნახევრად მკვდარ ხორცის ნაჭრად. მაგრამ დათანხმდებოდა თუ არა ვინმე ადამიანად ეცნო ისეთი «ინდივიდი», რომელიც მ ხ ო ლ ო დ ამას დაინახავდა სიყვარულში, მის შედეგებში, ქალის გადაქცევაში დედად? ვინ აიღებდა ამ საფუძვლით ხელს სიყვარულსა და შვილოსნობაზე?

მშობიარობა არის იოლი და არის მძიმე. მარქსი და ენგელსი, მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები, ყოველთვის ლაპარაკობდნენ მ შ ო ბ ი ა რ ო ბ ი ს ხ ა ნ გ რ ძ ლ ი ვ ი ტ კ ი ვ ი ლ ე ბ ი ს შესახებ, რომლებიც გარდუვალად დაკავშირებულია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლასთან. და ენგელსი, როცა ანალიზს უკეთებს მსოფლიო ომის შედეგებს, მარტივად და ნათლად აღწერს იმ უდავო და აშკარა ფაქტს, რომ რევოლუცია, რომელიც ომს მოჰყვება, რომელიც დაკავშირებულია ომთან (ხოლო კიდევ უფრო მეტად — დავსძენთ ჩვენი მხრით — რომელიც ომის დროს იფეთქებს, იძულებულია იზრდებოდეს და ძლებდეს მისი გარემომცველი მსოფლიო ომის დროს), რომ ასეთი რევოლუცია მშობიარობის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ ი თ მ ძ ი მ ე შემთხვევაა.

ამ ფაქტის ნათელი შეგნებით ენგელსი განსაკუთრებით ფრთხილად ლაპარაკობს სოციალიზმის დაბადებაზე კაპიტალისტური საზოგადოების მიერ, რომელიც მსოფლიო ომში იღუპება. «მხოლოდ ერთი შედეგი (მსოფლიო ომისა), — ამბობს ის, — აბსოლუტურად უეჭველია: საყოველთაო გაჭოფიტვა და პირობების შექმნა მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისათვის»...

1918 წლის 29 ივნისი
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 27,
გვ. 611 — 613

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

სიტყვიდან
განათლების საკითხებზე მოწვეულ სრულიად რუსეთის I ყრილობაზე
1918 წ. 28 აგვისტოს

...ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იმ ბრძოლისა, რომელსაც ჩვენ ახლა ვეწევით, არის სახალხო განათლების საქმე. თვალთმაქცობასა და სიცრუეს ჩვენ შეგვიძლია დავუპირისპიროთ სრული და აშკარა სიმართლე. ომმა თვალნათლივ დაგვანახვა, თუ რა არის «უმრავლესობის ნება», რომელსაც ამოფარებული იყო ბურჟუაზია, ომმა დაგვანახვა, რომ ერთი მუჭა პლუტოკრატები ხალხებს აბამენ ხოცვა-ჟლეტაში თავიანთი ინტერესებისათვის. იმის რწმენას, რომ ბურჟუაზიული დემოკრატია უმრავლესობას ემსახურება, ახლა საბოლოოდ გამოეცალა საფუძველი. ჩვენი კონსტიტუცია, ჩვენი საბჭოები, რომლებიც ახალ მოვლენას წარმოადგენენ ევროპისათვის, მაგრამ რომლებიც გასაგებია ჩვენთვის ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის გამოცდილებიდან, საუკეთესო სააგიტაციო და საპროპაგანდო მაგალითია, რაც ამხილებს მათი დემოკრატიზმის მთელ სიყალბესა და თვალთმაქცობას. ჩვენ აშკარად გამოვაცხადეთ მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ბატონობა — ეს შეადგენს ჩვენს ძალას და ჩვენი უძლეველობის წყაროს.

სახალხო განათლების დარგში იგივეა: რაც უფრო კულტურული იყო ბურჟუაზიული სახელმწიფო, მით უფრო ოსტატურად ცრუობდა იგი, როცა ამტკიცებდა, რომ სკოლა შეიძლება პოლიტიკის გარეშე იდგეს და მთლიანად აღებულ საზოგადოებას ემსახურებოდესო.

ნამდვილად სკოლა სავსებით გადაქცეული იყო ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის იარაღად, იგი მთლად გაჟღენთილი იყო კასტური ბურჟუაზიული სულისკვეთებით, მას მიზნად ჰქონდა მიეცა კაპიტალისტებისათვის მაამებელი მონები და საზრიანი მუშები. ომმა ცხადყო, თუ როგორ წარმოადგენენ თანამედროვე ტექნიკის საოცრებანი მილიონობით მუშის გაჟლეტის საშუალებას და ომის წყალობით კაპიტალისტების უზომო გამდიდრების საშუალებას. ომს შინაგანად საფუძველი ეცლება, რადგან ჩვენ ვამხილეთ მათი სიცრუე, დავუპირისპირეთ რა მას სიმართლე. ჩვენ ვამბობთ: ჩვენი საქმე სკო-

ლის დარგში იგივეა — ბრძოლა ბურჟუაზიის დამხობისათვის; ჩვენ აშკარად ვაცხადებთ, რომ სკოლა ცხოვრების გარეშე, პოლიტიკის გარეშე, — ეს სიცრუე და თვალთმაქცობაა. რა იყო საბოტაჟი, რომელიც გამოაცხადეს ძველი ბურჟუაზიული კულტურის ყველაზე განათლებულმა წარმომადგენლებმა? საბოტაჟმა ყოველ აგიტატორზე, ყოველ ჩვენს ლაპარაკზე და ათასობით ბროშურაზე უფრო ნათლად გვიჩვენა, რომ ეს ადამიანები ცოდნას თავიანთ მონოპოლიად თვლიან და აქცევენ მას ეგრეთწოდებულ «ქვედაფენებზე» თავიანთი ბატონობის იარაღად. ისინი სარგებლობდნენ თავიანთი განათლებით იმისათვის, რომ ჩაეშალათ სოციალისტური მშენებლობის საქმე, ისინი აშკარად გამოვიდნენ მშრომელი მასების წინააღმდეგ.

რევოლუციურ ბრძოლაში რუსი მუშები და გლეხები საბოლოოდ აღიზარდნენ. მათ დაინახეს, რომ მხოლოდ ჩვენი წყობილება აძლევს მათ ნამდვილ ბატონობას, ისინი დარწმუნდნენ, რომ სახელმწიფო ხელისუფლება სავსებით და მთლიანად ეხმარება მუშებსა და სოფლის ღარიბებს, რათა მათ შეძლონ საბოლოოდ გატეხონ კულაკების, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგობა.

მშრომელნი მიისწრაფვიან ცოდნისაკენ, რადგან იგი აუცილებლად სჭირდებათ მათ გასამარჯვებლად. მშრომელი მასების ცხრა მეათედი მიხვდა, რომ ცოდნა იარაღს წარმოადგენს მათ ბრძოლაში განთავისუფლებისათვის, რომ მათი წარუმატებლობა აიხსნება განათლების ნაკლებობით და რომ ახლა თვითონ მათზეა დამოკიდებული მართლაც ყველასათვის მისაწვდომი გახადონ განათლება. ჩვენი საქმე უზრუნველყოფილია იმით, რომ მასებმა თვითონ მოჰკიდეს ხელი ახალი, სოციალისტური რუსეთის მშენებლობას. ისინი სწავლობენ თავიანთი საკუთარი გამოცდილებით, თავიანთ წარუმატებლობასა და შეცდომებზე, ისინი ხედავენ, თუ რამდენად აუცილებელია განათლება იმ ბრძოლის ძლევამოსილად დამთავრებისათვის, რომელსაც ისინი ეწევიან. მიუხედავად მრავალი დაწესებულების მოჩვენებითი დაშლისა და მესაბოტაჟე ინტელიგენციის ზეიმისა, ჩვენ ვხედავთ, რომ ბრძოლის გამოცდილებამ მასებს ასწავლა თვითონ იკისრონ თავიანთი ბედის გადაწყვეტა. ყველა, ვინც თანაუგრძნობს ხალხს არა სიტყვით, არამედ საქმით, მასწავლებლობის საუკეთესო ნაწილი, დაგვეხმარება, — და ეს არის ჩვენთვის უტყუარი საწინდარი იმისა, რომ სოციალიზმის საქმე გაიმარჯვებს. (ოვაციას).

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 28, გვ. 85 — 89

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ჩვენი გაზეთების ხასიათის შესახებ

მეტისმეტად დიდი ადგილი ეთმობა პოლიტიკურ აგიტაციას ძველ თემებზე, — პოლიტიკურ რახარუხს. უზომოდ ცოტა ადგილი ეთმობა ახალი ცხოვრების მშენებლობას, — ფაქტებსა და ფაქტებს ამის შესახებ.

რატომ არ შეიძლება, რომ, 200 — 400 სტრიქონის ნაცვლად, 20 — 10 სტრიქონით ვილაპარაკოთ ისეთ უბრალო, საერთოდ ცნობილ, მასის მიერ მნიშვნელოვნად უკვე შეთვისებულ მოვლენებზე, როგორიცაა მენშევიკების, ბურჟუაზიის ლაქიების საზიზღარი გამცემლობა, როგორიცაა ინგლის-იაპონიის შემოსევა კაპიტალის წმიდათა წმიდა უფლებების აღსადგენად, როგორიცაა ამერიკელი მილიარდერების კბილთა კრაჭუნი გერმანიის წინააღმდეგ და ა. შ.. ამაზე ლაპარაკი საჭიროა, ამ დარგიდან ყოველი ახალი ფაქტის აღნიშვნა საჭიროა, მაგრამ სტატიები კი არ უნდა ვწეროთ, მსჯელობანი კი არ უნდა გავიმეოროთ, არამედ რამდენიმე სტრიქონით, «დეპეშის სტილით» უნდა დავგმოთ ძველი, უკვე ცნობილი, უკვე შეფასებული პოლიტიკის ახალი გამოვლინებანი.

ბურჟუაზიული პრესა «ძველ კეთილ ბურჟუაზიულ დროში» არ ეხებოდა «წმიდათა წმიდას» — კერძო ფაბრიკების, კერძო მეურნეობების საქმეთა შინაგან მდგომარეობას. ეს ჩვეულება შეეფერებოდა ბურჟუაზიის ინტერესებს. ამ ჩვეულებას ჩვენ გადაჭრით უნდა დავაღწიოთ თავი. ჩვენ მისგან თავი ა რ დაგვიღწევია. გაზეთების ტიპი ჩვენში ჯერ კიდევ არ იცვლება ისე, როგორც უნდა იცვლებოდეს იგი საზოგადოებაში, რომელიც კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადადის.

რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკა. პოლიტიკა «გამორკვეულია» მთლიანად და დაყვანილია ორი ბანაკის ბრძოლაზე, აჯანყე-

ბულ პროლეტარიატსა და ერთი მუჭა მონათმფლობელ-კაპიტალისტებს (და მათ ხროვას თვით მეწშეევიკებამდე და სხვ.) შორის ბრძოლაზე. ამ პოლიტიკაზე, ვიმეორებ, შეიძლება და უნდა ვილაპარაკოთ ძალიან მოკლედ.

რაც შეიძლება მეტი ეკონომიკა. მაგრამ ეკონომიკა არა «ზოგადი» მსჯელობის, მეცნიერული მიმოხილვის, ინტელიგენტური გეგმის და სხვა ამგვარი აბდაუბდის აზრით, — რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად სწორედ აბდაუბდას წარმოადგენს. არა, ეკონომიკა ჩვენ გვესაჭიროება იმ აზრით, რომ შევაგროვოთ, გ უ ლ დ ა ს მ ი თ შ ე ვ ა მ ო წ მ ო თ და შევისწავლოთ ახალი ცხოვრების ნამდვილი მშენებლობის ფაქტები. აქვთ თუ არა ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი მსხვილ ფაბრიკებს, სამიწათმოქმედო კომუნებს, ღარიბთა კომიტეტებს, სახალხო მეურნეობის ადგილობრივ საბჭოებს წარმატებანი ახალი ეკონომიკის მშენებლობაში? სახელდობრ როგორია ეს წარმატებანი? დადასტურებულია თუ არა ისინი? ხომ არ არის აქ ჩმახვა, ტრაბახი, ინტელიგენტური დაპირება («წესრიგდება», «შედგენილია გეგმა», «ავამუშავეთ ძალები», «ახლა სიტყვას ვიძლევით», «გაუმჯობესება უეჭველია» და სხვა შარლატანური ფრაზები, რომელთა ესოდენი ოსტატებიც «ჩვენ» ვართ)? რით არის წარმატებანი მიღწეული? როგორ გავხადოთ ისინი უფრო ფართო?

შავი დაფა ჩამორჩენილი ფაბრიკებისათვის, რომლებიც ნაციონალიზაციის შემდეგ უთავბოლობის, რღვევის, სიბინძურის, ხულიგნობის, მუქთახორობის ნიმუშებად დარჩნენ, — სად არის ეს შავი დაფა? იგი არ არის. ასეთი ფაბრიკები კი ა რ ი ს. ჩვენ ვერ ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას, თუ არ ვაწარმოებთ ო მ ს «კაპიტალიზმის ტრადიციების ამ შემნახველთა» წინააღმდეგ. ჩვენ კომუნისტები კი არა, მეძონძეები ვართ, სანამ მდუმარედ ვითმენთ ასეთ ფაბრიკებს. ჩვენ ისე ვერ ვაწარმოებთ კლასობრივ ბრძოლას გაზეთებში, როგორც მას ბურჟუაზია აწარმოებდა. მოიგონეთ, თუ როგორ ჩინებულად დ ე ვ ნ ი დ ა იგი პრესაში თ ა ვ ი ს კლასობრივ მტრებს. როგორ დასცინოდა მათ, როგორ აბიაბრუებდა მათ, როგორ არ აძლევდა მათ გასაქანს. ჩვენ კი? განა კლასობრივი ბრძოლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქაში იმით არ გამოიხატება, რომ დავიცვათ მუშათა კ ლ ა ს ი ს ინტერესები მუშათა იმ მცირე ჯგუფებისა, წრეებისა და ფენებისაგან, რომლებიც დაჟინებით მისდევენ კაპიტალიზმის ტრადიციებს (ჩვეულებებს) და ისევ წინანდებურად უყურებენ საბჭოთა სახელმწიფოს: მისცენ «მას» ნაკლები და ცუდი ნამუშევარი, — წაღლიტონ «მას» მეტი ფული. განა ცო-

ტანი არიან ასეთი არამზადები, თუნდაც საბჭოთა სტამბების ასოთ-ამწყობთა შორის, სორმოველ და პუტილოველ მუშებს შორის და ა. შ.? რამდენი მათგანი დავიჭირეთ ჩვენ, რამდენი ვამხილეთ, რამდენი გავაკარით სამარცხვინო ბოძზე?

პრესა ამაზე სდუმს. ხოლო თუ წერს, — წერს კაზიონურად, ჩინოვნიკურად, არა როგორც **რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი** პრესა, არა როგორც იმ კლასის დიქტატურის ორგანო, რომელიც თავისი საქმეებით ამტკიცებს, რომ კაპიტალისტებისა და კაპიტალისტურ ჩვეულებათა შემნახველი მუქთახორების წინააღმდეგობა რკინის ხელით იქნება გატეხილი.

ასევე ითქმის ომის შესახებ. ვდევნით თუ არა ჩვენ ლაჩარ სარდლებსა და დოყლაპიებს? გავაშავეთ თუ არა ჩვენ რუსეთის წინაშე სრულიად უვარგისი პოლკები? «დავიჭირეთ» თუ არა ჩვენ საკმაო რაოდენობით ცუდი ნიმუშები, რომლებიც რაც შეიძლება მეტი ხმაურით უნდა გაგვედევნა არმიიდან უვარგისობისათვის, დაუდეერობისათვის, დაგვიანებისათვის და სხვ.? ჩვენ არ ვაწარმოებთ საქმიან, ულმობელ, ჭეშმარიტად რევოლუციურ **ო მ ს ბ ო რ ო ტ ე ბ ი ს კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ** მატარებლებთან. ჩვენ ნაკლებად **ვ ზ რ დ ი თ მ ა ს ე ბ ს**. ცხოვრების ყველა დარგის ცოცხალი, კონკრეტული მაგალითებითა და ნიმუშებით, ეს კი პრესის მთავარი ამოცანაა კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის დროს. ჩვენში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ შინასაფაბრიკო, შინასასოფლო, შინასაპოლკო ცხოვრების იმ **ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ** მხარეს, სადაც ყველაზე მეტი შენდება ახალი, სადაც ყველაზე მეტად საჭიროა ყურადღება, გახმაურება, საზოგადოებრივი კრიტიკა, უვარგისის დევნა, მოწოდება, რომ ვისწავლოთ კარგისაგან.

რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური რახარუხი. რაც შეიძლება ნაკლები ინტელიგენტური მსჯელობა. უფრო ახლოს ცხოვრებასთან. მეტი ყურადღება იმას, თუ მუშათა და გლეხთა მასა **ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ** როგორ აშენებს რაღაც **ა ხ ა ლ ს** თავის ყოველდღიურ მუშაობაში. მეტი **შ ე მ ო წ მ ე ბ ა** იმისა, თუ რამდენად **კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი ა** ეს ახალი.

დაბეჭდილია 1918 წ. 20 სექტემბერს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 28,
გვ. 100 — 103

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

მოსკოვის პარტიულ მუშაკთა კრება 1918 წ. 27 ნოემბერს

მოხსენებიდან პროლეტარიატის დამოკიდებულებაზე წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისადმი

...ჩვენ ვიცით, რომ სოციალიზმის შენება შეიძლება მხოლოდ მსხვილ-კაპიტალისტური კულტურის ელემენტებისაგან, და ინტელიგენცია ასეთი ელემენტია. თუ ჩვენ გვიხდებოდა მის წინააღმდეგ ულმობლად ბრძოლა, ამას ჩვენ კომუნიზმი კი არ გვავალდებულებდა, არამედ მოვლენათა ის მსვლელობა, რომელმაც ყველა «დემოკრატი» და ყველა ის, ვინც შეყვარებული იყო ბურჟუაზიულ დემოკრატიაზე, ჩვენ ჩამოგვაშორა. ახლა შეიქმნა შესაძლებლობა გამოვიყენოთ ეს ინტელიგენცია სოციალიზმისათვის, ის ინტელიგენცია, რომელიც სოციალისტური არ არის, რომელიც არასოდეს არ იქნება კომუნისტური, მაგრამ რომელსაც ახლა მოვლენათა და თანაფარდობათა ობიექტური მსვლელობა ნეიტრალურად, მეზობლურად განაწყობს ჩვენდამი. ინტელიგენციას ჩვენ არასოდეს არ დავეყრდნობით, არამედ დავეყრდნობით მხოლოდ პროლეტარიატის ავანგარდს, რომელიც წინამძღოლობს ყველა პროლეტარს და სოფლის ყველა ღარიბს. სხვა დასაყრდენი კომუნისტების პარტიას არ შეიძლება ჰქონდეს. მაგრამ ერთი საქმეა დაეყრდნო კლასს, რომელიც დიქტატურას წარმოადგენს, და სხვა საქმეა ბატონობდე სხვა კლასებზე.

თქვენ გახსოვთ, რომ ენგელსმა იმ გლეხების მიმართაც კი, რომლებიც დაქირავებული შრომით სარგებლობენ, თქვა: იქნებ, ყველას ექსპროპრიაცია არც კი გახდეს საჭიროო[99]. ჩვენ ვახდენთ ექსპროპრიაციას საერთო წესით, და ჩვენ კულაკი არ გვყავს საბჭოებში. ჩვენ მას ვთრგუნავთ. ვთრგუნავთ მას ფიზიკურად, როდესაც ის შემოიპარება საბჭოში და ცდილობს დაახრჩოს სოფლის ღარიბი. თქვენ ხედავთ, თუ როგორ ტარდება აქ ერთი კლასის ბატონობა. მხოლოდ პროლეტარიატს შეუძლია ბატონობდეს. მაგრამ ამ ბატონობას ერთგვარად ვიყენებთ წვრილი გლეხის მიმართ, სხვაგვარად— საშუალო გლეხის მიმართ, სხვანაირად — მემამულის მიმართ,

სხვანაირად — წვრილი ბურჟუის მიმართ. მთელი ამოცანა ის არის, რომ შევძლოთ გავიგოთ ეს შემობრუნება, რომელიც საერთაშორისო პირობებით არის გამოწვეული, შევძლოთ გავიგოთ იმის აუცილებლობა, რომ ლოზუნგები, რომლებსაც შევეჩვიეთ რევოლუციის ისტორიის განვლილი ნახევარი წლის მანძილზე, გარდუვალად უნდა იქნან სახეშეცვლილნი, რამდენადაც საქმე წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას ეხება. ჩვენ უნდა ვთქვათ: ჩვენ ძალაუფლებას იმავე კლასის ხელში ვტოვებთ. წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის მიმართ ჩვენი ლოზუნგი იყო შეთანხმება, მაგრამ ჩვენ გვაიძულეს ტერორისათვის მიგვემართნა. თუ თქვენ მართლაც გსურთ ჩვენთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გქონდეთ, გაისაჯეთ და შეასრულეთ ესა თუ ის დავალება, ბატონო კოოპერატორებო და ინტელიგენტებო. ხოლო თუ არ შეასრულებთ, — თქვენ იქნებით კანონის დამრღვევნი, ჩვენი მტრები, და ჩვენ ვიბრძოლებთ თქვენს წინააღმდეგ. ხოლო თუ თქვენ დგახართ კეთილმეზობლურ ურთიერთობათა ნიადაგზე და შეასრულებთ ამ დავალებს, — ეს ჩვენთვის საკმარისზე საკმარისია. ჩვენ მტკიცე დასაყრდენი გვაქვს. თქვენს უნიათობაში ჩვენ არასოდეს არ შეგვპარვია ეჭვი. მაგრამ თქვენ რომ საჭირონი ხართ ჩვენთვის — ამას ჩვენ არ უარვყოფთ, რადგან თქვენ ერთადერთ კულტურულ ელემენტს წარმოადგენდით.

ჩვენ რომ მოგვხდომოდა სოციალიზმის შენება არა იმ ელემენტებისაგან, რომლებიც კაპიტალიზმმა მემკვიდრეობად დაგვიტოვა, — ამოცანა ადვილი იქნებოდა. მაგრამ სოციალისტური მშენებლობის სიძნელე სწორედ ის არის, რომ ჩვენ სოციალიზმის მშენებლობა გვიხდება კაპიტალიზმის მიერ მთლად გაფუჭებული ელემენტებისაგან. გადასვლის სიძნელე სწორედ ის არის, რომ იგი დაკავშირებულია დიქტატურასთან, რომლის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი კლასი — პროლეტარიატი. აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენ ვეუბნებით ჩვენს თავს: ხაზს განსაზღვრავს პროლეტარიატი, რომელიც გამოწრთობილია და გადაქცეულია მებრძოლ ძალად, რომელსაც უნარი შესწევს გაანადგუროს ბურჟუაზია. ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არის დიდძალი გარდამავალი საფეხურები, და მათ მიმართ ჩვენი პოლიტიკა ახლა იმ რელსებზე უნდა დადგეს, რომლებიც ჩვენ მიერ თეორიულად გათვალისწინებულია, და ჩვენ ახლა შეგვიძლია მისი განხორციელება. ჩვენს წინაშე დასახულია მთელი რიგი ამოცანები, მთელი რიგი შეთანხმებანი, ტექნიკური დავალებანი, რომელთა მიცემაც ჩვენ, კაბატონებულმა პროლეტარულმა ხელისუფლებამ, უნდა შევძლოთ

ჩვენ უნდა შევძლოთ მივცეთ საშუალო გლეხს ერთი დავალება, დაგვეხმაროს საქონელგაცვლაში, კულაკის მხილებაში. კოოპერატორებს — სხვა დავალება: მათ აქვთ აპარატი პროდუქტების მასობრივი მასშტაბით გასანაწილებლად; ამ აპარატს თვითონ უნდა დავეუფლოთ. ინტელიგენციას ჩვენ სულ სხვა დავალება უნდა მივცეთ; იგი ვერ განაგრძობს საბოტაჟს და ისეა განწყობილი, რომ მას ახლა ჩ ვ ე ნ ს მიმართ მეტად კეთილმეზობლური პოზიცია უკავია, და ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ეს ინტელიგენცია, დავუსახოთ მას გარკვეული ამოცანები, თვალყური ვადევნოთ და შევამოწმოთ, თუ როგორ სრულდება ეს ამოცანები, ჩვენ უნდა მოვეპყრათ მათ ისე, როგორც მარქსი ამბობდა პარიზის კომუნის მოსამსახურეთა შესახებ: «ყოველ ცალკეულ დამქირავებელს უნარი შესწევს აირჩიოს შესაფერი თანაშემწეები, ბუხჰალტრები და, როცა ისინი ცდებიან, — უნარი შესწევს გამოასწოროს მათი შეცდომები, ხოლო თუ ისინი არ ვარგანან, — შეცვალოს ისინი ახლებით, კარგებით» [100]. ჩვენ ვაშენებთ ხელისუფლებას იმ ელემენტებისაგან, რომლებიც კაპიტალიზმმა დაგვიტოვა. ჩვენ არ შეგვიძლია ვაშენოთ ხელისუფლება, თუ კაპიტალისტური კულტურის ისეთი მემკვიდრეობა, როგორიც ინტელიგენციაა, არ იქნება გამოყენებული. ახლა ჩვენ შეგვიძლია მოვეპყრათ წვრილბურჟუაზიას, როგორც კეთილ მეზობელს, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების სასტიკ კონტროლქვეშ იმყოფება. აქ შეგნებული პროლეტარიატის ამოცანაა გაიგოს: ბატონობა არ ნიშნავს იმას, რომ ის თვითონ შეასრულებს ყველა ამ ამოცანას. ვინც ასე ფიქრობს, მას წარმოდგენაც არა აქვს სოციალისტურ მშენებლობაზე, იმას რევოლუციისა და დიქტატურის ერთი წლის განმავლობაში ვერაფერი უსწავლია. ასეთი ვაჟბატონებისათვის უკეთესია სკოლაში წავიდნენ და იქ რაიმე ისწავლონ, და ვინც განვლილი ხნის მანძილზე რაიმე ისწავლა, — ის ეტყვის თავის თავს: აი ამ ინტელიგენციას გამოვიყენებ ახლა მშენებლობისათვის. ამისათვის მე საკმაო დასაყრდენი მაქვს გლეხობაშიო. და ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ ამ ბრძოლის მსვლელობაში, წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიასთან პროლეტარიატის მთელ რიგ შეთანხმებებში და შეთანხმებათა ცდებში შეიქმნება ის მშენებლობა, რომელიც სოციალიზმამდე მიგვიყვანს.

გავიხსენოთ, რომ ენგელსი ამბობდა, ჩვენ მაგალითით უნდა ვიმოქმედოთო [101]. არავითარი ფორმა არ იქნება საბოლოო, ვიდრე სრული კომუნიზმი არ იქნება მიღწეული. ჩვენ არ ვიჩემებდით იმას, თითქოს ზუსტი გზა ვიცოდეთ. მაგრამ ჩვენ გარდუვალად, აუცილე-

ბლად მივდივართ კომუნიზმისაკენ. ამჟამად ყოველი კვირა მეტს იძლევა, ვიდრე მშვიდობიანი დროის ათეული წლები. ბრესტის ზავის დროიდან გამოვლილი ნახევარი წელი ჩვენს წინააღმდეგ მერყეობათა ეპოქა იყო. დასავლეთ ევროპის რევოლუციამ — მაგალითმა, რომელიც ჩვენს განმეორებას იწყებს, ჩვენ უნდა განგვამტკიცოს. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მომხდარი ცვლილებანი, გავითვალისწინოთ ყველა ელემენტი, ამასთან არ მივეცეთ არავითარ ილუზიას, ვინაიდან ვიცით, რომ მერყევნი დარჩებიან მერყეევებად, ვიდრე სავსებით არ გაიმარჯვებს მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია. ეს, იქნებ, არც ისე მალე მოხდეს, თუმცა გერმანიის რევოლუციის ამბების მსვლელობა იმედს გვინერგავს, რომ ეს უფრო მალე იქნება, ვიდრე ბევრი ვარაუდობს. გერმანიის რევოლუცია ისე ვითარდება, როგორც ჩვენი რევოლუცია ვითარდებოდა, მაგრამ უფრო ჩქარი ტემპით. ყოველ შემთხვევაში ამოცანა, რომელიც ჩვენს წინაშე დგას, — ეს არის თავგანწირული ბრძოლა ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მან იგრძნო, რომ ბოლშევიზმი მსოფლიო ძალად იქცა, და სწორედ ამიტომ ცდილობს იგი მაქსიმალური სისწრაფით დაგვახრჩოს და მოწადინებულია ჯერ გაუსწორდეს რუს ბოლშევიკებს, შემდეგ კი — საკუთარ ბოლშევიკებს.

ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მერყევთაგან ის ელემენტები, რომლებსაც იმპერიალისტების მხეცობა ჩვენსკენ ეწევა. და ჩვენ ამას გავაკეთებთ. თქვენ ჩინებულად იცით, რომ ომში არ შეიძლება უგულვებელყო რაიმე დახმარება, თუნდაც არაპირდაპირი. ომში მერყევი კლასების მდგომარეობასაც კი დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც უფრო მწვავეა ომი, მით უფრო უნდა მოვიპოვოთ ჩვენ გავლენა მერყევ ელემენტებზე, რომლებიც ჩვენთან მოდიან. აქედან გამომდინარეობს, რომ ტაქტიკა, რომელსაც ჩვენ ვადექით ნახევარი წლის წინათ, უნდა შეიცვალოს წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის სხვადასხვა ფენის მიმართ ახალი ამოცანების შესაბამისად.

თუ მე შევძელი მიმექცია პარტიული მუშაკების ყურადღება ამ ამოცანისათვის და სტიმული მიმეცა მათთვის სისტემატური გამოცდილების გზით მივიდნენ მის სწორ გადაწყვეტამდე, შემიძლია ჩემი ამოცანა შესრულებულად ჩავთვალო.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 28
გვ. 252 — 257

იბეჭდება თხზულებათა
ტექსტის მიხედვით

სტატიიდან
«დემოკრატიისა» და დიქტატურის შესახებ»

...ბურჟუაზია იძულებულია ითვალთმაქცოს და «საერთო-სახალხო ხელისუფლება» ან საერთოდ დემოკრატია, ან წმინდა დემოკრატიზ უწოდოს (ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ) დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომელიც ნამდვილად წარმოადგენს ბურჟუაზიის დიქტატურას, ექსპლოატატორთა დიქტატურას მშრომელ მასებზე. შეიდემანები და კაუცკები, აუსტერლიცები და რენერები (ახლა, სამწუხაროდ, ფრიდრიხ ადლერის დახმარებით) მხარს უჭერენ ამ სიცრუესა და ამ თვალთმაქცობას. ხოლო მარქსისტები, კომუნისტები, ამხელენ მას და პირდაპირსა და აშკარა სიმართლეს ეუბნებიან მუშებსა და მშრომელ მასებს: დემოკრატიული რესპუბლიკა, დამფუძნებელი კრება, საყოველთაო-სახალხო არჩევნები და სხვა ნამდვილად არის ბურჟუაზიის დიქტატურა, და კაპიტალისაგან შრომის გასათავისუფლებლად არ არსებობს სხვა გზა, თუ არა ამ დიქტატურის შეცვლა პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ა ტ ი ს დ ი ქ ტ ა ტ უ რ ი თ. მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას ძალუძს გაათავისუფლოს კაცობრიობა კაპიტალის მხრივ ჩაგვრისაგან, ბურჟუაზიული დემოკრატიის, მ დ ი დ რ ე ბ ი ს ამ დემოკრატიის სიცრუისა, სიყალბისა და თვალთმაქცობისაგან, მხოლოდ მას ძალუძს დაამყაროს დემოკრატია ღ ა რ ი ბ თ ა თ ვ ი ს, ე. ი. დემოკრატიის სიკეთენი ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ მისაწვდომი გახადოს მუშებისა და უღარიბესი გლეხებისათვის, მაშინ როდესაც ახლა (თვით ყველაზე დემოკრატიული — ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი — რესპუბლიკის დროს) დემოკრატიის ეს სიკეთენი ფ ა ქ ტ ი უ რ ა დ მიუწვდომელია მშრომელთა უდიდესი უმრავლესობისათვის.

ავიღოთ, მაგალითად, კრებების თავისუფლება და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება. შეიდემანები და კაუცკები, აუსტერლიცები და

რენერები არწმუნებენ მუშებს, დამფუძნებელი კრების ახლანდელი არჩევნები გერმანიასა და ავსტრიაში «დემოკრატიულად» ხდებაო. ეს სიცრუეა, რადგან სინამდვილეში კაპიტალისტებს, ექსპლოატატორებს, მემამულეებს, სპეკულანტებს ხელთ უპყრიათ კრებებისათვის გამოსადეგ, საუკეთესო შენობათა $^{9}/_{10}$ და ქაღალდის მარაგის, სტამბების და სხვათა $^{9}/_{10}$. მუშა ქალაქად, მოჯამაგირე და დღიური მუშა სოფლად სინამდვილეში ჩამოცილებული არიან დემოკრატიისაგან როგორც ამ «საკუთრების წმიდათა წმიდა უფლების» წყალობით (რომელსაც იცავენ ბატონები კაუცკები და რენერები, რომლებსაც, სამწუხაროდ, ფრიდრიხ ადლერიც მიემხრო), ისე სახელმწიფო ხელისუფლების ბურჟუაზიული აპარატის, ე. ი. ბურჟუაზიული მოხელეების, ბურჟუაზიული მოსამართლეების და სხვათა მიერ. ახლანდელი «კრებებისა და ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება» გერმანიის «დემოკრატიულ» (ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ) რესპუბლიკაში სიცრუე და თვალთმაქცობაა, რადგან სინამდვილეში ეს არის თავისუფლება მდიდრებისათვის — იყიდონ და მოისყიდონ პრესა, არის თავისუფლება მდიდრებისა — გააბრუონ ხალხი ბურჟუაზიული საგაზეთო სიცრუის რახით, თავისუფლება მდიდრებისა — თავიანთ «საკუთრებად» იქონიონ მემამულეთა სახლები, საუკეთესო შენობები და სხვ.. პროლეტარიატის დიქტატურა ჩამოართმევს კაპიტალისტებს მშრომელთა სასარგებლოდ მემამულეთა სახლებს, საუკეთესო შენობებს, სტამბებს, ქაღალდის საწყობებს.

ეს იქნება «საყოველთაო-სახალხო», «წმინდა» დემოკრატიის შეცვლა «ერთი კლასის დიქტატურითო»,—გოდებენ შეიდემანები და კაუცკები, აუსტერლიცები და რენერები (თავიანთ საზღვარგარეთელ თანამოაზრეებთან, ჰომპერსებთან, ჰენდერსონებთან, რენოდელებთან, ვანდერველდეებთან და მათ კომპანიასთან ერთად).

მართალი არ არის — ვუპასუხებთ ჩვენ. ეს იქნება ბურჟუაზიის ფაქტიური დიქტატურის (რა დიქტატურასაც თვალთმაქცურად ფარავს დემოკრატიული ბურჟუაზიული რესპუბლიკის ფორმები) შეცვლა პროლეტარიატის დიქტატურით. ეს იქნება შეცვლა დემოკრატიისა მდიდრებისათვის დემოკრატიით ღარიბთათვის. ეს იქნება შეცვლა კრებებისა და პრესის თავისუფლებისა უმცირესობისათვის, ექსპლოატატორებისათვის, კრებებისა და პრესის თავისუფლებით მოსახლეობის უმრავლესობისათვის, მშრომელებისათვის. ეს იქნება დემოკრატიის უზარმაზარი, მსოფლიო-ისტორიული გაფართოება, მისი გადაქცევა სიცრუიდან სიმართლედ, კაცობ-

რიობის განთავისუფლება კაპიტალის ბორკილებისაგან, რომელიც ამახინჯებს და კვეცავს ყოველგვარ, თვით ყველაზე «დემოკრატიულ» და რესპუბლიკურ, ბურჟუაზიულ დემოკრატიას. ეს იქნება ბურჟუაზიული სახელმწიფოს შეცვლა პროლეტარული სახელმწიფოთი, რა შეცვლაც ერთადერთი გზაა საერთოდ სახელმწიფოს კვდომისაკენ.

რატომ არ შეიძლება ასეთი მიზნის მიღწევა ერთი კლასის დიქტატურის გარეშე? რატომ არ შეიძლება «წმინდა» დემოკრატიაზე პირდაპირ გადასვლა? გვეკითხებიან ბურჟუაზიის თვალთმაქცი მეგობრები ან მის მიერ გაბრიყვებული გულუბრყვილო კლაინბიურგერები და ფილისტერები.

ჩვენ ვუპასუხებთ: იმიტომ, რომ ყოველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ან ბურჟუაზიას, ან პროლეტარიატს, ხოლო წვრილი მეპატრონენი გარდუვალად რჩებიან მერყევნი, უძლურნი, ბრიყვი მეოცნებენი «წმინდა», ე. ი. გარეკლასობრივ ან ზეკლასობრივ დემოკრატიაზე. იმიტომ, რომ იმ საზოგადოებიდან, სადაც ერთი კლასი მეორეს ჩაგრავს, არ შეიძლება სხვანაირად გამოსვლა, თუ არა ჩაგრული კლასის დიქტატურის საშუალებით. იმიტომ, რომ ბურჟუაზიაზე გამარჯვება, მისი დამხობა ძალუძს მხოლოდ პროლეტარიატს, რადგან ის არის ერთადერთი კლასი, რომელიც გაერთიანებული და «გაწვრთნილია» კაპიტალიზმის მიერ და რომელსაც ძალუძს თან გაიყოლიოს წვრილბურჟუაზიულად მცხოვრებ მშრომელთა მერყევი მასა, — თან გაიყოლიოს ან ყოველ შემთხვევაში «გაანეიტრალოს» იგი. იმიტომ, რომ მხოლოდ ენატკბილ მეშჩანებსა და ფილისტერებს შეუძლიათ იოცნებონ კაპიტალის უღლის დამხობაზე ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის ხანგრძლივი და ძნელი დათრგუნვის გარეშე...

მოსკოვი, 23. XII. 1918.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 28, გვ. 460 — 463

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით.

სიტყვიდან
სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ყრილობის გაერთიანებულ სხდომაზე
1919 წ. 17 იანვარს

... აუცილებელია ვისარგებლოთ მზამზარეული აპარატით, — სოციალიზმის აშენება არ შეიძლება, თუ არ გამოვიყენეთ კაპიტალიზმის დანატოვარი. აუცილებელია გამოვიყენოთ ყოველივე ის, რაც ჩვენს წინააღმდეგ შეუქმნია კაპიტალიზმს კულტურულ ღირებულებათა აზრით. სოციალიზმის სიძნელე ის არის, რომ იგი უნდა ვაშენოთ უცხო ადამიანთა მიერ შექმნილი მასალისაგან, მაგრამ სწორედ ეს არის სოციალიზმის შესაძლებლობა, და ეს ჩვენ თეორიულად ყველამ ვიცით, ხოლო მას შემდეგ, რაც ეს წელი გამოვიარეთ, ჩვენ პრაქტიკულადაც დავრწმუნდით, რომ სოციალიზმის აშენება შეიძლება მხოლოდ იმისგან, რაც კაპიტალიზმს შეუქმნია ჩვენს წინააღმდეგ, და რომ ყოველივე ეს ჩვენ უნდა მოვიხმაროთ სოციალიზმის ასაშენებლად, მის განსამტკიცებლად...

ხელნაწერი, გამოც მე-4, ტ. 28.
გვ. 505

იბეჭდება ხელნაწერთა ტექსტის მიხედვით

სიტყვა მასწავლებელ-ინტერნაციონალისტთა სრულიად რუსეთის II ყრილობაზე 1919 წ. 18 იანვარს

(მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა ში, რ ო მ ე ლ ი ც ო ვ ა ც ი ა ში გ ა დ ა-
დ ი ს.) ამხანაგებო, 'ნება მომეცით მივესალმო თქვენს ყრილობას სახალხო კომისართა საბჭოს სახელით. ამხანაგებო, ახლა მასწავლებელთა წინაშე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანები დგება, და მე იმედი მაქვს, რომ მას შემდეგ, რაც განვიცადეთ ამ წელიწადში, იმ ბრძოლის შემდეგ, რომელიც წარმოებდა მასწავლებელთა წრეში, იმათ შორის, ვინც იმთავითვე დადგა საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, სოციალისტური გადატრიალებისათვის ბრძოლის მხარეზე, და მასწავლებლობის იმ ნაწილს შორის, რომელიც დღემდე რჩებოდა ძველი წესების ნიადაგზე, ძველ ' ცრურწმენათა ნიადაგზე, თითქოს შესაძლებელი იყოს სწავლის დატოვება ამ ძველი წესების ნიადაგზე, — მე ვფიქრობ, რომ ახლა, ერთი წლის ბრძოლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ურთიერთობაში მოხდა, — ამ ბრძოლას ბოლო უნდა მოეღოს და ეღება კიდევაც. არ შეიძლება ეჭვი შევიტანოთ იმაში, რომ მასწავლებელთა პერსონალის დიდი უმრავლესობა, რომელიც ახლოს დგას მუშათა კლასთან და გლეხობის მშრომელ ნაწილთან, რომ მისი დიდი უმრავლესობა დარწმუნდა ახლა, თუ რა ღრმაა სოციალისტური რევოლუციის ფესვები, თუ რა გარდუვალად ვრცელდება იგი მთელ მსოფლიოში, და ვფიქრობ, რომ ახლა მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა უსათუოდ გულწრფელად დადგება, თანდათან დადგება მშრომელთა და ექსპლოატირებულთა ხელისუფლების მხარეზე სოციალისტური გადატრიალებისათვის ბრძოლაში და ბრძოლაში მასწავლებელთა იმ ნაწილთან, რომელიც დღემდე, რჩებოდა რა ძველ ბურჟუაზიულ ცრურწმენათა და ძველი წესებისა და თვალთმაქცობის ნიადაგზე, ფიქრობდა, რომ შეძლებდა ამ წესებიდან რაიმეს შენარჩუნებას.

ერთ-ერთი ასეთი ბურჟუაზიული თვალთმაქცობაა ის რწმენა, თითქოს სკოლა შეიძლება იყოს პოლიტიკის გარეშე. თქვენ ჩინებულად იცით, თუ რამდენად ყალბია ეს რწმენა. და ბურჟუაზია, რომელიც ასეთ დებულებას აყენებს, თვითონ სასკოლო საქმეს ქვაკუთხედად უდებდა თავის ბურჟუაზიულ პოლიტიკას და ცდილობდა იქამდე დაეყვანა სასკოლო საქმე, რომ ბურჟუაზიისათვის გაეწაფა მორჩილი და მარჯვე ხელშემწყობნი, ცდილობდა საყოველთაო სწავლებაც კი თავიდან ბოლომდე დაეყვანა იქამდე, რომ ბურჟუაზიისათვის გაეწაფა მორჩილი და მარჯვე მსახურნი, კაპიტალის ნების შემსრულებლები და მონები და არასოდეს არ ზრუნავდა იმისათვის, რომ სკოლა ადამიანის პიროვნების აღზრდის იარაღად ექცია. და ახლა ყველასათვის ცხადია, რომ ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ სოციალისტურ სკოლას, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია ყველა მშრომელთან და ექსპლოატირებულთან და არა შიშით, არამედ გულწრფელად დგას საბჭოთა პლატფორმაზე.

რა თქმა უნდა, სკოლის გარდაქმნის საქმე ძნელი საქმეა. და, ცხადია, აქ იყო ხოლმე და ახლაც არის შეცდომები და ცდები, რომ პოლიტიკასთან სკოლის კავშირის პრინციპი უკუღმართად განმარტონ, ტლანქად და უხეშად დაამახინჯონ, როდესაც ცდილობენ უხეიროდ ჩაუნერგონ ეს პოლიტიკა ჯერ კიდევ ნორჩ, მოზარდ თაობას, რომელიც უნდა მომზადდეს. და უეჭველია, რომ ძირითადი პრინციპის ამ უხეში გამოყენების წინააღმდეგ ჩვენ მუდამ მოგვიხდება ბრძოლა. მაგრამ ახლა მასწავლებელთა იმ ნაწილის მთავარი ამოცანა, რომელიც დადგა ინტერნაციონალის ნიადაგზე, რომელიც დადგა საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე, არის ზრუნვა იმისათვის, რომ შექმნას მასწავლებელთა უფრო ფართო და შეძლებისამებრ ყოვლისმომცველი კავშირი.

მასწავლებელთა ძველ კავშირს, რომელიც ბურჟუაზიულ ცრურწმენებს იცავდა, გაუგებლობას იჩენდა და ყოველნაირად იცავდა პრივილეგიებს გაცილებით უფრო მეტ ხანს, ვიდრე ასეთსავე პრივილეგიებს იცავდნენ ზედაფენების სხვა კავშირები, რომლებიც 1917 წლის რევოლუციის დასაწყისიდანვე შეიქმნა და რომლებსაც ჩვენ ცხოვრების ყველა დარგში ვებრძოდით, — ამ კავშირს ნიადაგი არა აქვს თქვენს კავშირში, ინტერნაციონალისტების კავშირში. მე ვფიქრობ, რომ თქვენი კავშირი ინტერნაციონალისტებისა სავსებით შეიძლება გადაიქცეს მასწავლებელთა ერთიან სასკოლო პროფესიულ კავშირად, რომელიც იდგომება საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე — ისევე, როგორც ყველა პროფესიული კავშირი, — რა

საც განსაკუთრებით მკაფიოდ გვიჩვენებს პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის II ყრილობა. მასწავლებელთა წინაშე უზარმაზარი ამოცანა დგას. აქ საჭირო ხდება ბრძოლა მოდუნებულობისა და განცალკევებულობის იმ ნაშთებთან, რაც ჩვენ წარსულმა რევოლუციამ დაგვიტოვა.

შემდეგ პროპაგანდა და აგიტაცია. ახლა ცხადია, რომ მასწავლებელთა შემადგენლობისადმი იმ უნდობლობის დროს, რაც დაგვიტოვა მასწავლებელთა ბურჟუაზიული შემადგენლობის საბოტაჟის პრაქტიკამ და ცრურწმენებმა, იმ მასწავლებლებისა, რომლებიც შეეჩვივნენ ფიქრს, რომ ნამდვილი განათლების მიღება მხოლოდ მდიდრებს შეუძლიათ და რომ მშრომელთა უმრავლესობისათვის საკმარისია მხოლოდ კარგი მსახურებისა და კარგი მუშების მომზადება, მაგრამ არა ცხოვრების ნამდვილი ბატონ-პატრონებისა,—ასეთ პირობებში გასაგებია, რომ რჩებოდა დაქუცმაცებულობა პროპაგანდისა და განათლების ყველა დარგში. ეს მასწავლებელთა ნაწილს ხვედრად არგუნებს ვიწრო სფეროს, ვითომდა სწავლების სფეროს, და ჩვენ შესაძლებლობას არ გვაძლევს მთლიანად შევქმნათ ერთიანი აპარატი, რომელშიც მეცნიერების მთელი ძალები შევლენ და ჩვენთან ერთად იმუშავებენ. ჩვენ ამის გაკეთებას იმდენად შევძლებთ, რამდენადაც უკუვაგდებთ ძველ ბურჟუაზიულ ცრურწმენებს, და აქ თქვენი კავშირის ამოცანაა მოიზიდოს მასწავლებელთა ფრიად ფართო მასები თქვენს ოჯახში, აღზარდოს მასწავლებელთა ყველაზე ჩამორჩენილი ფენები, დაუმორჩილოს ისინი საერთო-პროლეტარულ პოლიტიკას, შეაკავშიროს საერთო ორგანიზაციად.

პროფესიული გაერთიანების საქმეში მასწავლებლებს აწევთ დიდი ამოცანა იმ მდგომარეობაში, რაც ახლა შეიქმნა ჩვენში, როდესაც მკაფიოდ ირკვევა სამოქალაქო ომის ყველა საკითხი და როდესაც წვრილბურჟუაზიული დემოკრატიული ელემენტები გარემოეპათა ძალით იძულებული არიან საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე გადმოვიდნენ, რადგან ისინი დარწმუნდნენ, რომ ყოველი სხვა გზა მათ ძალაუნებურად თეთრგვარდიელებისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის დაცვის გზაზე აყენებს. როცა მთელ მსოფლიოში ისმება ერთი მთავარი ამოცანა, საქმე ისმება ისე, რომ ან უკიდურესი რეაქცია, ან სამხედრო დიქტატურა და დახვრეტანი, რომელთა შესახებ ჩვენ მკაფიო ცნობები გვქონდა ბერლინიდან; ან ეს გაშმაგებული რეაქცია გამხეცებული კაპიტალისტებისა, რომლებიც გრძნობენ, რომ ეს ოთხი წლის ომი მათ დაუსჯელად არ ჩაუვლის, და ამიტომ ისინი მზად არიან ყველაფერი ჩაიდინონ, მზად არიან კიდევ მორწყონ მიწა

მშრომელთა სისხლით, ან მშრომელთა სრული გამარჯვება სოციალისტურ რევოლუციაში. ისეთ მომენტში, რომელსაც ჩვენ განვიცდით, საშუალო რამ არ შეიძლება იყოს. და ამიტომ ის მასწავლებლები, რომლებიც თავიდანვე დადგნენ ინტერნაციონალის პოზიციაზე და რომლებიც ახლა ნათლად ხედავენ, რომ სხვა ბანაკში მყოფ მათ მოწინააღმდეგეებს არავითარი სერიოზული ოპოზიციის გაწევა არ შეუძლიათ, უნდა დაადგნენ უფრო ფართო მუშაობის გზას. თქვენი კავშირი ახლა უნდა გადაიქცეს ფართო, მასწავლებელთა დიდი მასების მომცველ კავშირად, მასწავლებელთა ისეთ პროფესიულ კავშირად, რომელიც გადაკრით დადგება საბჭოთა პლატფორმის ნიადაგზე, პროლეტარიატის დიქტატურის გზით სოციალიზმისათვის ბრძოლის ნიადაგზე.

სწორედ ასეთია ფორმულა, რომელიც მიიღო პროფესიულ კავშირთა ამჟამად მიმდინარე II ყრილობამ. ეს ყრილობა მოითხოვს, რომ ყველა, ვინც მუშაობს გარკვეულ პროფესიაში, ვინც ეწევა გარკვეულ საქმიანობას, ერთ მთლიან კავშირად გაერთიანდეს, მაგრამ ამავე დროს ამბობს, რომ პროფესიული მოძრაობა არ შეიძლება მოწყვეტილი იყოს კაპიტალისაგან შრომის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ძირითად ამოცანებს. და ამიტომ პროფესიულ კავშირთა სრულუფლებიანი წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ის კავშირები, რომლებიც აღიარებენ რევოლუციურ კლასობრივ ბრძოლას სოციალიზმისათვის პროლეტარიატის დიქტატურის გზით. ასეთია თქვენი კავშირი. თუ თქვენ ამ პოზიციას დაადგებით, — თქვენთვის უზრუნველყოფილი იქნება წარმატება მასწავლებელთა დიდი მასის მოზიდვის საქმეში და იმ მუშაობაში, რომ ცოდნა და მეცნიერება აღარ შეადგენდეს პრივილეგიურთა საქმეს, აღარ შეადგენდეს იმ მასალას, რომელიც განამტკიცებს მდიდართა და ექსპლოატატორთა პოზიციას, არამედ გადაიქცეს მშრომელთა და ექსპლოატირებულთა განთავისუფლების იარაღად. ნება მომეცით, ამხანაგებო, ყოველგვარი წარმატება გისურვოთ ამ სარბიელზე.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 28.
გვ. 511 — 515

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

სიტყვა სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებათა სკოლისგარეშე ძვეგანყოფილებების გამგეთა II თათბირზე 1919 წ. 24 იანვარს

ამხანაგებო! თქვენ აქ შეკრებილხართ, როგორც საგუბერნიო საბჭოების ადგილობრივ სკოლისგარეშე განყოფილებათა წარმომადგენლები. მე, სამწუხაროდ, ახლოს არ ვიცნობ თქვენს მოღვაწეობას, და ამიტომ რამდენიმე შენიშვნას დავჯერდები. მივესალმები თქვენს სკოლისგარეშე განათლების მოღვაწეთა ყრილობას, — თავისი ამოცანებით ესოდენ მნიშვნელოვან ყრილობას!

ჩვენს სკოლაში დარჩენილია ბევრი მასწავლებელი, რომლებიც ძველ პირობებში არიან აღზრდილნი, რაც სიძნელეებს ქმნის კაპიტალისტური წყობილებიდან სოციალიზმზე გადასვლის დროს. უცნაური კია, მაგრამ ჩვენ შეუპოვარ წინააღმდეგობას ვხვდებით იმ ადამიანთა შორის, რომლებსაც ცოდნა აქვთ. ვინც შეჩვევია იმას, რომ ძველი აპარატი თავის სამფლობელოდ მიაჩნია, ის თავის თავსა და მქონებელ კლასს ემსახურება.

სკოლისგარეშე მუშაობა უკეთეს პირობებშია, ვიდრე სასკოლო მუშაობა.

ჩვენთან, სახკომსაბჭოში, იდგა საკითხი, რომ შექმნილიყო კომისია მთელ რიგ დაქუცმაცებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა გასაერთიანებლად. სკოლისგარეშე განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს მთელი ცხოვრების გარდასაქმნელად. საჭიროა ახალი გზები ვეძიოთ.

უნდა ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების ზოგიერთი ახალი და გამოუცდელი წარმომადგენელი ხშირად ძველ მეთოდებს იყენებს და ამით სახელს უტეხს ხელისუფლებას.

ვფიქრობ, რომ სკოლისგარეშე განათლების მოღვაწეებს ძნელი ამოცანა აწევთ. პარტიულ მუშაობაში ჩვენ გამოვიმუშავეთ ჩვენი ჩვევები მასებზე ფართო ზემოქმედებისა, მაგრამ ეს ჩვევები უნდა

შევაერთოთ კულტურულ-საგანმანათლებლო, კერძოდ, სასკოლო და განსაკუთრებით სკოლისგარეშე მეთოდებთან, რაც ყოველთვის როდი ხერხდებოდა.

სკოლისგარეშე მუშაობაში თქვენ ხვდებით მშრომელი მასების დახმარებას, ცოდნისადმი მათი უძლიერესი მისწრაფების სახით, და მით უფრო ადვილია თქვენთვის გამონახოთ მათთან ურთიერთობის ფორმები. ნახტომებით აქ შეიძლება ყველაზე ნაკლებს მივაღწიოთ, განსაკუთრებით მასებში, რომლებიც დაბალ კულტურულ დონეზე დგანან. უნდა ესწრაფოთ პარტიულ ორგანიზაციებთან, როგორც პარტიული პროპაგანდის ორგანოებთან, დაახლოებას, და ჩაებათ მასები სკოლისგარეშე მუშაობაში. თუ მასების ინიციატივა ჯეროვან თანაგრძნობას შეხვდება, შეგვიძლია უკეთესი შედეგების იმედი ვიქონიოთ. ნება მომეცით მოგესალმოთ და გისურვოთ წარმატება.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 28, გვ. 551 — 552

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

განათლების სახალხო კომისარიატს

გთხოვთ გადასცეთ თქვენს საბიბლიოთეკო განყოფილებებს (როგორც სკოლისგარეშე განათლებისას, ისე სახელმწიფო ბიბლიოთეკებისას და სხვ.) ჩემი ქვემომოყვანილი დამატებითი მოსაზრებანი საბკომსაბჭოში ამ ცოტა ხნის წინათ აღძრულ საკითხზე [102] და მაცნობოთ თქვენი (და სათანადო განყოფილებათა) დასკვნა ამის გამო.

* *
*

საბიბლიოთეკო საქმე, რომელიც, რა თქმა უნდა, შეიცავს «ქოხ-სამკითხველოებს», ყოველგვარ სამკითხველოებს და სხვ., ყველაზე მეტად მოითხოვს შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ი ს გამოწვევას ცალკეულ გუბერნიებსა, ჯგუფებსა, სამკითხველოებსა და სხვებს შორის.

ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ი ს სწორად დაყენება, რომელიც ახლა საბკომ-საბჭომ მოითხოვა, უნდა ემსახურებოდეს ს ა მ მიზანს:

1) როგორც საბჭოთა ხელისუფლების, ისე ყველა მოქალაქის სწორ და სრულ გ ა ც ნ ო ბ ა ს იმასთან, თუ რა კეთდება;

2) თ ვ ი თ მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ჩაბმას მუშაობაში;

3) ბიბლიოთეკის მუშაკთა შორის შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ი ს გამოწვევას.

ამისათვის აუცილებელია დაუყოვნებლივ შემუშავდეს ანგარიშის ისეთი ფორმულარები და ფორმები, რომლებიც დააკმაყოფილებდნენ ამ მიზნებს.

ჩემი აზრით, ანგარიშების ფორმულარები უნდა დამზადდეს ცენტრში, შემდეგ გადაიბეჭდოს გუბერნიების მიხედვით და დაეგზავნოს სახალხო განათლების ყველა განყოფილებას და ყ ვ ე ლ ა ბიბლიოთეკას, სამკითხველოს, კლუბს და სხვ.

ამ ფორმულარებში უნდა გ ა მ ო ი ყ ო ს (და დაიბეჭდოს, ვთქვათ, შავი შრიფტით) ის ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო საკითხები, რომლებზეც პასუხის გაუცემლობისათვის ბიბლიოთეკების გამგეები და სხვ. პასუხს აგებენ ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს წ ე ს ი თ. შემდეგ კი ამ სავალდებულო პასუხებს დაემატოს **ძალიან** ბევრი ა რ ა ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო პასუხი (იმ აზრით, რომ მათზე პასუხის გაუცემლობა არ იწვევს აუცილებლად სამართალში მიცემას).

ფორმულარების სავალდებულო §§-ს უნდა მიეკუთვნოს, მაგალითად, ბიბლიოთეკის (სამკითხველოს და სხვ.) მისამართი, გამგისა და გამგეობის წევრების სახელები მათი მისამართებითურთ, წიგნებისა და გაზეთების რაოდენობა, გახსნის დრო და სხვ. (დიდი ბიბლიოთეკებისათვის სხვა ცნობებიც).

არასავალდებულო §§-ს უნდა მიეკუთვნოს, კითხვების სახით, **უ ვ ე ლ ა** გაუმჯობესება, რაც შეაქვთ შვეიცარიასა და ამერიკაში (და სხვა ქვეყნებში), რათა შესაძლებელი იყოს იმათი **წახალისება** (ძვირფასი გამოცემების, კომპლექტების და სხვა სახით პრემიების მიცემა), ვინც ყველაზე მეტი გაუმჯობესება შემოიღო და საუკეთესოდაც განახორციელა.

მაგალითად: 1) შეგიძლიათ თუ არა თქვენ ზუსტი მონაცემებით დაამტკიცოთ წიგნების მ ი მ ო ქ ც ე ვ ი ს ზრდა თქვენს ბიბლიოთეკაში? ან 2) ბევრი ხალხი დაიარება თქვენს სამკითხველოში? ან 3) ხდება თუ არა წიგნებისა და გაზეთების გაცვლა სხვა ბიბლიოთეკებთან და სამკითხველოებთან? ან 4) შედგენილია თუ არა ცენტრალური კატალოგი? ან 5) გამოყენებულია თუ არა კვირა დღეები? ან 6) გამოყენებულია თუ არა საღამოები? ან 7) მოზიდული არიან თუ არა მკითხველთა ახალი ფენები, ქალები, ბავშვები, არარუსები და სხვ.? ან 8) რამდენად აკმაყოფილებთ მკითხველს ცნობების მიწოდებით? ან 9) შემოღებულია თუ არა მარტივი და პრაქტიკული წესები წიგნების და გაზეთების შენახვისა? მათი მოვლისა? არის თუ არა მექანიკური შეერთება წაკითხვისა და ადგილზე გადადების დროს? ან 10) შემოღებულია თუ არა შინ გაცემა? ან 11) გამარტივებულია თუ არა გარანტიები შინ გაცემისას? ან 12) ფოსტის გაგზავნისას?

დ ა ა. შ. დ ა ა. შ. დ ა მ ი ს თ.

საუკეთესო ანგარიშისა და წარმატებისათვის დაჯილდოვდნენ პრემიებით.

განსახკომის საბიბლიოთეკო განყოფილების ანგარიშებში ა უ ც ი-ლ ე ბ ლ ა დ უნდა ეუწყოს სახკომსაბჭოს, რ ა მ დ ე ნ ი ანგარიში შე-მოდის ყოველთვიურად და რა კითხვებზე იძლევიან პასუხს; შენა-ჯამი.

1919 წლის თებერვალი
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 28,
გვ. 567 — 569

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

პეტროგრადის საბჭოს სხდომა
1919 წ. 12 მარტს

1

მოხსენებიდან სახალხო კომისართა საბჭოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ

მოკლე საგაზეთო ანგარიში

... ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი, — ამბობს ლენინი, — აღშფოთებულია იმით, რომ წითელი არმიის სათავეში დგანან მეფის მსახურნი და ძველი ოფიცრობა. ბუნებრივია, რომ წითელი არმიის ორგანიზაციის დროს ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს, და მისი სწორად დაყენება განსაზღვრავს არმიის ორგანიზაციის წარმატებას. სპეციალისტების საკითხი უფრო ფართოდ უნდა დაისვას. ჩვენ ისინი უნდა გამოვიყენოთ მშენებლობის ყველა დარგში, სადაც, ბუნებრივია, რაკი არა გვაქვს ძველი ბურჟუაზიული სპეციალისტების გამოცდილება და მეცნიერული მომზადება, თვითონ ჩვენი საკუთარი ძალებით თავს ვერ გავართმევთ. ჩვენ არა ვართ ის უტოპისტები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სოციალისტური რუსეთის მშენებლობის საქმე შეიძლება შეასრულონ ვიღაც ახალმა ადამიანებმა, ჩვენ ვსარგებლობთ იმ მასალით, რომელიც ძველმა კაპიტალისტურმა სამყარომ დაგვიტოვა. ძველ ადამიანებს ჩვენ ახალ პირობებში ვაყენებთ, სათანადო კონტროლს ვაწესებთ მათ მიმართ, პროლეტარიატის ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშ ვაყენებთ მათ და ვაიძულებთ შეასრულონ ჩვენთვის საჭირო სამუშაო. მხოლოდ ასე შეიძლება სწორედ შენება. თუ თქვენ შენობის აგება არ შეგიძლიათ ბურჟუაზიული სამყაროს მიერ ჩვენთვის დატოვებული მასალით, მაშინ თქვენ საერთოდ ვერ ააშენებთ მას, და თქვენ კომუნისტები კი არა, ცარიელი ფრაზიორები ყოფილხართ. სოციალისტური მშენებლობისთვის საჭიროა სრულად გამოვიყენოთ მეცნიერება, ტექნიკა და საერთოდ ყველაფერი, რაც კაპიტალისტურმა რუსეთმა დაგვიტოვა. რა თქმა უნდა, ამ გზაზე ჩვენ დიდი სიძნელეები შეგვხვდება. შეცდომები გარდუვალია. გადამრ-

ბენნი და ბოროტი მესაბოტაჟეები ყველგან არიან. აქ უწინარეს ყოვლისა საჭირო იყო ძალმომრეობა. მაგრამ ამის შემდეგ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ პროლეტარიატის მორალური გავლენა, ძლიერი ორგანიზაცია და დისციპლინა. სრულიადაც არ არის საჭირო ჩვენთვის სასარგებლო სპეციალისტების განდევნა. მაგრამ ისინი უნდა ჩავაყენოთ გარკვეულ ჩარჩოებში, რაც შესაძლებლობას მისცემს პროლეტარიატს კონტროლი გაუწიოს მათ. მათ უნდა მიენდოს სამუშაო, მაგრამ ამასთანავე ფხიზელი მეთვალყურეობა უნდა გაეწიოს მათ, უნდა დაენიშნოთ კომისრები და აღიკვეთოს მათი კონტრრევოლუციური ზრახვები. ამავე დროს საჭიროა ვისწავლოთ მათგან. ამასთანავე ერთად — არავითარი პოლიტიკური დათმობა ამ ვაჟბატონებს, მათი შრომა კი უნდა გამოვიყენოთ ყველგან, სადაც კი შესაძლებელია. ნაწილობრივ ჩვენ კიდევაც მივაღწიეთ ამას. კაპიტალისტების დათრგუნვიდან ჩვენ გადავედით მათ გამოყენებაზე, და ეს, შეიძლება, ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რომელსაც ჩვენ მივაღწიეთ საშინაო მშენებლობის ერთი წლის მანძილზე...

2

პასუხი ბარათებზე

...თქვენს შორის ცოტანი არიან, შესაძლოა, თითო-ოროლაც კი, რომლებსაც ახსოვთ ბატონყმობა, ეს შეიძლება ახსოვდეთ მხოლოდ მოხუცებს, მაგრამ მაინც მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც ახსოვთ ის, რაც 30 — 40 წლის წინათ იყო. ვინც სოფლად ყოფილა, მან იცის, რომ 30 წლის წინათ სოფლად ცოტანი როდი მოიპოვებოდნენ ისეთი მოხუცნი, რომლებიც ამბობდნენ: «ბატონყმობის დროს სჯობდაო, მეტი წესრიგი, სიმკაცრე იყო, დედაკაცებს მორთულ-მოკაზმულად არ აცმევდნენო». ახლა რომ წავიკითხოთ უსპენსკი, რომელსაც ძეგლს ვუდგამთ, როგორც გლეხის ცხოვრების აღმწერ ერთ-ერთ საუკეთესო მწერალს, 80-იანი და 90-იანი წლების ხანიდან ვიპოვით აღწერას, როცა გულწრფელი კეთილსინდისიერი მოხუცი გლეხები ანდა ზოგჯერ პირდაპირ ხანში შესულნი ამბობდნენ, ბატონყმობის დროს სჯობდაო. როდესაც ძველ საზოგადოებრივ წესწყობილებას სპობენ, მისი ერთბაშად მოსპობა ყველა ადამიანის შეგნებაში შეუძლებელია, რჩება კიდევ მცირე რიცხვი, რომელსაც გული მიუწევს ძველისკენ...

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 29, გვ. 7 — 8, 13

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ნაშრომიდან «საბჭოთა ხელისუფლების წარმატებანი და სიძნელენი»

...ძველ სოციალისტ-უტოპისტებს ეგონათ, რომ სოციალიზმის აშენება შეიძლება სხვა ადამიანებთან ერთად, რომ ჯერ კარგ, სუფთა, მშვენივრად დახელოვნებულ ადამიანებს აღზრდიან და მათგან სოციალიზმს ააშენებენ. ჩვენ მუდამ დავცინოდით ამას და ვამბობდით, რომ ეს დედოფალას თამაშია, რომ ეს სოციალიზმით გატაცებული ნაზ-ნარუქა ქალიშვილების თავშესაქცევია და არა სერიოზული პოლიტიკა.

ჩვენ გვსურს სოციალიზმი ავაშენოთ იმ ადამიანთაგან, რომლებიც აღზარდა კაპიტალიზმმა, მან გააფუჭა, გარყვნა, მაგრამ სამაგიეროდ მანვე გამობრძმედა ბრძოლისათვის. არიან პროლეტარები, რომლებიც ისე არიან გამობრძმედილი, რომ შეუძლიათ გადაიტანონ ათასჯერ მეტი მსხვერპლის გაღება, ვიდრე რომელიმე არმიას; არიან ათეული მილიონობით დაჩაგრული გლეხები, რომლებიც ბნელნი, დაქსაქსულნი არიან, მაგრამ რომლებსაც უნარი შესწევთ, თუ პროლეტარიატი მარჯვე ტაქტიკას დაადგება, მის გარშემო გაერთიანდნენ ბრძოლაში. და შემდეგ არიან მეცნიერების, ტექნიკის სპეციალისტები, რომლებიც სულ მთლად გაჟღენთილი არიან ბურჟუაზიული მსოფლმხედველობით, არიან სამხედრო სპეციალისტები, რომლებიც აღიზარდნენ ბურჟუაზიულ პირობებში, — და კიდევ კარგი, თუ ბურჟუაზიულ პირობებში, და არა მემამულურ, ცემა-ტყეპის, ბატონყმურ პირობებში. რაც შეეხება სახალხო მეურნეობას, ყველა აგრონომი, ინჟინერი, მასწავლებელი — ყველა ისინი მიჰყავდათ

შეძლებულთა კლასიდან; ჰაერიდან როდი ჩამოვარდნილან ისინი! დაზგის ხელმოკლე პროლეტარს და გუთნის ბლეხს უნივერსიტეტის დამთავრება არ შეეძლოთ არც მეფე ნიკოლოზის, არც რესპუბლიკის პრეზიდენტის ვილსონის დროს. მეცნიერება და ტექნიკა მდიდრებისათვის, შეძლებულთათვის; კაპიტალიზმი კულტურას იძლევა მხოლოდ უმცირესობისთვის. ჩვენ კი სოციალიზმი უნდა ავაშენოთ ამ კულტურიდან. სხვა მასალა ჩვენ არ მოგვეპოვება. ჩვენ გვსურს სოციალიზმი ავაშენოთ დაუყოვნებლივ იმ მასალიდან, რომელიც კაპიტალიზმმა დაგვიტოვა გუშინდლიდან დღეისათვის, ახლავე, და არა იმ ადამიანთაგან, რომლებსაც სათბურებში დაამზადებენ, თუ თავს შევიქცევთ ამ ზღაპრით. ჩვენ გვყავს ბურჟუაზიული სპეციალისტები, და სხვა არაფერი გაგვაჩნია. ჩვენ არა გვაქვს სხვა აგურები, ჩვენ არავითარი მასალა არა გვაქვს, რომ ვაშენოთ. სოციალიზმმა უნდა გამარჯვოს, და ჩვენ, სოციალისტებმა და კომუნისტებმა, საქმით უნდა დავამტკიცოთ, რომ უნარი შეგვწევს ავაშენოთ სოციალიზმი ამ აგურებით, ამ მასალით, ავაშენოთ სოციალისტური საზოგადოება პროლეტართაგან, რომლებიც უმნიშვნელო რაოდენობით სარგებლობდნენ კულტურით, და ბურჟუაზიულ სპეციალისტთაგან.

და თუ თქვენ ვერ ააშენებთ კომუნისტურ საზოგადოებას ამ მასალით, მაშინ თქვენ უბრალო ფრაზიორები, მოლაყბენი ხართ.

აი როგორ არის საკითხი დაყენებული მსოფლიო კაპიტალიზმის ისტორიული მემკვიდრეობის მიერ! აი ის სიძნელე, რომელიც წინ გადაგვეღობა კონკრეტულად, როდესაც ძალაუფლება ავიღეთ, როდესაც საბჭოთა აპარატი მივიღეთ!

ეს არის ამოცანის ერთი ნახევარი, და ეს ამოცანის მეტი ნახევარია. საბჭოთა აპარატი იმას ნიშნავს, რომ მშრომელები ისე არიან გაერთიანებული, რომ თავიანთი მასობრივი გაერთიანების წონით გასრისონ კაპიტალიზმი. მათ კიდევაც გასრისეს იგი. მაგრამ გასრესილი კაპიტალიზმი ვერ გაგაძღებს. უნდა ავიღოთ კაპიტალიზმის მიერ დატოვებული მთელი კულტურა და მისგან ავაშენოთ სოციალიზმი. უნდა ავიღოთ მთელი მეცნიერება, მთელი ტექნიკა, მთელი ცოდნა, ხელოვნება. უამისოდ კომუნისტური საზოგადოების ცხოვრებას ვერ ავაშენებთ. ეს მეცნიერება, ტექნიკა, ხელოვნება კი სპეციალისტების ხელში და მათ თავშია.

ასეა დაყენებული ამოცანა ყველა სფეროში — ამოცანა წინააღმდეგური, როგორც წინააღმდეგურია მთელი კაპიტალიზმი, უძნელესი, მაგრამ შესასრულებელი ამოცანა. არა იმიტომ, რომ ოციოდე წლის შემდეგ ჩვენ აღვზრდით სუფთა კომუნისტ-სპეციალისტებს: კომუნის-

ტების პირველ თაობას, უმწიკვლოს და უბადლოს; არა, უკაცრავად, ჩვენ ყველაფერი უნდა მოვაწყოთ ახლავე, არა ოცი წლის შემდეგ, არამედ ორი თვის შემდეგ, რათა ვიბრძოლოთ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიული მეცნიერებისა და ტექნიკის წინააღმდეგ. აქ ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ. ჩვენი მასობრივი წონით უნდა ვაიძულოთ ბურჟუაზიული სპეციალისტები გვემსახურონ — ეს ძნელია, მაგრამ შესაძლებელია; და თუ ამას შევძლებთ, გავიმარჯვებთ...

... რა თქმა უნდა, ამ გზაზე, როგორც ახალსა და ძნელზე, ცოტა შეცდომა როდია დაშვებული, ამ გზაზე ჩვენ ცოტა დამარცხება როდი მოგველოდა; ყველამ იცის, რომ სპეციალისტების განსაზღვრული რაოდენობა სისტემატურად გვღალატობდა: სპეციალისტებს შორის ქარხნებში, აგრონომიაში, მართვა-გამგეობის საქმეში ჩვენ ყოველ ნაბიჯზე გვეღობებოდა და გვეღობება ბოროტგანზრახული დამოკიდებულება საქმისადმი, ბოროტგანზრახული საბოტაჟი.

ჩვენ ვიცით, რომ ყოველივე ეს უდიდესი სიძნელეებია და მათ მარტოოდენ ძალმომრეობით ვერ დასძლევ... ჩვენ, რა თქმა უნდა, ძალმომრეობის წინააღმდეგი არა ვართ; ჩვენ მათ, ვინც უარყოფით უყურებს პროლეტარიატის დიქტატურას, დავცინით და ვამბობთ, რომ ეს სულელები არიან, რომლებსაც ვერ გაუგიათ, რომ უნდა იყოს ან პროლეტარიატის დიქტატურა, ან ბურჟუაზიის დიქტატურა. ვინც სხვანაირად ლაპარაკობს — ან იდიოტია, ან პოლიტიკურად იმდენად უვიცია, რომ მისი არათუ ტრიბუნაზე გამოშვება, არამედ კრებაზე დაშვებაც კი სირცხვილია. შეიძლება ან ძალმომრეობა ლიბკნეხტისა და ლუქსემბურგის მიმართ, მუშათა საუკეთესო ბელადების დახოცვა, ან ექსპლოატატორების ძალით დათრგუნვა, ხოლო ვინც შუათანა რამეზე ოცნებობს — ჩვენი ყველაზე მავნე და საშიში მოწინააღმდეგეა. ასე დგას ახლა საკითხი. ასე რომ, როცა ჩვენ ვლაპარაკობთ სპეციალისტების გამოყენებაზე, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ საბჭოთა პოლიტიკის ერთი წლის გაკვეთილი; ამ წლის განმავლობაში ჩვენ მოვტეხეთ და დავამარცხეთ ექსპლოატატორები, ახლა კი უნდა გადავწყვიტოთ ბურჟუაზიული სპეციალისტების გამოყენების ამოცანა. აქ კი, ვიმეორებ, მარტოოდენ ძალმომრეობით ვერაფერს გახდები. აქ, ძალმომრეობის დამატებით, ძლევამოსილი ძალმომრეობის შემდეგ საჭიროა ორგანიზებულობა, დისციპლინა და მორალური წონა გამარჯვებული პროლეტარიატისა, რომელიც იმორჩილებს და თავის მუშაობაში აბამს ყველა ბურჟუაზიულ სპეციალისტს!

იტყვიან: ძალმომრეობის ნაცვლად ლენინი მორალურ ზეგავლენას გვირჩევსო! მაგრამ სისულელე იქნებოდა ფიქრი, თითქოს მარტოოდენ ძალმომრეობით შეიძლებოდეს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში ახალი მეცნიერებისა და ტექნიკის ორგანიზაციის საკითხის გადაჭრა. სისულელეა! ჩვენ, როგორც პარტია, როგორც ადამიანები, რომლებსაც რაღაც გვისწავლია საბჭოთა მუშაობის ამ წლის განმავლობაში, ამ სისულელეს არ ჩავიდენთ და მასებსაც გავაფრთხილებთ არ აჰყვნენ ამ სისულელეს. გამოვიყენოთ ბურჟუაზიული, კაპიტალისტური საზოგადოების მთელი აპარატი — ასეთი ამოცანა მოითხოვს არა მარტო ძლევამოსილ ძალმომრეობას, იგი მოითხოვს, გარდა ამისა, ორგანიზაციას, დისციპლინას, მასების ამხანაგურ დისციპლინას, მთელ დანარჩენ მოსახლეობაზე პროლეტარული ზეგავლენის მოწყობას, ახალი მასობრივი ვითარების შექმნას, როცა ბურჟუაზიული სპეციალისტი ხედავს, რომ მას გამოსავალი არა აქვს, რომ ძველ საზოგადოებას ვეღარ დაუბრუნდება და რომ მას თავისი საქმის კეთება შეუძლია მხოლოდ იმ კომუნისტებთან ერთად, რომლებიც მის გვერდით დგანან, მასებს ხელმძღვანელობენ, მასების აბსოლუტური ნდობით სარგებლობენ და იქითკენ მიდიან, რომ ბურჟუაზიული მეცნიერების, ტექნიკის ნაყოფი, ცივილიზაციის ათასი წლის განვითარების ნაყოფი არ ერგოს ერთ მუჭა ადამიანებს, რომლებიც ამით იმისთვის სარგებლობენ, რომ გამოირჩეოდნენ და მდიდრდებოდნენ, არამედ ერგოს გამოუკლებლივ ყველა მშრომელს.

უდიდესი სიძნელის ამოცანაა, რომელსაც, მის სავსებით გადასაწყვეტად, ათეული წლები უნდა შეეწიროს! ხოლო ეს ამოცანა რომ გადაწყვიტო, უნდა შექმნა ისეთი ძალა, ისეთი დისციპლინა, ამხანაგური დისციპლინა, საბჭოთა დისციპლინა, პროლეტარული დისციპლინა, რომელიც არა მარტო ფიზიკურად გასრესდა ბურჟუაზიის კონტრრევოლუციონერებს, არამედ მთლიანად მოიცავდა კიდევაც მათ, დაიმორჩილებდა, აიძულებდა ევლოთ ჩვენს რელსებზე, სამსახური გაეწიათ ჩვენი საქმისთვის.

ვიმეორებ, სამხედრო მშენებლობის და სამეურნეო მშენებლობის საქმეშიც, სახალხო მეურნეობის თვითეული საბჭოს მუშაობაშიც. თვითეული ქარხნის კომიტეტის, თვითეული ნაციონალიზებული ფაბრიკის მუშაობაშიც ჩვენ ყოველდღე გვეღობებოდა ეს ამოცანა. არა მგონია ყოფილიყოს თუნდ ერთი კვირა, როცა წელს სახალხო კომისართა საბჭოში, ასე თუ ისე, ამა თუ იმ ფორმით, არ ყოფილიყოს დაყენებული ასეთი საკითხი და არ გადაგვეწყვიტოს. და მე დარ-

წმუნებული ვარ, რომ რუსეთში არ ყოფილა არც ერთი ქარხნის კომიტეტი, არც ერთი სასოფლო-სამეურნეო კომუნა, არც ერთი საბჭოთა მეურნეობა, არც ერთი სამაზრო მიწგანი, რომლებსაც საბჭოთა მუშაობის ერთი წლის მანძილზე ათეულჯერ არ გადაჰღობებოდა ეს საკითხი.

აი რაშია ამოცანის სიძნელე, მაგრამ აი რაშია ნამდვილი მადლიერი ამოცანაც, აი რა უნდა გავაკეთოთ ახლა, მეორე დღეს იმის შემდეგ, როცა პროლეტარული აჯანყების ძალამ გასრისა ექსპლოატატორები. ჩვენ გავსრისეთ მათი წინააღმდეგობა, — ეს უნდა გვექნა, — მაგრამ არა მარტო ეს უნდა გვექნა, არამედ მშრომელთა ახალი ორგანიზაციის, ამხანაგური ორგანიზაციის ძალით უნდა ვაიძულოთ ისინი გვემსახურონ, უნდა განვკურნოთ ისინი ძველი მანკისაგან, ხელი შევუშალოთ, რომ თავიანთ ექსპლოატატორულ პრაქტიკას არ დაუბრუნდნენ. ისინი დარჩნენ ძველ ბურჟუებად და სხედან ოფიცრების პოსტებსა და ჩვენი არმიის შტაბებში, ისინი, ინჟინრები, და აგრონომები, ეს ძველი ბურჟუები, რომლებიც თავიანთ თავს მენშევიკებსა და ესერებს უწოდებენ. სახელწოდებით არაფერი იცვლება, მაგრამ ისინი სულიან-ხორციანად, თავით ფეხამდე, თავიანთი მსოფლმხედველობითა და ჩვეულებით ბურჟუები არიან.

რა გაეწყობა, განა ჩვენ გადაყყრით მათ? ასეულ ათასებს ვერ გადაყრი! ხოლო რომ გადავყაროთ, იმავე ტოტს მოვჭრიდით, რომელზედაც ვზივართ. ჩვენ კომუნიზმს ვერაფრით ავაშენებთ, თუ არა მხოლოდ იმით, რაც კაპიტალიზმს შეუქმნია. კი არ უნდა გადავყაროთ, არამედ უნდა მოვტეხოთ მათი წინააღმდეგობა, თვალყური ვადევნოთ მათ ყოველ ნაბიჯზე, არ დავუშვათ არავითარი პოლიტიკური დათმობა, რასაც უხასიათო ადამიანები ყოველ წუთს ემორჩილებიან. კულტურული ადამიანები იმიტომ ემორჩილებიან ბურჟუაზიის პოლიტიკას და გავლენას, რომ მთელი თავიანთი კულტურა მათ შეითვისეს ბურჟუაზიული ვითარებიდან და მისი მეშვეობით. აი რატომაა, რომ ისინი ყოველ ნაბიჯზე ბორძიკობენ და პოლიტიკურ დათმობებზე მიდიან კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის მიმართ.

კომუნისტი, რომელიც ამბობს, არ შეიძლება ისეთ მდგომარეობაში ჩავარდე, რომ ხელი გაისვარო, რომ მას სუფთა კომუნისტური ხელი უნდა ჰქონდეს, რომ ის სუფთა კომუნისტური ხელით შეუდგება კომუნისტური საზოგადოების შენებას, არ გამოიყენებს საზიზღარ კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიულ კოოპერატორებს, —

ცარიელი ფრაზიორია, იმიტომ რომ, პირიქით, არ შეიძლება არ გამოვიყენოთ ისინი.

პრაქტიკულად ამოცანა ამჟამად ისე დგას, რომ ისინი, ვინც კაპიტალიზმის მიერ ჩვენს წინააღმდეგ არიან აღზრდილი, შემოვაბრუნოთ ჩვენდა სამსახურად, ყოველდღე თვალყური ვადევნოთ მათ, დავუყენოთ მათ მუშა კომისრები კომუნისტური ორგანიზაციის ვითარებაში, ყოველდღე აღვკვეთოთ ხოლმე კონტრრევოლუციური მცდელობა და ამავე დროს ვისწავლოთ მათგან.

ჩვენ, საუკეთესო შემთხვევაში, მოგვეპოვება აგიტატორის, პროპაგანდისტის, იმ ადამიანის გამოცდილება, რომელიც გამობრძმედილია ფაბრიკის მუშის თუ მშიერი გლეხის მძიმე ჯოჯოხეთური ბედით, — გამოცდილება, რომელიც გვასწავლის დიდხანს გაძლოთ, შეუპოვრობა გამოვიჩინოთ ბრძოლაში, რამაც გვიხსნა აქამდე; ყოველივე ეს საჭიროა; მაგრამ ეს არ კმარა, მარტოოდენ ამით ვერ გაიმარჯვებ; გამარჯვება რომ სრული და საბოლოო იყოს, უნდა ავიღოთ კიდევ ყოველივე ის, რაც კაპიტალიზმს აქვს რიგიანი, დავეუფლოთ მთელ მეცნიერებასა და კულტურას.

მერე საიდან ავიღოთ ეს? ჩვენმა მოწინავე გლეხებმა, შეგნებულმა მუშებმა თავიანთ ფაბრიკებში უნდა ისწავლონ მათგან, ჩვენს მტერთაგან, სამაზრო მიწგანში ბურჟუაზიული აგრონომისაგან, ინჟინრისაგან და სხვ., რათა შეითვისონ მათი კულტურის ნაყოფი.

ამ მხრივ ის ბრძოლა, რომელიც ჩვენს პარტიაში წარმოიშვა გასულ წელს, მეტისმეტად ნაყოფიერი იყო; მას ცოტა მკაცრი შეჯახება როდი გამოუწვევია, მაგრამ ბრძოლა არც ხდება ისე, რომ მკაცრი შეჯახებები არ იყოს; ჩვენ კი შევიძინეთ პრაქტიკული გამოცდილება იმ საკითხში, რომელიც ჩვენს წინაშე არასდროს არ დასმულა, მაგრამ ურომლისოდაც კომუნიზმის განხორციელება ვერ მოხერხდება [103]. ეს ამოცანა, თუ როგორ შევაერთოთ ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუცია ბურჟუაზიულ კულტურასთან, ბურჟუაზიულ მეცნიერებასა და ტექნიკასთან, რაც დღემდე მცირეთა კუთვნილება იყო, ეს ამოცანა, კიდევ ვიტყვი, ძნელია. აქ მთელი საქმე მშრომელი მასების მოწინავე ფენის ორგანიზაციაში, დისციპლინაშია. რუსეთში რომ მილიონობით დაბეჩავებულ, უმეცარ, დამოუკიდებელი მშენებლობის სრულიად უუნარო გლეხთა, მემამულეების მიერ საუკუნეობით დაჩაგრულ გლეხთა სათავეში არ ყოფილიყო, მათ ახლოს რომ არ ყოფილიყო მოწინავე ფენა ქალაქის მუშებისა, რომლებიც მათთვის გასაგები, მახლობელი არიან, რომლებიც მათი ნდობით სარგებლობენ, რომლებსაც გლეხი დაუჯე-

რებს, როგორც თავისიან მუშა ხალხს, რომ არ ყოფილიყო ეს ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია დარაზმოს მშრომელი მასები და ჩააგონოს მათ, განუმარტოს, დაარწმუნოს ისინი, თუ რა დიდმნიშვნელოვანია მთელი ბურჟუაზიული კულტურის მიღების ამოცანა, — მაშინ კომუნიზმის საქმე უიმედო იქნებოდა...

1919 წ. 17 აპრილი.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 29, გვ. 65 — 72

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ნაშრომიდან
«რკპ (ბ) პროგრამის პროექტი»

პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ამოცანები რუსეთში

... 10) საერთოდ და მთლიანად, ერთი მხრივ, ბურჟუაზიული დემოკრატია და პარლამენტარიზმი და, მეორე მხრივ, საბჭოთა ანუ პროლეტარული დემოკრატია იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რომ პირველს სიმძიმის ცენტრი გადაჰქონდა ყოველგვარ თავისუფლებათა და უფლებათა საზეიმოდ და დიდის ამბით გამოცხადებაზე, ხოლო ფაქტიურად სწორედ მოსახლეობის უმრავლესობას, მუშებსა და გლეხებს ნებას არ აძლევდა, რომ რამდენადმე საკმაოდ გამოეყენებინა ისინი. პირიქით, პროლეტარულ ანუ საბჭოთა დემოკრატიას სიმძიმის ცენტრი გადააქვს არა იმაზე, რომ მთელი ხალხის უფლებები და თავისუფლებები გამოაცხადოს, არამედ იმაზე, რომ საქმით უზრუნველყოს მშრომელთა სწორედ იმ მასებისათვის, რომლებიც დაჩაგრული და ექსპლოატირებული იყვნენ კაპიტალის მიერ, ფაქტიური მონაწილეობის მიღება სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში, საუკეთესო შენობებისა და სადგომების ფაქტიურად გამოყენება კრებებისა და ყრილობებისთვის, საუკეთესო სტამბებისა და ქაღალდის უდიდესი საწყობების (მარაგის) ფაქტიურად გამოყენება იმათ გასანათლებლად, ვისაც კაპიტალიზმი აყეყეჩებდა და აბეჩავებდა, უზრუნველყოს სწორედ ამ მასებისათვის რეალური (ფაქტიური) შესაძლებლობა თანდათან განთავისუფლდნენ რელიგიურ ცრურწმენათა უღლისაგან და სხვ. და ა. შ.. საბჭოთა ხელისუფლების უმთავრესი მუშაობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ამ მიმართულებით ფაქტიურად მიეცეს შესაძლებლობა მშრომელებსა და ექსპლოატირებულებს საქმით ისარგებლონ კულტურის, ცივილიზაციისა და დემოკრატიის სიკეთით და ეს მუშაობა განუხრელად უნდა განაგრძოს მან შემდეგაც.

ნაციონალურ საკითხში რკპ პოლიტიკა, ერთა თანასწორობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული აღიარებისაგან განსხვავებით, რაც

განუხორციელებელია იმპერიალიზმის დროს, იმაში მდგომარეობს, რომ განუხრელად განახორციელოს ყველა ერის პროლეტარებისა და მშრომელი მასების დაახლოება და შეერთება მათს რევოლუციურ ბრძოლაში ბურჟუაზიის დასამხობად. მეფისა და ბურჟუაზიული ველიკორუსული იმპერიალიზმის ეპოქისაგან მემკვიდრეობით მიღებული უნდობლობა ველიკორუსებისადმი სწრაფად ქრება იმ ერთა მშრომელ მასებში, რომლებიც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ, ქრება საბჭოთა რუსეთთან ნაცნობობის გავლენით, მაგრამ ეს უნდობლობა ყველა ერში და მშრომელი მასების ყველა ფენაში საკმაოდ ადვილად ვერ ამოიფხვრება, ამიტომ საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე ნაციონალური გრძნობის მიმართ, ერთა თანასწორობისა და გამოყოფის თავისუფლების მზრუნველობით განხორციელება სინამდვილეში, რათა ნიადაგი გამოვაცალოთ ამ უნდობლობას და მივაღწიოთ ყველა ერის საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფილობითს უმჯიდროეს კავშირს. ჩამორჩენილი და სუსტი ერების დახმარება უნდა გავაძლიეროთ იმით, რომ ხელი შევუწყოთ თვითეული ერის მუშებისა და გლეხების დამოუკიდებლად დარაზმვას და გათვითცნობიერებას შუასაუკუნებრივი და ბურჟუაზიული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე ხელი შევუწყოთ დღემდე დაჩაგრულ თუ ყოფილ არათანასწორუფლებიან ერთა ენისა და ლიტერატურის განვითარებას.

რელიგიური პოლიტიკის სფეროში (რკპ-ის) პროლეტარული დიქტატურის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ არ დავკმაყოფილდეთ სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის უკვე დეკრეტირებული გამოყოფით, ე. ი. იმ ღონისძიებებით, რომლებსაც ბურჟუაზიული დემოკრატია შეგვპირდა, მაგრამ არსად მთელ მსოფლიოში ბოლომდე არ მიუყვანია რელიგიურ პროპაგანდასთან კაპიტალის მრავალმხრივი ფაქტიური კავშირის გამო. პროლეტარულმა დიქტატურამ ბოლომდე უნდა მიიყვანოს კავშირის მოშლა ექსპლოატატორულ კლასებსა, მემამულეებსა და კაპიტალისტებსა და რელიგიური პროპაგანდის ორგანიზაციას შორის, პროპაგანდისა, რომელიც მასების სიბნელეს ასაზრდოებს. პროლეტარულმა დიქტატურამ განუხრელად უნდა განახორციელოს მშრომელი მასების ფაქტიური განთავისუფლება რელიგიური ცრურწმენისაგან და ამას უნდა მიაღწიოს პროპაგანდისა და მასების შეგნების ამაღლების გზით, ამასთან მზრუნველობით უნდა ერიდოს მოსახლეობის მორწმუნე ნაწილის გრძნობით ყოველგვარ შელახვას და რელიგიური ფანატიზმის განმტკიცებას.

სახალხო განათლების სფეროში რკპ ამოცანად ისახავს ბოლომდე მიიყვანოს 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის ღროიდან დაწყებული სკოლის გარდაქმნა ბურჟუაზიის კლასობრივი ბატონობის იარაღიდან ამ ბატონობის დანგრევის იარაღად, ისევე როგორც საზოგადოების კლასებად დაყოფის სრულიად მოსპობის იარაღად.

პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში, ე. ი. იმ პირობების მომზადების პერიოდში, რომლებიც შესაძლებლად ხდიან კომუნიზმის სრულ განხორციელებას, სკოლა უნდა იყოს არა მარტო საერთოდ კომუნიზმის პრინციპების გამტარებელი, არამედ აგრეთვე გამტარებელი პროლეტარიატის იდეური, ორგანიზაციული, აღმზრდელობითი ზეგავლენისა მშრომელი მასების ნახევრადპროლეტარულ და არაპროლეტარულ ფენებზე იმ მიზნით, რომ აღზარდოს ისეთი თაობა, რომელიც შესძლებს კომუნიზმის საბოლოოდ განხორციელებას.

ამჟამად უახლოესი ამოცანებს ამ გზაზე წარმოადგენს:

1) უფასო და სავალდებულო საერთო და პოლიტექნიკური (რომელიც თეორიასა და პრაქტიკაში ბავშვს აცნობს წარმოების ყველა მთავარ დარგს) განათლების გატარება ორივე სქესის ყველა ბავშვისათვის 16 წლამდე.

2) სწავლების მჭიდრო კავშირის განხორციელება საზოგადოებრივ-ნაყოფიერ შრომასთან.

3) ყველა მოსწავლის მომარაგება საჭმლით, ტანსაცმლითა და სახელმძღვანელოებით სახელმწიფოს ხარჯზე.

4) აგიტაციისა და პროპაგანდის გაძლიერება მასწავლებლებში.

5) კომუნიზმის იდეებით გამსჭვალული ახალი მასწავლებლობის კადრების მომზადება.

6) მშრომელი მოსახლეობის მიზიდვა განათლების საქმეში აქტიური მონაწილეობის მისაღებად (სახალხო განათლების საბჭოების განვითარება, წიგნიერთა მობილიზაცია და სხვ.).

7) საბჭოთა ხელისუფლების მიერ ყოველმხრივი დახმარების გაწევა მუშებისა და მშრომელი გლეხების თვითგანათლებისა და თვითგანვითარებისათვის (ბიბლიოთეკების, მოზრდილთა სკოლების, სახალხო უნივერსიტეტების, ლექციების კურსების, კინემატოგრაფების, სტუდიების და სხვ. მოწყობა).

8) კომუნისტური იდეების უაღრესად ფართო პროპაგანდის გაჩაღება...

1919 წ.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 29, გვ. 115 — 118

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

რკპ (ბ) VIII ყრილობა

1919 წ. 18 — 23 მარტი

მოხსენებიდან პარტიული პროგრამის შესახებ 19 მარტს

...ბ ურ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს საკითხი ცოტა შეხლა-შემოხლას და უთანხმოებას როდი იწვევს. როცა მე ამ დღეებში მომიხდა პეტროგრადის საბჭოში გამოსვლა, ჩემთვის მოცემული ბარათებიდან რამდენიმე ეხებოდა განაკვეთის საკითხს. მეკითხებოდნენ: განა შეიძლება სოციალისტურ რესპუბლიკაში 3 000 მანეთამდე ხელფასის მიცემა? ჩვენ არსებითად ეს საკითხი პროგრამაში შევიტანეთ, რადგან უკმაყოფილება ამ ნიადაგზე საკმაოდ შორს წავიდა. ბურჟუაზიული სპეციალისტების საკითხი დგას არმიაში, მრეწველობაში, კოოპერატივებში, დგას ყველგან. ეს კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გარდამავალი პერიოდის მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. კომუნიზმის აშენებას ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ, როცა ბურჟუაზიული მეცნიერებისა და ტექნიკის საშუალებებით მას უფრო მისაწვდომად გავხდით მასებისათვის. სხვაგვარად კომუნისტური საზოგადოების აშენება შეუძლებელია. ხოლო ის რომ ასე ავაშენოთ, ბურჟუაზიას უნდა ჩამოვართვათ აპარატი, მუშაობაში უნდა ჩავაბათ ყველა ეს სპეციალისტი. პროგრამაში ჩვენ განზრახ განვავითარეთ დაწვრილებით ეს საკითხი, რათა ის რადიკალურად გადაწყდეს. ჩვენ ჩინებულად ვიცით, რას ნიშნავს რუსეთის კულტურული განუვითარებლობა, რას უშვრება ის საბჭოთა ხელისუფლებას, რომელმაც პრინციპულად განუზომლად უფრო მაღალი პროლეტარული დემოკრატია მოგვცა, ამ დემოკრატიის ნიმუში მოგვცა მთელი მსოფლიოსთვის, — როგორ ამდაბლებს ეს უკულტურობა საბჭოთა ხელისუფლებას და აღადგენს ბიუროკრატიას. საბჭოთა აპარატი სიტყვით მისაწვდომია ყველა მშრომელისათვის. საქმით კი იგი სულაც არ

არის ყველა მათთვის მისაწვდომი, როგორც ეს ჩვენ ყველამ ვიცით. და სრულიადაც არა იმიტომ, რომ ამას ხელს უშლიდნენ კანონები, როგორც ეს ბურჟუაზიის დროს იყო: ჩვენი კანონები, პირიქით, ამას ხელს უწყობენ. მაგრამ მარტო კანონები აქ არ კმარა. საჭიროა უამრავი აღმზრდელობითი, ორგანიზაციული, კულტურული მუშაობა, — რასაც სწრაფად კანონით ვერ გააკეთებ და რაც უდიდეს ხანგრძლივ მუშაობას მოითხოვს. ბურჟუაზიული სპეციალისტების ეს საკითხი ამ ყრილობაზე სრული გარკვეულობით უნდა გადაწყდეს. ასეთი გადაწყვეტა შესაძლებლობას მისცემს ამხანაგებს, რომლებიც უეჭველად ყურს უგდებენ ამ ყრილობას, დაეყრდნონ მის ავტორიტეტს, დაინახონ, რა სიძნელეებს ვეჯახებით. ეს დაეხმარება იმ ამხანაგებს, რომლებიც ამ საკითხს ყოველ ნაბიჯზე ეჯახებიან, მონაწილეობა მიიღონ თუნდაც პროპაგანდისტულ მუშაობაში.

სპარტაკელების [104] წარმომადგენელმა ამხანაგებმა ყრილობაზე, აქ, მოსკოვში, გვიამბეს, რომ დასავლეთ გერმანიაში, სადაც ყველაზე მეტადაა განვითარებული მრეწველობა, სადაც ყველაზე მეტია სპარტაკელების გავლენა მუშებში, თუმცა იქ სპარტაკელებს ჯერ არ გაუმარჯვნიათ, მაგრამ ძალიან ბევრ ყველაზე მსხვილ საწარმოში ინჟინრები, დირექტორები მიდიოდნენ სპარტაკელებთან და ეუბნებოდნენ: «ჩვენ თქვენ გამოგყვებით». ჩვენში ეს არ ყოფილა. ცხადია, იქ მუშების უფრო მაღალმა კულტურულმა დონემ, ტექნიკური პერსონალის უფრო მეტმა პროლეტარიზაციამ, შესაძლოა მთელმა რიგმა სხვა, ჩვენთვის უცნობმა, მიზეზებმა შექმნეს ისეთი ურთიერთობა, რომელიც რამდენადმე განსხვავდება ჩვენი ურთიერთობისაგან.

ყოველ შემთხვევაში აქ ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება შემდგომი წინსვლისათვის. ჩვენ ახლავე, სხვა ქვეყნებიდან დახმარების დაუცდელად, დაუყოვნებლივ და ახლავე უნდა ავწიოთ საწარმოო ძალები. ამის გაკეთება ბურჟუაზიული სპეციალისტების დაუხმარებლად შეუძლებელია. ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა ითქვას. რა თქმა უნდა, ამ სპეციალისტების უმეტესობა მთლად ბურჟუაზიული მსოფლმხედველობითაა გაჟღენთილი. ისინი უნდა მოვაქციოთ ამხანაგური თანამშრომლობის ატმოსფეროში, მათ გარშემო უნდა იყვნენ მუშათა კომისრები, კომუნისტური უჯრედები, ისეთ პირობებში უნდა ჩავაყენოთ ისინი, რომ ვერ წავიდნენ ჩვენგან, მაგრამ მათ უნდა მივცეთ საშუალება იმუშაონ უკეთეს პირობებში, ვიდრე კაპიტალიზმის დროს, რადგან ბურჟუაზიის მიერ აღზრდილი ეს ფენა სხვაგვარად არ იმუშავებს. არ შეიძლება მთელი ფენა იძულე-

ბით ამუშაო, — ეს ჩვენ კარგად გამოვცადეთ. შეიძლება აიძულო ისინი აქტიური მონაწილეობა არ მიიღონ კონტრრევოლუციაში, შეიძ-ლება დააშინო ისინი, რომ მათ ეშინოდეთ ხელი გაუწოდონ თეთრ-გვარდიულ მოწოდებას. ამ მხრივ ბოლშევიკები ენერგიულად მოქმე-დებენ. ამის გაკეთება შეიძლება, და ამას ჩვენ საკმარისად ვაკეთებთ. ეს ჩვენ ყველამ ვისწავლეთ. მაგრამ შეუძლებელია მთელი ფენა აიძუ-ლო ასეთი წესით იმუშაოს. ეს ადამიანები შეეჩვივნენ კულტურულ მუშაობას, წინ სწევდნენ ამ მუშაობას ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში, ე. ი. ამდიდრებდნენ ბურჟუაზიას უდიდესი მატერია-ლური მონაპოვრებით, ხოლო პროლეტარიატისათვის მათ იმეტებ-დნენ სრულიად უმნიშვნელო დოზით. მაგრამ მათ რაც უნდა იყოს მაინც წინ მიჰყავდათ კულტურა, ეს იყო მათი პროფესია. რამდენადაც ისინი ხედავენ, რომ მუშათა კლასი აყენებს ორ-განიზებულ მოწინავე ფენებს, რომლებიც არათუ არ აფასებენ კულტურას, არამედ ხელსაც უწყობენ მის გატარებას მასებ-ში, ისინი ცვლიან თავიანთ დამოკიდებულებას ჩვენდამი. როცა ექი-მი ხედავს, რომ ეპიდემიებთან ბრძოლაში პროლეტარიატი აღვიძებს მშრომელთა თვითმოქმედებას, ის ჩვენ უკვე სულ სხვაგვარად გვეპყ-რობა. ჩვენ გვყავს ამ ბურჟუაზიული ექიმების, ინჟინრების, აგრო-ნომების, კოოპერატორების დიდი ფენა, და, როცა ისინი პრაქტიკუ-ლად დაინახავენ რომ პროლეტარიატი ამ საქმეში აბამს სულ უფრო და უფრო ფართო მასებს, ისინი დაძლეული იქნებიან მორალურად, და არა მარტო პოლიტიკურად მოკვეთილნი ბურჟუაზიისაგან. მაშინ ჩვენი ამოცანა უფრო იოლი გახდება. მაშინ ისინი თავისთავად ჩაებ-მებიან ჩვენს აპარატში, მისი ნაწილი გახდებიან. ამისათვის საჭიროა მსხვერპლის გაღება. ამისათვის თუნდაც ორი მილიარდის გადახდა — არაფერია. ამ მსხვერპლის გაღების შიში ბავშვობა იქნებოდა, რად-გან ეს ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების გაუგებლობა იქნებოდა.

ტრანსპორტის მოშლა, მრეწველობისა და მიწათმოქმედების მოშ-ლა ძირს უთხრის თვით საბჭოთა რესპუბლიკის არსებობას. აქ ჩვენ უნდა მივმართოთ უაღრესად ენერგიულ ღონისძიებებს, რომლებიც უკიდურესად ძაბავენ ქვეყნის მთელ ძალებს. სპეციალისტების მი-მართ ჩვენ არ უნდა მივსდიოთ წვრილმანი შარის პოლიტიკას. ეს სპეციალისტები ექსპლოატატორების მსახურნი კი არ არიან, ესე-ნი — კულტურული მოღვაწეები არიან, რომლებიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ბურჟუაზიას ემსახურებოდნენ და რომელთა შესა-ხებაც მთელი მსოფლიოს ყველა სოციალისტი ლაპარაკობდა, რომ პროლეტარულ საზოგადოებაში ისინი ჩვენ გაგვიწევენ სამსახურსო.

ამ გარდამავალ პერიოდში ჩვენ მათ უნდა მივცეთ არსებობის რაც შეიძლება უფრო კარგი პირობები. ეს იქნება უკეთესი პოლიტიკა, ეს იქნება მეურნეობის ყველაზე ეკონომიური გაძღოლა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება რამდენიმე ასი მილიონის ჭიმჭირნეობა გავწიოთ, მაგრამ შეიძლება იმდენი დავკარგოთ, რომ ეერავითარი მილიარდები ვეღარ აღადგენენ დაკარგულს.

როცა ჩვენ განაკვეთების საკითხზე ვესაუბრებოდით შრომის კომისარს ამხ. შმიდტს, მან ასეთი ფაქტები აღნიშნა. ის ამბობს, რომ ხელფასის გათანაბრებისათვის ჩვენ იმდენი გავაკეთეთ, რამდენიც არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არსად არ გაუკეთებია და არც შეუძლია გააკეთოს ათეული წლების განმავლობაში. აიღეთ ომამდელი განაკვეთები: შავი მუშა იღებდა 1 მანეთს დღეში, — 25 მანეთს თვეში, სპეციალისტი კი 500 მანეთს თვეში. რომ სათვალავში არ მივიღოთ ისინი, ვისაც ასი ათასობით აძლევდნენ. სპეციალისტი მუშაზე 20-ჯერ მეტს იღებდა. ჩვენს ახლანდელ განაკვეთებში ქანაობა ხდება 600 მანეთსა და 3 000 მანეთს შორის — განსხვავება მხოლოდ ხუთმაგია. გათანაბრებისათვის ჩვენ ბევრი რამ გავაკეთეთ. რა თქმა უნდა, ჩვენ ახლა სპეციალისტებს ზედმეტს ვაძლევთ, მაგრამ მათთვის ზედმეტის მიცემა მეცნიერების გულისთვის არათუ ღირს, არამედ სავალდებულოცაა და თეორიულად აუცილებელია. პროგრამაში ეს საკითხი ჩემი აზრით, საკმაოდ დეტალურად არის დამუშავებული. საჭიროა უაღრესად გაუსვათ მას ხაზი. საჭიროა იგი აქ არა მარტო პრინციპულად გადავწყვიტოთ, არამედ ისე მოვაწყოთ საქმე რომ ყრილობის ყველა წევრმა, როცა ადგილებზე წავლენ, თავიანთ მოხსენებებში ორგანიზაციების წინაშე, მთელ თავიანთ მუშაობაში მიაღწიონ იმას, რომ ეს განხორციელდეს.

მერყეე ინტელიგენციაში ჩვენ უკვე მივაღწიეთ უდიდეს გარდატეხას. თუ გუშინ ჩვენ ვლაპარაკობდით წვრილბურჟუაზიული პარტიების ლეგალიზაციის შესახებ, ხოლო დღეს ვაპატიმრებთ მენშევიკებსა და ესერებს, ამ მერყეობაში ჩვენ ვატარებთ მენშევიკებსა და ესერებს, ამ მერყეობაში ჩვენ ვატარებთ სავსებით გარკვეულ სისტემას. ამ მერყეობაში ტარდება ერთი, უაღრესად მტკიცე ხაზი: კონტრრევოლუცია მოვკვეთოთ, კულტურულ-ბურჟუაზიული აპარატი გამოვიყენოთ. მენშევიკები სოციალიზმის ყველაზე უარესი მტრები არიან, რადგან ისინი პროლეტარულ ქურქში ეხვევიან, მაგრამ მენშევიკები — არაპროლეტარული ფენაა. ამ ფენაში მხოლოდ უმნიშვნელო ზედაფენებია პროლეტარული, თვითონ იგი კი წვრილი ინტელიგენციისაგან შესდგება.

ეს ფენა ჩვენსკენ გადმოდის. ჩვენ მას, როგორც ფენას, მთლიანად გადმოვიბირებთ. ყოველთვის, როცა ისინი ჩვენთან მოდიან, ჩვენ ვეუბნებით: «მობრძანდით». ყოველი ასეთი მერყეობის დროს მათი ერთი ნაწილი ჩვენსკენ გადმოდის. ასე დაემართათ მენშევიკებსა და ნოვაიაჟიზნელებს, ესერებს, ასე დაემართება ყველა ამ მერყევ ელემენტს, რომლებიც კიდევ დიდხანს განაგრძობენ ფეხებში ბლანდვას, წუწუნს, ერთი ბანაკიდან მეორეში გადარბენას — მათთან ვერაფერს გააწყობ. მაგრამ ყველა ამ მერყეობის გავლით ჩვენ მივიღებთ კულტურული ინტელიგენციის ფენებს საბჭოთა მუშაკების რიგებში და მოვკვეთთ იმ ელემენტებს, რომლებიც განაგრძობენ თეთრგვარდიელებისათვის მხარის დაჭერას...

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 29, გვ. 197 — 202

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

სიტყვა კომუნისტ მოსწავლეთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე
1919 წ. 17 აპრილს

ძალიან მოხარული ვარ მოგესალმოთ. არ ვიცი, რამდენი გუბერნიაა აქ წარმოდგენილი და საიდანა ხართ ჩამოსულნი. საყურადღებო ის არის, რომ ახალგაზრდობა, კომუნისტური ახალგაზრდობა ირაზმება. საყურადღებო ის არის, რომ ახალგაზრდობა იკრიბება, რათა ახალი სკოლის შენება ისწავლოს. ახლა თქვენს წინაშე ახალი სკოლაა. ძველი, ათვალწუნებული, სახაზინო, საძულველი და თქვენთან დაუკავშირებელი სკოლა უკვე აღარ არის. მუშაობა ჩვენ მიერ ძალიან დიდი ხნისთვისაა ნავარაუდევი. მომავალი საზოგადოება, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით, საზოგადოება, რომელშიც მარტოოდენ მუშაკები უნდა იყვნენ, საზოგადოება, რომელშიც არვიათარი განსხვავება არ უნდა იყოს, — ეს საზოგადოება დიდხანს უნდა ვაშენოთ. ამჟამად ჩვენ მომავალ საზოგადოებას მხოლოდ საძირკველს ვუყრით, ხოლო შენება თქვენ მოგიხდებათ, როცა დავაჟკაცდებით. ახლა კი იმუშავეთ თქვენი ძალ-ღონის მიხედვით, ხელს ნუ მოჰკიდებთ ისეთ სამუშაოს, რაც თქვენს ძალ-ღონეს აღემატება. იმუშავეთ უფროსების ხელმძღვანელობით. ერთხელ კიდევ მივესალმები ყრილობას და გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას თქვენს საქმეში.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 29, გვ. 375

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

სკოლისგარეშე განათლების სრულიად რუსეთის I ყრილობა

1919 წ. 6 — 19 მაისს

1

მისასალმებელი სიტყვა

6 მაისი

ამხანაგებო, ძალიან მოხარული ვარ მივესალმო სკოლისგარეშე განათლების მუშაკთა ყრილობას. რა თქმა უნდა, თქვენ ჩემგან არ მოელით ისეთი სიტყვის წარმოთქმას, რომ იგი შეიცავდეს საქმის არსებით მხარეს, როგორიც წარმოსთქვა საკითხს გაცნობილმა წინა ორატორმა, ამხ. ლუნაჩარსკიმ, რომელიც სპეციალურად მუშაობს ამ საკითხზე. ნება მიბოძეთ დავკმაყოფილდე მხოლოდ მისალმების რამდენიმე სიტყვით და მცირეოდენი დაკვირვებებისა და ფიქრების გაზიარებით, რომლებიც მებადებოდა, როცა სახალხო კომისართა საბჭოში რამდენადმე ახლოს ვეხებოდით თქვენს უშუალო მუშაობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ ძნელია მოიძებნოს საბჭოთა მუშაობის ისეთი სფერო, როგორიცაა სკოლისგარეშე სწავლა-განათლება, სადაც ერთ-ნახევარი წლის განმავლობაში მიღწეული ყოფილიყოს ესოდენ დიდი წარმატებები. ეჭვი არ არის, რომ ამ სფეროში მუშაობა ჩვენთვისაც და თქვენთვისაც უფრო ადვილი იყო, ვიდრე სხვა სფეროებში. აქ ჩვენ გვიხდებოდა უკუგვეგდო ძველი ტიხრები და ძველი დაბრკოლებები. აქ უფრო ადვილი იყო დახმარების გაწევა ცოდნის, თავისუფალი განათლების, თავისუფალი განვითარების უდიდესი მოთხოვნილებისთვის, რამაც ყველაზე მეტად იჩინა თავი მუშათა და გლეხთა მასებში, ვინაიდან თუ ჩვენთვის ადვილი იყო, მასების მძლავრი მოწოლის გამო, იმ გარეგანი დაბრკოლებების უკუგდება, რომლებიც მათ გზაზე ეღობებოდა, დამსხვრევა ისტორიული ბურჟუაზიული დაწესებულებებისა, რომლებითაც მიბმული ვიყავით იმ-

პერიალისტურ ომზე და რომლებიც რუსეთს უმზადებდნენ ამ ომიდან გამომდინარე უაღრესად დიდ ტვირთს, თუ ჩვენთვის ადვილი იყო გარეგანი დაბრკოლებების დანგრევა, სამაგიეროდ ჩვენ მოგვიხდა მით უფრო მეტი სიმწვავით გვეგრძნო მუშაობის მთელი სიმძიმე მასების ხელახალი აღზრდის საქმეში, ორგანიზებისა და სწავლების საქმეში, ცოდნათა გავრცელების საქმეში, სიბნელისა და უკულტურობის, სიმხეცისა და გაველურების იმ მემკვიდრეობასთან ბრძოლის საქმეში, რომელიც ჩვენ გვერგო. აქ ბრძოლის წარმოება გვიხდებოდა სულ სხვა მეთოდებით. აქ იმედის დამყარება გვიხდებოდა მხოლოდ ხანგრძლივ წარმატებაზე და მოსახლეობის მოწინავე ფენების შეუპოვარ სისტემატურ ზეგავლენაზე, რომელსაც მასები დიდი გულთბილობით ხვდებიან, და ჩვენ ხშირად დამნაშავე ვართ იმაში, რომ უფრო ნაკლებს ვიძლევით, ვიდრე შეგვიძლია მივცეთ. მე ვფიქრობ, რომ ამ პირველ ნაბიჯებში, სკოლისგარეშე განათლების გავრცელების საქმეში, თავისუფალი, ძველ ფარგლებსა და პირობითობასთან დაუკავშირებელი განათლების საქმეში, რომელსაც ხალისით ეკიდება მოზრდილი მოსახლეობა, რომ ამ სფეროში პირველ ხანებში ყველაზე მეტად ბრძოლა გვიხდებოდა ორგვარ დაბრკოლებასთან. ორივე დაბრკოლება ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ ძველი, კაპიტალისტური საზოგადოებისაგან, რომელიც დღემდე გვებღაუჭება, ქვევით გვეზიდება ათასი და მილიონი ძაფით, თოკითა და ჯაჭვით.

პირველი ნაკლია — იმ ბურჟუაზიული ინტელიგენციიდან გამოსულთა სიმრავლე, რომელიც გლეხებისა და მუშების ახლებურად შექმნილ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ყოველთვის უყურებდა როგორც მეტად ხელსაყრელ ასპარეზს თავისი პირადი ნათხზავისათვის ფილოსოფიის ან კულტურის სფეროში, როცა ძალიან ხშირად სულ უაზრო მანჭიობა საღდებოდა რაღაც ახალ რამედ და წმინდა პროლეტარული ხელოვნებისა და პროლეტარული კულტურის სახით გვთავაზობდნენ რაღაც ზებუნებრივსა და უაზროს[105]. (ტ ა შ ი.) მაგრამ პირველ ხანებში ეს ბუნებრივი იყო და შესაძლოა საპატიებელიც ყოფილიყო, და ეს არ შეიძლება დანაშაულად ჩავუთვალოთ ფართო მოძრაობას, და მეც ვიმედოვნებ, რომ ჩვენ მაინც, ბოლოს და ბოლოს, ამას თავს ვაღწევთ და კიდევაც დავაღწევთ თავს.

მეორე ნაკლი — ესეც კაპიტალიზმის მემკვიდრეობაა. წვრილბურჟუაზიულ მშრომელთა ფართო მასებს, რომლებიც ცოდნისაკენ მიისწრაფოდნენ, ამსხვრევდნენ ძველს, არაფერი მაორგანიზებელი, არაფერი ორგანიზებული არ შეეძლოთ შეეტანათ. მე საქმეს ვაკვირდებოდი, როცა სახალხო კომისართა საბჭოში ისმებოდა საკითხი

წერა-კითხვის მცოდნეთა მობილიზაციისა და საბიბლიოთეკო განყოფილების შესახებ, და ამ მცირე დაკვირვებებიდან მე ვაკეთებდი დასკვნებს იმის შესახებ, თუ რა ცუდადაა საქმე ამ მხრივ. რა თქმა უნდა, მისასალმებელ სიტყვებში არცთუ ძალიან მიღებულია ლაპარაკი ცუდ რამეზე. მე იმედი მაქვს, რომ თქვენ ამ პირობითობისგან თავისუფალი იქნებით და არ დამემდურებით, თუ გაგიზიარებთ ამ ჩემს რამდენადმე სანწუხარო დაკვირვებებს. როცა ჩვენ ვაყენებდით წერა-კითხვის მცოდნეთა მობილიზაციის საკითხს, ყველაზე მეტად თვალში გვეცემოდა ის, რომ ჩვენში რევოლუციამ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია ისე, რომ ერთბაშად არ გამოსულა ბურჟუაზიული რევოლუციის ფარგლებიდან. იგი განვითარების თავისუფლებას ანიჭებდა არსებულ ძალებს და ამ არსებულ ძალებს — წვრილბურჟუაზიულ ძალებს, ისევ ის ლოზუნგი აქვთ —«თვითეული თავისთვის, ღმერთი კი ყველასთვის», იგივე წყეული კაპიტალისტური ლოზუნგი, რომელსაც არასდროს სხვა არაფერი მოუცია, გარდა კოლჩაკისა და ძველი ბურჟუაზიული რესტავრაციისა. როცა გადახედავ, თუ რა ხდება ჩვენში წერა-კითხვის უცოდინართა სწავლების სფეროში, ამ მხრივ მე ვფიქრობ, ძალიან ცოტაა გაკეთებული, და აქ ჩვენი საერთო ამოცანაა — გავიგოთ, რომ აუცილებელია პროლეტარული ელემენტების ორგანიზებულობა. საქმე იმ სასაცილო ფრაზებში როდია, რომლებიც ქაღალდზე რჩება, არამედ იმ საარსებო ღონისძიებებში, რომლებიც საჭიროა მივცეთ ხალხს ამჟამად, და რომლებიც ყოველ წერა-კითხვის მცოდნე ადამიანს აიძულებს თავის მოვალეობად მიიჩნიოს რამდენიმე წერა-კითხვის უცოდინარის სწავლება. ეს ჩვენს დეკრეტში გამოცხადებულია [106]. მაგრამ ამ სფეროში თითქმის არაფერია გაკეთებული.

როდესაც სახალხო კომისართა საბჭოში ვხვდებოდი მეორე საკითხს, საბიბლიოთეკო საკითხს, მე ვამბობდი: ის ჩივილი, რომელიც მუდმივ ისმოდა — დამნაშავეა ჩვენი საწარმოო ჩამორჩენილობა, ჩვენ ცოტა წიგნები გვაქვს და არ შეგვიძლია მათი საკმაო რაოდენობით წარმოება, — მე ჩემთვის ვამბობ — ეს მართალია. რა თქმა უნდა, ჩვენ სათბობი არა გვაქვს, ფაბრიკები დგას, ქაღალდი ცოტაა, და წიგნებსაც ვერ მივიღებთ. ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ გარდა ამისა სწორია ისიც, რომ ჩვენ ვერ ვიღებთ იმ წიგნს, რომელიც გვაქვს. ამ მხრივ ჩვენ კიდევ დაგვრჩენია გლეხური გულუბრყვილობა და გლეხური უმწეობა, როცა გლეხი, რომელმაც ბატონის ბიბლიოთეკა გაძარცვა, გარბოდა შინ და ეშინოდა, რომ ის როგორმე ვინმეს არ წაერთმია მისთვის, რადგან ის აზრი, რომ შესაძლებელია სწორი გა-

ნაწილება, რომ ხაზინა რაღაც საძულველი რამ არ არის, რომ ხაზინა ეს არის მუშებისა და მშრომელთა საერთო კუთვნილება, ეს შეგნება მას ჯერ კიდევ ვერ ეკნებოდა. გლეხთა განუვითარებელ მასას ამაში ბრალი არ მიუძღვის, და რევოლუციის განვითარების თვალსაზრისითაც ეს სავსებით კანონიერია, — ეს გარდუვალი სტადიაა, და, როდესაც გლეხს შინ მიჰქონდა ბიბლიოთეკა და სხვებისგან საიდუმლოდ ინახავდა, მას არ შეეძლო სხვაგვარად მოქცეულიყო, რადგან მას არ ესმოდა, რომ შეიძლება რუსეთის ბიბლიოთეკების ერთად შეერთება, რომ წიგნები საკმარისი იქნება იმისთვის, რომ წერა-კითხვის მცოდნეს წყურვილი მოვუკლათ და უცოდინარსაც ვასწავლოთ. ამჟამად საჭიროა ვებრძოლოთ დეზორგანიზაციის ნაშთებს, ქაოსს, სასაცილო საუწყებო დავას. ეს უნდა შეადგენდეს ჩვენს მთავარ ამოცანას. ჩვენ ხელი უნდა მოვკიდოთ წერა-კითხვის მცოდნეთა ჰობილიზაციის და უცოდინარობასთან ბრძოლის მარტივ და საარსებო საქმეს. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ის წიგნები, რომლებიც გვაქვს, და შევუდგეთ ბიბლიოთეკების ორგანიზებული ქსელის შექმნას, ბიბლიოთეკებისა, რომლებიც დახმარებას გაუწევდნენ ხალხს გამოეყენებინა ყოველი წიგნი, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, არ უნდა შევქმნათ პარალელური ორგანიზაციები, ანამედ უნდა შევქმნათ ერთიანი გეგმაზომიერი ორგანიზაცია. ამ პატარა საქმეში ისახება ჩვენი რევოლუციის ძირითადი ამოცანა. თუ ის ამ ამოცანას ვერ გადაწყვეტს, თუ ის რუსული უთავბოლო ქაოსისა და შეუსაბამობის ნაცვლად ვერ დაადგება ნამდვილად გეგმაზომიერი ერთიანი ორგანიზაციის შექმნის გზას — მაშინ ეს რევოლუცია დარჩება ბურჟუაზიულ რევოლუციად, რადგან კომუნიზმისაკენ მიმავალი პროლეტარული რევოლუციის ძირითადი თავისებურება სწორედ ამაში მდგომარეობს, ბურჟუაზიისთვის კი საკმარისი იყო ძველის დამსხვრევა და თავისუფლების მინიჭება გლეხური მეურნეობისთვის, რომელიც, როგორც ძველი დროის ყველა რევოლუციაშიც, იმავე კაპიტალიზმს აღადგენდა.

თუ ჩვენ კომუნისტების პარტია გვქვია, უნდა გავიგოთ, რომ მხოლოდ ახლა, როდესაც ბოლო მოვუღეთ გარეგან დაბრკოლებებს, დავამსხვრიეთ ძველი დაწესებულებები, ჩვენს წინაშე პირველად ნამდვილი სახით და მთელი სიგრძე-სიგანით დადგა ნამდვილი პროლეტარული რევოლუციის პირველი ამოცანა, — ათეული და ასეული მილიონობით ადამიანის დარაზმვა. ამ სფეროში წლინახევრის გამოცდილების შემდეგ, რომელიც ყველა ჩვენგანმა განვლო, ჩვენ,

ბოლოს და ბოლოს, უნდა დავადგეთ სწორ გზას, რომელიც დაამარცხებს იმ უკულტურობას და იმ სიბნელესა და სიველურეს, რაც ჩვენ მუდმივ ზიანს გვაყენებდა. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა ნ ი.)

2

სიტყვიდან ხალხის მოტყუების შესახებ თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგებით 19 მაისს

...იბადება კითხვა, ჩვენ ჩავცვივდით წინააღმდეგურობაში, როცა მშრომელებს მოვუწოდებდით რევოლუციისაკენ და ზავს ვპირდებოდით, ხოლო გამოვიწვიეთ მთელი ცივილიზებული სამყაროს ლაშქრობა სუსტი, დაქანცული, ჩამორჩენილი, დამარცხებული რუსეთის წინააღმდეგ, თუ ისინი ჩაცვივდნენ წინააღმდეგურობაში დემოკრატიისა და სოციალიზმის ელემენტარულ ცნებებთან, ვისაც თავხედობა შესწევს ასეთი საყვედურით მოგვმართოს? აი საკითხი. ეს საკითხი რომ თეორიული, ზოგადი ფორმით დაგიყენოთ, მოვიყვან შედარებას. ჩვენ ვლაპარაკობთ რევოლუციური კლასის შესახებ, ხალხის რევოლუციური პოლიტიკის შესახებ, ოოგმართავთ ალოთ ცალკეული რევოლუციონერი. ავიღოთ თუნდაც ჩერნიშევსკი, შევაფასოთ მისი მოღვაწეობა. როგორ შეუძლია შეაფასოს ეს მოღვაწეობა სრულიად უვიცმა და ბნელმა ადამიანმა? ის, ალბათ, იტყვის: «რას იზამ, გაიფუჭა კაცმა ცხოვრება, მოხვდა ციმბირში, ვერაფერს მიაღწია». აი ნიმუში. როცა ასეთ შეფასებას გავიგონებთ უცნობი ვინმესგან, ვიტყვით: «საუკეთესო შემთხვევაში ასეთ შეფასებას იძლევა სრულიად ბნელი ადამიანი, რომელსაც, შესაძლოა, ბრალი არ მიუძღვის იმაში, რომ ის ისე დაბეჩავებულია, რომ არ ესმის ცალკეული რევოლუციონერის მოღვაწეობის მნიშვნელობა რევოლუციური ამბების საერთო ჯაჭვთან დაკავშირებით; ან ამ შეფასებას იძლევა არამზადა, რეაქციის მომხრე, რომელსაც შეგნებულად სურს დააფრთხოს და მოაცილოს მშრომელები რევოლუციას». ჩერნიშევსკის მაგალითი იმიტომ ავიღე, რომ რა მიმართულებასაც უნდა ეკუთვნოდნენ ის ადამიანები, რომლებიც სოციალისტებს უწოდებენ თავს, აქ, ამ ინდივიდუალური რევოლუციონერის შეფასებაში, არსებითად აზრთა სხვადასხვაობა შეუძლებელია არსებობდეს. ყველა დაგვეთანხმება იმაში, რომ, თუ ცალკეულ რევოლუციონერს შევაფასებთ იმ გარეგნულად უსარგებლო, ხშირად უნაყოფო მსხვერპლთა თვალსაზრისით, რომლებიც მან გაიღო, და განზე დავტოვებთ მისი მოღვაწეობის ში-

ნაარსს და მისი მოღვაწეობის კავშირს წინა და შემდგომ რევოლუციონერებთან, თუ ასე შევაფასებთ მისი მოღვაწეობის მნიშვნელობას, — ეს ან სიბნელე და საშინელი უმეცრება იქნება, ანდა რეაქციის ინტერესების, ჩაგვრის, ექსპლოატაციისა და კლასობრივი უღლის ბოროტგანზრახული, თვალთმაქცური დაცვა. ამის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა შეუძლებელია არსებობდეს.

თხზულებანი, გამოც., მე-4, ტ. 29.
გვ. 385 — 389. 393 — 394

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

სტატიიდან

«სალამი უნგრეთის მუშებს»

...დიქტატურა გულისხმობს დაუნდობელი, მკაცრი, ჩქარი და გაბედული ძალმომრეობის გამოყენებას ექსპლოატატორების, კაპიტალისტების, მემამულეებისა და მათი მაჩანჩალების წინააღმდეგობის დასათრგუნავად. ისინი, ვინც ეს ვერ გაიგო, რევოლუციონერები არ არიან და უნდა გადავაყენოთ ბელადების ან პროლეტარიატის მრჩეველთა პოსტიდან.

მაგრამ მარტო ძალმომრეობა და უმთავრესად ძალმომრეობა როდია პროლეტარული დიქტატურის დედაარსი. მისი დედაარსი უმთავრესად მშრომელთა მოწინავე რაზმის, მისი ავანგარდის, მისი ერთადერთი ხელმძღვანელის, პროლეტარიატის დარაზმულობა და დისციპლინაა. მისი მიზანია — სოციალიზმის შექმნა, საზოგადოების კლასებად დაყოფის მოსპობა, საზოგადოების ყველა წევრის მშრომელად გადაქცევა, ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციისთვის ნიადაგის გამოცლა. ამ მიზნის განხორციელება ერთბაშად არ შეიძლება, იგი მოითხოვს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე საკმაოდ ხანგრძლივ გარდამავალ პერიოდს, — იმიტომაც, რომ წარმოების ხელახალი ორგანიზაცია ძნელი საქმეა, იმიტომაც, რომ საჭიროა დრო ძირფესვიანი გარდაქმნისათვის ცხოვრების ყველა სფეროში, იმიტომაც. რომ მეურნეობის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული წარმართვის ჩვევის უდიდესი ძალის გადალახვა შესაძლებელია მხოლოდ ხანგრძლივი, შეუპოვარი ბრძოლით. ამიტომაც ლაპარაკობს მარქსი პროლეტარიატის დიქტატურის მთელ პერიოდზე, როგორც კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდზე [107].

მთელი ამ გარდამავალი დროის განმავლობაში გადატრიალებას

წინააღმდეგობას გაუწევენ კაპიტალისტებიც, აგრეთვე მათი მრავალრიცხოვანი დამქაშებიც ბურჟუაზიული ინტელიგენციიდან, რომლებიც შეგნებულად ეწევიან წინააღმდეგობას, წვრილბურჟუაზიული ჩვეულებებითა და ტრადიციებით ფრიად დატვირთულ მშრომელთა უდიდესი მასაც, მათ შორის გლეხებისაც, რომლებიც ხშირად წინააღმდეგობას ეწევიან შეუგნებლად. მერყეობა ამ ფენებში აუცილებელია. გლეხი, როგორც მშრომელი, სოციალიზმისკენ მიიწევს, უპირატესობას აძლევს მუშათა დიქტატურას ბურჟუაზიის დიქტატურის წინაშე. გლეხი, როგორც პერის გამყიდველი, მიიწევს ბურჟუაზიისკენ, თავისუფალი ვაჭრობისკენ, ე. ი. უკან «ჩვეული», ძველი, «ძველთაძველი» კაპიტალიზმისაკენ.

საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურა, ერთი კლასის ძალაუფლება, მისი დარაზმულობისა და დისციპლინის ძალა, მისი ცენტრალიზებული ძლიერება, დამყარებული კულტურის, მეცნიერების, კაპიტალიზმის ტექნიკის ყველა მონაპოვარზე, მისი პროლეტარული სიახლოვე ყოველი მშრომელის ფსიქოლოგიასთან, მისი ავტორიტეტი დაქსაქსული, ნაკლებ განვითარებული, პოლიტიკაში ნაკლებ მტკიცე სოფლელი მშრომელი ადამიანის ან წვრილი წარმოების მშრომელი ადამიანის წინაშე, რომ პროლეტარიატს შეეძლოს გ ა ი ყ ო ლ ი ო ს გლეხობა და საერთოდ ყველა წვრილბურჟუაზიული ფენა. აქ ფრაზიორობით «დემოკრატიის» შესახებ საერთოდ, «ერთიანობის» შესახებ ან «მშრომელი დემოკრატიის ერთიანობის» შესახებ, ყველა «მშრომელი ადამიანის» «თანასწორობის» შესახებ და სხვა და სხვა, — ასეთი ფრაზიორობით, რასაც ასე ძალიან ეტანებიან გამეშჩანებული სოციალ-შოვინისტები და კაუცკელები, — ამ ფრაზიორობით საქმეს ვერ უშველი. ფრაზიორობა მხოლოდ თვალს ანაგვიანებს, გონებას აბნელებს, კაპიტალიზმის, პარლამენტარიზმის, ბურჟუაზიული დემოკრატიის ძველ სიჩლუნგეს, უძრაობას, რუტინას განამტკიცებს.

კლასების მოსპობა — ეს ერის საქმე ხანგრძლივი, ძნელი, შეუპოვარი კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ა, რომელიც კაპიტალის ბატონობის დამხობის შ ე მ დ ე გ, ბურჟუაზიული სახელმწიფოს დანგრევის შ ე მ დ ე გ, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შ ე მ დ ე გ **კ ი ა რ ჰ ქ რ ე ბ ა** (როგორც ეს ძველი სოციალიზმისა და ძველი სოციალ-დემოკრატიის უხამს ადამიანებს წარმოუდგენიათ), არამედ მხოლოდ ფორმას იცვლის, ბევრი მხრივ კიდევ უფრო მძვინვარე ხდება.

კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი ბ რ ძ ო ლ ი თ ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დასაძლე-

ვად, კლასობრივი ბრძოლით წვრილი ბურჟუაზიის უძრაობის, რუტინის, გაუბედაობისა და მერყეობის წინააღმდეგ პროლეტარიატმა უნდა დაიცვას თავისი ძალაუფლება, განამტკიცოს თავისი მაორგანიზებელი ზეგავლენა, მიაღწიოს იმ ფენათა «ნეიტრალიზაციას», რომლებსაც ეშინიათ ბურჟუაზიას ჩამოშორდნენ და მეტად არამტკიცედ მიჰყვებიან პროლეტარიატს, დაამკვიდროს ახალი დისციპლინა, მშრომელთა ამხანაგური დისციპლინა, მათი მტკიცე კავშირი პროლეტარიატთან, მათი დარაზმულობა პროლეტარიატის გარშემო, ეს ახალი დისციპლინა, საზოგადოებრივი კავშირის ახალი საფუძველი, ნაცვლად შუა საუკუნეების ბატონყმური დისციპლინისა, ნაცვლად შიმშილის დისციპლინისა, ნაცვლად კაპიტალიზმის დროის «ნებით»-დაქირავებული მონობის დისციპლინისა.

კლასების მოსასპობად საჭიროა ერთი კლასის დიქტატურის პერიოდი, სახელდობრ იმ დაჩაგრულ კლასთაგანისა, რომელსაც უნარი შესწევს არათუ დაამხოს ექსპლოატატორები, არათუ დათრგუნოს დაუნდობლად მათი წინააღმდეგობა, არამედ იდეურადაც გაეთიშოს მთელ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ იდეოლოგიას, მთელ მეშჩანურ ფრაზიორობას საერთოდ თავისუფლებისა და თანასწორობის შესახებ (საქმით, რაც დიდი ხანია ცხადყო მარქსმა, ეს ფრაზიორობა ნიშნავს საკონლისმფლობელთა «თავისუფლებასა და თანასწორობას», კაპიტალისტისა და მუშის «თავისუფლებასა და თანასწორობას»).

ეს კიდევ ცოტაა. დაჩაგრულ კლასთაგან მხოლოდ იმ კლასს შესწევს უნარი თავისი დიქტატურით მოსპოს კლასები, რომელიც გაწაფული, გაერთიანებული, აღზრდილი, გამოწრთობილია კაპიტალთან საგაფიცვო და პოლიტიკური ბრძოლის ათეული წლობით, — მხოლოდ იმ კლასს, რომელმაც მთლიანად შეითვისა ქალაქის კულტურა, სამრეწველო, მსხვილი კაპიტალისტური კულტურა, რომელსაც აქვს გამბედაობა და უნარი დაიცვას იგი, შეინარჩუნოს და შემდგომ განავითაროს ყველა მისი მონაპოვარი, გახადოს ამ კულტურის ყველა მონაპოვარი მთელი ხალხის, ყველა მშრომელის ხელმისაწვდომი, — მხოლოდ იმ კლასს, რომელიც შესძლებს გადაიტანოს მთელი სიმძიმე, განსაცდელი, უკუღმართობა, უდიდესი მსხვერპლი, რასაც გარდუვალად აკისრებს ისტორია იმას, ვინც კავშირს სწყვეტს წარსულთან და გაბედულად იკაფავს გზას ახალი მომავლისკენ, — მხოლოდ იმ კლასს, რომლის საუკეთესო ადამიანები აღსავსენი არიან სიძულვილითა და ზიზღით ყოველივე მეშჩანური და ფილისტერული თვისებებისადმი,

თვისებებისადმი, რაც ასე განვითარებული აქვთ წვრილ ბურჟუაზიას, წვრილ მოსამსახურეებს, «ინტელიგენციას», — მხოლოდ იმ კლასს, რომელმაც «განვლო გამომწრთობი სკოლა შრომისა» და რომელსაც შეუძლია თავისი შრომისუნარიანობისადმი პატივისცემა ჩაუნერგოს ყოველ მშრომელს, ყოველ პატიოსან ადამიანს...

1919 წ. 27 მაისი.
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 29.
გვ. 453 — 457

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ნაშრომიდან «დიადი თაობა»

(მუშების გმირობის შესახებ ზურგში «კომუნისტურ შაბათობათა» გამო)

...მე რაც შეიძლება დაწვრილებით და სრულად მოვიყვანე ცნობები კომუნისტურ შაბათობათა შესახებ, რადგან აქ, უეჭველად, ჩვენ ვხედავთ კომუნისტური მშენებლობის ერთერთ უმნიშვნელოვანეს მხარეს, რომელსაც ჩვენი პრესა საკმაო ყურადღებას აქ აქცევს და რომელიც ჩვენ ყველას ჯერ კიდევ საკმარისად არ შეგვიფასებია.

რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური ლაქლაქი, მეტი ყურადღება კომუნისტური მშენებლობის უაღრესად მარტივი, მაგრამ ცოცხალი, ცხოვრებიდან აღებული, ცხოვრების მიერ შემოწმებული ფაქტებისადმი — ეს ლოზუნგი განუწყვეტლივ უნდა ვიმეოროთ ჩვენ ყველამ, ჩვენმა მწერლებმა, აგიტატორებმა, პროპაგანდისტებმა, ორგანიზატორებმა და სხვ.

ბუნებრივი და გარდუვალია, რომ პირველ ხანებში პროლეტარული რევოლუციის შემდეგ ჩვენ ყველაზე უფრო გვაინტერესებს მთავარი და ძირითადი ამოცანა, ბურჟუაზიის წინააღმდეგობის დაძლევა, ექსპლოატატორებზე გამარჯვება. მათი შეთქმულების დათრგუნვა (როგორიც იყო «მონათმფლობელების შეთქმულება» პიტერის ჩაბარების შესახებ, რომელ შეთქმულებაშიც მონაწილეობას იღებდა ყველა, დაწყებული შავი რაზმით და კადეტებით და გათავებული მენშევიკებითა და ესერებით)[108]. მაგრამ ამ ამოცანასთან ერთად ასევე გარდუვალად დგება, — და რაც უფრო დრო გადის, მით უფრო მეტად — დადებითი კომუნისტური მშენებლობის, ახალი ეკონომიური ურთიერთობის, ახალი საზოგადოების შემოქმედების უფრო არსებითი ამოცანა.

პროლეტარიატის დიქტატურა, — როგორც უკვე არა ერთხელ აღმინიშნავს, სხვათა შორის 12 მარტს პეტროგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაშიც, — მხოლოდ ექს-

პლოატატორების წინააღმდეგ მიმართული ძალმომრეობა როდია და არც უმთავრესად ძალმომრეობაა. ამ რევოლუციური ძალმომრეობის ეკონომიური საფუძველი, მისი ცხოველმყოფელობისა და წარმატების საწინდარი ის არის, რომ პროლეტარიატი წარმოადგენს და ახორციელებს შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის უფრო მაღალ ტიპს, კაპიტალიზმთან შედარებით. ამაშია დედაარსი. ამაშია კომუნიზმის ძალის წყარო და აუცილებელი სრული გამარჯვების საწინდარი.

საზოგადოებრივი შრომის ბატონყმური ორგანიზაცია ემყარებოდა ჯოხის დისციპლინას, როცა უკიდურესად უმეცარი და დაბეჩავებული იყვნენ მშრომელები, რომელთაც ძარცვავდნენ და აბუჩად იგდებდნენ ერთი მუჭა მემამულეები. საზოგადოებრივი შრომის კაპიტალისტური ორგანიზაცია ემყარებოდა შიმშილის დისციპლინას, და მშრომელთა უდიდესი მასა, მიუხედავად ბურჟუაზიული კულტურის და ბურჟუაზიული დემოკრატიის მთელი პროგრესისა, ყველაზე მოწინავე, ცივილიზებულ და დემოკრატიულ რესპუბლიკებში რჩებოდა დაქირავებული მონების ანდა ჩაგრული გლეხების ბნელ და დაბეჩავებულ მასად, რომელსაც ძარცვავდნენ და აბუჩად იგდებდნენ ერთი მუჭა კაპიტალისტები. საზოგადოებრივი შრომის კომუნისტური ორგანიზაცია, რომლის პირველ ნაბიჯს სოციალიზმი წარმოადგენს, ემყარება და რაც უფრო წინ მივდივართ, მით უფრო დაემყარება როგორც მემამულეთა, ისე კაპიტალისტთა უღლის დამამხობელ მშრომელთა თავისუფალ და შეგნებულ დისციპლინას.

ეს ახალი დისციპლინა ციდან არ ვარდება და არც კეთილი სურვილებიდან იბადება, მას წარმოშობს მსხვილი კაპიტალისტური წარმოების მატერიალური პირობები, და მხოლოდ ეს პირობები. უამპირობოდ იგი შეუძლებელია. ხოლო ამ მატერიალური პირობების მატარებელი ანუ გამტარებელია განსაზღვრული ისტორიული კლასი, შექმნილი, ორგანიზებული, დარაზმული, გაწვრთნილი, განათლებული, გამობრძმედილი მსხვილი კაპიტალიზმის მიერ. ეს კლასია — პროლეტარიატი....

1919 წ. 28 ივნისი
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 29,
გვ. 488 — 490

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

ნაშრომიდან
«III ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ
(რამსეი მაკდონალდი III ინტერნაციონალის შესახებ)»

...მასებში რევოლუციური შეგნების ზრდის ყველგან შემჩნეული, მასობრივი მოვლენის ერთ-ერთ განსაკუთრებით თვალსაჩინო დადასტურებად შეიძლება ჩაითვალოს ანრი ბარბიუსის რომანები: «Le feu» («ცეცხლში») და «Clarié» («სიცხადე»). პირველი უკვე გადათარგმნილია ყველა ენაზე და გავრცელებულია საფრანგეთში 230 000 ეგზემპლარის რაოდენობით. სრულიად უმეცარის, იდეებითა და ცრურწმენით მთლად დაბეჩავებული ობივატელისა და მასაში მომუშავე ადამიანის გადაქცევა რევოლუციონერად სწორედ ომის ზეგავლენით ნაჩვენებია არაჩვეულებრივი სიძლიერით, ნიჭიერად და მართლად...

1919 წ. 14 ივლისი
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 29,
გვ. 603 — 604

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

სტატიიდან

«პასუხი ამერიკელი ჟურნალისტის კითხვებზე» [109]

...ჩვენ, მაგალითად, საშუალება მივეცით ბაშკირთა მასებს დაეარსებინათ ავტონომიური რესპუბლიკა რუსეთის შიგნით, ჩვენ ყოველნაირად ვეხმარებით თვითეული ეროვნების დამოუკიდებელ, თავისუფალ განვითარებას, ლიტერატურის ზრდასა და გავრცელებას თვითეულის დედა-ენაზე, ვთარგმნით და ვქადაგებთ ჩვენს საბჭოთა კონსტიტუციას, რომლის უბედურება ის არის, რომ იგი უფრო მოსწონს დედამიწის მილიარდზე მეტ მცხოვრებს, რომლებიც ეკუთვნიან კოლონიურ, დამოკიდებულ, დაჩაგრულ, არასრულუფლებიან ეროვნებებს, ვიდრე ბურჟუაზიულ-«დემოკრატიულ» სახელმწიფოთა «დასავლეთ-ევროპისა» და ამერიკის კონსტიტუცია, რომელიც განამტკიცებს მიწისა და კაპიტალის კერძო საკუთრებას, ე. ი. განამტკიცებს მცირერიცხოვანი «ცივილიზებული» კაპიტალისტების მხრივ თავიანთი ქვეყნების მშრომელთა და აზიის, აფრიკისა და სხვ. კოლონიების ასეული მილიონობით ადამიანის ჩაგვრას...

* *
*

... კაპიტალიზმის კრახი გარდუვალია. მასების რევოლუციური შეგნება ყველგან იზრდება. ამის დამადასტურებელია ათასი ნიშანი. ერთ-ერთი არადიდმნიშვნელოვანი, მაგრამ ფილისტერისთვის ძალიან თვალსაჩინოა: რომანები ანრი ბარბიუსისა («Le feu» და «Clarté»), რომელიც ომში წავიდა როგორც უაღრესად მშვიდობიანი, წყნარი, კანონის მორჩილი წვრილი ბურჟუა, ფილისტერი, ობივატელი...

1919 წ. 20 ივლისი.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 29, გვ. 612—613, 615

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

პროექტიდან რკპ (ბ) ც. კ-ის რეზოლუციისა უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების შესახებ [110]

1) განიხილა რა საკითხი უკრაინის მშრომელი ხალხისადმი დამოკიდებულების შესახებ, ხალხისადმი, რომელიც თავისუფლდება დენიკინის ბანდების მიერ დროებითი დაპყრობისაგან, რკპ ცენტრალური კომიტეტი ურყევად ატარებს ერთა თვითგამორკვევის პრინციპს და საჭიროდ თვლის კვლავ დაადასტუროს, რომ რკპ ურყევად დგას უკრაინის სს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობის თვალსაზრისზე.

2) რკპ შეეცდება დაამყაროს ფედერაციული კავშირი რსფს რესპუბლიკასა და უკრაინის სს რესპუბლიკას შორის სრ. რუს. ცაკ-ის 1919 წ. 1 ივნისისა და უკრაინის ცაკ-ის 1919 წ. 18 მაისის დადგენილებათა საფუძველზე [111] (რეზოლუცია თან ერთვის).

3) რადგან უკრაინულ კულტურას (ენას, სკოლას და სხვ.) საუკუნეების განმავლობაში ახშობდნენ რუსეთის ცარიზმი და ექსპლოატატორი კლასები, რკპ ცენტრალური კომიტეტი ავალდებულებს პარტიის ყველა წევრს ყოველნაირად შეუწყონ ხელი უკრაინული ენისა და კულტურის თავისუფალი განვითარების ყოველგვარი დაბრკოლების აღმოფხვრას. რამდენადაც მრავალსაუკუნოვანი ჩაგვრის ნიადაგზე უკრაინის მასების ჩამორჩენილ ნაწილში არსებობს ნაციონალისტური ტენდენციები, რკპ წევრები ვალდებული არიან უდიდესი სიფრთხილით მოეპყრან მათ, დაუპირისპირონ მათ ამხანაგური ახსნა-განმარტება, რომ უკრაინისა და რუსეთის მშრომელი მასების ინტერესები ერთი და იგივეა. რკპ წევრებმა უკრაინის ტერიტორიაზე საქმით უნდა განახორციელონ მშრომელი მასების უფლება — ისწავლონ და ყველა საბჭოთა დაწესებულებაში ილაპარაკონ დედა ენაზე,

ყოველნაირი წინააღმდეგობა გაუწიონ უკრაინული ენის უკანა რიგში დაყენების რუსიფიკატორულ ცდას, გადააქციონ იგი მშრომელი მასების კომუნისტური განათლების იარაღად. დაუყოვნებლივ მივიღოთ ზომები, რათა ყველა საბჭოთა დაწესებულებაში საკმაო რაოდენობით იყოს უკრაინული ენის მცოდნე მოსამსახურეები, და რომ შემდეგში ყველა მოსამსახურემ იცოდეს უკრაინული ენა...

1919 წ. ნოემბერი

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 30
გვ. 181 — 182

იბეჭდება თხზულებათა
ტექსტის მიხედვით

საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობა

1919 წ. 5 — 9 დეკემბერი

სრ. რუს. ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს მოხსენებიდან 5 დეკემბერს

... «ლუმანიტეს» 26 ოქტომბრის იმავე ნომერში, რომლიდანაც მე ციტატები მოვიყვანე, მოთავსებულია საფრანგეთის ინტელიგენციის, საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის მთელ რიგ წარმომადგენელთა განცხადება. ამ განცხადებაში, რომელიც იწყება ანატოლ ფრანსის ხელმოწერით, სადაც არის ფერდინანდ ბიუისონის ხელმოწერა, მე დავითვალე ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელთა 71 გვარი, რომლებსაც იცნობს მთელი საფრანგეთი და რომლებიც აცხადებენ, რომ წინააღმდეგი არიან რუსეთის საქმეებში ჩარევისა, იმიტომ რომ ბლოკადა, შიმშილით სიკვდილის გამოყენება, რომლის გამოც იღუპებიან ბავშვები და მოხუცნი, შეუწყნარებელია კულტურისა და ცივილიზაციის თვალსაზრისით, რომ ისინი ამას ვერ მოითმენენ. ხოლო ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი ოლარი, რომელიც მთლიანად ბურჟუაზიულ თვალსაზრისზე დგას, თავის წერილში ამბობს: «მე, როგორც ფრანგი, — ბოლშევიკების მტერი ვარ, როგორც ფრანგი — დემოკრატიის მომხრე ვარ, სასაცილოა ჩემში ეჭვის შეტანა წინააღმდეგში, მაგრამ როცა ვკითხულობ, რომ საფრანგეთი იწვევს გერმანიას მონაწილეობა მიიღოს რუსეთის ბლოკადაში, როცა ვკითხულობ, რომ საფრანგეთი ასეთი წინადადებით მიმართავს გერმანიას, — სახეზე სირცხვილის სიწითლეს ვგრძნობ». ეს, შესაძლოა, გრძნობების უბრალო სიტყვიერი გამოხატვა იყოს ინტელიგენციის წარმომადგენლის მხრივ, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მესამე გამარჯვება, რომელიც ჩვენ მოვიპოვეთ იმპერიალისტურ საფრანგეთზე თვით მის შიგნით. აი რას მოწმობს ეს გამოსვლა, თავისთავად მერყეევი, უბადრუკი გამოსვლა იმ ინტელიგენციისა, რო-

მელსაც, როგორც დავინახეთ ათეულ და ასეულ მაგალითზე, შეუძლია მილიონჯერ მეტი ხმაური ატეხოს, ვიდრე ძალა შესწევს, მაგრამ რომელიც განირჩევა კარგი ბარომეტრის თვისებით — იძლეოდეს იმის მაჩვენებელს, საითკენ იხრება წვრილი ბურჟუაზია, იძლეოდეს იმის მაჩვენებელს, საითკენ იხრება საზოგადოებრივი აზრი, მთლიანად ბურჟუაზიული...

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 30, გვ. 252

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

რუსული ენის გაწმენდის შესახებ [112]

(ფიქრები მოცლილობისას, ე. ი. კრებებზე სიტყვების მოსმენის დროს)

რუსულ ენას ჩვენ ვაფუჭებთ. უცხოურ სიტყვებს ვხმარობთ საჭიროების გარეშე. ვხმარობთ მათ უმართებულოდ. რისთვის უნდა ვამბობდეთ «დეფექტი», როცა შეიძლება ვთქვათ ნაკლი, ნაკლოვანება ან ხარვეზი?

რა თქმა უნდა, როცა ადამიანი, რომელსაც ახლახან უსწავლია საერთოდ კითხვა და განსაკუთრებით გაზეთის კითხვა, იწყებს მის გულმოდგინედ კითხვას, ის უნებლიეთ ითვისებს გაზეთის ენას. მაგრამ სწორედ გაზეთის ენაც იწყებს გაფუჭებას ჩვენში. თუ იმას, ვისაც კითხვა ახლახან უსწავლია, ეპატიება იხმაროს, როგორც ახალი რამ, უცხოური სიტყვები, ლიტერატორებს ეს არ ეპატიებათ. განა დრო არ არის ომი გამოვუცხადოთ უცხოური სიტყვების ხმარებას საჭიროების გარეშე?

უნდა გამოვტყდე, რომ თუ უცხოური სიტყვების წარამარა ხმარება მაბრაზებს (რადგან ეს აძნელებს ჩვენს გავლენას მასაზე), იმათ ზოგიერთ შეცდომას, ვინც გაზეთებში წერს, უკვე სავსებით შეუძლია მოთმინებიდან გამოიყვანოს კაცი. მაგალითად, ხმარობენ სიტყვას «будировать» გაღიზიანების, შენჯღრევის, გაღვიძების აზრით. მაგრამ ფრანგული სიტყვა «bouder» (ბუდე) ნიშნავს გაჯავრებას, გაბუტვას. ამიტომ «будировать» ნამდვილად ნიშნავს «გაჯავრებას», «გაბუტვას». ფრანგულ-ნიჟინოვგოროდული სიტყვათხმარების გადმოღება იმას ნიშნავს, რომ უცუდესი რამ გადმოიღო რუს მემამულეთა კლასის უცუდესი წარმომადგენლებისაგან, რომელიც ფრანგულად სწავლობდა, მაგრამ, ჯერ-ერთი, ბოლომდე ვერ ისწავლა, და, მეორეც, აშახინჯებდა რუსულ ენას.

განა დრო არ არის ომი გამოვუცხადოთ რუსული ენის დამახინჯებას?

დაბეჭდილია 1924 წ. 3 დეკემბერს
თხზულებანი, გამოც მე-4, ტ. 30
გვ. 354 — 355

იბეჭდება თხზულებათა
ტექსტის მიხედვით

სტატიიდან «პასუხი ინგლისური გაზეთის «DAILY EXPRESS»-ის კორესპონდენტის კითხვებზე» [113]

1) «ჩვენი დამოკიდებულება ბლოკადის მოხსნისადმი?»

ჩვენ მას ისე ვეპყრობით როგორც წინგადადგმულ დიდ ნაბიჯს. ამით ჩვენთვის შესაძლებლობა იხსნება, რომ ომიდან, რომელიც ჩვენ თავს მოგვახვიეს ანტანტის კაპიტალისტურმა მთავრობებმა, გადავიდეთ მშვიდობიან მშენებლობაზე. ეს კი ჩვენთვის ყველაზე მთავარია. ვძაბავთ რა მთელ ძალ-ღონეს ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების აღსადგენად, რომელიც აოხრებულია ჯერ დარდანელის, კოლონიების გულისათვის კაპიტალისტებს შორის წარმოებული ომით, შემდეგ ანტანტისა და რუსეთის კაპიტალისტების ომით რუსეთის მუშების წინააღმდეგ, ჩვენ, სხვათა შორის, ახლა მთელ რიგ მეცნიერთა და ტექნიკოსთა დახმარებით ვამუშავებთ მთელი რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმას. ეს გეგმა მრავალი წლისათვის არის გათვალისწინებული. ელექტროფიკაცია გარდაქმნის რუსეთს. ელექტროფიკაცია საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე შექმნის ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის საფუძვლების, კულტურული ცხოვრების საფუძვლების საბოლოო გამარჯვებას, ცხოვრებისა უექსპლოატატორებოდ, უკაპიტალისტებოდ, უმემამულეებოდ, უვაჭრებოდ.

ბლოკადის მოხსნა უნდა დაეხმაროს ელექტროფიკაციის გეგმის განხორციელებას...

1920 წ. 18 თებერვალი

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 30, გვ. 443

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

სიტყვიდან სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებების სკოლისგარეშე ქვეგანყოფილებათა გამგეების სრულიად რუსეთის III თათბირზე 1920 წ. 25 თებერვალს

... ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა მართლაც უდიდეს პროგრესსა და გაუმჯობესებას წარმოადგენს: ყოველგვარი საგარეო საფრთხე საბჭოთა რესპუბლიკისათვის ცხრა მეათედით აცილებულია.

რაც უფრო მეტად აცილებულია იგი, მით უფრო მეტად შეგვიძლია შევუდგეთ მშვიდობიანი მშენებლობისათვის მუშაობას და ჩვენ იმედს ვამყარებთ თქვენს ჰოღვაწეობაზე, თქვენზე, რომლებიც სკოლისგარეშე დარგში მუშაობთ. იმისათვის, რომ სასკოლო განათლება უფრო ჯეროვნად დავაყენოთ, საჭიროა მთელი რიგი მატერიალური ცვლილებანი: სკოლების აგება, მასწავლებელთა შერჩევა, შინაგანი რეფორმები მასწავლებელთა პერსონალის ორგანიზაციისა და შერჩევის საქმეში. ეს ყოველივე ისეთი რამ არის, რასაც ხანგრძლივი მზადება ჭირდება. სკოლისგარეშე განათლების მხრივ თქვენ ისე ძალიან არა ხართ შეზღუდული ამ ხანგრძლივი მზადებით. მოსახლეობის მოთხოვნილება მიიღოს განათლება დადგენილი სასკოლო სისტემის გარეშე და მუშაკების საჭიროება ამ დარგში არაჩვეულებრივად ძლიერ იზრდება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საერთო დახმარებით და საერთო ძალღონით გაკეთებული იქნება უფრო მეტი, ვიდრე აქამდე.

დასასრულს მე ვიტყვი სკოლისგარეშე განათლების ხასიათზე, განათლებისა, რომელიც დაკავშირებულია პროპაგანდასა და აგიტაციასთან. განათლების დაყენების ერთ-ერთი ძირეული ნაკლი კაპიტალისტურ საზოგადოებაში ის იყო, რომ ის მოწყვეტილი იყო შრომის ორგანიზაციის ძირითადი ამოცანისაგან იმდენად, რამდენადაც კაპიტალისტს ჭირდებოდა მორჩილი და გაწვრთნილი მუშების გაწაფვა და გაწვრთნა. კავშირი სახალხო შრომის ორგანიზაციის ნამდვილ ამოცანებსა და სწავლებას შორის კაპიტალისტურ საზოგადოებაში არ იყო. გამოსდიოდათ მკვდარი, სქოლასტიკური, კაზიონური, ხუ-

ეური გავლენით წაბილწული ხასიათი სწავლებისა, რომელიც ყველგან, ყველაზე დემოკრატიულ რესპუბლიკებშიც, იმას აკეთებდა, რომ ყოველივე ახალი, ჯანსაღი უნდა მოსპობილიყო. უშუალო ცოცხალი მუშაობა გაძნელებული იყო, იმიტომ რომ სახელმწიფო ხელისუფლების აპარატის გარეშე, მატერიალური და ფინანსური დახმარების გარეშე განათლების ფართოდ დაყენება არ შეიძლება. რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია და უნდა ვემზადოთ მთელი ჩვენი საბჭოთა ცხოვრების გადაყვანისათვის სამხედრო მზადებისა და სამხედრო მოგერიების რელსებიდან მშვიდობიანი მშენებლობის რელსებზე, — ამდენად თქვენთვის, სკოლისგარეშე განათლების მუშაკებისათვის. საჭიროა და აუცილებელი გაითვალისწინოთ ეს ცვლილება თქვენს პროპაგანდისტულ მოღვაწეობაშიც, მის ამოცანებსა და პროგრამაში ამ ცვლილებას შეეგუოთ.

იმისათვის, რომ ცხადვყო, თუ როგორ მესმის ამოცანები და მთელი ხასიათი განათლებისა, სწავლებისა, აღზრდისა და სწავლისა საბჭოთა რესპუბლიკის შეცვლილი ამოცანების შესაბამისად, მოგაგონებთ იმ რეზოლუციას ელექტროფიკაციის შესახებ, რომელიც მიიღო სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის უკანასკნელმა სესიამ; ალბათ, იგი ყველასათვის ცნობილია. ამ დღეებში პრესაში გამოქვეყნდა ცნობა იმის შესახებ, რომ ორი თვის ვადაში (ოფიციალურად დაბეჭდილ ცნობაში ნათქვამი იყო: ორი კვირის ვადაში — ეს შეცდომაა), — რომ ორი თვის ვადაში დამუშავდება ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმა, გათვალისწინებული 2 — 3 წლისათვის პროგრამა — მინიმუმის მიხედვით და მაქსიმუმი — 10 წლისათვის. მთელი ჩვენი პროპაგანდის ხასიათი, წმინდა პარტიულისაც და სასკოლო სწავლებისა და განათლებისაც, სკოლისგარეშე სწავლების ხასიათიც უნდა შეიცვალოს არა იმ აზრით, რომ შეიცვალოს სწავლების თვით საფუძვლები და მიმართულება, არამედ იმ აზრით, რომ მოღვაწეობის ხასიათი შეეგუოს ჩვენი ქვეყნის სამრეწველო და ეკონომიური გარდაქმნის ფართო გეგმით გადასვლას მშვიდობიან მშენებლობაზე, იმიტომ, რომ საერთო ეკონომიური სიძნელე და საერთო ამოცანა — ესაა ამოცანა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ძალთა აღდგენისა იმგვარად, რომ წვრილი გლეხური მეურნეობის გვერდით პროლეტარულმა რევოლუციამ შეძლოს შექმნას ეკონომიური ცხოვრების ახალი საფუძვლები. აქამდე გლეხს უხდებოდა მუშური სახელმწიფოსათვის პურის სესხად მიცემა: ფერადფერადი ქაღალდები — ფული გლეხს ვერ დააკმაყოფილებს პურის სანაცვლოდ. გლეხი არ კმაყოფილდება მით და მოითხოვს კანონიერ უფლე-

ბას: მისგან ჩაბარებული პურის სანაცვლოდ მიიღოს სამრეწველო პროდუქტები, რომელთა მიცემაც ჩვენ არ შეგვიძლია მანამდე, სანამ არ აღვადგენთ მეურნეობას. აღდგენა — ეს ძირითადი ამოცანაა. მაგრამ აღდგენა ძველ ეკონომიურ და ტექნიკურ საფუძველზე ჩვენ არ შეგვიძლია. ეს ტექნიკურადაც შეუძლებელია, და უცნაურიც იქნებოდა; საჭიროა ახალი საფუძვლის პოვნა. ასეთი ახალი საფუძველი ელექტროფიკაციის გეგმაა.

ჩვენ გამოვდივართ გლეხობის წინაშე, ყველაზე ნაკლებ განვითარებული მასის წინაშე, იმ მითითებით, თუ რამდენად აუცილებელია ახალი გადასვლა კულტურისა და ტექნიკური განათლების უფრო მაღალ საფეხურზე მთელი საბჭოთა მშენებლობის წარმატებისათვის. ამრიგად, აუცილებელია მეურნეობის აღდგენა. ყველაზე უფრო ბნელ გლეხს ესმის, რომ იგი გაღატაკებულია ომის მიერ, რომ მეურნეობის აღდგენის გარეშე ის თავს ვერ გაართმევს სიღატაკეს — ვერ მიიღებს აუცილებელ პროდუქტებს პურის სანაცვლოდ. გლეხობის სწორედ ამ უშუალოდ, საარსებო გაჭირვებას უნდა ეხებოდეს და ხელს უნდა სჭიდებდეს პროპაგანდის, განათლების, სწავლისა და სკოლისგარეშე განათლების მთელი მუშაობა, რათა იგი მოწყვეტილი არ იყოს ყოველდღიური ცხოვრების ყველაზე არსებითს საჭიროებებს, სახელდობრ გამოდიოდეს მათი განვითარებიდან და გლეხისათვის შესაფერისი შეგნებიდან, ხაზს უსვამს იმას, რომ მდგომარეობიდან გამოსავალი მხოლოდ მრეწველობის აღდგენაშია. მაგრამ მრეწველობის აღდგენა არ შეიძლება ძველ ნიადაგზე: იგი უნდა აღვადგინოთ თანამედროვე ტექნიკის ნიადაგზე. ეს ნიშნავს მრეწველობის ელეტროფიკაციას და კულტურის ამაღლებას. ელექტროსადგურები მოითხოვენ მუშაობას 10 წლამდე, მაგრამ უფრო კულტურულ და შეგნებულ მუშაობას.

ჩვენ გავშლით მუშაობის ფართო გეგმას, რომელიც გლეხობის ფართო მასის წარმოდგენაში დაკავშირებული უნდა იყოს ნათელ, პრაქტიკულად დასმულ მიზანთან. ამის გაკეთება რამდენიმე თვეში არ შეიძლება. პროგრამა-მინიმუმის მოცემა შეიძლება არა ნაკლებ 3 წლით. მაგრამ, თუ უტოპიებს არ გამოვეკიდებით, შეიძლება ითქვას, რომ 10 წლის განმავლობაში ჩვენ შევძლებთ მთელი რუსეთი დავფაროთ ელექტროსადგურების ქსელით და გადავიდეთ ელექტრომრეწველობის ისეთ მდგომარეობაზე, რომელიც დაკმაყოფილებდა ტექნიკის თანამედროვე მოთხოვნებს და ბოლოს მოუღებდა ძველ გლეხურ მიწათმოქმედებას. იგი მოითხოვს უფრო მაღალ კულტურასა და განათლებას.

არ ვუმალავთ რა საკუთარ თავს, რომ ახლა უშუალო პრაქტიკული ამოცანა არის ტრანსპორტის აღდგენა და სურსათის მოზიდვა, რომ მწარმოებლურობის ახლანდელი მდგომარეობის დროს არ შეიძლება ფართო ამოცანებს გამოვეკიდოთ, თქვენ მაინც მხედველობაში უნდა გქონდეთ პროპაგანდისა და განათლების დარგში კულტურულ-ტექნიკური მოთხოვნების შესაფერის ნიადაგზე სრული გარდაქმნის ეს ამოცანა და შეასრულოთ იგი. ჩვენ დიდი სისწრაფით განვიკურნებით პროპაგანდის ძველი მეთოდებისაგან, რომელთა ნაკლს მოძველებულობა შეადგენდა, რომლებიც გლეხს აქამდე უდგებოდნენ ზოგადი ფრაზებით კლასობრივი ბრძოლის შესახებ, რომელთა ნიადაგზეც იგონებდნენ ყოველგვარ სისულელეს პროლეტარული კულტურის[114] შესახებ და ა. შ. მალე განვიკურნებით ამ ხარახურისაგან, რომელიც ძალიან გავს საყმაწვილო სენს ბალღის ასაკში. პროპაგანდაში, აგიტაციაში, სასწავლო-საგანმანათლებლო მოღვაწეობაში ჩვენ გადავალთ საკითხის უფრო ფხიზელ და საქმიან დაყენებაზე, რაც შეჰფერით საბჭოთა ხელისუფლების ადამიანებს, რომლებმაც ორ წელიწადში ზოგი რამ ისწავლეს და რომლებიც გლეხთან მიდიან მთელი მრეწველობის გარდაქმნის პრაქტიკული, საქმიანი და ნათელი გეგმით და იმის განმარტებით, რომ ახლა გლეხი და მუშა, განათლების ახლანდელი მდგომარეობისას ამ ამოცანას ვერ შეასრულებენ და ტალახს, სიღატაკეს, პარტახტიან ტიფსა და ავადმყოფობას თავს ვერ დააღწევენ. ეს პრაქტიკული ამოცანა, რომელიც ნათლადაა დაკავშირებული კულტურისა და განათლების ამაღლებასთან, უნდა გახდეს ის კვანძი, რომლის ირგვლივ თავს უნდა იყრიდეს ჩვენი პარტიული პროპაგანდისა და მოღვაწეობის, ჩვენი სწავლებისა და წვრთნის მთელი ხასიათი. მაშინ იგი ისე ღრმად შეეხება გლეხური მასის უაღრესად საჭირბოროტო ინტერესებს, ისე დააკავშირებს კულტურისა და ცოდნის საერთო აღმავლობას მწვავე ეკონომიურ საჭიროებებთან, რომ ჩვენ კიდევ ასჯერ გავაძლიერებთ განათლების მოთხოვნილებას მუშათა მასის მხრივ. ჩვენ აბსოლუტურად დარწმუნებული ვართ იმაში, რომ თუ ორ წელიწადში გადავწყვიტეთ უძნელესი სამხედრო ამოცანა, მაშინ 5 — 10 წელიწადში გადავწყვეტთ კიდევ უფრო ძნელ ამოცანას: კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო ამოცანას.

აი ის სურვილი, რომლითაც მე მინდოდა მომემართა თქვენთვის. (ტ ა შ ი.)

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 30, გვ. 450 — 455

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

სიტყვა მედიკურ-სანიტარული შრომის მუშაკთა სრულიად რუსეთის II ყრილობაზე

1920 წ. 1 მარტს

საოქმო ჩანაწერი

(ამხანაგი ლენინი, რომელსაც ხანგრძლივი მქუხარე ტაშითა და «ინტერნაციონალის» სიმღერით შეხვდნენ, წარმოთქვამს მოკლე მისასალმებელ სიტყვას). ამხანაგებო, ნება მიბოძეთ მივესალმო თქვენს ყრილობას სახალხო კომისართა საბჭოს სახელით. აქ ბევრი ლაპარაკი არ მოგვიხდება ყრილობის ამოცანებსა და თქვენ მიერ გაწეულ შრომაზე. შესაძლებელია, რომ სამხედრო ფრონტის შემდეგ, არც ერთ სხვა სამუშაოს არ შეუწირავს იმდენი მსხვერპლი, რამდენიც თქვენმა სამუშაომ შეიწირა. ოთხწლიანმა იმპერიალისტურმა ომმა ის გამოიწვია, რომ კაცობრიობას ჰყავს რამდენიმე მილიონი ხეიბარი და აქვს მთელი რიგი ეპიდემიები.

ჩვენ წილად გვხვდა უდიდესი, მძიმე, პასუხსაგები ამოცანა. სამხედრო ფრონტზე ბრძოლამ დაამტკიცა, რომ იმპერიალისტების ცდებმა ფუჭად ჩაიარა. სამხედრო საქმის ყველაზე დიდი სიძნელენი უკან მოვიტოვეთ, მაგრამ ამჟამად უნდა განვახორციელოთ მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანა. იმ გამოცდილებას, რომელიც ჩვენ სისხლიან ფრონტზე მოვიპოვეთ, გადავიტანთ აგრეთვე უსისხლო ფრონტზეც, სადაც ბევრად უფრო მეტ თანაგრძნობას შევხვდებით.

ჩვენ შევძელით ჩვენს სამსახურში ჩაგვება ათასობით სპეციალისტი, უდიდესი რაოდენობის ოფიცრები და გენერლები, რომლებსაც მუშა კომუნისტებთან ერთად პასუხსაგები პოსტები უჭირავთ. სამოქალაქო ომის მთელი გაბედულება — მთელი გამოცდილება უნდა მოვახმაროთ ეპიდემიებთან ბრძოლას.

ოდესღაც სამედიცინო პროფესიის წარმომადგენლებიც აგრეთვე უნდობლობით იყვნენ გაჟღენთილი მუშათა კლასის მიმართ,

ოდესღაც ისინიც ოცნებობდნენ ბურჟუაზიული წყობილების დაბრუ-ნებაზე. ახლა ისინიც დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ პროლეტარიატ-თან ერთად შეიძლება რუსეთის მიყვანა კულტურულ აყვავებამდე. მეცნიერების წარმომადგენლებისა და მუშების თანამშრომლობა, — მხოლოდ ასეთ თანამშრომლობას შეუძლია სიღატაკის, სნეულებათა და ჭუჭყის მძიმე უღლის მოსპობა. და ეს გაკეთდება კიდეც.

მეცნიერების, პროლეტარიატისა და ტექნიკის წარმომადგენლე-ბის კავშირის წინაშე ვერავითარი ბნელი ძალა ვერ გაძლებს.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 30, გვ. 483 — 484

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

მუშა ქალთა საერთაშორისო დღისათვის

კაპიტალიზმი ფორმალურ თანასწორობას აერთებს ეკონომიურ და, მაშასადამე, სოციალურ უთანასწორობასთან. ესაა კაპიტალიზმის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება, რომელსაც ცრუდ აფარებენ ხელს ბურჟუაზიის მომხრეები, ლიბერალები, და რომელიც ვერ გაუგიათ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატებს. კაპიტალიზმის ამ თავისებურებიდან გამომდინარეობს, სხვათა შორის, იმის აუცილებლობა, რომ ეკონომიური თანასწორობისათვის გადამწყვეტი ბრძოლის დროს აშკარად იქნეს აღიარებული კაპიტალისტური უთანასწორობა. გარკვეულ პირობებში, უთანასწორობის ეს აშკარა აღიარება საფუძვლადაც კი დაედოს პროლეტარულ სახელმწიფოებრიობას (საბჭოთა კონსტიტუცია).

მაგრამ ფორმალური თანასწორობითაც (კანონის მიხედვით თანასწორობით, მაძღარისა და მშიერის, მესაკუთრისა და უქონელის «თანასწორობით») კაპიტალიზმი ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა თანამიმდევრული იყოს. და ამ არათანამიმდევრობის ერთ-ერთი აღმაშფოთებელი გამოვლენაა ქალისა და მამაკაცის ა რ ა თ ა ნ ა ს წ ო რ უ ფ ლ ე ბ ი ა ნ ო ბ ა. სრული თანასწორუფლებიანობა არ მოუცია არც ერთ, თვით ყველაზე პროგრესულ რესპუბლიკურ, დემოკრატიულ, ბურჟუაზიულ სახელმწიფოს.

რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკამ კი ერთბაშად წარხოცა უ კ ლ ე ბ ლ ი ვ ქალის უთანასწორობის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი საკანონმდებლო კვალი, ერთბაშად უზრუნველყო მისთვის სრული თანასწორობა კანონით.

ამბობენ, კულტურის დონე ყველაზე უფრო მეტად ქალის იურიდიული მდგომარეობით ხასიათდებაო. ამ გამოთქმაში არის ღრმა ჭეშმარიტების მარცვალი. და ამ თვალსაზრისით მხოლოდ პროლეტარია-

ტის დიქტატურას, მხოლოდ სოციალისტურ სახელმწიფოს შეეძლო განეხორციელებინა და განახორციელა უმაღლესი კულტურული დონე.

ამიტომ ქალთა მუშური მოძრაობის ახალი, ჯერ არნახული ძლიერი ბიძგი აუცილებლად დაკავშირებულია პირველი საბჭოთა რესპუბლიკის დაარსებასთან (და განმტკიცებასთან), — და ამასთან ერთად და ამასთან დაკავშირებით — კომუნისტურ ინტერნაციონალთან.

რაკი სიტყვა ჩამოვარდა იმათ შესახებ, ვინც კაპიტალიზმის მიერ დაჩაგრული იყო პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მთლიანად თუ ნაწილობრივ, სწორედ საბჭოთა წყობილება და მხოლოდ საბჭოთა წყობილება უზრუნველყოფს დემოკრატიას. ამას ნათლად ადასტურებს მუშათა კლასისა და უღარიბესი გლეხების მდგომარეობა. ამას ნათლად ადასტურებს ქალის მდგომარეობა.

მაგრამ საბჭოთა წყობილება არის უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა კ ლ ა ს თ ა მ ო ს პ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს, ეკონომიური და სოციალური თანასწორობისათვის. დემოკრატია, თვით დემოკრატიაც კი კაპიტალიზმის მიერ დაჩაგრულთათვის, მათ შორის ჩაგრული სქესისათვის, — ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს ც ო ტ ა ა.

ქალთა მუშური მოძრაობა თავის მთავარ ამოცანად ისახავს ქალის არა მარტო ფორმალური, არამედ ეკონომიური და სოციალური თანასწორობისათვის ბრძოლას. ჩავაბათ ქალი საზოგადოებრივ-მწარმოებლურ შრომაში, ხელიდან გამოვგლიჯოთ იგი «შინაურ მონობას», გავათავისუფლოთ იგი დამაჩლუნგებელი და დამამცირებელი მორჩილებისაგან, სამზარეულოს და საბავშვო ოთახის მუდმივი და განსაკუთრებული გარემოსაგან — აი მთავარი ამოცანა.

ეს ხანგრძლივი ბრძოლაა, რომელიც მოითხოვს როგორც საზოგადოებრივი ტექნიკის, ისე ზნე-ჩვეულებების ძირეულ გადაკეთებას. მაგრამ ეს ბრძოლა კომუნიზმის სრული გამარჯვებით დამთავრდება.

1920 წ. 4 მარტი

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 30, გვ. 491 — 493

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

სიტყვიდან წყლის ტრანსპორტის მუშათა სრულიად რუსეთის III ყრილობაზე
1920 წ. 15 მარტს

...უწინდელი რევოლუციები სწორედ იმიტომ იღუპებოდა, რომ მუშები ვერ ინარჩუნებდნენ ძალაუფლებას მტკიცე დიქტატურით და არ ესმოდათ, რომ მარტო დიქტატურით, მარტო ძალმომრეობით, იძულებით შეუძლებელია გაძლება; გაძლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავეუფლებით კულტურული, ტექნიკური, პროგრესული კაპიტალიზმის მთელ გამოცდილებას, თუ ყველა ამ ადამიანს სამსახურში ავიყვანთ. როდესაც მუშები პირველად კიდებენ ხელს მართვა-გამგეობის საქმეს და მტრულად ეპყრობიან სპეციალისტს, ბურჟუას, კაპიტალისტს, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ დირექტორი იყო, მილიონებს ხვეჭდა, მუშებს ჩაგრავდა, — ჩვენ ვამბობთ, — და, ალბათ, უმრავლესობაც თქვენ შორის იმასვე ლაპარაკობს, — რომ ამ მუშებმა მხოლოდ იწყეს კომუნიზმთან მიახლოება. კომუნიზმის შენება რომ იმ სპეციალისტთაგან შეიძლებოდეს, რომლებიც ბურჟუაზიული შეხედულებებით არ არიან გამსჭვალული, ეს ძალიან ადვილი იქნებოდა, მაგრამ ეს კომუნიზმი ფანტასტიკური იქნებოდა. ჩვენ ვიცით, რომ ციდან არაფერი არ ვარდება, ვიცით, რომ კომუნიზმი კაპიტალიზმიდან აღმოცენდება, რომ მხოლოდ მისი ნაშთების საფუძველზე შეიძლება კომუნიზმის აგება, მართალია, ცუდი ნაშთების საფუძველზე, მაგრამ სხვა არ არსებობს. და ის, ვინც ოცნებობს ასეთ ფანტასტიკურ კომუნიზმზე, უნდა განიდევნოს ყოველი საქმიანი კრებიდან და ამ კრებაზე უნდა დავტოვოთ ისეთი ადამიანები, ვისაც უნარი შესწევს საქმე აკეთოს კაპიტალიზმის ნაშთების საფუძველზე. ამ საქმის სიძნელეები ვეებერთელაა, მაგრამ იგი ნაყოფიერი სამუშაოა, და ყოველი სპეციალისტი უნდა დაფასდეს როგორც ტექნიკისა და კულტურის ერთადერთი ავლადიდება, ურომლისოდაც არაფერი, არავითარი კომუნიზმი არ შეიძლება...

ხიზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 30, გვ. 519 — 520

იბეჭდება ხიზულებათა ტექსტის მიხედვით

ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები

(სიტყვა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე)

1920 წ. 2 ოქტომბერი

(ლენინს მთელი ყრილობა მქუხარე ოვაციით შეხვდა.) ამხანაგებო, მე მინდა დღეს გესაუბროთ თემაზე, თუ როგორია კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ძირითადი ამოცანები და, ამასთან დაკავშირებით — როგორი უნდა იყოს საზოგადოდ ახალგაზრდობის ორგანიზაციები სოციალისტურ რესპუბლიკაში.

ამ საკითხზე მით უფრო უნდა შევჩერდეთ, რომ გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას: სწორედ ახალგაზრდობამ უნდა გადაჭრას კომუნისტური საზოგადოების შექმნის ნამდვილი ამოცანა. ვინაიდან ცხადია, რომ მუშაკების ის თაობა, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებაშია აღზრდილი, უკეთეს შემთხვევაში შეძლებს გადაჭრას ექსპლოატაციაზე აგებული ძველი კაპიტალისტური ყოფაცხოვრების საფუძველთა მოსპობის ამოცანა. უკეთეს შემთხვევაში იგი შეძლებს გადაჭრას ისეთი საზოგადოებრივი წყობილების შექმნის ამოცანები, რომელიც პროლეტარიატსა და მშრომელ კლასებს დაეხმარებოდა თავიანთ ხელში შეენარჩუნებინათ ძალაუფლება და შეექმნათ მტკიცე საძირკველი, რომელზედაც შეუძლია შენება მხოლოდ იმ თაობას, რომელიც მუშაობას იწყებს უკვე ახალ პირობებში, ისეთ ვითარებაში, როცა ადამიანთა შორის ექსპლოატატორული ურთიერთობა აღარ არსებობს.

და აი, ამ თვალსაზრისით თუ მივუდგებით ახალგაზრდობის ამოცანების საკითხს, უნდა ვთქვა, რომ საერთოდ ახალგაზრდობის და კერძოდ კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირთა და ყოველგვარ სხვა ორგანიზაციათა ეს ამოცანები შეიძლებოდა ერთი სიტყვით გამოგვეხატა: ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ისწავლონ.

გასაგებია, რომ ეს მხოლოდ «ერთი სიტყვაა». იგი ჯერ კიდევ არ გვაძლევს პასუხს მთავარ და ყველაზე არსებით კითხვებზე — რა ვისწავლოთ და როგორ ვისწავლოთ? აქ კი მთელი საქმე ის არის, რომ ძველი კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნასთან ერთად არ შეიძლება არ გარდაიქმნას და ძველებური დარჩეს იმ ახალ თაობათა სწავლა, აღზრდა და განათლება, რომლებიც კომუნისტურ საზოგადოებას შექმნიან. ახალგაზრდობის სწავლა, აღზრდა და განათლება უნდა გამომდინარეობდეს იმ მასალიდან, რომელიც ძველმა საზოგადოებამ დაგვიტოვა. ჩვენ შეგვიძლია ვაშენოთ კომუნიზმი ცოდნათა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მხოლოდ იმ ჯამით, ადამიანთა ძალებისა და საშუალებების იმ მარაგით, რაც ძველი საზოგადოებისაგან დაგვრჩა. მხოლოდ მაშინ, თუ ძირფესვიანად გარდავქმნით სწავლის საქმეს, ახალგაზრდობის ორგანიზაციას და აღზრდას, ჩვენ შევძლებთ მივაღწიოთ იმას, რომ ახალი თაობის მეცადინეობას შედეგად მოყვეს ძველისაგან განსხვავებული საზოგადოების, ე. ი. კომუნისტური საზოგადოების შექმნა. ამიტომ ჩვენ დაწვრილებით უნდა შევჩერდეთ იმ საკითხზე, რა უნდა ვისწავლოთ და როგორ უნდა ისწავლოს ახალგაზრდობამ, თუ მას ნამდვილად სურს გაამართლოს კომუნისტური ახალგაზრდობის სახელწოდება, და როგორ უნდა მოვამზადოთ იგი, რათა მან შეძლოს ბოლომდე ააშენოს და დაასრულოს ის, რაც ჩვენ დავიწყეთ.

მე უნდა გითხრათ, რომ, თითქოს, პირველი და ყველაზე უფრო ბუნებრივი პასუხი ის არის, რომ ახალგაზრდობის კავშირმა და საზოგადოდ მთელმა ახალგაზრდობამ, რომელსაც სურს გადავიდეს კომუნიზმზე, უნდა ისწავლოს კომუნიზმი.

მაგრამ ეს პასუხი — «ისწავლოს კომუნიზმი» — მეტად ზოგადი პასუხია. რა გვესაჭიროება ჩვენ იმისათვის, რომ კომუნიზმი ვისწავლოთ? რა უნდა გამოვყოთ საერთო ცოდნათა ჯამიდან, რომ კომუნიზმის ცოდნა შევიძინოთ? აქ ჩვენ მოგველის მრავალი საფრთხე, რომელიც ძალიან ხშირად იჩენს ხოლმე თავს, როგორც კი კომუნიზმის სწავლის ამოცანას არასწორად აყენებენ, ანდა როდესაც იგი მეტად ცალმხრივად აქვთ გაგებული.

ბუნებრივია, რომ პირველი შეხედვით ადამიანს ის აზრი ებადება, თითქოს კომუნიზმის სწავლა ნიშნავდეს ცოდნათა იმ ჯამის შეთვისებას, რაც გადმოცემულია კომუნისტურ სახელმძღვანელოებში, ბროშურებსა და შრომებში. მაგრამ კომუნიზმის შესწავლის ასეთი განსაზღვრა მეტად უხეში და არასაკმარისი იქნებოდა. კომუნიზმის შესწავლა რომ მარტო იმის შეთვისება იყოს, რაც კომუნისტურ შრომებში, წიგნაკებსა და ბროშურებშია გადმოცემული, მა-

შინ ძალიან ადვილად მივიღებდით კომუნისტურ მედავითნეებს ან მკვეხარებს, ეს კი ყოველ ნაბიჯზე ვნებას და ზიანს მოგვიტანდა, რადგან ეს ადამიანები, რომელნიც ისწავლიდნენ და გადაიკითხავდნენ იმას, რაც კომუნისტურ წიგნებსა და ბროშურებშია გადმოცემული, მთელი ამ ცოდნის შეერთების უნარს მოკლებული იქნებოდნენ და ვერ იმოქმედებდნენ ისე, როგორც ამას ნამდვილად მოითხოვს კომუნიზმი.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბოროტება და უბედურება, რაც ჩვენ ძველი კაპიტალისტური საზოგადოებისაგან დაგვრჩა, — ეს არის წიგნის სრული გათიშვა ცხოვრების პრაქტიკისაგან, ვინაიდან ჩვენ გვქონდა წიგნები, სადაც ყველაფერი საუცხოოდ იყო შეფერადებული, და ეს წიგნები, უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენდნენ უსაზიზღრეს თვალთმაქცურ სიცრუეს, რომელიც ყალბად გვიხატავდა კაპიტალისტურ საზოგადოებას.

ამიტომ უბრალო მწიგნობრული შეთვისება იმისა, რაც ნათქვამია წიგნებში კომუნიზმის შესახებ, მეტისმეტად არასწორი იქნებოდა. ახლა ჩვენს სიტყვებსა და სტატიებში არაა იმის უბრალო განმეორება, რასაც წინათ კომუნიზმის შესახებ ამბობდნენ, რადგან ჩვენი სიტყვები და სტატიები დაკავშირებულია ყოველდღიურ და ყოველმხრივ მუშაობასთან. მუშაობის გარეშე, ბრძოლის გარეშე კომუნიზმის მწიგნობრული ცოდნა კომუნისტური ბროშურებიდან და ნაწერებიდან სრულებით არაფრად არა ღირს, რადგან ის განაგრძობდა ძველებურ გათიშვას თეორიასა და პრაქტიკას შორის, იმ ძველებურ გათიშვას, რომელიც ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების ყველაზე საძაგელ თვისებას შეადგენდა.

კიდევ უფრო საშიში იქნებოდა, მხოლოდ კომუნისტური ლოზუნგების შეთვისება რომ დაგვეწყო. თუ ჩვენ ამ საშიშროებას თავის დროზე ვერ შევიგნებდით და მთელ ჩვენს მუშაობას ამ საშიშროების მოსპობისაკენ არ მივმართავდით, მაშინ ნახევარი მილიონი თუ მილიონი ისეთი ადამიანის — ახალგაზრდა ვაჟებისა და ქალიშვილების — არსებობა, რომელნიც კომუნიზმის ასეთი შესწავლის შემდეგ თავისთავს კომუნისტებს უწოდებდნენ, მხოლოდ უდიდეს ზიანს მოუტანდა კომუნიზმის საქმეს.

აქ ჩვენს წინაშე დგება საკითხი: როგორღა უნდა შევაერთოთ ყოველივე ეს კომუნიზმის შესასწავლად? რა უნდა ავიღოთ ძველი სკოლიდან, ძველი მეცნიერებიდან? ძველი სკოლა აცხადებდა, რომ მას სურს შექმნას ყოველმხრივ განათლებული ადამიანი, რომ ის ასწავლის მეცნიერებებს საზოგადოდ. ჩვენ ვიცით, რომ ეს მთლიანად

სიცრუე იყო, ვინაიდან მთელი საზოგადოება ადამიანების კლასებად, ექსპლოატატორებად და ჩაგრულებად დაყოფაზე იყო დაფუძნებული და დაყრდნობილი. ბუნებრივია, რომ მთელი ძველი სკოლა, მთლიანად და სავსებით კლასობრივი სულით გაჟღენთილი, ცოდნას მხოლოდ ბურჟუაზიის შვილებს აძლევდა. ყოველი მისი სიტყვა ბურჟუაზიის ინტერესებისადმი იყო შეგუებული. ამ სკოლებში მუშათა და გლეხთა ახალგაზრდა თაობას იმდენად არ ზრდიდნენ, რამდენადაც იმავე ბურჟუაზიის სასარგებლოდ გეშავდნენ. მათ ზრდიდნენ ისე, რომ შეექმნათ ბურჟუაზიისათვის გამოსადეგი მსახურნი, რომელნიც მას მოგებას მისცემდნენ და ამავე დროს არ შეაშფოთებდნენ მის მოსვენებასა და უსაქმურ ცხოვრებას. ამიტომ, უარვყავით რა ძველი სკოლა, ჩვენ ამოცანად დავისახეთ ავიღოთ მისგან მხოლოდ ის, რაც გვჭირდება იმისათვის, რომ ნამდვილ კომუნისტურ განათლებას მივაღწიოთ.

აქ მე მივადექი ძველი სკოლის მიმართ იმ საყვედურს, იმ ბრალდებებს, რაც მუდამ გვესმის და რაც ხშირად სრულიად მცდარ გაგებას იწვევს. ამბობენ, ძველი სკოლა დასწავლის სკოლა, წვრთნისა და ზეპირობის სკოლა იყოო. ეს მართალია, მაგრამ მაინც უნდა შეგვეძლოს იმის გარჩევა, თუ რა იყო ძველ სკოლაში ცუდი და რა იყო სასარგებლო ჩვენთვის, უნდა შეგვეძლოს იქიდან იმის ამორჩევა, რაც საჭიროა კომუნიზმისათვის.

ძველი სკოლა დასწავლის სკოლა იყო, ის აიძულებდა ადამიანებს შეეთვისებინათ მრავალი გამოუსადეგარი, ზედმეტი, მკვდარი ცოდნა, რომელიც ახალ თაობას თავს უტენიდა და ერთ ყალიბში გამოყვანილ მოხელეებად აქცევდა. მაგრამ თქვენ უდიდეს შეცდომას ჩაიდენდით, თუ აქედან იმ დასკვნის გამოყვანას შეეცდებოდით, თითქოს კომუნისტად გახდომა შეიძლებოდეს იმის შეუთვისებლად, რაც კაცობრიობის ცოდნას დაუგროვებია. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს საკმარისი იყოს მხოლოდ კომუნისტური ლოზუნგების, კომუნისტური მეცნიერების დასკვნების შეთვისება, იმ ცოდნათა ჯამის შეუთვისებლად, რომელთა შედეგიცაა თვით კომუნიზმი. იმის ნიმუშს, თუ როგორ წარმოიშვა კომუნიზმი კაცობრიობის ცოდნათა ჯამიდან, წარმოადგენს მარქსიზმი.

თქვენ წაგიკითხავთ და გაგიგონიათ, რომ კომუნისტური თეორია, კომუნისტური მეცნიერება, რომელიც უმთავრესად მარქსის მიერ არის შექმნილი, მარქსიზმის ეს მოძღვრება აღარ არის XIX საუკუნის ერთი, თუნდაც გენიალური, სოციალისტის შემოქმედება, რომ ეს მოძღვრება იქცა მთელი მსოფლიოს მილიონობით და ათეულ მილი-

ონობით პროლეტართა მოძღვრებად, რომელნიც ამ მოძღვრებას იყენებენ თავიანთ ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ. და თქვენ რომ ასეთი კითხვა დაგესვათ: რატომ შეძლო მარქსის მოძღვრებამ ყველაზე რევოლუციური კლასის მილიონობით და ათეული მილიონობით ადამიანთა გულის დაპყრობა, — მიიღებდით ერთადერთ პასუხს: ეს მოხდა იმიტომ, რომ მარქსი ემყარებოდა კაპიტალიზმის დროს მოპოვებული კაცობრიული ცოდნის მტკიცე საძირკველს; შეისწავლა რა ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონები, მარქსმა გაიგო გარდუვალობა კაპიტალიზმის განვითარებისა, რომელსაც კომუნიზმისაკენ მივყავართ, და, რაც მთავარია, მარქსმა ეს მხოლოდ იმით დაამტკიცა, რომ უაღრესად ზუსტად, უაღრესად დეტალურად, უაღრესად ღრმად შეისწავლა ეს კაპიტალისტური საზოგადოება, სრულად შეითვისა ყოველივე ის, რაც წინანდელმა მეცნიერებამ მოგვცა. ყოველივე ის, რაც კი შეუქმნია ადამიანთა საზოგადოებას, მან კრიტიკულად გადაამუშავა ისე, რომ არც ერთი პუნქტი უყურადღებოდ არ დაუტოვებია. ყოველივე ის, რაც კი შეუქმნია ადამიანის გონებას, მან გადაამუშავა, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა, მუშათა მოძრაობით შეამოწმა და გამოიყვანა ის დასკვნები, რომელთა გამოყვანაც არ შეეძლოთ ბურჟუაზიული ჩარჩოებით შეზღუდულ თუ ბურჟუაზიული ცრურწმენებით შებოჭილ ადამიანებს.

ეს უნდა გვქონდეს მხედველობაში, როცა ჩვენ, მაგალითად, პროლეტარულ კულტურაზე ვლაპარაკობთ. თუ ნათლად არ შევიგნეთ, ის რომ პროლეტარული კულტურის შენება შესაძლებელია კაცობრიობის მთელი განვითარებით შექმნილი კულტურის მხოლოდ ზუსტი ცოდნით, მხოლოდ მისი გადამუშავებით, — თუ ეს არ შევიგნეთ, ისე ამ ამოცანას ჩვენ ვერ გადავწყვეტთ. პროლეტარული კულტურა არ არის საიდანღაც გამომხტარი რამ, იგი არ არის იმ ადამიანთა გამონაგონი, რომელნიც თავისთავს პროლეტარული კულტურის სპეციალისტებს უწოდებენ. ეს თავიდან ბოლომდე ჩმახია. პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების, მოხელეური საზოგადოების უღელქვეშ. ყველა ამ გზასა და ბილიკს მივყავდით, მივყავართ და კვლავაც მიგვიყვანს პროლეტარულ კულტურასთან ისევე, როგორც მარქსის მიერ გადამუშავებულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ გვიჩვენა ის, თუ სად უნდა მივიდეს ადამიანთა საზოგადოება, მიგვითითა გადასვლა კლასობრივ ბრძოლაზე, პროლეტარული რევოლუციის დასაწყისზე.

როცა ჩვენ ახალგაზრდობის წარმომადგენელთა შორისაც და ახალი განათლების ზოგიერთ დამცველთა შორისაც ხშირად გვესმის ძველი სკოლის ძაგება — ძველი სკოლა ზეპირობის სკოლა იყოო, ჩვენ ვეუბნებით მათ, რომ ძველი სკოლიდან უნდა ავიღოთ ის, რაც მასში კარგი იყო. ჩვენ არ უნდა ავიღოთ ძველი სკოლიდან ის, რაც ახალგაზრდა ადამიანის მეხსიერებას ტვირთავდა უამრავი ცოდნით, რომლის ცხრა მეათედი უსარგებლო იყო, ხოლო ერთი მეათედი — დამახინჯებული; მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ კომუნისტური დასკვნებით და დავიზეპიროთ მარტო კომუნისტური ლოზუნგები. ამით კომუნიზმს ვერ შექმნი. კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია.

ჩვენთვის ზეპირობა საჭირო არ არის, მაგრამ ჩვენთვის საჭიროა, რომ ყოველი მოსწავლის მეხსიერება განვითარდეს და უფრო სრულყოფილი გახდეს ძირითადი ფაქტების ცოდნით, ვინაიდან კომუნიზმი უშინაარსობად გადაიქცევა, ცარიელ აბრად გადაიქცევა, კომუნისტი მხოლოდ უბრალო მკვეხარა იქნება, თუ მის შეგნებაში არ გადამუშავდა მთელი მიღებული ცოდნა. თქვენ არა მარტო უნდა შეითვისოთ ის, არამედ ისე უნდა შეითვისოთ, რომ კრიტიკულად მიუდგეთ, კი არ დატვირთოთ თქვენი გონება იმ ხარახურით, რომელიც საჭირო არაა, არამედ გაამდიდროთ ის ყველა იმ ფაქტის ცოდნით, ურომლისოდაც შეუძლებელია იყოს თანამედროვე განათლებული ადამიანი. კომუნისტმა რომ განიზრახოს კომუნიზმით ტრაბახი მზამზარეულად მიღებული დასკვნების საფუძველზე, უაღრესად სერიოზული, ძნელი და დიდი მუშაობის გაუწევლად, იმ ფაქტებში გაურკვევლად, რომელთაც ის ვალდებულია კრიტიკულად მოეპყრას, — ასეთი კომუნისტი მეტად შესაბრალისი იქნებოდა. და ასეთი ზერელობა პირდაპირ დამღუპველი იქნებოდა. თუ მე ვიცი, რომ ცოტა ვიცი, მაშინ მივაღწევ იმას, რომ მეტი ვიცოდე, მაგრამ თუ ადამიანი დაიწყებს ლაპარაკს, მე კომუნისტი ვარ და ჩემთვის არც არის საჭირო რაიმე მტკიცედ ვიცოდეო, მისგან კომუნისტის მსგავსი არა გამოვა რა.

ძველი სკოლა ქმნიდა კაპიტალისტებისათვის საჭირო მსახურთ, ძველი სკოლა მეცნიერების მუშაკებს ისეთ ადამიანებად აქცევდა, რომელთაც ისე უნდა ეწერნათ და ელაპარაკნათ, როგორც კაპიტალისტებს ნებავდათ. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ეს სკოლა თავიდან უნდა მოვიშოროთ. მაგრამ ჩვენ თუ ის თავიდან უნდა მოვიშოროთ, ჩვენ

თუ ის უნდა დავანგრიოთ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ არ უნდა ავიღოთ მისგან ყოველივე ის, რაც კაცობრიობას დაუგროვებია ადამიანთათვის საჭირო. ნიშნავს თუ .არა ეს, რომ ჩვენ ვერ უნდა გავარჩიოთ, რა იყო საჭირო კაპიტალიზმისათვის და რა არის საჭირო კომუნიზმისათვის.

ძველებური წვრთნის ნაცვლად რაც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ტარდებოდა უმრავლესობის ნება-სურვილის წინააღმდეგ, ჩვენ ვაყენებთ მუშებისა და გლეხების შეგნებულ დისციპლინას, რომელნიც ძველი საზოგადოებისადმი სიძულვილთან აერთებენ გამბედაობას, უნარსა და მზადყოფნას — გააერთიანონ და დარაზმონ ძალები ამ ბრძოლისათვის, რათა დაქსაქსული, დაქუცმაცებული, უზარმაზარი ქვეყნის სივრცეზე გაფანტული მილიონებისა და ასეული მილიონების ნებისყოფისაგან შექმნან ერთიანი ნებისყოფა, ვინაიდან ეს ერთიანი ნებისყოფა თუ არ იქნა, ისე ჩვენ აუცილებლად დავმარცხდებით. თუ არ იქნა მუშათა და გლეხთა ეს დარაზმულობა, ეს შეგნებული დისციპლინა, ისე ჩვენი საქმე უიმედოა. უამისოდ მთელი მსოფლიოს კაპიტალისტებისა და მემამულეების დამარცხებას ჩვენ ვერ შევძლებთ. უამისოდ ჩვენ საძირკველსაც კი ვერ დავამაგრებთ, არათუ ახალ, კომუნისტურ საზოგადოებას ავაშენებთ ამ საძირკველზე. ამნაირადვე, როცა ჩვენ უარვყოფთ ძველ სკოლას, როცა ვგრძნობთ სრულიად კანონიერ და აუცილებელ სიძულვილს ამ ძველი სკოლისადმი, როცა ვაფასებთ ძველი სკოლის დანგრევისათვის მზადყოფნას, ჩვენ უნდა შევიგნოთ, რომ ძველი სწავლის, ძველი ზეპირობის, ძველი წვრთნის ნაცვლად უნდა დავაყენოთ უნარი კაცობრიული ცოდნის მთელი ჯამის შეთვისებისა, ისე შეთვისებისა, რომ კომუნიზმი რაღაც დაზეპირებული რამ კი არ გამოგივიდეთ, არამედ ისეთი რამ იყოს, რაც თვითონ თქვენ მიერაა გააზრებული, ის დასკვნები იყოს, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე განათლების თვალსაზრისით.

აი როგორ უნდა დავაყენოთ ძირითადი ამოცანები, როცა კომუნიზმის შესწავლის ამოცანაზე ვლაპარაკობთ.

ეს რომ განგიმარტოთ და ამავე დროს იმ საკითხს მივუახლოვდეთ, თუ როგორ ვისწავლოთ, მე ავიღებ პრაქტიკულ მაგალითს. თქვენ ყველამ იცით, რომ ჩვენს წინაშე სამხედრო ამოცანების, რესპუბლიკის დაცვის ამოცანების შემდეგ მაშინვე სამეურნეო ამოცანა დგება. ჩვენ ვიცით, რომ კომუნისტური საზოგადოების აშენება შეუძლებელია, თუ არ აღვადგინეთ მრეწველობა და მიწათმოქმედება, ამასთანავე ისინი უნდა აღვადგინოთ არა ძველებურად, ისინი უნდა

აღვადგინოთ მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებულ თანამედროვე საფუძველზე. თქვენ იცით, რომ ეს საფუძველი ელექტრობაა, რომ მხოლოდ მაშინ, როცა მთელი ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და მიწათმოქმედების ყველა დარგის ელექტროფიკაცია მოხდება, როცა თქვენ ამ ამოცანას აითვისებთ, მხოლოდ მაშინ შეძლებთ ააშენოთ თქვენთვის ის კომუნისტური საზოგადოება, რომლის აშენებას ვერ შეძლებს ძველი თაობა. თქვენს წინაშე დგას მთელი ჩვენი ქვეყნის სამეურნეო აღორძინების ამოცანა, რეორგანიზაცია, აღდგენა მიწათმოქმედებისაც და მრეწველობისაც თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე, რომელიც თანამედროვე მეცნიერებას, ტექნიკას, ელექტრობას ეყრდნობა. თქვენ მშვენივრად გესმით, რომ ელექტროფიკაციისათვის წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი არ გამოდგება, და აქ უბრალო წერა-კითხვის ცოდნა არ კმარა. აქ საკმარისი არაა იცოდეთ, თუ რა არის ელექტრობა; უნდა იცოდეთ, ტექნიკურად როგორ გამოიყენოთ იგი მრეწველობაშიც, მიწათმოქმედებაშიც, მრეწველობისა და მიწათმოქმედების ცალკეულ დარგებშიც. ეს თვითონ უნდა ისწავლოთ, ეს უნდა ასწავლოთ მთელ მოზარდ მშრომელ თაობას. აი რა ამოცანა დგას ყოველი შეგნებული კომუნისტის, ყოველი ახალგაზრდა ადამიანის წინაშე, რომელიც თავს კომუნისტად თვლის და რომელსაც ნათლად აქვს შეგნებული, რომ ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირში შესვლით მან იკისრა ამოცანა — დაეხმაროს პარტიას კომუნიზმის შენებაში და დაეხმაროს მთელ ახალგაზრდა თაობას კომუნისტური საზოგადოების შექმნაში. მან უნდა შეიგნოს, რომ მხოლოდ თანამედროვე განათლების საფუძველზე შეუძლია მას ამის შექმნა, და თუ მას ეს განათლება არ ექნება, კომუნიზმი მარტო სურვილად დარჩება.

წინა თაობის ამოცანას შეადგენდა ბურჟუაზიის დამხობა. მაშინ მთავარი ამოცანა იყო ბურჟუაზიის კრიტიკა, მასებში მისადმი სიძულვილის გაღვივება, კლასობრივი შეგნების, თავისი ძალების დარაზმვის უნარის განვითარება. ახალი თაობის წინაშე უფრო რთული ამოცანა დგას. არ კმარა, რომ მთელი თქვენი ძალები უნდა გააერთიანოთ, რათა მხარი დაუჭიროთ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას კაპიტალისტების შემოსევის წინააღმდეგ. ეს თქვენ უნდა გააკეთოთ. ეს თქვენ ჩინებულად გაიგეთ, ეს ნათლად აქვს წარმოდგენილი კომუნისტს. მაგრამ ეს საკმარისი არაა. თქვენ უნდა ააშენოთ კომუნისტური საზოგადოება. საქმის პირველი ნახევარი მრავალი მხრივ გაკეთებულია. ძველი დანგრეულია ისე, როგორც საჭირო იყო მისი დანგრევა; ის წარმოადგენს ნანგრევებს ისე, როგორც საჭირო იყო

მისი ნანგრევებად ქცევა. ნიადაგი გაწმენდილია, და ამ ნიადაგზე ახალგაზრდა კომუნისტურმა თაობამ უნდა აშენოს კომუნისტური საზოგადოება. თქვენს წინაშე მშენებლობის ამოცანაა, და თქვენ მის გადაწყვეტას მხოლოდ მაშინ შეძლებთ, თუ დაეუფლებით მთელ თანამედროვე ცოდნას, თუ უნარი გექნებათ — კომუნიზმი მზამზარეული დასწავლილი ფორმულებიდან, რჩევა-დარიგებებიდან, რეცეპტებიდან, ბრძანებებიდან, პროგრამებიდან გადააქციოთ იმ ცოცხალ რამედ, რაც აერთიანებს თქვენს უშუალო მუშაობას, გადააქციოთ კომუნიზმი თქვენი პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელოდ.

აი თქვენი ამოცანა, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეთ თქვენ მთელი ახალგაზრდა თაობის განათლების, აღზრდის, ამაღლების საქმეში. თქვენ უნდა იქნეთ კომუნისტური საზოგადოების პირველი მშენებელნი იმ მილიონობით მშენებელთა შორის, რომელთა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს ყოველი ახალგაზრდა კაცი, ყოველი ახალგაზრდა ქალი. თუ კომუნიზმის ამ მშენებლობაში არ იქნა ჩაბმული მუშა და გლეხი ახალგაზრდობის მთელი მასა, ისე თქვენ კომუნისტურ საზოგადოებას ვერ ააშენებთ.

აქ მე ბუნებრივად ვუახლოვდები იმ საკითხს, თუ როგორ უნდა ვასწავლოთ კომუნიზმი, რაში უნდა მდგომარეობდეს ჩვენი ხერხების თავისებურება.

აქ უწინარეს ყოვლისა კომუნისტური მორალის საკითხზე შევჩერდები.

თქვენ უნდა აღზარდოთ თქვენი თავი კომუნისტებად. ახალგაზრდობის კავშირის ამოცანაა ისე მოაწყოს თავისი პრაქტიკული საქმიანობა, რომ ამ ახალგაზრდობამ ისწავლოს, დაირაზმოს, შეკავშირდეს, იბრძოლოს და ამ გზით აღზარდოს თავისი თავი და ყველა ის, ვინც მასში წინამძღოლს ხედავს, აღზარდოს კომუნისტები. საჭიროა, რათა თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის, განათლებისა და სწავლების მთელი საქმე წარმოადგენდეს მასში კომუნისტური მორალის აღზრდას.

მაგრამ არსებობს თუ არა კომუნისტური მორალი? არსებობს თუ არა კომუნისტური ზნეობა? რა თქმა უნდა, არსებობს. ხშირად საქმეს ისე წარმოიდგენენ, თითქოს ჩვენ არ გვქონდეს ჩვენი მორალი, და ძალიან ხშირად ბურჟუაზია ბრალს გვდებს, თითქოს ჩვენ, კომუნისტები, უარვყოფდეთ ყოველგვარ მორალს. ეს ცნებათა აღრევის ხერხია, მუშებისა და გლეხებისათვის თვალისახვევაა.

რა აზრით უარვყოფთ ჩვენ მორალს, უარვყოფთ ზნეობას?

იმ აზრით, რა აზრითაც ქადაგებდა მას ბურჟუაზია, რომელსაც ეს ზნეობა ღვთის ნებიდან გამოყავდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამის შესახებ ვამბობთ, რომ ღმერთი არა გვწამს, და ძალიან კარგად ვიცით, რომ ღმერთის სახელით ლაპარაკობდა სამღვდელოება, ლაპარაკობდნენ მემამულენი, ლაპარაკობდა ბურჟუაზია, რათა გაეტარებინათ თავიანთი ექსპლოატატორული ინტერესები. ანდა, ნაცვლად იმისა, რომ ეს მორალი გამოეყვანათ ზნეობის კარნახიდან, ღმერთის ნებიდან, მათ ის გამოყავდათ იდეალისტური თუ ნახევრადიდეალისტური ფრაზებიდან, რომლებიც ყოველთვის იმასვე ნიშნავდა, რაც ძალიან მიაგავს ღმერთის ნებას.

ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ ასეთ ზნეობას, რომელიც აღებულია გარეშეკაცობრიული, გარეშეკლასობრივი ცნებიდან. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს მოტყუებაა, გაბრიყვებაა, მუშათა და გლეხთა ჭკუის დაჩლუნგებაა მემამულეებისა და კაპიტალისტების სასარგებლოდ.

ჩვენ ვამბობთ, რომ ჩვენი ზნეობა სავსებით ექვემდებარება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს. ჩვენი ზნეობა გამოიყვანება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებიდან.

ძველი საზოგადოება ემყარებოდა მემამულეებისა და კაპიტალისტების მიერ ყველა მუშისა და გლეხის ჩაგვრას. ჩვენ ეს უნდა დაგვენგრია, საჭირო იყო ჩამოგვეგდო ისინი, მაგრამ ამისთვის საჭიროა გაერთიანების შექმნა. ღმერთი ასეთ გაერთიანებას ვერ შექმნის.

ასეთი გაერთიანება შეეძლოთ შეექმნათ მხოლოდ ფაბრიკებს, ქარხნებს, მხოლოდ პროლეტარიატს, გაწვრთნილს და დიდი ხნის ძილისაგან გამოღვიძებულს. მხოლოდ მაშინ, როცა ეს კლასი შეიქმნა, მხოლოდ მაშინ დაიწყო მასობრივი მოძრაობა, რომელსაც მოყვა ის, რასაც ახლა ვხედავთ: პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება ერთ-ერთ ყველაზე სუსტ ქვეყანაში, რომელიც სამი წელიწადია თავს იცავს მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის შემოტევისაგან. და ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ იზრდება პროლეტარული რევოლუცია მთელ მსოფლიოში. ჩვენ ახლა გამოცდილების საფუძველზე ვამბობთ, რომ მხოლოდ პროლეტარიატს შეეძლო შეექმნა ისეთი დარაზმული ძალა, რომელსაც მიყვება დაქსაქსული, დაქუცმაცებული გლეხობა და რომელმაც გაუძლო ექსპლოატატორთა ყველა შემოტევას. მხოლოდ ამ კლასს შეუძლია დაეხმაროს მშრომელ მასებს — გაერთიანდნენ, შეკავშირდნენ და საბოლოოდ დაიცვან, საბოლოოდ განამტკიცონ კომუნისტური საზოგადოება, საბოლოოდ ააშენონ იგი.

აი რატომ ვამბობთ ჩვენ: ჩვენთვის არ არსებობს ზნეობა, აღებული ადამიანთა საზოგადოების გარეშე; ეს მოტყუებაა. ჩვენთვის

ზნეობა ემორჩილება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინ-ტერესებს.

ხოლო რაში მდგომარეობს ეს კლასობრივი ბრძოლა? ესაა — მეფის ჩამოგდება, კაპიტალისტების ჩამოგდება, კაპიტალისტთა კლასის მოსპობა.

ხოლო რა არის კლასები საერთოდ? ეს ისაა, რაც საზოგადოების ერთ ნაწილს საშუალებას აძლევს მიითვისოს მეორე ნაწილის შრომა. თუ საზოგადოების ერთი ნაწილი ითვისებს მთელ მიწას, მაშინ ჩვენ გვყავს მემამულეთა და გლეხთა კლასები. თუ საზოგადოების ერთ ნაწილს აქვს ფაბრიკები და ქარხნები, აქვს აქციები და კაპიტალი, ხოლო მეორე ნაწილი მუშაობს ამ ფაბრიკებში, — მაშინ ჩვენ გვყავს კაპიტალისტთა და პროლეტართა კლასები.

მეფის გაგდება ძნელი არ იყო, — ამას სულ რამდენიმე დღე დას-ჭირდა. ძალიან ძნელი არ იყო მემამულეების გაგდება, — ეს შეიძ-ლებოდა რამდენიმე თვეში გაკეთებულიყო; ძალიან ძნელი არც კაპი-ტალისტების გაგდებაა. მაგრამ კლასების მოსპობა შეუდარებლად უფრო ძნელია; მუშებად და გლეხებად დაყოფა ისევ დარჩენილია. თუ გლეხი ზის მიწის ცალკე ნაკვეთზე და ითვისებს ზედმეტ პურს, ე. ი. პურს, რომელიც არ სჭირდება არც მას, არც მის პირუტყვს, ხოლო ყველა დანარჩენი უპუროდ რჩება, — მაშინ გლეხი უკვე ექს-პლოატატორი ხდება. რაც უფრო მეტ პურს იტოვებს ის, მით უფრო ხელსაყრელია მისთვის, სხვებმა კი დაე იშიმშილონ: «რაც უფრო მეტს შიმშილობენ ისინი, მით უფრო ძვირად გავყიდი ამ პურსო». საჭიროა, რათა ყველა მუშაობდეს ერთი საერთო გეგმით საერთო მი-წაზე, საერთო ფაბრიკებსა და ქარხნებში და საერთო განრიგით. მე-რედა, ადვილია ამის გაკეთება? თქვენ ხედავთ, რომ აქ საქმის მოგ-ვარება ისე ადვილი არ არის, როგორც მეფის, მემამულეებისა და კაპიტალისტების გაგდება. აქ საჭიროა, რათა პროლეტარიატმა ხე-ლახლა აღზარდოს, გარდაქმნას გლეხების ნაწილი, თავის მხარეზე გადმოიყვანოს ისინი, ვინც მშრომელი გლეხებია, რათა მოსპოს იმ გლეხების წინააღმდეგობა, რომელნიც მდიდრები არიან და ჯიბეს ისქელებენ დანარჩენების გაჭირვებით. მაშასადამე, პროლეტარია-ტის ბრძოლის ამოცანა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა იმით, რომ მეფე ჩამოვაგდეთ, მემამულეები და კაპიტალისტები განვდევნეთ, და სწორედ მის დამთავრებაში მდგომარეობს იმ წყობილების ამო-ცანა, რომელსაც ჩვენ პროლეტარიატის დიქტატურას ვუწოდებთ.

კლასობრივი ბრძოლა გრძელდება; მან მხოლოდ თავისი ფორმები შეიცვალა. ეს არის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლა იმისათ-

ვის, რომ ძველი ექსპლოატატორები ვეღარ დაბრუნდნენ, რომ ერთ კავშირში გაერთიანდეს შეუგნებელი გლეხობის დაქსაქსული მასა. კლასობრივი ბრძოლა გრძელდება, და ჩვენი ამოცანაა მთელი ინტერესები დავუმორჩილოთ ამ ბრძოლას. და ჩვენც ამ ამოცანას ვუმორჩილებთ ჩვენს კომუნისტურ ზნეობას. ჩვენ ვამბობთ: ზნეობა — ეს ისაა, რაც ემსახურება ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების დანგრევას და ყველა მშრომელის გაერთიანებას პროლეტარიატის გარშემო, რომელიც კომუნისტთა ახალ საზოგადოებას ქმნის.

კომუნისტური ზნეობა — ეს ის ზნეობაა, რომელიც ემსახურება ამ ბრძოლას, რომელიც მშრომელებს აერთიანებს ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ყოველგვარი წვრილი საკუთრების წინააღმდეგ, ვინაიდან წვრილი საკუთრება ერთ პიროვნებას აძლევს იმას, რაც მთელი საზოგადოების შრომას შეუქმნია. მიწა ჩვენში საზოგადო საკუთრებად ითვლება.

მაგრამ თუ მე ამ საზოგადო საკუთრებიდან განსაზღვრულ ნაკვეთს ვიღებ, მომყავს მასზე ორჯერ მეტი პური, ვიდრე მესაჭიროება, და ნაჭარბი პურით სპეკულაციას ვეწევი? თუ მე ვმსჯელობ, რომ რაც უფრო მეტი იქნება მშიერი, მით უფრო მეტს მომცემენ? განა მაშინ მე ისე ვიქცევი, როგორც კომუნისტი? არა, ისე ვიქცევი, როგორც ექსპლოატატორი, როგორც მესაკუთრე. ამას უნდა ვებრძოლოთ. თუ ამას ასე დავტოვებთ, მაშინ ყველაფერი უკან დაქანდება, კაპიტალისტების ხელისუფლებისაკენ, ბურჟუაზიის ხელისუფლებისაკენ, როგორც ეს არა ერთხელ მომხდარა წინანდელ რევოლუციებში. და შეუძლებელი რომ გავხადოთ კაპიტალისტებისა და ბურჟუაზიის ხელისუფლების კვლავ აღდგენა, ამისათვის საჭიროა აღარ დავუშვათ ჩარჩობა, ამისათვის საჭიროა, რათა ცალკე პირები არ შდიდრდებოდნენ დანარჩენების ხარჯზე, ამისათვის საჭიროა, რათა შშრომელნი მჭიდროდ შეუკავშირდნენ პროლეტარიატს და შეადგინონ კომუნისტური საზოგადოება. სწორედ ეს არის მთავარი თავისებურება იმისა, რაც კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირისა და ორგანიზაციის ძირითად ამოცანას შეადგენს.

ძველი საზოგადოება დამყარებული იყო ასეთ პრინციპზე: ან შენ ძარცვავ სხვას, ან სხვა გძარცვავს შენ, ან შენ მუშაობ სხვისთვის, ან სხვა მუშაობს შენთვის, ან მონათმფლობელი ხარ, ან მონა. და გასაგებია, რომ ასეთ საზოგადოებაში აღზრდილი ადამიანები, შეიძლება ითქვას, დედის რძესთან ერთად ითვისებენ ფსიქოლოგიას, ჩვეულებას, ცნებას — ან მონათმფლობელი, ან მონა, ან წვრილი მესაკუთრე, წვრილი მოსამსახურე, წვრილი მოხელე, ინტელიგენტი, — ერთი

სიტყვით ადამიანი, რომელიც მარტო იმაზე ზრუნავს რომ თავისი ჰქონდეს, სხვისი ჯავრი კი არა აქვს.

თუ მე მეურნეობას ვეწევი ამ ნაკვეთ მიწაზე, სხვას აღარავის დავეძებ; თუ სხვა იშიმშილებს, მით უკეთესია, — უფრო ძვირად გავყიდი ჩემს პურს. თუ მე მაქვს ჩემი ადგილი, როგორც ექიმს, ინჟინერს, მასწავლებელს, მოსამსახურეს, — სხვას აღარავის დავეძებ. ძლიერთათვის ხელის შეწყობით, მათი გულის მოგებით იქნებ შევინარჩუნო ჩემი ადგილი, დავწინაურდე კიდეც, ბურჟუა გავხდე. ასეთი ფსიქოლოგია და ასეთი სულისკვეთება შეუძლებელია კომუნისტს ჰქონდეს. როდესაც მუშებმა და გლეხებმა დაამტკიცეს, რომ ჩვენ საკუთარი ძალ-ღონით შეგვიძლია თავი დავიცვათ და ახალი საზოგადოება შევქმნათ, აი სწორედ მაშინ დაიწყო ახალი კომუნისტური აღზრდა, აღზრდა ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში, აღზრდა პროლეტარიატთან კავშირში, ეგოისტებისა და წვრილი მესაკუთრეების წინაღმდეგ, იმ ფსიქოლოგიისა და იმ ჩვეულებათა წინააღმდეგ, რომელიც ამბობს: მე ჩემს მოგებას ვესწრაფვი, დანარჩენთან კი არა მესაქმება რაო.

აი როგორია პასუხი იმ კითხვაზე, თუ როგორ უნდა სწავლობდეს კომუნიზმს მოზარდი ახალი თაობა.

მას მხოლოდ იმით შეუძლია ისწავლოს კომუნიზმი, თუ თავისი სწავლის, აღზრდისა და განათლების ყოველ ნაბიჯს დაუკავშირებს პროლეტართა და მშრომელთა განუწყვეტელ ბრძოლას ძველი ექსპლოატატორული საზოგადოების წინააღმდეგ. როდესაც გველაპარაკებიან ზნეობის შესახებ, ჩვენ ვამბობთ: კომუნისტისათვის მთელი ზნეობა ამ შეკავშირებულ სოლიდარულ დისციპლინაში და ექსპლოატატორთა წინააღმდეგ შეგნებულ მასობრივ ბრძოლაში მდგომარეობს. ჩვენ მარადიული ზნეობა არა გვწამს და ვააშკარავებთ ზნეობის შესახებ ყოველგვარი ზღაპრების სიცრუეს. ზნეობა იმას ემსახურება, რომ ადამიანთა საზოგადოება უფრო ამაღლდეს, განთავისუფლდეს შრომის ექსპლოატაციისაგან.

ამის განსახორციელებლად საჭიროა ახალგაზრდობის ის თაობა, რომელმაც შეგნებულ ადამიანებად გახდომა იწყო ბურჟუაზიასთან თავგანწირული დისციპლინირებული ბრძოლის პირობებში. ამ ბრძოლაში აღზრდის ის ნამდვილ კომუნისტებს, ამ ბრძოლას უნდა დაუმორჩილოს და დაუკავშიროს მან ყოველი ნაბიჯი თავისი სწავლის, განათლებისა და აღზრდის საქმეში. კომუნისტური ახალგაზრდობის აღზრდა იმაში კი არ უნდა მდგომარეობდეს, რომ მას მოასმენინონ ყოველგვარი დამატკბობელი სიტყვები და წესები ზნეობის შესახებ.

ეს არ არის აღზრდა. როდესაც ადამიანები ხედავდნენ, როგორ გმინავდნენ მათი მამები და დედები მემამულეთა და კაპიტალისტთა უღელქვეშ, როცა ისინი თვითონ მონაწილეობდნენ იმ ტანჯვა-წვალებაში, რომელიც თავს ატყდებოდა იმათ, ვინც ბრძოლას იწყებდა ექსპლოატატორების წინააღმდეგ, როცა ისინი ხედავდნენ, თუ რაოდენ მსხვერპლს მოითხოვდა ამ ბრძოლის განგრძობა მონაპოვრის შესანარჩუნებლად, რა გააფთრებულ მტერს წარმოადგენენ მემამულენი და კაპიტალისტები, — მაშინ ამგვარ პირობებში ეს ადამიანები კომუნისტებად იზრდებიან. კომუნისტურ ზნეობას საფუძვლად უდევს ბრძოლა კომუნიზმის განმტკიცებისა და დამთავრებისათვის. აი რა არის კომუნისტური აღზრდის, განათლებისა და სწავლის საფუძველიც. აი როგორია პასუხი იმ კითხვაზე, თუ რანაირად უნდა ვისწავლოთ კომუნიზმი.

ჩვენ არ ვიწამებდით სწავლას, აღზრდას და განათლებას, ის რომ მხოლოდ სკოლაში ყოფილიყო ჩაკეტილი და მშფოთვარე ცხოვრებას მოწყვეტილი. სანამ მუშები და გლეხები დაჩაგრული არიან მემამულეებისა და კაპიტალისტების მიერ, სანამ სკოლები მემამულეთა და კაპიტალისტთა ხელშია, ახალგაზრდა თაობა ბრმა და ბნელი რჩება. ჩვენი სკოლა კი ახალგაზრდობას უნდა აძლევდეს ცოდნის საფუძვლებს, აძლევდეს უნარს თვითონ შეიმუშაოს კომუნისტური შეხედულებანი, უნდა ჰქმნიდეს მათგან განათლებულ ადამიანებს. ჩვენმა სკოლამ იმ ხნის განმავლობაში, როცა ადამიანები იქ სწავლობენ, ისინი ექსპლოატატორთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის მონაწილეებად უნდა გახადოს. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი მხოლოდ მაშინ გაამართლებს თავის სახელწოდებას, — რომ ის კომუნისტური ახალგაზრდა თაობის კავშირია, — თუ იგი თავისი სწავლის, აღზრდის, განათლების ყოველ ნაბიჯს დაუკავშირებს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ყველა მშრომელის საერთო ბრძოლაში მონაწილეობას. ვინაიდან თქვენ მშვენივრად იცით, რომ სანამ რუსეთი ერთადერთ მუშურ რესპუბლიკად რჩება, ხოლო მთელ დანარჩენ მსოფლიოში ძველი ბურჟუაზიული წესწყობილება არსებობს, ჩვენ მათზე სუსტნი ვართ; რომ ყოველთვის გვემუქრება ახალი შემოტევა; რომ მხოლოდ მაშინ, თუ ვისწავლით მჭიდროდ შეკავშირებას და ერთსულოვნებას, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ ჩვენ შემდგომ ბრძოლაში, და, გავმაგრდებით რა, მართლაც უძლეველნი გავხდებით. ამრიგად, კომუნისტად ყოფნა ნიშნავს იმას, რომ რაზმავდე და აერთიანებდე მთელ მოზარდ თაობას, აღზრდისა და დისციპლინის მაგალითს აძლევდე ამ ბრძოლაში. მაშინ შეძლებთ თქვენ დაიწყოთ და

ბოლომდე მიიყვანოთ კომუნისტური საზოგადოების შენობის აგება.

ეს რომ უფრო ნათელი გახდეს თქვენთვის, მოვიყვან მაგალითს. ჩვენ კომუნისტებს ვეძახით ჩვენს თავს. რა არის კომუნისტი? კომუნისტი ლათინური სიტყვაა. კომუნის — ნიშნავს საზოგადოს. კომუნისტური საზოგადოება ნიშნავს იმას, რომ ყველაფერი საზოგადოა: მიწა, ფაბრიკები, საერთო შრომა, — აი რა არის კომუნიზმი.

ხოლო შეიძლება კი შრომა საზოგადო იყოს, თუ თვითეული ადამიანი თავის მეურნეობას განცალკევებულ ნაკვეთ მიწაზე ეწევა? საერთო შრომას ერთბაშად ვერ შექმნი. ეს შეუძლებელია. ეს ციდან არ ვარდება. ეს ჯაფით, ტანჯვით უნდა მოიპოვო, შექმნა. ეს ბრძოლის მსვლელობაში იქმნება. ეს ძველი წიგნი როდია — წიგნს არავინ დაუჯერებდა. აქ საკუთარი ცხოვრების გამოცდილებაა. როდესაც კოლჩაკი და დენიკინი ციმბირიდან და სამხრეთიდან მოდიოდნენ. გლეხები მათს მხარეზე იყვნენ. ბოლშევიზმი მათ არ მოსწონდათ, რადგანაც ბოლშევიკებს პური მტკიცე ფასებში მიაქვთ. ხოლო როცა გლეხებმა ციმბირსა და უკრაინაში გამოსცადეს კოლჩაკისა და დენიკინის ხელისუფლება, მათ შეიგნეს, რომ გლეხს არჩევანი აღარ დარჩენია: ან წადი კაპიტალისტთან და ის მემამულეს მისცემს მონად შენს თავს, ან გაყევი მუშას, რომელიც, მართალია, რძის მდინარეს და თაფლის ნაპირებს არ გპირდება, რომელიც მოითხოვს შენგან რკინისებურ დისციპლინას და სიმტკიცეს მძიმე ბრძოლაში, მაგრამ განთავისუფლებს შენ კაპიტალისტებისა და მემამულეების მონობისაგან. როდესაც შეუგნებელმა გლეხებმაც კი გაიგეს და დაინახეს ეს საკუთარი გამოცდილებით, მაშინ ისინი კომუნიზმის შეგნებული, მძიმე სკოლაგამოვლილი მომხრეები გახდნენ. სწორედ ასეთი გამოცდილება უნდა დაუდვას საფუძვლად მთელ თავის მოღვაწეობას ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა.

მე ვუპასუხე იმ კითხვებზე, თუ რა უნდა ვისწავლოთ, რა უნდა ავიღოთ ძველი სკოლიდან და ძველი მეცნიერებიდან. მე ვეცდები იმ კითხვაზეც ვუპასუხო, თუ როგორ უნდა ვისწავლოთ ეს: მხოლოდ იმით, რომ თვითეული ნაბიჯი ჩვენი მოქმედებისა სკოლაში, აღზრდის, განათლებისა და სწავლის თვითეული ნაბიჯი განუყრელად დავუკავშიროთ ყველა მშრომელის ბრძოლას ექსპლოატატორთა წინააღმდეგ.

ახალგაზრდობის ამა თუ იმ ორგანიზაციის მუშაობის გამოცდილებიდან აღებული რამდენიმე მაგალითით მე თქვენ თვალსაჩინოდ დაგანახვებთ, თუ როგორ უნდა წარმოებდეს კომუნიზმის ეს აღზრდა. ყველა ლაპარაკობს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის

შესახებ. თქვენ იცით, რომ წერა-კითხვის უცოდინარ ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენება არ შეიძლება. არ კმარა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ ბრძანოს, ან პარტიამ მისცეს განსაზღვრული ლოზუნგი, ან ამ საქმეში ჩავაბათ საუკეთესო მუშაკების განსაზღვრული ნაწილი. ამისათვის საჭიროა, რათა თვით ახალმა თაობამ მოკიდოს ამ საქმეს ხელი. კომუნიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ახალგაზრდობამ, იმ ახალგაზრდა ქალ-ვაჟებმა, რომელნიც ახალგაზრდობის კავშირში არიან, თქვან: ეს ჩვენი საქმეა, ჩვენ შეეერთდებით და წავალთ სოფლად, რომ მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა, რომ ჩვენს მოზარდ თაობას აღარ ჰყავდეს წერა-კითხვის უცოდინარნიო. ჩვენი მისწრაფებაა, რომ მოზარდი ახალგაზრდობის თვითმოქმედება ამ საქმეს მოხმარდეს. თქვენ იცით, რომ ბნელი, წერა-კითხვის უცოდინარი რუსეთის მოკლე ხანში გადაქცევა წერა-კითხვის მცოდნე ქვეყნად შეუძლებელია; მაგრამ თუ ამ საქმეს ხელს მოკიდებს ახალგაზრდობის კავშირი, თუ მთელი ახალგაზრდობა იმუშაევებს ყველას სასარგებლოდ, მაშინ ამ კავშირს, რომელიც აერთიანებს 400 000 ახალგაზრდა ქალ-ვაჟს, უფლება აქვს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სახელი ატაროს. კავშირის ამოცანას ისიც შეადგენს, რომ, შეითვისებს რა ამა თუ იმ ცოდნას, დაეხმაროს იმ ახალგაზრდობას, რომელსაც თვითონ არ შეუძლია განთავისუფლდეს უცოდინარობის სიბნელისაგან. ახალგაზრდობის კავშირის წევრად ყოფნა ნიშნავს — საქმე ისე წარმართო, რომ მთელი შენი შრომა, მთელი შენი ძალ-ღონე საზოგადო საქმეს მოახმარო. აი ამაში მდგომარეობს კომუნისტური აღზრდა. მხოლოდ ამნაირი მუშაობით იქცევა ნამდვილ კომუნისტად ახალგაზრდა კაცი თუ ქალი. მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებიან ისინი კომუნისტებად, თუ ამ მუშაობით შეძლებენ პრაქტიკულ წარმატებათა მიღწევას.

მაგალითისათვის აიღეთ საგარეუბნო ბოსტნებში მუშაობა. განა ეს საქმე არ არის? ეს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი ამოცანაა. ხალხი შიმშილობს, ფაბრიკებსა და ქარხნებში შიმშილია. თავი რომ ვიხსნათ შიმშილისაგან, უნდა გავაშენოთ ბოსტნები, მაგრამ მიწათმოქმედება ძველებურად წარმოებს. და აი საჭიროა, რათა საქმეს ხელი მოკიდონ უფრო შეგნებულმა ელემენტებმა, — მაშინ თქვენ დაინახავთ, რომ ბოსტნები გადიდდება, მათი ფართობი მოიმატებს, შედეგები გაუმჯობესდება. ამ საქმეში ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს. თვითეული კავშირი თუ კავშირის თვითეული უჯრედი ამ საქმეს თავის საქმედ უნდა თვლიდეს.

კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი უნდა იყოს დამკვრელი ჯგუფი, რომელიც ყოველ მუშაობაში გვიწევს დახმარებას, ყველაფერში იჩენს თავის ინიციატივას, თაოსნობას. კავშირი ისეთი უნდა იყოს, რომ ყოველი მუშა ხედავდეს მასში ისეთ ადამიანებს, რომელთა სწავლა, შესაძლებელია, მისთვის გაუგებარი იყოს, რომელთა სწავლას მან, შეიძლება, ერთბაშად არც დაუჯეროს, მაგრამ მათი ცოცხალი მუშაობით, მათი მოქმედებით მან უნდა დაინახოს, რომ ესენი მართლა ის ადამიანები არიან, რომლებიც მას სწორ გზას უჩვენებენ.

თუ ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა ყველა დარგში ვერ მოახერხა თავისი მუშაობის ასე მოწყობა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ფეხი უცდება ძველი, ბურჟუაზიული გზისაკენ. ჩვენი აღზრდა უნდა შევუერთოთ მშრომელთა ბრძოლას ექსპლოატატორების წინააღმდეგ, რათა პირველთ დავეხმაროთ იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებიც კომუნიზმის მოძღვრებიდან გამომდინარეობენ.

კავშირის წევრებმა თავიანთი ყოველი თავისუფალი საათი უნდა მოახმარონ იმას, რომ გააუმჯობესონ ბოსტანი, ანდა რომელიმე ფაბრიკაში თუ ქარხანაში მოაწყონ ახალგაზრდობის სწავლა და სხვ... ჩვენ გვინდა რუსეთი ღატაკი და უბადრუკი ქვეყნიდან მდიდარ ქვეყნად გადავაქციოთ. და საჭიროა, რომ ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა თავისი განათლება, თავისი სწავლა და აღზრდა შეაერთოს მუშათა და გლეხთა შრომასთან, რომ ის არ ჩაიკეტოს თავის სკოლებში და არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ კომუნისტური წიგნებისა და ბროშურების კითხვით. მხოლოდ მუშებსა და გლეხებთან საერთო შრომაში შეიძლება გახდეთ ნამდვილი კომუნისტები. და საჭიროა ყველამ დაინახოს, რომ ყველა, ვინც კი ახალგაზრდობის კავშირში შედის, მცოდნეა და ამავე დროს მას მუშაობაც შეუძლია. როცა ყველა დაინახავს, რომ ძველი სკოლიდან ჩვენ განვდევნეთ ძველებური წვრთნა, შევცვალეთ რა იგი შეგნებული დისციპლინით, რომ ყოველი ახალგაზრდა ადამიანი მონაწილეობას იღებს შაბათობაში, რომ ისინი იყენებენ თვითეულ საგარეუბნო მეურნეობას მოსახლეობისათვის დახმარების გასაწევად, მაშინ ხალხი ისე აღარ შეხედავს შრომას, როგორც მას წინათ უყურებდნენ.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამოცანა ისაა, რომ სოფლად ან თავის უბანში მოაწყოს დახმარება ისეთ საქმეში, — ვიღებ პატარა მაგალითს, — როგორიცაა სისუფთავის დაცვა ან საჭმლის განაწილება. როგორ ხდებოდა ეს ძველ კაპიტალისტურ საზოგადოებაში? თვითეული მხოლოდ თავისთვის მუშაობდა, იმას კი არა-

ვინ დაეძებდა, არიან თუ არა აქ მოხუცები ან ავადმყოფები, ან შეიძლება მთელი მეურნეობა კისერზე აწევს მარტო ქალს, რომელიც ამის გამო დაბეჩავებულ და დამოხებულ მდგომარეობაში იმყოფება. ვინ უნდა ებრძოდეს ამას? ახალგაზრდობის კავშირები, რომლებმაც უნდა თქვან: ჩვენ ამას გადავაკეთებთ, შევქმნით ახალგაზრდათა რაზმებს, რომელნიც სისტემატურად ჩამოივლიან სახლებს და ხელს შეუწყობენ სისუფთავის დაცვას ან საჭმლის განაწილებას, რომელნიც ორგანიზებულად იმოქმედებენ მთელი საზოგადოების სასარგებლოდ, წესიერად გაანაწილებენ ძალებს და ყველას დაანახვებენ, რომ შრომა ორგანიზებული შრომა უნდა იყოს.

იმ თაობას, რომლის წარმომადგენლები ახლა დაახლოებით 50 წლისა არიან, არ შეუძლია იმედი ქონდეს, რომ მოესწრება კომუნისტურ საზოგადოებას. ეს თაობა მანამდე გადავა. ხოლო ის თაობა, რომელიც ახლა 15 წლისაა, აი ის მოესწრება კომუნისტურ საზოგადოებას და თვითონ იქნება ამ საზოგადოების მშენებელი. და მან უნდა იცოდეს, რომ მისი ცხოვრების მთელი ამოცანა — ამ საზოგადოების მშენებლობაა. ძველ საზოგადოებაში შრომა წარმოებდა ცალკეულ ოჯახად, და არავინ არ აერთიანებდა მას, გარდა მემამულეებისა და კაპიტალისტებისა, რომელნიც ხალხის მასებს ჩაგრავდნენ. ყოველი შრომა, როგორი ჭუჭყიანი და ძნელიც უნდა იყოს იგი, ჩვენ ისე უნდა მოვაწყოთ, რომ თვითეული მუშა და გლეხი თავისთავს უყურებდეს ამგვარად: მე ნაწილი ვარ თავისუფალი შრომის დიადი არმიისა და თვითონ შევძლებ მოვაწყო ჩემი ცხოვრება უმემამულეებოდ და უკაპიტალისტებოდ, შევძლებ დავამყარო კომუნისტური წესწყობილება. საჭიროა, რომ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი შეგნებულ და დისციპლინირებულ შრომაში ზრდიდეს ყველას ახალგაზრდობიდანვე. აი რანაირად შეგვიძლია ჩვენ იმედი ვიქონიოთ, რომ ამჟამად დასმული ამოცანები გადაწყვეტილ იქნება. ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ არა ნაკლებ 10 წელი დაგვჭირდება ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციისათვის, რათა ჩვენს გაღატაკებულ ქვეყანას მომსახურება გაეწიოს ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა მიხედვით. და აი, იმ თაობამ, რომელიც ახლა 15 წლისაა და რომელიც 10 — 20 წლის შემდეგ კომუნისტურ საზოგადოებაში იცხოვრებს, თავისი სწავლის ყველა ამოცანა ისე უნდა დააყენოს, რომ ყოველდღე ყოველ სოფელში, ყოველ ქალაქში ახალგაზრდობა პრაქტიკულად წყვეტდეს საერთო შრომის ამა თუ იმ, თუნდაც სულ მცირე, თუნდაც სულ უბრალო ამოცანას. იმისდაკვალად, რამდენადაც ეს მოხდება თვითეულ სოფელში, იმისდაკვალად, რამდენადაც გან-

ვითარდება კომუნისტური შეჯიბრება, იმისდაკვალად, რამდენადაც ახალგაზრდობა დაამტკიცებს, რომ მას შესწევს თავისი შრომის გაერთიანების უნარი, ამისდაკვალად უზრუნველყოფილი იქნება კომუნისტური მშენებლობის წარმატება. მხოლოდ იმით, რომ თვითეულ თავის ნაბიჯს ამ მშენებლობის წარმატების თვალსაზრისით შეხედავს, მხოლოდ იმით, რომ მუდამ შეეკითხება თავისთავს: ყველაფერი გავაკეთეთ თუ არა იმისათვის რომ გაერთიანებული, შეგნებული მშრომელები ვიყოთო, მხოლოდ ამით გააკეთებს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი იმას, რომ ნახევარ მილიონ თავის წევრს შრომის ერთ არმიად გააერთიანებს და საყოველთაო პატივისცემას დაიმსახურებს. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 31.
გვ. 538 — 560

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

«პროლეტკულტის» და პროლეტარული კულტურის შესახებ [115]

1

ბარათი მ. ნ. პოკროვსკის

აგვისტო 1920

ამხ. პოკროვსკის

1) როგორია პროლეტკულტის იურიდიული მდგომარეობა?
2) როგორია და 3) ვის მიერაა დანიშნული მისი ხელმძღვანელი ცენტრი?
4) რამდენს აძლევთ მას ფინანსებს განათლების სახალხო კომისარიატიდან?
5) კიდევ რა არის მნიშვნელოვანი პროლეტკულტის მდგომარეობის, როლისა და მუშაობის შედეგების მხრივ.

ლენინი

2

ალნიშვნა მ. ნ. პოკროვსკის ცნობაზე

24 აგვისტო 1920

სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. ი. ლენინს

როგორ გავხადოთ იგი რეალური?

თქვენს შეკითხვაზე პროლეტკულტის შესახებ გაცნობებთ, რომ იგი არის ავტონომიური ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს განათლების სახალხო კომისარიატის კონტროლის ქვეშ და იღებს სუბსიდიას უკანასკნელისაგან. დანარჩენი ცნობები, რომლებიც თქვენ გაინტერესებთ, მოცემულია ამასთან დართულ მოხსენებითს ბარათში...

3

ᲛᲝᲜᲐᲡᲐᲮᲘ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡᲐ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ [116]

8 ოქტომბერი 1920

1. არა განსაკუთრებული იდეები, არამედ მარქსიზმი.
2. არა ახალი პროლეტკულტურის გ ა მ ო გ ო ნ ე ბ ა, არამედ ა რ ს ებ უ ლ ი კულტურის საუკეთესო ნიმუშების, ტრადიციების, შედეგების განვითარება მარქსიზმის მსოფლმხედველობის და პროლეტარიატის დიქტატურის ეპოქაში პროლეტარიატის ცხოვრებისა და ბრძოლის პირობების თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ.
3. არა განათლების სახალხო კომისარიატისაგან განცალკევებულად, არამედ როგორც მისი ნაწილი, ვინაიდან რკპ+განსახკომი=პროლეტკულტის Σ.
4. პროლეტკულტის მჭიდრო კავშირი განსახკომთან და მისდამი დაქვემდებარება.

ლენინის კრებული XXXV,
გვ. 147 — 148

იბეჭდება კრებულის ტექსტის
მიხედვით

პროლეტარული კულტურის შესახებ

«იზვესტიის» 8/X ნომრიდან ჩანს, რომ ამხ. ლუნაჩარსკის პროლეტკულტის ყრილობაზე ულაპარაკნია პირდაპირ იმის საწინააღმდეგო, რაზედაც ჩვენ მას გუშინ შევუთანხმდით.

საჭიროა განსაკუთრებული სისწრაფით მომზადდეს (პროლეტკულტის ყრილობის) რეზოლუციის პროექტი, გატარდეს ც. კ-ში და მოესწროს მისი გატარება პროლეტკულტის ამავე სესიაზე. საჭიროა დღესვე გატარდეს ც. კ-ის სახელით განსახკომის კოლეგიაშიც და პროლეტკულტის ყრილობაზეც, ვინაიდან ყრილობა დღეს თავდება.

რეზოლუციის პროექტი

1. საბჭოთა მუშურ-გლეხურ რესპუბლიკაში განათლების საქმის მთელი დაყენება როგორც პოლიტიკურ-საგანმანათლებლო დარგში საერთოდ, ისე სპეციალურად ხელოვნების დარგში, გამსჭვალული უნდა იყოს პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სულისკვეთებით მისი დიქტატურის მიზნების წარმატებით განხორციელებისათვის, ე. ი. ბურჟუაზიის დამხობისა, კლასების მოსპობისა და ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ექსპლოატაციის აღმოფხვრისათვის.

2. ამიტომ პროლეტარიატმა როგორც თავისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის სახით, ისე ყოველგვარ პროლეტარულ ორგანიზაციათა მთელი მასის სახით საერთოდ, უაღრესად აქტიური და უდიდესი მონაწილეობა უნდა მიიღოს სახალხო განათლების მთელ საქმეში.

3. უახლესი ისტორიის მთელმა გამოცდილებამ და განსაკუთრებით მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ნახევარ საუკუნეზე უფრო ხანგრძლივმა რევოლუციურმა ბრძოლამ დღიდან «კომუნის-

ტური მანიფესტის» გამოქვეყნებისა უცილობლად დაამტკიცა, რომ მხოლოდ მარქსიზმის მსოფლმხედველობა წარმოადგენს რევოლუციური პროლეტარიატის ინტერესების, თვალსაზრისისა და კულტურის სწორ გამოხატულებას.

4. მარქსიზმმა, როგორც რევოლუციური პროლეტარიატის იდეოლოგიამ, თავისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა მოიპოვა იმით, რომ მარქსიზმმა არათუ უკუაგდო ბურჟუაზიული ეპოქის უძვირფასესი მონაპოვარნი, არამედ პირიქით, შეითვისა და გადაამუშავა უკელაფერი, რაც კი ძვირფასი იყო ადამიანის აზრისა და კულტურის ორიათას წელზე უფრო ხანგრძლივ განვითარებაში. ნამდვილი პროლეტარული კულტურის განვითარებად შეიძლება აღიარებულ იქნას მხოლოდ შემდგომი მუშაობა ამ ნიადაგზე და ამავე მიმართულებით,—მუშაობა, რომლის სულისჩამდგმელი იქნება პრაქტიკული გამოცდილება პროლეტარიატის დიქტატურისა, როგორც მისი უკანასკნელი ბრძოლისა ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

5. პროლეტკულტის სრულიად რუსეთის ყრილობა განუხრელად დგას ამ პრინციპულ თვალსაზრისზე და სრულიად გადაჭრით უარყოფს, როგორც თეორიულად არასწორსა და პრაქტიკულად მავნეს, ყოველგვარ ცდას, რომელიც გულისხმობს თავისი განსაკუთრებული კულტურის გამოგონებას, თავის განცალკევებულ ორგანიზაციებში კარჩაკეტილობას, განსახკომისა და პროლეტკულტის მუშაობის სფეროთა გამიჯვნას ან განსახკომის დაწესებულებათა შიგნით პროლეტკულტის «ავტონომიის» შემოღებას და სხვ.. პირიქით, ყრილობა უცილობლივ ავალებს პროლეტკულტის ყველა ორგანიზაციას, რომ მათ სავსებით მიაჩნდეთ თავიანთი თავი განსახკომის დაწესებულებათა ქსელის დამხმარე ორგანოებად და საბჭოთა ხელისუფლებისა (სპეციალურად განსახკომისა) და რუსეთის კომუნისტური პარტიის საერთო ხელმძღვანელობით განახორციელონ თავიანთი ამოცანები, როგორც ნაწილი პროლეტარული დიქტატურის ამოცანებისა.

* *
*

ამხ. ლუნაჩარსკი ამბობს, რომ მისი ნათქვამი დაამახინჯეს. მაგრამ რეზოლუცია მ ი თ უ ფ რ ო არქიაუცილებელია.

1920 წ. 8 ოქტომბერი. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 31, გვ. 380 — 382

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

სიტყვა სახალხო განათლების საგუბერნიო და სამაზრო განყოფილებათა პოლიტგანების სრულიად რუსეთის თათბირზე

1920 წ. 3 ნოემბერს

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ გაგიზიაროთ რამდენიმე აზრი, რომელთაც ნაწილობრივ კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სახკომსაბჭოში შეეხენ მთავპოლიტგანის ორგანიზაციის საკითხის გამო, ნაწილობრივ კი მე დამებადა სახკომსაბჭოში შემოტანილი პროექტის გამო. გუშინ ეს პროექტი მიღებულ იქნა საფუძვლად, ხოლო დაწვრილებით კიდევ ცალკე იქნება განხილული.

ჩემი მხრივ ნებას მივცემ თავს აღენიშნო ეხოლოდ, რომ თქვენი დაწესებულების სახელწოდების შეცვლას მე თავდაპირველად ძალიან უარყოფითად ვუყურებდი. ჩემი აზრით, განსახკომის ამოცანაა დაეხმაროს ადამიანებს ისწავლონ და სხვებს ასწავლონ. ჩემი საბჭოთა გამოცდილების განმავლობაში დავეჩვიე ისე ვუცქირო სხვადასხვანაირ სახელწოდებას, როგორც ბავშვების ხუმრობას, თვითეული სახელწოდება ხომ ერთგვარი ხუმრობაა. ახლა უკვე დამტკიცებულია ახალი სახელწოდება: მთავპოლიტგანი.

ვინაიდან ეს გადაწყვეტილი საკითხია, ამიტომ ჩემი შენიშვნა მიიღეთ მხოლოდ როგორც პირადი შენიშვნა. თუ საქმე მარტო სახელწოდების შეცვლით არ განისაზღვრა, მაშინ ეს მხოლოდ მისალმების ღირსი იქნება.

თუ ჩვენ მოვახერხეთ და ახალი მუშაკები მოვიზიდეთ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის, მაშინ საქმე მარტო ახალ სახელწოდებაში აღარ იქნება. და შესაძლებელი გახდება შევურიგდეთ «საბჭოთა» მიდრეკილებას, რომ ყოველ ახალ საქმეს და ყოველ ახალ დაწესებულებას იარლიყი მიაკრან. წარმატების შემთხვევაში ჩვენ მივაღწევთ იმაზე უფრო დიდ რამეს, რასაც დღემდე მივაღწიეთ.

ყველაზე მთავარი, რამაც უნდა აიძულოს ამხანაგები ჩვენთან ერთად მონაწილეობა მიიღონ ერთობლივს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში, — ეს არის განათლების საკითხი ჩვენს პოლი-

ტიკასთან დაკავშირებით. სახელწოდება შეიძლება ითვალისწინებდეს რამეს, თუ კი ამის საჭიროება არსებობს, ვინაიდან საგანმანათლებლო მუშაობის მთელ ხაზზე ჩვენ არ შეგვიძლია ვიდგეთ განათლების აპოლიტიკურობის ძველ თვალსაზრისზე, არ შეგვიძლია საგანმანათლებლო მუშაობის დაყენება პოლიტიკასთან კავშირის გარეშე.

ასეთი აზრი ბატონობდა და ბატონობს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. სახელწოდება «აპოლიტიკურობა» ანუ «არაპოლიტიკურობა» განათლებისა — ეს არის ბურჟუაზიის თვალთმაქცობა, ეს არის მხოლოდ მოტყუება მასებისა, რომელთა 99% დამცირებულია ეკლესიის ბატონობით, კერძო საკუთრებითა და სხვ. ბურჟუაზიას, რომელიც ბატონობს ყველა ჯერ კიდევ ბურჟუაზიულ ქვეყანაში, სწორედ მასების ასეთი მოტყუება გაუხდია თავის საქმედ.

და რაც უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს აპარატს იქ, მით უფრო ნაკლები თავისუფლება აქვს მას კაპიტალისა და მისი პოლიტიკისაგან.

ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში პოლიტიკური აპარატის კავშირი განათლებასთან მეტად მტკიცეა, თუმცა ამის პირდაპირ აღიარება ბურჟუაზიულ საზოგადოებას არ შეუძლია. ამავე დროს კი, ეს საზოგადოება ეწევა მასების შეგნების დამუშავებას ეკლესიის მეშვეობით, კერძო საკუთრების მთელი ინსტიტუტის მეშვეობით.

ჩვენი ძირითადი ამოცანა, სხვათა შორის, ისაა, რომ ბურჟუაზიულ «სიმართლეს» დავუპირისპიროთ ჩვენი სიმართლე და ვაიძულოთ კიდეც აღიარონ ეს სიმართლე.

ბურჟუაზიული საზოგადოებიდან პროლეტარიატის პოლიტიკაზე გადასვლა ძალიან ძნელი რამ არის, მით უმეტეს, რომ ბურჟუაზია დაუცხრომლად ცილს გვწამებს თავისი პროპაგანდისა და აგიტაციის მთელი აპარატით. იგი რაც შეუძლია დიდი მონდომებით ცდილობს დაჩრდილოს პროლეტარიატის დიქტატურის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი, მისი აღმზრდელობითი ამოცანა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთში, სადაც პროლეტარიატს მოსახლეობის უმცირესობა მიეკუთვნება. ამავე დროს კი ეს ამოცანა აქ პირველ რიგში უნდა იქნას წამოწეული, ვინაიდან ჩვენ სოციალისტური მშენებლობისათვის უნდა მოვამზადოთ მასები. პროლეტარიატის დიქტატურაზე ლაპარაკიც კი არ იქნებოდა შესაძლებელი, პროლეტარიატს რომ არ შეემუშავებინა თავის თავში დიდი შეგნება, დიდი დისციპლინა, დიდი ერთგულება ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ე. ი. ამოცანათა ის ჯამი, რომლის წინ წამოწევაც აუცილებლად საჭიროა პროლეტარიატის სრული გამარჯვებისათვის მის ძველთაძველ მტერზე.

ჩვენ არ ვდგავართ იმ უტოპიურ თვალსაზრისზე, თითქო მშრომელი მასები მომზადებული იყვნენ სოციალისტური საზოგადოებისათვის. მუშათა სოციალიზმის მთელი ისტორიის ზუსტი მონაცემების მიხედვით ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე არ არის, რომ სოციალიზმისათვის მომზადებულობას იძლევა მხოლოდ მსხვილი ინდუსტრია, საგაფიცვო ბრძოლა, პოლიტიკური ორგანიზებულობა. და იმისათვის, რომ გამარჯვება მოიპოვოს, იმისათვის, რომ სოციალისტური გადატრიალება მოახდინოს, პროლეტარიატს უნდა შესწევდეს სოლიდარული მოქმედების, ექსპლოატატორთა დამხობის საქმის უნარი. და ახლა ჩვენ ვხედავთ, რომ ყველა საჭირო უნარი მან მოიპოვა და საქმედაც აქცია, როდესაც ძალაუფლება დაიპყრო.

განათლების მუშაკთათვის და კომუნისტური პარტიისათვის, როგორც ავანგარდისათვის ბრძოლაში, ძირითად ამოცანას უნდა შეადგენდეს ის, რომ დახმარება გაუწიოს მშრომელი მასების აღზრდა-განათლებას, რათა დაძლეულ იქნას ძველი წყობილებისაგან მემკვიდრეობით გადმოცემული ძველი ზნე-ჩვეულებანი, ძველი ჩვევები, მესაკუთრული ჩვევები და ზნე-ჩვეულებანი, რომლებიც მასებს ძვალრბილში გაჯდომია. მთელი სოციალისტური გადატრიალების ეს ძირითადი ამოცანა არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ იმ კერძო საკითხების განხილვისას, რომელნიც პარტიის ც. კ-ისა და სახკომსაბჭოს ესოდენ დიდ ყურადღებას იპყრობდნენ. თუ როგორ უნდა ავაგოთ მთავპოლიტგანი, როგორ შევუერთოთ იგი ცალკეულ დაწესებულებებს, როგორ დავუკავშიროთ არა მარტო ცენტრს, არამედ ადგილობრივ დაწესებულებებსაც, ამ საკითხზე ჩვენ გვიპასუხებენ ამ საქმეში უფრო კომპეტენტური ამხანაგები, რომელთაც უკვე დიდი გამოცდილება აქვთ და ეს საქმე სპეციალურად შეუსწავლიათ. მე მინდა, მხოლოდ ხაზი გავუსვა საქმის პრინციპული მხარის ძირითად მომენტებს. ჩვენ არ შეგვიძლია აშკარად არ დავსვათ საკითხი, აშკარად არ ვაღიაროთ, წინააღმდეგ მთელი ძველი სიცრუისა, რომ განათლება არ შეიძლება დაკავშირებული არ იყოს პოლიტიკასთან.

ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიო ბურჟუაზიასთან ბრძოლის ისტორიულ მომენტში, იმ ბურჟუაზიასთან ბრძოლისა, რომელიც ბევრად და ბევრად ჩვენზე უფრო ძლიერია. ბრძოლის ასეთ მომენტში ჩვენ უნდა დავიცვათ რევოლუციური მშენებლობა, ვიბრძოლოთ ბურჟუაზიის წინააღმდეგ სამხედრო გზითაც და კიდევ უფრო — იდეური გზით, აღზრდის გზით, რათა ის ზნე-ჩვეულებანი, ჩვევანი და რწმენანი, რომელთაც მუშათა კლასი მრავალი ათეული წლების ვანძილზე იმუშავებდა თავის თავში პოლიტიკური თავისუფლებისათვის

ბრძოლაში, რათა ამ ზნე-ჩვეულებათა, ჩვევათა და იდეათა მთელი ჯამი ყველა მშრომელის აღზრდის იარაღი გახდეს, ხოლო იმ საკითხის გადაჭრის ამოცანა, თუ სახელდობრ როგორ აღვზარდოთ, პროლეტარიატს ეკისრება. აუცილებლად საჭიროა აღვზარდოთ იმის შეგნება, რომ არ შეიძლება, შეუწყნარებელია პროლეტარიატის ამ ბრძოლის გარეშე დგომა, რომელიც ამჟამად სულ უფრო და უფრო ედება მსოფლიოს უკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას, შეუწყნარებელია განზე დგომა მთელი საერთაშორისო პოლიტიკისაგან. მსოფლიოს ყველა ძლიერი კაპიტალისტური ქვეყნის გაერთიანება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, — აქ არის ნამდვილი ბაზა დღევანდელი საერთაშორისო პოლიტიკისა. და საჭიროა ვაღიაროთ, რომ ამაზეა დამოკიდებული ასობით მილიონ მშრომელთა ბედი კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამჟამად ხომ დედამიწის ზურგზე არ არის ისეთი კუნჭული, რომელიც ერთ მუჭა კაპიტალისტურ ქვეყნებს არ ემორჩილებოდეს. ამგვარად, მდგომარეობა ისეთ სახეს ღებულობს, რომ აუცილებელია ან განზე გაუდგე ახლანდელ ბრძოლას და ამით ცხადყო საკუთარი სრული შეუგნებლობა, როგორც ეს მოუვიდათ იმ უვიც ადამიანებს, რომელნიც რევოლუციასა და ომს განზე გაუდგნენ და ვერ ხედავენ ბურჟუაზიის მიერ მასების მთელ მოტყუებას, ვერ ხედავენ, რომ ბურჟუაზია შეგნებულად ტოვებს ამ მასებს სიბნელეში, — ან პროლეტარიატის დიქტატურისათვის საბრძოლველად დადგე.

პროლეტარიატის ამ ბრძოლის შესახებ ჩვენ სრულიად აშკარად ვლაპარაკობთ, და საჭიროა თვითეული ადამიანი ან აქეთ, ჩვენს მხარეზე დადგეს, ან იქით მხარეზე. ყოველგვარი ცდა, რომ არც აქეთ დადგნენ და არც იქით, კრახით და სკანდალით მთავრდება.

როდესაც ვაკვირდებოდით კერენშჩინის დაუსრულებელ ნაშთებს, ესერების, სოციალ-დემოკრატების ნაშთებს, რომლებიც იუდენიჩების, კოლჩაკების, პეტლიურების, მახნოებისა და სხვათა სახით მოგვევლინენ, კონტრრევოლუციის ფორმებისა და ფერადების ისეთ სხვადასხვაობას ვხედავდით რუსეთის სხვადასხვა ადგილებში, რომ შეგვიძლია ვთქვათ: ჩვენ უკვე ბევრად უფრო გამოწრთობილნი ვართ, ვიდრე სხვა ვინმე, ხოლო როდესაც დასავლეთ ევროპისაკენ გავიხედავთ, ვხედავთ, რომ იქ მეორდება იგივე, რაც ჩვენში იყო, მეორდება ჩვენი ისტორია. თითქმის ყველგან ბურჟუაზიის გვერდით კერენშჩინის ელემენტები გვხვდება. მთელ რიგ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით გერმანიაში, ეს ელემენტები მეთაურობენ. ყველგან ერთი და იგივე ჩანს: შეუძლებლობა რაიმე შუათანა პოზიციისა და

ნათელი შეგნება — ან თეთრი დიქტატურა (ამისათვის ემზადება დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყნის ბურჟუაზია, რომელიც იარაღს ისხამს ჩვენს წინააღმდეგ), ან პროლეტარიატის დიქტატურა. ჩვენ ეს ისე მწვავედ და ღრმად გამოვცადეთ, რომ რუს კომუნისტებზე სიტყვის გაგრძელება არ დამჭირდება. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნა გამოდის, დასკვნა, რომელიც ქვაკუთხედად უნდა დაედვას მთავპოლიტგანთან დაკავშირებულ ყველა მსჯელობას და აზრთა წყობას. უწინარეს ყოვლისა ამ ორგანოს მუშაობაში აშკარად უნდა იქნას აღიარებული კომუნისტური პარტიის პოლიტიკის მეთაურობა. სხვაგვარ ფორმას ჩვენ არ ვიცნობთ, და სხვაგვარი ფორმა ჯერ არც ერთ ქვეყანას არ შეუმუშავებია. პარტია შეიძლება მეტად თუ ნაკლებად შეესატყვისებოდეს თავისი კლასის ინტერესებს, ის განიცდის ამა თუ იმ ცვლილებას ან შესწორებას, მაგრამ უკეთესი ფორმა ჩვენ ჯერ არ ვიცით, და მთელი ბრძოლა საბჭოთა რუსეთში, რომელიც სამი წლის განმავლობაში აკავებდა მსოფლიო იმპერიალიზმის შემოტევას, დაკავშირებულია იმასთან, რომ პარტია შეგნებულად ისახავს ამოცანად დაეხმაროს პროლეტარიატს შეასრულოს აღმზრდელის, ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის როლი, ის როლი, ურომლისოდაც კაპიტალიზმის დაშლა შეუძლებელია. მშრომელმა მასებმა, გლეხთა და მუშათა მასებმა უნდა დაძლიონ ინტელიგენციის ძველი ჩვევები და ხელახლა აღზარდონ თავიანთი თავი კომუნიზმის მშენებლობისათვის — უამისოდ შეუძლებელია მშენებლობის საქმის დაწყება. მთელი ჩვენი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს მეტად სერიოზული საქმეა, და ამიტომაც მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ პარტია მეთაურის როლს ასრულებს, და ჩვენ ვერ დავივიწყებთ ამას მოქმედების, ორგანიზაციული მშენებლობის საკითხის განხილვისას. თუ როგორ უნდა განვახორციელოთ ეს საქმე, ამაზე კიდევ ბევრი ლაპარაკი დაგვჭირდება; ამაზე მოგვიხდება ლაპარაკი პარტიის ც. კ-შიც და სახკომსაბჭოშიც. ის დეკრეტი, რომელიც გუშინ დამტკიცდა, საფუძველი გახდა მთავპოლიტგანის მიმართ, მაგრამ სახკომსაბჭოში მას ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია მთელი თავისი გზა. ამ დღეებში ეს დეკრეტი გამოქვეყნდება საბოლოოდ რედაქტირებული სახით და მაშინ თქვენ დაინახავთ, რომ პირდაპირი განცხადება პარტიასთან დამოკიდებულების შესახებ იქ არ არის.

მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ და გვახსოვდეს, რომ საბჭოთა რესპუბლიკის მთელი იურიდიული და ფაქტიური კონსტიტუცია იმაზე შენდება, რომ პარტია ყველაფერს ერთი პრინციპით ასწორებს, ნიშნავს და აშენებს, რათა პროლეტარიატთან დაკავშირებულ კომუნის-

ტურ ელემენტებს შეეძლოთ თავიანთი სულისკვეთებით გამსჭვალონ ეს პროლეტარიატი, თავიანთი გავლენის ქვეშ დააყენონ ის, გაათავისუფლონ იგი იმ ბურჟუაზიული მოტყუებისაგან, რომლის მოსპობასაც ჩვენ ესოდენ დიდი ხანია ვცდილობთ. განსაკუთრებულ ბრძოლა გადაიტანა, მასწავლებელთა ორგანიზაცია დიდხანს ებრძოდა სოციალისტურ გადატრიალებას. ამ მასწავლებელთა შორის განსაკუთრებით დამკვიდრდა ბურჟუაზიული ცრურწმენები. აქ დიდხანს მიმდინარეობდა ბრძოლა პირდაპირი საბოტაჟის სახითაც და მტკიცედ შესისხლხორცებულ ბურჟუაზიულ ცრურწმენათა სახითაც, და ჩვენ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ გვიხდება კომუნისტური პოზიციის დაპყრობა. მთავპოლიტგანის წინაშე, რომელიც სკოლის გარეშე სწავლების დარგში მუშაობს, ამ სწავლებისა და მასების განათლების ამოცანას სწყვეტს, განსაკუთრებით მკაფიოდ დგება ამოცანა — შეათავსოს პარტიული ხელმძღვანელობა, დაიმორჩილოს, თავისი სულისკვეთებით გამსჭვალოს, თავისი ინიციატივის ცეცხლით აანთოს ეს უზარმაზარი აპარატი — მასწავლებელთა პერსონალის ნახევარმილიონიანი არმია, რომელიც ამჟამად მუშის სამსახურში იმყოფება. განათლების მუშაკები, მასწავლებელთა პერსონალი აღზრდილი იყვნენ ბურჟუაზიულ ცრურწმენათა და ზნე-ჩვეულებათა სულისკვეთებით, პროლეტარიატისადმი მტრული სულისკვეთებით, ისინი სრულიად არ იყვნენ დაკავშირებულნი მასთან. ახლა ჩვენ უნდა აღვზარდოთ ახალი არმია პედაგოგიური საშასწავლებლო პერსონალისა, რომელიც მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული პარტიასთან, მის იდეებთან, გამსჭვალული უნდა იყოს მისი სულისკვეთებით, უნდა მიიზიდოს მუშათა მასები, გამსჭვალოს ისინი კომუნიზმის სულისკვეთებით, დაინტერესოს იმით, რასაც კომუნისტები აკეთებენ.

ვინაიდან უნდა გავწყვიტოთ კავშირი ძველ ზნე-ჩვეულებებსა, ჩვევებსა და იდეებთან, ამიტომ აქ მთავპოლიტგანისა და მისი მუშაკების წინაშე დგას უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც განსაკუთრებით უნდა იქნას მხედველობაში მიღებული. და მართლაც, აქ ჩვენს წინაშე დგას დილემა: როგორ დავუკავშიროთ მასწავლებლობა, რომლის უმრავლესობა ძველი წრთობის ხალხია, პარტიულებს, კომუნისტებს? ეს საკითხი ფრიად ძნელია, და მას ძალიან დიდი დაფიქრება უნდა.

განვიხილოთ, როგორ დავუკავშიროთ ერთმანეთს ორგანიზაციულად ესოდენ სხვადასხვანაირი ადამიანები. ჩვენთვის პრინციპულად შეუძლებელია ეპვის შეტანა იმაში, რომ უნდა იყოს კომუნისტური პარტიის მეთაურობა. ამრიგად, პოლიტიკური კულტურის, პოლიტი-

კური განათლების მიზანია აღზარდოს ნამდვილი კომუნისტები, რომელთაც უნარი ექნებათ დაამარცხონ ტყუილი, ცრურწმენები, დაეხმარონ მშრომელ მასებს ძველი წყობილების დამარცხებაში და წარმართონ სახელმწიფოს მშენებლობის საქმე უკაპიტალისტებოდ, უექსპლოატატორებოდ, უმემამულეებოდ. ხოლო როგორ შეიძლება ეს გაკეთდეს? ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ დავეუფლებით ცოდნის მთელ იმ ჯამს, რომელიც მასწავლებლებმა მემკვიდრეობად მიიღეს ბურჟუაზიისაგან. უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა კომუნიზმის რაიმე ტექნიკური მიღწევა, და ყოველივე ოცნება ამის შესახებ ფუჭი იქნებოდა. და აი იბადება საკითხი — როგორ-ღა დავაკავშიროთ ისინი, ეს მუშაკები, რომელთაც არ ჩვევიათ მუშაობა პოლიტიკასთან დაკავშირებით და კერძოდ ჩვენთვის სასარგებლო პოლიტიკასთან, ე. ი. კომუნიზმისათვის აუცილებელ პოლიტიკასთან დაკავშირებით? როგორც ვთქვი, ეს ძალიან ძნელი ამოცანაა. ჩვენ ეს საკითხი ცენტრალურ კომიტეტშიც განვიხილეთ, და მისი განხილვისას ვცდილობდით გაგვეთვალისწინებია გამოცდილებით შეკრებილი მითითებანი; და ვფიქრობთ, რომ იმგვარ ყრილობას, როგორიც ღღეს არის, სადაც მე ახლა ვლაპარაკობ, იმგვარ კონფერენციას, როგორიც თქვენია, ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ექნება. პარტიის თვითეული კომიტეტი ახლა იძულებულია ახლებურად უყუროს თვითეულ პროპაგანდისტს, რომელსაც წინათ უყურებდნენ როგორც განსაზღვრული წრის, განსაზღვრული ორგანიზაციის კაცს. თვითეული მათგანი ეკუთვნის იმ პარტიას, რომელიც მართავს, რომელიც ხელმძღვანელობს მთელ სახელმწიფოს, საბჭოთა რუსეთის მსოფლიო ბრძოლას ბურჟუაზიული წყობილების წინააღმდეგ. ის არის წარმომადგენელი მებრძოლი კლასისა და პარტიისა, რომელიც ბატონობს და უნდა ბატონობდეს კიდეც უზარმაზარ სახელმწიფო აპარატზე. ძალიან ბევრ კომუნისტს, რომელთაც ჩინებულად გაუვლიათ არალეგალური მუშაობის სკოლა და გაწაფული და ნაწრთობი არიან ბრძოლაში, არ სურს და არც შეუძლია გაიგოს მთელი მნიშვნელობა ამ გარდატეხისა, ამ გადასვლისა, როდესაც აგიტატორ-პროპაგანდისტისაგან ის იქცევა აგიტატორების ხელმძღვანელად, უზარმაზარი პოლიტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელად. დაერქმევა თუ არა მას ამასთან რაიმე შესაფერისი სახელი, შეიძლება საჩოთირო სახელიც, მაგალითად, სახალხო სასწავლებელთა გამგე, — ეს არც ისე მნიშვნელოვანია, მაგრამ მნიშვნელოვანი ის არის, რომ მას შეეძლოს მასწავლებელთა მასის ხელმძღვანელობა.

უნდა ითქვას, რომ ასიათასობით მასწავლებელი — ეს არის აპარატი, რომელიც უნდა ამოძრავებდეს საქმეს, აფხიზლებდეს აზრს, ებრძოდეს ცრურწმენებს, რომლებიც ჯერ კიდევ დღემდე არსებობს მასებში. კაპიტალისტური კულტურის მემკვიდრეობა, ამ კულტურის ნაკლოვანებებით გაჟღენთილობა მასწავლებელთა მასისა, რომელიც მათი არსებობის პირობებში არ შეიძლება კომუნისტური იყოს, მაინც ხელს ვერ შეუშლის ამ მასწავლებელთა ჩაბმას საგანმანათლებლო პოლიტიკური მუშაობის მუშაკთა რიგებში, ვინაიდან ამ მასწავლებლებს მოეპოვებათ ცოდნა, ურომლისოდაც ვერ მივაღწევთ ჩვენს მიზანს.

კომუნისტური განათლების სამსახურში ჩვენ ასიათასობით საჭირო ადამიანები უნდა ჩავაყენოთ. ეს ის ამოცანაა, რომელიც გადავწყვიტეთ ფრონტზე, ჩვენს წითელ არმიაში, რომელშიაც ათიათასობით ავიყვანეთ ძველი არმიის წარმომადგენელნი. ხანგრძლივ პროცესში, ხელახალი აღზრდის პროცესში ისინი შეუსისხლხორცდნენ წითელ არმიას, რაც, ბოლოს და ბოლოს, დაამტკიცეს კიდეც თავიანთი გამარჯვებებით. ამ მაგალითს უნდა მივდიოთ ჩვენს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაშიც. მართალია, ეს მუშაობა არც ისე ბრწყინვალეა, მაგრამ სამაგიეროდ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. ჩვენთვის საჭიროა თვითეული აგიტატორი და პროპაგანდისტი, იგი ასრულებს თავის ამოცანას, როდესაც მტკიცე პარტიული სულისკვეთებით მუშაობს, მაგრამ ამასთანავე იგი მარტო პარტიით კი არ იფარგლება, არამედ ახსოვს, რომ მის ამოცანას შეადგენს ასიათასობით მასწავლებელთა პერსონალის ხელმძღვანელობა, მათი დაინტერესება, ძველი ბურჟუაზიული ცრურწმენების დაძლევა, ამ მასწავლებელთა ჩაბმა იმ საქმეში, რომელსაც ჩვენ ვაკეთებთ, მათი გატაცება ჩვენი სამუშაოს სიდიადის შეგნებით; მხოლოდ ამ მუშაობაზე გადასვლით შეგვიძლია ჩვენ სწორ გზაზე გამოვიყვანოთ ეს მასა, რომელიც დაბეჩავებული იყო კაპიტალიზმის მიერ და რომელსაც გვაშორებდა ჩვენ კაპიტალიზმი.

აი ის ამოცანები, რომელთაც უნდა ემსახურებოდეს სკოლის ჩარჩოებს გარეთ მომუშავე თვითეული აგიტატორი და პროპაგანდისტი; და ეს ამოცანები მან მხედველობიდან არ უნდა გამოუშვას. მათი გადაწყვეტისას უამრავი პრაქტიკული სიძნელე გვეღობება, და თქვენ უნდა დაეხმაროთ კომუნიზმს და გახდეთ წარმომადგენლები და ხელმძღვანელები არა მარტო პარტიული წრეებისა, არამედ მთელი სახელმწიფო . ძალაუფლებისაც, რომელიც მუშათა კლასის ხელშია.

ჩვენი ამოცანაა დავამარცხოთ კაპიტალისტთა მთელი წინააღმდეგობა, არა მარტო სამხედრო და პოლიტიკური, არამედ იდეური წინააღმდეგობაც, რომელიც ყველაზე უფრო ღრმა და ძლიერია. ჩვენი განათლების მუშაკთა ამოცანაა განახორციელონ მასის ეს გარდაქმნა. მასის დაინტერესება, მისი სწრაფვა განათლებისა და კომუნიზმის ცოდნისაკენ, რასაც ჩვენ ვხედავთ, იმის თავდებია, რომ ჩვენ აქაც გამარჯვებულნი გამოვალთ, თუმცა, შეიძლება, არც ისე ჩქარა, როგორც ფრონტზე, შეიძლება, აქ უფრო დიდი სიძნელეები შეგვხვდეს და ზოგჯერ დავმარცხდეთ კიდეც, მაგრამ საბოლოოდ მაინც გამარჯვებული ჩვენ ვიქნებით.

დასასრულ, მინდა შევჩერდე კიდევ ერთ რამეზე: შეიძლება, სიტყვა მთავპოლიტგანი სწორად არ არის გაგებული. იმდენად, რამდენადაც აქ ნახსენებია ცნება პოლიტიკური, აქ პოლიტიკა ყველაზე მთავარია.

მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ პოლიტიკა? თუ პოლიტიკას ძველი აზრით გავიგებთ, შეიძლება დიდი და მძიმე შეცდომა ჩავიდინოთ. პოლიტიკა — ეს არის კლასთა შორის ბრძოლა, პოლიტიკა — ეს არის ურთიერთობა პროლეტარიატისა, რომელიც განთავისუფლებისათვის იბრძვის მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენს ბრძოლაში საქმის ორი მხარე გამოიყოფა: ერთი მხრივ, ჩვენი ამოცანაა დავანგრიოთ ბურჟუაზიული წყობილების მემკვიდრეობა, ჩავშალოთ საბჭოთა ხელისუფლების გასრესის ცდები, რომელთაც მთელი ბურჟუაზია იმეორებს. აქამდე ეს ამოცანა ყველაზე უფრო იპყრობდა ჩვენს ყურადღებას და ხელს გვიშლიდა გადავსულიყავით მეორე ამოცანაზე — მშენებლობის ამოცანაზე. ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის წარმოდგენით, პოლიტიკა თითქოს მოწყვეტილი იყო ეკონომიკას. ბურჟუაზია ამბობდა: იმუშავეთ, გლეხებო, რათა არსებობის საშუალება მოიპოვოთ, იმუშავეთ, მუშებო, რათა შეიძინოთ ბაზარზე ყოველივე ის, რაც აუცილებელია ცხოვრებისათვის, ხოლო სამეურნეო პოლიტიკას კი თქვენი მეპატრონეები აწარმოებენო. მაგრამ ეს ასე არ არის, პოლიტიკა უნდა იყოს ხალხის საქმე, პროლეტარიატის საქმე. და აი აქ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ დროის ცხრა მეათედს ჩვენს მუშაობაში ბურჟუაზიასთან ბრძოლას ვანდომებთ. ვრანგელზე გამარჯვება, რაზედაც გუშინ წავიკითხეთ და თქვენ დღეს და, ალბათ, ხვალაც წაიკითხავთ, გვიჩვენებს, რომ ბრძოლის ერთი სტადია დასასრულს უახლოვდება, რომ ჩვენ დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებთან შევძელით ზავის შეკვრა, ხოლო სამხედრო ფრონტზე მოპოვებული თვითეული გამარჯვება გვათავისუფლებს

ჩვენ შინაური ბრძოლისათვის, სახელმწიფოს მშენებლობის პოლიტიკისათვის. ყოველ ნაბიჯს, რომელიც თეთრგვარდიელებზე გამარჯვებას გვიახლოებს, ბრძოლის სიმძიმის ცენტრი თანდათან ეკონომიკის პოლიტიკაზე გადააქვს. ძველი ტიპის პროპაგანდა მოგვითხრობს, მაგალითებით გვიხსნის, თუ რა არის კომუნიზმი. მაგრამ ეს ძველი პროპაგანდა აღარაფრად ვარგა, რადგან საჭიროა პრაქტიკულად ვაჩვენოთ, თუ როგორ უნდა სოციალიზმის შენება. მთელი პროპაგანდა სამეურნეო მშენებლობის პოლიტიკურ გამოცდილებაზე უნდა აიგოს. ეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, და თუ ვინმე ამის გაგებას სიტყვის ძველებური მნიშვნელობით განიზრახავდა, ის ჩამორჩენილი იქნებოდა და ვერ შეძლებდა საპროპაგანდო მუშაობის გაწევას გლეხთა და მუშათა მასისათვის. ჩვენი მთავარი პოლიტიკა ამჟამად უნდა იყოს — სახელმწიფოს ეკონომიური მშენებლობა, რათა რაც შეიძლება მეტი პური მოვაგროვოთ, რაც შეიძლება მეტი ნახშირი მოვიპოვოთ, რათა გადავწყვიტოთ, როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს პური და ნახშირი, რომ მშივრები აღარ გვეყოლონ, — აი როგორია ჩვენი პოლიტიკა. და ამაზე უნდა აშენდეს მთელი აგიტაცია და მთელი პროპაგანდა. რაც შეიძლება ნაკლები ფრაზებია საჭირო, რადგან ფრაზებით მშრომელებს ვერ დაკმაყოფილებთ. როგორც კი ომი საშუალებას მოგვცემს ბურჟუაზიასთან ბრძოლისაგან, ვრანგელთან, თეთრგვარდიელებთან ბრძოლისაგან გავათავისუფლოთ სიმძიმის ცენტრი, ჩვენ მაშინვე ეკონომიკის პოლიტიკას მივმართავთ. და აი აქ სულ უფრო და უფრო მზარდ, უზარმაზარ როლს შეასრულებს აგიტაცია და პროპაგანდა.

თვითეული აგიტატორი უნდა იყოს სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელი, ყველა გლეხისა და მუშის ხელმძღვანელი ეკონომიური მშენებლობის საქმეში. ის უნდა ეუბნებოდეს ხალხს: იმისათვის, რომ კომუნისტი გახდეთ, აი ესა და ეს ბროშურა, აი ესა და ეს წიგნაკი უნდა იცოდეთ, უნდა წაიკითხოთო.

აი როგორ გავაუმჯობესებთ ჩვენ მეურნეობას და უფრო სოლიდურს, უფრო საზოგადოებრივს გავხდით მას, გავადიდებთ წარმოებას, გავაუმჯობესებთ პურის საკითხს, უფრო წესიერად გავანაწილებთ წარმოებულ პროდუქტებს, გავაძლიერებთ ნახშირის მოპოვებას და აღვადგენთ მრეწველობას კაპიტალიზმის გარეშე და კაპიტალისტური სულისკვეთების გარეშე.

რაში მდგომარეობს კომუნიზმი? კომუნიზმის მთელი პროპაგანდა ისე უნდა იყოს დაყენებული, რომ საქმე მიდგეს სახელმწიფოებრივი მშენებლობისადმი პრაქტიკულ ხელმძღვანელობაზე. კომუნიზმი ისე

მისაწვდომი უნდა გახდეს მუშათა მასებისათვის, როგორც მათი საკუთარი საქმე. ეს საქმე ცუდად კეთდება, ათასი შეცდომით. ჩვენ ამას არ ვმალავთ, მაგრამ ჩვენი დახმარებით, ჩვენი მცირე და სუსტი ხელშეწყობით თვითონ მუშებმა და გლეხებმა უნდა გამოიმუშაონ და გამოკვეთონ ჩვენი აპარატი; ჩვენთვის ახლა ეს პროგრამა, თეორია და ამოცანა აღარ არის, ჩვენთვის ეს დღევანდელი ფაქტიური მშენებლობის საქმეა. და თუ ჩვენს ომში უსასტიკესი დამარცხებანი განგვიცდია მტრებისაგან, სამაგიეროდ, კიდევაც ვსწავლობდით ამ დამარცხებებით და სრულ გამარჯვებას მივაღწიეთ. და ახლაც ყოველი დამარცხებიდან ჩვენ უნდა გამოვიტანოთ ცოდნა, უნდა გვახსოვდეს, რომ შესრულებული მუშაობის მაგალითით უნდა ვასწავლიდეთ მუშებსა და გლეხებს. უნდა მივუთითებდეთ იმაზე, რაც ჩვენში ცუდია, რათა მომავალში ის თავიდან ავიცილოთ.

ამ მშენებლობის მაგალითით, რომელსაც მრავალჯერ გავიმეორებთ, ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ იმ კომუნისტებისგან, რომელნიც როგორც უფროსნი ცუდნი არიან, შევქმნით ნამდვილ მშენებლებს, უწინარეს ყოვლისა ჩვენი ეკონომიური მეურნეობის მშენებლებს. ჩვენ მივაღწევთ ყველაფერს, რაც კი საჭიროა, გადავლახავთ ყველა დაბრკოლებას, რომლებიც ძველმა წყობილებამ დაგვიტოვა და რომელთაც ერთბაშად ვერ მოვიშორებთ. საჭიროა მასების ხელახლა აღზრდა, ხოლო მათი ხელახლა აღზრდა შეუძლია მხოლოდ აგიტაციას და პროპაგანდას; საჭიროა დავუკავშიროთ მასები პირველ რიგში საერთო სამეურნეო ცხოვრების მშენებლობას. ეს უნდა იყოს მთავარი და ძირითადი თვითეული აგიტატორ-პროპაგანდისტის მუშაობაში. და როდესაც ის ამას შეითვისებს, მაშინ მისი მუშაობის წარმატება უზრუნველყოფილი იქნება. (მ ქ უ ხ ა რ ე ტ ა შ ი.)

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 31,
გვ. 442 — 455

იბეჭდება თხზულებათა
ტექსტის მიხედვით

თეზისები საწარმოო პროპაგანდის შესახებ [117]

(შავი ფოლანასახი)

1. ახლანდელ მომენტში, რსფსრ-ის სამხედრო გამარჯვებებთან და საერთოდ მის საერთაშორისო მდგომარეობასთან დაკავშირებით, საწარმოო პროპაგანდა კვლავ პირველი რიგში უნდა იქნას წამოწეული, გაძლიერებული და ორგანიზაციულად განმტკიცებული.

2. ხელმძღვანელმა გაზეთებმა, პირველ რიგში «იზვესტიამ» და «პრავდამ», უნდა: (ა) შეამცირონ პოლიტიკისათვის დათმობილი ადგილი და გაადიდონ საწარმოო პროპაგანდის განყოფილება; (ბ) გავლენა მოახდინონ პარტიის და საბჭოთა დაწესებულებების მთელ მუშაობაზე იმ აზრით, რომ მეტი ძალები დაეთმოს საწარმოო პროპაგანდას; (გ) შეეცადონ სისტემატურად დააყენონ საწარმოო პროპაგანდის საქმე საერთო-სახელმწიფოებრივი მასშტაბით, შეიმუშაონ ფართო ღონისძიებანი მის გასავითარებლად, გასაუმჯობესებლად და განსაკუთრებით მის იმ რეალურ წარმატებათა შესამოწმებლად, რომლებიც ნამდვილად ხორციელდება.

3. ასევე უნდა იქნას სისტემატიზებული, გაფართოებული და განვითარებული მუშათა და გლეხთა მასის წრიდან გამოსულ ნიჭიერ ადმინისტრატორთა, ორგანიზატორთა, გამომგონებელთა დაწინაურებისათვის მუშაობა.

4. ძალთა ეკონომიისა და მუშაობის უფრო სწორად წარმართვის მიზნით, საწარმოო პროპაგანდა მთელ რსფსრ-ში უნდა გაერთიანდეს ერთი ორგანოს ხელმძღვანელობით. ამასთანავე აბსოლუტურად აუცილებელია უაღრესად ფართო ავტონომია, ადგილობრივი და პროფესიული. ყოველგვარი მნიშვნელოვანი წარმატების სისტემატური, წესიერად დაყენებული ანაზღაურება ჯილდოთი (ნატურალური პრემიები და სხვ.); წარმატებათა მიუდგომელი და კომპეტენტური შემოწმების ორგანიზაცია.

5. საწარმოო პროპაგანდის ერთიანი ხელმძღვანელი ორგანო უნდა იყოს რედაქცია პოპულარული მასობრივი გაზეთისა, რომლის ტირაჟი იქნება $1/2$ — 1 მილიონი ეგზემპლარი.

ასეთ გაზეთად უნდა გახდეს «ბედნოტა»[118].

ამგვარი ტიპის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო გაზეთების გაყოფა მავნებელია, ვინაიდან სოციალიზმის ამოცანაა დააახლოოს და გააერთიანოს მრეწველობა და მიწათმოქმედება.. პრაქტიკულად კი მრეწველობის პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი ქალაქშიც და სოფელშიც და კერძოდ მიწათმოქმედების ურბანიზაციაში, და მთელი ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეშიც, მოითხოვს სწორედ ერთიან საწარმოო გაზეთს (და საწარმოო პროპაგანდის ერთიან ხელმძღვანელობას) მუშებისთვისაც და გლეხებისთვისაც.

6. ხელმძღვანელ კოლეგიას უნდა შეადგენდეს 5 პირი: 1) სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოსაგან; 2) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსაგან; 3) მიწსახკომისაგან; 4) მთავპოლიტგანისაგან; 5) რკპ ც. კ-ისაგან (ანუ პასუხისმგებელი რედაქტორი). კოლეგია და გაზეთი უნდა არსებობდეს სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან. (შეიძლება მიემატოს კიდევ 1 წარმომადგენელი მთავპროფგანისაგან?)

7. საწარმოო გაზეთი უნდა იყოს პოპულარული, იმ აზრით, რომ გასაგები იყოს მილიონებისათვის, მაგრამ, ამ მხრივ, არამც და არამც არ უნდა გადავარდეს უკიდურესობაში. კი არ უნდა დაეშვას განუვითარებელ მკითხველამდე, არამედ განუხრელად — ძლიერ ფრთხილი თანდათანობით — აამაღლოს მისი განვითარება. პოლიტიკას უნდა ეთმობოდეს მცირე ადგილი, დაახლოებით არა უმეტეს $1/4$-ისა. მთავარი ადგილი უნდა დაეთმოს ერთიან სამეურნეო გეგმას, შრომის ფრონტს, საწარმოო პროპაგანდას, მართვა-გამგეობის სწავლებას მუშებისა და გლეხებისათვის, კანონებისა და საბჭოთა დაწესებულებების და მეურნეობათა ღონისძიებების ნამდვილად განხორციელების შემოწმებას, აზრთა ფართო და სწორ გაცვლა-გამოცვლას მასობრივ მკითხველთან.

8. გაზეთში დაბეჭდილი, გაზეთისათვის მოწოდებული და აგრეთვე სხვა მასალა სისტემატურად უნდა გამოიცეს ხოლმე პერიოდულად ბროშურებისა და ფურცლების სახით და აუცილებლივ დაეგზავნოს ბიბლიოთეკებს და შემდეგ ამა თუ იმ წარმოების ყველა ფაბრიკასა და საწარმოს (ბროშურებსა და ფურცლებში მასალა დალაგებული უნდა იყოს წარმოებათა მიხედვით). სახელმძღვანელო-

ებთან და საზღვარგარეთის ტექნიკის მიმოხილვებთან ერთად ეს მასალა უნდა ემსახურებოდეს პროფესიულ-ტექნიკური და პ ო ლ ი ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი განათლების გავრცელებას.

კერძოდ, გაზეთის, აგრეთვე საწარმოო ბროშურებისა და ფურცლების უფრო სწორად განაწილება რსფსრ-ის ყ ვ ე ლ ა ბიბლიოთეკას შორის, განსაკუთრებული ყურადღების საგანს უნდა შეადგენდეს.

9. აუცილებლად საჭიროა საწარმოო პროპაგანდის საქმეში (წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით) მონაწილეობის მისაღებად გეგმაშეწონილი ორგანიზებულობით და სისტემატურობით მოვიზიდოთ ინჟინრები, აგრონომები, მასწავლებლები, აგრეთვე ის საბჭოთა მოსამსახურენი, რომელნიც აკმაყოფილებენ განსაზღვრულ კვალიფიკაციას.

ლექციების, საუბრების, ანგარიშებისა და სხვ. ორგანიზაცია.

შრომითი ბეგარა ყველა იმათთვის, ვისაც შეუძლია გააცნოს მოსახლეობას ელექტროფიკაცია, ტეილორიზაცია და სხვ.

10. ფილმების უფრო ფართო და სისტემატური გამოყენება საწარმოო პროპაგანდისათვის. ერთობლივი მუშაობა კინოგანყოფილებასთან.

საბჭოთა ფირფიტა. დიაგრამებისა და კარტოგრამების გამოფენა კლუბებში, ქოხ-სამკითხველოებში, ქუჩებში და სხვ.. აფიშებისა და პლაკატების გაკვრა ფაბრიკების, სახელოსნოების, ტექნიკური სკოლებისა და სხვ. მახლობლად.

11. საწარმოო ინსპექციის ორგანიზაცია შრომის სახალხო კომისარიატსა და სხვა დაწესებულებებთან ერთად. მისი მუშაობის კოორდინაცია საწარმოო პროპაგანდის მუშაობასთან, აგრეთვე ინსტრუქტორების, საინსტრუქტორო მატარებლების, გემებისა და სხვ. მუშაობასთან.

12. სანიმუშო საწარმოთა გამოყოფა, მათი ფართო რეკლამა. სამრეწველო მუშაობის საზღვარგარეთული გამოცდილების მქონე მუშების ორგანიზაცია — განსაკუთრებულ სახელოსნოებში ან რაიონებსა და უჯრედებში და სხვ.. მათი გამოყენება ჩამორჩენილთა სწავლებისათვის, პროფესიულ-ტექნიკური და პოლიტექნიკური განათლების გასავრცელებლად და სხვ.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

18. XI. 1920.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 31, გვ. 493 — 496

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

განსახკომის მუშაობის შესახებ

5 თებერვლის «პრავდაში» № 25 დაბეჭდილია «რკპ ცენტრალური კომიტეტის დ ი რ ე ქ ტ ი ვ ე ბ ი განსახკომის მუშაკ კომუნისტებს (კომისარიატის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით)».

სამწუხაროდ, პირველ პუნქტშივე აღმოჩნდა სამჯერ განმეორებული, აზრის დამამახინჯებელი ბეჭდვითი შეცდომა: ნაცვლად «პოლიტექნიკური» განათლებისა დაბეჭდილია: პოლიტიკური!!

მე მინდა მივაქციო ამხანაგების ყურადღება ამ დირექტივებზე და გამოვიწვიო აზრთა ურთიერთგაზიარება ზოგიერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პუნქტის გამო.

1920 წლის დეკემბერში შედგა პარტიული თათბირი სახალხო განათლების საკითხებზე. თათბირში მონაწილეობდა 134 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 29 დელეგატი სათათბირო ხმით. ხუთ დღეს თათბირობდნენ. ამ თათბირის ანგარიშს იძლევა «საბჭოების VIII ყრილობის ბიულეტენის დამატება, მიძღვნილი სახალხო განათლების საკითხებზე მოწვეული პარტიული თათბირისადმი» (გამოცემა სრ. რუსეთის ცაკისა, 1921 წლის 10 იანვარი). თათბირის რეზოლუციებიდან, მისი ანგარიშიდან, ხსენებულ «ბიულეტენის დამატებაში» მოთავსებული ყველა სტატიიდან — გარდა ამხ. ლუნაჩარსკის შესავალი სტატიისა და ამხ. გრინკოს სტატიისა — ჩანს პოლიტექნიკური განათლების საკითხის არასწორად დაყენება, ჩანს ის ნაკლი, რომელთან ბრძოლისაკენაც მიაქცევს ცენტრალური კომიტეტის დირექტივები სახალხო კომისრისა და კოლეგიის «მთავარ ყურადღებას», სახელდობრ: ზოგადი მსჯელობითა და აბსტრაქტული ლოზუნგებით «გატაცება».

პოლიტექნიკური განათლების საკითხი ძირითადად გადაწყვეტილია ჩვენი პარტიის პროგრამით, პროგრამის იმ განყოფილების 1 და 8 §§-ში, რომელიც მიძღვნილია სახალხო განათლებისადმი. ცენტრალური კომიტეტის დირექტივაც პროგრამის სწორედ ამ პუნქტებზე მიგვითითებს. § 1-ში ლაპარაკია პ ო ლ ი ტ ე ქ ნ ი კ უ რ გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა ზ ე 17 წლამდე, § 8-ში კი ნათქვამია: «ფართო განვი-

ოარება პროფესიული განათლებისა ყველასათვის, დაწყებული 17 წლის ასაკიდან და ზევით, ზოგად პოლიტიკურ ცოდნასთან დაკავშირებით».

ამრიგად, საკითხი პარტიის პროგრამით სავსებით ნათლად არის დასმული. მსჯელობა იმაზე, «პოლიტექნიკური თუ მონოტექნიკური განათლება» (სწორედ ამ ფრჩხილებში აღებულ და ჩემ მიერ ხაზგასმულ სიტყვებს, მთელი მათი საოცარი უაზრობით, ვხედებით ჩვენ დასახელებული «ბიულეტენის დამატების» მე-4 გვერდზე!) — ეს მსჯელობა ძირიანად მცდარია, კომუნისტისათვის პირდაპირ შეუწყნარებელია და გვიჩვენებს პროგრამის არცოდნასაც და აბსტრაქტული ლოზუნგებით ყოვლად ფუჭ «გატაცებასაც». თუ ჩვენ იძულებულნი ვართ დროებით შევამციროთ ასაკი (ზოგადი პოლიტექნიკურიდან პროფესიულ-პოლიტექნიკურ განათლებაზე გადასვლისა) 17-დან 15 წლამდე, «პარტია უნდა უყურებდეს» ასაკობრივი ნორმის ამ შემცირებას «მხოლოდ და მხოლოდ» (პუნქტი 1-ლი ც. კ-ის დირექტივებისა) როგორც პრაქტიკულ აუცილებლობას, როგორც დროებით ღონისძიებას, რომელიც გამოწვეულია «ჩვენი ქვეყნის სიღატაკითა და გაჩანაგებით».

ზოგადი მსჯელობა, როცა ჯახირობენ «დაასაბუთონ» ამგვარი შემცირება, სულერთიანად სისულელეს წარმოადგენს. კმარა ზოგადი მსჯელობანას თამაში და ვითომდა თეორეტიკოსობა! მუშაობის სიმძიმის მთელი ცენტრი უნდა გადავიტანოთ «პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებისა და შემოწმების» საქმეზე. «ამ გამოცდილების მითითებათა სისტემატურად გამოყენების» საქმეზე.

რაც უნდა ცოტანი გვყავდეს ჩვენ გაგებული, მცოდნე და პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოცდილი ადამიანები, ისინი უეჭველია, მაინც მოიპოვებიან. ჩვენ ის ნაკლი გვაქვს, რომ უნარი არ შეგვწევს მოვნახოთ ისინი, დავაყენოთ ისინი სათანადო ხელმძღვანელ ადგილზე, უნარი არ შეგვწევს შევისწავლოთ მათთან ერთად საბჭოთა მშენებლობის პრაქტიკული გამოცდილება. სწორედ ეს არ ჩანს 1920 წლის დეკემბრის პარტიულ თათბირზე, ხოლო თუ ეს არა ჩანს სახალხო განათლების 163 — ას სამოცდასამი! — მოღვაწის თათბირზე, მაშინ სავსებით უეჭველი ხდება, რომ არის ერთგვარი საერთო, ძირითადი ნაკლი საქმის დაყენებაში, ნაკლი, რომელმაც გამოიწვია პარტიის ცენტრალური კომიტეტის განსაკუთრებული დირექტივის აუცილებლობა.

განათლების კომისარიატში არის ორი — და მხოლოდ ორი — ამხანაგი, რომლებსაც განსაკუთრებული თვისების დავალებები აქვთ. ეს არის სახალხო კომისარი, ამხ. ლუნაჩარსკი, რომელიც საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს, და მოადგილე, ამხ. პოკროვსკი, რომელიც ხელმძღვანელობას ახორციელებს, ჯერ ერთი, როგორც სახალხო კომისრის მოადგილე, მეორეც, როგორც აუცილებელი მრჩეველი (და ხელმძღვანელი) სამეცნიერო საკითხებში, საერთოდ მარქსიზმის საკითხებში. მთელ პარტიას, რომელიც კარგად იცნობს ამხ. ლუნაჩარსკისაც და ამხ. პოკროვსკისაც, რა თქმა უნდა, ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ისინი ორივენი, ამ მხრივ, თავისებურ «სპეცებს» წარმოადგენენ განსახკომში. ყველა დანარჩენი მუშაკისათვის ასეთი «ს პ ე ც ი ა ლ ო ბ ა» არ შეიძლება იყოს. ყველა დანარჩენი მუშაკის «სპეციალობა» უნდა იყოს იმის უნარი, რომ მოაგვარონ სპეც-პედაგოგების მუშაობაში ჩაბმის საქმე, განახორციელონ მათი მუშაობის სწორად დაყენება, სისტემატურად გამოიყენონ პრაქტიკული გამოცდილების მითითებანი. სწორედ ამაზეა ლაპარაკი ცენტრალური კომიტეტის დირექტივების § 2-შიც, § 3-შიც და § 5-შიც.

პარტმუშაკთა თათბირზე უნდა მოგვესმინა სპეცები, პედაგოგები, რომლებიც ათიოდე წელია პრაქტიკულად მუშაობენ და რომლებსაც შეუძლიათ ჩვენ ყველას გვითხრან, თუ რა გაკეთდა და რა კეთდება ამა და ამ დარგში, მაგალითად, პროფესიული განათლების დარგში, და როგორ ართმევს ამას თავს საბჭოთა მშენებლობა, რა არის მიღწეული კარგი, როგორია ამ კარგის ნიმუშები (ასეთი ნიმუშები, ალბათ, მოიპოვება, თუნდაც სულ მცირე რაოდენობით), როგორია კონკრეტული მითითებანი მთავარ ნაკლოვანებებზე და როგორია ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საშუალებანი.

პარტმუშაკთა თათბირზე არ გ ა უ თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე ბ ი ა თ ეს პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი გამოცდილება, იქ არ გამოუთქვამთ თავიანთი აზრი იმ პედაგოგებს, რომლებიც ამ გამოცდილებას ასე და ასე იყენებდნენ, არამედ იქ არის უხეირო ცდები «ზოგადი მსჯელობისა» და «აბსტრაქტული ლოზუნგების» შეფასებისა. საჭიროა, რათა მთელმა პარტიამ, განსახკომის ყველა მუშაკმა შეიგნოს ეს ნაკლი და რათა ჩვენ საერთო ძალ-ღონით მოვკიდოთ ხელი მის აღმოფხვრას. საჭიროა, რათა ადგილობრივმა მუშაკებმა გაგვიზიარონ თავიანთი გამოცდილება ამ მხრივ და დაეხმარონ პარტიას წამოსწიოს სანიმუშო გუბერნიები ან მაზრები, ან რაიონები, ან სასწავლებლები, ან სანიმუშო პედაგოგები, რომლებმაც კარგ შედეგებს მიაღწიეს შე-

დარებით ვიწრო, ადგილობრივი თუ სპეციალური მასშტაბით. ამ, პრაქტიკით უკვე შემოწმებულ, მიღწევებზე დაყრდნობით ჩვენ წინ უნდა დავძრათ საქმე, — გავაფართოოთ — სათანადო შემოწმების შემდეგ — ადგილობრივი გამოცდილება სრულიად რუსეთის ფარგლებამდე, გადავიყვანოთ ნიჭიერი ან თუნდაც ასე თუ ისე უნარიანი პედაგოგები უფრო პასუხსაგებ, უფრო ფართო მოღვაწეობის პოსტებზე და ა. შ.

სახალხო განათლების დარგში (და დაწესებულებებში) მოქმედი კომუნისტის მუშაობის წარმატება უნდა განიზომებოდეს უწინარეს ყოვლისა იმით, როგორ არის დაყენებული ეს საქმე სპეცების მოზიდვისა, იჩენენ თუ არა იმის უნარს, რომ გამონახონ ისინი, იმის უნარს, რომ გამოიყენონ ისინი, იმის უნარს, რომ განახორციელონ სპეც-პედაგოგისა და კომუნისტ-ხელმძღვანელის თანამშრომლობა, იმის უნარს, რომ შეამოწმონ, სახელდობრ რა და რამდენად ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ბ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი, იმის უნარს, რომ გასწიონ წინ — თუნდაც უაღრესად ნელა, უაღრესად მცირე მასშტაბით, ოღონდ კ ი ს ა ქ მ ი ა ნ ნიადაგზე, პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი გამოცდილების ნიადაგზე. ხოლო თუ განსახკომში შემდგომაც ბლომად გვეყოლებიან «კომუნისტური ხელმძღვანელობის» პრეტენდენტები და ამავე დროს სიცარიელე იქნება პრაქტიკულ დარგში, თუ საკმაოდ ან სულაც არ გვეყოლებიან სპეც-პრაქტიკოსები, თუ ვერ გამოვიჩენთ მათი წამოყენების, მათი მოსმენის, მათი გამოცდილების გათვალისწინების უნარს, — მაშინ საქმე ვერ წარიმართება. კომუნისტმა ხელმძღვანელმა იმით და მხოლოდ იმით უნდა დაამტკიცოს თავისი უფლება ხელმძღვანელობისა, რომ ის პ ო უ ლ ო ბ ს მ რ ა ვ ა ლ, სულ უფრო და უფრო მეტ თანაშემწეს პედაგოგ-პრაქტიკოსებს შორის, რომ მას უ ნ ა რ ი შ ე ს წ ე ვ ს დაეხმაროს მ ა თ მუშაობაში, წამოაყენოს ი ს ი ნ ი, გვიჩვენოს და გაითვალისწინოს მ ა თ ი გამოცდილება.

ა მ აზრით ჩვენი უთუო ლოზუნგი უნდა იყოს: ნ ა კ ლ ე ბ ი «ხელმძღვანელობა», მეტი პრაქტიკული საქმე, ესე იგი ნაკლები ზოგადი მსჯელობა, მეტი ფაქტები და შემოწმებული ფაქტები, რომლებიც გვიჩვენებენ, რა მხრივ, რა პირობებში, რამდენად მივდივართ ჩვენ წინ ან ვდგავართ ერთ ადგილზე ან უკან ვიხევთ. კომუნისტი ხელმძღვანელი, რომელმაც შეასწორა პედაგოგ-პრაქტიკოსთა სწავლის პროგრამები, შეადგინა ხეირიანი სახელმძღვანელო, მიაღწია ა თ ი, ა ს ი, ა თ ა ს ი პედაგოგ-სპეცის მუშაობის შინაარსის, მუშაობის პირობების თუნდაც უმნიშვნელო, მაგრამ ისეთ გაუმჯობესებას, რაც პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ ხ ო რ ც ი ე ლ დ ე ბ ა, — აი ეს ნამდ-

ვილი ხელმძღვანელია. ის კომუნისტი კი, რომელიც მსჯელობს «ხელმძღვანელობაზე» და რომელსაც უნარი არ შესწევს შეუგუოს სპეცები პრაქტიკულ საქმეს, უნარი არ შესწევს მიაღწიოს მათ წარმატებას პრაქტიკულად, უნარი არ შესწევს გამოიყენოს ასობით და ასობით მასწავლებლის პრაქტიკული გამოცდილება, — ასეთი კომუნისტი არაფრად არ ვარგა.

საკმარისია გაკვრით გადავავლოთ თვალი ძალიან კარგად შედგენილ წიგნაკს: «განათლების სახალხო კომისარიატი. 1917 — ოქტომბერი — 1920. მოკლე ანგარიში», — რათა დავინახოთ, რომ განსახკომის მთელ მუშაობას ყველაზე მეტად სწორედ ზემოაღნიშნული ნაკლი ახასიათებს. ამხ. ლუნაჩარსკის ეს შეგნებული აქვს, როცა ის წინასიტყვაობაში (გვ. 5) «უეჭველ არაპრაქტიკულობაზე» ლაპარაკობს. მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ დიდი და შეუპოვარი მუშაობაა საჭირო, რომ ეს შეიგნოს განსახკომში მომუშავე ყველა კომუნისტმა და რომ მათ მიაღწიონ შეცნობილ ჭეშმარიტებათა ნამდვილად განხორციელებას. ხსენებული წიგნაკი გვიჩვენებს, რომ ფაქტებს ჩვენ ცოტას ვიცნობთ, უზომოდ ცოტას; მათ შეკრებას ჩვენ ვერ ვახერხებთ; არ ვიცით იმ საკითხების რაოდენობა, რომლებიც უნდა დავსვათ და რომლებზეც პასუხის გაცემას შეგვიძლია მოველოდეთ (ჩვენი კულტურის დონის, ჩვენი ზნე-ჩვეულების, ჩვენი მიმოსვლის საშუალებების დროს); ვერ ვიჩენთ უნარს თავი მოვუყაროთ პრაქტიკული გამოცდილების მითითებებს და განვაზოგადოთ ისინი; გართულნი ვართ «ზოგადი მსჯელობით და აბსტრაქტული ლოზუნგებით», იმის უნარი კი არა გვაქვს, რომ გამოვიყენოთ საქმიანი მასწავლებლები საერთოდ, საქმიანი ინჟინრები და აგრონომები ტექნიკური განათლებისათვის განსაკუთრებით, გამოვიყენოთ ქარხნები, საბჭოთა მეურნეობები, რიგიანად დაყენებული მეურნეობანი და ელექტროსადგურები პოლიტექნიკური განათლებისათვის.

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად, საბჭოთა რესპუბლიკა წინ მიდის სახალხო განათლების საქმეში, ეს უეჭველია. «ქვემოდან», ე. ი. მშრომელთა იმ მასიდან, რომელსაც კაპიტალიზმი გზას უხშობდა — როგორც აშკარად, ძალდატანებით, ისე თვალთმაქცობისა და მოტყუების საშუალებით — გზას უხშობდა განათლებისაკენ, მომდინარეობს მძლავრი აღმავლობა სინათლისა და ცოდნისაკენ. ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ იმით, რომ ვეხმარებით ამ აღმავლობას და ვემსახურებით მას. მაგრამ თვალის დახუჭვა ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებებზე, იმაზე, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ გვისწავლია სახელმწიფო-საგან-

მანათლებლო აპარატის სწორად დაყენება, პირდაპირ დანაშაული იქნებოდა.

ავიღოთ კიდევ გაზეთებისა და წიგნების განაწილების საკითხი, — საკითხი, რომელსაც ეხება ცენტრალური კომიტეტის დირექტივების უკანასკნელი, მე-7 პუნქტი.

1920 წლის 3 ნოემბერს გამოიცა სახკომსაბჭოს დეკრეტი «საბიბლიოთეკო საქმის ცენტრალიზაციის შესახებ» (მუხ. 439 კანონთა კრებულისა, 1920, № 87), რსფსრ ერთიანი საბიბლიოთეკო ქსელის შექმნის შესახებ.

აი ზოგიერთი ფაქტიური მონაცემი, რომლის მიღებაც მე შევძელი ამ საკითხზე ამხ. მალკინისაგან, «ცენტროპეჩატიდან», და ამხ. მოდესტოვისაგან, «მონოს» (სახალხო განათლების მოსკოვის განყოფილების) საბიბლიოთეკო სექციიდან. 38 გუბერნიაში, 305 მაზრაში. ბიბლიოთეკების რაოდენობა ცენტრალურ საბჭოთა რუსეთში (ციმბირისა და ჩრდილო კავკასიის გამოკლებით) იყო შემდეგი:

ცენტრალური ბიბლიოთეკები	342
რაიონული საქალაქო ბიბლიოთეკები	521
სათემო ბიბლიოთეკები	4 474
მოძრავი ბიბლიოთეკები	1661
ქოხ-სამკითხველოები	14739
დანარჩენები («სასოფლო, საბავშვო, საცნობარო, სხვადასხვა დაწესებულებისა, სხვადასხვა ორგანიზაციისა»)	12 203
სულ	33 940

ამხ. მოდესტოვი თავისი გამოცდილების საფუძველზე ფიქრობს, რომ ამ ბიბლიოთეკების $^3/_4$-მდე ნამდვილად არსებობს, დანარჩენი მხოლოდ ქაღალდზეა. მოსკოვის გუბერნიაში, «ცენტროპეჩატის» მონაცემთა მიხედვით, არის 1223 ბიბლიოთეკა, ამხ. მოდესტოვის მონაცემთა მიხედვით — 1018; აქედან 204 ბიბლიოთეკა — ქალაქად და 814 — გუბერნიაში; ამაში არ შედის პროფკავშირების ბიბლიოთეკები (ალბათ, 16-მდე) და სამხედრო ბიბლიოთეკები (დაახლოებით 125).

რამდენადაც შეგვიძლია დავასკვნათ გუბერნიების შესახები მონაცემების შედარებიდან, ეს ციფრები არცთუ ძალიან სანდოა — ვაი თუ იგი სინამდვილეში 75%-ზე ნაკლებიც კი აღმოჩნდეს!

ვიატკის გუბერნიაში, მაგალითად, არის 1703 ქოხ-სამკითხველო. ვლადიმირის გუბერნიაში — 37, პეტროგრადისაში — 98, ივანოვო-ვოზნესენსკის გუბერნიაში — 75, და სხვ.. «დანარჩენი» ბიბლიოთეკები პეტროგრადის გუბერნიაში არის 36, ვორონეჟისაში — 378, უფისაში — 525, პსკოვის გუბერნიაში — 31, და ა. შ.

ეტყობა, ეს მონაცემები სწორედ იმას მოწმობენ, რომ მუშათა და გლეხთა მასები უაღრესად ეტანებიან ცოდნას, რომ მძლავრია, «სახალხოა» ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით მისწრაფება განათლებისაკენ და ბიბლიოთეკების შექმნისაკენ. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ სრულიადაც, სრულიადაც ვერ ვიჩენთ საკმაო უნარს მოვაწყოთ, მოვაწესრიგოთ, ჩამოვაყალიბოთ ხალხის ეს მისწრაფება, სწორად დავაკმაყოფილოთ ეს მისწრაფება. ჯერ კიდევ ძალიან, ძალიან დიდი და მონდომებული მუშაობა დაგვჭირდება მართლაც ერთიანი საბიბლიოთეკო ქსელის შესაქმნელად.

როგორ ვანაწილებთ ჩვენ გაზეთებსა და წიგნებს? «ცენტროპეჩატის» მონაცემების მიხედვით, 1920 წლის განმავლობაში გავრცელებულია 401 მილიონი ეგზემპლარი გაზეთი და 14 მილიონი წიგნი (11 თვის განმავლობაში). აი მონაცემები სამი გაზეთის გავრცელების შესახებ (1921 წ. 12. I), ეს განაწილება დაწესებულია «ცურკის» [119] პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის სექციის მიერ (ციფრები ნიშნავს ათასობით ეგზემპლარს):

	«იზვესტია»	«პრავდა»	«ბედნოტა»
«ცენტროპეჩატის» სააგენტოები	191	139	183
სამხედრო ბიურო ლიტექსპედთათვის	50	40	85
რკინიგზის ორგანიზაცია, «ცენტროპეჩატის» რკინიგზის განყოფილება, აგიტპუნქტები	30	25	16
ქ. მოსკოვის დაწესებულებანი და ორგანიზაციები	65	35	8
ქალაქ მოსკოვის სამხედრო კომისარიატი	8	7	6
კომპლექტები სამგზავრო მატარებლებისათვის	1	1	1
გასაკრავი და კომპლექტები	5	3	1
სულ	350	250	300

გასაოცრად ცოტაა გასაკრავად, ე. ი. ყველაზე უფრო ფართო მასებისათვის. გასაოცრად ბევრია დედაქალაქის «დაწესებულებებისა-

თვის» და სხვ. — ეტყობა, საბჭოთა ბიუროკრატების («სოვბურგ-ბის») — როგორც სამხედროების, ისე სამოქალაქოების მიერ დასატაცებლად და ბიუროკრატიული გამოყენებისათვის.

აი კიდევ რამდენიმე ციფრი «ცენტროპეჩატის» ადგილობრივ ქვეგანყოფილებათა ანგარიშებიდან. «ცენტროპეჩატის» ვორონეჟის საგუბერნიო სააგენტოს 1920 წ. სექტემბრის განმავლობაში გაზეთები მიუღია 12-ჯერ (ე. ი. სექტემბრის 30 დღიდან 18 დღეს გაზეთები არ ყოფილა მიღებული). მიღებული გაზეთები ასე ნაწილდებოდა: «იზვესტია» «ცენტროპეჩატის» სააგენტოებს: სამაზრო სააგენტოებს 4 986 ეგზ. (4 020; 4 310) *; რაიონულ სააგენტოებს — 7 216 (5 860; 10 064); სათემო სააგენტოებს — 3 370 (3 200; 4 285); პარტორგანიზაციებს — 447 (569; 3 880); საბჭოთა დაწესებულებებს — 1 765 (1 641; 509), — დაიხსომეთ, რომ «პრავდა» საბჭოთა ორგანიზაციებს თითქმის ერთისამად მეტი ხვდა, ვიდრე პარტორგანიზაციებს! შემდეგ: სამხედრო კომისარიატის სააგიტაციო-საგანმანათლებლო განყოფილებას — 5 532 (5 793; 12 332), აგიტპუნქტებს — 352 (400; 593); ქოხ-სამკითხველოებს — ნ ო ლ ი. ხელისმომწერლებს — 7 167 (3 080; 764). მ'ამასადამე, «ხელისმომწერლებს», ე. ი. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, საბჭოთა ბიუროკრატებს, ძალიან მსუქნად გამოუდით. გასაკრავად — 460 (508; 500). სულ 32 517 (25 104; 37 237).

უფის გუბერნიაში 1920 წლის ნოემბრის განმავლობაში მიუღიათ 25-ჯერ, ე. ი. გაზეთები მხოლოდ ხუთ დღეს არ ყოფილა. განაწილება: პარტორგანიზაციებს — 113 (1 572; 153); საბჭოთა დაწესებულებებს — 2 763 (1 296; 1 267); სამხედრო კომისარიატის სააგიტაციო-საგანმანათლებლო განყოფილებას — 687 (470; 6 500); სათემო აღმასკომებს — 903 (308; 3 511); ქოხ-სამკითხველოებს — 36 (8 — «პრავდა» 8 ეგზემპლარი! — 2 538); ხელისმომწერლებს — ნ ო ლ ი; «სხვადასხვა სამაზრო ორგანიზაციას» — 1 044 (219; 991). სულ 5 841 (4 069; 15 429).

ბოლოს, ვლადიმირის გუბერნიის სუდოგდის მაზრის პუსტოშენსკის სათემო სააგენტოს 1920 წ. დეკემბრის ანგარიში. პარტორგანიზაციებს — 1 (1; 2); საბჭოთა დაწესებულებებს — 2 (1; 3); სამხედრო კომისარიატის სააგიტაციო-საგანმანათლებლო განყოფილებას — 2 (1; 2); სათემო აღმასკომებს — 2 (1; 3); ფოსტის დაწესებულებებს — 1 (1; 1); ურშელის ქარხკომს — 1 (1; 2); სოცუზრუნველყოფის რაიონულ განყოფილებას — 1 (0; 3). სულ 10 (6; 16).

* ფრჩხილებში პირველი ციფრი ეხება «პრავდას», მეორე — «ბედნოტას».

როგორია ამ ნაწყვეტი მონაცემების დასკვნა? ჩემი აზრით, ის დასკვნაა, რომელიც ჩვენმა პარტიულმა პროგრამამ გამოხატა სიტყვებით: «ამჟამად... იდგმება მხოლოდ პირველი ნაბიჯები კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად» [120].

კაპიტალიზმი გაზეთებს აქცევდა კაპიტალისტურ საწარმოებად, მდიდრების გამორჩომის, მათი ინფორმაციისა და თავის შექცევის იარაღად, მშრომელთა მასის მოტყუებისა და გაბრიყვების იარაღად. ჩვენ დავამსხვრიეთ გამდიდრებისა და მოტყუების იარაღები. ჩვენ დ ა ვ ი წ ყ ე თ გაზეთის გადაქცევა იმის იარაღად, რომ გავანათლოთ მასები და ვასწავლოთ მათ ცხოვრება და თავიანთი მეურნეობის შენება უ მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ ო დ დ ა უ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ ე ბ ო დ. მაგრამ ჩვენ ეს არის მხოლოდ დავიწყეთ ამის კეთება. სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ცოტა გავაკეთეთ. ამავე დროს საჭიროა კიდევ ძალიან ბევრი გავაკეთოთ, კიდევ ძალიან დიდი გზა გავიაროთ. ნაკლები პოლიტიკური რახარუხი, ნაკლები ზოგადი მსჯელობა და აბსტრაქტული ლოზუნგები, რომლებითაც ტკბებიან გამოუცდელი კომუნისტები, რომლებსაც თავიანთი ამოცანები ვერ შეუგნიათ, მეტი საწარმოო პროპაგანდა, ყველაზე მეტად კი — პრაქტიკული გამოცდილების საქმიანი, უნარიანი, მასის განვითარების დონესთან შეგუებული გათვალისწინება.

გაზეთების განაწილებაში (წიგნების შესახებ მონაცემები არა მაქვს; ალბათ, იქ საქმე უფრო ცუდადაა) ჩვენ გავაუქმეთ ხელისმოწერა. ეს წინგადადგმული ნაბიჯია კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ. მაგრამ კაპიტალიზმის ერთბაშად მოსპობა შეუძლებელია. იგი ცოცხლდება საბჭოთა ბიუროკრატების, საბჭოთა ბიუროკრატიის სახით, რომელიც სხვადასხვა საბაბით ხელთ იგდებს გაზეთებს. იმის დათვლა, თუ რამდენ გაზეთს იგდებს იგი ხელთ, შეუძლებელია, მაგრამ, ეტყობა, ბევრს. საჭიროა მონდომებით და სისტემატურად ვიმუშაოთ იმაზე, რომ «დავცხოთ» ბიუროკრატიას, საშუალება არ მივცეთ მას ხელთ იგდოს გაზეთები და წიგნები, შევამციროთ მისი წილი, განუხრელად შევამციროთ თვით საბჭოთა ბიუროკრატების რიცხვი. ჩვენ, სამწუხაროდ, არ ძალგვიძს ერთბაშად შევამციროთ ეს რიცხვი ერთიათად, ერთიასად, — ჩვენი კულტურის ახლანდელი დონის დროს ამის დაპირება შარლატანობა იქნებოდა — მაგრამ ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა შევამციროთ ეს რიცხვი მუდმივად და განუხრელად. ის კომუნისტი, რომელიც ამას არ აკეთებს, მხოლოდ სიტყვით არის კომუნისტი.

უნდა ვეცადოთ და ვეცადოთ, რათა გაზეთები და წიგნები, რო-

გორც წესი, ნაწილდებოდეს მუქთად მ ხ ო ლ ო დ ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში, მათ ქ ს ე ლ შ ი, რომელიც წესიერად უნდა ემსახურებოდეს მთელ ჩვენს ქვეყანას, მუშათა, ჯარისკაცთა, გლეხთა მთელ მასას. მაშინ ხალხი ასკეცად უფრო ძლიერად, უფრო სწრაფად, უფრო წარმატებით დაეწაფება წიგნიერებას, სინათლეს, ცოდნას, მაშინ განათლების საქმე ბუმბერაზული ნაბიჯებით წავა წინ.

მოკლე გაანგარიშება თვალსაჩინოობისათვის, მაგალითის სახით, 350 ათასი «იზვესტია» და 250 ათასი «პრავდა» მთელი რუსეთისათვის. ჩვენ ღატაკნი ვართ. ქაღალდი არა გვაქვს. მუშები იყინებიან, მშიერნი, შიშველ-ტიტველნი არიან. მანქანები გაცვეთილია. შენობები ინგრევა. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ მთელი ჩვენი ქვეყნისათვის, 10 000-ზე მეტი თემისათვის, გვაქვს 50 000 ბიბლიოთეკა და სამკითხველო, მაგრამ არა ქაღალდზე, არამედ ნამდვილად. არანაკლებ სამისა თვითეულ თემში და აუცილებლად თითო-თითო ყოველ ქარხანასა თუ ფაბრიკაში, ყოველ სამხედრო ნაწილში. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვისწავლეთ არა მარტო «პირველი ნაბიჯის გადადგმა კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ», არამედ აგრეთვე მეორე და მესამე ნაბიჯის გადადგმაც. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვისწავლეთ სამ-სამი ცალი გაზეთის სწორად განაწილება თვითეულ ბიბლიოთეკასა და სამკითხველოზე, მათგან 2 გაზეთი, ვთქვათ, საჭიროა «გასაკრავად» (ვგულისხმობ რა, რომ ჩვენ მეოთხე ნაბიჯი გადავდგით კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ, მე ვფიქრობ, ვბედავ ვიფიქრო, რომ ბარბაროსული «დაწებების» ნაცვლად, რომელიც გაზეთს აფუჭებს, ჩვენ მას ხის ლურსმნებით—რკინისა არა გვაქვს, რკინა «მეოთხე ნაბიჯის» დროსაც ცოტა გვექნება! — გავაკრავთ სწორ დაფაზე, რათა შეიძლებოდეს მოხერხებულად წაკითხვა და რათა გაზეთი არ დაიხეს). ამრიგად, 2 ცალი 50 000 ბიბლიოთეკისა და სამკითხველოსათვის «გასაკრავად», 1 ცალი სამარაგოდ. შემდეგ წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვისწავლეთ გაზეთის ტყუილუბრალოდ მიცემა საბჭოთა ბიუროკრატებისათვის ზ ო მ ი ე რ ი რაოდენობით, ვთქვათ, არაუმეტეს რამდენიმე ათასი ცალისა მთელი საბჭოთა რესპუბლიკის განებივრებულ «წარჩინებულთათვის».

ესოდენ თამამი ვარაუდის დროს 160 ათასი, ვთქვათ, 175 ათასი ცალი საკმარისი იქნება მთელი ჩვენი ქვეყნისათვის ერთიხუთად უფრო უკეთ, ვიდრე ახლა. ყველას ექნება შესაძლებლობა გაეცნოს მდგომარეობას გაზეთის საშუალებით (თუ სათანადოდ მოეწყობა მოძრავი ბიბლიოთეკები, რომლებსაც, ჩემი აზრით, ესოდენ წარმატებით იცავდა ამას წინათ «პრავდაში» ამხანაგი ფ. დობლერი). 350

ათასი ცალი ორივე გაზეთი. ახლა კი გვაქვს 600 ათასი, რომლებიც დატაცებულია საბჭოთა ბიუროკრატების მიერ, მხოლოდ კაპიტალისტურ ჩვეულებათა გამო მიაქვთ ტყუილუბრალოდ, «თამბაქოს გასახვევად» და სხვ.. გვექნებოდა 250 ათასი ცალის ეკონომია. სხვა სიტყვებით: მოვიზოგავდით, ჩვენი სიღატაკის მიუხედავად, ორ ყოველდღიურ გაზეთს, 125 ათას ცალს თვითეულს. და თვითეულ ასეთ გაზეთში ყოველდღე შეიძლებოდა მიგვეწოდებინა ხალხისათვის სერიოზული და ძვირფასი ლიტერატურული მასალა, საუკეთესო და კლასიკური ბელეტრისტიკა, საერთო-საგანმანათლებლო სახელმძღვანელოები, სოფლის მეურნეობის სახელმძღვანელოები, მრეწველობის სახელმძღვანელოები. თუ ფრანგმა ბურჟუებმა ჯერ კიდევ ომამდე ისწავლეს, როგორ იშოვნონ ფული, როგორ გამოსცენ რომანები ხალხისათვის არა 3½ ფრანკად ბატონკაცობისათვის განკუთვნილი წიგნაკის სახით, არამედ 10 სანტიმად (ე. ი. 35-ჯერ უფრო იაფად, 4 კაპიკად ომამდელი კურსით) პროლეტარული გაზეთის სახით, მაშინ რატომ არ უნდა ვისწავლოთ ჩვენ — კაპიტალიზმიდან კომუნიზმისაკენ მეორე ნაბიჯის გადადგმის დროს — ასევე მოვიქცეთ? რატომ არ უნდა ვისწავლოთ ჩვენ, ასე რომ მოვიქცევით, მივაღწიოთ იმას, რომ ერთ წელიწადში — ჩვენი ახლანდელი სიღატაკის პირობებშიც კი — მივცეთ ხალხს, 50 000 ბიბლიოთეკიდან და სამკითხველოდან თვითეულზე ორ-ორი ცალი, — ყველა საჭირო სახელმძღვანელო და მსოფლიო ლიტერატურის, თანამედროვე მეცნიერების, თანამედროვე ტექნიკის ყველა საჭირო კლასიკოსი?

ვისწავლით.

1921 წ. 7 თებერვალი

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 32. გვ. 141 — 154

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავისათვის

დგება 25 ოქტომბრის (7 ნოემბრის) ოთხი წლისთავი.

რაც უფრო გვშორდება ეს დიადი დღე, მით უფრო ცხადი ხდება რუსეთის პროლეტარული რევოლუციის მნიშვნელობა, მით უფრო ღრმად ვუფიქრდებით აგრეთვე ჩვენი მუშაობის პრაქტიკულ გამოცდილებას, მთლიანად აღებულს.

ეს მნიშვნელობა და ეს გამოცდილება სულ მოკლედ — და, რა თქმა უნდა, მეტად არასრულად და არაზუსტად — შეიძლება შემდეგნაირად გამოვხატოთ.

რევოლუციის უშუალო და უახლოესი ამოცანა რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ამოცანა იყო: შუასაუკუნეების ნაშთთა დამხობა და ბოლომდე აღგვა, რუსეთის გაწმენდა ამ ბარბაროსობისა და ამ სირცხვილისაგან, ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი კულტურისა და ყოველგვარი პროგრესის ამ უდიდესი მუხრუჭისაგან.

და ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ იმით, რომ ეს წმენდა ხალხის მასებზე, მის ღრმა ფენებზე ზემოქმედების თვალსაზრისით ბევრად უფრო გაბედულად, სწრაფად, თამამად, წარმატებით, ფართოდ და ღრმად მოვახდინეთ, ვიდრე საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ 125 წელზე მეტი ხნის წინათ.

ანარქისტებიც და წვრილბურჟუაზიული დემოკრატებიც (ე. ი. მენშევიკები და ესერები, როგორც რუსეთის წარმომადგენლები ამ საერთაშორისო სოციალური ტიპისა) წარმოუდგენლად ბევრ აბდაუბდას ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტური (ესე იგი პროლეტარული) რევოლუციისადმი დამოკიდებულების საკითხზე. ამ ოთხი წლის განმავლობაში სავსებით დადასტურდა იმ პუნქტში მარქსიზმის ჩვენი გაგების, წინანდელი რევოლუციების გამოცდილების ჩვენი გათ-

ვალისწინების სისწორე. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია ისე არავის მიუყვანია ბ ო ლ ო მ დ ე, როგორც ჩვენ. ჩვენ სრულიად შეგნებულად, მტკიცედ და განუბრელად მივიწევთ წ ი ნ, სოციალისტური რევოლუციისაკენ და ვიცით, რომ იგი ჩინური კედლით არ არის გამოყოფილი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისაგან, ვიცით, რომ მ ხ ო ლ ო დ ბ რ ძ ო ლ ა გადაწყვეტს, რამდენად შევძლებთ (საბოლოო ანგარიშით) წინ წაწევას, თვალუწვდენი დიადი ამოცანის რა ნაწილს შევასრულებთ, ჩვენ გამარჯვებათა რა ნაწილს განვიმტკიცებთ. ამას მომავალი დაგვანახვებს. მაგრამ უკვე ახლაც ვხედავთ, რომ გაჩანაგებული, დატანჯული, ჩამორჩენილი ქვეყნისათვის — საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში — მეტისმეტად ბევრია გაკეთებული.

მაგრამ ჯერ გავათავოთ ჩვენი რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შინაარსის შესახებ. მარქსისტებისათვის გასაგები უნდა იყოს, თუ რას ნიშნავს ეს. ახსნა-განმარტებისათვის ავიღოთ თვალსაჩინო მაგალითები.

რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული შინაარსი ნიშნავს ქვეყნის სოციალური ურთიერთობის (წესწყობილების, დაწესებულებების) გაწმენდას შუასაუკუნეების, ბატონყმობის, ფეოდალიზმის ნაშთებისაგან.

როგორი იყო ბატონყმობის მთავარი გამოხატულება, ნაშთი, კვალი რუსეთში 1917 წელს? მონარქია. წოდებრიობა, მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა, ქალის მდგომარეობა, რელიგია, ეროვნებათა ჩაგვრა. აიღეთ რომელიც გნებავთ ეს «ავგიოსის თავლა», — რომელიც, უნდა ითქვას, ყველა მოწინავე სახელმწიფომ საკმაოდ გაუსუფთავებელი დატოვა თ ა ვ ი ა ნ თ ი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციების დროს, 125, 250 წლის წინათ და უფრო ადრეც (ინგლისში 1649 წელს), — აიღეთ რომელიც გნებავთ ეს ავგიოსის თავლა: თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენ ისინი პირწმინდად გამოვგავეთ. რაღაც ა თ ი ო დ ე კ ვ ი რ ი ს განმავლობაში, დაწყებული 1917 წლის 25 ოქტომბრიდან (7 ნოემბრიდან) დამფუძნებელი კრების გარეკვამდე (1918 წლის 5 იანვარს), ჩვენ ამ სფეროში ათასჯერ მეტი გავაკეთეთ, ვიდრე ბურჟუაზიულმა დემოკრატებმა და ლიბერალებმა (კადეტებმა) და წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატებმა (მენშევიკებმა და ესერებმა) რ ვ ა თ ვ ი ს ბატონობის განმავლობაში გაეკეთეს.

ეს ლაჩრები, უბედები, თავის თავზე შეყვარებული ნარცისები და ჰამლეტუნები მუყაოს მახვილს იქნევდნენ — და მონარქიაც კი ვერ

მოსპეს! ჩვენ მთელი ეს მონარქიული უწმინდურება გადავყარეთ ისე, როგორც არავის არასოდეს გადაუყრია. ჩვენ ქვა ქვაზე, აგური აგურზე არ დაგვიტოვებია წოდებრიობის საუკუნეობრივი შენობისა (ყველაზე მოწინავე ქვეყნები, როგორიცაა ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია, დღემდე არ განთავისუფლებულან წოდებრიობის ნაშთებისაგან!). წოდებრიობის ულრმესი ფესვები, სახელდობრ: ფეოდალიზმისა და ბატონყმობის ნაშთები მიწათმფლობელობაში, ჩვენ ძირიანფესვიანად ამოვაგდეთ. «შეიძლება დავა» (უცხოეთში საკმაოდ მოიპოვებიან კადეტი, მენშევიკი და ესერი ლიტერატორები ასეთი დავის გასამართავად) იმაზე, თუ რა გამოვა «ბოლოს და ბოლოს» დიდი ოქტომბრის რევოლუციის საადგილმამულო გარდაქმნათაგან. ჩვენ ახლა ხალისი არა გვაქვს ამ დავაზე დრო დავკარგოთ, რადგან ჩვენ ბრძოლით ვწყვეტთ ამ დავას და მასზე დამოკიდებულ უამრავ დავას. მაგრამ არ შეიძლება დავა იმ ფაქტის წინააღმდეგ, რომ წვრილბურჟუაზიული დემოკრატები რვა თვის განმავლობაში «უთანხმდებოდნენ» მემამულეებს, რომლებიც ბატონყმობის ტრადიციებს ინახავდნენ, ჩვენ კი რამდენიმე კვირაში რუსეთის მიწა-წყლიდან საბოლოოდ აღვგავეთ ეს მემამულეებიც და მთელი მათი ტრადიციებიც.

აიღეთ რელიგია ან ქალის უუფლებობა, ან არარუს ეროვნებათა ჩაგვრა და არათანასწორუფლებიანობა. ყოველივე ეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საკითხებია. წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის უგვანონი რვა თვე ლაყბობდნენ ამაზე; მსოფლიოში არ არსებობს ა რ ც ე რ თ ი უაღრესად მოწინავე ქვეყანა, სადაც ე ს საკითხები ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი მიმართულებით ს ა ბ ო ლ ო ო დ იყოს გადაწყვეტილი. ჩვენში ეს საკითხები ოქტომბრის რევოლუციის კანონმდებლობამ საბოლოოდ გადაწყვიტა. ჩვენ რელიგიას ნამდვილად ვებრძოდით და ვებრძვით. ჩვენ ყ ვ ე ლ ა არარუს ეროვნებას მ ა თ ი ს ა კ უ თ ა რ ი რესპუბლიკა თუ ავტონომიური ოლქი მივეცით. ჩვენში, რუსეთში, არ არსებობს ისეთი სიმდაბლე, უხამსობა და საზიზღრობა, როგორიც არის ქალის უუფლებობა თუ არასრულუფლებიანობა, ბატონყმობისა და შუასაუკუნეების ეს აღმაშფოთებელი ნაშთი, რომელსაც ანგარებიანი ბურჟუაზია და ჩლუნგი, დაშინებული წვრილი ბურჟუაზია ანახლებს დედამიწის ყველა ქვეყანაში გამოუკლებლივ.

ყოველივე ეს შეადგენს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შინაარსს. ამ რევოლუციის (ამ რევოლუციების, თუ ვილაპარაკებთ ერთი საერთო ტიპის თვითეულ ნაციონალურ სახეზე) მო-

წინავე ბელადებმა ას ორმოცდაათი და ორას ორმოცდაათი წლის წინათ აღუთქვეს ხალხებს კაცობრიობის განთავისუფლება შუასაუკუნეობრივი პრივილეგიებისაგან, ქალის უთანასწორობისაგან, ამა თუ იმ რელიგიის (ან «რელიგიის ი დ ე ი ს», საერთოდ «რელიგიურობის») სახელმწიფოებრივ უპირატესობათაგან, ეროვნებათა არათანასწორუფლებიანობისაგან. აღუთქვეს — და არ შეასრულეს. არ შეეძლოთ შეესრულებინათ, რადგან ხელი შეუშალა «პატივისცემამ» — — — «წმიდათა წმიდა კერძო საკუთრებისადმი». ჩვენს პროლეტარულ რევოლუციაში ეს წყეული «პატივისცემა» ამ სამგზის წყეულ შუასაუკუნეებისა და «წმიდათა წმიდა კერძო საკუთრებისადმი» არ ყოფილა.

მაგრამ რუსეთის ხალხთათვის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვარნი რომ დაგვემკვიდრებინა, ჩვენ წინ უნდა წავწეულიყავით, და წინ წავიწიეთ კიდეც. ჩვენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის საკითხებს ვწყვეტდით გზადაგზა, სხვათა შორის, როგორც ჩვენი მთავარი და ნამდვილი, პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ-რევოლუციური, სოციალისტური მუშაობის «არამთავარ პროდუქტს». რეფორმები, ვამბობდით ჩვენ ყოველთვის, რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის არამთავარი პროდუქტია. ჩვენ ვამბობდით და საქმითაც დავამტკიცეთ, რომ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გარდაქმნანი — პროლეტარული, ესე იგი სოციალისტური რევოლუციის არამთავარი პროდუქტია. უნდა ითქვას, რომ ყველა ამ კაუცკიმ, ჰილფერდინგმა, მარტოვმა, ჩერნოვმა, ხილკვიტმა, ლონგემ, მაკდონალდმა, ტურატიმ და «II½» მარქსიზმის სხვა გმირებმა ვერ შესძლეს გაგება ა ს ე თ ი თანაფარდობისა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და პროლეტარულ-სოციალისტურ რევოლუციებს შორის. ხდება პირველის გადაზრდა მეორეში. მეორე, გზადაგზა, წყვეტს პირველის საკითხებს. მეორე პირველის საქმეს განამტკიცებს. ბრძოლა და მხოლოდ ბრძოლა წყვეტს იმას, თუ რამდენად ახერხებს მეორე გასცდეს პირველის ფარგლებს.

საბჭოთა წყობილება სწორედ ერთ-ერთი თვალსაჩინო დადასტურება ანუ გამოხატულებაა ერთი რევოლუციის ამ გადაზრდისა მეორეში. საბჭოთა წყობილება დემოკრატიზმის მაქსიმუმია მუშებისა და გლეხებისათვის და ამავე დროს ის ნიშნავს კავშირის გაწყვეტას ბ ურ ჟ უ ა ზ ი ულ დემოკრატიზმთან და დემოკრატიის ა ხ ა ლ ი, მსოფლიო-ისტორიული, ტ ი პ ი ს წარმოშობას, სახელდობრ: პროლეტარული დემოკრატიზმის ანუ პროლეტარიატის დიქტატურისა.

დაე ძომაკვდავი ბურჟუაზიის და მისი მაჩანჩალა წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ქოფაკებმა და ღორებმა წყეული-კრულვა. ლანძღვა-გინება, სიცილი დაგვაყარონ მარცხისა და შეცდომებისათვის ჩვენ მიერ ჩ ვ ე ნ ი საბჭოთა წყობილების შენების დროს. ჩვენ ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ იმას, რომ მარცხი და შეცდომები მართლაც ბევრი გვქონდა და ახლაც გვაქვს. როგორ შეიძლება მარცხსა და შეცდომებს ასცდე ისეთ ახალ, მთელი მსოფლიო ისტორიისათვის ახალ საქმეში, როგორიცაა ჯერ უნახავი ტ ი პ ი ს სახელმწიფო წყობილების შექმნა! ჩვენ განუხრელად ვიბრძოლებთ ჩვენი მარცხისა და შეცდომების გამოსასწორებლად, ცხოვრებაში ჩვენ მიერ საბჭოთა პრინციპების — სრულყოფისაგან ფრიად და ფრიად დაშორებული პრინციპების — გამოყენების გასაუმჯობესებლად. მაგრამ ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ და ვამაყობთ კიდეც იმით, რომ წილად გვხვდა ბედნიერება დ ა გ ვ ე წ ყ ო საბჭოთა სახელმწიფოს აშენება. დ ა გ ვ ე წ ყ ო ამით მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა, ა ხ ა ლ ი კლასის ბატონობის ეპოქა, იმ კლასისა, რომელიც ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში დაჩაგრულია და ყველგან ახალი ცხოვრებისაკენ, ბურჟუაზიაზე გამარჯვებისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, კაპიტალის უღლისა და იმპერიალისტური ომებისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისაკენ მიისწრაფვის.

საკითხი იმპერიალისტური ომების შესახებ, ამჟამად მთელ მსოფლიოში გაბატონებული ფინანსური კაპიტალის იმ საერთაშორისო პოლიტიკის შესახებ, რომელიც გ ა რ დ უ ვ ა ლ ა დ წარმოშობს ახალ იმპერიალისტურ ომებს, გარდუვალად წარმოშობს ერთი მუჭა «მოწინავე» სახელმწიფოების მიერ ნაციონალური ჩაგვრის, ძარცვა-გლეჯის, ყაჩაღობის, სუსტ, ჩამორჩენილ, წვრილ ეროვნებათა ჩახრჩობის გაუგონარ გაძლიერებას, — ეს საკითხი 1914 წლიდან დედამიწის ყველა ქვეყნის მთელი პოლიტიკის ქვაკუთხედ საკითხად იქცა. ეს არის ათეული მილიონობით ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. ეს არის საკითხი, იქნება თუ არა შემდგომ იმპერიალისტურ ომში, რომელსაც ჩვენ თვალწინ ბურჟუაზია ამზადებს. რომელსაც ჩვენ თვალწინ ბადებს კაპიტალიზმი, დახოცილი 20 მილიონი ადამიანი (ნაცვლად 10 მილიონისა, რომელიც დაიხოცა 1914 — 1918 წლების ომსა და მის დანამატ «პატარა» ომებში, რომლებიც დღემდეც არ დამთავრებულა), დასახიჩრდება თუ არა 60 მილიონი ადამიანი ამ გარდუვალ (თუ კაპიტალიზმი დარჩება) მომავალ ომში (1914 — 1918 წლებში დასახიჩრებულ 30 მილიონის ნაცვლად). ამ საკითხშიც ჩვენმა ოქტომბრის რევოლუციამ მსოფლიო ისტორიის

ახალი ეპოქა დაიწყო. ბურჟუაზიის მსახურნი და მისი დამქაშები ესერებისა და მენშევიკების სახით, მთელი მსოფლიოს მთელი წვრილ-ბურჟუაზიული ვითომ «სოციალისტური» დემოკრატიის სახით დასცინოდნენ «იმპერიალისტური ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის» ლოზუნგს. მაგრამ ეს ლოზუნგი აღმოჩნდა ერთადერთი ს ი მ ა რ თ ლ ე — არასასიამოვნო, ტლანქი, გაშიშვლებული, სასტიკი სიმართლე, ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ ს ი მ ა რ თ ლ ე ყველაზე გაქნილ შოვინისტურ და პაციფისტურ უამრავ ტყუილს შორის. ეს ტყუილი ინგრევა. ბრესტის ზავი მხილებულია. ყოველი დღე უფრო და უფრო ულმობლად ამხელს ბრესტის ზავზე უარესი ზავის, ვერსალის ზავის, მნიშვნელობასა და შედეგებს. და იმ მრავალი მილიონი ადამიანის თვალწინ, რომლებიც გუშინდელი ომის და ხვალ მოსალოდნელი ომის მიზეზებს უფიქრდებიან, სულ უფრო და უფრო ნათლად, სულ უფრო და უფრო მკაფიოდ, სულ უფრო და უფრო გარდუვალად ისახება მრისხანე სიმართლე: თავს ვერ დააღწევ იმპერიალისტურ ომს და გარდუვალად მის წარმომშობ იმპერიალისტურ ზავს (ჩვენ რომ ძველი მართლწერა გვქონდეს, მე აქ დავწერდი ორივე სიტყვას «мир» ორივე მათი მნიშვნელობით), თავს ვერ დააღწევ ამ ჯოჯოხეთს ს ხ ვ ა ნ ა ი რ ა დ, თ უ ა რ ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი ბ რ ძ ო ლ ი თ და ბ ო ლ შ ე ვ ი კ უ რ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი ი თ.

დაე ეს რევოლუცია ცოფმორეულად აგინონ ბურჟუაზიამ და პაციფისტებმა, გენერლებმა და მეშჩანებმა, კაპიტალისტებმა და ფილისტერებმა, ყველა მორწმუნე ქრისტიანმა და II თუ II½ ინტერნაციონალების ყველა რაინდმა. ღვარძლის, ცილისწამებისა და სიცრუის ვერავითარი ნიაღვრით ვერ მიჩქმალავენ ისინი იმ მსოფლიო-ისტორიულ ფაქტს, რომ მონათმფლობელებს შორის ამტყდარ ომს მონებმა ასეულ და ათასეულ წელთა განმავლობაში პირველად უპასუხეს შემდეგი ლოზუნგის აშკარა გამოცხადებით: მონათმფლობელებს შორის მათი ნადავლის გასაყოფად ამტყდარი ეს ომი გადავაქციოთ ყველა ერის მონების ომად ყველა ერის მონათმფლობელთა წინააღმდეგ.

პირველად ასეულ და ათასეულ წელთა განმავლობაში გადაიქცა ეს ლოზუნგი ბუნდოვანი და უძლური ლოდინიდან ნათელ, მკვეთრ პოლიტიკურ პროგრამად, მილიონობით ჩაგრულთა აქტიურ ბრძოლად პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, გადაიქცა პროლეტარიატის პირველ გამარჯვებად, ომების მოსპობის საქმის, ყველა ქვეყნის მუშათა კავშირის საქმის პირველ გამარჯვებად სხვადასხვა ერის ბურჟუაზიის კავშირზე, — იმ ბურჟუაზიისა, რომელიც კიდევაც ზავს

ჰკრავს და კიდევაც ომობს კაპიტალის მონების ხარჯზე, დაქირავებული მუშების ხარჯზე, გლეხების ხარჯზე, მშრომელების ხარჯზე.

ეს პირველი გამარჯვება ჯერ კიდევ არ არის საბოლოო გამარჯვება, და იგი ჩვენმა ოქტომბრის რევოლუციამ მოიპოვა არნახული გაჭირვებითა და სიძნელით, გაუგონარი ტანჯვით, მთელი რიგი უდიდესი წარუმატებლობებითა და შეცდომებით ჩვენი მხრივ. აბა განა ერთი ჩამორჩენილი ხალხი შესძლებდა წარუმატებლობათა და შეცდომათა გარეშე მსოფლიოში ყველაზე ძლიერი და ყველაზე მოწინავე ქვეყნების მიერ წარმოებული იმპერიალისტური ომების დაძლევას! ჩვენ არ გვეშინია ჩვენი შეცდომების აღიარებისა და ფხიზლად შევხედავთ მათ, რათა მათი გამოსწორება ვისწავლოთ. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: პირველად ასეულ და ათასეულ წელთა განმავლობაში აღთქმა, რომ მონათმფლობელთა შორის ატეხილ ომს «პასუხს გავცემთ» მონების რევოლუციით ყველა და ყოველნაირ მონათმფლობელთა წინააღმდეგ, ბოლომდეა შესრულებული — — — და სრულდება, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელისა.

ჩვენ ეს საქმე დავიწყეთ. სახელდობრ როდის, რა ვადაში, რომელი ერის პროლეტარები დააბოლოვებენ ამ საქმეს, — ეს საკითხი არ არის არსებითი. არსებითია ის, რომ ყინული გატეხილია, გზა გახსნილია, მიმართულება ნაჩვენებია.

განაგრძეთ თქვენი თვალთმაქცობა, ყველა ქვეყნის ბატონო კაპიტალისტებო, იაპონელთა «სამშობლოს დამცველებო» ამერიკელთა სამშობლოსაგან, ამერიკელთა სამშობლოსი — იაპონელთა სამშობლოსაგან, ფრანგთა სამშობლოსი — ინგლისელთა სამშობლოსაგან და სხვ.! განაგრძეთ იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა საკითხის «მიფუჩეჩება» ახალი «ბაზელის მანიფესტებითა» (ბაზელის 1912 წლის მანიფესტის მსგავსად), ბატონო II და II$^1/_2$ ინტერნაციონალების რაინდებო მთელი მსოფლიოს ყველა პაციფისტ მეშჩანთან და ფილისტერთან ერთად! დედამიწაზე პირველმა ბოლშევიკურმა რევოლუციამ იხსნა პირველი ასი მილიონი ადამიანი იმპერიალისტური ომისაგან, იმპერიალისტური ზავისაგან. შემდგომი რევოლუციები მთელ კაცობრიობას იხსნიან ასეთი ომებისა და ასეთი ზავისაგან.

ჩვენი უკანასკნელი, — და ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ძნელი და ყველაზე დაუმთავრებელი საქმეა: სამეურნეო მშენებლობა, ეკონომიური საძირკვლის ჩაყრა ახალი, სოციალისტური, შენობისათვის დანგრეული ფეოდალური და ნახევრადდანგრეული კა-

პიტალისტური შენობის ადგილას. ამ ყველაზე მნიშვნელოვან და ყველაზე ძნელ საქმეში ჩვენ გვქონდა ყველაზე მეტი მარცხი, ყველაზე მეტი შეცდომები. აბა განა წარუმატებლობათა და შეცდომათა გარეშე შეიძლებოდა ამ საქვეყნო ახალი საქმის დაწყება! მაგრამ ჩვენ იგი დავიწყეთ. ჩვენ მას ვაწარმოებთ. ჩვენ სწორედ ახლა ვასწორებთ ჩვენი «ახალი ეკონომიური პოლიტიკით» მთელ რიგ ჩვენს შეცდომებს, ჩვენ ვსწავლობთ, როგორ ვაშენოთ მომავალში სოციალისტური შენობა წვრილგლეხურ ქვეყანაში ამ შეცდომების დაუშვებლად.

სიძნელენი განუზომელია. ჩვენ შევეჩვიეთ განუზომელ სიძნელეებთან ბრძოლას. ტყუილუბრალოდ ხომ არ გვიწოდეს ჩვენმა მტრებმა «სალკლდოვანნი» და «ძვლისმმტვრევი პოლიტიკის» წარმომადგენლები. მაგრამ ჩვენ ვისწავლეთ აგრეთვე — ყოველ შემთხვევაში: რამდენადმე ვისწავლეთ რევოლუციაში საჭირო მეორე ხელოვნება — მოქნილობა, საკუთარი ტაქტიკის სწრაფად და მკვეთრად შეცვლის უნარი, შეცვლილი ობიექტური პირობებისათვის ანგარიშის გაწევით, ჩვენი მიზნისკენ სხვა გზის არჩევით, თუ წინანდელი გზა დროის ამა თუ იმ პერიოდისათვის მიზანშეუწონელი, შეუძლებელი აღმოჩნდა.

ჩვენ ვიმედოვნებდით, ენთუზიაზმის ტალღით აღტაცებულნი, ჩვენ, რომლებმაც გამოვაღვიძეთ ხალხის ენთუზიაზმი ჯერ საერთო-პოლიტიკური, შემდეგ სამხედრო, ჩვენ ვიმედოვნებდით უშუალოდ ამ ენთუზიაზმის ნიადაგზე გაგვეხორციელებინა ისევე დიდი (როგორც საერთო-პოლიტიკური, როგორც სამხედრო) ეკონომიური ამოცანები. ჩვენ ვიმედოვნებდით, — ან, შეიძლება, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით: ჩვენ ვვარაუდობდით საკმაო ანგარიშიანობის უქონლად — პროლეტარული სახელმწიფოს უშუალო ბრძანებებით მოგვეგვარებინა პროდუქტების სახელმწიფო წარმოება და სახელმწიფო განაწილება კომუნისტურად წვრილგლეხურ ქვეყანაში. ცხოვრებამ დაგვანახვა ჩვენი შეცდომა. საჭირო გახდა მთელი რიგი გარდამავალი საფეხურები: სახელმწიფო კაპიტალიზმი და სოციალიზმი, რომ მ ო გ ვ ე მ ზ ა დ ე ბ ი ნ ა — მთელი რიგი წლების განმავლობაში მუშაობით მოგვემზადებინა — კომუნიზმზე გადასვლა. არა უშუალოდ ენთუზიაზმზე დაყრდნობით, არამედ დიდი რევოლუციის მიერ წარმოშობილი ენთუზიაზმის დახმარებით, პირად ინტერესზე, პირად დაინტერესებაზე, სამეურნეო ანგარიშიანობაზე დაყრდნობით შეეცადეთ ჯერ ააშენოთ მტკიცე ხიდები, რომელთაც წვრილგლეხურ ქვეყანაში სახელმწიფო კაპიტალიზმის სა-

შუალებით მივყავართ სოციალიზმისაკენ; სხვანაირად თქვენ ვერ მიხვალთ კომუნიზმთან, სხვანაირად თქვენ ვერ მიიყვანთ კომუნიზმთან მრავალ ათეულ მილიონ ადამიანს. ასე გვიკარნახა ცხოვრებამ. ასე გვიკარნახა რევოლუციის განვითარების ობიექტურმა მსვლელობამ.

და ჩვენ, რომელთაც სამი და ოთხი წლის განმავლობაში ცოტათი ვისწავლეთ მკვეთრი შემობრუნებანი (როცა საჭიროა მკვეთრი შემობრუნება), დავიწყეთ გულმოდგინედ, ყურადღებით, თავგამოდებით (თუმცა ჯერ კიდევ არასაკმაოდ გულმოდგინედ, არასაკმაო ყურადღებით, არასაკმაო თავგამოდებით) სწავლა ახალი შემობრუნებისა, «ახალი ეკონომიური პოლიტიკისა». პროლეტარული სახელმწიფო უნდა გახდეს ფრთხილი, ბეჯითი, უნარიანი «მეპატრონე», წესიერი მებითუმე ვაჭარი, — წინააღმდეგ შემთხვევაში ის წვოილგლეხურ ქვეყანას ეკონომიურად ფეხზე ვერ დააყენებს. სხვანაირი გადასვლა კომუნიზმზე ახლა, არსებულ პირობებში, კაპიტალისტური (ჯერ კიდევ კაპიტალისტური) დასავლეთის გვერდით, არ არსებობს. მებითუმე ვაჭარი, ეს თითქოს ისეთი ეკონომიური ტიპია, რომელიც, როგორც ცა დედამიწას, ისეა დაშორებული კომუნიზმს. მაგრამ ეს სწორედ ერთი ისეთი წინააღმდეგობათაგანია, რომელსაც სინამდვილეში მივყავართ წვრილი გლეხური მეურნეობიდან სახელმწიფო კაპიტალიზმის გზით სოციალიზმისაკენ. პირადი დაინტერესება ავითარებს წარმოებას; ჩვენ გვესაჭიროება წარმოების გადიდება უწინარეს ყოვლისა და რადაც უნდა დაჯდეს. ბითუმად ვაჭრობა მილიონობით წვრილ გლეხს აერთიანებს ეკონომიურად, ინტერესს უნერგავს მათ, აკავშირებს მათ, მიჰყავს ისინი შემდგომი საფეხურისაკენ: თვით წარმოებაში კავშირისა და გაერთიანების სხვადასხვა ფორმისაკენ. ჩვენ უკვე დავიწყეთ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის აუცილებელი გარდაქმნა. ჩვენ უკვე გვაქვს ამ სფეროში ზოგიერთი — მართალია, მცირე, ნაწილობრივი, მაგრამ მაინც უეჭველი წარმატება. ჩვენ უკვე ვამთავრებთ, ახალი «მეცნიერების» ამ სფეროში, მოსამზადებელ კლასს. მტკიცედ და გულმოდგინედ ვისწავლით, პრაქტიკული გამოცდილებით შევამოწმებთ თვითეულ ჩვენს ნაბიჯს, არ შევუშინდებით დაწყებულის არა ერთხელ გადაკეთებას, ჩვენი შეცდომების გამოსწორებას, ყურადღებით ჩავუკვირდებით მათს მნიშვნელობას და ასე გადავალთ შემდეგ

კლასებშიც. ჩვენ გავივლით მთელ «კურსს», თუმცა მსოფლიო ეკონომიკის და მსოფლიო პოლიტიკის გარემოებებმა იგი გაცილებით უფრო ხანგრძლივი და უფრო ძნელი გახადეს, ვიდრე ჩვენ ეს გვსურდა. რადაც უნდა დაჯდეს, რაც უნდა მძიმე იყოს გარდამავალი დროის ტანჯვა, გაჭირვება, შიმშილი, ნგრევა, ჩვენ სულით არ დავეცემით და ჩვენს საქმეს საბოლოო გამარჯვებამდე მივიყვანთ.

1921. 14. X.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ 33, გვ. 37 — 48

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ახალი ეკონომიური პოლიტიკა და პოლიტგანეგების ამოცანები

მოხსენებიდან პოლიტგანეგების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე 1921 წ. 17 ოქტომბერს

შევძლებთ თუ არა მუშაობას ჩვენთვის?

ჩვენში იყო დეზერტირობა არმიიდან, ასევე იყო შრომის ფრონტზეც: შენ კაპიტალისტისთვის მუშაობდი, ექსპლოატატორისთვის მუშაობდი, და, გასაგებია, რომ ცუდად მუშაობდი; მაგრამ ახლა შენთვის მუშაობ, მუშურ-გლეხური ხელისუფლებისთვის მუშაობ. გახსოვდეს, რომ უნდა გადაწყდეს საკითხი — შევძლებთ თუ არა მუშაობას ჩვენთვის, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, — ვიმეორებ, — ჩვენი რესპუბლიკა დაიღუპება. და ჩვენ ვამბობთ, როგორც ვამბობდით არმიაში: ან უნდა დაიღუპონ ყველა ისინი, ვისაც ჩვენი დაღუპვა უნდოდა, და აქ ჩვენ გამოვიყენებთ დისციპლინის უაღრესად მკაცრ ზომებს, ან ვიხსნით ჩვენს ქვეყანას, და იცოცხლებს ჩვენი რესპუბლიკა.

აი რანაირი უნდა იყოს ჩვენი ხაზი, აი რატომ არის (სხვათა შორის) ჩვენთვის საჭირო ახალი ეკონომიური პოლიტიკა.

ყველამ გაუძეხით საქმეს. თქვენს გვერდით იქნებიან კაპიტალისტები, — თქვენს გვერდით იქნებიან აგრეთვე უცხოელი კაპიტალისტებიც, კონცესიონერები და მოიჯარადრეები, ისინი თქვენ გამოგტაცებენ მოგების ასეულ პროცენტებს, ისინი თქვენს გვერდით გამდიდრდებიან. დაე გამდიდრდნენ, თქვენ კი მათგან ისწავლით საქმის გაძღოლას, და მხოლოდ მაშინ შესძლებთ კომუნისტური რესპუბლიკის აშენებას. სწრაფი სწავლების აუცილებლობის თვალსაზრისით — ყოველგვარი ხელის შეშვება უდიდესი დანაშაულია. და ამ მეცნიერებას, მძიმე, მკაცრ მეცნიერებას, ხანდახან სასტიკსაც კი, უნდა დავეუფლოთ, რადგან სხვა გამოსავალი არ არის.

უნდა გახსოვდეთ, რომ მრავალი წლის განსაცდელის შემდეგ გაღატაკებული ჩვენი საბჭოთა ქვეყანა გარშემორტყმულია არა სო-

ციალისტური საფრანგეთით და არა სოციალისტური ინგლისით, რომლებიც დაგვეხმარებოდნენ თავიანთი მაღალი ტექნიკით, თავიანთი მაღალი მრეწველობით. არა! უნდა გვახსოვდეს, რომ ახლა მთელი მათი მაღალი ტექნიკა, მთელი მათი მაღალი მრეწველობა ეკუთვნის კაპიტალისტებს, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებენ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ან უაღრესად უნდა დავძაბოთ ძალ-ღონე ყოველდღიურ შრომაში, ან აუცილებელი დაღუპვა მოგველის.

საქმის არსებული ვითარების გამო მთელი მსოფლიო ჩვენზე უფრო სწრაფად ვითარდება. კაპიტალისტური სამყარო, ვითარდება რა, მთელ თავის ძალებს ჩვენს წინააღმდეგ მიმართავს. აი როგორ დგას საკითხი! აი რატომ უნდა მივაქციოთ ამ ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება.

ჩვენი უკულტურობის პირობებში ჩვენ არ შეგვიძლია კაპიტალიზმის დაღუპვა პირდაპირი იერიშით. კულტურის სხვანაირი დონის დროს შეიძლებოდა ამოცანის უფრო პირდაპირი გზით გადაჭრა, — და, შესაძლოა, სხვა ქვეყნები ასეც გადაწყვეტენ, როდესაც მათი კომუნისტური რესპუბლიკების აგების დრო დადგება. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია პირდაპირი გზით გადავწყვიტოთ საკითხი.

სახელმწიფომ უნდა ისწავლოს ვაჭრობა ისე, რომ მრეწველობა აკმაყოფილებდეს გლეხობას, რომ გლეხობა ვაჭრობით იკმაყოფილებდეს თავის საჭიროებებს. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ ყოველმა მშრომელმა თავისი ძალ-ღონე მუშურ-გლეხური სახელმწიფოს გამაგრებას მოახმაროს. მხოლოდ მაშინ შეიძლება შეიქმნას მსხვილი მრეწველობა.

საჭიროა, რომ ეს შეგნება შეიჭრას მასებში, და არათუ შეიჭრას მასებში, არამედ პრაქტიკულადაც განმტკიცდეს მათში. აი საიდან გამომდინარეობს, — ვამბობ მე, — პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს ამოცანები. ყოველი ღრმა პოლიტიკური გადატრიალების შემდეგ ხალხს დიდი დრო ესაჭიროება იმისათვის, რომ ეს გადატრიალება შეითვისოს. და აი აქ დგას საკითხი — შეიგნო თუ არა ხალხმა ის გაკვეთილები, რომლებიც მას მიეცა. დიდად სამწუხაროდ, ამ კითხვაზე შეიძლება ვუპასუხოთ, რომ ვერ შეიგნო. ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ ჩვენ გაცილებით უფრო ჩქარა, გაცილებით უფრო მოკლე გზით მივიდოდით მსხვილი მრეწველობის შექმნამდე.

მას შემდეგ, რაც გადავწყვიტეთ მსოფლიოში უდიდესი პოლიტიკური გადატრიალების ამოცანა, ჩვენს წინაშე დადგა სხვა ამოცანები — კულტურული ამოცანები, რომელთაც შეიძლება ვუწოდოთ

«პატარა საქმეები». საჭიროა ავითვისოთ ეს პოლიტიკური გადატრიალება, გასაგები გავხადოთ იგი მოსახლეობის მასებისთვის, მივაღწიოთ იმას, რომ ეს პოლიტიკური გადატრიალება მარტო დეკლარაციად არ დარჩეს.

მოძველებული ხერხები

თავის დროზე საჭირო იყო ეს დეკლარაციები, განცხადებები, მანიფესტები, დეკრეტები. ყოველივე ეს ჩვენ საკმაოდ გვაქვს. თავის დროზე ასეთი რამეები აუცილებელი იყო, რათა დაგვენახვებინა ხალხისთვის, თუ როგორ და რის, რა ახალი და არნახული რამეების აშენება გვინდა. მაგრამ შეიძლება განა განვაგრძოთ იმის ჩვენება ხალხისათვის, თუ რის აშენება გვინდა? — არ შეიძლება! ასეთ შემთხვევაში სულ უბრალო მუშა სასაცილოდ აგვიგდებს. ის იტყვის: «რა ამბავია, რომ სულ იმას გვიჩვენებ, თუ როგორ გინდა ააშენო; შენ საქმით დაგვანახვე — როგორ იცი აშენება. და თუ არ იცი, ჩვენ სხვადასხვა გზა გვქონია, მოგვშორდი თავიდანო!». და ის მართალიც იქნება.

წავიდა ის დრო, როდესაც საჭირო იყო პოლიტიკურად დაგვეხატა დიადი ამოცანები, და დადგა დრო, როდესაც პრაქტიკულად უნდა განვახორციელოთ ისინი. ახლა ჩვენს წინაშეა კულტურული ამოცანები, იმ პოლიტიკური გამოცდილების ათვისების ამოცანები, რომელიც შეიძლება და უნდა განხორციელდეს. ან საბჭოთა ხელისუფლების ყველა პოლიტიკური მონაპოვრის დაღუპვა, ან ეკონომიური საძირკველი უნდა ჩავუყაროთ მათ. ეს ამჟამად არ არის. სწორედ ამას უნდა მოვკიდოთ ხელი.

კულტურის ამაღლების ამოცანა — ერთ-ერთი ყველაზე მორიგი ამოცანაა. და ეს პოლიტგანათლების ამოცანაა, თუკი იგი შესძლებს ემსახუროს «პოლიტიკურ განათლებას», რა სახელწოდებაც მან თავისთვის აირჩია. სახელის დაჩემება ძნელი არაა, მაგრამ აი უნახოთ, როგორ არის შესრულების საქმე? იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ყრილობის შემდეგ ზუსტ მონაცემებს მივიღებთ ამის შესახებ. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო კომისია ჩვენში შექმნილია 1920 წლის 19 ივლისს. მე განგებ, ვიდრე ყრილობაზე მოვიდოდი, წავიკითხე სათანადო დეკრეტი. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სრულიად რუსეთის კომისია... ეგ არაფერი — წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისია. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ ყრილობის შემდეგ მივიღებთ მონაცემებს, თუ

რამდენ გუბერნიაში და სახელდობრ რა გაკეთდა ამ სფეროში, და მივიღებთ ზუსტ ანგარიშს. მაგრამ უკვე ის გარემოება, რომ საჭირო გახდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისიის შექმნა, ამტკიცებს, რომ ჩვენა ვართ (როგორა ვთქვა უფრო რბილად?) — ასე ვთქვათ, ნახევრადველურები, იმიტომ რომ ისეთ ქვეყანაში, სადაც ხალხი ნახევრადველური არაა, იქ სირცხვილი იქნებოდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საგანგებო კომისიის შექმნა, — იქ სკოლებში სპობენ წერა-კითხვის უცოდინარობას. იქ ასე თუ ისე რიგიანი სკოლებია, — და ამ სკოლებში ასწავლიან. რას? უწინარეს ყოვლისა, წერა-კითხვას. მაგრამ თუ ეს ელემენტარული ამოცანა გადაწყვეტილი არაა, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე ლაპარაკი სასაცილოა.

ყველაზე დიდი სასწაული

რის ახალი ეკონომიური პოლიტიკა? ღმერთმა ქნას როგორმე ძველით გავიტანოთ თავი, თუკი გვიხდება საგანგებო ზომებით მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა. ეს — აშკარაა. მაგრამ კიდევ უფრო მეტად აშკარა ის არის, რომ ჩვენ სასწაულები მოვახდინეთ სამხედრო სფეროშიც და სხვა სფეროებშიც. ამ სასწაულთა შორის ყველაზე დიდი სასწაული, ჩემი აზრით, ის იქნებოდა, რომ საბოლოოდ გაგვეუქმებინა წერა-კითხვის უცოდინარობის თვით ეს სალიკვიდაციო კომისია. და რომ კვლავ აღარ წამოიჭრას ასეთი პროექტები, როგორიც აქ მოვისმინე, განსახკომისაგან გამოყოფის შესახებ. თუ ეს ასეა, თუ თქვენ ამას ჩაუკვირდებით, დამეთანხმებით, რომ საჭიროა შევქმნათ ზოგიერთი უხეირო პროექტის სალიკვიდაციო საგანგებო კომისია.

ეს კიდევ ცოტაა: არ კმარა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, საჭიროა კიდევ საბჭოთა მეურნეობის შექმნა, აქ კი მარტო წერა-კითხვით შორს ვერ წახვალ. ჩვენ გვესაჭიროება კულტურის უდიდესი ამაღლება. საჭიროა, რომ კაცმა საქმით გამოიყენოს წერისა და კითხვის ცოდნა, რომ მას ჰქონდეს წასაკითხი, რომ მას ჰქონდეს გაზეთები და პროპაგანდისტული ბროშურები, რომ ისინი სწორად ნაწილდებოდეს და ხალხამდე აღწევდეს, რომ გზაში არ იკარგებოდეს. ასე რომ მათ ნახევარზე მეტს არც კი კითხულობენ და რაღაცას ახმარებენ კანცელარიებში, ხოლო ხალხამდე, შესაძლოა, მეოთხედიც ვერ აღწევს. უნდა ვისწავლოთ იმ მცირედის გამოყენება, რაც მოგვეპოვება.

აი რატომაა საჭირო, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით დაუღალავად ვაყენებდეთ იმ აზრს, რომ პოლიტიკური განათლება მოითხოვს კულტურის ამაღლებას რადაც უნდა დაჯდეს. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ წერა-კითხვის ცოდნა კულტურის ამაღლებას ემსახურებოდეს, რომ გლეხს საშუალება მიეცეს წერა-კითხვის ეს ცოდნა გამოიყენოს თავისი მეურნეობისა და თავისი სახელმწიფოს გასაუმჯობესებლად.

საბჭოთა კანონები ძალიან კარგია, იმიტომ რომ ყველას აძლევს შესაძლებლობას ებრძოლოს ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას, შესაძლებლობას, რომელიც არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში მინიჭებული არა აქვთ მუშასა და გლეხს. მერე რა — სარგებლობენ ამ შესაძლებლობით? თითქმის არავინ! და არათუ გლეხმა, კომუნისტთა უდიდესმა პროცენტმაც არ იცის როგორ გამოიყენოს საბჭოთა კანონები საქმის გაჭიანურებასთან, ბიუროკრატიზმთან ანდა ისეთ ჭეშმარიტად რუსულ მოვლენასთან საბრძოლველად, როგორიც არის მექრთამეობა. რა უშლის ხელს ამ მოვლენასთან ბრძოლას? ჩვენი კანონები? ჩვენი პროპაგანდა? პირიქით! კანონები რამდენიც გნებავთ, იმდენია დაწერილი! მაშ რატომ არა გვაქვს წარმატება ამ ბრძოლაში? იმიტომ, რომ ამ ბრძოლას მარტოოდენ პროპაგანდით ვერ გამოიწვევ, მისი დამთავრება კი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით ხალხის მასა გვეხმარება. ჩვენში კომუნისტებმა, ნახევარზე არანაკლებმა, არ იციან ბრძოლა, რომ არაფერი ვთქვათ ისეთებზე, რომლებიც ხელს უშლიან ბრძოლას. მართალია, თქვენს შორის 99% კომუნისტია, და თქვენ იცით, რომ ხსენებულ კომუნისტებს ახლა ვუკეთებთ ოპერაციას, რომელსაც ატარებს პარტიის გამწმენდი კომისია, და არის იმედი, რომ 100 ათასს კაცს ჩვენი პარტიიდან განვდევნით. ზოგიერთები ამბობენ, რომ 200 ათასსო. — და ამ უკანასკნელთა აზრი მე უფრო მომწონს.

დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი პარტიიდან გავაგდებთ 100-დან 200 ათასამდე კომუნისტს, რომლებიც მიეტმასნენ პარტიას და რომელთაც არათუ არ ძალუძთ ბრძოლა საქმის გაჭიანურებასთან და მექრთამეობასთან, არამედ ხელსაც უშლიან მათთან ბრძოლას.

პოლიტგანათლების მუშაკთა ამოცანები

ჩვენი პარტიიდან რომ ას-ორას ათასს გავწმენდდეთ, ეს სასარგებლო იქნება, მაგრამ ეს უმნიშვნელო ნაწილია იმისა, რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ. საჭიროა, რომ პოლიტგანათლების სამმართველოებმა მთელი თავიანთი მუშაობა შეუფარდონ ამ მიზანს. წერა-

კითხვის უცოდინარობას უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ მარტო წერა-კითხვის ცოდნაც არ კმარა, საჭიროა ის კულტურა, რომელიც გვასწავლის ბრძოლას საქმის გაჭიანურებასთან და მექრთამეობასთან. ეს ისეთი სატკივარია, რომელსაც ვერავითარი სამხედრო გამარჯვებით და ვერავითარი პოლიტიკური გარდაქმნით ვერ განკურნავ. არსებითად ამ სატკივარს ვერ განკურნავ სამხედრო გამარჯვებებით და პოლიტიკური გარდაქმნებით, მისი განკურნება შეიძლება მხოლოდ კულტურის აღმავლობით. და ეს ამოცანა ეკისრებათ პოლიტგანებს.

საჭიროა, რომ პოლიტგანათლების მუშაკებს თავიანთი ამოცანები ესმოდეთ არა მოხელურად, რასაც აგრეთვე ძალიან ხშირად ვამჩნევთ ხოლმე, როდესაც ლაპარაკია: განა არ შეიძლება პოლიტგანათლების საგუბერნიო სამმართველოს წარმომადგენელი შევიყვანოთ საგუბერნიო ეკონომიურ თათბირში წევრადო [121]. უკაცრავად, თქვენი შეყვანა არსად არ არის საჭირო, არამედ საჭიროა, რომ თქვენს ამოცანებს წყვეტდეთ როგორც უბრალო მოქალაქეები. როდესაც თქვენ დაწესებულებაში შედიხართ, თქვენ ბიუროკრატდებით, ხოლო თუ საქმე გექნებათ ხალხთან და პოლიტიკურად გაანათლებთ მას, გამოცდილება დაგანახვებთ, რომ პოლიტიკურად განათლებულ ხალხში ქრთამი აღარ იქნება, ჩვენში კი იგი ყოველ ნაბიჯზეა. შეგეკითხებიან: როგორ მოვიქცეთ, რომ ქრთამი არ იყოს, რომ აღმასკომში ესა და ეს კაცი ქრთამს არ იღებდეს, გვასწავლეთ, როგორ მივაღწიოთ ამას? და თუ პოლიტგანის მუშაკები იტყვიან: «ეს ჩვენს უწყებას არ ეხებაო», «ამის შესახებ გამოცემული გვაქვს ბროშურები და პროკლამაციებიო», ხალხი გეტყვით: «პარტიის ცუდი წევრები ყოფილხართ: მართალია, ეს თქვენს უწყებას არ ეხება, ამისთვის არსებობს მუშგლეხინი, მაგრამ თქვენ ხომ პარტიის წევრებიც ხართ». თქვენ პოლიტიკური განათლების სახელი დაირქვით. როდესაც ასეთ სახელს ირქმევდით, გაფრთხილებდნენ: სახელწოდების არჩევაში ძალიან ნუ შეტოპავთ, უბრალო სახელი დაირქვითო. მაგრამ თქვენ გინდოდათ პოლიტიკური განათლების სახელი დაგერქვათ, ხოლო ეს სახელი ბევრ რამეს შეიცავს. თქვენ ხომ იმ ადამიანთა სახელი არ დაგირქმევიათ, რომლებიც ხალხს ანაბანას ასწავლიან, თქვენ დაირქვით პოლიტიკური განათლების სახელი. შეიძლება გითხრან: «ძალიან კარგია, რომ ხალხს ასწავლით კითხვას, წერას, ეკონომიური კამპანიის ჩატარებას, ყველაფერი ეს ჩინებულია, მაგრამ ეს არ არის პოლიტიკური განათლება, იმიტომ რომ პოლიტიკური განათლება ნიშნავს ყველაფრის შეჯამებას».

ჩვენ ვეწევით და ვიმედოვნებთ თქვენც ეწევით პროპაგანდას პარბაროსობის წინააღმდეგ და ისეთ სატკივართა წინააღმდეგ, როგორიცაა ქრთამი, მაგრამ პოლიტიკური განათლება არ ამოიწურება ამ პროპაგანდით; პოლიტიკური განათლება ნიშნავს პრაქტიკულ შედეგებს, იგი ნიშნავს — ასწავლო ხალხს, თუ როგორ მიაღწიოს ამას, აჩვენო სხვებს ასეთი მაგალითები არა როგორც აღმასკომის წევრმა, არამედ როგორც უბრალო მოქალაქემ, რომელიც პოლიტიკურად სხვებზე უფრო განათლებულია და შეუძლია არა მარტო გვლანძღოს საქმის ყოველგვარი გაჭიანურებისთვის, — ეს ჩვენში ფართოდ ვრცელდება, — არამედ გვაჩვენოს, თუ როგორ შეიძლება საქმით ამ ბოროტების დაძლევა. ეს ძალიან ძნელი ხელოვნებაა, რომელსაც ვერ გადაწყვეტ საერთოდ კულტურის აუმაღლებლად, უიმისოდ, თუ მუშათა და გლეხთა მასა არ გახადე იმაზე უფრო კულტურული, ვიდრე ჩვენი ახლანდელი კულტურაა! მე მინდა პოლიტგანათლების მთავარი საშმართველოს ამ ამოცანას ყველაზე მეტად მივაქციო ყურადღება.

მე მინდა დასკვნა გავუკეთო ყოველივე იმას, რაც ვთქვი, და პრაქტიკულად შევაჯამო ყველა ის ამოცანა, რომელიც საგუბერნიო პოლიტგანების წინაშე დგას.

სამი მთავარი მტერი

ჩემი შეხედულებით, ამჟამად ადამიანის წინაშე დგას სამი მთავარი მტერი, მიუხედავად ამ ადამიანის საუწყებო როლისა, ამოცანები, რომლებიც პოლიტგანათლების მუშაკის წინაშე დგას, თუ ეს ადამიანი კომუნისტია, ხოლო ასეთები უმრავლესობაა. ეს სამი მთავარი მტერი, რომლებიც მის წინაშე დგას, შემდეგია: პირველი მტერია — კომუნისტური ყოყოჩობა, მეორე — წერა-კითხვის უცოდინარობა და მესამე — ქრთამი.

პირველი მტერია კომუნისტური ყოყოჩობა

კომუნისტური ყოყოჩობა ნიშნავს იმას, რომ ადამიანს, რომელიც კომუნისტური პარტიის წევრია და ჯერ კიდევ არ არის იქიდან გაწმენდილი, წარმოუდგენია, რომ ყველა თავის ამოცანის გადაწყვეტა მას შეუძლია კომუნისტური დეკრეტირებით. რაკი ის მმართველი პარტიის და ამა და ამ სახელმწიფო დაწესებულების წევრია, ამის გა-

მო მას წარმოუდგენია, რომ ეს შესაძლებლობას აძლევს მას ილაპარაკოს პოლიტიკური განათლების შედეგებზე. ნურას უკაცრავად! ეს მხოლოდ კომუნისტური ყოყოჩობაა. ვისწავლოთ პოლიტიკური განათლების გავრცელება — აი რაშია საქმე, ჩვენ კი ეს ვერ ვისწავლეთ, ჩვენში ჯერ კიდევ არ არის სწორი მიდგომა ამისადმი.

მეორე მტერია წერა-კითხვის უცოდინარობა

მეორე მტრის — წერა-კითხვის უცოდინარობის — შესახებ შემიძლია ვთქვა, რომ, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში არსებობს ისეთი მოვლენა, როგორიცაა წერა-კითხვის უცოდინარობა, პოლიტიკურ განათლებაზე ძალიან ძნელია ლაპარაკი. ეს არ არის პოლიტიკური ამოცანა. ეს არის პირობა, ურომლისოდაც პოლიტიკაზე ლაპარაკი შეუძლებელია. წერა-კითხვის უცოდინარი ადამიანი პოლიტიკის გარეშე დგას, მას ჯერ ანბანი უნდა ვასწავლოთ. უამისოდ პოლიტიკა შეუძლებელია, უამისოდ არის მხოლოდ ხმები, ჭორები, ზღაპრები, ცრურწმენა და არა პოლიტიკა.

მესამე მტერია ქრთამი

დასასრულ, თუკი არსებობს ისეთი მოვლენა, როგორიცაა ქრთამი, თუ ეს შესაძლებელია, მაშინ ლაპარაკიც არ შეიძლება პოლიტიკაზე. აქ ჯერ კიდევ პოლიტიკის ნასახიც არ არის, აქ პოლიტიკას ვერ შექმნი, იმიტომ რომ ყოველგვარი ზომები ჰაერში გამოკიდული დარჩება და სრულიად არავითარ შედეგს არ მოიტანს. კანონიც რომ იყოს, უარესი იქნება, თუ პრაქტიკულად მას გამოიყენებენ ქრთამის შესაძლებლობისა და გავრცელებულობის პირობებში. ასეთ პირობებში არავითარი პოლიტიკის წარმოება არ შეიძლება, აქ არ არის იმის ძირითადი პირობა, რომ შესაძლებელი იყოს კაცმა პოლიტიკას მოჰკიდოს ხელი. რომ შესაძლებელი იყოს გავაცნოთ ხალხს ჩვენი პოლიტიკური ამოცანები, რომ შესაძლებელი იყოს ვაჩვენოთ ხალხის მასებს: «აი რა ამოცანებისკენ უნდა ვისწრაფოდეთო» (ეს კი ჩვენ უნდა გაგვეკეთებინა!), უნდა შევიგნოთ, რომ აქ საჭიროა მასების კულტურული დონის ამაღლება. და კიდევაც უნდა მივაღწიოთ კულტურის ამ განსაზღვრულ დონეს. უამისოდ საქმით ჩვენი ამოცანების განხორციელება შეუძლებელია.

განსხვავება სამხედრო და კულტურულ ამოცანებს შორის

კულტურული ამოცანა ვერ გადაწყდება ისე სწრაფად, როგორც პოლიტიკური და სამხედრო ამოცანები. უნდა შევიგნოთ, რომ წინსვლის პირობები ახლა სულ სხვაა. კრიზისის გამწვავების ხანაში პოლიტიკური გამარჯვების მოპოვება რამდენიმე კვირაში შეიძლება. ომში შეიძლება გაიმარჯვო რამდენიმე თვეში, ხოლო კულტურის დარგში გამარჯვება ასეთ ვადაში შეუძლებელია, თვით საქმის არსის გამო აქ საჭიროა უფრო გრძელი ვადა, და საჭიროა ამ უფრო გრძელ ვადას შეეგუო, გაითვალისწინო შენი მუშაობა, გამოიჩინო უდიდესი შეუპოვრობა, სიმტკიცე და სისტემატურობა. უამთვისებებოდ პოლიტიკური განათლების საქმეს არც კი უნდა მოჰკიდო ხელი. ხოლო პოლიტიკური განათლების შედეგები შეიძლება მხოლოდ მეურნეობის გაუმჯობესებით გაიზომოს. არათუ საჭიროა მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა, მოვსპოთ ქრთამი, რომელიც ეყრდნობა წერა-კითხვის უცოდინარობის ნიადაგს, არამედ საჭიროა, რომ ჩვენი პროპაგანდა, ჩვენი სახელმძღვანელოები, ჩვენი ბროშურები ხალხმა საქმით შეითვისოს და რომ ამის შედეგად მივიღოთ სახალხო მეურნეობის გაუმჯობესება.

აი რა ამოცანები დგას პოლიტგანის წინაშე ჩვენს ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან დაკავშირებით, და მინდა იმედი ვიქონიო, რომ, ამ ჩვენი ყრილობის მეოხებით, დიდ წარმატებას მივაღწევთ ამ საქმეში.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 33, გვ. 63 — 74

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ნიჭიერად დაწერილი წიგნაკი

ეს არის თითქმის გონების დაბნელებამდე გაბოროტებული თეთრგვარდიელის არკადი ავერჩენკოს წიგნაკი: «თორმეტი დანა რევოლუციის ზურგში». პარიზი, 1921. საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ წარმოშვა უკიდურესმა სიძულვილმა ამ მეტად ნიჭიერად დაწერილი წიგნაკის როგორც შესანიშნავად ძლიერი, ისე შესანიშნავად სუსტი ადგილები. როცა ავტორი თავის მოთხრობებს მისთვის უცნობ თემას მიუძღვნის, არამხატვრულად გამოუდის. მაგალითად, მოთხრობა, რომელიც გვისურათებს ლენინსა და ტროცკის ოჯახურ ცხოვრებაში. სავსეა ღვარძლით, ოღონდ სინამდვილეს რაღაც არა ჰგავს, პატივცემულო მოქალაქე ავერჩენკო! გარწმუნებთ, რომ ლენინსა და ტროცკის მრავალი ნაკლი აქვთ, მათ შორის, მაშასადამე, ოჯახურ ცხოვრებაშიც. მხოლოდ მათ შესახებ რომ ნიჭიერად დაწერო, საჭიროა იცნობდე ამ ნაკლოვანებებს. თქვენ კი მათ არ იცნობთ.

სამაგიეროდ წიგნაკის დიდი ნაწილი ეძღვნება ისეთ თემებს, რომლებსაც არკადი ავერჩენკო ჩინებულად იცნობს, რომლებიც მას განუცდია, მოუფიქრებია, შეუგრძვნია. და გასაოცრად ნიჭიერად არის დახატული ძველი, მემამულეებისა და მეფაბრიკეების, მდიღარი, ჭამით გამსკდარი, ჭამას გადაყოლილი რუსეთის წარმომადგენლის შთაბეჭდილებანი და განწყობილებანი. ასე, სწორედ ასე უნდა ეჩვენებოდეს რევოლუცია მბრძანებელი კლასების წარმომადგენლებს. რისხვით აღგზნებული სიძულვილი ავერჩენკოს მოთხრობებს ზოგჯერ — და მეტწილად — გასაოცრად მკაფიოს ხდის. არის პირდაპირ საუცხოო რამეები, მაგ., «ჩექმებით გათელილი ბალახი», ბავშვთა ფსიქოლოგიის შესახებ, რომლებმაც განიცადეს და განიცდიან სამოქალაქო ომს.

მაგრამ ნამდვილ პათოსს ავტორი მხოლოდ მაშინ აღწევს, როცა ჭამაზე ლაპარაკობს. როგორ სჭამდნენ მდიდრები ძველ რუსეთში, როგორ საუზმობდნენ პეტროგრადში — არა, პეტროგრადში კი არა, პეტერბურგში — 14 მანეთნახევრად და 50 მანეთად და სხვ.. ავტორი ამას პირდაპირ ავხორცულად ასწერს: აი ეს მან იცის, აი ეს განუცდია და შეუგრძვნია მას, აი აქ ის შეცდომას აღარ დაუშვებს. საქმის ცოდნა და გულწრფელობა — არაჩვეულებრივია.

უკანასკნელ მოთხრობაში: «დამსხვრეულის ნატეხები» გამოსახულია: ყირიმს, სევასტოპოლს ჩარჩენილი ყოფილი სენატორი — «მდიდარი, გულუხვი, გავლენიანი კაცი იყო» — «ახლა საარტილერიო საწყობში დღიურად მუშაობს ყუმბარების გადმოტვირთვასა და დახარისხებაზე», და ყოფილი დირექტორი «ვეებერთელა მეტალურგიული ქარხნისა, რომელიც ვიბორგის მხარეში პირველ ქარხნად ითვლებოდა. ახლა ის საკომისიო მაღაზიის ნოქარია, და ბოლო ხანს ერთგვარი გამოცდილებაც კი შეიძინა საკომისიოდ მოტანილ ქალის ნახმარი ხალათებისა და ბავშვის სათამაშო ბუსუსიანი დათუნიების შეფასებაში».

ორივე მოხუცი იგონებს ძველ დროს, მზის ჩასვლას პეტერბურგში, ქუჩებს, თეატრებს, რა თქმა უნდა, ჭამას «მედვედში», «ვენაში» და «მალიი იაროსლავეცში» და სხვ.. და მოგონებებს მოსდევს წამოძახილები: «რა დავუშავეთ მათ? ვის ვუშლიდით ხელს?»... «რით უშლიდა მათ ხელს ყოველივე ეს?»... «რისთვის მათ რუსეთი ასე?»...

არკადი ავერჩენკო ვერ გაიგებს, რისთვის. მუშებსა და გლეხებს, როგორც ეტყობა, არ უძნელდებათ ამის გაგება, ისინი არ საჭიროებენ განმარტებას.

ზოგიერთი მოთხრობა, ჩემი აზრით, გადმობეჭდვის ღირსია. ნიჭს წახალისება უნდა.

დაიბეჭდა 1921 წ. 22 ნოემბერს
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 33,
გვ. 132 — 133

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ

სიტყვიდან მელითონეთა სრულიად რუსეთის ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე

1922 წლის 6 მარტს

... ახლა მუშაობის ამოცანა ჩვენში რამდენადმე იცვლება. აი ამის შესახებ მინდოდა კიდევ რამდენიმე სიტყვა მეთქვა ჩემი რამდენადმე ისედაც გაჭიანურებული მოხსენების დამატებით.

იმ მდგომარეობასთან დაკავშირებით, როდესაც გენუა[122] იჩენს მერყეობას, რომელსაც, მგონი, ბოლო არ უჩანს, და როდესაც ჩვენ საშინაო პოლიტიკაში ამდენ დათმობაზე წავედით, ახლა უნდა ვთქვათ: «კ მ ა რ ა, მ ე ტ ი ა რ ა ვ ი თ ა რ ი დ ა თ მ ო ბ ა!». თუ ბატონი კაპიტალისტები ფიქრობენ, რომ შეიძლება კიდევ საქმის გაჭიანურება და რაც უფრო მეტად გააჭიანურებენ, მით უფრო მეტი დათმობა იქნებაო, ვიმეორებ, მათ უნდა ვუთხრათ: «კ მ ა რ ა, ხ ვ ა ლ თ ქ ვ ე ნ ვ ე რ ა ფ ე რ ს ვ ე რ მ ი ი ღ ე ბ თ!». თუ საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი გამარჯვებების ისტორიამ მათ ვერაფერი ასწავლა, მაშინ — როგორც ნებავთ ისე მოიქცნენ. ჩვენი მხრივ ყველაფერი გავაკეთეთ და ამის შესახებ მთელი ქვეყნიერების წინაშე განვაცხადეთ. იმედი მაქვს, ყრილობაც დაადასტურებს, რომ ამას იქით უკან აღარ ვიხევთ. უ კ ა ნ დ ა ხ ე ვ ა გ ა თ ა ვ დ ა, ხოლო ამასთან დაკავშირებით ჩვენი მუშაობაც იცვლება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხის განხილვის დროს ჩვენში დღემდე შენიშნულია დიდი ნერვულობა, თითქმის მტკივნეულობამდე მისული; ადგენენ ყოველნაირ გეგმებს და გამოაქვთ ყოველგვარი გადაწყვეტილებები. ამის თაობაზე შემდეგი მინდა ვთქვა. გუშინ «იზვესტიაში» შემთხვევით წავიკითხე მაიაკოვსკის ლექსი პოლიტიკურ თემაზე[123]. მე არ ვეკუთვნი მისი პოეტური ნიჭის თაყვანისმცემლებს, თუმცა სავსებით ვაღიარებ ჩემს არაკომპეტენტურობას ამ სფეროში. მაგრამ დიდი ხანია არ განმიცდია

ასეთი სიამოვნება, პოლიტიკური და ადმინისტრაციული თვალსაზრისით. თავის ლექსში ის საშინლად დასცინის სხდომებს და საცინლად იგდებს კომუნისტებს, რომ ისინი სხდომებს არიან გადაყოლილნი. პოეზიის მხრივ არ ვიცი, ხოლო რაც შეეხება პოლიტიკას, დაბეჯითებით ვამბობ, რომ ეს სავსებით სწორია. ჩვენ, მართლაც, იმ ადამიანთა მდგომარეობაში ვიმყოფებით (უნდა ითქვას, რომ ეს მდგომარეობა ძალზე სულელურია), რომლებიც ნიადაგ სხდომებზე არიან, ადგენენ კომისიებს, ადგენენ გეგმებს— დაუსრულებლივ. იყო რუსული ცხოვრების ასეთი ტიპი — ობლომოვი. იგი სულ ტახტზე იყო წამოწოლილი და გეგმებს ადგენდა. მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო. რუსეთმა სამი რევოლუცია მოახდინა, ობლომოვები კი მაინც დარჩნენ, რადგან ობლომოვი იყო არა მარტო მემამულე, არამედ გლეხიც, არა მარტო გლეხი, არამედ ინტელიგენტიც, არა მარტო ინტელიგენტი, არამედ მუშაც და კომუნისტიც. საკმარისია შემოგვხედოს კაცმა, რას ვაკეთებთ ამ სხდომებზე, როგორ ვმუშაობთ კომისიებში, რომ თქვას: ძველი ობლომოვი დარჩენილა, და საჭიროა იგი დიდხანს ვბანოთ, ვასუფთაოთ, ვჩეჩოთ და ვანჯღრიოთ, რომ მისგან რაიმე სახეირო გამოვიდეს. ამ მხრივ ჩვენს მდგომარეობას უნდა შევხედოთ ყოველგვარი ილუზიების გარეშე. ჩვენ არ მიგვიბაძავს არავისთვის იმათგან, ვინც სიტყვას «რევოლუცია» დიდი ასოთი წერს, როგორც ამას ესერები შვრებიან. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ მარქსის სიტყვები, რომ რევოლუციის დროს ნაკლები სისულელე არ ხდება, ხანდახან კი მეტიცო [124]. ამ სისულელეებს უნდა შევხედოთ საღად და უშიშრად — ეს ჩვენ, რევოლუციონერებმა, უნდა ვისწავლოთ...

ხელნაწერი, გამოც. მე-4, ტ. 33, გვ. 255 — 257

იბეჭდება ხელნაწერთა ტექსტის მიხედვით

მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ

ჟურნალ «პოდ ზნამენემ მარქსიზმა»-ს [125] საერთო ამოცანების შესახებ ამხ. ტროცკიმ 1 — 2 ნომრის ფურცლებზე ყველაფერი არსებითი უკვე თქვა და ჩინებულადაც თქვა. მე მინდა შევჩერდე ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც უფრო სრულად არკვევენ იმ მუშაობის შინაარსსა და პროგრამას, რაც ჟურნალის რედაქციამ 1 — 2 ნომრის შესავალ განცხადებაში გამოაქვეყნა.

ამ განცხადებაში ნათქვამია, რომ ყველა ისინი, ვინც ჟურნალ «პოდ ზნამენემ მარქსიზმა»-ს ირგვლივ გაერთიანდა, კომუნისტები არ არიან, მაგრამ თანამიმდევარი მატერიალისტები კი ყველანი არიანო. ჩემი აზრით, კომუნისტების ეს კავშირი არაკომუნისტებთან აუცილებლად საჭიროა და სწორად განსაზღვრავს ჟურნალის ამოცანებს. კომუნისტების (ისე როგორც საერთოდ იმ რევოლუციონერების, რომლებმაც წარმატებით ჩაატარეს დიდი რევოლუციის დასაწყისი) ერთ-ერთი ყველაზე დიდი და საშიში შეცდომა არის ის წარმოდგენა, თითქოს რევოლუცია მარტოოდენ რევოლუციონერებს შეუძლიათ მოასდინონ. პირიქით, ყოველგვარი სერიოზული რევოლუციური მუშაობის წარმატებისათვის აუცილებელია შევიგნოთ და განვახორციელოთ ის დებულება, რომ რევოლუციონერებს შეუძლიათ შეასრულონ როლი მხოლოდ როგორც ნამდვილად ცხოველმყოფელი და მოწინავე კლასის ავანგარდს. ავანგარდი მხოლოდ მაშინ ასრულებს ავანგარდის ამოცანებს, როცა მას უნარი შესწევს არ მოსწყდეს მისი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ მასას, როცა მას მართლაც შეუძლია წინ წაუძღვეს მთელ მასას. მოქმედების უაღრესად სხვადასხვაგვარ სფეროში არაკომუნისტებთან კავშირის უქონლად ლაპარაკიც კი შეუძლებელია კომუნისტური მშენებლობის რაიმე წარმატებაზე.

ეს ითქმის მატერიალიზმისა და მარქსიზმის დაცვის იმ მუშაობაზეც, რომელსაც ხელი მოჰკიდა ჟურნალმა «პოდ ზნამენემ მარქსიზმა»-ვ. რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრის მთავარ მიმართულებებს, საბედნიეროდ, თვალსაჩინო მატერიალისტური ტრადიცია მოეპოვება. გ. ვ. პლეხანოვზე რომ არაფერი ვთქვათ, საკმარისია დავასახელოთ ჩერნიშევსკი, რომლისგანაც თანამედროვე ნაროდნიკები (სახალხო სოციალისტები, ესერები და სხვ.) ხშირად უკან იხევდნენ მოდურ რეაქციულ ფილოსოფიურ მოძღვრებათა გამოდევნების გამო, მათ თვალს სჭრიდა ევროპული მეცნიერების ვითომდა «უკანასკნელი სიტყვის» ზიზილ-პიპილები და ამ ზიზილ-პიპილების გამო ისინი ვერ ამჩნევდნენ ბურჟუაზიისადმი, მისი ცრურწმენისა და ბურჟუაზიული რეაქციულობისადმი ლაქიობის ამა თუ იმ სახესხვაობას.

ყოველ შემთხვევაში, რუსეთში ჩვენ გვყავს — და, უეჭველია, ჯერ კიდევ დიდხანს გვეყოლებიან — მატერიალისტები არაკომუნისტთა ბანაკიდან, და ჩვენი უცილობელი მოვალეობაა ეგრეთწოდებული «განათლებული საზოგადოების» ფილოსოფიური რეაქციისა და ფილოსოფიური ცრურწმენის წინააღმდეგ საბრძოლველად საერთო მუშაობაში ჩავებათ თანამიმდევრული და მებრძოლი მატერიალიზმის ყველა მომხრე. დიცგენმა-მამამ, რომელიც არ უნდა აგერიოთ მის იმდენადვე პრეტენზიულ, რამდენადაც უხეირო ლიტერატორ-ვაჟიშვილში, სწორად, სხარტად და ნათლად გამოხატა მარქსიზმის ძირითადი თვალსაზრისი ბურჟუაზიულ ქვეყნებში გაბატონებულ და მათ მეცნიერთა და პუბლიცისტთა შორის მიღებულ ფილოსოფიურ მიმართულებებზე, როცა თქვა, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ფილოსოფიის პროფესორები უმეტეს შემთხვევაში ნამდვილად წარმოადგენენ «ხუცობის დიპლომიან ლაქიებს» და მეტს არაფერსო.

ჩვენს, რუსეთის, ინტელიგენტებს, რომლებსაც თავი მოაქვთ თავიანთი მოწინავეობით, ისევე როგორც ყველა დანარჩენი ქვეყნის მათ მოძმეებსაც, ძალიან არ უყვართ საკითხის გადატანა იმ შეფასების ნიადაგზე, რომელიც მოცემულია დიცგენის სიტყვებით. მაგრამ მათ ეს იმიტომ არ უყვართ, რომ სიმართლე თვალსა სჭრით. საკმარისია ოდნავ მაინც ჩავუფიქრდეთ, თუ როგორ არიან დამოკიდებული თანამედროვე განათლებული ადამიანები გაბატონებული ბურჟუაზიისაგან სახელმწიფოებრივი, შემდეგ საერთო-ეკონომიური, შემდეგ საყოფაცხოვრებო და ყოველგვარი სხვა მხრივ, რომ გავიგოთ დიცგენის მკაცრი დახასიათების აბსოლუტური სისწორე. საკმარისია გავიხსენოთ დიდი უმეტესობა მოდური ფილოსოფიური მიმართულე-

ბებისა, რომელნიც ასე ხშირად ჩნდებიან ევროპულ ქვეყნებში, დაწ-ყებული, თუგინდ, იმ მიმართულებებით, რომელნიც რადიუმის აღმოჩენასთან იყვნენ დაკავშირებული, და გათავებული იმ მიმართუ-ლებებით, რომელნიც ახლა ცდილობენ ხელი ჩასჭიდონ ეინშტეინს,— რომ წარმოვიდგინოთ კავშირი ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერე-სებსა და კლასობრივ პოზიციას შორის, მის მიერ რელიგიის ყოველ-გვარი ფორმის მხარისდაჭერასა და მოდურ ფილოსოფიურ მიმართუ-ლებათა იდეურ შინაარსს შორის.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ ჟურნალი, რომელსაც სურს მებრ-ძოლი მატერიალიზმის ორგანო იყოს, მებრძოლი ორგანო უნდა იყოს. ჯერ-ერთი, «ხუცობის» ყველა თანამედროვე «დიპლომიანი ლაქიის» ურყევი მხილებისა და დევნის აზრით, სულ ერთია, ოფიციალური მეცნიერების წარმომადგენლები არიან ისინი თუ მოხალისე მსრო-ლელნი, რომელნიც «დემოკრატიულ მემარცხენეებს თუ იდეურ-სო-ციალისტ» პუბლიცისტებს უწოდებენ თავიანთ თავს.

მეორე, ასეთი ჟურნალი უნდა იყოს მებრძოლი ათეიზმის ორგანო. ჩვენ გვაქვს უწყებები ან, ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო დაწესე-ბულებები, რომლებიც ამ საქმეს განაგებენ. მაგრამ ეს მუშაობა ფრიად მოდუნებულად, ფრიად არადამაკმაყოფილებლად წარმოებს, განიცდის რა, როგორც ჩანს, ჩვენი ჭეშმარიტად რუსული (თუმცა საბჭოური) ბიუროკრატიზმის საერთო პირობების სიმძიმეს. ამიტომ მეტისმეტად მნიშვნელოვანია, რომ სათანადო სახელმწიფო დაწესე-ბულებათა მუშაობის შესავსებად, მის შესასწორებლად და გამოსა-ცოცხლებლად, ჟურნალი, რომელიც ამოცანად ისახავს — მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო გახდეს, დაუღალავ ათეისტურ პროპაგანდა-სა და ბრძოლას ეწეოდეს. იგი გულმოდგინედ უნდა ადევნებდეს თვალყურს მთელ სათანადო ლიტერატურას ყველა ენაზე, თარგმნი-დეს ან, ყოველ შემთხვევაში, ყველაფერ იმის შინაარსს გადმოსცემ-დეს, რაც კი ამ სფეროში საგულისხმო რამ არის.

ენგელსი დიდი ხანია ურჩევდა თანამედროვე პროლეტარიატის ხელმძღვანელებს — ეთარგმნათ და ხალხში მასობრივად გაევრცელე-ბინათ XVIII საუკუნის დამლევის მებრძოლი ათეისტური ლიტერა-ტურა [126]. ჩვენდა სამარცხვინოდ, ეს აქამდე არ გაგვიკეთებია (ერთი მრავალ საბუთთაგანი იმისა, რომ რევოლუციურ ეპოქაში ძალაუფ-ლების მოპოვება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ამ ძალაუფლე-ბის სწორად გამოყენება). ხანდახან ამ ჩვენს მოდუნებულობას, უმოქმედობასა და უუნარობას ყოველგვარი «მაღალფარდოვანი» მოსაზრებებით ამართლებენ: მაგალითად, ამბობენ, XVIII საუკუნის

ძველი ათეისტური ლიტერატურა მოძველდა, არამეცნიერულია, გულუბრყვილოაო და სხვ.. არა არის რა ამ, ვითომდა-მეცნიერულ, სოფიზმებზე უარესი, რომლებითაც ან პედანტობა იფარება, ანდა მარქსიზმის სრული გაუგებლობა. რა თქმა უნდა, XVIII საუკუნის რევოლუციონერთა ათეისტურ ნაწარმოებებში ბევრი რამ ჭოიპოვება არამეცნიერულიც და გულუბრყვილოც. მაგრამ ამ თხზულებათა გამომცემლებს არავინ უშლის შეამოკლონ ისინი, დაურთონ მოკლე ბოლოსიტყვაობანი და მიუთითონ, თუ რა პროგრესს მიაღწია კაცობრიობამ რელიგიის მეცნიერული კრიტიკის დარგში XVIII საუკუნის დამლევიდან, მიუთითონ სათანადო უახლესი თხზულებანი და სხვ.. მარქსისტისათვის უდიდესი და უცუდესი შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ხალხის (განსაკუთრებით გლეხთა და ხელოსანთა) მრავალმილიონიან მასებს, რომელთაც მთელმა თანამედროვე საზოგადოებამ ბედად არგუნა სიბნელე, უმეცრება და ცრურწმენა, შეუძლიათ ამ სიბნელიდან თავის დაღწევა მხოლოდ წმინდა მარქსისტული განათლების პირდაპირი ხაზით. ამ მასებს უნდა მივაწოდოთ ათეისტური პროპაგანდის უაღრესად ჭრავალფეროვანი მასალა, გავაცნოთ მათ ცხოვრების ფრიად სულ სხვადასხვა სფეროს ფაქტები, მივუდგეთ მათ ასეც და ისეც, რათა დავაინტერესოთ, გამოვაღვიძოთ ისინი რელიგიური ბანგისაგან, შევანჯღრიოთ სულ სხვადასხვა მხრივ, სულ სხვადასხვაგვარი საშუალებებით და სხვ.

XVIII საუკუნის ძველი ათეისტების მარჯვე, ცოცხალი, ნიჭიერად დაწერილი და გაბატონებულ ხუცობაზე გონებამახვილად და აშკარად თავდამსხმელი პუბლიცისტიკა ძალიან ხშირად ათასჯერ უფრო მეტად გამოსადეგია იმისათვის, რომ ადამიანები რელიგიური ბანგისაგან გამოვაღვიძოთ, ვიდრე მოსაწყენი, მშრალი, მარჯვედ შერჩეული ფაქტებით თითქმის სრულიად დაუსურათებელი გადმოღეჭვა მარქსიზმისა, რაც ჩვენს ლიტერატურაში სჭარბობს და რითაც ასე ხშირად (აქ დასამალი არაფერია) ამახინჯებენ მარქსიზმს. მარქსისა და ენგელსის ყველა რამდენადმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები ჩვენში უკვე გადმოთარგმნილია. იმის შიში, რომ ძველი ათეიზმი და ძველი მატერიალიზმი ჩვენში შეუვსებელი დარჩება იმ შესწორებებით, რაც მასში მარქსმა და ენგელსმა შეიტანეს, სრულიად უსაფუძვლოა. ყველაზე მნიშვნელოვანი — და ყველაზე ხშირად სწორედ ამას ივიწყებენ ჩვენი ვითომდა მარქსისტი, ნამდვილად კი მარქსიზმის დამამახინჯებელი კომუნისტები — ეს არის შევძლოთ დავაინტერესოთ ჯერ კიდევ სრულიად განუვითარებელი მასები შეგნებულად

შიუდგნენ რელიგიის საკითხებს და შეგნებულად გააკრიტიკონ რელიგიები.

მეორე მხრივ, შეხედეთ რელიგიათა თანამედროვე მეცნიერული კრიტიკის წარმომადგენლებს. განათლებული ბურჟუაზიის ეს წარმომადგენლები რელიგიური ცრურწმენის თავიანთივე საკუთარ უარყოფას თითქმის ყოველთვის ისეთს მსჯელობებს «დაურთავენ» ხოლმე, რაც მყისვე ამჟღავნებს მათ როგორც ბურჟუაზიის იდეურ მონებს, როგორც «ხუცობის დიპლომიან ლაქიებს».

ორი მაგალითი. 1918 წელს პროფ. რ. ი. ვიპერმა გამოსცა წიგნი: «ქრისტიანობის წარმოშობა» («ფაროსის» გამოც.. მოსკოვი). ავტორი ვადმოსცემს თანამედროვე მეცნიერების მთავარ მიღწევებს და არათუ არ ებრძვის იმ ცრურწმენას და ტყუილს, რაც ეკლესიის, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის, იარაღს შეადგენს, არათუ გვერდს უვლის ამ საკითხებს, არამედ პირდაპირ სასაცილო და ფრიად რეაქციულ პრეტენზიასაც კი აცხადებს: ორივე «უკიდურესობის» — იდეალისტურისა და მატერიალისტურის — მაღლა უნდა დავდგეო. ეს არის ლაქიობა გაბატონებული ბურჟუაზიისა, რომელიც მთელ მსოფლიოში მშრომელთა ექსპლოატაციით გამოწოვილი მოგებიდან ასეულ მილიონ მანეთს ხარჯავს რელიგიის დასახმარებლად.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი, არტურ დრევსი, რომელიც თავის წიგნში: «მითი ქრისტეს შესახებ» აბათილებს რელიგიურ ცრურწმენას და ზღაპრებს და ამტკიცებს, რომ არავითარი ქრისტე არ იყოო, წიგნის ბოლოში მაინც მხარს უჭერს რელიგიას, მხოლოდ განახლებულს, განწმენდილს, გაქნილს, ისეთს, რომელსაც უნარი ექნება შეებრძოლოს «დღითი დღე სულ უფრო და უფრო გაძლიერებულ ნატურალისტურ ნიაღვარს» (იხ. მე-4 გერმანული გამოცემის 238-ე გვ., 1910 წ.). ეს უკვე წმინდა წყლის, შეგნებული რეაქციონერია, რომელიც აშკარად ეხმარება ექსპლოატატორებს ძველი და დამყაყებული რელიგიური ცრურწმენა ახალი, უფრო მეტად საზიზღარი და საძაგელი ცრურწმენით შესცვალონ.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ საჭირო არ იყო დრევსის გადმოთარგმნა. ეს ნიშნავს იმას, რომ კომუნისტებმა და ყველა თანაჰიმდევარმა მატერიალისტმა, რომლებიც ერთგვარად დაკავშირებული არიან ბურჟუაზიის პროგრესულ ნაწილთან, განუხრელად უნდა ამხილონ ბურჟუაზიის ეს პროგრესული ნაწილი, როცა იგი რეაქციულობაში ვარდება. ეს იმას ნიშნავს, რომ თავი აარიდო კავშირს XVIII საუკუნის, ე. ი. იმ ეპოქის ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან, როცა იგი რევოლუციური იყო, ეს იქნებოდა ღალატი მარქსიზმისა და მატერია-

ლიზმის მიმართ, რადგან დრეკსებთან ამა თუ იმ ფორმით, ამა თუ იმ ზომით «კავშირის» დაპერა გაბატონებული რელიგიური ბნელეთის მოციქულების წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენთვის სავალდებულოა.

ჟურნალმა «პოდ ზნამენემ მარკსიზმა»-მ, რომელსაც სურს მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო იყოს, დიდი ადგილი უნდა დაუთმოს ათეისტურ პროპაგანდას, სათანადო ლიტერატურის მიმოხილვასა და ამ სფეროში ჩვენი სახელმწიფოებრივი მუშაობის უდიდეს ნაკლოვანებათა გამოსწორებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ წიგნებისა და ბროშურების გამოყენება, რომელნიც მრავალ ისეთს კონკრეტულ ფაქტსა და დაპირისპირებას შეიცავენ, რაც ცხადყოფს თანამედროვე ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებისა და კლასობრივი ორგანიზაციების კავშირს რელიგიურ დაწესებულებათა და რელიგიური პროპაგანდის ორგანიზაციებთან.

მეტისმეტად საყურადღებოა ყველა ის მასალა, რაც ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეხება, სადაც ნაკლებად იჩენს თავს რელიგიისა და კაპიტალის ოფიციალური, კაზიონური, სახელმწიფოებრივი კავშირი. მაგრამ სამაგიეროდ ჩვენთვის უფრო ცხადი ხდება, რომ ეგრეთწოდებული «თანამედროვე დემოკრატია» (რომლის წინაშე ასე უგუნურად შუბლს იხეთქენ მენშევიკები, ესერები, ნაწილობრივ ანარქისტები და სხვ.) წარმოადგენს მხოლოდ იმის ქადაგების თავისუფლებას, რის ქადაგებაც ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელია, ხოლო მისთვის ხელსაყრელია იქადაგოს ყველაზე რეაქციული იდეები, რელიგია, ბნელეთის მოციქულობა, ექსპლოატატორების დაცვა და სხვ.

მინდა იმედი ვიქონიო, რომ ჟურნალი, რომელსაც სურს მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო იყოს, ჩვენს მკითხველ საზოგადოებას მიაწვდის ათეისტური ლიტერატურის მიმოხილვას და დახასიათებას, თუ მკითხველთა რომელი წრისათვის და რა მხრივ არის შესაფერისი ესა თუ ის ნაწარმოები და აღნიშნავს, თუ რა არის გამოცემული (გამოცემულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ხეირიანი თარგმანები, ასეთები კი არცთუ იმდენად ბევრია) და რა უნდა გამოიცეს კიდევ.

გარდა კავშირისა თანამიმდევარ მატერიალისტებთან, რომლებიც კომუნისტების პარტიას არ ეკუთვნიან, თუ მეტი არა, ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს იმ მუშაობისათვის, რომელიც მებრძოლმა მატერია-

ლიზმმა უნდა შეასრულოს, თანამედროვე ბუნებისმეტყველების იმ წარმომადგენლებთან კავშირს, რომელნიც მატერიალიზმისაკენ იხრებიან და არ ეშინიათ დაიცვან და იქადაგონ იგი ეგრეთწოდებულ «განათლებულ საზოგადოებაში» გაბატონებულ იდეალიზმისა და სკეპტიციზმისაკენ მოდურ ფილოსოფიურ მერყეობათა წინააღმდეგ.

ჟურნალ «პოდ ზნამენემ მარქსიზმა»-ს 1 — 2 ნომერში მოთავსებული ა. ტიმირიაზევის სტატია ეინშტეინის რელატივობის თეორიის შესახებ იმედს იძლევა, რომ ჟურნალი ამ მეორე კავშირის განხორციელებასაც შესძლებს. საჭიროა რაც შეიძლება მეტი ყურადღება მიექცეს მას. უნდა გვახსოვდეს, რომ სწორედ ის ძაფრი მსხვრევა, რომელსაც თანამედროვე ბუნებისმეტყველება განიცდის, ძალიან ხშირად წარმოშობს ხოლმე რეაქციულ ფილოსოფიურ სკოლებს და პაწია სკოლებს, მიმართულებებს და პაწია მიმართულებებს. ამიტომ თვალყურის დევნება იმ საკითხებისადმი, რომელთაც უახლესი რეოლუცია ბუნებისმეტყველების სფეროში აყენებს, და ფილოსოფიურ ჟურნალში საამისო მუშაობისათვის ბუნებისმეტყველთა ჩაბმა,— ეს ისეთი ამოცანაა, რომლის გადაუჭრელად მებრძოლი მატერიალიზმი ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება ვერც მებრძოლი, ვერც მატერიალიზმი. თუ ტიმირიაზევი ჟურნალის პირველ ნომერში იძულებული იყო აღენიშნა, რომ თუმცა ეინშტეინის — რომელიც, ტიმირიაზევის თქმით, თვითონ მატერიალიზმის საფუძვლების წინააღმდეგ არავითარ აქტიურ ლაშქრობას არ ეწევა — თეორიას უკვე ხელი ჩასჭიდა ყველა ქვეყნის ბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენელთა უდიდესმა მასამ,—ეს შეეხება არა მარტო ეინშტეინს, არამედ ბუნებისმეტყველების მთელ რიგ დიდ გარდამქმნელთ, თუ მათ უმრავლესობას არა, დაწყებული XIX საუკუნის დამლევიდან.

და იმისათვის, რომ ასეთ მოვლენას შეუგნებლად არ მოვეპყრათ, უნდა გავიგოთ, რომ საფუძვლიანი ფილოსოფიური დასაბუთების გარეშე ვერავითარი საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ვერავითარი მატერიალიზმი ვერ გაუძლებს ბრძოლას ბურჟუაზიულ იდეათა თავდასხმისა და ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის აღდგენის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას რომ გაუძლოს და იგი ბოლომდე სრული წარმატებით ჩაატაროს, ბუნებისმეტყველი უნდა იყოს თანამედროვე მატერიალისტი, შეგნებული მიმდევარი იმ მატერიალიზმისა, რომელიც წარმოდგენილია მარქსის მიერ, ესე იგი დიალექტიკური მატერიალისტი უნდა იყოს. ამ მიზნის მისაღწევად ჟურნალ «პოდ ზნამენემ მარქსიზმა»-ს თანამშრომლებმა უნდა მოაწყონ ჰეგელის დიალექტიკის სისტემატური შესწავლა მატერიალისტური თვალსაზრისით,

ე. ი. უნდა შეისწავლონ ის დიალექტიკა, რომელსაც მარქსი პრაქტიკულად იყენებდა როგორც თავის «კაპიტალში», ისე თავის ისტორიულ და პოლიტიკურ ნაშრომებში და იყენებდა ისეთი წარმატებით, რომ ახლა აღმოსავლეთში (იაპონია, ინდოეთი, ჩინეთი) ცხოვრებისა და ბრძოლისათვის ახალ-ახალ კლასთა გამოღვიძების ყოველი დღე-— ე. ი. გამოღვიძება კაცობრიობის იმ ასეული მილიონებისა, რომელნიც დედამიწის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენენ და რომელნიც დღემდე თავიანთი ისტორიული უმოქმედობითა და ისტორიული ძილით განაპირობებდნენ დამყაყებულობასა და ლპობას ევროპის მრავალ მოწინავე სახელმწიფოში, — ცხოვრებისათვის ახალ-ახალ ხალხთა და ახალ-ახალ კლასთა გამოღვიძების ყოველი დღე სულ უფრო და უფრო მეტად ადასტურებს მარქსიზმს.

რა თქმა უნდა, ჰეგელის დიალექტიკის ასეთი შესწავლა, ასეთი გაგება და ასეთი პროპაგანდა მეტისმეტად ძნელი საქმეა, და, უეჭველია, ამ მხრივ პირველი ცდა უშეცდომო არ იქნება. მაგრამ არ ცდება მხოლოდ ის, ვინც არაფერს არ აკეთებს. იმაზე დამყარებით, თუ როგორ იყენებდა მარქსი ჰეგელის მატერიალისტურად გაგებულ დიალექტიკას, ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა დავამუშავოთ ეს დიალექტიკა ყოველი მხრივ, დავბეჭდოთ ჟურნალში ნაწყვეტები ჰეგელის უმთავრესი თხზულებებიდან, მატერიალისტურად განვმარტოთ ისინი, კომენტარები გავუკეთოთ დიალექტიკის მარქსისებური გამოყენების ნიმუშებით, აგრეთვე ეკონომიური, პოლიტიკური ურთიერთობის სფეროში დიალექტიკის იმ ნიმუშებით, რომელთაც უახლესი ისტორია, განსაკუთრებით კი თანამედროვე იმპერიალისტური ომი და რევოლუცია, მეტისმეტად ბევრს იძლევიან. ჟურნალ «პოდ ზნამენემ მარკსიზმა»-ს რედაქტორთა და თანამშრომელთა ჯგუფი, ჩემი შეხედულებით, უნდა წარმოადგენდეს ერთგვარ «ჰეგელის დიალექტიკის მატერიალისტი მეგობრების საზოგადოებას». თანამედროვე ბუნებისმეტყველნი ჰეგელის მატერიალისტურად გაგებულ დიალექტიკაში ჰპოვებენ (თუ შესძლებენ ძებნას და თუ ჩვენც ვისწავლით მათდამი დახმარებას) მთელ რიგ პასუხს იმ ფილოსოფიურ საკითხებზე, რომელთაც აყენებს რევოლუცია ბუნებისმეტყველებაში და რომლებზედაც «ფეხი უსხლტებათ» რეაქციისაკენ ბურჟუაზიული მოდის ინტელიგენტ თაყვანისმცემლებს.

თუ ასეთი ამოცანა არ დავისახეთ და იგი სისტემატურად არ შევასრულეთ, მატერიალიზმი ვერ იქნება მებრძოლი მატერიალიზმი. იგი დარჩება, შჩედრინის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, არა იმდენად მებრძოლი, რამდენადაც ნაბრძოლი. უამისოდ დიდი ბუნებისმეტყვე-

ლნი ისევე ხშირად, როგორც აქამდე, უმწეონი იქნებიან თავიანთ ფილოსოფიურ დასკვნებსა და განზოგადებაში. ვინაიდან ბუნებისმეტყველება ისე სწრაფად მიდის წინ, ყველა სფეროში ისეთი ღრმა რევოლუციური მსხვრევის პერიოდს განიცდის, რომ ბუნებისმეტყველება ფილოსოფიურ დასკვნათა გარეშე ვერავითარ შემთხვევაში იოლად ვერ წავა.

დასასრულ მოვიყვან მაგალითს, რომელიც ფილოსოფიის სფეროს არ ეკუთვნის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ეხება სფეროს საზოგადოებრივი საკითხებისას, რომელთაც აგრეთვე სურს ყურადღება მიაქციოს ჟურნალმა «პოდ ზნამენემ მარკსიზმა»-მ.

ეს ერთ-ერთი მაგალითია იმისა, თუ სინამდვილეში თანამედროვე ვითომდა მეცნიერება როგორ ემსახურება ფრიად უხეშ და უსაზიზღრეს რეაქციულ შეხედულებათა გატარებას.

ამას წინათ გამომიგზავნეს ჟურნალი «ეკონომისტი» № 1 (1922 წ.), რომელსაც «რუსეთის ტექნიკური საზოგადოების» XI განყოფილება სცემს. ამ ჟურნალის გამომგზავნმა ახალგაზრდა კომუნისტმა (რომელსაც, ალბათ, დრო არა ჰქონდა ჟურნალის შინაარსს გაცნობოდა) მოუფიქრებლად ეს ჟურნალი ფრიად დიდი თანაგრძნობით მოისსენია. ნამდვილად კი, არ ვიცი რამღენად შეგნებულად, ეს ჟურნალი წარმოადგენს იმ თანამედროვე მებატონეთა ორგანოს, რომლებიც, რა თქმა უნდა, მეცნიერულობის, დემოკრატიზმისა და სხვ. სამოსში ეხვევიან.

ვინმე ბ-ნი პ. ა. სოროკინი ამ ჟურნალში ათავსებს ვრცელ ვითომდა «სოციოლოგიურ» გამოკვლევებს «ომის ვავლენის შესახებ». მეცნიერული სტატია აკრელებულია მეცნიერული მითითებებით ავტორისა და მისი მრავალრიცხოვანი უცხოელი მასწავლებლისა და ამხანაგის «სოციოლოგიურ» შრომებზე. აი როგორია მისი მეცნიერულობა:

83-ე გვერდზე ვკითხულობ:

«პეტროგრადში ახლა 10 000 ქორწინებაზე მოდის 92.2 განქორწინება — ფანტასტიკური ციფრია, ამასთანავე 100 განქორწინებიდან 51,1 ქორწინება იყო ერთ წელზე ნაკლები ხანგრძლიობისა, 11% — ერთ თვეზე ნაკლებისა, 22% — ორ თვეზე ნაკლებისა, 41% — 3 — 6 თვეზე ნაკლებისა და მხოლოდ 26% იყო 6 თვეზე მეტი ხანგრძლიობისა. ეს ციფრები იმას მეტყველებენ, რომ თანამედროვე ლეგალური ქორწინება — ფორმაა, რომელიც არსებითად ქორწინებისგარეშე სქესობრივ ურთიერთობას ჰფარავს და «მარწყვის» მოყვარულთ საშუალებას აძლევს «კანონიერად» დაიკმაყოფილონ თავიანთი მადა» («ეკონომისტი» № 1, გვ. 83).

ეჭვი არ არის, რომ ეს ვაჟბატონიც და რუსეთის ის ტექნიკური

საზოგადოებაც, რომელიც ჟურნალს სცემს და შიგ მსგავს ლათაიებს ათავსებს, თავიანთ თავს დემოკრატიის მომხრედ თვლიან და უდიდეს შეურაცხყოფად მიიჩნევენ, როცა მათ ნამდვილ სახელს, ე. ი. მებატონეებს, რეაქციონერებს, «ხუცობის დიპლომიან ლაქიებს» უწოდებენ.

ქორწინების, განქორწინებისა და ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა შესახებ ბურჟუაზიული ქვეყნების კანონმდებლობის სულ მცირეოდენი გაცნობა, აგრეთვე ამ მხრივ საქმის ფაქტიური მდგომარეობის გაცნობა, ცხადყოფს ამ საკითხით დაინტერესებული ყოველი ადამიანისთვის, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული დემოკრატია, თვით ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებშიც კი, ამ მხრივ ქალისა და ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთადმი სწორედ ბატონყმურ დამოკიდებულებას იჩენს.

ეს, რა თქმა უნდა, ხელს არ უშლის მენშევიკებს, ესერებს, ანარქისტთა ნაწილს და დასავლეთ ევროპის ყველა სათანადო პარტიას განაგრძონ ყვირილი დემოკრატიაზე და ბოლშევიკების მიერ მის დარღვევაზე. ნამდვილად კი სწორედ ბოლშევიკური რევოლუციაა ერთადერთი თანამიმდევრულ-დემოკრატიული რევოლუცია ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა ქორწინება, განქორწინება და ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა მდგომარეობა. ეს კი ისეთი საკითხია, რომელიც ყოველი ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტის ინტერესებს ეხება უშუალოდ. პირველად მხოლოდ ბოლშევიკურმა რევოლუციამ, მიუხედავად მისი წინამორბედი მრავალი ბურჟუაზიული რევოლუციისა, თავის თავს დემოკრატიულს რომ უწოდებდა, — ჩაატარა შეუპოვარი ბრძოლა ამ მხრივ, როგორც რეაქციულობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ, ისე მმართველ და შეძლებულ კლასთა ჩვეულებრივი ფარისევლობის წინააღმდეგ.

თუ ბ-ნ სოროკინს 10 000 ქორწინებაზე 92 განქორწინება ფანტასტიკურ ციფრად ეჩვენება, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ან ავტორი რომელიმე ისეთს კარჩაკეტილ მონასტერში ცხოვრობდა და იზრდებოდა, რომ მსგავსი მონასტრის არსებობა საეჭვოა ვინმემ დაიჯეროს, ანდა ეს ავტორი რეაქციისა და ბურჟუაზიის საამებლად სიმართლეს ამახინჯებს. ყოველმა ადამიანმა, ვინც კი რამდენადმე მაინც იცნობს ბურჟუაზიული ქვეყნების საზოგადოებრივ პირობებს, იცის, რომ ფაქტიურ განქორწინებათა (რა თქმა უნდა, ეკლესიისა და კანონის მიერ დაუდასტურებელთა) ფაქტიური რიცხვი ყველგან განუზომლად უფრო მეტია. რუსეთი ამ მხრივ სხვა ქვეყნებისაგან მხოლოდ იმით განირჩევა, რომ მისი კანონები პატივით კი არ მოსავენ

ფარისევლობასა და ქალის და მისი ბავშვის უუფლებო მდგომარეობას, არამედ აშკარად და სახელმწიფო ხელისუფლების სახელით სისტემატურ ომს უცხადებენ ყოველგვარ ფარისევლობასა და ყოველგვარ უუფლებობას.

მარქსისტულ ჟურნალს მოუხდება ომის წარმოება ამგვარ თანამედროვე «განათლებულ» მებატონეთა წინააღმდეგაც. ალბათ, მათი არც ისე მცირე ნაწილი ჩვენში სახელმწიფო ფულსაც კი იღებს და სახელმწიფო სამსახურშიც ირიცხება ახალგაზრდობის გასანათლებლად, თუმცა ამ მიზნისათვის ისინი გამოსადეგნი არიან იმდენადვე, რამდენადაც აშკარა გამხრწნელნი გამოდგებოდნენ მცირეწლოვანთა სასწავლებლებში აღმზრდელთა როლისათვის.

რუსეთში მუშათა კლასმა შესძლო ძალაუფლების მოპოვება, მაგრამ მისი გამოყენება ჯერ კიდევ ვერ ისწავლა, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მსგავს მასწავლებლებს და სამეცნიერო საზოგადოებათა წევრებს დიდი ხანია ზრდილობიანად გაისტუმრებდა ბურჟუაზიული «დემოკრატიის» ქვეყნებში. ასეთი მებატონეებისთვის სწორედ იქ არის შესაფერისი ადგილი.

ისწავლის, ოღონდ ხალისი იყოს სწავლისა.

1922. 12. III.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 33.
გვ. 262 — 275.

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით.

წინასიტყვაობა ი. რ. სტეპანოვის წიგნისა: «რსფს რესპუბლიკის ელექტროფიკაცია მსოფლიო მეურნეობის გარდამავალ ფაზასთან დაკავშირებით»

მთელი სულითა და გულით მივაქცევ ყველა კომუნისტის ყურადღებას ამხ. სტეპანოვის ამ ნაშრომზე.

ავტორმა შესძლო შესანიშნავი ოსტატობით გადმოეცა უძნელესი და უმნიშვნელოვანესი საკითხები. ავტორი ძალიან კარგად მოიქცა, რომ გადაწყვიტა ეს წიგნი დაეწერა არა ინტელიგენტებისთვის (როგორც ჩვენში მიღებულია წიგნის წერა ბურჟუაზიულ მწერალთა უცუდესი მანერების მიბაძვით), არამედ მშრომელებისათვის, ხალხის ნამდვილი მასისათვის, უბრალო მუშებისა და გლეხებისათვის. დამატებად ავტორმა მოათავსა ლიტერატურული საძიებელი როგორც იმათთვის, ვისთვისაც ძნელი იქნებოდა ამხ. სტეპანოვის გადმოცემის ზოგიერთი ადგილის განუმარტებლად გაგება, ისე იმათთვის, ვისაც სურს იცოდეს, რა და რა მთავარი ნაშრომებია საერთოდ რუსულ და უცხოურ ლიტერატურაში ამ საკითხზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს VI თავის დასაწყისი, სადაც ავტორი მშვენივრად გადმოსცემს ახალი ეკონომიური პოლიტიკის მნიშვნელობას და შემდეგ ჩინებულად უარყოფს გაცვეთილ «ზერელე» სკეპტიციზმს ელექტროფიკაციის შესახებ; ეს სკეპტიციზმი ჩვეულებრივ ფარავს საგანზე სერიოზული დაფიქრების უუნარობას (თუ ეს სკეპტიციზმი არ წარმოადგენს, რაც ზოგჯერ აგრეთვე ხდება, თეთრგვარდიელების, ესერებისა და მენშევიკების საერთოდ ყოველგვარი საბჭოთა მშენებლობისადმი მტრობის დაფარვას).

სახალხო განათლების სფეროში ნამდვილი (და არა მოხელურ-უშაქნისო) მუშაობისათვის ჩვენ ყველაზე მეტი გვაკლია სწორედ აი ასეთი «სასკოლო სახელმძღვანელოები» (საერთოდ ყველა, უეჭველად ყველა სკოლისთვის). ყველა ჩვენი მარქსისტი ლიტერატორი იმის ნაცვლად, რომ თავის ძალ-ღონეს ანდომებდეს ყველასათვის მობეზრებულ საგაზეთო და საჟურნალო პოლიტიკურ ლაქლაქს, ჩაუჯდებოდეს ასეთი სახელმძღვანელოების ან დამხმარე წიგნების

წერას გამოუკლებლივ ყველა საზოგადოებრივ საკითხზე, მაშინ აღარ გვექნებოდა ისეთი სამარცხვინო მდგომარეობა, რომ თითქმის ხუთი წლის შემდეგ პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებიდან, მ ი ს, პროლეტარიატის, სახელმწიფო სკოლებსა და უნივერსიტეტებში ახალგაზრდობას ასწავლიან (უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რეაქციონ) ძველი ბურჟუაზიული მეცნიერები ძველ ბურჟუაზიულ ხარახურას.

საბჭოების მერვე ყრილობამ დაადგინა, რომ ელექტროფიკაციის გეგმის სწავლება სავალდებულოა რსფს რესპუბლიკის ყველა — გამოუკლებლივ ყველა — სასწავლებელში. ეს დადგენილება, როგორც ბევრი სხვაც, ქაღალდზე დარჩა ჩვენი (ჩვენი, ბოლშევიკების) უკულტურობის გამო. ახლა, როცა გამოქვეყნდა ამხ. სტეპანოვის ეს «სასკოლო სახელმძღვანელო», უნდა ვეცადოთ მივაღწიოთ — და კიდევაც მივაღწევთ! — იმას, რომ ყოველ სამაზრო (შემდეგ კი ყოველ საოლოსტო) ბიბლიოთეკაში იყოს ამ «სახელმძღვანელოს» რამდენიმე ეგზემპლარი; — რომ რუსეთის ყოველ ელსადგურთან (მათი რიცხვი კი 800-ზე მეტია) არათუ იყოს ეს წიგნი, არამედ უსათუოდ ეწყობოდეს საყოველთაოდ მისაწვდომი სახალხო კითხვა ელექტრობაზე და რსფს რესპუბლიკის ელექტროფიკაციაზე და საერთოდ ტექნიკაზე, — რომ ყოველმა სახალხო მასწავლებელმა ყოველ სკოლაში წაიკითხოს და შეითვისოს ეს «სახელმძღვანელო» (ამ საქმის დასახმარებლად ყოველ მაზრაში უნდა მოეწყოს ინჟინერთა და ფიზიკის მასწავლებელთა წრე ან ჯგუფი), და არათუ წაიკითხოს, გაიგოს და შეითვისოს თვითონ, არამედ უნდა შესძლოს ამის უბრალოდ და გასაგებად გადაცემა სკოლის მოწაფეებისათვის და საერთოდ გლეხური ახალგაზრდობისათვის.

ამის მიღწევას ცოტა შრომა როდი დასჭირდება. ჩვენ ღატაკი და უკულტურო ადამიანები ვართ. არა უშავს რა. ოღონდ შეგნება იყოს იმისა, რომ საჭიროა სწავლა. ოღონდ ხალისი იყოს სწავლისა. ოღონდ ნათლად შევიგნოთ ის, რომ ახლა მუშასა და გლეხს სწავლა ესაჭიროებათ არა იმისათვის, რომ «სარგებლობა» და მოგება მოუტანონ მემამულეებსა და კაპიტალისტებს, არამედ საკუთარი ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ყოველივე ეს კი ჩვენ გვაქვს. ამიტომ ჩვენ ვისწავლით და კიდევაც შევისწავლით.

1922. 18. III.

ნ. ლ ე ნ ი ნ ი

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 33, გვ. 285 — 287

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

რკპ (ბ) XI ყრილობა

1922 წ. 27 მარტი — 2 აპრილი

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშიდან 27 მარტს

... ნათლად უნდა დავაყენოთ კითხვა — რაშია ჩვენი ძალა და რა გვაკლია? პოლიტიკური ძალაუფლება სრულიად საკმაოდ გვაქვს. საეჭვოა აქ მოინახოს ვინმე, რომელიც მიგვითითებდა, რომ ამა და ამ პრაქტიკულ საკითხში, ამა და ამ საქმიან დაწესებულებაში კომუნისტებს, კომუნისტურ პარტიას არასაკმაო ძალაუფლება აქვსო. ძირითადი ეკონომიური ძალა ჩვენს ხელთაა. ყველა გადამწყვეტი მსხვილი საწარმო, რკინიგზები და სხვ., — ყველა ისინი ჩვენს ხელთაა. იჯარა, რაც უნდა ფართოდ იყოს იგი განვითარებული ზოგ ადგილას, საერთოდ სრულიად უმნიშვნელო როლს ასრულებს, საერთოდ ეს სრულიად უმნიშვნელო წილია. რუსეთის პროლეტარული სახელმწიფოს ხელში სრულიად საკმაო ეკონომიური ძალაა საიმისოდ, რომ კომუნიზმზე გადასვლა უზრუნველვყოთ. მაშ რაღა გვაკლია? ცხადია, რაც გვაკლია: აკლია კულტურულობა კომუნისტების იმ ფენას, რომელიც მართავს. მაგრამ თუ ავიღებთ მოსკოვს — 4 700 პასუხისმგებელ კომუნისტს — და ავიღებთ ამ ბიუროკრატიულ უზარმაზარ გროვას, — ვინ ვის მიჰყავს? მე ძალიან ვეჭვობ, შეიძლებოდეს იმის თქმა, რომ ეს გროვა კომუნისტებს მიჰყავთ. თუ სიმართლეს ვიტყვით, მათ კი არ მიჰყავთ, არამედ ისინი მიჰყავთ. აქ მოხდა რაღაც იმის მსგავსი, რასაც ბავშვობაში მოგვითხრობდნენ ისტორიიდან. ჩვენ გვასწავლიდნენ: ხდება ხოლმე, რომ ერთი ხალხი იპყრობს მეორეს, და მაშინ ის ხალხი, რომელმაც დაიპყრო, დამპყრობია, ხოლო ის, რომელიც დაიპყრეს, დამარცხებული. ეს ძალიან მარტივი და ყველასათვის გასაგებია. მაგრამ რა ემართება ამ ხალხთა კულტურას? აქ საქმე ასე მარტივი არ აჩრის. თუ ის ხალხი, რომელმაც დაიპყრო, დამარცხებულ ხალხზე უფრო კულტურულია, მაშინ დამპყრობი თავს ახვევს მას თავის კულტურას, ხოლო თუ პირიქითაა, მაშინ ისე ხდება, რომ დამარცხებული თავის კულტურას თავს ახვევს

. დამპყრობს. რაღაც ამის მსგავსი ხომ არ მომხდარა რსფს რესპუბლიკის დედაქალაქში და ისე ხომ არ გამოვიდა, რომ 4 700 კომუნისტი (თითქმის მთელი დივიზია, და ყველა საუკეთესონი) უცხო კულტურას დამორჩილებული აღმოჩნდა? მართალია, აქ შეიძლება თითქოს ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ დამარცხებულთ მაღალი კულტურა აქვთ. არაფერი ამის მსგავსი. მათი კულტურა მცირედი, უმნიშვნელოა, მაგრამ ის მაინც მეტია, ვიდრე ჩვენი. რა უბადრუკიც, რა მცირედიც არის იგი, მაგრამ იგი მეტია, ვიდრე ჩვენი პასუხისმგებელი კომუნისტი მუშაკების კულტურა, იმიტომ რომ მათ არა აქვთ მართვის საკმაო უნარი. კომუნისტები, სათავეში უდგებიან რა დაწესებულებებს, — ხოლო მათ ზოგჯერ განგებ ასე აყენებენ მოხერხებულად მესაბოტაჟეები, რომ აბრა-ფირმა მიიღონ, — ხშირად გაბრიყვებული გამოდიან. ეს ძალიან არასასიამოვნო აღიარებაა. ან, ყოველ შემთხვევაში, არცთუ ძალიან სასიამოვნო, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს უნდა ვაღიაროთ, რადგან ახლა ამაშია საკითხის დედააზრი. მე მგონია, ეს არის ერთი წლის პოლიტიკური გაკვეთილი, და ამ ნიშნით ჩატარდება 1922 წლის ბრძოლა...

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 33, გვ. 336 — 338

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ერთი კოვზი კუპრი ერთ კასრ თაფლში

ბ-მა ო. ა. ერმანსკიმ დაწერა ძალიან სასარგებლო და ძალიან კარგი წიგნი: «შრომის მეცნიერული ორგანიზაცია და ტეილორის სისტემა». (სახელგამი. 1922.) ეს არის მისი 1918 წელს გამოქვეყნებული წიგნის «ტეილორის სისტემის» გადამუშავებული გამოცემა. წიგნი მნიშვნელოვნად გაფართოებულია; შევსებულია მეტად მნიშვნელოვანი დამატებებით: I. «მწარმოებლური შრომა და კულტურა»; II. «დაღლილობის პრობლემა». ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი განყოფილება, რომელსაც წინათ ეწოდებოდა «შრომა და დასვენება» და რომელსაც სულ 16 გვერდი ეჭირა, ახლა გაფართოებულია 70 გვერდამდე (თავი III. «ადამიანის მუშაობა»).

წიგნი ფრიად დაწვრილებით გადმოგვცემს ტეილორის სისტემას, ამასთან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როგორც მის დადებითს, ისე უარყოფითს მხარეებს, აგრეთვე ძირითად მეცნიერულ მონაცემებს ადამიანის მანქანის ფიზიოლოგიური შემოსავლისა და გასავლის შესახებ. საერთოდ წიგნი, ჩემი აზრით, სავსებით გამოსადეგია საიმისოდ, რომ ცნობილ იქნეს სავალდებულო სახელმძღვანელოდ ყველა პროფსკოლისა და საერთოდ მე-2 საფეხურის ყველა სკოლისათვის. მუშაობის შესწავლა, ეს ახლა საბჭოთა რესპუბლიკის მთავარი, ნამდვილად საერთო-სახალხო ამოცანაა. მივაღწიოთ წერა-კითხვის საყოველთაო ცოდნას; არავითარ შემთხვევაში არ დავჯერდეთ ამას, რადაც უნდა დაჯდეს წავიდეთ უფრო შორს და ევროპისა და ამერიკის მეცნიერებიდან გადმოვიღოთ რაც კი რამ ნამდვილად საგულისხმოა; — აი ჩვენი უპირველესი და უმთავრესი ამოცანა.

ბ-ნ ერმანსკის წიგნს ერთი სერიოზული ნაკლი აქვს, რაც, მგონი, ხელს უშლის იმას, რომ სახელმძღვანელოდ ვცნოთ იგი. ეს არის

ავტორის მრავალსიტყვაობა. ის ერთსა და იმავეს მრავალჯერ იმეორებს, როცა ეს სრულიად არ არის საჭირო. შესაძლოა, ამ შემთხვევაში რამდენადმე ავტორის გამამართლებელი იყოს ის გარემოება, რომ როცა ის თავის ამ წიგნს წერდა, მხედველობაში არ ჰქონია სახელმძღვანელოდ გადაექცია იგი. თუმცა წინასიტყვაობის VIII გვერდზე ავტორი ამბობს, რომ თავისი წიგნის ღირსებად მას ვიაჩნია მეცნიერული საკითხების პოპულარულად გადმოცემა. ის მართალია. მაგრამ პოპულარული გადმოცემაც ვოითხოვს განმეორებათა თავიდან აცილებას. «ხალხს» დრო არა აქვს დიდი წიგნები იკითხოს. ბ-ნ ერმანსკის წიგნი მეტისმეტად დიდია, და ეს სრულიად ზედმეტია. ეს ხელს უშლის მის პოპულარობას... *.

1922 წ. აგვისტოს დამლევი — სექტემბრის
დამდეგი.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 33,
გვ. 434 — 435

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

* აქ ხელნაწერი წყდება. რ ე დ.

ფურცლები დღიურიდან

ამ დღეებში გამოსული ნაშრომი რუსეთის მოსახლეობის წიგნიერობის შესახებ 1920 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით («წიგნიერობა რუსეთში», მოსკოვი, 1922 წ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო, სახალხო განათლების სტატისტიკური განყოფილება) მეტად მნიშვნელოვან მოელენას წარმოადგენს.

ქვემოთ მომყავს რუსეთის მოსახლეობის 1897 და 1920 წლების წიგნიერობის ცხრილი, რომელიც ამოღებულია ამ ნაშრომიდან:

	1000 მ. მაკაცზე წიგნიერი იყო:		1000 დედაკაცზე წიგნიერი იყო:		სულ 1000 მცხოვრებზე წიგნიერი იყო:	
	1897 წ.	1920 წ.	1897 წ.	1920 წ.	1897 წ.	1920 წ.
1. ევროპული რუსეთი ——	326	422	136	255	229	330
2. ჩრდილო კავკასია———	241	357	56	215	150	281
3. ციმბირი (დასავლეთი)	170	307	46	134	108	218
სულ	318	409	131	244	223	319

მაშინ, როდესაც ჩვენ პროლეტარულ კულტურაზე და ბურჟუაზიულ კულტურასთან მის თანაფარდობაზე ვლაყბობდით, ფაქტებმა გადაგვიშალა ციფრები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ბურჟუაზიული კულტურაც კი ჩვენში მეტად სუსტი ყოფილა. აღმოჩნდა, როგორც მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ჩამორჩენილი ვართ საყოველთაო წიგნიერობას, და თვით ჩვენი პროგრესიც კი მეფის დროსთან (1897 წელთან) შედარებით მეტად ნელი აღმოჩნდა. ეს მრისხანე გაფრთხილება და საყვედურია იმათ მიმართ, ვინც «პროლეტარულ კულტურაზე» ოცნებობდა და ოცნებობს. ეს გვიჩვენებს, რა თავდადებული შავი მუშაობა გვმართებს კიდევ, რომ დასავლეთ ევროპის ჩვეულებრივი ცივილიზებული

სახელმწიფოს დონეს მივაღწიოთ. შემდეგ ეს გვიჩვენებს, რა უამრავი სამუშაო მოგველის ახლა იმისათვის, რომ ჩვენ პროლეტარულ მონაპოვართა ნიადაგზე მართლაც მივაღწიოთ რამდენადმე კულტურულ დონეს.

საჭიროა არ დავჯერდეთ ამ უდავო, მაგრამ მეტად თეორიულ დებულებას. საჭიროა ჩვენი კვარტალური ბიუჯეტის უახლოესი გადასინჯვის დროს საქმეს პრაქტიკულადაც მოვკიდოთ ხელი. რა თქმა უნდა, პირველ რიგში უნდა შევამციროთ არა განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯები, არამედ სხვა უწყებების ხარჯები, იმ ანგარიშით, რომ განთავისუფლებული თანხები განათლების სახალხო კომისარიატის საჭიროებებს მოხმარდეს. არ უნდა ვიძუნწოთ მასწავლებელთათვის პურის ულუფის გადიდების საქმეში ისეთ წელს, როგორიც არის მიმდინარე წელი, როდესაც პურით შედარებით გვარიანად ვართ უზრუნველყოფილი.

ის მუშაობა, რომელიც ამჟამად სახალხო განათლების დარგში წარმოებს, საერთოდ თუ ვიტყვით, შეუძლებელია მეტად ვიწრო მუშაობად ჩაითვალოს. ძალიან ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ ძველი მასწავლებლობა დაძრულ იქნეს ადგილიდან, რომ იგი ეზიაროს ახალ ამოცანებს, დაინტერესდეს პედაგოგიკის საკითხების ახალი დაყენებით, დაინტერესდეს ისეთი საკითხებით, როგორიც არის რელიგიის საკითხი.

მაგრამ მთავარ რამეს მაინც არ ვაკეთებთ. ჩვენ არ ვზრუნავთ ან ნაკლებად ვზრუნავთ იმაზე, რომ სახალხო მასწავლებელი დავაყენოთ იმ სიმაღლეზე, ურომლისოდაც ლაპარაკიც კი შეუძლებელია რაიმე კულტურაზე: არათუ პროლეტარულზე, ბურჟუაზიულზედაც კი. ლაპარაკი უნდა იყოს იმ ნახევრადაზიურ უკულტურობაზე, რომლისთვისაც დღემდე თავი ვერ დაგვიღწევია და ვერც დავაღწევთ თავს, თუ სერიოზულად თავს არ გამოვიდებთ, თუმცა შესაძლებლობა გვაქვს თავი დავაღწიოთ, იმიტომ რომ ხალხის მასები არსად ისე არ არიან დაინტერესებული ნამდვილი კულტურით, როგორც ჩვენში; არსად ამ კულტურის საკითხები არ ისმება ისე ღრმად, ისე თანამიმდევრად, როგორც ჩვენში; არსად, არც ერთ ქვეყანაში, სახელმწიფო ძალაუფლება არ არის მუშათა კლასის ხელში, რომელსაც მასობრივად მშვენივრად ესმის თავისი, არ ვიტყვი კულტურულობის, ვიტყვი მხოლოდ — წიგნიერობის ნაკლი; არსად ეს კლასი არ არის მოწადინებული გაიღოს და არც იღებს ხოლმე იმდენ მსხვერპლს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ამ მხრივ, როგორც ჩვენში.

ჩვენში ჯერ კიდევ ძალიან ცოტა, მეტისმეტად ცოტა კეთდება იმისათვის, რომ მთელი ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი პირველ რიგში გადავწიოთ პირველდაწყებითი სახალხო განათლების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ. თვით განსახკომშიც კი ჩვენში ძალიან ხშირად იპოვით რომელიმე სახელმწიფო გამომცემლობის მეტისმეტად გაბერილ შტატებს, იმაზე კი სრულიად არავინ იწუხებს თავს, რომ პირველ რიგში სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს არა გამომცემლობაზე, არამედ იმაზე, რომ იყოს მკითხველი, რომ რაც შეიძლება მეტს შეეძლოს კითხვა, რომ მომავალ რუსეთში გამომცემლობას მეტი პოლიტიკური გაქანება ჰქონდეს. ტექნიკურ საკითხებს, მსგავსად გამომცემლობის საკითხისა, ჩვენ ძველი (ცუდი) ჩვეულებისამებრ ბევრად მეტ დროსა და ძალას ვანდომებთ, ვიდრე ხალხის წიგნიერობის ზოგად პოლიტიკურ საკითხს.

თუ ავიღებთ პროფესიული განათლების მთავარ სამმართველოს იქაც, დარწმუნებული ვართ, ძალიან, ძალიან ბევრს ვიპოვით ზედმეტს, გაბერილს უწყებრივი ინტერესით, შეუხამებელს ფართო სახალხო განათლების მოთხოვნილებებთან. პროფესიული განათლების მთავარ სამმართველოშიც ყველაფერი როდია გამართლებული იმ კანონიერი სურვილით, რომ თავდაპირველად ავამაღლოთ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნის ახალგაზრდობის განათლება და პრაქტიკული მიმართულება მივცეთ ამ განათლებას. თუ გულდასმით გავსინჯავთ პროფესიული განათლების მთავარ სამმართველოს შტატებს, იქ ამ თვალსაზრისით ბევრი, ძალიან ბევრი რამ აღმოჩნდება გაბერილი და ფიქციური, რაც უნდა დაიხუროს. პროლეტარულ-გლეხურ სახელმწიფოში ხალხის წიგნიერობის გავრცელებისათვის კიდევ დიდი, ძალიან დიდი მომჭირნეობა შეიძლება გავწიოთ და კიდევაც უნდა გავწიოთ ისეთი რამეების დახურვით, რაც ან სანახევროდ ბატონკაცური ტიპის გასართობია, ან ისეთი დაწესებულებაა, ურომლისოდაც ჯერ კიდევ დიდხანს შეგვიძლია გავძლოთ და უნდა გავძლოთ კიდეც ხალხის წიგნიერობის ისეთი მდგომარეობის დროს, რომლის შესახებაც სტატისტიკა მეტყველებს.

სახალხო მასწავლებელი ჩვენში ისეთ სიმაღლეზე უნდა დავაყენოთ, რომელზედაც იგი არასოდეს არ მდგარა, არ დგას და არც შეიძლება იდგეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომელიც დამტკიცებას არ საჭიროებს. საქმის ასეთი ვითარებისაკენ უნდა მივისწრაფოდეთ სისტემატური, განუხრელი, შეუპოვარი მუშაობით იმისათვის, რომ ავამაღლოთ იგი სულიერად, ყოველმხრივ მოვამზადოთ იგი თავისი ნამდვილად მაღალი მოწოდები-

სათვის და, რაც ყველაზე მთავარი, მთავარი და მთავარია — გავაუმჯობესოთ მისი მატერიალური მდგომარეობა.

სისტემატურად უნდა გავაძლიეროთ მუშაობა სახალხო მასწავლებელთა დასარაზმავად, რათა ბურჟუაზიული წყობილების დასაყრდენიდან, რასაც ისინი დღემდე წარმოადგენენ გამოუკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში, გადავაქციოთ საბჭოთა წყობილების დასაყრდენად, რათა მათი მეშვეობით ჩამოვაშოროთ გლეხობა ბურჟუაზიასთან კავშირს და დავუკავშიროთ იგი პროლეტარიატს.

მოკლედ ავღნიშნავ, რომ ამ საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს სისტემატურმა მგზავრობამ სოფლად, რაც უკვე ტარდება და რაც გეგმაზომიერად უნდა მოეწყოს. ასეთ მგზავრობათა მოწყობაზე არ უნდა დავიშუროთ ფული, რომელსაც ძალიან ხშირად ფუჭად ვხარჯავთ ისეთ სახელმწიფო აპარატზე, რომელიც თითქმის მთლად ძველ ისტორიულ ეპოქას ეკუთვნის.

მე ვაგროვებდი მასალას იმ სიტყვისათვის, რომელიც უნდა წარმომეთქვა და ვერ წარმოვთქვი საბჭოების ყრილობაზე 1922 წლის დეკემბერში; სიტყვა შეეხებოდა ქალაქელი მუშების შეფობას სოფლის მცხოვრებლებზე. ზოგიერთი მასალა ამის შესახებ ამხ. ხოდოროვსკიმ მომაწოდა; ახლა ამ თემას ამხანაგების წინაშე ვაყენებ დასამუშავებლად, რაკი მე თვითონ ვერ მოვასწარი მისი დამუშავება და საბჭოების ყრილობაზე წარმოთქმა.

აქ ძირითადი პოლიტიკური საკითხია ქალაქის დამოკიდებულება სოფელთან, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი რევოლუციისათვის. იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიული სახელმწიფოს მთელი ძალ-ღონე სისტემატურად მიმართულია იქითკენ, რომ გამოაყეყეჩოს ქალაქის მუშები და ამ მიზანს უფარდებს მთელ იმ ლიტერატურას, რომელიც იცემა სახელმწიფოს ხარჯზე, მეფისა და ბურჟუაზიული პარტიების ხარჯზე, ჩვენ შეგვიძლია და მოვალენიც ვართ მთელი ჩვენი ძალაუფლება მოვახმაროთ იმას, რომ ქალაქის მუშა ნამდვილად გავხადოთ კომუნისტური იდეების გამტარებლად სოფლის პროლეტარიატში.

მე ვთქვი «კომუნისტური» და ვიჩქარი განვმარტო, რადგან ვშიშობ გაუგებრობა არ გამოვიწვიო ან მეტისმეტად პირდაპირ არ ვიქნე გაგებული. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ ეს ისე, თითქოს ერთბაშად უნდა შევიტანოთ სოფლად წმინდა და ვიწრო კომუნისტური იდეები. ვიდრე სოფლად არ არსებობს მატერიალური საფუძველი კომუნიზმისათვის, მანამდე ეს, შეიძლება ითქვას,

მავნებელი იქნება, ეს, შეიძლება ითქვას, დამღუპველი იქნება კომუნიზმისათვის.

არა. უნდა დავიწყოთ იმით, რომ დავამყაროთ ურთიერთობა ქალაქსა და სოფელს შორის, ამასთან არავითარ შემთხვევაში წინასწარ არ დავისახოთ მიზნად სოფლად კომუნიზმის დანერგვა. ასეთი მიზნის მიღწევა ამჟამად შეუძლებელია. ასეთი მიზანი დროული არ არის. ასეთი მიზნის დასახვა სარგებლობის ნაცვლად ვნებას მოგვიტანს.

ხოლო ურთიერთობის დამყარება ქალაქის მუშებსა და სოფლის მუშაკებს შორის, მათ შორის ამხანაგობის ისეთი ფორმის დამყარება, რომლის შექმნაც ადვილია მათ შორის, — ეს ჩვენი მოვალეობაა, ეს ხელისუფლების სათავეში მდგომი მუშათა კლასის ერთერთი ძირითადი ამოცანაა. ამისათვის საჭიროა დავაარსოთ ფაბრიკა-ქარხნის მუშების მთელი რიგი გაერთიანებები (პარტიული, პროფესიული, კერძო), რომელთა სისტემატურ მიზანს უნდა შეადგენდეს დახმარების გაწევა სოფლისათვის კულტურული განვითარების საქმეში.

შევძლებთ თუ არა ქალაქის ყველა უჯრედის «მიწერას» სოფლის ყველა უჯრედზე იმისათვის, რომ მუშათა ყოველმა უჯრედმა, რომელიც «მიწერილი» იქნება სოფლის სათანადო უჯრედზე, სისტემატურად გამოიყენოს ყოველი გარემოება, ყოველი შემთხვევა, რომ დაკმაყოფილოს თავისი თანაუჯრედის ესა თუ ის კულტურული მოთხოვნილება? ან იქნებ შესაძლებელი გახდეს კავშირურთიერთობის სხვა ფორმების გამოძებნა? მე აქ ვჯერდები მხოლოდ საკითხის დაყენებას, რომ ამას მივაქციო ამხანაგების ყურადღება, რომ მივუთითო დასავლეთ ციმბირის გამოცდილებაზე (ამ გამოცდილებაზე მე მიმითითა ამხ. ხოდოროვსკიმ) და მთელი მოცულობით წამოვაყენო ეს გიგანტური მსოფლიო-ისტორიული კულტურული ამოცანა.

ჩვენ თითქმის არაფერს ვაკეთებთ სოფლისათვის გარდა ჩვენი ოფიციალური ბიუჯეტისა, ან გარდა ჩვენი ოფიციალური ურთიერთობისა. მართალია, კულტურული ურთიერთობა ქალაქისა სოფელთან ჩვენში თავისთავად იღებს და აუცილებლად იღებს სხვა ხასიათს. კაპიტალიზმის დროს ქალაქი სოფელს აძლევდა იმას, რაც მას რყვნიდა პოლიტიკურად, ეკონომიურად, ზნეობრივად, ფიზიკურად და სხვ.. ქალაქი ჩვენ დროს თავისთავად აძლევს სოფელს პირდაპირ საწინააღმდეგოს. მაგრამ ყოველივე ეს კეთდება სწორედ თავისთავად, სტიქიურად, და ყოველივე ეს შეიძლება გაძლიერებულ

იქნეს (ხოლო შემდეგ ასწილ გადიდებულიც) ამ მუშაობაში შეგნების, გეგმაზომიერებისა და სისტემატურობის შეტანით.

ჩვენ მხოლოდ მაშინ დავიწყებთ წინსვლას (ხოლო მაშინ ჩვენ უეჭველად ასწილ უფრო სწრაფად დავიწყებთ წინსვლას), როდესაც ამ საკითხის შესწავლას შევუდგებით, დავაარსებთ მუშების ყოველგვარ გაერთიანებას — ყოველნაირად მოვერიდებით მათ ბიუროკრატიზაციას — იმისათვის, რომ დავაყენოთ ეს საკითხი, განვიხილოთ იგი და საქმედ ვაქციოთ.

1923 წ. 2 იანვარი.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 33, გვ. 544 — 550

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

სტატიიდან «კოოპერაციის შესახებ»

II

ყოველთვის, როდესაც ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე ვწერდი, ვიმოწმებდი ციტატებს ჩემი 1918 წლის სტატიიდან სახელმწიფო კაპიტალიზმის შესახებ [127]. ამას არა ერთხელ გამოუწვევია ზოგიერთი ახალგაზრდა ამხანაგის ეჭვი. მაგრამ მათი ეჭვი უმთავრესად შეეხებოდა აბსტრაქტულ-პოლიტიკურ მხარეს.

მათ ეგონათ, რომ არ შეიძლება სახელმწიფო კაპიტალიზმი ეწოდოს იმ წყობილებას, როცა წარმოების საშუალებები ეკუთვნის მუშათა კლასს და ამ მუშათა კლასს ეკუთვნის სახელმწიფო ძალაუფლება. მაგრამ ისინი ვერ ამჩნევდნენ, რომ მე სახელწოდებას «სახელმწიფო კაპიტალიზმს» ვხმარობდი: ჯ ე რ-ე რ თ ი, ახლანდელი ჩვენი პოზიციის ისტორიული კავშირისათვის იმ პოზიციასთან, რომელიც მეკავა ეგრეთწოდებულ მემარცხენე კომუნისტებთან ჩვს პოლემიკაში, აგრეთვე მე უკვე მაშინ ვამტკიცებდი, რომ სახელმწიფო კაპიტალიზმი ჩვენ თანამედროვე ეკონომიკაზე უფრო მაღლა იდგომებოდა; ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო დამედგინა თანამომდევნობა ჩვეულებრივი სახელმწიფო კაპიტალიზმისა იმ არაჩვეულებრივ, თვით სრულიად არაჩვეულებრივ, სახელმწიფო კაპიტალიზმთან, რომელზედაც მე ვლაპარაკობდი, როდესაც მკითხველებს ვაცნობდი ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. მ ე ო რ ე, ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკული მიზანი. ხოლო ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრაქტიკულ მიზანს შეადგენდა კონცესიების მიღება; კონცესიები ჩვენს პირობებში უსათუოდ სახელმწიფო კაპიტალიზმის წმინდა ტიპი იქნებოდა. აი როგორ მქონდა წარმოდგენილი მსჯელობა სახელმწიფო კაპიტალიზმზე.

მაგრამ არის კიდევ საქმის ერთი მხარე, როცა შეიძლება დაგვ-

ჭირდეს სახელმწიფო კაპიტალიზმი ან, ყოველ შემთხვევაში, მასთან დაპირისპირება. ეს არის კოოპერაციის საკითხი.

უეჭველია, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოს ვითარებაში კოოპერაცია არის კოლექტიური კაპიტალისტური დაწესებულება. უეჭველია აგრეთვე, რომ ჩვენი ახლანდელი ეკონომიური სინამდვილის ვითარებაში, როდესაც ჩვენ ვაერთებთ კერძოკაპიტალისტურ საწარმოებს, — მაგრამ აუცილებლად საზოგადოებრივ მიწაზე, და აუცილებლად მუშათა კლასის სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლით, — თანამიმდევრულ-სოციალისტური ტიპის საწარმოებთან (სახელმწიფოს ეკუთვნის წარმოების საშუალებებიც, მიწაც, რომელზედაც დგას საწარმო, და საწარმოც მთლიანად), აქ იბადება საკითხი კიდევ მესამე სახის საწარმოებისა, რომლებსაც წინათ არ ჰქონდათ დამოუკიდებლობა პრინციპული მნიშვნელობის თვალსაზრისით, სახელდობრ: კოოპერაციული საწარმოებისა. კერძო კაპიტალიზმის დროს კოოპერაციული საწარმონი კაპიტალისტურ საწარმოთაგან განირჩევიან, როგორც კოლექტიური საწარმონი კერძო საწარმოთაგან. სახელმწიფო კაპიტალიზმის დროს კოოპერაციული საწარმონი სახელმწიფო-კაპიტალისტურ საწარმოთაგან განირჩევიან, ჯერ-ერთი, როგორც კერძო საწარმონი, მეორე, როგორც კოლექტიური საწარმონი. ჩვენი არსებული წყობილების დროს კოოპერაციული საწარმონი კერძო-კაპიტალისტურ საწარმოთაგან განირჩევიან, როგორც კოლექტიური საწარმონი, მაგრამ არ განირჩევიან სოციალისტურ საწარმოთაგან, თუ ისინი დაარსებულია იმ მიწაზე, წარმოების იმ საშუალებებით, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფოს, ე. ი. მუშათა კლასს.

აი ამ გარემოებას საკმაოდ არ ითვალისწინებენ ჩვენში, როდესაც კოოპერაციაზე მსჯელობენ. ივიწყებენ, რომ კოოპერაცია ჩვენში, ჩვენი სახელმწიფო წყობილების თავისებურების წყალობით, სრულიად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს. თუ ცალკე გამოვყოფთ კონცესიებს, რომლებიც, უნდა ითქვას, რამდენადმე მნიშვნელოვნად ვერ განვითარდა ჩვენში, კოოპერაცია ჩვენს პირობებში ძალიან ხშირად სავსებით ემთხვევა სოციალიზმს.

განვმარტავ ჩემს აზრს. რაში მდგომარეობს რობერტ ოუენიდან დაწყებული ძველი კოოპერატორების გეგმების ფანტასტიკურობა? იმაში, რომ ისინი ოცნებობდნენ — სოციალიზმი მშვიდობიანი გზით გარდაქმნის თანამედროვე საზოგადოებასო, და არ ითვალისწინებდნენ ისეთ ძირითად საკითხს, როგორიცაა კლასობრივი ბრძოლის, მუშათა კლასის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდების,

ექსპლოატატორთა კლასის ბატონობის დამხობის საკითხი. ამიტომ ჩვენ მართალი ვართ, როდესაც ასეთი «კოოპერაციული» სოციალიზმი მიგვაჩნია ერთიან ფანტასტიკად, რაღაც რომანტიკულს, უგვანოსაც კი ვხედავთ იმაზე ოცნებობაში, თუ როგორ შეიძლება მოსახლეობის უბრალო კოოპერირებით გადააქციო კლასობრივი მტრები კლასობრივ თანამშრომლებად და კლასობრივი ომი კლასობრივ ზავად (ეგრეთწოდებულ სამოქალაქო ზავად).

ეჭვი არ არის, რომ თანამედროვეობის ძირითადი ამოცანის თვალსაზრისით ჩვენ მართალი ვიყავით, რადგან სახელმწიფოში პოლიტიკური ძალაუფლებისათვის კლასობრივი ბრძოლის გარეშე სოციალიზმის განხორციელება შეუძლებელია.

მაგრამ აბა შეხედეთ, როგორ შეიცვალა საქმის ვითარება ახლა, რაკი სახელმწიფო ძალაუფლება უკვე მუშათა კლასის ხელშია, რაკი ექსპლოატატორთა პოლიტიკური ძალაუფლება დამხობილია და რაკი წარმოების ყველა საშუალება (გარდა იმისა, რასაც კონცესიის სახით მუშათა სახელმწიფო ნებაყოფლობით აძლევს ექსპლოატატორებს დროებით და პირობითად) მუშათა კლასის ხელშია.

ახლა ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ კოოპერაციის უბრალო ზრდა ჩვენთვის უდრის (ზემოაღნიშნული «პატარა» გამონაკლისით) სოციალიზმის ზრდას, და ამასთან ერთად იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ ძირეულად შეიცვალა მთელი ჩვენი თვალსაზრისი სოციალიზმზე. ეს ძირეული ცვლილება იმაში მდგომარეობს, რომ წინათ ჩვენ სიმძიმის ცენტრი გადაგვქონდა და კიდევაც უნდა გადაგვეტანა პოლიტიკურ ბრძოლაზე, რევოლუციაზე, ძალაუფლების ხელში ჩაგდებაზე და სხვ.. ახლა კი სიმძიმის ცენტრი იმდენად იცვლება, რომ გადადის მშვიდობიან ორგანიზაციულ «კულტურულ» მუშაობაზე. მე მზადა ვარ ვთქვა, რომ სიმძიმის ცენტრი ჩვენთვის გადადის კულტუროსნობაზე, ხელს რომ არ გვიშლიდეს საერთაშორისო ურთიერთობა, მოვალეობა — ვიბრძოლოთ ჩვენი პოზიციისათვის საერთაშორისო მასშტაბით. მაგრამ თუ ამას განზე დავტოვებთ და ავიღებთ მხოლოდ შინაგან ეკონომიურ ურთიერთობას, ჩვენთვის მართლაც ახლა მუშაობის სიმძიმის ცენტრია კულტუროსნობა.

ჩვენს წინაშეა ორი მთავარი ამოცანა, რაც ეპოქას შეადგენს. ეს ამოცანაა გარდაქმნა ჩვენი აპარატისა, რომელიც სრულიად არაფრად არ ვარგა და რომელიც მთლად წინანდელი ეპოქისაგან გადმოგვეცა; აქ რისიმე სერიოზულად გარდაქმნა ხუთი წლის ბრძოლის განმავლობაში ვერ მოვასწარით და არც შეგვეძლო მოგვესწრო. ჩვენი მეორე ამოცანაა კულტურული მუშაობა გლეხობისათვის. ხოლო ეს კულ-

ტურული მუშაობა გლეხობაში ისახავს, როგორც ეკონომიურ მიზანს, სწორედ კოოპერირებას. კოოპერირება რომ საესებით განხორციელებული იყოს, ჩვენ ორივე ფეხით უკვე სოციალისტურ ნიადაგზე ვიდგომებოდით. მაგრამ სრული კოოპერირების ეს პირობა გულისხმობს გლეხობის (სწორედ გლეხობის, როგორც უდიდესი მასის) ისეთ კულტურულობას, რომ ეს სრული კოოპერირება შეუძლებელია, თუ მთელი კულტურული რევოლუციი: არ მოხდა.

ჩვენს მოწინააღმდეგეებს არა ერთხელ უთქვამთ ჩვენთვის — არასაკმაოდ კულტურულ ქვეყანაში სოციალიზმის დანერგვის უგუნური საქმე წამოიწყეთო. მაგრამ ისინი შეცდნენ იმაში, რომ ჩვენ დავიწყეთ არა იქიდან, როგორც თეორიის (ყოველგვარი პედანტის თეორიის) მიხედვით უნდა დაწყებულიყო, და რომ ჩვენში პოლიტიკური და სოციალური გადატრიალება წინამორბედი გახდა იმ კულტურული გადატრიალებისა, იმ კულტურული რევოლუციისა, რომლის წინაშეც ჩვენ ახლა, მაინც, ვდგავართ.

ჩვენთვის საკმაოა ახლა ეს კულტურული რევოლუცია იმისათვის, რომ საესებით სოციალისტურ ქვეყნად გადავიქცეთ, მაგრამ ჩვენთვის ეს კულტურული რევოლუცია წარმოადგენს უზომო სიძნელეებს, როგორც წმინდა კულტურული ხასიათისას (რადგან წერა-კითხვის უცოდინარნი ვართ), ისე მატერიალური ხასიათისას (რადგან იმისათვის, რომ კულტურულნი გავხდეთ, საჭიროა წარმოების მატერიალურ საშუალებათა ერთგვარი განვითარება, საჭიროა ერთგვარი მატერიალური ბაზა).

1923 წ. 6 იანვარი

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 33, გვ. 557 — 561

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ჩვენი რევოლუციის შესახებ

(ნ. სუხანოვის წერილების გამო)

I

ამ დღეებში გადავფურცლე სუხანოვის წერილები რევოლუციის შესახებ. განსაკუთრებით გეცემათ თვალში პედანტობა ყველა ჩვენი წვრილბურჟუაზიული დემოკრატისა, ისევე როგორც II ინტერნაციონალის ყველა გმირისა. რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ისინი არაჩვეულებრივ მხდალები არიან, რომ მათ შორის უკეთესნიც კი კვაყოფილდებიან მიკიბულ-მოკიბული შენიშვნებით, როცა ლაპარაკი ეხება გერმანული ნიმუშისაგან სულ მცირეოდენ გადახვევასაც კი, რომ არაფერი ვთქვათ ყველა წვრილბურჟუაზიული დემოკრატის ამ თვისებაზე, რაც საკმაოდ გამოიჩინეს მათ მთელი რევოლუციის განმავლობაში, თვალში გეცემათ მათი მონური მიმბაძველობა წარსულისადმი.

ყველა ისინი მარქსისტებს უწოდებენ თავიანთ თავს, მაგრამ უაღრესად პედანტურად ესმით მარქსიზმი. მათ სრულიად ვერ გაუგიათ ის, რაც გადამწყვეტია მარქსიზმში: სახელდობრ, მისი რევოლუციური დიალექტიკა. მარქსის პირდაპირი მითითებანიც კი იმაზე, რომ რევოლუციის მომენტებში საჭიროა მაქსიმალური მოქნილობა [128], მათ აბსოლუტურად ვერ გაუგიათ და ვერც კი შეუმჩნევიათ, მაგალითად, მარქსის მითითებანი მის მიწერ-მოწერაში, რომელიც, როგორც მახსოვს, მიეკუთვნება 1856 წელს, როდესაც იგი იმედს გამოსთქვამდა, რომ გლეხთა ომი გერმანიაში, რომელსაც შეუძლია რევოლუციური ვითარება შექმნას, შეუერთდება მუშათა მოძრაობასო [129], — თვით ამ პირდაპირ მითითებასაც ისინი გვერდს უვლიან და გარს უტრიალებენ, როგორც კატა ცხელ ფაფას.

მთელი თავიანთი მოქმედებით ისინი ააშკარავებენ, რომ მხდალი რეფორმისტები არიან, რომელთაც ეშინიათ განუდგნენ ბურჟუაზიას, მით უმეტეს გასწყვიტონ მასთან კავშირი, და ამავე დროს თავიანთ

სიმხდალეს ფარავენ წრეგადასული ფრაზიორობითა და ტრაბახით. მაგრამ წმინდა თეორიულადაც კი თვალში გეცემათ, რომ ყველა მათ არავითარი უნარი არ შესწევთ გაიგონ მარქსიზმის შემდეგი მოსაზრებანი: აქამდე ისინი ხედავდნენ დასავლეთ ევროპაში კაპიტალიზმისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის განვითარების განსაზღვრულ გზას. და აი, ვერ წარმოუდგენიათ, რომ ეს გზა შეიძლება სანიმუშოდ ჩაითვალოს **mutatis mutandis** * მხოლოდ ზოგიერთი შესწორებით (სრულიად უმნიშვნელო შესწორებებით მსოფლიო ისტორიის საერთო მსვლელობის თვალსაზრისით).

პ ი რ ვ ე ლ ი — რევოლუცია, დაკავშირებული პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომთან. ასეთ რევოლუციაში თავი უნდა ეჩინა ახალ ნიშნებს, ან სახეშეცვლილთ სწორედ ომისაგან დამოკიდებით, იმიტომ რომ არასოდეს ქვეყნად ასეთი ომი, ასეთ ვითარებაში, ჯერ არ ყოფილა. დღემდე ჩვენ ვხედავთ, რომ უმდიდრესი ქვეყნების ბურჟუაზიას არ შეუძლია მოაგვაროს «ნორმალური» ბურჟუაზიული ურთიერთობა ამ ომის შემდეგ, ხოლო ჩვენს რეფორმისტებს, წვრილ ბურჟუებს, რომელთაც რევოლუციონერებად მოაქვთ თავი, ზღვარად (რომლის გადალახვაც შეუძლებელია) ჰიაჩნდათ და მიაჩნიათ ნორმალური ბურჟუაზიული ურთიერთობა, ამასთან ეს «ნორმა» უკიდურესად შაბლონურად და ვიწროდ ესმით.

მ ე ო რ ე — მათთვის სრულიად უცხოა ყოველგვარი აზრი იმის შესახებ, რომ მთელ მსოფლიო ისტორიაში განვითარების საერთო კანონზომიერების დროს სრულიად არ არის გამორიცხული, არამედ, პირიქით, იგულისხმება განვითარების ცალკეული პერიოდები, რომლებიც წარმოადგენენ ამ განვითარების ან ფორმის, ან წესის თავისებურებას. მათ აზრადაც არ მოსდით, მაგალითად, რომ რუსეთს, რომელიც ცივილიზებული ქვეყნებისა და ისეთი ქვეყნების საზღვარზე დგას, რომელთაც ეს ომი პირველად აბამს საბოლოოდ ცივილიზაციაში, მთელი აღმოსავლეთის ქვეყნების, არაევროპული ქვეყნების საზღვარზე, რომ რუსეთს ამიტომ შეეძლო და კიდევაც უნდა გამოემჟღავნებინა ზოგიერთი თავისებურებანი, რომლებიც, რა თქმა უნდა, მსოფლიო განვითარების საერთო ხაზზე მდებარეობენ, მაგრამ რომლებიც მის რევოლუციას განასხვავებენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ყველა წინა რევოლუციისაგან და რომელთაც აღმოსავლეთის ქვეყნებისაკენ გადასვლისას ზოგიერთი ნაწილობრივი სიახლე შეაქვთ.

---

* — სათანადო ცვლილებებით. რ ე დ.

მაგალითად, უსაზღვროდ შაბლონურია მათი საბუთი, რომელიც მათ დაიზეპირეს დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის განვითარების დროს და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ თითქოს არ მოვმწიფებულვართ სოციალიზმისათვის, რომ ჩვენ არა გვაქვს, როგორც ბრძანებენ იმათგან სხვადასხვა «სწავლული» ვაჟბატონები, ობიექტური ეკონომიური წანამძღვრები სოციალიზმისათვის. და არავის აზრადაც არ მოსდის შეეკითხოს თავის თავს: განა არ შეეძლო იმ ხალხს, რომელიც შეხვდა რევოლუციურ სიტუაციას, ისეთ სიტუაციას, რომელიც შეიქმნა პირველი იმპერიალისტური ომის დროს, არ შეეძლო მას, თავისი გამოუვალი მდგომარეობის გავლენით, ჩაბმულიყო ისეთ ბრძოლაში, რომელიც რაიმე შანსებს მაინც უქადდა მას მოეპოვებინა თავისთვის არცთუ სავსებით ჩვეულებრივი პირობები ცივილიზაციის შემდგომი ზრდისათვის?

«რუსეთს არ მიუღწევია საწარმოო ძალთა განვითარების ისეთ სიმაღლემდე, როცა სოციალიზმი შესაძლებელიაო». ამ დებულებას II ინტერნაციონალის ყველა გმირი, და მათ შორის, რა თქმა უნდა, სუხანოვიც, ჭეშმარიტად ისე ელოლიავება, როგორც თითქოს რაღაც საუნჯეს. ამ უდავო დებულებას ისინი ათასნაირად ღეჭავენ, და მათ ჰგონიათ, რომ იგი გადამწყვეტია ჩვენი რევოლუციის შეფასებისათვის.

მერე რა ვუყოთ, თუკი ვითარების თავისებურებამ რუსეთი ჩააბა, ჯერ-ერთი, მსოფლიო იმპერიალისტურ ომში, რომელშიც ჩარეულია დასავლეთ ევროპის ყველა რამდენადმე გავლენიანი ქვეყანა, მოაქცია მისი განვითარება აღმოსავლეთის რევოლუციების მიჯნაზე, რევოლუციების, რომლებიც იწყება და ნაწილობრივ უკვე დაიწყო ისეთ პირობებში, როცა ჩვენ შეგვეძლო გაგვეხორციელებინა სწორედ ის კავშირი «გლეხთა ომისა» მუშათა მოძრაობასთან, რაზედაც, როგორც ერთ-ერთ შესაძლებელ პერსპექტივაზე, წერდა ისეთი «მარქსისტი», როგორიცაა მარქსი, 1856 წელს პრუსიის მიმართ?

რა ვუყოთ, თუ სრულიად გამოუვალი მდგომარეობა აათკეცებდა მუშებისა და გლეხების ძალებს და ცივილიზაციის ძირითადი წანამძღვრების შექმნაზე სხვაგვარი გადასვლის შესაძლებლობას გვაძლევდა, ვიდრე დასავლეთ ევროპის ყველა დანარჩენ სახელმწიფოში? განა შეიცვალა ამით მსოფლიო ისტორიის განვითარების საერთო ხაზი? განა შეიცვალა ამით ძირითადი კლასების ძირითადი თანაფარდობა თვითეულ სახელმწიფოში, რომელიც ებმება და ჩაბმულია მსოფლიო ისტორიის საერთო მსვლელობაში?

თუ სოციალიზმის შექმნისათვის საჭიროა კულტურის განსაზღვრული დონე (თუმცა არავის არ შეუძლია თქვას, სახელდობრ, რო-

გორია ეს განსაზღვრული «დონე კულტურისა», რადგან დასავლეთ ევროპის თვითეულ სახელმწიფოში ეს დონე სხვადასხვანაირია), რატომ არ შეგვიძლია დავიწყოთ ჯერ ამ განსაზღვრული დონისათვის წანამძღვრების რევოლუციური გზით მოპოვებით, ხოლო შ ე მ დ ე გ უკვე, მუშურ-გლეხური ხელისუფლების და საბჭოთა წყობილების საფუძველზე, გავწიოთ წინ სხვა ხალხების დასაწევად.

1923 წ. 16 იანვარი.

სოციალიზმის შესაქმნელად, — ამბობთ თქვენ, — საჭიროა ცივილიზებულობაო. ძალიან კარგი. მაგრამ რატომ არ შეგვეძლო ჩვენ ჯერ შეგვექმნა ჩვენში ცივილიზებულობის ისეთი წანამძღვრები, როგორიცაა მემამულეთა გაძევება და რუსეთის კაპიტალისტთა გაძევება, და უკვე შემდეგ დაგვეწყო მოძრაობა სოციალიზმისაკენ? რომელ წიგნებში ამოიკითხეთ თქვენ, რომ ჩვეულებრივი ისტორიული რიგის ამგვარი სახეცვლილებანი შეუწყნარებელი თუ შეუძლებელია?

მახსოვს, ნაპოლეონი წერდა: «On s'engage et puis... on voit». თავისუფლად რომ ვთარგმნოთ, ეს ნიშნავს: «ჯერ უნდა ჩაება სერიოზულ ბრძოლაში, და შემდეგ ვნახავთო». და აი ჩვენც ჯერ ჩავებით 1917 წლის ოქტომბერში სერიოზულ ბრძოლაში და შემდეგ დავინახეთ განვითარების ისეთი დეტალები (მსოფლიო ისტორიის თვალსაზრისით ეს, უსათუოდ, დეტალებია), როგორიცაა ბრესტის ზავი, ან ახალი ეკონომიური პოლიტიკა და სხვ.. და ამჟამად უკვე ეპვი არ არის, რომ ძირითადად ჩვენ გავიმარჯვეთ.

ჩვენს სუხანოვებს, მათზე უფრო მემარჯვენე სოციალ-დემოკრატებზე რომ არაფერი ვთქვათ, არც კი ესიზმრებათ, რომ სხვაგვარად საერთოდ არც შეიძლება მოხდეს რევოლუციები. ჩვენს ევროპელ მეშჩანებს არც კი ესიზმრებათ, რომ შემდგომი რევოლუციები მოსახლეობით განუზომლად უფრო მდიდარ და სოციალური პირობების ნაირსახეობით განუზომლად უფრო განსხვავებულ აღმოსავლეთის ქვეყნებში, უეჭველად, უფრო მეტ თავისებურებას უქადიან ვათ, ვიდრე რუსეთის რევოლუცია.

თქმა არ უნდა, კაუცკის მიხედვით დაწერილი სახელმძღვანელო თავის დროზე ფრიად სასარგებლო რამ იყო. მაგრამ უკვე დროა, მაინც, უარვყოთ ის აზრი, თითქოს ამ სახელმძღვანელოს შემდგომი მსოფლიო ისტორიის განვითარების ყველა ფორმა ჰქონდეს გათვალისწინებული. დროული იქნებოდა მათი პირდაპირ ბრიყვებად გამოცხადება, ვინც ასე ფიქრობს.

1923 წ. 17 იანვარი.

ხელნაწერი, გამოც. მე-4, ტ. 33, გვ. 562 — 567

იბეჭდება ხელნაწერთა ტექსტის მიხედვით

სტატიიდან
«უმჯობესია ცოტა და კარგი»

ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაუმჯობესების საკითხში მუშგლეხინი, ჩემი აზრით, არ უნდა გამოეკიდოს რაოდენობას და არ უნდა აჩქარდეს. დღემდე ჩვენ ისე ცოტა დრო გვქონდა გვეფიქრა და გვეზრუნა ჩვენი სახელმწიფო აპარატის ხარისხზე, რომ კანონიერი იქნება ზრუნვა მის განსაკუთრებით სერიოზულ მომზადებაზე, იმაზე, რომ მუშგლეხინში თავი მოვუყაროთ ნამდვილად თანამედროვე ხანის შესაფერისი თვისების მუშაკებს, ე. ი. ისეთებს, რომლებიც არ ჩამორჩებიან დასავლეთ ევროპის საუკეთესო ნიმუშებს. რა თქმა უნდა, სოციალისტური რესპუბლიკისათვის ეს პირობა მეტად მცირედია. მაგრამ პირველმა ხუთწლეულმა საკმაოდ გამოგვიტანა თავი უნღობლობითა და სკეპტიციზმით. ამ თვისებით უნებლიეთ ვიმსჭვალებით იმათ მიმართ, ვინც ძალიან ბევრსა და ძალიან ადვილად ლაქლაქებს, მაგალითად, «პროლეტარულ კულტურაზე»: ჩვენთვის თავდაპირველად საკმაო იქნებოდა ნამდვილი ბურჟუაზიული კულტურა, ჩვენ თავდაპირველად თავი უნდა ავარიდოთ ბურჟუაზიული წესწყობილების წინადროის კულტურათა განსაკუთრებით მკვეთრ ტიპებს, ე. ი. მოხელური, ბატონყმური და სხვ. ამგვარი კულტურის ტიპებს. კულტურის საკითხებში აჩქარება და წრეგადასულობა ყველაზე მავნებელია. ბევრმა ჩვენმა ახალგაზრდა ლიტერატორმა და კომუნისტმა ეს კარგად უნდა დაიხსომოს.

და აი, სახელმწიფო აპარატის საკითხში წინანდელი გამოცდილებიდან ახლა ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ უმჯობესია არ ვიჩქაროთ.

ჩვენი სახელმწიფო აპარატის საქმე იმდენად სავალალო, რომ არა ეთქვათ საძაგელ, მდგომარეობაშია, რომ ჯერ კარგად უნდა ჩავუფიქრდეთ, როგორ ვებრძოლოთ ამ აპარატის ნაკლოვანებებს, თანაც

უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ნაკლოვანებებს ფესვი აქვს გადგმული წარსულში, რომელიც თუმცა გადავატრიალეთ, მაგრამ ვერ აღმოვფხარით, ვერ ჩავაბარეთ კულტურის უკვე შორეული წარსულის სტადიას. აქ მე სწორედ კულტურის საკითხს ვაყენებ, იმიტომ რომ ამ საქმეში მიღწეულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის, რაც უკვე შევიდა კულტურაში, ყოფა-ცხოვრებაში, ზნე-ჩვეულებაში. ჩვენში კი, შეიძლება ითქვას, ის, რაც კარგია სოციალურ წყობილებაში, ზედმიწევნით არ არის მოფიქრებული, გაგებული, განცდილი, აღებულია ნაჩქარევად, არ არის შემოწმებული, გასინჯული, გამოცდილებით დადასტურებული, განმტკიცებული და სხვ.. სხვანაირად, რა თქმა უნდა, შეუძლებელიც იყო რევოლუციურ ეპოქაში და განვითარების იმ თავბრუდამხვევი სისწრაფის დროს, რომელმაც ხუთი წლის განმავლობაში ცარიზმიდან საბჭოთა წყობილებამდე მიგვიყვანა.

დროზე უნდა მოვიდეთ გონს. უნდა გავიმსჭვალოთ მხსნელი უნდობლობით მეტისმეტად სწრაფი წინმსვლელობისადმი, ყოველგვარი ტრაბახისადმი და სხვ., უნდა ვიფიქროთ იმ წინგადადგმული ნაბიჯების შემოწმებაზე, რომელთაც ჩვენ ყოველ საათში ვაცხადებთ, ყოველ წუთში ვდგამთ და შემდეგ კი ყოველ წამში ვადასტურებთ, რომ ეს ნაბიჯები არ არის მტკიცე, საფუძვლიანი და გასაგები. ყველაზე მავნებელი აქ იქნებოდა აჩქარება. ყველაზე მავნებელი იქნებოდა იმის იმედი, რომ თუნდაც ცოტა რამ ვიცით, ან იმისა, რომ გაგვაჩნია რამდენადმე მნიშვნელოვანი რაოდენობა ელემენტებისა ნამდვილად ახალი აპარატის შესაქმნელად, რომელიც ნამდვილად ღირსი იქნებოდა სოციალისტურის, საბჭოურის და სხვ. სახელწოდებისა.

არა, ასეთი აპარატი და მისი ელემენტებიც კი სასაცილოდ ცოტა მოგვეპოვება, და უნდა გვახსოვდეს, რომ მის შესაქმნელად დრო არ უნდა დავზოგოთ და მის შექმნას მრავალი, მრავალი, მრავალი წელი უნდა მოვახმაროთ.

რა ელემენტები მოგვეპოვება ამ აპარატის შესაქმნელად? მხოლოდ ორი. ჯერ-ერთი, მუშები, რომლებიც გატაცებული არიან სოციალიზმისათვის ბრძოლით. ეს ელემენტები არ არიან საკმაოდ განათლებულნი. მათ სურვილი აქვთ მოგვცენ უკეთესი აპარატი. მაგრამ არ იციან, როგორ გააკეთონ ეს. მათ არ შეუძლიათ ამის გაკეთება. მათ ვერ შეუმუშავებიათ დღემდე ისეთი განვითარება, ის კულტურა, რომელიც აუცილებელია ამისათვის. ამისათვის კი აუცილებელია სწორედ კულტურა. აქ ვერაფერს გააწყობ ძალით ან იერიშით, სიყოჩაღით ან ენერგიით, ანდა საერთოდ ადამიანის სხვა რაიმე საუკეთესო თვისებით. მეორე, ელემენტები ცოდნისა, განათლებისა,

სწავლისა, რაც ყველა სხვა სახელმწიფოსთან შედარებით სასაცილოდ ცოტა მოგვეპოვება.

და აქ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჯერ კიდევ მეტისმეტი მიდრეკილება გვაქვს ეს ცოდნა ავინაზღაუროთ (ან გვგონია, რომ მისი ანაზღაურება შეიძლება) გულმოდგინებით, დიდი სიჩქარით და სხვ.

ჩვენი სახელმწიფო აპარატის განახლებისათვის რადაც უნდა დაჯდეს ამოცანად უნდა დავისახოთ: ჯერ-ერთი — სწავლა, მეორე — სწავლა და მესამე — სწავლა და შემდეგ შემოწმება იმისა, რომ მეცნიერება ჩვენში არ დარჩეს მკვდარ ასოდ ან მოდურ ფრაზად (ეს კი, ცოდვა რა დასამალია, ძალიან ხშირად გვემართება), რომ მეცნიერება ნამდვილად სისხლსა და ხორცში გაგვიჯდეს, საკუთებით და ნამდვილად ყოფა-ცხოვრების შემადგენელ ელემენტად გადაიქცეს...

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 33, გვ. 575 — 577

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

წერილები

1899—1915

წერილიდან ა. ნ. პოტრესოვს

26. I. 99.

... «მემკვიდრეობის» შესახებ უნდა დავთანხმებოდი თქვენს აზრს, რომ მისი ერთიან რაიმედ მიჩნევა ცუდი (80-იანი) წლების ცუდი ტრადიციაა. მართლაც, შეიძლება ითქვას, ისტორიულ-ლიტერატურულ თემებს მე ხელს არ უნდა ვკიდებდე... მხოლოდ ის მამართლებს, რომ სკალდინისაგან მემკვიდრეობის მიღების წინადადებას სწორედ მე არსად არ ვიძლევი [130]. მემკვიდრეობა სხვა ადამიანებისაგან რომ უნდა მივიღოთ, — ეს უდავოა. მე მგონია, რომ თავდასაცავად (მოწინააღმდეგეთა შესაძლო თავდასხმისაგან) გამომადგება შენიშვნა 237 გვერდზე, სადაც მხედველობაში მყავდა სწორედ ჩერნიშევსკი და ვასაბუთებდი იმის მიზეზებს, თუ რატომ იყო უხერხული მასთან პარალელის გატარება [131]. იქვე აღიარებულია, რომ სკალდინი არის liberalkonservativ *, რომ იგი «ტიპიური არ არის» 60-იანი წლებისათვის, რომ «ტიპიური» მწერლების დასახელება «უხერხულია», — მე არ მქონდა და არცა მაქვს ჩერნიშევსკის სტატიები, ხელახლა ჯერ არც გამოცემულა მთავარი მათგანი, და საეჭვოც არის ამასთან მომეხერხებინა წყალქვეშა ქვებისათვის გვერდის ავლა...

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 34, გვ. 11 — 12

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

* — ლიბერალური კონსერვატორი. რ ე დ.

წერილიდან მ. ა. ულიანოვასადმი

9/II. 01

... ახლახან ვიყავი ოპერაში, დიდი სიამოვნებით მოვისმინე «ურიის ქალი»: ერთხელ იგი მოვისმინე ყაზანში (როცა მღეროდა ზაკრევესკი), დაახლოებით 13 წლის წინათ, მაგრამ ზოგიერთი მოტივი ჩამრჩა ხსოვნაში. კარგი მუსიკა და სიმღერაა. თეატრებშიც (გერმანულში) მე ვიყავი რამდენჯერმე, და ზოგჯერ ვხვდებოდი, ყოველ შემთხვევაში, საერთოდ და მთლიანად. დადიხართ თუ არა მოსკოვის თეატრებში?...

წერილები ნათესავებისადმი, 1894 — 1919. პარტგამომცემლობა, 1934, გვ. 261

იბეჭდება წერილების ტექსტის მიხედვით

წერილიდან მ. ა. ულიანოვასადმი

20/II 01.

... დადიხართ თუ არა თეატრში? როგორია ჩეხოვის ახალი პიესა «სამი და»? ნახეთ თუ არა და როგორ მოგეწონათ? მე წავიკითხე აზრი გაზეთში. შესანიშნავად თამაშობენ «სამხატვროში — საყოველთაოდ ხელმისაწვდომში» — დღემდე სიამოვნებით ვიგონებ, შარშან საბრალო კოლუმბთან ერთად რომ ვიყავი...

წერილები ნათესავებისადმი, 1894 — 1919.
პარტგამომცემლობა, 1934, გვ. 262

იბეჭდება წერილების ტექსტის მიხედვით

წერილიდან მ. ა. ულიანოვასადმი

4/III. 01.

მე აქ ჩამოვედი, ძვირფასო დედავ, ნადიასათვის «ქაღალდის» საშოვნელად. პრაღაში რუსეთის საკონსულო არ აღმოჩნდა, ხოლო ჩემი თხოვნა ნადიასათვის საზღვარგარეთული პასპორტის მიცემის შესახებ უსათუოდ უნდა იყოს დამოწმებული. ვენა ვეებერთელა, ცოცხალი, ლამაზი ქალაქია. «პროვინციის» შემდეგ, რომელშიც მე ვცხოვრობ, სასიამოვნოა დედაქალაქის ნახვაც. აქ ბევრი რამ არის სანახავი, ისე რომ გზად გავლისას (თუ ვინმე თქვენგანი წამოვიდოდა) ღირს გაჩერება. ნადიას მე გავუგზავნე ამ მიზნით პატარა Führer durch Wien *. იმედი მაქვს, რომ ნადია ახლა მალე გინახულებთ — არა მგონია დაუბრკოლონ პასპორტი. მანიაშას ვთხოვ, როცა ქალაქის ცენტრში იქნება, იყიდოს ნადიასათვის Henschel's Telegraph ** (ორი მარკა) (აქედან ასეთი წიგნის გამოგზავნა არა ღირს).

ვიყავი აქ, სხვათა შორის, Museum der bildenden künste ***-ში და თეატრშიც, სადაც ვნახე ვენური ოპერეტა! ნაკლებად მომეწონა. ვიყავი კიდევ ერთ კრებაზე, სადაც იკითხებოდა ერთ-ერთი კურსი Volksuniversitätscurse ****. კმაყოფილი არ დავრჩი და მალე წავედი...

წერილები ნათესავებისადმი, 1894 — 1919. პარტგამომცემლობა, 1934, გვ. 265 — 266

იბეჭდება წერილების ტექსტის მიხედვით

---

* — ვენის ცნობარი. რ ე დ.

** — რკინიგზების ცნობარი ჰენშელის. რ ე დ.

*** — იშვიათ ხელოვნებათა მუზეუმი. რ ე დ.

**** — სახალხო უნივერსიტეტის. რ ე დ.

წერილიდან მ. ი. ულიანოვასადმი [132]

19/V 01.

... როგორა ხარ? იმედი მაქვს, რომ უკვე დაამყარებდი უფრო მართებულ რეჟიმს, რაც ასე მნიშვნელოვანია მარტოობაში? ეხლა მარკს ვწერდი წერილს, რომელშიც მეტად დაწვრილებით ვუქებდი, თუ როგორი «რეჟიმის» დამყარებაა უფრო უმჯობესი: გონებრივი მუშაობის მხრივ განსაკუთრებით ვურჩევდი თარგმანს და თანაც შ ე ბ რ უ ნ ე ბ უ ლ თარგმანს, ე. ი. ჯერ ითარგმნოს უცხო ენიდან რუსულ ენაზე წერილობით, ხოლო შემდეგ რუსულად ნათარგმნიდან ხელახლა უცხო ენაზე. ჩემი გამოცდილებიდან მე გამოვიტანე დასკვნა, რომ ეს ენის შესწავლის ყველაზე რაციონალური ხერხია. რაც შეეხება ფიზიკურ მხარეს, მე ძალიან ვურჩიე მას, და შენც გირჩევ, ყოველდღიურ ტანვარჯიშს და ცივი წყლით ტანის დაზელვას. მარტოობაში ეს პირდაპირ აუცილებელია.

ერთ-ერთი შენი წერილიდან, რომელიც დედამ გამომიგზავნა, მე შევიტყე, რომ შენ მოგიგვარებია უკვე ზოგიერთი მეცადინეობა. იმედი მაქვს, რომ ამის მეოხებით შენ ზოგჯერ მაინც დაივიწყებ ვითარებას და დრო (რომელიც საპყრობილეში ჩვეულებრივ სწრაფად გარბის, თუ არ არსებობს განსაკუთრებით არახელსაყრელი პირობები) უფრო შეუმჩნეველად გაივლის. გირჩევ კიდევ სწორად გაანაწილო და გაასხვაფერო მეცადინეობა არსებული წიგნებით: მე ძალიან კარგად მახსოვს, რომ კითხვის ან მუშაობის შეცვლა — თარგმანიდან კითხვაზე გადასვლა, წერიდან ტანვარჯიშზე, სერიოზულ კითხვიდან ბელეტრისტიკაზე — ძალიან ბევრს მეხმარებოდა. ზოგჯერ გუნებას, რომელიც მეტად ცვალებადია საპყრობილეში, აუარესებს

ერთფეროვანი შთაბეჭდილებებით გამოწვეული დაღლა ან ერთ-ფეროვანი მუშაობა და საკმარისია შეცვალო საქმიანობა, რომ ნორმა-ში ჩადგე და ნერვები დაიმორჩილო. მახსოვს, სადილის შემდეგ საღა-მოობით, დასასვენებლად, regelmässig *, ვკითხულობდი ბელეტ-რისტიკას და არასოდეს ისე არ ჩამიტანებია მისთვის გემო, როგორც საპყრობილეში...

წერილები ნათესავებისადმი, 1894 — 1919.
პარტგამომცემლობა, 1934, გვ. 267 — 268

იბეჭდება წერილების ტექსტის მიხედვით

* — რეგულარულად. რ ე დ.

წერილიდან ა. ნ. პოტრესოვისადმი

1/I 03.

... ხომ არ დასწერდით წერილს, სტატიას ან ფელეტონს «ისკრისათვის», ნეკრასოვის გარდაცვალების 25 წლისთავის გამო? კარგი იქნებოდა რაიმე მოგვეთავსებინა. მომწერეთ, ხომ არ იკისრებთ...

ლენინის კრებული IV, გვ. 203

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

წერილიდან მ. ა. ულიანოვასადმი

4/II 03.

... ახლახან-პირველად ამ ზამთარში ვიყავით კარგ კონცერტზე და ძალიან კმაყოფილი დავრჩით, — განსაკუთრებით ჩაიკოვსკის უკანასკნელი სიმფონიით (Symphonie pathétique *). იმართება თუ არა თქვენთან სამარაში კარგი კონცერტები? გერმანულ თეატრში ვიყავით ერთხელ, — ძალიან გვენატრება ვნახოთ რუსულ სამხატვრო თეატრში «ფსკერზე»...

წერილები ნათესავებისადმი, 1894 — 1919. პარტგამომცემლობა, 1934, გვ. 289 — 290

იბეჭდება წერილების ტექსტის მიხედვით

* — პათეტიკური სიმფონია. რედ.

ა. მ. გორკის

7. II. 8.

ძვირფასო ა. მ.! თქვენი განცხადების შესახებ მოვეთათბირები ა. ა — ს: ჩემი აზრით, დაბეჭდვა არა ღირს, რადგან პირადად არ იცნობდით [133].

რომელ ბოლშევიკურ კრებულში გაგზავნეთ სტატია ცინიზმზე? გაოცებული ვარ, რადგან ბოლშევიკური კრებულების შესახებ გულმოდგინედ მწერენ, ამაზე კი არაფერი მსმენია. იმედი მაქვს, რომ პიტერის კრებულში. სენკევიჩისადმი წერილი, თუ პირი გაქვთ, გამოგზავნეთ (ზედ აღნიშნეთ, რ ო დ ი ს არის გაგზავნილი), — მაგრამ სენკევიჩი ალბათ გამოაქვეყნებს, რაკი ანკეტაა.

თქვენი გეგმები ძალიან საინტერესოა, და მე სიამოვნებით ჩამოვიდოდი. მაგრამ, დამეთანხმეთ, ხომ ვერ მივატოვებ პარტიულ საქმეს, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს [134]. ახალი საქმის მოგვარება ძნელია. მიტოვება არ შემიძლია. დაახლოებით ერთ-ორ თვეში მოვაგვარებ, და მაშინ თავისუფლად დავანებებ თავს ერთიორი კვირით.

ათასჯერ გეთანხმებით, რომ საჭიროა ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ი ბრძოლა პოლიტიკურ დაცემულობასთან, რენეგატობასთან, წუწუნთან და სხვ.. რაც შეეხება «საზოგადოებას» და «ახალგაზრდობას», არა მგონია ამაში უთანხმოება გვქონდეს. ინტელიგენტების ვნიშვნელობა ჩვენს პარტიაში ეცემა: ყოველი მხრიდან მოდის ცნობები, რომ ინტელიგენცია გ ა რ ბ ი ს პარტიიდან. ჯანაბამდე გზა ჰქონიათ ამ არამზადებს. პარტია იწმინდება მეშჩანური ნაგვისაგან. მუშები უფრო მეტად ჰკიდებენ ხელს საქმეს. ძლიერდება პროფესიონალი მუშების როლი. ყოველივე ეს საუცხოოა, და დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი «მუჯლუგუნებიც» ამავე აზრით უნდა იქნეს გაგებული.

ახლა — როგორ მოვახდინოთ ზეგავლენა, სახელდობრ როგორი «ლიტერატურა ვაკეთოთ»? კრებულები თუ «პროლეტარი»? რასაკვირველია, ყველაზე ადვილია პასუხი: არა თუ, არამედ და — პასუხი უზადო, მაგრამ ნაკლებად პრაქტიკული იქნება. ლეგალური კრებულები, რასაკვირველია, უნდა იყოს; ჩვენი ამხანაგები პიტერში ოფლის ღვრით მუშაობენ ამ კრებულებზე და მეც ვმუშაობდი, ლონდონის შებდეგ, კვაკალაში[43] რომ ვიჯექი. თუ შესაძლებელია, — ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ხელი შევუწყოთ მათ და განვაგრძოთ ეს კრებულები.

მაგრამ ჩემმა გამოცდილებამ ლონდონიდან XI. 05-მდე (ნახევარი წელიწადი!) დამარწმუნა, რომ სისტემატურ ლეგალურ ლიტერატურას ახლა ვერ შექმნი. დარწმუნებული ვარ, რომ პარტიას ახლა სჭირდება პოლიტიკური ორგანო, რომელიც წესიერად გამოვა, მტკიცედ და ძლიერად გაატარებს დაშლასთან და გულვატეხილობასთან ბრძოლის ხაზს, — პარტიული ორგანო, პოლიტიკური გაზეთი. ბევრ რუსეთელს არა სწამს საზღვარგარეთული ორგანო. მაგრამ ეს შეცდომაა, და ჩვენმა კოლეგიამ ტყუილად როდი დაადგინა «პროლეტარის» აქ გადმოტანა. თქმა არ უნდა, ძნელია მისი მოგვარება, დაყენება, გამოცოცხლება. მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს, და ეს გაკეთდება.

ამ ორგანოში რატომ არ უნდა იყოს შეტანილი ლიტერატურული კრიტიკა? ადგილი ცოტაა? მე, რა თქმა უნდა, არ ვიცნობ თქვენი მუშაობის სისტემას. სამწუხაროდ, შეხვედრის დროს უფრო მასლაათი გვქონდა ხოლმე, ვიდრე საქმიანი ლაპარაკი. თუ თქვენ ვერ ეწყობით პატარა, მოკლე, პერიოდულ (კვირეულ, ორკვირეულ) სტატიებს, თუ უკეთ გრძნობთ თავს, როცა დიდ სამუშაოს ეწევით, — მაშინ, რა თქმა უნდა, არ გირჩევთ მის შეწყვეტას. იგი მეტ სარგებლობას მოიტანს!

მაგრამ თუ გეხალისებათ ერთად მუშაობაც პოლიტიკურ გაზეთში, — რატომ არ უნდა განაგრძოთ, ჩვეულებად არ უნდა შემოიღოთ ის ჟანრი, რომელიც თქვენ დაიწყეთ «შენიშვნებით მეშჩანობის შესახებ» «ნოვაია ჟიზნში» და, ჩემი აზრით, კარგადაც დაიწყეთ? მე «წინასწარ მოფიქრებული განზრახვით» მოგწერეთ ამაზე ერთ-ერთ პირველსავე წერილში, და ვფიქრობდი: თუ მას ეს იზიდავს, ხელს ჩასჭიდებს-მეთქი. და მე ვფიქრობ, რომ უკანასკნელ წერილში თქვენ თითქოს ხელს სჭიდებთ. თუ ვცდები? რამდენად მოიცებდა პარტიული მუშაობაც გაზეთის საშუალებით, გაზეთისა, რომელიც არ იქნება ისეთი ცალმხრივი, როგორც წინათ იყო, — და ლიტერატუ-

რული მუშაობაც, რომელიც უფრო მჭიდროდ დაუკავშირდებოდა პარტიულ მუშაობას, პარტიაზე სისტემატურ, განუწყვეტელ ზემოქმედებას! რომ იყოს არა «თავდასხმები», არამედ მთლიანი შეტევა მთელი ხაზით, შეუჩერებლად, უხარვეზებოდ, რომ ს.-დ. ბოლშევიკები არა მარტო ნაწილ-ნაწილ ესხმოდნენ თავს ყოველგვარ ყეყეჩებს, არამედ იპყრობდნენ ყველაფერს და ყოველივეს ისე, როგორც იაპონელები იპყრობდნენ მანჯურიას რუსებთან ბრძოლაში.

სამი თემიდან, რომლებსაც თქვენ კრებულებისათვის ითვალისწინებთ (ფილოსოფია, ლიტერატურული კრიტიკა და მომენტის ტაქტიკა), ერთნასევარი გადავიდოდა პოლიტიკურ გაზეთში, «პროლეტარში»: მომენტის ტაქტიკა და ლიტერატურული კრიტიკის ნახევარი მაინც. ოჰ, სიკეთეს არ მოიტანს განსაკუთრებული, გრძელი ლიტერატურულ-კრიტიკული სტატიები — გაბნეულნი სხვადასხვა ნახევრადპარტიულ და არაპარტიულ ჟურნალებში! უმჯობესია ვსინჯოთ გადავდგათ ნაბიჯი ამ ინტელიგენტური ძველი, დიდკაცური ჩვეულებისაგან შორს, ესე იგი ლიტერატურული კრიტიკაც უ ფ რ ო მ ე ტ ი დ რ ო დ დაუკავშიროთ პარტიულ შუშაობას, პარტიის მიმართ ხელმძღვანელობას. ასე აკეთებენ მოწიფული ს.-დ. პარტიები ევროპაში. ასევე უნდა ვაკეთებდეთ ჩვენც, არ უნდა გვეშინოდეს ასეთ საქმეში კოლეგიალური საგაზეთო მუშაობის პირველი ნაბიჯების სიძნელეებისა.

დიდი ლიტერატურულ-კრიტიკული შრომები — წიგნებში, ნაწილობრივ ჟურნალებში.

სისტემატური. პერიოდული სტატიები, პოლიტიკური გაზეთის კონცერტში, პარტიულ მუშაობასთან დაკავშირებით, იმ ხასიათისა. «ნ ო ვ ა ი ა ე ი ზ ნ მ ა» რომ წამოიწყო — თქვით, გაქვთ თუ არა ამის ხალისი?

მესამე სიუჟეტი ფილოსოფიაა. მე ძლიერ ვგრძნობ, რომ მოუმზადებელი ვარ ამ დარგში, რაც ხელს მიშლიდა საჯაროდ გამოვიდე. ბაგრამ, როგორც რიგითი მარქსისტი, უურადღებით ვკითხულობ ჩვენს პარტიულ ფილოსოფოსებს, უურადღებით ვკითხულობ ემპირიომონისტ ბოგდანოვს და ემპირიოკრიტიკოსებს ბაზაროვს, ლუნაჩარსკის და სხვ. — და მ თ ე ლ ჩემს სიმპათიას ი ს ი ნ ი წარმართავენ პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ს ა კ ე ნ! ხომ უნდა გვქონდეს ფიზიკური ძალა. რომ არ აპყვე განწყობილებას, როგორც პლეხანოვი აკეთებს! მისი ტაქტიკა უკიდურესი უხამსობა და სიმდაბლეა. ფილოსოფიაში იგი მართალ საქმეს იცავს. მე ვემხრობი მატერიალიზმს «ემპირიო-» ების და სხვ. წინააღმდეგ.

განა შეიძლება, განა უნდა ვუკავშირებდეთ ფილოსოფიას პარტიული მუშაობის მიმართულებას? ბოლშევიზმს? ვფიქრობ, რომ ახლა არ შეიძლება ამას ვაკეთებდეთ. დაე ჩვენმა პარტიულმა ფილოსოფოსებმა ერთ ხანს კიდევ იმუშაონ თეორიაზე, იდავონ და... ბ ო ლ ო მ დ ე თქვან ყველაფერი. მე კი ჯერჯერობით მხარს დავუჭერ იმას, რომ ი ს ე თ ი ფილოსოფიური დავა, როგორიც მატერიალისტებსა და «ემპირიო-»ებს შორის არის, გამოეყოს მთლიან პარტიულ მუშაობას.

ველი თქვენს პასუხს, ახლა კი უნდა დავამთავრო.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

ხელნაწერიდან, გამოც. მე-4, ტ. 34, გვ. 431 — 434

იბეჭდება ხელნაწერთა ტექსტის მიხედვით

ა. ვ. ლუნაჩარსკის

ანატ. ვას.-ძეს

13. II. 08.

ძვირფასო ან. ვას.!

გუშინ გამოგიგზავნეთ წერილი ბრინგმანის შესახებ. ვჩქარობ გიპასუხოთ თქვენს 11. II-ის წერილზე.

კარგად არ მესმის, რატომ უნდა ყოფილიყო გულსატკენი თქვენთვის ჩემი წერილი? არა მგონია, რომ ფილოსოფიის გამო!

თქვენი პროექტი «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» ბელეტრისტული განყოფილების დაარსებისა და ა. მ — სათვის მისი ჩაბარებისა შესანიშნავია და არაჩვეულებრივად მახარებს. მე სწორედ ვოცნებობდი იმაზე. რომ ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ-კ რ ი ტ ი კ უ ლ ი განყოფილება მუდმივი გაგვეხადა «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» და იგი ა. მ — სათვის ჩაგვებარებინა. მაგრამ მ ე შ ი ნ ო დ ა, საშინლად მეშინოდა პირდაპირ შემეთავაზებინა ეს, ვინაიდან ა რ ვ ი ც ნ ო ბ ა. მ — ს მუშაობის ხასიათს (და მუშაობისადმი მიდრეკილებას). თუ ადამიანი სერიოზულ დიდ სამუშაოს ასრულებს, და თუ ამ სამუშაოს ზიანს მიაყენებს ადამიანის მოწყვეტა წერილმანებისათვის, გაზეთისათვის, პუბლიცისტიკისათვის, — მაშინ სისულელე და დანაშაული იქნება ხელი შევუშალოთ მას და მოვწყვიტოთ ამ სამუშაოს! ამას ძალიან კარგად ვხვდები და ვგრძნობ.

ადგილზე უკეთ გაერკვევით, ძვირფასო ან. ვას.. თ უ თ ქ ვ ე ნ ფ ი ქ რ ო ბ თ, რ ო მ ზ ი ა ნ ს ა რ მ ი ვ ა ყ ე ნ ე ბ თ ალ. მ — ს მუშაობას, თუ ჩავაბამთ მას რეგულარულ პარტიულ მუშაობაში (პარტიული მუშაობა კი ამით ბევრს მოიგებს!), ეცადეთ ეს მოაგვაროთ.

«პ რ ო ლ ე ტ ა რ ი» № 21 გამოდის 13 (26) თებერვალს. მაშასადამე, დრო კიდევ არის. სასურველია ხელნაწერები გვქონდეს პ ა რ ა ს ‿ ე ვ ი ს ა თ ვ ი ს, რომ თავისუფლად მოვასწროთ იმ ნომრისა-

თვის, რომელიც ოთხშაბათს გამოდის. თუ საჩქაროა, მოსწრება შეიძლება მაშინაც, როცა ხელნაწერი მოდის კვირას (სიჩქარისათვის წერეთ და გზავნეთ პირდაპირ ჩემი მისამართით), — თუნდაც (უკიდურეს შემთხვევაში!) ორშაბათს.

აუცილებლად გვწერეთ თქვენც. № 21-სათვის ხომ არ გამოგზავნით ან პოლიტიკურ ფელეტონს რუსეთის საქმეებზე (10 — 16 ათას ასოს)? ან სტატიას ფერრის[136] წასვლის შესახებ (8 — 10 ათას ასოს)? უმჯობესია არა «ან — ან», არამედ «ისიც — ისიც».

მაგრად გართმევთ ხელს და გთხოვთ მიპასუხოთ, ეწყობა თუ არა ა. მ — ს თანამშრომლობა «პ რ ო ლ ე ტ ა რ შ ი». თუ ჰო, ახლავე დაიწყოს და ნ უ დ ა ე ლ ო დ ე ბ ა «ყრილობას»[137] და შეთანხმებას.

ხელნაწერი, გამოც. მე-4, ტ. 34, გვ. 435 — 436

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ა. მ. გორკის

13. II. 08.

ძვირფასო ალ. ბ.!

ვფიქრობ, რომ ჩვენი უთანხმოების შესახებ თქვენ მიერ აღძრულ საკითხთაგან ზოგიერთი პირდაპირ გაუგებრობაა. რა თქმა უნდა, არც მიფიქრია «გამერეკა ინტელიგენცია», როგორც ამას სჩადიან სულელი სინდიკალისტები, ან უარმეყო მისი საჭიროება მუშათა მოძრაობისათვის. ყველა ამ საკითხზე არ შეიძლება ჩვენს შორის უთანხმოება იყოს; ამაში მტკიცედ ვარ დარწმუნებული და, რაკი ახლა არ შეიძლება შევხვდეთ ერთმანეთს, საჭიროა ერთბაშად დავიწყოთ ერთად მუშაობა. მუშაობაში ყველაზე ადვილად და ყველაზე უკეთ საბოლოოდ შეევწყობოდით ერთმანეთს.

თქვენი გეგმა, რომ «პროლეტარისათვის» დაწერთ პატარ-პატარა რამეებს (ანონსი გამოგეგზავნათ), ძალიან, ძალიან მახარებს. მაგრამ, რასაკვირველია. თუ დიდი სამუშაო გაქვთ, ხელს ნუ შეუშვებთ.

ტროცკის შესახებ მინდოდა თქვენთვის წინა წერილში მეპასუხნა, მაგრამ დამავიწყდა. ჩვენ (ე. ი. «პროლეტარის» აქაურმა რედაქციამ, ალ. ალ., მე და «ინოკმა» — ძალიან კარგი კოლეგაა რუსი ბოლშევიკებიდან) მაშინვე გადავწყვიტეთ მოგვეწვია იგი «პროლეტარში». მივწერეთ წერილი, დავსახეთ და შევთავაზეთ ერთი თემა. საერთო თანხმობით მოვაწერეთ «პროლეტარის» რედაქცია», რადგან გვსურდა საქმე უფრო კოლეგიალურ ნიადაგზე დაგვეყენებინა (მაგალითად. პირადად მე ტროცკისთან დიდი ომი, საშინელი ჩხუბი მქონდა 1903 — 5 წლებში, როცა ის მენშევიკი იყო). არ ვიცი, ტროცკის ეს ფორმა ეწყინა, თუ რა, მაგრამ გამოგვიგზავნა წერილი, რომელიც მისი დაწერილი არ იყო: «ამხ. ტროცკის დავალებით» «პროლეტარის» რედაქციას ატყობინებდნენ, რომ ტროცკიმ უარი თქვა წეროს, მოუცლელი ვარო.

ეს, ჩემი აზრით, პოზიორობაა. იგი ლონდონის ყრილობაზეც პოზიორობდა. აღარ ვიცი, გაჰყვება თუ არა ბოლშევიკებს...

მენშევიკებმა აქ გამოუშვეს ანონსი ყოველთვიურ «გოლოს სოციალ-დემოკრატას» შესახებ პლეხანოვის, აქსელროდის, დანის, მარტოვის, მარტინოვის ხელმოწერით. ვიშოვნი და გამოგიგზავნით. ბრძოლა შეიძლება გამწვავდეს. ტროცკის კი სურს იდგეს «მებრძოლ ფრაქციებზე მაღლა»...

მატერიალიზმის სწორედ როგორც მსოფლგაგების შესახებ ვფიქრობ, რომ არსებითად არ გეთანხმებით. სწორედ არა «ისტორიის მატერიალისტური გაგების» შესახებ (მას არ უარყოფენ ჩვენი «ემპირიო-»ები [138]), არამედ ფილოსოფიური მატერიალიზმის შესახებ. «მატერიალიზმს» რომ უნდა უმადლოდნენ ანგლო-საქსები და გერმანელები თავიანთ მეშჩანობას, ხოლო რომანელები ანარქიზმს, — ამაზე მე გადაჭრით ვდავობ. მატერიალიზმს, როგორც ფილოსოფიას, ი ს ი ნ ი ყ ვ ე ლ გ ა ნ უ გ უ ლ ე ბ ე ლ ყ ო ფ ე ნ. «Neue Zeit»-ი [139], ყველაზე მტკიცე და მცოდნე ორგანო, გულგრილად ეკიდება ფილოსოფიას, არასოდეს არ ყოფილა ფილოსოფიური მატერიალიზმის თავგამოდებული მომხრე, ხოლო უკანასკნელ ხანს ბეჭდავდა, სრულიად უშენიშვნოდ, ემპირიოკრიტიკოსების ნაწერებს. ი მ მატერიალიზმიდან, რომელსაც მარქსი და ენგელსი გვასწავლიდნენ, მკვდარი მეშჩანობის გამოყვანა რომ შეიძლებოდეს, ეს სწორი არ არის, სწორი არ არის! სოციალ-დემოკრატიაში ყველა მეშჩანური მიმდინარეობა ყველაზე მეტად ომობს ფილოსოფიური მატერიალიზმის წინააღმდეგ, მიიწევენ კანტისაკენ, ნეოკანტიანობისაკენ, კრიტიკული ფილოსოფიისაკენ. არა, ის ფილოსოფია, რომელიც ენგელსმა «ანტიდიურინგში» დაასაბუთა, მეშჩანობას ახლოსაც არ იკარებს. პლეხანოვი ზიანს აყენებს ამ ფილოსოფიას, როცა აქ ბრძოლას ფრაქციულ ბრძოლასთან აკავშირებს, მაგრამ ახლანდელი პლეხანოვი და ძველი პლეხანოვი არც ერთმა რუსმა სოციალ-დემოკრატმა არ უნდა არიოს ერთმანეთში.

ალ. ალ. ეს არის ახლა წავიდა ჩემგან. კვლავ და კვლავ გადავცემ მას «ყრილობის» შესახებ. თუ დაბეჯითებით მოითხოვთ, — შეიძლება ერთი-ორი დღით ადრეც მოეწყოს.

ხელს გართმევთ. ლ ე ნ ი ნ ი

ხელნაწერი, გამოც. მე-4, ტ. 34. გვ. 437 — 439

იბეჭდება ხელნაწერთა ტექსტის მიხედვით

ა. მ. გორკის

25. II. 1908.

ძვირფასო ა. მ.! თქვენს წერილზე დაუყოვნებლივ ვერ გიპასუხეთ, რადგან თქვენი სტატიის გამო თუ მასთან ერთგვარად დაკავშირებით ჩვენ და ალ. ალ.-ს, თუმცა ეს პირველი შეხედვით უცნაურადაც ჩანს, საკმაოდ მძიმე ჩხუბი მოგვივიდა რედაქციაში... ჰმ, ჰმ... მე ვლაპარაკობდი ა რ ა ი მ ადგილას და არა იმის გამო, სადაც თქვენ ფიქრობდით!

საქმე ასე იყო.

წიგნმა «მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევები»[140] ძალიან გაამწვავა ძველი უთანხმოებანი ბეკებს შორის ფილოსოფიის საკითხებზე. მე საკმაოდ კომპეტენტურად არ ვთვლი თავს ამ საკითხებში, რომ ვიჩქარო პრესაში გამოსვლა. მაგრამ მე ყოველთვის ყურადღებით ვადევნებდი თვალყურს ჩვენს პ ა რ ტ ი ულ კამათს ფილოსოფიაში, — დაწყებული პლეხანოვის ბრძოლით მიხაილოვსკისა და კომპ. წინააღმდეგ 80-იანი წლების დამლევს და 1895 წლამდე, შემდეგ მისივე ბრძოლას კანტიანელებთან 1898 და შემდგომ წლებში (აქ უკვე არათუ თვალყურს ვადევნებდი, არამედ ნაწილობრივ მონაწილეობასაც ვიღებდი, როგორც «ზ ა რ ი ა ს» რედაქციის წევრი 1900 წლიდან), ბოლოს, მისივე ბრძოლას ემპირიოკრიტიკოსებთან და კომპ.

ბოგდანოვის თხზულებებს ფილოსოფიაში მე თვალყურს ვადევნებდი მას შემდეგ, რაც გამოვიდა მისი ენერგეტიკული წიგნი «ბუნებაზე ისტორიული შეხედულების» შესახებ. ამ წიგნს ვსწავლობდი ციმბირში ყოფნის დროს. ბოგდანოვისთვის ეს პოზიცია მხოლოდ გადასვლა იყო სხვა ფილოსოფიურ შეხედულებებზე. პირადად მე ბოგდანოვს გავეცანი 1904 წელს, ამასთან ჩვენ მაშინვე საჩუქარი ვუძღვენით ერთმანეთს: მე «ნაბიჯები»[141], მან — ერთი თავისი მ ა შ ი ნ დ ე ლ ი ფილოსოფიური ნაშრომი[142]. და მე მას მაშინვე (1904

წლის გაზაფხულზე თუ ზაფხულის დამდეგს) ვწერდი ჟენევიდან პარიზში, რომ ის თავისი ხაწერებით სავსებით მაცვლევინებს აზრს მის შეხედულებათა სისწორეზე და სავსებით მარწმუნებს პლეხანოვის შეხედულებათა სისწორეში.

პლეხანოვს და მე, როცა ერთად ვმუშაობდით, არა ერთხელ გვისაუბრნია ბოგდანოვზე. პლეხანოვი მე მიხსნიდა ბოგდანოვის შეხედულებათა მცდარობას, მაგრამ ამ გადახვევას არც ისე საშინლად დიდად თვლიდა. მშვენივრად მახსოვს, რომ 1903 წლის ზაფხულში მე და პლეხანოვი «ზ ა რ ი ა ს»[143] რედაქციის სახელით ვესაუბრებოდით «რეალისტური მსოფლმხედველობის ნარკვევების»[144] რედაქციის დელეგატს ჟენევაში, ამასთან დ ა ვ თ ა ნ ხ მ დ ი თ თანამშრომლობას, მე — აგრარულ საკითხში, პლეხანოვი — ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა შ ი მ ა ხ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. პლეხანოვი თანამშრომლობის პ ი რ ო ბ ა დ აყენებდა თავის გამოსვლას მახის წინააღმდეგ, — ამ პირობას «ნარკვევების» რედაქციის დელეგატი სავსებით იღებდა. პლეხანოვი მაშინ ბოგდანოვს უყურებდა როგორც მოკავშირეს რევიზიონიზმთან ბრძოლაში, მაგრამ ისეთ მოკავშირეს, რომელიც ცდება იმდენად, რამდენადაც მისდევს ოსტვალდს და შემდეგ მახს.

1904 წლის ზაფხულში და შემოდგომაზე ჩვენ საბოლოოდ შევთანხმდით ბოგდანოვთან, როგორც ბ ე კ ე ბ ი, და დავდეთ მდუმარე ბლოკი, რომელიც დუმილით უვლის გვერდს ფილოსოფიას, როგორც ნეიტრალურ დარგს და რომელმაც იარსება მთელი რევოლუციის განმავლობაში და მოგვცა შესაძლებლობა ერთად გაგვეხორციელებინა რევოლუციაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის (ბოლშევიზმის) ის ტაქტიკა, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, ერთადერთი სწორი ტაქტიკა იყო.

გაჩაღებული რევოლუციის დროს ფილოსოფიისთვის ცოტა დრო რჩებოდა. საპყრობილეში 1906 წლის დამდეგს ბოგდანოვმა დასწერა კიდევ ერთი რამ — მგონი, «ემპირიომონიზმის» III ნაკვეთი. 1906 წლის ზაფხულში მან მომიძღვნა ეს წიგნი, და მეც გულმოდგინედ ჩავუჯექი მას. როცა წავიკითხე, არაჩვეულებრივად გავბრაზდი და გავხელდი: ჩემთვის კიდევ უფრო ცხადი გახდა, რომ იგი არქიშემცდარ, არა მარქსისტულ გზას ადგა. მაშინ მე მივწერე «სიყვარულის ახსნა», პატარა წერილი ფილოსოფიაში სამი მცირე რვეულის მოცულობით. მე იქ მას ვუხსნიდი, რომ მე, რა თქმა უნდა, რ ი გ ი თ ი მ ა რ ქ ს ი ს ტ ი ვარ ფილოსოფიაში, მაგრამ სწორედ მისი ნათელი. პოპულარული, ჩინებულად დაწერილი ნაშრომები საბოლოოდ მარწმუნებენ მის მცდარობაში არსებითად და პლეხანოვის სიმართლე-

ში. ეს რვეულები მე ვუჩვენე ზოგიერთ მეგობარს (მათ შორის ლუნაჩარსკის) და ვფიქრობდი მათს დაბეჭდვას სათაურით: «რიგითი მარქსისტის შენიშვნები ფილოსოფიაზე», მაგრამ ვერ გადავწყვიტე. ახლა ვნანობ, რომ მაშინ, იმწამსვე, არ დავბეჭდე. ამ დღეებში მივწერე პიტერში და ვთხოვე მონახონ და გამომიგზავნონ ეს რვეულები [145].

ახლა გამოვიდა «მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევები». მე ყველა სტატია წავიკითხე გარდა სუვოროვის სტატიისა (მას ვკითხულობ), და ყოველი სტატიის შემდეგ პირდაპირ ვბრაზდებოდი აღშფოთებისაგან. არა, ეს მარქსიზმი არ არის! და ეფლობიან ჩვენი ემპირიოკრიტიკოსები, ემპირიომონისტები და ემპირიოსიმბოლისტები ჭაობში. არწმუნო მკითხველი, რომ გარეგანი ქვეყნის რეალობის «რწმენა» «მისტიკაა» (ბაზაროვი), ყველაზე საძაგლად აურია ერთმანეთში მატერიალიზმი და კანტიანელობა (ბაზაროვი და ბოგდანოვი), იქადაგო ნაირსახეობა აგნოსტიციზმისა (ემპირიოკრიტიციზმი) და იდეალიზმისა (ემპირიომონიზმი), — ასწავლო მუშებს «რელიგიური ათეიზმი» და ადამიანის უმაღლესი პოტენციების «გაღმერთება» (ლუნაჩარსკი), — მისტიკად გამოაცხადო ენგელსის მოძღვრება დიალექტიკის შესახებ (ბერმანი), — ისარგებლო აყროლებული წყაროთი ვიღაც ღრანგი «პოზიტივისტებისა» — აგნოსტიკოსებისა თუ მეტაფიზიკოსებისა, ეშმაკმა წაიღოს ისინი, «შემეცნების სიმბოლური თეორიითურთ» (იუშკევიჩი)! არა, ეს უკვე მეტისმეტია. რა თქმა უნდა, ჩვენ, რიგითი მარქსისტები, ფილოსოფიაში ნაკითხი ხალხი არა ვართ, — მაგრამ ასე რად უნდა შეერაცხგვყოთ, რომ ასეთი რამ შემოგვთავაზოთ, როგორც მარქსიზმის ფილოსოფია! მე მირჩევნია ხელ-ფეხი დამაკრან, ვიდრე დავთანხმდე მონაწილეობა მივიღო ისეთ ორგანოში ან კოლეგიაში, რომელიც ასეთ რამეს ქადაგებს.

მე ისევე მიმიზიდა «რიგითი მარქსისტის შენიშვნებმა ფილოსოფიის შესახებ» და დავიწყე მათი წერა. [146] ხოლო ალ. ალ-ძეს — «ნარკვევების» კითხვის პროცესში — მე ჩენს შთაბეჭდილებებს, რა თქმა უნდა, ვუზიარებდი პირდაპირ და უხეშად.

თქვენი სტატია აქ რაღა შუაშია? — შემეკითხებით თქვენ. იმაში, რომ სწორედ იმ დროს, როცა ეს უთანხმოებანი ბეკების შორის განსაკუთრებული გამწვავების საშიშროებას ჰქმნიდნენ, თქვენ აშკარად გადმოსცემთ ერთი მიმართულების შეხედულებებს თქვენს ნაშრომში «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს თ ვ ი ს». მე არ ვიცი, რა თქმა უნდა, როგორ და რა გამოგვიდოდათ საერთოდ. გარდა ამისა, მე ვფიქრობ, რომ მხატვარს თავის სასარგებლოდ ბევრი რამის ნახვა შეუძლია ყოველ

ფილოსოფიაში. ბოლოს, მე სავსებით და უეჭველად ვიზიარებ იმ აზრს, რომ მხატვრული შემოქმედების საკითხებში თქვენ ძალიან კარგად ერკვევით და რომ, მიიღებთ რა ამგვარ შეხედულებებს თქვენი მხატვრული გამოცდილებიდანაც და თუნდაც იდეალისტური ფილოსოფიიდანაც, თქვენ შეგიძლიათ ისეთ დასკვნებამდე მიხვიდეთ, რომლებიც უდიდეს სარგებლობას მოუტანენ მუშათა პარტიას. ყველაფერი ეს ასეა. და მიუხედავად ამისა «პროლეტარი» მაინც აბსოლუტურად ნეიტრალური უნდა დარჩეს მთელი ჩვენი უთანხმოებისადმი ფილოსოფიაში და მკითხველებს საბაბის ნასახსაც კი არ უნდა აძლევდეს ბეკების, როგორც მიმართულების, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატების რევოლუციური ფრთის ტაქტიკური ხაზის, დაკავშირებისათვის ემპირიოკრიტიციზმთან ან ემპირიომონიზმთან.

როცა მე წავიკითხე და გადავიკითხე თქვენი სტატია და ვუთხარი ა. ა.-ძეს, წინააღმდეგი ვარ მისი მოთავსების-მეთქი, იგი საშინლად მოიღუშა. ჩვენში პირდაპირ ჩამოწვა გათიშვის ატმოსფერო. გუშინ ჩვენ სპეციალურ სხდომაზე შევკრიბეთ ჩვენი სარედაქციო სამეული საკითხის განსახილველად. აქ ჩვენ მოულოდნელად დახმარება გაგვიწია ერთმა სულელურმა გამოსვლამ ჟურნალ «Neue Zeit»-ში. მე-20 ნომერში უცნობმა მთარგმნელმა მოათავსა ბოგდანოვის სტატია მახზე, ამასთან წინასიტყვაობაში წამოაყრანტალა, რომ პლეხანოვისა და ბოგდანოვის უთანხმოებას ტენდენცია აქვს ბეკებისა და მეკების ფრაქციულ უთანხმოებად იქცეს რუსეთის სოციალ-დემოკრატებს შორისო! ამ სიტყვებით ამ წინასიტყვაობის დამწერმა ბრიყვმა ჩვენ შეგვამჭიდროვა. ჩვენ ერთბაშად შევთანხმდით იმაზე, რომ განცხადება ჩვენი ნეიტრალობის შესახებ ახლა უეჭველად საჭიროა «პროლეტარის» პირველსავე ნომერში. ეს მეტი რომ არ შეიძლება ისე ეთანხმებოდა ჩემს განწყობილებას «ნარკვევების» გამოსვლის შემდეგ. განცხადება შევადგინეთ, ერთხმად დავამტკიცეთ, ხვალ ის გამოდის «პროლეტარის» 21-ე ნომერში და გეგზავნებათ თქვენ.

თქვენი სტატიის გამო კი გადავწყვიტეთ გადავდოთ საკითხი მის შესახებ და «პროლეტარის» სამივე რედაქტორის სამს წერილში გადმოგცეთ საქმის მთელი ვითარება და დავაჩქაროთ ჩემი და ბოგდანოვის წამოსვლა თქვენთან.

თქვენ, მაშასადამე, კიდევ მიიღებთ წერილს ალ. ალ.-სგან და ძესამე რედაქტორისაგან [147], რომლის შესახებ მე ერთხელ გწერდით წინათ.

მე საჭიროდ ვთვლი ჩემი აზრი გადმოგცეთ სავსებით პირდაპირ. ერთგვარ ჩხუბს ბეკებს შორის ფილოსოფიის საკითხზე მე ახლა სრულიად გარდუვალად ვთვლი. მაგრამ ამის გამო გათიშვა, ჩემი აზრით, სისულელე იქნებოდა. ჩვენ ბლოკი შევკარით განსაზღვრული ტაქტიკის განსახორციელებლად მუშათა პარტიაში. ჩვენ ამ ტაქტიკას დღემდე ვახორციელებდით და ვახორციელებთ უ თ ა ნ ხ მ ო ე ბ ა თ ა გ ა რ ე შ ე (ერთადერთი უთანხმოება იყო III სათათბიროს ბოიკოტის შესახებ, მაგრამ ის, ჯერ-ერთი, არასდროს არ გამწვავებულა ჩვენს შორის გათიშვის ფიქრამდეც კი; მეორეც, ის არ შეესაბამებოდა მატერიალისტებისა და მახისტების უთანხმოებას, რადგან, მაგალითად, მახისტი ბაზაროვი, ისე როგორც მე, ბოიკოტის წინააღმდეგი იყო და ამის შესახებ დიდი ფელეტონიც დასწერა «პროლეტარში»).

ჩემი აზრით, მუშათა პარტიაში რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ტაქტიკის განხორციელების საქმისთვის ხელის შეშლა დავის გულისთვის იმაზე, მატერიალიზმი თუ მახიზმი, მიუტევებელი სისულელე იქნებოდა. ფილოსოფიის გულისთვის ჩვენ ისე უნდა ვიჩხუბოთ, რომ «პროლეტარი» და ბეკები, როგორც პ ა რ ტ ი ი ს ფრაქცია, ა რ დ ა რ ჩ ნ ე ნ ა მ ი თ შ ე ლ ა ხ უ ლ ნ ი. და ეს სავსებით შესაძლებელია.

და თქვენც, ჩემი აზრით, ამას უნდა დაეხმაროთ. დახმარება კი იმით შეგიძლიათ, რომ «პ რ ო ლ ე ტ ა რ შ ი» იმუშავებთ ნეიტრალურ (ე. ი. ფილოსოფიასთან არაფრით დაკავშირებულ) საკითხებზე, ლიტერატურული კრიტიკის, პუბლიცისტიკისა და მხატვრული შემოქმედების და სხვ. საკითხებზე. თქვენი სტატია კი, — თუ გსურთ ხელი შეუშალოთ გათიშვას და დაეხმაროთ ახალი ჩხუბის ლოკალიზებას, — უნდა გადააკეთოთ: ყველაფერი, რაც თუნდ არაპირდაპირად დაკავშირებულია ბოგდანოვის ფილოსოფიასთან, სხვა ადგილას უნდა გადაიტანოთ. თქვენ, მადლობა ღმერთს, «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს» გარდა სხვაგან წერის საშუალებაც გაქვთ. ყველაფერი, რაც არ არის დაკავშირებული ბოგდანოვის ფილოსოფიასთან, — თქვენი სტატიის უ მ ე ტ ე ს ი ნაწილი კი მასთან არ არის დაკავშირებული — უნდა გადმოსცეთ მთელ რიგ სტატიებში «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ს თ ვ ი ს». სხვაგვარად მოქცევა თქვენი მხრივ, ე. ი. სტატიის გადაკეთებაზე უარისთქმა ან უარისთქმა «პროლეტარში» თანამშრომლობაზე, ჩემი აზრით, გარდუვალად გამოიწვევს კონფლიქტის გამწვავებას ბეკებს შორის, ახალი ჩხუბის ლოკალიზაციის გაძნელებას, რევოლუციური სოციალ-დემოკრატების საარსებო, პრაქტიკულად და პოლიტიკურად აუცილებელი საქმის შესუსტებას რუსეთში.

ასეთია ჩემი აზრი. მე ყველაფერი გითხარით, რასაც ვფიქრობდი, და ახლა დავუცდი თქვენს პასუხს.

თქვენთან წამოსვლა ჩვენ დღეს გვინდოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უნდა გადავდოთ ერთი კვირით მაინც, შეიძლება კი ორი-სამითაც.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ნ. ლ ე ნ ი ნ ი

თხზულებანი, გამოც. შე-4, ტ. 13, გვ. 563 — 571

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ა. მ. გორკის

ალ. მ.-ძეს პირადად

24. III. 08.

ძვირფასო ა. მ.! მივიღე თქვენი წერილი მახისტებთან ჩემი ჩხუბის შესახებ. სავსებით მესმის და პატივს ვცემ თქვენს გრძნობებს და უნდა ვთქვა, რომ პიტერელი მეგობრებისაგან რაღაც ამის მსგავსს ვიღებ, მაგრამ უღრმესად ვარ დარწმუნებული, რომ თქვენ სცდებით.

თქვენ უნდა მიხვდეთ და, რა თქმა უნდა, მიხვდებით, რომ რაკი პარტიის ადამიანი დარწმუნდა, რომ უაღრესად არასწორი და ს ა ზ ი ა ნ ო ა გარკვეული ქადაგება, იგი მოვალეა გამოვიდეს მის წინააღმდეგ. მე ხმაურს არ ავტეხდი, უცილობლად რომ არ დავარწმუნებულიყავი (და ამაში დღითი დღე სულ უფრო მეტად ვარწმუნდები, როცა ვეცნობი ბაზაროვის, ბოგდანოვისა და კომპანიის სიბრძნის პირველწყაროებს), რომ მათი წიგნი მ თ ლ ი ა ნ ა დ, თავიდან ბოლომდე, ტოტებიდან ფესვამდე, მახამდე და ავენარიუსამდე უხამსი, მავნე, ფილისტერული, ხუცესური. პლეხანოვი მათ წინააღმდეგ არსებითად ს ა ვ ს ე ბ ი თ მართალია, მხოლოდ ვერ ახერხებს, თუ არა სურს, თუ ეზარება თქვას ეს კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ა დ, დაწვრილებით, უბრალოდ, ისე, რომ ზედმეტად არ აშინებდეს ხალხს დახვეწილი ფილოსოფიური მსჯელობით. და მე რაც არ უნდა იყოს ამას ჩ ე მ ე ბ უ რ ა დ ვიტყვი.

აბა აქ რა «შერიგება» შეიძლება იყოს, ძვირფასო ა. მ.? რას ბრძანებთ, ამაზე კრინტის დაძვრაც კი სასაცილოა. ბრძოლა ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ გარდუვალია. და პარტიულმა ადამიანებმა თავიანთი ღონისძიებანი უნდა მიმართონ არა იქითკენ, რომ მიჩქმალონ ან შემდეგისათვის გადადონ ან თავი აარიდონ, არამედ იქითკენ, რომ პრაქტიკულად საჭირო პარტიულ მუშაობას ზ ი ა ნ ი ა რ მ ო ს დ ი ო დ ე ს. ამაზე თ ქ ვ ე ნ უნდა იზრუნოთ, და რუსი ბოლშევიკების 9/10 დაგეხმარებათ ამაში და დიდ მადლობას გეტყვით.

ეს როგორ გავაკეთოთ? «ნეიტრალობით»? არა. ასეთ საკითხში

ნეიტრალობა არ შეიძლება იყოს და არ იქნება. ნეიტრალობაზე ლაპარაკი მხოლოდ პირობითი აზრით თუ შეიძლება: მთელი ეს ჩხუბი უნდა გავაცალკევოთ ფრაქციისაგან. დღემდე წერდით «სხვაგან», ფრაქციულ გამოცემათა გარეშე, კვლავაც ასე წერეთ. მხოლოდ ამრიგად არ იქნება ფრაქცია ანგაჟირებული, არ იქნება ჩარეული, იძულებული არ იქნება ხვალ, ზეგ გადაწყვიტოს, ხმა მისცეს, ე. ი. ჩხუბი ქრონიკული, გაჭიანურებული, დაუსრულებელი გახადოს.

აი რატომ ვარ იმის წინააღმდეგი, რომ ჟურნალში რაიმე ფილოსოფია შევუშვა [148]. ვიცი, ამისთვის მლანძღავენ: უნდა სხვები ჩააჩუმოს, როცა ჯერ თვითონ პირი არ გაუღიაო! მაგრამ თქვენ გულდამშვიდებით დაუფიქრდით.

ჟურნალი ფილოსოფიით. № 1 — სამი სტატია ბაზაროვისა, ბოგდანოვისა, ლუნაჩარსკისა პლეხანოვის წინააღმდეგ. ერთი ჩემი სტატია, სადაც ნათქვამია, რომ «მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევები»=ბერდიაეველობა და ხუცობაა.

№ 2 — სამჯერ სამი სტატია ბოგდანოვისა, ბაზაროვისა, ლუნაჩარსკისა, მიმართული პლეხანოვისა და ლენინის წინააღმდეგ აღელვებული კილოთი. ერთი ჩემი სტატია, სადაც მეორე მხრივ ვამტკიცებ, რომ «მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევები»=ხუცობაა.

№ 3 — ღმუილი და ლანძღვა-გინება!

მე შემიძლია დავწერო ექვსი თუ თორმეტი სტატია «მარქსიზმის ფილოსოფიის ნარკვევების» წინააღმდეგ, თითო სტატია ყოველი ავტორისა და მათი შეხედულებების ყოველი მხარის წინააღმდეგ. შეიძლება ეს ასე გრძელდებოდეს? როდემდე? განა ეს გარდუვალს არ გახდის გათიშვას დაუსრულებელი გამწვავებისა და გაბოროტების გამო? ეს ფრაქციას არ შებოჭავს გადაწყვეტილებით: მაშ გადაწყვიტე, მაშ გაერკვიე, მაშ დაამთავრე «დისკუსია» ვოტუმით...

კარგად იფიქრეთ ამაზე, თუ გათიშვისა გეშინიათ. იკისრებენ თუ არა პრაქტიკოსები ისეთი წიგნების გავრცელებას, სადაც ასეთი «ბრძოლაა»? უმჯობესი ხომ არ არის სხვა გზა: ძველებურად წერეთ სხვაგან, ფრაქციულ გამოცემათა გარეშე. იჩხუბეთ სხვაგან, ფრაქცია ჯერჯერობით მოიცდის. თუ შესაძლებლობა არის — ეს გარდუვალი გაბოროტება შესუსტდეს, ჩემი აზრით, ეს მხოლოდ ამგვარად შეიძლება.

თქვენ წერთ: ჩხუბით მენშევიკები მოიგებენო. სცდებით, ღრმად სცდებით, ა. მ.! ისინი მოიგებენ, თუ ბოლშევიკური ფრაქცია არ გაემიჯნება სამი ბოლშევიკის ფილოსოფიას. მაშინ ისინი საბოლოოდ

მოიგებენ. ხოლო თუ ფილოსოფიური ჩხუბი ფრაქციის გარეთ იწარმოებს, მენშევიკები საბოლოოდ იქნებიან გადაყვანილი პოლიტიკაზე და აქ მათ სიკვდილი არ ასცდებათ.

მე ვამბობ: გ ა ვ ა ც ა ლ კ ე ვ ო თ ჩხუბი ფრაქციისაგან. რა თქმა უნდა, ცოცხალ ადამიანებზე ამ გაცალკევების მოხდენა ძნელი, მტკივნეული საქმეა. საჭიროა დრო. საჭიროა მზრუნველი ამხანაგები. აქ დაგვეხმარებიან პრაქტიკოსები, აქ უნდა დაგვეხმაროთ თქვენ, — აქ «ფსიქოლოგიაა», ეს კი სწორედ სათქვენო საქმეა. მე ვფიქრობ, რომ თქვენ აქ დიდი დახმარების გაწევა შეგიძლიათ, — თუ, რა თქმა უნდა, «ნარკვევების» წინააღმდეგ ჩემი წიგნაკის წაკითხვის შემდეგ ისევე არ გააფთრდებით ჩემ წინააღმდეგ, როგორც მე მათ წინააღმდეგ გავაფთრდი.

კარგად იფიქრეთ ჟურნალის შესახებ და რაც შეიძლება მალე მიპასუხეთ. მე ცოტა ვეჭვობ, ღირს თუ არა, რომ ერთად წამოვიდეთ თქვენთან ა ხ ლ ა?. რა საჭიროა ნერვების ზედმეტად გაღიზიანება? «შორ გზაში გაცილება»... უჩხუბრად კი საქმე არ გამოვა. უმჯობესი ხომ არ იქნება თავი დავანებოთ ხანგრძლივ მოლაპარაკებას და საზეიმო და არაფრის მაქნის ყრილობებს და უფრო მარტივად გადავწყვიტოთ ჟურნალის საქმე? მე მხოლოდ შეკითხვებს გაძლევთ, რომ მოგეთათბიროთ.

დიდი მოკითხვა მ. თ. — ს. კაპრიზე აუცილებლად ჩამოვალ და ვეცდები ცოლიც წამოვიყვანო, ოღონდ მინდა ეს გავაკეთო ფილოსოფიური ჩხუბისაგან დამოუკიდებლად.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. ვურთავ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ცნობას, რომ თქვენთან ჯაშუშია.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 34.	იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
გვ. 441 — 444	მიხედვით

ა. მ. გორკის

რა მიზეზით არ ვიღებთ თქვენგან ცნობებს, ძვირფასო ა. მ.? იწერებოდით, კარგა ხანია დავამთავრე დიდი სამუშაოო, და აპირებდით დაგვხმარებოდით «პროლეტარში». როდისღა? რა იქნება ფელეტონი რომ დაწეროთ ტოლსტოიზე ან ა. შ.? მოიწერეთ, აპირებთ თუ არა?

ალ. ალ. თქვენთან წამოვიდა. მე ვერც გაზეთს მივატოვებ, ვერც მუშაობას დავანებებ თავს. მაგრამ ეს მხოლოდ ჯერჯერობით, ჩამოსვლას მაინც ვაპირებ.

როგორია, თქვენი აზრით, «პ რ ო ლ ე ტ ა რ ი»? მიმხედავი არა ჰყავს. ასე უყურადღებოდ ჯერ არასოდეს არ მოვკიდებივარ ჩემს გაზეთს: მთელი დღეობით ვკითხულობ წყეულ მახისტებს, გაზეთისათვის კი სტატიებს მეტისმეტად ნაჩქარევად ვწერ.

აბა, ხელს გართმევთ. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

მ. თ — ს ათასი მოკითხვა! ველოსიპედით ჩამოვალ მასთან!

ანატ. ვას — საც დაავალეთ წეროს «პ რ ო ლ ე ტ ა რ შ ი»! საშუალება მომეცით ერთ ხანს ვილანძღო ფილოსოფიურად, ჯერჯერობით დაეხმარეთ «პროლეტარს»!

1908 წ. აპრილის პირველი ნახევარი.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 34, გვ. 445

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

წერილიდან მ. ა. ულიანოვასადმი [149]

P. S. დღეს წავიკითხე ერთი სასეირო ფელეტონი მარსზე მცხოვრებთა შესახებ Lowell-ის ახალი ინგლისური წიგნიდან «მარსი და მისი არხები». ეს Lowell-ი ასტრონომია, დიდხანს უმუშავნია სპეციალურ ობსერვატორიაში, რომელიც, მგონია, საუკეთესოა მთელ მსოფლიოში (ამერიკა).

შრომა მეცნიერულია. ამტკიცებს, რომ მარსზე ცხოვრობენ, რომ არხები ტექნიკის სასწაულია, რომ ადამიანები იქ უნდა იყვნენ 2⅔-ჯერ დიდები აქაურებზე, თანაც უნდა ჰქონდეთ ხორთუმები, შემოსილი უნდა იყვნენ ბეწვით ან ნადირის ტყავით და ჰქონდეთ ოთხი ან ე ქ ვ ს ი ფეხი. რას იზამ, ჩვენმა ავტორმა[150] მოგვატყუა, აგვიწერა რა მარსელი ლამაზი ქალები ა რ ა ს რ უ ლ ა დ, ალბათ ასეთი რეცეპტის მიხედვით: «ჩვენთვის უფრო ძვირფასია სიცრუე, რომელიც აგვამაღლებს, ვიდრე დაბალი ჭეშმარიტების წყვდიადი».

გამოვიდა გორკის ახალი მოთხრობა: «უკანასკნელნი».

წერილები ნათესავებისადმი, 1894 — 1919.
პარტგამომცემლობა, 1934, გვ. 318

იბეჭდება წერილების ტექსტის მიხედვით

წერილიდან მ. ი. ულიანოვასადმი

2/I 09 [151]

ძვირფასო მანიაშა! დღეს მივიღე დედის გამოგზავნილი წერილი (ნადიას და ჩემ სახელზე) და შენი მინაწერი. ძალიან, ძალიან მიხარია, რომ კარგად მოწყობილხართ, რომ დედა კმაყოფილია, მეურნეობა რაკი არ შეაწუხებს. იმედი ვიქონიოთ, რომ ზამთრის დასასრული არ მოგვატყუებს. დღემდე ზამთარი აქ უფრო გაზაფხულს ჰგავს, ვიდრე ზამთარს. დღეს, მაგალითად, ნამდვილი გაზაფხულის მზიანი, მშრალი და თბილი დღე დადგა, რომელიც მე და ნადიამ გამოვიყენეთ და საუცხოო დილის გასეირნება მოვაწყეთ ბულონის ტყეში. საერთოდ დღესასწაულებზე ჩვენ «წავიქეიფეთ»: ვიყავით მუზეუმებში, თეატრში, დავათვალიერეთ Musée Grevin[152], რომლითაც მე, ძალიან, ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ვაპირებ დღესაც წავიდე ერთ გასართობ რესტორანში goguette revolutionnaire*-ზე «მოსიმღერეებთან» (უხეიროდ თარგმნილია chansonniers). ვნანობ, რომ ზაფხულში არ ვისარგებლე ფრანგებთან მასლაათით ფრანგული გამოთქმის ს ი ს ტ ე მ ა ტ უ რ ი შესწავლისათვის, — ახლა, როცა ავიღე ფონეტიკის ზოგიერთი წიგნი, ვხედავ, რამდენად სუსტი ვარ ამაში...

წერილები ნათესავებისადმი, 1894 — 1919. პარტგამომცემლობა, 1934, გვ. 355 — 356

იბეჭდება წერილების ტექსტის მიხედვით

---

* — რევოლუციური სიმღერები, კუპლეტები. რედ.

ა. მ. გორკის

16. XI. 09.

ძვირფასო ალექსი მაქსიმეს-ძევ! მე მუდამ სავსებით დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენ და ამხ. მიხეილი ახალი ფრაქციის ყველაზე მტკიცე ფრაქციონერები ხართ, რომლებთანაც მეგობრულად ლაპარაკის ცდა ჩემთვის უაზრობა იქნებოდა. დღეს პირველად ვნახე ამხ. მიხეილი, გულახდილად ვისაუბრეთ საქმეებზეც და თქვენზეც და ვნახე, რომ სასტიკად ვცდებოდი. ღმერთმანი, მართალი იყო ფილოსოფოსი ჰეგელი: ცხოვრება წინააღმდეგობებით მიდის წინ, და ცოცხალი წინააღმდეგობანი ბევრად უფრო მდიდარი, მრავალმხრივი და შინაარსიანია, ვიდრე ადამიანის გონება თავდაპირველად ეჩვენება. სკოლას ვუყურებდი მ ხ ო ლ ო დ როგორც ახალი ფრაქციის ცენტრს. აღმოჩნდა, რომ ეს სწორი არ არის — არა იმ აზრით, რომ იგი არ იყოს ახალი ფრაქციის ცენტრი (სკოლა იყო ეს ცენტრი და ახლაც ასეთად რჩება), არამედ იმ აზრით, რომ ეს სრული არ არის, რომ ეს სავსებით მართალი არ არის. სუბიექტურად ზოგიერთი ადამიანი სკოლიდან ასეთ ცენტრს აკეთებდა, ობიექტურად იგი ასეთი ცენტრი იყო, და გარდა ამისა სკოლამ ნამდვილი მუშათა ცხოვრებიდან ნამდვილი მოწინავე მუშები მიიღო. გამოვიდა ისე, რომ ძველი და ახალი ფრაქციის წინააღმდეგობის გარდა კაპრიზე გაჩაღდა წინააღმდეგობა ს.-დ. ინტელიგენციის ნაწილსა და რუს მუშებს შორის. რომლებიც რ ა დ ა ც უ ნ დ ა დ ა ჯ დ ე ს და რაც უნდა მოხდეს გამოიყვანენ სოციალ-დემოკრატიას სწორ გზაზე, გამოიყვანენ წინააღმდეგ საზღვარგარეთის ყველა კინკლაობისა და შფოთისა, «ისტორიებისა» და სხვ. და ა. შ. ამის საწინდარი მიხეილისთანა ადამიანები არიან. კიდევ აღმოჩნდა, რომ სკოლაში გაჩაღდა წინააღმდეგობა კაპრის ს.-დ. ინტელიგენციის ელემენტებს შორის.

მიხეილის სიტყვებიდან ვხედავ, ძვირფასო ა. მ., რომ ახლა ძალიან გიმძიმთ. მუშათა მოძრაობისა და სოციალ-დემოკრატიის დანახვა ერთბაშად მოგიხდათ ისეთი მხრიდან, ისეთ გამოვლინებებში, ისეთი ფორმებით, რომლებსაც რუსეთისა და დასავლეთ ევროპის ისტორიაში უკვე არაერთხელ მიუყვანიათ ინტელიგენტი მცირედ მორწმუნეები მუშათა მოძრაობასა და სოციალ-დემოკრატიაზე გულის გატეხამდე. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ეს არ დაგემართებათ, და მიხეილთან ლაპარაკის შემდეგ მინდა მაგრად ჩამოგართვათ ხელი. თქვენი მხატვრული ნიჭით რუსეთის — და არა მარტო რუსეთის — მუშათა მოძრაობას თქვენ ესოდენ დიდი სარგებლობა მოუტანეთ, მოუტანთ კიდევ იმდენ სარგებლობას, რომ არავითარ შემთხვევაში უფლება არა გაქვთ აჰყვეთ საზღვარგარეთული ბრძოლის ეპიზოდებით გამოწვეულ მძიმე განწყობილებებს. არის ხოლმე პირობები, როცა მუშათა მოძრაობის ცხოვრება გარდუვალად წარმოშობს ამ საზღვარგარეთულ ბრძოლას, გათიშვებსა და შფოთს და წრეების ჩხუბს, — იმიტომ კი არა, რომ მუშათა მოძრაობა შინაგანად სუსტი ეყოს ან სოციალ-დემოკრატია შინაგანად მცდარი, არამედ იმიტომ, რომ მეტისმეტად სხვადასხვაგვარი და სხვადასხვა ყაიდისა არიან ის ელემენტები, რომლებიდანაც მუშათა კლასს უხდება თავისი პარტიის გამოკედვა. გამოკედავს ყოველ შემთხვევაში, გამოკედავს საუკეთესო რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას რუსეთში, გამოკედავს უფრო მალე, ვიდრე ზოგჯერ გვეჩვენება სამგზის წყეული ემიგრანტული მდგომარეობის თვალსაზრისით, გამოკედავს უფრო დანამდვილებით, ვიდრე გვეჩვენება, თუ ვიმსჯელებთ ზოგიერთი გარეშე გამოვლინებისა და ცალკეული ეპიზოდების მიხედვით. ამის საწინდარი არიან მიხეილისთანა ადამიანები.

მაგრად გართმევთ ხელს თქვენც და მარიამ თეოდორეს ასულსაც, ვინაიდან ახლა იმედი მაქვს, რომ ერთმანეთს კიდევ მტრებად როდი შევხვდებით.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

Wl. Oulianoff.
4. Rue Marie Rose. 4.
Paris. XIV.

ხელნაწერი, გამოც. მე-4, ტ. 34, გვ. 462. — 464

იბეჭდება ხელნაწერის ტექსტის მიხედვით

ა. მ. გორკის

22. XI. 10.

ძვირფასო ა. მ.! რამდენიმე დღის წინათ მოგწერეთ, გამოგიგზავნეთ «რ ა ბ ო ჩ ა ი ა გ ა ზ ე ტ ა»[153] და შეგეკითხეთ, რა გამოვიდა იმ ჟურნალიდან, რომელზეც ზაფხულში ვსაუბრობდით და რომლის შესახებაც მოწერას დამპირდით-მეთქი.

დღეს «რ ე ჩ შ ი» წავიკითხე განცხადება «ს ო ვ რ ე მ ე ნ ნ ი კ-ზ ე»[154], რომელიც გამოდის «ამფიტეატროვის უახლოესი და გ ა ნ-ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი (სწორედ ასეა დაბეჭდილი! უვიცობაა, მაგრამ მით უფრო პრეტენციოზული და დიდმნიშვნელოვანია) მონაწილეობით» და თქვენი მუდმივი თანამშრომლობით.

რა? როგორ? «დიდი ყოველთვიური» ჟურნალი, რომელსაც ექნება «პოლიტიკის, მეცნიერების, ისტორიის, საზოგადოებრივი ცხოვრების» განყოფილებები, — ეს ხომ სულაც, სულაც არ არის ის, რაც კრებულები, რომელთა მისწრაფებაა მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ძალების კონცენტრაცია. ასეთ ჟურნალს ხომ ან საცხებით გარკვეული, სერიოზული, მტკიცე მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა უნდა ჰქონდეს, ან იგი აუცილებლად შეირცხვენს ხოლმე თავს და შეარცხვენს თავის მონაწილეებს. მიმართულება აქვს «ვ ე ს ტ ნ ი კ ე ვ რ ო-პ ი ს»[155] — ცუდი, უბადრუკი, უნიჭო, მაგრამ მიმართულება, რომელიც ემსახურება გარკვეულ ელემენტს, ბურჟუაზიის გარკვეულ ფენებს, რომელიც აგრეთვე აერთებს პროფესორთა, მოხელეთა ინტელიგენციისა და ეგრეთწოდებულ «წესიერ» (უფრო სწორად, რომლებსაც სურთ წესიერი იყვნენ) ლიბერალთა ინტელიგენციის გარკვეულ წრეებს. მიმართულება აქვს «რ უ ს ს კ ა ი ა მ ი ს ლ ს» — საძაგელი, მაგრამ მიმართულება, რომელიც ძალიან კარგ სამსახურს უწევს კონტრრევოლუციურ ლიბერალურ ბურჟუაზიას. მიმართულება აქვს «რ უ ს ს კ ო ე ბ ო გ ა ტ ს ტ ვ ო ს» — ნაროდნიკული, ნაროდნიკულ-კადეტური, მაგრამ მიმართულება, რომელიც ათეული წლებია იცავს თავის ხაზს, მომსახურებას უწევს მოსახლეობის გარკვეულ ფენებს. მიმართულება აქვს აგრეთვე «ს ო ვ რ ე მ ე ნ ნ ი მ ი რ ს»[156] — ხშირად მენშევიკურ-კადეტური (ახლა პარტიული მენშევიზმისაკენ გადახრით), მაგრამ მიმართულება. ჟურნალი უმი-

მართულებოდ — უაზრო, შეუსაბამო, სკანდალური და მავნე რამ არის. მაგრამ რა მიმართულება შეიძლება იყოს ამფიტეატროვის «განსაკუთრებული მონაწილეობისას»? გ. ლოპატინს ხომ არ შესწევს უნარი მიმართულება მისცეს, ხოლო თუ სწორია ‘ლაპარაკი (ამბობენ, ეს ლაპარაკი გაზეთებში მოხვდაო) კაჩოროვსკის მონაწილეობაზე, — ეს «მიმართულებაა», მაგრამ გონებაჩლუნგი, ესეოული მიმართულება.

მე და თქვენ ზაფხულში რომ ვსაუბრობდით და რომ გიამბეთ, თითქმის დაწერილი მქონდა თქვენდამი წყენის წერილი «ა ღ ს ა რ ე ბ ი ს» შესახებ. მაგრამ არ გამოგიგზავნეთ მახისტებთან მაშინ დაწყებული გათიშვის გამო-მეთქი, თქვენ მიპასუხეთ: «ტ ყ უ ი ლ ა დ არ გამომიგზავნეთო». შემდეგ თქვენვე მისაყვედურებდით, კაპრის სკოლაში[157] რომ არ წამოვედი, და ამბობდით, საქმეს სხვანაირი მიმართულება რომ მიეღო, მახისტ-ოტზოვისტების ჩამოშორება ნერვების ნაკლებ მოშლად, ძალების ნაკლებ ხარჯვად დამიჯდებოდაო. ეს საუბრები მახსოვს, და ამიტომ ახლა გადავწყვიტე მოგწეროთ გადაუდებლად, არ დაველოდო არავითარ შემოწმებას, მოგწეროთ ახალი ამბის ახალი შთაბეჭდილებით.

ვფიქრობ, რომ პოლიტიკური და ეკონომიური სქელი ჟურნალი ამფიტეატროვის განსაკუთრებული მონაწილეობით — ბევრად უარესი რამ არის, ვიდრე მახისტ-ოტზოვისტების განსაკუთრებული ფრაქცია. ამ ფრაქციაში ცუდი ის იყო და არის, რომ ი დ ე უ რ ი მიმდინარეობა შორდებოდა და შორდება მარქსიზმს, სოციალ-დემოკრატიას, მაგრამ არ მიდის მარქსიზმთან კავშირის გაწყვეტამდე, არამედ მხოლოდ ურევს.

ამფიტეატროვის ჟურნალი (კარგი გააკეთა მისმა «კრასნოე ზნამიამ», დროზე რომ მოკვდა!) არის პოლიტიკური გამოსვლა, პოლიტიკური წამოწყება, რომელშიც იმის შეგნებაც კი არ არის, რომ პოლიტიკისათვის ცოტაა საერთო «მემარცხენეობა», რომ 1905 წლის შემდეგ პოლიტიკაზე სერიოზული ლაპარაკი მარქსიზმისადმი და სოციალ-დემოკრატიისადმი დამოკიდებულების გაურკვევლად შეუძლებელია, წარმოუდგენელია.

ცუდად გამოდის. ცუდ გუნებაზე ვარ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

მ. თ — ს salut et fraternite! *

ხიზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 34, გვ. 499 — 501

იბეჭდება ხიზულებათა ტექსტის მიხედვით

* — ძმური სალამი! რედ.

წერილიდან ა. მ. გორკისადმი

3. I. 11.

...ტოლსტოის შესახებ სავსებით ვიზიარებ თქვენს აზრს, რომ თვალთმაქცები და თაღლითები მის წმიდანად გადაქცევას ეცდებიან. პლეხანოვიც გაუგულისებია სიცრუესა და ტოლსტოის წინაშე ქედის მოხრას, და აქ ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა. ამისათვის ის «ნაშა ზარიას» ლანძღავს ცენტრალურ ორგანოში (შემდეგი ნომერი). მე «მისლში»[158] (დღეს მოვიდა № 1. მოგვილოცეთ — ჩ ვ ე ნ ი ჟურნალია მოსკოვში, მარქსისტული[159]. რა სიხარული გვქონდა დღეს). «ზვეზდის» (გამოვიდა ს.-პეტერბურგში 16. XII) № 1-შიც არის პლეხანოვის კარგი ფელეტონი უ ხ ა მ ს ი შენიშვნით, რომლისთვისაც უკვე გამოვლანძღეთ რედაქცია. ალბათ, იმ რეგვენმა იორდანსკიმ და ბონჩმა შეთხზეს! მაგრამ სად შეუძლია «სოვრემენნიკს» ებრძოლოს «ლეგენდას ტოლსტოისა და მისი რელიგიის შესახებ». ვოდოვოზოვი და ლოპატინი უნდა ებრძოლონ? ეს ხომ ხუმრობაა.

სტუდენტებს რომ ურტყამენ, ეს ჩემი აზრით, სანუგეშოა, ტოლსტოის კი არ უნდა ეპატიოს არც «პასივიზმი», არც ანარქიზმი, არც ნაროდნიკობა, არც რელიგია...

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 34, გვ. 505

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.!

მალე გამოგიგზავნით კონფერენციის გადაწყვეტილებებს[106]. ბოლოსდაბოლოს მოხერხდა — ლიკვიდატორ არამზადათა საწინააღმდეგოდ — პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის აღდგენა. იმედი მაქვს, თქვენც გაგახარებთ ეს ჩვენთან ერთად.

ხომ არ დაწერთ სამაისო ფურცელს? ან პატარა ფურცელს ასეთივე სამაისო სულისკვეთებით? მოკლეს, «სულიერი სიმხნევის მომცემს», ჰა? მოიგონეთ ძველი დრო — ხომ გახსოვთ 1905 წელი — და დაწერეთ ორიოდე სიტყვა, თუ წერის ხალისზე მოხვიდეთ. რუსეთში 2 — 3 არალეგალური სტამბაა, და ცენტრალური კომიტეტი, ალბათ, რამდენიმე ათეულ ათას ეგზემპლარად გამოსცემს. კარგი იქნება გვექნეს «ზვეზდის» ზღაპრების ტიპის[161] რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი პროკლამაცია. ძალიან, ძალიან მიხარია, «ზ ვ ე ზ დ ა ს» რომ ეხმარებით. საშინლად გვიჭირს მისი გაძღოლა — როგორც შინაგანი და გარეშე, ისე ფინანსური სიძნელენი განუზომელია — მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც ვახერხებთ.

ხელს გართმევთ. ლ ე ნ ი ნ ი

P. S. «სოვრემენნიკი» კი როგორც იქნა მოკვდა! კარგადაც მოიქცა, რომ ასე ქნა.

1912 წლის თებერვალი. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35, გვ. 1

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.!

ძალიან მიხარია, რომ დათანხმდით სინჯოთ სამაისო ფურცლის დაწერა.

კონფერენციის გადაწყვეტილებებს ამასთან გიგზავნით.

«ჟივოე დელო»[162] ვნახე. ბილწი ლიკვიდატორული ნაჯღაბნია «მიკიბ-მოკიბვით». ლიბერალური ქადაგებაა; უხარიათ, რომ პოლიცია ხელს უშლის პარტიის საკითხის აშკარად დაყენებას.

«ზვეზდა» გაგრძელდება ან როგორც ყოველკვირეული ან ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ი კ ა პ ი კ ი ა ნ ი ს ს ა ხ ი თ. შესანიშნავი «ზღაპრებით» თქვენ ძალიან, ძალიან ეხმარებოდით «ზვეზდას» და ეს მე უაღრესად მახარებდა, ასე რომ სიხარული — პირდაპირ რომ ვთქვა — სჯობნიდა ჩერნოვებთან და ამფიტეატროვებთან თქვენი «რომანით» გამოწვეულ სევდას... უუ! უნდა გამოვტყდე, მიხარია, რომ მათ «ეფუშებათ».

თქვენ რომ საარსებო საშუალება არა გაქვთ და ვერსად ბეჭდავთ, ეს კი ცუდია. ეჰ, კარგი იქნებოდა, აქამდე რომ გაგეგდოთ წურბელა-პიატნიცკი და მიგეჩინათ პატიოსანი ნოქარი, უბრალო ნოქარი «ზნანიესათვის»[163] (იქნებ ეს უკვე გვიან იყოს, არ ვიცი)!!! ეს რომ გექნათ... ოქროში ჩაეფლობოდით...

როჟკოვის «ირკუტსკოე სლოვოს» ძალიან იშვიათად ვხედავ. ეს კაცი ლიკვიდატორი გახდა. ხოლო ჩუჟაკი მთლად სულელი და შტერია, თანაც პრეტენზიებიანი.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

მარიამ თევდორეს ასულს მადლობა მოსკოვში გაგზავნილი წერილისათვის და ათასი სალამი!

1912 წ. თებერვალ-მარტი
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35,
გვ. 2 — 3

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.!

თუ თქვენ ალიარებთ, რომ «ჩვენი კინკლაობა გამოწვეულია იდეური ფესვების შეურიგებელი განსხვავებით», — რომ ესერებშიც ასევეა (რომ კადეტებშიც ასევეა — «ვეხი», — ეს თქვენ არ დაგიმატებიათ, მაგრამ აქ ეჭვი არ არის) — რომ ყალიბდება რ ე ფ ო რ მ ი ს ტ უ ლ ი (მოხდენილი სიტყვაა!) პარტია, — მაშინ **ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა** ლიკვიდატორსაც და მის მტერსაც ეუბნებოდე: «ორივენი მოკინკლავენი ხართო».

მაშინ ისინი, ვინც გაიგო «კინკლაობის» იდეური ფესვები ისე, რომ მასში არ მონაწილეობს, — მასას უნდა ეხმარებოდნენ მ ო ნ ა ხ ო ს ფ ე ს ვ ე ბ ი, და არ ამართლებდნენ მასას იმისათვის, რომ იგი დავას «გენერალთა პირად საქმედ» თვლის.

ჩვენ «ლიდერებს არ დაგვიწერია არც ერთი ნათელი წიგნი, არც ერთი საქმიანი ბროშურა»... სწორი არ არის. როგორც შეგვეძლო, ვწერდით. არა ნაკლებ ნათლად, არა ნაკლებ საქმიანად, ვიდრე წინათ. და ბევრსაც ვწერდით. იყო შემთხვევები — ვწერდით ადამიანების წინააღმდეგ ისე, რომ ა რ ა ვ ი თ ა რ ი «კინკლაობა» არ გვქონია («ვეხის» წინააღმდეგ, ჩერნოვის წინააღმდეგ; როჟკოვის წინააღმდეგ და ა. შ.). [ნახულობთ თუ არა «ნევსკაია ზვეზდის»[164] ყველა ნომერს?].

... «ამის შედეგია: რუსეთში ახლა მუშებს შორის არის ბევრი ძალიან კარგი... ახალგაზრდობა, მაგრამ იგი ისე გააფთრებულად განწყობილია საზღვარგარეთის წინააღმდეგ»... ეს ფაქტიურად სწორია, მაგრამ ეს შედეგია არა «ლიდერების» დანაშაულისა, არამედ რუსეთის და ემიგრანტული ცენტრების მოწყვეტისა ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, გ ა თ ი შ უ ლ ო ბ ი ს ა. საჭიროა გ ა თ ი შ უ-

ლ ი ს შეკავშირება, ლიდერების ლანძღვა კი იაფფასიანი, პოპულარული, მაგრამ ნაკლებ სასარგებლო საქმეა... «რაც მუშებს შეაგონებს მონაწილეობა არ მიიღონ კონფერენციაში»...

რა კონფერენციაში? ახლა რომ ლიკვიდატორები იწვევენ? ჩვენც ხომ ვუშლით! აქ თქვენ რაიმე გაუგებრობა ხომ არა გაქვთ?

წავიკითხე, რომ ამფიტეატროვი თითქოს ვარშავის გაზეთში გამოსულა IV სათათბიროს ბოიკოტის სასარგებლოდ? ხომ არა გაქვთ ეს სტატია? გამომიგზავნეთ — დაგიბრუნებთ.

ბალტიის ფლოტში კი დუღილია! ჩემთან პარიზში იყო (ჩვენ შორის დარჩეს) მატროსებისა და სოციალ-დემოკრატების კრების მიერ გამოგზავნილი სპეციალური დელეგატი. ორგანიზაცია არ არის — პირდაპირ გეტირება!! თუ თქვენ კავშირი გაქვთ ოფიცრებს შორის, მთელი ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ რაიმე მოვაგვაროთ. მატროსებს საბრძოლო განწყობილება აქვთ, მაგრამ შეიძლება კვლავ ყველანი ტყუილად დაიღუპონ.

«ზაპროსი ჟიზნიში»[165] კი თქვენი უხეირო სტატიებია. სხვათა შორის, უცნაური ჟურნალია, — ლიკვიდატორულ-ტრუდოვიკულ-ვეხისტური. თუმცაღა, სწორედ «არაწოდებრივი რეფორმისტული» პარტიაა...

თქვენ მეკითხებით, რისთვის ვარ ავსტრიაში. ცენტრალურმა კომიტეტმა აქ ბიურო მოაწყო (ჩვენ შორის დარჩეს): საზღვარი ახლოს არის, ვიყენებთ მას, პიტერთან უფრო ახლოს ვართ, მე-3 დღეს იქიდან გაზეთები გვაქვს, იქაურ გაზეთებში წერა გაცილებით უფრო გაადვილდა, თანამშრომლობა უკეთ ეწყობა. კინკლაობა აქ ნაკლებია, ეს პლუსია. კარგი ბიბლიოთეკა არ არის, ეს მინუსია. უწიგნებოდ მიჭირს.

მაგრად გართმევთ ხელს. თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

სალამი მ. თ — ს.

1912 წ. აგვისტო
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35,
გვ. 38 - 40

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგა. თქვენ ერთხელ კიდევ მაგონებთ ნაცნობის მისამართის შესახებ. ეს მისამართი ერთხელ მთხოვეთ, და მე გამოგიგზავნეთ. სულ ბოლოში მივაწერე — კარგად მახსოვს — ერთ ვრცელ წერილს. შეამოწმეთ, თუ ეს შესაძლებელია. თუმცაღა უფრო ადვილია გავიმეორო მისამართი. აი ის: Herrn Kurt Lauschner, Beuthen (Ober-Schlesien). Piekarerstr. 19/III, გერმანია. შიგნით საჭიროა დაუმატოთ: ბ-ნ Hörsing-ისთვის: Für Herrn Hörsing (ბეიტენი გერმანიაში ორია, ამიტომ საჭიროა მიმატება: «Ober-Schlesien»)... მივიღე. დიდად გმადლობთ. დანსკის ხელნაწერიც მიღებულია. მეტად გაკვირვებული ვარ, რომ დღეს, როცა თქვენგან «პრავდაც» და მთელი გროვა შავი გაზეთებიც მივიღე, არ მიმიღია ხუთშაბათის «ნევსკი გოლოსი»[166]. ჩემთვის კი, მთელი რიგი მნიშვნელოვანი მიზეზების გამო, უკიდურესად საჭიროა მაშინვე მქონდეს გამოსული «ნევსკი გოლოსი». თუ არ გამოსულა, გთხოვთ ნუ დაიზარებთ მაშინვე მომწეროთ ამაზე ორიოდე სიტყვა. ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია რაც შეიძლება მალე შევიტყო, გამოვიდა თუ არა იგი 23 აგვისტოს, ხუთშაბათს (როგორც გვპირდებოდა «ნევსკი გოლოსი» 17 აგვისტოს), და თუ გამოვიდა, მივიღო ერთი ეგზემპლარი. სხვათა შორის. დიდი ხანია გამოგიგზავნეთ «ზვეზდის», «ნევსკაია ზვეზდის», «პრავდის», «ეიეოე დელოს» იმ №№-ის სია, რომლებიც ჩემს კომპლექტს აკლია. თქვენ არ იქნა და არ იძლევით პასუხს, შეგიძლიათ თუ არა გამომიგზავნოთ. ერთმა საერთო ნაცნობმა კი ამ დღეებში მაცნობა, რომ «ზვეზდისა» და «ნევსკაია ზვეზდის» კომპლექტები თქვენ გაქვთ. გთხოვთ მომწეროთ, დაგრჩათ თუ არა ჩემ მიერ გამოგზავნილი სია, და შეძლებთ თუ ვერა გამომიგზავნოთ დანაკლისი ნომრები. ვსარგებლობ შემთხვევით და მივულოცავ

ამხ. ვიტიმსკის (იმედი მაქვს, არ გაგიჭირდებათ გადასცეთ მას ეს წერილი) შესანიშნავი წარმატებით დაწერილი სტატია «პრავდაში», რომელიც დღეს მივიღე (№ 98)[167]. უაღრესად დროულად აღებულია თემა და ჩინებულად დამუშავებულია მოკლე, მაგრამ მკაფიო ფორმით. საერთოდ კარგი იქნება დროდადრო გაიხსენოთ, განმარტოთ «პრავდაში» შჩედრინი და «ძველი» ნაროდნიკული დემოკრატიის სხვა მწერლები და მოიყვანოთ მათგან ციტატები. «პრავდის» მკითხველთათვის — 25 000-სათვის — ეს სასარგებლო, საინტერესო იქნებოდა, და მუშათა დემოკრატიის ახლანდელი საკითხების სხვა მხრიდან, სხვა ხმით გაშუქებაც გამოვიდოდა.

როგორია «პრავდის» ტირაჟი? ხომ არ ფიქრობთ, რომ სასარგებლო იქნებოდა ყოველთვიური სტატისტიკა, თუნდაც მოკლე (ტირაჟი, ქალაქისა და რაიონის დასახელება). რა მოსაზრებები შეიძლება იმის სასარგებლოდ, რომ ეს სტატისტიკა არ იბეჭდებოდეს. თუ განსაკუთრებული მოსაზრებები არ არის, მე მგონია, საჭიროა იბეჭდებოდეს.

კინაღამ დამავიწყდა. საზღვარგარეთის სხვადასხვა ადგილიდან მივიღეთ მთელი რიგი საჩივრები, რომ არც ხელმოწერით და არც ცალკე ნომრებისათვის ფულის გაგზავნით «პრავდა» არ მისდით. მე ახლა არ მომდის წესიერად. მაშასადამე, უეჭველია, ექსპედიციაში ყველაფერი რიგზე ვერ არის. ძალიან გთხოვთ, მიიღეთ რაც შეიძლება ენერგიული ზომები. თვითონ ნახეთ საზღვარგარეთიდან მოსული წერილები ხელმოწერის შესახებ და მოაგვარეთ. გზავნეთ «პრავდისა» და «ნევსკაია ზვეზდას» თითო ეგზემპლარი შემდეგი მისამართით: Frl. Slutzky: katherinenstr. 8 g. II. II (bei Worte), Halensee, ბერლინი.

1912 წ. 8 სექტემბერი
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35,
გვ. 41 — 42

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.! ამ დღეებში პიტერიდან, «პრავდის» რედაქციიდან მივიღე წერილი, რომელშიც ისინი მთხოვენ მოგწეროთ, რომ უაღრესად მოხარული იქნებოდნენ თქვენი მუდმივი თანამშრომლობისა. «გვინდა შევთავაზოთ გორკის 25 კაპ. სტრიქონში, მაგრამ გვეშინია არ იწყინოსო», — ასე მწერენ.

ჩემი აზრით, აქ საწყენი არაფერია. თქვენი თანამშრომლობა ჰონორარზე მოსაზრებების გავლენით რომ შეიცვალოს, ეს აზრადაც არავის მოუვა. სწორედ ასევე ყველამ იცის, რომ მუშურ «პრავდას», რომელიც ჩვეულებრივად სტრიქონში 2 კაპ. იხდის, ხოლო კიდევ უფრო ხშირად სულაც არაფერს იხდის, საერთოდ ჰონორარებით ვისარგებლებ მიზიდვა არ ძალუძს.

მაგრამ იმაში, რომ მუშათა გაზეთის თანამშრომლები თუნდაც სულ მცირეოდენ, მაგრამ მაინც რეგულარულ გასამრჯელოს იღებენ, ცუდი არაფერია «კარგის მეტი». ტირაჟი ახლა 20 — 25 ათასია. დროა დავიწყოთ ფიქრი თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების საქმის მკვიდრად დაყენებაზე. რა არის იმაში ცუდი, რომ გაზეთში ყ ვ ე ლ ა მომუშავემ დაიწყოს ცოტ-ცოტა გასამრჯელოს მიღება? და რა შეიძლება საწყენი იყოს ამ წინადადებაში?

მე დარწმუნებული ვარ, რომ «პრავდის» პიტერის რედაქციის შიში სრულიად უსაფუძვლოა და რომ თქვენ მის წინადადებას მხოლოდ და მხოლოდ ამხანაგურად შეხვდებით. მისწერეთ ორ იოდე სიტყვა ან პირდაპირ მათს რედაქციაში ან მე მომწერეთ.

ხვალ ამრჩევთა არჩევნებია პიტერში (მუშათა კურიაში). ლიკვიდატორებთან ბრძოლა გაჩაღდა. მოსკოვსა და ხარკოვში პარტიელებმა გაიმარჯვეს.

ნახეთ თუ არა «ლუჩი» და საერთოდ ილებთ თუ არა მას? დახე
როგორ ოყალთაბანდეს და «კეთილებად» გვაჩვენებენ თავს!

ვნახე განცხადება «კრუგოზორის» შესახებ[168]. თქვენი წამოწყებაა
ეს თუ სტუმრად ხართ იქ?

მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ უწინარეს ყოვლისა ჯანმ-
რთელობას. სალამი მ. თ — ს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

47. Ulica Lubomirskiego. Krakau.

1912 წ. 17 ოქტომბერი
ხახზელებანი, გამოც. მე-4, ტ. 35,
გვ. 44 — 45.

იბეჭდება ხახზელებათა ტექსტის
მიხედვით

ა. მ. გორკის

ძვირფასო ალ. მ.! დიდი ხანია თქვენგან რატომღაც არავითარი ამბავი არ არის. როგორ ცხოვრობთ? ხომ ჯანსაღად ხართ?

დღეს მივიღე «პრავდის» № 187 ხელმოწერით 1913 წლისათვის. გაზეთს უჭირს: ზაფხულში ტირაჟის დაცემის შემდეგ აღმავლობა ძ ა ლ ი ა ნ ნელია, და დეფიციტი რჩება. ორ მუდმივ თანამშრომელს გასამრჯელოც კი შეუწყვიტეს დროებით, და ჩვენი მდგომარეობა უაღრესად ძნელი გახადეს.

განზრახული გვაქვს გავაჩაღოთ მუშებში გაძლიერებული აგიტაცია ხ ე ლ მ ო წ ე რ ი ს სასარგებლოდ, რათა შეკრებილი ფულით განვამტკიცოთ და გავაფართოოთ გაზეთი, თორემ სათათბიროს დაწყების შემდეგ სრულებით არ რჩება ადგილი სტატიებისათვის.

იმედი მაქვს, თქვენც მიიღებთ მონაწილეობას აგიტაციაში ხელმოწერის სასარგებლოდ, რათა ხელი შეუწყოთ გაზეთის «წელში გამართვას». რა ფორმით? თუ გაქვთ ზღაპარი ან რაიმე შესაფერისი, — მაშინ ამის შესახებ განცხადება ძალიან კარგი აგიტაცია იქნება. თუ არა გაქვთ, — გაუგზავნეთ დაპირება, რომ მისცემთ ახლო მომავალში და სახელდობრ 1913 წელს. დასასრულ, მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი თქვენი წ ე რ ი ლ ი ს ა მ უ შ ე ბ ი ს ა დ მ ი იმის მნიშვნელობის შესახებ, რომ ა ქ ტ ი უ რ ა დ დაუჭირონ მხარი (ხელის მოწერით, გავრცელებით, შეგროვებით) მუშათა გაზეთს, აგრეთვე საუკეთესო აგიტაცია იქნებოდა.

მისწერეთ, გთხოვთ, ერთი ან მეორე — პირდაპირ «პრავდის» რედაქციას (იამსკაია, 2, ს.-პეტერბურგი) ან მომწერეთ აქ მე. Uljanow. (47 Lubomirskiego. Krakau).

ომი ალბათ არ იქნება და ჩვენ ჯერჯერობით დავრჩებით აქ, «გამოვიყენებთ» პოლონელთა საშინელ სიძულვილს ცარიზმისადმი..

ლიკვიდატორებს ახლა იერიში მიაქვთ რევოლუციური გაფიცვების წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ! აი სადამდე დაეშვნენ. 9 იანვრისათვის ლაპარაკია გაფიცვასა და დემონსტრაციაზე.

მუშათა დეპუტატებიდან პირველად სამ სათათბიროში (2, 3, მე-4) პარტიის მხარეზეა მთელი ექვსეული დეპუტატებისა მთავარი გუბერნიებიდან. გვიჭირს, მაგრამ საქმე მაინც წინ მიდის.

ნახეთ როპშინის «დაცვა» «ზავეტიში» «აზრისა და კრიტიკის თავისუფლების» გულისათვის? (პასუხში ნატანსონის და კომპ. წერილზე რედაქციისადმი). ეს ხომ ყოველგვარ ლიკვიდატორობაზე უარესია — გზააბნეული, ლაჩრული, გაქნილი და მაინც სისტემატური რენეგატობა!

მივცურავთ «დინების წინააღმდეგ»... მასებში რევოლუციური აგიტაციის ს ა ს ა რ გ ე ბ ლ ო დ ბრძოლა ახლა გვიხდება ძალიან ბევრი «ვითომც-რევოლუციონერის» წინააღმდეგ... მუშათა მასებში რევოლუციური განწყობილება უთუოდ არის, მაგრამ რევოლუციური იდეოლოგიის მქონე ახალი დემოკრატიული ინტელიგენცია (მათ შორის მუშურიც) ნელა იზრდება, ჯერჯერობით ჩამორჩება, ვერ ეწევა.

დიდი მოკითხვა!

მოიწერეთ ორიოდე სიტყვა.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. მ. თ — ს სალამი! იგი რატომღაც სულ მთლად გაჩუმდა...

1912 წ. 22 ან 23 დეკემბერი
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35.
გვ. 53 — 54.

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.! ჩემი წერილი ტიხონოვს რომ გაუგზავნოთ, ამის საწინააღმდეგო, გასაგებია, არაფერი მაქვს.

ლუნაჩარსკის ფელეტონმა «შიშსა და იმედს შუა», თქვენი მოთხრობის შემდეგ, დამაინტერესა. ხომ არ შეგიძლიათ გამომიგზავნოთ, თუ თავისუფალი გაქვთ? მოთხოვნის შემთხვევაში წესიერად დაგიბრუნებთ.

მოსკოვის გაზეთისათვის შეგროვებამ ფრიად გაგვახარა[169]. ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს მოსკოვის ოლქის დეპუტატების ჩ ვ ე ნ ი სამეული: მალინოვსკი, შაგოვი და სამოილოვი. ამაზე უკვე შეთანხმებული ვართ. მაგრამ საჭიროა სიფრთხილე: თუ «პრავდა» არ განვამტკიცეთ, არ შეიძლება მოსკოვის გაზეთს გამოვედევნოთ. ჩვენ ვეგმა გვაქვს გამოვცეთ «მოსკოვსკაია პრავდა».

გთხოვთ მისწეროთ ტიხონოვს, რომ იგი ელაპარაკოს მ ხ ო ლ ო დ ბადაევს და **მალინოვსკის,** მათ კი აუცილებლად მოელაპარაკოს.

განსაკუთრებით გამახარა თქვენს წერილში სიტყვებმა: «რუსეთის ინტელიგენციის მთელი გეგმებიდან და ვარაუდებიდან სავსებით ეუჭველად ირკვევა, რომ სოციალისტურ აზროვნებაში ფენებად ჩართულია მისდამი ძ ი რ ე უ ლ ა დ მტრული სხვადასხვანაირი მიმდინარეობანი: აქ მისტიკაც არის, მეტაფიზიკაც, ოპორტუნიზმიც, რეფორმიზმიც, ნაროდნიკობის ნაშთებიც. მთელი ეს მიმდინარეობანი **მით უფრო** მტრული არიან, რომ **უკიდურესად გაურკვეველნი** არიან და, რადგან თავიანთი კათედრები არა აქვთ, არ შეუძლიათ გაირკვნენ საკმაო სიცხადით».

ხაზს ვუსვამ იმ სიტყვებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიწვია ჩემი აღტაცება. მართლაც რომ: «ძირეულად მტრული» არიან და

მით უფრო, რომ გაურკვეველი არიან. აი თქვენ მეკითხებით სტეპანოვზე (ი. ი.). რა აღმოჩნდა იგი (კარგი ბიჭი კი არის, გამრჯე, მცოდნე და ა. შ.) რღვევისა და მერყეობის ეპოქაში? (1908 — 1911). უნდოდა ეპერიოდელებთან შეეერიგებინეთ. მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ თვითონ მერყეობდა.

წერილებს მწერდა, რუსეთში დემოკრატიულ რევოლუციას ჯვარი უნდა დავუსვათ, ჩვენში ურევოლუციოდ საქმე ავსტრიულად წავაო. მე იგი გავლანძღე, ლიკვიდატორი ვუწოდე ამ უხამსობისათვის [170].. იწყინა. შემდეგ კი პრესაში მისი აზრები ლ ა რ ი ნ მ ა წამოაყრანტალა.

ახლა სტეპანოვი დ ე მ ო ნ ს ტ რ ა ც ი უ ლ ა დ წერს არა ჩვენთან, არამედ როჟკოვის გაზეთ «ნოვაია სიბირში» ირკუტსკში [171]. როჟკოვმა კი იცით, რა «მიმდინარეობა» წამოიწყო? წაიკითხეთ მისი სტატია 1911 წლის «ნაშა ზარიაში» და ჩემი პასუხი «ზვეზდაში»? [172] როჟკოვიც გ ა ჯ ი უ ტ დ ა თავის არქიოპორტუნიზმში. სტეპანოვი? ალაპმა უწყის მისი თავი. მართლაც: «უკიდურესად გაურკვეველი» და აბნეული პოზიციაა. მე ახლა სტეპანოვს ა რ ა ს ო დ ე ს არავითარ ოდნავ დამოუკიდებელ განწყობილებას აღარ ვანდობდი: თვითონაც არ იცის, სად გადახტება. მაგრამ თანამშრომლად ალბათ სასარგებლო იქნებოდა. იგი იმათგანია, ვინც «ვერ გარკვეულა». მას რომ განყოფილების «მოწყობა» მიანდო, — იმას ნიშნავს, რომ ი ს ი ც და განყოფილებაც დანამდვილებით დაღუპო.

თქვენ იწერებით: «დროა ჩვენი ჟურნალი გვქონდეს, მაგრამ ამისათვის საკმაოდ არა გვყავს კარგად შეხმატკბილებული ადამიანებიო».

ამ ფრაზის მეორე ნაწილს მე არ ვეთანხმები. ჟურნალი საკმაო ადამიანებს შ ე ა ხ მ ა ტ კ ბ ი ლ ე ბ დ ა, თუ ჟურნალი იქნებოდა, თუ ბ ი რ თ ვ ი იქნებოდა.

ბირთვი არის, ჟურნალი კი (სქელი) არ არის გარეშე მიზეზებით: ფული არა გვაქვს. ფული რომ გვქონდეს, დარწმუნებული ვარ, ჩვენ ახლა სქელ ჟურნალსაც გავართმევდით თავს, ვინაიდან თანამშრომელთა ბ ი რ თ ვ ი ს გარშემო შეიძლება გასამრჯელოთი ბ ე ვ რ ი შემოვიკრიბოთ, თემები დავარიგოთ და ადგილები გავანაწილოთ.

სანამ ფული არა გვაქვს, ჩემი აზრით, საჭიროა არა მარტო ვიოცნებოთ, არამედ კიდევაც ვაშენოთ არსებულიდან, ესე იგი «პროსვეშჩენიედან» [173], ეს, რა თქმა უნდა, პატარა ლიფსიტაა, მაგრამ, ჯერ-1, ყოველივე დიდიც პატარიდან იზრდება. მე-2, პატარა ლიფსიტა სჯობია დიდ ხოჭოს.

დროა, დიდი ხანია დროა დ ა ვ ი წ ყ ო თ სიმღერაში ვარჯიში, თუ გვსურს დიდი რაოდენობით გვყავდეს «შეხმატკბილებული ადამიანები».

«დროა ჩვენი ჟურნალი გვქონდეს». ლიტერატორთა ბირთვი გვყავს. ხაზის სისწორე დადასტურებულია 12 წლის გამოცდილებით (ან 20 წლის გამოცდილებითაც კი), ხოლო უკანასკნელი 6 წლის გამოცდილებით განსაკუთრებით. უნდა შემოვიკრიბოთ მუშაკები ამ ბირთვის გარშემო, ამით გამოვარკვიოთ იგი უფრო დეტალურად, გავზარდოთ და გავაფართოოთ იგი. არალეგალურით და «პრავდით» უ ნ დ ა დაგვეწყო. მაგრამ ამაზე გ ა ჩ ე რ ე ბ ა ჩვენ არ გვინდა. ხოლო ამიტომ, რაკი თქვენ თქვით, რომ «დროა ჩვენი ჟურნალი გვქონდესო», ნება მიბოძეთ ამ სიტყვებისათვის პასუხი მოგთხოვოთ: ა ნ ახლა დასახოთ ამა და ამ პროგრამის ამა და ამ რედაქციის თანამშრომელთა ამა და ამ შემადგენლობის სქელი ჟურნალისათვის ფულის ძებნის პროგრამა, ა ნ ამავე გეგმით დაიწყოთ «პ რ ო ს ვ ე შ ჩ ე ნ ი ე ს» გაფართოება.

ხოლო უფრო სწორი იქნება: არა ა ნ — ა ნ, არამედ ი ს ი ც და ი ს ი ც.

ველი პასუხს. ვენიდან თქვენ ალბათ უკვე მიიღებდით წერილს «პ რ ო ს ვ ე შ ჩ ე ნ ი ე ს» შესახებ. დანამდვილებით არის იმედი, რომ 1913 წლისათვის განვამტკიცოთ იგი მცირე სახით. გინდათ «ჩვენი ჟურნალი გვქონდეს», მაშ მოდით ერთად შევუწყოთ ხელი.

დაშნაკების შესახებ მე არაფერი გამიგონია. მაგრამ ხმა სულელური მგონია. ეს გავრცელებულია მთავრობის მიერ, რომელსაც სურს თურქეთის სომხეთი გადაყლაპოს.

P. P. S-ები * უთუოდ ავსტრიის მ ო მ ხ რ ე არიან და მის მხარეზე იომებენ. ავსტრიის ომი რუსეთთან ძალიან სასარგებლო რამ იქნებოდა რევოლუციისათვის (მთელ აღმოსავლეთ ევროპაში), მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ფრანც იოზეფმა და ნიკოლაშამ ეს სიამოვნება მოგვანიჭონ.

თქვენ თხოულობთ რაც შეიძლება ხშირად მოგაწოდოთ ინფორმაცია. სიამოვნებით — მხოლოდ გამოგვეხმაურეთ ხოლმე. გიგზავნით (ჯერჯერობით საიდუმლოდ) ჩვენი ამასწინანდელი თათბირის რეზოლუციებს (ამ თათბირს, ჩემი აზრით, დიდი წარმატება ჰქონდა და როლს შეასრულებს) [174].

---

* — პპს-ები (პეპეესელები). რ ე დ.

ამბობენ, რეზოლუციები ლიტერატურის ყველაზე მოსაწყენი სახეაო. მე რეზოლუციებში მეტისმეტად ჩამჯდარი კაცი ვარ. მომწერეთ, როგორი წასაკითხავია ისინი თქვენთვის (განსაკუთრებით რევოლუციური გაფიცვებისა და ლიკვიდატორების შესახებ).

ცუდი რა დაატრიალა რუსეთში ხმებმა ამნისტიის შესახებ? არ ვიცი. მოიწერეთ.

ნ. კ. სალამს გიძღვნით.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

1913 წ. იანვრის დამლევი
ოხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35,
გვ. 60 — 63.

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით.

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.!

რა ამბავია, ბატონო ჩემო, ასე ცუდად რომ იქცევით? მეტისმეტად ბევრს მუშაობთ, დაიღალეთ, ნერვები გტკივათ. ეს მთლად უწესრიგობაა. კაპრიზე მაინც, ისიც ზამთარში, როცა ალბათ ხალხი ნაკლებად «გესევათ», წესიერად უნდა ცხოვრობდეთ. უმეთვალყურეოდ რომ ხართ, თავი ხომ არ აიშვით? ღმერთმანი, კარგი არ არის. თავს გაუფრთხილდით და დააწესეთ რაც შეიძლება უფრო სასტიკი «პრიჟიმი» (რეჟიმი), სჯობს! ახლანდელ დროში ავადმყოფობა სრულიად შეუწყნარებელია. ნუთუ ღამღამობით მუშაობა დაიწყეთ? როცა მე ვიყავი კაპრიზე, ამბობდით, რომ მარტო მე შემომქონდა უწესრიგობა, ჩემამდე კი თავის დროზე წვებოდით. უნდა დაისვენოთ და პრიჟიმი დააწესოთ, აუცილებლად.

ტროიანოვსკისა და მის ცოლს მივწერ, რომ მათთან შეხვედრა გსურთ. ეს მართლაც კარგი იქნებოდა. კარგი ხალხია. მუშაობაში ისინი ჯერ კიდევ ნაკლებად გვინახავს; მაგრამ ყველაფერი, რაც დღემდე ვიცით, მათ სასარგებლოდ მეტყველებს. სახსრებიცა აქვთ. შეუძლიათ მუშაობა გააჩაღონ და ბევრი რამ გააკეთონ ჟურნალისათვის. ტროიანოვსკაია მალე მიდის რუსეთში.

მე და ყველანი აქ მეტად გაგვახარა იმან, რომ თქვენ ხ ე ლ ს ჰ კ ი დ ე ბ თ «პროსვეშჩენიეს». მე კი — გამოგიტყდებით — ვიფიქრე: აი დავწერ თუ არა ჩვენს პატარა თუ პაწაწინა ჟურნალზე, ა. მ — ს მაშინვე ხალისი დაეკარგება-მეთქი. ვინანიებ, ვინანიებ ასეთ ფიქრებს.

მართლაც რა საუცხოო იქნება, თანდათანობით რომ შემოვიკრებდეთ ბელეტრისტებს და დავძრავდეთ «პროსვეშჩენიეს»! საუცხოოა! მკითხველი ახალია, პროლეტარული, ჟურნალს გავაიაფებთ, — ბე-

ლეტრისტიკას თქვენ გაუშვებთ მხოლოდ დემოკრატიულს, ისე რომ წუწუნი და რენეგატობა არ იყოს. მუშებს შევაკავშირებთ. მუშები კი კარგი გამოჩნდნენ. სათათბიროს კურიალური დეპუტატების ექვსეულმა ახლა ისე იწყო მობრუნება სათათბიროს გარეშე მუშაობისათვის, რომ პირდაპირ საამურია. აი სად განამტკიცებენ მუშათა პარტიას, ნამდვილ მუშათა პარტიას! მესამე სათათბიროში ვერასოდეს ვერ მივაღწიეთ ამას. ნახეთ «ლუჩში» (№ 24) [175] ოთხი დეპუტატის წერილი წასვლის შესახებ? [176] ხომ კარგი წერილია, ჰა?

«პრავდაში» ნახეთ? ალექსინსკი გვარიანად წერს და ჯერჯერობით სკანდალს არ მართავს! საკვირველია! გაუგზავნია ერთი «მანიფესტი» (რატომ შევიდა «პრავდაში»). არ მოუთავსეს. და ჯერ მაინც სკანდალს არ მართავს. საკ-ვირ-ვე-ლია! ბოგდანოვი კი სკანდალს მართავს: «პრავდაში» № 24 უდიდესი სისულელეა. არა, მასთან საქმეს ვერ მოაგვარებ! წაიკითხე მისი «ინეინერი მენი». იგივე მახიზმი = იდეალიზმია, ისე დამალული, რომ ვერც მუშებმა და ვერც სულელმა რედაქტორებმა «პრავდაში» ვერ გაიგეს. არა, ეს მახისტი უიმედოა, ისევე როგორც ლუნაჩარსკი (მისი სტატიისათვის გმადლობთ). ლუნაჩარსკი ისევე რომ დავაშოროთ ბოგდანოვს ესთეტიკაში, როგორც ალექსინსკი შორდება მას პოლიტიკაში... ეს რომ შეიძლებოდეს...

მატერიისა და მისი აღნაგობის შესახებ მოძღვრების თაობაზე სავსებით გეთანხმებით, რომ ამაზე წერა საჭიროა და რომ ეს კარგი საშუალებაა იმ «შხამის წინააღმდეგ, რომელსაც წოვს რუსული უფორმო სული». მხოლოდ ტყუილად ეძახით თქვენ ამ შხამს «მეტაფიზიკას». მას იდეალიზმსა და აგნოსტიციზმს უნდა ვეძახდეთ.

თორემ მეტაფიზიკას მახისტები ხომ მატერიალიზმს უწოდებენ! და სწორედ გამოჩენილი თანამედროვე ფიზიკოსების მთელი გროვა რადიუმის, ელექტრონებისა და სხვათა «სასწაულების» გამოცდილობენ შემოაპარონ ფუფალა — ყველაზე უხეშიცა და ყველაზე დახვეწილიც, ფილოსოფიური იდეალიზმის სახით.

ნაციონალიზმის შესახებ სავსებით გეთანხმებით, რომ ამას უფრო სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი. ჩვენთან აქ ერთი შესანიშნავი ქართველი ჩაუჯდა და «პროსვეშჩენიესათვის» წერს დიდ სტატიას, რისთვისაც შეკრიბა მთელი ავსტრიული და სხვა მასალები [177]. ჩვენ ბეჯითად ვიმუშავებთ ამაზე. მაგრამ რომ ბრძანებთ, თითქოს ჩვენი რეზოლუციები (გიგზავნით მათ დაბეჭდილს) «ფორმალური მიმოწერა და კანცელარიულობაა», ეს კი ტყუილუბრალოდ ლანძღვაა. არა. ეს ფორმალური მიმოწერა არ არის. ჩვენში და კავკასიაში ს.-დ. ქართველები + სომხები + თათრები + რუსები ათ წე-

ლიწადზე მეტ ხანს მუშაობდნენ ერთად, **ერთიან** ს.-დ. ორგანიზაციაში. ეს ფრაზა კი არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა. ერთადერთი გადაწყვეტა. ასე იყო რიგაშიც: რუსები+ლატვიელები+ლიტველები; გამოიყოფოდნენ მხოლოდ **სეპარატისტები** — ბუნდი. ასევე ვილნოში.

არის ორი კარგი ს.-დ. ბროშურა ეროვნულ საკითხზე: შტრასერისა და პანეკუკისა. გინდათ, გამოგიგზავნით? თუ თქვენთან აღმოჩნდება, ვინ გითარგმნით გერმანულიდან?

არა, ის სიბილწე, რაც ავსტრიაშია, ჩვენში არ იქნება. არ გავუშვებთ! თანაც ჩვენ, ველიკორუსები, აქ მეტი ვართ. მუშებთან არ გავაჭაჭანებთ «ავსტრიულ სულს».

პიატნიცკის [178] შესახებ მე სასამართლოს მომხრე ვარ. საბოდიშო არაფერია. სენტიმენტალობა შეუწყნარებელი იქნებოდა. სოციალისტები სრულებითაც არ არიან წინააღმდეგი სახელმწიფო სასამართლოს გამოყენებისა. ჩვენ ლეგალობის გამოყენების **მომხრე** ვართ. მარქსი და ბებელი სახელმწიფო სასამართლოს თავიანთ სოციალისტ მოწინააღმდეგეთა წინააღმდეგაც კი მიმართავდნენ. უნდა ვიცოდეთ, **როგორ** გავაკეთოთ ეს, გაკეთებით კი უნდა გავაკეთოთ.

პიატნიცკი სამართალში უნდა მივცეთ, მორჩა და გათავდა. თუ ამისათვის ვინმე გისაყვედურებთ, სახეში მიაფურთხეთ, ვინც გისაყვედუროთ. გისაყვედურებენ თვალთმაქცები. პიატნიცკის რომ დავუთმოთ, მას რომ ვაპატიოთ, სასამართლოს შიშით, ეს შეუწყნარებელი იქნებოდა.

კმარა, მეტისმეტად გამიგრძელდა ლაყბობა. მოიწერეთ, როგორ ხართ.

თქვენი ლენინი

P. S. ჩვენ ვიცნობთ თომა-პიტერელს. ახლა იგი ნარიმშია. თომა-ურალელი? რაღაც არ გვაგონდება. 1907 წ. ყრილობაზე თომა-პიტერელი იყო.

1913 წ. თებერვლის მეორე ნახევარი.
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35,
გვ. 74 — 77

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.! დღეს წავიკითხე «მანიფესტი»[179]...

ლიტერატურის ამნისტია, ვგონებ, სრულია. თქვენ უნდა სცადოთ დაბრუნება — **ჯერ კი, რა თქმა უნდა, უნდა გაიგოთ, შარს ხომ არ მოგდებენ «სკოლისათვის»** და ს ხ ვ.. ალბათ ამისათვის პასუხისგებაში ვერ მიგცემენ.

იმედი მაქვს, თქვენ ისე არ მიგაჩნიათ, რომ არ შეიძლება «მივიღოთ» ამნისტია? ეს არასწორი შეხედულება იქნებოდა: რევოლუციონერი ახლანდელ დროში რუსეთის შიგნიდან მ ე ტ ს გააკეთებს. ხოლო ჩვენი დეპუტატები «საზეიმო დაპირებასაც» კი აწერენ ხელს.

თქვენთვის კი ლაპარაკია არა ხელმოწერაზე, არამედ ამნისტიის გამოყენებაზე. მომწერეთ თქვენი აზრი და **განზრახვა**. იმედი მაქვს შემოიცლით აქ, თუ დაიძვრებით, — გზა ხომ ასე გაქვთ!

რევოლუციური მწერლისათვის კი რუსეთის (ახალი რუსეთის) შემოვლის შესაძლებლობა იმის შესაძლებლობას ნიშნავს, რომ შემდეგ ასჯერ უფრო მაგრად დაარტყას რომანოვებსა და კომპ...

მიიღეთ თუ არა ჩემი წინა წერილი? რაღაც დიდი ხანია არაფერს იწერებით. კარგად ხომ ხართ?

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

P. S. მიიღეთ თუ არა ნ. კ — ს წერილი მ ა ს ა ლ ე ბ ი თ?

1913 წ. 6 მარტის შემდეგ
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35,
გვ. 79.

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

ა. მ. გორკის

ძვირფასო ა. მ.!

როგორ არის «პროსვეშჩენიეს» მ ა ი ს ი ს წიგნაკისათვის სტატიის ან მოთხრობის საქმე? მე იქიდან მწერენ, რომ შეიძლება გამოიცეს **10 — 15 ათასი** (აი როგორ მივიწევთ წინ!), თქვენგან რომ რამე ჰქონდეთ. მომწერეთ, იქნება თუ არა. შემდეგ კი «პრავდა» გადაბეჭდავს და გამოდის 40 000 მკითხველი. დიახ... შეიძლებოდა «პროსვეშჩენიეს» საქმე კარგად წასულიყო, თორემ, დალახვროს ეშმაკმა, ა რ ა ი ს სწორი ხაზის მქონე არც ერთი ჟურნალი მუშებისათვის, ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, რევოლუციური დემოკრატიისათვის, სულ რაღაც საზიზღარი დონდღლები მომრავლდნენ.

როგორ ხართ? დაისვენეთ თუ არა და დაისვენებთ თუ არა ზაფხულში? საჭიროა, გარწმუნებთ, კ ა რ გ ა დ დაისვენოთ!

მე გაჭირვებაში ვარ. ცოლი ავად გამიხდა ბაზედოვის ავადმყოფობით. ნერვების ბრალია! მეც ნერვები ცოტა აშლილი მაქვს. ზაფხულისათვის წამოვედით სოფელ პორონინში, ზაკოპანეს ახლოს. (ჩემი მისამართია: Herrn Wl. Uljanow. P o r o n i n. Galizien. Austria.) კარგი ადგილებია. სალი. სიმაღლე 700 მეტრამდე. რას იტყვით, ხომ არ ფიქრობთ გამოისეირნოთ? რუსეთიდან საინტერესო მუშები იქნებიან. ზაკოპანე (ჩვენგან 7 ვერსზე) ცნობილი კლიმატური კურორტია.

ნახეთ თუ არა დემიან ბედნის «იგავ-არაკები»? გამოგიგზავნით, თუ არ გინახავთ. ხოლო თუ ნახეთ, მომწერეთ, როგორ მიგაჩნიათ.

რეგულარულად იღებთ თუ არა «პრავდასა» და «ლუჩს»? ჩვენი საქმე — ყოველივეს მიუხედავად — წინ მიდის, და მუშათა პარტია რ ე ვ ო ლ უ ც ი ო ნ ე რ ი სოციალ-დემოკრატიული შენდება, ლიბერალი რენეგატების, ლიკვიდატორების წინააღმდეგ. დაგვიდგება დღესას-

წაული. ჩვენ ახლა აღტაცებული ვართ იმის გამო, რომ პიტერში შუშებმა გაიმარჯვეს ლიკვიდატორებზე მელითონეთა ახალი კავშირის გამგეობის არჩევის დროს.

«თქვენი» ლუნაჩარსკი კი კარგი რამეა!! ოო, კარგი რამე! მეტერლინკს «მეცნიერული მისტიციზმი» აქვსო... თუ ლუნაჩარსკი და ბოგდანოვი თქვენი აღარ არიან?

ხუმრობის გარეშე. ი ყ ა ვ ი თ ჯ ა ნ მ რ თ ე ლ ა დ. მოიწერეთ ორიოდე სიტყვა. უფრო კარგად დაისვენეთ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

Uljanow. Austria. P o r o n i n (Galizien).

როგორ მიგაჩნიათ «პრავდის» საიუბილეო №?

1913 წ. მაისის პირველი ნახევარი,
ხელნაწერი. გამოც. მე-4. ტ. 35,
გვ. 85—86

იბეჭდება ხელნაწერთა ტექსტის
მიხედვით

გაზეთ «პრავდის» რედაქციას

პატივცემულო კოლეგებო!

დღეს, როგორც იქნა, მივიღე «პრავდის» უკანასკნელი დღეების. უფრო სწორად რომ ვთქვათ, უკანასკნელი კვირის კომპლექტი. ძალიან გმადლობთ, და ძალიან მოგილოცავთ წარმატებას: ჩემი აზრით, უეჭველია, რომ გაზეთი ახლა ფეხზე დ ა დ გ ა. გაუმჯობესება უდიდესი და სერიოზულია, — იმედი უნდა ვიქონიოთ, მტკიცე და საბოლოოა. საკითხი პლეხანოვის სტატიების სიდიდისა და ანტილიკვიდატორობის სიუხვის შესახებ (რაზეც იწერება ერთი მუშა დეპუტატი) უკვე კერძო საკითხებია; აქ შესწორების შეტანა ძნელი არ არის, რაკი გაზეთი მტკიცედ დგას, და მე ვფიქრობ, რომ ადგილობრივი მუშაკები ერთბაშად დაინახავენ, როგორ შეიტანონ შესწორება. დაწვრილებითი წერილი ერთი თანამშრომლისგანაც (რომელსაც, სამწუხაროდ, არ მოეპოვება სასიამოვნო «დეპუტატური» თვისება) მივიღეთ და ძალიან გვიხაროდა, ვულოცავდით ყოველ წარმატებას. ისე ჰგავს, რომ ახლა (და მხოლოდ ახლა, სტ — ვის [180] ავანტიურის შემდეგ) მერყეობის პერიოდი დამთავრდა... ოღონდ თვალი არ ეცეს!..

პლეხანოვისათვის ულტიმატუმების წაყენებას არ გირჩევთ: ადრეა! შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს!! თუ მისწერეთ, მისწერეთ თავაზიანად და რბილად. იგი ახლა დასაფასებელია, ვინაიდან მუშათა მოძრაობის მტრებს ებრძვის.

დემიან ბედნის შესახებ — კვლავ მ ო მ ხ რ ე ვ ა რ. მიზეზს ნუ მოსდებთ, მეგობრებო, ადამიანურ სისუსტეს! ნიჯი იშვიათად გვხვდება. საჭიროა სისტემატურად და ფრთხილად ხელს ვუწყობდეთ მას. შესცოდავთ, ძალიან შესცოდავთ (ასჯერ უფრო მეტად, ვიდრე სხვადასხვა პირადი «შეცოდებაა», თუ ასეთები გაქვთ...) მუ-

შათა დემოკრატიის წინაშე, თუ ნიჭიერი თანამშრომელი არ მოიზიდეთ, **არ დაეხმარეთ** მას. კონფლიქტები წვრილმანი იყო, საქმე კი სერიოზულია. იფიქრეთ ამაზე!

გაფართოების შესახებ ამას წინათ დაწვრილებით მივწერე პროსვეშჩენიელს; იმედი მაქვს, თქვენც ნახავდით ამ წერილს. მეც ფინანსური სიფრთხილის მომხრე ვარ: იგივე ექვსი გვერდი (ახლანდელი ჩანართი ფურცლები) **მ ი ვ ც ე თ სხვანაირად**, სხვა სოუსით და სახელწოდებითა და შინაარსით: 4 გვერდი საკვირაო დამატება მოწინავეთათვის + 2 გვერდი «მუშური კაპიკი» 1 კაპიკად, **მ ა ს ი ს ა თ ვ ი ს**, ასი ათასი მკითხველის დასაპყრობად, უაღრესად პოპულარული შინაარსისა. «ლუჩს» კი არ უნდა ვბაძავდეთ, არამედ **ჩ ვ ე ნ ი** გზით, პროლეტარული გზით უნდა მივდიოდეთ: 4 გვერდი მოწინავე **მ უ შ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს** და 2 გვერდი (შეიძლება 4-იც **შემდეგ**) **მასისათვის**, ხანგრძლივი და თავგამოდებული ბრძოლისათვის 100 000 მკითხველის შესაძენად. სიგანეზე და სიღრმეზე უნდა მივიწევდეთ, მასებში, და არა ისეთი ინტელიგენტური ნიმუშებისაკენ, როგორიც არის «ლ უ ჩ ი».

კიდევ ერთხელ: სალამი, მოლოცვა და საუკეთესო სურვილები.

თქვენი ვ. ი.

კიდევ განსაკუთრებული სალამი ვიტიმსკის; **ძ ა ლ ი ა ნ კარგი** გამოვიდა მისი სტატია მუშათა პრესისა და მუშათა დემოკრატიის შესახებ ლიბერალების წინააღმდეგ[181]!! ბოგდანოვის «იდეოლოგია» კი, **ალბათ**, ერესია: გპირდებით დაგიმტკიცოთ ეს ზუსტად!!

ტირაჟის გადიდება კი მარქსისტებს უხარიათ, როცა იგი დიდდება **მარქსისტული** სტატიებით და არა სტატიებით **მარქსიზმის წინააღმდეგ**. ჩვენ იდეური გაზეთი გვინდა, — «პრავდის» ყველა თანამშრომელსა და მკითხველს უნდა ეს — მარქსისტული და არა მახისტური? ხომ ასეა?

P. S. მისამართია არა Paronen, არამედ **P o r o n i n** (Galizien) და აუცილებლად უნდა დაემატოს ხოლმე ბანდეროლზე: **მ ა რ შ რ უ ტ ი: ვ ა რ შ ა ვ ა — გ რ ა ნ ი ც ა — ზ ა კ ო პ ა ნ ე.**

1913 წ. მაისის ბოლო
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35,
გვ. 87 — 89

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

ა. მ. გორკის

ძვირფასო ალექსი მაქსიმეს-ძევ! აბა რას სჩადიხართ? — პირდა-პირ საშინელებაა, ღმერთმანი!

გუშინ «რეჩში» წავიკითხე თქვენი პასუხი დოსტოევსკისათვის ატეხილ «ღრიანცელზე» [182] და მზად ვიყავი გამხარებოდა, დღეს კი მოდის ლიკვიდატორული გაზეთი დ ა ი ქ დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი ა თ ქ ვ ე-ნ ი სტ ა ტ ი ი ს ა ბ ზ ა ც ი, რომელიც «რეჩში» არ ყოფილა.

ეს აბზაცი ასეთია:

««ღვთისმაძიებლობა» კი **დროებით»** (მარტო დროებით?) «უნდა გადადოთ, — ეს უსარგებლო საქმეა: სადაც არ დაგიდვია, იქ რას ეძებ. თუ არ დათესავ, ვერ მოიმკი. თქვენ ღმერთი არა გყავთ, თქვენ **ჯერ»** (ჯერ!) «არ შეგიქმნიათ იგი. ღმერთებს არ ეძებენ, — **მათ ქმნიან;** ცხოვრებას კი არ იგონებენ, არამედ ქმნიან».

გამოდის, რომ თქვენ «ღვთისმაძიებლობის» წინააღმდეგი მხოლოდ «დროებით» ხართ!! გამოდის, რომ თქვენ ღვთისმაძიებლობის წინააღმდეგი ხართ **მხოლოდ** იმისათვის, რომ იგი ღვთისმშენებლობით შეცვალოთ!!

აბა განა საშინელება არ არის, რომ ასეთი რამ გ ა მ ო გ ი დ ი თ?

ღვთისმაძიებლობა ღვთისმშენებლობისაგან ან ღვთისშექმნისა თუ ღვთისშემოქმედებისაგან და სხვ. სრულებითაც იმაზე უფრო არ განსხვავდება, ვიდრე ყვითელი ეშმაკი ლურჯი ეშმაკისაგან. ილაპარაკო ღვთისმაძიებლობაზე არა იმისათვის, რომ აზრი გამოთქვა **ყოველგვარი** ეშმაკებისა და ღმერთების წინააღმდეგ, ყოველგვარი იდეური ლეშთმავლობის წინააღმდეგ (ყოველი ფუფალა ლეშთმავლობაა — თუნდაც ეს ყოვლად ფაქიზი, იდეალური, არა საძიებელი, არამედ საშენებელი ფუფალა იყოს, სულ ერთია), — არამედ იმისათვის, რომ ლურჯი ეშმაკი ამჯობინო ყვითელს, ეს ასჯერ უფრო ცუდია იმაზე, რომ სულ არაფერს ამბობდე.

ყველაზე თავისუფალ ქვეყნებში, ისეთ ქვეყნებში, სადაც სრულიად უადგილოა მიმართვა «დემოკრატიისა, ხალხისა, საზოგადოებრიობისა და მეცნიერებისადმი», — ასეთ ქვეყნებში (ამერიკა, შვეიცარია და სხვ.) ხალხსა და მუშებს განსაკუთრებით გულმოდგინედ აჩლუნგებენ სწორედ ფაქიზი, სულიერი, სამშენებელი ფუფალას იდეით. სწორედ იმიტომ, რომ ყოველი რელიგიური იდეა, ყოველი იდეა ყოველგვარ ფუფალას შესახებ, ყოველი თუნდაც ლაქუცობა ფუფალასთან ყოვლად წარმოუდგენელი სიბილწეა, რომელსაც განსაკუთრებით შემწყნარებლად (ხშირად კი კეთილმოსურნედაც) ხვდება დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ბურჟუაზია, — სწორედ ამიტომ ეს ყველაზე საშიში სიბილწეა, ყველაზე საზიზღარი «სნებაა». მილიონობით ცოდვა, სისაძაგლე, ძალადობა და ფ ი ზ ი კ უ რ ი სნება გაციცლებით უფრო ადვილად გამოსაცნობია ბრბოს მიერ და ამიტომ გაციცლებით ნაკლებად საშიშია, ვიდრე ფუფალას დ ა ხ ვ ე წ ი ლ ი, სულიერი, ნაირნაირ «იდეურ» სამოსელში გახვეული იდეა. ქალიშვილების გამხრწნელი კათოლიკე ხუცესი (რომლის შესახებ ეს არის შემთხვევით წავიკითხე ერთ გერმანულ გაზეთში), — გ ა ც ი ლ ე ბ ი თ ნ ა კ ლ ე ბ ა დ საშიშია სწორედ «დემოკრატიისათვის», ვიდრე უანაფორო ხუცესი, ხუცესი უხეში რელიგიის გარეშე, იდეური და დემოკრატიული ხუცესი, რომელიც ფუფალას შექმნას და შენებას ქადაგებს. ეს იმიტომ, რომ პირველი ხუცესი ა დ ვ ი ლ ა დ შეიძლება ამხილო, დაგმო და გააგდო, — მეორე კ ი ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ასე იოლად გააგდო, მისი მხილება 1 000-ჯერ უფრო ძნელია, მის «დაგმობას» არც ერთი «სუსტი და საცოდავად მერყევი» ობივატელი არ დათანხმდება.

და თქვენ, **მეშჩანური** (რუსული: რატომ რუსული? იტალიური უკეთესია თუ??) სულის «სისუსტეს და საცოდავ მერყეობას» რომ იცნობთ, ამ სულს აკრთობთ ყველაზე ტკბილ-ტკბილი შხამით, რომელიც ყველაზე მეტად დაფარულია შაქარყინულით და ყოველნაირი ზიზილ-პიპილებით!!

ღმერთმანი, ეს საშინელებაა.

«უკვე კმარა თავდამცირება, რომელიც ჩვენში თვითკრიტიკას ცვლის».

მერე და ღვთისმშენებლობა განა თავდამცირების ყ ვ ე ლ ა ზ ე ც უ დ ი სახე არ არის?? ყოველი ადამიანი, რომელიც ღმერთის მშენებლობას ეწევა ან თუნდაც მხოლოდ დაუშვებს ასეთ მშენებლობას, თ ა ვ ს ი მ ც ი რ ე ბ ს ყველაზე უარესად, ეწევა ნაცვლად «მოქმე-

დებისა» სწორედ თვითკვრეტას, თავმომწონეობას, ამასთან ასეთი კაცი «ჰვრეტს» თავისი «მეს» ყველაზე ბინძურ, ჩლუნგ, მონურ თვისებებს თუ ნიშნებს, რომლებსაც ღვთისმშენებლობა აღმერთებს.

არა პირადი, არამედ საზოგადოებრივი თვალსაზრისით ყ ო ვ ე ლ ი ღვთისმშენებლობა არის სწორედ ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ თ ვ ი თ ჰ ვ რ ე ტ ა გონებაჩლუნგი მეშჩანობისა, სუსტი ობივატელობისა, «სასოწარკვეთილ და დაღლილ» ფილისტერთა და წვრილ ბურჟუათა მეოცნებე «თვითდამცირებისა» (როგორც თქვენ ძალიან სწორად ბრძანეთ ს უ ლ ზ ე — ოღონდ «რუსულზე» კი არ უნდა გეთქვათ, არამედ მ ე შ ჩ ა ნ უ რ ზ ე, ვინაიდან ებრაული, იტალიური, ინგლისური — ს უ ლ ე რ თ ი ჯ ა ნ დ ა ბ ა ა, ბილწი მეშჩანობა ყველგან ერთნაირად საზიზღარია, ხოლო «დემოკრატიული მეშჩანობა», რომელიც იდეურ ლეშთმავლობას ენევა, გაცილებით უფრო საზიზღარია).

თქვენს სტატიას დაკვირვებით რომ ვკითხულობ და ვცდილობ გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ო, საიდან შეიძლებოდა გამოგსვლოდათ ეს მცდარნაწერი, გაკვირვებას ვეძლევი. რა არის ეს? ნაშთები «აღსარებისა». რომელსაც თ ქ ვ ე ნ თ ვ ი თ ო ნ არ იწონებდით?? მისი გამოძახილი??

თუ სხვა რამ — მაგალითად, იმის უნაყოფო ცდა, რომ დ ა ქ ვ ე ი თ დ ე თ საერთო-დემოკრატიულ თვალსაზრისამდე ნაცვლად პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი თვალსაზრისისა? იქნებ «საერთოდ დემოკრატიასთან» საუბრისათვის თქვენ მოისურვეთ (მაპატიეთ ეს გამოთქმა) ჩიფ-ჩიფი დაგეწყოთ, როგორც ბავშვებს ეჩიფჩიფებიან? იქნებ ო ბ ი ვ ა ტ ე ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს «პოპულარულად გადასაცემად» მოისურვეთ ერთი წუთით დაგეშვათ მისი თუ მათი, ობივატელების, ცრუაზრები??

მაგრამ ეს ხომ ყოველი მნიშვნელობით და ყოველმხრივ ა რ ა ს წ ო რ ი ხერხია!

ზემოთ დავწერე, რომ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ქვეყნებში სრულიად უადგილო იქნებოდა პროლეტარული მწერლის მხრივ მიმართვა «დემოკრატიისა, ხალხისა, საზოგადოებრიობისა და მეცნიერებისადმი». ჩვენში კი, რუსეთში?? ასეთი მიმართვა ა რ ც თ უ მ თ ლ ა დ სასურველია, ვინაიდან ისიც როგორღაც მაამებელია ობივატელური ცრუაზრებისათვის. მიმართვა როგორღაც ზოგადია, ბუნდოვანი — ჩვენში «რუსსკაია მისლის» იზგოევიც კ ი ო რ ი ვ ე ხ ე ლ ს მოაწერს მას. მაშ რა საჭიროა ისეთი ლოზუნგების აღება, რომლებსაც თქვენ კი ჩინებულად გამოჰყოფთ იზგოეველობისაგან, მაგრამ მკითხველი ვერ შეძლებს გამოჰყოს?? რა საჭიროა, რომ მკითხველისათვის დემოკრატიული მარმაში გადააფაროთ, ნაცვლად იმისა, რომ ერთმა-

ნეთისაგან ნათლად განასხვაოთ მეშჩანები (სუსტნი, საცოდავად მერყეენი, დაღლილნი, სასოწარკვეთილნი, თვითმკვრეტელნი, ღვთისმკვრეტელნი, ღვთისმშენებელნი, ღვთისმფარველნი, თავდამამცირებელნი, უაზრო-ანარქისტულნი — საუცხოო სიტყვაა!! და სხვანი და სხვანი) — და პროლეტარები (რომლებსაც უნარი შესწევთ მხნენი იყვნენ არა მარტო სიტყვით, უნარი შესწევთ განასხვაონ ბურჟუაზიის «მეცნიერება და საზოგადოებრიობა» თავიანთისაგან, ბურჟუაზიული დემოკრატია პროლეტარულისაგან)?

რატომ შვრებით ამას?
საშინლად საწყენია. თქვენი ვ. ლ.

P. S. შეკვეთილი ბანდეროლით გამოგიგზავნეთ რომანი. მიიღეთ?

P. P. S. იმკურნალეთ უფრო სერიოზულად, ღმერთმანი, რათა ზამთარში წასვლა ისე შესძლოთ, რომ არ გაცივდეთ (ზამთარში საშიშია).

თქვენი ვ. ულიანოვი

1913 წლის ნოემბრის შუა
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35,
გვ. 113 — 117

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

წერილიდან ს. გ. შაუმიანს

1913. 6. XII.

ძვირფასო მეგობარო! ძალიან გამახარა თქვენმა 15 ნოემბრის წერილმა. უნდა იცოდეთ, რომ ჩემს მდგომარეობაში საშინლად აფასებს ადამიანი ამხანაგების აზრს რუსეთიდან, განსაკუთრებით დაკვირვებული და ამ საკითხით დაინტერესებული ამხანაგებისას. ამიტომ თქვენ რომ მალე გამომეხმაურეთ, ეს ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნო იყო. უფრო ნაკლებ დაშორებულად გრძნობ თავს, როცა ასეთ წერილებს იღებ. მაგრამ კმარა ლირიკა. გადავიდეთ საქმეზე.

1. თქვენ მომხრე ხართ იმისა, რომ რუსეთში იყოს სახელმწიფო ენა. ეს «საჭიროა; მას ჰქონდა და ექნება დიდი პროგრესული მნიშვნელობაო». ოდნავადაც არ გეთანხმებით. მე ამის შესახებ დიდი ხანია დავწერე «პრავდაში» და ჩემი აზრი ჯერჯერობით არავის უარუყვია. თქვენი მოსაზრება სრულიად არ მაჯერებს, — პირიქით. რუსულ ენას პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა უამრავი წვრილი და ჩამორჩენილი ერისთვის — ეს უდავოა. მაგრამ ნუთუ ვერ ხედავთ, რომ მას მეტი პროგრესული მნიშვნელობა ექნებოდა, იძულება რომ არ ყოფილიყო? მერე, განა «სახელმწიფო ენა» არ ნიშნავს იმ ჯოხს, რომლითაც იგერიებენ რუსულ ენას?? როგორ არ გინდათ გაიგოთ ის ფსიქოლოგია, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ნაციონალურ საკითხში და რომელიც სულ მცირედი იძულებისას ბილწავს, აუწმინდურებს, არარად აქცევს ცენტრალიზაციის, დიდი სახელმწიფოების, ერთიანი ენის უდავო პროგრესულ მნიშვნელობას?? მაგრამ კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკა, ვიდრე ფსიქოლოგია: რუსეთში უკვე არის კაპიტალისტური ეკონომიკა, რაც საჭიროდ ხდის რუსულ ენას. თქვენ კი არა გწამთ ეკონომიკის ძალა და გინდათ ვიგინდარა პოლიციელთა ყავარჯნებით «გაამაგროთ»

ეკონომიკა?? ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ამით თქვენ ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ თ ეკონომიკას, აფერხებთ მას?? ნუთუ გათახსირებული პოლიციელობის თავიდან მოშორება არ გააათკეცებს (გააათასკეცებს) რუსული ენის დაცვისა და გავრცელების თავისუფალ კავშირებს?? არა, აბსოლუტურად არ გეთანხმებით და ბრალად გდებთ königlich preussischer Sozialismus *-ს!!...

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 19, გვ. 596 — 597

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

* — მეფურ-პრუსიულ სოციალიზმს. რ ე დ.

ა. მ. გორკის

საკითხში ღმერთის, ღვთიურის და ყოველივე იმის შესახებ, რაც ამასთან დაკავშირებულია, თქვენ წინააღმდეგობა გამოგიდით — სწორედ ის წინააღმდეგობა, ჩემი აზრით, რომელსაც მე აღვნიშნავდი ჩვენს საუბრებში ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის დროს კაპრიზე: თქვენ კავშირი გასწყვიტეთ (ან თითქოს გასწყვიტეთ) «ვპერიოდელებთან», ისე რომ «ვპერიოდელობის» იდეური საფუძვლები ვერ შეგიმჩნევიათ.

ასეა ახლაც. თქვენ «შეწუხებული» ხართ, თქვენ «ვერ გაგიგიათ, როგორ გაგეპარათ სიტყვა დროებით» — ასე იწერებით — და ამავე დროს ღმერთის და ღვთისმშენებლობის იდეას იცავთ.

«ღმერთი ტომის, ერის, კაცობრიობის მიერ გამომუშავებულ იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც აღვიძებენ და რაზმავენ სოციალურ გრძნობებს, მიზნად ისახავენ დააკავშირონ პიროვნება საზოგადოებასთან, ალაგმონ ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი».

ეს თეორია აშკარად დაკავშირებულია ბოგდანოვისა და ლუნაჩარსკის თეორიასთან თუ თეორიებთან.

და იგი აშკარად არასწორი და აშკარად რეაქციულია. ქრისტიანი სოციალისტების («სოციალიზმის» ყველაზე ცუდი სახის და ყველაზე ცუდი მისი დამახინჯების) მსგავსად თქვენ ხმარობთ ხერხს, რომელიც (მიუხედავად თქვენი საუკეთესო განზრახვისა) იმეორებს ხუცობის ფანდს: ღმერთის იდეიდან იდევნება ის, რასაც იგი ისტორიულად და ცხოვრებაში შეიცავს (სიბილწე, ცრუაზრები, ერთი მხრივ, სიბნელისა და დაბეჩავების და მეორე მხრივ, ბატონყმობისა და მონარქიის კურთხევა), ამასთან ნაცვლად ისტორიული და ცხოვრების რეალობისა ღმერთის იდეას ჩაერთვის გულკეთილი მეშჩანური ფრაზა (ღმერთი = «იდეები, რომლებიც აღვიძებენ და რაზმავენ სოციალურ გრძნობებს»).

თქვენ ამით გინდათ «კეთილი და კარგი» თქვათ, აღნიშნოთ «სიმართლე-სამართლიანობა» და მისთანები. მაგრამ თქვენი ეს კეთილი სურვილი თქვენს პირად კუთვნილებად, სუბიექტურ «უწყინარ

სურვილად» რჩება. რაკი თქვენ დასწერეთ, იგი მასაში წავიდა, და მისი **მნიშვნელობა** განისაზღვრება არა თქვენი კეთილი სურვილით, არამედ საზოგადოებრივი ძალების თანაფარდობით, კლასთა ობიექტური თანაფარდობით. ამ თანაფარდობის მიხედვით **გამოდის** (თქვენი ნების წინააღმდეგ და თქვენი შეგნების დამოუკიდებლად), გამოდის ისე, რომ თქვენ შეალამაზეთ, დაშაქრეთ კლერიკალების, პურიშკევიჩების, ნიკოლოზ II-ისა და ბ-ნ სტრუვეების იდეა, ვინაიდან **სინამდვილეში** ღმერთის იდეა მათ ეხმარება იმაში, რომ ხალხი მონობაში იყოლიონ. ღმერთის იდეა რომ შეალამაზეთ, თქვენ ამით შეალამაზეთ ის ბორკილი, რომლითაც მათ შებოჭილი ჰყავთ უმეცარი მუშები და გლეხები. აი — იტყვიან ხუცები და კომპ. — რა კარგი და ღრმა იდეა არის ეს (ღმერთის იდეა), როგორ აღიარებენ მას, ბ-ნო დემოკრატებო, «თქვენი» ბელადებიც კი, და ჩვენ (ხუცები და კომპ.) ამ იდეას ვემსახურებითო.

მართალი არ არის, რომ ღმერთი იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც აღვიძებენ და რაზმავენ სოციალურ გრძნობებს. ეს ბოგდანოვის იდეალიზმია, რომელიც ჩქმალავს იდეების მატერიალურ წარმოშობას. ღმერთი (ისტორიულად და ცხოვრებაში) უწინარეს ყოვლისა იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც წარმოშვა ადამიანის ჩლუნგმა დაბეჩავებამ გარეშე ბუნების მხრივაც და კლასობრივი ჩაგვრის მხრივაც, — იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც განამტკიცებენ ამ დაბეჩავებას, აძინებენ კლასობრივ ბრძოლას. ისტორიაში იყო დრო, როცა, მიუხედავად ღმერთის იდეის ასეთი წარმოშობისა და ასეთი ნამდვილი მნიშვნელობისა, დემოკრატიისა და პროლეტარიატის ბრძოლა წარმოებდა ერთი რელიგიური იდეის მეორის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმით.

მაგრამ ეს დროც დიდი ხანია წავიდა.

ახლა ევროპაშიც და რუსეთშიც ღმერთის იდეის ყოველი, თუნდაც ყველაზე დახვეწილი, ყველაზე კეთილგანზრახული დაცვა ან გამართლება რეაქციის გამართლებაა.

მთელი თქვენი განსაზღვრა თავიდან ბოლომდე რეაქციული და ბურჟუაზიულია. ღმერთი = იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც «აღვიძებენ და რაზმავენ სოციალურ გრძნობებს, მიზნად ისახავენ დააკავშირონ პიროვნება საზოგადოებასთან, ალაგმონ ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი».

რატომ არის ეს რეაქციული? იმიტომ, რომ ალამაზებს ზოოლოგიის «ალაგმვის» ხუცურ-ბატონყმურ იდეას. სინამდვილეში «ზოო-

ლოგიური ინდივიდუალიზმი» ღმერთის იდეას როდი აულაგმავს, იგი ალაგმა პირველყოფილმა ჯოგმაც და პირველყოფილმა კომუნამაც. ღმერთის იდეა ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს აძინებდა და აჩლუნგებდა «სოციალურ გრძნობებს», ცვლიდა ცოცხალს ლეშით, ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს წარმოადგენდა მონობის (ყველაზე ცუდი, გამოუვალი მონობის) იდეას. ღმერთის იდეა არასოდეს არ «აკავშირებდა პიროვნებას საზოგადოებასთან», არამედ ყოველთვის ბ ო ჭ ა ვ დ ა ჩაგრულ კ ლ ა ს ე ბ ს მჩაგვრელთა ღ ვ თ ი უ რ ო ბ ი ს ა დ მ ი რწმენით.

თქვენი განსაზღვრა ბურჟუაზიულია (და არა მეცნიერული, არაისტორიულია), ვინაიდან იგი იყენებს ხელაღებითს, ზოგად, საერთოდ «რობინზონულ» ცნებებს — და არა გარკვეული ისტორიული ეპოქის გარკვეულ კლასებს.

ერთია ველური ზირიანინის და სხვ. (აგრეთვე ნახევრადველურის) ღმერთის იდეა და სულ სხვაა სტრუვეესა და კომპანიისა. ორივე შემთხვევაში ეს იდეა ზურგს უმაგრებს კლასობრივ ბატონობას (და კლასობრივი ბატონობა ზურგს უმაგრებს ამ იდეას). «ხალხური» წარმოდგენა ფუფალაზე და ფუფალურზე — ეს არის «ხალხური» სიჩლუნგე, დაბეჩავება, სიბნელე, სავსებით ისეთივე, როგორც «ხალხის წარმოდგენა» მეფეზე, ქაჯზე, ცოლების ცემა-ტყეპაზე. როგორ შეგიძლიათ თქვენ «ხალხის წარმოდგენას» ღმერთზე «დემოკრატიული» უწოდოთ, აბსოლუტურად ვერ გამიგია.

ფილოსოფიურ იდეალიზმს რომ «ყოველთვის მხოლოდ პიროვნების ინტერესები აქვს მხედველობაში», ეს მართალი არ არის. დეკარტს გასენდისთან შედარებით უფრო ჰქონდა მხედველობაში პიროვნების ინტერესები? თუ ფიხტესა და ჰეგელს ფეიერბახის წინააღმდეგ?

რომ «ღვთისმშენებლობა ინდივიდუუმსა და საზოგადოებაში სოციალური საწყისების შემდგომი განვითარებისა და დაგროვების პროცესია», ეს პირდაპირ საშინელებაა!! რუსეთში თავისუფლება რომ იყოს, თქვენ ხომ მთელი ბურჟუაზია ხოტბას შეგასხამდათ ასეთი რამეებისათვის, ამ წმინდა ბურჟუაზიული ტიპისა და ხასიათის სოციოლოგიისა და თეოლოგიისათვის.

ჯერჯერობით კმარა — წერილი ისედაც გამიჭიანურდა. კიდევ ერთხელ მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ჯანმრთელობას.

თქვენი ვ. ი.

1913 წ. დეკემბერი,
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35,
გვ. 118 — 121

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

ს. გ. შაუმიანს

19. V. 1914.

ძვირფასო სურენ! მივიღე თქვენი 17. IV-ის წერილი. იმედი მაქვს მიპასუხებთ, როცა ერთა თვითგამორკვევის შესახებ სტატიის ბოლოს (მას ახლა ვწერ) წაიკითხავთ «პროსვეშჩენიეში» [183].

ანის წინაალმდეგ თქვენი ბროშურის შესახებ აუცილებლად მიეცით Selbstanzeige * ან შინაარსი «პროსვეშჩენიეში».

გირჩევთ კიდევ შემდეგ გეგმას. «კულტურულ-ეროვნული ავტონომისტების» სისულელესთან საბრძოლველად საჭიროა, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა ფრაქციამ სახელმწიფო სათათბიროში შეიტანოს პროექტი კანონისა ერთა თანასწორუფლებიანობის შესახებ და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ.

მოდით დავწეროთ ასეთი პროექტი [184]. ზოგადი დებულება თანასწორუფლებიანობის შესახებ, — ქვეყნის დაყოფა ავტონომიურ და თვითმმართველ ტერიტორიულ ერთეულებად სხვათა შორის ეროვნული ნიშნის მიხედვით (ადგილობრივი მოსახლეობა სახავს საზღვრებს, საერთო-სახელმწიფოებრივი პარლამენტი ამტკიცებს) — ავტონომიური ოლქებისა და ოკრუგების, აგრეთვე თვითმმართველი ადგილობრივი ერთეულების გამგებლობის ფარგლები; — ავტონომიური ოლქების, ერობების და სხვ. გადაწყვეტილებებში ერთა თანასწორუფლებიანობისაგან ყოველგვარი გადახვევის უკანონობა; დემოკრატიულად არჩეული საერთო სასკოლო საბჭოები და სხვ.; ენების თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა — ენების ამორჩევა მუნიციპალური დაწესებულებების მიერ და სხვ. — უმცირესობათა დაცვა: უფლება ხარჯების პროპორციული წილის გაღებისა,

* — ავტორის ცნობა. რ ე დ.

«სხვა ერის» მოსწავლეთათვის სასკოლო შენობების (უფასოდ) გამოყოფისა, «სხვა ერის» მასწავლებელთა დანიშვნისა, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში, თეატრებში და სხვ. «სხვა ერის» განყოფილებათა მოწყობისა; — თვითეული მოქალაქის უფლება — აღძრას საქმე (სასამართლოს წინაშე) თანასწორუფლებიანობისაგან ყოველგვარი გადახვევის respective * ეროვნულ უმცირესობათა უფლებების ყოველგვარი «გათელვის» გასაუქმებლად (მოსახლეობის ხუთწლიანი აღწერები ჭრელ ოლქებში, ათწლიანი აღწერები სახელმწიფოში) და სხვ.

ვფიქრობ, რომ ამ გზით შეიძლება პოპულარულად განვმარტოთ კულტურულ-ეროვნული ავტონომიის სისულელე და საბოლოოდ მოვკლათ ამ სისულელის მომხრეები.

კანონპროექტი შეიძლება შეიმუშაონ რუსეთის ყველა, ან ძალიან ბევრი, ერის მარქსისტებმა.

მომწერეთ ახლავე, თანახმა ხართ თუ არა დამეხმაროთ. საერთოდ მომწერეთ **უ ფ რ ო ხ შ ი რ ა დ**, კვირაში ერთხელ მაინც. მიუტევებელია პასუხის დიდი ხნით დაგვიანება, იქონიეთ ეს მხედველობაში, განსაკუთრებით ახლა!!

ხელს გართმევთ. თქვენი ვ. ი.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35, გვ. 135 — 136

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

* — ან. **რ ე დ.**

ინესა არმანდს

ახლა წავიკითხე, my dear friend *, ვინიჩენკოს ახალი რომანი, შენ რომ გამომიგზავნე [185]. რა ჩმახვა და სისულელეა! რაც შეიძლება ბლომად შეაერთო ყოველგვარი «საშინელებანი», ერთად მოუყარო თავი «ბიწიერებასაც», «სიფილისსაც», რომანიულ ბოროტმოქმედებასაც, რომელსაც ერთვის ფულის გამოძალვა საიდუმლოებისათვის (და საყვარლად გახდა იმ სუბიექტის დისა, რომელსაც ძარცვავენ), ექიმის გასამართლებასაც! ყველაფერი ეს ისტერიკებით, პრანქვით, როსკიპთა ორგანიზაციის «თავისი» თეორიის პრეტენზიებით. ეს ორგანიზაცია თვითონ სრულებით არაფერს ცუდს არ წარმოადგენს. მაგრამ ს წ ო რ ე დ ავტორი, თვითონ ვინიჩენკო შეუსაბამობად აქცევს მას, გ ა რ ს უ ტ რ ი ა ლ ე ბ ს, «აჩემებულ საგნად» იხდის.

«რეჩში» რომანის შესახებ ნათქვამია, დოსტოევსკის მიბაძვაა და და შიგ არის კარგი რამო. მიბაძვა არის, ჩემი აზრით, და ყოვლად ცუდი მიბაძვა ყოვლად ცუდი დოსტოევსკისათვის. ცალ-ცალკე, რა თქმა უნდა, არის ხოლმე ცხოვრებაში ყველა ის «საშინელებანი», რომლებსაც ვინიჩენკო აღწერს. მაგრამ ყველა ამ საშინელებისა და ასეთნაირად ერთად თავმოყრა — ნიშნავს იმას, რომ თ ი თ ხ ნ ი დ ე საშინელებებს, აშინებდე შენს წარმოდგენასაც და მკითხველსაც, «არეტიანებდე» შენს თავსაც და მასაც.

ერთხელ მომიხდა ღამე გამეტარებინა ავადმყოფ (ციებ-ცხელებიან) ამხანაგთან — და ერთხელ «შემეგონებინა» ამხანაგისათვის, რომელმაც თავის მოკვლა სცადა (ცდის შემდეგ) და შემდეგში, რამდენიმე წლის შემდეგ მაინც მოიკლა თავი. ორივე მოგონება — à la**

---

* — ჩემო ძვირფასო მეგობარო. რ ე დ.

** მსგავსად. რ ე დ.

ვინიჩენკოსი. მაგრამ ორივე შემთხვევაში ეს იყო ორივე ამხანაგის ცხოვრების მცირე ნაწილები. ამ ახირებულმა ყოვლად სულელმა ვინიჩენკომ კი, რომელსაც თავისი თავი მოსწონს, აქედან გააკეთა მთლიან საშინელებათა კოლექცია — თავისებური «2 პენსის საშინელებანი». უუ... აბდაუბდაა, სისულელეა, მენანება, რომ კითხვაზე დრო დავხარჯე.

1914 წ. 5 ივნისი,
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35,
გვ. 137 — 138

ბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

ინესა არმანდს

Dear friend! * ძალიან გირჩევთ ბროშურის გეგმა რაც შეიძლება დაწვრილებით დაწეროთ [186]. უამისოდ ძალიან ბევრი რამ გაურკვეველია.

ერთი აზრი ახლავე უნდა გამოვთქვა:

§ 3 — «სიყვარულის თავისუფლების მოთხოვნა (ქალთა)» გირჩევთ სულ ამოაგდოთ.

ნამდვილად ეს პროლეტარული კი არა, ბურჟუაზიული მოთხოვნა გამოდის.

მართლაც, რას გულისხმობთ ამ მოთხოვნით? რა შ ე ი ძ ლ ე ბ ა ვიგულისხმოთ ამ მოთხოვნით?

1. სიყვარულის საქმეში თავისუფლება მატერიალური (ფინანსური) ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ი ს ა გ ა ნ?
2. აგრეთვე მატერიალური ზ რ უ ნ ვ ი ს ა გ ა ნ?
3. რელიგიური ცრურწმენებისაგან?
4. მამის მიერ აკრძალვისაგან etc.?
5. «საზოგადოების» ცრურწმენებისაგან?
6. წრის (გლეხური თუ მეშჩანური თუ ინტელიგენტურ-ბურჟუაზიული წრის) ვიწრო გარემოსაგან?
7. კანონის, სასამართლოს და პოლიციის ბორკილებისაგან?
8. სიყვარულში სერიოზულისაგან?
9. ბავშვების შობისაგან?
10. ადიულტერის თავისუფლება? და სხვ.

მე ბევრი (რა თქმა უნდა, არა ყველა) ელფერი ჩამოვთვალე. თქვენ, რასაკვირველია, გულისხმობთ არა №№ 8 — 10, არამედ ან №№ 1 — 7-ს ანდა №№ 1 — 7-ის მ ს გ ა ვ ს ს.

---

* — ძვირფასო მეგობარო! რ ე დ.

მაგრამ №№ 1 — 7-სათვის სხვა აღნიშვნა უნდა ამოირჩიოთ, რადგან სიყვარულის თავისუფლება ზუსტად არ გამოხატავს ამ აზრს.

ხოლო ხალხი, ბროშურის მკითხველები «სიყვარულის თავისუფლებად» აუცილებლად იგულისხმებენ საერთოდ №№ 8—10-ის მსგავს რამეს, თქვენი სურვილის წინააღმდეგაც კი.

სწორედ იმიტომ, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ყველაზე ყბედ, მოხმაურე და «ზემოთსაჩინარ» კლასებს «სიყვარულის თავისუფლებად» ესმით №№ 8 — 10, სწორედ ამიტომ ეს არის არა პროლეტარული, არამედ ბურჟუაზიული მოთხოვნა.

პროლეტარიატისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია №№ 1 — 2. ხოლო შემდეგ №№ 1 — 7, ეს კი, უნდა ითქვას, «სიყვარულის თავისუფლება» როდია.

საქმე ის კი არ არის, თუ ამით სუბიექტურად რა «გსურთ იგულისხმოთ». საქმეა სიყვარულის საქმეებში კლასობრივი ურთიერთობის ობიექტური ლოგიკა.

Friendly shake hands!

W. I. *

1915 წ. 17 იანვარი,
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ.35,
გვ. 178 — 179

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

* — მეგობრულად გართმევთ ხელს! ვ. ი. რედ.

ინესა არმანდს

ძვირფასო მეგობარო! ბოდიშს ვიხდი, პასუხი რომ დაგიგვიანეთ: გუშინ მინდოდა, მაგრამ დამაბრკოლეს და დრო აღარ დამრჩა წერილს ჩავჯდომოდი.

ბროშურის თქვენი გეგმის შესახებ ჩემი აზრი იყო, რომ «სიყვარულის თავისუფლების მოთხოვნა» გაურკვეველია და — თქვენი სურვილისაგან დამოუკიდებლად (ამას ხაზს ვუსვამდი და ვამბობდი: საქმეა ობიექტური, კლასობრივი ურთიერთობა და არა თქვენი სუბიექტური სურვილები) — თანამედროვე საზოგადოებრივ გარემოში იქნება ბურჟუაზიული და არა პროლეტარული მოთხოვნა.

თქვენ თანახმა არა ხართ.

კარგი. საქმე ერთხელ კიდევ განვიხილოთ.

გაურკვეველი რომ გარკვეული გამეხადა, მე ჩამოვთვალე ათიოდე შ ე ს ა ძ ლ ო (და კლასობრივი შუღლის ვითარებაში აუცილებელი) სხვადასხვა განმარტება, ამასთან აღვნიშნე, რომ 1 — 7 განმარტებანი, ჩემი აზრით, ტიპიური ან დამახასიათებელი იქნება პროლეტარი ქალებისათვის, ხოლო 8 — 10 ბურჟუა ქალებისათვის.

თუ ამის უარყოფას დაიწყებთ, უნდა ცხადყოთ (1) რომ ეს განმარტებანი სწორი არ არის (მაშინ უნდა შეცვალოთ ისინი სხვა განმარტებებით ან აღნიშნოთ ისინი, რომლებიც სწორი არ არის) ან (2) სრული არ არის (მაშინ დაუმატოთ რაც აკლია) ან (3) ისე არ იყოფა პროლეტარულ და ბურჟუაზიულ განმარტებებად.

არც ერთს, არც მეორეს, არც მესამეს თქვენ არ აკეთებთ.

1 — 7 პუნქტებს თქვენ სულაც არ ეხებით. მაშასადამე, ცნობთ მათს (საერთოდ) სისწორეს? (ის, რასაც თქვენ იწერებით პროლეტარი ქალების პროსტიტუციაზე და მათს დამოკიდებულებაზე: «არას

თქმის შეუძლებლობაზე» სავსებით შეესაბამება 1 — 7 პპ-ს. აქ ჩვენს შორის უთანხმოებას ვერაფერში ვერ დავინახავთ).

თქვენ სადავოდ არა ხდით იძასაც, რომ ეს პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი განმარტებაა.

რჩება 8 — 10 პპ.

ისინი თქვენ «ცოტა არ გესმით» და «მედავებით»: «არ მესმის, როგორ შ ე ი ძ ლ ე ბ ა (სწორედ ასე სწერია!) **გავაიგივეოთ** (!!??) სიყვარულის თავისუფლება» 10 პ-თან...

გამოდის, რომ მ ე «ვაიგივებ», თქვენ კი მ ე დამიპირეთ გაცამტვერება და შემუსვრა?

როგორ? რა?

ბურჟუა ქალები სიყვარულის თავისუფლებად გულისხმობენ 8 — 10 პპ. — აი ჩემი თეზისი.

თქვენ ამას უარყოფთ? მითხარით, ბ უ რ ჟ უ ა ქალები რას გულისხმობენ სიყვარულის თავისუფლებად?

თქვენ ამას არ ამბობთ. ნუთუ ლიტერატურა და ცხოვრება არ ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ნ, რომ ბურჟუა ქალები სწორედ ამას გულისხმობენ? სავსებით ამტკიცებენ! თქვენ მდუმარედ ცნობთ ამას.

რაკი ასე არის, აქ საქმეა მათი კლასობრივი მდგომარეობა, და **მათი** «უარყოფა» არა მგონია შეიძლებოდეს და არა მგონია გულუბრყვილობა არ იყოს.

საჭიროა გარკვეულად ჩ ა მ ო ვ ა შ ო რ ო თ მათ, დ ა ვ უ პ ი რ დ ა პ ი რ ო თ მათ პროლეტარული თვალსაზრისი. უნდა გავითვალისწინოთ ის ობიექტური ფაქტი, რომ უამისოდ **ისინი** სათანადო ადგილებს ამოგლეჯენ თქვენი ბროშურიდან, თავისებურად განმარტავენ მათ, თქვენს ბროშურას თავიანთთვის გამოსადეგად გახდიან, მუშების წინაშე დაამახინჯებენ თქვენს აზრებს, «შ ე ა შ ფ ო თ ებ ე ნ» მუშებს (ჩაუნერგავენ იმის შიშს, უ ც ხ ო იდეები ხომ არ მიგაქვთ თ ქ ვ ე ნ მათთან). ხოლო მათ ხელში აუარებელი გაზეთია და სხვ.

თქვენ კი სრულებით დაგვიწყნიათ ობიექტური და კლასობრივი თვალსაზრისი და «იერიშზე» გადმოდიხართ ჩ ე მ წინააღმდეგ, თითქოს მე «ვაიგივებდე» სიყვარულის თავისუფლებას 8 — 10 პპ-თან... საოცარია, ღმერთმანი, საოცარი...

«წუთიერი ვნება და კავშირიც კი» უფრო პოეტური და წმინდაა», ვიდრე (უხამსი) ცოლ-ქმრის «უსიყვარულო კოცნა». თქვენ ასე წერთ. და ასე აპირებთ დაწეროთ ბროშურაში. ჩინებულია.

ლოგიკური დაპირდაპირებაა თუ არა? უხამსი ცოლ-ქმრის უსიყვარულო კოცნა ბიწიერია. გეთანხმებით. მას უნდა დავუპირდაპიროთ... რა?... თითქოს: კოცნა სიყვარულით? თქვენ კი უპირდაპირებთ «წუთიერ» (რატომ წუთიერ?) «ვნებას» (რატომ სიყვარულს არა?) — ლოგიკის მიხედვით გამოდის, რომ თითქოს უსიყვარულო (წუთიერი) კოცნა უპირდაპირდება ცოლ-ქმრის უსიყვარულო კოცნას... უცნაურია. პოპულარული ბროშურისათვის უმჯობესი ხომ არ იქნება მეშჩანურ-ინტელიგენტურ-გლეხური (ვგონებ, ჩემი 6 პ. თუ 5 პ.) უსიყვარულო უხამსი და ბიწიერი ქორწინება დაუპირდაპირდეს სიყვარულზე აგებულ პროლეტარულ სამოქალაქო ქორწინებას (დაემატოს, **თუ მაინცადამაინც აუცილებლად გინდათ**, რომ წუთიერი კავშირი-ვნებაც შეიძლება ბიწიერიც იყოს და წმინდაც). თქვენ გამოგივიდათ არა კლასობრივი **ტიპების** დაპირდაპირება, არამედ «კაზუსის» მსგავსი რამ, რომელიც, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. მაგრამ განა საქმე კაზუსებია? თუ ავიღებთ თემას: კაზუსი, ინდივიდუალური შემთხვევა ბიწიერი კოცნისა ცოლ-ქმრობაში და წმინდა კოცნისა წუთიერი კავშირის დროს, — ეს თემა უნდა დამუშავდეს რომანში (ვინაიდან აქ მთავარია **ინდივიდუალური** გარემოება, **მოცემული ტიპების ხასიათებისა** და ფსიქიკის ანალიზი). ბროშურაში კი?

თქვენ ძალიან კარგად გაგიგიათ ჩემი აზრი შეუფერებელი ციტატის შესახებ კეიდან [187], რომ ამბობთ, «უაზრობაა» ვიკისროთ როლი «სიყვარულის პროფესორებისა». სწორედ რომ ასეა. აბა რა, ვიკისროთ როლი წუთიერი სიყვარულის პროფესორებისა და სხვ.?

სწორე მოგახსენოთ, მე სულაც არ მინდა პოლემიკა. ხალისით გადავაგდებდი ამ ჩემს წერილს და გადავდებდი საქმეს საუბრამდე. მაგრამ მინდა, რომ ბროშურა კარგი იყოს, რომ არავის **არ შეეძლოს** ამოგლიჯოს იქიდან თქვენთვის არასასიამოვნო ფრაზები (ზოგჯერ საკმარისია **ერთი** ფრაზა, რომ ყველაფერი გააფუჭოს...), **არ შეეძლოს გადაასხვაფეროს** თქვენი აზრები. დარწმუნებული ვარ, რომ აქაც «ნების წინააღმდეგ» დაწერეთ, და ამ წერილს მხოლოდ იმიტომ გიგზავნით, რომ წერილებთან დაკავშირებით იქნებ უფრო დაწვრილებით გაარჩევთ გეგმას, ვიდრე საუბრების გამო, ხოლო გეგმა ხომ მეტად მნიშვნელოვანი რამ არის.

ხომ არა გყავთ ნაცნობი ფრანგი სოციალისტი ქალი? გადაუთარგმნეთ მას (ვითომდა ინგლისურიდან) ჩემი 1 — 10 პპ. და თქვენი შენიშვნები «წუთიერის» შესახებ და სხვ. და დააკვირდით მას, მოუსმინეთ ყურადღებით: პატარა ცდა, რას იტყვიან **გარეშე** ადამია-

ნები, როგორია მათი შთაბეჭდილება, რას მოელოდნეს ბროშურისაგან?

ხელს გართმევეთ და გისურვებთ ნაკლებად გაწუხებდეთ თავის ტკივილი და მალე გამოჯანმრთელდეთ.

ვ. უ.

P. S. ბოჟის [188] შესახებ არ ვიცი... შესაძლოა, რომ my friend-ი * გადაჭარბებულ რამეს დაჰპირდა... მაგრამ რას? არ ვიცი. საქმე გადადებულია, ე. ი. კონფლიქტი გადადებულია, აღმოფხვრილი ა რ ა ა. უნდა ვიბრძოლოთ და ვიბრძოლოთ!! მოვახერხებთ თუ ვერა გადავათქმევინოთ? თქვენი აზრი როგორია?

1915 წ. 24 იანვარი
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35.
გვ. 180 — 183

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

* — ჩემი მეგობარი. რ ე დ.

დეპეშა ა. ვ. ლუნაჩარსკის

პეტროგრადი

სმოლნი

განათლების სახალხო კომისარს ლუნაჩარსკის

გაკვირვებული ვარ და აღმაშფოთა თქვენმა და მალინოვსკის უმოქმედობამ პიტერის და მოსკოვის საზოგადოებრივი შენობებისათვის კარგი ციტატებისა და წარწერების მომზადების საქმეში [159].

ნიკოლოზ როზენფელდი გვთხოვს მივცეთ მას შეკვეთა რომელიმე საზოგადოებრივი შენობების მოსახატავად. მოგვეცით თქვენი დასკვნა.

ლ ე ნ ი ნ ი

1918 წ. 13 მაისი
ლენინის კრებული XXI, გვ. 205

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

დეპეშა ა. ვ. ლუნაჩარსკის

18. IX. 1918 წ.

პეტროგრადი
სახალხო კომისარ ლუნაჩარსკის
ასლი მოსკოვი, ოსტოჟენკა, 53
პოკროვსკის

დღეს მოვისმინე ვინოგრადოვის მოხსენება ბიუსტებისა და ძეგ
ლების შესახებ, აღშფოთებული ვარ გულის სიღრმემდე; თვეობი
არაფერი არ კეთდება; დღემდე ერთი ბიუსტიც არ დადგმულა, რა
დიშჩევის ბიუსტი რომ გაქრა, ეს კომედიაა. ქუჩაში დასადგმელ
მარქსის ბიუსტი არ არის, ქუჩებში წარწერებით პროპაგანდისათვ
არაფერი არ გაკეთებულა. გიცხადებთ საყვედურს დანაშაულებრივ
და გულგრილი დამოკიდებულებისათვის, მოვითხოვ გამომიგზავნო
ყველა პასუხისმგებელ პირთა სახელები სამართალში მისაცემად
სირცხვილი მესაბოტაჟეებსა და დოყლაპიებს.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35, .
გვ. 382

იბეჭდება თხზულებათა ტექსტ
მიხედვით

მოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმს

ძვირფასო ამხანაგებო! მივიღე თქვენი ქაღალდი № 24962 პრეზიდიუმის 7. X-ის დადგენილების ამონაწერით[99].

სინდისქვეშ უნდა გითხრათ, ეს დადგენილება შედგენილია პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ა დ ისე უვიცად და ისე სულელურად, რომ გულის არევას იწვევს. ...«პრეზიდიუმი იძულებულია პასუხისმგებლობა მოიხსნასო»... ასე პირველული ქალიშვილები იქცევიან და არა სრულასაკოვანი პოლიტიკოსები. პასუხისმგებლობას ვერ მოიხსნით, არამედ სამმაგად გააძლიერებთ.

თუ სახალხო განათლების კომისარიატი არ გიპასუხებთ და არ ასრულებს თავის მოვალეობას თქვენ მიმართ, თქვენ მოვალე ხართ ი ჩ ი ვ ლ ო თ და დოკუმენტებიც გქონდეთ. ბავშვები ხომ არა ხართ, ეს რომ არ გესმოდეთ.

როდის იჩივლეთ? სად არის ასლი? სად არის დოკუმენტები და დამამტკიცებელი საბუთები?

მთელი პრეზიდიუმიც და ვინოგრადოვიც, ჩემი აზრით, ერთი კვირით საპყრობილეში ჩასასმელი ხართ უმოქმედობისათვის.

თუ სახალხო განათლების კომისარიატი «არ იძლევა ბიუსტებს» (როდის მოითხოვეთ? ვისგან? ასლი და დოკუმენტი? როდის გაასაჩივრეთ?), — უნდა გ ე ბ რ ძ ო ლ ნ ა თ თ ქ ვ ე ნ ი უ ფ ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს. «პასუხისმგებლობის მოხსნა» კი პირველული ქალიშვილებისა და სულელი რუსი ინტელიგენტების მანერაა.

მაპატიეთ, გულახდილად რომ გამოვთქვი აზრი, და მიიღეთ კომუნისტური სალამი

ლ ე ნ ი ნ ი ს ა გ ა ნ,

რომელიც იმედოვნებს, რომ თქვენ ხელისუფლების უმოქმედობისათვის საპყრობილით დაგსჯიან, და რომელიც დიდად აღშფოთებულია თქვენი ქცევით.

12. X. 1918.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35, გვ. 388 — 389

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ა. მ. გორკის

31. VII. 1919.

ძვირფასო ალექსი მაქსიმეს-ძევ! რაც უფრო დაკვირვებით ვკითხულობ თქვენს წერილს, რაც უფრო ვფიქრობ მისი დასკვნების კავშირზე მის შინაარსთან (და ჩვენი შეხვედრების დროს თქვენ მიერ ნაამბობთან), მით უფრო ვრწმუნდები, რომ ეს წერილიც, თქვენი დასკვნებიც და მთელი თქვენი შთაბეჭდილებებიც მთლად ავადმყოფურია.

პიტერი ერთ-ერთი ყველაზე ავადმყოფური პუნქტია ამ ბოლო დროს. ეს გასაგებიც არის, ვინაიდან მისმა მოსახლეობამ ყველაზე მეტი გადაიტანა, მუშებმა ყველაზე მეტი საუკეთესო თავიანთი ძალები გაიღეს, აუტანელი შიმშილობაა, სამხედრო საფრთხეც. თქვენი ნერვები აშკარაა ვეღარ უძლებს. ეს გასაკვირველი არ არის. თქვენ კი ჯიუტობთ, როცა გეუბნებიან, რომ ადგილი უნდა გამოიცვალოთ, ვინაიდან სრულებითაც გონივრული არ არის ისე აიწეწოთ ნერვები, რომ თავი დაიავადმყოფოთ, უბრალო ანგარიშის თვალსაზრისითაც კი არ არის გონივრული, სხვა თვალსაზრისზე რომ აღარა ვთქვათ რა.

ისევე როგორც თქვენი საუბრები, თქვენი წერილიც შეიცავს იმ ავადმყოფურ შთაბეჭდილებათა ერთობლიობას, რომლებსაც თქვენ ავადმყოფურ დასკვნებამდე მიჰყავხართ.

თქვენ იწყებთ დიზენტერიითა და ხოლერით; და ერთბაშად ჩანს რაღაც ავადმყოფური გაბოროტება: «ძმობა, თანასწორობა». შეუგნებლად, მაგრამ რაღაც ისე გამოგიდით, რომ კომუნიზმს მიუძღვის ბრალი ალყაშემორტყმული ქალაქის გაჭირვებაში, სიღატაკესა და ავადმყოფობებში!!

შემდეგ, ჩემთვის გაუგებარი რაღაც გაბოროტებული ოხუნჯობა

«უწმაწური» (როგორი? რატომ კალინინთან დაკავშირებული?) ლიტერატურის წინააღმდეგ. და დასკვნა, თითქოს «გონიერ მუშათა ულბადრუკი ნაშთები» ამბობენ, რომ ისინი «ტყვედ ჩაუგდეს» «გლეხს».

ეს არაფერს არა ჰგავს. როგორ, კალინინს ხომ არა სდებთ ბრალს, რომ მუშები გლეხს ჩაუგდო ტყვედ? ასე გამოდის.

ამას გამოიგონებდნენ ან მთლად უმეცარი, სულელი მუშები, რომელთაც თავის მაგივრობას «მემარცხენე» ფრაზა უწევთ, ან ნერვებაშლილნი, დატანჯულნი, მშიერნი, ავადმყოფნი, ან «არისტოკრატიის ნაშთები», რომელთაც საუცხოოდ ეხერხებათ დაამახინჯონ ყოველივე და ყველაფერი, საუცხოოდ ებღაუჭებიან ყოველ წვრილმანს, რათა გადმოანთხიონ თავიანთი ცოფიანი გაბოროტება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ ნაშთებს თქვენ კიდეც იხსენიებთ იქვე წერილში. მათი განწყობილება თქვენზე ავადმყოფურად მოქნეედებს.

თქვენ იწერებით, რომ «სულ სხვადასხვა ფენის ადამიანებს» ხედავთ. ერთია ხედავდე და სულ სხვაა ყოველდღე მთელ ცხოვრებაში გრძნობდე შეხებას. ამ უკანასკნელის განცდა თქვენ უფრო მეტად გიხდებათ ამ «ნაშთებისაგან» — თუნდაც თქვენი პროფესიის გამო, რომელიც გაიძულებთ ათობით «მიიღოთ» გაბოროტებული ბურჟუაზიული ინტელიგენტები, და ცხოვრების ვითარების გამოც.

თითქოს «ნაშთები» «საბჭოთა ხელისუფლების მიმართ რაღაც სიმპათიის მსგავსს გრძნობენ», «მუშების უმრავლესობა» კი იძლევა ქურდებს, მიტმასნილ «კომუნისტებს» და სხვ.! და თქვენ იმ «დასკვნამდე» მიდიხართ, რომ რევოლუციის მოხდენა არ შეიძლება ქურდების დახმარებით, არ შეიძლება უინტელიგენციოდ.

ეს თავიდან ბოლომდე ავადმყოფური ფსიქიკაა, გაბოროტებულ ბურჟუაზიულ ინტელიგენტთა ვითარებაში გამწვავებული.

ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ინტელიგენცია (არათეთრგვარდიული) მოვიზიდოთ ქურდების წინააღმდეგ საბრძოლველად. და ყ ო ვ ე ლ თ ვ ე ს საბჭოთა რესპუბლიკაში მ ა ტ უ ლ ო ბ ს % ბურჟუაზიული ინტელიგენტებისა, რომლებიც კი არ ბუზღუნებენ და ცოფს კი არა ყრიან, არამედ გ უ ლ წ რ ფ ე ლ ა დ ეხმარებიან მუშებსა და გლეხებს. პიტერში ამის «დანახვა» არ შეიძლება, ვინაიდან პიტერი ის ქალაქია, სადაც განსაკუთრებით ბევრია ადგილდაკარგული (და თავგზააბნეული) ბურჟუაზიული საზოგადოება (და «ინტელიგენცია»), მაგრამ მთელი რუსეთისათვის ეს უდავო ფაქტია.

პიტერში ან პიტერიდან ამაში დარწმუნება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ განსაკუთრებით სრული პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ცოდნა მოგეპოვება, თუ სპეციალურად დიდი პოლიტიკური გამოცდილება გაქვს. ეს თქვენ არა გაქვთ. და თქვენ პოლიტიკას კი არ ეწევით და პოლიტიკური მშენებლობის მ უ შ ა ო ბ ა ს კი არ აკვირდებით, არამედ მისდევთ განსაკუთრებულ პროფესიას, რაც თქვენ გარს გახვევთ გაბოროტებულ ბურჟუაზიულ ინტელიგენციას, რომელსაც ვერაფერი ვერ გაუგია, არაფერი არ დავიწყებია, ვერაფერი ვერ უსწავლია, ხოლო უ კ ე თ ე ს — იშვიათ საუკეთესო შემთხვევაში — დაბნეულია, სასოწარკვეთილია, კვნესის, იმეორებს ძველ ცრურწმენებს, დაშინებულია და თვითონაც იშინებს თავს.

თ უ დ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ა ა, უნდა აკვირდებოდე ქვემოთ, სადაც შეიძლება დ ა ი ნ ა ხ ო მუშაობა ცხოვრების ახალი წყობის შესაქმნელად, პროვინციის მუშათა დაბაში ან სოფლად, — იქ საჭირო არ არის პოლიტიკურად მოიცავდე ურთულეს მონაცემთა ერთობლიობას, იქ შეიძლება მხოლოდ აკვირდებოდე. ნაცვლად ამისა თქვენ თავი ჩაიყენეთ თარგმანებისა და სხვა ამგვართა პროფესიონალი რედაქტორის მდგომარეობაში, ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც არ შეიძლება დააკვირდე ახალი ცხოვრების ახალ შენებას, ისეთ მდგომარეობაში, რომელშიც მთელი ძალები იხარჯება ავადმყოფი ინტელიგენციის ავადმყოფურ ბუზღუნზე, იმაზე, რომ «ყოფილ» დედაქალაქს აკვირდებოდე ომით გამოწვეული უდიდესი საფრთხისა და საშინელი გაჭირვების პირობებში.

თქვენ თავი ჩაიყენეთ ისეთ მდგომარეობაში, რომ **არ შეგიძლიათ** უშუალოდ შეამჩნიოთ ის ახალი რამ, რაც მუშებისა და გლეხების, ე. ი. რუსეთის მოსახლეობის $^{9}/_{10}$-ის ცხოვრებაში ხდება; ისეთ მდგომარეობაში, რომ იძულებული ხართ ხედავდეთ ცხოვრების ნაგლეჯებს ყოფილ დედაქალაქში, საიდანაც მუშების საუკეთესო ნაწილი ფრონტებზე და სოფელში წავიდა და სადაც დარჩა არაპროპორციულად ბევრი უადგილო და უმუშევარი ინტელიგენცია, რომელიც ს პ ე ც ი ა ლ უ რ ა დ «გ ა რ ს გ ე ს ე ვ ა თ». წასვლის რჩევას თქვენ დაჟინებით უარყოფთ.

გასაგებია, რომ თავი ავადმყოფობამდე მიიყვანეთ: იწერებით, რომ სიცოცხლე არა მარტო გიჭირთ, არამედ კიდევაც «ფრიად მოგბეზრდათ»!!! აბა რა იქნება! ასეთ დროს თავი მიაჯაჭვო ყველაზე ავადმყოფურ პუნქტს თარგმნილი ლიტერატურის რედაქტორად (აი ყველაზე შესაფერი საქმე ადამიანებზე დაკვირვებისათვის, მხატვრისათვის!). ვერაფერს, რაც კი ახალია არმიაში, რაც კი ახალია სოფ-

ლად, რაც კი ახალია ფაბრიკაში, თქვენ აქ, როგორც მხატვარი, ვ ე რ შეამჩნევთ და ვ ე რ შეისწავლით. თქვენ თქვენს თავს წაართვით შესაძლებლობა აკეთოთ ის, რაც დაეკმაყოფილებდა მხატვარს, — პიტერში შეიძლება პოლიტიკოსი მუშაობდეს, მაგრამ თქვენ პოლიტიკოსი არა ხართ. დღეს ტყუილუბრალოდ ჩამტვრეული მინები, ხვალ — სროლა და ყვირილი საპყრობილიდან, მერმე პიტერში დარჩენილ არამუშათაგან ყველაზე დაღლილთა სიტყვების ნაგლეჯები, შემდეგ მილიონი შთაბეჭდილება ინტელიგენციისაგან, დედაქალაქის ინტელიგენციისაგან, რომელსაც დედაქალაქი აღარა აქვს, მერმე ასობით ჩივილი განაწყენებულთაგან, რედაქტორობისაგან თავისუფალ დროს ცხოვრების არავითარი მშენებლობის დანახვა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა (ეს მშენებლობა თავისებურად მიმდინარეობს და ყველაზე ნაკლებად პიტერში), — როგორ შეიძლება აქ ისეთ მდგომარეობამდე არ მიიყვანო თავი, რომ სიცოცხლე ფრიად მოგბეზრდეს.

ჩვენს ქვეყანაში გამალებული ბრძოლაა მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც გააფთრებით იძიებს შურს თავისი დამბრბისათვის. ბუნებრივია. პირველი საბჭოთა რესპუბლიკისათვის — პირველი დარტყმები ყ ო ვ ე ლ ი მ ხ რ ი დ ა ნ. ბუნებრივია. აქ უნდა ცხოვრობდე ან როგორც აქტიური პოლიტიკოსი, ხოლო თუ პოლიტიკისაკენ გული არ მიგიწევს, მაშინ როგორც მხატვარი უნდა აკვირდებოდე, როგორ აშენებენ ცხოვრებას ახლებურად იქ, სადაც არ არის ცენტრი გააფთრებული იერიშისა დედაქალაქზე, გააფთრებული ბრძოლისა შეთქმულებებთან, დედაქალაქის ინტელიგენციის გააფთრებული ბოროტება, სოფლად ან პროვინციულ ფაბრიკაში (ან ფრონტზე). იქ ადვილია უბრალო დაკვირვებით გამოჰყო ძველის გახრწნა ახლის ყლორტებისაგან.

სიცოცხლე შეგჯავრდათ, «გიღრმავდებათ უთანხმოება» კომუნიზმთან. რაშია უთანხმოება, შეუძლებელია გაიგოს კაცმა. ოდნავ მითითებასაც არ იძლევით პოლიტიკაში ან იდეებში უთანხმოებაზე. ეს არის განსხვავება იმ ადამიანთა გ ა ნ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ს ა, რომელნიც პოლიტიკას ეწევიან ან გართული არიან უაღრესად გააფთრებული ბრძოლით, და იმ ადამიანის განწყობილებას შორის, რომელსაც ხელოვნურად გამოუმწყვდევია თავი ისეთ მდგომარეობაში, რომ ახალ ცხოვრებაზე დაკვირვება არ შეუძლია, მაგრამ ბურჟუაზიის უზარმაზარი დედაქალაქის ლპობის შთაბეჭდილებანი აწუხებენ.

გულახდილად გადმოგეცით ის ფიქრები, რაც თქვენი წერილის წაკითხვამ აღმიძრა. საუბრებს (თქვენთან) დიდი ხანია იმავე ფიქრებამდე მივყავდი, მაგრამ თქვენმა წერილმა ჩამოაყალიბა და დაასრუ-

ლა, დაამთავრა თქვენი საუბრებისაგან მიღებული შთაბეჭდილებანი. არ მინდა თავი მოგაბეზროთ რჩევით, მაგრამ არ შემიძლია არ გითხრათ: რადიკალურად გამოიცვალეთ გარემოებაც, წრეც, ადგილ-სამყოფელიც, საქმიანობაც, თორემ შეიძლება საბოლოოდ მოგბეზრდეთ სიცოცხლე.

მაგრად გართმევთ ხელს
თქვენი ل ه ن ي ن

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35, გვ. 436 — 441

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ა. ვ. ლუნაჩარსკის

18. I 1920 წ.

ამხ. ლუნაჩარსკი!

ამას წინათ მე მომიხდა — სამწუხაროდ და ჩემდა სამარცხვინოდ, პირველად, — გავცნობოდი დალის განთქმულ ლექსიკონს [191].

ჩინებული რამეა, მაგრამ ეს ხომ კუთხური ლექსიკონია და მოძველდა. ხომ არ არის დრო შევქმნათ დღევანდელი რუსული ენის ლექსიკონი, ვთქვათ იმ სიტყვების ლექსიკონი, რომლებიც იხმარება ახლა და რომლებსაც ხმარობდნენ კლასიკოსები, პუშკინიდან გორკიმდე,

რა იქნება, ამაზე 30 მეცნიერი რომ დავსვათ და წითელარმიელის ულუფა მივცეთ?

როგორ შეხედავდით თქვენ ამ აზრს?

კლასიკური რუსული ენის ლექსიკონი?

ხმაურს ნუ ასტეხთ, მოელაპარაკეთ მცოდნეებს, თუ არ გაგიძნელდებათ, და მაცნობეთ თქვენი აზრი.

თქვენი ლენინი

ხელნაწერი, გამოც. მე-4, ტ. 35, გვ. 461

იბეჭდება ხელნაწერთა ტექსტის მიხედვით

მ. ა. ბონჩ-ბრუევიჩს

5. II. 1920 წ.

მიხეილ ალექსანდრეს-ძე!

ამხ. ნიკოლაევმა გადმომცა თქვენი წერილი და მიამბო საქმის არსი. მე ცნობები ავიღე ძერჟინსკისაგან და მაშინვე გავგზავნე ორივე დეპეშა, რომლებსაც თქვენ თხოულობდით.

ვსარგებლობ შემთხვევით, რომ გამოვთქვა თქვენდამი ღრმა მადლობა და თანაგრძნობა იმ დიდი მუშაობის გამო, რომელსაც თქვენ რადიოგამოგონებათა დარგში ეწევით. უქალალდო და «უმანძილო» გაზეთი, რომელსაც თქვენ ქმნით, დიადი საქმე იქნება. აღგითქვამთ ყოველნაირი და ყოველმხრივი დახმარება გაგიწიოთ ამ და ამის მსგავს სამუშაოებში.

საუკეთესო სურვილებით ვ. ულიანოვი (ლენინი)

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35, გვ. 464

იბეჭდება თხზულებათა. ტექსტის მიხედვით

ძ. ა. ტიმირიაზევს

ამხანაგ კლიმენტი არკადის-ძე ტ ი მ ი რ ი ა ზ ე ვ ს
(ლენინისაგან)

27. IV. 1920 წ.

ძვირფასო კლიმენტი არკადის-ძევ! დიდად გმადლობთ თქვენი წიგნისა და კეთილი სიტყვებისათვის [192]. პირდაპირ აღტაცებული ვიყავი, როცა ვკითხულობდი თქვენს შენიშვნებს ბურჟუაზიის წინააღმდეგ და საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ. მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს და სულითა და გულით გისურვებთ ჯანმრთელობას, ჯანმრთელობას და ჯანმრთელობას!

თქვენი ვ. ულ ი ა ნ ო ვ ი (ლ ე ნ ი ნ ი)

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35, გვ. 472

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

მ. ნ. პოკროვსკის

5. V. 1920 წ.

ამხ. პოკროვსკი!

მე ერთხელ მომიხდა საუბარი ამხ. ლუნაჩარსკისთან რუსული ენის კარგი ლექსიკონის გამოცემის საკიროების შესახებ. არა დალის ყაიდისა, არამედ ყველას გამოსაყენებელი (და სასწავლო) ლექსიკონი, ასე ვთქვათ, კლასიკური, თანამედროვე რუსული ენის (ვთქვათ პუშკინიდან გორკიმდე, დაახლოებით) ლექსიკონი. ულუფაზე დაესხათ 30 მეცნიერი ან რამდენიც საკიროა, ავიყვანოთ, რა თქმა უნდა, ისეთები, რომლებიც სხვა საქმეში არ გამოდგებიან; დაე გააკეთონ.

ლუნაჩარსკიმ თქვა, რომ ამაზე ის უკვე ფიქრობდა და რომ ეს არ ვიცი კეთდება, არ ვიცი გაკეთდება.

ძალიან გთხოვთ შეამოწმოთ, კეთდება თუ არა, და მომწეროთ.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35, გვ. 473

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ა. ს. სერაფიმოვიჩს

ამხ. სერაფიმოვიჩს

21. V. 1920.

ძვირფასო ამხანაგო!

ჩემმა დამ ეს არის გადმომცა, თუ რა საშინელი უბედურება დაგატყდათ თავს [193]. ნება მიბოძეთ მაგრად, მაგრად ჩამოგართვათ ხელი და გისურვოთ სიმხნევე და სულიერი სიმტკიცე. ძალიან ვწუხვარ, რომ ვერ მოვახერხე განმეხორციელებინა ჩემი სურვილი — უფრო ხშირად შეგხვდეთ და უფრო ახლოს გაგეცნოთ. მაგრამ თქვენმა ნაწარმოებებმა და ჩემი დის ნაამბობმა ჩამინერგა ღრმა სიმპათია თქვენდამი და ძალიან მინდა გითხრათ, თუ რაოდენ ს ა ჭ ი რ ო ა მუშებისა და ყველა ჩვენგანისათვის თქვენი მუშაობა და რაოდენ აუცილებელია ახლა თქვენთვის სიმტკიცე, რათა დაძლიოთ მძიმე განწყობილება და ა ი ძ უ ლ ო თ თავი დაუბრუნდეთ მუშაობას. მაპატიეთ, ნაჩქარევად რომ გწერთ. კიდევ ერთხელ: მაგრად, მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35, გვ. 475

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

პეტროგრადის ალმასკომის თავმჯდომარეს

25 ივნისი 1920

განთქმული ფიზიოლოგი პავლოვი თხოულობს საზღვარგარეთ გაშვებას მისი მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო. პავლოვის საზღვარგარეთ გაშვება არა მგონია მიზანშეწონილი იყოს, ვინაიდან ის წინათ ისეთ აზრებს გამოთქვამდა, რომ შესაფერი სჯა-ბაასის წარმოშობის შემთხვევაში ის, როგორც ალალმართალი კაცი, ვერ შესძლებს არ გამოთქვას აზრი რუსეთში საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნიზმის წინააღმდეგ.

ამავე დროს ეს მეცნიერი წარმოადგენს ისეთ დიდ კულტურულ ღირებულებას, რომ შეუძლებელია ის ძალით გავაჩეროთ რუსეთში მატერიალური ხელმოკლეობის პირობებში.

ამიტომ სასურველია, რომ გამონაკლისის სახით მივცეთ მას ზენორმალური ულუფა და საერთოდ ვიზრუნოთ მისთვის ცოტად თუ ბევრად კომფორტაბელური, სხვებისაგან განსხვავებული პირობების შესაქმნელად.

მე გაგებული მაქვს, რომ პეტროგრადის დასასვენებელ სახლებში მყოფთათვის ცხოვრების ძალიან კარგი პირობებია შექმნილი. მსგავსი რამ შეიძლებოდა გაგვეკეთებინა აგრეთვე პროფესორ პავლოვისათვის მის ბინაზე.

ამხ. ლუნაჩარსკიმ მიმართა შესაბამისი წინადადებით ამხ. ბადაევს. მე გთხოვთ მხარი დაუჭიროთ მას ამ მხრივ [194].

ლ ე ნ ი ნ ი

ლენინის კრებული XXXIV,
გვ. 326 — 329

იბეჭდება კრებულის ტექსტის
მიხედვით

აკადემიკოს ი. პ. პავლოვისა და მისი თანამშრომლების მეცნიერული მუშაობის უზრუნველმყოფელი პირობების შესახებ

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

მიიღო რა მხედველობაში აკადემიკოს ი. პ. პავლოვის სრულიად განსაკუთრებული მეცნიერული დამსახურება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოს მშრომელებისათვის, სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. შეიქმნას პეტროგრადის საბჭოს წარდგინების საფუძველზე ფართო რწმუნებებით აღჭურვილი სპეციალური კომისია ამხ. მ. გორკის, პეტროგრადის უმაღლეს სასწავლებელთა გამგის ამხ. კრისტის და პეტროგრადის საბჭოს სამმართველოს განყოფილების კოლეგიის წევრის ამხ. კაპლუნის შემადგენლობით, რომელსაც დაევალოს უმოკლეს ვადაში შექმნას რაც შეიძლება უფრო ხელსაყრელი პირობები აკადემიკოს პავლოვისა და მისი თანამშრომლების მეცნიერული მუშაობის უზრუნველსაყოფად.

2. დაევალოს სახელმწიფო გამომცემლობას დაბეჭდოს რესპუბლიკის საუკეთესო სტამბაში მდიდრულ გამოცემად აკადემიკოს პავლოვის მიერ გამზადებული მეცნიერული შრომა, რომელიც აჯამებს მისი უკანასკნელი 20 წლის მეცნიერული მუშაობის შედეგებს, ამასთან შეუნარჩუნოს აკადემიკოს ი. პ. პავლოვს ამ თხზულების საკუთრების უფლება როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ.

3. დაევალოს მუშათა მომარაგების კომისიას მისცეს აკადემიკოს პავლოვს და მის ცოლს სპეციალური ულუფა, რომელიც კალორიულობით ორ აკადემიურ ულუფას შეედრება.

4. დაევალოს პეტროგრადის საბჭოს უზრუნველყოს პროფესორ პავლოვისა და მისი ცოლისათვის მათ მიერ დაკავებული ბინით სამუდამოდ სარგებლობა და მაქსიმალურად მოაწყოს ეს ბინა და აკადემიკოს პავლოვის ლაბორატორია.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

მოსკოვი, კრემლი
1921 წლის 24 იანვარი

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 32.
გვ. 67 — 68

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

ე. ა. ლიტკენს

ამხ. ლიტკენს! თქვენთან შეხვედრისას დამავიწყდა მეთხოვა შეგემოწმებინათ, რა მდგომარეობაშია საქმე მეცნიერთა კომისიისა რომლებიც თანამედროვე (პუშკინიდან გორკიმდე) რუსული ენის ლექსიკონს (მოკლე ლექსიკონს) ადგენენ.

მე დიდი ხანია, ბევრჯერ შევთანხმებივარ ამის შესახებ პოკროვსკისა და ლუნაჩარსკის.

კეთდება თუ არა? სახელდობრ რა? გამიგეთ და ზუსტად მომწერეთ.

კომ. სალ. ლ ე ნ ი ნ.

6. V.

1921 წ. 6 მაისი
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35,
გვ. 517

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

Ე. ა. ლიტკენსს

ამხ. ლიტკენს! თქვენი წერილი (ლექსიკონის შესახებ) სწორედ რომ უმართებულოა[195].

თქვენ აბრალებთ მ. ნ. პოკროვსკის ადმინისტრირებას, ნაცვლად იმისა, რომ **გაათავისუფლოთ** იგი ადმინისტრირებისაგან.

ადმინისტრატორის საქმეა — უბრძანოს 1) მონახოს **ქაღალდები** (იყო თუ არა დადგენილება? ვისი? როდის? ვინ არის პასუხისმგებელი?).

2) თუ «საქმე წინ არ არის წაწეული», გაიგოს, რატომ (თუ ულუფების გამო — რამდენი? — მაშინ იქნებ გადავდოთ შემოდგომამდე)?

კომ. სალამით ლენინი

P. S. მე მაგონდება, რომ პოკროვსკის არაერთხელ უთქვია ჩემთვის, მაგრამ ის ადმინისტრირებას არ ეწევა.

ამაშია საქმე! იქნებ დაუცდით პოკროვსკის შვებულებაში წასვლას და **შემდეგ** მოძებნით ქაღალდებს?

1921 წ. 9 მაისი
ლენინის კრებული XX, გვ. 315

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

ე. ა. ლიტკენსს

ამხ. ლიტკენსს

17. V. 1921 წ.

ცენტროპეჩატში «ნოვაია მეტლას» დანიშვნის გამო უნდა ვისარგებლოთ მომენტით და დავადგინოთ ზუსტი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა:

1) უაღრესი სიზუსტით წერილობით დავადგინოთ, რაზე აგებენ პასუხს ცენტროპეჩატის უფროსი და საგუბერნიო განყოფილებათა უფროსები.

2) იგივე საბიბლიოთეკო ქსელის მიმართ.

(ა) საერთო — სახელმწიფოებრივი (საჯარო და რუმიანცევის)

(ბ) საგუბერნიო

(გ) სამაზრო

(დ) სათემო ბიბლიოთეკები (თუ ადრე არ არის? თუ თქვენ არ გადაგიწყვეტიათ დაკმაყოფილდეთ ჯერ სამაზროებით)...

3) საჭიროა, რომ თქვენ (და ჩვენ) აბსოლუტური სიზუსტით ვიცოდეთ, ვინ ჩავსვათ (ცენტროპეჩატიდანაც და საბიბლიოთეკო ქსელიდანაც, აუცილებლად ორივე დაწესებულებიდან), თუ თვითეული საბჭოთა წიგნის გამოსვლიდან 1 თვის (2 კვირის? 6 კვირის?) შემდეგ იგი არ არის თვითეულ ბიბლიოთეკაში. გამომიგზავნეთ ამის შესახებ მოკლე ცნობა.

ლენინი

ლენინის კრებული XX, გვ. 312

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

საზღვარგარეთული ლიტერატურის კომისიას

კ ო მ ი ნ ო ლ ი ტ ი[196]

30 სექტემბერი 1921

როგორც კომინოლიტის მოხსენებიდან ჩანს, უკანასკნელს ჯერ-ჯერობით არსებითად ვერაფრის გაკეთება ვერ მოუსწრია.

მთავარი ამოცანა, რაც უნდა დაისახოს კომინოლიტმა, არის — მიაღწიოს იმას, რომ მოსკოვის, პეტროგრადისა და რესპუბლიკის დიდი ქალაქების სპეციალურ ბიბლიოთეკებში თავმოყრილ იქნას თითო ეგზემპლარი 1914 — 1921 წლებში საზღვარგარეთ გამოსული ყველა უახლესი ტექნიკური და მეცნიერული ჟურნალისა და წიგნისა (ქიმია, ფიზიკა, ელექტროტექნიკა, მედიცინა, სტატისტიკა, ეკონომიკა და სხვ.) და მოწესრიგდეს ყველა პერიოდული გამოცემის რეგულარული მიღება. კომინოლიტის მთელ მუშაობას მე შევაფასებ პირველ რიგში ამ დავალების რეალური შესრულების თვალსაზრისით.

სხვათა შორის:

ა) მოხსენებაში აღნიშნულია, რომ კომინოლიტმა მიიღო დადგენილება, მთელი კრედიტები ყველა უწყებიდან გადაირიცხოს კომინოლიტის ანგარიშზე. შესრულებულია თუ არა ეს დადგენილება? რამდენი კრედიტია მიღებული თვითეული უწყებისაგან?

ბ) ანგარიშის მესამე გვერდზე ნათქვამია: «სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის ყუთებით მოდიოდა აუარებელი ბელეტრისტიკა და ძვირფასი საუცხოო მხატვრული გამოცემები, რომლებიც სრულიადაც არ წარმოადგენენ რაიმე მნიშვნელოვანს ან შესანიშნავს, და არავინ იცის ვისთვის არის შეძენილი (ცერძო პირებისათვის) პირადი მაამებლობის წესით».

ეს გაუგონარი სისაძაგლე და დანაშაულია. რა გააკეთა კონინოლიტმა დამნაშავეთა დასასჯელად? დაუყოვნებლივ მაცნობეთ დამნაშავეთა გვარები და როგორ დაისაჯნენ ისინი.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)

ლენინის კრებული XXIII, გვ. 200

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

ა. მ. გორკის

6 დეკემბერი 1921

ძვირფასო ალექსი მაქსიმეს-ძევ!

დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ სახელდახელოდ გწერთ. საშინლად დავიქანცე. უძილობა მკლავს. მივემგზავრები სამკურნალოდ.

მთხოვეს მოგწეროთ: ხომ არ მისწერთ **ბერნარდ შოუს**, რომ ამერიკაში წავიდეს, და **უელსს**, რომელიც ახლა ამერიკაშიაო, რომ ორივე დაგვეხმაროს დამშეულთა სასარგებლოდ შეგროვების მოწყობით?

კარგი იქნებოდა, თუ თქვენ მათ მისწერდით.

დამშეულებს მაშინ მეტი შეხვდებათ.

შიმშილი კი დიდია.

დაისვენეთ და უკეთესად იმკურნალეთ.

სალამი! ლ ე ნ ი ნ ი

ლენინის კრებული XXXIV, გვ. 428

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

ვ. ე. მოლოტოვს

6 თებერვალი 1922

ამხ. მოლოტოვ, გაზეთებში დაბეჭდილია, რომ 20 მარტისათვის დანიშნულია სახალხო განათლების საგუბერნიო და საოლქო განყოფილებების გამგეთა საგანგებო კონფერენცია. ვფიქრობ, საჭიროა ჩემი და თქვენი ხელმოწერით გაიგზავნოს ასეთი ცირკულარული დეპეშა:

«სახალხო განათლების თვითეული საგუბერნიო და საოლქო განყოფილება ვალდებულია გამოუგზავნოს დელეგატის ხელით ან ფოსტით ამ კონფერენციას ზუსტი და ვრცელი ცნობები სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებათა გამოჩენილი ადგილობრივი მუშაკების შესახებ. მათ რიცხვში უნდა შევიდნენ კონფერენციის დელეგატები. ცნობებში თითეული მუშაკის შესახებ აღნიშნული უნდა იყოს მისი ვრცელი სტაჟი, როგორც რევოლუციამდე, ისე რევოლუციის შემდეგ და მისი შეფასება ადგილობრივი საგუბერნიო აღმასკომისა და პარტიის ადგილობრივი საგუბერნიო კომიტეტის მიერ. მუშაკთა რიცხვი, რომელთა შესახებ წარმოდგენილი უნდა იყოს ასეთი ცნობები, — სულ ცოტა 2 პარტიული და 2 უპარტიო თვითეულ გუბერნიიდან.

ამ წინადადების შეუსრულებლობა ან არაწესიერად შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას როგორც პარტიული, ისე საბჭოთა წესით».[197]

შემომაქვს წინადადება ამ დეპეშის დამატებით მოეთხოვოს ამხ. ლიტკენსს, წარმოადგინოს ასეთივე ცნობები განსახკომის სულ ცოტა 10 მუშაკზე, რომლებიც უკანასკნელი წლების ან თვეების მანძილზე ყველაზე უფრო დაწინაურდნენ ცენტრში.

მე მიმაჩნია, რომ ყველა ეს ცნობა აბსოლუტურად აუცილებელია, ვინაიდან განსახკომმა ვერაფრით ვერ მოაგვარა ადგილებიდან მუშაკთა მოზიდვა, ჩვენ კი გვესაჭიროება მოვუძებნოთ მას კანდიდატები კოლეგიის განახლებისათვის.

ლ ე ნ ი ნ ი

ლენინის კრებული XXXV, გვ. 321 — 322

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

წერილიდან ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატისადმი

11 მაისი 1922

ამხ. დოვგალევსკი,

დღეს «იზვესტიაში» წავიკითხე ცნობა, რომ ნიჟნი ნოვგოროდის საბჭომ აღძრა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე შუამდგომლობა, რათა ნიჟნი-ნოვგოროდის რადიოლაბორატორიას მიენიჭოს შრომის წითელი დროშის ორდენი და პროფესორები ბონჩ-ბრუევიჩი და ვოლოგდინი შეტანილ იქნან წითელ დაფაზე.

გთხოვთ გამოთქვათ თქვენი აზრი. მე ჩემი მხრიდან საჭიროდ ვთვლი მხარი დავუჭიროთ ამ შუამდგომლობას.

ამასთანავე თქვენს მიერ ჩემს სახელზე გამოგზავნილ წერილთან დაკავშირებით გთხოვთ მაცნობოთ, ხართ თუ არა სავსებით კმაყოფილი ნიჟნი-ნოვგოროდის რადიოლაბორატორიის მუშაობით; აგრეთვე გამომიგზავნოთ ბონჩ-ბრუევიჩის რაც შეიძლება მოკლე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მიდის მისი მუშაობა ისეთი რუპორების დასამზადებლად, რომლებიც გადასცემენ ფართო მასებს იმას, რასაც უმავთულო ტელეფონი იუწყება. ამ საქმეს ჩვენთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მისი წარმატება, რასაც დიდი ხანია დაგვპირდა ბონჩ-ბრუევიჩი, უდიდეს სარგებლობას მოუტანდა აგიტაციას და პროპაგანდას.

ამიტომ საჭიროა გავიღოთ ერთგვარი მსხვერპლი, რათა მხარი დავუჭიროთ ამ სამუშაოებს. კერძოდ, მე გაგებული მაქვს, რომ ამერიკაში ასეთმა სამუშაოებმა უკვე წარმატებითი პრაქტიკული შედეგები მოიტანეს.

კარგი იქნებოდა შეგვემოწმებინა, მოეპოვება თუ არა ნიჟნი-ნოვგოროდის რადიოლაბორატორიას მთელი უახლესი ამერიკული ლიტერატურა ამ საკითხზე.

გთხოვთ რაც შეიძლება ჩქარა მომაწოდოთ თქვენი აზრი, რომ მე მოვასწრო საჭიროების შემთხვევაში ხელი მოვაწერო ამა თუ იმ ცნობას ან შუამდგომლობას სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიისათვის, რომელიც ხვალ იხსნება.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

ლენინის კრებული XXXV, გვ. 348

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

წერილიდან განათლების სახალხო კომისრისადმი

17 მაისი 1922

მე მომდის მთელი რიგი ცნობები, რომ წიგნების სიძვირე ნეპით ჩვენი «გატაცებისა» და გადაჭარბების პირობებში ხალხს აკლებს სასარგებლო წიგნებს.

მე მიმაჩნია, რომ საჭიროა დავადგინოთ რაიმე წესი ან მივილოთ დაახლოებით ასეთი კანონი: გამოიყოს ადგილობრივ გადასახადებიდან გარკვეული თანხები ცენტრში შესატანად და ფონდის შესადგენად, რომლითაც შეძენილი იქნება რამდენიმე ათასი წიგნი (ვთქვათ, სკვორცოვის «ელექტროფიკაცია» და სხვ.) ყველა სამაზრო ბიბლიოთეკისათვის გასაგზავნად.

გთხოვთ განიხილოთ ეს და მაცნობოთ თქვენი დასკვნა.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

ლენინის კრებული XXXV, გვ. 349

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

წერილები ი. ბ. სტალინს
რადიოტექნიკის განვითარების შესახებ

1

ამხანაგ სტალინს თხოვნით — გაუგზავნოს პოლიტბიუროს ყველა წევრს ერთიმეორისთვის გადასაცემად

ამხანაგო სტალინ,

გიგზავნით ორ მოხსენებას: პირველი ეკუთვნის პროფესორ ოსადჩის, ელექტრობის სპეციალისტს, რადიოტელეგრაფისა და ტელეფონის კავშირის შესახებ; მეორე — ბონჩ-ბრუევიჩს (ეს არ არის ნათესავი ცნობილი ძმების ბონჩ-ბრუევიჩებისა, რომელთაგან ერთი სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი იყო, ხოლო მეორე მეფის გამოჩენილი გენერალი). ეს ბონჩ-ბრუევიჩი, რომლის მოხსენებას გიგზავნით, რადიოტექნიკის უდიდესი მუშაკი და გამომგონებელია, ნიჟნი-ნოვგოროდის რადიოლაბორატორიის ერთ-ერთი მთავარი მოღვაწეა.

ამ მოხსენებებიდან ჩანს, რომ ჩვენს ტექნიკაში სავსებით შესაძლებელია განხორციელდეს ადამიანის ცოცხალი სიტყვის გადაცემა უმავთულო რადიოკავშირით რაც შეიძლება შორ მანძილზე; სავსებით შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს ამუშავება მრავალი ასეული მიმღებისა, რომლებიც შესძლებდნენ მოსკოვიდან სიტყვების, მოხსენებებისა და ლექციების გადაცემას მოსკოვიდან რესპუბლიკის მრავალი ასეული, ხოლო განსაზღვრულ პირობებში, მრავალი ათასი კილომეტრით დაშორებულ მრავალ ასეულ ადგილას.

მე ვფიქრობ, რომ ამ გეგმის განხორციელება ჩვენთვის უსათუოდ საჭიროა როგორც პროპაგანდისა და აგიტაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მოსახლეობის იმ მასებისათვის, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციან, ისე ლექციების გადასაცემად. ისეთ პირობებში, როცა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჩვენი პროფესორების უმრავლესობა სრულიად უვარგისნი არიან და მავნებლობაც კი

მოაქვთ, ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს, გარდა იმისა, რომ ჩვენი მცირერიცხოვანი კომუნისტი პროფესორები, რომლებსაც შეუძლიათ საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნებში ლექციები წაიკითხონ, ამ ლექციებს კითხულობდნენ ფედერაციის ყველა კუთხის მრავალი ასეული ადგილისათვის.

ამიტომ ვფიქრობ, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავიშუროთ სახსრები რადიოტელეფონის კავშირის მოწყობის საქმის ბოლომდე მიყვანის და სამუშაოდ სავსებით გამოსადეგი ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატების წარმოებისათვის.

წინადადებას ვიძლევი გამოტანილ იქნეს დადგენილება — ხარჯთაღრიცხვის გადამეტებით ექსტრაორდინარული წესით ოქროს ფონდიდან გადაიდოს დაახლოებით 100 ათასი მანეთი ოქროთი ნიჟნინოვგოროდის რადიოლაბორატორიის მუშაობის დასაყენებლად იმ ანგარიშით, რომ მაქსიმალურად დაჩქარდეს მის მიერ დაწყებულ სამუშაოთა ბოლომდე მიყვანა. — სავსებით გამოსადეგი ხმამაღლა მოლაპარაკე აპარატებისა და მთელ რესპუბლიკაში მრავალი ასეული რადიომიმღების დადგმა, რომელთაც შეეძლებათ ფართო მასებისათვის გაიმეორონ მოსკოვში ან სხვა ცენტრში წარმოთქმული სიტყვები. მოხსენებები და ლექციები.

დაევალოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს საგანგებო მეთვალყურეობა დააწესოს ამ ფონდის ხარჯვის მიმართ და, თუ ვინიცობაა მიზანშეწონილი აღმოჩნდება, შემოღებულ იქნეს პრემიები აღნიშნული ფონდიდან მუშაობის განსაკუთრებით სწრაფი და წარმატებით მსვლელობისათვის[198].

დავძენ, რომ დღევანდელი «იზვესტია» იტყობინება რადიოტელეგრაფიის სფეროში ინგლისური გამოგონების შესახებ, რომელიც საიდუმლოდ გადასცემს რადიოდეპეშებს. ამ გამოგონების ყიდვას რომ მოვახერხებდეთ, რადიოტელეფონის და რადიოტელეგრაფის კავშირი კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას მიიღებდა სამხედრო საქმისათვის.

1922 წ. 19. V. ლ ე ნ ი ნ ი

2

ამხანაგ სტალინს

ბონჩ-ბრუევიჩის დღევანდელი ბარათის გამო ვფიქრობ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია რადიოლაბორატორიის დაფინანსება ოქროს ფონდიდან სპეციალური დავალების გარეშე.

ამიტომ წინადადებას ვიძლევი დაევალოს შრომისა და თავდაცვის საბჭოს გამოარკვიოს აუცილებელი ხარჯები იმისათვის, რომ რადიოლაბორატორიამ მაქსიმალურად დააჩქაროს ხმამაღლა მოლაპარაკე ტელეფონებისა და რადიომიმღებთა გაუმჯობესების და წარმოების დამუშავება. ჩემი აზრით, მხოლოდ ამ საქმისთვის უნდა გადავდოთ ხარჯთაღრიცხვის გადამეტებით ოქროს განსაზღვრული თანხა.

1922 წ. 19. V. ل ე ნ ი ნ ი

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 33, გვ. 423 — 426

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

სახელმწიფო ელექტროსადგურის «ელექტროპერედაჩის» მუშებსა და მოსამსახურეებს

7 ნოემბერი 1922

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს, რევოლუციის მეხუთე წლისთავზე, მე განსაკუთრებული სიამოვნებით მივესალმები თქვენი კლუბის გახსნას და გამოვთქვამ იმედს, რომ თქვენ, სახელმწიფო ელექტროსადგურის «ელექტროპერედაჩის» მუშები და მოსამსახურეები, საერთო ძალღონით შესძლებთ გადააქციოთ ეს კლუბი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოზიციად მუშების განათლებისათვის.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

ლენინის კრებული XXXV, გვ. 358

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

მისალმება სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენას [199]

უდიდეს მნიშვნელობას ვაძლევ გამოფენას; დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ორგანიზაცია აღმოუჩენს მას სრულ დახმარებას. სულით და გულით გისურვებთ საუკეთესო წარმატებას.

ვ. ულიანოვი (ლენინი)

1922. 14. XI.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 33, გვ. 512

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

დირექტივები
•
განკარგულებები
•
დადგენილებები

მიწერილობა კრემლის კომენდანტს

17 მაისი 1918

კრემლის ამხანაგ კომენდანტს

გავალებთ სასწრაფო წესით მოახდინოთ რესტავრაცია ვლადიმერის ჭიშკრისა (კრემლის კოშკი, რომელიც ისტორიულ მუზეუმთან მდებარეობს). დაავალეთ რომელიმე არქიტექტორს პ. პ. მალინოვსკის მითითებით წარმოადგინოს ხარჯთაღრიცხვა და თვალი ადევნოს სამუშაოთა შესრულებას.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

ლენინის კრებული XXXV, გვ. 21 — 22

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

კომისიის დირექტივები

დაევალოს კომისიას:

1) განიხილოს დეტალურად საზოგადოებრივ მეცნიერებათა სოციალისტური აკადემიის წესდება სახკომსაბჭოში და შემდეგ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში შესატანად.
2) ახლავე მოაწყოს აზრთა გაცვლა-გამოცვლა ამ საკითხზე, ისევე როგორც შემადგენლობის საკითხზე, არარუს და საზღვარგარეთელ მარქსისტებთან.
3) შეადგინოს და განიხილოს სია კანდიდატებისა, რომლებიც გამოდგებიან და თანახმა იქნებიან იყვნენ დამფუძნებელ წევრებად, აგრეთვე მასწავლებლებად, რათა ეს სია შეტანილ იქნას სახკომსაბჭოში და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში.

1918 წ. 7 ივნისი
ლენინის კრებული XXI, გვ. 207

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

წერილი რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატს და ქონებათა სახალხო კომისარიატს

რესპუბლიკის განათლების და ქონებათა
სახალხო კომისარიატებს

გევალებათ დაუყოვნებლივ წარმოადგინოთ ცნობები იმის შესახებ, თუ სახელდობრ რა გაკეთდა 1918 13. IV დეკრეტის შესასრულებლად, განსაკუთრებით 1) ძველი ძეგლების ასაღებად, 2) მათი თუნდაც დროებითი ახალი ძეგლებით შესაცვლელად და 3) საზოგადოებრივ შენობებზე ძველი წარწერების ახალი წარწერებით შესაცვლელად (დეკრეტის § 5).

დეკრეტის შესრულების ორ თვეს გაპიანურება, დეკრეტისა, რომელიც ერთნაირად მნიშვნელოვანია პროპაგანდის თვალსაზრისითაც და უმუშევართა დასაქმების თვალსაზრისითაც, შეუწყნარებელია.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

1918 წ. 8 ივლისზე ადრე.
ლენინის კრებული XXI, გვ. 208

იბეჭდება კრებულის ტექსტის
მიხედვით

რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის, ჭონებათა სახალხო კომისარიატის და მოსკოვის საბჭოს უმოქმედობის შესახებ

სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი

სახალხო კომისართა საბჭო მიუთითებს განათლების და სახელმწიფო ქონებათა სახალხო კომისარიატებს, აგრეთვე მოსკოვის დეპუტატთა საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმს, რომ მათ სრულიად დაუშვებელი უმოქმედობა გამოიჩინეს 1918 14. IV დეკრეტის (კანონთა კრებული № 416, № 31) განხორციელების საქმეში, და ავალებს მათ ხვალ, 1918 9. VII აირჩიონ შეთანხმებით ერთი პასუხისმგებელი პირი, რომელიც ენერგიულ მეთვალყურეობას გაუწევს დეკრეტის შესრულებას და მის დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გატარებას, ამასთან ვალდებული იქნება კვირაში ორჯერ მოახსენოს ამის შესახებ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს.

1918 წ. 8 ივლისი
ლენინის კრებული XXI, გვ. 209

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

რუსეთის სფსრ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების შესახებ

სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი [200]

სახალხო კომისართა საბჭო ავალებს სახალხო განათლების კომისარიატს დაუყოვნებლივ მოამზადოს მთელი რიგი დადგენილებები და ნაბიჯები იმისათვის, რომ იმ შემთხვევაში, თუ უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის მსურველთა რიცხვი გადააჭარბებს ვაკანსიების ჩვეულებრივ რიცხვს, მიღებული იყოს უაღრესად საგანგებო ზომები, რომლებიც ყველა მსურველისათვის უზრუნველყოფენ სწავლის შესაძლებლობას და რომ არავითარი, არა მარტო იურიდიული, არამედ არც ფაქტიური პრივილეგიები შეძლებული კლასებისათვის არ იყოს დაშვებული. პირველ ადგილზე აუცილებლად უნდა იყვნენ მიღებული პროლეტარიატისა და უღარიბესი გლეხობის წრიდან გამოსული პირები, რომლებსაც ფართოდ მიეცემათ სტიპენდიები.

1918 წ. 2 აგვისტო,
ლენინის კრებული XXI, გვ. 211

ბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

სახალხო განათლების კომისარიატის საბიბლიოთეკო განყოფილებას

30 დეკემბერი 1918

გთხოვთ მიიღოთ ამის მომტანი ამხ. პროკოფიევი. მისი თხოვნა, რომ რეკვიზირებულ იქნას სურკოვის ბიბლიოთეკა რაიონისათვის, რომელშიც 40.000 კაცია, ჩემის აზრით, მართებულია; იქნებ სარგებლობის გარკვეული უფლებები დავუტოვოთ სურკოვს? გთხოვთ გამომიგზავნოთ ასლი თქვენი დადგენილებისა ამ საკითხზე. აგრეთვე გთხოვთ დაეხმაროთ როდნიკელ ამხანაგებს მათი ბიბლიოთეკის გაფართოებაში. ხომ არ შეიძლება გაუგზავნოთ მათ ერთ-ერთი მემამულის რეკვიზირებული ბიბლიოთეკა?
ამის შესახებაც გთხოვთ მაცნობოთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

ლენინის კრებული XXXV, გვ. 42.

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობის შესახებ

სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი

დაევალოს **განათლების სახალხო კომისარიატის** საბიბლიოთეკო განყოფილებას გამოაქვეყნოს ყოველთვიურად და მოაწოდოს სახკომსაბჭოს მოკლე ფაქტიური მონაცემები სახკომსაბჭოს 1918 7. VI და 1919 14.1 დადგენილებების ნამდვილად განხორციელების, ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოთა რიცხვის ნამდვილად გაფართოების და მოსახლეობაში წიგნების გავრცელების ზრდის შესახებ [201].

ეს დადგენილება გამოქვეყნდეს.

1919 წ. 30 იანვარი.
ლენინის კრებული XXIV, გვ. 158.

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით.

ვ. ვ. ვოროვსკის

24. X. 1919 წ.

ამხ. ვ. ვ. ვ ო რ ო ვ ს კ ი ს
სახელმწიფო გამომცემლობაში

გადავათვალიერე რა ბროშურა «III ინტერნაციონალი 1919 წ. 6 — 7 მარტს», გამ. «სახელმწ. გამომც-ბა», მოსკოვი, 1919 (ფასი 8 მან.), გვერდი 99, გიცხადებთ სასტიკ საყვედურს ასეთი გამოცემისათვის და მოვითხოვ, რომ სახელმწიფო გამომცემლობის კოლეგიის ყველა წევრმა წაიკითხოს ჩემი ეს წერილი და შეიმუშაოს იმის გარანტიის სერიოზული ღონისძიებანი, რომ ასეთი უმსგავსობა აღარ განმეორდეს.

ბროშურა საზიზღრად არის გამოცემული. ეს რაღაც ნათითხნია. სარჩევი არა აქვს. ვიღაც იდიოტს თუ დაუდევარს, აშკარაა, უვიცს, შეუკრებია, თითქოს მთვრალს, მთელი «მასალები», სტატიები, სიტყვები და უწესრიგოდ დაუბეჭდავს.

არც წინასიტყვაობა, არც ოქმები, არც გადაწყვეტილებათა ზუსტი ტექსტი, არც გადაწყვეტილებათა გამოყოფა სიტყვებისაგან, სტატიებისაგან, შენიშვნებისაგან, სრულიად არაფერი! უმაგალითო სირცხვილია!

დიდი ისტორიული მოვლენა შერცხვენილია ამგვარი ბროშურით.

მოვითხოვ: 1) გაასწოროთ ჩაწებების გზით. (დამნაშავენი საპყრობილეში ჩასვით და ყველა ეგზემპლარში აწებებინეთ).

მაცნობოთ:

2ა) რამდენი ეგზემპლარი დაიბეჭდა?

2ბ) რამდენი გავრცელდა?

3) ხელახლა გამოსცეთ მართებული სახით. კორექტურა მე მაჩვენეთ.

4) შემოიღოთ წესი, რომ ყოველი გამოშვებული წიგნისათვის პასუხს აგებდეს გარკვეული პიროვნება (შემოიღეთ პასუხისმგებელ პირთა ჩანაწერების წიგნი).

5) მოწესრიგების სხვა ღონისძიებანი; შეიმუშავეთ და გამომიგზავნეთ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35,
გვ. 454 — 455

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

ბარათი მ. ნ. პოკროვსკის

განათლების სახალხო კომისრის მოადგილეს

15. 1. 1920

გთხოვთ გასცეთ განკარგულება, რათა ჩვენმა სახელმწიფო ბიბლიოთეკებმა (რუმიანცევის მუზეუმმა, პეტროგრადის საჯარომ და სხვ.) დაუყოვნებლივ დაიწყონ შეგროვება და შეინახონ ყველა თეთრგვარდიული გაზეთი (რუსული და საზღვარგარეთული). გთხოვთ გამომიგზავნოთ პროექტი მიწერილობისა, რათა ყველა სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალნი აგროვებდნენ და სახელმწიფო ბიბლიოთეკებს აბარებდნენ ამ გაზეთებს.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)

P. S. იქნებ მიზანშეწონილად სცნოთ, რომ ამავე ბრძანებით (ან თუ უმჯობესია ცალკე?) მოახდინოთ განკარგულება იმის შესახებაც, რომ შემოწმდეს 1917 წლიდან გამოსული ჩვენი გაზეთების კომპლექტების შეგროვება.

ლენინის კრებული XXIV, გვ. 166

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

რეზოლუცია და აღნიშვნები ა. ვ. ლუნაჩარსკის წერილზე

17 აპრილი 1920

სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ს.

მცირე საბჭოს: გთხოვეთ ეს გაატაროთ. უფრო მეტიც: საჭიროა მიეცეთ უპირატესობა მასწავლებლებს.

ლ ე ნ ი ნ ი

თქვენ გამომიგზავნეთ ყაზანიდან მიღებული დეპეშა, რომელშიც ჩიენან ფულის ნიშნების უქონლობას. ასეთივე დეპეშები მე მივიღე ვიატკისა და ვოლოგდის გუბერნიებიდან. ყველა ამ აღგილას მასწავლებლები ფულის უქონლობის გამო ვერ იღებენ ჯამაგირს სამი თვის განმავლობაში.

ამგვარად გამოდის, რომ აბსოლუტურად დამშეულ გუბერნიებში მასწავლებლები შიმშილობენ პროდუქტების უქონლობის გამო, ხოლო მწარმოებელ გუბერნიებში, როგორიცაა ყაზანის, ვოლოგდის და ვიატკის გუბერნიები, რომლებშიც მასწავლებლებს ფაქტიურად შეეძლიათ ისაზრდოონ. — ისინი შიმშილობენ ფულის უქონლობის გამო.

მე ძალიან გთხოვთ თქვენ, ვლადიმერ ილიას-ძევ, გასცეთ რაიმე განკარგულება, ან შეიტანოთ ეს სახკომსაბჭოში განსახილველად, რათა გუბერნიების სეპირობებისათვის გამოყოფილი ფულადი ნიშნები ნაწილდებოდეს პროპორციულად, ესე იგი: 10 — 20 პროცენტის დანაკლისის შემთხვევაში ასეთი დანაკლისი გადაწილდეს ყველა ეწყებას შორის. თორემ ფაქტიურად ისე ხდება, რომ აბსოლუტურად ყველა, განათლების დარგის მოსამსახურეთა გარდა, ჯამაგირს იღებს...

ლენინის კრებული XXXV,
გვ. 116 — 117

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში გაგზავნილ ბარათიდან

29 ივნისი 1920

1) დაავალეთ სახელმწიფო გამომცემლობას სწრაფად გამოსცეს (შემოკლებულად) Keynes-ის წიგნი: «Economic consequences of the peace» *;

2) დასვით მთელი რიგი პრივატ — დოცენტები საუკეთესო... და სხვ. ახალი ეკონომიური თხზულებების სათარგმნელად და კომპილაციის გასაკეთებლად;

3) ჩააბით აქსელროდიხა (ლიუბოვ აქსელროდი) ფილოსოფიური განყოფილების რედაქტირებაში;

4) გამოიცეს მატერიალისტების (17 და 18 საუკუნის) მთელი რიგი თარგმანები და მათი თხზულებების მთელი რიგი კომპილაციები.

ლენინი

ლენინის კრებული XXXV, გვ. 134 — 135

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

* კეინსი. «მშვიდობის ეკონომიური შედეგები». რედ.

ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს

8 ივლისი 1920

ჩემს განკარგულებაში არსებული ცნობებით თქვენთან უხმარებლად ინახება ფირი ფოტო-კინემატოგრაფიული მუშაობისათვის.

ვინაიდან განსახკომის ფოტო-კინემატოგრაფიულ განყოფილებას ძალიან ესაჭიროება და შესასრულებელია მთელი რიგი სასწრაფო სამუშაოები, რომლებსაც დიდი სააგიტაციო მნიშვნელობა აქვთ, გთხოვთ გადასცეთ თქვენი მარაგის თუნდაც ნაწილი განსახკომის ფოტო-კინემატოგრაფიულ განყოფილებას.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

ლენინის კრებული XXXV, გვ. 137

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილებას

16 ოქტომბერი 1920

გთხოვთ მაცნობოთ, რით აიხსნება «პრავდის» ისეთი ცუდი ანაბეჭდები, როგორიცაა დართული ა. წ. 16 ოქტომბრის № 231. ვინაიდან ამ საკითხს მე აღვძრავ სახკომსაბჭოში, გავალებთ სასწრაფო წესით მომაწოდოთ ცნობა, რა ზომებს იღებთ თქვენ და როგორი გარანტიები არსებობს ამ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

ლენინის კრებული XXXIV,
გვ. 368

იბეჭდება კრებულის ტექსტის
მიხედვით

დეპეშა პირდაპირი მავთულით დასავლეთი ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს

ასლი სქლიანსკის

2 ნოემბერი 1920

მიუხედავად სახკომსაბჭოს დადგენილებისა სმოლენსკის უნივერსიტეტის შენობების განთავისუფლების შესახებ, თქვენ, როგორც ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრის ამხ. სემაშკოს ცნობა ადასტურებს, დღემდე შენობები არ გაგითავისუფლებიათ. გავალებთ. დაუყოვნებლივ შეასრულოთ სახკომსაბჭოს დადგენილება, გაათავისუფლოთ უნივერსიტეტის შენობები და შესრულება მომახსენოთ.

საკითხი თქვენს მიერ სახკომსაბჭოს დადგენილების შეუსრულებლობისა და სასჯელის დადების შესახებ შემაქვს სახკომსაბჭოში.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

ლენინის კრებული XXXV, გვ. 157

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

დეპეშა საგუბერნიო აღმასკომს, საოლქო ბიუროს, შრომის პირველი არმიის საბჭოს

ეკატერინბურგი

10 ნოემბერი 1920

გავალებთ დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ უნივერსიტეტის დაკავებული შენობები. არავითარი უნივერსიტეტის შენობები ამის შემდეგ არ დაიკავოთ ცენტრალური საბინაო კომიტეტის მითითების გარეშე.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლ ე ნ ი ნ ი

ლენინის კრებული XXXIV, გვ. 378

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

უმაღლესი სამხატვრო განათლების შესახებ

1

20 ნოემბერი 1920

მცირე საბჭოს

ჩემის აზრით საჭიროა შეივსოს სტატიით (ან შენიშვნით):

§ 4-ში აღნიშნული წესები უნდა შემუშავდეს ამა და ამ (მოკლე) ვადაში და მოხსენდეს მცირე სახკომსაბჭოს[202].

N B:
უნდა იყოს შეტანილი კურსში.
როგორი კონტროლი.

N B:
(1) პოლიტცოდნა
(2) და კომუნისტური
პროპაგანდა

ლენინი

2

შენიშვნები და შესწორებები სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტისათვის

18 დეკემბერი 1920

... 3. სახელოსნოებთან არსებულ მოსამზადებელ კურსზე პირველ რიგში მიიღებიან მუშები, ამასთან არავითარი სპეციალური მომზადება ამ კურსზე შესასვლელად მათ არ მოეთხოვებათ.

•

ყველა კურსზე შენიშვნა: მოსამზადებელ კურსზე სავალდებულოა პოლიტიკური ცოდნისა და კომუნისტური მსოფლმხედველობის საფუძვლების სწავლება.

წაიკითხეთ: ყველა კურსზე (§ 3-ის შენიშვნა).

•

ლენინი

ლენინის კრებული XXXV, გვ. 174.

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

სახელმწიფო გამომცემლობას

გთხოვთ შემატყობინოთ, 1) საერთოდ შემოღებულია თუ არა სახელმწიფო გამომცემლობაში ისეთი წესი, რომ უკლებლივ ყოველი წიგნისა და ბროშურის გამოცემის დროს წერილობით აღინიშნებოდეს:

ა) ხელმოწერა სახელმწიფო გამომცემლობის რედაქციის წევრისა, რომელიც პასუხისმგებელია ამ გამოცემის რედაქტორული გადასინჯვისათვის;

ბ) ხელმოწერა ტექსტის რედაქტორისა;

გ) ხელმოწერა პასუხისმგებელი კორექტორის ან გამომცემლის ან გამომშვებისა.

2) თუ არა, რა მოსაზრებანია ასეთი წესის წინააღმდეგ?

როგორია კონტროლის ახლანდელი საშუალებანი?

3) ცნობები § 1-ის მიხედვით ბროშურაზე «**კონცესიების შესახებ**». «სახკომსაბჭოს 23/XI 1920-ის დეკრეტი. დეკრეტის ტექსტი. კონცესიების ობიექტები. რუკები. სახელმწ. გამომც. 1920». სახელმწ. სტამბა (ყოფ. სიტინისა). პიატნიცკაია, 71. მოსკოვი. 1920.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

1920 წ. 11 დეკემბერი.
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35.
გვ. 493

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

დეპეშა შრომის პირველი არმიის საბჭოს, რკპ ცენტრალური კომიტეტის საოლქო ბიუროს, საგუბერნიო აღმასკომს, ურალის უნივერსიტეტს

ეკატერინბურგი

17 დეკემბერი 1920.

გიბრძანებთ დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ ურალის უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი შენობა და ამის შემდეგ არ დაარღვიოთ თვითნებურად უნივერსიტეტის მუშაობა, ამასთან გაფრთხილებთ, რომ დამნაშავენი სამართალში იქნებიან მიცემული.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე

ლ ე ნ ი ნ ი

ლენინის კრებული XXXIV, გვ. 389.

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს

15 თებერვალი 1921

ამასთან ერთად გიგზავნით:

1) მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის მუშათა ფაკულტეტის კომ. უჯრედის 9 თებერვლის საერთო კრების ოქმის ამონაწერს.

2) უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის მუშათა ფაკულტეტის კომისრის 10 თებერვლის მოხსენებით ბარათს.

3) საგზაო ინჟინერთა ინსტიტუტის, პეტროვსკო — რაზუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის კომ. უჯრედების პრეზიდიუმებისა და მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის მუშფაკის კომ. უჯრედის ბიუროს ა. წ. 23 იანვრის გაერთიანებული სხდომის ოქმის ამონაწერს.

4) პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს კულტგანყოფილების ინსტრუქტორის ა. წ. 28 იანვრის მოხსენებითი ბარათის ასლს.

ვავალებ მცირე სახკომსაბჭოს სპეციალურად იმუშაოს მუშათა ფაკულტეტების საკითხზე, ყოველმხრივ განიხილოს იგი და მიაღწიოს მუშათა ფაკულტეტების მდგომარეობის მაქსიმალურ გაუმჯობესებას.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

ლენინის კრებული XXXV, გვ. 224

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

დეპეშა ყირიმის რევკომს

სევასტოპოლი

26 თებერვალი 1921.

მიიღეთ გადამწყვეტი ზომები, რათა იალტის სასახლეებსა და კერძო შენობებში, რომლებიც ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს სანატორიუმებისათვის გამოეყო, ნამდვილად იქნას დაცული მხატვრული ფასეულობა, სურათები, ფაიფური, ბრინჯაო, მარმარილო და სხვ., რომელთა შესახებ ჩვენ მოგვეპოვება ცნობები, რომ ხდება მათი გაზიდვა. აღნიშნული საგნების გადასარჩევად და დასაცავად მოსკოვიდან სპეციალური კომისიის ჩამოსვლამდე პასუხისმგებლობა მათი დაცვისათვის გეკისრებათ თქვენ.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ლ ე ნ ი ნ ი

ლენინის კრებული XXXIV, გვ. 404

იბეჭდება კრებელის ტექსტის მიხედვით

განათლების სახალხო კომისარიატს

8. IV. 1921 წ.

ამხანაგებს ლუნაჩარსკის, პოკროვსკის და ლიტკენსს

მრავლდება ნიშნები, რომ მუშაობის სისტემატურობისა და გეგმაშეწონილობის მხრივ განსახკომში საქმე არ უმჯობესდება, წინააღმდეგ ცენტრალური კომიტეტის დირექტივებისა და ცენტრალური კომიტეტის სპეციალური დავალებებისა განსახკომის რეორგანიზაციის დროს.

როდის იქნება შემუშავებული მუშაობის ძირითადი გეგმა? ამ გეგმაში რა საკითხები შევა? ისეთები ხომ არა, როგორიცაა სახელმძღვანელოების შედგენა, — საბიბლიოთეკო ქსელი და მისი გამოყენება, — სანიმუშო სკოლები, — მასწავლებელთა ანგარიშგება, — კურსების, ლექციების, სასკოლო მეცადინეობის პროგრამები, — კონტროლი პროგრამების ფაქტიური შესრულების ხარისხისა და სასწავლო მეცადინეობის მიმდინარეობისადმი?

თუ სხვა საკითხები? რომელი საკითხები?

რომელი საკითხებია აღიარებული უმნიშვნელოვანეს, დამკვრელურ საკითხებად?

არის თუ არა დადგენილებანი ამის შესახებ? შესრულებისადმი სისტემატური მეთვალყურეობის რა ღონისძიებებია?

გთხოვთ მოკლედ მიპასუხოთ.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35.
გვ. 509

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

განათლების სახალხო კომისარიატს

ანატოლი ვასილის-ძე ლუნაჩარსკის
ასლი «გლავტორფს»

ტორფის მოპოვება რომ განვავითაროთ, საჭიროა ფართოდ დავაყენოთ პროპაგანდა — ფურცლები, ბროშურები, მოძრავი გამოფენები, კინემატოგრაფიული გადაღება, სახელმძღვანელოების გამოცემა; სკოლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში შემოვიღოთ სავალდებულო საგანი ტორფის მოპოვების შესახებ; შევადგინოთ სახელმძღვანელოები; ყოველწლიურად გავგზავნოთ ექსკურსია საზღვარგარეთ.

კონკრეტულად საჭიროა: 1) დაევალოს სახელმწიფო გამომცემლობას 15 აპრილისათვის 100 000 ცალად დაბეჭდოს თაბახნახევრიანი ბროშურა «ტორფი», რომელიც «გლავტორფმა» ა. წ. 8 თებერვალს სააგიტაციო განყოფილებაში ამხ. მორდვინკინს ჩააბარა, და «გლავტორფისაგან» დასაბეჭდად მიიღოს კიდევ სამი ბროშურა და ფურცლები იმ პირობით, რომ მათ 1 მაისისათვის გამოუშვებს; «გლავტორფს» გასავრცელებლად უნდა მიეცეს 15 000 ბროშურა.

2) დაევალოს კინოგანყოფილებას მაისის განმავლობაში გადაიღოს — «გლავტორფის» ხელმძღვანელობით — ტორფის მოპოვების 12 ლენტი (რუსეთისათვის, უკრაინისათვის, ურალისათვის, ბელორუსიისა და ციმბირისათვის).

3) დაევალოს პროფესიული განათლების მთავარ სამმართველოს «გლავტორფთან» ერთად 1 ივნისისათვის შეიმუშაოს პროექტი ტორფის მოპოვების სავალდებულო კურსისა, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

გთხოვთ გამომიგზავნოთ თქვენი განკარგულებების ასლები და სათანადო დაწესებულებათა და პირთა პასუხები ვადის აღნიშვნით.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

ვ. ულიანოვი (ლენინი)

1921 წ. 9 აპრილი.

თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35, გვ. 511 — 512

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის მიხედვით

სახელმწიფო გამომცემლობას

ახლი წიგნის პალატას

28 აპრილი 1921

გავალებთ დააკისროთ წიგნის პალატას შეასრულოს ცდის სახით შემდეგი მუშაობა:

1) უმნიშვნელოვანესი გაზეთების («იზვესტია ვციკ», «პრავდა», «ეკონომიჩესკაია ჟიზნ», «პეტროგრადსკაია პრავდა») და ცენტრალური საოლქო გაზეთების — უკრაინის, კავკასიის, ციმბირის, ურალის და სხვ. (სულ ცენტრალურ გაზეთებთან ერთად არა უმეტეს 10 გაზეთის) მაისის ნომრებიდან ამოიკრას ყველა მასალა, რაც ეხება ეკონომიურ, სამეურნეო და საწარმოო საკითხებს, ყველა ანგარიშის და სტატისტიკური მასალის ჩათვლით, გაუკეთდეს მათ ვრცელი კლასიფიკაცია და ჩაკრულ იქნას ალბომებში; გაკეთდეს ასეთი ალბომების ოთხი პარალელური კომპლექტი.

2) შედგენილ იქნას რაც შეიძლება ვრცელი, სისტემატური და ანბანური მაჩვენებელი აღნიშნული გაზეთების თვიური კომპლექტისათვის, რომელიც მოიცავს გაზეთში მოთავსებულ ყველა მასალას, განცხადებების ჩათვლით.

ამ მუშაობისათვის დაწესდეს სანარდო ანაზღაურება და თუ ის იმდენად კარგად იქნება შესრულებული, რომ დააკმაყოფილებს სახალხო კომისართა საბჭოს, დაინიშნოს პრემია მისი ნაწილობრივი ნატურალიზაციით, პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ცენტრალური საბჭოს დაჯილდოების განყოფილებასთან შეთანხმებით.

შესრულების შესახებ გამომიგზავნეთ მოხსენება სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მეშვეობით.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. ულიანოვი (ლენინი)

ლენინის კრებული XXXV,
გვ. 239.

იბეჭდება კრებულის ტექსტის
მიხედვით

ალნიშვნები
დავალებანი

ბარათი მდივანს [203]

მემარცხენე სოციალისტური და კომუნისტური მიმართულების წიგნები და ბროშურები ყველა ენაზე მთლიანად, და უმნიშვნელოვანესი წიგნები ომის შედეგებზე, ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე და სხვ.

აგრეთვე: მხატვრული ნაწარმოებები ომზე.

1920 წ. 2 იანვარი
ლენინის კრებული XXIV,
გვ. 311

იბეჭდება კრებელის ტექსტის მიხედვით

КИНОХРОНИКИС ТЕМАТИКИС ШЕСАХЕБ

26 ნოემბერი 1920

კინო-ფოტო

1) დედათა სახლები და ბავშვთა დაცვა.
2) სასახლეები, რომლებიც საბავშვო სახლებადაა გადაქცეული.
3) ვრანგელის ფრონტი.

ლენინის კრებული XXXV,
გვ. 176

იბეჭდება კრებულის ტექსტის
მიხედვით

მარქს — ენგელსის ინსტიტუტის დირექტორს

2 თებერვალი 1921

დიდი თხოვნა მაქვს:

1) ხომ არ იცით, **საიდან** არის ამოღებული **ხაზგახმული ადგილები** ენგელსის წერილებიდან? (დააბრუნეთ წიგნები).

2) იყო თუ არა ეს დაბეჭდილი მთლიანად და **სად?**

3) თუ იყო დაბეჭდილი, ხომ არ შეიძლება მოძებნა და მიღება?

4) ხომ არ შეგვიძლია **შევიძინოთ** შეიდემანებისა და კომპანიისაგან (ესენი ხომ არამზადებია, რომლებიც სულს გაჰყიდიან) მარქსისა და ენგელსის წერილები? ან შევიძინოთ ფოტო-პირები?

5) არსებობს თუ არა იმედი შევაგროვოთ მოსკოვში **ყოველივე**, რაც გამოქვეყნებულია მარქსისა და ენგელსის მიერ?

6) არსებობს თუ არა იმის კატალოგი, რაც **აქ უკვე შეგროვებულია?**

7) მარქსისა და ენგელსის წერილებს (ან ასლებს) ვაგროვებთ ჩვენ, თუ განუხორციელებელია ეს?

კომუნისტური სალამით

ლენინი

ლენინის კრებული XXXIV, გვ. 401 — 402

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

წერილი ა. ვ. ლუნაჩარსკის

14 თებერვალი 1921

ამხ. ლუნაჩარსკის

ასლები ამხ. პოკროვსკის და ამხ. ლიტკენსს

გთხოვთ გამომიგზავნოთ სია პედაგოგებისა, რომლებსაც აქვთ სოლიდური პრაქტიკული გამოცდილება (ა) ზოგადპედაგოგიურ მუშაობაში საერთოდ; (ბ) პროფესიულ-ტექნიკურ განათლებაში, — ამასთან მოკლედ უნდა იყოს აღნიშნული ლიტერატურული შრომები და საბჭოთა მუშაობის სტაჟი.

მე უკვე არაერთხელ გთხოვეთ ეს. გაჭიანურებას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ულიანოვი (ლენინი)

P. S. კერძოდ, გთხოვთ ცნობებს პიტერის ყოფილი ტენიშევის სასწავლებლის დირექტორის სერგეი პავლეს-ძის შესახებ.

ლენინის კრებული XXXV, გვ. 212

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

წერილი პეტროგრადის საბჭოს

5 მაისი 1921

მე მაცნობებენ,

1) რომ მოქანდაკე გინცბურგს, რომელიც პლეხანოვის ბიუსტს აკეთებს, აკლია მ ა ს ა ლ ე ბ ი, თიხა და სხვა.

2) რომ პლეხანოვისა და ზასულიჩის საფლავები უპატრონოდაა მიტოვებული.

ხომ არ შეიძლება გასცეთ ბრძანება ორივე პუნქტის გარშემო, რომ თვალი მიადევნონ, დააწვნენ, შეამოწმონ?

ლ ე ნ ი ნ ი

ლენინის კრებული XXXV,
გვ. 245

იბეჭდება კრებულის ტექსტის
მიხედვით

წერილიდან ლ. ა. ფოტიევასადმი

6 ივნისი 1921

...სთხოვეთ ბიბლიოთეკის მუშაკს მიშოვოს დროებით სახმარად ჰ ა ი ნ ე ს ლექსების ორიოდე ტომი და გ ო ე თ ე ს «ფაუსტი», ორივე გერმანულ ენაზე, უმჯობესია მცირე ფორმატისა.

გთხოვთ დააჩქაროთ პასუხი ყველა ჩემს წერილზე, როგორც ამ წერილზე, ისე წინანდელებზე...

ლენინის კრებული XXXV,
გვ. 259 — 260

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

ალნიშვნა ამერიკის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის წერილზე

16 ივნისი 1921

ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვ-ლენინს, საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი, რუსეთი

ილინოისის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ძვირფასო სერ!

ჩვენ გვსურს გთხოვოთ ხელი შეგვიწყოთ იმაში, რომ საზღვარგარეთული დოკუმენტების ჩვენი კრებული შეივსოს თქვენი მთავრობის ოფიციალური გამოცემებით, და იმედი გვაქვს, რომ შეიტანთ ჩვენს სახელს თქვენს სიაში, რათა შეგვეძლოს მომავალში მივიღოთ თქვენი გამოცემები, და რომ გამოგვიგზავნით აგრეთვე ძველ ნომრებს, რომლებიც კი შესაძლებელია.

ასეთი შეთანხმება მარტო ჩვენ როდი მოგვიტანს სარგებლობას; ჩვენ ვფიქრობთ, რომ უეჭველია, თქვენთვის სასარგებლოა არსებობდეს ავტორიტეტული ინფორმაცია თქვენი ქვეყნის შესახებ ისეთი დიდი საცნობარო ბიბლიოთეკის კომპლექტებში, როგორიც ჩვენია. საზღვარგარეთული დოკუმენტების ჩვენი კრებული აღწევს ათას ტომამდე და მას სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ყოველგვარ საკვლევ მუშაობაში.

თქვენს ხელშეწყობას ამ კრებულის ღირებულების გადიდების საქმეში, რა თქმა უნდა, დავაფასებთ; ჩვენის მხრივ თანახმა ვართ სამაგიეროდ გამოგიგზავნოთ უნივერსიტეტის ისეთი გამოცემები, რომელთა მიღებას თქვენ მოისურვებთ, თუ ზუსტად მიგვითითებთ, რა გსურთ...

სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველს უპასუხეთ, შესთავაზეთ წიგნების გაცვლა.

ლ ე ნ ი ნ ი

ლენინის კრებული XXXV,
გვ. 261

იბეჭდება კრებულის ტექსტის მიხედვით

ბარათი ბუხარინს

ამხ. ბუხარინ!

გიგზავნით დღევანდელ «პრავდას». აბა რა საჭიროა სისულელეების ბეჭდვა ყველა მეცნიერული და მოდური სიტყვებით თავმომწონე პლეტნიოვის ფელეტონის სახით[204]? აღვნიშნე 2 სისულელე და დავუსვი მთელი რიგი კითხვის ნიშნები. ავტორმა «პროლეტარული» მეცნიერება კი არ უნდა ისწავლოს, არამედ უბრალოდ უნდა ისწავლოს. ნუთუ «პრავდის» რედაქცია ავტორს არ განუმარტავს მის შეცდომას? ეს ხომ ისტორიული მატერიალიზმის გ ა ყ ა ლ ბ ე ბ ა ა! ისტორიული მატერიალიზმობანას თამაშია!

თქვენი ლ ე ნ ი ნ ი

1922 წ. 27 სექტემბერი
თხზულებანი, გამოც. მე-4, ტ. 35,
გვ. 591

იბეჭდება თხზულებათა ტექსტის
მიხედვით

დამატებანი

მოგონებანი
და
სტატიები
ვ. ი. ლენინის
შესახებ

ა. ი. ულიანოვა-ელიზაროვა

«მოგონებიდან ილიჩზე»

...მეხსიერებაში ჩამრჩა ვალოდიასთან საუბარი იმ ზამთარს ერთ-ერთ ჟურნალში გამოქვეყნებული ა. ჩეხოვის ახალი მოთხრობის «პალატა № 6» შესახებ. ლაპარაკობდა რა ამ მოთხრობის ნიჭიერებაზე, იმ ძლიერ შთაბეჭდილებაზე, რომელიც მასზე მოთხრობამ მოახდინა, — ვალოდიას ჩეხოვი საერთოდ უყვარდა — მან ყველაზე უკეთ ეს შთაბეჭდილება შემდეგი სიტყვებით განსაზღვრა: «როცა მე გუშინ საღამოს ამ მოთხრობის კითხვა დავამთავრე, პირდაპირ საზარელ გუნებაზე დავდექი, აღარ შემეძლო ჩემს ოთახში გაჩერება. ავდექი და გარეთ გავედი. ისეთი შეგრძნობა მქონდა, თითქოს მეც № 6 პალატაში ჩამკეტეს». ეს იყო გვიან საღამოს, ყველა თავთავის ადგილას წავიდა, ზოგს უკვე ეძინა, ხმის გამცემი არავინ პყავდა.

ამ სიტყვებმა გადამიშალეს ვალოდიას სულიერი განწყობილება: მისთვის სამარა უკვე ისეთივე «პალატა № 6» გამხდარიყო, მას სწყუროდა იქიდან გაქცევა თითქმის ისევე, როგორც ჩეხოვის უბედურ ავადმყოფს და მან მტკიცედ გადაწყვიტა სამარიდან წასვლა შემოდგომაზე....

• • •

... იგი ჩვენ გვიმღეროდა ცედერბაუმის მიერ გადასახლებაში გამოთქმულ სიმღერას:

ეს ღმუილია მშიერი მხეცის,
თუ ამოვარდა მძვინვარე ქარი?
ქარის ქვითინში აშკარად გესმის
გამარჯვებული მტრების ხარხარი.

მხნედ ძმანო ჩემნო და ბოროტ ბედსა
ლაღი სიმღერით დავეინოთ დღესა.

რუსეთის ხალხი გმირია მარად
და მორთულობაც გმირული შვენის.
მაგრამ ბევრს იერს შეეცვლის ჩქარა
გადასახლების სასტიკი დღენი...

და მათ სწრაფესაც მოუღებს ბოლოს
შხამი წეკოსი და ალკოგოლის.
და ასე შემდეგ.

მღეროდა ვლადიმერ ილიას-ძე, ხოლო მისი ხმის აყოლებით ჩვენი და ფორტეპიანოზე აწყობდა პოლონურსავე რევოლუციურ სიმღერებს, რომლებიც ვლადიმერ ილიას-ძემ გადასახლებული პოლონელი მუშებისაგან ისწავლა ნაწილობრივ პოლონურად, ნაწილობრივ კრჟიჟანოვსკის მიერ შესრულებული რუსული თარგმანით.

ეს იყო: «Беснуйтесь тираны!», «Вихри враждебные», «Червоный штандар». ნათლად მახსოვს ვალოდია, როგორ დადიოდა კუთხიდან კუთხემდე ჩვენს პატარა სასადილო ოთახში და გატაცებით მღეროდა:

წითელია ფერი ალმის,
ზედ მშრომელთა სისხლი არის.

ის აღფრთოვანებული იყო პოლონელი მუშების რევოლუციური სიმღერებით და აღნიშნავდა, რომ საჭიროა ასეთი სიმღერების შექმნა რუსეთისათვის...

ნათესავების მოგონებანი ვ. ი. ლენინზე.
სახპოლიტგამომცემლობა, 1955, გვ. 36, 72 — 73.

დ. ი. ულიანოვი

მუსიკისადმი სიყვარული

პატარაობისას ვლადიმერ ილიას-ძე როიალზე დაკვრას სწავლობდა. დედის გადმოცემით, მას ჩინებული სმენა ჰქონდა და მუსიკას ადვილად ითვისებდა. რვა წლისა მარჯვედ უკრავდა ბევრ საბავშვო პიესას, უფროსებთან ერთად მონაწილეობდა ოთხი ხელით დაკვრაში. მაგრამ, გიმნაზიაში შესვლის შემდეგ მუსიკას თავი მიანება. რატომ? ყოველ შემთხვევაში იმიტომ არა, რომ გიმნაზიაში სწავლობდა.

ვალოდიას შესანიშნავი ნიჭი ჰქონდა და სწავლა ძალიან უადვილდებოდა. როიალზე დაკვრას მან, ალბათ, იმიტომ დაანება თავი, რომ გაიზიარა იმ დროს გავრცელებული შეხედულება, თითქოს ვაჟებისათვის მუსიკის სწავლა შეუფერებელია. მაგრამ მუსიკისადმი სიყვარული მას სამუდამოდ ჩაენერგა და ზედმიწევნით ესმოდა ის.

1888 წლის ზამთარში მე და ვლადიმერ ილიას-ძე ყაზანის ოპერაში ვიყავით. ჩვენი ადგილები სადღაც მაღლა, ქანღარაზე იყო. ძალიან მკაფიოდ ჩამბეჭდა მეხსიერებაში ის საღამო. მახსოვს, როგორ დავბრუნდით ფეხით თეატრიდან, როგორ ვიკამეთ შინ რძითა და პურით. ვალოდია მოსმენილი მუსიკის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა და, რადგან ყველას ეძინა, ჩუმად მღეროდა არიებს, რომლებიც მოეწონა. ჩემი ძმა მეტად აღგზნებულ გუნებაზე იყო — მიკრეებულ სოფელ კოკუშკინოდან, სადაც პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, ვალოდია ოპერის თეატრში მოხვდა...

დედაჩვენს, მარიამ ალექსანდრეს-ასულს, ძალიან უყვარდა როიალი. ის ბევრ ძველებურ სიმღერასა და რომანსს უკრაულა და მღეროდა. მაგრამ განსაკუთრებული ხალისით ასრულებდა ნაწყვეტებს ოპერიდან «ასკოლდის საფლავი». მას ჰქონდა ამ ოპერის ძველი, დროისაგან გაყვითლებული ნოტები. ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარდა მისი მუსიკა და სიმღერა, და ვლადიმერ ილიას-ძე ხშირად მღეროდა ზოგიერთ მოტივს «ასკოლდის საფლავიდან».

1889 — 1890 წლებში ვლადიმერ ილიას-ძე ხშირად მღეროდა როიალის ხმაზე ოლღა ილიას ასულთან ერთად. ოლღას შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი, თუმცა ის ვალოდიას ყველაზე ახლობელი, საუკეთესო ამხანაგი იყო ბავშვობისა და ყრმობის წლებში. ის ძმაზე უმცროსი იყო, მაგრამ განვითარებით მას არ ჩამორჩებოდა. თვრამეტი წლისა იგი ღლობდა გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და შვეიცარ ენებს. ოლღა ილიას-ასულის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის მხოლოდ მაშინ არ მუშაობდა, როცა ეძინა. 1891 წლის მაისში ოლღა მეცლის ტიფისაგან გარდაიცვალა.

ვლადიმერ ილიას-ძე აღტაცებული იყო მისი შრომისმოყვარეობითა და უნარით.

ისინი მღეროდნენ დუეტად იაზიკოვის სიმღერას «ეკატერინა» — «ეკატერინა ჩვენი ზღვა". და მე მახსოვს შთაბეჭდილება უკანასკნელი ტაეპის:

«და აქ მხოლოდ სულით ძლიერს
თუ გაიტანს ზვირთი სწრაფად
წინ მოძმენო!
გრიგალს ვძლეთ,
უდრეკია ჩემი აფრა».

უყვარდა ვალოდიას დარგომიჟსკის «ქორწინება»:

«ჩვენთვის ჯვარი არ დაუწერიათ
ეკლესიაში გვირგვინ-სანთლებით;
საგალობლები არ უმღერიათ,
არც შეგვისრულეს წეს-ადათები».

ვალოდია ჰაინეს ლირიკულ სიმღერასაც მღეროდა. მუსიკალურ ფრაზაში «...მე მთლად ვიღუპები, ჩემო კარგო მეგობარო...» საჭირო იყო ძალიან მაღალი ნოტის აღება, და როცა ასწევდა ხოლმე, სიცილით იტყოდა «უკვე დავიღუპე, სულ მთლად დავიღუპე»...

ვლადიმერ ილიას-ძის სიმღერაში მე თითქმის არ მახსოვს მინორი, სევდა. მის ხმაში ყოველთვის ეღერდა გაბედულება, სიმხნევე, დიდი აღფრთოვანება და მოწოდება.

ის მღეროდა აგრეთვე ვალენტინის არიას «ფაუსტიდან»: «ღმერთი ყოვლად ძლიერი, ღმერთი სიყვარულისა...» — იგი მღეროდა იმას, რაც ნოტების მიხედვით უნდა იმღერებოდეს, და წარმოთქვამდა იმ სიტყვებს, რომელთა სიმღერიდან ამოგდება არ შეიძლება, მაგრამ ამ არიის ერთი ადგილი უფრო კარგად, უფრო ლამაზად გამოუღიოდა, რადგან აქ მას უნებლიეთ შეჰქონდა თავისი მებრძოლი სულის ნაწილი:

«იქ, შეტევის დროს, ჟამსა იმა სისხლიან ბრძოლის,
ვფიცავ, ვიქნები მე პირველი პირველთა შორის...»

და მუდამ, როცა გუნოს მუსიკას ვუსმენ, ყოველთვის შორეული წარსული მაგონდება და ყურებში მიდგას, როგორ მღეროდა ვლადიმერ ილიას-ძე ამ არიას.

1889 წლის ზაფხულს მე პირველად გავიგონე «ინტერნაციონალი», რომელიც მაშინ რუსეთში, შეიძლება ითქვას, არავინ იცოდა. ეს მოხდა სამარის გუბერნიაში, ხეტორ ალაკაევკაში. ოლღა ილიას-ასული როიალზე უკრავდა და თავისი მუსიკა «მარსელიოზით» დააბოლავა. მე მივირბინე როიალთან და ვთხოვე გაემეორებინა. მოულოდნელად, ვინაიდან ეს იყო დილით, როცა ვლადიმერ ილიას-ძე ჩვეულებრივ წიგნებს არ შორდებოდა, მოგვიახლოვდა და გვითხრა «ინტერნაციონალი» უნდა ვიმღეროთო. მათ ერთად ააწყეს როიალზე ახალი სიმღერა და დაბალი ხმით იმღერეს ფრანგულად.

შემდეგ მარიამ ილიას ასული მეუბნებოდა, რომ ვლადიმერ ილიას-ძე ძალიან ნაწობდა, როიალზე ან ვიოლინოზე დაკვრა რომ არ ისწავლა.

ნათესავების მოგონებანი ვ. ი. ლენინზე.
სახპოლიტგამომცემლობა, 1955, გვ. 116 — 118

ნ. კ. კრუპსკაია

წიგნიდან «მოგონებანი ლენინზე»

«...საფრანგეთის წინასაარჩევნო კრებებზე დასწრებამ იმის ნათელი სურათი მოგვცა, თუ რას წარმოადგენენ არჩევნები «დემოკრატიულ რესპუბლიკაში». გარეშე მნახველში ეს პირდაპირ გაოცებას იწვევდა. ამიტომ მოსწონდა ძალიან ვლადიმერ ილიას-ძეს რევოლუციურ მეშანსონეტეთა სიმღერები, რომლებიც საარჩევნო კომპანიას ამასხარაევებდნენ. მახსოვს ერთი სიმღერა, რომელშიც აწერილი იყო, როგორ მიდის სოფელში დეპუტატი ხმების შესაგროვებლად, სვამს გლეხებთან ერთად, ბერავს მათ ყოველგვარი სიცრეით და შექეიფიანებული გლეხები ირჩევენ მას და თან სიმღერით აყოლებენ: «Tas ben dit, mon ga!» (მართალს ამბობ, ყმაწვილო!»). ხოლო შემდეგ, მიიღებს რა გლეხების ხმას, დეპუტატი ღებულობს სადეპუტატო ჯამაგირს — 15 ათას ფრანკს და მერე დეპუტატთა პალატაში ღალატობს გლეხების ინტერესებს.

ერთხელ ჩვენთან საფრანგეთის პალატის დეპუტატი, სოციალისტი დიუმა მოვიდა და გვიამბო, როგორ მოიარა მან არჩევნების წინ სოფლები. უნებურად მეშანსონეტეები მოგვაგონდა. მეშანსონეტეთა შორის ყველაზე გამოჩენილი იყო მონტეგიუსი, კომუნარის შვილი, ფობურების (მუშათა უბნების) საყვარელი ადამიანი. მის სიმღერებში მოცემული იყო წვრილბურჟუაზიული სენტიმენტალობისა და ნამდვილი რევოლუციურობის ნარევი.

ვლადიმერ ილიას-ძეს უყვარდა ქალაქის გარეუბნის თეატრში წასვლა, მუშათა მასებს აკვირდებოდა. მახსოვს, ერთხელ ვნახეთ პიესა, რომელშიც აწერილი იყო მარიკოში მსჯავრდადებული ჯარისკაცების წვალება. საინტერესო იყო მაყურებელთა დარბაზი: დიდი უშუალობით ეხმაურებოდნენ ყოველივეს მუშები, რომლებითაც გაჭედილი იყო თეატრი. სპექტაკლი ჯერ არ იყო დაწყებული. უცებ მთელმა თეატრმა შეწყობილად დაიწყო ძახილი: «ქუდი! ქუდი!» თერმე თეატრში შემოსულ ვიღაც მანდილოსანს მაღალი მოდური ფრთებიანი ქუდი ეხურა და ხალხი მოითხოვდა, რომ ქალს ქუდი მოეხადა. ის იძულებული გახდა დამორჩილებოდა. სპექტაკლი დაიწყო. პიესაში ჯარისკაცს მარიკოში გზავნიან, ხოლო მისი და და დედა სიღატაკეში რჩებიან. ბინის პატრონი თანახმაა არ გადაახდევინოს მათ ბინის ქირა, თუ ჯარისკაცის და ხასად დაუდგება მას. «პირუტყვო! ძაღლო!» — გაისმის ყოველ მხრიდან. მე უკვე დაწერილებით აღარ მახსოვს პიესის შინაარსი.

აქ გამოხატული იყო, თუ როგორ აწვალებდნენ მარიკოში ჯარისკაცებს, რომლებიც უფროსებს არ ემორჩილებოდნენ. პიესა აჯანყებითა და «ინტერნაციონალის» ძღერით თავდებოდა. ამ პიესის დადგმა ცენტრში აკრძალული იყო, მაგრამ პარიზის გარეუბნებში მას დგამდნენ და ის მქუხარე ტაშს იწვევდა...

* *
*

... ვლადიმერ ილიას-ძეს უყვარდა სურათები. მახსოვს, როგორ მიკვირდა, როცა ვლადიმერ ილიას-ძემ ერთხელ ვოროვსკისაგან წამოიღო მთელი გროვა სხვადასხვა მხატვრების ილუსტრირებული დახასიათებანი და საღამოობით დიდხანს კითხულობდა მათ და სინჯავდა დართულ სურათებს...

* *
*

...ინესა კარგი მუსიკოსი იყო, დაგვიყოლია ყველა წავსულიყავით ბეთჰოვენის კონცერტზე, თვითონ ის ძალიან კარგად უკრავდა ბეთჰოვენის ბევრ ნაწარმოებს. ვლადიმერ ილიას-ძეს განსაკუთრებით უყვარდა «Sonate pathétique» და მუდამ სთხოვდა დაეკრა, — ილიჩს უყვარდა მუსიკა. შემდეგ, უკვე საბჭოთა ხანაში ვლადიმერ ილიას-ძე ციურუპას ეწვეოდა ხოლმე, რომ მოესმინა, როგორ უკრავდა ამ სონატას რომელიღაც განთქმული მუსიკოსი. ბევრი ლაპარაკი გვქონდა ბელეტრისტიკის შესახებ. «ბელეტრისტიკის აშკარა შიმშილს განვიცდით, — ეწერდი მე ვლადიმერ ილიას-ძის დედას. — ვალოდიამ თითქმის გაიზეპირა ნაღსონი და ნეკრასოვი, «ანა კარენინას» დაშლილი ტომი მეასეჯერ გადაიკითხა. ჩვენი ბელეტრისტიკა (იმის უმნიშვნელო ნაწილი, რაც პიტერში გვქონდა) პარიზში დავტოვეთ, აქ კი ვერსად იშოვნი რუსულ წიგნს. ზოგჯერ შერით ვკითხულობთ ბუკინისტების განცხადებებს უსპენსკის 28 ტომის, პუშკინის 10 ტომის და სხვათა და სხვათა შესახებ. ვალოდია განგებ დიდი «ბელეტრისტი» გახდა...»

... შვეიცარიაში ყველგან მკაფიოდ გამოხატული მეშჩანობა იყო გამეფებული. ბერნში ერთხელ რუსული დასი ჩამოვიდა, რომელიც გერმანულ ენაზე დგამდა სპექტაკლებს. წარმოადგინეს ლ. ტოლსტოის პიესა «ცოცხალი ლეში». ჩვენც წავედით. ძალიან კარგად თამაშობდნენ. ვლადიმერ ილიას-ძე, რომელსაც გულის სიღრმემდე სძაგდა ყოველგვარი მეშჩანობა და პირობითობა, ამ პიესამ ძალიან აიღელვა. შემდეგ კიდევ უნდოდა მას წასულიყო და ენახა ეს პიესა...

* *
*

... როცა მე ჯონ რიდის კრებული «რევოლუციის ქალიშვილი» წავიკითხე, განსაკუთრებით ის მომეწონა, რომ რიდი როსკიპებს ხატავდა არა მათი პროფესიის ან სიყვარულის საკითხების თვალსაზრისით, არამედ მათი სხვა ინტერესების თვალსაზრისით. ჩვეულებრივ, როცა «ფსკერს» ხატავენ, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ყოფაცხოვრებას.

როცა ჩვენ შემდეგ, რუსეთში გორკის პიესა «ფსკერზე» ვნახეთ სამხატვრო თეატრში, — ვლადიმერ ილიას-ძეს კი ძალიან უნდოდა ამ პიესის ნახვა — მას საშინლად არ მოეწონა დადგმის «თეატრალობა» და იმ საყოფაცხოვრებო წვრილმანების უქონლობა, რომლებიც, როგორც იტყვიან, «ქმნიან მუსიკას», გვიხატავენ მდგომარეობას მთელი მისი კონკრეტულობით...

ნ. კ. კ რ უ პ ს კ ა ი ა.
მოგონებანი ლენინზე,
პარტგამომცემლობა, 1933, გვ. 158 — 159,
200, 207 — 208, 241, 246.

ნ. კ. კრუპსკაია

რა მოსწონდა ილიჩს მხატვრული ლიტერატურიდან

ამხანაგმა, რომელმაც პირველად გამაცნო ვლადიმერ ილიას-ძე, მითხრა, რომ იგი სწავლული კაცია, კითხულობს მარტოოდენ მეცნიერულ წიგნებს, თავის სიცოცხლეში არც ერთი რომანი არ წაუკითხავს, არასოდეს ლექსებს არ კითხულობსო. გაოცებული დავრჩი. მე თვითონ ახალგაზრდობაში ყველა კლასიკოსი გადავიკითხე, ზეპირად ვიცოდი თითქმის მთელი ლერმონტოვი და სხვ. ისეთმა მწერლებმა, როგორიცაა: ჩერნიშევსკი, ლ. ტოლსტოი, უსპენსკი, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს ჩემს ცხოვრებაში. მეუცნაურა, რომ არის ადამიანი, რომელსაც სრულებით არ აინტერესებს ყოველივე ეს.

შემდეგ, მუშაობაში, მე უფრო ახლო გავიცანი ვლადიმერ ილიას-ძე, გავიგე, თუ როგორ აფასებდა იგი ადამიანებს, რა დიდი ყურადღებით აკვირდებოდა ცხოვრებას, ადამიანს — და ნამდვილმა ვლადიმერ ილიას-ძემ განდევნა იმ კაცის სახე, რომელსაც არასოდეს ხელში არ აუღია წიგნი, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ რითი ცხოვრობენ ადამიანები.

მაგრამ ცხოვრება იმხანად ისე მოეწყო, რომ ჩვენ ამ თემაზე სალაპარაკოდ ვეღარ მოვიცალეთ. უკვე შემდეგ, ციმბირში გავიგე, რომ ვლადიმერ ილიას-ძეს ჩემზე ნაკლებ როდი წაუკითხავს კლასიკოსები, არამც თუ წაუკითხავს, არამედ რამდენჯერმე გადაუკითხავს, მაგალითად ტურგენევი. ციმბირში მე თან წავიღე პუშკინი, ლერმონტოვი, ნეკრასოვი. ვლადიმერ ილიას-ძემ თავის საწოლთან, ჰეგელის გვერდით დაალაგა ისინი და კვლავ და კვლავ კითხულობდა საღამოობით. ყველაზე მეტად პუშკინი უყვარდა. მაგრამ მარტო ფორმას როდი აფასებდა იგი. მაგალითად, მას უყვარდა ჩერნიშევსკის რომანი «რა ვაკეთოთ?» მისი ნაკლებმხატვრული გულებრყვილო ფორმის მიუხედავად. მე გაკვირვებული ვიყავი, როგორი ყურადღებით კითხულობდა ის ამ რომანს და აღნიშნავდა უმახვილეს შტრიხებს, რომლებიც ამ რომანშია. თუმცა ესეცაა, მას ჩერნიშევსკის მთელი სახე უყვარდა და თავის ციმბირულ ალბომში ამ მწერლის ორი სურათი ჰქონდა, ერთ მათგანზე ვლადიმერ ილიას-ძის ხელით იყო დაწერილი ჩერნიშევსკის დაბადებისა და გარდაცვალების წელი. ვლადიმერ ილიას-ძის ალბომში იყო კიდევ ემილ ზოლას სურათი, რუსებიდან კი — გერცენისა და პისარევის. პისარევს ვლადიმერ ილიას-ძე წინათ ბევრს კითხულობდა და უყვარდა ის. მახსოვს, ციმბირში ჰქონდა გოეთეს «ფაუსტი» გერმანულ ენაზე და ჰაინეს ლექსების ტომი.

ციმბირიდან რომ დაბრუნდა მოსკოვში, ვლადიმერ ილიას-ძე ერთხელ თეატრში

იყო, ნახა «მეეტლე გენშელი», შემდეგ ამბობდა, რომ ძალიან მომეწონაო.

მიუნხენში იმ წიგნებს შორის, რომლებიც ვლადიმერ ილიას-ძეს მოსწონდა, მახსოვს ჰერგარდის რომანი «Bei mama» («დედასთან») და პოლენცის «Büttnerbauer» («გლეხი»).

შემდეგ, უფრო გვიან, მეორე ემიგრაციის დროს, პარიზში, ვლადიმერ ილიას-ძე ხალისით კითხულობდა 48 წლის რევოლუციისადმი მიძღვნილ ვიქტორ ჰიუგოს ლექსებს «Châtiments», რომლებსაც ჰიუგო თავის დროზე განდევნილობაში წერდა და საიდუმლოდ შემოჰქონდათ საფრანგეთში. ამ ლექსებში ბევრი რაღაც გულუბრყვილო მაღალფარდოვანებაა, მაგრამ მაინც იგრძნობა მათში რევოლუციის ქროლა. ხალისით დადიოდა ვლადიმერ ილიას-ძე სხვადასხვა კაფეებსა და გარეუბნის თეატრებში რევოლუციური მეშანსონეტეების მოსასმენად, რომლებიც ყველაფერზე მღეროდნენ მუშათა უბნებში, — იმაზეც, თუ როგორ ირჩევენ შეზარხოშებული გლეხები გამვლელ აგიტატორს დეპუტატთა პალატაში, მღეროდნენ ბავშვების აღზრდაზეც, უმუშევრობაზეც და ა. შ. განსაკუთრებით მოსწონდა ვლადიმერ ილიას-ძეს მონტეგიუსი. კომუნარის შვილი მონტეგიუსი მუშათა უბნების საყვარელი პიროვნება იყო. მართალია, მის იმპროვიზებულ ლექსებში, რომლებიც ამკარად გამოხატული საყოფაცხოვრებო იერით იყო აღბეჭდილი, არ ჩანდა რაიმე გარკვეული იდეოლოგია, მაგრამ მათში ბევრი იყო გულწრფელი გატაცება. ვლადიმერ ილიას-ძე ხშირად მღეროდა მის ისალმებას მე-17 პოლკისადმი, რომელმაც უარი განაცხადა ესროლა გაფიცულებისათვის: «Salut, salut à vous, soldats du 17 — me» («სალამი, სალამი თქვენ, მე-17 პოლკის ჯარისკაცებო»). ერთხელ რუსთა საუბამოს წვეულებაზე ილიჩი გამოელაპარაკა მონტეგიუსს და, უცნაურია, ეს ამდენად სხვადასხვა ადამიანები — როცა შემდეგ ომი გაჩაღდა, მონტეგიუსი შოვინისტების ბანაკში გადავიდა — მსოფლიო რევოლუციაზე ოცნებას მიეცნენ. ხდება ხოლმე ასე ზოგჯერ — შეხვდებიან ვაგონში ერთმანეთს ნაკლებად ნაცნობი ადამიანები და ვაგონის ბორბლების ხმაურში გაბამენ ისეთ იდუმალ რამეებზე ბაასს, რასაც არასოდეს ერთმანეთს სხვა დროს არ ეტყოდნენ, შემდეგ დაშორდებიან ერთმანეთს და თავის დღეში აღარ შეხვდებიან. აქაც ასე იყო. თანაც საუბარი ფრანგულ ენაზე მიმდინარეობდა, — უცხო ენაზე ხმამაღლა ოცნება უფრო ადვილია, ვიდრე მშობლიურზე. ჩვენთან ორიოდე საათით მოდიოდა დამლაგებელი ფრანგი ქალი. ერთხელ ილიჩმა გაიგონა, როგორ ღიღინებდა ეს ქალი სიმღერას. ეს იყო ელზასური სიმღერა. ვლადიმერ ილიას-ძემ სთხოვა დამლაგებელ ქალს ემღერა და გადმოეცა სიტყვები. შემდეგ ხშირად მღეროდა თვითონ ამ სიმღერას. სიმღერა თავდებოდა ასეთი სიტყვებით:

Vous avez pris l'Alsace et la Lorraine.
Mais malgré vous nous resterons français,
Vous avez pu germaniser n s plaines,
Mais notre coeur — vous ne l'aurez jamais

(«თქვენ აიღეთ ელზასი და ლოტარინგია, მაგრამ თქვენი სურვილის წინააღმდეგ ჩვენ ვრჩებით ფრანგებად; თქვენ მოახერხეთ გაგვგერმანელებინათ ჩვენი მინდვრები, მაგრამ ჩვენს გულს თქვენ ვერასოდეს ვერ დაიპყრობთ!»).

ეს იყო 1909 წელი — რეაქციის დრო, პარტია განადგურებული იყო, მაგრამ მისი რევოლუციური სული არ იყო დაძლეული. და ეს სიმღერა ვლადიმერ ილიას-ძის სულიერი განწყობილების თანხმიერი იყო. უნდა მოგესმინათ, როგორი ძლევის ყიჟინად ეღერდა მის ხმაში სიმღერის სიტყვები:

Mais notre coeur — vous ne l'aurez jamais!

ემიგრაციის იმ ყველაზე მძიმე წლებში, რომელთა შესახებ ილიჩი მუდამ რა-

ღაცა ჯავრით ლაპარაკობდა (უკვე რუსეთში დაბრუნების შემდეგ მან ერთხელ კიდევ გაიმეორა ის, რაც წინათაც არაერთხელ უთქვამს: «რატომ წავედით მაშინ ჩვენ ჟენევიდან პარიზში?»). იმ მძიმე წლებში ის, მონტეგიუსთან საუბარში გართული, მეტი დაჟინებით ოცნებობდა, ელზასურ სიმღერას მხნედ მღეროდა და უძილო ღამეებში თავდავიწყებით კითხულობდა ვერჰარნს.

მერე, უფრო გვიან, ომის დროს ვლადიმერ ილიას-ძე გატაცებული იყო ბარბიუსის წიგნით «Le feu» («ცეცხლი»), რომელსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, იმდენად იყო ეს წიგნი მისი მაშინდელი სულიერი განწყობილების თანხმიერი.

ჩვენ იშვიათად დავდიოდით თეატრში. იყო ხოლმე შემთხვევა წავიდოდით, მაგრამ პიესის უსუსურობა ან ყალბი თამაში მეტისმეტად აღიზიანებდა ვლადიმერ ილიას-ძის ნერვებს. შევიდოდით თეატრში და, ჩვეულებრივ, პირველი მოქმედების შემდეგ წამოვიდოდით. დაგვცინოდნენ ამხანაგები — ტყუილუბრალოდ ხარჯავთ ფულსო.

მაგრამ ერთხელ ვლადიმერ ილიას-ძე ბოლომდე დარჩა; ეს იყო, მგონია, 1915 წლის დასასრულს, ბერნში; წარმოადგინეს ლ. ტოლსტოის «ცოცხალი ლეში». მართალია პიესა გერმანულ ენაზე მიდიოდა, მაგრამ მსახიობი, რომელიც თავადის როლს თამაშობდა, რუსი იყო, მან შესძლო ლ. ტოლსტოის ჩანაფიქრის გადმოცემა. ილიჩი დაძაბული ყურადღებით და აღელვებით უყურებდა თამაშს.

და, ბოლოს, რუსეთში ვართ. ილიჩს ახალი ხელოვნება უცხო და გაუგებარი ეჩვენა. ერთხელ კრემლში მიგვიწვიეს კონცერტზე, რომელიც წითელარმიელებისათვის იყო გამართული. ილიჩი პირველ რიგებში მიიწვიეს. მსახიობი ქალი გზოვსკაია კითხულობდა მაიაკოვსკის ლექსს: «ჩვენი ღმერთი — რბენაა, გული — ჩვენი დოლია» და პირდაპირ ილიჩისაკენ მიიწევდა, ის კი იჯდა, მოულოდნელობისაგან ოდნავ გაოცებული, გაკვირვებული, და თავისუფლად მხოლოდ მაშინ ამოისუნთქა, როცა გზოვსკაია შეცვალა სხვა მსახიობმა, რომელმაც ჩეხოვის «ბოროტგანმზრახველი» წაიკითხა.

ერთხელ საღამოს ილიჩმა მოისურვა ენახა, თუ როგორ ცხოვრობს კომუნის ახალგაზრდობა. გადავწყვიტეთ ვწვეოდით ჩვენს ვხუტემასელ ვარია არმანდს. ეს იყო, მგონია, კროპოტკინის დასაფლავების დღეს, 1921 წელს. უმოსავლო იყო ეს წელიწადი, მაგრამ ახალგაზრდობა სავსე იყო ენთუზიაზმით. კომუნაში თითქმის ცარიელა ფიცრებზე ეძინათ, პური არ ჰქონდათ, «სამაგიეროდ ჩვენ ბურღული გვაქვსო», გაბრწყინვებული სახით განაცხადა ვხუტემასელმა, კომუნის მორიგე წევრმა. ილიჩს ამ ბურღულის დიდებული ფაფა მოუხარშეს, ეს კია, რომ მარილი აკლდა. ილიჩი შესცქეროდა ახალგაზრდობას, მის ირგვლივ შემოკრებილი ახალგაზრდა მხატვარი ვაჟებისა და ქალების გაბრწყინვებულ სახეებს — მათი სიხარული მის სახეზეც იყო გამოხატული. ისინი უჩვენებდნენ მას თავიანთ გულუბრყვილო სურათებს, უხსნიდნენ მათს აზრს, კითხვას კითხვაზე აძლევდნენ. ის კი იცინოდა, პასუხის მიცემას გაურბოდა, კითხვებზე კითხვებითვე უპასუხებდა: «რას კითხულობთ? პუშკინს კითხულობთ?» «ოჰ, არა, — წამოისროლა ვიღაცამ, — ის ხომ ბურჟუა იყო. ჩვენ — მაიაკოვსკის ვკითხულობთ». ილიჩმა გაიღიმა. «ჩემის აზრით, — პუშკინი უკეთესია». ამის შემდეგ ილიჩი ცოტა უფრო გულკეთილი გახდა მაიაკოვსკის მიმართ. მისი სახელის ხსენებაზე მას აგონდებოდა სიცოცხლითა და სიხარულით აღსავსე ვხუტემასელი ახალგაზრდობა, რომელიც მზად იყო თავი გაეწირა საბჭოთა ხელისუფლებისათვის და რომელიც თანამედროვე ენაზე ვერ პოულობდა სიტყვებს თავისი თავის გამოსახატავად და ამ გამოხატვას მაიაკოვსკის ნაკლებგასაგებ ლექსებში ეძებდა. უფრო გვიან ილიჩმა მაიაკოვსკი შეაქო ლექსე-

ბისათვის, რომლებშიც ის დასცინის საბჭოთა ბიუროკრატიზმს. თანამედროვე ნაწარმოებებიდან, მახსოვს ილიჩს მოეწონა ერენბურგის რომანი, სადაც ომია აწერილი: «ეს იცი, — ილია ლოხმატია (ერენბურგის შერქმეული სახელი), — აღტაცებით სთქვა მან. — კარგად გამოუვიდა».

რამდენჯერმე სამხატვრო თეატრში ვიყავით. ერთხელ «წარღვნის» სანახავად წავედით. ილიჩს ძალიან მოეწონა. მეორე დღეს კიდევ მოისურვა თეატრში წასვლა. მიდიოდა გორკის «ფსკერზე». ილიჩს უყვარდა ალექსი მაქსიმეს-ძე როგორც ადამიანი, რომლისადმი სიახლოვე მან ლონდონის ყრილობაზე იგრძნო, უყვარდა, როგორც ხელოვანი და მიაჩნდა, რომ გორკის როგორც ხელოვანს უმალვე შეუძლია ბევრ რამეს მიხვდეს. გორკისთან განსაკუთრებული გულახდილობით ლაპარაკობდა. ამიტომ, თავისთავად, გორკის ნაწარმოების განსახიერებისადმი ილიჩი განსაკუთრებით მომთხოვნი იყო. დადგმის გადამეტებული თეატრალურობა აგულისებდა ილიჩს. «ფსკერზე» ნახვის შემდეგ მან დიდი ხნით დაანება თავი თეატრში სიარულს. ერთხელ კიდევ ჩეხოვის «ბიძია ვანიას» სანახავად წავედით. მოეწონა. და, უკანასკნელად, თეატრში ვიყავით უკვე 1922 წელს. გვინდოდა გვენახა დიკენსის «ჭრიჭინა ღუმელზე». უკვე პირველი მოქმედების შემდეგ ვლადიმერ ილიას-ძემ მოიწყინა, მის ნერვებზე იმოქმედა დიკენსის მეშჩანურმა სენტიმენტალობამ, ხოლო როდესაც მოხუცმა სათამაშოების მკეთებელმა თავის ბრმა ქალიშვილთან დაიწყო ლაპარაკი, ილიჩმა ვეღარ აიტანა, შუა მოქმედებიდან წავიდა.

ილიჩის სიცოცხლის უკანასკნელი თვეები. მისი მითითებით, ჩვეულებრივ საღამო ხანს, ვუკითხავდი ბელეტრისტიკას. წაუკითხე შრედრინი, წაუკითხე გორკის «ჩემი უნივერსიტეტები». გარდა ამისა მას უყვარდა ლექსების მოსმენა, განსაკუთრებით დემიან ბედნის ლექსებისა. მაგრამ უფრო მოსწონდა დემიანის არა სატირული, არამედ პათოსური ლექსები.

მაგონდება, ვუკითხავ ლექსებს, ის კი ფიქრში წასული მზის ჩასვლას გასცქერის ფანჯარაში. მახსოვს ლექსი, რომელიც თავდებოდა სიტყვებით: «არასდროს, არასდროს კომუნარები არ გახდებიან მონები».

ვკითხულობ, და თითქოს ილიჩის წინაშე ფიცს ვიმეორებ — არასდროს, არასდროს არ დავთმობთ რევოლუციის არც ერთ მონაპოვარს...

მის გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე, საღამოს, მე მას წაუკითხე ჯეკ ლონდონის მოთხრობა — ის ახლაც მაგიდაზე დევს მის ოთახში — «ცოცხალი სიცოცხლისადმი». მეტად ძლიერი ნაწარმოებია. თოვლიან უდაბნოში, სადაც ზეხორციელს არ გაევლო, დიდი მდინარის ნავმისადგომისაკენ გზას მიიკვლევს შიმშილისაგან ღონემიხდილი, მომაკვდავი ადამიანი. არაჟათი გამოლევია, კი არ მიდის, არამედ მიფოფხავს, ხოლო მის გვერდით აგრეთვე შიმშილისაგან მომაკვდავი მგელი მიფოფხავს. მათ შორის ბრძოლაა გამართული. იმარჯვებს ადამიანი — ცოცხალმკვდარი, ნახევრადშეშლილი აღწევს მიზანს. ილიჩს ეს მოთხრობა ძალიან მოეწონა. მეორე დღეს მთხოვა განმეგრძო ლონდონის მოთხრობების კითხვა. მაგრამ ჯეკ ლონდონს ძლიერ ნაწარმოებებთან ერთად აქვს მეტისმეტად სუსტი ნაწარმოებები. შემდეგი მოთხრობა სრულიად სხვა ტიპისა აღმოჩნდა — გაჟღენთილი ბურჟუაზიული მორალით: რომელიღაც კაპიტანმა პერით დატვირთული გემის პატრონს აღუთქვა, რომ ხელსაყრელ ფასებში გაუსაღებდა პურს. იგი სიცოცხლეს სწირავს მხოლოდ იმისათვის, რომ შეასრულოს დაპირება. ილიჩმა გაიცინა და ხელი ჩაიქნია.

მეტი აღარ მომიხდა მისთვის წიგნების კითხვა...

ნათესავების მოგონებანი ვ. ი. ლენინზე,
სახალიტგამომცემლობა, 1955, გვ. 192 — 197.

ნ. კ. ᲙᲠᲣᲞᲡᲙᲐᲘᲐ

ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲓᲐᲜ «ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲒᲝᲠᲙᲘ»

ვლადიმერ ილიას-ძე დიდად აფასებდა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკის, როგორც მწერალს. განსაკუთრებით მოსწონდა მას «დედა», «ნოვაია ჟიზნში» დაბეჭდილი მისი სტატიები მეშჩანობის შესახებ, — თვითონ ვლადიმერ ილიას-ძეს სძულდა ყოველგვარი მეშჩანობა, — მოსწონდა «ფსკერზე», მოსწონდა შევარდენის და გრიგალას სიმღერები, მათი ტონი, უყვარდა გორკის ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა: «Страсти-мордасти», «ოცდაექვსი და ერთი».

მახსოვს, როგორ აღეძრა ერთხელ ვლადიმერ ილიას-ძეს სურვილი ენახა «ფსკერზე», მახსოვს როგორ მოისმინა მან «ჩემი უნივერსიტეტები» სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში.

გორკი უფრო მეტად წერდა მეშების, ქალაქის ღარიბ-ღატაკების, «ფსკერის» შესახებ, იმ ფენების შესახებ, რომლებიც ყველაზე მეტად აინტერესებდა ილიჩს, ხატავდა ცხოვრებას ისე, როგორიც ის არის, მთელი მისი კონკრეტულობით, ხედავდა მას იმ ადამიანის თვალით, რომელსაც სძულს ჩაგვრა, ექსპლოატაცია, უხამსობა, აზრის სიღატაკე, — რევოლუციონერის თვალით. და ის, რასაც გორკი წერდა, მახლობელი და გასაგები იყო ილიჩისათვის.

ჩემდამი წერილში (1930 წ.) ა. მ. მწერდა: «... როცა იმდროინდელი ლიტერატურის შესახებ ვსაუბრობდით კაპრიზე, იგი შესანიშნავი სიზუსტით ახასიათებდა ჩემი თაობის მწერლებს, დაუნდობლად და ადვილად ააშკარავებდა მათ დედაარსს».

ილიჩმა კარგად იცოდა რუსული ლიტერატურა — იგი მისთვის ცხოვრების შემეცნების იარაღი იყო. და რაც უფრო სრულად, ყოველმხრივად, ღრმად ასახავდა ცხოვრებას მხატვრული ნაწარმოები, რაც უფრო მარტივი იყო ის, მით უფრო მეტად აფასებდა მას ილიჩი.

ვლადიმერ ილიას-ძემ გორკი ახლოს გაიცნო 1907 წელს ლონდონის პარტიულ ყრილობაზე, დაკვირდა იქ, ესაუბრა და როგორღაც სულიერად დაუახლოვდა მას. საინტერესოა ილიჩის წერილები გორკისადმი, მიწერილი მეორე ემიგრაციის დროს. ამ წერილებში განსაკუთრებით მკაფიოდ იგრძნობა ილიჩის, როგორც ადამიანის სახე. ილიჩი მოურიდებელი პირდაპირობით წერს გორკის იმის შესახებ, რასაც ის არ ეთანხმება, რაც მას აღელვებს, აწუხებს. ილიჩი საერთოდ ასე წერდა ამხანაგებს, მაგრამ გორკისადმი მიწერილ წერილებს განსაკუთრებული ელფერი აქვთ. ის ხშირად ძალიან მკაცრად წერს, მაგრამ ამ სიმკაცრეში ბევრია რაღაცნაირი განსაკუთრებული გულჩვილობა. წერილები ყოველთვის იწერება რაიმე ფაქტის

უშუალო გავლენით, მათში ბევრია ემოციურობა — ნათლად არის გამოხატული შეშფოთება, ზოგიერთი განცდის სიმძიმე, სიხარული, იმედი. ილიჩი ფიქრობდა, რომ გორკი ყოველივე ამას ძალიან კარგად გაიგებდა. და ყოველთვის ილიჩს უნდოდა დაერწმუნებინა გორკი თავისი შეხედულებების სისწორეში. ის მხურვალედ იცავდა მათ.

ლენინის მიერ გორკისადმი მიწერილ წერილებში გამოსჩვივის ილიჩის ზრუნვა მასზე. ყველამ იცის, როგორი გულისყურით ეპყრობოდა ილიჩი ადამიანებს, როგორ შეეძლო მათზე ზრუნვა. და თვითონ ალექსი მაქსიმეს-ძე ხშირად წერდა ამის შესახებ. ამას ყველა აღნიშნავდა.

ილიჩს აწუხებდა ალექსი მაქსიმეს-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ის მუდამ კითხულობდა მის შესახებ, რჩევას აძლევდა ემკურნალა აუცილებლად პირველხარისხოვან ექიმებთან, დაეცვა რეჟიმი («პრიეიმი», როგორც, ხუმრობით იტყოდა ხოლმე ილიჩი), არ ემუშავნა ღამ-ღამობით.

ილიჩს ემიგრაციაში ძალიან უმძიმდა, რომ იშვიათად ხვდებოდა მეშებს. მართალია, ემიგრაციაში ბევრი იყო მუშა, მაგრამ ისინი ჩვეულებრივ მალე ეწყობოდნენ სამუშაოზე, უკვე ადგილობრივი ფრანგული ან შვეიცარული ინტერესებით ცხოვრობდნენ და ემიგრაციაში ცხოვრება ძალიან მალე ასვამდა მათ თავის დაღს. ამიტომ მას მუდამ უხაროდა იმ მუშებთან შეხვედრა, რომლებიც ხანმოკლე ვადით მოდიოდნენ საზღვარგარეთ. ილიჩი განსაკუთრებით კმაყოფილი იყო კაპრის სკოლის მუშებთან, ლონჟიუმოს პარტიული სკოლის მოსწავლეებთან მუშაობით. 1913 წელს პორონინში (გალიციაში, კრაკოვის მახლობლად) მოელოდნენ მუშათა დეპუტატების ჩამოსვლას. კაპრზე რუს მუშებთან შეხვედრის კიდევ უფრო ნაკლები შემთხვევები ჰქონდა გორკის, და ილიჩს ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ როგორ მძიმედ იტანდა ამას გორკი და პორონინში იწვევდა მას.

«თუ ჯანმრთელობა ნებას მოგცემთ, გამოსწიან ცოტა ხნით, მართლა! ლონდონის და კაპრის სკოლის შემდეგ კვლავ ნახავდით მუშებს».

მე შემომრჩა ილიჩის ერთი წერილი, 1919 წლის ივნისში დაწერილი. მე მაშინ სააგიტაციო გემით «კრასნაია ზვეზდათი» ვმოგზაურობდი, მივწერე ილიჩს ჩემი პირველი შთაბეჭდილებანი, და მას ეზრი დაებადა, რომ კარგი იქნებოდა გორკისთვისაც ასეთი მგზავრობა მოეწყოთ. «ამ დეპეშით შევეკითხე, — მწერდა ის, — ხომ არ შეიძლება გამოყონ კაიუტა გორკისათვის «კრასნაია ზვეზდაზე». ის ხვალ ჩამოვა აქ, და მე ძალიან მინდა მოვაშორო პიტერს, სადაც ის განერვიულდა. იმედი მაქვს, რომ შენ და სხვა ამხანაგები მოხარული იქნებით იმოგზაუროთ გორკისთან ერთად. ის ძალიან სასიამოვნო ვაჟკაცია».

მე ნაკლებად მინახავს ილიჩი გორკისთან ერთად.

ლონდონის ყრილობაზე მე არ ვყოფილვარ, კაპრში არ წავსულვარ, ხოლო პარიზში, მოსკოვსა და გორკაში, როცა ალექსი მაქსიმეს-ძე მოვიდოდა ჩვენთან, მე ყოველთვის ვცდილობდი გავცლოდი და მიმეცა მათთვის საშუალება ესაუბრათ გულახდილად, პირისპირ...

«კომსომოლსკაია პრავდა»,
25 სექტემბერი, 1932 წ. № 222.

ნ. კ. კრუპსკაია

ლენინი და ჩერნიშევსკი

ამხანაგებო, მინდა რამდენიმე სიტყვა გითხრათ იმ გავლენის შესახებ, რომელიც ჩერნიშევსკიმ იქონია ვლადიმერ ილიას-ძეზე. თავის სტატიებსა და წიგნებში ვლადიმერ ილიას-ძეს ამ გავლენაზე არასოდეს პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ ყოველთვის, როცა ის ჩერნიშევსკის შესახებ ლაპარაკობდა, მისი სიტყვა მგზნებარეებით აინთებოდა ხოლმე. როდესაც ვლადიმერ ილიას-ძის თხზულებებს ათვალიერებ, ხედავ, რომ ის ადგილები, სადაც ჩერნიშევსკიზე ლაპარაკობს, დაწერილია განსაკუთრებული მხურვალე გრძნობით. ლენინის ბროშურაში «რა ვაკეთოთ?» არის არაპირდაპირი მითითება ჩერნიშევსკის გავლენაზე. ლაპარაკობს რა პერიოდზე, რომელიც წინ უძღოდა პარტიის შექმნას, 1894 — 1898 წლების შუა პერიოდზე, როცა მუშათა მოძრაობამ სწრაფად იწყო განვითარება და მასობრივი ხასიათი მიიღო, ლენინი მიუთითებს, რომ ახალგაზრდობა, რომელიც ამ მოძრაობას მიემხრო, განვითარდა და აღიზარდა წინამორბედი რეოლუციონერების რევოლუციური მოღვაწეობის მომჯადოებელი გავლენით და რომ მას დიდი შინაგანი ბრძოლა დასჭირდა, რათა განთავისუფლებულიყო მათი იდეური გავლენისაგან და წასულიყო სხვა გზით, მარქსიზმის გზით. ამ დახასიათებაში არის ავტობიოგრაფიული მომენტი.

ჩერნიშევსკიმ, როგორც პიროვნებამ, გავლენა იქონია ვლადიმერ ილიას-ძეზე თავისი შეურიგებლობით, თავისი სიმტკიცით, იმით, რომ ღირსეულად და ამაყად იტანდა თავის გაუგონარ მწარე ბედს. და ყოველივე ის, რაც ვლადიმერ ილიას-ძეს ჩერნიშევსკიზე უთქვამს, გამსჭვალულია განსაკუთრებული პატივისცემით მისი ხსოვნისადმი. მძიმე დროს, როცა პარტიულ მუშაობაში ძნელ მომენტებს განიცდიდა, ვლადიმერ ილიას-ძეს უყვარდა ერთი ადგილის გამეორება ჩერნიშევსკის ნაწარმოებიდან, სადაც ის ამბობს, რომ «რევოლუციური ბრძოლა ნევის პროსპექტის ტროტუარი როდია» ამის შესახებ ვლადიმერ ილიას-ძე წერდა 1907 წელს, როცა რეაქცია მძვინვარებდა და პარტიას უკან დახევა უხდებოდა. ასევე 1918 წელსაც, როცა განსაკუთრებული ძალით თავი იჩინეს ყველა იმ სიძნელეებმა, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წინაშე წამოიჭრა ბრესტის ზავის დადებისა და სამოქალაქო ომის დროს, — ილიჩი იგონებს ჩერნიშევსკის ამ სიტყვებს. ჩერნიშევსკის პაგალითებში პოულობდა ის ძალას და ძალიან ხშირად იმეორებდა, რომ რევოლუციური მარქსისტი მუდამ ყველაფრისათვის მზად უნდა იყოსო.

მაგრამ ჩერნიშევსკის გავლენა ჰქონდა ლენინზე არა მარტო როგორც პიროვნებას. თუ ჩვენ განვიხილავთ ვლადიმერ ილიას-ძის პირველ არალეგალურ ნაწარმოებს

«რანი არიან «ხალხის მეგობრები», ჩვენ იქ განსაკუთრებული სიცხადით დავინახავთ იმ გავლენას, რომელსაც ჩერნიშევსკი ახდენდა ლენინზე. თაობა, რომლის შესახებაც ვლადიმერ ილიას-ძე ლაპარაკობდა, ის ახალგაზრდობა, რომელიც 1894 წელს რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიას მიემხრო, იზრდებოდა ისეთ პირობებში, როცა ირგვლივ — ლიტერატურაშიც და ყველგან — მხოლოდ ხოტბა ისმოდა გლეხური რეფორმის მიმართ. ჩერნიშევსკიმ შესძლო სწორად შეეფასებინა იგი... და ვლადიმერ ილიას-ძე ამბობს: საჭირო იყო ჩერნიშევსკის მთელი გენიალობა იმისათვის, რომ თვით გლეხური რეფორმების ეპოქაში მოცემული ყოფილიყო ლიბერალიზმის ის შეფასება, რომელიც ჩერნიშევსკიმ მოგვცა, მხილებული ყოფილიყო ამ ლიბერალიზმის გამცემლური როლი, მისი კლასობრივი დედაარსი.

თუ ჩვენ ლენინის შემდგომ მოღვაწეობას გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ჩერნიშევსკიმ ჩაუნერგა მას თავისი შეურიგებლობა ლიბერალიზმის მიმართ. უნდობლობა ლიბერალური ფრაზებისადმი, ლიბერალიზმის მთელი პოზიციისადმი წითელ ზოლად გასდევს ლენინის მთელ მოღვაწეობას. თუ ჩვენ ავიღებთ ცემბირის გადასახლებას, პროტესტს «კრედოს» წინააღმდეგ, სტრუვესთან განხეთქილებას, შემდეგ შეურიგებელ პოზიციას, რომელიც ლენინმა დაიკავა კადეტების მიმართ, მენშევიკ-ლიკვიდატორების მიმართ, რომლებიც მზად იყვნენ კადეტებს შეთანხმებოდნენ, დავინახავთ, რომ ვლადიმერ ილიას-ძესაც ისეთივე შეურიგებელი ხაზი ჰქონდა აღებული, როგორსაც ჩერნიშევსკი ატარებდა ლიბერალების მიმართ, რომლებმაც უღალატეს გლეხობას 1861 წლის რეფორმის დროს. თუ ჩვენ ახლა ლენინის ამ მოღვაწეობას, მის შეურიგებელ პოზიციას შევაჯამებთ, დავინახავთ, რომ პარტიამ შესძლო გამარჯვების მიღწევა ამ შეურიგებლობის მეოხებით, რომელსაც პარტიაც იზიარებდა. ლიბერალურ ბურჟუაზიასთან დამოკიდებულების საკითხი განუყოფლად დაკავშირებული საკითხთან დემოკრატიის შესახებ. შრომაში «რანი არიან «ხალხის მეგობრები» ლენინი წერდა: «ჩერნიშევსკის ეპოქაში დემოკრატიზმისათვის ბრძოლა და სოციალიზმისათვის ბრძოლა ერთ განუყოფელ მთელს წარმოადგენდა». აძლევდა რა შეფასებას ბურჟუაზიულ-ლიბერალურ დემოკრატიზმს და ცარიზმთან შერიგებული 80-იანი წლების გაბურჟუაზებული ნაროდნიკობის დემოკრატიზმს, ლენინი უპირისპირებდა მას რევოლუციური მარქსიზმის დემოკრატიზმს. ჩერნიშევსკიმ მოგვცა ნიმუში არსებული წესწყობილების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლისა, სადაც დემოკრატიზმი განუყოფლად იყო დაკავშირებული სოციალიზმისათვის ბრძოლასთან.

ლენინი აფასებდა ჩერნიშევსკის მოღვაწეობას, მის ნამდვილ დემოკრატიზმს, ვინაიდან ხედავდა, რომ ეს დემოკრატიზმი ეხმიანებოდა მასებისადმი მარქსიზმის დამოკიდებულებას. მარქსიზმის მოძღვრება არა მარტო აშუქებდა ბრძოლას, რომელიც ეკონომიურ ნიადაგზე წარმოებდა მუშათა კლასსა და კაპიტალისტებს შორის, მარქსიზმი მოიცავდა ყველა მოვლენას მთლიანად, აშუქებდა მთელ წყობილებას მთლიანად, იძლეოდა მის ანალიზს და ამავე დროს ჰიეთითებდა, როგორ უნდა შეერთებულიყო ბრძოლა დემოკრატიზმისათვის და ბრძოლა სოციალიზმისათვის. თუ ჩვენ გადავხედავთ იმას, როგორ ებრძოდა მარქსი ლასალს, რა ნიადაგზე წარმოებდა მათ შორის ბრძოლა, როგორ აღაშფოთებდა მარქსს ის, რომ ლასალს არ ესმოდა მასების რევოლუციური თვითმოქმედების მნიშვნელობა, მაშინ ჩვენ გავიგებთ რევოლუციური მარქსიზმის სოციალისტურ დედაარსს. ეს სოციალისტური დედაარსი სრულიად არ ესმოდათ, მაგალითად, ეგრეთწოდებულ «ლეგალურ მარქსისტებს», რომლებიც ყოველთვის მხედველობიდან უშვებდნენ იმ გარემოებას, რომ

მარქსს ორიენტაცია მუდამ მუშათა კლასზე, მასზე ჰქონდა აღებული. მარქსიზმში დემოკრატიზმი და ბრძოლა სოციალიზმისათვის ნამდვილად ერთ მთლიან ჯაჭვს წარმოადგენს. და შემთხვევითი როდია, რომ როდესაც ვლადიმერ ილიას-ძე დემოკრატიზმის საკითხებს ეხებოდა, ის ყოველთვის ჩერნიშევსკის იგონებდა, რომლისგანაც მან პირველად ისწავლა ის, რომ ბრძოლა დემოკრატიისათვის უნდა შეუერთდეს ბრძოლას სოციალიზმისათვის. თუ ჩვენ განვიხილავთ, რას წარმოადგენს მოძღვრება საბჭოების შესახებ, საბჭოთა ხელისუფლების შესახებ, დავინახავთ, რომ სწორედ ამ მოძღვრებაში საბჭოთა ხელისუფლების შესახებ ყველაზე უფრო სრულად არის განხორციელებული და გამოხატული დემოკრატიზმისათვის ბრძოლის და სოციალიზმისათვის ბრძოლის ეს გაერთიანება. მე მახსოვს, როცა 1918 წელს საბჭოებისა და საბჭოთა ხელისუფლების შესახებ პოპულარული ბროშურის დაწერას ვაპირებდი, ვლადიმერ ილიას-ძემ მომიტანა ამონაწერი ფრანგულ გაზეთიდან — «ლუმანიტედან» — უკვე დამავიწყდა ფრანგი ამხანაგის გვარი, რომელიც ამის შესახებ წერდა, — სადაც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყველაზე მეტად ღრმა და თანმიმდევრული დემოკრატიული ხელისუფლება არისო როდესაც ვლადიმერ ილიას-ძემ ეს ამონაწერი გადმომცა, მითხრა, რომ სწორედ ამ მხარეს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება და რომ უნდა ვაჩვენოთ მთელი ის ნამდვილი დემოკრატიზმი, რომელსაც შეიცავს საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურა, სადაც პროლეტარიატი ახალ, უფრო ფართო დემოკრატიზმს აღწევს.

მარქსი ჯერ კიდევ 60-იან წლებში გადმოითარგმნა რუსულ ენაზე, მაგრამ საჭირო იყო მარქსის გადმოთარგმნა რუსეთის ფაქტების ენაზეც. ეს ლენინმა გააკეთა თავის წიგნში «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში»... ვლადიმერ ილიას-ძემ რამდენჯერმე აღნიშნა, თუ რა კარგად იცოდა ჩერნიშევსკიმ რუსეთის სინამდვილე, რა კარგად იცოდა მან ფაქტები, რომლებიც გლეხების გამოსყიდვას ეხებოდა და სხვა.

თავისი რევოლუციური მოღვაწეობის პირველ პერიოდში ვლადიმერ ილიას-ძე ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ჩერნიშევსკის ფილოსოფიურ შეხედულებებს, თუმცა ის იცნობდა პლეხანოვის წიგნს «ჩერნიშევსკის შესახებ», სადაც საქმის ამ მხარეს განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული, მაგრამ მაშინ ეს საკითხი ნაკლებად აინტერესებდა ვლადიმერ ილიას-ძეს. მხოლოდ 1908 წელს, როცა ამ ფრონტზე, ფილოსოფიურ ფრონტზე, ფართო ბრძოლა გაიშალა, მხოლოდ მაშინ გადაიკითხა მან ხელახლა ჩერნიშევსკი და ლაპარაკობდა ჩერნიშევსკიზე, როგორც რუსეთის დიდ ჰეგელიანელზე, დიდ რუს მატერიალისტზე. შემდეგ, როცა 1914 წლის ომი მოახლოვდა და ნაციონალურმა საკითხმა განსაკუთრებული აქტუალური მნიშვნელობა მიიღო, ვლადიმერ ილიას-ძემ თავის სტატიაში «ნაციონალური თვითგამორკვევის» შესახებ განსაკუთრებით იმას გაუსვა ხაზი, რომ ჩერნიშევსკიმ მარქსის მსგავსად გაიგო პოლონეთის აჯანყების მთელი მნიშვნელობა...

...ციმბირში ვლადიმერ ილიას-ძეს ჰქონდა ალბომი, სადაც იმ მწერლების სურათები იყო, რომლებმაც განსაკუთრებული გავლენა იქონიეს მასზე. ალბომში მარქსთან და ენგელსთან ერთად, გერცენთან და პისარევთან ერთად იყო ჩერნიშევსკის ორი სურათი და აგრეთვე სურათი მიშკინისა, რომელმაც ჩერნიშევსკის განთავისუფლება სცადა. შემდეგ, უკვე კრემლში, ვლადიმერ ილიას-ძის კაბინეტში, იმ ავტორებს შორის, რომლებიც მას უნდოდა მუდამ ხელთ ჰქონოდა, მარქსის, ენგელსისა და პლეხანოვის შრომებთან ერთად ჩერნიშევსკის თხზულებათა სრული კრებულიც იყო, და მათ ვლადიმერ ილიას-ძე თავისუფალ დროს კვლავ და კვლავ კითხულობდა.

მინდა შევჩერდე კიდევ ერთ პატარა დეტალზე, წიგნში «რანი არიან «ხალხის მეგობრები» ვლადიმერ ილიას-ძე მიუთითებს, რომ კაეცკი, ლაპარაკობდა რა იმ ეპოქაზე, რომელშიც ჩერნიშევსკი ცხოვრობდა, მართალი იყო, როცა ამბობდა, რომ მაშინ ყოველი სოციალისტი პოეტი იყო და ყოველი პოეტი სოციალისტი იყო. ვლადიმერ ილიას-ძე კითხულობდა ბელეტრისტიკას, სწავლობდა მას, უყვარდა იგი. მაგრამ ერთი რამ ახასიათებდა ვლადიმერ ილიას-ძეს — ის ერთ მთლიანობაში განიხილავდა საზოგადოებრივ მიდგომასა და სინამდვილის მხატვრულ ასახვას. ამ ორ საგანს ის ერთმანეთისაგან არ ანსხვავებდა, და იმის მსგავსად, როგორც ჩერნიშევსკი თავის მხატვრულ ნაწარმოებებში სრულიად გამოხატავდა თავის იდეებს, ვლადიმერ ილიას-ძესაც ბელეტრისტული წიგნების შერჩევის დროს განსაკუთრებით ის წიგნები უყვარდა, რომლებშიც მხატვრული ნაწარმოები მკაფიოდ გამოხატავდა საზოგადოებრივ იდეებს.

აი ის მცირე რამ, რის თქმაც მე მინდოდა. იმას, რაც მე ვთქვი, არა აქვს პირადი მოგონების ხასიათი. საუბრები, რომლებიც ამ თემაზე გვქონია, მე აღარ მახსოვს. წლების განმავლობაში მეხსიერებიდან ბევრი რამ იკარგება, ყოველ დღე ხომ რაიმე ახალი ხდება, და ყოველ სიტყვას მეხსიერება ვერ ინარჩუნებს, მეხსიერებაში რჩება მხოლოდ ცალკეული შტრიხი, ბაასი. მაგრამ, მე ვფიქრობ, ვლადიმერ ილიას-ძის ნაწარმოებებში, სტატიებსა და ბროშურებში საკმაო სისრულით არის ასახული ის უდიდესი გავლენა, რომელიც ჩერნიშევსკიმ მასზე იქონია.

ნ. კ. კრუპსკაია, მოგონებანი ლენინზე.
სახგამომცემლობა, 1931, გვ. 180 — 186.

მ. გორკი

ნარკვევიდან «ვ. ი. ლენინი»

... მე ლენინი ასეთი როდი წარმომედგინა. ჩემს წარმოდგენას მის შესახებ რაღაცა აკლდა. ცოტა ენას უქცევს, ხელი სადღაც იღლიაში ამოუჩრია, დგას დოინჯშემოყრილი. და საერთოდ, მეტისმეტად უბრალოა, არაფერი იგრძნობა მასში «ბელადის» შესაფერი. მე ლიტერატორი ვარ. პროფესია მავალებს შევამჩნიო წვრილმანი, ეს მოვალეობა ჩვეულებად გადამექცა, ზოგჯერ მომაბეზრებელ ჩვეულებადაც.

როცა მე გ. ვ. პლეხანოვთან «მიმიყვანეს», ის გულხელდაკრეფილი იდგა და კუშტად, მოწყენილად გამოიყურებოდა, ისე როგორც თავისი მოვალეობით დაღლილი მასწავლებელი შეჰყურებს კიდევ ერთ ახალ მოწაფეს. მან მითხრა მეტად ჩვეულებრივი ფრაზა: «მე თქვენი ნიჭის თაყვანისმცემელი ვარ». ამის მეტი მას ისეთი არაფერი უთქვამს, რომ ჩემს მეხსიერებაში აღბეჭდილიყო. და მთელი ყრილობის განმავლობაში არც მას და არც მე არ გამოგვიჩენია სურვილი გეელაპარაკა «გულახდილად».

ეს მელოტი, მკვრივი, მაგარი კაცი კი, რომელიც ერთი ხელით სოკრატისებურ შუბლს ისრესდა, ხოლო მეორეთი ჩემს სახელოს ეზიდებოდა და არაჩვეულებრივად ცოცხალი, ალერსიანი თვალებით მიყურებდა, მაშინვე ალაპარაკდა ჩემი წიგნის «დედის» ნაკლოვანებებზე. თურმე «დედა» მას ი. პ. ლადიჟნიკოვისათვის გამორთმეული ხელნაწერით წაეკითხა. მე ვუთხარი, რომ ვჩქარობდი წიგნის დაწერას, — მაგრამ ვერ მოვასწარი ამეხსნა, რატომ ვჩქარობდი, — ლენინმა მოწონების ნიშნად თავი დამიქნია და თვითონ ახსნა: ძალიან კარგია, რომ გიჩქარიათ, საჭირო წიგნია, ბევრი მუშა რევოლუციურ მოძრაობაში შეუგნებლად, სტიქიურად მონაწილეობდა, ახლა კი ისინი წაიკითხავენ «დედას» და ის დიდ სარგებლობას მოუტანს მათ.

«ძალიან დროული წიგნია». ეს იყო მისი ერთადერთი, მაგრამ ჩემთვის მეტისმეტად ძვირფასი კომპლიმენტი. მერე მან საქმიანად გამომკითხა, ითარგმნება თუ არა «დედა» უცხო ენებზე, რამდენად დაამახინჯა წიგნი რუსეთისა და ამერიკის ცენზურამ, ხოლო როდესაც გაიგო, რომ გადაწყვეტილია ავტორის პასუხისგებაში მიცემა, ჯერ შეიჭმუხნა, მერე თავი მაღლა ასწია, თვალები დახუჭა და არაჩვეულებრივად გაიცინა. მისმა სიცილმა მუშების ყურადღება მიიპყრო. მგონი თომა ურალელი და კიდევ სამიოდე კაცი მოგვიახლოვდა...

• • •

... ლონდონში ერთ თავისუფალ საღამოს მცირე კომპანიით წავედით «მიეზიკ-ჰოლში» — პატარა დემოკრატიულ თეატრში. ვლადიმერ ილიას-ძე ხალისიანად და გულიანად იცინოდა როცა კლოუნები და ჯამბაზები გამოდიოდნენ, ყოველივე დანარჩენს გულგრილად უცქეროდა, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღებით უყურებდა მუშების მიერ ტყის ჭრას ბრიტანეთის კოლუმბიაში. პატარა სცენა ტყის ბანაკს გამოხატავდა. მის წინ, მიწაზე, ორი ახოვანი ვაჟკაცი მეტრის სისქე ხეს ერთი წუთის განმავლობაში ჭრიდა.

— ჰო, ეს, რა თქმა უნდა, მაყურებლებისთვისაა, სინამდვილეში კი მათ არ შეუძლიათ ასე სწრაფად იმუშაონ, — თქვა ვლადიმერ ილიას-ძემ. — მაგრამ ცხადია, რომ ისინიც იქაც ნაჯახებით მუშაობენ და უამრავ ხეს უსარგებლო ნაფოტებად აქცევენ. აი, ესეც თქვენი კულტურული ინგლისელები!

მან ლაპარაკი ჩამოაგდო კაპიტალისტური წყობილების დროს არსებულ წარმოების ანარქიაზე, უნაყოფოდ დახარჯულ ნედლეულის დიდ პროცენტზე და დაამთავრა სინანულით, რომ აქამდე არავის მოუვიდა ფიქრად ამ თემაზე წიგნი დაეწერა. მის ნათქვამში ჩემთვის რაღაც გაურკვეველი იყო, მაგრამ ვეღარ მოვასწარი მეკითხნა ვლადიმერ ილიას-ძისათვის — ის უკვე საინტერესოდ ლაპარაკობდა «ექსცენტრიზმის», როგორც თეატრალური ხელოვნების განსაკუთრებული ფორმის შესახებ.

— აქ არის რაღაც სატირული თუ სკეპტიკური დამოკიდებულება საყოველთაოდ მიღებულისადმი, არის მიდრეკილება გადმოაბრუნოს ის უკუღმა, ცოტათი დაამახინჯოს, დაგვანახოს ჩვეულებრივის ულოგიკობა. ძნელმისახვედრია, მაგრამ საინტერესო კია!

ორი წლის შემდეგ, კაპრიზე, ესაუბრებოდა რა ა. ა. ბოგდანოვ-მალინოვსკის უტოპიური რომანის შესახებ, ლენინმა უთხრა მას:

— აი თქვენ მუშებისათვის დაგეწერათ რომანი იმის შესახებ, თუ როგორ გაძარცვეს დედამიწა მტაცებელმა კაპიტალისტებმა, გაანიავეს რა მთელი ნავთობი, მთელი რკინა, ხე-ტყე, მთელი ნახშირი. ეს იქნებოდა მეტად სასარგებლო წიგნი, ბატონო მახისტო!

• • •

ერთხელ მივედი მასთან და — ვხედავ: მაგიდაზე «ომის და მშვიდობის» ტომი დევს.

— ჰო, ტოლსტოია! მომინდა ნადირობის ეპიზოდის წაკითხვა და აი, მომაგონდა, რომ ამხანაგს წერილი უნდა მიეწერო. კითხვისათვის დრო სრულებით აღარ მრჩება. მხოლოდ წუხელ წავიკითხე თქვენი წიგნი ტოლსტოიზე.

გაიღიმა, თვალები მოჭუტა, სიამოვნებით გასწორდა სავარძელში, ხმას დაუდაბლა და ჩქარა განაგრძო:

— რა ბუმბერაზია, ჰა? რა დიდი ადამიანია! აი ხელოვანი, ბატონო ჩემო... — და — იცით კიდეე რა არის განსაცვიფრებელი? ამ გრაფამდე ლიტერატურაში ნამდვილი გლეხი არა ყოფილა.

მერე შემომხედა მოჭუტული თვალებით და მკითხა:

— ვინ შეიძლება მის გვერდით დავაყენოთ ევროპაში?

თავის თავს თვითონვე უპასუხა:

— არავინ.

და ხელების ფშვნეტით ჩაიცინა, კმაყოფილმა.

მე ხშირად შემიმჩნევია, რომ ვლადიმერ ილიას-ძე ამაყობდა რუსეთით, რუსებით, რუსული ხელოვნებით. მე ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ეს თვისება ლენინისათვის იყო მეტისმეტად უცხო და გულუბრყვილოც კი, მაგრამ მერე ვისწავლე ამ თვისებაში დამენახა მუშა ხალხისადმი აღტაცებული, ღრმად დაფარული სიყვარულის გამოძახილი.

კაპრიზე, როცა დაინახა როგორი სიფრთხილით მუშაობდნენ მეთეგზეები ზვიგენის მიერ დაგლეჯილი და აწეწილი ბადის გამოსახსნელად, შენიშნა:

— ჩვენები უფრო მარჯვედ მუშაობენ.

როდესაც მე ეჭვი გამოვთქვი ამის გამო, მან წყენით მითხრა:

— ჰმ-ჰმ, ხომ არ გავიწყდებათ თქვენ რუსეთი ამ ხუხულაზე ყოფნაში?

ვ. ბ. დესნიცკი-სტროევმა გადმომცა, რომ ის ერთხელ შვეიცარიაში მოგზაურობისას ლენინთან ერთად იჯდა ვაგონში და ათვალიერებდა გერმანულ მონოგრაფიას დიურერზე.

კუპეში მეზობლად მჯდარი გერმანელები შეეკითხნენ მას რა წიგნიაო. შემდეგში გამოირკვა, რომ მათ არაფერი გაეგონათ თავიანთ დიდ ხელოვანზე. ამან თითქმის აღაფრთოვანა ლენინი და მან ორჯერ სიამაყით უთხრა დესნიცკის:

— ეგენი თავისიანებს არ იცნობენ, ჩვენ კი ვიცნობთ.

ერთხელ საღამოს, მოსკოვში, ე. ბ. პეშკოვას ბინაზე, ლენინმა, ისმენდა რა ბეთჰოვენის სონატებს, რომლებსაც ისაი დობროვეინი ასრულებდა, თქვა:

— არაფერი ვიცი «Apassionata»-ზე უმჯობესი, მზად ვარ ყოველდღე მოვისმინო იგი. განსაცვიფრებელი, ზეადამიანური მუსიკაა. მე ყოველთვის სიამაყით, შეიძლება გულუბრყვილო სიამაყით, ვფიქრობ: აი რა სასწაული შეუძლია მოახდინოს ადამიანმა!

თვალები მოჭუტა, ჩაიცინა და ნაღვლიანად დასძინა:

— მაგრამ არ შემიძლია ხშირად ვუსმინო მუსიკას, ნერვებზე მოქმედებს, მომინდება ხოლმე ტკბილი სისულელე ვილაპარაკო და თავზე ხელი გადავუსვა ადამიანებს, რომლებსაც, ცხოვრობენ რა ბინძურ ჯოჯოხეთში, შეუძლიათ შექმნან ასეთი მშვენიერება. დღეს კი არავისთვის თავზე ხელის გადასმა არ შეიძლება — მოგკამენ ხელს, საჭიროა თავში ურტყა, შეუბრალებლად ურტყა, თუმცა ჩვენი იდეალით ადამიანების მიმართ ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგნი ვართ. ჰმ-ჰმ, ჯოჯოხეთურად ძნელი თანამდებობაა!

• • •

მისი დამოკიდებულება ჩემდამი მკაცრი მასწავლებლისა და კეთილი «მზრუნველი მეგობრის» დამოკიდებულება იყო.

— გამოუცნობი კაცი ხართ, — მითხრა მან ხუმრობით, — ლიტერატურაში თითქოს კარგი რეალისტი ხართ, ადამიანებისადმი დამოკიდებულებაში კი — რომანტიკოსი. თქვენი აზრით ყველა — ისტორიის მსხვერპლია? ჩვენ ვიცით ისტორია და მსხვერპლებს ვეუბნებით: გადააყირავეთ სამსხვერპლოები, დაამსხვრიეთ ტაძრები, ძირს ღმერთები! თქვენ კი გინდათ დამარწმუნოთ, რომ მუშათა კლასის მებრძოლი პარტია ვალდებულია უწინარეს ყოვლისა კარგად მოაწყოს ინტელიგენტები.

შეიძლება ვცდები, მაგრამ მგონია, რომ ვლადიმერ ილიას-ძეს ესიამოვნებოდა ჩემთან საუბარი. ის თითქმის ყოველთვის მეუბნებოდა:

— როცა ჩამოხვალთ, — დამირეკეთ, ვინახულოთ ერთმანეთი.

ერთხელ მითხრა:

— თქვენთან საუბარი ყოველთვის საინტერესოა, თქვენი შთაბეჭდილებების წრე უფრო ნაირფეროვანი და ფართოა.

მეკითხებოდა ინტელიგენციის განწყობილების შესახებ, განსაკუთრებული უურადღებით მეცნიერთა შესახებ — მე იმ დროს ა. ბ. ხალატოვთან ერთად ვმეშაობდი «მეცნიერთა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისიაში». აინტერესებდა პროლეტარული ლიტერატურა.

— რას მოელით მისგან?

მე ვუთხარი, რომ ბევრს მოველი, ხოლო უაღრესად საჭიროდ მიმაჩნია შეიქმნას ლიტერატურის უმაღლესი სასწავლებელი, სადაც იქნება ენათმეცნიერების, უცხო ენების (დასავლეთისა და აღმოსავლეთის), ფოლკლორის, მსოფლიო ლიტერატურის, ისტორიის და ცალკე კიდევ რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრები.

— ჰმ-ჰმ. — ამბობდა ის თვალების მოკუტვით და ხარხარით, — ფართოა და თვალისმომკრელი! ფართო რომაა, ამის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ თვალისმომკრელი კი იქნება, ჰა? ჩვენ ამ დარგში საკუთარი პროფესორები არა გვყავს, ბურჟუაზიული პროფესორები კი, ისეთ ისტორიას გვიჩვენებენ... არა, ახლა ჩვენ ამას ვერ ავწევთ. სამი, ხეთი წელიწადი უნდა დაეიცადოთ.

და შემოჰჩიოლა:

— სრულებით ვერ მიმიცლია კითხვისათვის!

მომეტებულად და მრავალჯერ ხაზგასმით აღნიშნავდა დემიან ბედნის მუშაობის საგიტაციო მნიშვნელობას, მაგრამ ამბობდა:

— ცოტა არ იყოს უხეშია, მკითხველს მიჰყვება უკან, საჭირო კია ცოტა წინ ყოფნა.

მაიაკოვსკისადმი დამოკიდებულებაში იჩენდა უნდობლობას და გულფიცხობასაც კი.

— ყვირის, იგონებს რაღაც უკუღმართ სიტყვებს, და ყველაფერი მას ისე არა აქვს, ჩემის აზრით, — როგორც საჭიროა, და ნაკლებად გასაგებია. ყველაფერი დაფანტულია, ძნელი საკითხაეია. ნიჭიერია? ძალიანაც? ჰმ-ჰმ, ვნახოთ! თქვენ არ მიგაჩნიათ, რომ ძალიან ბევრ ლექსებს წერენ? ეურნალებშიც ლექსებს მთელი გვერდები უჭირავთ და კრებულებიც თითქმის ყოველდღე გამოდის.

მე ვუთხარი, რომ ახალგაზრდობის მიდრეკილება ლექსებისადმი ასეთ დღეებში ბუნებრივია და რომ — ჩემი შეხედულებით — საშუალო ღირსების ლექსების წერა უფრო ადვილია, ვიდრე კარგი პროზის, და დროც ნაკლები სჭირდება ლექსებს; ამასთანავე ჩვენ ძალიან ბევრი კარგი მასწავლებელი გვყავს ლექსწყობის ტექნიკის დარგში.

— ლექსები რომ პროზაზე უფრო ადვილი იყოს — ეს მე არ მჯერა! ვერ წარმომიდგენია. ტყავიც რომ გამაძროთ — ორ სტრიქონსაც ვერ დავწერ, — თქვა მან და მოიღუშა. — საჭიროა მასას მივაწოდოთ მთელი ძველი რევოლუციური ლიტერატურა, რაც კი გაგვაჩნია ჩვენ ან არის ევროპაში.

მ. გორკი,
თხზ. კრ. ტ. 17, სახლიტგამომცემლობა, 1952.
გვ. 7, 16 — 17, 38 — 40, 44 — 45.

კ. ცეტკინი

წიგნიდან «მოგონებანი ლენინზე»

... ლენინი რომ შემოვიდა, ჩვენ, სამი ქალი, ხელოვნების, განათლებისა და აღზრდის საკითხებზე ვსაუბრობდით. მე სწორედ იმ მომენტში გამოვთქვამდი ჩემს აღტაცებულ გაკვირვებას ბოლშევიკების თავისებურად ტიტანური, კულტურული მუშაობის გამო და ქვეყნის იმ შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის გამო, რომლებიც ისწრაფვიან ახალი გზა გაუკაფონ ხელოვნებას და აღზრდას. ამასთანავე მე არ დამიფარავს ჩემი შთაბეჭდილება, რომ საკმაოდ ხშირად გვიხდება შევნიშნოთ ბევრი დაურწმუნებლობა, ნიადაგის გაუბედავად მოსინჯვა, საცდელი ნაბიჯები და რომ კულტურული ცხოვრების დარგში ახალი შინაარსის, ახალი ფორმების, ახალი გზების გატაცებულ ძიებასთან ერთად ზოგჯერ ადგილი აქვს ხელოვნური «მოდის აყოლას» და დასავლეთის ნიმუშებისათვის მიბაძვას. ლენინი მაშინვე ძალიან ცოცხლად ჩაერია საუბარში:

— ახალი ძალების გამოღვიძება, მათი მუშაობა იმისათვის, რომ საბჭოთა რუსეთში შეიქმნას ახალი ხელოვნება და კულტურა, — თქვა მან, — ეს კარგია, ძალიან კარგია. მათი განვითარების მძაფრი ტემპი გასაგები და სასარგებლოა. ჩვენ უნდა ავინაზღაუროთ ის, რაც საუკუნეთა განმავლობაში დაგვაკლდა, და ჩვენ ეს გვსურს. ქაოსური მღელვარება, ახალი ლოზუნგების გაცხარებული ძებნა, ლოზუნგები, რომლებიც ზოგიერთ მიმართულებას ხელოვნებისა და აზროვნების სფეროში დღეს «ოსანას» უმღერიან, ხვალ კი გაჰკივიან «ჯვარს აცვი იგი», — ყოველივე ეს გარდუვალია.

— რევოლუცია ხელ-ფეხს უხსნის ყველა მანამდე შებორკილ ძალებს და სიღრმიდან ცხოვრების ზედაპირზე მოერეკება. აი ერთი მაგალითი მრავალთა შორის. დაუფიქრდით იმ გავლენას, რომელსაც ახდენდა ჩვენი ფერწერის, ქანდაკებისა და ხეროთმოძღვრების განვითარებაზე მოდა და სამეფო კარის ჟინიანობა, ისევე, როგორც ბატონ არისტოკრატებისა და ბურჟუაზიის გემოვნება და ახირებულობა. საზოგადოებაში, რომელიც კერძო საკუთრებაზეა დამყარებული, ხელოვანი აწარმოებს საქონელს ბაზრისათვის, მას მყიდველი ესაჭიროება. ჩვენმა რევოლუციამ გაათავისუფლა ხელოვანი ამ მეტად პროზაული პირობების უღლისაგან. რევოლუციამ საბჭოთა სახელმწიფო ხელოვანთა მფარველი, შემკვეთი გახადა. ყველა ხელოვანს, ვინც კი თავის თავს ასეთად თვლის, უფლება აქვს შექმნას ნაწარმოებნი თავისუფლად, თავისი იდეალის მიხედვით, სრულიად დამოუკიდებლად.

— მაგრამ, ცხადია, ჩვენ კომუნისტები ვართ. ჩვენ არ შეგვიძლია ვიდგეთ გულ-ხელდაკრეფილი და საშუალება მივცეთ ქაოსს განვითარდეს საითაც სურს. ჩვენ საკუთარი გეგმაზომიერად უნდა ვხელმძღვანელობდეთ ამ პროცესს და ვაყალიბებდეთ მის შედეგებს. ჩვენ ჯერ შორსა ვართ ამისაგან, ძალიან შორს. მე მგონია, რომ ჩვენცა გვაკვს ჩვენი ექიმი კარლშტადტები. ჩვენ ერთობ დიდი «დამამხობლები ვართ ფერწერაში». საჭიროა ლამაზი შევინარჩუნოთ, ავიღოთ ის როგორც ნიმუში, დავეყრდნოთ მას თუნდაც ის «ძველი» იყოს. რატომ უნდა შევაკციოთ ზერგი ჭეშმარიტად მშვენიერს, უარეყოთ ის როგორც გამოსავალი პუნქტი შემდგომი განვითარებისათვის მხოლოდ იმის საბაბით, რომ ის «ძველია»? რატომ უნდა მოვიხაროთ ქედი ახლის წინაშე, როგორც ღმერთის წინაშე, რომელსაც მხოლოდ იმიტომ უნდა დავემორჩილოთ, რომ «ეს ახალია»? უაზრობაა, სრული უაზრობა! აქ ბევრი თეალთმაქცობაა და, რა თქმა უნდა, შეუგნებელი მოწიწება დასავლეთში გაბატონებული მხატვრული მოდის წინაშე. ჩვენ კარგი რევოლუციონერები ვართ, მაგრამ რატომღაც ვალდებულად ვთვლით ჩვენს თავს დავამტკიცოთ, რომ ჩვენც «თანამედროვე კულტურის სიმაღლეზე» ვდგავართ. მე კი მყოფნის გამბედაობა ჩემი თავი «ბარბაროსად» გამოვაცხადო. მე არ შემიძლია მხატვრული გენიის უმაღლეს გამოხატულებად ჩავთვალო ექსპრესიონიზმის, ფუტურიზმის, კუბიზმისა და სხვა «იზმების» ნაწარმოებები. მე ისინი ვერ გამიგია, მე არ განვიცდი მათგან არავითარ სიხარულს.

თავი ვერ შევიკავე და გამოვუტყდი, რომ არც მე მყოფნის აღქმის ორგანო იმისათვის, რომ გავიგო, რატომ უნდა მივიჩნიოთ შთაგონებული სულის მხატვრულ გამოხატულებად სამკუთხედები ცხვირის ნაცვლად, ანდა აქტიურობისადმი რევოლუციურმა მისწრაფებამ რატომ უნდა აქციოს ადამიანის სხეული, რომლის ორგანოები ერთ რთულ მთლიანობადაა შეკრული, რაღაც რბილ უფორმო ტომრად, რომელიც ორ ორჩოფეზზეა შეყენებული და თვითეულს თითო ხუთკბილა ჩანგალი აქვს.

ლენინმა გულიანად გადიხარხარა:

— ჰო, ძვირფასო კლარა, ვერაფერს გაიგებ, ჩვენ — ორივენი მოვხუცდით. ჩვენთვის საკმარისია, რომ ჩვენ, ყოველ შემთხვევაში, რევოლუციაში ახალგაზრდები ვრჩებით და პირველ რიგებში ვიმყოფებით. ახალ ხელოვნებას ჩვენ ეეღარ გამოვედევნებით, ჩვენ უკან ვიელით კოჭლობით.

— მაგრამ, — განაგრძობდა ლენინი, — მნიშვნელოვანია არა ჩვენი შეხედულებანი ხელოვნებაზე. მნიშვნელოვანია აგრეთვე არა ის, თუ რას აძლევს ხელოვნება რამდენიმე ასეულს, თუნდაც რამდენიმე ათასეულს მოსახლეობის საერთო რიცხვიდან, რაც მილიონებს შეადგენს. ხელოვნება ხალხს ეკუთვნის. იგი თავისი ულრმესი ფესვებით მშრომელთა ფართო მასების თვით შეაგულს უნდა აღწევდეს. იგი გასაგები და საყვარელი უნდა იყოს ამ მასებისათვის. იგი უნდა აერთიანებდეს ამ მასების გრძნობას, აზრსა და ნებისყოფას, აღაფრთოვანებდეს მათ. იგი მათში მხატვრებს უნდა აღვიძებდეს და ავითარებდეს. განა შეგვიძლია ჩვენ ტკბილი, საუცხოო ბისკვიტები მივართვათ უმნიშვნელო უმკირესობას მაშინ, როდესაც მეშათა და გლეხთა მასები შავ პურს საჭიროებენ? მე ეს, თავისთავად ცხადია, მესმის არა მარტო ნამდვილი მნიშვნელობით, არამედ ფიგურალურადაც: ჩვენ ყოველთვის თვალწინ უნდა გვყავდნენ მუშები და გლეხები. მათი გულისათვის უნდა ვისწავლოთ საქმის გაძღოლა, ანგარიში. ეს ეხება აგრეთვე ხელოვნებისა და კულტურის დარგსაც.

— იმისათვის, რომ ხელოვნება დაუახლოვდეს ხალხს და ხალხი ხელოვნებას, ჯერ უნდა ავამაღლოთ საერთო განათლებისა და კულტურის დონე. როგორა გვაქვს საქმე ამ მხრივ? თქვენ აღფრთოვანებული ხართ იმ კოლოსალური კულტურული საქმის გამო, რომელიც ჩვენ მოვახდინეთ ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ. რა

თქმა უნდა, კვეხნის გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ მხრივ ჩვენ ბევრი, ძალიან ბევრი გავაკეთეთ. ჩვენ არა მარტო «თავებს ვაცლიდით», რაშიც ბრალს გვდებენ ყველა ქვეყნის მენშევიკები და თქვენს სამშობლოში კაუცკი, არამედ განათლებაც შეგვქონდა თავებში; ჩვენ ბევრი თაკი გავანათლეთ. მაგრამ «ბევრი» — წარსულთან შედარებით, მაშინ გაბატონებული კლასებისა და ხროვის ცოდვებთან შედარებით. უზომოდ დიდია ჩვენს მიერ მუშებსა და გლეხებში განათლება-კულტურისადმი გაღვიძებული და გაღვიძებული წყურვილი. არა მარტო პიტერსა და მოსკოვში, სამრეწველო ცენტრებში, არამედ აგრეთვე შორს ამ ფარგლებს იქით, თვით სოფლებამდე. ამავე დროს ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ, სრულიად ღარიბი. რა თქმა უნდა, ჩვენ ნამდვილ შეუპოვარ ომს ვაწარმოებთ წერა-კითხვის უცოდინარობასთან. ვხსნით ბიბლიოთეკებს, «ქოხ-სამკითხველოებს» დიდ და პატარა ქალაქებსა და სოფლებში. ვაწყობთ სრულიად სხვადასხვაგვარ კურსებს, ვმართავთ კარგ სპექტაკლებსა და კონცერტებს, ეგზავნით ქვეყნის ყველა კუთხეში «ძოძრავ გამოფენებს» და «საგანმანათლებლო მატარებლებს». მაგრამ, ვიმეორებ: რას მოუტანს ეს მრავალმილიონიან მოსახლეობას, რომელსიც აკლია ელემენტარული ცოდნა, პრიმიტიული კულტურაც კი? მაშინ, როდესაც დღეს მოსკოვში, დავუშვათ ათი ათასი კაცი და ხვალ კიდევ ახალი ათი ათასი კაცი აღტაცებაში მოვა და დატკბება ბრწყინვალე სპექტაკლით თეატრში, — მილიონი ადამიანი ისწრაფვის იმისაკენ, რომ ჩამარცელით ისწავლოს თაკისი სახელის დაწერა და თვლა, ესწრაფვის ეზიაროს კულტურას, რომელიც მათ შეასწავლიდა, რომ დედამიწა პურთისებურია და არა ბრტყელი, და რომ სამყაროს განაგებენ ბუნების კანონები და არა კუდიანები და გრძნეულები «ზეციერ მამასთან» ერთად.

«ამხანაგო ლენინ, არ უნდა ჩიოდეთ ასე მწარედ წერაკითხვის უცოდინარობაზე, — შეენიშნე მე. — რამდენადმე მან შეგიმსუბუქათ თქვენ რევოლუციის საქმე. მან დაიცვა მუშისა და გლეხის ტვინი იმისაგან, რომ ბურჟუაზიული ცნებებითა და შეხედულებებით ყოფილიყო გამოტენილი და დაჩიავებულიყო. თქვენი პროპაგანდა და აგიტაცია ყამირ ნიადაგში ჰკრის თესლს. უფრო ადვილია თესვა და მკა იქ, სადაც საკირო არ არის წინასწარ მთელი პირველყოფილი ტყის მოძირკვა».

— ჰო, ეს მართალია, — მიპასუხა ლენინმა, — მაგრამ მხოლოდ განსაზღვრულ ფარგლებში ან, უფრო სწორად, ჩვენი ბრძოლის განსაზღვრული პერიოდისათვის. წერა-კითხვის უცოდინარობა ეგუებოდა ბრძოლას ხელისუფლებისათვის, ძველი სახელმწიფო აპარატის დანგრევის აუცილებლობას. მაგრამ განა ჩვენ ვანგრევთ მხოლოდ და მხოლოდ ნგრევის გულისათვის? ჩვენ ვანგრევთ იმისათვის, რომ შეექმნათ უკეთესი რამ. წერა-კითხვის უცოდინარობა ძნელად ეგუება, სრულიად არ ეგუება აღდგენის ამოცანებს. აღდგენა ხომ, მარქსის მიხედვით, თვით მუშების და, დავძენდი, გლეხების საქმე უნდა იყოს, თუ მათ სურთ მოიპოვონ თავისუფლება. ჩვენი საბჭოთა წყობილება აადვილებს ამ ამოცანას. მისი მეოხებით ამჟამად ხალხიდან გამოსული ათასობით მშრომელი სხვადასხვა საბჭოებში და საბჭოთა ორგანოებში სწავლობს აღდგენის საქმეზე მუშაობას. ესენი არიან მამაკაცები და ქალები, რომლებიც იმყოფებიან «აყვავების ხანაში», როგორც თქვენში იტყვიან, მათი უმრავლესობა ძველი რეჟიმის დროს აღიზარდა და, მაშასადამე, არ მიეღია განათლება და არ ზიარებია კულტურას, მაგრამ ახლა ისინი გატაცებით ისწრაფვიან ცოდნისაკენ. ჩვენ გადაკრით ვისახავთ მიზნად ჩავბათ საბჭოთა მუშაობაში მამაკაცებისა და ქალების სულ ახალი ფენები და მივცეთ მათ განსაზღვრული პრაქტიკული და თეორიული განათლება. მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვენ არ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ მთელი ჩვენი მოთხოვნილება შემოქმედებითი ხელმძღვანელი ძალებით.

იძულებული ვართ გამოვიყენოთ ძველი სტილის ბიუროკრატები, და ამის შედეგად ჩვენში წარმოიშვა ბიუროკრატიზმი. მე ის მთელი სულით და გულით მძულს, ამასთან, რა თქმა უნდა, მხედველობაში არა მყავს ესა თუ ის ცალკეული ბიუროკრატი. ეს უკანასკნელი შეიძლება საქმიანი კაციც იყოს. მაგრამ მე მძულს სისტემა. ის აჩერებს წინსვლას და გარყვნილება შეაქვს როგორც დაბლა, ისე მაღლა. ბიუროკრატიზმის დაძლევისა და აღმოფხვრის გადამწყვეტი ფაქტორია ხალხის ფართო განათლება და აღზრდა.

— როგორია ჩვენი პერსპექტივები მომავალში? ჩვენ შევქმენით შესანიშნავი დაწესებულებანი და განვახორციელეთ ნამდვილად კარგი ღონისძიებანი იმ მიზნით, რომ პროლეტარულმა გლეხურმა ახალგაზრდობამ შესძლოს იმეცადინოს, ისწავლოს, აითვისოს კულტურა. მაგრამ აქაც ჩვენს წინაშე დგება იგივე მტკივნეული საკითხი: რას ნიშნავს ყოველივე ეს ისეთი დიდი მოსახლეობისათვის, როგორიც ჩვენი მოსახლეობაა? კიდევ უარესი: ჩვენ ჯერ სრულიადაც არა გვაქვს საკმარისი რაოდენობის საბავშვო ბაღები, თავშესაფარები და პირველდაწყებითი სკოლები. მილიონობით ბავშვები იზრდებიან სწავლა-განათლების გარეშე. ისინი ისეთივე უცოდინარნი და უკულტურონი არიან, როგორიც იყვნენ მათი მამები და პაპები. რამდენი ტალანტი იღუპება ამის გამო, რამდენია ჩახშობილი სინათლისაკენ მისწრაფება! ეს საშინელი დანაშაულია მოზარდი თაობის ბედნიერების თვალსაზრისით, რაც უდრის საბჭოთა სახელმწიფოს სიმდიდრის დატაცებას, საბჭოთა სახელმწიფოსი, რომელიც კომუნისტურ საზოგადოებად უნდა გადაიქცეს. აქ არის მრისხანე საშიშროება.

ლენინის ხმაში, რომელიც ჩვეულებრივ ესოდენ მშვიდი იყო, ისმოდა თავშეკავებული აღშფოთება.

«როგორ ახლოსაა ეს საკითხი მის გულთან, — გავიფიქრე მე, — როცა ჩვენთან, სამ ადამიანთან სააგიტაციო სიტყვას ამბობს». ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა, — არ მახსოვს სახელდობრ ვინ, — ლაპარაკი ჩამოაგდო ზოგიერთ განსაკუთრებით თვალსაჩინო მოვლენაზე ხელოვნებისა და კულტურის დარგში და მათი წარმოშობა ახსნა «მომენტის გარემოებებით». ლენინმა ამაზე უპასუხა:

— კარგად ვიცი! ბევრს გულწრფელად სწამს, რომ panem et circenses («პურითა და სანახაობით») შეიძლება დავძლიოთ ახლანდელი პერიოდის სიძნელენი და საშიშროებანი. პურით — რა თქმა უნდა! რაც შეეხება — სანახაობას, — დაე ასე იყოს! წინააღმდეგი არა ვარ. მაგრამ ამასთანავე ნუ დაივიწყებენ, რომ სანახაობა არის არა ნამდვილი დიდი ხელოვნება, არამედ ცოტად თუ ბევრად ლამაზი გართობა. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი მეშები და გლეხები ოდნავადაც არ მოგვაგონებენ რომის ლუმპენ-პროლეტარიატს. ისინი სახელმწიფოს კმაყოფაზე არ იმყოფებიან, არამედ თვითონ ინახავენ სახელმწიფოს თავიანთი შრომით. ისინი «ქმნიდნენ» რევოლუციას და იცავდნენ რევოლუციის საქმეს ზღვა სისხლის დაღვრით და უთვალავი მსხვერპლის გაღებით. მერწმუნეთ, ჩვენმა მუშებმა და გლეხებმა დაიმსახურეს გაცილებით უფრო მეტი რამ, ვიდრე უბრალო სანახაობანი. მათ მოიპოვეს უფლება ნამდვილ დიად ხელოვნებაზე. ამიტომაც ჩვენ პირველ რიგში ვაყენებთ უფართოეს სახალხო განათლებას და აღზრდას. ეს ქმნის ნიადაგს კულტურისათვის, — რა თქმა უნდა იმ პირობით, თუ პურის საკითხი გადაჭრილია. ამ ნიადაგზე უნდა აღმოცენდეს ნამდვილად ახალი, დიდი კომუნისტური ხელოვნება, რომელიც შექმნის თავისი შინაარსის შესატყვის ფორმას. ამ გზაზე ჩვენს «ინტელიგენტებს» უდიდესი მნიშვნელობის კეთილშობილური ამოცანების გადაჭრა მოუხდე-

ბათ. როცა ამ ამოცანებს გაიგებენ და გადაკრიან, ამით ისინი მოიხდიან თავიანთ ვალს პროლეტარული რევოლუციის წინაშე, რომელმაც თვითონ მათ ფართოდ გაუღო კარი ცხოვრების იმ დუხჭირი პირობებიდან ამოსასვლელად, რომლებიც ასე ოსტატურადაა დახასიათებული «კომუნისტურ მანიფესტში».

იმ ღამეს — უკვე გვიანი დრო იყო — ჩვენ სხვა თემებსაც შევეხეთ. მაგრამ ამის შთაბეჭდილება იჩრდილება ხელოვნების, კულტურის, სახალხო განათლებისა და აღზრდის საკითხებზე ლენინის მიერ გაკეთებულ შენიშვნებთან შედარებით...

... ლენინის შენიშვნებმა ისე ღრმად ამაღელვეს, რომ იმ წამსვე ჩავიწერე მათი ძირითადი შინაარსი ისევე, როგორც საბჭოთა რუსეთის წმინდა რევოლუციურ მიწაზე ჩემი პირველად ყოფნის დროს ყოველ დღე შემქონდა ჩემს დღიურში ყველაფერი, რაც კი ყურადღების ღირსად მიმაჩნდა..

კ. ცეტკინი,
მოგონებანი ლენინზე, სახპოლიტგამომცემლობა,
1955, გვ. 12 — 17.

ა. ვ. ლუნაჩარსკი

ლენინი და ხელოვნება

ლენინს მთელი თავისი სოციალური განმავლობაში ძალიან ცოტა დრო ჰქონდა იმისათვის, რომ რამდენადმე ყურადღებით მოეკიდა ხელი ხელოვნებისათვის, და რადგან მისთვის მუდამ უცხო და საძულველი იყო დილეტანტიზმი, მას არ უყვარდა ხელოვნებაზე აზრის გამოთქმა. მიუხედავად ამისა, მისი გემოვნება სრულიად გარკვეული იყო. მას უყვარდა რესი კლასიკოსები, უყვარდა რეალიზმი ლიტერატურაში, თეატრსა და ფერწერაში და ა. შ.

ჯერ კიდევ 1905 წელს პირველი რევოლუციის დროს მას ერთხელ ღამის გათევა მოუხდა ამხ. დ. ი. ლეშჩენკოს ბინაზე, სადაც, სხვათა შორის, მსოფლიოს უდიდესი მხატვრებისადმი მიძღვნილი კნაკფუსისეული გამოცემების მთელი კოლექცია იყო. მეორე დილით ვლადიმერ ილიას-ძემ მითხრა: «რა წარმტაცი დარგია ხელოვნების ისტორია. რამდენი სამუშაოა აქ მარქსისტისათვის. გუშინ არ დამიძინია დილამდე, სულ ვათვალიერებდი წიგნებს. და გული მეტკინა, რომ მე არ მქონია და არც მექნება დრო ხელოვნებისათვის». ვლადიმერ ილიას-ძის ეს სიტყვები არაჩვეულებრივი სიზუსტით დამამახსოვრდა.

უკვე რევოლუციის შემდეგ რამდენჯერმე მომიხდა მასთან შეხვედრა სხვადასხვა სამხატვრო ყიურის ნიადაგზე. ასე, მაგალითად, მახსოვს, გამომძახა დარერთად წავედით ძეგლთა პროექტების გამოფენაზე — უნდა შეგვეცვალა მაცხოვრის ტაძრის ახლოს საუცხო კვარცხლბეკიდან ჩამოგდებული ალექსანდრე III ფიგურა. ვლადიმერ ილიას-ძემ ძალიან კრიტიკულად დაათვალიერა ყველა ძეგლი. არც ერთი არ მოეწონა. განსაკუთრებით გაოცებული იდგა ის ფუტურისტული ყაიდის ძეგლის წინ, მაგრამ როდესაც ჰკითხეს, როგორია მისი აზრი, მან თქვა: «მე აქ არაფერი გამეგება, ლუნაჩარსკის ჰკითხეთო». როცა მე ვთქვი, რომ ვერც ერთ ღირსეულ ძეგლს ვერ ვხედავ-მეთქი, ძალიან გაეხარდა და მითხრა: «მე კი მეგონა, რომ თქვენ რომელიმე ფუტურისტულ საფრთხობელას დადგამდითო».

მეორეჯერ საქმე კარლ მარქსის ძეგლს ეხებოდა. ცნობილმა მოქანდაკემ მ. განსაკუთრებული ჯიუტობა გამოიჩინა. მან წარმოადგინა ძეგლის დიდი პროექტი: «კარლ მარქსი, ოთხ სპილოზე მდგარი». ასეთი მოულოდნელი მოტივი ჩვენ ყველას, და ვლადიმერ ილიას-ძესაც, გვეუცნაურა. მოქანდაკე შეუდგა თავისი ძეგლის გადაკეთებას, სამჯერ გადააკეთა, არავითარ შემთხვევაში არ უნდოდა კონკურსში გამარჯვება დაეთმო. როცა ყიურიმ ჩემი თავმჯდომარეობით საბოლოოდ უარყო მისი

პროექტი და მოიწონა კოლექტიური პროექტი, რომელიც წარმოადგინა მოქანდაკეთა ჯგუფმა ალიოშინის ხელმძღვანელობით, მოქანდაკე მ.—მ. ვლადიმერ ილიას-ძეს მიმართა საჩივრით. ვლადიმერ ილიას-ძე გულისხმიერად მოეპყრო მის საჩივარს და სპეციალურად დამირეკა, რომ ახალი ეიური ყოფილიყო მოწვეული. მითხრა, მე თვითონ მოვალ ალიოშინის პროექტისა და მოქანდაკე მ. პროექტის სანახავად. მოვიდა. მეტად კმაყოფილი დარჩა ალიოშინის პროექტით, მოქანდაკე მ—ს პროექტი კი უარყო.

იმავე წელს პირველი მაისის დღესასწაულზე, იმ ადგილას, სადაც განზრახული იყო მარქსის ძეგლის აგება, ალიოშინის ჯგუფმა ძეგლის მცირე მასშტაბის მოდელი აგო. ვლადიმერ ილიას-ძე სპეციალურად მოვიდა იქ. რამდენჯერმე შემოუარა გარშემო ძეგლს, იკითხა რა სიდიდის იქნებაო, და, ბოლოს, მოიწონა. მაგრამ მითხრა: «ანატოლი ვასილის-ძე, განსაკუთრებით უთხარით მოქანდაკეს, რომ თმები მიამსგავსოს, რომ კარლ მარქსისაგან ისეთი შთაბეჭდილება მივიღოთ, როგორსაც მისი კარგი პორტრეტები იძლევიან, თორემ მსგავსება თითქოს ცოტაა».

ჯერ კიდევ 1918 წელს ვლადიმერ ილიას-ძემ გამომიძახა და მითხრა, რომ საჭიროა წავწიოთ წინ ხელოვნება როგორც საგიტაციო საშუალება. ამასთანავე მან წამოაყენა ორი პროექტი. ჯერ-ერთი, მისი აზრით, საჭირო იყო რევოლუციური წარწერებით მოგვერთო ის შენობები, ლობეები და სხვა ადგილები, სადაც ჩვეულებრივ აკრავენ აფიშებს. ზოგი წარწერა მან მაშინვე დაასახელა.

მეორე პროექტი ეხებოდა იმას, რომ მეტად ფართო მასშტაბით აგვეგო დიდი რევოლუციონერების ძეგლები, თაბაშირის დროებითი ძეგლები, როგორც პეტროგრადში, ისე მოსკოვში. ორივე ქალაქი ცოცხლად გამოეხმაურა ვლადიმერ ილიას-ძის იდეის განხორციელების წინადადებას, ამასთან გათვალისწინებული იყო, რომ თვითეული ძეგლის საზეიმო გახსნისას წარმოთქმული იქნებოდა სიტყვა რევოლუციონერზე და ძეგლს განმარტებითი წარწერა ექნებოდა. ვლადიმერ ილიას-ძე ამას «მონუმენტურ პროპაგანდას» უწოდებდა.

პეტროგრადში ამ «მონუმენტურ პროპაგანდას» საკმაო წარმატება ჰქონდა. პირველი ასეთი ძეგლი იყო მოქანდაკე შერვუდის მიერ გამოქანდაკებული რადიშჩევის ძეგლი. მისი ასლი მოსკოვში დადგეს. სამწუხაროდ, პეტროგრადში ძეგლი დაიმსხვრა და აღარ ყოფილა განახლებული. საერთოდ პეტროგრადის კარგი ძეგლების უმეტესმა ნაწილმა მასალის სიმყიფის გამო ვერ გასძლო, მე კი მახსოვს კარგი ძეგლები, მაგალითად, გარიბალდის, შევჩენკოს, დობროლიუბოვის, გერცენის და სხვათა ბიუსტები. უარესი გამოდიოდა მემარცხენე განხრის ძეგლები. ასე, მაგალითად, როცა გაიხსნა პეროვსკაიას კუბიკურად სტილიზებული თავი, ზოგიერთი პირდაპირ განზე გახტა. ასევე, მახსოვს, ჩერნიშევსკის ძეგლი ბევრს მეტისმეტად ღვლარენილი ეჩვენა. ყველაზე უკეთესი ლასალის ძეგლი * იყო. ქალაქის ყოფილ საბჭოსთან დადგმული ეს ძეგლი დღემდე არსებობს. ზგონი ის ბრინჯაოსაგან ჩამოასხეს. ძალიან კარგი გამოვიდა აგრეთვე მოქანდაკე მატვეევის მიერ გაკეთებული კარლ მარქსის ძეგლი მთელი ტანით. სამწუხაროდ ის დაიმსხვრა და ახლა იმავე ადგილას, ე. ი. სმოლნის ინსტიტუტთან შეცვლილია მარქსის ცოტად თუ ბევრად ჩვეულებრივი ტიპის ბრინჯაოს თავით, რომელიც მოკლებულია მატვეევის ორიგინალურ პლასტიკურ მიდგომას.

ძეგლები მოსკოვში, სწორედ იქ, სადაც ვლადიმერ ილიას-ძეს შეეძლო მაბი დათვალიერება, ვერ იყო კარგი.

* ლასალის ძეგლი მოქანდაკე ზ[illegible]ლიტისა. — ა. ლ.

საერთოდ დამაკმაყოფილებელი ძეგლები მოსკოვში ცოტა იყო. სხვებზე უკეთესი, თითქოს, პოეტ ნიკიტინის ძეგლია. მე არ ვიცი დაათვალიერა თუ არა ძეგლები დაწვრილებით ვლადიმერ ილიას-ძემ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მან ერთხელ უკმაყოფილოდ მითხრა, რომ მონუმენტური პროპაგანდიდან არაფერი არ გამოვიდაო. მე პეტროგრადის გამოცდილება დავიმოწმე, ვლადიმერ ილიას-ძემ ეკვით გაიკნია თავი და მითხრა: «მაშ გამოდის, რომ პეტროგრადში ყველა ნიკიერმა მოიყარა თავი, მოსკოვში კი უნიკოებმა?» მე ვერ შევძელი ამებსნა მისთვის ასეთი ეცნაური მოვლენა.

ერთგვარი ეკვით უყურებდა ის კონენკოვის მემორიალურ დაფასაც. არ მიაჩნდა ის მაინც და მაინც დამაჯერებლად. თვითონ კონენკოვი, სხვათა შორის, ამ თავის ნაწარმოებს მახვილგონიერად უწოდებდა «ვითომდა რეალურ დაფას».

მახსოვს აგრეთვე, მხატვარმა ალტმანმა აჩუქა ვლადიმერ ილიას-ძეს ბარელიეფი, რომელზეც ხალტურინი იყო გამოსახული. ვლადიმერ ილიას-ძეს ბარელიეფი ძალიან მოეწონა, მაგრამ მე მკითხა ეს ფუტურისტული ნაწარმოები ხომ არ არისო? ფუტურიზმს ის საერთოდ უარყოფითად უყურებდა. მე არ დაუსწრებივარ მის საუბარს «ვხუტემასში», რომლის საერთო საცხოვრებელში მან ერთხელ შეიარა ნდომდა კონსტანტინეს-ასულთან ერთად. მე შემდეგ გადმომცეს, რომ ვლადიმერ ილიას-ძეს დიდი საუბარი ჰქონდა ვხუტემასელებთან, რომლებიც, რა თქმა უნდა, მთლად, «მემარცხენეები» იყვნენ. ვლადიმერ ილიას-ძე სიტყვას ბანზე უგდებდა ვხუტემასელებს, ცოტთი დასცინოდა, მაგრამ იქაც განეცხადებია, რომ ასეთ საგნებზე სერიოზულად ლაპარაკს არ კისრულობს, რადგან არ თვლის თავს თავს საკმაოდ კომპეტენტურად. თვით ახალგაზრდობა მას ძალიან მოეწონა და უხაროდა მათი კომუნისტური განწყობილება.

ვლადიმერ ილიას-ძეს თავისი სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში იშვიათად ჰქონდა შემთხვევა დამტკბარიყო ხელოვნებით. ის რამდენჯერმე იყო თეატრში, მგონია, მარტო სამხატვრო თეატრში, რომელსაც ძალიან მაღლა აყენებდა. ამ თეატრის სპექტაკლები მუდამ საეცხოო შთაბეჭდილებას ახდენდნენ მასზე.

ვლადიმერ ილიას-ძეს ძალიან უყვარდა მუსიკა. ერთ დროს ჩემს ბინაზე კარგი კონცერტები იმართებოდა. ზოგჯერ შალიაპინი მღეროდა, ეკრავდნენ მეიჩიკი, რომანოვსკი, სტრადივარიუსის კვარტეტი, ნესვეიცკი და სხვ. მე ბევრჯერ დამიპატიჟნია ვლადიმერ ილიას-ძე, მაგრამ ის მუდამ მოეცალა. ერთხელ პირდაპირ მითხრა: «რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა მუსიკის მოსმენა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ხასიათს მიფუჭებს. მე მას როგორღაც მძიმედ განვიცდი». მახსოვს, აგრეთვე ამბ. ციურუპამ, რომელმაც ერთხელ თუ ორჯერ მოახერხა ვლადიმერ ილიას-ძის მიყვანა თავის ოჯახში იმავე პიანისტ რომანოვსკის კონცერტის მოსასმენად, მითხრა, რომ ვლადიმერ ილიას-ძე ძალიან ტკბებოდა მუსიკით, მაგრამ, ეტყობოდა, აღელვებული იყო.

მე რამდენჯერმე მქონდა შემთხვევა დამესაბუთებინა ვლადიმერ ილიას-ძისათვის, რომ დიდი თეატრი ჩვენ შედარებით იაფად გვიჯდება, მაგრამ მისი მოთხოვნით მაინც შეუმცირეს თეატრს სესხი. ვლადიმერ ილიას-ძე ორი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. ერთი მაშინვე დაასახელა: «არ ეარგა, — ამბობდა ის, — დიდძალი ფული ეხარჯოთ ასეთი მდიდრული თეატრის შესანახად, როცა ჩვენ არ გვყოფნის სახსრები სოფლის უბრალო სკოლებისთვისო». მეორე მოსაზრება ვლადიმერ ილიას-ძემ წამოაყენა, როცა მე ერთ-ერთ სხდომაზე არ გავიზიარე მისი თავდასხმა დიდ თეატრზე. მე აღვნიშნე ამ თეატრის უდაოო კულტურული მნიშვნელობა. მაშინ ვლადიმერ ილიას-

ძემ ეშმაკურად მოჭუტა თვალები და თქვა: «ის მაინც წმინდა მემამულური კულტურის ნაჭერია და ამის უარყოფას ვერავინ შესძლებსო».

ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ვლადიმერ ილიას-ძე წარსულის კულტურისადმი მტრულად იყო განწყობილი. სპეციფიკურ მემამულურ ტონად მიაჩნდა მას ოპერის მთელი სადიდკაცო ზარზეიმური ტონი. საერთოდ, წარსულის ხელოვნებას, განსაკუთრებით რუსულ რეალიზმს (მათ შორის, მაგალითად პერედვიჟნიკებისას) ვლადიმერ ილიას-ძე დიდად აფასებდა.

აი ის ფაქტიური მონაცემები, რომლებიც მე შემიძლია მოვიყვანო ჩემი მოგონებიდან ვლადიმერ ილიას-ძეზე. ვიმეორებ, თავისი ესთეტიკური სიმპათიებიდან თუ ანტიპათიებიდან ვლადიმერ ილიას-ძე არასოდეს არ ქმნიდა სახელმძღვანელო იდეებს.

ხელოვნებით დაინტერესებულ ამხანაგებს ახსოვთ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ხელოვნების საკითხებზე, რომელიც ძალიან მკვეთრად არის მიმართული ფუტურიზმის წინააღმდეგ. მე არა ვარ ამას უფრო ახლოს გაცნობილი, მაგრამ ვფიქრობ, რომ აქ თვითონ ვლადიმერ ილიას-ძეს ეკუთვნის დიდი წვლილი. იმ ხანებში ვლადიმერ ილიას-ძე მთელიდა მგონია ფუტურიზმის მომხრედ, ან ადამიანად, რომელიც განსაკუთრებით ეჭომაგება ფუტურიზმს და, ალბათ, ამიტომ იყო, რომ არ მომეთათბირა, ვიდრე ცენტრალური კომიტეტი მიიღებდა ამ დადგენილებას, რომელსაც, მისი შეხედულებით, უნდა გამოესწორებინა ჩემი ხაზი.

საკმაოდ მკვეთრი უთანხმოება ჰქონდა ჩემთან ვლადიმერ ილ[illegible]ია[illegible]-ძეს პროლეტკულტისადმი დამოკიდებულებაშიც. ერთხელ ძალიან დამტუქსა კიდეც. უწინარეს ყოვლისა ვიტყვი, რომ ვლადიმერ ილიას-ძე სრულიადაც არ უარყოფდა მუშათა წრეების მნიშვნელობას პროლეტარული ფენიდან მწერლებისა და მხატვრების წამოსაწევად, მაგრამ ის ძალიან შიშობდა, რომ პროლეტკულტი არ შესდგომოდა «პროლეტარული მეცნიერების», საერთოდ, მთელი მოცულობით «პროლეტარული კულტურის» შემუშავებას. ეს მას მიაჩნდა, ჯერ ერთი, სრულიად უდროისო და შეუძლებელ ამოცანად, მეორე, ის ფიქრობდა, რომ ბუნებრივია, ასეთი ნაჩქარევი გამონაგონით მუშებს გულს აუცრუებენ სწავლაზე, უკვე მზა მეცნიერებისა და კულტურის ელემენტების აღქმაზე, და, მესამე, ალბათ, ვლადიმერ ილიას-ძეს სამართლიანად ეშინოდა იმისი, რომ პროლეტკულტში არ დაბუდებულიყო რომელიმე პოლიტიკური გადახრა. საკმაოდ მტრულად უყურებდა ის, მაგალითად, დიდ როლს, რომელსაც იმ ხანებში ა. ა. ბოგდანოვი პროლეტკულტში თამაშობდა.

პროლეტკულტის ყრილობის დროს 1920 წლის ოქტომბერში ვლადიმერ ილიას-ძემ დამავალა წავსულიყავი ყრილობაზე და გარკვეულად მიმეთითებინა, რომ პროლეტკულტი უნდა იმყოფებოდეს განათლების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობის ქვეშ და თავის თავს თელიდეს მის დაწესებულებად და ა. შ. ერთი სიტყვით, ვლადიმერ ილიას-ძეს უნდოდა, რომ ჩვენ პროლეტკულტი დაგვეახლოვებინა სახელმწიფოსთან; ამავე დროს ის ზომებს იღებდა, რათა პარტიასთანაც დაეახლოვებინა პროლეტკულტი. სიტყვა. რომელიც ყრილობაზე წარმოვთქვი, მე ჩამოვაყალიბე საკმაოდ ორჭოფულად და შემარიგებლურად. ვლადიმერ ილიას-ძეს ეს სიტყვა კიდევ უფრო შერბილებული რედაქციით გადასცეს. მან მიმიხმო და მიწასთან გამასწორა. შემდეგ პროლეტკულტი გარდაიქმნა ვლადიმერ ილიას-ძის მითითების მიხედვით.

რევოლუციის დროს შექმნილი ახალი სამხატვრო და ლიტერატურული ფორმაციების უმეტესი ნაწილი ვლადიმერ ილიას-ძის ყურადღების გარეშე რჩებოდა. მას არ ჰქონდა დრო მათთვის თვალი ედევნებინა. მაინც ვიტყვი — მაიაკოვსკის «ასორმოცდაათი მილიონი» ვლადიმერ ილიას-ძეს აშკარად არ მოეწონა, მან ეს წიგნი

ღელარჭნილად[1] ჩათვალა. დასანანია, რომ რევოლუციისაკენ ლიტერატურის სხვა, უფრო მერმინდელ და უფრო მომწიფებულ მობრუნებათა შესახებ მას უკვე აღარ შეეძლო აზრი გამოეთქვა.

ყველასათვის ცნობილია ის უდიდესი ინტერესი, რომელსაც ვლადიმერ ილიას-ძე კინემატოგრაფიისადმი იჩენდა.

ა. ვ. ლუნაჩარსკი,
მოგონებანი ლენინზე, პარტგამომცემლობა,
1933, გვ. 46 — 51.

• • •

...როდესაც მე პირად საუბარში ლენინს ვთხოვე — «მომეცით ფული ჩვენი ექსპერიმენტული თეატრების დასახმარებლად, რადგან ეს თეატრები ახალი და რევოლუციური», — მან მითხრა — «დაე, შიმშილობის განმავლობაში ექსპერიმენტულმა თეატრებმა გარკვეული ენთუზიაზმით შეინახონ თავიანთი თავი. აუცილებლად საჭიროა მთელი ძალღონე ვიხმაროთ, რათა არ წაიკლონ ჩვენი კულტურის მთავარი ბურჯები, ვინაიდან ამას ჩვენ პროლეტარიატი არ გვაპატიებს». ლენინი იმ აზრის იყო, რომ ჩვენ პირველ რიგში უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ არ დაიშალონ მუზეუმები, რომლებიც უდიდეს ფასეულობას იცავენ, რომ არ დაიშშნენ და საზღვარგარეთ არ გაიქცნენ დიდი სპეციალისტები. მას მიაჩნდა, რომ, თუ ჩვენ დავიცდით და პირველ რიგში არ დავაყენებთ ექსპერიმენტულ ახალგაზრდობას, ეს ნაკლები ცოდვა იქნებაო.

„ერებული „ლენინი კულტურისა
და ხელოვნების შესახებ“,
1938, გვ. 310.

• • •

... ჩემი დიდი საუბარი ვლადიმერ ილიას-ძესთან კინოს შესახებ გამოწვეული იყო მისი მძაფრი ინტერესით კინოსაქმისადმი, რაც გამოვლინდა მის ცნობილ წერილში ამხ. ლიტკენსისადმი, რომელიც მან იანვარში დაწერა. დაახლოებით თებერვლის შუა რიცხვებში, ან იქნებ მის ბოლოს, ვლადიმერ ილიას-ძემ მიმიწვია მასთან მოსალაპარაკებლად. რამდენადაც მახსოვს, საუბარი ეხებოდა განათლების სახალხო კომისარიატის მუშაობის რამდენიმე მიმდინარე საკითხს. შემეკითხა იმის შესახებაც, თუ რა გაკეთდა იმ წერილის შესასრულებლად, რომელიც მან ლიტკენსს გაუგზავნა, პასუხად მე საკმაოდ დაწერილებით ვუამბე ყველაფერი, რაც ვიცოდი საბჭოთა რესპუბლიკაში კინოს მდგომარეობის შესახებ და იმ უდიდესი სიძნელეების შესახებ, რომლებიც ამ საქმის განვითარებას აფერხებდნენ. მე განსაკუთრებით აღვნიშნავდი, რომ განსახკომს არა აქვს სახსრები კინოწარმოების ფართოდ დაყენებისათვის, აგრეთვე არა ჰყავს ამ საქმის ხელმძღვანელები ანე, უფრო სწორად რომ ვთქვათ, კომუნისტი ხელმძღვანელები, რომლებსაც შეიძლება სავსებით დავეყარო. ამის საპასუხოდ ვლადიმერ ილიას-ძემ მითხრა, რომ შეეცდება რაიმე გაკეთოს ფოტოკინო განყოფილებისათვის სახსრების გასადიდებლად და რომ ის შინაგანად დარწმუნებუ-

[1] სამაგიეროდ იმავე მაიაკოვსკის პატარა ლექსმა საქმის გაჭიანურების შესახებ ბევრი აკინა ვლადიმერ ილიას-ძე და ზოგიერთ სტრიქონს ის კიდევაც იმეორებდა. — ა. ლ.

ლია ამ საქმის დიდ შემოსავლიანობაში, თუ ის სწორად იქნება დაყენებული. მან ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი გასართობ და მეცნიერულ კინოსურათებს შორის განსაზღვრული პროპორციის დაწესების აუცილებლობას.

საუბედუროდ, ეს ახლაც სუსტად არის დაყენებული. ვლადიმერ ილიას-ძემ მითხრა, რომ ქრონიკით უნდა დავიწყოთ კომუნისტური იდეებით გამსჭვალული, საბჭოთა სინამდვილის ამსახველი ახალი ფილმების წარმოება, რომ მისი აზრით, ასეთი ფილმების შექმნის დრო, შესაძლებელია, ჯერ არ დამდგარა.

„თუ თქვენ გექნებათ კარგი ქრონიკა, სერიოზული და საგანმანათლებლო სურათები, მაშინ არა უშავს, თუ ხალხის მისაზიდად მასთან ერთად ცოტად თუ ბევრად ჩვეულებრივი ტიპის რომელიმე უსარგებლო სურათი წავა. რა თქმა უნდა, ცენზურა მაინც საჭიროა. კონტრრევოლუციურ და უზნეო სურათებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ".

ამას ვლადიმერ ილიას-ძემ დასძინა:

„როგორც კი თქვენი კარგი მეურნეობრიობით წელში გაიმართებით, და ისიც კია შესაძლებელი, რომ ქვეყნის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესების გამო ამ საქმისათვის განსაზღვრულ სესხს მიიღებთ, თქვენ უნდა უფრო ფართოდ გაშალოთ წარმოება, განსაკუთრებით კი წასწიოთ ჯანსაღი კინო მასაში ქალაქად და კიდევ უფრო მეტად — სოფლად".

მერე ღიმილით დასძინა ვლადიმერ ილიას-ძემ:

„თქვენ ითვლებით ჩვენში ხელოვნების მფარველად, მაშ თქვენ მტკიცედ უნდა გახსოვდეთ, რომ ყველა ხელოვნებიდან ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია კინო".

ამით შეწყდა, მახსოვს, ჩვენი საუბარი.

„პარტია კინოს შესახებ",
სახკინოგამომცემლობა, 1939, გვ. 31 — 32.

შენიშვნები

—

1 სტატია «პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა» დაიბეჭდა ბოლშევიკურ ლეგალურ გაზეთ «ნოვაია ჟიზნ»-ში ვ. ი. ლენინის ემიგრაციიდან პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ 1905 წლის ნოემბერში.

გაზეთი «ნოვაია ჟიზნ» გამოდიოდა ყოველდღიურად 1905 წლის 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) 3 (16) დეკემბრამდე პეტერბურგში. ვ. ი. ლენინის ჩამოსვლის შემდეგ გაზეთი გამოდიოდა მისი უშუალო ხელმძღვანელობით და ფაქტიურად წარმოადგენდა რსდმპ ცენტრალურ ორგანოს. გაზეთის უახლოესი თანამშრომლები იყვნენ ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი, ა. ვ. ლუნაჩარსკი. «ნოვაია ჟიზნში» აქტიურ მონაწილეობას იღებდა ა. მ. გორკი, რომელიც გაზეთს აგრეთვე დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა. გაზეთის ტირაჟი 80 ათას ეგზემპლარს აღწევდა.

გაზეთი «ნოვაია ჟიზნ» მრავალ რეპრესიას განიცდიდა. გაზეთის 27 ნომრიდან 15-ს კონფისკაცია უყვეს და მოსპეს. 27-ე ნომრის გამოსვლის შემდეგ მთავრობამ გაზეთი დახურა. უკანასკნელი, 28-ე ნომერი არალეგალურად გამოვიდა. — 41.

2 ლაპარაკია 1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვაზე, რომლის შედეგად 1905 წლის 17 ოქტომბერს მეფემ გამოსცა «მანიფესტი» ხალხისათვის სამოქალაქო თავისუფლებათა «ბოძების» შესახებ. ბოლშევიკებმა ისარგებლეს ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებით თავიანთი გაზეთების ლეგალურად გამოცემისათვის. 1905 წლის ბოლოს, დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების ჩახშობის შემდეგ, თვითმპყრობელობამ იერიში მიიტანა მუშათა ორგანიზაციებსა და მუშათა პრესაზე. — 41.

3 «პროლეტარი» — არალეგალური ბოლშევიკური ყოველკვირეული გაზეთი, რსდმპ ცენტრალური ორგანო, შექმნილი რსდმპ III ყრილობის დადგენილებით, გამოდიოდა ჟენევაში 1905 წლის 14 (27) მაისიდან 12 (25) ნოემბრამდე ვ. ი. ლენინის რედაქციით; გამოვიდა 26 ნომერი (25-ე და 26-ე ნომრები გამოვიდა ვ. ი. ლენინის რუსეთს გამომგზავრების შემდეგ ვ. ვ. ვოროვსკის რედაქციით). რედაქციის მუშაობაში მუდმივ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ა. ვ. ლუნაჩარსკი და მ. ს. ოლმინსკი. — 42.

4 «რუსკოე ბოგატსტვო» — ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა 1876 წლიდან 1918 წლის შუახანებამდე. 90-იანი წლების დამდეგიდან ჟურნალი ლიბერალური ნაროდნიკების ორგანო გახდა და მას რედაქტორობდნენ კრივენკო და მიხაილოვსკი. ჟურნალი ჰქადაგებდა მეფის მთავრობასთან შერიგებას და მის წინააღმდეგ ყოველგვარ რევოლუციურ ბრძოლაზე ხელის აღებას, გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა მარქსიზმის წინააღმდეგ და სდევნიდა რუს მარქსისტებს. — 48.

5 «რუსკაია მისლ» — ლიბერალურ-ნაროდნიკული მიმართულების ყოველთვიური ჟურნალი, გამოდიოდა 1880 წლიდან. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ ჟურნალი იქცა კადეტთა პარტიის ორგანოდ და გამოდიოდა პ. ბ. სტრუვეს რედაქციით. — 48.

6 ლენინს მოჰყავს ციტატი გოეთედან («Zahme Xenien», Goethès Werke. Neue Ausgabe, Zweiter Band, Brl, 1893, S. 593), თარგმანი იხ. ამ კრებულის 79 გვერდზე. — 49.

7 «ნედელია» — ყოველკვირეული ლიბერალურ-ნაროდნიკული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1866-დან 1901 წლამდე. გაზეთი გამოდიოდა თვითმპყრობელობასთან ბრძოლის წინააღმდეგ, ჰქადაგებდა ეგრეთწოდებულ «მცირე საქმეთა» თეორიას, ე. ი. ინტელიგენციას მოუწოდებდა უარი ეთქვა რევოლუციურ ბრძოლაზე და ხელი მოეკიდა «კულტურულსობისათვის».

«ნოვოე ვრემია» — გაზეთი, რომელიც პეტერბურგში გამოდიოდა 1868 წლიდან 1917 წლის ოქტომბრამდე; ეკუთვნოდა სხვადასხვა გამომცემლებს და ხშირად იცვლიდა პოლიტიკურ მიმართულებას. თავდაპირველად იყო ზომიერ-ლიბერალური, 1876 წლიდან კი გადაიქცა რეაქციული თავადაზნაურული და ბიუროკრატიული წრეების ორგანოდ. მოსყიდული იყო მეფის მთავრობის მიერ და ბრძოლას ეწეოდა არა მარტო რევოლუციური, არამედ ლიბერალურ-ბურჟუაზიული მოძრაობის წინააღმდეგაც. — 50.

8 «სოციალ-დემოკრატი» — ლიტერატურულ-პოლიტიკური მიმოხილვა, რომელსაც სცემდა «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი საზღვარგარეთ 1890 — 1892 წლებში; სულ გამოვიდა ოთხი წიგნი. ლენინს მოჰყავს ციტატი პლეხანოვის სტატიიდან «ნ. გ. ჩერნიშევსკი», რომელიც დაიბეჭდა «სოციალ-დემოკრატის» პირველ წიგნში 1890 წელს, გვ. 138 — 139. — 53.

9 პრუსიელი რეგირუნგსრატი (სამოქალაქო მრჩეველი) — ლაპარაკია გერმანელ ეკონომისტზე — ბარონ ა. ჰაკსტჰაუზენზე, რომელმაც XIX საუკუნის 40-იან წლებში რუსეთი ინახულა და თავის წიგნში — «რუსეთის ხალხის ცხოვრების შინაურ ურთიერთობათა და განსაკუთრებით სასოფლო დაწესებულებათა გამოკვლევანი» — დაწერილებით ასწერა რუსული გლეხური თემი. ენგელსის თქმით, ჰაკსტჰაუზენმ «რუსეთში აღმოაჩინა მიწის სათემო საკუთრება»; ამავე დროს იგი ხოტბას ასხამდა ნიკოლოზის რუსეთს და დასავლეთ ევროპასთან შედარებით მის უპირატესობას ხედავდა იქ «პროლეტარიატობის წყლულის» არარსებობაში. — 57.

10 პირველი ნაწყვეტი წარმოადგენს ავტორის შენიშვნას, რომელიც შეტანილია წიგნის მეორე გამოცემაში (1908) IV თავისათვის: «საავარო მიწათმოქმედების ზრდა», კარი IV; მეორე ნაწყვეტი შენიშვნაა VII თავისთავის: «მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარება», კარი IV. — 59.

11 რ. მ. — ავტორი მოწინავე სტატიისა, რომელიც დაიბეჭდა «რაბოჩაია მისლის» ცალკე დანართში (1899 წლის სექტემბერი).

«რ ა ბ ო ჩ ა ი ა მ ი ს ლ» — «ეკონომისტების» გაზეთი; გამოდიოდა 1897 წლის ოქტომბრიდან 1902 წლის დეკემბრამდე. გამოვიდა 16 ნომერი. რედაქტორი იყო კ. მ. ტახტარევი და სხვ.

«რაბოჩაია მისლის» შეხედულებების, როგორც საერთაშორისო ოპორტუნიზმის რუსული სახესხვაობის კრიტიკა ლენინმა მოგვცა სტატიებში, რომლებიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ «ისკრაში» და წიგნში «რა ვაკეთოთ?». — 60.

12 ლენინს მოპყავს ციტატი დ. ი. პისარევის სტატიიდან «მოემწიფებელი აზრის შეცდომები». — 67.

13 «Credo» — «ეკონომისტების» (ს. ნ. პროკოპოვიჩის, ე. დ. კუსკოვას და სხვების — შემდეგში კადეტების) ჯგუფის მანიფესტი, რომლის წინააღმდეგ 1899 წელს ვ. ი. ლენინი გამოვიდა «რუსეთის სოციალ-დემოკრატების პროტესტით» (იხ. თხზულებანი, გამოცემა მე-4, ტომი 4, გვ. 197 — 215). — 68.

14 ლენინს მხედველობაში აქვს ნ. შჩედრინის ნარკვევები «საზღვარგარეთ», დაბეჭდილი «ოტეჩესტვენიე ზაპისკის» 1881 წლის იანვრის წიგნში. — 69.

15 სიტყვის პროექტი ლენინმა დაწერა სოციალ-დემოკრატ დეპუტატის გ. ა. ალექსინსკის გამოსვლისათვის სათათბიროში აგრარულ საკითხზე კამათის დროს, ალექსინსკიმ თავის გამოსვლაში 1907 წლის 5 (18) აპრილს პროექტი მხოლოდ ნაწილობრივ გამოიყენა. — 70.

16 ლენინს მხედველობაში აქვს ნ. გ. ჩერნიშევსკის რომანი «პროლოგი». — 70.

17 ლიდვალი — მსხვილი სპეკულანტი, რომელიც 1905 წელს დამშეული გუბერნიებისათვის სურსათის მიმწოდებელი იყო. — 71.

18 სტატია «გ რ ა ფ გ ე ი დ ე ნ ი ს ხ ს ო ვ ნ ა ს» დაიბეჭდა ბოლშევიკურ კრებულში «გოლოს ეიზნი», სპბ, 1907. ნ. ლ.-ს ხელმოწერით, რედაქციის შემდეგი შენიშვნით: «ეს სტატია დაწერილია ჯერ კიდევ ივნისში, «ტოვარიშჩში» პანეგირიკების გამოქვეყნებისთანავე, მაგრამ ავტორისაგან «დამოუკიდებელ» გარემოებათა გამო არ დაბეჭდილა. როცა რედაქცია ადგილს უთმობს მას ამ კრებულში, ფიქრობს, რომ თუმცა სტატიის გამომწვევმა საბაბმა უკვე დაკარგა მნიშვნელობა დღევანდელი მომენტისათვის, მიუხედავად ამისა მისი შინაარსი ახლაც ინარჩუნებს მთელ თავის ღირებულებას». — 72.

19 «რ უ ს ს კ ი ე ვ ე დ ო მ ო ს ტ ი» — ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1863 წლიდან, მისი გამომცემლები იყვნენ მოსკოვის უნივერსიტეტის ლიბერალი პროფესორები და ერობის მოღვაწენი; გამოხატავდა ლიბერალური

მემამულეებისა და ბურჟუაზიის ინტერესებს. 1905 წლიდან — მემარჯვენე კადეტების ორგანო. დახურულ იქნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

კ.-დ., კადეტები («კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია») — რუსეთის მთავარი ბურჟუაზიული პარტია, ლიბერალურ-მონარქისტული ბურჟუაზიის პარტია; ჩამოყალიბდა 1905 წლის ოქტომბერში. კადეტები ინიღბებოდნენ ყალბი დემოკრატიზმით, თავიანთ თავს უწოდებდნენ «სახალხო თავისუფლების» პარტიას, ისწრაფოდნენ შეენარჩუნებინათ ცარიზმი კონსტიტუციური მონარქიის სახით, ცდილობდნენ გლეხობის მიმხრობას. შემდეგ კადეტები იმპერიალისტური ბურჟუაზიის პარტიად გადაიქცნენ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ კადეტებმა მოაწყვეს კონტრრევოლუციური შეთქმულებანი და აჯანყებები საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ. — 72.

20 «ტ ო ვ ა რ ი შ ჩ» — ყოველდღიური ბურჟუაზიული გაზეთი, რომელიც გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის მარტიდან 1908 წლის იანვრამდე, ფორმალურად არ წარმოადგენდა რა რომელიმე პარტიის ორგანოს, ფაქტიურად მემარცხენე კადეტების ორგანო იყო. გაზეთში თანამშრომლობდნენ მენშევიკები. — 72.

21 ლაპარაკია 1905 წლის ოქტომბრის საყოველთაო პოლიტიკურ გაფიცვაზე. — 74.

22 «ო ქ ტ ი ა ბ რ ი ს ტ ე ბ ი» ანუ «17 ო ქ ტ ო მ ბ რ ი ს კ ა ვ შ ი რ ი» — კონტრრევოლუციური პარტია მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიისა და მსხვილი მემამულეებისა, რომლებიც კაპიტალისტურად წარმართავდნენ მეურნეობას. შეიქმნა 1905 წლის ნოემბერში. ოქტიაბრისტები სიტყვიერად ცნობდნენ 17 ოქტომბრის მანიფესტს, მაგრამ უსიტყვოდ მხარს უჭერდნენ მეფის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. ოქტიაბრისტების ლიდერები იყვნენ მსხვილი მრეწველი ა. გუჩკოვი და უზარმაზარი მამულების მფლობელი მ. როძიანკო. — 74.

23 მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ გ ა ნ მ ა ა ხ ლ ე ბ ლ ო ბ ა — «მ შ ვ ი დ ო ბ ი ა ნ ი გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ი ს პ ა რ ტ ი ა» — ბურჟუაზიულ-მემამულური კონტრრევოლუციური ორგანიზაცია; დაარსდა 1906 წელს, აერთიანებდა მემარცხენე ოქტიაბრისტებსა და მემარჯვენე კადეტებს. «მშვიდობიანი განახლების პარტიას» ლენინი უწოდებდა «მშვიდობიანი ძარცვა-გლეჯის პარტიას». — 77.

24 ლენინს მხედველობაში ჰყავს მემამულე პენოჩკინი «მონადირის წერილების» მოთხრობა «ბურმისტრიდან». — 78.

25 იხ. შენიშვნა 6. — 80.

26 «რ ე ჩ» — ყოველდღიური გაზეთი, კადეტთა პარტიის ცენტრალური ორგანო; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის თებერვლიდან; დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის ოქტომბერში. — 82.

27 ლენინს მოჰყავს ციტატი ნ. ა. ნეკრასოვის პოემიდან «ვინ ცხოვრობს კარგად რუსეთში». — 83.

28 «ნაროდნაია ვოლია» — ნაროდნიკული ფარული საზოგადოება, რომელიც შეიქმნა 1879 წელს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციერი ბრძოლისათვის. ნაროდოვოლცების მიერ მეფე ალექსანდრე II-ის მოკვლის (1881 წლის 1 (13) მარტს) შემდეგ «ნაროდნაია ვოლია» მეფის მთავრობამ მალე ჯაანადგურა. ნაროდნიკების უმრავლესობამ ამის შემდეგ ხელი აიღო ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციერ ბრძოლაზე, დაიწყო მეფის თვითმპყრობელობასთან შერიგების, შეთანხმების ქადაგება. ნაროდნიკობის ეს ეპიგონები — XIX საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების ლიბერალი ნაროდნიკები — ჟელაკობის ინტერესების გამომხატველნი გახდნენ. — 86.

29 «რუსკოე სლოვო» — ყოველდღიური ლიბერალურ-ბურჟუაზიული გაზეთი; გამოდიოდა მოსკოვში 1895 წლიდან; დაიხურა 1917 წლის ნოემბერში. — 87.

30 «Vorwärts» («წინ») — გაზეთი, გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური ორგანო; გამოსვლა დაიწყო 1876 წლიდან ვ. ლიბკნეხტისა და სხვათა რედაქციით. გაზეთის ფურცლებზე ფ. ენგელსი ბრძოლას ეწეოდა ოპორტუნიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, «Vorwärts»-ში სისტემატიურად იბეჭდებოდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიასა და II ინტერნაციონალში გაბატონებული ოპორტუნისტების სტატიები. — 87.

31 «ვეხი» — კადეტთა კრებული; გამოვიდა მოსკოვში 1909 წლის გაზაფხულზე ნ. ბერდიაევის, ს. ბულგაკოვის, პ. სტრუვეს, მ. გერშენზონის და კონტრრევოლუციური ლიბერალური ბურჟუაზიის სხვა წარმომადგენლების სტატიებით. სტატიებში რუსეთის ინტელიგენციის შესახებ «ვეხელები» ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ რუსი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლების, მათ შორის ბელინსკისა და ჩერნიშევსკის რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციებისათვის; ლაფში სვრიდნენ 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობას და მადლობას უხდიდნენ მეფის მთავრობას იმისათვის, რომ მან თავისი ხიშტებითა და საპყრობილეებით იხსნა ბურჟუაზია «ხალხის რისხვისაგან». კრებული მოუწოდებდა ინტელიგენციას თვითმპყრობელობისადმი სამსახურისაკენ. ლენინი «ვეხის» პროგრამას ფილოსოფიაშიც და პუბლიცისტიკაშიც ადარებდა შავრაზმული გაზეთის «მოსკოვსკია ვედომოსტის» პროგრამას და კრებულს უწოდებდა «ლიბერალური რენეგატობის ენციკლოპედიას», იმ «რეაქციული სიბინძურის მთელ ნიაღვარს, რომელიც დემოკრატიას გადაასხეს». — 89.

32 «მოსკოვსკია ვედომოსტი» — ყოველდღიური გაზეთი; გამოსვლა დაიწყო 1756 წელს; XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოხატავდა მემამულეებისა და სამღვდელოების ყველაზე რეაქციული მონარქისტული ფენების შეხედულებებს; 1905 წლიდან — შავრაზმელთა ერთ-ერთი მთავარი ორგანო; დახურულ იქნა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. — 91.

33 ბელინსკის წერილი გოგოლისადმი (ზალცბრუნი, 1847 წლის 15 ივლისი) დაიწერა ნ. ვ. გოგოლის მიერ «მეგობრებთან მიმოწერის რჩეული ადგილების» გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. წერილის შეფასება იხ. ვ. ი. ლენინის სტატიაში «რუსეთის მუშათა ბუნდოვანი სიტყვის წარსულიდან» ამ კრებულის 210 — 211 გვერდზე. — 91.

40. ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ.

34 ლაპარაკია საფრანგეთის 1789 — 1793 წლების ბურჟუაზიულ რევოლუციაზე. — 95.

35 ტ რ უ დ ო ვ ი კ ე ბ ი, «ძრომის ჯგუფი» — წვრილბურჟუაზიული დემოკრატების ჯგუფი; შეიქმნა 1906 წლის აპრილში პირველი სახელმწიფო სათათბიროს გლეხი დეპუტატებისაგან.

ტრუდოვიკები მოითხოვდნენ ყოველგვარ წოდებრივ და ეროვნულ შეზღუდვათა გაუქმებას, საერთო და საქალაქო თვითმმართველობის დემოკრატიზაციას, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში საყოველთაო საარჩევნო უფლებების განხორციელებას. ტრუდოვიკების აგრარულ პროგრამას საფუძვლად ედო გათანაბრებითი მიწათსარგებლობის ნაროდნიკული პრინციპები: საერთო-სახალხო ფონდის შექმნა სახაზინო, საუფლისწულო, საკაბინეტო და სამონასტრო მიწებიდან, აგრეთვე კერძო მფლობელთა მიწებიდან, თუ მფლობელობის ოდენობა აღემატებოდა დაწესებულ შრომითს ნორმას; კერძო მფლობელთა განსხვისებული მიწებისათვის გათვალისწინებული იყო ახალზაურება. მიწის რეფორმის განხორციელება გლეხთა ადგილობრივ კომიტეტებს ეკისრებოდა. — 95.

36 «ოთხფორმულიანი საარჩევნო სისტემა» — შემოკლებული სახელია დემოკრატიული საარჩევნო სისტემისა, რომელიც შეიცავს ოთხ მოთხოვნას: საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული საარჩევნო უფლება. — 95.

37 3 ი ვ ნ ი ს ი ს კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ა — ახალი საარჩევნო კანონი, რომელიც მეფის მთავრობამ II სახელმწიფო სათათბიროს გარეკვასთან ერთად გამოსცა. ახალი საარჩევნო კანონი ბევრად ადიდებდა მემამულეებისა და სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენლობას სათათბიროში და რამდენჯერშე ამცირებდა გლეხებისა და მუშების წარმომადგენელთა ისედაც პატარა რიცხვს. კანონი საარჩევნო უფლებებს უსპობდა რუსეთის აზიური ნაწილის მოსახლეობის უმეტეს ნაწილს, ერთიორად ამცირებდა პოლონეთისა და კავკასიის მოსახლეობის წარმომადგენლობას. ამ კანონის საფუძველზე არჩეული და 1907 წლის ნოემბერში შეკრებილი III სათათბირო თავისი შემადგენლობით შავრაზმულ-კადეტური იყო. — 96.

38 «გამდიდრდით, ბატონებო, და თქვენც ამომრჩევლები გახდებით» — სიტყვები ეკუთვნის ფ. გიზოს, საფრანგეთის მთავრობის ფაქტიურ მეთაურს 1840 წლიდან 1848 წლის თებერვლის რევოლუციამდე. — 96.

39 ბ უ ლ ი გ ი ნ ი ს ს ა თ ა თ ბ ი რ ო — სათათბირო ხასიათის «წარმომადგენლობითი დაწესებულება», რომლის მოწვევას მეფის მთავრობა შეპირდა ხალხს 1905 წელს. პროექტი კანონისა სახელმწიფო სათათბიროს დაწესების შესახებ და სათათბიროს არჩევნების დებულება შეიმუშავა კომისიამ შინაგან საქმეთა მინისტრის ბულიგინის თავმჯდომარეობით და გამოქვეყნდა 1905 წლის 6 (19) აგვისტოს. ბოლშევიკებმა აქტიური ბოიკოტი გამოუცხადეს ბულიგინის სათათბიროს. მთავრობამ ვერ შესძლო სათათბიროს მოწვევა; იგი აღგავა რევოლუციამ. — 97.

40 ლაპარაკია ინგლისში იმ დელეგაციის მოგზაურობაზე, რომელშიც შედიოდნენ სახელმწიფო სათათბიროს წევრები ზომიერ მემარჯვენეებიდან კადეტებამდე. დელეგაციის მონაწილემ, კადეტთა პარტიის ლიდერმა პ. ნ. მილიუკოვმა ლორდ-მერის მიერ გამართულ საუზმეზე განაცხადა, რომ ვიცრე რუსეთში არსებობს საკანონმდებლო პალატა, რომელიც კონტროლს უწევს ბიუჯეტს, «რუსეთის ოპოზიცია დარჩება მისი უდიდებულესობის ოპოზიციად და არა ოპოზიციად მისი უდიდებულესობისადმი». სათათბიროს დეპუტატთა გამოსვლამ გაუადვილა შეფეს საზღვარგარეთ სესხების მიღება. — 97.

41 რსდმპ სრულიად რუსეთის (დეკემბრის) კონფერენცია (რსდმპ მეხუთე კონფერენცია) შედგა პარიზში 1908 წლის 21 — 27 დეკემბერს (1909 წლის 3 — 9 იანვარს). მას ესწრებოდა 16 დელეგატი გადამწყვეტი ხმით: 5 ბოლშევიკი, 3 მენშევიკი, 5 პოლონელი სოციალ-დემოკრატი და 3 ბუნდელი. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი იყო ლენინი. ლენინი კონფერენციაზე გამოვიდა მოხსენებით «თანამედროვე მომენტისა და პარტიის ამოცანების შესახებ», აგრეთვე სიტყვებით სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის შესახებ, საორგანიზაციო და სხვა საკითხებზე. კონფერენციაზე ბოლშევიკები ბრძოლას ეწეოდნენ ოპორტუნიზმის ორი სახეობის წინააღმდეგ პარტიაში: ლიკვიდატორებისა და ოტზოვისტების წინააღმდეგ. ლენინის წინადადებით კონფერენციამ დაგმო ლიკვიდატორობა და ყველა პარტიულ ორგანიზაციას მოუწოდა პარტიის ლიკვიდაციის ცდების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისაკენ.

კონფერენციის გადაწყვეტილებათა შეფასება იხ. ლენინის სტატიებში «გზაზე» და «ლიკვიდატორობის ლიკვიდაცია» (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 15, გვ. 418 — 431; 554 — 564). — 100.

42 «ბატონი კუპონი» — კაპიტალისა და კაპიტალისტების ხატოვანი სახელწოდება 80-იანი და 90-იანი წლების ლიტერატურაში. პირველად იხმარა გ. ი. უსპენსკიმ ნარკვევებში «ძძიმე ცოდვები» («რუსსკაია მისლ», 1888, წიგნი XII). — 105.

43 ლაპარაკია დეპეშაზე, რომელიც III სათათბიროს სოციალ-დემოკრატმა დეპუტატებმა გაუგზავნეს ლ. ნ. ტოლსტოის ახლო მეგობარსა და მიმდევარს ვ. გ. ჩერტკოვს ასტაპოვოში: «სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია, გამოხატავს რა რუსეთისა და მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის გრძნობებს, დიდად სწუხს გენიალური ხელოვანის, ოფიციალური ეკლესიის წინააღმდეგ შეურიგებელი და დაუმარცხებელი მებრძოლის, თვითნებობისა და მონობის მტრის, დეენილთა მეგობრის დაკარგვას, რომელმაც გაბედულად აღიმაღლა ხმა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ». — 109.

44 «ნაშა ზარია» — მენშევიკ ლიკვიდატორების ყოველთვიური ლეგალური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1910 — 1914 წლებში. «ნაშა ზარიას» გარშემო შეიქმნა ლიკვიდატორების ცენტრი რუსეთში. — 115.

45 ლენინი გულისხმობს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის «კომუნისტური პარტიის მანიფესტის» III თავს. — 124.

46 ლენინს მოჰყავს ნ. გ. ჩერნიშევსკის რომანის «პროლოგის» გმირის ეოლგინის სიტყვები. — 126.

47 ლენინს მოჰყავს ციტატი ნ. ორლოვის სურათების «რუსი გლეხების» ალბომისათვის ლ. ნ. ტოლსტოის მიერ 1908 წლის 26 ივნისს დაწერილ წინასიტყვაობიდან, სპბ, 1909. — 127.

48 ლენინს მოჰყავს ციტატი ა. ი. გერცენის ნაწარმოებიდან «დასასრული და დასაწყისი». — 129.

49 ლენინს მოჰყავს ციტატი წერილებიდან «ძველი ამხანაგისადმი» (წერილი მეოთხე და მეორე). — 130.

50 სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირი — რევოლუციურ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელიც 1905 წელს წარმოიშვა. გლეხთა კავშირი მოითხოვდა პოლიტიკურ თავისუფლებას, დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევას, მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებას, სამონასტრო, საუფლისწულო, საკაბინეტო და სახელმწიფო მიწების კონფისკაციას და გლეხებისათვის გადაცემას. ამ მოთხოვნათა დაცვაში გლეხთა კავშირი იჩენდა მერყეობას და ორპოფობას. გლეხთა კავშირს პოლიცია დევნიდა და 1906 წლის დამლევისათვის დაიშალა. — 131.

51 «კოლოკოლ» — პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა დევიზით «ცოცხლებს ვეძახი!» («Vivos voco!»); ჟურნალს უშვებდნენ ა. ი. გერცენი და ნ. პ. ოგარიოვი ა. ი. გერცენის მიერ დაარსებულ თავისუფალ რუსულ სტამბაში 1857 წლიდან 1865 წლის აპრილამდე ლონდონში და 1865 წლიდან 1868 წლის დეკემბრამდე ჟენევაში ყოველთვიურად და თვეში ორჯერ. 1868 წელს ჟურნალი გამოდიოდა ფრანგულ ენაზე; ამავე დროს იბეჭდებოდა მისი დამატებანი რუსულ ენაზე. — 131.

52 «პოლიარნაია ზვეზდა» — ლიტერატურულ-პოლიტიკური კრებული; კრებულის პირველი სამი წიგნი გამოსცა ა. ი. გერცენმა, შემდეგი წიგნები — ა. ი. გერცენმა და ნ. პ. ოგარიოვმა ლონდონში, თავისუფალ რუსულ სტამბაში 1855 — 1862 წლებში. კრებულის უკანასკნელი წიგნი გამოვიდა ჟენევაში 1868 წელს. სულ გამოვიდა 8 წიგნი. — 131.

53 ლენინს მოჰყავს ციტატი ნეკრასოვის პოემიდან «ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად». — 139.

54 ლენინს მოჰყავს ციტატი ნ. ა. ნეკრასოვის ლექსიდან «უცნობ მეგობარს», რომელმაც გამომიგზავნა ლექსი «შეუძლებელია». — 140.

55 სიტყვები «სისაძაგლისადმი შეგუებით» ლენინს აღებული აქვს სალტიკოვ-შჩედრინის ზღაპარ-სატირიდან «ლიბერალი». — 140.

56 «პრავდა» — ყოველდღიური ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი; დაარსდა გ. ი. ლენინის მითითებით. «პრავდის» პირველი ნომერი, რომელიც მოამზადე-

ბულ იქნა ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით, გამოვიდა პეტერბურგში 1912 წლის 22 აპრილს (5 მაისს). 1914 წლიდან «პრავდის» პირველი ნომრის გამოსვლის დღე მუშათა პრესის დღესასწაული გახდა.

«პრავდა» მუშათა მასობრივი გაზეთი იყო, იგი გამოდიოდა თვით მუშების მიერ შეგროვებული ფულით. გაზეთის გარშემო ყალიბდებოდა მუშა-კორესპონდენტთა და მუშა-მწერალთა ფართო წრე.

კრაკოვში მყოფი ვ. ი. ლენინი ხელმძღვანელობდა «პრავდას», თითქმის ყოველდღე წერდა გაზეთში, მითითებებს აძლევდა მის რედაქციას. 1913 წლის იანვარ-თებერვალში გაზეთის რედაქტორი იყო ი. მ. სვერდლოვი. 1912 წლის მაისიდან 1913 წლის დეკემბრამდე «პრავდის» მდივნად და რედაქციის წევრად მუშაობდა ვ. მ. მოლოტოვი. რედაქციის მუდმივი თანამშრომლები იყვნენ მ. ს. ოლმინსკი, ნ. ნ. ბატურინი, კ. ს. ერემეევი, ნ. გ. პოლეტაევი, კ. ნ. სამოილოვა, ა. ი. ელიზაროვა და სხვები. «პრავდაში» აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ IV სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატები.

«პრავდა» მუდამ განიცდიდა დევნას პოლიციის მხრივ, მას ხურავდა მთავრობა, მაგრამ კვლავ გამოდიოდა სხვა სახელწოდებით: «რაბოჩაია პრავდა», «სევერნაია პრავდა», «პრავდა ტრუდა», «ზა პრავდუ», «პროლეტარსკაია პრავდა», «პუტ პრავდი», «რაბოჩი», «ტრუდოვაია პრავდა». 1914 წლის 8 (21 ივლისს) გაზეთი დახურეს.

«პრავდის» გამოცემა განახლდა მხოლოდ თებერვლის რევოლუციის შემდეგ. 1917 წლის 5 (18) მარტიდან «პრავდა» გამოდიოდა როგორც რსდმ პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პეტერბურგის კომიტეტის ორგანო. 1917 წლის ივლის-ოქტომბერში «პრავდამ», დროებითი მთავრობის მიერ დევნის გამო, ოთხჯერ შეიცვალა სახელწოდება და გამოდიოდა როგორც «ლისტოკ პრავდი», «პროლეტარი», «რაბოჩი», «რაბოჩი პუტ». 27 ოქტომბრიდან (9 ნოემბრიდან) ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანოს გამოსვლა დაიწყო «პრავდის» სახელწოდებით. — 141.

57 ზუბატოვშჩინა, ანუ «პოლიციური სოციალიზმი», — მოსკოვის ოხრანკის უფროსის ზუბატოვის ინიციატივით პოლიციის მიერ მუშათა კავშირების შექმნა იმ მიზნით, რომ მუშები რევოლუციური ბრძოლისათვის ჩამოშორებინათ. ბოლშევიკებს სავალდებულოდ მიანდეთ ამ კავშირებში მონაწილეობა, რათა განემარტათ მუშებისათვის რევოლუციური ბრძოლის ამოცანები და ისინი პროლეტარული პარტიის მომხრეებად დაერაზმათ.

გაპონადა — ზუბატოვშჩინის სახესხვაობა. პროვოკატორმა მღვდელმა გაპონმა პოლიციის დავალებით მოაწყო მუშათა საზოგადოებები ვითომდა მუშების რელიგიურ-ზნეობრივი და კულტურულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. 1905 წლის 9 იანვარს მეფისათვის პეტიციის გადასაცემად პროვოკაციული მიზნით მოწყობილი მუშების მსვლელობა დახვრეტილ იქნა ნიკოლოზ II ბრძანებით. დახვრეტის საპასუხოდ მუშებმა დაიწყეს ბარიკადების აგება; 9 იანვარი გახდა რუსეთის პირველი რევოლუციის დასაწყისი. — 141.

58 «გოლოს მოსკვი» — ყოველდღიური გაზეთი, მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიის და დიდ მემამულეთა კონსტიტუციური პარტიის — ოქტიაბრისტებს ორგანო; გამოდიოდა მოსკოვში 1906 წლიდან 1915 წლამდე. — 143.

59 «რ უ ს ს კ ი ვ ე ს ტ ნ ი კ» — პოლიტიკური და ლიტერატურული ჟურნალი; გამოდიოდა 1856 — 1906 წლებში მოსკოვსა და პეტერბურგში. 1856 — 1887 წლებში მისი რედაქტორი და გამომცემელი იყო მ. ნ. კატკოვი. თავდაპირველად ჟურნალის მიმართულება ლიბერალური იყო, XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ჟურნალი გადაიქცა ბატონყმური რეაქციის ორგანოდ. — 143.

60 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ბოლშევიკურ გაზეთ «პროლეტარში» 1908 წლის მანძილზე (გაზეთების გამოცემის საზღვარგარეთ გადატანის შემდეგ) დაბეჭდილი მთელი რიგი სტატიები, რომლებშიც მუშავდებოდა მის მიერ მოხსენებული საკითხები: «ტუსეთის რევოლუციის «ბუნების» შესახებ», «რუსეთის რევოლუციის შეფასებისათვის», «თანამედროვე რღვევის ზოგიერთი ნიშნის შესახებ», «მიმდინარე მომენტის შეფასებისათვის» და სხვ. (თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტ. 15, გვ. 10 — 17, 45 — 61, 164 — 176, 322 — 338). — 144.

61 ხ. ზ. ტ ა გ ი ე ვ ი — ბაკოს მსხვილი ნავთმრეწველი. 1912 წელს, როგორც თავისი მოსამსახურის ინჟინერ ბებუთოვის მხეცურად წვალებაში ბრალდებულს მიესაჯა საპატიმრო ასეულში გაგზავნა ორნახევარი წლით. — 147.

62 პ ა რ ი ზ ი ს კ ო მ უ ნ ა (1871 წლის 18 მარტი — 28 მაისი) — პირველი პროლეტარული რევოლუცია, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების ცდა. პარიზის კომუნა შეიქმნა საფრანგეთ-პრუსიის ომით, უმუშევრობითა და შიმშილით განაწამები გმირი პარიზელი მუშების აჯანყების შედეგად. პარიზის კომუნის, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ჩანასახის, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ცხადყო კ. მარქსმა თავის წიგნში «სამოქალაქო ომი საფრანგეთში». პარიზის კომუნა ჩაახშო კონტრრევოლუციურმა მთავრობამ, რომელსაც საერთაშორისო რეაქციის ძალები დაეხმარნენ. — 151.

63 გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი კ ა ნ ო ნ ი ს ო ც ი ა ლ ი ს ტ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ შემოღებულ იქნა გერმანიაში 1878 წელს. ამ კანონით აიკრძალა ყველა სოციალ-დემოკრატიული მასობრივი მუშური ორგანიზაცია, დაიხურა მუშათა პრესა, აიკრძალა სოციალისტური ლიტერატურა. მუშების მასობრივი მოძრაობის გაძლიერების შედეგად კანონი გააუქმეს 1890 წელს. — 153.

64 იხ. ამ კრებულის 150 — 152 გვერდები. — 154.

65 ლ ე ნ ი ს ა მ ბ ე ბ ი — მუშების დახვრეტა ოქროს საბადოებში, რომლებიც ინგლისელ და რუს კაპიტალისტებს ეკუთვნოდა. საბადოების მუშები, რომლებმაც ვეღარ გაუძლეს სრულ უუფლებობას, ადმინისტრაციის მხრივ დევნას და აბუჩად აგდებას, გაიფიცნენ. იმ მომენტში, როცა უიარაღო მეშახტეები კანტორისაკენ მიდიოდნენ, რათა ადმინისტრაციისათვის მოთხოვნილება წარედგინათ, მათ ცეცხლი დაუშინეს, 500-ზე მეტი კაცი მოკლეს და დაჭრეს. ლენინ დახვრეტას მთელი რუსეთის პროლეტარიატმა მასობრივი გაფიცვებით და საპროტესტო დემონსტრაციებით უპასუხა. — 155.

66 «თ ე ზ ი ს ე ბ ი ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ს ა კ ი თ ხ ზ ე» ლენინმა დაწერა იმ რეფერატებთან დაკავშირებით, რომლებიც მან 1913 წლის ივლისში შვეიცარიის ქა-

ლაქებში: ციურიხში, ჟენევაში, ლოზანასა და ბერნში ნაციონალურ საკითხზე წაიკითხა. — 165.

67 «პროგრესისტები» IV სახელმწიფო სათათბიროში — მსხვილი ბურჟუაზიის პარტია, რომელიც გამოეყო ოქტობრისტების მემამულურ-ბურჟუაზიულ პარტიას. «პროგრესისტებს» ლენინი უწოდებდა ოქტობრისტებისა და კადეტების ნარევს. — 166.

68 ბუნდი — «ებრაელ მუშათა საყოველთაო კავშირი ლიტვასა, პოლონეთსა და რუსეთში». 1897 წელს დაარსებული ბუნდი შედიოდა რსდმპ-ში პარტიის II ყრილობამდე; გამოვიდა რსდმპ-დან იმის გამო, რომ II ყრილობამ უარი თქვა ეცნო ბუნდი ებრაელი პროლეტარიატის ერთადერთ წარმომადგენლად. 1906 წელს, IV (გაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ, ბუნდი კვლავ შევიდა რსდმპ-ში.

ფორმალურად შედიოდა რა რსდმპ-ში, ბუნდი იყო ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხასიათის ორგანიზაცია. ბოლშევიკების პროგრამულ მოთხოვნას — ერთა თვითგამორკვევის უფლებას — ბუნდი უპირისპირებდა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მოთხოვნას. ბუნდელები მხარს უჭერდნენ მენშევიკებს ლენინისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1917 წელს ბუნდელები კონტრრევოლუციური დროებითი მთავრობის მხარეზე იყვნენ. სამოქალაქო ომის წლებში ბუნდელებმა მხარი დაუჭირეს კონტრრევოლუციის ძალებს და მხოლოდ მაშინ აიღეს ხელი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაზე, როცა აშკარა გახდა პროლეტარიატის დიქტატურის გაძარჯვება შინაურ კონტრრევოლუციასა და უცხოელ ინტერვენტებზე. 1921 წელს ბუნდმა გამოაცხადა თვითლიკვიდაცია. მისი წევრების ნაწილი შევიდა რკპ (ბ)-ში, მაგრამ შესულთა შორისაც იყვნენ თვალთმაქცნი, რომლებიც პარტიაში იმ მიზნით შევიდნენ, რომ შიგნიდან ძირი გამოეთხარათ მისთვის; შემდეგში ისინი ამხილეს როგორც ხალხის მტრები. — 170.

69 «უცუდესი ტიპის ფედერაცია» — ასეა დახასიათებული პრაღის 1912 წლის კონფერენციის გადაწყვეტილებებში ის ერთიერთობა ნაციონალურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან, რომელიც რსდმ პარტიაში არსებობდა 1907-დან 1911 წლამდე. მიუხედავად იმისა, რომ პოლონეთის, ლიტვისა და ლატვიის მხარის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები და ბუნდი შედიოდნენ რსდმ პარტიაში, მათ ფაქტიურად განკერძოებულად ეპირათ თავი. მათი წარმომადგენლები არ იღებდნენ მონაწილეობას საერთო რუსეთის პარტიული მუშაობის ხელმძღვანელობაში; ისინი პირდაპირ თუ არაპირდაპირ ხელს უწყობდნენ ლიკვიდატორების ანტიპარტიულ საქმიანობას. — 172.

70 «რუსსკაია მოლვა» — ყოველდღიური გაზეთი. «პროგრესისტების» ბურჟუაზიული პარტიის ორგანო, რომელიც შეიქმნა 1912 წელს. გაზეთი გამოდიოდა პეტერბურგში 1912-დან 1913 წლამდე. — 173.

71 ნაროდოვა დემოკრატია — პოლონეთის ბურჟუაზიის რეაქციული, შოვინისტური პარტია; შეიქმნა 1897 წელს. პოლონეთის დამოუკიდებლობის თაედაპირველი მოთხოვნა ნაროდოველებმა, რომლებიც დაიფრთხო რევოლუციური მოძრაობის ზრდამ, შეცვალეს შეკვეცილი ავტონომიის მოთხოვნით თვითმპყრობელური რეჟიმის ფარგლებში. 1905 — 1907 წლების რევოლუციის

პერიოდში ნაროდოველები გახდნენ პოლონეთის კონტრრევოლუციის ძირითადი პარტია, პოლონელი შავრაზმელები, როგორც მათ უწოდებდა ლენინი. სახელმწიფო სათათბიროში ისინი მხარს უჭერდნენ ოქტიაბრისტებს. — 173.

72 ლაპარაკია სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დაყოფაზე, რაც «კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის» ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პროგრამის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენდა. — 173.

73 პერედონოვშჩინა — ფ. სოლოგუბის რომანის «წვრილფეხა ჭინკისა» ვმარის მასწავლებელ პერედონოვის — სისაძაგლის ჩამდენი, კაცთმოძულე ადამიანის — სახელის მიხედვით. — 182.

74 ლაპარაკია პარტიის II ყრილობის მიერ მიღებული რსდმპ პროგრამის მე-8 პარაგრაფზე: «მოსახლეობის უფლება მიიღოს განათლება მშობლიურ ენაზე, რაც უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფოს და თვითმმართველობის ორგანოების ხარჯზე ამისათვის საჭირო სკოლების შექმნით; თვითეული მოქალაქის უფლება ილაპარაკოს კრებებზე მშობლიურ ენაზე; მშობლიური ენის შემოღება ყველა ადგილობრივ საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებაში სახელმწიფოებრივი ენის თანაბრად. — 186.

75 «სევერნაია პრავდა» — ერთ-ერთი სახელწოდება ყოველდღიური ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის «პრავდისა», რომელიც პეტერბურგში გამოდიოდა. — 190.

76 «ძვინ» («ზარი») — მენშევიკური მიმართულების ყოველთვიური ლეგალური ნაციონალისტური ჟურნალი; გამოდიოდა უკრაინულ ენაზე კიევში 1913 — 1914 წლებში. — 198.

77 «დენ» — ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლიდან. გაზეთში მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკ-ლიკვიდატორები, რომელთა ხელში გაზეთი მთლიანად გადავიდა 1917 წლის თებერვლის შემდეგ. გაზეთი დახურა პეტროგრადის საბჭოსთან არსებულმა სამხედრო-რევოლუციურმა კომიტეტმა 1917 წლის ოქტომბერში. — 203.

78 ლენინის ნაშრომი «ნაციონალური პოლიტიკის საკითხისათვის» წარმოადგენს პროექტს იმ სიტყვისას, რომელიც IV სათათბიროს დეპუტატ გ. ი. პეტროვსკის უნდა წარმოეთქვა სახელმწიფო სათათბიროში. 1914 წლის 22 აპრილს (5 მაისს) მემარცხენე დეპუტატების 15 სხდომით გაძევების გამო ამ სიტყვის წარმოთქმა არ მოხერხდა. — 200.

79 «შრომის განთავისუფლების» ჯგუფი — რუსეთის პირველი მარქსისტული ჯგუფი, რომელიც 1883 წელს დაარსდა ჟენევაში (შვეიცარია); არსებობდა რსდმპ II ყრილობამდე (1903 წ.). «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის დამაარსებელი იყო გ. ვ. პლეხანოვი.

ჯგუფმა დიდი მუშაობა გასწია რუსეთში მარქსიზმის გასავრცელებლად, თეორიულად დააარსა სოციალ-დემოკრატია და გადადგა პირველი ნაბიჯი მუშათა

მოძრაობისაკენ. გ. ვ. პლეხანოვმა და «შრომის განთავისუფლების» ჯგუფის სხვა წევრებმა თარგმნეს რუსულ ენაზე და დაბეჭდეს საზღვარგარეთ მარქსიზმის ფუძემდებელთა ნაწარმოებები, რომლებიც ფარულად ვრცელდებოდა რუსეთში. «შრომის განთავისუფლების» ჯგუფმა გადამწყვეტი ლახვარი ჩასცა ნაროდნიკობას, მაგრამ ჯგუფს ჰქონდა სერიოზული შეცდომები, რომლებიც პლეხანოვისა და ჯგუფის სხვა წევრების მოპავალი მენშევიკური შეხედულებების ჩანასახად იქცნენ. — 211.

80 «ი ს კ რ ა» — პირველი საერთო-რუსეთის არალეგალური მარქსისტული გაზეთი, რომელიც 1900 წელს დააარსა ლენინმა. ლენინური «ისკრის» პირველი ნომერი გამოვიდა 1900 წლის 11 (24) დეკემბერს ლაიფციგში, შემდგომი ნომრები გამოდიოდა მიუნხენში, 1902 წლის აპრილიდან — ლონდონში და 1903 წლის გაზაფხულიდან — ჟენევაში.

რსდმპ II ყრილობამ «ისკრა» პარტიის ცენტრალურ ორგანოდ გამოაცხადა. მალე ყრილობის შემდეგ მენშევიკებმა ხელში ჩაიგდეს რედაქცია და «ისკრა» თავის ორგანოდ გადააქციეს.

«ამ დროიდან დაიწყეს პარტიაში ლაპარაკი ძველ «ისკრაზე», როგორც ლენინურ, ბოლშევიკურ «ისკრაზე», და ახალ «ისკრაზე», როგორც მენშევიკურზე, ოპორტუნისტულზე». («საკავშირო კპ(ბ) ისტორია. მოკლე კურსი», გვ. 55). — 212.

81 «ს.-პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ს კ ი რ ა ბ ო ჩ ი ლ ი ს ტ ო კ» — არალეგალური გაზეთი, პეტერბურგის «მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის» ორგანო. გამოვიდა ორი ნომერი: № 1 — 1897 წლის თებერვალში (დათარიღებულია იანვრით) დაიბეჭდა რუსეთში მიმეოგრაფზე 300 — 400 ცალად, და № 2 — 1897 წლის სექტემბერში ჟენევაში. — 213.

82 «რ ა ბ ო ჩ ე ე დ ე ლ ო» — «ეკონომისტების» ჟურნალი, «საზღვარგარეთელ რუსი სოციალ-დემოკრატების კავშირის» არაპერიოდული ორგანო. ჟურნალ გამოდიოდა ჟენევაში 1899 წლის აპრილიდან 1902 წლის თებერვლამდე ბ. ნ. კრიჩევსკის და სხვათა რედაქციით. გამოვიდა 12 ნომერი — ცხრა წიგნი.

«რაბოჩეედელოელთა» შეხედულებების კრიტიკა იხ. ლენინის წიგნში «რა ვაკეთოთ?». — 214.

83 «ე პ ე რ ი ო დ» — არალეგალური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა ჟენევაში 1904 წლის 22 დეკემბრიდან (1905 წლის 4 იანვრიდან) 1905 წლის 5 (18) მაისამდე. გამოვიდა 18 ნომერი. გაზეთის ორგანიზატორი, იდეური სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იყო ვ. ი. ლენინი. რედაქციის შემადგენლობაში შედიოდნენ აგრეთვე ვ. ვ. ეროფეევი, მ. ს. ოლმინსკი და ა. ვ. ლუნაჩარსკი.

რსდმპ III ყრილობამ სპეციალური რეზოლუციით აღნიშნა გაზეთ «ეპერიოდის» უდიდესი როლი მენშევიზმის წინააღმდეგ, პარტიულობის აღდგენისათვის ბრძოლაში, რევოლუციური მოძრაობის მიერ დღის წესრიგში დასმული ტაქტიკის საკითხების წამოყენებასა და გაშუქებაში და მადლობა გამოუცხადა გაზეთის რედაქციას. — 216.

84 «ნ ა ჩ ა ლ ო» — ყოველდღიური ლეგალური მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1905 წლის ნოემბერ — დეკემბერში. — 216.

85 «ვ ო ლ ნ ა» — ლეგალური ყოველდღიური ბოლშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 26 აპრილიდან (9 მაისიდან) 24 მაისამდე (6 ივნისამდე); გაშოვიდა 25 ნომერი. დაწყებული მეცხრე ნომრიდან, 1906 წლის 5 (18) მაისიდან, გაზეთს ფაქტიურად რედაქტორობდა ლენინი. რედაქციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ვ. ვ. ვოროვსკი და მ. ს. ოლმინსკი. «ვოლნა» განიცდიდა მრავალ დევნას პოლიციის მხრივ და დახურულ იქნა მთავრობის მიერ. «ვოლნის» ნაცვლად გამოვიდა ლეგალური ბოლშევიკური გაზეთი «ვპერიოდ». — 216.

86 «ე ხ ო» — ლეგალური ბოლშევიკური ყოველდღიური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906 წლის 22 ივნისიდან (5 ივლისიდან) 7 (20) ივლისამდე მთავრობის მიერ დახურულ გაზეთ «ვპერიოდის» ნაცვლად. გამოვიდა 14 ნომერი. გაზეთის ფაქტიური რედაქტორი იყო ლენინი. ყოველ ნომერში იბეჭდებოდა ლენინის სტატიები. ლენინი უშუალო მონაწილეობას იღებდა განყოფილებაში «გაზეთებსა და ჟურნალებს შორის».

გაზეთ «ეხოს» თითქმის ყველა ნომერი განიცდიდა დევნას. I სახელმწიფო სათათბიროს გარეკვის წინდღეს გაზეთი დახურეს. — 216.

87 «ნ ა რ ო დ ნ ა ი ა დ უ მ ა» — ყოველდღიური მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1907 წლის მარტ — აპრილში. — 216.

88 ლენინს მხედველობაში აქვს რსდმპ ცენტრალური კომიტეტის თათბირი პარტიულ მუშაკებთან (კონსპირაციული მოსაზრებებით ეწოდა «ზაფხულის» ანუ «აგვისტოს» თათბირი), რომელიც მიმდინარეობდა 1913 წლის 23 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე (6-დან 14 ოქტომბრამდე) სოფელ პორონინოში (კრაკოვის ახლოს). სხვა საკითხთა შორის თათბირმა განიხილა «ეროვნული საკითხი». — 220.

89 «ზ ა პ რ ა ვ დ უ» — ყოველდღიურ ბოლშევიკურ ლეგალურ გაზეთ «პრავდის» ერთ-ერთი სახელწოდება (1912 — 1914). — 221.

90 გ ა ე რ თ ი ა ნ ებ უ ლ ი თ ა ვ ა დ ა ზ ნ ა უ რ ო ბ ი ს ს ა ბ ჭ ო — მემამელეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაცია; შეიქმნა 1906 წლის მაისში.

საბჭო დიდ გავლენას ახდენდა მთავრობის პოლიტიკაზე. III სახელმწიფო სათათბიროს პერიოდში საბჭოს წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი შედიოდა სახელმწიფო საბჭოში და შაერაზმული ორგანიზაციების ხელმძღვანელ ცენტრებში. — 224.

91 ლენინს მოჰყავს ციტატი ნ. გ. ჩერნიშევსკის რომანიდან «პროლოგი». — 224.

92 იხ. კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 223. — 225.

93 ლენინის ნაშრომი «რ ს დ მ პ ა რ ტ ი ი ს ა მ ო ც ა ნ ებ ი ს შ ე ს ა ხ ებ რ უ ს ე თ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ა შ ი» წარმოადგენს იმ მოხსენების ავტორეფერატს, რომელიც ლენინმა 1917 წლის 14 (27) მარტს ციურიხის სახალხო სახლში შვეიცარელი მუშების კრებაზე წაიკითხა გერმანულ ენაზე. — 283.

94 ლენინის წინადადებანი გადაეცა პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკას. — 230.

95 პარტიის პროგრამის პროექტს რკპ(ბ) VII ყრილობისათვის ამუშავებდა კომისია ლენინის ხელმძღვანელობით. ყრილობის დელეგატებს დაურიგდა ლენინის მიერ დისკუსიისათვის მასალად დაწერილი «პროგრამის პროექტის შავად დაწერილი მონასახი». რომელიც ავსებდა «პროგრამის თეორიული, პოლიტიკური და ზოგიერთი სხვა ნაწილის ცვლილებათა პროექტს», დაწერილს 1917 წელს. რკპ(ბ) VII ყრილობას პროგრამა დეტალურად არ განეხილავს. ვ. ი. ლენინის წინადადებით ყრილობამ პროგრამის საბოლოო პროექტის შემუშავება დაავალა განსაკუთრებულ კომისიას ლენინის, სტალინისა და სხვათა შემადგენლობით. ძირითად დებულებებად პროგრამის გადასინჯვისათვის ყრილობამ მიიღო ლენინის მიერ წამოყენებული რეზოლუცია. საბოლოო სახით პარტიის პროგრამა მიიღო რკპ(ბ) VIII ყრილობამ 1919 წლის მარტში. — 248.

96 პროექტი რეზოლუციისა ვილსონის მომართვის გამო სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო IV ყრილობაზე წაიკითხა ი. მ. სვერდლოვმა და მიიღო ყრილობამ. რეზოლუცია წარმოადგენდა პასუხს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ვ. ვილსონის მომართვაზე, რომელშიაც იგი ცდილობდა ხელი შეეშალა საბჭოთა რუსეთისათვის გერმანიასთან ზავის დადებაში. — 255.

97 იგულისხმება «დებულება შრომის დისციპლინის შესახებ, მიღებული სრულიად რუსეთის პროფესიული კავშირების საბჭოს მიერ» და გამოქვეყნებული ჟურნალში «ნაროდნოე ხოზიაისტვო» № 2, 1918 წლის აპრილი. — 258.

98 «ნოვაია ჟიზნ» — მენშევიკური გაზეთი, რომელიც 1917 წლის აპრილიდან გამოდიოდა პეტროგრადში. 1917 წლის ოქტომბერში გამოდიოდა შეიარაღებული აჯანყების წინაალმდეგ; ოქტომბრის შემდეგ მტრული პოზიცია დაიკავა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. 1918 წლის იელისში დახურულ იქნა სხვა კონტრრევოლუციურ გაზეთებთან ერთად.

«ვპერიოდ» — ყოველდღიური მენშევიკური გაზეთი; გამოდიოდა 1917 — 1918 წლებში; დახურულ იქნა კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის 1918 წლის აპრილში.

«დელო ნაროდა» — გაზეთი. მემარჯვენე ესერების ორგანო; გამოდიოდა პეტროგრადში, შემდეგ — სამარასა და მოსკოვში დროგამოშვებით და სხვადასხვა სახელწოდებით 1917 წლის მარტიდან 1919 წლის მარტამდე. — 263.

99 იხ. ფ. ენგელსი, გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 530). — 270.

100 იხ. კ. მარქსი, სამოქალაქო ომი საფრანგეთში (კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 599 — 600). — 272.

101 იხ. ფ. ენგელსი, გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში (კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950, გვ. 524 — 525). — 272.

102 იგულისხმება ლენინის მიერ სახკომსაბჭოს 1919 წლის 30 იანვრის სხდომაზე წამოყენებული საკითხი საბჭოთა რესპუბლიკაში საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობის შესახებ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, რომელიც ლენინის ხელით არის დაწერილი, განათლების სახალხო კომისარიატს დაეკალა ყოველთვიურად გამოექვეყნებინა და სახკომსაბჭოში გამოეგზავნა მოკლე ფაქტიური ცნობები ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების რიცხვის გადიდებისა და წიგნების გავრცელების ზრდის შესახებ. — 284.

103 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს პარტიის ბრძოლა «მემარცხენე კომუნისტებთან», რომლებიც გამოდიოდნენ სამეურნეო მშენებლობის ლენინური მეთოდების: საწარმოებში ერთმმართველობის განმტკიცების, შრომის დისციპლინის დანერგვის, მრეწველობაში სპეციალისტების გამოყენების, სამეურნეო ანგარიშის შემოღების წინააღმდეგ. «მემარცხენე კომუნისტები» ქადაგებდნენ ტროცკისტულ შეხედულებებს რუსეთში სოციალისტური მშენებლობის და სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ. — 294.

104 სპარტაკელები — გერმანიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატები, კ. ლიბკნეხტის, რ. ლუქსემბურგის, ფ. მერინგის, კ. ცეტკინის და სხვათა მიერ პირველი მსოფლიო ომის (1914 — 1918) დასაწყისში დაარსებული კავშირის «სპარტაკის» წევრები. სპარტაკელები ეწეოდნენ მასებში რევოლუციურ პროპაგანდას იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ, ამხილებდნენ გერმანიის იმპერიალიზმის დამპყრობლურ პოლიტიკას და სოციალ-დემოკრატიის ბელადების გამცემლობას. ნოემბრის რევოლუციის შემდეგ სპარტაკელებმა შეადგინეს მათ მიერ დაარსებული გერმანიის კომუნისტური პარტიის ბირთვი. მაგრამ ისინი ვერ განთავისუფლდნენ ნახევრადმენშევიკური თეორიული და პოლიტიკური შეცდომებისაგან, რომელთა კრიტიკა მოცემულია ვ. ი. ლენინის ნაწარმოებებში: «იუნიუსის ბროშურის შესახებ», «პროლეტარული რევოლუციის სამხედრო პროგრამა», და ი. ბ. სტალინის წერილში ჟურნალ «პროლეტარსკაია რევოლუციას» რედაქციისადმი «ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ». — 300.

105 ლენინს მხედველობაში აქვს ა. ბოგდანოვისა და პროლეტკულტების (პროლეტარული კულტურულ-საგანმანათლებლო მუშური ორგანიზაციების) სხვა მოღვაწეთა ანტიმარქსისტული შეხედულებანი. პროლეტკულტებში, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ბურჟუაზიული ინტელიგენციიდან გამოსულებმა მოაწყეს, «პროლეტარული კულტურის» სახით ინერგებოდა რეაქციული ბურჟუაზიული შეხედულებანი. პროლეტკულტელები აცხადებდნენ რაღაც განსაკუთრებული «პროლეტარული კულტურის» შექმნას, რომელსაც კავშირი არა აქვს წინა თაობებისაგან მიღებულ კლასიკურ კულტურულ მემკვიდრეობასთან, უარყოფდნენ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელ როლს კულტურულ მშენებლობაში, საბჭოთა კულტურის განვითარებას აშორებდნენ სოციალისტური მშენებლობის საერთო ამოცანებს. — 306.

106 ლაპარაკია სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1918 წლის 10 დეკემბერს მიღებულ დეკრეტზე «წერა-კითხვის მცოდნეთა მობილიზაციისა და საბჭოთა წყობილების პროპაგანდის მოწყობის შესახებ». — 307.

107 იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. II, 1950. გვ. 27. — 311.

108 ლენინს მხედველობაში აქვს შეთქმულება პეტროგრადის ჩაბარების შესახებ. რომელსაც ხელმძღვანელობდა კადეტების, მენშევიკებისა და ესერებისაგან შემდგარი კონტრრევოლუციური ჯაშუშურ-დივერსიული ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციას მეთაურობდა ეგრეთწოდებული «ნაციონალური ცენტრი», რომელიც უცხოეთის დაზვერვათა მითითებით მოქმედებდა. ამ ორგანიზაციის გეგმის თანახმად 1919 წლის 13 ივნისს დაიწყო აჯანყება კრასნაია გორკის ფორტის გარნიზონში. ი. ბ. სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით აჯანყება ჩახშობილ იქნა, შეთქმულების ხელმძღვანელი კონტრრევოლუციური ორგანიზაცია აღმოჩენილ და მოსპობილ იქნა. — 315.

109 აქ მოყვანილია ნაწყვეტები ლენინის პასუხიდან «იუნაიტედ პრესის» სააგენტოს მიერ მიცემულ მეორე და მეხუთე კითხვებზე. — 318.

110 «პროექტი რკპ(ბ) ც. კ-ის რეზოლუციისა უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების შესახებ», რომელიც ვ. ი. ლენინმა დაწერა, ძირითადად მიღებულ იქნა რკპ(ბ) ც. კ-ის პოლიტბიუროს სხდომაზე 1919 წლის 21 ნოემბერს. კომისიის რედაქციული შესწორებებითა და მე-2 პუნქტის დამატებით, რომელიც ლენინმა შეიტანა, რეზოლუციის პროექტი მიღებულ იქნა რკპ(ბ) ც.კ-ის პლენუმის მიერ 1919 წლის 29 ნოემბერს; 1919 წლის 3 დეკემბერს ცენტრალური კომიტეტის რეზოლუცია დაადასტურა რკპ(ბ) სრულიად რუსეთის VIII კონფერენციამ. — 319.

111 1919 წლის 18 მაისის რეზოლუცია სამხედრო ძალების გაერთიანების შესახებ მიღებულ იქნა უკრაინის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე. რეზოლუციაში დასახული იყო საბჭოთა ხელისუფლების შტრებთან შეიარაღებული ბრძოლისათვის საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ძალების გაერთიანებისა და ამისათვის აუცილებელი ყველა მატერიალური საშუალების ერთიანი ცენტრის ხელში თავმოყრის ამოცანა; ანალოგიური წინადადებანი შემოიტანეს ლატვიის, ლიტვისა და ბელორუსიის საბჭოთა მთავრობებმა.

ამ წინადადებების შესაბამისად 1919 წლის 1 ივნისს გამოიცა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დეკრეტი «რუსეთის, უკრაინის, ლატვიის, ლიტვისა და ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ მსოფლიო იმპერიალიზმთან საბრძოლველად». სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო ორგანიზაციისა და სამხედრო სარდლობის გაერთიანება, აგრეთვე სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების ხელმძღვანელობის თავმოყრა ერთიანი ხელმძღვანელი ორგანოების ხელში. — 319.

112 შენიშვნა «რუსული ენის გაწმენდის შესახებ» ლენინმა დაწერა 1919 ან 1920 წელს. — 323.

113 ლონდონის კონსერვატიული გაზეთის «Daily Express»-ის («ყოველდღიური

ექსპრესი») სპეციალურმა კორესპონდენტმა, რომელიც კოპენჰაგენში იმყოფებოდა, მიმართა ლენინს თხოვნით ეპასუხნა ოთხ კითხვაზე. ლენინის პასუხი კოპენჰაგენში მიიღეს 22 თებერვალს და მეორე დღეს დაიბეჭდა გაზეთ «Daily Express»-ში. — 324.

114 იხ. შენიშვნა 105. — 328.

115 იხ. შენიშვნა 105. — 353.

116 მონასახი რეზოლუციისა პროლეტარული კულტურის შესახებ ლენინმა დაწერა 1920 წლის დამდეგს მოწვეული პროლეტკულტის სრულიად რუსეთის I ყრილობის დამთავრების დღეს იმასთან დაკავშირებით, რომ განათლების სახალხო კომისარმა ა. ვ. ლუნაჩარსკიმ, რომელიც ყრილობაზე გამოვიდა, მხარი დაუჭირა პროლეტკულტის სრულ ავტონომიას განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში. ლენინმა შეიმუშავა პროექტი რეზოლუციისა პროლეტარული კულტურის შესახებ (იხ. შემდეგი დოკუმენტი), რომელიც საფუძვლად დაედო ყრილობის მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლუციას.

რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წერილში «პროლეტკულტების შესახებ», რომელიც «პრავდის» 1920 წლის 1 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა, აღნიშნა, რომ პროლეტკულტებში «პროლეტარული კულტურის» სახით მუშებს სთავაზობდნენ ბურჟუაზიულ შეხედულებებს ფილოსოფიაში (მახიზმი), ხოლო ხელოვნების დარგში მუშებს უნერგავდნენ უაზრო, დამახინჯებულ გემოვნებებს». — 354.

117 ლენინის თეზისები საფუძვლად დაედო მთავპოლიტგანის თეზისების პროექტს, რომელიც «პრავდის» 1920 წლის 27 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნდა სახელწოდებით: «საწარმოო პროპაგანდა (მთავპოლიტგანის თეზისების პროექტი)». — 368.

118 «ბედნოტა» — ყოველდღიური გაზეთი, კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის გამოცემა; გამოდიოდა მოსკოვში 1918 წლიდან 1931 წლამდე. 1931 წლის თებერვალში «ბედნოტა» შეუერთდა გაზეთ «სოციალისტიჩესკოე ზემლედელიეს». — 369.

119 ცსსკ (ცენტრალური სააღრიცხვო-საგანმანაწილებლო კომისია) სახელმწიფო გამომცემლობასთან; შეიქმნა 1919 წლის დეკემბერში ლიტერატურის აღრიცხვისა და განაწილების ერთიანი გეგმის შემუშავების მიზნით. — 377.

120 იხ. «სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი I, 1954, გვ. 539.—379.

121 საგუბერნიო ეკონომიური თათბირები — შრომისა და თავდაცვის საბჭოს ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობის დადგენილების საფუძველზე 1920 წლის დეკემბერში შეიქმნა საბჭოების საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტებთან. — 397.

122 ლენინს მხედველობაში აქვს გენუის კონფერენცია. გ ე ნ უ ი ს კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა («საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია») მიმდინარეობდა 1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე საბჭოთა რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, იაპონიის, გერმანიისა და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლების მონაწილეობით. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ესწრებოდა როგორც «მეთვალყურე». იმპერიალისტური სახელმწიფოები ცდილობდნენ კონფერენციაზე გამოეყენებინათ საბჭოთა რუსეთის სამეურნეო სიძნელენი, რათა თავს მოეხვიათ მისთვის შეთანხმების კაბალური პირობები. საბჭოთა დელეგაციამ ლენინის მითითებით უარყო ეს მოთხოვნა.

გენუის კონფერენციაზე საბჭოთა რუსეთმა პირველად გამოვიდა წინადადებით სრული და საყოველთაო განიარაღების შესახებ. — 403.

123 იგულისხმება ვ. ვ. მაიაკოვსკის ლექსი «სხდომასგადაყოლილნი». — 403.

124 იხ. კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 230. — 404.

125 «პ ო დ ზ ნ ა მ ე ნ ე მ მ ა რ ქ ს ი ზ მ ა» — ყოველთვიური ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-ეკონომიური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1922 წლის იანვრიდან 1944 წლის ივნისამდე. — 405.

126 იხ. კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, თხზულებანი, ტ. XV, 1935, გვ. 227 — 228. — 407.

127 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი სტატია «მ ე მ ა რ ცხ ე ნ ე» ბ ა ვ შ ვ ო ბ ი ს ა და წ ვ რ ი ლ ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ე ლ ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ებ» (იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 27, გვ. 385 — 425). — 428.

128 ლენინს აქ, ცხადია, მხედველობაში აქვს კ. მარქსის სიტყვები მის ნაშრომში «სამოქალაქო ომი საფრანგეთში» და კუგელმანისადმი 1871 წლის 12 აპრილს გაგზავნილ წერილში (იხ. კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, 1950, გვ. 600 — 601; ტ. II, 1950, გვ. 560 — 561). — 432.

129 იხ. კ. მარქსის წერილი ფ. ენგელსისადმი (კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 86 — 87). — 432.

130 ლაპარაკია ლენინის სტატიაზე «რ ა მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ა ზ ე ვ ა მ ბ ო ბ თ უ ა რ ს?» (იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 2, გვ. 609 — 668). — 443.

131 იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 2, გვ. 627. — 443.

132 ლენინის წერილი გადაეცა მ. ი. ულიანოვას სპასრობილეში, სადაც ის მოათავსეს დაპატიმრების შემდეგ 1901 წ. 1 (14) მარტს. — 447.

133 ლაპარაკია ა. მ. გორკის ნავარაუდევ გამოსვლაზე პრესაში იმასთან დაკავშირებით, რომ ჟენევაში დააპატიმრეს ნ. ა. სემაშკო. — 451.

134 ლენინი მეშაობდა გაზეთ «პროლეტარის» გამოშვებაზე, რომლის გამოცემა ბოლშევიკური ცენტრის გადაწყვეტილებით 1907 წლის დამლევს გადატანილ იქნა ფინეთიდან ჟენევაში. — 451.

135 კ ვ ა კ ა ლ ა — სახუმარო სახელწოდება ფინეთის დაბის — კუოკალასი, სადაც ლენინი ცხოვრობდა 1907 წლის მაის — ნოემბერში. — 452.

136 იგულისხმება ე. ფერის — იტალიის სოციალისტური პარტიის მაშინდელი ცენტრისტული უმრავლესობის ხელმძღვანელის — უარი პარტიის ცენტრალური ორგანოს «Avanti!»-ს რედაქტორობაზე. — 456.

137 იგულისხმება ა. მ. გორკის ინიციატივით ნავარაუდევი შეხვედრა ლენინისა საზღვარგარეთ მყოფ ა. ბოგდანოვთან და მის მომხრეებთან. შეხვედრა მოხდა 1908 წლის აპრილში, როცა ვ. ი. ლენინმა ა. მ. გორკი ინახულა კუნძულ კაპრიზე. — 456.

138 ლენინს მხედველობაში ჰყავს ჯგუფი ემპირიოკრიტიკოსებისა და ემპირიომონისტებისა, მახისა და ავენარიუსის რეაქციული, იდეალისტური ფილოსოფიის მომხრეებისა: ა. ბოგდანოვი, ვ. ბაზაროვი, ა. ლუნაჩარსკი. — 458.

139 «D i e N e u e Z e i t» («ახალი დროება») — გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჟურნალი; გამოდიოდა შტუტგარტში 1883 წლიდან 1923 წლამდე. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ფ. ენგელსის გარდაცვალების შემდეგ, ჟურნალი სისტემატურად ბეჭდავდა რევიზიონისტების სტატიებს. — 458.

140 ლენინს მხედველობაში აქვს ვ. ბაზაროვის, ი. ბერმანის, ა. ლუნაჩარსკის, პ. იუშკევიჩის, ა. ბოგდანოვის, ი. გელფონდისა და ს. სუვოროვის სტატიათა კრებული. — 459.

141 ლაპარაკია ვ. ი. ლენინის წიგნზე «ნ ა ბ ი ჯ ი წ ი ნ, ო რ ი ნ ა ბ ი ჯ ი უ კ ა ნ», რომელიც გამოვიდა ჟენევაში 1904 წლის მაისში. — 459.

142 იგულისხმება ა. ბოგდანოვის წიგნი «ემპირიომონიზმი», მოსკოვი, 1904. — 459.

143 «ზ ა რ ი ა» — მარქსისტული სამეცნიერო-პოლიტიკური ჟურნალი; უშვებდა «ისკრის» რედაქცია 1901 — 1902 წლებში. გამოვიდა ოთხი ნომერი. — 460.

144 ა. ლუნაჩარსკის, ვ. ბაზაროვის, ა. ბოგდანოვის, პ. მასლოვის, ა. ფინის, ვ. შელიატიკოვის, ვ. ფრიჩესა და სხვათა სტატიების კრებული «რეალისტური მსოფლმხედველობის ნარკვევები» გამოვიდა პეტერბურგში 1904 წელს. პლეხანოვისა და ლენინის სტატიები კრებულში არ გამოქვეყნებულა. — 460.

145 ლენინის ნაშრომი «რ ი გ ი თ ი მ ა რ ქ ს ი ს ტ ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა ზ ე» ნახული არ არის. — 461.

146 ლენინმა ამ დროს დაიწყო წერა ნაშრომისა «მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი». — 461.

147 მესამე რედაქტორი — ი. ფ. დუბროვინსკი. — 462.

148 ლაპარაკია ჟურნალზე, რომლის გამოცემასაც ვარაუდობდა ა. მ. გორკი; ჟურნალის გამოცემა არ განხორციელებულა. — 466.

149 წერილი, რომელსაც ეკუთვნის პოსტსკრიპტუმი, არ შენახულა. თარიღის დამადასტურებელია ის გარემოება, რომ მოხსენებულია გორკის პიესა «უკანასკნელნი», რომელიც დაიბეჭდა «ზნანიეს» 22-ე კრებულში 1908 წელს. — 469.

150 ჩვენი ავტორი — ა. ბოგდანოვი. მისი რომანი «წითელი ვარსკვლავი» გამოვიდა 1908 წელს. — 469.

151 თარიღში შეცდომაა. წერილი ეკუთვნის 1910 წლის იანვარს. — 470.

152 Musée Grevin წარმოადგენდა სანთლის ფიგურების (სხვადასხვა ისტორიული პერსონაჟების — გამბეტას, ნაპოლეონის, ტემპლის სამეფო გვარეულობის და ა. შ.) გალერეას. ფიგურები შესრულებული იყო დიდი მსგავსებით და კოსტუმების სიზუსტით. მუზეუმი დაიღუპა ხანძრისაგან. — 470.

153 «რაბოჩაია გაზეტა» — ბოლშევიკების პოპულარული ორგანო; გამოდიოდა პარიზში 1910 წლის 30 ოქტომბრიდან (12 ნოემბრიდან) 1912 წლის 30 ივლისამდე (12 აგვისტომდე); გამოვიდა 9 ნომერი. გაზეთში მონაწილეობდნენ მენშევიკ-პარტიელები. «რაბოჩაია გაზეტას» დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო ლენინი. — 473.

154 «სოვრემენიკ» — ყოველთვიური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1911 — 1915 წლებში. ჟურნალის გარშემო შემოკრებილი იყვნენ მენშევიკ-ლიკვიდატორები, ესერები, სახალხო სოციალისტები და მემარცხენე ლიბერალები. ჟურნალს არავითარი კავშირი არ ჰქონდა მუშათა მასებთან. — 473.

155 «ვესტნიკ ევროპი» — ყოველთვიური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1866 წლიდან 1918 წლის გაზაფხულამდე. ჟურნალი ატარებდა რუსეთის ლიბერალური ბურჟუაზიის შეხედულებებს; 90-იანი წლების დასაწყისიდან სისტემატურ ბრძოლას ეწეოდა მარქსიზმის წინააღმდეგ. — 473.

156 «სოვრემენი მირ» — ყოველთვიური ლიტერატურული, სამეცნიერო და პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1906-დან 1918 წლამდე. ჟურნალში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ მენშევიკები, მათ შორის გ. ვ. პლეხანოვი. მენშევიკ-პარტიელთა პლეხანოვის ჯგუფთან ბლოკის პერიოდში ჟურნალში თანამშრომლობდნენ ბოლშევიკები. — 473.

157 კაპრის სკოლა — ანტიპარტიული სკოლა, რომელიც ა. ბოგდანოვმა, გ. ალექსინსკიმ და ა. ლუნაჩარსკიმ მ. გორკის მონაწილეობით 1909 წელს შექმნეს კუნძულ კაპრიზე. სკოლა იყო ფრაქციული ცენტრი ოტზოვისტების, ულტიმატისტების და ღვთისმშენებლებისა, რომლებიც ბოლშევიკების წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანდნენ.

სკოლა არსებობდა დაახლოებით ოთხ თვეს. 1909 წლის ნოემბერში მოწაფეთა ნაწილი მუშა ნ. ე. ვილნოვის მეთაურობით, მას შემდეგ, რაც მათთვის აშკარა გახდა სკოლის ფრაქციული ხასიათი, გადაჭრით გაეშიჯნა ბოგდანოველებს. მათ გაგზავნეს «პროლეტარის» რედაქციაში პროტესტი ლექტორთა ანტიპარტიული მოქმედების წინააღმდეგ, რისთვისაც გარიცხეს სკოლიდან. ლენინის მიწვევით ისინი ჩავიდნენ პარიზში, სადაც მოისმინეს ლექციების ციკლი, მათ შორის ლენინის ლექციებიც. კაპრიზე დარჩენილ მსმენელთა ნაწილმა ლექტორებთან ერთად 1909 წლის დეკემბერში შექმნა ანტიპარტიული ჯგუფი «ვპერიოდ».

«პროლეტარის» გაფართოებული რედაქციის თათბირმა დაგმო კაპრის სკოლა როგორც «ბოლშევიკებისაგან ჩამოშორებული ფრაქციის ახალი ცენტრი». — 474.

158 «მ ი ს ლ» — ბოლშევიკური ლეგალური ყოველთვიური ფილოსოფიური და საზოგადოებრივ-ეკონომიური ჟურნალი; გამოდიოდა მოსკოვში 1910 წლის დეკემბრიდან. ჟურნალი დაარსა ლენინმა ლიკვიდატორული ჟურნალებისადმი დასაპირისპირებლად და მათთან საბრძოლველად. ჟურნალის რედაქტორობას ლენინი საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობდა. ჟურნალში უახლოეს მონაწილეობას იღებდნენ ვ. ვ. ვოროვსკი, მ. ს. ოლმინსკი, ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვი. ჟურნალში თანამშრომლობდნენ აგრეთვე მენშევიკ-პარტიელები (გ. ვ. პლეხანოვი და სხვები). ჟურნალი გამოდიოდა 1911 წლის აპრილამდე; გამოვიდა 5 ნომერი. უკანასკნელი მე-5 ნომერი კონფისკებულ იქნა. — 475.

159 «ზ ვ ე ზ დ ა» — ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1910 წლის დეკემბრიდან 1912 წლის აპრილამდე (მაისამდე) (თავდაპირველად ყოველკვირეულად, ხოლო შემდეგ კვირაში ორჯერ და სამჯერ). გაზეთში თანამშრომლობდნენ ვ. მ. მოლოტოვი, მ. ს. ოლმინსკი, ნ. ნ. ბატურინი, ნ. გ. პოლეტაევი, კ. ს. ერემეევი და აგრეთვე ა. მ. გორკი. 1911 წლის შემოდგომამდე «ზვეზდაში» მონაწილეობდნენ მენშევიკ-პარტიელები (პლეხანოველები). გაზეთისადმი იდეურ ხელმძღვანელობას ლენინი საზღვარგარეთიდან ახორციელებდა.

«ზვეზდამ» მოამზადა ყოველდღიურ ბოლშევიკურ გაზეთ «პრავდის» გამოცემა და დახურულ იქნა მთავრობის მიერ «პრავდის» გამოსვლის დღეს. — 475.

160 იგულისხმება პრაღის 1912 წლის პარტიული კონფერენციის რეზოლუციები. — 470.

161 1911 და 1912 წლების «ზვეზდაში» დაიბეჭდა ა. მ. გორკის შვიდი «ზღაპარი» სერიიდან «ზღაპრები იტალიის შესახებ». — 470.

162 «ე ი ვ ო ე დ ე ლ ო» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ყოველდღიური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წელს, გამოვიდა 16 ნომერი. — 477.

163 «ზ ნ ა ნ ი ე» — წიგნების გამომცემლობა, რომელიც 1898 წელს ლიტერატორთა ჯგუფმა დააარსა პეტერბურგში; უფრო გვიან მასში ახლო მონაწილეობას იღებდა ა. მ. გორკი. — 477.

164 «ნ ე ვ ს კ ა ი ა ზ ვ ე ზ დ ა» — ბოლშევიკური ლეგალური გაზეთი, გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წლის თებერვლიდან (მარტიდან) ოქტომბრამდე. გამოვიდა 27 ნომერი. «ნევსკაია ზვეზდა» გამოდიოდა თავდაპირველად გაზეთ «ზვეზდასთან» ერთად და უნდა შეეცვალა იგი დახურვის ან კონფისკაციის შემთხვევაში; 1912 წლის 22 აპრილის (5 მაისის) შემდეგ გამოდიოდა დახურული «ზვეზდის» ნაცვლად. გაზეთის რედაქციაში მუშაობდნენ ვ. მ. მოლოტოვი, მ. ს. ოლმინსკი, ნ. ნ. ბატურინი და სხვები. — 478.

165 «ზ ა პ რ ო ს ი ე ი ზ ნ ი» — ყოველკვირეული ჟურნალი; გამოდიოდა 1909 — 1912 წლებში პეტერბურგში. ჟურნალში თანამშრომლობდნენ კადეტები, საბალხო სოციალისტები და მენშევიკ-ლიკვიდატორები. ამ ჟურნალს ლენინი უწოდებდა «ლიკვიდატორულ-ტრუდოვიკულ-ვეხერს». — 479.

166 «ნ ე ვ ს კ ი გ ო ლ ო ს» — მენშევიკ-ლიკვიდატორთა ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 წელს. — 480.

167 იგულისხმება მ. ს. ოლმინსკის (ა. ვიტიმსკის) სტატია «კულტურული ადამიანები და არაწმინდა სინდისი». — 481.

168 «კ რ უ გ ო ზ ო რ» — ბურჟუაზიულ-ლიბერალური მიმართულების ყოველთვიური ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა პეტერბურგში 1913 წლის დასაწყისში. ა. მ. გორკი მოხსენებული იყო ჟურნალის თანამშრომელთა შორის, მაგრამ მასში მონაწილეობა არ მიუღია. — 483.

169 ლაპარაკია მოსკოვში ლეგალური ბოლშევიკური გაზეთის «ნაშ პუტის» გამოცემის მომზადებაზე, რომლის პირველი ნომერი გამოვიდა 1913 წლის აგვისტოში (სექტემბერში). — 486.

170 იხ. ლენინის წერილი ი. ი. სკვორცოვ-სტეპანოვისადმი (ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 34, გვ. 468 — 471). — 487.

171 «ნ ო ვ ა ი ა ს ი ბ ი რ» — ლიბერალური მიმართულების ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი; გამოდიოდა ირკუტსკში 1912 წლის დეკემბრიდან 1913 წლის თებერვლამდე. გაზეთის ფაქტიური რედაქტორი იყო ლიკვიდატორი ნ. როკკოვი. — 487.

172 იხ. ვ. ი. ლენინის სტატია «ლიბერალური მეშათა პარტიის მანიფესტი» (ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 17, გვ. 371 — 384). — 487.

173 «პ რ ო ს ვ ე შ ჩ ე ნ ი ე» — ყოველთვიური ბოლშევიკური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი; გამოდიოდა ლეგალურად პეტერბურგში 1911 წლის დეკემბრიდან. ჟურნალი შეიქმნა ლენინის მითითებით მეფის მთავრობის მიერ

დახურული ბოლშევიკური ჟურნალის «მისლის» ნაცვლად, რომელიც მოსკოვში გამოდიოდა. ლენინი საზღვარგარეთიდან ხელმძღვანელობდა «პროსვეშჩენიეს». პეტერბურგში ყოფნის დროს 1912 — 1913 წლებში ჟურნალის მუშაობაში უახლოეს მონაწილეობას იღებდა ი. ბ. სტალინი. «პროსვეშჩენიეს» მუდმივი თანამშრომელი იყო ვ. მ. მოლოტოვი. სამხატვრო-ლიტერატურულ განყოფილებას რედაქტორობდა ა. მ. გორკი. სარედაქციო კოლეგიაში მუშაობდნენ მ. ა. საველიევი. მ. ს. ოლმინსკი, ა. ი. ელიზაროვა და სხვები. ჟურნალის ტირაჟი აღწევდა 5 000 ეგზემპლარს.

ჟურნალი დახურა მეფის მთავრობამ 1914 წლის ივნისში. გამოცემა განახლდა 1917 წლის შემოდგომაზე, მაგრამ გამოვიდა მხოლოდ ერთი (ორმაგი) ნომერი. — 487.

174 იგულისხმება რსდმპ ცენტრალური კომიტეტის 1913 წლის «თებერვლის» თათბირი პარტიულ მუშაკებთან ერთად («სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში», ნაწილი 1, გვ. 361 — 377). — 488.

175 «ლ უ ჩ» — მენშევიკ-ლიკვიდატორების ყოველდღიური ლეგალური გაზეთი; გამოდიოდა პეტერბურგში 1912 და 1913 წლებში; არსებობდა «ბურჟუაზიის წრის მდიდარ მეგობართა სახსრებით» (ლენინი). — 491.

176 იგულისხმება IV სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკი დეპუტატების წერილი გაზეთ «ლუჩის» თანამშრომელთა შემადგენლობიდან მათი გასვლის შესახებ. — 491.

177 ლენინს მხედველობაში აქვს ი. ბ. სტალინის მუშაობა სტატიაზე «ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია». — 491.

178 ლაპარაკია კ. პ. პიატნიცკიზე, რომელიც მუშაობდა პეტერბურგის წიგნის გამომცემლობა «ზნანიეში». — 492.

179 «მ ა ნ ი ფ ე ს ტ ი» გამოქვეყნდა რომანოვების გვარეულობის 300 წლისთავთან დაკავშირებით. — 493.

180 ვის შესახებ არის ლაპარაკი, დადგენილი არ არის. — 496.

181 იგულისხმება მ. ს. ოლმინსკის (ა. ვიტიმსკის) სტატია «ვინ ვისთან არის?», რომელიც გამოქვეყნდა «პრავდის» 106-ე ნომერში 1913 წლის 10 (23) მაისს. — 497.

182 ლაპარაკია იმაზე, რომ ა. მ. გორკიმ პრესაში პროტესტი განაცხადა მოსკოვის სამხატვრო თეატრის მიერ თ. მ. დოსტოევსკის რეაქციული რომანის «Бесы»-ს ინსცენირების წინააღმდეგ. ბურჟუაზიული პრესა პიესის დასაცავად გამოვიდა. — 498.

183 ლაპარაკია ლენინის ნაშრომზე «ე რ თ ა თ ვ ი თ გ ა მ ო რ კ ვ ე ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ» (იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 20, გვ. 479 — 560). — 507.

184 წერილში გადმოცემული პროექტის გეგმა საფუძვლად დაედო ლენინის მიერ დაწერილ «პროექტს კანონისა ერთა თანასწორუფლებიანობისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ» (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, მე-4 გამოცემა, ტომი 20, გვ. 336 — 339). — 507.

185 ლაპარაკია უკრაინელი მწერლის, ბერეუაზიული ნაციონალისტის ვ. ვინიჩენკოს რომანზე «მამათა ანდერძი». — 500.

186 ლაპარაკია ბროშერაზე მუშა ქალებისათვის, რომლის დაწერასაც პირებდა ი. არმანდი. ბროშერა არ დაწერილა. — 511.

187 ე ლ ე ნ კ ი ი — შვედი ბურეუაზიული მწერალი ქალი, რომელიც წერდა ქალთა მოძრაობისა და ბავშვთა აღზრდის საკითხებზე. — 515.

188 იგულისხმება «ბოეის» ანტიპარტიული ჯგუფი (ბეხარინი, როზმიროვიჩი, კრილენკო), რომელსაც ასე უწოდეს მისი ადგილსამყოფელის — დაბა ბოეის (შვეიცარია) მიხედვით.

1915 წლის დამდეგს «ბოეის» ჯგუფი გამოვიდა გეგმით — გამოეცა თავისი ფრაქციული გაზეთი რსდმპ ცენტრალური ორგანოს — გაზეთ «სოციალ-დემოკრატის» საწინააღმდეგოდ. ამ გეგმის გატარება «ბოეელებმა» სცადეს რსდმპ საზღვარგარეთის სექციების კონფერენციაზეც, რომელიც მიმდინარეობდა 1915 წლის 27 თებერვლიდან 4 მარტამდე ბერნში. კონფერენციამ უარყო ბეხარინელთა ანტიპარტიული მოთხოვნები. — 510.

189 1918 წლის 12 აპრილს სახკომსაბჭომ დაამტკიცა ა. ვ. ლუნაჩარსკის მიერ შეტანილი დეკრეტი «მეფეთა და მათ მსახურთა პატივსაცემად აშენებული ძეგლების აღებისა და რუსეთის სოციალისტური რევოლუციის ძეგლთა პროექტების შემუშავების შესახებ». შეიქმნა კომისია დეკრეტის განხორციელებისათვის. კომისიას დაევალა აგრეთვე მოემზადებინა საკითხი იმის შესახებ, რომ «წარწერები, ემბლემები, ქუჩების სახელწოდებანი, გერბები და სხვ. შეცვლილიყო ახლებით, რომლებიც გამოხატავენ რევოლუციური მშრომელი რუსეთის იდეებს და გრძნობებს». — 517.

190 ლენინს მხედველობაში აქვს მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის 1918 წლის 7 ოქტომბრის დადგენილება, რომლითაც მოსკოვის საბჭოს ხელმძღვანელები ცდილობდნენ თავიდან მოეხსნათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ არ შეასრულეს სახკომსაბჭოს დადგენილებანი მოსკოვში რევოლუციური მოძრაობისა და კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთათვის ძეგლების დადგმის შესახებ. — 519.

191 იგულისხმება ვ. ი. დალის «ცოცხალი ველიკორუსული ენის განმარტებითი ლექსიკონი», რომელიც ოთხ ტომად გამოიცა 1863 — 1866 წლებში.

ლენინის მითითებით განათლების სახალხო კომისარიატმა დაიწყო მუშაობა ახალი ლექსიკონის შესადგენად, მაგრამ მისი გამოცემა იმ დროს ვერ განხორციელდა. — 520.

192 იგულისხმება კ. ა. ტიმირიაზევის წიგნი «მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა დ ა დ ე მ ო კ რ ა ტ ი ა. 1904 — 1919 წ. სტატიების კრებული», მოსკოვი, 1920. — 528.

193 1920 წლის მაისში სამოქალაქო ომის ფრონტზე მოკლეს მწერალ ა. ს. სერაფიმოვიჩის ვაჟი. — 530.

194 ი. პ. პავლოვი დიდად აფასებდა უდიდეს შესაძლებლობებს, რომლებიც საბჭოთა სოციალისტურმა სახელმწიფომ შექმნა კულტურისა და მეცნიერების განვითარებისათვის. ცნობილ მიმართვაში ახალგაზრდობისადმი (დაბეჭდილია «პრავდის» 1936 წლის თებერვლის 58-ე ნომერში) ი. პ. პავლოვი წერდა: «ჩვენი სამშობლო უდიდეს გასაქანს აძლევს მეცნიერებს და სიმართლე უნდა ვთქვათ— მეცნიერება უხვად ინერგება ჩვენს ქვეყანაში. ძალიან უხვად!

რაღა უნდა ვთქვათ ახალგაზრდა მეცნიერის მდგომარეობაზე ჩვენში? აქ ხომ ყველაფერი ისედაც ნათელია. მას ბევრი ეძლევა, მაგრამ ბევრიც მოეკითხება. და ახალგაზრდობისათვის, ისევე როგორც ჩვენთვის, ღირსების საკითხია გავამართლოთ ის დიდი იმედი, რომელსაც ჩვენი სამშობლო მეცნიერებაზე ამყარებს». — 531.

195 ე. ა. ლიტკენსი აცნობებდა ლენინს, რომ რუსული ენის ლექსიკონის მოსამზადებლად შექმნილია კომისია დ. ნ. უშაკოვის, პ. ნ. საკულინის და სხვათა შემადგენლობით. — 534.

196 კ ო მ ი ნ ტ ე რ ნ — სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც ხელმძღვანელობდა საზღვარგარეთული ლიტერატურის შეძენას და გავრცელებას. — 536.

197 ვ. ი. ლენინის და ვ. მ. მოლოტოვის მიერ ხელმოწერილი დეპეშა რკპ (ბ) ყველა საგუბერნიო კომიტეტს გაეგზავნა იმავ დღეს, 1922 წლის 6 თებერვალს. — 539.

198 ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 1922 წლის 25 მაისს განიხილა ლენინის წინადადებანი, რომლებიც მის მიერ წამოყენებულია წერილებში ი. ბ. სტალინის სახელზე, და მიიღო გადაწყვეტილება რადიოლაბორატორიის დაფინანსების შესახებ ხმამაღლა მოლაპარაკე ტელეფონებისა და რადიომიმღებთა წარმოების დაჩქარების მიზნით. — 545.

199 სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა უნდა გახსნილიყო მოსკოვში 1922 წელს. გამოფენის მოწყობისა და მოუსავლობის შედეგთა ლიკვიდაციის სამუშაოთა დიდი მოცულობის გამო მისი გახსნა გადაიდო; გამოფენა გაიხსნა 1923 წლის 19 აგვისტოს. — 548.

200 სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება მიღებულ იქნა რუსეთის სფსრ უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების დეკრეტთან დაკავშირებით. დეკრეტი უმაღლეს სკოლაში შესვლის საშუალებას აძლევდა ყველა მსურველს, ვინც 16 წლის ასაკს მიაღწია, აუქმებდა უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას საკონკურსო გამოცდებს და ატესტატების წარდგენის მოთხოვნას, აგრეთვე ათავისუფლებდა სწავლის ფასის გადახდისაგან. — 555.

201 ლაპარაკია სახალხო კომისართა საბჭოს იმ დადგენილებებზე, რომლებიც მიღებულ იქნა «საზოგადოებრივ მეცნიერებათა სოციალისტური აკადემიის დებულების» განხილვის დროს. განათლების სახალხო კომისარიატს დაევალა მიეღო უაღრესად ენერგიული ზომები რუსეთში საბიბლიოთეკო საქმის ცენტრალიზაციისათვის; ამავე დროს დაწესებული იყო კონტროლი ამ დადგენილების შესრულებაზე. — 557.

202 ლაპარაკია «მოსკოვის უმაღლესი სახელმწიფო სამხატვრო-ტექნიკური სახელოსნოების შესახებ» სახალხო კომისართა საბჭოს 1920 წ. 18 დეკემბრის დადგენილების პარაგრაფზე: «ძიღებელი სტუდენტები ასრულებენ სასწავლო ბეგარას მეცადინეობის კონტროლის ქვეშ, განსაკუთრებული წესების საფუძველზე, რომლებიც შრომის მთავარმა კომიტეტმა განათლების სახალხო კომისარიატთან ერთად უნდა დაადგინოს ორი კვირის ვადაში და წარუდგინოს დასამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოს». — 567.

203 ბარათი წარმოადგენს პასუხს ლენინისათვის საზღვარგარეთ შესაძენი ლიტერატურის ხასიათის შესახებ. — 577.

204 ვ. ა. პ ლ ე ტ ნ ი ო ვ ი — «პროლეტკულტის» ერთ-ერთი ხელმძღვანელი; «პროლეტარული კულტურის» სახით პლეტნიოვი ა. ა. ბოგდანოვთან ერთად ავრცელებდა მარქსიზმისადმი მტრულ რეაქციულ შეხედულებებს კულტურასა და ხელოვნებაზე. პროლეტკულტელთა რეაქციული შეხედულებების კრიტიკა იხ. ამ კრებულის 347 — 352 გვერდებზე. — 584.

სახელთა საძიებელი

ა. ა. — იხ. ბოგდანოვი ა. ა
ა. ვას-ძე — იხ. ლუნაჩარსკი ა. ვ.
ა. მ. — იხ. გორკი ა. მ.
ა. მ-ძე — იხ. გორკი ა. მ.
ალ. ალ. — იხ. ბოგდანოვი ა. ა.
ალ. ალ-ძე — იხ. ბოგდანოვი ა. ა.
ალ. მ-ძე — იხ. გორკი ა. მ.
ან. ვას-ძე — იხ. ლუნაჩარსკი ა. ვ
ანატ. ვას-ძე — იხ. ლუნაჩარსკი ა. ვ
ადლერი ფ. ვ. — 274, 275.
ავენარიუსი რ. — 465.
ავერჩენკო ა. ტ. — 401.
აკიმოვი ვ. პ. (მახნოვეცი ვ. პ.) — 214
ალექსანდრე II (რომანოვი) — 132—133.
ალექსეევი პ. ა. — 211.
ალექსინსკი გ. ა. — 431.
ამფიტეატროვი ა. ვ.— 208, 471— 472. 477, 480.
ან. — იხ. ეორდანია ნ. ნ.
ანდრეევა მ. თ. (მ. თ., მ. თ. — ასულ, მარიამ თეოდორეს ასული) — 467, 468, 472, 474, 477, 478.
ანტონ ვოლინსკი (ხრაპოვიცკი ა. პ.) — 95, 97, 107, 139.
არაქჩეევი ა. ა. — 128.
არმანდი ე. თ. (არმანდი ინესა) — 509, 511, 513.
აუსტერლიცი ფ. — 274 — 275
აქსელროდი ლ. ი. — 562.
აქსელროდი პ. ბ. — 458
ბ-ნ ი. — იხ. ბრაგინი ი..
ბაბუშკინი ი. ვ. — 213.
ბადაევი ა. ე. — 486, 531.
ბაზაროვი ვ. (რუდნევი ვ. ა.) — 115, 116, 117, 119, 453, 461, 465 — 466.
ბაკუნინი მ. ა. — 130 — 131.
ბარანოვი ნ. მ. — 50.
ბარბიუსი ა. — 317, 318.
ბარკი პ. ლ. — 205.
ბასოკი (მელენევსკი მ. მ., სოკოლოვსკი) — 198.
ბაუერი ო. — 169 — 170.
ბებელი ა. — 66, 153, 492.
ბედნი დემიან — იხ. დემიან ბედნი.
ბეიკონი რ. — 164.
ბელინსკი ბ. გ. — 91, 92, 136, 139, 211, 240.
ბერდიაევი ნ. ა. — 89.
ბერეზოვსკი ა. ე. — 97.
ბერნანი ი. ა. — 461.
ბირონი — 123.
ბისმარკი ო. — 227 — 228.
ბიუისონი თ. — 227 — 228.
ბლეიფორდი რ. — 228 — 229.
ბობრინსკი ვ. ა. — 225 — 226.
ბოგდანოვი ა. ა. (მალინოვსკი ა. ა., ა. ა., ალ. ალ., ალ.-ალ-ძე) — 451, 453, 455 — 456, 457, 465, 491, 495, 497.
ბონჩ-ბრუევიჩი ვ. დ. — 475.
ბონჩ-ბრუევიჩი მ. ა. — 541, 544 — 545.
ბონჩ-ბრუევიჩი მ. დ. — 527.
ბრაგინი ი. (ბ.-ნ. ი.) — 175
ბრინგმანი ა. — 455.

ბულგაკოვი ხ. ნ. — 89, 94
ბურენინი ვ. პ. — 206 — 208
ბურცევი ვ. ლ. — 223
ბეიკონი რ. — 164.
ბიუიხონი ფ. — 321.

გასენდი პ. — 506.
გეიდენი პ. ა. — 72, 74 — 79.
გერცენი ა. ი. — 51, 128 — 135. 210.
გერშენზონი მ. ო. — 89.
გინცბურგი ი. ი. — 581.
გლადსტონი ვ. — 164.
გოგოლი ნ. ვ. — 91, 130, 240.
გოეთე ი. ვ. — 582.
გოლოვანი ფ. ა. — 70 — 71. 146.
გორემიკინი ი. ლ. — 76.
გორკი ა. მ. (პეშკოვი ა. მ., ა. მ., ა. მ-ძე, ალ. მ-ძე) — 87 — 88, 101 — 102, 232 — 233, 451, 455, 456, 457 — 458, 459, 465. 468, 469, 471, 473, 475 — 478, 482, 484, 486, 490, 493 — 494, 498, 504. 521. 526, 532 — 533, 538.
გრედესკული ნ. ა. — 140 — 141. 147 — 149.
გრინკო გ. ფ. — 371.
გურვიჩი ი. ა. — 48.
გურევიჩი ე. ლ. (სმირნოვი ე.) — 72. 223.
გუჩკოვი ა. ი. — 145, 206. 224

დალი ვ. ი. — 526, 529.
დანი ფ. ი. (გურვიჩი ფ. ი.) — 72, 458.
დანსკი ბ. გ. (ქომაროვსკი კ. ა.) — 480.
დეკარტე რ. — 506.
დემიან ბედნი (პრიდვოროვი ე. ა.) — 496, 497.
დენიკინი ა. ი. — 348.
დიცგენი ე. — 406.
დიცგენი ი. — 406.
დობლერი ფ. — 380.
დობროლიუბოვი ნ. ა. — 91, 132, 158 203, 259.
დოვგალევსკი ვ. ს. — 541.
დოლგორუკოვი პ. დ. — 72, 224
დონცოვი დ. — 136, 800
დოსტოევსკი თ. მ. — 91, 498, 509.
დრევსი ა. — 409 — 410.
დუბასოვი ფ. ვ. — 76, 78 — 80.
დუბროვინი ა. ი. — 73.
დუბროვინსკი ი. ფ. (ინოკი) — 457.

ეინშტეინი ა. — 407, 411.
ენგელსი ფ. — 60, 225, 248, 264, 272, 407 — 408, 458.
ერმანსკი ო. ა. (კოგანი ო. ა.) — 420 — 421.

ვ. ვ. — იხ. ვორონცოვი ვ. პ.
ვ. ი. — იხ. ლენინი ვ. ი.
ვ. ო. — 221.
ვანდერველდე ე. — 275.
ვახილიევი ნ. ვ. — 68, 69.
ვერესაევი ვ. (სმიდოვიჩი ვ. ვ.) — 59. 264.
ვილონოვი ნ. ე. (მიხეილი) — 471 — 472.
ვილსონი ვ. — 255, 290.
ვინიჩენკო ვ. კ. — 509.
ვინოგრადოვი ნ. დ. — 518 — 519
ვიპერი რ. ი. — 409.
ვიტე ს. ი. — 76.
ვიტიმსკი ა. — იხ. ოლმინსკი მ. ს.
ვოდოვოზოვი ვ. ვ. — 475.
ვოლინსკი ანტონ — იხ ანტონ ვოლინსკი.
ვოლოგდინი ვ. პ. — 541.
ვოროვსკი ვ. ვ. — 558.
ვორონცოვი ვ. პ. (ვ. ვ.) — 51.
ვრანგელი პ. ნ. — 365 — 367.

ზაკრჟევსკი ი. ფ. — 444.
ზასულიჩი ვ. ი. — 581.
ზოლა ე. — 264.

თომა პიტერელი — იხ. სმირნოვი ა. ბ.

იზგოევი ა. ს. (ლანდე ა. ს.) — 89, 94, 96, 140, 142, 146, 500.
ინოკი — იხ. დუბროვინსკი ი. ფ.
იორდანსკი ნ. ი. — 475
იუან ზი-კაი. — 162.

ოუდენიჩი ნ. ნ. — 360.
ოუფაკოვი ხ. ნ. — 52.
ოურკევიჩი ლ. — 90, 196 — 200.
ოუშკევიჩი პ. ს. — 461.

კაველინი კ. დ. — 132.
კალედინი ა. მ. — 246.
კალინინი ფ. ი. — 522.
კანტი ი. — 458.
კაპლუნი — 532
კარაულოვი ვ. ა. — 97.
კატკოვი მ. ნ. — 136 — 137, 143
კაუცკი კ. — 51, 119, 170, 231, 312. 436.
კაჩოროვსკი კ. რ. — 473 — 474.
კეი ე. — 515.
კეინსი დ. მ. — 562.
კერენსკი ა. თ. — 246 — 247, 256
კისტიაკოვსკი ბ. ა. — 89.
კოკოვცოვი ვ. ნ. — 207.
კოლუმბი — იხ. ლალაიანცი ი. ხ.
კოლჩაკი ა. ვ. — 348, 360.
კოლცოვი დ. (გინზბურგი ბ. ა.) 215.
კონტი ო. — 116.
კორნილოვი ლ. გ. — 256
კოროლენკო ვ. გ. — 70.
კოროლენკო ს. ა. — 70.
კოსიჩი ა. ი. — 50.
კოსოვსკი ვ. (ლევინსონი მ. ი.) — 172.
კრესტოვნიკოვი გ. ა. — 224.
კრიეენკო ს. ნ. — 49.
კრისტი — 532.
კრიჩევსკი ბ. ნ. — 214
კროპოტკინი პ. ა. — 223.
კრუპსკაია ნ. კ. (ნ. კ., ნადია). — 446. 470, 489, 493.
კრუშევანი პ. ა. — 73
კუსკოვა ე. დ. — 73.
კუტლერი ნ. ნ. — 224.

ლალაიანცი ი. ხ. (კოლუმბი) — 445
ლარინი ი. (ლურიე მ. ა.) — 486
ლასალი ფ. — 153.
ლევიცკი გ. (ცედერბაუმი ვ. ო.) — 119
ლენინი ვ. ი. (ულიანოვი ვ. ი., ლ.ნ.. ლენინი ნ., ტ.) — 66, 152, 191, 232. 233, 263, 283, 287, 291, 329, 334. 353, 357, 364 — 365, 370, 401, 403, 417, 418 — 419, 428, 432, 437, 443, 444, 445, 446, 447, 450, 451 — 452, 454, 458, 466 — 468, 474, 477, 479, 483, 485, 489, 492 — 493, 495, 501, 506, 508, 516, 518, 520, 525 535, 537 — 538, 540, 542 — 543. 545 — 548, 551 — 574.
ლენინი ნ. — იხ. ლენინი ვ. ი.
ლიბკნეხტი კ. — 291.
ლიბმანი თ. (გერში პ. ლ.) — 191. 135 — 136.
ლიდვალი — 71.
ლიტკენსი ე. ა. — 533, 535, 539, 572.
ლიუბიმოვი ა. ი. (მარკი) — 447.
ლიუცი ლ. გ. — 155.
ლოველი — 469.
ლონგე ჟ. — 385.
ლოპატინი გ. ა. — 474 — 475
ლუკაშევიჩი პ. (ტუჩაპსკი პ. ლ.) — 198.
ლუნაჩარსკი ა. ვ. — 305, 355 — 356. 371, 373, 375, 453, 455, 446, 461. 486, 495, 517, 526, 529, 533, 561. 573.
ლუქენოვსკი გ.ნ. — 79.
ლუქსემბურგი რ. — 291.

მ. თ., მ. თ. — ასული, მარიამ თეოდორეს ასული — იხ. ანდეერვა მ. თ.
მაიაკოვსკი ვ. ვ. — 403.
მაკდონალდი რ. — 317, 385.
მაკლაკოვი ვ. ა. — 147 — 148.
მალინოვსკი პ. პ. — 489, 517.
მალინოვსკი რ. ვ. — 551.
მალკინი ბ. ფ. — 376.
მამინ-სიბირიაკი დ. ნ. — 59.
მანიაშა — იხ. ულიანოვა მ. ი.
მანუსი ი. ნ. — 207.
მარკი — იხ. ლიუბიმოვი ა. ი.
მარტინოვი ა. (პიკერი ა. ხ.) — 66. 214 — 216, 438.
მარტოვი ლ. (ცედერბაუმი ი. ო.) — 120, 259, 458.
მარქსი კ. — 60, 66, 124, 225 — 226. 264, 311, 313, 337. 338. 412, 458. 492, 518.

მახლოვი პ. პ. — 119, 223.
მახი ე. — 460, 461, 463.
მახნო ნ. ი. — 350.
მელერ-ზაკომელსკი ა. ნ. — 79.
მენშიკოვი მ. ო. — 95, 207.
მეტერლინკი მ. — 495.
მილიუკოვი პ. ნ. — 141.
მიხაილოვსკი ნ. კ. — 51.
მიხეილი — იხ. ვილონოვი ნ. ე.
მოდესტოვი ვ. ა. — 376.
მოლოტოვი ვ. მ. (სკრიაბინი ვ. მ.) — 539.
მორდვინკინი ვ. გ. — 573.

ნ. კ. — იხ. კრუპსკაია ნ. კ.
ნ. ლ. — იხ. ლენინი ვ. ი.
ნადია — იხ. კრუპსკაია ნ. კ.
ნაპოლეონ I (ბონაპარტე) — 253, 436.
ნაპოლეონ I (ბონაპარტე ლუი) — 130.
ნატანსონი მ. ა. — 485.
ნეველმსკი მ. (მიკლაშევსკი მ. პ.) — 118 — 119.
ნეკრასოვი ნ. ა. — 78, 139, 140.
ნიკოლაევი ა. მ. — 527.
ნიკოლოზ II (რომანოვი) — 223, 290. 505.
ნიკონი — 177 — 178.

ოლარი ა. — 321.
ოლმინსკი მ. ს. (ალექსანდროვი მ. ს., ვიტიმსკი) — 481, 497.
ოსადჩი პ. ს. — 544.
ოსტვალდი ვ. — 460.
ოუენი რ. — 429.

პავლოვი ი. პ. — 531.
პანეკუკი ა. — 492.
პატრაშკინი ს. ტ. — 203.
პერეიასლავსკი ი. — იხ. ხრუსტალევ-ნოსარი გ. ს.
პეტლიურა ს. ვ. — 360.
პეტროვი ა. — 133.
პიატნიცკი კ. პ. — 492.
პისარევი დ. ი. — 66.
პლეტნიოვი ვ. ა. — 584.
პლეხანოვი გ. ვ. — 53, 60, 66, 68, 72, 119, 225, 185 — 186, 215, 406, 458 — 464, 496, 581.
პობედონოსცევი კ. პ. — 94, 96.
პოკროვსკი მ. ნ. — 253. 529, 533. 560, 572.
პორტუგალოვი ვ. — 73.
პოტიე ე. (პოტიე ევგენი) — 150 — 152, 154.
პოტრესოვი ა. ნ. — 115, 116, 118, 443 — 449.
პროკოპოვიჩი ს. ნ. — 68, 73, 215. 225.
პროკოფიევი — 556.
პურიშკევიჩი ვ. მ. — 73, 202, 225. 505.
პუშკინი ა. ს. — 526, 533.

ელიაბოვი ა. ი. — 66.
ეორდანია ნ. ნ. (ან.) — 185 — 186

რ. მ. — 60.
რადიშჩევი ა. ნ. — 518.
რაისაია ე. ე. — 208.
რეიტერნი — 133.
რენენკამპფი პ. კ. — 79.
რენერი კ. — 169, 274 — 275
რენოდილი პ. — 275.
რიაბუშინსკი პ. პ. — 147.
როდიჩევი ფ. ი. — 224.
როზანოვი ვ. ვ. — 95, 139
როზენფელდი ნ. — 517.
როზმიროვიჩი ე. ფ. (ტროიანოვსკაია) — 490.
რომანოვები — 225.
როპშინი ვ. — იხ. სავინკოვი ბ. ვ.
როუკოვი ნ. ა. — 477 — 478, 486.
რუბაკინი ნ. ა. — 217.
რუბანოვიჩი ი. ა. — 223.

სავინკოვი ბ. ვ. (როპშინი ბ.) — 485.
სალტიკოვ-შჩედრინი მ. ე. — 59, 69. 71, 78, 140, 481.
სალტიჩიხა (სალტიკოვა) — 78.
სამოილოვი თ. ნ. — 486.
სემაშკო ნ. ა. (ალექსანდროვი ა. ვ.) — 565.
სენკევიჩი — 451.
სერაფიმოვიჩი ა. ს. (პოპოვი ა. ს.) — 530.
სერგეი პავლეს-ძე — 580.
სერნო-სოლოვიოვიჩი ა. ა. — 132.
სინკლერი ე. — 228 — 229.

ხაპიაგინი დ. ხ. — 61.
სკალდინი (ელენევი ფ. პ.) — 443.
სკვორცოვი — იხ. სკვორცოვ-სტეპანოვი ი. ი.
სკვორცოვ-სტეპანოვი ი. ი. — 416 — 417, 486.
სკლიანსკი ე. მ. — 565.
სმირნოვი ა. პ. (თომა-პიტერელი) — 402.
სმირნოვი ე. — იხ. გურევიჩი ე. ლ.
სნესარევი ნ. ვ. — 205 — 208.
სოკოლოვსკი — იხ. ბასოკი.
სოლოვიოვი ვ. ხ. — 91.
სოროკინი პ. ა. — 413 — 414.
სტალინი ი. ბ. (ჯუღაშვილი ი. ბ.) — 544 — 545.
სტეპანოვი ი. ი. — იხ. სკვორცოვ-სტეპანოვი ი. ი.
სტოლიპინი პ. ა. — 76 — 78, 85 — 86, 95, 127, 142, 209.
სტრუვე პ. ბ. — 56, 89, 94, 138, 140, 144, 147, 173.
სუვორინი ა. ს. — 136 — 137, 206.
სურკოვი პ. ი. — 556.
სუხანოვი ნ. (გიმერი ნ. ნ.) — 432, 434.

ტ. — იხ. ლენინი ვ. ი.
ტაგიევი ხ. ზ. — 147.
ტეილორი ფ. უ. — 258.
ტიმირიაზევი ა. კ. — 411 — 412.
ტიმირიაზევი კ. ა. — 528.
ტიხონოვი ა. ნ. — 486.
ტოლსტოი ლ. ნ. — 81 — 86, 103 — 108, 109 — 112, 113 — 114, 115 — 120, 121 — 125, 127, 203, 475.
ტროიანოვსკაია — იხ. როზმიროვიჩი ე. ფ.
ტროიანოვსკი ა. ა. — 490
ტურატი ფ. — 231.
ტურგენევი ი. ს. — 78, 133, 203

უელსი გ. — 538.
ულიანოვა მ. ა. — 444, 445, 446, 447, 450, 469 — 470.
ულიანოვა მ. ი. (მანიაშა) — 446, 447, 470.
ულიანოვი ვ. ი. — იხ. ლენინი ვ. ი.
უსპენსკი გ. ი. — 48

ფეიერბახი ლ. — 117, 116, 129.
ფერი ე. — 456.
ფილონოვი ფ. ვ. — 79
ფიხტე ი. გ. — 506.
ფოტიევა ლ. ა. — 582.
ფრანკი ს. ლ. — 89, 94.
ფრანსი ა. (ტიბო ა.) — 321.
ფრანც-იოსები I — 488.

შაგოვი ნ. რ. — 486.
შაუმიანი ს. გ. — 502, 507
შევჩენკო ტ. გ. — 209.
შეიდემანი ფ. — 274.
შელგუნოვი ვ. ა. — 213
შვიდტი ვ. ვ. — 302.
შოუ ბ. — 538.
შტრასერი ი. — 492.
შუბინსკი ნ. პ. — 206.
შჩედრინი ნ. — იხ. სალტიკოვ-შჩედრინი მ. ე.
შჩეპეტევი ა. — 138 — 149

ჩაადაევი პ. ი. — 91.
ჩაიკოვსკი პ. ი. — 450.
ჩერევანინი ნ. (ლიპკინი ფ. ა.) — 119.
ჩერნიშევსკი ნ. გ. — 51, 52, 53, 54, 60, 65, 70, 91, 126, 132, 134, 136, 158, 203, 224, 231, 259, 309, 405, 443.
ჩერნოვი ვ. მ. — 385, 478.
ჩეხოვი ა. პ. — 445.
ჩუეკი. (ნასიმოვიჩი ნ. ფ.) — 477

ძერჟინსკი ფ. ე. — 527

ხალტურინი ხ. ნ. — 211.
ხილკოვიტი მ. — 385.
ხოლოროვსკი ი. ი. — 426.
ხრუსტალევ-ნოხარი გ. ს. (პერეიასლავსკი ი.) — 72

ჰაიდმანი — 228.
ჰაინე ჰ. — 582.
ჰენდერსონი — 275.
ჰეგელი გ. — ვ. — ფ. — 129, 412, 47
ჰილფერდინგი რ. — 385.
ჰერვეგი — 153.
ჰომპერსი — 275

შინაარსი

გამომცემლობისაგან 3

ბ. მეილახი. ვ. ი. ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ . 5

სტატიები. სიტყვები

პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა 41

1894—1917

წიგნიდან «რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ (პასუხი «რუსკოე ბოგატსტვოს» სტატიებზე მარქსისტების წინააღმდეგ)» 45

სტატიიდან «ნაროდნიკობის ეკონომიური შინაარსი და მისი კრიტიკა ბ. ნ. სტრუვეს წიგნში (მარქსიზმის ასახვა ბურჟუაზიულ ლიტერატურაში)» 56

წიგნიდან «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში». მსხვილი მრეწველობის შინაური ბაზრის წარმოშობის პროცესი 59

სტატიიდან «უკუსვლითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში» 60

სტატიიდან «დამშეულებთან ბრძოლა» 61

ჟურნალ «სვოგოდას» შესახებ 63

წიგნიდან «რა ვაკეთოთ? ჩვენი მოძრაობის საჭირბოროტო საკითხები» 65

სტატიიდან «პლეხანოვი და ვასილიევი» 68

ნაშრომიდან «მეორე სახელმწიფო სათათბიროში აგრარულ საკითხზე წარმოსათქმელი სიტყვის პროექტი» 70

სტატიიდან «მოზეიმე უხამსობა ანუ მოკადეტო ესერები» . . 71

ბრაფ გეიდენის ხსოვნას (რას ასწავლიან ხალხს ჩვენი უპარტიო «დემოკრატები»?) 72

ლევ ტოლსტოი, როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე . . 81

ბურჟუაზიული პრესის ზღაპარი გორკის გარიცხვის შესახებ 87

«ვეხის» შესახებ . 89

ნაშრომიდან «პუბლიცისტის შენიშვნები» ოქტობრისტების მომხრეთა და დამცველთა «პლატფორმის» შესახებ 99

ლ. ნ. ტოლსტოი 103
ლ. ნ. ტოლსტოი და თანამედროვე მუშათა მოძრაობა . . . 109
ტოლსტოი და პროლეტარული ბრძოლა . 113
«ბანმარტების» გმირები . . . 115
ლ. ნ. ტოლსტოი და მისი ეპოქა 121
სტატიიდან «საგლეხო რეფორმა» და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია» 126
სტატიიდან «საარჩევნო კამპანიისა და საარჩევნო პლატფორმის შესახებ» 127
გერცენის ხსოვნას 128
კარიერა 136
კიდევ ერთი ლაშქრობა დემოკრატიის წინააღმდეგ . . . 138
ევგენი პოტიე (მისი გარდაცვალების 25 წლისთავის გამო) 150
მუშათა გუნდების განვითარება გერმანიაში . . 153
განათლებული დეპუტატები . . 155
«ვისთვისაა ხელსაყრელი?» 156
სტატიიდან «ლიბერალები და კავშირების თავისუფლება» . . 158
მუშათა კლასი და ეროვნული საკითხი . 159
ჩამორჩენილი ევროპა და მოწინავე აზია . . 161
შეიარაღება და კაპიტალიზმი . . 163
თეზისები ეროვნულ საკითხზე 165
როგორ გავადიდოთ სულოგრივი მოხმარების ოდენობა რუსეთში? 174
როგორ იცავს უკრაინელებს ეპისკოპოსი ნიკონი? 177
მოსწავლეთა ეროვნული შემადგენლობა რუსულ სკოლაში . 180
კიდევ სასკოლო საქმის დაყოფის შესახებ ეროვნებათა მიხედვით 184
სტატიიდან «კრიტიკული შენიშვნები ეროვნულ საკითხზე» . 187
1. ლიბერალები და დემოკრატები ენების საკითხში 187
2. «ნაციონალური კულტურა» 190
3. «ასიმილატორობის» ნაციონალისტური საფრთხობელა . . . 194
საჭიროა თუ არა საბალდებულო სახელმწიფო ენა? . . 202
კაპიტალიზმი და ბეჭდვითი სიტყვა 205
ნაშრომიდან «ეროვნული პოლიტიკის საკითხისთვის» . . 209
რუსეთის მუშათა ბეჭდვითი სიტყვის წარსულიდან . . . 210
42. ლენინი კულტურისა და ხელოვნების შესახებ 657

მუშეების გარეშენა დახვეწილი ნაციონალიზმით 219
ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ 223
სტატიიდან «ინგლისური პაციფიზმი და ინგლისური სიძულვილი თეორიისა» 228
სტატიიდან «პაციფიზმი ბურჟუაზიული და პაციფიზმი სოციალისტური» 231
სტატიიდან «წერილები შორიდან» . . . 231
წერილი 4. რობოტ მივაღწიოთ ზავს? 232
ნაშრომიდან «რსდმ პარტიის ამოცანების შესახებ რუსეთის რევოლუციაში» 233

1917—1923

პროექტი რეზოლუციისა პრესის თავისუფლების შესახებ . . 234
პეტროგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ამოცანების შესახებ 236
სტატიიდან «როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?» 238
მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობა. 1918 წ. 10 — 18 (23 — 31) იანვარი . . . . . .
საბოლოო სიტყვა ყრილობის დახურვის წინ (18 — 31) იანვარს . 243
რკპ (ბ) მეშვიდე ყრილობა 1918 წ. 6 — 8 მარტი
მოხსენებიდან პარტიის პროგრამის გადასინჯვისა და სახელწოდების შეცვლის შესახებ 8 მარტს (საღამოს) 248
ჩვენი დროის მთავარი ამოცანა 250
სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო IV ყრილობა 1918 წ. 14 — 16 მარტი
პროექტი რეზოლუციისა ვილსონის მომართვის გამო 255
ნაშრომიდან «საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები»
შრომის ნაყოფიერების გადიდება 256
საბჭოთა ორგანიზაციის განვითარება 259
სრულიად რუსეთის ცაკის სხდომა 1918 29 აპრილი 260
მოხსენებიდან საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანების შესახებ 260
სიტყვა მასწავლებელ-ინტერნაციონალისტთა სრულიად რუსეთის ყრილობაზე 1918 წ. 5 ივნისს. მოკლე საოქმო ჩანაწერი . . . 262
სტატიიდან «წინასწარმეტყველური სიტყვები» 263
სიტყვიდან განათლების საკითხებზე მოწვეულ სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1918 წ. 28 აგვისტოს 265
ჩვენი გაზეთების ხასიათის შესახებ 267
მოსკოვის პარტიულ მუშაკთა კრება 1918 წ. 27 ნოემბერს
მოხსენებიდან პროლეტარიატის დამოკიდებულებაზე წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისადმი 270
სტატიიდან «დემოკრატიისა» და დიქტატურის შესახებ» . . . 274

სიტყვიდან სრულიად რუსეთის ცაკის, მოსკოვის საბჭოს და პროფესიულ. კავშირთა სრულიად რუსეთის ყრილობის გაერთიანებულ სხდომაზე 1919 წ. 17 იანვარს 277

სიტყვა მასწავლებელ-ინტერნაციონალისტთა სრულიად რუსეთის II ყრილობაზე 1919 წ. 18 იანვარს 279

სიტყვა სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებათა სკოლისგარეშე ქვეგანყოფილებების გამგეთა II თათბირზე 1919 წ. 24 იანვარს . . 282

განათლების სახალხო კომისარიატს 284

პეტროგრადის საბჭოს სხდომა 1919 წ. 12 მარტს

1. მოხსენებიდან სახალხო კომისართა საბჭოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ. მოკლე საგაზეთო ანგარიში 287

2. პასუხიდან ბარათებზე 288

ნაშრომიდან «საბჭოთა ხელისუფლების წარმატებანი და სიძნელენი» 290

ნაშრომიდან «რკპ (ბ) პროგრამის პროექტი»

პროლეტარიატის დიქტატურის ძირითადი ამოცანები რუსეთში 293

რკპ (ბ) VIII ყრილობა 1919 წ. 18 — 23 მარტი

მოხსენებიდან პარტიული პროგრამის შესახებ 19 მარტს 296

სიტყვა კომუნისტ მოსწავლეთა სრულიად რუსეთის I ყრილობაზე 1919 წ. 17 აპრილს . 301

სკოლისგარეშე განათლების სრულიად რუსეთის I ყრილობა 1919 წ. 6 — 19 მაისს . 305

1. მისასალმებელი სიტყვა 6 მაისს . . 305

2. სიტყვიდან ხალხის მოტყუების შესახებ თავისუფლებისა და ეროვნულ-ნასწორობის ლოზუნგებით 19 მაისს . . 309

სტატიიდან «სალამი უნგრეთის მუშებს» 311

ნაშრომიდან «დიდი თაოსნობა (მეშვიდის გმირობის შესახებ ზურგში. «კომუნისტურ შაბათობათა» გამო)» 315

ნაშრომიდან «III ინტერნაციონალის ამოცანების შესახებ (რამდენი მაკდონალდი III ინტერნაციონალის შესახებ)» . . 317

სტატიიდან «პასუხი ამერიკელი ჟურნალისტის კითხვებზე» 318

პროექტიდან რკპ (ბ) ც. კ-ის რეზოლუციისა უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების შესახებ 319

საბჭოების სრულიად რუსეთის VII ყრილობა 1919 წ. 5 — 9 დეკემბერი სრ. რუს. ცაკ-ისა და სახკომსაბჭოს მოხსენებიდან 5 დეკემბერს 321

რუსული ენის გაწმენდის შესახებ (ფიქრები მოცლილობისას, ე. ი. კრებებზე სიტყვების მოსმენის დროს) 323

 სტატიიდან «პასუხი ინგლისური გაზეთის «DAILY EXPRESS»-ის კორესპონდენტის კითხვებზე» 324

სიტყვიდან სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებების სკოლისგარეშე ჯვეგანყოფილებათა გამგეების სრულიად რუსეთის III თათბირზე 1920 წ. 25 თებერვალს . 325

სიტყვა მედიკურ-სანიტარული შრომის მუშაკთა სრულიად რუსეთის II ყრილობაზე 1920 წ. 1 მარტს. საოქმო ჩანაწერი . . . 329

მუშა ქალთა საერთაშორისო დღისათვის 331

სიტყვიდან წყლის ტრანსპორტის მუშათა სრულიად რუსეთის III ყრილობაზე 1920 წ. 15 მარტს 333

«ახალგაზრდობის კავშირთა ამოცანები (სიტყვა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე) 1920 წ. 2 ოქტომბერი 334

«პროლეტკულტისა» და პროლეტარული კულტურის შესახებ . 353

1. ბარათი მ. ნ. პოკროვსკის 353
2. აღნიშვნა მ. ნ. პოკროვსკის ცნობაზე 353
3. მონასახი რეზოლუციისა პროლეტარული კულტურის შესახებ . 354

პროლეტარული კულტურის შესახებ 355

სიტყვა სახალხო განათლების საგუბერნიო და სამაზრო განყოფილებათა პოლიტგანების სრულიად რუსეთის თათბირზე 1920 წ. 3 ნოემბერს 357

თეზისები საწარმოო პროპაგანდის შესახებ (შავი მონასახი) . . 368

განსახკომის მუშაობის შესახებ 371

ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავისათვის 382

ახალი ეკონომიური პოლიტიკა და პოლიტგანების ამოცანები.

მოხსენებიდან პოლიტგანების სრულიად რუსეთის II ყრილობაზე 1921 წ. 17 ოქტომბერს 392

შეეძლებთ თუ არა მუშაობას ჩვენთვის? . . 392

მოძველებული ხერხები . 394

ყველაზე დიდი სასწაული 395

✓ პოლიტგანათლების მუშაკთა ამოცანები . 396

✓ სამი მთავარი მტერი 398

✓ განსხვავება სამხედრო და კულტურულ ამოცანებს შორის . 400

ნიბიერად დაწერილი წიგნაკი 401

საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ. სიტყვიდან მელითონეთა სრულიად რუსეთის ყრილობის კომუნისტური ფრაქციის სხდომაზე 1922 წ. 6 მარტს 403

მეგრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ . 405

ფინანსიტყვაობა ი. ი. სტეპანოვის ფიბნისა: «რსფს რესპუბლიკის ელექტროფიკაცია მსოფლიო მეურნეობის გარდამავალ ფაზასთან დაკავშირებით» 416
რკპ (ბ) XI ყრილობა 1922 წ. 27 მარტი 2 აპრილი 418
რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშიდან 27 მარტს 418
ერთი კოვზი კუპრი ერთ კასრ თაფლში . . 420
ფურცლები დღიურიდან 422
სტატიიდან «კოოპერაციის შესახებ» . 428
II . . . . .
ჩვენი რევოლუციის შესახებ (ნ. სუხანოვის წერილების გამო) . . 428
I 432
II 436
სტატიიდან «უმჯობესია ცოტა და კარგი» 437

წერილები

1899—1915

წერილიდან ა. ნ. პოტრესოვისადმი. 1899 წ.26 იანვარი 443
წერილიდან მ. ა. ულიანოვასადმი 1901 წ. 9 თებერვალი . . 444
წერილიდან მ. ა. ულიანოვასადმი. 1901 წ. 20 თებერვალი . . 445
წერილიდან მ. ი. ულიანოვასადმი. 1901 წ. 4 მარტი . . 446
წერილიდან მ. ა. ულიანოვასადმი. 1901 წ. 19 მაისი . . 447
წერილიდან ა. ნ. პოტრესოვისადმი. 1903 წ. 1 იანვარი . . 449
წერილიდან მ. ა. ულიანოვასადმი. 1903 წ. 4 თებერვალი . . . 450
ა. მ. გორკის. 1908 წ. 7 თებერვალი . . . 451
ა. ვ. ლუნაჩარსკის. 1908 წ. 13 თებერვალი . . . 455
ა. მ. გორკის. 1908 წ. 13 თებერვალი . . 457
ა. მ. გორკის. 1908 წ. 25 თებერვალი . 459
ა. მ. გორკის. 1908 წ. 24 მარტი 465
ა. მ. გორკის 1908 წ. აპრილის პირველი ნახევარი 468
წერილიდან მ. ა. ულიანოვასადმი 469
წერილიდან მ. ი. ულიანოვასადმი. 1909 წ. 2 იანვარი 470
ა. მ. გორკის. 1909 წ. 16 ნოემბერი 471
ა. მ. გორკის 1910 წ. 22 ნოემბერი 473

წერილიდან ა. მ. გორკისადმი. 1911 წ. 3 იანვარი . 475
ა. მ. გორკის. 1912 წ. თებერვალი . . 476
ა. მ. გორკის. 1912 წ. თებერვალი — მარტი . 477
ა. მ. გორკის. 1912 წ. აგვისტო 478
პაზეთ «პრავდის» რედაქციას. 1912 წ. 8 სექტემბერი 480
ა. მ. გორკის. 1912 წ. 17 ოქტომბერი . . 482
ა. მ. გორკის. 1912 წ. 22 ან 23 დეკემბერი . 484
ა. მ. გორკის. 1913 წ. იანერის დამლეგი . . 486
ა. მ. გორკის. 1913 წ. თებერვლის მეორე ნახევარი . . . 490
ა. მ. გორკის. 1913 წ. 6 მარტის შემდეგ . . 193
ა. მ. გორკის. 1913 წ. მაისის პირველი ნახევარი 494
გაზეთ «პრავდის» რედაქციას. 1913 წ. მაისის დამლეგი . . . 496
ა. მ. გორკის. 1913 წ. ნოემბრის შუა 498
წერილიდან ს. გ. შაუმიანს. 1913 წ. 6 დეკემბერი . . 502
ა. მ. გორკის. 1913 წ. დეკემბერი . 504
ს. გ. შაუმიანს. 1914 წ. 19 მაისი 507
ინესა არმანდს. 1914 წ. 5 ივნისი 509
ინესა არმანდს. 1915 წ. 17 იანვარს . 511
ინესა არმანდს. 1915 წ. 24 იანვარი 513

1918—1922

დეპეშა ა. ვ. ლუნაჩარსკის. 1918 წ. 13 მაისი . 517
დეპეშა ა. ვ. ლუნაჩარსკის 1918 წ. 18 სექტემბერი 518
ვოსკოვის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმს. 1918 წ. 12 ოქტომბერი 519
ა. მ. გორკის. 1919 წ. 31 ივლისი . . . 521
ა. ვ. ლუნაჩარსკის. 1920 წ. 18 იანვარი . . 526
მ. ა. ბონჩ-ბრუევიჩს 1920 წ. 5 თებერვალი . 527
კ. ა. ტიმირიაზევს. 1920 წ. 27 აპრილი . 528
მ. ნ. პოკროვსკის. 1920 წ. 5 მაისი . 529
ა. ს. სერაფიმოვიჩს. 1920 წ. 21 მაისი 530
პეტროგრადის აღმასკომის თავმჯდომარეს. 1920 წ. 25 ივნისი . 531
აკადემიკოს ი. პ. პავლოვისა და მისი თანამშრომლების მეცნიერულ მუშაობის უზრუნველმყოფელი პირობების შესახებ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება 532

ე. ა. ლიტკენსს. 1921 წ. 6 მაისი . . 533
ე. ა. ლიტკენსს. 1921 წ. 9 მაისი . . 534
ე. ა. ლიტკენსს. 1921 წ. 17 მაისი 535
საზღვარგარეთული ლიტერატურის კომისიას 1921 წ. 30 სექტემბერი 536
ა. მ. გორკის. 1921 წ. 0 დეკემბერი . 538
ვ. მ. მოლოტოვს. 1922 წ. 6 თებერვალი . . 539
ბერლინიდან ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატისადმი 1922 წ. 11 მაისი 541
ბერლინიდან სახალხო განათლების კომისრისადმი. 1922 წ. 17 მაისი 543
ი. ბ. სტალინს რადიოტექნიკის განვითარების შესახებ
1. 544
2. 545
სახელმწიფო ელექტროსადგურის «ელექტროპერედაჩის» მუშებსა და მოსამსახურეებს 547
მისალმება სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენას 548

დირექტივები. განკარგულებები. დადგენილებები.

მიწერილობა კრემლის კომენდანტს 551
კომისიის დირექტივები 552
წერილი რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატს და კონებათა სახალხო კომისარიატს 553
რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისარიატის, კონებათა სახალხო კომისარიატის და მოსკოვის საბჭოს შემოქმედობის შესახებ. სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი 554
რუსეთის სფსრ შმაღლეს სასწავლებლებში მიღების შესახებ. სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი 555
სახალხო განათლების კომისარიატის საბიბლიოთეკო განყოფილებას 556
საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობის შესახებ. სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტი 557
ვ. ვ. ვოროვსკის 559
ხარათი მ. ნ. პოკროვსკის . . . 560
რეზოლუცია და აღნიშვნები ა. ვ. ლუნაჩარსკის წერილზე . . 561

რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოში გაგზავნილ გარათიდან 562
ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატს 563
სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პოლიგრაფიულ ბანჟოფილებას 564
დეპეშა პირდაპირი მავთულით დასავლეთის ფრონტის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს. ასლი სკლიანსკის 565
დეპეშა საგუბერნიო აღმასკომს, საოლქო ბიუროს, შრომის პირველი არმიის საბჭოს 566
უმაღლესი სამხატვრო განათლების შესახებ . 567
1. მცირე საბჭოს 567
2. შენიშვნები და შესწორებები სახკომსაბჭოს დადგენილების პროექტისათვის 567
სახელმწიფო გამომცემლობას 568
დეპეშა შრომის პირველი არმიის საბჭოს, რკპ ცენტრალური კომიტეტის საოლქო ბიუროს, საგუბერნიო აღმასკომს, ურალის უნივერსიტეტს 569
მცირე სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს . . 570
დეპეშა ყირიმის რევკომს 571
განათლების სახალხო კომისარიატს. 1921 წ. 8 აპრილი 573
განათლების სახალხო კომისარიატს. 1921 წ. 9 აპრილი . . . 573
სახელმწიფო გამომცემლობას. ასლი წიგნის პალატას . . 574

აღნიშვნები. დავალებანი

გარათი მდივანს 577
კინოფოტოგრაფიკის თემატიკის შესახებ . . . 578
მარქს-ენგელსის ინსტიტუტის დირექტორს . . . 579
წერილი ა. ვ. ლუნაჩარსკის. 1921 წ. 14 თებერვალი . . 580
წერილი პეტროგრადის საბჭოს. 1921 წ. 5 მაისი . . 581
წერილიდან ლ. ა. ფოტიევასადმი. 1921 წ. 6 ივნისი 582
აღნიშვნა ამერიკის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის წერილზე 583
გარათი გუხარინს 584

დამატებანი

მოგონებები და სტატიები ვ. ი. ლენინზე

ა. ი. ულიანოვა—ელიზაროვა. «მოგონებიდან ილიჩზე» . . 587
დ. ი. ულიანოვი. მუსიკისადმი სიყვარული 589
ნ. კ. კრუპსკაია. წიგნიდან «მოგონებანი ლენინზე» 591

ნ. კ. კრუპსკაია. რა მოსწონდა ილიჩს მხატვრული ლიტერატურიდან . 594
ნ. კ. კრუპსკაია. სტატიიდან «ლენინი და გორკი» . . . 598
ნ. კ. კრუპსკაია. ლენინი და ჩერნიშევსკი . . 601
მ. გორკი. ნარკვევიდან «ვ. ი. ლენინი» 604
კ. ცეტკინი. წიგნიდან «მოგონებანი ლენინზე» . . 608
ა. ვ. ლუნაჩარსკი. ლენინი და ხელოვნება . . 613
შენიშვნები 619
სახელთა საძიებელი 647

ილუსტრაციები

ვ. ი. ლენინი (ფრონტისპისი)
ვ. ი. ლენინი. 1910. . . . . 112 — 113
ვ. ი. ლენინი თავის კაბინეტში კრემლში. 1918. . . . 240 — 241
ვ. ი. ლენინი სიტყვას ამბობს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ძეგლის გახსნისას. 1918. . . . . 272 — 273
ვ. ი. ლენინი. 1919. . . . . 312 — 313
პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის ხელნაწერისა «რუსული ენის გაუმჯობესების შესახებ» . . . . . 322 — 323
ვ. ი. ლენინი კომინტერნის III კონგრესზე. 1921. . . 400 — 401
პირველი გვერდი ვ. ი. ლენინის 1909 წ. 16 ნოემბრის წერილისა ა. მ. გორკისადმი . . . . . 472 — 473
ვ. ი. ლენინი და ა. მ. გორკი. 1920. . . . . 524 — 525
ვ. ი. ლენინი და ნ. კ. კრუპსკაია გორკაში. 1922. . . 592 — 593

პ/მგ. გამოშვებისათვის ნ. უ. ჯაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XI-1957 წ
ქაღალდის ზომა 60×92¹/₁₆. ფიზ. ნაბ. თაბახი
20,875. პირობითი ნაბ. თაბახი 41,75. სააღრიც.-
საგამომც. თაბახი 30,7. შეკვეთა № 456
ტირაჟი 10.000.
ფასი 10 მან

•

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი. მარჯანიშვილის ქ., 5.

•

საქართველოს სსრ კულტურის საბინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის
კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР
Тбилиси, ул Марджанишвили, 5.

ЛЕНИН

О КУЛЬТУРЕ И ИСКУССТВЕ

(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси 1957